766
2003 т. XX

766
2003

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული რავალთავი

XX

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული რავალთავი

ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი

XX

348

თბილისი 2003

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია: ზ. ალექსიძე (მთავარი რედაქტორი), ე. გაბიძაშვილი, ჟ.-პ. მაჰე, მ. მამაცაშვილი, მ. რაფავა, ბ. უტიე, მ. ქავთარია, ც. ქურციკიძე, მ. შანიძე, ე. ცაგარეიშვილი, ლ. ხევსურიანი, ე. ხოშტარია-ბროსე.

ტომის რედაქტორები: მ. რაფავა
მ. სურგულაძე

რეცენზენტები: ც. ქურციკიძე
ე. ცაგარეიშვილი

Editional Board: Z. Alexidze (chief editor) E. Gabidzashvili, M. Kavtaria, L. Khevsuriani, E. Khoshtaria-Brosset, Ts. Kurtsikidze, J.-P. Mahé, M. Mamatsashvili, M. Raphava, B. Outtier, M. Shanidze, E. Tsagareishvili.

Editors of the volume: M. Raphava
M. Surguladze

Reviwers: Ts. Kurtsikidze
E. Tsagareishvili

# მრავალთავი

## ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი

## XX

# MRAVALTAVI

## Philological-Historical Researches

## XX

თბილისი 2003

Tbilisi 2003

ეროვნული ბიბლიოთეკა

ББК 81. 2 Гр
УДК 091 (=9.463.1)
მ 90

ISSN 1512-0619

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

ზაზა ალექსიძე

# „მოქცევაჲ ჰართლისაჲს მატიანის“ ახალი რედაქცია

## N/Sin-48

სრულიად თავისებური ჟანრის თხზულებაა "მოქცევაჲ ქართლისაჲ". იმ სახით, რომლითაც მან დღემდე მოაღწია, იგი არც სუფთა ისტორიული ნაწარმოებია და არც ჰაგიოგრაფიული, თუმცა იმავე დროს ერთიც არის და მეორეც. ამიტომ არის, რომ ქართველოლოგებს დღემდე კამათი აქვთ, ქართული მწერლობის ძეგლების კლასიფიკაციისას, სად უნდა მიეკუთვნოს მას ადგილი, საისტორიო მწერლობაში თუ ჰაგიოგრაფიაში.[1] მე ვფიქრობ, მისი ადგილის მოძებნისას ორი მომენტი უნდა გვქონდეს მხედველობაში: სინქრონული (რას წარმოადგენს ეს ძეგლი დღეს) და დიაქრონული (რას წარმოადგენდა იგი, ან ისინი, მათი წარმოშობის საწყის ეტაპზე).

"მოქცევაჲ ქართლისაჲმ" თავისი ტრადიციაც კი შექმნა მსგავსი სინთეტური ტიპის ჟანრისა. "წმიდა ნინოს ცხოვრების" შესახებ დაწერილი ყველა მომდევნო ხანის რედაქცია ერთსა და იმავე დროს არის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებიც და ისტორიული თხზულებაც.

თავი რომ დავანებოთ ლეონტი მროველისეულ რედაქციას, რომელიც თავისი მიზანდასახულობით ისედაც ვრცელ ისტორიულ ნაწარმოებში ჩასასმელად არის განზრახული, ამ მხრივ ტიპიურია "წმიდა ნინოს ცხოვრების" მეტაფრასული და პერიფრაზული რედაქციები. მეტაფრასული რედაქცია იწყება ზოგადად ქრისტიანობის ისტორიით ქრისტეს შობის შემდეგ, მისი ცხოვრებით, მოციქულთა ქადაგებებით, ქართლში ანდრია პირველწოდებულის, სიმონ კანანელისა და მატათას მოსვლით, წმინდა გიორგის მოწამეობით, რასაც უშუალოდ მოსდევს წმინდა ნინოს და მის მშობელთა ცხოვრება. ამის შემდეგ ავტორი საჭიროდ თვლის მკითხველს აუწყოს ქართველთა სამოქალაქო ისტორია, მოკიდებული ალექსანდრე მაკედონელიდან აღმოსავლეთში არაბთა გაბატონების ჩათვლით, მაგრამ არც აქ ავიწყდება ავტორს მიუთითოს, თუ როგორ ინარჩუნებს რთულ პოლიტიკურ გარემოში ქართველი ხალხი და ეკლესია მართლმადიდებლურ მრწამსს.[2]

პერიფრაზული ცხოვრების ავტორი უფრო ამარტივებს თხრობას. იგი საჭიროდ აღარ თვლის ნინოს ცხოვრებას წინ წარუმძღვაროს ზოგადად ან ქართლში ქრისტიანობის ისტორია ნინოშდე და ბოლოს ურთავს სამოქალაქო ისტორიას ალექსანდრე მაკედონელიდან არაბობამდე.[3] ორივე ავტორს კარგად აქვს გაცნობიერებული თავისი ამოცანა: არსენი ბერი წერს და პერიფრაზულის ავტორიც შემოკლებით ამასვე იმეორებს: "უწყებაჲ ჯერ-არს ამისცა, საყუარელნო, ვითარმედ ესე მუცე მირიან, ანუ სხუანი მუცენი ქართველთანი, რომლისა ტომისანი იყნენს, ანუ ჩუენ ქართველნი რომელთა ნათესავთა შვილნი ვართ".[4] ზუსტად ეს არის "მოქცევაჲ ქართლისაჲს" კრედოც, თუმცა იგი მასში პირდაპირ არ არის განცხადებული.

დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით, "მოქცევაჲ ქართლისაჲ" შედგება ორი ნაწილისაგან: პირველ ნაწილს პირობითად უწოდებენ "მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანეს" ან "მოქცევაჲ ქართლისაჲს ქრონიკას", ხოლო მეორეს – "წმიდა ნინოს ცხოვრებას".

---

[1] ე. ხოშტარია-ბროსე, ქართული საისტორიო მწერლობის ჟანრული კუთვნილებისა და თავისებურების საკითხისათვის, ლეონტი მროველი და „ქართლის ცხოვრება“, თბ., 1996, გვ. 13-27.

[2] ცხორება და მოქალაქობაჲ და ღუაწლი წმიდისა და ღირსისა დედისა ჩუენისა ნინოჲსი, რომელმან ქადაგა ქრისტჱ. ღმერთი ჩუენი, ქუყანასა ჩრდილოჲსასა და განანათლა ნათესავი ქართველთაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, (მეტაფრასული რედაქციები XI-XIII სს.) დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ე. გაბიძაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, გ. კიკნაძემ, ც. ქურციკიძემ, ტ. III, თბ., 1971, გვ. 7–51.

[3] ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა და მოციქულთაჲ სწორისა ნეტარისა ნინოჲსი, ძველები, III, გვ. 52– 83.

[4] ცხორება ნინოჲსი (მეტაფრასული), ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. III, გვ. 46.

"მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანე" არის საქართველოს ისტორია დასაბამიდან VII საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით, რომელსაც ეროვნის კათალიკოსები და ერისმთავრების სია IX-X საუკუნეებამდე (სხვადასხვა რედაქციაში მცირე განსხვავებებით).

"მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანე" პირობითად შეიძლება დაიყოს ხუთ ძირითად ნაწილად: 1. ლეგენდური ისტორია საქართველოში ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლისა და პირველი ქართული სახელმწიფოს შექმნისა; 2. ქართლის მეფეთა მოკლე ქრონიკა, მოკიდებული პირველი ქართველი მეფიდან, ფარნავაზიდან (ძვ. წ. აღ. III ს-ის დასაწყისი) პირველ ქრისტიან მეფემდე, მირიანამდე (ახ. წ. აღ. IV ს-ის დასაწყისი); 3. ქართლის მოქცევის ისტორია; 4. ქართლის მეფეთა მოკლე ქრონიკა მირიან მეფიდან VII ს-ის პირველი ნახევრის ჩათვლით. ამ ეპოქის ყველაზე მთავარი და შედარებით ვრცლად აღწერილი პერიოდებია ადრეული შუა საუკუნეების ქართლის ყველაზე გამოჩენილი მეფის, ვახტანგ გორგასლის ზეობა და ბიზანტიის კეისრის ჰერაკლეს ლაშქრობები კავკასიაში. ორივე ეს პერიოდი მოცემულია, როგორც გადამწყვეტი ეტაპი ქართული ეროვნული ეკლესიის ისტორიაში: ვახტანგ გორგასლის დროს დაწყნდა კათალიკოსობა, ხოლო ჰერაკლეს ლაშქრობის შედეგად ქართლი გაიწმიდა წვალებათაგან. 5. დამატება: ქართლის ერისმთავართა და კათალიკოსთა სია VII ს-ის მეორე ნახევრიდან IX-X საუკუნეების მიჯნამდე.

წმიდა ნინოს ცხოვრება "მოქცევაჲ ქართლისაჲში" ორჯერ არის მოთხრობილი: ერთხელ, მოკლედ, ე.წ. "მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანეში" და მეორედ, ვრცლად, საკუთრივ "ნინოს ცხოვრებაში". მოსაზრება, რომ ეს ორი "ცხოვრება" (მცირე – "მატიანისეული" და ვრცელი – "ცხოვრებისეული") ერთი რედაქტორის მიერ ცნობიერად ერთმანეთთან მორგებულ, მაგრამ სხვადასხვა რედაქციებს წარმოადგენს, გასაზიარებელია.

თვითონ "მოქცევაჲ ქართლისაჲში" ორი გენეტურად სხვადასხვა რედაქციის ტექსტის დადასტურება უაღრესად მნიშვნელოვანია თხზულების წარმოშვაობის შესასწავლად.

## ახალი კოლექციის Sin-48-ის კოდიკოლოგიური დახასიათება

1990 წელს სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონატერში ახლად გამოვლენილ ხელნაწერებს შორის *აღმოჩნდა* ხელნაწერის ნაწილი, რომელიც შეიცავს "მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანის" მნიშვნელოვან ფრაგმენტს. ხელნაწერის ზომებია 135x115 მმ. შემორჩენილია ცამეტი სრული ფურცელი. 1974 წელს აღმოჩნდა კიდევ ორი ფურცლის ფრაგმენტები. ტექსტი ნაწერია ეტრატზე შავი მელნით, ძირითადად ნუსხურით, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში პირველი და მეორე სტრიქონიც ყოველ გვერდზე შესრულებულია კალიგრაფიული ასომთავრულით. იშვიათ შემთხვევაში ასომთავრულით არის შესრულებული ხუთამდე სტრიქონიც.

ასომთავრულის ხმარებაში შეიმჩნევა შემდეგი კანონზომიერება. თუ ტექსტი მეორე გვერდზე დაუმთავრებელი წინადადებით გადადის, კალიგრაფისტი მომდევნო ტექსტის დასაწყისში არ იყენებს ასომთავრულს და აგრძელებს წერას ნუსხა-ხუცურით (არის ორიოდე გამონაკლისი). კალიგრაფისტი ასომთავრულს იყენებს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ტექსტის ხაზგასასმელადაც. მაგალითად: "და აზიარა ნინოჲ განმაცხოველებელსა ჴორცსა და სისხლსა ქრისტჱსსა და წარიღო ესე საგზლად". ამ წინადადების დაწერას ხუთი სტრიქონი დასჭირდა. ზოგჯერ, თუ კალიგრაფისტს მნიშვნელოვანი ტექსტის გამოყოფა უნდა, იგი მომდევნო სტრიქონის ნაწილსაც ასომთავრულით წერს. მაგალითად: მირიან მეფე დაკრძალეს "საშოვალსა ეკლესიასა სუეტსა სამხრეთსა". ამ წინადადებას ასომთავრულით შესრულებული ორნახევარი სტრიქონი დასჭირდა.

საზედაო, აშიაზე მარცხნივ გამოტანილი ასომთავრული გრაფემებით არის შესრულებული აბზაცის მსგავსი ტექსტების დასაწყისი. უმრავლეს შემთხვევაში ეს არის წინადადების დასაწყისში დასმული "და" კავშირი. იშვიათ შემთხვევაში ასეთი საზედაო ასო ტექსტის შიგნითაც გვხვდება.

ჭარაგმის ნიშნად გამოტანილია სწორი, ჰორიზონტალური, დეკორატიულად გაუფორმებელი ხაზი. სიტყვების დაჭარაგმება არ არის ხშირი და ადრეული ტრადიციის ფარგლებიდან არ გამოდის.

განკვეთილობის ნიშნებად გვხვდება ორი და ერთი წერტილი. ორი წერტილი იხმარება მხოლოდ დიდი აბზაცების ბოლოს, თუ მომდევნო აბზაცი საზედაო ასოთი იწყება, თუმცა ეს წესიც ყოველთვის არ არის დაცული. ორი მხრიდან ორ-ორი წერტილით არის შემოსაზღვრული ასოებით დაწერილი რიცხვითი სახელი. უფრო ძნელია ერთი წერტილის ხმარების კანონზომიერების დადგენა. მისი ხმარება არ არის ხშირი. ზოგჯერ იგი დასმულია თანამედროვე წერტილის ადგილას, ზოგჯერ მძიმის ან ტირეს ადგილზე და ზოგჯერ კი იხმარება რაიმე ჩემთვის ცნობილი კანონზომიერების გარეშე.

პალეოგრაფიის მიხედვით (მხედველობაში მაქვს როგორც ნუსხა–ხუცურის, ისე ასომთავრულ გრაფემათა მოხაზულობა) ხელნაწერი ადრეული მეათე საუკუნით უნდა დათარიღდეს.

ახალი კოლექციის Sin-48 თავის დროზე აკინძული იყო რვეულებად. ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ მესამე რვეულის დასაწყისის აღნიშვნა (VII პარაგრაფის დასასრულს), რაც უეჭველად მიუთითებს, რომ ხელნაწერში "მოქცევაჲ ქართლისაჲს" წინ სხვა რაიმე თხზულება არა ყოფილა. სამწუხაროდ, რამდენი აკლია ხელნაწერს ბოლოში, ამის თქმა დღეს გარკვეით შეუძლებელია. ერთი კი შეიძლება ითქვას: ფურცლები იმდენად მცირე ზომისაა და გრაფემები იმდენად დიდი, რომ ძნელი წარმოსადგენია ხელნაწერში "მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანის" გარდა "წმიდა ნინოს ცხოვრებაც" კი ყოფილიყო, არამცთუ კიდევ სხვა რაიმე ტექსტი.

N/Sin-48-ში ტექსტი თავშიც და ბოლოშიც ნაკლულია. ილ. აბულაძის გამოცემით თუ ვიმსჯელებთ, შემორჩენილია IV-XII პარაგრაფები: მოყოლებული ეპიზოდიდან, როდესაც წმ. ნინომ სამ წელს მაყვლოვანში ლოცვის შემდეგ ვაზის ნასხლევისგან ჯვარი შექმნა, დამთავრებული ქართლში ასურელ მამათა მოსვლით[5]. ტექსტი მცირე გამონაკლისების გარდა კარგად იკითხება.

## N/Sin-48-ის რედაქციული მიმართება შატბერდულ და ჭელიშურ რედაქციებთან

განსხვავებები მოცულობაში, როდესაც რომელიმე რედაქციას მექანიკურად აკლია ფურცელი ან ფურცლები:

1. შატბერდის კრებულს შესადარებელ მონაკვეთში ერთი ფურცელი აკლია. ილ. აბულაძის გამოცემის მიხედვით, ეს არის V და VI პარაგრაფების უდიდესი ნაწილი, გარდა დასაწყისსა და ბოლოში რამდენიმე წინადადებისა[6]. N/Sin-48-ს ეს ადგილი შემონახული აქვს, ისევე როგორც ჭელიშურს, მაგრამ მასშიც ორი ფურცელი, რომლებიც მხოლოდ 1994 წლის ექსპედიციის დროს აღმოჩნდა, ძლიერ არის დაზიანებული. მათგან ნაწილის ამოკითხვა კიდევ შესაძლებელია, მაგრამ ნაწილი სამუდამოდ არის დაკარგული.

დასახელებული ორი პარაგრაფის ფარგლებში ჭელიშურსა და სინურს შორის არის მნიშვნელოვანი ტექსტობრივი და ენობრივი განსხვავებანი, მაგრამ, ფურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მინიმალურია განსხვავებანი მირიან მეფის ღმრთისადმი სამადლობელ სიტყვებში მცხოვრის კვართის მცხეთაში დაცულობის გამო. ეს ფაქტი ყურადღებას იმითაც იპყრობს, რომ მირიანის სიტყვების დიდი ნაწილი შატბერდულმაც შემოინახა და მასთან განსხვავებაც ძალიან მცირეა.

---

[5] მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 84.

[6] მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძეგლები, I, გვ. 86-87.

*ჭელიშური*

*„კურთხეულ ხარ შენ უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმრთისა ცხოველისაო, რამეთუ შენ პირველვე*

გენება ჭსნაჲ ჩუენი ეშმაკისაგან და ადგილისა მისგან ბნელისა, ოდეს-იგი სამოსელი შენი წარმოეც ებრაელთა ამათ წმიდით ქალაქით იერუსალჱმით, უცხოთა ამათ ნათესავთა ქალაქად, რამეთუ ჯუარცუმასა შენსა ამას ქალაქსა მამანი ჩუენნი მეყობდეს“.

*სინური*

*„კურთხეულ ხარ შენ, უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისა ცხოველისაო, რამეთუ შენ პირველვე*

გინდა ჭსნაჲ ჩუენი ეშმაკისაგან და ადგილისა მისგან ბნელისა, ოდეს-იგი სამოსელი შენი ებრაელთა ამათ წარმოეც წმიდით ქალაქით იერუსალჱმით უცხოთა ამათ ნათ- სავთა ქალაქად, რამეთუ ჯუარცუმასა შენსა ამას ქალაქსა მეყობდეს მამანი ჩუენნი“.

"...გინდა *ცხორებაჲ ჩუენი* და ჭსნაჲ ჩუენი ეშმაკისაგან და ადგილისა მისგან ბნელისა, ოდეს-იგი სამოსელი შენი წარმოეც წმიდით ქალაქით იერუსა- ლჱმით უცხოთა ამათ ნათესავთა ქალაქად, რამე- თუ ჯუარცუმასა შენსა ამას ქალაქსა მეყობდეს მამანი ჩუენნი".[7]

განსხვავებანი "მოქცევაჲ ქართლისაჲს" რედაქციებისათვის უწვეულოდ მცირეა და, ვფიქრობ, სრულიად ადვილია არქეტიპის აღდგენა. ეს არქეტიპი შემოინახა სინურმა რედაქციამ, რომელიც სიტყვათა წყობითაც აბსოლუტურად ემთხვევა შატბერდულს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთადერთ შესიტყვებას ("ცხორებაჲ ჩუენი"), რომელიც მას დამატებული უნდა ჰქონდეს ეფექტის გასაძლიერებლად. ვფიქრობ, ჩვენ საქმე გვაქვს ხელუხლებლად შემონახულ უძველეს ციტატასთან, მით უფრო, რომ იგი შინაარსობრივად უძველეს ტენდენციებს ამჟღავნებს და გვიანდელ რედაქციებში განსაკუთრებული განსაცდელებიც გადახდა სწორედ ამ ადგილს. საკითხი მეტად საინტერესოა და მნიშვნელოვანი. ამიტომ მას სპეციალურად ვეხებით იმ ნაშრომში, რომელშიც ლაპარაკია ქრისტეს კვართის მცხეთაში მოტანის შესახებ.

2. თავის მხრივ Sin-48-საც აკლია VII პარაგრაფის მნიშვნელოვანი ნაწილი. შატბერდულს თუ შევადარებთ, დანაკლისი იქნება ორი გვერდის (ერთი ფურცლის მოცულობით), ხოლო ჭელიშურის მიხედვით უნდა ყოფილიყო დაახლოებით სამი გვერდი. რადგან სამი გვერდის დაკარგვა სინურში არ არის მოსალოდნელი, უნდა ვიფიქროთ, რომ პროტორედაქციასთან მიმართებაში ჭელიშური რამდენადმე გავრცობილია. ვინაიდან გავრცობა ისტორიულად განსაკუთრებით მნიშვნელოვან ადგილს ეხება, რომელიც, ჩემი აზრით, მოცლენათა თანადროული ვითარების ასახვა ჩანს, ქვემოთ შესაბამისი ადგილები ზუსტად ვანჭვნოთ:

*შატბერდული*

და ვითარცა ესე თქუა, წარიყვანა იაკობ მდღელი, საბერძნეთით მოსრული, და ერისთავი ერთი, წარვიდა და დადგა წობენს. და მოუწოდა მთავლთა, ჭართალელთა და ფხოელთა და წილკანელთა.

*ჭელიშური*

და ვითარცა ესე თქუა დედოფალმან, წარვიდა და უკუანა ჰყვებოდა სანატრელსა ნინოს. და წარიყვანეს მათ თანა მთავარ ეპისკოპოსი და მდღელნი და ერისთავი და წარვიდეს და დადგეს წობენს და მოუწოდეს მთიელთა ყოველთა, ჭართალელ-ფხოელთა, წალკანელთა. და შემოკრიბა ერი ურიცხუ. მაშინ აღდგა წმიდაჲ და სანატრელი და განმანათლებელი ნეტარი ნინო, დედაჲ ჩუენი, აღიპყრნა ჭელნი ღმრთისა მიერ. და მოუწოდა შემწეულ წმიდასა ღმრთის მშობელსა. და კუალად განირთხა ჭელი

[7] იქვე, გვ. 87.

| | |
|---|---|
| და უქადაგა სარწმუნოებაჲ ქრისტჱსი, ხოლო მათ განუყარეს თავი. | ერისა მიმართ და უქადაგა სარწმუნოებაჲ ძისა ღმრთისაჲ. ხოლო მათ პირუტყუ-სახეთა, ვითარცა ესმა ქადაგებაჲ, უცხოდ განუყარნეს თავნი, და პირნი გარე-მიიქცივნეს და იღრჭენდეს კბილთა მათთა წმიდისა ნინოჲსთჳს, ხოლო ეშინოდა დედოფლისაგან. ხოლო ნინო უბრძანა |
| და ერისთავმან მცირედ წარჰმართა მახჳლი და შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დალეწად. | ერისთავსა, რაჲთა წარმართოს მცირედ მახჳლი მათ ზედა. და ვითარცა შებმა უყვეს, შიშით მისცნეს თავნი მათნი ნათლისღებასა, და დალეწნეს კერპნი |
| და გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს, დაბასა ედემს, და ნათელ-სცა ერწუ-თიანელთა. და ყუარელთა ესმა ესე და გარდაკრბეს თოშეთა, რომელნი უკუანაჲსკნელ იპოვნეს; თრდატ მეფემან მოიყვანნა და მონათლნა. და ნინო შთავიდა კხოეთა და დადგა კაწარეთს და მონათლნა კხოელნი და სოჯნი ერითურთ მათით. | მათნი. და წარვიდეს ერწოდ და დაბასა ჟალეთს, დადგეს ედომს და ნათელ-სცა ერწო-თიანელთა. ხოლო ყუარელთაჲ რაჲ ესმა ესე, შეშინდეს და თოშეთს გარდაკრბეს, რომელნი კუალად მოიყვანნა, მონათლნა. და ნინო კუალად წარვიდა კახეთად, დადგა კაწარეთს და მონათლნა კაოხნი და სუჯნი ერითურთ მათით.[8] |

ჭელიშურ ტექსტს შედარების გარეშეც ემჩნევა, რომ გამოდის "მოქცევაჲ ქართლისაჲს" მცირე რედაქციის ლაკონიური სტილიდან. მასში აშკარად გავრცობილია წმიდა ნინოს ღმრთისმშობლის მიმართ ლოცვა და წარმართ მთიელთა შემზარავი დახასიათება. დამახასიათებელია, რომ ეს ვრცელი ნაწილები არ არის არც ლეონტი მროველისეულ რედაქციაში და არც მეტაფრასულსა და პერიფრაზულში. თუმცა, ამათგან ლეონტი მროველი მაინც აშკარად ჭელიშურის ტიპის რედაქციით სარგებლობს აღნიშნულ ადგილას. მაგალითად, ლეონტი წერს: "მივიდეს და დადგეს წობენს, და მოუწოდეს მთეულთა, *პირუტყუთა სახეთა* მათ კაცთა..."[9]. ხაზგასმული სიტყვა არ მოეპოვება შატბერდულს და აქვს ჭელიშურ რედაქციას (ეს ადგილი დაკარგულია სინურში).

ჭელიშური რედაქციის განსახილველი მონაკვეთი რომ რედაქტირების თუ გადაწერის დროს დაზიანებულია, ამას მოწმობს მისი აშკარად შეუსაბამო ადგილებიც, რომლებსაც ასწორებს შატბერდული და, შემონახულ ადგილას, სინურიც. ესაა დასაწყისი წინადადება, სადაც გაუგებარია, რომელმა დედოფალმა თქვა წინამავალი სიტყვები (რომელიც ყველა რედაქციის მიხედვით აშკარად წმ. ნინოს ნათქვამია) და ვინ გაჰყვა ამ სიტყვების თქმის შემდეგ უკან ნინოს. გამორჩენილია, აგრეთვე, თრდატ მეფის დასახელება ყვარელთა კვლავ მოყვანასა და მონათვლასთან დაკავშირებით, რაც წინადადებას გაუგებარს ხდის.

შესადარებლად მოტანილი ტექსტის იმ ნაწილში, რომელიც შემორჩა სინურს, იგი არსებითად მხარს უჭერს შატბერდულს, თუმცა აქვს მისგან განსხვავებული შეხვედრებიც ჭელიშურთან (ასეთი ადგილები აღნიშნულია სხვა შრიფტით):

"...და წარჰმართა მცირედ მახჳლი მათ ზედა, და *შიშით მისცნეს თავნი მათნი ნათლისღებასა* და დალეწნეს კერპნი მათნი. *და წარვიდეს ერწოდ და დადგა ედემს, დაბასა ჟალეთს* და ნათელ-სცა ერწო-თიანელთა. და ყუარელთა რაჲ ესმა ესე, გარდაკრბეს თუშეთს, რომელნი კუალად თრდატ მეფემან მოიყვანნა და მონათლნა. და ნინო ჩავიდა კხუეთა და დადგა კაწარეთს და მონათლნა კხუნი და სუჯნი ერითურთ მათით".

## განსხვავებანი მოცულობაში, როდესაც მეტ-ნაკლებობა რედაქტირების შედეგია

"წმიდა ნინოს ცხოვრების" მოკლე რედაქციის ფარგლებში ჭელიშური ყოველთვის უფრო ვრცელია, ვიდრე შატბერდული. ასეთ შემთხვევებში სინური რედაქცია ხან ერთს უჭერს მხარს, ხან მეორეს. განვიხილოთ ყველა შემთხვევა ცალ-ცალკე.

---

[8] იქვე, გვ. 88-89.

[9] ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 125.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. IV პარაგრაფის ფარგლებში ჭელიშური ბევრად უფრო ვრცელია შატბერდულსა და სინურზე. პარაგრაფში ლაპარაკია მოციქულების გაგზავნაზე კონსტანტინე დიდთან, მათ მიერ დავალების შესრულებასა და უკან მობრუნებაზე:

| *შატბერდული* | *ჭელიშური* | *სინური* |
|---|---|---|
| და ვითარცა ადაშენეს ეკლესიაჲ, წარავლინა მოციქული და წიგნი ნინოჲსი საბერძნეთა, მეფისა კოსტანტინესა, თხოვად მდდელთა. ხოლო იგინი მ წრაფლ მოიწინეს | და ადაშენეს ეკლესიაჲ და წარავლინა მოციქული და წიგნი ნინოჲსი საბერძნეთად, მეფისა კოსტანტინესსა, თხოვად მდდელთა. ხოლო მოციქულნი მსწრაფლ მიიწივნეს წინაშე მეფისა. | და ადაგეს ეკლესიაჲ. და წარვლინნა მეფეჲსა მოციქულნი და წიგნი ნინოჲსი მეფისა კოსტანტინესსა საბერძნეთა, თხოვად მდდელთა. ხოლო მოციქულნი იგი მსწრაფლ მიიწივნეს წინაშე მეფისა. |

და ვითარცა იხილნა იგინი მეფეჲმან, მოწყლედ მოიკითხნა და ამბორს-უყო ღიმილით. და უწუენეს წიგნი მეფისა და ნინოჲსი. ხოლო ვითარცა ცნეს მიზეზი მისლვისა მათისა, განიხარეს სიხარულითაა დიდითა და ადდგეს მსწრაფლ საყდრისაგან მათისა მეფე კოსტანტინე და ელენე დედოფალი. და პირდაპირ თაყუანის-სცეს მეუფეჲსა ქრისტესსა. და კუალად აქმართნეს ზე და აღიპყრეს ჭელნი მათნი ცად მიმართ, და ადავსნეს თუალნი მათნი ცრემლითა მჭურვალითა, და ღაღად-ყვეს ჴმითა მაღლითა და თქუეს: "დიდებაჲ შენდა, ქრისტე ღმერთო, რომელმან ესრეთ სათნო ჰრინე". და ყოველთა ჴმა-ყვეს ამენ.

მაშინ მეფემან კოსტანტინე თჳსითა ჭელითა აღწერნა ებისტოლენი, ფრიადითა შესხმითა და მრავლითა <<გიხაროდენითა>> შეამკო და მკჳდრად, სასუფეველისა თანაზიარად, ძმად მისსა სახელ-სდვა. ეგრეთვე ელენე აღწერნა ებისტოლენი ორნი: ერთნი ნანა დედოფლისათჳს და ერთნი ნინოჲსჳს წმიდისა, და მანცა ეგრეეე მრავლითა შესხმითა და <<გიხაროდენითა>>. და სანატრელ უწოდა დედოფალსა ნანას, ხოლო ნეტარსა ნინოს ელენე სურვილით უწოდა დედოფალად და თჳსსა სწორად და სწორად წიდგათა მოციქულთა. და დაბეჭდნეს ებისტოლენი იგი.

| | | |
|---|---|---|
| და მოსცა მეფემან იოვანე ეპისკოპოსი და ორნი მღდელნი და ერთი დიაკონი, და წიგნი ელენე დედოფლისაჲ, და ხატი მაცხოვრისაჲ და ძელი ცხორებისაჲ ნინოჲსჳს. | ხოლო მეფემან წარავლინნა ეპისკოპოსი იოვანე და ორნი მღდელნი და ერთი დიაკონი, და ხატი მაცხოვრისა[ჲ], და ძელი ცხორებისაჲ და სხუაჲ წიგნები ელენე დედოფლისაჲ ნინოჲსჳს, და წარვიდეს.[10] | და მოსცა მეფემან ებისკოპოსი იოვანეჲ და ორნი მღდელნი, და ერთი დიაკონი, და ხატი მაცხოვრისაჲ, და ძელი ცხორებისაჲ და წიგნი ელენე დედოფლისაჲ ნინოჲსჳს. |

ვფიქრობ, შეუეიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანს, რომ "მოქცევაჲ ქართლისაჲს" მოკლე რედაქციის ლაკონური ტექსტისათვის ჭელიშურში გამოყოფილი ტექსტი ზედმეტია. მაგრამ ამას ობიექტური მონაცემებიც მოწმობენ: მაგალითად, წინააღმდეგობებია თვითონ ჭელიშურის არჩეულ ნაწილსა და დამატებულს შორის: 1. ძირითად ტექსტში ნათქვამია, რომ მირიან მეფემ კონსტანტინე კეისართან გააგზავნა მხოლოდ ნინოს წერილი, დამატებაში კი ლაპარაკია თვითონ მირიან მეფის წერილზეც. 2. დამატებაში ნათქვამია, რომ კეისარმა ერთი წერილი მისწერა მირიანს, ხოლო ელენე დედოფალმა ორი – ნინოს დ მირიან მეფის

[10] მოქცევაჲ, ძეგლები, I, გვ. 85-86.

მეუღლეს, ნანას. ძირითად ტექსტში კი ნათქვამია მხოლოდ ნინოსთვის გაგზავნილ წერილის შესახებ.

დამახასიათებელია კიდევ ერთი მომენტი, რომელიც უნდა გავრცელდეს მთელს მოკლე რედაქციაზე: დამატებულ ტექსტში ქართველთა განმანათლებელი წოდებულია "წმიდანად". არსად, "მოქცევაჲ ქართლისაჲს" მოკლე რედაქციაში, არც შატბერდულში და არც სინურში, წმინდა ნინო არ იხსენიება "წმიდანად". ასეთი ერთი ადგილი ზემოთ უკვე ვაჩვენეთ ("მაშინ აღდგა წმიდაჲ და სანატრელი და განმანათლებელი ნეტარი ნინო, დედაჲ ჩუენი..."). ქვემოთ ვნახავთ, რომ მსგავსი ადგილები ჭელიშურში ყველგან დამატებულია.

მაგრამ საიდან და როდის გაჩნდა ჭელიშურ რედაქციაში ეს დანამატი?

პირველ ყოველსა, მოვლენათა ლოგიკის მიხედვით აღწერილი სიტუაცია დამატებული აქვს ჭელიშურს. გარდა ამისა, VIII პარაგრაფში, სადაც მოთხრობილია ნინოს გარდაცვალების წინა სიტუაცია, წმინდა ნინო ანდაზურ ყაიდაზე ლაპარაკობს: "ხოლო ნეტარსა ნინოს ელენე სურვილით უწოდა *დედოფალად* და თჳსსა სწორად და *სწორად წმიდათა მოციქულთა*". ვფიქრობ, რედაქტორმა, რომელმაც იცოდა ეს ადგილი მოკლე რედაქციისა, იგი უფრო ვრცლად აღწერა დამატებულ ადგილში.

და ბოლოს, ჭელიშურის მსგავსი დანამატი არა აქვთ არც ლეონტი მროველსა და არც მეტაფრასულ-პერიფრაზულთ. მხოლოდ ლეონტისთან შეიძლება ამოკითხვა კონსტანტინესა და ელენეს სიხარულის შესახებ და ისიც სრულიად განსხვავებული სიტყვებით. ეს სიტყვებიც, მე მგონია, არქეტიპის მეტისმეტი ლაკონურობის დასაძლევად არის ჩაწერილი.

ყველა ზემოთ თქმულის მიუხედავად, მე არ მინდა ვთქვა, თითქოს დანამატი გაკეთებულია XIV-XV სს-ში ჭელიშის ხელნაწერის შექმნის დროს. იგი ენობრივად (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორთოგრაფიას) და მასში გამოყენებული სოციალური ტერმინით ("მკუდრი") დიდად არ უნდა დაცილდეს X ს-ს.

2. VIII პარაგრაფში წმინდა ნინოს გარდაცვალების შესახებ ცნობას ერთნაირად ამთავრებენ შატბერდული და სინური: "შჯნეულრა სული თჳსი" ქართლში მისი მოსვლიდან მეთხუთმეტე (ოცდამეთხუთმეტე – ჭელიშურითა და სინურით), ქრისტეს ამაღლებიდან სამას ოცდამეთრამეტე და დასაბამიდან ხუთი ათას რვაას ოცდათრამეტ წელს. ამას ჭელიშური უმატებს "ამათ ჟამთა ზე იქმნა მიცვალებაჲ წმიდისა და სანატრელისა ღირსისა დედისა და განმანათლებელისა ჩუენისა ნეტარისა ნინოსი". ცხადია, ესეც პროტოჭელიშური რედაქციის დანამატია, რადგან ლაკონური მოკლე რედაქციისათვის იგი ტავტოლოგიაა და ახალ ინფორმაციას არ შეიცავს. მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ, რომ ამ კონტექსტშიც ნინო მოხსენიებულია "წმიდანობით", რაც არ უნდა ყოფილიყო არქეტიპში.

3. ამავე პარაგრაფის მომდევნო აბზაცი ჭელიშურში კვლავ ემოციებით არის დამძიმებული ბევრად უფრო ლაკონიურ, ამიტომ უფრო შთამბეჭდავ შატბერდულ და სინურ ტექსტებთან შედარებით.

*შატბერდული*

მაშინ შეიძრნეს ორნი ესე ქალაქნი: მცხეთაჲ და უჯარმაჲ, და ყოველი ქართლი სიკუდილისა მისისათჳს. და მოვიდეს და დაჰმარხეს ძლევით შემოსილი გუამი მისი ადგილსა ზედა ბუდს, დაბასა კხოეთისასა.

*ჭელიშური*

მაშინ შეიძრნეს ორნივე ესე ქალაქნი: მცხეთაჲ და უჯარმოჲ, და ერთობილი ქართლი სიკუდილისა მისისათჳს. და დაჰკრძალეს ძლევით შემოსილი გუამი მისი ადგილსავე თჳსსა ბოდს, სოფელსა კუხეთისასა.

*სინური*

მაშინ შეიძრნეს ორნი ქალაქნი: მცხეთაჲ და უჯარმაჲ და ყოველი ქართლი სიკუდილსა მისსა. და მოვიდეს და დაჰმარხეს ძლევით შემოსილი გუამი მისი ადგილსავე ზედა ბოდსა, სოფელსა კხუეთისასა

და ვითარ შესაძლებელ არს თქუმად, თუ რაოდენთა
ცრემლთა ანუ რაოდენთა გოდებათა სალმობიერთა
აღმოიტყოდეს მეფე და დედოფალი.
ხოლო მეფე არა განეშორა საფლავსა მისსა

[11] იქვე. გვ. 90.

წმიდასა ვიდრე ბანაკითურთ მისით, ვიდრე შჳდ დღემდის. და იყო კრებაჲ დიდძალი, რამეთუ კურნებანი მრავალნი აღესრულებოდეს მადლით ქრისტესითა. და ნეტარ არიან, რომელნი აღასრულებდნენ ჴსენებასა მისსა, რამეთუ დიდსა მადლსა ღირს იქმნებიან. ხოლო მეშჳდესა დღესა შეწირეს ჯამი საფლავსა ზედა მის წმიდისასა[12].

როგორც ვნახეთ, ჭელიშური კრებულის "წმიდა ნინოს ცხოვრების" მოკლე რედაქცია თავისებურად ზომიერ მეტაფრასს წარმოადგენს მატბერდულ და სინურ რედაქციებთან შედარებით. მაგრამ ასეთი ვითარება არ არის დამახასიათებელი ამ რედაქციის "მოქცევაჲ ქართლისაჲს" მატიანისთვის" მთლიანად. მატიანის იმ ნაწილში, რომელიც წმინდა ნინოს მოკლე ცხოვრებას მოსდევს, ჭელიშური, პირიქით, საგრძნობლად არის შემცირებული ორ დანარჩენთან შედარებით და ეს აშკარად მხოლოდ მისი სპეციფიკაა: ჭელიშური რედაქციის ავტორი კათალიკოსთა სიის ჩამოწერაზეც კი აღარ იწუხებს თავს და აცხადებს, საერთო ჯამში ამდენი და ამდენი იყოო. ჯამი კი ემთხვევა Sin-50-ის სიაში მოცემულ რაოდენობას, რაც მის დედანს X ს-ის დასაწყისით ათარიღებს. ამ ნაწილში მხოლოდ ერთგან ღალატობს თავის თავს ჭელიშურის ავტორი და ავრცობს ვახტანგ გორგასალსა და მიქაელ მთავრეპისკოპოსს შორის კონფლიქტთან დაკავშირებულ ეპიზოდს (XVIII პარაგრაფი).

*შატბერდული*

მაშინ წარიყვანეს ვახტანგ სპარსთა. და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოიქცა და მთავარებისკოპოსი იყო მიქაელ. და მან მიამთხუა ფერჴი პირსა მეფისასა ვახტანგს.

*ჭელიშური*

მაშინ წარიყვანეს ვახტანგ სპარსთა. და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოიქცა და მთავარებისკოპოსი იყო მიქაელ. ამან მიამთხუა ფერჴი გოროგასალსა რომლისათჳს მიზეზი-სათჳს, და განაძო ეკლესიისაგან. *მაშინ მეფე ადიღსო გულის-წყრომითა მრავლითა და ეძგა ფერი პირისა მისისა და განიზრახვიდა მრავალთა ბოროტთა და-მჴობად ქრისტეანობისა. არამედ ღმერთმან, რომელსა არავისი ჰნებავს წარწყმედაჲ, მიუვლინა გულსა მისსა კეთილი განზრახვაჲ. აღდგა და განიპყრნა ჴელნი თჳსნი ღმრთისა მიერ და თქუა: „დიდებაჲ შენდა, ქრისტე ღმერთო, რამეჲ არს საქმე ესე?“: და ვაებაჲ მისცა მტერსა.* და მსწრაფლ წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთად და ითხოვა მეფისაგან და პატრიაქისა კათალიკოზი.[13].

*სინური*

მაშინ წარიყვანეს ვახტანგ გორგასარი სპარსთა და შემდგომად რავდენისამე ჟამსა მოიქცა. და მთავარებისკოპოსი იყო მი- ქაელ დიო. ამან მია- მთხუა ფერჴი ვახტანგ გორგასარსა და განაძო ეკლესიისაგან. ხოლო მეფემან წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთა და ითხოა მეფისაგან და პატრიარქისა კათალი-კოზი.

[12] იქვე, გვ. 90-91.

[13] იქვე, გვ. 93.

განსხვავებული შრიფტით გამოყოფილი ტექსტი რომ ჭელიშური (უკეთესია ვთქვათ, პროტოჭელიშური) რედაქციის დანამატია, ცხადია. ჩვენ მიახლოებით იმის დადგენაც შეგვიძლია, როდის გაჩნდა "მოქცევაჲს" ტექსტში ეს დანამატი.

საქმე ის არის, რომ ვახტანგ გორგასალსა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტი ვრცლად არის აღწერილი ჯუანშერის (XI ს.) "ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში"[14], რომელიც ერთ-ერთ წამყვან ნაწილად არის შესული "ქართლის ცხოვრებაში". არავითარი ნიშანი პროტოჭელიშური რედაქციის ამ დამატებული ნაწილისა მასში არ მოიპოვება, თუმცა ტექსტის ძირითადი ხერხემალი, რომელიც შემოინახეს შატბერდულმა და ჭელიშურმა რედაქციებმა, მასაც შენახული აქვს. სამაგიეროდ ეს კვალი შეიძლება დავინახოთ არსენი ბერისეულ მეტაფრასულ "წმიდა ნინოს ცხოვრებაში" (XI-XII საუკუნეების მიჯნა).

| *ჭელიშური* | *მეტაფრასული* |
|---|---|
| არამედ ღმერთმან, რომელსა არავისი ჰნებავს წარწყმედაჲ, მიუვლინა გულსა მისსა კეთილი განზრახვაჲ. აღდგა, *განიყარნა ჰელნი თჳსნი* ღმრთისა მიერ და თქუა...[15] | ხოლო მეფემან ერსა *ჰელი განუყარა* და დაადუმნა სიბრძნით...[16] |

ცხადია, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროტოჭელიშურ რედაქციაში დამატება გაკეთებულია XI ს-ის მეორე ნახევარში და ამით დავადასტუროთ "მოქცევაჲ ქართლისაჲს" კიდევ ერთი ჩვენამდე მოუღწეველი რედაქციის არსებობა.

"მოქცევაჲ ქართლისაჲს" ორი ახალი სინური რედაქციის აღმოჩენამ უნდა შემატოს ღირებულება ჭელიშურს. იქ, სადაც მათი თანხვედრა დასტურდება, და მით უფრო, თუ მათ მხარს უმაგრებენ სხვა გვიანდელი რედაქციებიც, ეს ადგილები აშკარად პროტორედაქციიდან მომდინარედ უნდა ჩაითვალოს. ასეთთა რიგს უნდა მიეკუთვნოს ქვემოთ განხილული ტექსტი, რომელიც საქართველოს და ქართული ეკლესიის ისტორიის ერთერთ კარდინალურ საკითხს ეხება.

ქართველოლოგები ვერ შეთანხმებულან, ნიშნავდა თუ არა საქართველოში V ს-ის 70-80- იან წლებში კათალიკოსობის დაწესება სრულ ავტოკეფალიას. მათი ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ეკლესია სრულ ავტოკეფალიას შეიძლება ფლობდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მას მართავს კათალიკოს-პატრიარქი და არა კათალიკოსი, ხოლო კათალიკოს-პატრიარქობის დაწესებას საქართველოში კი ვარაუდობენ XI ს-იდან, როდესაც ეს ტიტული დოკუმენტებში პირველად იხსენიება.[17]

მე ვფიქრობ, თავისთავად ასეთი მკაცრი მოთხოვნა ავტოკეფალიის კანონიკურობის განსასაზღვრავად არასოდეს არსებულა და არც არის მსგავსი რაიმეს დასაბუთების ცდები ქართულ ენაზე შემონახულ პოლემიკურ ტრაქტატებში. მაგრამ ამის მიუხედავადაც, ჩემი აზრით, ქართლის კათალიკოსები ატარებდნენ პატრიარქის ტიტულს ადრეული შუასაუკუნეებიდან, ოღონდ იყენებდნენ მის ქართულ შესატყვისს, რომელიც არაერთხელ არის დადასტურებული XI საუკუნემდელ ქართულ მწერლობაში. ამაზე პირდაპირი მითითება გვქონდა "მოქცევაჲ ქართლისაჲს" ჭელიშურ რედაქციაში, რომელსაც პრინციპულად არავინ აქცევდა ყურადღებას, ვინაიდან იგივე ტექსტი არ იყო დადასტურებული მასზე გაცილებით უფრო ძველ შატბერდულ ხელნაწერში.

მას შემდეგ, რაც ქართლში კათალიკოსობა დაწესდა, წერს "მოქცევაჲ ქართლისაჲს" დღეს ჩვენთვის ცნობილი სამი რედაქცია:

---

[14] ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 196-197. ზ. ალექსიძე, ვახტანგ გორგასალსა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტის გამო, ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1976. შდრ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებები თორმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1979, გვ. 354-357; 371-380; ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, თბ., 1949; გვ. 288-292;

[15] მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 93.

[16] ცხორება ნინოჲსი, (მეტაფრასული), გვ. 47.

[17] დაწერილი მელქისედეკ კათალიკოსისა მოჴსენებული მცხეთის საყდრისადმი, ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, თბ. 1984, გვ. 22.

| *მატბარდული* | *ჭელიშური* | *სინური* |
|---|---|---|
| ხოლო პირველი კათალიკოზი იყო პეტრე. | აქათგან იწყეს კათალიკოზთა პირველი კათალიკოზი იყო პეტრე ვახტანგ მეფი-სა ზე. | და აქათგან იწყეს კათალიკოზთა *მამადმთავრობად. ერობად და მწყსა ერისა.* პირველი კათალიკოზი იყო პეტრე ვახტანგ მეფი-სა ზე.[18]. |

რა აზრია ჩადებული განსხვავებული შრიფტით გამოყოფილ ტექსტში? "მამადმთავარი" (უნდა იყოს "მამათმთავარი" – ორი ერთმანეთთან ახლოს მოხვედრილი თ-ანიდან კანონზომიერად გამყღვრებულია პირველი) ზუსტი შესატყვისია ბერძნული "პატრიარქისა" და სომხური "პაირაპეტისა". წინადადება ახალ ქართულ ენაზე, შესაბამისი ტერმინოლოგიით, უნდა გადმოვიღოთ ასე: "ამიერიდან კათალიკოსებმა დაიწყეს პატრიარქობა" (ჭელიშური) "და მწყსა ერისა" (უმატებს სინური და კიდევ უფრო აძლიერებს აზრს, რომ აქ საქმე გვაქვს პატრიარქის სინონიმთან). XI-XII საუკუნეების ქართულ ძეგლებში "მამათმთავარი" და "პატრიარქი" გვხვდება ერთმანეთის პარალელურად, როგორც ერთმანეთის სინონიმი.

მაგრამ რამდენად ძველი და ავთენტურია ჭელიშურისა და სინური ტექსტების ჩვენება?

ჯერ ერთი, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ N/Sin-48 X ს-ის დამდეგის ხელნაწერია. მეორეც, სამი რედაქციიდან ასეთ წაკითხვას მხარს უჭერს ორი უძველესი. მესამე და უმთავრესი ის არის, სინური რედაქციის ნაკვალევი დადასტურდა არსენი ბერისეულ რედაქციაში: "და დასუა მას შინა (ვახტანგ გორგასალმა - ზ.ა.) პირველად კათალიკოზად და *მწყემსად პეტრე*"[19]. (ფიქრი უნდა, რას ნიშნავს "მიქაელ დით". არის ეს "და" კავშირის ცუდად წაკითხვის შემთხვევა? მაგრამ ჭელიშურშიც რომ არ არის "და"?).

ზემოთ ვთქვით, რომ ჭელიშური რედაქცია მნიშვნელოვნად ამცირებს "მატიანეს" წმინდა ნინოს ცხოვრების შემდეგ. მთელი ორი-სამი და ხოგჯერ მეტი მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი ტექსტიდან იგი ტოვებს მხოლოდ ასეთ ფრაზებს: "მეშვიდე – მირდატ". შემცირება ეხებაა ეპისკოპოსებს (წმინდა ნინოს შემდეგ ექვს, სახელებით მოხსენიებულთაგან, მხოლოდ ხუთს ასახელებს და ტექსტისადმი ზერელე დამოკიდებულების გამო მათშიც შეცდომებს უშვებს) და, განსაკუთრებით, კათალიკოსებს.

კათალიკოსების დაწესებიდან მოყოლებული თხუთმეტი კათალიკოსის ფარგლებში ჭელიშური ასახელებს მხოლოდ ექვსს. იგი არავითარ ყურადღებას არ აქცევს კათალიკოსთა ნუმერაციას მის სიაშიც ან საერთოდ არ ასახელებს მათ ნომრებს. მაგალითად: "კათალიკოზი იყო სამეულ მეათორმეტე... და კათალიკოზი იყო მეათოხმეტე ბართლომე". ან კიდევ: "კათალიკოზი იყო მაკარი". N/Sin-48-ისა და N/Sin-50-ის შემორჩენილმა ნაწილებმა გვიჩვენეს, რომ "მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანის" პროტორედაქციაში ყველაფერი რიგზე იყო. მაგალითად, N/Sin-48-სთან შედარებით სრულიად გამოტოვებული აქვს ჭელიშურს: "ჰეტრე მესამე", "სამოცელ მეოთხე", "თავფაზაგ მეხუთე", "ჩემაგი მეექვსე", "ევლალი მერვე", ან კიდევ არ უთითებს რიგობით ნომრს, მაგალითად, "საბა მეშვიდე".

თუ ყოველივე ამას დავუმატებთ, როგორ ზერელედ მოეკიდა ჭელიშური რედაქციის ავტორი "მატიანის" ბოლოში დართულ კათალიკოსთა სიას, შეგვეძლება დავასკვნათ, რომ *მისი ავტორი არ შეიძლება იყოს საეკლესიო პირი.*

[18]მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძეგლები, I, გვ. 93.

[19] ცხორება ნინოჲსი, (მუტაფრასული), გვ. 47.

ZAZA ALEXIDZÉ

# LA NOUVELLE RÉDACTION DES ANNALES DE LA CONVERSION DE KARTHLI N/ SIN/48

RÉSUMÉ

Dans la nouvelle collection du monastère de Sainte Catherine de Sinaï furent découvertes deux nouvelles rédactions de la Conversion de Karthli- N /sin-48 et N/sin-50.

N/sin-48, comportant une grande partie des Annales de la Conversion de Karthli est le manuscrit acéphale sans fin, est écrit sur le parchemin, l'encre noire, en minuscule, les premières lignes presque de chaque pays- en onciale. Au point de vue paléographique le manuscrit peut être daté de X s.

Nous avons étudié N/Sin-48 au point de vue texstologique, en le comparant avec tout les rédactions existant de la Conversion de Karthli pour essayer d'établir la protorédaction des Annales.

რუსუდან ბვარამია

# ძველი ქართული და ქრისტიანული არაბული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან

როგორც ცნობილია, ქართველთა უძველეს საზღვარგარეთულ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს პალესტინა წარმოადგენდა. იქ ქართველები ადრეული საუკუნეებიდან მკვიდრობდნენ. V საუკუნიდან, ძირითადად პეტრე იბერის თაოსნობით, ისინი უკვე ჩაბმულნი იყვნენ მის სამონასტრო კოლონიზაციის საქმეში, რაც შემდგომში დიდხანს გაგრძელდა. წმ. თეოდოსის მონასტერში მათ საკუთარი ეკლესიაც ჰქონდათ, სადაც წირვა-ლოცვას ქართულად აღავლენდნენ და სხვ[1]. ამასთანავე ქართველები წმ. მიწაზე, საქართველოს პარალელურად, ადრიდანვე ეწეოდნენ მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობას და ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ თავიანთი მწერლობის საერთო ქრისტიანული სტანდარტების დონეზე განვითარებისათვის. მათი ეს საქმიანობა არ შეწყვეტილა საუკუნეთა მანძილზე. არ შეწყვეტილა იგი ახლო აღმოსავლეთში ისლამური ერის დადგომის შემდეგაც, მიუხედავად იქ მომხდარი ძირეული ისტორიული ძვრებისა.

არაბთა ექსპანსიას ახლო აღმოსავლეთში და ამასთან დაკავშირებით იქ ბიზანტიის ჰეგემონიის შეწყვეტას თან მოჰყვა მისი და მისი საპატრიარქოების მნიშვნელოვანი იზოლაცია ბიზანტიური სამყაროსაგან. ოფიციალურ დონეზე გარკვეული კონტაქტები მათ შორის კვლავ გრძელდებოდა, მაგრამ ჩვეულებრივი ეფექტური კომუნიკაციები გაწყვეტილი იყო. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი საბუთი ისაა, რომ VIII-IX საუკუნეების ცნობილი სირიელი და არაბი ქრონისტების – ეკტიქი ალექსანდრიელის, აგაპიუს მანბიჯელის, იაჰია ანტიოქიელის და სხვათა შრომებში ხარვეზებია და არასწორი ინფორმაციაა წარმოდგენილი ბიზანტიის საეკლესიო ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებზე, თუნდაც ისეთ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით, როგორიც ხატმებრძოლობა იყო. ნიკეის 788 წლის მეორე მსოფლიო კრებაზე, სადაც ლეგატები, ბუნებრივია, პალესტინიდანაც უნდა ყოფილიყვნენ, კენჭისყრის აქტისთვის წარმომადგენლები პალესტინიდან ბიზანტიაში ლტოლვილი ბერებისაგან შეირჩა. ბერძნული წყაროების შედარებით მწირი ისტორიული ცნობები ასევე მოწმობენ, რომ აღმოსავლური საპატრიარქოების საეკლესიო ცხოვრება, ძირითადად, ბიზანტიის ყურადღების მიღმა მიემართებოდა[2].

ბიზანტიასა და მის ყოფილ აღმოსავლურ სამფლობელოებს შორის ურთიერთობის აღდგენა მხოლოდ X საუკუნის 60-იანი წლებიდან – ბიზანტიის იმპერატორების, ნიკიფორე ფოკასა და იოანე ციმისკის მიერ სირიასა და მესოპოტამიაში არაბთა წინააღმდეგ წარმატებით წარმოებული ბრძოლების შედეგად დაიწყო და 1099 წელს ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმის აღებით დაგვირგვინდა. ეს არის ე.წ. შუალედური პერიოდი და ამ პერიოდის ქრისტიანულ აღმოსავლეთს ჟ. გარიტი „არაბიზანტიურ“ ქრისტიანულ აღმოსავლეთს უწოდებს[3].

„არაბიზანტიურ“ ქრისტიანულ აღმოსავლეთში ქრისტიანები და, საერთოდ, არამუსლიმები სრულიად ახალი სოციალურ-პოლიტიკური და რელიგიურ-იდეოლოგიური რეალობის წინაშე აღმოჩნდნენ, განსაკუთრებით აბასიანთა 750 წლის რევოლუციის შემდეგ. აბასიანთა მმართველობის პირველ საუკუნეში ძირითადად დასრულდა ისლამიზაციის და არაბიზაციის პროცესი – მოხდა ახალი ისლამური სოციალურ-პოლიტიკური ჰეგემონიის

[1] ლ.მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბილისი, 1980, გვ. 20-24.
[2] Sidney H.Griffith, Arabic Christianity in the Monasteries of Ninth-Century Palestine, Variorum, 1992. კრებულია, რომელიც შედგენილია ადრე გამოქვეყნებული სტატიებისაგან. იხ. IV – Eutychius of Alexandria on the Emperor Theophilus and Iconoclasm in Byzantium: a 10 th-Century Moment in Christian Apologetics in Arabic, pp. 154-190; VII – Stephen of Ramlah and the Christian Kerygma in Arabic in 9th Century Palestine, pp. 24-26, 28,30. R.Schick, The Christian Communites of Palestine from Byzantine to Islamic Rule, Princton, New Jersy, 1995, pp.101-105.
[3] G.Garitte, La littérature géorgienne et l'histoire culturelle du moyen âge, Scriprta disiecta, 1941-1977, 1, Louvain, 1980, p. 256.

კონსოლიდაცია. არაბული ენა მუსლიმური სახელმწიფოს საყოველთაო ურთიერთობის ენად, ე.წ. lingua franca–დ იქცა, მუსლიმი კანონმდებლების მიერ შეივსო და კოდიფიცირებულ იქნა ადრე ხალიფა ომარ I-ის მიერ (634-644) არამუსლიმი მოსახლეობის – ზიმიების მიმართ შემოღებული გარკვეული შეზღუდვები[4] და სხვ. და ასეთ ვითარებაში კვლავ ვითარდებოდა ქართველთა მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა პალესტინის სკრიპტორიუმებში და მათთან მჭიდროდ დაკავშირებულ სინის მთაზე. ამ საქმიანობამ მუსლიმთა ძლევამოსილების პერიოდში აღმავლობაც კი განიცადა და იქ წარმატებით განვითარდა ქართული სასულიერო მწერლობის სხვადასხვა დარგი. დღემდის მოღწეული ადრეული პალესტინურ-სინური ნუსხები, რომელთა რაოდენობა საკმაოდ დიდია, IX-X საუკუნეებს განეკუთვნება. სხვა მიზეზებთან ერთად (გარკვეული ტოლერანტობის მომენტი თუ სხვა) ყოველივე ეს შესაძლოა, ერთგვარი გამოძახილიც ყოფილიყო სახალიფოში არსებული ინტელექტუალური ფონისა – მეცნიერების, კულტურის და მწერლობის არაჩვეულებრივი აღმავლობისა, რასაც მუსლიმურ რენესანსსაც უწოდებენ[5].

ასე რომ, ქართული მწერლობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლავ ვითარდებოდა პალესტინურ-სინურ რეგიონში, მაგრამ შექმნილმა ისტორიულმა ვითარებამ ასახვა ჰპოვა მისი შემდგომი განვითარების ხასიათზე. შუალედური პერიოდის ქართულ მწერლობას აღმოსავლურ ტრადიციათა მატარებელ მწერლობას უწოდებენ[6]. ამის ერთ-ერთი მთავარი გამოხატულებაა ქართული მწერლობის განვითარების ახალი, დამატებით სხვა მიმართულებით წარმართვა, კერძოდ, ქრისტიანული არაბული და ქართული ლიტერატურული ურთიერთობების აღმოცენება. აღნიშნული ურთიერთობები ბუნებრივი შედეგი იყო „არაბიზანტიურ" ქრისტიანულ აღმოსავლეთში ქრისტიანული არაბული მწერლობის სარბიელზე გამოსვლისა, რაც თავისთავად კანონზომიერ და, ამასთანავე, გარდაუვალ მოვლენას წარმოადგენდა.

არაბული ენის ისლამური სახელმწიფოს lingua franca-დ გადაქცევის შემდეგ ამ ენამ, ოღონდ არა კლასიკურმა, არამედ საშუალო არაბულმა, დამკვიდრება დაიწყო ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანულ თემებში და მათ საეკლესიო ღვთისმსახურებაში. ამისკენ ეკლესიის ძალისხმევაც იყო მიმართული, რომელიც ცდილობდა მისადაგებოდა ახალი არაბულენოვანი პოლიტიკის რეალობას. არაბული ენის წინაშე უკან დაიხიეს იმპერიულმა ბერძნულმა ენამ და ადგილობრივმა ენებმა – სირიულმა და კოპტურმა[7]. ს. გრიფიტი აღნიშნავს, რომ საკუთრივ პალესტინაში არაბულმა ენამ შეცვალა ბერძნული და ადგილობრივი არამეული დიალექტი, რომელსაც პალესტინურ სირიულსაც უწოდებენ[8], და რომ, საერთოდ, IX-X საუკუნეების სირია-პალესტინაში ბერძნული ენის მცოდნეთა დეფიციტი შეიქმნა და ბერძნული თხზულებები კლასიკად იქცა[9]. ალბათ, ს.გრიფიტის ეს მოსაზრება

---

[4] R.Schick, დასახ. ნაშრომი, გვ. 160. A.S.Triton, The Caliphs and their Non-Muslim Subjects, London, 1930, p. 5.

[5] იხ. Адам Мец–ის ნაშრომი: Мусульманский ренессанс, Москва, 1966. რაც შეეხება ზიმიების მიმართ შეზღუდვების გატარების პოლიტიკას, სპეციალისტთა აზრით, იგი არ იყო სწორხაზოვანი. ერთმანეთს ცვლიდა პერიოდები მუსლიმური ფანატიზმის გამძაფრებისა და არაჩვეულებრივი რჯულშემწყნარებლობისა, რაც გარკვეულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე იყო დამოკიდებული. ასეთ შემთხვევებში პრაქტიკა გვერდს უვლიდა ფიკჰის სამართლებრივ თეორიას (A.S.Triton, დასახ. ნაშრომი, გვ. 229. И.П.Петрушевский, Ислам в Иране в VII-XV веках, Л., 1966, с. 95-97). საერთოდ მიჩნეულია, რომ მთლიანობაში ზიმიების მდგომარეობა ასატანი იყო და ხალიფები მათ მიმართ უფრო კარგ დამოკიდებულებას ავლენდნენ, ვიდრე ეს კანონით იყო გათვალისწინებული (Монтгомери Уотт, Влияние ислама на средневековую Европу, М, 1976, с. 25. A.S.Triton, დასახ. ნაშრომი გვ. 23). ვ.ბარტოლდის კვალიფიკაციით „ისლამის მმართველობის ქვეშ ქრისტიანები გაცილებით უფრო მეტი რელიგიური თავისუფლებით სარგებლობდნენ, ვიდრე ბიზანტიის იმპერატორების მმართველობის პერიოდში" (В.В.Бартольд, Мусульманский Мир – 1. Определение понятия "мусульманский мир". История мусульманского мира как часть всемирной истории, Сочинения, VI, М., 1866, с. 225) და სხვ. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ სახალიფოში საკმაოდ ბევრი ქრისტიანი და ებრაელი სპეციალისტი და სახელმწიფო მოხელე ილვწოდა. ყოველივე ეს საგანგებო მსჯელობის საგანია. ჩვენთვის კი, ვფიქრობთ, იკვეთება საკითხი მუსლიმურ სამყაროში ქართველთა ინტენსიური მწიგნობრულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესახებ, რომელიც საინტერესო და, ალბათ, გასაანალიზებელიცაა.

[6] კ.კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ. 1980, გვ. 43.

[7] კოპტურმა ენამ შედარებით ადრე – XI საუკუნეში შეწყვიტა ფუნქციონირება და მხოლოდ როგორც საკრალური ენა შემორჩა ქრისტიანულ კულტს. სირიულმა ენამ კი თითქმის XIV საუკუნემდე შეინარჩუნა სიცოცხლისუნარიანობა, იხ. G.Graf, Geschichte der christlichen arabischen Literatur, Bd I, Città del Vaticano, 1944, S. 2

[8] Sidney H.Griffith, VII – Stephen of Ramlah ... p. 29. იხ. აგრეთვე, В.В.Бартольд, Этнографический состав мусульманского мира. Значение арабского языка и арабской литературы. Сочинения, VI, Москва 1960, с. 235. ს.გრიფიტი აღნიშნავს, რომ პალესტინური სირიულის მცოდნე ქრისტიანთა განსწავლულობის დონე უფრო დაბალი იყო კოპტების და ანტიოქიის საპატრიარქოს ნომინალურად კუთვნილ ტერიტორიაზე მცხოვრები სირიელების დონესთან შედარებით, იქვე.

[9] Sidney H.Griffith, VIII – Greek into Arabic: Life and Letters in the Monasteries of Palestine in the 9th Century; the Example of the *Summa Theologiae Arabica*, pp. 130-131.

ქართველი მეცნიერების მხრიდან გარკვეულ კორექტირებას საჭიროებს იმდენად, რამდენადაც ქართველები კვლავ განაგრძობდნენ ბერძნულიდან თარგმნას. მაგრამ გლობალურად ჩანდა აშკარად გამოიკვეთა საჭიროება ყველასათვის გასაგებ არაბულ ენაზე ქრისტიანული ძეგლების გადმოღების და შექმნისა და საერთოდ ქრისტიანული არაბული მწერლობის აღმოცენებისა.

ქრისტიანული არაბული ლიტერატურა VIII საუკუნიდან იღებს სათავეს. მის შექმნაში მონაწილეობდნენ სირიელები, კოპტები, საკუთრივ არაბები. ამ მხრივ განსაკუთრებით გახაზავენ სირიელების როლს. „მათ მიზანს შეადგენდა, – წერს გ.გრაფი, – ახალი და მომავალი თაობებისათვის უძველესი ლიტერატურული მემკვიდრეობის შენარჩუნება არაბული თარგმანების მეშვეობით"[10]. თავდაპირველად აღნიშნული ლიტერატურა აღმოცენდა პალესტინის მელქიტურ ანუ მართლმადიდებლურ თემებში[11]. შემდგომში მისი გავრცელების არეალი ძალზე გაფართოვდა და მოიცვა სხვა ქრისტიანული მიმართულების თემებიც – იაკობიტური, ნესტორიანული, მარონიტული, რაც ქრისტიანული არაბული ლიტერატურის ერთ-ერთ თავისებურებად არის მიჩნეული[12].

პალესტინაში არაბულენოვან ქრისტიანთა ძირითად სამწიგნობრო კერებს წარმოადგენდნენ საბასა და ხარიტონის ლავრები და წმ. ეკატერინეს მონასტერი სინის მთაზე, რომლებმაც, როგორც ს.გრაფიტი აღნიშნავს, „პალესტინა აქციეს მთელი არაბულენოვანი სამყაროს მელქიტების ინტელექტუალური ცხოვრების ცენტრად"[13].

დასახელებული სკრიპტორიუმები, როგორც ცნობილია, იმავდროულად ქართველების ძალზე მნიშვნელოვან სამწიგნობრო კერებს წარმოადგენდნენ. აქ არაბულენოვან ქრისტიანთა გვერდით აქტიურად იღვწოდნენ ქართველი მწიგნობრები – ხელნაწერთა გადამწერნი და შემმოსველ-გადამკაზმველნი, მთარგმნელნი და ორიგინალური შემოქმედნი. საეროა მართლმადიდებლური აღსარებით დაკავშირებული ქართველი და არაბულენოვანი მწიგნობრები თანამშრომლობდნენ კიდეც საამკინძაო სახელოსნოებში ხელნაწერთა ტექნიკურად გაყორშების საქმეში. დღემდის მოღწეული ამის დამადასტურებელი საბუთებია არაბული პაგინაცია სინურ და საბაწმიდურ ქართულ ხელნაწერებზე და ქართული პაგინაცია ამავე წარმომადგენის არაბულ ნუსხებზე. ქართველთა მიერ არაბული ენითა და დამწერლობით დაინტერესების მანიშნებელია 1020 წლის სინის ქართულ ხელნაწერში ჩაწერილი არაბული ანბანი, სადაც ყოველ გრაფემას სახელწოდება ქართულად აქვს მიწერილი (სინ. 78, 30v)[14]. ბ.უტიე აღნიშნულ პაგინაციებთან დაკავშირებით წერს: „ეს იმაზე მიუთითებს, რომ ქართველები არ უგულებელყოფდნენ არაბულ ხელნაწერებს, რომლებსაც ისინი კინძავდნენ, კითხულობდნენ და თარგმნიდნენ"[15].

შექმნილ გლობალურ და ლოკალურ ვითარებას, დასახელებულ სკრიპტორიუმებში არსებულ საერთო შემოქმედებით ატმოსფეროსთან ერთად, ბუნებრივად უნდა გამოეწვია ქართველთა დაინტერესება ქრისტიანული არაბული მწერლობის ძეგლებით და სურვილი მათი თავიანთ ენაზე გადმოღებისა. ეს მოხდა კიდეცაც და ქართველებმა ამ ძეგლების თარგმნა დაიწყეს და, როგორც ჩანს, გარკვეულ პერიოდში აქტიურადაც. ამჟამად ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიერ გამოვლენილია საკმაო რაოდენობა არაბულიდან ქართულად თარგმნილი ძეგლებისა. თარგმნიდნენ როგორც ცალკეულ თხზულებებს, ისე მთელ

---

[10] G.Graf, დასახ. ნაშრომი, გვ. 77.

[11] Joshua Blau, A Grammar of Christian Arabic, Fasc. I, Louvain, 1966, p. 20, n. 7. Sidney H. Griffith, VII – Stephen of Ramlah ... p. 29.

[12] ქრისტიანული არაბული ლიტერატურის თავისებურებები ჩამოყალიბებული აქვს ხალილ სამირს, იხ. سمير خليل اليسوعي، خصائص التراث العربي المسحي القديم – The Near East School of Theology, Theological Review, V/2, 1982, pp. 156-190. ხალილ სამირს თავისი მოსაზრება აქვს აღნიშნული ლიტერატურის აღმოცენების ხანასთან დაკავშირებით. იგი, ზოგ სხვა მეცნიერთან ერთად (ა.ბაუმშტარკი, ლ.შეიხო), მიიჩნევს, რომ ქრისტიანული არაბული ლიტერატურა, ყოველ შემთხვევაში, ბიბლიური წიგნები და განსაკუთრებით სახარება, შეიქმნა წინასლამურ პერიოდში, თუმც ამის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა არ ჩანს. ამასთანავე, ხალილ სამირის აზრით, ქრისტიანულ არაბულ ლიტერატურაში ფართო გაგებით იგულისხმება არა მარტო სახულიერო მწერლობა, არამედ არაბულენოვან ქრისტიანთა მიერ შექმნილი ყოველგვარი ლიტერატურა, იხ. Kh.Samir, Christian Arabic Literature in the Abbasid Period; (Chep. 26), Religion Learning and Science in the Abbasid Period, Cambridge, 1990, p. 446.

[13] Sidney H.Griffith, VII - Stephen of Ramlah ... p. 36.

[14] რ.გვარამია, ქართული სინური ხელნაწერების არაბული მინაწერები, მრავალთავი, IX, 1981, გვ. 75-83.

[15] B.Outtier, Martius, Barsus, Tarnus ou Martyriys? Nouveux fragments arabes et géorgiens de Sahdona, Revue des Études géorgiens et caucasiennes, N1, 1985, pp. 225-226.

კრებულებს[16]. ეს თარგმანები შემდეგ ვრცელდებოდა საქართველოში და მის სხვა საზღვარგარეთულ სამწიგნობრო კერებში. მათ ვხვდებით ტაო-კლარჯულ და ათონურ ხელნაწერებში.

ქართველთა მიერ ქრისტიანული არაბული მწერლობის ძეგლების თარგმნის პერიოდი, ალბათ, VIII საუკუნით და XI საუკუნის დასაწყისით უნდა შემოიფარგლოს, განსაკუთრებით კი, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს კ.კეკელიძე, IX-X საუკუნეებით[17]. X საუკუნის შემდეგ ქრისტიანული არაბული და ქართული ლიტერატურული ურთიერთობების შეწყვეტა განპირობებული უნდა ყოფილიყო ახლო აღმოსავლეთში ბიზანტიის ძალაუფლების აღდგენით, საქართველოს სახელმწიფოებრივი და კულტურული ორიენტაციის ბიზანტიისკენ წარმართვით და, რაც მთავარია, ათონზე ქართველთა მძლავრი კულტურულ-საგანმანათლებლო კერის – ივირონის მონასტრის დაარსებით. აღნიშნულ ურთიერთობათა აღმოცენება-განვითარების ძირითად კერას, როგორც ჩანს, საბას ლავრა წარმოადგენდა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა როგორც საერთო ქრისტიანული, ისე ქართული მწერლობის განვითარების საქმეში[18] და რომლის შესახებ კ.კეკელიძე წერდა: „VIII-X საუკუნეებში აქ, შეიძლება ითქვას, დუღდა ქართველების ნამდვილი ინტენსიური ლიტერატურული შემოქმედება“[19].

საყურადღებოა ქართველთა საზღვარგარეთული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების საქმიანობის ელ. მეტრეველისეული შეფასება. „საზღვარგარეთის ქართული კულტურული ცენტრები, – წერს იგი, – გლობალურად ეუფლებოდნენ იმ რეგიონის სულიერ ცხოვრებას, სადაც ხდებოდა მათი ფორმირება. მაგრამ პრიორიტეტების განსაზღვრა ლიტერატურისა თუ მეცნიერების სფეროში ხდებოდა იმის მიხედვით, თუ რა ესაჭიროებოდა ქართულ მწერლობასა და კულტურას და რა ხარვეზების შევსება იყო საჭირო საზღვარგარეთის კერებში“[20]. ქრისტიანული არაბული ძეგლების ქართულ თარგმანებში ამ პრიორიტეტებთან დაკავშირებით გარკვეული სურათი იკვეთება.

როგორც ცნობილია, ქრისტიანულ არაბულ ლიტერატურას ორ კატეგორიად ყოფენ. ერთია საეკლესიო წიგნები, ანუ ქრისტიანთა ყოველდღიური რელიგიური ცხოვრებისთვის და ღვთისმსახურებისთვის აუცილებელი ლიტერატურა და მეორეა აპოლოგეტურ-თეოლოგიური ხასიათის ლიტერატურა, რომელიც ქრისტიანული არაბული მწერლობის დასაწყის პერიოდშივე დროის კარნახით აღმოცენდა. მუსლიმურ სამყაროში მუსლიმთა პირისპირ აღმოჩენილ ქრისტიანებს ბიზანტიისგან დამოუკიდებლად უკვე თავად უნდა განეგოთ თავიანთი ბედი. მათ მართებდათ მუსლიმთა განმაქიქებელი შემოტევებისაგან თავიანთი დოგმების დაცვა და საკუთარი რწმენისა და პოზიციების განმტკიცება, მით უფრო, რომ არსებობდა ცთუნება მუსლიმთა რელიგიაზე მოქცევისა ყველა მუსლიმის თანასწორობის მათ მიერ ქადაგებული იდეის გამო. ამასთან დაკავშირებით სახალიფოში იმართებოდა ზეპირი პაექრობები და იქმნებოდა არაბულენოვანი ორიგინალური თხზულებები, რომლებშიც ქრისტიანული ქალამის, ანუ მუსლიმურ გარემოცვაში აღმოცენებული წინააღმდეგობრივი აპოლოგეტური თეოლოგიის თვალთახედვა იყო წარმოჩენილი. ეს თხზულებები ხშირად პირდაპირ ანტიმუსლიმურ და ამასთანავე პოლემიკურ ხასიათს ატარებდნენ, რაც აგრეთვე ქრისტიანული არაბული ლიტერატურის ერთ-ერთ თავისებურებად არის მიჩნეული[21]. ანტიმუსლიმური ლიტერატურა სხვა ენებზეც შეიქმნა, მაგრამ არაბულთან შედარებით იგი უფრო მდარე ხარისხის აღმოჩნდა. არაბულენოვანი ქრისტიანი მუთაქალიმების – რელიგიური მოპაექრეების – უპირატესობას წარმოადგენდა მათ მიერ არაბული ენისა და ყურანის ცოდნა. ამ უკანასკნელს ისინი საარგუმენტაციო ბაზად იყენებდნენ და ამასთანავე ოსტატურად ოპერირებდნენ მისი იდიომებითა და ფრაზეოლოგიით, რაც მათ მსჯელობას მუსლიმთა წინაშე შთამბეჭდავს ხდიდა[22].

---

[16] არაბულიდან ქართულად თარგმნილი ძეგლების არასრული სია გამოქვეყნებული აქვს თავის ერთ-ერთ სტატიაში ხალილ სამირს, სადაც თითოეულ ძეგლთან დაკავშირებით თითქმის ამომწურავი ინფორმაციაა მოცემული, იხ. Kh. Samir, Les plus anciens homéliaires géorgiens et les versions patristiques arabes, Orientalia Christiana Periodica, t. 42, 1976, pp. 223-229.

[17] კ.კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

[18] რ.გვარამია, საბას ლავრის როლი ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობების განვითარებაში, კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული, თბ. 1997, გვ. 36-40

[19] კ.კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.

[20] Е.П.Метревели, Грузинские гимнографические термины (გამოუქვეყნებელი).

[21] Sidney H.Griffith, I – The Prophet Muhammad, his Scripture and his Message, according to the Christian Apologies in Arabic and Syriac from the First Abbasid Century, pp.99-131, 145, 146.

[22] იქვე, გვ. 145, 146.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაბულიდან ქართულად თარგმნილი ამჟამად გამოვლენილი ძეგლები ძირითადად საეკლესიო წიგნების კატეგორიას განეკუთვნება. როგორც ჩანს, იმ ადრეულ პერიოდში პალესტინურ-სინურ რეგიონში მოღვაწე ქართველ მწიგნობრებს თავისი მწერლობისათვის ამ სახის ლიტერატურა მიაჩნდათ პრიორიტეტულად. იქნებ ისიც დასაშვები იყოს, რომ შორეული ქრისტიანული ქვეყნიდან მუსლიმურ სამყაროში გადმოხვეწილი და თავიანთი კონკრეტული მიზნებით დაინტერესებული ქართველები რამდენადმე თავსაც არიდებდნენ ამ სამყაროს სპეციფიკურ ლოკალურ პრობლემებს. ქართველთა ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნება, როგორც ცნობილია, XI საუკუნიდან განვითარდა ინტენსიურად და ეს დაკავშირებული იყო ჩვენი ცნობილი მოღვაწეების – ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების, ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწის და სხვათა სახელებთან[23].

ს.გრიფიტი ქართველთა მთარგმნელობით საქმიანობას ქრისტიანულ არაბულიდან და იმ ფაქტს, რომ იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში და წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცული ქართული ხელნაწერები არაბულიდან ქართულად თარგმნილ ძეგლებს შეიცავენ, იმის დამადასტურებელ საბუთად მიიჩნევს, რომ აბასიანთა მმართველობის პირველ საუკუნეში არაბული ენა დამკვიდრებული იყო წმ. მიწის მონასტრებში და ჩართული იყო იქაურ ლიტერატურულ ცხოვრებაში[24]. აღნიშნულ ფაქტს საბუთიანობის ძალას, ვფიქრობთ, ჰმატებს თვით თარგმანების შესრულების დონის გათვალისწინებაც, რომელიც, ძირითადად, საკმაოდ მაღალია და ქართველთა მიერ არაბული ენის თავისუფლად ფლობის მანიშნებელია. თარგმანებში, რასაკვირველია, გაპარულია ხოლმე სხვადასხვა სახით არაბიზმები, მათ შორის ისეთებიც, რომელთა ქართულ ტექსტში მოხვედრა დამოუკიდებლად, არაბული ტექსტის უშუალო გავლენის გარეშე ვერ აიხსნება, რაც თავისთავად მათი არაბული წარმომავლობის საბუთი ხდება. ზოგჯერ გვხვდება აზრობრივი უზუსტობები, სათარგმნი სიტყვის პოლისემიურობით გამოწვეული, უხერხული გამოთქმები, კალკირებით განპირობებული და სხვ., მაგრამ მთლიანობაში ქართული თარგმანები ენობრივად მაინც კარგად არის გამართული და ამასთანავე სათარგმნი არაბული ტექსტის სწორი გააზრებითა და საკმაოდ ზუსტი გადმოცემით ხასიათდება, რაც განსაკუთრებით მისი თითქმის სიტყვა-სიტყვით გადმოღებისას იგრძნობა. ზოგჯერ განცვიფრებას იწვევს სპეციფიკური არაბული კონსტრუქციების სიღრმისეული წვდომა და მათთვის ქართული შესატყვისობების ოსტატური მისადაგება. ზოგჯერ რამდენადმე გაუმართავი არაბული ფრაზა ქართულში უფრო გამართულიცაა. აღნიშნულ შემთხვევაში, რასაკვირველია, ნამდვილ პროფესიონალიზმთანაც გვაქვს საქმე. საილუსტრაციოდ მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს ჩვენს მიერ შესწავლილი და, ამდენად, ჩვენთვის უფრო ხელმისაწვდომი შესაბამისი არაბულ-ქართული ვერსიებიდან.

| | |
|---|---|
| ... مثل انسان يريد يكتب كتاب جديد<br>على كتاب عتيق فى لوح فيه قير | ...მსგავსად კაცისა, რომელსა<br>ჰნებავნ დაწერაჲ წიგნისა ახლისაჲ<br>წერილსა ზედა ძუელსა ცულ-ფიცარსა. |
| واذ كان ياكل لا يكون طعامه و اكله بكلب | და ოდეს ჰჭამდე, ნუ ძაღლებრ. |

[23] როგორც კ.კეკელიძე აღნიშნავს, მაჰმადიანობასთან დაკავშირებული ლიტერატურა, აბო თბილელის მარტვილობის გამოკლებით, ჩვენი მწერლობის პირველ პერიოდში არ შექმნილა. იხ. კ.კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ.477.

X საუკუნის კლარჯულ მრავალთავში დაცული ერთ-ერთი საკითხავის ავტორად იხსენიება თეოდორე აბუკურა – ქრისტიანული არაბული მწერლობის ძალზე თვალსაჩინო წარმომადგენელი და მისი საფუძვლის ერთ-ერთი ჩამყრელთაგანი: „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა თეოდორე ჰარანელ ეპისკოპოსისაჲ – მთისათჳს თაბორისა და ფერისცვალებისათჳს უფლისა და ორთა ბუნებათათჳს“. მაგრამ მისი წარმომავლობა გაურკვეველია. ამასთანავე, როგორც გაირკვა, იგი თეოდორე აბუკურას ორიგინალური შრომა კი არ არის, არამედ სინ. 97-ში დაცული ეფრემ ასურის ანალოგიური შინაარსის საკითხავის გარკვეული ნაწილის გადამუშავებაა, რომელიც თეოდორე აბუკურას სახელით დამოუკიდებელ თხზულებად იქნა შეტანილი კლარჯულ მრავალთავში. იხ. კლარჯული მრავალთავი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თამილა მგალობლიშვილმა, თბ. 1991, გვ. 406-408. ბერძნულიდან თარგმნილი აბუკურას ანტიმუსლიმური პოლემიკური ტრაქტატები XI ს-ში არსენ იყალთოელმა შეიტანა თავის „დოგმატიკონში“. ამ რიგის ნათარგმნი და ორიგინალური თხზულებები XII და უფრო გვიანდელი საუკუნეებით თარიღდება, იხ. კ.კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 477-481; R.Gvaramia, Bibliographie du dialogue islamo-chretien, Auteurs chretiens de langue géorgienne, Islamochristiana, 6, 1980, Roma, pp. 237-295.

[24] Sidney H.Griffith, III–The Monks of Palestine and the Growth of Christian Literature in Arabic, pp.15,16.

*ბასილი კაბადოკიელის მეორე ეპისტოლე, მიწერილი გრიგოლ ნაზიანზელისადმი[25]*

طوبا كم انكم غدا تعمدوا معمودية ثانية

وتصيروا نقيا كمثل من خرج بطن ام

اتحبوا ان تحلقوا رؤوسكم وترهبنوا ام

تقيموا زمانا على حالكم

ნეტარ ხართ თქუენ, რამეთუ ხვალე მოინათლნეთ მეორითა ნათლისღებითა და იქმნნეთ წმიდა, ვითარცა ყრმანი ახალშობილნი.
გინებსა, რაჲთა ადიპარსოთ თმაჲ თქუენი და მონაზონ იქმნნეთ, ანუ იყვნეთ ეგრე ჟამ რავდენმე.

*სვიმეონ სალოსის ცხოვრება[26].*

... خارج حايطها مما يلى الشرق

... გარეშე ზღუდისა ქალაქისასა აღმოსავალით კერძო.

*პანტელეიმონის წამება[27].*

لم يكونو يهموا بشى مما يتنيحهم فى هذه الدنيا

وكثير اوصا تلميذه وحدثه مما ينفع النفس

به مما يرجا من الخير فى الاخرة

არარას ზრუნვდეს განასუენებელსა ამის სოფლისასა. და ფრიად ამცნებდა მოწაფეთა თჳსსა და ეტყოდა სარგებელისათჳს სულისა და მოლოდებისათჳს კეთილისა მერმისა საუკუნოჲსა.

رجع القديس كما كان

მოიქცა წმიდაჲ იგი პირველისაებრვე სახისა.

– قليل الرحمة – كانه لم تكن لهم اجساد ვითარცა უპორცონი, უწყალოჲ,

აშთახ - გული მითქუმიდა და სხვა.

*სინა-რაითის მამათა მოსრვა[28] და სხვ.*

სამწუხაროდ, ანონიმებად დარჩნენ არაბულიდან ქართულად მთარგმნელნი, რაც ჩვეულებრივი ხვედრი იყო უწუმრად და რუდუნებით მშრომელი მრავალი ქართველი მოღვაწისა. მხოლოდ ორი მათგანის სახელი შემოგვინახა ერთმა გვიანდელმა წყარომ. ესენი არიან სტეფანე სანანოძე და დავით ტბელი. მათზე მითითება „ძუელ წიგნზე“ დაყრდნობით პირველად გააკეთა XVII საუკუნის მწიგნობარმა და მოღვაწემ – ხაქარია გაბაშვილმა. იგი წერს: „ძუელსა წიგნსა შინა მიხილავს მე, ხაქარია მოძღუარსა, და მისგნით გადმომიწერიეს: მრავლით ჯამითგან უწინარეს ეფხთიმი და გიორგი, წმიდათა მამათა მთარგმნელთა, დავით და სტეფანე, ქართველთა გვარისანი, იერუსალიმს მოიწინეს და მუნ შეემეცნეს ელინთა ენამზეობასა; და პირველად მათ გადმოთარგმნეს რაოდენნიმე საეკლესიონი წიგნნი ბერძნულისაგან ქართულად და არაბთა ენისაგანცა საღმრთონი წიგნნი გადმოიღეს მრავლითა შრომითა“. როგორც გაირკვა, „ძუელი წიგნი“, რომელიც ხაქარია გაბაშვილს

[25] რგგარამია, ბასილი კაბადოკიელის მეორე ეპისტოლის არაბული ვერსია და მისი მიმართება ადრეული ქართულ რედაქციასთან, მრავალთავი, X, 1983, გვ. 148.

[26] რ. გგარამია, „სვიმეონ სალოსის ცხორების“ არაბულ-ქართული ვერსიები, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №1-4, 1998, გვ. 159, 161.

[27] რგგარამია, „პანტელეიმონის წამების“ ქართული ვერსიები და მათი წყაროები, მრავალთავი, VII, 1980, გვ. 45.

ამ ცნობისათვის გამოუყენებია, ყოფილა XVI საუკუნის მწიგნობრის – ბაგრატ ბატონიშვილის პოლემიკური ნაშრომი: „მოთხრობაჲ სჯულთა უღმრთოთა ისმაიტელთაჲ“[29].

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეფანე სანანოჲსძესა და დავით ტბელს მნიშვნელოვანი დამსახურება ჰქონიათ ქართული კულტურისა და მწერლობის წინაშე და დიდად ყოფილან დაფასებულნი თანამედროვეთა მიერ. ამას მოწმობს მათი სახელების მოხსენიება რუის-ურბნისის ძეგლისწერის „სინოდიკონში“, სადაც მხოლოდ ამ ნიშნით ხდებოდა პიროვნებების შეტანა[30].

სტეფანე სანანოჲსძე, ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსი, იყო მთარგმნელი და ჰიმნოგრაფი. მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა კრებულში დაცული ცნობის თანახმად, მას შეუქმნია აბოს საგალობელი[31]. მისი ცხოვრების ხანას XI ს-ით[32], უფრო კონკრეტულად, X ს-ის უკანასკნელი მეოთხედით[33] ათარიღებენ. დავით ტბელი, მ.მაჭავარიანის სიტყვები რომ გავიმეოროთ, იმდენად ცნობილი მთარგმნელი ყოფილა, რომ მისთვის დაუკისრებიათ ეფთვიმე ათონელის მიერ დაწყებული დიდი საქმის, გრიგოლ ღვთისმეტყველის ქართული კორპუსის, შევსება. მ.მაჭავარიანი, დავით ტბელის თარგმანების შემცველი კრებულების შესწავლის საფუძველზე, მისი მოღვაწეობის ხანას XI ს-ის 20-იანი წლებით ათარიღებს, მაგრამ, როგორც თვითონ აღნიშნავს, ძნელი აღმოჩნდა მისი მოღვაწეობის არეალის განსაზღვრა. სათანადო წყაროები არ ადასტურებენ მის ყოფნას არც ათონზე და არც საბერძნეთის რომელიმე ცენტრში. არსებობს მხოლოდ გარკვეული მინიშნება შავ მთასთან მისი კავშირის შესახებ[34]. აღნიშნულის გათვალისწინებით, თითქოს, უფრო საგულისხმო ხდება ზაქარია გაბაშვილის ცნობა დავით ტბელისა და სტეფანე სანანოჲსძის შესახებ, კერძოდ ის, რომ „ისინი იერუსალიმს მოიწინეს ... და არაბთა ენისაგანცა საღმრთოჲნი წიგნნი გადმოიღეს მრავლითა შრომითა“.

დასასრულ, არაბულიდან ქართულად თარგმნილი ძეგლების მნიშვნელობის ზემოთ მოყვანილ გრიფიტისეულ შეფასებას იმასაც დავუმატებდით, რომ ეს ძეგლები დადასტურებაა ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანული არაბული ლიტერატურის პრესტიჟულობისა მისი აღმოცენების დროიდანვე. ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ არაბული ვერსიები ქართულისათვის ჩვეულებრივ შუალედური თარგმანის როლს ასრულებდნენ. ქართველები მთელ რიგ ბერძნულ და სირიულ ძეგლებს თარგმნიდნენ არა ორიგინალებიდან, არამედ მათი არაბული თარგმანებიდან, ე.ი. არჩევანს არაბულზე აკეთებდნენ.

ამასთანავე, როგორც ირკვევა, არაბულიდან მომდინარე ქართულ ვერსიებს მნიშვნელობა აქვთ ქრისტიანული არაბული ლიტერატურის ცალკეული კონკრეტული საკითხების კვლევისთვისაც. ზოგჯერ მათი მეშვეობით ცნობილი ხდება დღეისათვის დაკარგული ზოგიერთი არაბული ვერსიის ადრე არსებობის ფაქტი, მაგალითად, „რომანოზ ახალი მოწამის მარტვილობისა[35]“ და „ოცი საბაწმინდელი ბერის წამებისა“[36]. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ ორივე თხზულება არაბულ ორიგინალურ ნაწარმოებად არის მიჩნეული. ზოგჯერ ადრეული ქართული ვერსიები გარკვეულ მნიშვნელობას იძენენ შესაბამისი არაბული ტექსტის შესწავლისათვის, მაგალითად, „სინა-რაითის მამათა მოსრვის“ ქართული ვერსია[37]. ქართული მასალის ჩვენებები საინტერესოა ხოლმე ცალკეული დეტალების დაზუსტებისათვის, მაგალითად, სტეფანე საბაწმინდელის ვინაობის დაკონკრეტებისათვის[38] და სხვ.[39]. ასეთი შემთხვევების რიცხვი მომავალში შესაძლოა კიდევ გაიზარდოს.

---

28 „სინა-რაითის მამათა მოსრვის“ არაბულ-ქართული ვერსიები, IX-X, XIII და XVIII სს. ხელნაწერების მიხედვით; ტექსტები გამოსცა და გამოკვლევა დაურთო რუსუდან გვარამიამ, თბილისი, 1973, გვ. 056, 057.

29 Н.Я.Марр, Из книги Баграта о грузинских переводах духовных сочинений, Известия АН, т. 10, №2, 1899, СПБ., с. 234-236. კ.კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 178, 179.

30 კ.კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 183. ელ.მეტრეველი, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბილისი, 1996, გვ. 242.

31 ც.ჯღამაია, X საუკუნის ქართველი ჰიმნოგრაფები – სტეფანე სანანოჲსძე ჭყონდიდელი; მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, №3, გვ. 54-56.

32 ელ.მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 242.

33 კ.კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 130

34 მ.მაჭავარიანი, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა დავით ტბელისეული თარგმანები, ავტორეფერატი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1999, გვ. 24, 25.

35 P.Peeters, S.Romain le néomartyr (+ mai 780) d' après un document géorgien, Analecta Bollandiana, XXX, 1911, pp. 403-405.

36 Robert P.Blake, Deux lacunes comblées dans la Passio XX monachorum sabaitarum, Analecta Bollandiana, LXVIII, 1950, p. 28.

37 ამონიოსის „სინა-რაითის წმიდა მამათა მოსრვის“ არაბულ-ქართული ვერსიები ..., გვ. 058.

38 ლ.ხევსურიანი, სტეფანე საბაწმიდელის უცნობი საგალობლები ქართულ მარხვანებში (გამოუქვეყნებელი).

39 ქართული ვერსიების აღნიშნული მნიშვნელობის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. რ.გვარამია, ზოგი რამ ქრისტიანული არაბულიდან ქართულად თარგმნილი ძეგლების შესახებ, რელიგია, №4, 5, 6, 2000, გვ. 55-60.

R. GVARAMIA

# FROM THE HISTORY OF OLD GEORGIAN AND CHRISTIAN ARABIC LITERARY RELATIONS

SUMMARY

Since early centuries the Holy Land of Palestine drew great interest of Georgians. Georgians who were settled or led temporar life on the Holy Land from time to time used to participate in the local church life and were active in construction of the monasteries. Besides, Georgians were engaged in literary activities developing their own literature in Palestine as well as in Georgia. The process was continued even after Islam era onset in the Near East and especially in Palestine. But absolutely new social, political, ideological and cultural reality and the appearance of Christian Arabic literature in Melkite communities in the first centuries of of the Abasids' reign gave a new direction to the development of Georgian literature in that region.

In the famous scriptoriums of Palestine Gorgian and Arablingual scholars were working side by side. They were working together even at the binderies of the famous monasteries of Mar Sabas, Mar Chariton and at the closely connected St. Catherine's in M. Sinai. The fact can be witnessed by Georgian pagination of Arabic Palestinian and Sinai manuscripts and Arabic pagination of Georgian manuscripts of the same origin. The document of Georgians' interest in the Arabic language and script is an enclosed alphabet of a Georgian manuscript of Sinai where each grapheme has its corresponding Georgian name.

Under the above mentioned global and local circumstances the interest of Georgians in Christian Arabic literary monuments and the appearance of Christian Arabic and Georgian literary relationships were natural.

The event took place at the above mentioned monasteries, especially in Mar Sabas in the 8 th c. and at the beginning of the 9 th c., mainly in the 9 th – 10 th cc.

At present there are a substantial amount of literary monuments of ecclesiastic character translated from Arabic into Georgian which are revealed by Georgian and foreign scientists. The authors of the translations are unknown. Only two names are preserved in one late manuscript. These are Stephen Sananoisdze and David of Tbeti the most prominent representatives of old Georgian literature. As the scholars have defined they lived at the and of the 10 th and at the beginning of the 11 th c.

The fact of translating Arabic literary monuments into Georgian is considered to be a witness of the Arabic language establishing in Palestine scriptoriums in the first century of the Abasids' reign. In our opinion the high standard of Georgian translations strengthens the above mentioned fact. In most cases it is obvious that Georgians had a command of the Arabic language. The menitioned fact proves that on the first stage of its development Christian Arabic literature was already prestigious in Palestine – Sinai region. Several Georgian translated monuments played the role of intermediate translations as they were done not from the Greek or Syrian originals but from their Arabic versions.

It is worth noticing that Georgian monuments translated from Arabic are of importance for studying exact aspects of the subject. In some cases Georgian translations enable us to prove the existance of the lost Arabic versions, for example: "The Life of Romanos the Neomartyr" and "Accounts of the Twenty Monks Killed at Mar Sabas Monastery". Both of them are regarded as original Arabic accounts. Sometimes Georgian translations are important for studying the corresponding Arabic versions, for example: Georgian version of "Accounts of Some Martyrs Killed at Mt. Sinai and Raitho". Some detailes of the texts are of special interest as they help us to define more precisely the personality of the author, namely, Stephen of Mar Sabas and some others. We hope the proper study may increase the number of similar cases.

ნარგიზა გოგუაძე

# პავლე მოციქულის პორტრეტი „თეკლას წამების“ მიხედვით

პორტრეტის დახატვა, პერსონაჟის გარეგნობის აღწერა ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში იშვიათი მოვლენაა, ჰაგიოგრაფისთვის მთავარია, გვაჩვენოს ადამიანის სულიერი მხარე (სულის სიმაღლე, სიძლიერე, სათნოება, ან პირუკუ: სიმდაბლე, სისასტიკე, შეუბრალებლობა); პერსონაჟის გარეგნობა, ხორციელი მხარე ქრისტიანი მწერლისა თუ მკითხველისათვის ინტერესს არ წარმოადგენს, შეიძლება ითქვას, იგი იგნორირებულია; თუმცა გვხვდება გამონაკლისი შემთხვევებიც. ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისია ჰაგიოგრაფიული თხზულება „თეკლას წამება“. პირველმოწამე ქალი თეკლა ცხოვრობდა ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეში, დაქმოწაფა პავლე მოციქულს და მიუხედავად თავსდატეხილი ტანჯვა-წამებისა, ბოლომდე დარჩა ქრისტეს მოძღვრების ერთგული. „თეკლას წამება“ ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ერთ-ერთი უძველესი ძეგლია. შეათე საუკუნეში ადრინდელი – კიმენური ტექსტის გადამუშავება-გარდაქმნა (გადამეტაფრასება) მოხდა[1].

თხზულების ორივე რედაქციის ტექსტში თხრობის დასაწყისშივე წარმოდგენილია პავლე მოციქულის პორტრეტი (გარეგნობა) დაწვრილებით, დეტალურად; მისი ანალოგის დაძებნა აღვილი საქმე როდია.

„თეკლას წამება“ იწყება პავლე მოციქულის ქალაქ იკონიაში (რომელიც თეკლას მშობლიური ქალაქია) მისვლის ამბით. ამ ქალაქის მკვიდრი, ღვთისმოსავი ონისიფორე თავისი ოჯახით გამოეიდა პავლეს შესახვედრად. თუმცა ონისიფორე პირადად არ იცნობს სტუმარს, მაგრამ ინფორმირებულია ტიტეს მიერ:

„მიეთხრა ტიტეს მისთჳს და მოესწავა სასწაული ხილვისა მის პავლწსისაჲ, რამეთუ არა იცოდა მან პავლე ჴორციელად, გარნა სულიერად ხოლო“ (A).

„ტიტეს მიერ ესწავა, თუ ვითარი არს სახე პავლესი“ B.

„ესწავა ტიტესგან რაბაობაჲ პავლეს სახისაჲ“ C.

ამას მოსდევს დეტალური აღწერა, როგორი იყო „პავლე ჴორციელად“:

A: „იყო იგი
ასოჲთა მდაბალ [ტანდაბალი],
თმითა დულარჭნილ [ხუჭუჭი (გრეხილი) თმა],
ყურითა განცქეულ (ვარიანტში: ცხურ განცქერილი),
კირ დრეკილ [წვივგაღუნული],
გრემან თუალითა,
წარბითა შეკიცულ [წარბებგადაბმული],
ცხურ გრძელ
და სავსე მადლითა ღმრთისაჲთა“.

B: „კაცი, ვითარ-იგი სიტყუამან გამოუსახა მას:
მცრე ჰასაკითა [ტანდაბალი],
მტიერი თავითა [მელოტი],

[1] ქართულ ენაზე ითარგმნა როგორც კიმენური, ისე მეტაფრასული ტექსტი. „თეკლას წამების“ კიმენური ტექსტი გამოსცა ილ. აბულაძემ. იხ. ილ. აბულაძე, შრომები, I, 1975, 45-79; გამოცემული მეტაფრასული რედაქციის ტექსტით, იხ. ძველი მეტაფრასული კრებულები, I, 1986, 404-417.ამავე რედაქციის მეორე თარგმანი დაცულია ხელნაწერში Ath. 20. კიმენური ტექსტის მისათითებლად ავიღეთ ლიტერი A, მეტაფრასულისა (რომელიც გამოცემულია) - B, ხოლო Ath 20-ში დაცულისა - C.

კირ დრეკილ [წვივგაღუნული],
ცხურ გრძელი,
წარბ კიცულ [გადაბმულ წარბები],
მკურცხლ
... აღსავსე მადლითა სულისაჲთა“

C: „კაცი, რომელი ვითარ გამოსახოს სიტყუამან:
მცირე ჰასაკითა [ტანდაბალი],
წულილი თავითა [წვრილი (პატარა) თავი],
მწითურ თმითა,
მოგრძე წუერითა,
მოდრეკილ ცხერითა [ცხვირ მოღუნული],
შეკიცულ წარბითა [გადაბმული წარბები],
და მდგმო გუამითა [აღნაგობით მკვრივი],
... აღსავსე სულისა მიერ წმიდისა და საღმრთოჲსა“.

როგორც ვხედავთ, პავლე მოციქულის პორტრეტი: დაბალი ტანის, ცხვირმოღუნული, წვივგაგრძელილი, მკლოტი, „ყურითა განცქუსული“ (რასაც ვარიანტში ენაცვლება „ცხურ განცქერილი“) მკითხველს მისდამი დიდი სიმპათიით ვერ განაწყობს. თუმცა წარმოდგენილი მასალის მიხედვით ეს პორტრეტი ერთმანეთის აბსოლუტურად იდენტური არაა (შდრ.: „მტიერი თავითა“ B - „თმითა ღულარჭნილ“ A, „მწიოურ თმითა“ C), მაგრამ სამივეგან გარეგნობით შეუხედავი კაცის სურათია დახატული. იმ ეშვიათ შემთხვევებში, როცა ჰაგიოგრაფიული თხზულების პერსონაჟის პორტრეტის დატალიზაცია გვხვდება, ასეთი აღწერა ძირითადად პერსონაჟისადმი კიდევ მეტი სიმპათიით განაწყობს მკითხველს. ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიული მწერლობიდან დავასახელებთ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ და „დავით და კოსტანტინეს წამებას“:

გრიგოლი იყო: „ხილვითა დიდ, ჴორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოლად კეთილ სრულიად, გუამითა მრთელ და სულითა უბიწო“[2].

„იყო დავით უხუცეს დღითა, ჰაეროან და სპეტაკ ჴორცითა, მოწაბლე თმითა, შუენიერ გუამითა და ჭ̃შირ წუერითა; ხოლო კოსტანტი – შუენიერ გუამითა და მოწაბლე თმითა და წუერგამო, და ორნივე სავსე სულითა წმიდითა“[3].

პავლე მოციქულის პორტრეტის ზოგიერთი შტრიხი სხვაგანაც გვხვდება, მაგრამ იქ იგი ორგანულად ერწყმის სიუჟეტს და არანაირ უარყოფით ემოციას არ ქმნის მკითხველში. ვგულისხმობთ „იოვანე ოქროპორის ცხოვრებას“. ნაწარმოებში ხაზგასმულია იოვანე ოქროპირის განსაკუთრებული დამოკიდებულება პავლე მოციქულისადმი: „ესრეთ დიდი და გამოუთქუმელ იყო პავლეს მიმართ საყუარული მისი, ვიდრემდის შესაგვანებელ არს თქუმად, ვითარმედ რაჲ-იგი იყო ქრისტჱ პავლესთჳს, იგივე იყო პავლე იოვანესთჳს“. იოვანე ოქროპირმა ხელი მოჰკიდა პავლეს ეპისტოლეთა თარგმანებას: „გულსა მოუჴდა, რაჲთა თარგმნოს დაფარულებაჲ ძალისაჲ და სიღრმისა მათისაჲ და განაცხადოს ჯერეთ მაშინ დამალული მრავალთაგან სიკეთე და შუენიერებაჲ მათი“[4]. რომ მისი შრომა სწორი გზით მიდიოდა, ამაში დარწმუნება სჭირდებოდა იოვანეს და „საღმრთო იქმნა გამოცხადებაჲ იგი, განქარვებაჲ იჭუსა მის ... უწუენა მას თანამგომებაჲ პავლესი, თანაშემწეჲ თარგმანებისა“. ჩვენების ამ ეპიზოდში ვხედავთ ჩვენ პავლე მოციქულის პორტრეტს:

„კაცი ვინმე **მტიერი, მჭნებელი ხატსა ელისე წინაჲსწარმეტყუელისასა, ერცელი წუერითა** ... ნელიად ზარახავ ყურსა მისსა“[5].

იოვანეს შეკითხვაზე: „ვინმცა იყო დამე თანამზრახვალი ჩემდა?“ მისი მოწაფე პროკლე პასუხობს: „ამას ჰგვანდაო, – უწუენა ხატი პავლესი, გამოსახული პირისპირ იოვანესსა, და პრქუა: ესევითარი იყო, რომელი გზრახვიდა შენ, რომლისაჲ-იგი შენ წუეულებაჲ გაქუს ზედაჲსზედა მიხედვად. რომელი-ესე ვიხილე მე შენ მჯდომარისა და

[2] ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, I, 1963, გვ. 250.
[3] ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, III, 1971, გვ. 251.
[4] ძველი მეტაფრასული კრებულები, I, 1986, 251.
[5] იქვე, 252.

წერასა შემშჭუალულისა ყურსა მოყოფილად და მყუდროებით მზრახვალად და ვითარ-ცა შა-
ჭგონებ, ჭეშმარიტად იგი ესე იყო“[6].

ამ თხრობაში მკითხველის კეთილგანწყობას პავლე მოციქულისადმი ხელს არ შეშლის, რომ პავლე მოციქული არს მელოტი („მტიერი თავითა“), „ერცელი წუერითა“ (და მსგავსი ელინე წინასწარმეტყველისა).

„თეკლას წამებაში“ დახატული პავლე მოციქულის პორტრეტი უმეტესად უარყოფითი ეპითეტებითაა წარმოდგენილი. კითხვა, ისმის: რა საჭირო იყო დადებითი პერსონაჟის, დიდი მოციქულის, პავლეს სურათის ასე წარმოდგენა? ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ ტექსტის თავდაპირველ ვერსიაში მოცემული პორტრეტი დატოვებულია გადაკეთებულ ტექსტშიც, ე.ი. გადამმუშავრასებელს არ დაუნახავს იმის საჭიროება, რომ თავი აერიდებინა პავლე მოციქულის ასეთი არამომგებიანი დეტალური აღწერისათვის მაშინ, როდესაც ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში ჩვეულებრივია ზოგადი მითითებები პერსონაჟის გარეგნობის შესახებ და არავითარი აუცილებლობა არ დგას ავტორისა და მკითხველის წინაშე, რომ დეტალურად იყოს აღწერილი პორტრეტი. მაგალითს დავასახელებთ თვით „თეკლას წამებიდან“: თეკლას სხეულის სიმშვენიერემ მსაჯული (რომელმაც მას ცეცხლში დაწვა მიუსაჯა) აიკრძალა: „ვითარ-იგი შიშულივ შეყვანებულ იქმნა, მყის განაცუბრა მთავარი ხილვითა **სიკეთისა და შუენიერებისა თჳსისათა** და მძუნვარე სიწყალული შთაუგდო მას, რომელ წარწყმედაჲ ეგულებოდა ესვეითარისა ქალწულისაჲ, ვიდრემდის განცხადებულად ცრემლთა გარდამოადინებდა“.

ნიმუშად დავასახელებთ კიდევ ერთ თხზულებას: „კორნილიოს ასისთავის ცხოვრებას“: კორნილიოსის სახელზე აგებულ ტაძარში მხატვარმა (რომელსაც არ უნახავს კორნილიოსი) უნდა „დაწეროს ხატი წმიდისა კორნილიოსისი ... მოსწრაფედ და შუენიერად გამოსახოს“. შეწუხებულ მხატვარს თვით წმინდანი გამოეცხადა და „უსწავლელობაცაჲ იგი ხატისა თჳსისაჲ ასწავა“.

პავლე მოციქულის პორტრეტის ისეთი აღწერა, რაც „თეკლას წამებაში“ არის მოცემული, სრულიად უჩვეულოა ჰაგიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებისათვის, იგი ვერ თავსდება ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში დამკვიდრებული ესთეტიკურ-მხატვრული კანონზომიერების ფარგლებში.

**Н. ГОГУАДЗЕ**

## ПОРТРЕТ АПОСТОЛА ПАВЛА ДАННЫЙ В СОЧИНЕНИИ «МУЧЕНИЧЕСТВА ФЕКЛЫ»

РЕЗЮМЕ

В сочинении в отрицательных чертах дается описание внешности апостола Павла. Считаем, что описание образа святых чуждо для агиографического жанра, ибо оно не совместимо с его эстетическо-художественными принципами.

[6] იქვე. 254.

ლიანა ახობაძე

# "იოანე ალექსანდრიელის ცხოვრების" ქართული რედაქციები

"იოანე ალექსანდრიელის ცხოვრება" მიეკუთვნება იმ თხზულებათა რიგს, რომლებიც მოგვიანებით შეიტანეს ეფრემ მცირის სახელთან დაკავშირებულ ქართულ მეტაფრასულ კრებულებში.

ასეთ კრებულებს მიაკუთვნებენ, პირველ რიგში, S 384, A 90 ნუსხებს, რომლებიც უნდა მომდინარეობდნენ ეფრემის მიერ შედგენილი კრებულიდან.[1] S 384 კრებულში (XI ს.), რომელიც ნოემბრის თვის მეტაფრასულ საკითხავებს ყველაზე სრულად წარმოადგენს, 12 ნოემბერი თავისუფალია. ეს იმას ნიშნავს, რომ კრებულის შემდგენელ-რედაქტორს არ აქვს "იოანე ალექსანდრიელის ცხოვრების" ქართული თარგმანი, რომელიც 12 ნოემბერს უნდა იკითხებოდეს[2].

უცნობი მთარგმნელის მიერ შესრულებული "ცხოვრების" მეტაფრასული რედაქციის ქართული თარგმანი, რომელიც შედარებით გვიანდელ A 128 კრებულშია (XII-XIII სს.) წარმოდგენილი, განსხვავდება თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანისა (Ath. 36, XI ს.) და, აგრეთვე, ბერძნული თხზულებისაგან (PG 114, c. 896-965), რომელსაც ზუსტად მისდევს ათონური ტექსტი. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ აზრს, რომ ქართულში მეტაფრასულ თხზულებათა განსხვავებული რედაქციები გვაქვს.

შინაარსის მიხედვით, თხზულება სამი მთავარი ნაწილისაგან შედგება: I – შესავალი, II – ძირითადი ნაწილი, რომელიც იოანე მოწყალის, ალექსანდრიელი ეპისკოპოსის ცხოვრებასა და მის მადალზეობრივ ქმედებებზე მოგვითხრობს, და III – ბოლო, დამამთავრებელი ნაწილი, გადმოგვცემს იმ ხილვებსა და სასწაულებს, რომლებსაც წმ. მამის გარდაცვალების შემდეგ ჰქონდა ადგილი.

A 128 ნუსხაში წარმოდგენილი თხზულების შესავალი (§I) ვრცელია და ათონურისაგან შინაარსობრივად სრულიად განსხვავებული.

"ღმერთმყოფელისა სიყუარულისა ბუნებასა განასაზღვრებდენ რაჲ ღმრთისმეტყველნი, თჳთ მის პირველისა არსთმთავრობითისა პატივ-სცემნ წოდებითა, რამეთუ ქუედამსხმელნი აგებულთა ქმნულებისანი აუგებელისა მჭოფობისასა განუკუთნენ წოდებასა არღარად სხუად მისსა შემდგომად, არამედ უმწუერვალესად თხემად ყოველთა ცხად არს, ვითარმედ ღმრთად სახელისმდებელნი მისნი. ხოლო ძმათმოყუარესა მოწყალებასა მჭის შემდგომად მისსა და უსაშოალოდ მახლობელად დააწესებენ და ვითარ ჰგავს, მასვე თჳსებასა განუჩინებენ ამათ, რომელი აჭუს ურთიერთას ცხოველსა და კაცსა, ვითარ-იგი კაცისა ცხოველისა ყოფაჲ უეჭუელ არს, ეგრეთვე ამისიცა სიყუარული და ღმერთყოფაჲ უცილობელ არს. ხოლო რომლისაცა სიტყჳერისა ბუნებისა შორის მოქმედებისა მკჳდრ იყო ესე ყოველი ყოფილისა შორის, ვითარცა სრული ცხოველი სრულისა კაცისა შორის, არა ეგრეთვე სრულებით გარდასცემს მოქმედებასა თანა სახელიცა, ვინაჲთგან მოქმედებათაგან შესრულებულად უწყნის სახელნი ფილოსოფოსმან სიტყუამან და მადლითა ღმრთად ბუნებით ღმრთისაგან მიმღებელად განღმრთობისად უწოდოს მას, ვითარ არს აწინდელი ესე ჩუენი მიზეზი

[1] ნ. გოგუაძე, მეტაფრასული კრებულების ურთიერთმიმართებისათვის, მრავალთავი, XI, 1985, გვ. 12-13.
[2] ლ. ახობაძე, "კოზმან და დამიანეს ცხოვრების" რედაქციათა ურთიერთმიმართებისათვის, მრავალთავი, XIX, 2001, გვ. 110-111.

სიტყუერებითთა ღუაწლთაჲ მოქმედებითა განმკუთნველი მოწყალედ სახელისდებისაჲ, იოანე ყოვლად ჴმაგასმენილი პაპაჲ ალექსანდრიელთა დიდ ქალაქისაჲ" A 128, 67 r.

შდრ.: "ღირსთა და მართალთა კაცთა საქმეთა აღწერაჲ და ჴსენებისა და ცხორებისა მათისა მოთხრობაჲ საქმე არს დიდად სარგებელი სოფელსა შინა, რამეთუ საწერტელ ექმნების სულთა ღმრთისმოყუარეთა მიბაძვებად მათსა მას მოქალაქობასა, რომელთაგანი ერთი არს აწ წინამდებარე ესე ჩუენდა მოსათხრობელად იოანე ტკბილი და მშჳდი, რომელსაცა შემსგავსებულად საქმეთა სახელიცა ეწოდა, რამეთუ იოანე მოწყალე ჰრქჳანცა და არს და ეწოდების მრავლითა მით მლევანითა ამის მადლისაჲთა" Ath. 36, 21 v.

ერთმანეთთან მეტ შინაარსობრივ სიახლოვეს ამჟღავნებს ამ ნუსხებში წარმოდგენილი თხზულების ძირითადი ნაწილი, მაგრამ თუ არ ჩავთვლით შესავალს, უმრავლეს შემთხვევაში ათონური ტექსტი უფრო ვრცელია:

"მზე მიახსო" A 128, 77 r.

"მზჱ დაწურვილ არს დასლვად, ჵ პატიოსანო და საყუარელო მეგობარო" Ath. 36, 40v.

ხშირად ადგილი აქვს ფაქტობრივი მასალის სხვადასხვაობასაც:

"სადაჲთ მიქცეულსა სახედ დუქსსა შეემთხუვნეს კაცნი, მომავალნი აფრაკეთით, აღტჳრთულნი კოკებითა მცირებითა, რომელთა ზედა ეწერა ზოგთა – "თაფლი პირველი" და ზოგთა – "თაფლი მეორე" და სხუათა – "თაფლი უკმოლველი" A 128, 74 r.

"და ვითარცა ჩამო-ოდენ-ვიდოდეს ხარისხთა ტაძრისათა, რომელთა-იგი ეტჳრთნეს საფასენი, შეემთხჳნეს იგინი კაცთა ვიეთმე, აღმავალთა პატრეარქისათა, რომელთა ეტჳრთა ლაგჳნტარებითა თაფლი და იყო წერილი ლაგჳნტარებსა მას ზედა, რომელთამე – "თაფლი პირველი" და რომელთამე – "თაფლი მეორე" Ath. 36, 34 v.

ათონურ ტექსტში არ არის ნახსენები კჳრიას და იოანეს ტაძარი, განსხვავებით A 128 ნუსხისაგან, და ა.შ. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ამ თარგმანებს სხვადასხვა ბერძნული დედანი აქვთ.

მიუხედავად იმისა, რომ A 128 ნუსხაში წარმოდგენილი "ცხოვრების" დედანი არ გვაქვს ხელთ, სრულიად უეჭველია, რომ ის სიტყვასიტყვითი თარგმანია ბერძნული ტექსტისა (ამაზე უფრო ვრცლად ქვემოთ). აქ იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა მთარგმნელი ცდილობს, "მაქსიმალურად ზუსტად და შეუცვლელად გადმოსცეს დედნის ყველა დეტალი, ყველა თავისებურება, შექმნას ტექსტის სარკისებური გამოსახულება".[3]

იოანე ალექსანდრიელის მეტაფრასული "ცხოვრებისაგან" განსხვავებული რედაქციები, რომელთაც მხოლოდ პირობითად შეიძლება ვუწოდოთ კიმენური, სამ ჯგუფად იყოფა და რამდენიმე ქართულ კრებულშია წარმოდგენილი:

I. Jer. 3 (XI ს.), A 217 (XI-XII სს.), Sin. 71 (XIII ს.)

II. A 199 (XIV-XV სს.)

III. A 382 (XV ს.)

იერუსალიმური ტექსტი (ვარიანტებით – A 217, Sin. 71), რომელიც ყველაზე ადრინდელია ამ ჯგუფში, მიეწერება ლეონტიოს ნიკოპოლელს.

ვრცელ შესავალში ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ წმ. მამის, იოანე მოწყალის, ალექსანდრიელი ეპისკოპოსის ცხოვრების, მისი საქმეების გაცნობა მკითხველსა და მსმენელს დიდ სარგებლობას მოუტანს. აწუხებს ის, რომ ბევრს არ სჯერა სიკეთისა და სიყვარულისა. ამიტომ საგანგებოდ აღნიშნავს თხზულების შექმნის მიზანს: ყველა დაარწმუნოს იმაში, რომ სიკეთის ქმნას დრო არ განაპირობებს და სწამს, "რომელი ეძიებდეს ღმრთისასა, შემძლებელ არს ყოველსა ჟამსა."

ლეონტიოს ნიკოპოლელი მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ ალექსანდრიაში ამბა კჳროსისა და იოანეს ეკლესიაში სალოცავად მისული გახდა მოწმე იმისა, თუ როგორ მისცა

---

[3] ლ. ხოფერია, თავისუფალ და ზუსტ თარგმანთა ზოგიერთი თავისებურებანი ერთი ტექსტის ორი ქართული თარგმანის მიხედვით, მრავალთავი, XIX, 2001, გვ. 117.

ერთმა იქ მყოფთაგანმა გლახაკს ვერცხლის ჯვარი, რადგან გასაცემი სხვა არაფერი ჰქონდა და ლეონტიოსს, ამ აქტით გაოცებულს, ეკლესიის განმგებელი მინა მოუთხრობს იოანე მოწყალის ცხოვრებას, რადგან სწორედ მისგან "ესე მოძღურებად დაიმკჳდრა მან". ლეონტიოსმა მოიღო ქარტა, საწერელი და იწყო წერა.

იერუსალიმური ტექსტის შესავალი შინაარსით თანხვდება ათონურს და, ამდენად, სრულიად განსხვავდება A 128-საგან.

Jer. 3 ნუსხაში წარმოდგენილი "ცხოვრება" დაყოფილია თავებად (სულ არის 46 თავი), რაც არ ემთხვევა ბერძნული გამოცემისა და, შესაბამისად, არც ათონური ტექსტის დაყოფას, რომელიც შეიცავს 80 თავს. სამაგიეროდ, ზუსტად ემთხვევა A 128 ნუსხის თავების რაოდენობას.

ასევე საინტერესოა, რომ იერუსალიმური ტექსტის შესავლის შემდგომი ნაწილი უყრო ახლოსაა A 128 ნუსხასთან, ვიდრე ათონურთან:

"და ხვალისაგან წარავლინნა მნენი თჳსნი და სხუანიცა მსახურნი და არა უტჳცა საჭაული დიდი და მცირჱ, არამედ ყოელისა ერისაჲ ერთითა საჭაულითა ბრძანა განსყიდაჲ და მოსყიდაჲ და დაწერა წიგნი, განმარტებული კჳდელთა საკრებულოჲსათა, რომელსა წერილ იყო ესრეთ" Jer. 3, 95 v.

"ხოლო ხვალისა დღე მიაღინა და მოსძნა ყოელისა ქალაქისაგან საჭაულ-საწოონი დიდ-მცირენი და ერთითა საჭაულითა სჯულ-უდჳა ყოველსა ერსა განსყიდაი და მოსყიდაჲ. ამას თანა დაკიდებად სცა საკრებოჲსაჲა ქარტაჲ, მჭონებელი ამაოი" A 128, 68 v.

თუ შევადარებთ ათონური ტექსტის შესაბამის მონაკვეთს, ნათელი გახდება, რომ ეს უკანასკნელი, აზრობრივი სიახლოვის მიუხედავად, რედაქციულად განსხვავებულია:

"ამას ზედა კუალად იქმნა საქმჱ სასწრაფოჲ წმიდისა, რაჲთა სასწორთა მიერ და საწყეთა მართალსა წყვიდენ და წონდენ ვაჭარნი იგი ურაკპარაკთა ზედა ქალაქისათა, რომელიცა ესე ადვილად წარჰმართა მადლითა ქრისტჱსითა, რამეთუ დაუწერა და დაუბეჭდნა სასწორნი მათნი და საწყეთნი და ესრეთ გამოჰნდა სამართალი" Ath. 36, 25 v.

ამის შემდეგ A 128 და იერუსალიმურ ნუსხებში მოდის წერილის საკმაოდ ვრცელი შინაარსი, რომელიც ნახსენებიც კი არ არის ათონურ მეტაფრასულ ტექსტში. A 128 და Jer. 3 ნუსხებში წარმოდგენილი ტექსტების შინაარსობრივი და მუსლობრივი დაყოფის თანხვდენილობა გვაფიქრებინებს, რომ A 128-ის ტექსტი (რომელიც რედაქციულად არ მისდევს ბერძნულ-ათონურ უეჭველ მეტაფრასულ რედაქციას), შეიძლება არ იყოს მეტაფრასული, მაგრამ ეს დამატებით ძიებასა და შესწავლას საჭიროებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, A 128 ნუსხაში წარმოდგენილი თხზულების დედანი არ არის ის რედაქცია, რომელიც PG 114-შია გამოქვეყნებული. მას სხვა ბერძნული რედაქცია უდევს საფუძვლად და, როგორც ჩანს, მისი სიტყვასიტყვითი თარგმანია. ის იმდენად ზუსტია, რომ ერთი წინადადებაც კი არ არის ქართული ენის ნორმების მიხედვით აგებული.

ქართული თარგმანი მეტისმეტად არის დამძიმებული ბერძნულის შესატყვისი მიმდეობური კონსტრუქციებით. A 128 ნუსხის მაგალითების პარალელურად მოვიყვანთ ნიმუშებს იერუსალიმური ნუსხიდან, რომელიც უყრო ბუნებრივი ქართულითაა შესრულებული და ხშირად აზრის გაგებასაც აადვილებს.

"უტყუველობისა მრწმუნებელმან და ჭელთა ცად მიმართ განმპყრობელმან სამადლობელნი ილიტორნა სიტყუანი" A 128, 69 v.
"და დაირწმუნა მათი, რამეთუ ჰუშმარიტსა უტყოდეს და აღიპყრნა ჭელნი თჳსნი ზეცად და თქუა" Jer. 3, 96 v.

"და ამათი მეტყუელნი უწინო იქმნა" A 128, 71 r.
"და ვითარ ესე თქუა, განმეშორა" Jer. 3, 97 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

“რომლისა მხილველმან მესაჭმრემან დასჩურჩნა წმიდასა მეტყუელმან” A 128, 71 v.
“ვითარ იხილა მნემან, უგუმირა მამათმთავარსა გუერდსა და ჰრქუა მას” Jer. 3, 98 r.

“ამათმან წარმკითხველმან” A 128, 74 r.
“აღმოიკითხა” Jer. 3, 100 v.

-ო ბ ა სუფიქსით განყენებული სახელების წარმოება, განსაკუთრებით რიცხვითი სახელებისაგან, რაც მოცემულ კონტექსტში ქართულისათვის სრულიად არაბუნებრივი ჩანს, ამ თარგმანისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა:

“ხოლო დიდმან მან ეჭუსეულობაჲ დრაჰკანთაჲ მიცემად მისსა უბრძანა განმყოფელსა საჴმართასა” A 128, 71 v.
“და ჰრქუა წმიდამან განმყოფელსა: მიეც ეჭუსი დრაჰკანი” Jer. 3, 98 r.

“უბრძანა მსახურსა თჳსსა მიცემად მისსა ათოთხმეტობაჲ ლიტრათა ოქროჲსთაჲ” A 128, 73 r.
“მოუწოდა მსახურსა თჳსსა და ჰრქუა მას ფარულად: წარვედ და მიეც ამას ათხუთმეტი ლიტრაჲ ოქროჲ” Jer. 3, 99 v.

”ოქროობაჲ იხილა მისი” A 128, 74 v.
“იხილა იგი სავსე ოქროჲთა” Jer. 3, 100 v.

- ო ბ ა სუფიქსიანი სახელებიდან ნაწარმოებია ზმნური ფორმები:

“ზეთისხილსა ფურცელთა მიერ გჳრგჳნოსნობდა” A 128, 70 v.
“ედგა თავსა მისსა გჳრგჳნი ზეთისხილისა ფურცლისაჲ” Jer. 3, 97 r.

“ათასობდა რიცხჳ მძღუენებელთაჲ დრაჰკანთაჲ” A 128, 79 r.
“მოეძღუანა ათასი დრაჰკანი” Jer. 3, 105 r.

“სამმოქცეულობით ოცეულობდა რიცხჳ წელთა ცხორებისაჲ” A 128, 92 v.
“იყო იგი სამეოცის წლის” Jer. 3, 115 v.

ფრაზეოლოგიურ კალკებს ემატება ლექსიკური კალკები: კეთილწესიერება, ერთხმობითი (მადლობა), მრავალნაკადული, ლიტონსარეცელობა, მრავალღონეობა, სულმწუხარე. ამ რიგში დგება სახელებიდან ზმნური ფორმების აქტიური წარმოება: მღდელმოქმედებდეს, განჰსაგზლავს, იმეზღუეუროს, ქველისსაქმარობდეს.
ბერძნულის გავლენით აიხსნება ფრაზის გათიშვა გრძელი პერიოდებით:

“ხოლო მან სულითა შემუსრვილითა და ჴმითა მყუდროჲთა: დღეს მდაბალმან იოვანემან, - მიუგო, - არავისგან მიიღო მადლი” A 128, 69 v.
“მიუგო მათ და ჰრქუა სიტყჳთა შემუსრვილითა და მყუდროჲთა: დღეს იოვანე გლახაკმან არაჲ ვისგან რაჲ მოიღო მადლი” Jer. 3, 96 v.

“ამათმან მსმენელმან სოფრონიოს: დღეს სიხარული გიხილდა, - ჰრქუა, - და მადლობაჲ ღმრთისაჲ” A 128, 69 v.

“მიუგეს და ჰრქუეს, რამეთუ ცნეს ხოლო მიზეზი იგი მწუხარებისაჲ მისისაჲ: დღეს ჴერ-იყო შენდა სიხარული და მადლობაჲ ქრისტესი” Jer. 3, 69 v.

"და მან: ცხოველ არს ღმერთი, - მიუგო" A 128, 73 r.
"და ჰრქუა: ცხოველ არს ღმერთი" Jer. 3, 99 r.

საინტერესოა თარგმანებს შორის არსებული ლექსიკური სხვაობები:

პიტაკი A 128 – წიგნი Jer. 3, ეპისტოლე Ath. 36; კოკა A 128, Jer. 3 – ლაგუნტარი Ath. 36; პაპა A 128 – მამამთავარი Ath. 36, Jer. 3; საჯდომი A 128 – საყდარი Jer. 3; როჭიკი A 128 – საზრდელი Jer. 3; უბანი A 128 – ფოლოცი Jer. 3; ეთიოპი A 128 – შავი კაცი Jer. 3, Ath. 36; კვლინი A 128 – სახლი Jer. 3, სენაკი Ath. 36; დუქნი A 128 – ერისმთავარი Jer. 3, პატრიკი Ath. 36; კენდინარი A 128 – კენჭარი Jer. 3; ტყჳნი A 128, Jer. 3 – კალია Ath. 36; ავია A 128 – ამბა Jer. 3; მეჯუამალდე A 128 – მენავე Jer. 3, დიდვაჭარი Ath. 36; ბალანტი A 128 – ჭურჭელი Jer. 3.

არის განსხვავება ტოპონიმების გადმოცემაშიც: ვარტანია A 128 – ბარტანია Jer. 3 – ვრეტანი Ath. 36.

ანტიპოლი A 128 – ანტაპოლი Jer. 3. ამის საპირისპიროდ ათონურში - ათქალაქი, რაც ბერძნულის ზუსტი შესატყვისია (Δεκαπολις).

ღაზა A 128, Ath. 36 – გაზა Jer. 3; კესარია A 128 – კეისარიან Jer. 3; მზისკარი A 128, Jer. 3 – მზისქალაქი Ath. 36; ფაროსი A 128 – ფარული Jer. 3.

ადამიანთა საკუთარი სახელები:

ვიტილი A 128 – პიტილი Jer. 3, ვიტალი Ath. 36; ტროილე A 128 – ტარუელე Jer. 3, ტროილო Ath. 36.

A 128 და იერუსალიმურ ნუსხებს შორის არის მცირე ფაქტობრივი განსხვავებები; მაგ., A 128 რედაქციის მიხედვით, გაგზავნეს "ათნი მშრომელნი კაცნი", იერუსალიმურის მიხედვით - "ათასი კაცი მუშაკი" და სხვ.

Jer. 3 ნუსხას, რომელიც ერთი ნაწილია ადრე არსებული მთლიანი კოდექსისა (Jer. 5-3-2, XI ს.), თ. ცერაძე მიაკუთვნებს "კეკლიოტური" ტიპის კრებულებს, რომლებსაც განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონდა: "ამ ტიპის კრებულები ძირითადად განკუთვნილი იყო ბერ-მონაზონთა მასისათვის და ეს დანიშნულება მთლიანად განსაზღვრავდა კრებულთა შინაარსობრივ მხარესა და მასალის ჭრელ ხასიათს. ამ ტიპის კრებულებში, როგორც წესი, ეხვდებით პოპულარულ, ჟანრობრივად მრავალფეროვან საკითხავებს, რომელთა აღქმაც არ საჭიროებდა განსაკუთრებულ ინტელექტუალურ მომზადებას. აგიოგრაფიული საკითხავებიდან უპირატესობა ენიჭება კომეური რედაქციის საკითხავებს, ჰომილეტიკური სახის მასალიდან კრებულებში წარმოდგენილია ძირითადად საუფლო და ღვთისმშობლის დღესასწაულებისათვის განკუთვნილი ან ზოგადი ხასიათის საკითხავები".[4]

თ. ცერაძე განსაზღვრავს ამ ტიპის კრებულების შექმნის მიზანსა და დანიშნულებას: "კრებულთა დანიშნულება იყო სულიერი საზრდოს მიწოდება ბერ-მონაზონთათვის, მათთვის ქრისტიანული ზნეობის სრულყოფილებისა და მოწამეობრივი ღვაწლის მაგალითების ჩვენება.[5]

"იოანე ალექსანდრიელის ცხოვრების" კომეური რედაქციის ავტორიც, როგორც ხემოთ გვქონდა აღნიშნული, შესავალში ხაზს უსვამს წმ. მამის მადალზნეობრივი ქმედებების, მისი მოღვაწეობის გაცნობის დიდ მნიშვნელობას მკითხველისა და მსმენელისათვის. სწორედ ასეთი მიზანდასახულობით უნდა აიხსნას ის, რომ ამ ტიპის კრებულებში (Jer. 3, A 199) წარმოდგენილი "ცხოვრება" გვერდს უვლის იოანეს მშობლების, მისი ოჯახური მდგომარეობისა და ეპისკოპოსად ხელდასხმის შესახებ თხრობას. ყურადღება ეთმობა ძირითადად წმ. მამის საქმიანობასა და ღვაწლს.

[4] თ. ცერაძე, ქართული "კეკლიოტური" ტიპის კრებულები, მრავალთავი, XVIII, თბილისი, 1999, გვ. 92-93.
[5] იქვე, გვ. 93.

”ვინებე და ინებეს მამათა მათ, რომელ პირველ ჩუენსა იყვნეს და დადგეს ცხოვრებად წმიდისა ამის მამისა ჩუენისაჲ, რაჲთა აღვწერნეთ საქმენი, რომელთა შინა იყოს სარგებელი მკითხველისაჲ და მსმენელთისაჲ და იდიდებოდის სამებაჲ წმიდაჲ, რომელ ყოველსა შორის ნათესავსა გამოაჩინებს წმიდათა მისთა, რაჲთა ჰნათობდენ, ვითარცა ვარსკულავნი მათ, რომელნი სხენან ბნელსა და არრდილოა სიკუდილისათა. რამეთუ ესრეთ გარდაუქცევიან კაცნი მტერსა ჯამსა ამას. და ოდეს ესმიან საკჳრველთ საქმენი პირველთანი მათ, თქჳნ, ვითარმედ მათ ჯამთა ადგილ იყო კეთილისა საქმჱ, ხოლო ჩუენსა ამას ჯამსა სიყუარული განჴშჳლ არს, ვითარცა იტყჳს მოციქული. და ამისთჳს ვჱრვინ შემძლებელ არს საქმედ კეთილსა, ვითარ-იგი პირველთა მათ ჯამთა. და ამისთჳს ვინებე მითხრობად საქმეთა ამის წმიდისათა და საკჳრველებათა მისთა, რაჲთა უწყოდის ყოველმან კაცმან, ვითარმედ რომელი ძძიებდეს ღმრთისასა, შემძლებელ არს ყოველსა ჯამსა” Jer. 3, 94 r.

ამგვარი შესავალი, რომელშიც მოწამეთა თავდადების მაგალითების ჩვენების პრაქტიკულ დანიშნულებაზეა, წმინდანთა ზნეობრივ სრულყოფილებაზეა ლაპარაკი და კიდევ იმაზე, რომ მიუხედავად მათი განსაკუთრებულობისა და გამორჩეულობისა, საჭირო ნების შემთხვევაში ყველასათვის მისაბაძი და სამაგალითო შეიძლება გახდნენ, დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო უმეტესწილად “კელიოტური” კრებულების თხზულებათათვის. როგორც უკვე ითქვა, A 128 ნუსხაშიც ამ თხზულების წინ უძღვის ვრცელი შესავალი, მაგრამ შინაარსი სრულიად განსხვავებულია (A 128, 67 r).

“ცხოვრების” კომენური რედაქციის შემოკლებული, გამოკრებილი ვარიანტი წარმოდგენილია A 199 ნუსხაში (XII – XIII სს.), რომელიც აგრეთვე “კელიოტური” კრებულების რიცხვს მიეკუთვნება.[6]

იერუსალიმური კომენური ტექსტის შედარებით ვრცელი შესავლის ნაცვლად A 199-ში მოკლე შესავალია იმავე შინაარსისა და დანიშნულებისა, რაზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი:

“ძმანო და მამანო, მეგულების მითხრობად საქმეთაჲ, რომელი განანათლებს გონებათა მკითხველთა და მსმენელთასა და რომლითა იდიდების წმიდაჲ სამებაჲ ერთმრთეებაჲ” A 199, 33 r.

ასეთივე მოკლე .და განმარტებითი შესავალი აქვს ამ კრებულში წარმოდგენილ “ბალავარიანის” მოკლე რედაქციას:

“მივიწიე ოდესმე იოპედ და მუნ ვპოვე წიგნი ესე ჰინდოთა საწიგნესა, რომელსა შინა სწერიან საქმენი ამის სოფლისანი, ფრიად სარგებელნი სულისანი”.[7]

მსმენელთათვის დიდ მნიშვნელობასა და სარგებლიანობაზე მიანიშნებს “თეოდორე სტრატილატის წამების” მოკლე რედაქციის შესავალიც, რომელიც აგრეთვე A 199 კრებულშია შესული:

“ვითარცა მზე განანათლებს ყოველთა მისთა, ეგრეთვე თხრობაჲ მოწამეთა წამებისაჲ – მსმენელთა მისთა. რამეთუ დიდ არიან მოღუაწებანი წმიდათანი, რამეთუ ჴორცნი მათნი მისცეს ცეცხლსა და მახჳლსა დასაჭრელად ცხოვრებისათჳს საუკუნოჲსა...”[8]

მაგრამ აქვე უნდა გავიხსენოთ ათონური მეტაფრასული ტექსტის შესავალიც (Ath. 36, 21 v), რომელიც სწორედ თხზულების მნიშვნელობასა და მიზანს განსაზღვრავს. ნოემბრის თვის მეტაფრასულ თხზულებათა უმეტეს ნაწილს შესავალი არ აქვს, ან თუ აქვს, არა ამგვარი ხასიათისა. მათ შორის მხოლოდ რამდენიმეს – “თეოქტისტე ლეზველის ცხოვრებას” (S 384, 295 r – 302 v), “მატრონას ცხოვრებას” (S 384, 302 v – 314 r), “ალჳპი მესვეტის ცხოვრებას” (S 384, 433 r – 440 v) – აქვს ისეთი შესავალი, რომელიც ხაზს უსვამს თხზულებაში მოთხრობილი ამბების მიზანდასახულობას. ეს საკითხიც, როგორც ქართულ მეტაფრასულ პაგიოგრაფიასთან დაკავშირებული ბევრი სხვა, დამატებით კვლევას საჭიროებს.

---

[6] თ. ცქიტაძე, ქართული “კელიოტური” ტიპის კრებულები, მრავალთავი, XVIII, თბილისი, 1999, გვ. 102-104.

[7] ი. აბულაძე, ბალავარიანის ქართული რედაქციები, თბილისი, 1957, გვ. 3.

[8] შ. ქავთარია, თეოდორე სტრატილატის მარტვილობის რედაქციები, შოთა რუსთაველი (ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი), თბილისი, 1966, გვ. 200-201.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკე შესწავლის საგანი უნდა გახდეს ისიც, თუ რა განსხვავებაა Jer. 3 და A 199 კრებულებს შორის, რადგან ორივე, როგორც ითქვა, "კელიოტური" ტიპის კრებულებს მიეკუთვნება, მაგრამ თუ "იოანე ალექსანდრიელის ცხოვრების" ტექსტის მიხედვით ვიმსჯელებთ, მათში ამ თხზულების სრულიად განსხვავებული რედაქციებია წარმოდგენილი. საგულისხმოა ისიც, რომ A 199 ნუსხაში, განსხვავებით ამ თხზულების შემცველი სხვა ნუსხებისაგან, ტექსტი თავებად არ არის დაყოფილი.

"იოანე ალექსანდრიელის ცხოვრების" ტექსტის შემოკლება ისევე, როგორც A 199 კრებულში წარმოდგენილი სხვა თხზულებებისა, კერძოდ, "ბალავარიანის" ტექსტისა, ატარებს სისტემურ და მიზანმიმართულ ხასიათს.

ქვემოთ ვაჩვენებთ, თუ რა სახის შემოკლებები ახასიათებს მოკლე რედაქციას:

"და ერთსა, ჩუენ თანა მჯდომარეთაგანსა, თანა ჰქვანდა კაცი, სასყიდლით დადგინებული, რომელსა მისცემდა სამსა დრაჰანსა რაჲ წელიწად და ესუა მას ცოლი და შვილნი. და ვითარ წარვიდა გლახაკი იგი, მიეწია მას სასყიდლით დადგინებული იგი და გამოიღო ჯუარი ვეცხლისაჲ, რომელი ეცუა და მისცა მას და არწმუნა მას ფიცით, ვითარმედ არარაჲ აქუს სხუა მისა გარეშე" Jer. 3, 94 r – 94 v.

ამ ეპიზოდის ნაცვლად მოკლე რედაქცია გადმოსცემს მხოლოდ ძირითად ფაქტს, მსჯელობას განტვირთავს ზედმეტი მასალისაგან, რომელიც ამ შემთხვევაში არც თუ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

"ხოლო ერთმან ვინმე აღიჴადა ჯუარი ვეცხლისაჲ და მისცა მას და ფიცით არწმუნა, ვითარმედ სხუაჲ არარაჲ აქუს" A 199, 33 r.

"მიივლტინ ამის წმიდისა, ვითარცა ნავთსადგურისა ყუდროჲსა და სარგებელ-ეყვის სწავლისა მისისაგან და მისაცემელისა" Jer. 3, 96 v.

"მოივლტოდეს წმიდისა მის" A 199, 34 r.

"იხილა ნიკიტა ერისმთავარმან სიუხუმ იგი წმიდისაჲ მის და განმარტებულებაჲ ჭელისა მისისაჲ მიცემად მარადის, ვითარცა წყაროჲსა აღმომდინარისაჲ" Jer. 3, 100 r.

"იხილა ნიკიტა ერისმთავარმან უხუმბით მიცემაჲ საფასეთაჲ წმიდისა მის მიერ" A 199, 36 v.

მოკლე რედაქცია ისედაც ადვილად აღსაქმელ ტექსტს უფრო ამარტივებს, უგულებელყოფს ეროვნული რედაქციისათვის დამახასიათებელ მხატვრულ სახეებსა და ნიუანსებს:

"ვითარცა შვილმან გონიერმან დაიმკჳდრა სათნოებაჲ მამისა მისისაჲ" Jer. 3, 94 v.

"მისგნით დაიმკჳდრა სათნოებაჲ" A 199, 33 v.

"ნუგეშინის-სცემნ არა ვითარცა ტყუეთა, არამედ ვითარცა გონებითა ძმათა თჳსთა" Jer. 3, 96 v.

"ნუგეშინის-სცის სიტყჳთა და მისაცემელითა" A 199, 34 v.

მოკლე რედაქციის ავტორი თავს არიდებს ეროვნულ მსჯელობას და ცდილობს, როგორც ი. აბულაძე მოკლე "ბალავარიანის" შესახებ აღნიშნავდა, თხრობა წარმართოს "ცხოვლად და დინამიკურად, ასწრაფვებით, გადმოსცეს მეტწილად მთავარ მოქმედ პირთა თავგადასავალი"[9].

"რაჲთა მაკურთხო მე დიაკონად ეკლესიისა, დაღაცათუ არა ღირს ვარ, რაჲთა ვჰმსახურებდე საკურთხეველსა სიწმიდესა შენსა თანა და განეწმიდნე ცოდვათაგან ჩემთა და

[9] ი. აბულაძე, ბალავარიანის ქართული რედაქციები, თბილისი, 1957, გვ. 041.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ უწყი, ჱ მწყემსო კეთილო, რამეთუ პაულს მოციქული იტყჳს, ვითარმედ: ჭირისაგან იცვალოს წესიო" Jer. 3, 102 r.

"ხოლო შენ მაკურთხე დიაკონად, დაღაცათუ არა ღირს ვარ" A 199, 37 r.

გამარტივების სქემაში ჯდება წინადადების ერთგვარ წევრთაგან მხოლოდ ერთის დატოვება:

"იხილა სიუხუმ ამის წმიდისაჲ და მრავალმოწყალებაჲ მისი" Jer. 3, 98 r.
"იხილა უცხომან სიუხუმ მისი" A 199, 35 r.

"ჭირსა და იწროებასა მიწევნულ ხარ" Jer. 3, 101 v.
"იწროებასა მიცემულ ხარ" A 199, 37 r.

"მიიქცა კაცი იგი სახიდ თჳსა მწუხარებით და გლოვით" Jer. 3, 102 r.
"წარვიდა იგი მწუხარე" A 199, 37 v.

ვრცელი რედაქციისათვის დამახასიათებელი პირდაპირი მეტყველება შეცვლილია ირიბით:

"მოვიდა მისა სოფრონიოს ბრძენი და მოძღუარი მისი, რამეთუ მუნ იყვნეს იგი მას ჟამსა ოდეს იაკობთა წინააღმდეგობისათჳს და ჰრქუეს მას: რაჲ არს მიზეზი მწუხარებისა შენისაჲ, ჱ წმიდაო, რომელსა შეუძრწუნებიან სულნი ჩუენნი" Jer. 3, 96 r.
"ჰკითხვიდა მას სოფრონიოს ბრძენი, თუ რაჲ არს მიზეზი მწუხარებისაჲ" A 199, 34r.

"და ჰრქუა წმიდამან განმყოფელსა: მიეც ექუსი დრაჰკანი" Jer. 3, 98 r.
"და უბრძანა მიცემაჲ ექუსთა დრაჰკანთაჲ" A 199, 35 r.

და მან წარიღო და განვლო ალექსანდრიაჲ და ამისა შემდგომად ფიცით იტყოდა, ვითარმედ: დავჯავ ზღუასა შინა ოცი დღჱ და ოცი ღამჱ და ვიდოდეთ ქარითა სასტიკითა და არა უწყოდეთ, თუ რომელსა ჭუეყანასა ვართ" Jer. 3, 98 v.
"და ვითარცა განვიდა, მოუჴდა ქარი დიდი. ოცსა დღესა და ღამესა მიაჭუნდა თჳნიერ ნებისა მენაჳეთაჲსა" A 199, 35 v.

გამოტოვებულია ვრცელი რედაქციის ია, იბ, იზ თავები მთლიანად.
რედაქციათა შორის საერთო, მსგავსი პასაჟების არსებობა გვაფიქრებინებდა, რომ მოკლე რედაქცია (A 199) ჩვენს ხელთ არსებული ვრცელი რედაქციის (Jer. 3, A 217, Sin. 71) შემოკლებას წარმოადგენს, რომ არა ზოგიერთი ფაქტობრივი უზუსტობა, შინაარსობრივი შეუსაბამობა, ლექსიკური მონაცვლეობა:

"მე ვარ პირმშოჲ ასულთა მეფისათაჲ" Jer. 3, 97 r.
"მე ვარ პირმშოჲ ასული მეფეთაჲ" A 199, 34 v.

მოკლე რედაქციის წაკითხვა სწორია აგრეთვე შემდეგ მაგალითშიც:

"აღიგეთ ნაცვალად ტჳრთისა მაგის თქუენისაჲ ტჳრთი" Jer. 3, 99 r.
"აღაგეთ ნავი თქუენი ტჳჳთა" A 199, 35 v.

"ხოლო ჩუენ ვირჩიეთ ნახევარი დრაჰკნეულად და ნახევარი ტჳრთი" Jer. 3, 99 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ხოლო ჩუენ ვირჩიეთ ნახევარი დრაჰკნეულად და ნახევარისათჳს ტყუვი" A 199, 35v.

რედაქციათა შორის სხვაობაა ტოპონიმების გადმოცემაშიც:

ფარეული Jer. 3 – ფარაოზი A 199.
ბარტანია Jer. 3 – პარტანია A 199.

ლექსიკური მონაცვლეობის ნიმუშები:

ტაბლა Jer. 3 – ჭამადი A 199, პირ-ვიჴსენით Jer. 3 – ვჭამეთ A 199, ჭურჭელი Jer. 3 – ნაკრაული A 199, მეოტი Jer. 3 – მლტოლველი A 199, მეტყუელი Jer. 3 – მზრახველი და ა.შ.

მოკლე რედაქცია რიგ შემთხვევებში დამატებით ცნობას იძლევა:

"მიართვა იგი მეგობარსა თჳსსა" Jer. 3, 99 r.
"მოართვა მეგობარსა ოქრომჭედელსა" A 199, 36 r.

A 199 ნუსხაში წარმოდგენილი მოკლე რედაქცია არ უნდა იყოს იერუსალიმური ვრცელი ქართული რედაქციის შემოკლება. გამორიცხული არ არის, რომ ისე, როგორც "ბალავარიანის" შემთხვევაში, "ჩვენამდის მოღწეული ვრცელი ნუსხის გარდა სხვაც არსებულიყო ზოგიერთი განსხვავებული ადგილითა და წაკითხვებით".[10]

დაბოლოს, კიდევ ერთი რედაქცია "იოანე ალექსანდრიელის ცხოვრებისა", რომელიც A 382 ნუსხაშია წარმოდგენილი. A 382 XV საუკუნის კრებულია შერეული ხასიათისა, რომელშიც გარდა დიდი საეკლესიო მამების რამდენიმე ჰომილიისა შესულია წმინდანთა როგორც კიმენური, ისე მეტაფრასული რედაქციის ცხოვრება-წამებები.[11] კრებული ნაკლულია, "იოანეს ცხოვრების" დასაწყისი და ბოლო აღდგენილია XVIII ს. ხელით. თხზულება იწყება იოანე ალექსანდრიელის სვინაქსარული ცხოვრებით (ამას ადასტურებს ზემო არშიაზე მხედრული წარწერაც) ყოველგვარი შესავლის გარეშე, რითაც ის განსხვავდება ყველა სხვა რედაქციისაგან. პირველი ფურცელი (308 v) ხელნაწერში არასწორად, თხზულების ბოლოს არის ჩაკერებული. ამ გვერდზე წარმოდგენილი ტექსტის დამამთავრებელი ნაწილი მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ განაგებდა თავის სამწყსოს იოანე მოწყალე და "ეტყოდა ესე..." ტექსტი გრძელდება 293 r-ზე შემდეგი სიტყვებით: "[ჯერ] – არს, ძმაო, დატევებაჲ საზრდელსა სულიერსა და ჭამად ჴორცთასა, არამედ ვჭამოთ საზრდელი, რომელი ჰგიეს საუკუნოდ. მაშინ იწყო თხრობად ცხორებისა წმიდისა იოანესსა და სხუათაცა მოიყვანებდა მოწამედ და მრქუა..." და ა.შ.

A 382 ნუსხას 293 r-ს წინ უნდა აკლდეს, სავარაუდოდ, ერთი ფურცელი, რომელზეც იოანე ალექსანდრიელის სიტყვები და კიდევ ის ამბები იქნებოდა გადმოცემული, რომლებზეც Jer. 3-ში (A 217, Sin. 71) და A 199 ნუსხებში წარმოდგენილ თხზულებაშია ლაპარაკი. ციტირებული ფრაზა კი ეკუთვნის თხზულების ავტორს, ლეონტიოს ნიკოპოლელ ეპისკოპოსს, რომლითაც ის მიმართავს მინას, ეკლესიის განმგებელს.[12] შემდგომი ტექსტი (293 r – 294 v) შინაარსობრივად ძალიან უახლოვდება იერუსალიმურს, მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო ვრცელია:

"შეემთხჳა იგი წმიდასა მას, მი-რაჲ-ვიდოდა მოხილვად გლახაკთა" A 382, 293 v.

"შეემთხჳა, მი-რაჲ-ვიდოდა იგი მოხილვად გლახაკთა, რამეთუ ესრე იყო ჩუეულებაჲ მისი, რაჲ კჳრიაკე მოიხილნის იგინი ორგზის და გინა სამგზის" Jer. 3, 98 r.

---

[10] ი. აბულაძე, ბალავარიანის ქართული რედაქციები, თბილისი, 1957, გვ. 046.
[11] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, თბ., 1985, გვ. 118-133.
[12] A 382-ს ნაკლული დედანი უნდა ჰქონდეს, რადგან 293 r იწყება 328 v-ს ბოლოს მითითებული სიტყვებით.

A 382-ის ტექსტი ზოგჯერ მექანიკური შემოკლების ხასიათს ატარებს და აზრი ბუნდოვანი ხდება:

“ღმერთმან, რომელმან გამოცადა აბრაჰამ, ეგრეთვე გამოცადა წმიდაჲ იოანე. და ესრეთ იყო მიზეზი გამოცდისა” A 382, 294 v.

თუ რა იყო მიზეზი გამოცდისა, არ ჩანს. შდრ.: “ღმერთმან, რომელმან გამოცადა აბრაჰამ, მონაჲ თჳსი, სარგებელისათჳს კაცთაჲსა, რაჲთა უწყოდიან სარწმუნოებაჲ მისი ღმრთისა მიმართ და მიჰბაძვიდენ, მანვე გამოცადა ოდესმე ესე წმიდაჲ იოვანე და ესრეთ იყო მიზეზი გამოცდისა მისისაჲ” Jer. 3, 101 r.

193 r-დან იწყება ტექსტის თავებად დაყოფა. 293 r - 294 v გვერდებზე სინგურით გამოყოფილია ა, ბ, გ, დ თავები, რაც ამ მონაკვეთში არ ემთხვევა იერუსალიმურისას და, როგორც ვნახეთ, ტექსტიც, შინაარსობრივი სიახლოვის მიუხედავად, განსხვავებულია. 295 r გვერდიდან დ-ს (294 v) მოსდევს იბ თავი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ტექსტი პირდაპირ გრძელდება და აქედან ზუსტად, სიტყვასიტყვით მიჰყვება იერუსალიმურს.

ამგვარად, A 382 ნუსხაში წარმოდგენილი “ცხოვრება” სამ სხვადასხვა რედაქციას აერთიანებს; ესენია: I – სვინაქსარული; II – “იოანე ალექსანდრიელის ცხოვრების” ის რედაქცია, რომელიც იერუსალიმურს უახლოვდება, მაგრამ უფრო მოკლეა და შესაძლებელია იმ კიმენური რედაქციის ნაწილი იყოს, რომელიც არც ერთ სხვა ნუსხაში არ ჩანს, და III – იერუსალიმური (შესაბამისად, A 217, Sin. 71) რედაქცია.

L. AKHOBADZE

## GEORGIAN REDACTIONS OF THE “LIFE OF JOHAN ALEKSANDRIELI”

SUMMARY

“Life of Johan Aleksandrieli”, which represents the reading text for November 12, belongs to those texts, which later on were included in the Georgian methaphrasic collection related to the name of Ephrem Mtsire.

The Georgian translation of the methaphrasic redaction of the “Life” translated by the unknown translator, which is presented in the relatively later manuscript A 128 (XII-XIII cc.), differs from the translation of Theophile the Celibate Priest - Ath. 36 (XI c.). The translation of Theophile is following the Greek text found in PG 114.

The redactions of the “Life”, different from the methaphrasic redaction, which could be conditionally named as kimenic (simple), are found in several Georgian manuscript and can be divided into three groups: (I) Jer. 3 (XI c.), A 217 (XI-XII cc.), Sin. 71 (XIII c.); (II) A 199 (XIV-XV cc.); (III) A 382 (XV c.).

The text found in the manuscript A 382 comprises three different redactions of the “Life”.

The long version - Jer. 3 and the short version A 199 of the “Life” are part of the collections having the special importance and purpose and have been designated as the reading texts for monks.

Supposedly, the short kimenic redaction does not represent an abstract of the existing Georgian redaction; it is an abstract of another, currently unknown redaction of the “Life”.

მირანდა ბახტაძე

# "იაკობ სპარსის წამების" ძართული პირველი კიმენური თარგმანი და მისი წყარო

"იაკობ სპარსის წამება" თავდაპირველად მეხუთე საუკუნეში სირიულ ენაზე შეიქმნა წამების თვითმხილველის მიერ, რის შემდეგაც იგი ბერძნულ ენაზე ითარგმნა და ბერძნულიდან თარგმნის გზით სხვადასხვა ქრისტიანი ხალხის ენებზე გავრცელდა.[1] აქედან გამომდინარე, "იაკობ სპარსის წამების" რედაქციათა გავრცელების საქმეში ბერძნულ რგოლს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა, რადგან სირიულ პირველწყაროსთან მხოლოდ ბერძნული არქეტიპი აღმოჩნდა დაკავშირებული, რომელმაც პრაქტიკულად "მეორე დედნის" ფუნქცია იკისრა. მან დროთა განმავლობაში იცვალა სახე, ხოლო ამ ცვლილებათა განვითარების სხვადასხვა ეტაპი კი "წამების" თარგმანებმა დააფიქსირეს.[2]

იაკობ სპარსის წამების" სირიული ტექსტი თავდაპირველად ბედჯანმა გამოსცა თავის "სირიულ ანეკდოტებში"[3], მაგრამ ამ გამოცემას არ ახლდა წყაროთა მითითება და ტექსტში გამომცემლის მიერ შეტანილი იყო თვითნებური შესწორებები[4]. 1953-54 წლებში პოლ დევომ "Analecta Bollandiana"-ს სერიაში დაბეჭდა ბედჯანის გამოქვეყნებული სირიული ტექსტის ლათინური თარგმანი, სამი ბერძნული რედაქციის სრული ტექსტი და მეოთხე – "ქვეყრედაქციის" ნაწყვეტები[5]. ამ ნაშრომს მკვლევარმა საკუთარი გამოკვლევაც დაურთო, რომელიც, ფაქტობრივად, ერთადერთ სანდო და სრულყოფილ ნაშრომად რჩება "იაკობ სპარსის წამების" კიმენური ტექსტების მკვლევართათვის.

ქართულად "იაკობ სპარსის წამების" ორი სხვადასხვა კიმენური თარგმანი არსებობს. პირველი (რომლის შექმნაც, სავარაუდოდ, წინ უნდა უსწრებდეს მეორე რედაქციის თარგმანს), შემონახულია სამ ხელნაწერში: 1) A–95, პარხლის მრავალთავი, X ს. 2) H-972, ჰაგიოგრაფიული კრებული, XVII ს.; 3) A-1051, აპოკრიფული კრებული, 1825წ., მეორე კი – ორ მეცხრამეტე საუკუნის კრებულში ( 1) H–2386, კრებული, 1824წ.; 2) A-313, კრებული, 1825წ.* წინამდებარე წერილში ჩვენ შევეხებით პირველ თარგმანს, ვეცდებით ქართული ტექსტი შევუდაროთ "Analecta Bollandiana"-ში გამოქვეყნებულ ბერძნულ რედაქციებს და გავარკვიოთ მისი დედანი. აქვე აღვნიშნავთ, რომ პირველ თარგმანს ჩვენ ვუწოდებთ ასევე პარხლის რედაქციას, რადგან ყველაზე სრულად "თარგმანის" ტექსტი სწორედ აღნიშნულ კრებულში მოგვეპოვება.

პარხლის მრავალთავის რედაქცია ყველაზე მეტ სიახლოვეს გამოქვეყნებული ბერძნული ტექსტებიდან მესამე (იგივე "ა") რედაქციის მიმართ იჩენს. უმრავლეს შემთხვევაში ქართული "წამება" სწორედ ამ რედაქციისთვის დამახასიათებელ წაკითხვებს გვთავაზობს და ნიანსურადაც სწორედ მას უახლოვდება. აღნიშნული მდგომარეობის წარმოსაჩენად მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

"წამების" **მეორე თავში**, იაკობისადმი მიწერილ წერილში ცოლი და დედა მოწამეს აფრთხილებენ, რომ ქრისტიანობაზე საბოლოოდ უარის თქმის შემთხვევაში იაკობი აღარ იქნება მორწმუნეთა რიცხვში და ის აუცილებლად დაისჯება საკადრისად. ეს შინაარსი ოთხივე რედაქციაში დაახლოებით ერთნაირად იკითხება, თავისებურება ვლინდება სასჯელთა ჩამოთვლისას მათ თანამიმდევრობაში, ანუ სხვადასხვა რედაქცია სხვადასხვა

[1] P. Devos, " Le Dossier Hagiographique De S. Jacques L' Intercis", Analecta Bollandiana, 1953, 72, p. 159.

[2] იქვე.

[3] Bedjan, Acta martorum et sanctorum, vol. 2,1937, 539-558.

[4] P. Devos, Analecta Bollandiana, No. 73, 1953, p. 158.

[5] P. Devos,, Analecta Bollandiana, No. 73-74, 1953 -54.

* მსჯელობის დროს პარხლის მრავალთავსა და აპოკრიფულ კრებულში დაცულ თარგმანს ვუწოდებთ "პირველს", რადგან ეს რედაქცია უფრო ადრე იყო ცნობილი, ჩვენ მიერ მიკვლეულს კი–"მეორეს".

მიმდევრობით ასახელებს ორ მოსალოდნელ სასჯელს: ქართული ტექსტი ჯერ უთითებს ამქვეყნიურ განაჩენს (იაკობი ახლობლებში დასაცინი და მოკვეთილი იქნება) და შემდეგ საუბრობს იმქვეყნიურ განკითხვაზე (უფლის სასჯელი, როგორც მარადიული ცეცხლი, რომელიც აუცილებლად ეწვება იაკობს); პირველი და მეორე ბერძნული რედაქციები თავდაპირველად აღნიშნავენ იმქვეყნიურ განკითხვას (ღმერთის რისხვას) და მას ურთავენ ამქვეყნიურ მუქარას (იაკობის ქრისტიანთაგან მოკვეთა); მესამე ბერძნული რედაქცია, პირველი და მეორე ბერძნული ვერსიისგან განსხვავებით, იწყებს იაკობის ახლობელთაგან ჩამოშორებაზე საუბრით (ამქვეყნიური სასჯელი) და ამთავრებს ღვთიური სასჯელის შეხსენებით (იმქვეყნიური განკითხვა):

1. "იქმნე შენ საკუედრელ და საცინელ ყოველთა შორის ნათესავთა და მეყსე ეშე მეგობარი შენი, შენ თანა! და იყო შენ მონა განშიშულებულ და წარტყუენულ უკუნისამდე და არა გაჭუნდეს ნაწილი მორწმუნეთა თანა, არამედ გეუყსლოს შენ ცეცხლი იგი უშრეტი უშჯულოთა თანა საუკუნოდ!" (P 571r)

"ἡ θλῖψ καὶ ἡ διακ αιοκρισία τοῦ Θεοῦ κ αταλάβῃ σέ, καί γενή σεται σοι καθὼς γέγο νεν τῷ φιλῷ σου τῷ β ασιλεῖ, 'ἡμεῖς δὲ 'από τοῦ νῦν, πίστευσον,' αλλότριαι σοῦ 'εσμεν καὶ μερος μεθ' 'ημῶ ν οὐκ "εχεις".
(α˜, 179, 16-19).
[*ღვთის რისხვა და სასჯელი მოეწიოს შენზე და შენც იგეგე გარდაგხდეს რაც შენს მეგობარ მეფეს. ამიერიდან კი უცხო გახდე შენ წეეთის და აღარ გქონდეს წილი წენ შორის. ]*

" 'ἡ θλῖψ καὶ 'ἡ στε νοχωρία 'ἡ παρὰ τοῦ Θεοῦ 'ερχομενη τῷ φ ιλῷ σου τῷ βασιλεῖ κ αταλῆψεται καὶ σέ· κ αὶ 'ἡμεῖς 'από τοῦ νῦ ν ξενα καὶ 'αλλοτριαὶ σοῦ 'εσμεν, καὶ μέρ ος "η κληρον μεθ' 'ημ ῶν οὐκ "εχεις".
(β, 194-195, 18-2).
[*დარდი და გულისწუხილი ეწიოს ღმრთისგან შენს მეგობარ მეფეს და მასთან ერთად შენც; და ამიერიდან უცხო და შორეული იყო და არ გქონდეს შენ წილი წენ შორის.*]

"'από τοῦ νῦν 'αλλότ ριαι σου'εσομεθα καὶ "ουτε κλῆρον "ουτε μ ερος "εξεις μεθ' 'ημῶ ν · καὶ "οταν 'ἡ 'οργ ὴ'αποσταλῇ'από τοῦ Θεοῦ'επὶ τὸν φιλον σου τὸν βασιλέα, φθα σῃ δὲ καὶ'επὶ σέ, τοτ ε'αναμνησθῆσῃ τῶν'ρ ημάτων 'ημῶν καὶ θρη νήσεις πολλὰ 'ορῶν 'ε αυτὸν'εν κολάσεσιν δ ειναῖς τιμωρουμενον. Διὸ'ανάνῆψον καὶ σπ εῦσον'εκφυγεῖν τὴν'ε περχομένην'οργὴν 'υμ ῖν παρὰ τοῦ Θεοῦ."
(γ, 231-232, 27-4).
[*ამიერიდან, აღარც წილი გქონდეს წენ შორის და არც ხვედრი; და ღმრთის სასჯელი მოგევლინოს შენ, შენი მეგობარი მეფის მსგავსად; და მოეწიოს შენზე წენი სიტყვებისა და ცრემლის მრავალი მოსსენების შემდგომ საშინელი სასჯელი. და ამის გამო, გარიდებულსა და სასწრაფოდ გაქცეულს, მოგეწიოს წენი უფლისგან მოვლენილი მრისხანება.*]

** ბერძნული რედაქციების დამოწმებისას პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე რედაქციას "Analecta Bollandiana"-ში გამოქვეყნებული ტექსტების ანალოგიით აღვნიშნავთ ბერძნული ლიტერებით: α, β, γ, δ.

როგორც ვხედავთ, ქართული რედაქცია ადნიშნულ ეპიზოდში მესამე ბერძნულ რედაქციასთან ამჟღავნებს სიახლოვეს და მის თანმიმდევრობას იმეორებს: ჯერ ეხსენებს იაკობის ახლობელთა რიცხვიდან განდევნას და შემდეგ ურთავს მუქარას ღვთიური სასჯელზე.

დაახლოებით მსგავსი მდგომარეობა დასტურდება "წამების" **მეექვსე თავშიც**, როცა მეფე სათათბიროდ მოწვეულ დიდებულებს ეკითხება, თუ როგორი სასჯელით უნდა დაისაჯოს იაკობი. ქართულ ტექსტში მეფე დაჟინებით მოითხოვს იაკობის დასჯას ტანჯვით და ასახელებს ორ მიზეზს: სახელმწიფოებრივ დანაშაულს (იაკობი წინ აღუდგა მეფის ბრძანებას) და პირად შერაცხყოფას (პატივი არ სცა მის ღმერთებს); ბერძნული რედაქციებიდან პირველი ადნიშნავს მხოლოდ ერთ მიზეზს: იაკობის მიერ წინააღმდეგობის გაწევას (სახელმწიფო დანაშაული); მეორე რედაქცია საერთოდ არანაირ მიზეზს არ ასახელებს და მხოლოდ სასჯელის სახის შერჩევას მოითხოვს; მესამე კი ამბობს, რომ იაკობი უნდა დაისაჯოს, რადგან: 1. შეურაცხყოფა მიაყენა პირადად მეფეს (არად ჩააგდო მასთან მეგობრობა) და 2. არად ჩააგდო სახელმწიფო წყობილება (არ დაემორჩილა მეფის ბრძანებებს).

ანუ ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც, ქართული რედაქციის მსგავსად, იაკობის დასჯის ორი მიზეზია დასახელებული: პირადი და სახელმწიფოებრივი:

| | | | |
|---|---|---|---|
| "მაზრახეთ მე, რომლითა სატანჯველითა ვგუემე იაკობ და განვკაფო და მივსცე წარსაწყმედელსა, რამეთუ ძლიერად მეწყო მე და წინა აღმდგა და აღმაღლდა კაღნიერად ღმერთთა ჩემთა ზედა." (P 572r) | "Λέγετέ μοι, ποίῳ θανάτῳ,'οφείλει'αποθ ανεῖν 'ουτος τοσαῦτα τολμήσας καὶ'αναισ χυντήσας καὶ τὸ θέλε μα τῶν βασιλέων μὴ ποιήσας." (α, 182, 5-8) *[მითხარით მე, როგორი სიკვდილით შეფერება მას დასჯა, ვინც რამდენჯერმე გაბედავს გათავხედებას და მეფის ნებას არ აღასრულებს.]* | "Λέγετε μοι, ποίῳ θανάτῳ παραδῶσω ἀυ τον." (β, 197, 23) *[მითხარით მე, როგორ სიკვდილს გადავცე იგი?]* | "Ε'ιπατέ μοι πῶς'οφε ίλει 'ουτος 'αποθανεῖ ν, "οτι τὴν φιλίαν μο υ'εξουθενησεν καὶ τ ῶν προσταγμάτων κα τεφρόνησεν. " (γ, 234, 21-22) *[მითხარით მე, რაგვარად მართებს მისი დასჯა, რადგან ჩემი მეგობრობა არად ჩაგდო და ბრძანებები უგულებელყო.]* |

ქართული "წამების" დედნად მესამე ბერძნული რედაქციის შემცველი ნუსხის გამოყენებას უთითებს **მერვე თავში** დადასტურებული შემთხვევაც. ამ მონაკვეთში მოთხრობილია იაკობის მიყვანა წამების ადგილზე და იაკობის ლოცვა. შინაარსი ყველა რედაქციისთვის საერთოა: მარტვილობის ადგილზე მიყვანილი იაკობი წამების წინ ლოცულობს. რედაქციათა თავისებურება ვლინდება შემდეგში: პირველ და მეორე ბერძნულ ვერსიებში მოწამე სალოცავად ითხოვს ადგილს, მესამე რედაქციაში კი დროს და ხაზგასმით განცალკევებით ლოცულობს.

ქართული "წამება" ამ ეპიზოდში თითქმის სიტყვა-სიტყვით მისდევს მესამე ბერძნულ რედაქციას და მოგვითხრობს, რომ იაკობი ევედრა მეფის მსახურებს, რათა მიეცათ მისთვის სალოცავად დრო. მოწამე აღმოსავლეთით განმარტოებით დადგა, ზეცისკენ აღაპყრო ხელები და ასე შეევედრა უფალს:

| | | | |
|---|---|---|---|
| "ხოლო იაკობ ევედრა მსახურთა მათ, რაითა აცადონ მას ლოცვად და დადგა აღმოსავალით, | "Καὶ φθάσας 'ο μακά ριος'εν τῷ τόπῳ'ηξίω σεν τοὺς φονεῖς λέγω ν· "Πρῶτον παράσχε σθέ μοι τόπον μικρόν, "οπως'εξομολογήσωμ | "Καὶ φθάσας 'ο μακά ριος'εν τῷ τόπῳ'εν ᾧ ἦν αὐτῷ στεφανωθῆν αι,'ηξίωσεν τοὺς φον εῖς λέγων· "Παρακαλ ῶ 'υμᾶς παράσχετέ μ | "..'ο μακάριος παρεκ άλει τοὺς δημίους δο θῆναι'αυτῷ καιρὸν το ῦ προσεύξασθαι. 'Ως δὲ συνεχώρησαν 'αυτ ῷ, στὰς κατὰ'ανατολ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | |
|---|---|---|---|
| კერძო ილოცვიდა და აღიპყრნა ჴელნი თჳსნი ზეცად და თქუა...” (P 712v) | αι τῷ Θεῷ μου, δἰ ''ον πάσχειν μέλλω. ”Καὶ προσσοχὼν πρὸς᾿ανατολὰς καὶ κλίνας τὰ γόνατα᾿επὶ τὴν γῆν ”ηυχετο· ῾η δὲ καρδία᾿αυτοῦ ῾ην πεποιθυῖα πρὸς τὸν κατοικοῦντα ᾿εν᾿ουρανοις. Καὶ προσηύξατο λέγων.” (α, 182-183, 27-2) *[და მთქმელმა ნეტარმა ადგილზე მიყვანისას უთხრა მათ: უპირველესად მომეცით მე პატარა ადგილი, რათა ვევედრო უფალსა ჩემსა, ვისთვისაც უნდა ვეწამო; და მიბრუნდა აღმოსავლეთისკენ და მოიდრიკა მუხლები, დაეცა მიწაზე და გული მისი რწმენით ბინადრობდა ცაზე.]* | οι τόπον μικρὸν᾿εξομολογήσασθαι τῷ Κυρίῳ.” Προσσχὼν οὖν πρὸς᾿ανατολὰς καὶ κλίνας τὰ γόνατα᾿εις τὴν γῆν, καὶ τὴν καρδίαν ᾿ανατείνας πρὸς τὸν κατοικοῦντα᾿εν τῷ᾿ουρανῷ, προσηυξατο ''ουτως·” (β, 198-199, 16-3) *[და გვირგვინის სატვირთავ ადგილზე მისულმა ჯალათებს: გთხოვთ თქვენ, რომ მომცეთ მე მცირე ადგილი, რათა უფალს ვევედრო”. და მართლაც მიბრუნდა აღმოსავლეთისკენ, მუხლებზე დაეცა მიწაზე და გული მისი ზეცისკენ მიემართა და ასე შესთხოვდა.]* | ὰς καὶ᾿ανατείνας τὸ ''ομμα᾿εις τὸν ᾿ουρανόν, προσηύξατο λέγων ·” (γ, 235,1-4) *[და მიმართა ჯალათებს, რომ მიეცათ ცოტა დრო სალოცავად, და რა მიიღო დასტური, დადგა აღმოსავლეთით, ხელები აღაპყრო და ლოცულობდა.]* |

ამ ეპიზოდშიც ქართულ ტექსტზე ყველაზე მეტად სწორედ მესამე რედაქციის გავლენა იგრძნობა, **რაც გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ მთარგმნელს “γ” რედაქციის ნუსხა უნდა ჰქონოდა ხელთ.**

როგორც ქართული ტექსტიდანვე ირკვევა, აღნიშნული ნუსხა შესაძლოა უფრო ახლოს მდგარიყო სირიულ პირველწყაროსთან, ვიდრე მესამე ბერძნული რედაქციის გამოქვეყნებული ტექსტი.

პირველ ქართულ რედაქციაში დასტურდება შემთხვევები, როცა ქართული ტექსტი სცილდება მესამე ბერძნულ რედაქციას და მისდევს პირველ და მეორე ბერძნულ ვერსიებს. ასეთ ეპიზოდებში ერთი კანონზომიერება იკვეთება: **“γ” რედაქციისაგან განსხვავებული ყველა ეპიზოდი დასტურდება სირიულ დედანში და პირველწყაროს სურათს ასახავს.**

განვიხილოთ ეს შემთხვევები:

1. “წამების” **მეოთხე თავში**, როცა იაკობი ინანიებს თავის საქციელს, ქართულ ტექსტში მოწამე საკუთარ თავს ეკითხება, სად უნდა ეძიოს მან საკუთარი სული ამგვარი წარწყმედის შემდეგ. აღნიშნული კითხვა არ ჩანს მესამე ბერძნულ რედაქციაში, სამაგიეროდ გვხვდება, როგორც პირველ, ასევე მეორე ბერძნულ ვერსიებში (და რა თქმა უნდა, სირიულ “მარტვილობაში” (შდრ.: P 571r- 571v; α,180, 4-5; β, 195, 11-13; Syr. 169, 2; γ, 232, 16-17); **2.** ანალოგიური შემთხვევა გვაქვს შემდეგაც, **მეშვიდე თავში**: ქართული “მარტვილობა” მოგვითხრობს, რომ როცა ქრისტიანებმა გაიგეს იაკობის ამბავი, მაშინვე დაიწყეს ლოცვა მისი სულის გადასარჩენად. მესამე ბერძნული რედაქცია საერთოდ არ საუბრობს ქრისტიანებზე, პირველი და მეორე ბერძნული რედაქციები კი სირიულის მსგავსად შინაარსობრივად თანხვდებიან ქართულ ტექსტს და ასევე აღნიშნავენ ერთმორწმუნეების წუხილსა და ლოცვას იაკობის გამო (შდრ.: P 572v- 573r; α, 182, 19-23; β, 198, 7-15; Syr,170, 29-36; γ, 234, 29-31) **3. მეთხუთმეტე თავი**: ქართული “წამების” ამ მონაკვეთში ხალხი ევედრება იაკობს, დათანხმდეს მეფის პირობებს და შეიცვალოს რჯული, რაზეც იაკობი პასუხობს,

რომ როგორც გასაპარსავად გამზადებული ცხვარი უნდა გაიპარსოს ორივე მხრიდან, ასევე მანაც ბოლომდე უნდა აღასრულოს პირობა და არ გადაიქცას თავისი სიტყვა. ამგვარი პასუხი დასტურდება პირველ და მეორე ბერძნულ რედაქციებში, ასევე სირიულ ტექსტში, მესამე ბერძნული რედაქცია კი ამის ნაცვლად იძლევა სიტყვას, რომელშიც იაკობი საკუთარ თავს ამქვეყნიური წამების სანაცვლოდ იმქვეყნიური ნეტარებით ამხნევებს (შდრ.: (P 574v; α, 185-186, 26-3; β, 201, 15-20; Syr. 172-173, 36-3; γ, 238, 3-5).

ვფიქრობთ, ის ფაქტი, რომ ყველა აღნიშნული დაცილება არა მხოლოდ ბერძნულ რედაქციებში, არამედ სირიულ პირველწყაროშიც დასტურდება, ასუსტებს ვარაუდს თარგმნისას "ა" რედაქციის გარდა პირველი და მეორე ბერძნული რედაქციების გამოყენების შესახებ და აძლიერებს აზრს, რომ **ქართველ მთარგმნელს შესაძლოა, ხელთ ჰქონოდა მესამე ბერძნული რედაქციის ისეთი ნუსხა, რომელიც გამოქვეყნებული ტექსტისგან განსხვავებით, შედარებით უფრო ახლოს იდგა სირიულ პირველწყაროსთან.**

სათარგმნი დედანი რომ, სავარაუდოდ, მესამე ბერძნული რედაქციის გამოქვეყნებული ტექსტისგან რამდენადმე განსხვავებული უნდა ყოფილიყო, მიუთითებს კიდევ რამდენიმე სხვაობა, რომელთა არსებობას მთარგმნელის ობიექტივიზაციას ვერ მივაწერთ:

1. **ქართული "წამება", გამოქვეყნებული ბერძნული და სირიული რედაქციებისაგან განსხვავებით, მიუთითებს იაკობის არა დაბადების (ბეთლაპატი), არამედ აღსასრულის ადგილს (ბალღა):**

პარხლის მრავალთავის სათაურში ჩვენ ვკითხულობთ: "წამებაჲ წმიდისა იაკობისი, რომელი ცწამა ჭუჟყანასა სპარსეთისასა, ქალაქსა, რომელსა ჰრქჳან ბალღა, სადაჲ მეფისა მიერ უშჯულოსსა" (P 570 v). როგორც ვხედავთ, ქართული ტექსტი ახასიათებს ქალაქს ბალღა. ჩვენს ხელთ არსებულ სირიულ და ბერძნულ რედაქციებში კი ერთადერთი ქალაქი, რომელიც იაკობის სახელთან კავშირში გვხვდება, არის ქალაქი **ბეთლაპატი** (**Bethlapat** [ბეთ ლაპატ]; **Βαλαπατη** [ბალაპატ]; **Βηλαπατη** [ბელაპატ]; **Βηλαπατοις** [ბელაპატოის]), რომელიც, როგორც ტექსტები მიუთითებენ, ხუზისტანის პროვინციაში მდებარეობს და რომელშიც, ტექსტების თანახმად, დაიბადა იაკობი (Syr. 168, 3; α,178, 33; β, 193, 21; γ, 231, 3-4).

**როგორც კვლევამ უჩვენა, ეს ორი სახელი (ბალღა და ბეთლაპატი) არ გულისხმობს ერთსა და იმავე გეოგრაფიულ პუნქტს. აღნიშნული ფაქტი ბუნებრივად გამომდინარეობს კიდეც "წამების" შინაარსიდან და არ ეწინააღმდეგება "წამების" არც ერთი რედაქციის თხრობის მდინარებას.**[6]

რაც შეეხება საკითხს, თუ რამდენად შეიძლება მთარგმნელის კალამს მივაწეროთ "წამებაში" დაბადების ადგილის ნაცვლად გარდაცვალების ადგილის მითითება, ჩვენი აზრით, შესაბამისი მოტივირების არ არსებობის გამო ამგვარი მიზეზი ნაკლებ სავარაუდოა.

1. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს თუ გავითვალისწინებთ,[7] ქართული ლიტერატურის უძველეს პერიოდში მთარგმნელობითი მოღვაწეობა უმრავლეს შემთხვევაში გულისხმობდა თხზულების მხატვრული სახის დახვეწას, ინფორმაციული ფონი, ძირითადად, შეუცვლელი რჩებოდა. 2. მთარგმნელის მიერ რაიმე ცნობის ჩამატებას ან ამოღებას, ჩვეულებრივ, გააჩნდა შესაბამისი მიზეზი: ძირითადად, ცვლილების დროს უპირატესობა ენიჭებოდა მკითხველისთვის რაიმე თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვან და საინტერესო ინფორმაციას. ამ შემთხვევაში ეი დაბადებისა და გარდაცვალების ადგილების მითითება თანაბარი მნიშვნელობის ცნობებია, რომელთა ურთიერთჩანაცვლება ნაკლებ სავარაუდოა. ყოველ შემთხვევაში, თუ სათარგმნ წყაროში რაიმე იქნებოდა ნათქვამი მოწამის დაბადების ადგილზე, ჩვენი აზრით, მთარგმნელი ამ ცნობას არ დააკლებდა და უკიდურეს შემთხვევაში, ორივე ინფორმაციას მოგვაწვდიდა ტექსტში, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე.

---

[6] იხ.: მ. ბაზაძე, თავისებური საკუთარი სახელების წარმოშობა "იაკობ სპარსის წამების" ტექსტში და სათარგმნი ადგილის ლოკალიზაცია, "კლასიკური და თანამედროვე მწერლობა", საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, №4, თბ. 2001წ.

[7] ჯ. კაკაბაძე, მთარგმნელობითი მეთოდი ძველ საქართველოში, ეტიუდები ძველ ქართულ ლიტერატურაში, I, გვ. 183-197. მ. მაისურაძე, მ. მამულაშვილი, ა. დამბაშიძე, მ. ჩხეიძელი, "ათონის მრავალთავი", გვ. 126..

**2. "წამების" მესამე თავში ქართული ტექსტი, ბერძნული რედაქციებისგან განსხვავებით, არ მიუთითებს, რომ იაკობი გასულია ქალაქის საზღვრებიდან და ახლავს მეფეს.**

ჩვენი აზრით, ეს სხვაობაც "წამების" ტექსტების ტრადიციებიდან და თავად ქართული რედაქციის თხრობიდან გამომდინარე, სათარგმნი დედნიდან უნდა მომდინარეობდეს:

1. **ანალოგიური ვითარება დასტურდება სირიულ რედაქციაში**, სადაც ასევე არ ჩანს ცნობა იაკობის ქალაქიდან გასვლის შესახებ. *(ამ სხვაობას აღნიშნავს პოლ დევოც[8]* რაც გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ "წამების" შემცველ ნუსხებში არსებობდა ტრადიცია, არ აღენიშნათ იაკობის ბეთლაპატიდან გასვლის ფაქტი და სწორედ ასეთი ტრადიციის ნუსხა ჰქონდა ხელთ ქართველ მთარგმნელს.
2. **აღნიშნული ცნობის საჭიროება,** ბერძნული ვერსიებისგან განსხვავებით, **ქართულ ტექსტში არ იგრძნობა.** ბერძნულ რედაქციებში მითითებულია: იაკობი დაიბადა და ცხოვრობდა ბეთლაპატში. მესამე თავში არსებული ინფორმაცია ბერძნულ რედაქციებში უადვილებს მკითხველს მიაკვლიოს მოვლენების განვითარებას და მოწამესთან ერთად მისი მშობლიური ქალაქიდან გადაინაცვლოს წამების ადგილზე. ქართულ ტექსტში ამგვარი მოთხოვნილება არ ჩანს. აქ თავიდანვე მითითებულია, რომ "წამებაში" აღწერილი მოქმედება ხდება იაკობის წამებისა და აღსასრულის ადგილზე.
3. **ქართული "წამება" იაკობის აღსასრულს ბერძნული რედაქციებისგან განსხვავებულად აღგვიწერს.**

**34-ე თავში**, როცა "წამების" მიხედვით იაკობს თავს კვეთენ, ბერძნულ ტექსტებში მოწამე სიკვდილის წინ ამბობს: "ამინ" და ასე ხდება აღსასრულს. ქართულ ტექსტში კი მარტვილი თავით გადაიწერს პირჯვარს და აღსრულება.

იაკობის სიკვდილის განსხვავებული სურათი დასტურდება "მარტვილობის" სხვა ტექსტებშიც, ამასთანავე ორივე აღწერას დაახლოებით ერთნაირი მხატვრული ღირსებები გააჩნია:

1. **იაკობის აღსასრულის ეპიზოდში პარხლის მრავალთავისეული რედაქციის მსგავსი სურათი გვხვდება სხვა კიმენურ რედაქციებში. კერძოდ: მეორე ქართულ კიმენურ "წამებაში" (H–2386; A-313) და სომხურ "მარტვილობაში"[9], რაც მიუთითებს, რომ მოწამის სიკვდილის ქართულ რედაქციაში არსებული ტრადიცია "წამების" ნუსხებში არსებობდა და ქართველი მთარგმნელის გამონაგონი არ უნდა იყოს; 2. მთარგმნელები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ძირითადად სრულყოფდნენ ტექსტის მხატვრულ მხარეს. ჩვენ შემთხვევაში მხატვრულობის თვალსაზრისით ორივე სურათი დაახლოებით მსგავსი ღირებულებისაა: მკითხველზე დაახლოებით ისეთივე ეფექტს იწვევს კიდურების გარეშე დარჩენილი კაცის მიერ ნათქვამი "ამინ", როგორც თავით გადასახული პირჯვარი. ეს კი ნაკლებ სავარაუდოს ხდის სხვაობის მიკუთვნებას მთარგმნელის კალმისთვის.**

აღნიშნული განსხვავებების ხასიათიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ:

1. პარხლის მრავალთავისეული "წამების" მთარგმნელს ხელთ უნდა ჰქონოდა გამოქვეყნებული მესამე ბერძნული რედაქციის ("γ") შემცველი ნუსხა.
2. აღნიშნული ნუსხის ტექსტი, სავარაუდოდ, რამდენადმე განსხვავებული უნდა ყოფილიყო გამოქვეყნებული ბერძნული რედაქციისგან.
3. სავარაუდო დედანი, შესაძლოა, უფრო ახლოს იყო სირიულ პირველწყაროსთან, ვიდრე ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული გამოქვეყნებული ბერძნული ტექსტი.
4. ქართული "წამება" აღადგენს მესამე ბერძნული რედაქციის განვითარების უფრო ადრეულ ეტაპს, ვიდრე "γ" რედაქციის გამოქვეყნებული ტექსტი.

[8] P.Devos, " Le dossier hagiographique de S. Jaques L' Intercis", Analecta Bollandiana, t.72, p.220.

[9] VkayabanuÊiwn S Ъyn Yakovbay bazmahat vkayi,
Liakatar VarÛ Ā VkayabanuÊiwn SrboÎ, I Venetik, 1813, ՈÆ; 203

# THE FIRST GEORGIAN SIMPLE (KYMENIC) TRANSLATION OF "MARTYRDOM OF JACOB THE INTERCIS" AND THE SOURCE OF IT

SUMMARY

"Martyrdom of Jacob of Intercis" was made in the V -th century in Syrian. After creating Greek version of the text, "Martyrdom" was translated in many languages. There are two Georgian simple (kymenic) versions of " Martyrdom" the first of them can be found in 3 manuscripts (A-95; H-972; A-1051). This version is similar to the third Greek edition, but in a few moments Georgian text has some differences and is closer to other Greek versions or is absolutely original. In the first occasion we can find that all of these moments are from a Syrian version, in the second occasion we think that these differences are not made by translator and should be come from the source translated text. Therefore we can conclude that the translated source was a type of the third Greek simple version, but had some differences. This source should have been closer to the Syrian first version, than the published Greek one is. So Georgian simple version of "Martyrdom of Jacob the Intercis" restores more earlier phase of development of the third Greek simple version then published Greek text of this edition.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსუდან გვარამია, მანანა დვალი

# ისევ „ანტონ რავახის ავტობიოგრაფიის“ შესახებ

„ანტონ რავახის წამება“ იმ თხზულებათა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც, როგორც ს.გრიფიტი აღნიშნავს, „წარმოადგენენ შენაძენს უკვე კარგად ჩამოყალიბებული ჰაგიოგრაფიული ჟანრის ლიტერატურისათვის, აღწერენ რა იმ პიროვნებათა ცხოვრებას, რომლებმაც ქრისტიანობისადმი თავისი ერთგულებით მტკიცე და საჯარო პროტესტი გამოუცხადეს ისლამურ ავტორიტეტთა შეუპოვარ წინააღმდეგობას[1]. ანტონ რავახი არაბული ცნობილი ტომის – კურაიშის წარმომადგენელი იყო. ამასთანავე იგი ხალიფა ჰარუნ არ – რაშიდს ენათესავებოდა. მისი ცხოვრების ძირითადი ქარგა შემდეგია: თავდაპირველად ქრისტიანობისადმი მტრულად განწყობილი რავახი თავის მშობლიურ ქალაქ დამასკოში სასწაულების ხილვისა და ღამით წმინდანების გამოცხადების შედეგად, რაც მის მიერ წმ. თეოდორეს ხატისთვის ქვის სროლას მოჰყვა, ქრისტეს რჯულის დამფასებელი და მაღიარებელი ხდება. მთელი რიგი პერიპეტიების შემდეგ რავახი მდ. იორდანეში ინათლება, მონაზვნის სქემით იმოსება და მისი ნათლობის სახელი ხდება ანტონი. მაგრამ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო მუსლიმურ სამყაროში, პროზელიტობა მისთვის საბედისწერო აღმოჩნდება. მუსლიმები მას ატყვევებენ, სხვადასხვა ციხეებში ამყოფებენ, ბოლოს მდ. ევფრატთან ქ. რაკაში მის გამგებელს , ჰართამას მიჰგვრიან, რომელიც მას ჰარუნ არ-რაშიდს წარუდგენს. ჰარუნ არ-რაშიდი ანტონის დაკითხვისას მის ისლამზე მობრუნებას ცდილობს, მაგრამ ამაოდ. განაჩენიც შესაბამისია: ხალიფას ბრძანებით მას თავს კვეთენ. ცნობილია „ანტონ რავახის წამების“ მხოლოდ არაბული, ეთიოპური და ქართული ვერსიები, რომელთაგან ზოგი, კერძოდ, ერთი არაბული და ქართული ვერსიები ავტობიოგრაფიის სახითაა დაწერილი. ამის პარალელურად ანტონ რავახის მოკლე ისტორია და ხსენების დღე დაფიქსირებულია სხვადასხვა ქრონიკებსა და კალენდრებში, ძირითადად, სირიულ-არაბულში. ბერძნულ წყაროებში იგი არ დასტურდება. ასე რომ, როგორც ჩანს, მისი ისტორია საკმაოდ ცნობილი ყოფილა არაბულ ხალიფატში, საიდანაც იგი ქართულ მწერლობაშიც მოხვდა[2].

ანტონ რავახის დასახელებული ვერსიების შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველად ამ ძეგლით დაინტერესდა პ.პეეტერსი. 1912 წელს მან გამოაქვეყნა „ანტონის წამების“ არაბული და ეთიოპური ვერსიები. არაბული ვერსია გამოსცა გვიანდელი, XVII საუკუნის ბეირუთის ხელნაწერის მიხედვით (Bairut 625)[3]. ტექსტების შედარებითი შესწავლის საფუძველზე მისთვის ნათელი გახდა, რომ ეთიოპური ვერსია თარგმნილია არაბულიდან, ოღონდ არა ბეირუთის ხელნაწერში დაცული ტექსტიდან, რომელიც ეთიოპურ ტექსტთან შედარებით უფრო მოკლე და ნასწორები აღმოჩნდა. საერთოდ, მისი აზრით, „წამების“ ტექსტი ისტორიულ სინამდვილეს ნაკლებად შეესაბამება. იგი საკმაოდ გაყალბებულია და ამასთანავე მასში ჩართულია სხვა წყაროებიდან გამოკრებილი სასწაულები და ლეგენდები, მაგალითად, წმ. გიორგის კულტთან დაკავშირებული და სხვ[4]. მისთვის ფაქტობრივად ისტორიული რეალობა იყო მხოლოდ თვით პერსონაჟის არსებობა და

---

[1] Sydney H. Griffith, The Arabie account of ʿAbd al-Masīḥ an-Nağrānī al-Ghassānī, Arabic Christianity in the Monasteries of Ninth – Century Palestine, X, Variorum 1992, p. 332.

[2] მიქელ სირელი თავის „ქრონიკაში“ მოკლედ აღწერს ანტონის ისტორიას. ბარჰებრაუსი მიქელ სირელის მონათხრობის რეზიუმეს იძლევა. ქალკედონურ ეკლესიაში ანტონის ხსენების დღე X საუკუნიდან დასტურდება. ალ-ბირუნის კალენდარში, რომელიც ხუარაზმისა და იერუსალიმის ეკლესიების პრაქტიკას ასახავს, წმინდანი 29 დეკემბერს იხსენიება. კარშუნით ნაწერი მავრიტანული სვინაქსრის მიხედვით (Vat. ar. 243), რომლის ორიგინალი საბაწმიდას უნდა უკავშირდებოდეს, მისი ხსენების დღე 24 დეკემბერია. თვლიან, რომ ანტონის კულტი სირიულ-ქალკედონური ეკლესიიდან გადავიდა ქართულ ეკლესიაში, რომელიც მას იხსენიებს 18 იანვარს (Sin. 62) ან 19 იანვარს (Ath 8 (57), Sin 71, 59, 64, H 2338), იხ. I.Dick, La Passion arabe de S. Antoine Rawah néomartyr de Damas (+ déc. 799), La Museon, LXXIV, 1-2, 1961, p. 109, 110 ; Le cálendrier palestino-géorgien du sinaiticus 34 (X siècle), éd. G. Garitte, Bruxelles, 1958, p.136.

[3] P.Peeters, S. Antoine le néomartyr, Analecta Bollandiana, 1912, XXXI, გვ. 410-422.

[4] იქვე, გვ. 413.

ისლამიდან განდგომის შედეგად ჰარუნ არ-რაშიდის მიერ მისი სიკვდილით დასჯის ფაქტი[5]. პ.პეეტერსმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ხელი არ მიუწვდა „ანტონ რავახის წამების“ ქართულ ვერსიაზე, რომელსაც, მისთვის ცნობილი ინფორმაციის მიხედვით, შეიცავდა ნ.მარის მიერ X საუკუნით დათარიღებული ათონური ნუსხა – Ath. 8 (57). მისი აზრით, ქართული ვერსია შესაძლოა, თავდაპირველი, "ფუნდამენტური", ტექსტის შემცველი ყოფილიყო. ასეთი ვარაუდის საფუძველს მას აძლევდა, როგორც თვითონ აღნიშნავდა, ქართული ვერსიის შედარებითი სიძველე და ის „გონივრული სიზუსტე, რომელიც გამოარჩევს ძველ ქართველ მთარგმნელებს“[6].

1914 წელს ი.ყიფშიძემ გამოაქვეყნა „ანტონ რავახის წამების“ ქართული ვერსია რუსული თარგმანითურთ, რომელიც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, „ავტობიოგრაფიას“ წარმოადგენს – პირველ პირშია დაწერილი. მესამე პირშია დაწერილი მხოლოდ თხრობის ბოლო ნაწილი – ანტონის საუბარი ჰარუნ არ-რაშიდთან და მისი აღსასრული. „ავტობიოგრაფიასთან“ ერთად ი. ყიფშიძემ გამოაქვეყნა ანტონის მშვენიერი საგალობელიც[7], რომელიც, როგორც თვითონ აღნიშნავს, „მხოლოდ ქართულ მასალაში დასტურდება და სავსებით შესაძლებელია, ქართული ჰიმნოგრაფის შემოქმედების ნაყოფი იყოს“[8]. „ავტობიოგრაფიის“ ტექსტის გამოცემისათვის მან გამოიყენა X საუკუნის ხელნაწერები: Ath. 8 (57) და თავნაკლული Sin. 62, საგალობელი გამოსცა H 2338 ხელნაწერის მიხედვით. ტექსტებს ი.ყიფშიძემ დაურთო საკმაოდ ვრცელი და მნიშვნელოვანი ფილოლოგიურ-ისტორიული ხასიათის გამოკვლევა[9], რომლის მხოლოდ ერთ ადგილს დავიმოწმებთ ამჯერად, კერძოდ, ტექსტის ზოგად შეფასებას. „ძნელი სათქმელია, – წერს იგი, – რომელი ენიდან არის შესრულებული ქართული თარგმანი. თარგმანის ენა შესანიშნავია და თითქმის არ იძლევა მასალას მისი ორიგინალის შესახებ მსჯელობისათვის"[10]. ამასთანავე მან ტექსტში დააფიქსირა ზოგიერთი საკუთარი სახელისა და სპეციფიკური ტერმინის, როგორიცაა „ამირა“, სირიულ-არაბული ფორმები, მაგრამ კონკრეტულ წყაროზე მითითებისაგან თავი შეიკავა[11].

ი.ყიფშიძის ნაშრომს იმავე 1914 წელს გამოეხმაურა პ.პეეტერსი სტატიით: „ახალი მარტვირის, წმ. ანტონის ავტობიოგრაფია“[12]. ამჯერად მან მარტვირის ქართული „ავტობიოგრაფია“ შეუდარა არაბულ „ავტობიოგრაფიას“, რომელიც შემოგვინახა ერთადერთმა, ვატიკანში დაცულმა, XIV საუკუნის ხელნაწერმა – Vat. ar. 175. ხელნაწერი, სამწუხაროდ, ბოლონაკლულია – წყდება ანტონის ალეპოში ჩაყვანის ეპიზოდზე, საიდანაც იგი შემდგომში ქ.რაკაში იქნა გადაყვანილი.

პ.პეეტერსის ძირითადი დასკვნები შემდეგია: არაბული „ავტობიოგრაფია“ შექმნილია წამების ტექსტის საფუძველზე[13]; იგი ისევე შეცვლილი და გადაკეთებულია, როგორც წამების ტექსტები (გულისხმობს ორიგინალს და მის პირველ გადამუშავებასაც – რ.გ.)[14]; „ავტობიოგრაფიის“ ქართული ვერსია არაბულიდან მომდინარეობს, ოღონდ არა ვატიკანურ ხელნაწერში დაცული „ავტობიოგრაფიის“ ტექსტიდან. მიუხედავად ამისა, როგორც იგი აღნიშნავს, ეს არაბული „ავტობიოგრაფია“ „იმ სახით, რა სახითაც არსებობს, საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ქართული ვერსია საკმაოდ ზუსტად ასახავს არაბულ რედაქციას, განსხვავებულს იმისგან, რასაც გავეცანით“ (ანუ განსხვავებულს ვატიკანური რედაქციისაგან – რ.გ.)[15]. ამასთან დაკავშირებით პ.პეეტერსმა ქართულ ტექსტში ზოგიერთ, რამდენადმე სიმპტომატურ მომენტზე გაამახვილა ყურადღება[16]. ამასთანავე იგი მთლიანად არ

---

[5] იქვე, გვ. 421.
[6] იქვე, გვ. 414.
[7] И.А. Кипшидзе, Житие и мученичество св. Антония Раваха, Христианский Восток, т. II, в. 1, ტექსტები, გვ. 80 – 104.
[8] იქვე, გვ. 61.
[9] იქვე, გვ. 54-80.
[10] იქვე, გვ. 61
[11] იქვე.
[12] P.Peeters, L'autobiographie de S.Antoine le néomartyr, Analecta Bollandiana, XXXII, 1914, pp. 52-63.
[13] იქვე, გვ. 59.
[14] იქვე, გვ. 58.
[15] იქვე, გვ. 57.
[16] იქვე, გვ. 53, სქ. 2.

გამორიცხავდა „ანტონის წამების" თავდაპირველად სირიულ ენაზე შესაძლებლობაც[17].

1961 წელს ი.დიკმა ანტონ რავახის „წამების" არაბული ვერსიის ახალი გამოცემა განახორციელა პ.პეეტერსის მიერ გამოქვეყნებულ XVII საუკუნის ხელნაწერთან შედარებით გაცილებით ადრეული სინური ნუსხების მიხედვით[18]. ამ ნუსხათაგან ერთი – Sin. ar. 513 X საუკუნისაა, დანარჩენები კი – Sin. ar. 445 და Sin. ar. 448 XIII საუკუნით თარიღდება. ყველა ეს ხელნაწერი ერთი რედაქციის აღმოჩნდა. ადრეულ ხელნაწერთაგან ი.დიკს გამოუყენებული დარჩა მხოლოდ X-XI საუკუნეების ბრიტანეთის მუზეუმის ნუსხა – Br. Mus. or. 5019, მაგრამ ისიც, როგორც ეს ჩვენს მიერ მისი შესწავლის შედეგად გაირკვა, სინური ხელნაწერების რედაქციულ ჯგუფს განეკუთვნება. „წამების" რამდენიმე დანარჩენი ხელნაწერი გვიანდელია[19]. ასე რომ, „ანტონ რავახის წამების" მოღწეული ადრეული ხელნაწერების ტექსტი ამჟამად ცნობილია.

ი.დიკმა გამოცემის წინ წამძღვარებულ გამოკვლევაში გაიმეორა ქართულ და არაბულ ავტობიოგრაფიებთან დაკავშირებული პ.პეეტერსის ზემოთ მოყვანილი დასკვნები[20]. მისი შრომის პათოსი ძირითადად იქითკენ არის მიმართული, რომ, პ.პეეტერსისაგან განსხვავებით, უფრო მეტად წარმოაჩინოს „წამების" ტექსტის გარკვეული ისტორიული ღირებულება და არა მისი ნაყალბეობა და პლაგიატობის ფაქტები. ამასთანავე არაბული ტექსტის მოშველიებით იგი ასწორებს ეთიოპური თარგმანის ზოგ უზუსტობას.

ი.დიკი ანთროპონიმების იდენტიფიკაციას ახდენს ცალკეულ პიროვნებებთან, სკრუპულოზურად იკვლევს ტექსტში დახახელებულ ფაქტებს და მოვლენებს და მათ რეალობას წარმოაჩენს. ზოგან ქართულ ტექსტსაც უთითებს არაბულ ტექსტთან მისი სიახლოვისა და განსხვავებების შემთხვევაში[21]. მსგავსი მეთოდი აქვს გამოყენებული ი.ყიფშიძესაც ქართული „ავტობიოგრაფიის" კვლევისას, რის შედეგადაც იგი ასკვნის, რომ თუ მხედველობაში არ მივიღებთ ლეგენდებს სასწაულების შესახებ, მაშინ ჩვენ წარმოგვიდგება ანტონ რავახის ცხოვრების მეტ-ნაკლებად რეალური სურათი[22]. ფაქტობრივად ახეთივეა ი.დიკის დასკვნაც: „ასეა თუ ისე, „წამებას" ჩვენ უფრო მეტ ისტორიულ ღირებულებას ვანიჭებთ, ვიდრე პ.პეეტერსი"[23].

ანტონ რავახის „წამების" ქართული ვერსიით დაინტერესებული იყო ილ. აბულაძე. იგი მისი დამატებითი შესწავლის მოსურნეც იყო, რასაც პირად საუბარში ავლენდა. ამის საფუძველს მას, ალბათ, აძლევდა პ.პეეტერსის მიერ მოყვანილი მაგალითების ეროვნული სიმცირე, რაც თავისთავად სავსებით ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენდა. როგორც ი.ყიფშიძეც აღნიშნავდა, ქართული ვერსია შესანიშნავი ქართულითაა დაწერილი და მასში დედნის ენაზე მიმანიშნებელი მომენტები, კერძოდ, სიმპტომატური არაბიზმები ფაქტობრივად არც გვხვდება.

ამჟამად ჩვენ ხელთ აღმოგვაჩნდა „ანტონ რავახის წამების" შემცველი ბრიტანეთის მუზეუმის X-XI საუკუნეების ხელნაწერის მიკროფილმი, ინგლისიდან გამოწერით მიღებული; ვატიკანის ხელნაწერის ფოტოპირები, გაშურაიას დახმარებით მოპოვებული, რის გამოც ჩვენ მას დიდ მადლობას ვუხდით. ასევე ხელი მიგვიწვდა გამოცემულ ტექსტებზეც. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ ჩვენც შეგვეკვრებინა ერთმანეთისათვის ქართულ-არაბული ტექსტები და ამით ილ. აბულაძის სურვილიც შეგვესრულებინა, ღღონდ, სამწუხაროდ, დაგვიანებით.

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ დახახელებულ ვერსიათა შესწავლის საფუძველზე ძალაში რჩება პ.პეეტერსის მოსაზრება ანტონ რავახის ქართული „ავტობიოგრაფიის" არაბულიდან მომდინარეობის შესახებ. მაგრამ ჩვენ მაინც მიზანშეწონილად მივიჩნიეთ რამდენადმე უფრო თვალსაჩინოდ წარმოგვეჩინა მათი ურთიერთმიმართების სურათი და აღნიშნულ მოსაზრებასთან დაკავშირებით კიდევ ერთი, ლოგიკური ხასიათის არგუმენტიც მოგვეტანა.

---

[17] P.Peeters, S. Antoine le néomartyr, გვ. 413.
[18] I.Dick, დახახ. ნაშრომი, გვ. 109-133.
[19] G.Graf, Geschichte der christlichen arabischen Literatur, Studi e Testi 118, Bd. I, Città del Vaticano, 1944, S. 524.
[20] I.Dick, დახახ. ნაშრომი, გვ. 111.
[21] იქვე, გვ. 113, 114.
[22] И.М.Кипшидзе, დახახ. ნაშრომი, გვ. 60.
[23] I.Dick, დახახ. ნაშრომი, გვ. 114.

ქართული „ავტობიოგრაფია“, შეიძლება ითქვას, სრულიად განსხვავდება „წამების“ არაბული ტექსტებისაგან, მიუხედავად მათ შორის არსებული გარკვეული დამთხვევებისა. გარდა იმისა, რომ თხრობა სხვადასხვა პირშია წარმართული, საერთოდ განსხვავებულია თხრობის საერთო ხაზი, სტილი, ფრაზეოლოგია. ქართულში დამატებული ან დაკლებულია ცალკეული ადგილები და სხვ. ქართული „ავტობიოგრაფია“ რედაქციულად სხვაობს არაბული „ავტობიოგრაფიისაგანაც“, მაგრამ მთლიანობაში მიჰყვება მას და რიგ შემთხვევებში ისინი ერთნაირ განსხვავებებს გვიჩვენებენ „წამების“ ტექსტებთან შედარებით. მოვიყვანთ ორიოდე მნიშვნელოვან მაგალითს. ორივე „ავტობიოგრაფიას“ წამძღვარებული აქვს პროლოგი, რომლის მსგავსი რამ „წამების“ ტექსტებში არ დასტურდება. ფაქტობრივად ეს არის ანტონის აღტაცებული და მადლიერებით აღსავსე მიმართვა ღმრთისადმი, რომელმაც იგი სწორი გზით წარმართა; „ავტოგრაფიების“ დასაწყისში, „წამების“ ტექსტებისაგან განსხვავებით, მთხრობელი მხოლოდ თავის სახელს გვამცნობს და არაფერს ამბობს თავის წარმომავლობასა და ნათესაურ კავშირზე ჰარუნ არ-რაშიდთან. ეს უკანასკნელი საერთოდ არ სახელდება – იხსენიება მხოლოდ მისი ოფიციალური ტიტულები: „ამირა მუმნი“ (93, 34; 94, 21-22) ანუ „ამირ ალ-მუʹმინῖნ“ (მართლმორწმუნეთა ამირა), „მეფჱ იგი სარკინოზთაჲ“ (95, 31-32) ან უბრალოდ „მეფჱ“ (96, 2, 11, 19 ...). ქართულ ვერსიაში გარკვეულ მინიშნებას ანტონის მეფურ წარმომავლობაზე მხოლოდ ტექსტის ბოლოს და საგალობელში ვხვდებით[24]. აღნიშნული ფაქტი უცნაური ჩანს, მაგრამ თავისთავად ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის (766-809) მონაწილეობა ანტონ რავახის ისტორიაში მნიშვნელოვანია. იგი ანტონის სიკვდილით დასჯის თარიღის დადგენის შესაძლებლობას იძლევა. კონტექსტისა და ჰარუნ არ-რაშიდთან დაკავშირებული სხვადასხვა დეტალების გათვალისწინების შედეგად მისი სიკვდილით დასჯის თარიღად მკვლევართა მიერ მიჩნეულია 799 წლის დეკემბერი[25]. აქედან გამომდინარე, „წამების“ დაწერის თარიღი IX-X საუკუნეებშია საძიებელი. მისი უადრესი ხელნაწერი ხომ X საუკუნისაა ?! „ავტობიოგრაფიის“ ორივე ვერსიაში „წამების“ ტექსტისაგან ერთნაირად განსხვავებულ კიდევ ზოგიერთ ადგილს ვხვდებით. თვით ამ ვერსიათა ურთიერთმიმართება კი უფრო კონკრეტულად ძირითადად ასე წარმოგვიდგება: ისინი ერთმანეთთან ახლოს მდგომ ტექსტებს შეიცავენ და ძალიან სხვაობენ „წამების“ ტექსტებისაგან. მაგრამ ქართული „ავტობიოგრაფია“ რამდენადმე უფრო ვრცელია. მასში დამატებით დასტურდება ცალკეული ფრაზები და პასაჟები, რომელთა კვალიფიცირება ზოგადად შემდეგნაირად არის შესაძლებელი. ეს დამატებები უმთავრესად რიტორიკული ხასიათის წიაღსვლებია ან ცალკეული ფაქტების განმარტებასა და აქცენტირებას ემსახურება, რის შედეგადაც ქართული ტექსტი შთამბეჭდავი და საზეიმოა. მასთან შედარებით არაბული ვერსია უფრო მშრალია, მაგალითად: ანტონს არაფრად ჩაუგდია წმ. თევდორეს ღამით ხილვა: „მე არად შევჰრაცხე ჩუენებაჲ იგი მის ღამისაჲ“ (85, 30-31) – لم يهولنی شيا مما كنت رايت فی ليل . (118 r). არაბული აქ მთავრდება. ქართულში კი ამ ფრაზას ახსნა მოსდევს: „ორგულებისა მისგან და თავჴედობისა, რომელი მაქუნდა სიჭაბუკისა სილაღითა“; ანტონი მონათვლამდე უარს ამბობს მთელ თავის ქონებაზე. არაბულ ვერსიაში მარტივადაა თქმული: فابعت كلما كنت ملكه (119 r) – „გავყიდე ყველაფერი, რასაც ვფლობდი“. ქართულში ეს ფაქტი კომენტირებულია: „დაუტევე ყოველი მონაგები ჩემი და იყო იგი დიდი ფრიად და შეურაცხ ვყავ ყოველი საფასჱ ჩემი, რომელი იყო მრავალ, ვითარ იგი უწყის ქრისტემან“ (87, 1-4) და სხვ.

ქართულში ცალკეული ადგილები და ფრაზები შელამაზებულია, მაგალითად, შდრ. არაბ. فاظهر المسيح الی مودته (121r) – „გამომიცხადა მე ქრისტემ სიყვარული მისი“ და ქართ. „გამომიცხადა მე ქრისტემან სახიერებაჲ თჳსი და მაუწყა მე სიტკბოებაჲ თჳსი და სიყვარული, რომელი სათნო იყო ჩემდა მომართ“ (92, 10-13); შდრ. აგრეთვე არაბ. اقبل منهم جماعة بقربانهم فی صوانی وشرابهم فی كؤوس (117r) – „გამოემართა მათგან კრებული თავისი შესაწირავით სინებზე და თავისი ღვინით თასებში“ და ქართ. „მრავალნი მღდელნი

[24] სარკინოზთა მეფე ეკითხება ანტონს: „და ხარ შენ ნათესავი მოდგამი ჩვენი“; „რაჲ ესე შეამთხუე თავსა შენსა, რამეთუ დაუტევე მეფეთა ნათესაობაჲ და მთავრობისა შუენიერებაჲ“, იხ. И.Я. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი, ავტობიოგრაფია, გვ. 95, 96; საგალობელი, გვ. 103.

[25] I.Dick, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

შემოვიდეს, რომელთა მოაქუნდა შესაწირავი იგი მათი ლანკებითა სპილენძისაჲ და ბრპენისაჲთა და აგრეთვე ღვინოჲ იგი შესაწირავისაჲ ბარძიებითა" (82, 14-18) და სხვ.

ქართულში ცალკეული ადგილები პერიფრაზირებულია, მაგრამ აზრი ორივეგან ერთია. ზოგიერთი ადგილები პირიქით – თითქმის ზუსტად მისდევს ერთმანეთს უმნიშვნელო სტილისტური ცვლილებებით, მაგალითად, შდრ. არაბ.

قد اذيت هيكل المسيح بخريقك نيأب مذبحه وكسرك صليبه واستهزاك النتصرنية فى كل حين (118v) – „შენ შეურაცხყავი ქრისტეს ტაძარი შენს მიერ მისი საკურთხევლის სამოსის დახევით და მისი ჯვრის ტეხვით და ქრისტიანობის გაკილვით მარად ჟამს" და ქართ. „აღგიშფოთებიეს ტაძარი ქრისტჱსი და აურვეს მყოფთა მისთა და შეურაცხ-გიყოფიეს და აგინებ საკურთხეველსა სიწმიდისა მისისასა დახევითა სამოსლისა მისისაჲთა და შემუსრვითა ჯუართა მისთაჲთა და ყოველსა ჟამსა ჰბასრობ შჯულსა ქრისტიანობისასა" (85, 16-22); შდრ. არაბ.

فجا السوجان وعاين مثل ما عاين غيره (121r) – „მივიდა ციხის მეთვალყურე და იხილა მსგავსი იმისა, რაც სხვამ იხილა" და ქართ. „და იგი მივიდა და იხილა თუალითა თჳსითა-ვითარ-იგი სხუათა მათ იხილეს" (92, 32-34); შდრ. არაბ.: فقلت لهم والله (118r) – „და ვუთხარი მათ: ვფიცავ ალაჰს" და ქართ. „ხოლო ფიცითა ვარქუ მათ" (84,2) და სხვ.

ყურადღებას იქცევს შემდეგი ფაქტი. არაბულ ტექსტში გამოყენებულია ხოლმე მიმართვის ფორმა: يا اخونى – „ო, ძმანო ჩემნო" (116 r, 117 v, 120 r, 121 r). ქართულში ზუსტად იმავე ადგილებში ვხვდებით ანალოგიურ მიმართვას, ოღონდ შორისდებულის გარეშე: „ძმანო ჩემნო" (81, 5; 82, 31; 88, 32; 92, 21). ერთგან ორივე ტექსტში ამ მიმართვას ერთნაირი ეპითეტი ახლავს : „ძმანო ჩემნო ქრისტჱს მიერ (85, 6-7) – يا اخونى فى المسيح (118 r).

ზოგიერთ ფრაზას და გამოთქმას, მათ შორის სპეციფიკურ არაბულს, კარგად აქვს მისადაგებული შესატყვისი – თითქმის ზუსტი ან ვარიანტული, ასე ეთქვათ, კარგად არის გაჭართულებული, მაგალითად: ودع ما انت فيه (119r) – „განაგდე შენგან, რაშიც ხარ", შდრ. „მოიძულე ამიერითგან სიცბილი ეგე, რომელსა შინა განყრდილ ხარ" (86,17-18); لا تعود الى شى مما كنت تفعله – ნუ დაბრუნდები იმისკენ, რასაც აკეთებდი", შდრ. „ეკრძალე თავსა შენსა და ნუღარა შესძინებ ესეეითარისა ყოფად" (85, 26-28); ما قرينا اليوم الا مثل كل يوم (118r) – „არ შეგვიწირავს დღეს (არაფერი), თუ არა მსგავსი ყოველი დღისა", შდრ. „არარაჲ შეგწირეთ თჳნიერ მისსა, რომელ- იგი სხუათა მათ დღეთა შეგწირეთ" (84, 27-29) და სხვ.

ასევე ვხვდებით ცალკეული არაბული ტერმინების სწორ და გააზრებულ შესატყვისებს, მაგალითად, قاض (120 v, 121r) – „მსაჯული" (91, 20; 93, 5), سجان (121r) – „მესაპყრობილეთ მოძღუარი" (92, 31-32), ანუ „მეციხოვნე", اهل الحبس (121r) – „შეყენებულნი" (92, 30), ანუ „პატიმრები", არაბულის სიტყვა-სიტყვითი თარგმანით – „ციხის ხალხი".

საინტერესო ჩანს ერთი დეტალი. თავისი სახლის სარკმლიდან, რომელიც წმ. თევდორეს ეკლესიის მოპირდაპირე მხარესაა, ანტონი თვალს ადევნებს მსხვერპლთშეწირვის საზეიმო ლოცვას. იგი ხედავს ეკლესიაში შესაწირავად მოყვანილ კრავს და მის ზემოთ მოფარფატე მტრედს. არაბულ და ქართულ თხრობებში „კრავი" და „მტრედი" რამდენჯერმე იხსენიება, ორჯერ – ეპითეტებით. არაბულში ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე ეპითეტია فنظرت عينى خروف ابيض شديد البياض وفوقه حمامة ابيض شديد البياض ترفرف ساعة الى الخروف نحاسارى (117v) – „ვიხილე ჩემი თვალით *კრავი თეთრი, ძლიერი სითეთრის* და მის ზევით მტრედი *თეთრი ძლიერი სითეთრის,* რომელიც რამდენიმე ხანს დაფარფატებდა კრავს" (117 v). მეორე

შემთხვევაშიც „კრავი“ და „მტრედი“ არიან *„თეთრი, ძლიერი სითეთრის“* – البيض شديد البياض

(118 ვ). ქართულში იგივე შინაარსი უფრო გამართულად და ხატოვნადაა გადმოცემული – სიტყვა-სიტყვითი თარგმანი ქართულ ტექსტს, რასაკვირველია, არ მიესადაგებოდა: „ვიხილე მე თუალითა ჩემითა ... კრავი ერთი და ზედა კერძო მისსა ტრედი ერთი *სპეტაკი ფითარცა ბრწყინვალებაჲ ულეველსა*, რომელი ამწერობდა ფრთითა თუსითა ზედა კრავსა ჟამ ერთ“ (82, 24-30). მეორე შემთხვევაშიც დაახლოებით იგივე დახასიათებებია მოცემული: „ვიხილე ლანგანსა მას ზედა მესამესა კრავი ერთი *დიდად სპეტაკი* და ზედა კერძო მისსა ტრედი ერთი *ფრიად ბრწყინვალე*ჲ“ (84, 5-8).

საერთოდ ქართული თარგმანი მაღალ პროფესიულ დონეზეა შესრულებული. აქ ჩანს სათარგმნი ტექსტის სიღრმისეული წვდომა, მისდამი შემოქმედებითი მიდგომა, სიტყვის გრძნობა და გემოვნება. მაგრამ ამ მშვენიერ თარგმანში ერთ შემთხვევაში, ჩვენის აზრით, გარკვეულ ნონსენსთან მაინც უნდა გვქონდეს საქმე. ორივე „ავტობიოგრაფიაში“ სახელდება „მკვდარი ზღვა“. არაბულ ტექსტში რატომღაც იგი იხსენიება როგორც „მკვდრის ზღვა“ – بحر الميت (120 ვ), რაც აზრობრივად არ არის სწორი. ქართულში ზუსტად ასევეა: „ზღუა მკუდრისა“ (89). ეს არაბულის კალკია. სხვათაშორის „წამების“ ტექსტში ამ ზღვის ჩვეულებრივი სახელწოდება იკითხება, ოღონდ კნინობითი ფორმით: البحر الميتة – პატარა მკვდარი ზღვა (123, 7).

მთლიანობაში ქართული ტექსტი არაბული კოლორიტითაა გაჟღენთილი. მოქმედების ადგილი არაბეთია. ცალკეული ტერმინები და საკუთარი სახელები არაბული ფორმითაა წარმოდგენილი: ამირა (95, 5), ამირა მუმნი (93, 34; 94, 21) ანუ ამირ ალ-მუ'მინინ (მართლმორწმუნეთა ამირა), მაჭა (97, 8) – მეჭა, ჰალაბი (94, 25; 95, 1) – ალეპო, შამი (91, 8)– სირია, ჰართამა (95, 4) – ქ. რაკას გამგებელი[26]. იხსენიება ყურანი და მისი სურები. ანტონის ისლამისაგან განდგომით აღშფოთებული სარკინოზთა მეფე ანუ ჰარუნ არ-რაშიდი ასეთ კითხვებს უსვამს მას: „ყურანი არა გისწავიესა?“ (96, 16), „არა გაგსწავლა, რაჲ- იგი წერილ არს სურასა მას კურანისასა?“ (96, 19 და 20).

ყოველივე აღნიშნული, ვფიქრობთ, უთუოდ ამყარებს პ.პეეტერსის დასკვნას ანტონ რავახის „ავტობიოგრაფიის“ ქართული ვერსიის არაბული ვერსიიდან მომდინარეობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით გარკვეულწილად მნიშვნელოვანი უნდა იყოს აგრეთვე „ანტონ რავახის წამების“ წყარო ენის საკითხის გათვალისწინებაც. პ.პეეტერსი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, არ გამორიცხავდა თავდაპირველი ტექსტის სირიულ ენაზე დაწერის შესაძლებლობას. ა. ერჰარდის ვარაუდით, „წამება“ თავდაპირველად ბერძნულ ენაზე უნდა შექმნილიყო, თუმც ამის დამადასტურებელი საბუთები არ ჩანს. პ.პეეტერსმა ძალიან კორექტულად, მაგრამ აშკარად გამოხატა სკეპტიციზმი აღნიშნული ვარაუდის მიმართ[27]. პ.პეეტერსის საბოლოო დასკვნა ასეთია: „დღეს-დღეობით არაფერი არ ადასტურებს იმას, რომ არაბული „წამება“ სხვა ენიდანაა თარგმნილი“[28]. ამჟამად ქრისტიანული არაბული ლიტერატურის მკვლევართა მიერ „ანტონ რავახის წამება“ არაბულ ორიგინალურ თხზულებად არის მიჩნეული. მას აკუთვნებენ არაბული ორიგინალური ჰაგიოგრაფიული თხზულებების იმ მცირე ჯგუფს, რომლებშიც ხალიფატში წამებული წმინდანების ცხოვრებებია აღწერილი[29]. ამდენად ლოგიკურია, რომ ქართველებს „ანტონ რავახის წამების“ თავიანთ ენაზე თარგმნა მხოლოდ არაბული წყაროდან უნდა განეხორციელებინათ[30].

---

[26] შდრ. هرثمة ი. დიკის გამოცემაში, გვ. 125, 7.

[27] P.Peeters, L' autobiographie de S. Antoine le néomartyr, გვ. 59, სქ. 5.

[28] იქვე, გვ. 59.

[29] Sidney H. Griffith, The Arabic account of 'Abd al-Masīh an-Nağrānī al-Ghassānī, p. 332, 343.

[30] თუნდაც რომ არსებულიყო „ანტონ რავახის წამების“ თავდაპირველი სირიული ტექსტი, მისი ქართულად თარგმნა მაინც ნაკლებად სავარაუდოა. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ეს ძეგლი IX-X საუკუნეებში უნდა შექმნილიყო. IX-X საუკუნეები ქრისტიანული არაბული მწერლობის აყვავების და სირურ-პალესტინურ რეგიონში არაბულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების ინტენსიური განვითარების ხანაა. აღნიშნულ რეგიონში და აღნიშნულ პერიოდში, როგორც ცნობილია, არაბული ენა ფაქტობრივად ცვლის სირიულ ენას და თვით სირიელებიც არაბულად იწყებენ წერას.

„ანტონ რავახის ავტობიოგრაფიის“ ჩვენს ხელთ არსებული არაბული ვერსია ქართული ვერსიის textus receptus-ს, რასაკვირველია, არ წარმოადგენს, მაგრამ საფიქრებელია, მათ საერთო არაბული წყარო ჰქონოდათ, რომელთანაც უფრო ახლოს ქართული ვერსია უნდა მდგარიყო. ამას გვაფიქრებინებს ქართული ვერსიის ზოგიერთი განსხვავებებიც არაბული ვერსიისაგან, რომლებსაც პარალელები ეძებნება „წამების“ ტექსტში[31], რომლის საფუძველზეც, როგორც ჰ.პეეტერსი მიიჩნევს, შეიქმნა „ავტობიოგრაფია“. თუმცა ამასთანავე არც ის არის გამორიცხული, რომ გარკვეული ნაწილი ქართულ ვერსიაში დადასტურებული განსხვავებებისა შესაძლოა, ქართველი მთარგმნელის შემოქმედების შედეგი იყოს. ქართული ვერსიის ადრეულ არაბულ წყაროსთან მეტ სიახლოვესთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია მისი სიძველეც. ქართული „ავტობიოგრაფიის“ შემცველი ადრეული ხელნაწერები ქრონოლოგიურად რამდენიმე საუკუნით წინ უსწრებს არაბული „ავტობიოგრაფიის“ ხელნაწერს და „წამების“ ადრეული, X საუკუნის ხელნაწერების რიგში დგება. ამით ისიც აშკარა ხდება, რომ ანტონ რავახის არაბული „ავტობიოგრაფია“ ადრეული შექმნილი, რაც მისი ქართული ვერსიის მნიშვნელობას ზრდის.

ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტში მომზადებულია „ანტონ რავახის ავტობიოგრაფიის“ ქართული ვერსიის ახალი გამოცემა, როგორც საერთოდ კიმენური ტექსტებისა. გამოცემა მომზადებულია ერთი რედაქციის ტექსტის შემცველი ხელნაწერების მიხედვით. ეს ხელნაწერებია: Ath 8 (57, - X ს.) 107 r – 115 v, Sin 62 (X) 1r – 7r, და Sin 71 (XIII) 57r - 67v. გაუთვალისწინებელი რჩება მხოლოდ ერთი ხელნაწერი - Q 843 (107r – 115v), მაგრამ იგი ძალიან გვიანდელია, 1837 წლისაა, და მთლიანად მისდევს Ath 8 (57) ხელნაწერს. საყურადღებო ჩანს ის გარემოება, რომ ადრეული სინური და ათონური ხელნაწერები, Sin 62 და Ath. 8 (57), განეკუთვნება ერთსა და იმავე საუკუნეს, კერძოდ, X-ს. თავისთავად ეს ფაქტი შედეგია სხვადასხვა რეგიონების ქართულ სამწიგნობრო კერებს შორის არსებული მჭიდრო ურთიერთობებისა. მაგრამ ამასთანავე იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთ-ერთი საბუთი ქართველთა დაინტერესებისა ქრისტიანული არაბული მწერლობით და ამის შესაბამისად მათი სურვილისა რომ ქართულად თარგმნილიყო და დაუხანებლად გავრცელებულიყო ამ მწერლობის ძეგლები, მით უფრო, რომ მსგავსი ფაქტები კიდევ გვხვდება. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ისიც, რომ ხელნაწერი Ath. 8 (57), გარდა „ანტონ რავახის ავტობიოგრაფიისა“, შეიცავს არაბულიდან ქართულად თარგმნილ პალესტინური წარმოშობის კიდევ სხვა ადრეულ ძეგლსაც, კერძოდ, „სინა-რაითის წმ. მამათა მოსრვას“.

---

[31] მაგალითად, ქართულ „ავტობიოგრაფიაში“ ანტონი მონათლის წინ თავის ქორებას ტოვებს: „დაუტევე ყოველი მონაგები ჩემი“ (87, 1-2). არაბული „ავტობიოგრაფიის“ მიხედვით იგი თავის ქორებას ყიდის – فابعث كلما كنت ملكه (119 r). არაბული „წამების“ ტექსტში ანტონი ქართულისამებრ ყველაფერს ტოვებს და არ ყიდის – وترك كل ما كانله (122, 5), ქართული „ავტობიოგრაფიის“ მიხედვით, ანტონმა ძიღში იხილა „მოწამე თვდორე ალჭურვილი საჭურველითა მჭედართაითა“ (85, 13-15). არაბულ ავტობიოგრაფიაში ანტონმა მოწამე იხილა უბრალოდ ალჭურვილი رايت القديس ثادرس مسلحا (118v). წამების ტექსტში ორივე მომენტი გაერთიანებულია. აქ წმ. თეოდორე ცხენზე ამხედრებულია და შეიარაღებულია: ثيادرس راكب على متسلح (122, 4) და სხვ.

# ЕЩЕ РАЗ ОБ «АВТОБИОГРАФИИ АНТОНА РАВАХА»


## Р Е З Ю М Е

Ныне известны разные версии «Мученичества Антония Раваха»: арабская, эфиопская и грузинская. Некоторые из них написаны в форме автобиографии, а именно: одна арабская версия, сохранившаяся в ватиканской рукописи XIV века – Vat. ar.175 и грузинская, дошедшая до нас несколькими рукописями, среди которых две, Sin. georg. 62 и Ath.georg. 8 (57), датируются X веком. Впервые этим памятником заинтересовался П.Пеетерс. Помимо изучения памятника с исторической точки зрения, он установил арабское происхождение эфиопской версии «Мученичества Антония Раваха» и, на основании сличения арабской «Автобиографии» этого мученика с соответствующей грузинской версией, высказал мнение об ее арабском происхождении. Добавочное текстологическое и филологическое изучение арабской и грузинской версий «Автобиографии» вполне подтвердило мнение П.Пеетерса. Грузинская версия «Автобиографии Антония Раваха» является переводом арабской версии, однако не той, которой мы располагаем. Упомянутые арабская и грузинская версии созданы на основании ныне утраченного арабского текста «Автобиографии», который, судя по дате ранних грузинских рукописей, в X веке уже существовал.

ძეთევან ასათიანი

# "ნისომეს ცხოვრების" XII საუკუნის უცნობი ქართული ნუსხის შესახებ
## (წინასწარი ცნობები)

სალოსობის ინსტიტუტი აღმოსავლური ასკეტიზმის უკიდურესი გამოვლინების ფორმაა. იგი დაახლოებით III საუკუნის დასასრულიდან, ანუ მონაზვნობის ჩამოყალიბების სათავეებიდანვე ჩანს. თვითგვემისა და საკუთარი პიროვნების დათრგუნვის ამ მეტად მძიმე გზამ საკმაოდ გაიდგა ფეხი მაშინდელ ქრისტიანულ სამყაროში.

პირველმა სალოსმა მსოფლიო ლიტერატურაში ორი სახელით მოაღწია ჩვენამდე: „ლავსაიკონის" ტრადიციით მას ეწოდება ისიდორა, ხოლო მისი „ცხოვრების" მიხედვით, რომელიც ქართულადაც უთარგმნიათ – ნისომე[1].

ცნობა ნისომეს შესახებ ჯერ კიდევ IV საუკუნიდან ჩნდება. ყველაზე ძველი ავტორი, რომელიც მასზე მოგვითხრობს, ეფრემ ასურია[2]. მისი ავტორობით მოღწეული თხრობის სიუჟეტის მიხედვით, ეგვიპტის მეფის ასული ისიდორა, მშობლების გარდაცვალებისთანავე ტოვებს მამისეულ სახლ-კარს და უდაბნოში მიდის. ორმოცი წლის ასკეტური ცხოვრების შემდეგ, იგი უდაბნოდან ტაბენესეს დედათა მონასტერში მკვიდრდება, იქ სალოსის მოღვაწეობას იწყებს, ხოლო მას მერე, რაც პიტირიონის მეშვეობით, მისი ფარული ღვაწლი ცხადდება, იგი კვლავ უდაბნოს უბრუნდება და ამის შემდეგ აღარავინ იცისო მისი ასავალ-დასავალი.

ამავე თხრობას იმეორებს ოდნავ მოგვიანებით პალადი ჰელენოპოლელი „ლავსაიკონში"[3]. ამ ადრეული თხრობებისგან განსხვავებით, უფრო დიდი მოცულობისა და შედარებით ფართო შინაარსისაა მისი „ცხოვრება", რომლის მიხედვითაც ტაბენესეს მონასტრიდან უდაბნოში წასული ნისომა (ისიდორა) ოთხასი მეუდაბნოე მამის წინამძღვარი ხდება[4].

ამგვარი საინტერესო სიუჟეტის გამო, ეს ნაწარმოები მეტად პოპულარული ყოფილა ქრისტიანულ სამყაროში. კ. კეკელიძემ გამოსცა კიდევაც ეს ტექსტი X საუკუნის ხელნაწერის მიხედვით.[5] მანვე შეისწავლა ამ "ცხოვრების" მეტნაკლებად ღირებული ნუსხები და სამ – A, B, C რედაქციად დაყო ისინი. A რედაქციას ერთი ხელნაწერი მიაკუთვნა – A-249 (X-XI); B რედაქციას – A-146 (XIV), A-126 (1586 წ.) და A-161 (1738 წ.), ხოლო C რედაქციაში დააჯგუფა A-382 (XV), A- 518 (1708) და A-653 (XIX ს.).[6] უფრო დაწვრილებით შეისწავლა ხელნაწერთა ტრადიცია ნ. ფაქაძემ და დაასკვნა, რომ B რედაქციის ნუსხათა საფუძვლად A-146 უნდა მივიჩნიოთ, ხოლო C-სი – A-382.[7] სამივე ეს ხელნაწერი (მათ შორის A-249) "ცხოვრების" სრულ ტექსტს შეიცავს[8] (ნისომე ტაბენესეს მონასტრამდე, მონასტერში და მძოვართა წინამძღვარი).

სპეციალურ გამოკვლევაში კ. კეკელიძე ვარაუდობს, რომ "ნისომეს ცხოვრება", რომელიც ქართულად ნათარგმნი ჰაგიოგრაფიის ერთ-ერთ უძველეს ნიმუშს წარმოადგენს,

---

[1] ქართულ „ცხოვრებაში" ამ სახელის ორი ვარიანტი გვხვდება: ნისომე და ნისომა.

[2] К. Кекелидзе, Эпизод из начальной истории египетского монашества, წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VII, გვ. 81

[3] იქვე, გვ. 77.

[4] კ. კეკელიძე ნისომეს „ცხოვრებას" აკოპრიფებს შორის ასახელებს. იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.I, თბ., 1960, გვ. 450.

[5] კიმენი, ტ.I, გვ.202-214.

[6] К. Кекелидзе, Эпизод из начальной истории египетского монашества, წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VII, გვ. 92.

[7] ნ. ფაქაძე, „ნისომეს ცხოვრების" სირიული, არაბული და ქართული ვერსიები, თბილისი, 1983, გვ.46.

[8] იქვე, გვ. 29-30.

კოპტურიდან უნდა იყოს ნათარგმნი[9]. პ. პეეტერსი კი მას უფრო სირიულიდან მომდინარედ მიიჩნევს.[10] კ. კეკელიძისა და პ. პეეტერსისაგან განსხვავებული აზრი აქვს ნ. წაქაძეს. ის აღნიშნავს, რომ ქართული ვერსია იმდენად ზედმიწევნით ემთხვევა Sin-342-ის არაბულ ტექსტს, რომ მათ შორის ვარიანტული სხვაობებიც კი მისთვის საგანგებო კვლევის საგანი გამხდარა.[11] სხვაობათა შესწავლის შემდეგ მკვლევარი ასკვნის, რომ რიგ შემთხვევაში ვარიანტები არაბული სიტყვების პოლისემიურობით აიხსნება, ზოგჯერ კი ისინი მთარგმნელის მიერ არაბული გრამატიკული ფორმების აღრევითაა გამოწვეული. ნ. წაქაძე სამივე რედაქციისათვის ერთი არქეტიპის არსებობას უშვებს, რომლისაგანაც სამივე დამოუკიდებლად განვითარდა. მისივე აზრით, სინური ვერსია უნდა მომდინარეობდეს სირიულიდან: სირიულიდან ჯერ არაბულად ითარგმნა, არაბულიდან – ქართულად, ხოლო შემდეგ შეივსო „ეფრემ ასურის თხზულების იმ მონაკვეთის თარგმანით, რომელიც შეიცავს თხრობებს „ნისიმეს ცხოვრების" შესახებ[12]. ამგვარია ზოგადად საკითხის კვლევის ისტორია დღეისათვის.

სანამ „ნისიმეს ცხოვრების" ქართულ თარგმანს შევეხებოდეთ, აღვნიშნავთ, თუ რამ გამოიწვია ჩვენი დაინტერესება ამ საკითხით. საქმე ისაა, რომ 1949 წელს გ. ფერაძემ ვენაში ოთხი უმნიშვნელოვანესი ქართული ხელნაწერი აღმოაჩინა. ერთ-ერთ მათგანში, რომელიც მეოთხე ნომრად არის გატარებული და ჰაგიოგრაფიულ და ჰომილეტიკურ კრებულს წარმოადგენს, აღმოჩნდა "ნისიმეს ცხოვრების" კიდევ ერთი, მანამდე უცნობი, ნუსხა. ეს ხელნაწერი ჯერ არ გამხდარა მეცნიერთა შესწავლის საგანი.[13] მის შესახებ არც ზოგადი ცნობები მოგვეპოვება სპეციალურ ლიტერატურაში, ვინაიდან სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი იყო, რომ ნისიმეს „ცხოვრების" ქართული ტექსტი მხოლოდ ხელნაწერთა საქართველოში დაცულ კოლექციებში დასტურდებოდა, ასევე უორდროპების ქართულ ნუსხათა შორის.

„ნისიმეს ცხოვრების" ტექსტების როგორც ტექსტოლოგიურ-ენობრივი, ასევე იდეური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობის გამო აუცილებლად ჩავთვალეთ ამ შეუსწავლელი ნუსხის გადასინჯვა.

ხელნაწერს აქვს საოცრად ნატიფი ხელით შესრულებული საზედაო ასოები. პაგინაცია ახალი გაკეთებულია და ფურცლები რესტავრირებული. ზოგან ტექსტი აღდგენილია. "ცხოვრება" ლამაზი ხელითაა ნაწერი და შესანიშნავად იკითხება. ადგილ-ადგილ ტექსტი ჩამატებულია (სხვა ხელით), შესწორებაა შეტანილი, ამოშლილია აშკარად ზედმეტი ასოები. აქვს მინაწერები როგორც ხუცურად (238v), ისე მხედრულად (229r, 248v, 429v). ხელნაწერი გადაწერილია 1160 წელს დავით გარეჯის მონასტერში, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია.[14]

წმიდა ნისიმეს „ცხოვრების" ქართული ტექსტის მნიშვნელობას კ. კეკელიძე იმთავითვე უსვამდა ხაზს. იგი წერს, რომ ქართულ წყაროებში არის ისეთი ცნობები, როგორიც სხვა ენებზე უკვე აღარ შემორჩენილა[15]. არ არის მოღწეული ტექსტის ბერძნული ვერსია (ყოველ შემთხვევაში, ჯერ არ ჩანს). თუმცა მიუხედავად თარგმანის, მკვლევართა აზრით, აშკარად აღმოსავლური წარმომავლობისა, ტექსტი, გარკვეული თვალსაზრისით, ამ მხრივაც იქცევს ყურადღებას.

ამ თვალსაზრისით, ცალკე შესწავლის საგანია ბერძნულ საკუთარ სახელთა ხმარება ქართულ ტექსტში:

1. ცნობილ მეუდაბნოე მამას, რომელიც ღმრთის განგებით გააცხადებს ნისიმეს საიდუმლოებას ტაბენესეს მონასტერში, ქართულ ტექსტებში პიტირიონი ჰქვია, ხოლო მის დედნად აღიარებულ არაბულ ტექსტში – ზუბანარიუსი. 2. ნილოსის ნაპირებთან პახუმი დიდის მიერ დაარსებულ ცნობილ დედათა მონასტერს – ტაბენესეს არაბულ ვარიანტში დაირ-ულ-სუფუფი (მწკრივთა მონასტერი) ჰქვია, სხვა შემთხვევაში – ბანტასინი (ეს

---

[9] К. Кекедидзе, Эпизод... გვ.92.
[10] ნ. წაქაძის, დასახ. ნაშრომი, გვ.75.
[11] იქვე, გვ.48.
[12] იქვე, გვ.75.
[13] ერთი ტექსტი ამ ხელნაწერიდან „ქებათა ქება" შეუსწავლია ზ. სარჯველაძეს.
[14] ამასთან დაკავშირებით იხ. თ. ჯოჯუას სტატია „წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე და 1160 წელს გარეჯში გადაწერილი ერთი უცნობი ხელნაწერი კრებულში: ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, V, თბ., 2002, გვ. 91-147.
[15] К. Кекедидзе, Эпизод... გვ.77.

უკანასკნელი ქართულშიც დასტურდება); ანუ „ლავსაიკონის" ტრადიციით მიღებული საკუთარი სახელების – ისიდორას, პიტირიონის და ტაბენესეს შესატყვისად არაბული მოცემულია ნისიმა, ზუბანარიუსი და დაირ-ულ-სუფუფი (კარგი იქნებოდა არაბული ტექსტისა და მისი ქართული თარგმანის შესწავლა "ლავსაიკონთან" მიმართებაში).

ხელნაწერში სხვა ბერძნული სიტყვებიც გვხდება: ეველგია, მილიონი (გარეჯულ ხელნაწერში მილი), პოროყირიონი, პროსყორა, მეტროპოლე.

„პოროყირიონი" ყველა ქართულ ტექსტშია: "მაშინ ნეტარსა პიტირიონს გამოეცხადა მისთჳს, რომელ ჴდა *პოროეირიონს*, რომელ არს ნაპრალი კლდისაჲ"(233r). არაბულში გვაქვს: "ზუბანარიუს მოდგაწეს, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იყო ჩაკეტილი კლდის ნაპრალში, გამოეცხადა ანგელოზი." (გვ.122). ქართულში მთარგმნელი თუ გადამწერი იმჟირებს ბერძნულ სიტყვას, რომელსაც იქვე განმარტავს, შესაძლოა ეს ლოგიკურიც იყოს, რადგან, როგორც ჩანს, იმ გარემოსთვის, რომელშიც გადაიწერა ნუსხა, უცხოა აქ წარმოდგენილი ბერძნული სიტყვა.

ამავე დროს, ვაწყდებით შემთხვევას, რომელიც უფრო სხვა დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა: ალექსანდრიაში, წმიდა ზენონის მონასტერში, ღმრთისმსახურების შემდეგ, ერთ-ერთმა მამამ შენიშნა აქ სასწაულებრივად გამოჩენილი ბერი, რომელიც ნელსაცხებლის სურნელს აფრქვევდა. შეშინებულმა წმიდა მამამ მასთან მიახლოებულ მლოცველს არაბული ვერსიით სეფისკევრი მისცა, ხოლო ქართული ვერსიით აზიარა. ამის შემდეგ, ეზოში გასულ უცხო მწირს დაეწია და უთხრა: "შემინდევ მე, ურჯალო და მიიხუენ ესე ორნი *სეფისკევრნი* ეველოგიად შენ თანა." (გვ.209, 22), გარეჯულ ხელნაწერსა და A-382-ში დაცულ ნუსხაში იგივე ადგილზე სეფისკევრის ნაცვლად მოულოდნელად ჩნდება ბერძნული *„პროსფორიე"*.

ამ ეტაპზე რთული სათქმელია, რატომ აქვს ამგვარ ფაქტებს ადგილი „ნისიმეს ცხოვრების" ტექსტში. თუკი ის არაბულიდან არის ნათარგმნი, უფრო ბუნებრივი იქნებოდა საკუთარ სახელთა აღმოსავლური ტრადიციით გამოყენება. რაში დასჭირდა მთარგმნელს არაბული საკუთარი სახელების ბერძნულებით ჩანაცვლება? აქ კიდევ შესაძლებელია იმის დაშვება, რომ გადამწერისთვის, რომელიც იწერს უკვე ნათარგმნ ტექსტს, უცხოა მეტად ცნობილი მოღვაწის „პიტირიონის" ნაცვლად არაბული, ნაკლებად ცნობილი სახელი ზუბანარიუსი. იგივე შეიძლება ითქვას „ტაბენესეს" შემთხვევაში, მაგრამ სრულიად აუხსნელია „პროსფორიეს" გამოჩენა ტექსტში. ეს და ბევრი სხვა პრობლემა, რომელიც წამოჭრილია ამ ტექსტში, საფუძვლიან კვლევას მოითხოვს.

ვერც იმას ვიტყვით გადაჭრით, ნისიმეს „ცხოვრების" ახალი ნუსხა პირველ რედაქციას ეკუთვნის, მეორეს, მესამეს, თუ საერთოდ ახალი ვერსიაა. სამწუხაროდ, კაკულიძეს გამოკვლევაში "ნისიმეს ცხოვრების" ტექსტის შესახებ არა აქვს მითითებული, რა პრინციპით ყოფს იგი მის მიერ შესწავლილ ხელნაწერებს სამ რედაქციად. ჩვენ შეგუდარეთ ჩვენი ტექსტი მის მიერ ხაზგასმულ განსხვავებებს და უნდა აღინიშნოს, რომ გარეჯული კრებულის "ნისიმეს ცხოვრებასა" და უკვე შესწავლილებს შორის არის იმდენად განსხვავებული წაკითხვებიც, რომ ტექსტის ახალ, სტილისტურ რედაქციაზე შეიძლება საუბარი:

A-249

"და ეგრეთვე მეღუნეობასა შემწყამებენ, ხოლო მე ვჰმსახურებდე. არამედ იგინი ჰგონებდენ, ვითარმედ ცუდად ვხი. მე ვიდჳძებდე და იგინი იტყოდიან, ვითარმედ სძინავსო, ვიდრემდის წარჴდენ დღენი ჩემნი და ესე ყოველი ჭირი არარაჲ არს წინაშე ქრისტესა, რაჲთა ვიწოდო მკუდართა მისთა თანა."

ვენა №4

"და ეგრეთვე მეღვინეობასა შემწყამებენ და ყოველდღე მე გემოცა არა მეხილვოს. და მე მარადის ვჰმსახურებდე, და იგინი მაყუედრებდენ უქმობასა და მე ვიღვიძებდე. და იგინი იტყოდიან, მარადის სძინავსო, და ამას შინა წარჴდენ დღენი ჩემნი, უნდეს და უფალსა, არამედ ესე ყოველი ღუაწლი მცირე არს თჳენითა მათ წინაშე ქრისტესა, ჰე, თუ ხოლო ვიწოდო მკჳდრთა მისთა თანა საუკუნოდ."

ამ წინადადებას ნაწილობრივ იმეორებს A-382-ში დაცული ტექსტი. იგი ალბათ კომპილაციურად არის შედგენილი ორივე ხელნაწერის გამოყენებით. თუმცა, A-249-სა და A-382-ის ეს მონაკვეთები რომ შევაჯერეთ, ჩვენი ტექსტი განსხვავებას მაინც უჩვენებს.

| A-249 | ვენა №4 |
|---|---|
| "არამედ მე ***შევიწუნარო*** ესე ღმრთისათჳს და ***შევიყვანო*** ერთსა სენაკსა". | "არამედ ***მე შევიყვანო*** ესე ღმრთისათჳს და ***შევაყენო*** ერთსა სენაკსა". |

გადამწერის ერთგვარ სტილისტურ თავისებურებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ იგი ცდილობს, გარკვეულ დონეზე კორექტურა გაუკეთოს მის ხელთ არსებულ ქართულ ნუსხას (ან შეიძლება ჩასწორებულისაგან იწერს პირდაპირ). თითქმის ყველგან იგი აუცილებლად ურთავს წინადადებაში ნაცვალსახელს, კავშირს, უბრალოდ განმსაზღვრელ სიტყვას და ა.შ.

მაგ.:

| A-249 | ვენა №4 |
|---|---|
| "და მიემთხუა ადგილსა მას..." | "და ***ეითარცა*** მიემთხჳა ადგილსა მას..." |
| "უკუეთუ გნებავს, რაჲთა სრულ იყო, განყიდე ყოველივე, რაჲცა გაქუს და მიეც გლახაკთა." | "უკუეთუ გნებავს, რაჲთა სრულ იყო, განყიდე ყოველივე, რაჲცა გაქუს ***შენ*** და მიეც გლახაკთა." |
| "რაჲთა არა მაქებდენ კაცნი და იტყოდიან: ამან განაათავისუფლნა მონანი და მჭევალნი თჳსნი." | "რაჲთა არა მაქებდენ კაცნი და იტყოდიან ***ესრეთ, ვითარმედ:*** ამან განათავისუფლნა მონანი და მჭევალნი." |
| "და ოდეს შეყჳის წმიდაჲ სახარებაჲ და დაიდჳს მკერდსა თჳსსა..." | "და ოდეს შეყჳის წმიდაჲ ***იგი*** სახარებაჲ და დაიდჳს მკერდსა თჳსსა..." |

მსგავსი მაგალითი ბევრია, თანაც "ცხოვრების" შემცველ სხვა ხელნაწერებს არ ახასიათებთ ეს მოვლენა ასე ხაზგასმულად, არსებულთაგან მხოლოდ იგი იძენს სტილური თავისებურების სახეს. (ამ მხრივ გამონაკლისი არც A-382-ია, რომელიც ყველაზე მეტად ავლენს მსგავსებას ვენის ხელნაწერთან).

არის საპირისპირო შემთხვევებიც, როცა ჩვენს ხელნაწერს "აკლია" სხვებში არსებული ნაცვალსახელი, ნაწილაკი ან მსგავსი რამ, მაგრამ ეს იმდენად ი'შვიათად არის, რომ ნუსხის ან გადამწერის არანაირ თავისებურებაზე არ მეტყველებს.

არის ასეთი მაგალითებიც:

| A-249 | ვენა №4 |
|---|---|
| "და ესე ქალი ***მარტოჲ ხოლო*** ესუა მათ" | "და ესე ***ქალი ხოლო*** მარტოჲ ესუა მათ." |

ანუ ხდება სიტყვათა რიგის შეცვლა. იმდენად ხშირია ამგვარი შემთხვევები, რომ ესეც ამ ხელნაწერისთვის დამახასიათებელ, მის სხვა ნუსხათაგან განმასხვავებელ, ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს. აზრის მეტი სიცხადისათვის კიდევ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ:

| A-249 | ვენა №4 |
|---|---|
| "და იყო ***ესე ქალი*** შუენიერ..." | "და იყო ***ქალი ესე*** შუენიერ..." |
| "და ესრეთ წარვიდა ***წმიდად ეკლესიად"*** | "და ესრეთ წარვიდა ***ეკლესიად წმიდად"*** |

მოყვანილი მაგალითებიდანაც (და ასეთი ბევრია) ცხადად ჩანს, რომ ვენის ხელნაწერის გადამწერი გარკვეული შესწორებების შეტანას ცდილობს ტექსტში.

ვენა №4-სა და სხვა მანამდე ცნობილ ხელნაწერებს შორის განსხვავება ზოგან ზოგან – ნაკლები. განსხვავებული წაკითხვებიდან ნაწილი ვარიანტულ სხვაობათა რიგს მიეკუთვნება. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

| A-249 | ვენა №4 |
|---|---|
| "და ვითარცა ეზიარა, ჟამსა ***გამოვიდა და*** წავიდა კასრადვე ***თჳსა საყოფლად***". | "და ვითარცა ეზიარა, წარვიდა კარსად თჳსად". |
| ***"რათამცა*** გამოაჩინა ***შუენიერებაჲ თჳსი***". | გამოჩინებად შუენიერებასა თჳსსა". |

ხშირად სინონიმების მონაცვლეობას აქვს ადგილი:

| A-249 | ვენური |
|---|---|
| "ხოლო ესე ქალი იყო ***მშჳდ*** და მყუდრო". | "ხოლო ესე ქალი იყო ***დაშნ*** და მყუდრო". |
| "შეიმოსა სამოსლითა ***საუფლოჲთა***..." | "შეიმოსა სამოსლითა ***სამეუფოჲთა***. |

„ნისომეს ცხოვრება" ორი ნაწილისაგან შედგება. მეორე ნაწილი აშკარად არის პირველისგან გამოყოფილი სათაურით "მოთხრობაჲ წმიდათა მამათა მძივართათჳს რიცხუთ ოთხათა." ამასვე მოწმობს პირველის დასასრულიც: "მაშინ გამოვიდა ფარულად მონასტრით და წარვიდაო უდაბნოდ, სადა-იგი უწყის უფალმან და არავინ სოფლისმყოფმან, ხოლო ჩვენ ვადიდებდეთ ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამინ."

მეორე ნაწილში განსხვავება ხელნაწერებს შორის მატულობს. ყველა სხვა ხელნაწერისაგან და თვით არაბული თარგმანისაგანაც (რომელიც ზუსტად მეორდება ქართული თარგმანის ყველა ნუსხაში) განსხვავდება ვენა №4-ის მეორე ნაწილის დასაწყისი. მოვიტანთ მაგალითს X-XI ს-ის ქართული ხელნაწერიდან, გარეგნული „ცხოვრებიდან" და არაბული დედნიდანაც:

| A-249 | ვენა №4 | არაბული |
|---|---|---|
| ***შემდგომად წარსლისა მისისა მონასტრით გამოუჴნდა დღესა ერთსა მსახურსა ეკლესიისა და ღმრთისასა ალექსანდრიას კაცი ვინმე და ჰრქუა მას:*** გულმან მითქუა დღესა ერთსა, რაათა აღვიდე მონასტერსა ამას ზენონისსა: ***რაჲთა ვიყო ზაფხულსა ერთსა.*** და ვყავ ეგრეთ. და შემდგომად დღეთა რავდენთამე ვიყავ რაჲ მუნ. | ***ხოლო ამისა შემდგომად მო-ვიდა მსახური ეკლესიისა თანა ალექსანდრიისასა კაცი რაჲსათჳსმე საქმრისაჲ; დაიწყეს სიტყუად ურთიერთას და ჰრქუა ამან მოსრულმან ბერსმან:*** გულმან მითქუა, რაჲთა აღვიდე მე მონასტერსა ამას ზენონისსა: ***რაჲთა ვიყო მე რაოდენთამე დღეთა.*** ვიყავ რაჲმე მუნ. | ***მისი მონასტრიდან გაოსვლის შემდეგ გამოეცხადა ალექსანდრიის მონასტრის მსახურს შემდეგი: თქვა ამ მსახურმა:*** ერთ დღეს განვიზრახე, რომ ავსულიყავი ანბა ზენონის მონასტერში და ***გავჩერებულიყავი იქ ერთი ზაფხულის განმავლობაში.*** |

როგორც ვხედავთ, A-249-ის ტექსტში სიტყვასიტყვით მისდევს არაბულ ტექსტს, ისევე, როგორც სხვა ქართული რედაქციები და ვარიანტები, ხოლო გარეგნული მათგან განსხვავდება.

სწორედ ამ ეპიზოდთან მიმართებაში ქართული ნუსხებისთვის დამახასიათებელ ერთ თავისებურებაზეა შეჩერებული: არაბულს ერთიანი ტექსტის სახე აქვს, ქართული კი უკვე აღინიშნა, რომ აშკარადაა დაყოფილი ორ ნაწილად. ნ. ფაქაძემ ივარაუდა, რომ მეორე ნაწილი უფრო გვიან უნდა იყოს ნათარგმნი. თვით წყაროს მეორე ნაწილიც მოგვიანებით უნდა იყოსო შექმნილი: „ჩვენი აზრით, ეფრემ ასურისათვის წყაროდ შეიძლება სწორედ ძველეგვიპტური ლეგენდის კოპტური ვარიანტი ვიფარაუდოთ; შემდეგ, ეგვიპტური სამონაზონო

წესებისა და ფორმების მიხედვით უნდა შექმნილიყო თხზულების პირველი და მეორე ნაწილი სირიულ ენაზე. რაც შეეხება III ნაწილს, იგი უფრო გვიანაა შექმნილი"[16]. შესაძლოა III ნაწილი, მართლაც, გვიან ითარგმნა, მაგრამ საიდან? თუკი არაბული ვარიანტი მთლიანი ტექსტია, რაში დასჭირდა ქართველ მთარგმნელს, შუაში გაეწყვიტა იგი და მხოლოდ ნაწილი ამოეღო იქიდან? მითუმეტეს, რომ "ცხოვრების" მეორე ნაწილში სხვაობა ნუსხათა შორის სულ უფრო მატულობს. საკმარისია მხოლოდ რამდენიმე მაგალითის მოყვანა:

A-249

"და მაშინ დაუტევა მშვიდობაჲ და უკუნ ვიქც ეკლესიად და განუკრვებელ ვიყავ, რომელი ესე მესმა მისგან. მაშინ ვიწყე ლოცვად და ვეძიებდი მე ღმრთისაგან, რაჲთა ცოცხალი ვიყო წელსა სხუასა, რაჲთა ვიხილო კუალად ბერი იგი და ვიკურთხო მისგან მერმეცა."

"და ვითარცა მოიწია წელიწადი იგი, რომელი მრჭუა, მოვიდა ნეტარი ბერი და ვარჭუ მას: უფალო, რასა უკუე მაზრახებს სიწმიდჱ შენი, რომელ-იგი მიქადაგე შარშა, ხოლო მან მრჭუა მჳ: ვერ ეგების აწ ესე, რაჲთამცა იქმნა ესჳ."

"და კუალად უკუეთუ რაიმე მოუჯდის გულისსიტყუაჲ ბრძოლისაგან მტერისა, მაშინ მივიდიან ამას წმიდისა და ულოცის და აღუმცირდის და განუქარდის ლოცვითა ამის წმიდისაჲთა. ამას დღესა წმიდასა ყოველთა მამათა წმიდათა და უბიწოთა ულოცის, განისუენიან ბრძოლისა მისგან."

ვენა №4

"ხოლო მე დაუტევე მშვიდობაჲ შეერდომით, რაჲთა ლოცვა ყოთ ჩემთჳს და უკუნ ვიქც ეკლესიად; და განკურვებულ ვიყავ სიტყუასა მას მისსა ზედა; მიერითგან ვიწყე ლოცვად და ვითხოვდი ღმრთისაგან, რაჲთა არა მოვკუდე მცირედ აღსუბაჲდმდე, ნუუკუე კუალად ვიხილოთ ბერი იგი სანატრელი და ვიკურთხო მისგან."

"და ვითარცა მოიწია აღსუბაჲ იგი, რომელი ვთქუ, მოვიდა ნეტარი იგი ბერი ჩუეულებისამებრ და მოვიკითხეთ ურთიერთასი და ვარჭუ მას: მამაო, რასა უკუე მიბრძანებს სიწმიდე შენი, რომელ-იგი აღმითქუ წარგანებაჲ შენი თანა."

"და კუალად უკუეთუ ბრძოლა სცის მტერმან გულისსიტყუთა რაჲთამე, მივიდის ამის წმიდისა ბერისაჲ და აღუვარის, და შეუვრდის, რაჲთა ულოცის და მან შეიწყნაროს და ულოცის და უფალმან განკურნის და განისუენის: და ამას დღესა წმიდათა ყოველთა მათ მამათა წმიდათა ყოველით კერძოვე უბიწოთა, ერთობით ყოველთა ულოცის; და ყოველთავე პოვიან განსუწყებაჲ ბრძოლათაგან მტერისათა თჳთოსახითა."

ამრიგად, მართალია, ვენა №4-ში დაცული ტექსტი ძირითადად თითქოს ემთხვევა სხვა ნუსხებს, მაგრამ გარკვეული ნაწილი მაინც უჩუენებს იმგვარ სხვაობებს, რომ შესაძლოა ცალკე ვერსიაზეც ვისაუბროთ (განსაკუთრებით, თუკი გავითვალისწინებთ პრინციპს, რომლითაც კაკაბაძიც რედაქციებად ჰყოფს ჩვენთვის საინტერესო ტექსტის ნუსხებს).

ამ სტატიის მიზანი არ არის ტექსტის ენობრივი შესწავლა, თუმცა იმისი აღნიშვნა შესაძლებელია, რაც საგანგებო კვლევის გარეშეც აშკარად ჩანს.

აღსანიშნავია, რომ გარეჯის კრებულში II სურიის თურმეობითის ახალი ფორმა გვხვდება: "მოუსულელებაა", რასაც სხვა ხელნაწერებში ძველი „მოუსულელებიეს" შეესატყვისება.

არის შემთხვევა, როცა ზმნა გარეჯულ ნუსხაში აწმყოს მწკრივშია, ხოლო ყველა დანარჩენში – აწმყოს ხოლმეობითში:

"შენ ჰხი უდაბნოს შინა და გონებაჲ შენი იარების სოფელსა შინა". (A-249).

"რამეთუ ხარ უდაბნოს და გონებაჲ შენი იარების სოფელს" (ვენა №4).

"ურთიერთას" სიტყვის შემთხვევაში "ნისიმეს ცხოვრების" ყველა ადრინდელ ხელნაწერში გვერდგვერდ გამოიყენება როგორც ეს ძველი, ისე ახალი "ერთმანერთი" ფორმა; გარეჯული ხელნაწერის "ცხოვრებაში" კი მხოლოდ პირველ ვარიანტს ხვდებით.

ვენა №4-ში დაცულ „ნისიმეს ცხოვრებაში" სიტყვა „დედოფალი" მხოლოდ „დედუფალი" ფორმით გამოიყენება:

"და ჰრქუა მას: ***დედუფალო***".

[16] ნ. წაქაძე, „ნისიმეს ცხოვრების"...გვ.91.

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ხოლო ვითარცა იხილეს ცხრეთ, *დედუაბანმან* თქუა".

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის საინტერესო ნუსხის გადამწერი, შესაძლებლობისამებრ, ცდილობს გრამატიკულად „სწორი" ფორმები გამოიყენოს, არის გამონაკლისებიც: ერთგან ვხვდებით სიტყვას „ორმოცი" ნაცვლად ძველი „ორმეოცისა":

"და დაყო მუნ შინა *ორმოცი* წელი სხუაჲ დიდითა მოთმინებითა და ფრიადითა ღუაწლითა."

გარეჯულ კრებულში ტრადიციული ორთოგრაფია ძირითადად დაცულია (თუმცა გამონაკლისებიც არის). უმარცვლო უ-ს შემდეგ გადამწერი ცდილობს მ-ს გამოყენებას: პირშუმნიერი, ნუკუმ; გვხვდება ეს ასო ეი კომპლექსის გადმოსაცემადაც – რამდენიმეგზის დადასტურებითი ნაწილაკი ჰმ აწარმოა. წოდებითის გასაძლიერებლად მ იხმარება. ასევე კანონზომიერად იყენებს ჯ-საც.

ზოგჯერ ო გადადის უ-ში: „მძუგართა", „მ ნაყრუვანო".

ერთი გეოგრაფიული სახელის შემთხვევაში პტ კომპლექსის ნაცვლად გვხვდება ბტ: ეგვიბტისაჲ.

კიდევ ბევრ მოვლენასა და თავისებურებაზე შეიძლება ყურადღების გამახვილება "ნისიმეს ცხოვრების" ტექსტის და მისი შეუსწავლელი ნუსხის სხვებთან მიმართების შესწავლისას. თითოეული მათგანი ცალკეა განსახილველი.

ვენაში დაცული გარეჯული კრებული აშკარად ითვალისწინებს კორექციას. ზემოთმოცემული მასალა გვაძლევს საშუალებას, ვისაუბროთ სტილისტურ რედაქციაზე, თუმცა დაბეჯითებით ამ ეტაპზე მაინც ვერ ვწყვეტთ მისი რედაქციული მიმართების საკითხს. ჩვენი ხელნაწერი აშკარად ითვალისწინებს X საუკუნის ქართულ თარგმანს და შეაქვს მასში სტილისტურ-ლიტერატურული ხასიათის კორექტივები.

ტექსტოლოგიური შედარების შედეგები გვიჩვენებს, რომ საქმე ძალიან საინტერესო ტექსტთან გვაქვს, რომელმაც შესაძლოა, რედაქციათა ურთიერთმიმართების გარკვევისათვის საყურადღებო მასალა მოგვაწოდოს.

„ნისიმეს ცხოვრების" აქ განხილული XII საუკუნის ნუსხას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ამ თხზულების ქართული თარგმანის ისტორიის გათვალისწინებისას.

К. АСАТИАНИ

## О НЕИЗВЕСТНОМ ГРУЗИНСКОМ СПИСКЕ XII В «ЖИТИЯ НИСИМЫ»

РЕЗЮМЕ

В статье рассматривается новый список «Жития Нисимы», грузинская рукопись XII в.

Текстологическое сопоставление данного текста с другими существующими списками выявляет интересные детали характеризующие этот текст как новую редакцию, отличающую от других.

Данный вариант «Жития Нисимы» представляет большой интерес для изучения истории грузинского перевода этого текста.

ენრიკო გაბიძაშვილი

# IX საუკუნის უცნობი ქართველი მთარგმნელის ერთი ინიციატივის გამო

ძველ ქართულ მწერლობაში ნათარგმნ თხზულებათა ხვედრითი წილი ორიგინალურთან შედარებით გაცილებით დიდია. ეს არც არის მოულოდნელი, რადგან ქრისტიანული სარწმუნოების შემოსვლამ და დამკვიდრებამ მოითხოვა მისი ძირითადი იდეოლოგიური და ღვთისმსახურების შესრულებისათვის პრაქტიკული ლიტერატურის თარგმნის აუცილებლობა. მომდევნო საუკუნეებში კი ორიგინალური შემოქმედების პარალელურად ითარგმნებოდა ქრისტიანული სამყაროს გამოჩენილ საეკლესიო მწერალთა და მოღვაწეთა ნააზრევი და ზოგადქრისტიანული ეკლესიის პრაქტიკული ლიტურგიკული გამოცდილების შემცველი წიგნები.

ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთი ძირითადი და უძველესი ნაწილია ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული ლიტერატურაც, რომელიც გამოირჩევა არა მარტო თხზულებათა სიმრავლით, არამედ ამ თხზულებათა რედაქციული მრავალფეროვნებითაც.

აღსანიშნავია, რომ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში ხშირად გვხვდება მოგვიანებით შეტანილი სტრუქტურული, სიუჟეტური ან ფრაზეოლოგიური ცვლილებები.

ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული თხზულების რედაქციული რაობა, უპირველეს ყოვლისა, დედნის ტექსტთან მიმართებაში უნდა დადგინდეს. რადგანაც ქართულად ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული ძეგლების დედნების უმეტესი ნაწილი ბერძნულენოვანია, ვიტყვით, რომ ბიზანტიურ საეკლესიო მწერლობაში წარმოშობილი ძირითადი რედაქციული სახეები (კომენური ანუ „მეტაფრასულამდელი“ და „მეტაფრასული“) ქართულ თარგმანში კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა, რადგანაც ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში რედაქციებად სახელდება ერთი სახელწოდების ერთმანეთისაგან სხვადასხვა ნიუანსებით განსხვავებული ტექსტები: 1. ერთი დედნიდან ქართულად ორი (ან მეტი) მთარგმნელის მიერ შესრულებული ჰაგიოგრაფიული თხზულების (კომენური რედაქციის იქნება იგი თუ მეტაფრასულისა) თარგმანები. 2. ერთისა და იმავე თხზულების სხვადასხვა ენებიდან ქართულად გადმოლებული თარგმანები და 3. ქართულად ნათარგმნ ტექსტში მთარგმნელისა და გადამწერ-რედაქტორის მიერ შეტანილი ცვლილებების შედეგად მიღებული ვარიანტებიც. ამჯერად ეს უკანასკნელი, ქართულ ნიადაგზე გადაკეთებული ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული თხზულებები გვაინტერესებს. ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული ძეგლის საკუთარი შეხედულებისამებრ გადაკეთების ინიციატორი შეიძლება იყოს მთარგმნელი, რომელსაც თარგმნის პროცესში შეაქვს ცვლილებები დედნისეულ ტექსტში, და გადამწერ-რედაქტორიც, რომელიც უკვე სხვის მიერ შესრულებულ თარგმანს გარკვეული მიზნით ცვლის გადაწერის დროს. მოვიტანთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოვლენილ რამდენიმე ცნობილ მაგალითს: ეფთვიმე მთაწმინდელმა ბერძნული ენიდან თარგმნა მაქსიმე აღმსარებლის „ცხოვრება“, მაგრამ თარგმნის პროცესში იმდენი ცვლილება შეიტანა მასში, იმდენი ახალი დეტალი დაუმატა მას სხვა წყაროებიდან, რომ ამ ძეგლს თავისუფლად შეიძლება ეწოდოს ნახევრად ნათარგმნი და ნახევრად ორიგინალური თხზულება.[1] ეფთვიმეს ასეთი მთარგმნელობითი მეთოდი კარგად არის ცნობილი ძველი ქართული მწერლობის სხვა დარგების მიხედვითაც და ამდენად ჰაგიოგრაფიაც არ არის გამონაკლისი. ერთი სიტყვით, ამ თხზულების შესატყვისი ზუსტი ბერძნული დედნის ძიება ფუჭი საქმეა. (ეფთვიმეს თარგმანის ძირითადი წყარო – თეოდორე განგრელის „მოთხრობაჲ ღუაწლისა და ენებულებათა ღირსისა და

[1] კ. კეკელიძე, კომენი, I, ტფ. 1918, გვ.60-103.

ადმსარებელისა მაქსიმესთაჲ და მოწაფისა მისისათაჲ...“ ქართულად გაცილებით გვიან – XII საუკუნეში ითარგმნა[2]).

მეორე მაგალითიც ეფთვიმე მთაწმიდელის სახელს უკავშირდება: გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილეტიკური თხზულება „ბასილის ეპიტაფია" ეფთვიმემ ისე გადააკეთა თარგმანის დროს, რომ ჰაგიოგრაფიული თხზულება გამოუვიდა, რაც აისახა თარგმანის არა მარტო შინაარსში, არამედ სათაურშიც – „ცხორებაჲ და შესხმაჲ წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილი კესარია-კაბადუკიელ მთავარეპისკოპოსისა, რომელი აღწერა წმ. და ნეტ. მამამან ჩუენმან გრიგოლი ღმრთისმეტყუელმან."[3] (ეფრემ მცირის ზუსტად შესრულებულ თარგმანში მას ეწოდება: „წმ. შორის მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისაჲ სიტყუაჲ ეპიტაფიად დიდისა ბასილისათჳს").[4]

„ბალავარიანი" ანუ „სიბრძნე ბალაჰვარისი", ქრისტიანული მწერლობის ეს უპოპულარულესი ძეგლი, რამდენიმე ათეული წლის წინ ცნობილი იყო ქართული თარგმანის ერთი, მოკლე რედაქციით (Jer-36,X ს.), მაგრამ იერუსალიმური წარმომავლობის ერთ ქართულ ხელნაწერში (Jer- 140, X ს.) ბალავარიანის ახალი, ცნობილთან შედარებით გაცილებით ვრცელი ტექსტის გამოვლენამ ნათელი მოჰფინა იმ ფაქტს, რომ ადრე არსებული ტექსტი ახლადმიკვლეული ტექსტის საგრძნობლად შემოკლებული და ფრაზეოლოგიურადაც მცირედ გადაკეთებული თხზულება ყოფილა. ეს ოპერაცია ქართველმა რედაქტორ-გადამწერმა ჩაატარა, საფიქრებელია, ამ შემოკლებული ტექსტის რომელიმე პატერიკულ კრებულში შესატანად. ამიტომ მოკლე რედაქციის მსგავსი თხზულების ძიება „ბალავარიანის" სხვაენოვან თხზულებათა შორის წარუმატებლად მთავრდებოდა.[5]

ასევე, ანტონი დიდის „ცხოვრების" ქართული თარგმანით არსებული ვრცელი და მოკლე რედაქციებიდან მოკლე რედაქციის ჩამოყალიბებაშიც ქართველი მთარგმნელ-რედაქტორის ხელი უნდა ერიოს.[6]

„ადრიანეს და ანატოლეს წამების" ძველი თარგმანი (H-341, XIს.) ქართველ რედაქტორ-გადამწერს გადაუკეთებია და ახალი, შედარებით მოკლე რედაქცია შეუქმნია (H-1370; Sin-71).[7]

ეფთვიმე დიდის „ცხოვრების" ქართული თარგმანი (ბრიტ. მუზ. Addit. 11281, XI ს.) მოგვიანებით ქართველ გადამწერ-რედაქტორს გადაუკეთებია (A-188, XIII ს.)[8]. აღსანიშნავია, რომ A-188, XIII ს. ხელნაწერში, გარდა დასახელებულისა, სხვა თხზულებებიც არის, რომელთაც ეტყობათ ასეთი ინტერპოლაციების კვალი – თეოდოსი დიდის „ცხოვრება" (153-174);იოანე ოქროპირის „ცხოვრება", წარმოდგენილი A-188-ში, არის კომპილაცია კიმენური და მეტაფრასული (ეფრემის თარგმანის) ტექსტებისა[9] და ა. შ. გადაკეთებულია აგრეთვე „გრიგოლ აკრაკანტელის ცხოვრების" (Jer-3) ტექსტი ქართველი რედაქტორის მიერ (S-382).[10]

მსგავსი ფაქტები, ალბათ, სხვაც გამოვლინდება ნათარგმნ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა გამოუცემელი ტექსტების პუბლიკაციის შემთხვევაში.

ქართველი მთარგმნელის მიერ მსგავსი ოპერაციის მაგალითი გამოვლინდა ზემოაღნიშნულ მაგალითებთან შედარებით გაცილებით ადრინდელ ნათარგმნ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში – „იოვანე ოქროპირის ცხოვრება", რომლის დედანი შექმნილი უნდა იყოს VII საუკუნეში, ხოლო ქართულად ითარგმნა არა უგვიანეს IX საუკუნისა (თხზულების ქართული თარგმანის გამომცემელი რ. გვარამია მას IX-X სს. ათარიღებს[11]).

„იოვანე ოქროპირის ცხოვრების" ერთი ეპიზოდი გადმოგვცემს ცნობილი მღვდელთმთავრის, ეპიფანე კვიპრელის, საუბარს ბიზანტიის დედოფალ ევდოკიასთან და ამ

---

[2] მისივე, ეტიუდები ძვ. ქართ. ლიტერატურის ისტორიიდან, თბ. 1955. გვ.260-310.

[3] ხელნ. A-1, XI ს.258-373.

[4] დაწვრ. იხ. ც. ქურციკიძე, გრიგოლ ღმრთისმეტყველის XLIII ჰომილიის ეფთვიმე ათონელისეული თარგმანის თავისებურება, ფილოლოგიური ძიებანი, II, თბილისი, 1955, 42-62.

[5] კ. კეკელიძე, ეტიუდები, VI, თბ. 1960, გვ.41-69; ილ. აბულაძე, შრომები, III, 1982, 140-161.

[6] ქ. შინჯიკაშვილი, მაცნე, ელს, №1, 1972; ე. ჭელიძე, მრავალთავი, XV, 1989, 7-17.

[7] ილ. აბულაძე, შრომები, I თბ. 1975, გვ.149-208.

[8] ვ. იმნაიშვილი, „მამათა ცხოვრებანი", თბ. 1986, გვ.345.

[9] რ. გვარამია, „იოანე ოქროპირის ცხოვრების" ძვ. ქართ. თარგმანი, თბ., 1986, გვ. 013-021.

[10] ლ. ახობაძე, გრიგოლ აკრაკანტელის „ცხოვრების" ორი ქართული რედაქცია, ხ. მრავალთავი, XIV, 1987, 95-100.

[11] იოვანე ოქროპირის "ცხოვრების" ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი 968 წლის ხელნაწერის მიხედვით, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო რ. გვარამიამ, თბილისი 1986, გვ.048.

უკანასკნელის კატეგორიულ მოთხოვნას, რომ ეპიფანემ თანადგომა აღმოუჩინოს დედოფალს იოანე ოქროპირის კონსტანტინეპოლის პატრიარქობიდან გადაყენებისა და ექსორიების საქმეში. იგივე ეპიზოდი მოთხრობილია ბერძნულიდან ქართულად თარგმნილ მეორე უძველეს თხზულებაში – „ცხოვრებაი ეპიფანე კჳპრელ მთავარეპისკოპოზისაჲ". სანამ ამ ორ ერთმანეთის თითქმის იდენტურ ეპიზოდებს მოვიტანდეთ, მოკლედ წარმოვადგენთ ამ ორი ძეგლის რაობას და მათში აღწერილი ისტორიული მნიშვნელობის ეპიზოდის შინაარსს.

ცნობილია, რომ იოანე ოქროპირი (+407 წ.), კონსტანტინეპოლის პატრიარქი, ამასთანავე განთქმული საეკლესიო მწერალი და ეპიფანე კვიპრელი, (+402 წ.) კუნძულ კვიპროსის დედაქალაქ კონსტანტიას მთავარეპისკოპოსი და ასევე ცნობილი საეკლესიო მწერალი, არა მარტო თანამედროვენი იყვნენ, არამედ მონაწილეობდნენ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსა და ბიზანტიის სამეფო კარს შორის წარმოშობილ დაპირისპირებაში. ეს დაპირისპირება იოანე ოქროპირსა და დედოფალ ევდოკიას შორის უკომპრომისო ბრძოლით დაიწყო: ოქროპირის მიერ დედოფლის მომხვეჭელობაში მხილებამ და საპატრიარქო კათედრალური ტაძრის კარის მისთვის დახურვამ დედოფლის შურისძიება გამოიწვია. ეპიფანეს ამ დაპირისპირებაში ნეიტრალური პოზიცია ეკავა (თუმცა ზოგიერთი მას თეოფილე ალექსანდრიელი პატრიარქის მომხრეობასაც აბრალებდა, რომელიც ოქროპირის მოწინააღმდეგე იყო და მას ორიგენის მწვალებლობაში სდებდა ბრალს) და ევდოქსია დედოფალი მის გადაბირებას ცდილობდა. მათ შორის გამართული დიალოგი გადმოცემულია სწორედ ეპიფანეს „ცხოვრებისა" და ოქროპირის „ცხოვრების" ქართულ თარგმანებში და თითოეულ თხზულებაში ამ ეპიზოდის ტექსტი თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ერთმანეთს. გასარკვევია, რომელია თავდაპირველი ტექსტი? მანამდე მოვიტანოთ რამდენიმე ცნობა ამ თხზულებათა დედნებსა და მათი თარგმანების შემცველ უძველეს ქართულ ხელნაწერებზე. ალბათ წინამდებარე წერილის თემა არ არის, მაგრამ არ შეგვიძლია რამდენიმე სიტყვა არ ვთქვათ „ეპიფანეს ცხოვრების" შექმნის უნიკალური ისტორიის შესახებ: იგი იწერებოდა ეპიფანე კვიპრელის ხანგრძლივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის (იგი გარდაიცვალა 102 წლის ასაკში) პარალელურად, მის სიცოცხლეშივე, მისი მოწაფის, იოანე ხუცესის, მიერ, მოძღვრისაგან ფარულად, მაგრამ უცრად იოანე დაავადდა და გარდაიცვალა. გარდაცვალების წინ მან თავისი საიდუმლო გაანდო ეპიფანეს მეორე მოწაფეს „პოლიბიოს ხუცესს, გადასცა მას თავისი ჩანაწერები და ხთხოვა გაეგრძელებინა ეპიფანეს „ცხოვრების" წერა. პოლიბიოსმა აღწერა თავისი მოძღვრის ცხოვრება მის გარდაცვალებამდე, მაგრამ მისი დასაფლავების ბოლო ეპიზოდი „ცხოვრებაში" ვეღარ შეიტანა. საქმე ისაა, რომ გარკვეული მიზეზების გამო ეპიფანეს ცხედარი (თაფლში ჩადებული) ქ. კოსტანციის ეკლესიაში დიდი ხნის განმავლობაში ესვენა, ხოლო პოლიბიოსი მოძღვრის მიერ ჯერ კიდევ სიცოცხლეში მოცემული დავალების შესასრულებლად იძულებული იყო ქ. რიონეკოროს (ეგვიპტეში) გამგზავრებულიყო, სადაც იგი მისთვის მოულოდნელად ეპისკოპოსად აკურთხეს და ამიტომ ვეღარ დაესწრო მოძღვრის დასაფლავებას. მან ეპისტოლით მიმართა ეპიფანეს ნაცვლად კოსტანციის ახლადკურჩეულ ეპისკოპოს, საბინეს, მოეწერა მისთვის ეპიფანეს დასაფლავების დაწვრილებითი ამბები, რაც მან შეასრულა. ასე რომ, ეპიფანეს „ცხოვრების" ბოლო ნაწილი, მისი დასაფლავების აღწერა, ეკუთვნის მესამე ავტორს, ეპისკოპოს საბინეს.

ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში, მართლაც, უნიკალურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: ეს ერთადერთი მაგალითია, როცა ერთი თხზულება სამ ავტორს დაუწეროს ერთმანეთის გაგრძელებად, თანაც პირველი ავტორი თავისი თხზულების გმირზე ადრე გარდაცვლილიყოს, რომ „ცხოვრების" მთავარი გმირის გარდაცვალების დროს (ე.ი. 403 წ.) თხზულება ფაქტობრივად უკვე დასრულებული ყოფილიყოს.

ამ უნიკალური საეკლესიო ცხოვრების მრავალფეროვანი ეპიზოდებითა და ისტორიული მნიშვნელობის ფაქტებით დატვირთული ვრცელი თხზულების ქართული თარგმანი წინაათონური მთარგმნელობითი სტილის იმ თარგმანების რიცხვს მიეკუთვნება, რომელთათვისაც დამახასიათებელია დედნის ტექსტის ისეთი სიზუსტით გადმოცემა, რომ ნათარგმნს არც შინაარსობრივი ნაკლი ახლდეს და არც ქართული ენის ბუნება იყოს დარღვეული. ეს თარგმანი შესრულებული უნდა იყოს IX ს. მეორე ნახევარში, რადგან ამ თარგმანის შემცველი უძველესი ხელნაწერი (Sin-6), რომელიც სხვა, უფრო ძველი ხელნაწერიდან გადმოწერის უტყუარ ნიშნებს ატარებს, გადაწერილია 982 წელს იოანე

ზოსიმეს მიერ სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში, ძველი, საფიქრებელია, იერუსალიმის ერთ-ერთი მონასტრის ქართული ხელნაწერიდან[12].

„იოვანე ოქროპირის ცხოვრება", რომლის ავტორად ასახელებენ გიორგი ალექსანდრიელს (ჯერ კიდევ დაუდგენელ პიროვნებას), მიჩნეულია VII ს. I ნახევრის ძეგლად, ხოლო მისი ქართული, წინაათონური თარგმანი მოღწეულია 968 წ. იერუსალიმის ხარიტონის ლავრაში (იგივე პალავრა, ანუ ძველი ლავრა) გადაწერილი, ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცული ხელნაწერით (H-2124)[13]. თხზულების ქართული თარგმანი შესრულებული უნდა იყოს IX საუკუნეში, რადგანაც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", რომელიც 951 წ. არის დაწერილი, გვიჩვენებს „იოვანე ოქროპირის ცხოვრების" ქართული თარგმანის გამოყენების უტყუარ ნიშნებს[14].

„იოვანე ოქროპირის ცხოვრების" ბერძნული დედანი კომპილაციური ძეგლია, შედგენილი მრავალი წყაროს გამოყენებით, რის შესახებაც ლაპარაკობს თხზულების ავტორიც და ადასტურებს ამ წყაროების ციტაციის ბერძნული ტექსტის გამომცემელიც. ქართული თარგმანი სარგებლობს ძირითადად ამ ბერძნული დედნით, მაგრამ ამოკლებს და ხშირად ფრაზეოლოგიურად ასხვაფერებს მას, რაც ქართული თარგმანის გამომცემელს, რ. გვარამიას აფიქრებინებს, რომ ეს ნამოქმედარი ქართველი მთარგმნელისა კი არ არის, არამედ, საფიქრებელია, რომ დაიკარგა ქართულის შესატყვისი ზუსტი ბერძნული დედანი. ჩვენი აზრით, „ოქროპირის ცხოვრების" ქართველი მთარგმნელის საქციელი, რომ მან ერთი ეპიზოდი აიღო ეპიფანე კვიპრელის „ცხოვრების" ქართული თარგმანიდან და თითქმის უცვლელად შეიტანა თავის თხზულებაში, რასაც ქვემოთ ვაჩვენებთ, გვაფიქრებინებს, რომ სხვაობა ქართული თარგმანისა ბერძნულ დედანთან მიმართებით შეიძლება ქართველი მთარგმნელის ნახელავი იყოს და დაკარგული ბერძნული დედნის ძებნის საჭიროებაც აღარ დადგეს.

შესადარებლად მოგვაქვს პარალელური ადგილები ორივე „ცხოვრებიდან".

| "ეპიფანე კვიპრელის ცხოვრება" (გვ. 137-138) | "იოვანე ოქროპირის ცხოვრება" (გვ. 95-96) |
|---|---|
| მოუწოდა ეპიფანეს და ჰრქუა ***მას:*** „მამაო ეპიფანე, ყოველივე სამუუფოო ჰრომთაჲ ჩემი არს, და ყოველივე სამდედლოჲ ეკლესიათაჲ ჩემ მიერისა სამუუფოჲსაჲ ***შენი არს.*** ხოლო ესე იოვანე, უცხო ქმნული პატივისა მდდელთმოძღვრობისასა, რომელი უკეთურებასა ჰყოფს მეფისა მიმართ და წვალებასაცა, ვიეთნიმე იტყჳან მისთჳს, ვითარმედ აქუს მას სხუაჲ ***რაიმე*** სარწმუნოებაჲ თჳნიერ ჩუენისა, ამის მადლისათჳს დღეთა მრავალთა დამშჯიდეს მე გულისხიტჳუანი ჩემნი და მინდა მე კრებისა ყოფაჲ და ესე ქადაგებად და ***განგებად,*** ვითარცა ***არა დირს არს,*** და სხჳსა შემძლებელისა მიღებად მღვდელთმოძღურებაჲ ესე და საყდარსა დაჯდომად, რაჲთა იყოს ჩემი ესე ***მეფობაჲ ყოველთაჲვე*** მშჳიდობით."<br>ვითარ უკუე ამას იტყოდა ***მეფისაჲ იგი*** წინაშე ეპიფანესა, მაშინ გულისწყრომისა მისგან დიდისა ყოველნი ხოროცნი მისნი | ***მთავლინა*** ეპიფანესა და მოუწოდა და ჰრქუა: „მამაო ეპიფანე, შენ უწყი, რამეთუ ყოველივე სამუუფოო ჰრომაჲ ჩემი არს და ყოველივე სამღდელოო ეკლესიათაჲ ჩემისა სამუუფოჲსაჲ შენ ***მიგცა.*** ხოლო ესე იოვანე, უცხო ქმნული პატივისა მღდელთმოძღურობისასა, რომელი უკეთურებასა ჰყოფს მეფისა მომართ და წვალებასაცა, ვიეთნიმე იტყჳან მისთჳს, რამეთუ აქუს სხუაჲ ***რაჲ*** სარწმუნოებაჲ თჳნიერ ჩუენისა. ამის მადლისათჳს დღეთა მრავალთა დამშჯიდეს მე გულისხიტჳუანი ჩემნი და მინდა მე კრებისა ყოფაჲ და ესე ქადაგებად და ***გარდადგინებად*** ესე ეკლესიით, ვითარცა ***არადირსი*** და სხჳსა შემძლებელისა მიღებად მღვდელთმოძღურებაჲ ესე და საყდარსა დაჯდომად, რაჲთა იყოს ჩემი ესე ***მეფობაჲ ყოველით კერძოვე*** მშჳიდობით."<br>ვითარ უკუე ამას იტყოდა ***დედოფალი*** წინაშე ეპიფანესა, მაშინ გულისწყრომისა მისგან დიდისა ყოველნი ჴოროცნი მისნი |

[12] გამოსცა იე. იმნიშვილმა, საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II თბ., 1966, გვ.92-142. ბერძნული დედანი: Migne, Patrologia Graeca, t. 41, p.24-73.

[13] გამოსცა: Fr. Halkin, Douze recits byzantins sur saint Jean Chrysostome, Bruxelles, 1975.

[14] ილ. აბულაძე, ქართ. წიგნები იოანე ოქროპირის ცხოვრებისა და მისი გამოძახილი ძვ. ქართულ მწერლობაში, შრომები, III, თბ., 1982, გვ.25-30.

| | |
|---|---|
| აღიძრნეს. მერმე კუალად ჰრქუა მას: „შენისა-ღა მამობისა სიწმინდჱ არს აქა **ღმრთისა მიერ,** არღარა ჳამს სხუათა მამათაჲ შრომისა შემთხუევაჲ, არამედ რომელი შენ ღმერთმან გამოგიცხადოს, ყავ იგი ეპისკოპოს და ესე განაძე ეკლესიისაგან”. | აღიძრნეს. მერმე კუალად ჰრქუა მას: „შენისა-ღა მამობისა სიწმიდჱ აქა არს, არღარა ჳამს სხუათა მამათა შრომისა შემთხუევაჲ, არამედ, რომელი შენი ღმერთმან გამოგიცხადოს, ყავ იგი ეპისკოპოს და ესე განაძე ეკლესიისაგან, ვითარცა არაღირსი. |
| ხოლო ეპიფანე ჰრქუა **მეფისასა** მას: „სულგრძელებით ისმინე, შვილო, შენისა მამისაჲ”. | ხოლო ეპიფანე ჰრქუა **დედოფალსა**: „სულგრძელებით ისმინე, შვილო, შენისა მამისაჲ”. |
| ხოლო **მეფისამან** ჰრქუა ეპიფანეს: „რაჲცა ბრძანოს შენმან მამობამან, მითხარ მე და მეცა განვკურნო მამაჲ ჩემი”. | ხოლო **დედოფალმან** ჰრქუა ეპიფანეს: „რაჲცა ბრძანოს შენმან მამობამან, მითხარ მე და მეცა განვკურნო მამაჲ ჩემი”. |
| მაშინ ჰრქუა ეპიფანე **მეფისასა:** „უკუეთუ წვალებისათჳს არს, რომელსა-ეგე იტყჳ, ვცნათ იოვანესთჳს და ემხილოს მას. და უკუეთუ არა აღიაროს მან, რამეთუ ცოდა, არა არს ღირს იგი მღდელთმოძღურებასა და, რაჲცა ბრძანოს თქუენმან ჴელმწიფებამან, ყოს **მამამან** თქუენმან. უკუეთუ კუალად თქუენისა რაჲსამე გინებისათჳს ეძიებ განძებასა იოვანესსა ეკლესიაჲთ, თქუენმან ეპიფანე ამას შინა არარაჲ გაზრახოს. და უმეტესღა ესე, შვილო, რამეთუ მეფჳეთაჲ არს, რაჲთა იგინებოდით თქუენ და შეუნდობდეთ, რამეთუ თქუენცა გაქჳს მეუფჱ ცათა შინა და მარადის თქუენცა სცოდავთ მისა მიმართ და მოგიტევებს იგი თქუენ, ვითარცა იტყჳს წმიდაჲ ევანგელჱ: „იყვენით თქუენ მოწყალე, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ”. | მაშინ ჰრქუა ეპიფანე **დედოფალსა:** „უკუეთუ წვალებისათჳს **არნ,** რომელსა-ეგე იტყჳ, ვცნათ იოვანესთჳს და ემხილოს მას. და უკუეთუ არა აღიაროს მან, რამეთუ ცოდა, არა არს [ღირს] იგი მღვდელთმოძღურობასა და, რაჲცა ბრძანოს თქუენმან ჴელმწიფებამან, ყოს **მონამან** თქუენმან. უკუეთუ კუალად თქუენისა რაჲსამე გინებისათჳს ეძებ განძებასა იოვანესსა ეკლესიით, თქუენმან ეპიფანე არარაჲ გაზრახოს ამას შინა და უმეტესღა ესე, შვილო, რამეთუ მეფჳეთაჲ არს, რაჲთა იგინებოდით თქუენ და შეუნდობდეთ, რამეთუ თქუენცა გაქუს მეუფჳე ცათა შინა და მარადის თქუენცა სცოდავთ მისსა მიმართ და მოგიტევებს იგი თქუენ, ვითარცა იტყჳს წმიდაჲ ევანგელჱ: „იყვენით თქუენ მოწყალე, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ”. |
| მაშინ ჰრქუა **მეფისამან** ეპიფანეს: „უკუეთუ მაყენებდე მე, მამაო ეპიფანე, იოვანესთჳს განძებასა, ტაძარი კერპთაჲ განვაღო და თაყუანის-ვაცემინე მას ყოველნი კაცნი და ვყო უკუანაჲსკნელი უძჳრჱს პირველისა”. | მაშინ ჰრქუა **დედოფალმან** ეპიფანეს: „უკუეთუ მაყენებ მე, მამაო ეპიფანე, იოვანესა განძებასა, ტაძარი კერპთაჲ განვაღო და თაყუანის-ვაცემინე მას ყოველნი კაცნი და ვყო უკუანაჲსკნელი საცთური უძჳრეს პირველისა”. |
| და ვითარ-იგი ამას იტყოდა, სიმწარით ცრემლნი გადამოსთხინა თუალთაგან მისთა. | და ვითარ-იგი ამას იტყოდა, სიმწარით ცრემლნი გადამოსთხინა თუალთაგან მისთა. |
| ხოლო ეპიფანე ჰრქუა მას: „მემცა, შვილო, უბრალო ვარ საშჯელისა მისგან”. და ესე რაჲ ჰრქუა ეპიფანე, მაშინ **მიმიყვნია მე,** და **გამოვედით** ჩუენ სასუენებელისა მისგან სამეუფოჲსა. | ხოლო ეპიფანე ჰრქუა მას: „მემცა, შვილო, უბრალო ვარ სარჩელისა ამისაგან”. |
| ხოლო ისაკ იყო სნეულებასა შინა და არა შესრულ იყო ჩუენ თანა დედოფლისა”. | და ესე რაჲ თქუა ეპიფანე, **გამოვიდა** სასუენებელისა მისგან სამეუფოჲსა. |

ტექსტის ვრცელი ამონაწერი თითქმის ერთი და იგივეა, ხოლო ხაზგასმულ განსხვავებათა უმეტესობას მარტივი ახსნა ეძებნება: აღსანიშნავია, რომ ოქროპირის „ცხოვრების” შემცველი ზოგი ხელნაწერის წაკითხვები, რომელიც გამოცემული ტექსტის სქოლიოებში ძირითადი ტექსტის ვარიანტად არის წარმოდგენილი, ეპიფანე კვიპრელის

„ცხოვრებაში" არსებულ წაკითხვებს: ეპიფანეს ცხოვრების – „სხუაჲ რაჲმე სარწმუნოებაჲ" – ოქროპირის „ცხოვრების"ძირითად ტექსტში ასეა წარმოდგენილი: „სხუაჲ რაჲ სარწმუნოებაჲ", მაგრამ სქოლიოში ნაჩვენებია, რომ ორი ხელნაწერი (B და D ლიტერებით აღნიშნულნი) "ეპიფანეს. ცხოვრების" იდენტურ ფორმას „რაჲმეს" წარმოგვიდგენს. ასევე "ეპიფანეს ცხოვრების" – „და განგდებად" – ნაცვლად "ოქროპირის ცხოვრებაში" გვაქვს „და გარდადინებად", მაგრამ სქოლიოში ორ ზემოდასახელებულ ხელნაწერში იკითხება „განგდებად". „შენისაღა მამობისა სიწმიდჱ აქა არს", მაგრამ იგივე ხელნაწერები უმატებენ „ღმრთისა მიერ". „და უმეტესღა ესე" – „და უმეტესღა", მაგრამ ვარიანტებში „და უმეტესღა + ესე" (იგივე ხელნაწერები).

რამდენიმე მაგალითი, ჩვენი აზრით, წყაროდ გამოყენებული ტექსტის შეცდომით ამოკითხვისა და გადმოწერის შედეგი შეიძლება იყოს: „...ყოს მამამან თქუენმან" – „ყოს მონამან თქუენმან" ალბათ დაქარაგმებული „მამამან"-ის ნაცვლად „მონამან" ამოიკითხეს. ასევე, დედნის „რაჲთა იყოს ჩემი ესე მეუფებაჲ ყოვლით კერძოვე მშვიდობით". შეიძლება აქ ჩვეულებრივი „კორექტურა" იყოს.უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ განსხვავებულ წაკითხვას და კლება-მატებას ვარიანტებში პარალელი არ ეძებნება: „მოუწოდა ეპიფანეს და ჰრქუა მას"– „მიავლინა ეპიფანესა და მოუწოდა და ჰრქუა"; „მამაო ეპიფანე, შენ უწყი, რამეთუ ყოველივე სამეუფოჲ ჰრომთაჲ ჩემი არს". „და ყოველივე სამღდელოჲ ეკლესიათაჲ ჩემ მიერისა სამეუფოჲსაჲ შენი არს"– „და ყოველივე სამღვდელოჲ ეკლესიათაჲ ჩემისა სამეუფოჲსაჲ შენ მიგცე". „ვითარმედ აქუს მას..." – „რამეთუ აქუს მას". „განგდებად, ვითარცა არა ღირს არს" – „განგდებად ესე ეკლესიით, ვითარცა არა ღირსი". „რაჲთა იყოს ჩემი ესე მეუფებაჲ ყოვლითავე მშჳდობით"– „რაჲთა იყოს ჩემი ესე მეფობაჲ ყოვლით კერძოვე მშჳდობით". „უკუეთუ წვალებისათჳს არნ"–"უკუეთუ წვალებისათჳს არს". „და ვყო უკუანასკნელი უძჳრეს პირველისა" – „და ვყო უკანასკნელი საცთური უძჳრეს პირველისა".

ზოგიერთი სხვაობის მიზეზი ამ ორი უძველესი ტექსტის მრავალგზისი გადაწერის პროცესში წარმოშობილი ცვლილებათა შედეგიც შეიძლება იყოს (მსგავსად „მამამან" და „მონამან").

არც ის არის გამოსარიცხავი, რომ წყაროდ გამოყენებულ ეპიფანე კვიპრელის ტექსტში ასეთი უმნიშვნელო ზოგი ცვლილების შეტანა, რომელთაც ჩვენ ახსნა ვერ დავუძებნეთ, „იოვანე ოქროპირის ცხოვრების" ქართულად მთარგმნელის მიერ შეგნებულად რედაქტირების კვალიც შეიძლება იყოს.

ერთადერთი სტაბილური სხვაობა მოტანილ ტექსტებს შორის ის არის, რომ "ეპიფანეს ცხოვრების" „მეფისას" "ოქროპირის „ცხოვრებაში" ყოველთვის „დედოფალი" შეესატყვისება (არის ერთი შემთხვევა „მეფისას" ნაცვლად „დედოფლის" ხმარებისა ეპიფანეს „ცხოვრების" ერთ ეპიზოდში, რომელსაც "ოქროპირის ცხოვრებაში" პარალელი არა აქვს). ორივე თხზულების ბერძნულ დედნებში, რა თქმა უნდა, βασιλίσσα იგულისხმება.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოწარმოდგენილი პარალელური ტექსტების იგივეობა უეჭველია, ე.ი. იოვანე ოქროპირის „ცხოვრების" ბერძნულიდან ქართულად მთარგმნელმა, ძირითადად ამ თხზულების ბერძნული დედანი თარგმნა, მაგრამ ეპიფანესა და ევდუქსია დედოფლის დიალოგის ტექსტისათვის „ეპიფანე კვიპრელის „ცხოვრების" ქართულად ადრე გამოღებული ტექსტით ისარგებლა – თითქმის უცვლელად გადაიტანა და თავის ნათარგმნ ტექსტში ჩართო. მაინც შევამოწმოთ ეს დებულება ორივე თხზულების ქართული ტექსტების ბერძნული დედნების ტექსტებთან შედარებით. ეპიფანეს „ცხოვრების" ეს მონაკვეთი ბერძნული დედნის ზედმიწევნითი შინაარსობრივი თარგმანია, ხოლო ოქროპირის „ცხოვრების" ეს ეპიზოდი, რომელიც მთელი სიზუსტით ემთხვევა „ეპიფანეს ცხოვრების" შესაბამის მონაკვეთს, სრულიად განსხვავდება შესატყვისი ბერძნული ტექსტისაგან. ალბათ საკმარისი იქნება მცირე ამონაწერის მოტანაც.

| ეპიფანეს „ცხოვრება" | ოქროპირის „ცხოვრება" | ოქროპირის „ცხოვრების" ბერძნული ტექსტის ქართული თარგმანი |
|---|---|---|
| „რაჲცა ბრძანოს შენმან მამობამან, მითხარ მე და მეცა განვკურნო მამაჲ ჩემი". | „რაჲცა ბრძანოს შენმან მამობამან, მითხარ მე და მეცა განვკურნო მამაჲ ჩემი". | „თუკი შეისმენ ჩემსას, გეტყვი და განიკურნება შენი სულის ტკივილი." |

| | | |
|---|---|---|
| მაშინ ჰრქუა ეპიფანე მეფისასა: „უკუეთუ წვალებისათჳს არს, რომელსა იტყჳ...“ | მაშინ ჰრქუა ეპიფანე დედოფალსა: „უკუეთუ წვალებისათჳს არნ, რომელსა იტყჳ...“ | |
| „... ესევითართა ამათ კეთილთა იქმოდა და ამას ესევითარსამცა სიღრმესა სიბოროტისასა აჭუნდამცა შთასლვაჲ? ნუ იყოფინ!“ | „...ესევითართა ამათ კეთილთა იქმოდა და ამას ესევითარსა სიღრმესა სიბოროტისასა აჭუნდამცა შთასლვაჲ? ნუ იყოფინ!“ | ბერძნულში ეს ტექსტი საერთოდ არ არის. |

ეჭვი რომ არ გაჩნდეს, ხომ არ არის პირიქით და ეპიფანე კვიპრელის „ცხოვრების“ მთარგმნელმა ხომ არ ისარგებლა იოვანე ოქროპირის „ცხოვრების“ ქართული თარგმანის ტექსტით, კიდევ ერთი ამონაწერის მოტანა დაგვჭირდება. მოვგვაქვს პარალელური ტექსტების ის ნაწილი, რომლითაც ეს ტექსტები ერთმანეთისაგან სხვაობს:

| “ეპიფანეს ცხოვრება” | “ოქროპირის ცხოვრება” |
|---|---|
| და ჰამბავი იგი მიმოდარბაიოდა ყოველსა მას ქალაქსა და იტყოდეს, რამეთუ დიდი მდღელმოძღუარი ეპიფანე ეპისკოპოსი კუპრელი შევიდა დედოფლისა და აზრახა მას განძებაჲ დიდისა იოვანესი. და ესმა რაჲ ესე ისაკს... (ათამდე სტრიქონი ეთმობა ისაკის რეაქციას მომხდარზე). | და განჴჭა ჰამბავი ყოველსა ქუყანასა, ვითარმედ დიდი ეპიფანე მღდელთმთავარი მიერრდა დედოფალსა განძებასა იოვანესსა.“ |
| და რამეთუ იოვანესცა ეგრეთვე დაეჯერა, ვითარმედ აზრახა მისი განძებაჲ ეპიფანე. და მოიღო მან დიპტჳქონი და მოუწერა ეპიფანეს ესრეთ: „ეპიფანე ბრძენო, აზრახეა ჩემი განძებაჲ? რამეთუ არღარა დაშჯდე შენ საყდარსა ზედა“. | და მოიღო იოვანე დიპტჳკონი და მიუწერა ესრეთ: „ჲ, ეპიფანე ბრძენო, აზრახეა განძებაჲ ჩემი? რამეთუ არღარა დაშჯდე შენ საყდართა შენთა“. |
| ეგრეთვე მსგავსად ეპიფანეცა მიუწერა და ჰრქუა მას: „მოღუაწეო იოვანე, ცემაჲ თავს-იდეც და სძლო, არამედ ადგილსა მას, სადა-იგი განძებულ ხარ შენ, ვერ მიაწინე მუნ“. | და ეგრეთვე მსგავსად ეპიფანეცა მიუწერა და ჰრქუა მას: „მოღუაწეო იოვანე, ცემაჲ თავს-იდევ და სძლო, არამედ ადგილსა მას, რომელსა ექსორია-ქმნულ ხარ, ვერ მიაწიწე მუნ“. |
| ხოლო ესე დავწერე, ძმანო, რაჲთა არავინ ეპიფანეს დასდვას ბრალი. ესე არა თუ ამისთჳს ესევითართა ამათ კეთილთა იქმოდა და ამას ესევითარსამცა სიღრმესა სიბოროტისასა აჭუნდამცა შთასვლაჲ? ნუ | და ესრეთცა იქმნა, რამეთუ არცა ეპიფანე შევიდა ცხოვლივ კჳპრედ, რამეთუ ნავსადა შინა იყო, შეისუენა ვიდრე მიწევნადმდე მისა მუნ. და ვერცა იოვანე შემდგომად მცირედისა ჟამისა, რაჟამს ექსორია-იქმნა მეორესა მას ჯერსა, ვერ მიაწიწა ადგილსა მას, რომელი თჳმად არს მერმე ძალი სიტყუათაჲ მათ. და ნუ ვინ ჰგონებენ და აბრალებენ ეპიფანეს ბრალსა ამას, რამეთუ არა თუ ამისთჳს ესევითართა კეთილთა იქმოდა და ამას ესევითარსა სიღრმესა სიბოროტისასა აჭუნდამცა შთასლვაჲ, ნუ იყოფინ! |

[13] დასახ. გამოცემა, გვ. 138 (ამ ადგილის ბერძნული ტექსტი Patr. Gr. t. 41, 104-105).
[16] დასახ. გამოცემა, გვ. 97 (ბერძნ. ტექსტი, F. Halkin-ის დასახ. გამოც. 200-202).

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| იყოფინ!"[15] | ვითარმცა ესევითარი ვარსკულავი ყოვლისა სოფლისაჲ და მოძღუარი განკუეთა თჳნიერ სამართლისა[16] |

მოტანილ ამონაწერებში ზუსტი ფრაზეოლოგიური დამთხვევის მაგალითები არის, მაგრამ განსხვავებები მატულობს. დასტურდება განსხვავებული დეტალების შემცველი აბზაცებიც: იოვანეს „ცხოვრებისათვის", რა თქმა უნდა, აბსოლუტურად ზედმეტი იქნებოდა ეპიფანეს „ცხოვრებაში" წარმოდგენილი თხრობა ეპიფანეს და მის მოწაფე ისაკს შორის გაუგებრობის ნიადაგზე წარმოშობილი უთანხმოების შესახებ ოქროპირის საქმესთან დაკავშირებით ისევე, როგორც ეპიფანეს „ცხოვრებაში" ვერ აისახებოდა, თუ როგორ გამართლდა ეპიფანეს წინასწარმეტყველება – ოქროპირი ვერ მიაღწევსო ცოცხალი ექსორიობის ადგილს, როგორც ეს ნათქვამია ოქროპირის „ცხოვრებაში", რადგან ეპიფანეს „ცხოვრება" დაიწერა 403-404 წწ, ხოლო ოქროპირი გარდაიცვალა 407 წელს ექსორიობისას გზაში. მაგრამ ტექსტების ამ მონაკვეთებიდან გარკვევით ჩანს, რომ ოქროპირის „ცხოვრება" ეფუძნება ეპიფანეს „ცხოვრების" ტექსტს. სხვა დებულებებთან ერთად ამის დამადასტურებელი ენობრივი ფაქტია ეპიფანეს ცხოვრების „მეფისა" ოქროპირის ცხოვრების „დედოფლის" ნაცვლად.

ამრიგად, განხილული მასალის სახით ჩვენ გვაქვს უნიკალური მაგალითი იმისა, თუ როგორ გამოიყენა IX ს. (უკიდურეს შემთხვევაში Xს. დასაწყისის) ქართველმა მთარგმნელმა თავისი თხზულებისათვის სხვა დასახელების „ცხოვრების" კიდევ უფრო ადრინდელი, უცნობი მთარგმნელის მიერ გადმოღებული ტექსტის ერთი მონაკვეთი. ბუნებრივია კითხვა: რატომ დასჭირდა „იოვანეს ცხოვრების" მთარგმნელს ეპიფანეს „ცხოვრების" ტექსტიდან მხოლოდ რაღაც ერთგვერდიანი მონაკვეთის ასეთი სიზუსტით „სესხება", მაშინ, როცა მთელი ტექსტი მან მეტნაკლები სიზუსტით მხოლოდ შესაბამისი ბერძნული დედნიდან თარგმნა?. ჩვენი აზრით, ამ ფაქტს მხოლოდ ერთი ახსნა შეიძლება დაეძებნოს: ეპიფანეს „ცხოვრებაში" ეპიფანესა და ევდუქსია დედოფლის საუბარი აღწერილი ჰქონდა ამ საუბრის დამსწრე და ეპიფანეს „ცხოვრების" ბოლო მონაკვეთის ავტორს, პოლიბიოს ხუცესს, ხოლო ოქროპირის „ცხოვრების" სათარგმნ ბერძნულ ტექსტში კი რომელიღაც წყაროს (შესაძლებელია ეპიფანეს „ცხოვრების" ბერძნული ტექსტის) მხოლოდ სქემატური, პერიფრაზული ტექსტი იყო წარმოდგენილი.

უნდა ვიფიქროთ, რომ აღწერილი ლიტერატურული „სესხების" მაგალითი პირველი თუ არა, „პლაგიატის" ერთ-ერთი უძველესი შემთხვევა უნდა იყოს ძველ ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში.

გამოვლენილ ფაქტს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ძველი ქართული მწერლობის ისტორიისათვის. ცნობილია ეფთვიმე მთაწმინდელის მთარგმნელობითი მეთოდი, რაც სხვა ნიუანსებთან ერთად სათარგმნი თხზულების სხვა წყაროებით შევსებაში გამოიხატება. ასეთი თავისუფალი თარგმნის პიონერად ეფთვიმე არის მიჩნეული. ჩვენს მიერ გამოვლენილი ფაქტი კი ადასტურებს, რომ თავისუფალი თარგმნის ტრადიციის ჩანასახები ეფთვიმეზე ადრე არსებობდა (მსგავსი ფაქტების გამოვლენა მომავლის საქმეა) და ეფთვიმემ ეს ტრადიცია გამოიყენა, დახვეწა და განავითარა თავისი მთარგმნელობითი საქმიანობით.

**E. GABIDZACHVILI**

## SUR UNE INITIATIVE D'UN TRADUCTEUR DU IX $^{E}$ SIECLE

RESUME

Dans cette oeuvre est révélé le fait, qui montre, que le traducteur du grec en géorgien de "La vie de Jean Chrysostome" insère dans sa traduction environ deux pages de " La vie d'Epiphane de Cypre", traduit aussi au IX $^{e}$ siècle. Cette partie du texte expose la conversation de la reine Evdocie avec Epiphane en lui demandant la déposition et l'éxil de Jean.

C'est le cas ancien du "plagiat" et cela nous fait penser, que les principes de la traduction libre a son origine dès ce tamps. Ces principes ent ensuite développés et variés par Eutyme l'Athonyte.

მანანა დვალი

# Jer 51 ხელნაწერი და მისი მიმართება სისტემური პატერიკის თეოფილესეულ თარგმანთან (A1105)

სისტემური პატერიკების ქართული თარგმანების შემცველ ხელნაწერთა შორის ექვთიმე მთაწმიდელის თარგმნილი პატერიკის (A 35 ხელნაწერი)[1] გარდა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქართულ ხელნაწერთა კოლექციის A ფონდში დაცული № 1105 ხელნაწერი[2], რომელიც შეიცავს თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ (XI ს.) თარგმნილ კრებულს და იერუსალიმის ხელნაწერთა ქართული კოლექციის № 51 ხელნაწერი[3], რომელიც ასევე სისტემურ პატერიკს შეიცავს.

A 1105 XI ს-ის I ნახევრისაა, შედგება 457 ქაღალდის ფურცლისაგან, ნაკლულია. კრებული 26 თავს მოიცავს, ახლავს მთარგმნელისეული პატარა წინასიტყვაობა. A 1105 არის ყველაზე სრული სისტემური კრებული[4], რომელიც ქართულ ენაზე შემორჩენილა.

Jer 51 XII საუკუნეს განეკუთვნება, ქაღალდი, შედგება 389 ფურცლისაგან, ნაკლულია.[5] სამწუხაროდ, ხელნაწერის წარმომავლობა უცნობია. როგორც ჩანს, ის მოხვედრილა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, სადაც, როგორც ამას ანდერძი გვიჩვენებს, შეიკაზმა გოლგოთისა და ჯვრის მონასტრის წინამძღვრის ეპიფანეს მიერ ( XVI ს-ის 80-იან წლები)[6]. თუმცა მეორე ანდერძიდან ჩანს, რომ ეპიფანე არ არის ხელნაწერის პირველი შემკაზმველი, და რომ ის უკვე შეკაზმული ყოფილა იოსებ ხუნტუს ძის მიერ: „ყოველად წმიდაო ღმრთისმშობელო და წმიდანო მამანო, და რაღაც ამაღ წიგნ[ს] [წმიდა]ნი წერილ ხარო, შეიწყალე სული ამაღ წიგნისა კაზმაეისა იოსებ-ყოფილ იონაღ მონაზონისა, ხუნტუს ძისა, სული მისთა მშობელთა და ყოველთა მისთა მიცვალებულთაა, შეუნდვნეს ღმერთმან. ვინცა შენდობაღ ბრძანოთ, თქუენცა შეგინდებენეს (!) ღმერთმან“ (1v)[7]. არსებობს ვარაუდი, რომ აღნიშნული ხელნაწერი იონა მონაზონს XII-XIV საუკუნეებში უნდა შეეკაზმა[8]. ამრიგად, ხელნაწერი სამი საუკუნის განმავლობაში ორჯერ მაინც ყოფილა შეკაზმული.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ხელნაწერი ნაკლულია, აღწერილობის მიხედვით, იგი მოიცავს თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმნილი პატერიკის ტექსტს ათი თავის ფარგლებში, იწყება II თავით. თუკი შევადარებთ ერთმანეთს A1105 ხელნაწერისა და Jer 51-ის სტრუქტურას, ვნახავთ, რომ ისინი თითქმის იდენტურია:

| A 1105 | Jer 51 |
|---|---|
| 1. პირველი სიტყუაჲ, შესავალი წიგნისაჲ წმიდათა და ნეტართა მამათა ჩუენთა ცხორებათათჳს და მოქალაქობათა | 1. |
| 2. სწავლანი შუენიერნი წმიდათა და | [2]სწავლანი შუენიერნი წმიდათა და |

[1] შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. დვალმა, თბ., 1966.

[2] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A ფონდი, ტ. IV, თბ., 1954, გვ. 86

[3] R.Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque Patriarchale grecque à Jérusalem, 1924, გვ.99

[4] ხელნაწერის აღწერისა და დახასიათებისათვის იხ.: შუა საუკუნეთა ნოველების, გვ.017-029; აქვე დავრწმუნდით, რომ კრებული გადაწერილია და გამოსაცემად მზად არის.

[5] იერუსალიმურ ხელნაწერზე მსჯელობისას ვეყრდნობით იერუსალიმურ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობას, რომელიც დიდსულოვნად მოგვაწოდეს ამ აღწერილობის ავტორებმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

[6] ჲ. კარანაძე, ქართული წიგნის ყდის ისტორია,თბ., 2002, გვ. 40.

[7] იონა მონაზონი მოიხსენიება ასევე სინას მთაზე დაცულ სულთა მატიანეშიც: „სულსა ონე, ყოფილისა იოსებს ხუნტუს ძისა, შეუნდოს ღმერთმან“. საინტერესოა, რომ აქვე მოიხსენიება კიდევ ერთი ხუნტუს ძე „სულსა ვოანიასა ხუნტუს ძისა შეუნდოს ღმერთმან და მისსა მეულესსა მზეკასს შეუნდოს“, იხ. იე. ჯაჯანიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1946, გვ. 243.

[8] ჲ. კარანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 40

ნეტართა მამათანი, სისრულისათჳს სათნოებათაჲსა.

3. სწავლანი და თხრობანი სულიერნი წმიდათა მამათანი და ვითარმედ ჯერ-არს ჩუენდა ყოველითა ძალითა მიდევნებად დაყუდებასა.

4. თხრობაჲ თჳთო სახჱ წმიდათა მამათაჲ ლმობიერებისათჳს.

5. სწავლანი და თხრობანი წმიდათა მამათანი მრავალსახჱნი და მრავალგუარნი მარხჳსათჳს და სხუათა მათ სათნოებათა და ვითარმედ არა ჭამადთა ოდენ ზედა გამოისახჳს მარხვაჲ, არამედ ყოველთავე ზედა საცნობელთა და აღძრვათა სულისათა.

6. მოძღურებანი თჳთოჲერნი და მოთხრობანი მრავალსახენი წმიდათა მამათანი, განკრძალვისათჳს ჩუენდა ბრძოლათაჲსა, რომელნი-იგი სიძჳისა მიერ აღდგებიან ჩუენ ზედა.

7. უპოვარებისათჳს და არა მოხუმჯისა და სხუათა მათთჳს სათნოებათა.

8. თხრობაჲ თჳთოსახჱ წმიდათა და ღმრთივ სულიერთა მამათაჲ, რომელი აღმჭურავს ჩუენ და აღმადგინებს სიმჴნედ და მოთმინებად.

9. სწავლანი და თხრობანი წმიდათა და ნეტართა მამათანი, ვითარმედ არა რასა ჯერ-არს ქმნაჲ საჭუნებელად კაცთა.

10. ვითარმედ ჯერ-არს ყოველითა ძალითა ჩუენითა კრძალვად, რაჲთა არავის განვიკითხჳდეთ.

11. განკითხვისათჳს საღმრთოჲსა და განრჩევისა კეთილისა ბოროტისაგან.

ნეტართა მამათანი სისრულისათჳს სათნოებათაჲსა.

3. თავი გ: თხრობანი სულიერნი წმიდათა მამათანი, ვითარმედ ჯერ-არს ყოველითა მოსწრაფებითა მიდევნებად დაყუდებისა.

4. თავი დ: თხრობაჲ თითოსახე წმიდათა მამათაჲ ლმობიერებისათჳს.

5. თავი ე: სწავლანი და თხრობანი წმიდათა მამათანი თითოსახენი და თითოფერნი მარხვისათჳს და სხუათა მათ სათნოებათა და ვითარმედ არა ჭამადთაგან ოდენ გამოისახჳს მარხვაჲ, არამედ ყოველთავე ზედა საცნობელთა და აღძრვათა სულისათა.

6. თავი ვ: მოძღურებანი წმიდათა მამათანი ვნებათათჳს და გულისსიტყუათა სიძჳისათა.

7. თავი ზ: უპოვარებისათჳს და არა მოხუმჯისა და სხუათა მათ სათნოებათა.

8. თავი : თხრობა თითოსახე წმიდათა და ღმრთივსულიერთა მამათა , რომელი აღმჭურავს ჩუენ და აღმადგინებს სიმ ნით მოთმინებად.

9. თავი თ: სწავლანი და თხრობანი წმიდათა და ნეტართა მამათანი, ვითარმედ არარას ჯერ-არს ქმნაჲ საჭუნებელად კაცთა.

10. თავი ი: ვითარმედ ჯერ-არს ყოველითა ძალითა ჩუენითა კრძალვად, რაჲთა არავისა განკითხვად.

11. განკითხვისათჳს საღმრთოჲსა და განრჩევისა კეთილისა ბოროტისაგან.

როგორც შედარებიდან ჩანს, იერუსალიმურ ხელნაწერს აკლია A1105-ის I თავი, რომელიც მოიცავს კრებულის ზანდუკსა და შესავალს, მაგრამ რა არის ეს, რედაქტორის მიერ ჩატარებული კლება, თუ დედანი ხელნაწერი იყო ნაკლული? ის ფაქტი, რომ იერუსალიმური კრებულის ფაქტიური პირველი თავი დაუნომრავია, ხოლო დანომრილი ფაქტიური II თავი მესამე (გ) თავად არის წარმოდგენილი, გვავარაუდებინებს, რომ უკვე იონა მონაზონს ხელნაწერი თავნაკლული დახვედრია, და რომ იონა არ არის ამ ხელნაწერის პირველი შემკაზმველი.

თეოფილეს თარგმანისა და იერუსალიმური ხელნაწერის სტრუქტურულმა შედარებამ ცხადყო, რომ ათი თავის ფარგლებში იერუსალიმური ხელნაწერი მიჰყვება A1105-ს, ივიეე შეიძლება ითქვას თავის შიგნით თხრობების თანმიმდევრობის შესახებაც. ძალიან იშვიათია შემთხვევები, როდესაც ეს თანმიმდევრობა ირღვევა (მაგ. I თავში კასიანეს თხრობა გადასმულია იოანე ოქროპირის თხრობის შემდეგ).

ერთი შეხედვით იერუსალიმური პატერიკი თეოფილეს თარგმანის ნუსხად შეიძლებოდა ჩაგეთვალა, თუმცა საინტერესო სურათი წარმოგვიდგა ერთი თავის ფარგლებში თხრობათა ტექსტების შედარებისას. შესადარებლად ავიღეთ A 1105-ის – II და

Jer 51-ის პირველი თავი (A1105: „სწავლანი შუმნიერნი წმიდათა და ნეტართა მამათანი, სისრულისათჳს სათნოებათაჲსა, გუაკურთხენ მამაო“ Jer 51: „სწავლანი შუმნიერნი წმიდათა და ნეტართა მამათანი სისრულისათჳს სათნოებათაჲსა“). ტექსტების შედარებამ რამდენიმე სახის განსხვავება წარმოაჩინა. რიგ შემთხვევაში ეს განსხვავებები ვარიანტული სახისაა, მაგ.:

| A 1105 | Jer 51 |
|---|---|
| თქუა მამამან სისოჲ: იქმენ შეურაცხ და ნებაჲ უკუანაჲთ შენსა **დაბგე** და იქმენ უხრუნველ და გაქუნდეს განსუმნებაჲ. | თქუა მამამან სისოჲ: იქმენ შეურაცხ და ნებაჲ უკუანაჲთ შენსა **დაიგდე** და იქმენ უხრუნველ და გაქუნდეს განსუმნებაჲ. |

| | |
|---|---|
| ძმამან ჰკითხა მამასა ესადა სიტყჳსა მისთჳს „მამაო ჩუენოჲსა“, რაჲ არს სიტყუაჲ ესე: „წმიდა იყავ სახელი შენი?“ **ჰრქუა მას ბერმან**: ესე სრულთაჲ არს, რამეთუ [რომელ] ჭორციელთაგან ვნებათა **იმძლავრებოდის**, შეუძლებელ არს შორის წმიდა ყოფად-სახლი წმიდაჲ. | ძმამან ჰკითხა მამასა ესადა სიტყჳსა მისთჳს „მამაო ჩუენოჲსა“, რაჲ არს სიტყუაჲ ესე: „წმიდა იყავ სახელი შენი?“ **და ბერმან ჰრქუა მას**: ესე სრულთაჲ არს, რამეთუ რომელ ჭორციელთაგან ვნებათა **ძლეოდის**, შეუძლებელ არს შორის წმიდა-ყოფად სახლი წმიდაჲ. |

| | |
|---|---|
| თქუა ბერმან: შვილნო, მარილი წყლისაგან არს, ხოლო უკუეთუ დაეახლოს წყალსა, დადნების **და წარჰდების**. ესრეთვე სახჱდ მონაზონი დედაკაცისაგან არს, ხოლო უკუეთუ დაეახლოს დედაკაცსა, **დადნების და** წარწყმდების. | თქუა ბერმან: შვილნო, მარილ წყლისაგან არს, ხოლო უკუეთუ დაეახლოს წყალსა, დადნების. ესრეთვე სახჱდ მონაზონი დედაკაცისაგან არს, ხოლო უკუეთუ დაეახლოს დედაკაცსა, წარწყმდების. |

ზოგჯერ განსხვავებები ტექსტებს შორის სცილდება ვარიანტულს და რედაქციულ სახეს იღებს. პირველ რიგში ეს ეხება თხრობათა დაჯგუფებას.

ჩვეულებრივ, ერთი ავტორის სხვადასხვა თხრობების გამოყოფისას პატერიკები შემდეგ გამონათქვამებს მიმართავენ: „მანვე თქუა “, „თქუა კუალად მანვე“, „თქუა კუალად ბერმან“, „მანვე თქუა კუალად“... თითოეული ასეთი დასაწყისი ახალ თხრობაზე მიგვითითებს. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, რომ თეოფილეს თარგმანში ერთ ავტორზე გატანილ რამდენიმე თხრობას იერუსალიმური ხელნაწერი აერთიანებს და ხშირად ეს გაერთიანება უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე A 1105-ის დაყოფა. მაგ.:

| A 1105 | Jer51 |
|---|---|
| იტყოდა **ნეტარი ეპიფანე**, ვითარმედ: უკუეთუ სახჱმან-და ქრისტესმან მელქისჱდეკ ძირი იგი ებრაელთაჲ აკურთხა, აბრაჰამ, რაოდენ უფროსსა თუთ ჭეშმარიტებამან ქრისტესმან აკურთხეს და წმიდა-ყენს ყოველნივე მისა მიმართ მორწმუნენი? | იტყოდა **ნეტარი ეპიფანე კჳპრელ მთავარეპისკოპოსი**: უკუეთუ სახემან-და ქრისტესმან მელქისჱდეკ ძირი იგი ებრაელთაჲ აკურთხა, აბრაჰამ, რაოდენ უფროს თუთ ჭეშმარიტებამან ქრისტესმან აკურთხეს და [წმიდა]-ყენს ყოველნივე მისსა მიმართ მორწმუნენი? საჭიროჲ უკმს ქრისტეანესა, რომელსა ძალ-უც მოგებად წიგნთა და რამეთუ თუთმებრ ხილვაჲ უკმ ჰყოფს კაცსა ცოდვისა მიმართ და სიმართლისა კერძო აღადგინებს უფროსსა და კმთილსა აწუმვს. რამეთუ დიდი სიმტკიცე არს წმიდათა წერილთა კითხვაჲ, და დიდი მთხრებელი არს წარწყმედისაჲ წმიდათა წერილთა უმეცრებაჲ. |
| მანვე თქუა: დიდი მთხრებელი არს წარწყმედისაჲ და სიღრმე შთაუხედავი ჴნარცუსა წმიდათა წერილთა უმეცრებაჲ. | |

| | |
|---|---|
| კუალად თქუა მანეც: დიდად განცემაჲ არს ცხორებისაჲ უმეცრებაჲ წერილთა საღმრთოთაჲ. | დიდი განცემაჲ არს ცხორებისაჲ უმეცრებაჲ საღმრთოთა უმეცრებაჲ. |
| ოგუე იტყოდა, ვითარმედ: მართალთა ცოდვანი ბაგეთადმდე არიან, ხოლო უღმრთოთანი ყოველთა ჴორცთა. ამისთჳს გალობს საღმრთოჲცა დავით და იტყუს: „დასდეც, უფალო, საცოჲ პირსა ჩემსა და კარი ძნელი ბაგეთა ჩემთა. და ვთქუ: ვიმარხნე გზანი ჩემნი, რაჲთა არა ვცოდო ენითა ჩემითა“. | მართალთა ცოდვანი ბაგეთამდე არიან, ხოლო უღმრთოთა – ყოველთა ზედა ჴორციელთა. ამისთჳს [იტყუს წინაწარმეტყუელი დავით: „დასდეც, უფალო, საცოჲ პირსა ჩემსა და კარი ძნელი ბაგეთა ჩემთა. და ვთქუ: ვიმარხნე გზანი ჩემნი არა ცოდვად ენითა ჩემითა“. |
| მანეე თქუა, ვითარმედ: ღმერთი ცოდვილთა თავთაგანცა შეუნდობს, ინანონ რაჲ, ვითარცა-იგი მეძავსა და მეზუერესა, ხოლო მართალთა ვაზშსაცა მოჰჭდის და ესე არს სიტყუაჲ იგი უფლისაჲ, რომელსა ეტყოდა მოციქულთა, ვითარმედ: „ უკუეთუ არა აღემატოს სიმართლე თქუენი უფროს მწიგნობართა და ფარისეველთა, ვერ შეხჳდეთ სასუფეველსა ცათასა“. | ღმერთი ცოდვილთა თავთაგანცა შეუნდობს, შეინანონ რაჲ, ხოლო მართალთა ვახშსაცა მოჰჭდის და ამას ეტყოდა უფალი მოციქულთა, ვითარმედ: „ უკუეთუ არა აღემატოს სიმართლე თქუენი უფროს მწიგნობართა და ფარისეველთა, ვერ შეხჳდეთ სასუფეველსა ცათასა“. |

როგორც ვხედავთ, იერუსალიმური ხელნაწერის ტექსტი იმდენად ორგანულადაა გადაბმული, რომ აქ თხრობათა განცალკევების საჭიროება არ იგრძნობა. ამასვე ადასტურებს კიდევ ერთი ნიმუში:

| A 1105 | Jer 51 |
|---|---|
| ეტყოდა მამაჲ იოანე, კილიკიელი წინამძღუარი რაჲთისაჲ, ძმაო: შვილნო, ვითარცა ვივლტოდეთ სოფლისაგან, ვივლტოდეთ გულისთქუმისაგანცა ჴორცთასა. თქუა კუალად: მიგჳბაძიდეთ მამათა ჩუენთა და მოვიჴსენოთ, თუ ვითარითა ფიცხლად მოღუაწებითა და დაყუდებითა სხდეს აქა. მანეე თქუა: ესე ადგილი მოღუაწეთაჲ არს, არა ვაჭართა და ფერეზიკთაჲ. | ეტყოდა მამაჲ იოანე რაჲთელი ძმაო: შვილნო, ვითარცა ვივლტოდეთ სოფლისაგან, ვივლტოდეთ გულისთქუმისაგანცა ჴორცთასა. მიგჳბაძიდეთ მამათა ჩუენთა, მოვიჴსენოთ, თუ ვითარითა ფიცხლად მოღუაწებითა და დაყუდებითა სხდეს აქა, და ნუ შეგამწიკულებთ, შვილნო, ადგილსა ამას, რომელი მამათა ჩუენთა განწმიდეს ეშმაკთაგან, რამეთუ ესე ადგილი მოღუაწეთაჲ არს, არა ვაჭართა და ფერეზიკთა. |

ზოგჯერ თხრობათა გაერთიანებას უფრო მეტი სიცხადე შეაქჳს ტექსტის შინაარსში, მაგ.:

| A1105 | Jer51 |
|---|---|
| თქუა მამამან მოსჱ: რომელსა უნდეს მახლობელად თჳსსა იესუ და მოცალე იყოს მისა მიმართ, კეთილად ჰყოფს, უკუეთუ არა შეიყვანებს კაცსა სენაკად თჳსად. თქუა კუალად: შეუძლებელ არს ვისგანცა მოგებაჲ იესუსი თჳნიერ შრომითა და სიმდაბლითა და სამარადისოჲთა ლოცვითა. | მანეე თქუა: რომელსა აქუნდეს მახლობელად თჳსა იესუ და მოცალე იყოს მისთჳს, კეთილად ჰყოფს, უკუეთუ არა შეიყვანებს კაცსა სენაკად თჳსა, რამეთუ შეუძლებელ არს მოგებაჲ იესუსი თჳნიერ მარხვითა და ლოცვითა და სიმდაბლითა. |

თვალში საცემია ასევე ტექსტობრივი განსხვავებებიც. ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც მიუხედავად შინაარსობრივი მსგავსებისა, იერუსალიმური ხელნაწერი განსხვავებულ, უფრო გამარტივებულ და შემოკლებულ, ტექსტს გვაძლევს:

| A1105 | Jer 51 |
|---|---|
| თქუა მამამან **ათანასჱ, ალექსანდრიელ** | თქუა დიდმან ათანასი: იტყჳნ ვინმე, |

| | |
|---|---|
| **მთავარეპისკოპოსმან**: **მრავალგზის** იტყჳნ ვინმე **ჩუენგანი,** ვითარმედ: სადა არს დევნულებაჲ, რაჲთამცა ვიწამე? იწამე **გონებითა,** მოკუედ ცოდვისაგან, მოაკუდინენ ასონი ქუეყანისანი და მოწამე ქმნულ ხარ გონებითა. **წმიდანი** მოწამენი მეფეთა ჰბრძოდეს **და მთავართა,** გაქუს შენცა წინამოსაჯულად მეფჱ იგი ცოდვისაჲ სამაელ და მთავარნი მისნი, ბოროტნი ეშმაკნი. ესრეთვე უკუჱ წმიდათა მათ წინაშე უსხნეს ბომონნი და **ტაბლანი საკჳრპონი, აღსავსენი საძაგელებითა და ნაზორევთა მწიკულითა.** მოიგონე სულსა შინა შენსა და ბომონად შეჰრაცხჱ ნაყროვანებაჲ და ტაბლად საზორველად გემოთ-მოყუარებაჲ და კჳრპად გულის-თქუმაჲ იგი ცოდვისაჲ, რამეთუ რომელი სიძვათა და გულის-თქუმათადა შედგომილ იყოს, მას იესუ უარ-უქმნიეს და კჳრპსა თაყუანის-სცემს, რამეთუ აქუს თავსა შორის თჳსსა აფროდიტეს ქანდაკჱბული გულის-თქუმაჲ იგი ცოდვისაჲ და ბილწებაჲ ჴორცთაჲ. | ვითარმედ: სადა არს დევნულებაჲ, რაჲთამცა ვიწამე? იწამე **შრომითა,** მოკუდედ ცოდვისაგან, მოაკუდინენ ასონი ქუეყანისანი და წამებულ ხარ გონებითა. მოწამენი მეფეთა ჰბრძოდეს, ჰბრძოდე წინამოსაჯულსა შენსა სამაელს და მთავართა მისთა ეშმაკთა. წმიდათა მათ წინა-ესხნეს ბომონნი საძაგელთა კერპთანი და შენცა ბომონად შეჰრაცხე ნაყროვანებაჲ და გემოთმოყუარებაჲ და კერპად გულისთქუმაჲ ცოდვისაჲ, რამეთუ რომელი სიძვათა მაგისთჳს თქუმათა შინა დაჰდგრეს, მას იესუ უარ-უქმნიეს, რამეთუ აქუს გულსა შინა, ვითარცა აფროდიტეს კერპი პირები დედათაჲ, გულისთქუმაჲ ბოროტი და შეგინებაჲ ჴორცთაჲ. |
| კუალად, რომელი გულის-წყრომითა და მრისხანებითა იძლეოდის და არა გარდაჰკუჱთდეს სჱნისა მის სიგუჱსესა, მასცა იესუ უვარ-უქმნიეს და არე ჰყავს ღმრთად თავსა შორის თჳსსა, რამეთუ მოუდრკა მრისხანებასა, რომელ არს გესლოვანებისა კჳრპი. სხუაჲ კუალად ვეცხლის-მოყუარე არს და ნივთთა მოსურნე. და დაჰჭშავს ნაწლევთა ძმისთჳს და არა სწყალობს მოყუასსა თჳსსა, და მასცა იესუ უარ-უქმნიეს და კჳრპთა ჰმსახურებს, რამეთუ აქუს თავსა შორის თჳსსა კჳრპი იგი ერმისი, რამეთუ ჯერეთცა დაბადებულთა ჰმონებს და არა დამბადებელსა, რამეთუ ნანდჳლვე ძირი ყოველთა ბოროტთაჲ არს ვეცხლისმოყუარებაჲ. ვინცა უკუჱ ამათ ვნებათაგან შორს იყოს, მას დაუთრგუნავს კჳრპთმსახურებაჲ და უარ-უქმნიეს უშჯულოებაჲ და მოწამე ქმნილ არს სრულ და ჭეშმარიტ. და აღუვარებიეს კჱთილი იგი და საცხორებელი აღსარებაჲ. | კუალად, რომელი გულისწყრომითა იძლეოდის და არა განჰკურნებდეს სენისა მის სიბოროტესა, მასცა იესუ უვარ-უქმნიეს და ჰყვეს თავსა შორის თჳსსა არე, რომელ არს მრისხანეჲ კერპი. სხუაჲ კუალად ვეცხლისმოყუარე არს და ნივთთმოყუარე. და დაჰჭშავს ნაწლევთა ძმისთჳს და არა სწყალობს მოყუასსა თჳსსა, და მასცა იესუ უვარ-უქმნიეს და კერპთა ჰმონებს, რამეთუ აქუს თავსა შორის თჳსსა კერპი ერმისი, ვინაჲთგან დაბადებულთა ჰმონებს და არა დამბადებელსა. ნანდჳლვე ძირი ყოველთა ბოროტთაჲ არს ვეცხლის-მოყუარებაჲ. რომელიცა უკუჱ ამათ ვნებათაგან შორს იყოს, მას უარ-უქმნიეს კერპთმსახურებაჲ, უშჯულოებაჲ და მოწამე ქმნილ არს სრულ და ჭეშმარიტ. და აღუარებიეს კეთილი იგი და საცხორებელი აღსარებაჲ. |

ტექსტის გამარტივება ზოგადად ახასიათებს იერუსალიმურ ხელნაწერს, ხშირად ეს გამარტივება კლების ხარჯზე ხდება. Jer 51-ის გადამწერი ტექსტიდან იღებს გარკვეული სახის ინფორმაციას, მაგალითად:

| A 1105 | Jer 51 |
|---|---|
| ვითარღამან მწუხარებამან მოიცვას მაშინ მამაჲ ანტონი და მამაჲ ამონა **ნიტრიელი, მამაჲ პავლე ფოტელი და მამაჲ ამმონ ეგჳპტელ არაბელი, მამაჲ მიოს თებაჲდელი და მამაჲ მაკარი ალექსანდრიელი,** მამაჲ | ვითარღამან წუხილმან მოიცვას მაშინ მამაჲ ანტონი და მამაჲ ამონა და მამაჲ პავლე ფოტელი და სხუანი მამანი ჩუენნი, წმიდანი და მართალნი, ოდეს იგი ჩუენ განვისხნეთ ბნელსა წყუდიადსა, ხოლო იგინი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| **საფუძველი სიდონელი და მამაი სირი თიდონელი, მამაი ამმონ ქერევნიტელ, და ყოველნივე წმიდანი მამანი და მართალნი შეწუხნეს და შეელმას , მაშინ,** ოდეს-იგი წარიყვანებოდიან ზეცათა სასუფეველად, ხოლო ჩუენ განვისხმოდით ბნელად გარესკნელად. | შევიდნენ ზეცათა სასუფეველსა? |

ამავე ტიპისაა შემდეგი ნიმუშებიც:

| | |
|---|---|
| A1105<br>თქუა მამამან ზენონ, **მოწაფემან ნეტარისა სილოანეს:** მარადის ნუ დაემკვდრები ადგილსა სახელოვანსა | Jer 51<br>თქუა მამამან ზენონ: ნუ დაემკვდრები ადგილსა სახელოვანსა... |

| | |
|---|---|
| A 1105<br>ეტყოდა მამაი იოანე **კილიკიელი, წინამძღუარი რაჲთიასი,** ძმათა... | Jer 51<br>ეტყოდა მამაი **იოანე რაჲთელი** ძმათა.., |

საინტერესო შემთხვევაა, როდესაც Jer 51-ს A1105-თან შედარებით აკლია მთარგმნელისეული განმარტება

| | |
|---|---|
| A1105<br>იტყოდეს მამისა ესაჲასთჳს, ვითარმედ აღიღო ოდესმე სყირიდი, **ანუთუ ზამბილი** | Jer 51<br>იტყოდეს მამისა ესაჲასთჳს, ვითარმედ აღიღო სყირიდი |

ზოგჯერ კლება ბიბლიური ციტატების შემცირების ხარჯზე ხდება, მაგ.:

| | |
|---|---|
| A1105<br>ნუ ესრეთ, საყუარელნო ძმანო, ნუ ესრეთ, არამედ ვილტოდეთ სოფლისაგან...უსჯელა უფალი ჩუენი და მაცხოვარი იტყჳს: „ყოველმან, რომელმან არა იჯმნეს სოფლისაგან და ყოველთაგანვე საქმეთა თჳსთა, ვიდრეცა და სულიცა თჳსი არა მოიძულოს და `აღიღოს ჯუარი და შემომიდგეს `უკუანა ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს“.<br>„ცხოველ ვარ მე“, იტყჳს უფალი, „გამოეცით შორის მათსა და გამოეშორენით და მოისპეთ უკეთურებაჲ სულთაგან თქუენთა“. ხედაჲთა, ძმანო ჩემნო, რაოდენ სარგებელ არს სიფლტოლაჲ უბნობისაგან? | Jer 51<br>ნუ ესრეთ, ძმანო, ნუ ესრეთ, ვივლტოდით სოფლისაგან... ვითარცა უფალი იტყჳს, ვითარმედ: „ყოველმან, რომელმან არა იჯმნეს სოფლისაგან, ვიდრეცა სულიცა თჳსი მოიძულოს და არა აღიღოს ჯუარი თჳსი და შემომიდგეს მე, არა არს იგი ჩემდა ღირს“. ჰხედავთა, საყუარელნო, რაოდენ სარგებელ არს ლტოლვაჲ უბნობისაგან? |

ინტერესს იწვევს ასევე ის ლექსიკური სხვაობებიც, რომლებიც არსებობს ამ ორ ხელნაწერს შორის.:

| A1105 | Jer 51 |
|---|---|
| მუსუსულად | მყის |
| კაცად-კაცადი | თითოეული |
| მიმდემად | ზედაჲზედ |
| განსუენება | შუება |
| თითოფერი | თითოსახე |
| საშმარი | საფასე |
| განვარდნა | განჴმა |
| განგდება | განჴდა |

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ იერუსალიმური ტექსტი A1105-ის პასიურ კონსტრუქციებს აქტიური ზმნით ცვლის და ამით აქართულებს წინადადებას:

| A1105 | Jer 51 |
|---|---|
| მოწამე ქმნულ ხარ | წამებულ ხარ |

| | |
|---|---|
| შოთშინე იქმენით | მოვითმინოთ |
| ენებოს სიყუარული | უყუარდეს |
| ვერ ძალ-უც გამოღებად ნაყოფისა | ვერ გამოიღებენ ნაყოფსა |
| ვერ შემძლებელ ვართ | ვერ ძალ-გუც |
| რომელი მყოფ იყოს ქუაბსა შინა | რომელი იყოს ქუაბსა შინა |
| რაჲთა ვითარ შეუძლოს აღმართებად სახლისა | რაჲთა აღმართოს სახლი |
| შემსჭუალულ იყოს ღმრთისად | შეემსჭუალოს ღმერთსა |
| ვერ ძალ-უც მას მისლვაჲ სრულებასა | ვერ მიიწეის სრულებასა |

ამრიგად, Jer 51-სა და A1105-ს შორის არსებული განსხვავებები გვავარაუდებინებს, რომ Jer 51-ის სახით საქმე უნდა გვქონდეს თეოფილესეული ტექსტის ახალ, სტილისტურ რედაქციასთან, რომლის მიზანიც ზედმეტი ინფორმაციისაგან ტექსტის გამარტივება და გაცხრილვა იყო.

M. DVALI

## MANUSCRIPT JER 51 AND ITS REVANCE WITH THE SYSTEMATIC PATERIC (A1105) TRANSLATED BY THEOPHYLUS

SUMMARY

The comparison of Georgian manuscript Pateric 51 with A1105 translated by Theophylus showed that Jer 51 is a kind of Stylistic recension of Theophylus' translation that aimed the simplification of the text.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაულ ჩაგუნავა

# „აბო ტფილელის მარტვილობის“ განსხვავებული თარიღების წარმომავლობის საკითხისათვის

იოანე საბანისძის „აბო ტფილელის მარტვილობის“ სინქრონული თარიღების მრავალრიცხოვნებასთან ერთად მის ხელნაწერებში ისინი ურთიერთსაწინააღმდეგო და ერთმანეთის გამომრიცხავი რიცხვითი მნიშვნელობები დასტურდება. შესაბამისად, ამ მონაცემებზე დაყრდნობით ასევე განსხვავებული თარიღები იქნა გააზრებული უცხოელი თუ ქართველი მეცნიერების მიერ. იმ მკვლევართაგან, რომლებიც ერთმანეთთან მიახლოებულ დათარიღებას იძლევიან, ზ. ალექსიძე ასახელებს: ე. თაყაიშვილს – 790 წელი; ივ. ჯავახიშვილს – 785 წელი; მ. ბროსეს, დ. ბაქრაძეს, თ. ჟორდანიას, კ. შულცეს, პ. პეეტერსს, ტ. კეკელიძეს, ს. ჯანაშიას და მ. ბიროს – 986 წელი.[1]

ფაქტობრივად 785 წელს დაუჭირა მხარი ილია აბულაძემაც, რომლის რედაქტორობით გამოცემულ „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში“ აბოს წამების თარიღი გადმოცემულია ძველი კოლექციის Sin-11 ხელნაწერით. ამ ხელნაწერში კი სწორედ ეს წელიწადი არის მოყვანილი ქართული დასაბამითგანი წელთაღრიცხვით, ხოლო დანარჩენი სინქრონული თარიღები ასე არის წარმოდგენილი: „სუფევასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსსა, წელიწადსა ვნებითგან და მკუდრეთით აღდგომითგან რვაას ორმეოც და ექუსსა, მეფობასა კონსტანტინეპოვლის, ქალაქსა მას დიდსა, ქრისტეანეთა ზედა კონსტანტინჱსსა, ძისა ლეონისსა, სარკინოზთა შორის მოსე ამირა მუმნისასა, ძისა მაჰდისსა, ქართლს შინა კათალიკოზობასა სამოელისსა, ერისმთავრობასა სტეფანოზისსა, ძისა გურგენისსა, დასაბამით გარდასრულთა ექუს ათას სამას ოთხმეოც და ცხრასა წელსა, თუესა იანვრისასა ექუსსა, დღესა პარასკევსა, გაცხადებასა, შევისწავლეთ მარტვილობაჲ წმიდისა და ნეტარისა ამის მოწამისა და კეთილად მოღვაწისა ჰაბოჲსი ქალაქსა ტფილისს.“[2]

ციტირებულ ფრაგმენტში დასაბამითგან 6389 წელი თანამედროვე წელთაღრიცხვით აღნიშნულ 785 წელს (6389 – 5604 = 785) იძლევა. ივ. ჯავა–ხიშვილის 785 წელიც სწორედ ამ მონაცემიდან უნდა მომდინარეობდეს, თუმცა ამის შესახებ ავტორი არაფერს ამბობს.[3] სრულიად განსხვავებულ თარიღს იძლევა ქრისტეს „ვნებათაგან და მკუდრეთით აღდგომითგან“ 846 წელი, რომელიც 785 წელს იმ შემთხვევაშიც ვერ უახლოვდება, თუ მას ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების 34 წლის გამოკლებით 812 წლამდე (846 – 34 = 812) დავიყვანთ (ძველ ქართულ წყა–როებში ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ზუსტი ხანგრძლივობა – 33 წელი და 3 თვე ხან 33, უპირატესად კი 34 წლით გადმოიცემა).

თარიღების შეუთანხმებლობა კიდევ უფრო საგრძნობია სხვა ხელნაწერებში. თვალსაჩინოებისათვის ჩვენ ამ მონაცემებს თავი მოვუყარეთ ერთ ტაბულაში, რომელშიც ხელნაწერებთან ერთად წარმოდგენილია მათი გადაწერის თარიღებიც. გამოცემის მონაცემებთან შედარების გაადვილების მიზნით, აქვე მოგვყავს მათი გამოცემისეული ასოითი აღნიშვნა.

| NN | ხელნაწერი | ლიტერი | თარიღი | |
|---|---|---|---|---|
| | | | „დასაბამითგანით„ | „ქრისტესით“ |
| 1. | Sin – 11 (X ს.) | C | 6389 | 846 |
| 2. | Ath – 57 (X ს.) | E | 6424 | 890 |

---

[1] ზ. ალექსიძე, აბო თბილელის მარტვილობის თარიღი და მასთან დაკავშირებული ქართლის ერისმთავართა ქრონოლოგია, მრავალთავი, XIX, 2001, გვ. 311, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბიბლიოგრაფია იხილეთ ამავე ნაშრომში.

[2] მარტვილობაჲ ჰაბო ტფილელისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I (V-X ს.ს.), თბ., 1964, გვ. 63.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ.II, თბ., 1983, გვ. 83.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3. | A – 19 (X ს.) | B | 6424 | |
| 4. | A –70 (XIII ს) | X | 6424 | - |
| 5. | S – 3269 (XVIII ს.) | Y | 6424 | - |
| 6. | A – 95 (X ს.) | D | 6084 | 890 |
| 7. | A – 130 (XVIII ს.) | F | 6084 | 890 |
| 8. | A – 170 (XVIII ს.) | G | 6084 | 890 |
| 9. | A – 176 (XVIII ს.) | H | 6084 | 890 |
| 10. | H – 2077 (XVIII ს.) | I | 6084 | 890 |
| 11. | H – 1672 (XVIIIს.) | K | 6084 | 890 |
| 12. | H – 1370 (XVIII ს.) | L | 6084 | 890 |
| 13. | H – 2121 (XVIII ს.) | M | 6084 | 890 |
| 14. | M – 21 (XVIII ს.) | N | 6084 | 890 |

ცხრილში დაცული არ არის ეს ასოითი თანამიმდევრობა, ვინაიდან ჩვენ ხელნაწერები თანხვდენილი ქრონოლოგიური მონაცემების მიხედვით დავაჯგუფეთ. ზოგიერთ ხელნაწერში „ქრისტესით“ დათარიღების გამოტოვების გამო ეს ხარვეზი ცხრილში ტირეთი არის აღნიშნული.

როგორც ტაბულიდან ჩანს, განსხვავებულ თარიღებს წარმოადგენენ „დასაბამითგანი“ წელთაღრიცხვით 6389, 6424 და 6084 წლები, ხოლო „ქრისტესით“ წელთაღრიცხვის 846 და 890 წლები. ე.ი. სულ სახეზეა 5 განსხვავებული თარიღი. ასეთ ვითარებაში კი ზუსტი დროის დასადგენად სინქრონული დათარიღებებიდან გაცილებით საიმედო ჩანს ის მონაცემი, რომელიც წმ. აბოს აღსასრულის დღესთან დაკავშირებით თვეს, თვის რიცხვს და შესაბამის კვირის დღეს შეიცავს. ამ მონაცემით წლების მცირე ინტერვალში საძიებელი წლის გამოთვლა მათემატიკურ-ქრონოლოგიური მეთოდით სიძნელეს არ წარმოადგენს და ამასთან ერთად, ძალზე სანდოც არის. ამ სანდოობას კიდევ უფრო ზრდის ის გარემოება, რომ ხელნაწერებში რიცხვითი თარიღებიდან განსხვავებით თვე, თვის რიცხვი და კვირის დღე (ე. ი. 6 იანვრის პარასკევი დღე) ზუსტად არის მითითებული. ეს ნათლად ჩანს „მარტვილობის“ შემდეგი დამატებითი ცნობებიდან: აბო საპყრობილეში ჩასვეს 27 დეკემბერს, სამშაბათს, წმ. სტეფანეს ხსენების დღეს, ხოლო სიკვდილით დასჯეს 10 დღის შემდეგ, განცხადების დღეს. თუ 27 დეკემბერზე სამშაბათი მოდიოდა, მაშინ 6 იანვარს ნამდვილად პარასკევი უნდა შეესაბამებოდეს. 27 დეკემბრიდან 10 დღის რიგითი თვლაც 6 იანვარს იძლევა (რიგითი თვლა ქრონოლოგიაში დღეების ათვლას საწყისის მომდევნო, მეორე დღიდან ითვლისწინებს და ამ შემთხვევაში თავის შემადგენლობაში ითვლის დეკემბრის ბოლო ოთხ და იანვრის საწყის 6 დღეს). თავის მხრივ, 27 დეკემბერი და 6 იანვარი სრულ ნდობას იმსახურებენ, ვინაიდან მათ რიცხვით მნიშვნელობას შესაბამისად წმ. სტეფანეს ხსენებისა და განცხადების დღეების შესატყვისობა ადასტურებს.

მ. ბროსემ, რომელმაც მკვლევართაგან პირველმა განიხილა „მარ–ტვილობასთან“ დაკავშირებული ქრონოლოგიური საკითხები, სწორედ აღნიშნული მონაცემები გამოიყენა და მათემატიკურ-ქრონოლოგიური გამოთვლების საშუალებით აჩვენა, რომ საძიებელი თარიღი 786 წლის 6 იანვარს უნდა შეესაბამებოდეს.[4] ამ უადრესად სანდო თარიღს მხარს უჭერს ბიზანტიის კეისრის კონსტანტინე VI-ის (780-797) და, რაც მთავარია, არაბთა ხალიფის მოსე ამირა მუმნის (785-786) ზეობის წლებიც. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, დაახლოებით ერთ წელიწადს, კერძოდ კი ჰიჯრის 169 წელს იყო ხალიფად[5], რაც თანამედროვე წელთაღრიცხვით შეესაბამება ინტერვალს 785 წლის 14 აგვისტოდან 786 წლის 2 აგვისტომდე. ასეთი, ძალზე მცირე ქრონოლოგიური ინტერვალის სრული შესაბამისობა გამოთვლილ თარიღთან, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ამ უკანასკნელის სანდოობასა და უალტერნატივობას.

[4] მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ტფილისი, 1895, (ფოტოტიპური გამოცემა), ბათუმი, 1998, გვ. 93; Additions et eclaircissements l'Histoire de la Georgie depuis l'antiquite jusqueu 1469 de I-C. st.-Petersburg, 1851, გვ. 132-136, 136, შენ. 1.

[5] К. Э. Босворт, Мусульманские династии, М., 1971, стр. 32.

მ. ბროსეს მონაცემებიდან გამომდინარე, ეჭვს არ იწვევს, რომ „მარტვილობის დედანში მოყვანილი უნდა ყოფილიყო „დასაბამითგანი“ წელთაღრიცხვით 6390 წელი (786+5604=6390). რაც შეეხება „ქრისტესით“ წელთაღრიცხვას, მისი ზუსტი მნიშვნელობა ამ „დასაბამითგანი“ წელთაღრიცხვიდან უნდა იქნეს გამოთვლილი. ეს წელთაღრიცხვაც, როგორც წინა საშუალოები ვიჩვენეთ, ჩვენი წელთაღრიცხვისაგან განსხვავებით, არ არის დამოუკიდებელი და „დასაბამითგანი“ წელთაღრიცხვის შემდგენელ ნაწილს წარმოადგენს. „დასაბამითგანი“ წლების მსგავსად ისიც იცვლება, მხოლოდ მუდმივი რჩება ამ „დასაბამითგანის“ მეორე შემადგენელი ნაწილი 5500 წლის სახით. ეს რიცხვი კი დაკავშირებული უნდა იყოს ანიანე ალექსანდრიელის (V ს.) წელთაღრიცხვასთან, რომლის ეპოქასაც ანუ საწყის ერას ძვ. წ. 5492 წელი შეადგენს. ამავე დროს ამ წელთაღრიცხვაში ქრისტეს განხორციელების და ფაქტობრივად დაბადების წლად მიღებული იყო 5501 წ. ვინაიდან ჩვენს წელთაღრიცხვაში „დასაბამითგანი“ 5492 წელი ძვ. წ. 1 წელს შეესაბამებოდა, 5501 წელი ახ. წ. 9 წელზე მოდიოდა.[6] 5501 წლის გარდა, როგორც ქართულ, ისე სხვა ქვეყნების ქრონოლოგიაში ხშირად გვხვდება 5500 წელი, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვით ახ. წ. 8 წელს, ხოლო ქართული, ძვ. წ. 5604 წლის ეპოქის შესაბამისი წელთაღრიცხვით ძვ. წ. 104 წელს შეესაბამება. იგივე თარიღი ჩვენს წელთაღრიცხვაში 5508 წლიანი ბიზანტიური წელთაღრიცხვისათვის ძვ. წ. 8 წელს შეადგენს. ასე რომ, ნებისმიერი სისტემის „ქრისტესით“ წელთაღრიცხვისათვის, ჩვენს წელთაღრიცხვაში წლების გადმოსაყვანად საჭიროა მოცემულ თარიღს ალექსანდრიული წელთაღ–რიცხვისათვის 8 (5500-5492=8) წელი დავმატოთ, ხოლო ბიზანტიური და ქართული წელთაღრიცხვებისათვის შესაბამისად 8 და 104 წლები გამოვაკლდეთ. ეს რიცხვები აიღება იმ შემთხვევაში, თუ „ქრისტესით“ წლების ათვლა ქრისტეს „შობას“ ითვალისწინებს, ხოლო ქრისტეს „ენების“, „ჯვარცმის“ თუ „ამაღლების“ შემთხვევაში, გადასაყვან თარიღს აკლდება 42 (5534-5492=42) და 26 (5534-5508=26) შესაბამისად ბიზანტიური და ალექსანდრიული წელთაღრიცხვებისათვის და ემატება 70 (5534-5604=70) ქართული სისტემისათვის[7].

ცხრილში წარმოდგენილი „დასაბამითგანი“ თარიღებიდან 786 წელს არცერთი მონაცემი არ თანხვდება. სინური ხელნაწერის 6389 წელი თანამედროვე წელთაღრიცხვით 785 წელს იძლევა, მაგრამ ძალზე საეჭვოა, რომ დედანში ის ერთი წლით განსხვავებული რიცხვი ყოფილიყო მოყვანილი. „დასაბამითგანი“ 6084 წელი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა 786 წლის შესატყვისი ყოფილიყო, ქართულ პრაქტიკაში სინამდვილეში არარსებული 5298-წლიანი (5298 + 786 = 6089) წელთაღრიცხვა რომ გამოეყენებინათ. ასე რომ, ეს თარიღი აშკარად გადაწერის პროცესში დაშვებული შეცდომის შედეგს წარმოადგენს. რაც შეეხება 6424 წელს, მის ჭეშმარიტ თარიღთან დაკავშირების მიზნით აღრეულ სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულ მცდელობებს ჰქონდა ადგილი. კერძოდ, ფ. ბაქრაძის თანახმად, ამ თარიღის ჩვენს წელთაღრიცხვაში გადაყვანისას, მიღებულ 820-ს (6424-5604=820) უნდა გამოაკლდეს ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების წლების რიცხვი. ვინაიდან ეს უკანასკნელი, მკვლევართა აზრით, 30 წელს შეესაბამებოდა, საბოლოო შედეგი ჭეშმარიტი თარიღისაგან 4 წლით განსხვავებული აღმოჩნდა და მან შეადგინა 790 წელი (820-30=790)[8]. სამაგიეროდ სრულ თანხვდენას ჰქონდა ადგილი კ. კეკელიძის გამოთვლებში, რომელმაც 30-ის ნაცვლად 34 შემოიტანა და შესაბამისად, ჭეშმარიტი თარიღის შესატყვისი 786 წელი მიიღო (6424-5604-34=820-34=786)[9]. აღნიშნული თანხვდენის მიუხედავად, 6424 წელი მაინც არ შეიძლება დედნისეულ თარიღად ჩაითვალოს, ვინაიდან ზუსტ მნიშვნელობას ის მხოლოდ იმ შემთხვევაში იძლევა, თუ მაკლებად 5638 წელს (5604+34=5638), ე. ი. „დასაბამითგან“ ქრისტეს უნებამდე განვლილ პერიოდს გამოვიყენებთ. ასეთი ათვლით მიღებული რიცხვი კი არც ქართულ და არც სხვა ქვეყნების კალენდრულ პრაქტიკაში გამოყენებული არ ყოფილა.

„დასაბამითგანი“ წლების გარდა ასევე დასადგენია „ქრისტესით“ ათვლილი 846 და 890 წლების მიმართება დედნისეულ თარიღთან. ადრე ეს საკითხი პ. მურადიანმა განიხილა, მხოლოდ ის რატომღაც მხოლოდ სინური ხელნაწერის მონაცემით, (ე. ი. 846 წლით) შემოიფარგლა და . ყურადღების გარეშე დატოვა სხვა ხელნაწერებში წარმოდგენილი 890 წელი. თავის გამოთვლებში მან გაიმეორა ის საანგარიშო სქემა, რომელიც კ. კეკელიძეს

[6] V. Grumel, Traite d' etudes Buzantines, La Chronologie, Paris, 1958, გვ. 30.

[7] რ.ჩაგუნავა„, მოქცევაი ქართლისაა“-ს ქრონოლოგიისათვის, მრავალთავი, XIX, 2001,გვ.411.

[8] ზ. ალექსიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 311-312.

[9] იქვე.

გამოყენებული ჰქონდა ადიშის ოთხთავის თარიღების დასადგენად. ამ სამუშაოში კ. კეკელიძემ დაადგინა, რომ მანამდე საუკეთოდ მიჩნეული ოთხთავის დათარიღება - „შობიდგან უფლისა“ 1001 წელი – 5500 წლიან წელთაღრიცხვას ეყუბნებოდა და ვინაიდან მასთან მიმართებაში ქართული „დასაბამიდგანი“ 104 წლიან (5604–5500=104) განსხვავებას იძლევა, ამ უკანასკნელის 1001 წლიდან გამოკლებით მიიღება ზუსტი თარიღი, ე. ი. 879 წელი (1001–104=897)[10]. პ. მურადიანის მიხედვითაც 846-დან 104-ის გამოკლებით მიიღება 742 წელი (846–104=742). ამ უკანასკნელთან ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების წლების რიცხვის (34) შეჯამება იძლევა 776 წელს (742+34=776), რომელიც 10 წლით განსხვავდება ჭეშმარიტი თარიღისაგან (ე. ი. 786 წლისაგან). ამ განსხვავებას პ. მურადიანი გადაწერის დროს დაშვებულ შეცდომას მიაწერს და თვლის, რომ დედანში 846 წლის ნაცვლად 856 წელი უნდა ყოფილიყო ჩაწერილი.[11]

გადაწერის პროცესში, მითუმეტეს რიცხვებთან დაკავშირებით მსგავსი შეცდომის დაშვება მართლაც არ არის გამორიცხული. დედანში სწორედ 856 წლის მოხსენიების შესაძლებლობაზე ის გარემოებაც მიუთითებს, რომ ის მართლაც „ქრისტეს ვნებაზე დაფუძნებულ“ „ქრისტესით“ წლებით აითვლება, როგორც ეს ტექსტშივეა მითითებული. მაგრამ საბოლოოდ ამ რიცხვის დედნისეულ თარიღად გამოცხადება, მეორე თარიღის (ე. ი. 790 წლის) განხილვამდე არ იქნება მიზანშეწონილი.

890 წლის განხილვისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული წლების ათვლა როგორც „ქრისტეს ვნების“, ისე „ქრისტეს შობის“ სისტემებში. თუ ჩავთვლით, რომ ტექსტში „ქრისტეს ვნება“ პირდაპირი მნიშვნელობით არის მოყვანილი, მაშინ 890 მოგვცემს 820 წელს (890–70=820). ეს თარიღი სრულიად მიუღებელია ჭეშმარიტ თარიღთან საგრძნობი განსხვავების გამო. სამაგიეროდ, თუ ჩავთვლით, რომ „ქრისტეს ვნებითგან“ „ქრისტეს შობას“ გულისხმობს, მაშინ ანალოგიური გამოთვლებით მივიღებთ სწორედ იმ 786 წელს (790–104=786), რომელიც აბოს წამების ჭეშმარიტ თარიღს წარმოადგენს. ე. ი. ხელნაწერების 5 თარიღიდან ერთი მაინც აღმოჩნდა ზუსტი მნიშვნელობის შემცველი, რომლის გამოვლენაც აქამდე, როგორც ეტყობა, იმ მიზეზით არ მოხერხდა, რომ მკვლევარების ძირითადი ყურადღება Sin–11 ხელნაწერის მონაცემებზე იყო გადატანილი. ზუსტ თარიღთან დამთხვევის მიუხედავად, 890 წლის დედნისეულ თარიღთან გაიგივებაც არ იქნებოდა სწორი, ვინძრე საბოლოო შერჩევა არ მოხდება ამ და 856 წლებიდან. ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მეტყველებს მისი პირდაპირი შესატყვისობა ტექსტში მოხსენიებულ „ქრისტეს ვნებითგან“ ათვლილ წლებთან. მაგრამ მას ნაკლოვანი მხარეც გააჩნია, ვინაიდან ის 10-წლიანი ცდომილებით და თანაც მხოლოდ ერთი წესით არის წარმოდგენილი. ამ თარიღისაგან განსხვავებით 890 წელი ზუსტი მნიშვნელობითაც და ხელნაწერში მოხსენიების მრავალრიცხოვნებითაც გამოირჩევა. მაგრამ, ტექსტის მითითების მიუხედავად, ამ თარიღის ნაკლს შეადგენს მისი შესატყვისობა „ქრისტეს შობის“ და არა „ქრისტეს ვნების“ ათვლის სისტემასთან. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ურთიერთშენაცვლება საერთოდ დამახასიათებელი იყო ქართული ძეგლებისათვის და მას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ შეიძლება მიენიჭოს.

საკითხის საბოლოოდ გარკვევისათვის ძალზე მნიშვნელოვანი უნდა იყოს ხელნაწერებში „დასაბამითგანი“ 6424 წლის მოხსენიება. თუმცა ეს უკანასკნელი დედნისეულ თარიღს არ განეკუთვნება, მაგრამ მთელი რიგი ნიშნებით ის ამ თარიღის გადაკეთების შედეგად უნდა იყოს შედგენილი. გადაკეთების მსგავსი შემთხვევა ჩვენს მიერ „მოქცევაი ქართლისაჲს“ ტექსტშიც იყო გამოვლენილი. კერძოდ აქ კრებულის გვიანდელი პლასტის შემდგენელმა თუ რედაქტორმა, ტექსტში თარიღად დასახელებული „ქრისტეს ჯვარცმითგან“ 311 წელი პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო (თუმცა ეს უკანასკნელი სინამდვილეში „ქრისტეს შობიდან“ იყო ათვლილი). აქედან გამომდინარე, მან საჭიროდ ჩათვალა ამ თარიღთან პარალელურად მოყვანილი „დასაბამითგანი“ წლების შესაბამისობაში მოყვანა, რომელიც ალექსანდრიული წელთაღრიცხვით 5811 წლის (5500+311=5811) ტოლი უნდა ყოფილიყო (ეს თარიღი რომ „ქრისტეს ვნებითგან“ ათვლილ თარიღთან შესაბამისობაში არ იყო, ძველ გამომთვლელებს ადვილად შეეძლოთ დაედგინათ „დასაბამითგან“ 5811 წლის შემცველი 5500

[10] კ. კეკელიძე, წელთაღრიცხვა ძველ საქართველოში, ეტიუდები, II, 1945, გვ. 338; შდრ, Г. М. Мурадян, Хронология систем летоисчисления по армянским источникам (Эра по Р. Х.), историко – филологический журнал, №10, 1975 გვ. 92.

[11] П. мурадян, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

წლისა და მხოლოდ „ქრისტეს ვნებითგან“ ათვლილი 311 წლის მიხედვით). ამ მიზნით აღნიშნულ რიცხვს დაემატა ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების წლების რიცხვი (33), რის შედეგადაც მიღებული იქნა 5844 წელი (5500+311+33=5844). ეს თარიღი კი ჩვენი წელთაღრიცხვით ქრონოლოგიურად სრულიად მიუღებელ 352 წელს (5844–5492=352) იძლევა, მაშინ როდესაც თავდაპირველად მოყვანილ თარიღს, ე. ი. „დასაბამითგანი“ 5811 წლის შესაბამისი ჩვენი წელთაღრიცხვის 319 წელი (5811–5492=319) ამ თვალსაზრისით სავსებით მისაღებ თარიღს წარმოადგენს. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში რედაქტორ-გამომთვლელი შეცდომაში შეიყვანა ტექსტის არასწორმა ფორმულირებამ „ქრისტეთი“ თარიღის „ქრისტეს ვნებაითგან“ ათვლის შესახებ, მაშინ როდესაც სინამდვილეში ეს ათვლა „ქრისტეს შობიდან“ იყო განხორციელებული.[12]

ანალოგიური გადაკეთებების კვალი ჩანს აბო ტფილელის მარტვილობის ტექსტშიც. კერძოდ, ზემოთაღნიშნული 6424 წელი აშკარად დედნისეული „დასაბამითგანი“ წლების შესატყვისი 6390 წლიდან უნდა მომდინარეობდეს და ის მიიღება ამ უკანასკნელზე ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების წლების რიცხვის (34) დამატებით (6390+34=6424). ეს კი ერთმნიშვნელოვნად იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ X, თუ უფრო ადრეულ საუკუნეებშიც აბოს მარტვილობის ტექსტებში „ქრისტესით“ დათარიღება „ქრისტეს ვნებითგან“ ითვალისწინებდა წლების ათვლას. სწორედ ამის გამო გადამწერ-რედაქტორს ადვილად უნდა შეემჩნია შეუსაბამობა „ქრისტეს ვნებათგან“ 790 და „დასაბამითგან“ 6390 წლებს შორის. ეს უკანასკნელი მხოლოდ 5500 და 790 წლების ჯამს შეადგენდა და არ შეიცავდა ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების 34 წელს. ცხადია, ამ „შეცდომის“ გამოსწორების მიზნით რედაქტორმა დასაბამითგანი წლების რიცხვს ეს 34-იც დაუმატა, რის შედეგადაც მიიღო 6424 წელი (5500+980+34=5534+980=6424). ამ შემთხვევაშიც, როგორც ვხედავთ, რედაქტორი შეცდომაში შეიყვანა ტექსტისეულმა „ქრისტეს ვნებამ“, მაშინ როდესაც წლების ათვლა აქაც „ქრისტეს შობიდან“ იყო განხორციელებული.

6424 წელთან უშუალოდ დაკავშირებული აღმოჩნდა „დასაბამითგან“ 6084 წელი, რომლის ხელნაწერებში გამოჩენაც 6424 წლის დამახინჯებით გადაწერას უნდა განეპირობებინა. თარიღების ციფრებით გამოსახვის შემთხვევაში ასეთი აღრევა გამორიცხული უნდა ყოფილიყო, რასაც ვერ ვიტყვით სიტყვიერ ჩანაწერთან დაკავშირებით. გადამწერის მიერ „ექუს ათას ოთხას ოცდამეოთხეს“ (6424) ნაცვლად „ექუს ათას ოთხ მე ოცდა მეოთხეს“ გადაწერა სავსებით შესაძლებელი იყო, ვინაიდან ეს ორი ჩანაწერი, რომელიც ადრე სიტყვების გამოყოფის გარეშე იწერებოდა, მხოლოდ ორი ასოთი განსხვავდება ერთმანეთისაგან (ეს ასოები - „ას“ და „მე“ ჩანაწერებში მსხვილი შრიფტით გვაქვს გამოყოფილი).

ამ ორი „დასაბამითგანი“ წლის ასეთი ურთიერთდამოკიდებულება უკვე თავისთავად ნიშნავს, რომ დათარიღების მიხედვით, ჩვენამდე აბოს მარტვილობასთან დაკავშირებულმა ხელნაწერების ორმა სახეობამ მოაღწია: აქედან პირველი სახეობა ხელნაწერების აბსოლუტური უმრავლესობით არის წარმოდგენილი, რომლებშიც ფორმალურად „ქრისტეს ვნებითგან“, ხოლო სინამდვილეში „ქრისტეს შობითგან“ ათვლილი თარიღი – 790 წელი – ჩვენი წელთაღრიცხვით ზუსტ თარიღს, ე. ი. 786 წელს იძლევა, ხოლო „დასაბამითგანის“ თარიღი – 6424 წელი – 34 წლით არის ხელოვნურად გადიდებული რედაქტორების მიერ. რაც შეეხება ხელნაწერების მეორე სახეობას – ის მხოლოდ ერთი სინური ხელნაწერით არის წარმოდგენილი და შეიცავს ჭეშმარიტი თარიღიდან 1 წლით განსხვავებულ „დასაბამითგან“ 6389 წელს და 10 წლით განსხვავებულ, მაგრამ ნამდვილად „ქრისტეს ვნებითგან“ ათვლილ 846 წელს.

ხელნაწერების ასეთი თანაფარდობაც 890 წლის სასარგებლოდ მეტყველებს, ასე რომ, ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით დედნისეულ თარიღად სწორედ ეს 890 წელი უნდა იქნეს მიჩნეული. აქედან გამომდინარე, 846 – ის, უფრო ზუსტად კი 856 წლის წარმომავლობაც რედაქტორული შესწორებებიდან უნდა იღებდეს სათავეს. ამ შემთხვევაში მეორე რედაქტორსაც, რომელიც ასევე X, თუ უფრო ადრეულ საუკუნეებში მოღვაწეობდა, ამოსავალ თარიღებად ზუსტად იგივე მონაცემი უნდა ჰქონოდა, რასაც პირველი რედაქტორი ფლობდა („დასაბამითგან“ 6390 და „ქრისტეს ვნებითგან“ 790 წელი). მაგრამ თუ პირველმა რედაქტორმა 790 წელი მართლაც „ქრისტეს ვნებითგან“ ათვლილად ჩათვალა და „სათანადო“

[12] რ. ჩაგუნავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 415.

შესწორებები „დასაბამითგან“ თარიღში შეიტანა, მეორე რედაქტორი სულ სხვანაირად მოიქცა: „დასაბამითგანი“ 6390 წლის შემადგენელი 5500 და 890 წლების მიხედვით, მან სწორად დაასკვნა, რომ ტექსტის მითითების მიუხედავად 890 წელი სინამდვილეში არა „ქრისტეს ვნებითგან“, არამედ „ქრისტეს შობიდან“ იყო ათვლილი. რიცხვითი მონაცემის „ქრისტეს ვნებითგან“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით რედაქტორმა 890 წელს 34 წელი გამოაკლო. ამის შედეგად მიღებული 856 წელი (890–34=856) კი უკვე, მართლაც, „ქრისტეს ვნებითგან“ ათვლილ თარიღს წარმოადგენს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ 890 წლის დადნისულ თარიღად გამოცხადება არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მის ნაცვლად ტექსტში შეიძლება მოხსენებული ყოფილიყო 856 წელი „ქრისტეს შობის“ მითითებით (ამ შემთხვევაში რედაქტორების მიერ ჩატარებული სამუშაო შემდგომი სქემით უნდა წარმართულიყო: ჯერ ტექსტში „ქრისტეს შობის“ „ქრისტეს ვნებით“ შეცვლილი 856 წელი 890 წლად გადაიქცეოდა, შემდეგ კი „დასაბამითგანი“ წლის შესაბამისობაში მოსაყვანად 6390 წლიდან 34-ის დამატებით უკვე ცნობილი 6424 წელი მიიღებოდა).

ხელნაწერში მოყვანილი თარიღებიდან ერთგან გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს „დასაბამითგან“ 6389 წელი და ისიც იმიტომ, რომ მის წარმომავლობაზე დაბეჯითებით რაიმეს თქმა ძნელია. ვარაუდის ფარგლებში არ არის გამორიცხული, რომ ეს რიცხვი 856-ის 5500-ის და 34-ის ნაცვლად 33-ის შეკრებით მიღეო რომელიდაც გამომთვლელს (856+5500+33=6389) და დედნისეული 6380 წლის ნაცვლად ის წარმოეგდინა „დასაბამითგანი“ თარიღად.

განხილული მასალიდან ჩანს, რომ თარიღებთან დაკავშირებით ძველ გამომთვლელ-რედაქტორებს საკმაოდ ინტენსიური სამუშაოები ჰქონიათ ჩატარებული და მათ მიერ ზოგჯერ დაშვებული შეცდომები ძირითადად ტექსტში „ქრისტეს ვნებისა“ და „ქრისტეს შობის“ ურთიერთშენაცვლებით უნდა ყოფილიყო განპირობებული. რედაქტორების მიერ თარიღებში შეტანილი დამატებების და შესწორებების მიუხედავად, დედნისეული თარიღებიდან ერთერთმა, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, ცვლილების გარეშე მოაღწია ჩვენამდე და ის დღეისათვის „ქრისტესით“ დათარიღების ყველაზე ადრეულ ნიმუშს წარმოადგენს. VIII ს. 80-იანი წლების ქართულ კალენდარულ პრაქტიკაში „ქრისტესით“ წელთაღრიცხვის გამოყენების ფაქტი უკვე თავისთავად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ქართული „დასაბამითგანი“ წელთაღრიცხვა, რომლიდანაც ჩამოყალიბდა ეს „ქრისტესით წელთაღრიცხვა“, საქართველოში 780 წელზე და, მაშასადამე, ქრონიკონულ წელთაღრიცხვაზე უფრო ადრე უნდა იყოს შემოღებული.

R. CHAGUNAVA

## ON ORIGINATION OF DIFFERENT DATES OF "MARTYRDOM OF ABO TBILELI"

SUMMARY

The source of origination of various dates presented in different manuscripts of Martyrdom of Abo Tbileli is discussed. It is shown that most of these dates are the result of changing the dates of the original work that was undertaken by Georgian editors of earlier then 10th century when moving from one calendar system to another. It was determined that one of the dates – 890AD calculated according to Georgian calendar system – that seems to have reached the present day unchanged gives after transporting it into modern calendar the real date, i.e. 786.

ნანა ჩიკვატია

# "დოგმატიკონის" ხელნაწერი კრებულები (S 1463 ნუხხასთან მათი მიმართების ცხრილი)

არსენ იყალთოელის ცნობილ დოგმატიკურ-პოლემიკურ კრებულს, "დოგმატიკონს", გამომდინარე მისი შემცველი თხზულებების რაოდენობის, შინაარსისა და იდეოლოგიური მიზანდასახულობიდან, უადრესად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ღირებულება აქვს ძველი ქართული მწერლობისათვის. ამით არის გაპირობებული "დოგმატიკონის" დიდი პოპულარობა, რაც უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა იმაში, რომ კრებულის შემცველი ხელნაწერების რაოდენობა ორ ათეულს სცილდება. სრული კრებულების (სავარაუდოდ არსენ იყალთოელის ავტოგრაფ ნუხხასთან სტრუქტურულად ახლოს მყოფების) გვერდით ხელნაწერებში დასტურდება ნაკლული კრებულებიც. ხელნაწერი კრებულების შედგენილობა, თხზულებათა მოცულობა, მათი თანმიმდევრობა სრულიად ჭრელ სურათს იძლევა. არ არსებობს ამ თვალსაზრისით ორი ერთმანეთის იდენტური კრებული ხელნაწერი.

ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა "დოგმატიკონის" შემცველი ხელნაწერი კრებულები შედგენილობისა და ზოგი კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური მონაცემების საფუძველზე. კვლევის ზოგადი შედეგები ზოგი მეთოდოლოგიური საკითხის გათვალისწინებით ჩვენს მიერ ცალკე გამოკვლევის სახით გამოქვეყნდა „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში" (№ 1, 2004).

აღნიშნულ გამოკვლევაში გარკვეული ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა იმ ცხრილის გამოქვეყნება, რომელშიც სქემის სახით წარმოდგენილია "დოგმატიკონის" კრებულის ყველა არსებული ხელნაწერის შედგენილობა უძველეს S 1463 ხელნაწერთან მიმართებით. ეს ცხრილი, ჩვენი აზრით, შეიცავს აუცილებელ მონაცემებს "დოგმატიკონის" ხელნაწერთა სისტემატიზაციისა და მომავალი მკვლევარების მხრივ მათში ადვილად ორიენტირების თვალსაზრისით.

ყოველივე ამის გამო საჭიროდ ვცანით ამ ცხრილის ცალკე გამოქვეყნება, როგორც ზემოთხსენებული სტატიის აუცილებელი გაგრძელება.

ცხრილში ნაჩვენებია "დოგმატიკონის" ხელნაწერი კრებულების შედგენილობა. განხილულია "დოგმატიკონის" 23 კრებული (S 1463 (XII-XII), S 312 (1541), S 2397 (XVIII), S 158 (1802), S 401 (XVIII); A 65 (1188-1210), A205 (XIII), A 64 (1751), A 1086 (XVIII), A 267 (1778), A 269 (1782), A 848 (1767); Q 50 (1777), Q 51 (1777); H 601 (1746), H 985 (XVIII), H 1000 (XVIII), H 137 (XVIII); ქუთ.23 (XII-XIII), ქუთ.24 (XIV), ქუთ.15 (XVII-XVIII).

ვინაიდან მათ შედგენილობას ვიძლევით S 1463 ხელნაწერთან მიმართებით, საჭიროდ ვცანით ამ უკანასკნელის შედგენილობის ჩვენება ავტორებისა და თხზულებათა სახელწოდებების დასახელებით. სათაურებს ვიძლევით მოკლედ. სრული სახით იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), II, თბ., 1961: 213-222.

1. ანასტასი სინელი, წინამძღუარი
2. იოანე დამასკელი, დიალექტიკა
3. იოანე . . . დამასკელისაჲ. . . გარდამოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელისა სარწმუნოებისაჲ
4. იოანე . . . დამასკელისაჲ. . . სიტყუაჲ...დასამჭობელად ნესტორიანთა
5. იოანე . . . დამასკელისაჲ . . . სიტყუაჲ დასამჭობელი ნესტორიანთაჲ
6. მისივე, იოანე . . . დამასკელისაჲ . . . სიტყუაჲ... დასამჭობელად... იაკობთაჲსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. მისივე, ქრისტეს შორის ორთა ნებათათჳს და მოქმედებათა
8. იოანე მანსურ წოდებულისა . . . გამოკრებანი წამებათანი
[8a] იოანე დამასკელი, შეკრებაჲ სჯულთაჲ
9. კჳრილე ალექსანდრიელ ეპისკოპოსისაჲ, თარგმანებაჲ შემდგომითი-
შემდგომად ათორმეტთა თავთაჲ...
10. ეპისტოლე...კჳრილე...ალექსანდრიელისაჲ... ნეუკესონის მიმართ
11. მისივე, სხუაჲ მოსაჭსენებელი...კითხუათა მომართ ჩუენთა
12. მისივე, აღწსნაჲ, ესე იგი არს, სიტყჳსგებაჲ
13. მისივე, განკაცებისათჳს მხოლოდშობილისა
14. მისივე, თუ რაოდენ სახედ ვიტყჳთ შეერთებასა
15. მისივე, ვითარმედ უსხეულოჲსა ღმეებისა სხეულ იქმნეს
ჴორცნი
16. მისივე, ვითარმედ იესუ ქრისტედ სახელ-იდების
განკაცებული სიტყუაჲ
17. მისივე, თუ ვითარ ღმრთისმშობელად გულისჴმა-იყოფების
წმიდაჲ ქალწული
18. თეოდორე . . . ფილოსოფოსისაჲ, თუ ვითარ სათანადო არს
გულისჴმის-ყოფაჲ სადმრთოჲსა და გარეშისა
ფილოსოფოსობისა სიტყუათაჲ
19. თითოსახეთა თავთა, ესე იგი არს გამოძიებით კითხულთა, აღწსნაჲ
20. ეპისტოლე... პაპა ლეონისი... ფლაბიანეს მიმართ
21. ეპისტოლენი თითოსახეთა ეპისკოპოსთანი, მიწერილნი
პეტრეს მიმართ ეპისკოპოსისა
22. თავნი სომეხთა წვალებისანი ოცდაათნი
23. სიტყჳსგებაჲ ჰურიათა მიმართ
24. სიტყჳსგებისაგან ქრისტეანისა და ჰურიისა
25. წინასწარმეტყუელებანი ჴორციელისა განგებულებისათჳს
უფლისა ჩუენისა. . .
26. თომაჲს მიერ იერუსალიმელ პატრიარქისა . . . ეპისტოლე სასომხეთოჲსა
მწვალებელთა მიმართ
27. მისივე, განგებულებისათჳს და განჴორციელებისა
28. ნიკიტა . . . სტითატისაჲ, სიტყუაჲ პირველი განსაჭქებელი...
წვალებისა სომეხთაჲსაჲ
29. მისივე, სათნოებითა აღსავალთათჳს
30. ნიკიტას ხარტოფილაკსა და სჳნკელლოსსა...ნიკიტა . . . სტითატი
31. ნიკიტა . . . სტითატისაჲ, სიტყუაჲ სულისათჳს
32. მისივე, სამოთხისათჳს
33. ნიკიტას ხარტოფილაკსა და სჳნკელოსსა კორონიდსა ნიკიტა . . . სტითატი
34. ნიკიტა სტითატი ნიკიტას ხარტოფილაკსა და სჳნკელოსსა
კორონიდსა
35. ნიკიტა სტითატი...ბასილის მესიბრძნისა
36. მისივე, წინაშესავალითგან მაწუწეველი სიტყუაჲ სინანულისა მიმართ . . .
37. მისივე, ბასილის მიმართ მონაზონისა ....
38. მიქელ ფსელოსისაჲ, პირმშოჲსათჳს
39. თეოდორე ფილოსოფოსისაჲ . . . ნესტორიანისა მიმართ სიტყჳსგებაჲ .
40. თეოდორესი, სიტყჳსგებაჲ მწვალებელისა და მართლმადიდებელისა

41. თეოდორე ხარანელ ეპისკოპოსისაჲ, სიტყუსგებაჲ...მთავრისა მიმართ ედესისა შეიგანთაჲსა

42. მისივე, მოძღურებაჲ შემოკლებული საღმრთოთა სახელთათუს საზოგადოთა სამებისათა

43. განრჩევაჲ და განჭეშმარიტებაჲ ფილოსოფოსთა მიერ მოკსენებულთა ჭმათაჲ და მხილებაჲ...სვეერიანთა

44. თეოდორე ავუკარაჲსი, სარკინოზთამიმართისა სიტყუსგებისაგან...

45. სხუაჲ ქადაგებაჲ..., ვითარმედ მუჰამედ არა არს ღმრთისაგან

46. გამოჩინებაჲ ჭეშმარიტი...ვითარმედ მტერი იყო ღმრთისაჲ მუჰამედ

47. აღსაარებაჲ, დამამტკიცებელი ქრისტეანობისაჲ

48. სხუაჲ სიტყუსგებაჲ...ვითარმედ ჴორცი ქრისტესი არს...შეწირული პური

49. სხუაჲ სიტყუსგებაჲ ერთჲზის ქორწინებისათუს

50. მისივე, ვითარმედ არცა ვნებასა მისსა დაიჭსნა გუამი ქრისტესი

51. გამოჩინებაჲ, ვითარმედ აქუს ღმერთსა ძე თანაარსი...

52. მეტყუელთა მიმართ, ვითარმედ სულნი კაცთანი პირველვე იყუნეს ჴორცთასა

[52a] იუსტინე ფილოსოფოსისა და მოწამისა აღდგომითსა ძლითისა სიტყუსაგან

53. მისივე, მისვე სიტყუსაგან ორმეოცდამეათცხრამეტისა თავისა

[53a] კლიმენტოს ალექსანდრიელისა მერვისა სტრომატოისაგან

[53b] მისივე, მისვე სტრომატოისაგან

54. მისივე, მისვე სტრომატოჲსაგან...

55. დიონუსიოს ალექსანდრიელისაჲ, სულისათუს თარგმანებისაგან ეკლესიასტისა

56. პეტრე ეპისკოპოსისა ალექსანდრიელთაჲსა . . . არა პირველმყოფობისა, არცა პირველმცოდველობისათუს სულთაჲსა

57. წმიდისა მეთოდი ეპისკოპოსისაჲ ... აღდგომისაძლითისა სიტყუსაგან სულისათუს

58. იპოლიტე ეპისკოპოსისაჲ . . . თარგმანებისაგან დაბადებისა

59. ევსტათი ანტიოქელისაჲ, სულისათუს აღწერილისა სიტყუსაგან

60. მისივე, ნეტარისაჲ ათანასისი ფილოსოფოსისა მაქსიმესმიმართისაგან სიტყუსა

61. მისივე, ცხოვრებისაგან წმიდისა ანტონისა

62. მისივე, სულისათუს ეპისტოლისაგან დასაჴსნელისა ორიგენის შჯულთაჲსა

63. კურილე ალექსანდრიელ მამამთავარისაჲ, მოსაჴსენებელისაგან იოვანეს სახარებისა სულისათუს

64. კვირილე იერუსალემელისაჲ, მეოთხისა საკათაკუმეველოჲსაგან

65. მისივე, მეათოთხმეტისა საკათაკუმეველოჲსაგან

66. დიოდორე ტარსელ ეპისკოპოსისაჲ, მანიქეველთა წინაგანწყობად

[67.] მისივე, დასამჭობელად აპოლინარისა

68. თუ ვითარ ჯერ-არს შეწყნარებაჲ, რომელი ჰურიათაგან სარწმუნოებასა ქრისტეანეთასა მოუჴდებოდის

69. წესი, რომელი იქმნების მოქცეულსა ზედა სარკინოზთაგან

70. შეჩუენებანი იაკობიტთა და ყოველთა ერთბუნებიანთანი...

71. ევსტრატი ნიკიელი, მოსაჴსენებელი...თუ ოდეს ჰრომნი და ეკლესიაჲ მათი...აღმოსავალისა ეკლესიათაგან განიჭრნეს

72. ჴსენებაჲ სიტყუსგებისაჲ და სასჯულისაჲ შჯულისათუს ქრისტეანეთაჲსა და სარკინოზთა

ხელნაწერი კრებულების შედგენილობის ამსახველ ცხრილში ორიენტირების მიზნით ვიძლევით შემდეგ განმარტებებს:

1. ჰორიზონტალურ სვეტში მითითებულია ხელნაწერი კრებულების კოლექციის ნომერი და თარიღი.

2. პირველ ვერტიკალურ სვეტში ნაჩვენებია S 1463 -ის შედგენილობა. მოცემულია მხოლოდ ნომრები, რომლებიც მიუთითებენ ამა თუ იმ თხზულების ადგილს S 1463 ხელნაწერის აღწერილობაში.

3. პარალელურ ვერტიკალურ სვეტებში მითითებულია სხვადასხვა ხელნაწერი კრებულების შედგენილობა S 1463 –ის შედგენილობასთან მიმართებით.

4. S 1463 –ის ამა თუ იმ თხზულების აღმნიშვნელი ნომრის გასწვრივ დანარჩენ სვეტებში მითითებული ნომრები მიანიშნებენ იმ ადგილს, რომელიც უკავია აღნიშნულ თხზულებას ამ სვეტის თავში დასახელებულ ხელნაწერში. ასე: S 1463 -ის მე-4 თხზულებას უკავია: მე-12 ადგილი A 205-ში; 1 ადგილი - K 23, K24, K 15, Q 51, S 401 ხელნაწერებში; მე-19 ადგილი - H 601-ში; 21-ე ადგილი - A 1086 ხელნაწერში.

5. როცა S 1463-ის რომელიმე თხზულების ქვეთავები დამოუკიდებელ ნაწარმოებად არის გატანილი სხვა ხელნაწერებში, S 1463-ის შესაბამისი ნომრის გასწვრივ მითითებულია ის ნომრები, რა ადგილიც უკავიათ მათ იმ ხელნაწერებში. ასე: S 1463-ის 1 თხზულება S 312-ში დასტურდება 35-ე, 36-ე, 37-ე, 39-ე, მე-40 და 41-ე ნომრებად.

ტექნიკური მიზეზების გამო ზოგი ასეთი პარალელი ვერტიკალურად არის მოცემული ცხრილში.

ცხრილში გამოყენებულია რამდენიმე ტექნიკური ნიშანი:

ა) [a], [b], [c], [d] და ა.შ. : თხზულებები, რომლებიც ამა თუ იმ ხელნაწერში დასტურდება, მაგრამ მათ აღწერილობაში დაფიქსირებული არ არის. ასე: K 24 –ის [5a], [5b], [5c], [5d] და ა.შ. მიანიშნებენ იმ თხზულებებს, რომლებიც ხელნაწერში დასტურდება, მაგრამ აღწერილობაში გამორჩენილია. ასევე: S 158 -ის აღწერილობაში დაფიქსირებულია მხოლოდ ერთი ნაწარმოები. სინამდვილეში ხელნაწერი შეიცავს 43 თხზულებას. ისინი ჩვენს მიერ დანომრილია კავებში ჩასმული ნომრებით. იგივე ვითარებაა S 248 ხელნაწერში. აღწერილობაში მითითებულია 2 ნაწარმოება, სინამდვილეში ხელნაწერში არის 49 თხზულება.

კავებში არის ჩასმული ის ნომრებიც, რომლებიც ზოგ ხელნაწერში ცუდი აკინძვის გამო გათიშულია და აღწერილობაშიც დაფიქსირებული არ არის. ერთ სვეტში კავებიანი ორი ნომერი მიუთითებს გათიშული თხზულების ნაწილებს მოცემულ ხელნაწერში. ასე: H 985 - ის ერთ სვეტში ნაჩვენები [20] [23] – არის № 59 ( S 1463)-ის ის ნაწილები, რომლებიც მე-20 და 23-ე ადგილას არიან H 985 ხელნაწერში.

აღწერილობის თანმიმდევრობის დაცვის მიზნით ვიმეორებთ წინამავალი თხზულების ნომერს. ასე: 5= 8(S 1463), [5a] = [8a] (S 1463), [5b]=9 (S 1463), [5b] =10 (S 1463) და ა.შ.

ბ) < : თხზულება თავნაკლულია.

გ) > : თხზულება ბოლონაკლულია.

დ) x : თხზულებას აკლია შიგნითაც.

ე) * : სათაურები განსხვავებულია.

ვ) ~ : თხზულება ფრაგმენტის სახით არის დაცული.

ზ) " : დასაწყისი განსხვავებულია.

| S 1463 | A205 XII | K23 XIII | A65 1188-1210 | K24 XIV | S312 1541 | K15 XVII | A269 XVII | H601 1746 | A64 1751 | A848 1767 | Q50 1777 | Q51 1777 | A267 1778 | A1132 XVIII | A1086 XVIII | H1000 XVIII | H137 XVIII-XIX | S158 XVIII | H985 XVIII | S248 XVIII | S2397 XVIII | S401 XVIII |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1<x> | 5 | 1+< | | 35*~+,"36~,37~,39-41~ | 4 | 1*~ | 1< | 1<x | | | | 17*~ | 25~"" | 1_17<~* | [35a]"",36~ | [26a]~"",27*~,28~ | | | 36~*,39-40~ | 11~* | |
| 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | |
| 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 4 | 12 | 1 | | 1 | | 1 | | 19 | 12 | | | 1 | | | 21 | | | | | | | |
| 5 | 13 | 2 | | 2 | | [1a] | | 20 | 13 | | | 2 | | | [21a] | | | | | | | 1 |
| 6 | 14 | 3 | | 3 | | 2,6u | 3 | 21 | 14 | 1 | | 3 | 1 | 3 | 22 | | | 1 | 1 | | | 2 |
| 7 | 15 | 4 | | 4 | | 3,6v | 4 | 22,23 | 15 | 2 | | 4 | 2 | 4 | 23 | | | [2] | 3 | | | 3 |
| 8 | 9[9a9b9c]~ | | | 5 | | 5 | 5x,9~,[9a9b9c] | 7_10~ | ~9,[9a9b9c],16x,19 | 3,8~,[8a8b8c]~,11~ | | 5 | 3x,7[7a7b7c]~,10~ | | 25[25a25b25c]~* | | | [3,7*~_9[9a]~,12~] | 4x,8~[8a8b8c]~11~ | | | 4,5 6 |
| [8] | | | | [5a] | | [5a] | [5a] | | [16a] | [3a] | | [5a] | [3a] | 5 | | | | [3a] | [4a] | | | [6a] |
| 9 | | | | [5b] | | | | | | | | 6 | | | | | | | | | | 7 |
| 10 | | | | [5c] | | | | | | | | 7 | | | | | | | | | | 8 |
| 11 | | | | [5d] | | | | | | | | 8 | | | | | | | | | | 9 |
| 12 | | | | [5e] | | | | | | | | 9 | | | | | | | | | | 10 |
| 13 | | | | [5f] | | | | | | | | 10 | | | | | | | | | | 11 |
| 14 | | | | [5g] | | | | | | | | 11 | | | | | | | | | | 12 |
| 15 | | | | [5h] | | | | | | | | 12 | | | | | | | | | | 13 |
| 16 | | | | [5i] | | | | | | | | 13 | | | | | | | | | | 14 |
| 17 | | | | [5j] | | | | | | | | 14 | | | | | | | | | | 15 |
| 18 | 16 | | | 6 | | | 6 | 24 | 17 | 4 | | 15 | 4 | | | | | [4] | 5 | | | 16 |
| 19 | 17,18> | | | 7 | | [5b] | 7 | 25 | 18 | 5,6 | | 16 | 5 | | 24 | | | [5] | 6 | | | 17 |
| 20 | 8 | | | 8 | | | 8 | 6 | 8 | 7 | | 17 | 6 | | | | | [6] | 7 | | | 18 |
| 21 | 10 | | | 9_14 | 1*> | [5c] | 10 | 11_17 | 10 | 9 | | 18 | 8 | | | | | [10] | 9 | | | 19 |
| 22 | 11 | | 8 | 15 | | [5d] | | 18 | 11 | 10 | | 19 | 9 | | | | | [11] | 10 | | | 20 |
| 23 | | 6 | | | | [5e] | | | | | 1 | | | | | | | | | | | |

| | A205 XII | K23 XIII | A65 1188-1210 | K24 XIV | S312 1541 | K15 XVII | A269 XVII | H601 1746 | A64 1751 | A848 1767 | Q50 1777 | Q51 1777 | A267 1778 | A1132 XVIII | A1086 XVIII | H1000 XVIII | H137 XVIII-XIX | S158 XVIII | H985 XVIII | S248 XVIII | S2397 XVIII | S401 XVIII |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24 | | [6a] | 9 | | 1*^ | [5f] | | | | | 2 | | | | | 1*^ | | | | 1*^ | 9 | |
| 25 | | [6b] | | | | [5g] | | | | | 3 | | | | | | | | | | | |
| 26 | 5 | 7 | 2 | | | [5h] | | 3 | 5 | | 4 | | | 17 | 18 | | | | | | | |
| 27 | 6 | 8 | 3 | | | [5i] | | 4 | 6 | | 5 | | | [17a] | 19 | | | | | | | |
| 28 | 7 | 9 | 4_6,[6a],7 | | | [5j] | | 5 | 7 | | 6 | | | | 20 | | | | | | | |
| 29 | | 10 | | | | [5k] | | | | | 7 | | | | | | | | | | | |
| 30 | | 11 | | | | [5l] | | | | | 8 | | | | | | | | | | | |
| 31 | | 12 | | | | | | | | | [8a] | | | | | | | | | | | |
| 32 | | 13 | | | | | | | | | 9 | | | | | | | | | | | |
| 33 | | *14,15,16 | | | | | | | | | 10 | | | | | | | | | | | |
| 34 | | 17 | | | | | | | | | 11 | | | | | | | | | | | |
| 35 | | 18 | | | | | | | | | [11a] | | | | | | | | | | | |
| 36 | | [18a] | | | | 6 | | | | | 12 | | | | | | | | | | | |
| 37 | | [18b] | | | | | | | | | 13 | | | | | | | | | | | |
| 38 | | 19 | | | | [6a] | | | | | 14 | | | | | | | | | | | |
| 39 | | 20 | | | 28* | [6b] | | | | | 15 | | | 18* | | 29* | 21* | | | [28*] | | |
| 40 | | | | | | [6c] | | | | | 16 | | | | | | | | | | | |
| 41 | | 21 | | | 2~*8+,11-14,[14a14b]x< | | | | | | 17 | | | 6x_11~< | | 2~,11~,14_16[16a],[16b]~ | 10~*_13,[13ax13b<] | | | 2~*,8,11x_14[14a14b]~ | | |
| 42 | | 22 | 11+ | | 34 | [6d] | | | | | 18 | | | 24 | | 35 | 26 | | | [34] | | |
| 43 | | 23 | | | | [6e] | 2*" | | | | 19 | | 18"* | | 26 | | | | | | 7 | |
| 44 | | 24 | 10 | | [14c]<* | [6f] | | | 20 | 12 | 20 | | 11 | 12< | | 16c* | | [13] | 12 | | | |
| 45 | | 25 | [10a] | | 15 | [6g] | | | [20a] | 13 | 21 | | [11a] | 13 | | 17 | | [14] | | [15] | | |
| 46 | | 26 | [10b] | | 17 | [6h] | | | [20b] | 14 | 22 | | [11b] | [13b] | | 19 | | [15] | | [17] | | |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 47 | | 27 | [10c] | | 16 | [6i] | | | [20c] | 15 | 23 | | [11c] | [13a] | | 18 | | [16] | | [16] | | |

| | A205 XII | K23 XIII | A65 1188-1210 | K24 XIV | S312 1541 | K15 XVII | A269 XVII | H601 1746 | A64 1751 | A848 1767 | Q50 1777 | Q51 1777 | A267 1778 | A1132 XVIII | A1086 XVIII | H1000 XVIII | H137 XVIII-XIX | S158 XVIII | H985 XVIII | S248 XVIII | S2397 XVIII | S401 XVIII |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 48 | | 28 | [10d] | | 18 | [6j] | | | [20d] | 16 | 24 | | [11d] | [13c] | | 20 | | [17] | | [18] | | |
| 49 | | [28a] | [10e] | | 19 | [6k] | | | [20e] | 17 | 25 | | [11e] | [13d] | | 21 | | [18] | | [19] | | |
| 50 | | [28b] | [10f] | | 20 | [6l] | | | [20f] | 18 | [25a] | | [11f] | [13e] | | 22 | | [19] | | [20] | | |
| 51 | | 29 | [10g]+ | | 21 | [6m] | | | [20g] | 19 | 26 | | [11g] | [13f] | | 23 | | [20] | | [21] | | |
| 52 | | 30 | | | 22 | [6n] | 11 | | 21 | 20 | 27 | | 12 | [13g] | | 24 | | [21] | 13 | [22] | | |
| [52a] | | [30a] | | | | | [11a] | | [21a] | [20a] | [27a] | | [12a] | | | [24a] | | [23] | [13a] | | | |
| 53 | | [30b] | | | | | | | [21b] | 21 | 28 | | [12b] | | | | | [22] | [14] | | | |
| [53a] | | [30c] | | | | | | | [21c] | [21a] | [28a] | | [12c] | | | | | [24] | [14a] | | | |
| [53b] | | [30d] | | | | | | | [21d] | [21b] | [28b] | | [12d] | | | | | [25] | [14b] | | | |
| 54 | | [30e] | | | | | | | [21e] | 22 | 29 | | [12e] | | | | | [26] | [15] | | | |
| 55 | | [30f] | | | | | | | [21f] | 23 | 30 | | [12f] | | | | | [27] | [16] | | | |
| 56 | | [30g] | | | | | | | [21g] | 24 | 31 | | [12g] | | | | | [28] | [17] | | | |
| 57 | | [30h] | | | | | | | [21h] | 25 | 32 | | [12h] | | | | | [29] | [18] | | | |
| 58 | | [30i] | | | | | | | [21i] | 26 | 33 | | [12i] | | | | | [30] | [19] | | | |
| 59 | | [30j] | | | | | | | [21j] | 27 | 34 | | [12j] | | | | | [31] | [20],[33] | | | |
| 60 | | [30k] | | | | | | | [21k] | 28 | 35 | | [12k] | | | | | [32] | [21],[34] | | | |
| 61 | | [30l] | | | | | | | [21l] | 29 | 36 | | [12l] | | | | | [33] | [35],[22] | | | |
| 62 | | [30m] | | | | | | | [21m] | 30 | 37 | | [12m] | | | | | [34] | [36],[23] | | | |
| 63 | | [30n] | | | | | | | [21n] | 31 | 38 | | [12n] | | | | | [35] | [37],[24] | | | |
| 64 | | [30o] | | | | | | | [21o] | 32 | 39 | | [12o] | | | | | [36] | [38],[25] | | | |
| 65 | | [30p] | | | | | | | [21p] | 33 | 40 | | [12p] | | | | | [37] | [39],[26] | | | |
| 66 | | [30q] | | | | | | | [21q] | 34 | 41 | | [12q] | | | | | [38] | [40],[27] | | | |
| 67 | | [30r] | | | | | | | [21r] | 35 | 42 | | [12r] | | | | | [39] | [41],[28] | | | |
| 68 | | 31,32 | | | 4"*< | [6o] | | | 22 | 36,37 | 43 | | 13 | 2<> | | 5"*< | 2*"< | [40] | [42],[29] | 7*< | | |
| 69 | | [32a] | | | 24 | [6p] | | | 23 | 38 | 44 | | 14 | 15 | | 26 | 15*" | [41] | [30],[43] | [24] | | |
| 70 | | 33 | | | 43 | [6q] | | | 24 | 39 | 45 | | 15 | | | 38 | 17 | [42] | [31],[44] | [43] | | |
| 71 | | 34 | | | 25 | [6r] | | 26 | 25 | 40 | 46 | | 16 | 16 | | 27 | 16 | [43] | [2,32,45] | [25] | | |
| 72 | | 35 | | | 23 | | | | | | 47 | | | 14 | | 25 | 14*< | | | [23] | | |

NANA CHIKVATIA

# THE MANUSCRIPT COLLECTIONS OF "DOGMATIKON" (THE TABLE OF THE RELATION OF THE COLLECTIONS WITH COD. S-1463)

SUMMARY

Present article aims at establishing the composition of the "Dogmatikon" of Arsen Ikaltoeli on the basis of all existing manuscripts.

The collection of dogmatical-polemical works of Arsen Ikaltoeli, titled the "Dogmatikon," occupies a special place in the history of Georgian theology and religious-polemical tradition. This huge collection consists of 72 works and is preserved in 23 manuscripts at least. Various issues, such as that of the entire composition of the "Dogmatikon," the composition of separate works within the collection, and of establishing the sources, are of crucial importance.

Studying of innumerable colophons for investigating the history of each manuscript is immersely important not only for revealing the interrelation of different manuscripts and their grouping, but also for studing the enite literary heritage of Arsen Ikaltoeli.

The recently discovered Greek manuscript, analogous to the "Dogmatikon," is very important for establishing the sources on which the "Dogmatikon" is based. The results obtained after the detailed study of the works included in "Dogmatikon," the composition of the collection, the order of the treateses, the size of the texts, the difference of the titles, the corrections introduced to the description of the manuscripts are demonstrated in form of a table. The present article also contains the description of composition of 23 manuscripts comparing to the manuscript S-1463 of K. Kekelidze Institute of Manuscripts.

ელგუჯა ბიუნაშვილი

# დიდი სჯულისკანონის მინაწერის შესახებ

*გუძღვნი ბაჟარ გიგინეიშვილისა და ზურაბ სარჯველაძის ნათელ ხსოვნას, რომელთა შემწეობითაც დაიწერა ეს სტატია.*

XI საუკუნის ბოლოს ქართულ ენაზე ითარგმნა 14 ტიტლოვანი „დიდი სჯულისკანონი". თარგმანი, როგორც მტკიცებულია დამოწმებული, შეუსრულებია ცნობილ მთარგმნელსა და ფილოსოფოსს – არსენ იყალთოელს.[1]

ქართულ ენაზე ამ კრებულმა მოადწია უძველესი ნუსხებით.[2]

დღეს ჩვენ გვაინტერესებს ამ კრებულის ერთი მინაწერი, რომელიც დაუცავს ხელნაწერთა ინსტიტუტის რამდენიმე უძველეს ნუსხას (A 76, A 124, A 176, H 1670) და ერთ ჭუთაისურ ხელნაწერს (ქუთ. 25).[3]

"დიდ სჯულისკანონში" შემავალი VII მსოფლიო კრების მე-18 მუხლის გასწვრივ აშიაზე ყველა ამ ხელნაწერში ტექსტისავე ხელით არის წარწერა „პეტრიწი"; H 1670-ში „პეტრიცი" – ასომთავრულითაა. ყანჩაეთის ჯამნ-გულანში – H 1452, 1674 წ. 342r-ზე წერია: „პეტრიჭი".

მინაწერის გვერდებია: A 171 – 213r, A 76 – 171r, A 124 – 403, H 1670 – 163v, ქუთ. 25 – 208v.

ერთი შეხედვით, ეს წარწერა თითქოს არაფრის მთქმელია, ერთი ლიტონი სიტყვით "პეტრიწი" ამოიწურება ყველაფერი და სხვა არაფერი. მინაწერის შესწავლას კი საკითხთა რთულ კომპლექსთან მივყავართ, რომლებიც უდავოდ უკავშირდებიან პეტრიწონის ქართველთა მონასტერსა და ცნობილ ფილოსოფოსს – იოანე პეტრიწს.

საკითხის კვლევა იოანე პეტრიწითა და მისი მოღვაწეობის ასპარეზით უნდა დაიწყოს, რაკი ჩვენ გვგონია, რომ ეს მინაწერი სწორედ იოანე პეტრიწთანაა დაკავშირებული.

1083 წელს გრიგოლ ბაკურიანის ძეს სოფელ პეტრიწონში (დღევანდელი პეტრიჩკა) აუშენებია ქართული მონასტერი, რომელსაც სახელწოდებად მიუღია „პეტრიწონის ქართველთა მონასტერი". დღემდე მეცნიერებაში ყველა იზიარებდა აზრს, რომ ამ მონასტერში მოღვაწეობდა დავით აღმაშენებლის თანამედროვე, დიდი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, რომელსაც პეტრიწი ამ მონასტერში მოღვაწეობის გამო შეერქვა, მაგრამ ამ ბოლო დროს ეჭვის თვალით დაუწყეს ყურება იოანე პეტრიწის მოღვაწეობას პეტრიწონის ქართველთა მონასტერში. კერძოდ პროფესორმა ივ. ლოლაშვილმა შემდეგი მოსაზრებები წამოაყენა: [4] 1) „პეტრიწი" არ არის დაკავშირებული იმ გეოგრაფიულ პუნქტთან, რომელსაც „პეტრიწონი" ეწოდება; [5]

2) „იოანე ფილოსოფოსს არ უმოღვაწნია პეტრიწონის ქართველთა მონასტერში"; [6]

3) ზედწოდება „პეტრიწი" არ ნიშნავს პეტრიწონელს".[7]

---

[1] ჭუთაისის მუზეუმის № 25 ხელნაწერის ანდერძი.

[2] საქ. მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერები: A 76, 124, 171, 1102; H 1670; Q5B და ქუთ. 17; 25.

[3] A 171 –XIII ს. A 76 –XII -XIII ს; A 124 _ XI ს; H 1670 –XIII -XIV სს. ქუთ. 25–XII ს.

[4] იოანე პეტრიწი, საათნოვანთა კიბე, თბილისი, 1968.

[5] იქვე გვ. 48.

[6] იქვე გვ. 68.

[7] იქვე გვ. 68.

საქმე ისაა, რომ ივანე ლოლაშვილი მეტ მნიშვნელობას ანიჭებს „პეტრიწის ტრადიციულ ხალხურ ეტიმოლოგიას, რომელსაც გერმანე მონაზონი,[8] დავით რექტორი[9] და იოანე ბაგრატიონი[10] იძლევიან. „პეტრიწის ტრადიციულ განმარტებას, რომელსაც იძლევიან გერმანე მონაზონი, დავით რექტორი და იოანე ბაგრატიონი, საფუძვლად უნდა ედოს რაიმე ძველი ჩქონდეთ, ან კიდეც აღორძინების დროინდელი ხალხური გადმოცემა,"– წერს ივ. ლოლაშვილი.[11]

ვნახოთ, რას წარმოადგენს ამ ავტორთა მიერ მოცემული ეტიმოლოგია და როგორია მისი მეცნიერული ღირებულება.

მე-18 საუკუნის მოღვაწის, გერმანე მონაზონის, თქმით: „იოანე ფილოსოფოსს ნართაულებრ ზედ ეწოდა პეტრიწი სიმკაცრით გამოძიებისათვის წერილთასა რომელსა ჰყოფდა."

დავით რექტორი: „ამას უკუე იოანეს ათინას აკადემიასა შინა უწოდეს პეტრიწი. პეტრ, რომელი ითქუმის ქვად და მარცვალი ქვემორე მფხეკელად გამოითარგმნების და ვინაითგან ესე იოანე იყო წერილთა ფრიად მჭრელელი, ამისათვის უწოდეს პეტრიწად, ესე იგი, ქვის მფხეკელად".

იოანე ბაგრატიონი: ათინაში სწავლის დამთავრების შემდეგ პეტრიწმა ეპიგრაფიკული ძეგლები ამოიკითხაო და „ამის მიზეზისათვის სახელ-სდვეს პეტრიწადა (რომელ არს ქვის მფხეკელი)".

ამგვარი ეტიმოლოგიის მიხედვით გამოდის, რომ იოანე პეტრიწის ზედწოდება სრულებითაც არაა დაკავშირებული პეტრიწონის ქართველთა მონასტერთან, მაშასადამე, უფრო იოლი ხდება იოანეს მოწყვეტა იმ გარემოებიდან, რომელშიაც მას მართლა უმოღვაწია. სხვაგვარია ამ საკითხზე ა. ცაგარელის შეხედულება, ის წერს, რომ პეტრიწი ნიშნავს „პეტრიწონელს". პეტრიწონი (ბერძ. პეტრიცოს, სლავ. პეტრინ) შუა საუკუნეების სავაჭრო – სამრეწველო ქალაქი იყო ბულგარეთში, ქ. სტანიმაკის მახლობლად. ძველად ამ სახელწოდებას ატარებდა ახლანდელი ბაჩკოვოს მონასტერი. ამის მიხედვით იოანე ფიოსოფოსის ამოუცნობელი ზედწოდება „პეტრიწი" სრულიად გარკვეულ შინაარსს იძენს: ალბათ იოანე იყო პეტრიწონის მონასტრის ძმათა საკრებულოს წევრი (Цагарели, Сведения, III 1894, გვ. XII).

აქ მოცემულ ეტიმოლოგიებს კრიტიკული განხილვა სჭირდება. ივ. ლოლაშვილი ცაგარელისეულ ეტიმოლოგიაზე წერს: „ეს განმარტება ჯერ კიდევ 1897 წელს სადავოდ გახადეს თ. ჟორდანიამ და ა. ხახანაშვილმა. ისინი აღნიშნავდნენ: „პეტრიწი" ნიშნავს „პატრიკს" (ლათ. patricius) – წოდებრიობის აღმნიშვნელ ტერმინს..., „პეტრიწონელი" კი სხვა ცნებაა.

არსებობს „პეტრიწონის" ეტიმოლოგიის ასეთი ვარიანტიც: πετρα (ქვა, კლდე) და ιζω ზმნის მიმდეობური ფორმა წარმოდგენილი ბიზანტიური პერიოდის ჟღერადობით: πετριζων („კლდეზე მდებარე").

ვნახოთ, რას წარმოადგენენ ამგვარი ეტიმოლოგიები.

სულ გვაქვს „პეტრიწი", „პეტრიწონის" ხუთი სხვადასხვაგვარი ახსნა.

1. ქვის მფხეკელი
2. სიმკაცრით გამომჟღავნებელი
3. კლდეზე მდებარე
4. გეოგრაფიული სახელიდან მიღებული – ბერძნ. პეტრიძოს, სლავური: პეტრინ.
5. პატრიკი – patricius – წოდებრიობის აღმნიშვნელი ტერმინი.

როგორც ჩანს, უპირატესობა ენიჭება „პეტრიწონის" ახსნას ბერძნულ ნიადაგზე, რაკი სიტყვის ძირშია „პეტრა". მაგრამ სრულიად შეიცვლება სურათი, თუ გავითვალისწინებთ შემდეგ გარემოებებს:

---

[8] გ. თაყაიშვილი, საისტორიო მასალანი ძველი საქართველო, II, 1909, განყ. 3, გვ. 40.

[9] ვუკ. ბერიძე, დავით რექტორი – ლექსიკოგრაფის სააბა ორბელიანის გამგრძელებელი (თსუ შრომები, I, 1936, გვ. 324 - 325).

[10] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა II, 1948, გვ. 174-175.

[11] ზემოთ აღნიშნული შრომა, გვ. 48.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. როგორია სიტყვის „პეტრიწონ“ გრაფიკული დაწერილობა.

2. რას იძლევა ძველბულგარული ტოპონიმია „პეტრიწისათვის“.

3. როგორი სურათია ბერძნულ-ქართულ ბგერათშესატყვისობებში.

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად შორს წასვლა როდია საჭირო. არსებობს პეტრიწონის ქართული მონასტრის ტიპიკონი ბერძნულ და ქართულ ენებზე.[12]

და რა სურათია ამ ტიპიკონში? „პეტრიწონი“ იწერება ბერძნული ენისათვის უჩვეულო τζ გრაფემების გამოყენებით: πετριτζος.

ამგვარი შემთხვევები მრავლად აღმოჩნდა დასახელებულ ტიპიკონში. „პეტრიწონის“ გვერდით გვაქვს შემდეგი ტოპონიმები: ლიპიწონი, თოფოლიწონი, ტოპოლინიწი, ზაუწი, პანკალიწი:

„შედგენილი... პეტრიწონის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახელობის მონასტრისათვის.“

τῆς ὑπεραγίας θεοτόκου τῆς Πετριτζιωτίσης. გეორგიკა 5. 98. „და ეგრეთვე მსგავსად აგარაებითურთ ლიპიწონით (თავი 2, 16. ყაუხჩიშვილი). πρός δὲ καὶ τοῖς ἀγριδίοις αὐτῶν ἤγουν τοῦ τε Λιπίτζοῦ. გეორგიკა 5, 120.

„ეგრეთვე მივეც თოფოლიწონთა პრეტორად სახელდებული სოფელი“. (თავი 2,17. ყაუხჩიშვილი). აგრეთვე მივეცი ტოპოლინიწში მდებარე პრეტორიონი. ὁμοίως δέδωκα καὶ ἐν τῇ Τοπολινίτζῃ τὸ πραιτώριον. გეორგიკა 5. 122.

„მივეც მაგასვე ზემოჭსენებულსა ეკლესიასა ჩემსა თემსა შინა ვოლერონისასა ვანდსა მისნოპოლისასა პრასტინი ჩემი ზაუწი თავისა ყოველითა ზღვრითა“ (თავი 2,17. ყაუხჩიშვილი).

„ეგრეთწოდებული ზაუწის პრასტინი...“

τὸ προάστειον τὸ ὀνομαζόμενον τοῦ Ζαούτζη. გეორგიკა 5,122.

„ოქრობეჭედი შესახებ სპაზმატისა და პინკალიწისა.“

Χρυσοβούλλιον περὶ τοῦ Σπάσματος καί τοῦ Παγκαλίτζη. გეორგიკა 5,250.

ქართულ ტექსტში წარმოდგენილი წ-ს, და არა მარტო წ-ს, არამედ ც, ჩ, ჭ ერუ აფრიკატების გადმოსაცემადაც ბერძნულში სისტემატიურად ვხვდებით τζ გრაფემათა შესატყვისობას. მოგვყავს მაგალითები:

“აგარაკი ბაჩკოვა” Βάτζοκοβα. გეორგიკა 5,120

“ხოლო მეორე ტაოს მხარისა, და სხვა კიდეც ჩუქმერისა” καὶ τὸ ἕτερον τοῦ Τζούρμερη. გეორგიკა 5,246

სოფელ ჩერვენის შესახებ τοῦ χωρίου τῶν Τζερβενῶν. გეორგიკა 5,248

სიგელი კირ მიხაელისა შესახებ პაჭინაკის მაშინ მომხდარი ამოძრავებული თავდასხმისა τοῦ Μπατζινάκου. გეორგიკა 5,248

იოანე სკილიცე Σκυλιτζης. გეორგიკა 5,7

მაშ: ქართ. წ, ც, ჩ, ჭ – ბერძ. τζ.

ამრიგად, ბერძნული τζ არის მხოლოდდამხოლოდ ორთოგრაფიული საშუალება სხვა ენათა ერუ აფრიკატების გადმოსაცემად და ქართული სწორედ იმის ასახვას წარმოადგენს, რაც საფუძვლად ედო ბერძნულს. კერძოდ, სლავურ-ბულგარული მონაცვლე ფორმების ასახვა. მართლაც ზემოთ მოყვანილი ტოპონიმები ხომ აშკარად სლავურ-ბულგარული წარმომავლობისაა. მაგ. თოფოლიწონი // ტოპოლინწი ნაწარმოები ჩანს **тополь** „ალვის ხე“ სიტყვისაგან და სიტყვასიტყვით უდრის „ალვანს“-ს, „ალენარ“-ს.

ასევეა ლიპიწონი. ის უნდა მოდიოდეს **липа**-დან და უდრის „ცაცხვეთს“.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პეტრიწონის მონასტერი აშენებულია იმ ადგილას, სადაც მდებარეობდა სოფელი პეტრიწი, საეჭვო აღარაფერი რჩება **პეტრიწის** ახსნაში.

[12] გეორგიკა V. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა.

ახლა ასეთი საკითხი: თუ ქართული **პეტრიწი** ბულგარული სოფლის სახელისაგან მომდინარეობს, რატომ ამგვარი სახით გვაქვს ის ქართულში, ქართულს ხომ ჰქონდა **ჩ** ბგერა და შეეძლო ბულგარული **პეტრიჩი** უცვლელად გადმოეტანა?

საქმე ისაა, რომ ბულგარულში ტოპონიმების საწარმოებლად გამოიყენება -ица აფიქსი.[13] ეს ც ქართულში შეიძლებოდა გადმოსულიყო როგორც ც, ე.ი. ამოსავალი ფორმა სლავური **პეტრიჩ**-ისა იქნებოდა **პეტრიცა**, რაც კიდევაცაა დადასტურებული ქართულში, ოღონდ ამას ემატება **პეტრიწი-ც**, რომლის უფრო ხშირი გავრცელება ბერძნულ **τζ**-ს უნდა მიეწერებოდეს. რაც შეეხება **პეტრიჭი** ფორმას, ის შეეძლო მოეცა ბულგარული **Петриц**-ის **Петрич** — ვარიანტს. ბულგარულში **-иц, -ец, -ица** სუფიქსიანი სახელებიდან ახალი ერთეულების წარმოების დროს ამგვარი გადასვლა ხდება **ц > ч**-ში:

**старец — старч-ески.**

**Ивановица — Иванович-ин** და სხვა.[14]

**-ица** აფიქსით გვაქვს ნაწარმოები ბულგარეთში ისეთი ტოპონიმები, რომლებიც ამოსავლად მცენარის სახელს გულისხმობენ: **Яблоница** (-ვაშლოვანი), **Ореховица** (-ნიგვზიანი) და სხვა. როგორც ჩანს ასეთივე წარმოებაა ტოპოლინიწ-ში (**-Тополиница**), ლიპიწონში (**-Липица**). ეს უკანასკნელი შემდგომ ბერძნულ ყაიდაზე გაფორმდა **-ων** სუფიქსის დართვით და მივიღეთ ლიპიწონი, თოფოლიწონი.

პეტრიწი-სათვის ამოსავალია ადამიანის სახელი პეტრე (**Петр**), რომელსაც ერთვის **-ица** სუფიქსი (შეად. **Ивановица**).

საბოლოო დასკვნა ასეთია: ქართული პეტრიწი//პეტრიცი//პეტრიჭი ფორმებისათვის ამოსავალია სოფლის სახელი **Петрица**, რომელიც შემდგომ ზედწოდებად მიუღია იოანე საღმრთო ფილოსოფოსს.

ჩანს, რომ „პეტრიწი" არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს „ქვის მჭხეკელს" და არც patricius-ს, არამედ იგი ძველბულგარული ტოპონიმია.

***

ახლა ერთი საკითხი: მოსაზრება, რომ „პეტრიწი" არ ნიშნავს „პეტრიწონელს". ეტყობა იმ თვალსაზრისს ემყარება, რომ „პეტრიწში" არა გვაქვს სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსი -ელ, როგორც მაგ. მთაწმიდ-ელ-ი, ათონ-ელი, კოსტანტინეპოლ-ელ-ი და სხვა. მაგრამ ქართულში ხომ გვაქვს შემთხვევები, როცა სადაურობა გადმოიცემა ამგვარი სუფიქსების გარეშე. მაგ. ფილიპე ბეთლემი, ეფრემ ასური, გრიგოლ ჰრომი და სხვ. „პირველმოჴსენებულსა მას ღირსსა მღდელსა გაბრიელს ქართველსა და ამას წმიდასა ბერსა, დიდსა ლეონს ჰრომსა, ფრიადი სიყუარული აქუნდა სულიერი..." [15]

დღემდე ყველა მკვლევარს პეტრიწი მიაჩნდა პეტრიწონის ქართველთა მონასტრის მოღვაწედ, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ივ. ლოლაშვილმა უარყო ეს მოსაზრება: „იოანე ფილოსოფოსს არ უმოღვაწნია პეტრიწონის ქართველთა მონასტერში,"— წერს პატივცემული მკვლევარი.[16] როგორც ჩანს, ეს მოსაზრება მკვლევარს იმ გარემოებამ უკარნახა, რომ არ მოგვეპოვება პირდაპირი ცნობები იოანე ფილოსოფოსის პეტრიწონის მონასტერში მოღვაწეობაზე.

ვნახოთ, რა კავშირშია „დიდი სჯულისკანონის" მინაწერი პეტრიწთან და პეტრიწონის ქართველთა მონასტერთან.

1084 წელს გრიგოლ ბაკურიანის ძე მის მიერ აშენებულ ეკლესიას უდებს ტიპიკონს, რომელიც კონსტანტინეპოლის პანაგიის მონასტრის წესდების მიხედვით ყოფილა შედგენილი. ტიპიკონში ვკითხულობთ: „აწ უკუე წესი ესე განგებისა სამონაზუნოჲსა მის წიგნისაჲ, რომელი-ესე გამოვარჩიეთ და გარდავთარგმნეთ ზემოჴსენებულისა პატიოსნისა მონასტრისა პანაგიისა განგებისაგან და სხუაჲ მცირედი რომელ ჩუენ შევსძინეთ და შთავსწერეთ მას

---

[13] Л. Андрейчин, Грамматика болгарского языка, Москва, 1949. გვ. 70.

[14] [14] იქვე, გვ. 46.

[15] ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი 52. 1.

[16] ივ. ლოლაშვილის ზემოთ აღნიშნული შრომა. გვ. 68.

შინა“ (იხ. ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბილისი, 1971, გვ. 62.).

ვის უნდა ეთარგმნა პანაგიის მონასტრის წესდება „გამორჩევით“ და ვის უნდა შეემატებინა მისთვის გარკვეული ნაწილები, რომლებიც პეტრიწონის მონასტრის სინამდვილით იქნებოდა გამოწვეული?

ეს გაუკეთებიათ გრიგოლ ბაკურიანისძის ბრძანებით: „აღწერა და დაემტკიცა ბრძანებითა ჩემ გრიგოლისითა, ნებითა ღმრთისათა სვეტსტყოსისა და დიდისა დემოსტენოსისა ყოველისა დასავლეთისათა, ძისა სანატრელისა ერისთავთამთავრისა ბაკურიანისათა აღმოსავლელისა და ქართველისათა.“ (ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბილისი, 1971, გვ. 61).

საფიქრებელი იყო ტიპიკონი შეედგინა მონასტრის პირველ მესაჭეს გრიგოლ ვანელს, მაგრამ ტიპიკონის შედგენისას გრიგოლ ვანელი უკვე გარდაცვლილია: „ჩვენ, უაღრეს მწუხარებაში მყოფმა, დავაწესეთ მისი (გრიგოლ ვანელის ე. გ.) სიკვდილის შემდეგ, რომ მისი ხსენება იყოს წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეს,“ – ეკითხულობთ ტიპიკონის ოცდამეათე თავში.

ჩვენი დაკვირვებით, ტიპიკონი იოანე პეტრიწის მიერ უნდა იყოს შედგენილი. რა გვაძლევს ამის საბაბს?

როგორც აღვნიშნეთ, პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი გამოკრებითი თარგმანია პანაგიის მონასტრის ტიპიკონისა და შევსებულია („შევსძინეთ და შეთავსწერეთ მას შინა“) „სხუაჲ მცირედით“. შევსება, როგორც ჩანს, მომხდარა ან სხვა ტიპიკონის, ან “დიდი სჯულისკანონის” მიხედვით. “დიდი სჯულისკანონს” აქ ჩვენ იმიტომ ვგულისხმობთ, რომ მინაწერი “დიდი სჯულისკანონში” ნიკიის II მსოფლიო კრების იმ მუხლსა აქვს (მუხლი 18), რომელიც მცირეოდენი ცვლილებით შეუტანიათ პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონში. აქ ჩვენ მოვიყვანთ მე-18 მუხლს „დიდი სჯულისკანონიდან“ და შემდეგ პეტრიწონის ტიპიკონის 23-ე თავს.

„ვითარმედ არა ჯერ-არს დედათა ქცევაჲ საეპისკოპოსოსა შინა, გინა სამამაკაცოთა მონასტერთა შინა“

დაუბრკოლებელ იქმნენით და გარეშეცა იტყჳს სადმრთოჲ მოციქული. ხოლო დედათაჲ საეპისკოპოსოთა შინა ქცევაჲ გინა მონასტერთა უჭჳულად დაბრკოლებისა მიზეზ არს. ვინცა ვის უკუე მონის, გინა თავისუფლისა საეპისკოპოსოთა შინა მომგებელად გამოჩნდეს გინა მონასტერთა შინა რაჲსაცა მსახურებისა ჴელმყოფელად, განიკანონენ. ხოლო რომელმან არა ისმინოს, განიკუეთენ. ხოლო უკუეთუ დამთხუეულ იქმნეს პრასტიათა შინა ყოფაჲ დედაკაცისაჲ და ინებოს ეპისკოპოსმან, გინა წინამძღუარმან წარსლვად მუნ ყოფასა ეპისკოპოსისასა გინა წინამძღურისასა, ნუცამცა ყოველად ჴელ-ჰყოფს რასაცა მსახურებასა დედაკაცი მათ ჟამთა შინა, არამედ თჳსაგან იყოფებოდეს სხუასა ადგილსა, ვიდრემდე მოერ წარვიდეს ეპისკოპოსი განკრძალულებისათჳს.“ (დიდი სჯულისკანონი, თბილისი, 1976, გვ. 428).

„რაჲთა არა შევიდეს დედაკაცი ეკლესიასა ჩუენსა, არცა სადედოჲ მონასტერი აღუშენოს ოდესცა საზღვართა შინა მისთა.“

1. „არა მნებავს უკუე რაჲთურთით შესლვაჲ დედაკაცისაჲ ეკლესიასა ჩემსა გინა მონასტერსა რაჲთაცა მიზეზითა, არცა ცოლოსნისა კაცისა დამკჳდრებაჲ საზღვართა მისთა, გინაცა მოყმისა ვისიმე უწუერულისაჲ, რაჲთა არა სადა დასაბრკოლებელ იქმნას, არამედ კიდე ხოლო სოფელთა შინა და აგარაკთა [გვ.106] იყვნენ.

2. დავაყენებ აღშენებისაგანცა სადედოჲსა მონასტრისა საზღვართა შინა მონასტრისათა და ნუმცა იქმნების ესე ოდესე მიზეზითა იოვანეს დედისა და ეყრემის დედისათა. უყროსსცა მათიცა ჯერ-არს სხუაგან მიცვალებაჲ მიერ,

რამეთუ დაუთრგუნველად ყოველითურთ დედათაგან განვაწესეთ ყოფად ადგილი ესე, ვითარ-ეს მებრ სიცოცხლესავე შინა ჩუენსა განვაგეთ, რომელ ოდენ დღესასწაულსა წმიდისა ეკლესიისა ჩუენისასა მოვიდოდინ ლოცვად, და დაჰყოფდენ ვიდრე ჟამის წირვის ჟამადმდე და მყის ხოლო მსწრაფლ განვიდოდინ მიერ. და ამის ჯერისათჳს ვაფუცებ

განკანონებით, რაღთა სხუასა არა რომელსა შინა ჟამსა იქმნას ესე." (ა. შანიძე, ქართული მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბილისი, 1971, თავი 23, გვ. 108).

აქ შეიძლება გვკითხონ, ხომ არ იყო ეს 23-ე თავი თვით პანაგიის მონასტრის ტიპიკონში და იქიდან ხომ არაა სწორედ თარგმნილი ეს თავი? შესაძლებელია, მაგრამ პეტრიწონის ტიპიკონი ისე მაინც ვერ შედგებოდა, თუ არ იქნებოდა გათვალისწინებული "დიდი სჯულისკანონიც", მითუმეტეს, ვის უნდა შეედგინა ტიპიკონი, თუ არა კანონიკაში სათანადოდ გაწვრთნილ კაცს?

ასეა თუ ისე პეტრიწს რომ ხელთ ჰქონია "დიდი სჯულისკანონი" ეს აშკარაა. წარწერა სწორედ მისი ხელით უნდა იყოს შესრულებული "დიდი სჯულისკანონის" ერთ-ერთ ხელნაწერზე იმის მისანიშნებლად, რომ იგი სარგებლობდა "დიდი სჯულისკანონის" ამ მუხლით ტიპიკონზე მუშაობის დროს. ტიპიკონის 23-ე თავი შინაარსობრივ იგივეა, რაც „დიდი სჯულისკანონის" მე-18 მუხლი. ორგანვე იკრძალება დედათა ქცევა ათამამ მონასტერში.

დაბოლოს, ასეთია ჩვენი დასკვნები:

1. „პეტრიწი" – არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს არც „ქვის მფხეკელსა" და არც „პატრიკს" (patricius). იგი უკავშირდება ძველბულგარულ ტოპონიმს „პეტრიჩ-ს".

2. „პეტრიწი" ზედწოდებაა დიდი ქართველი ფილოსოფოსის– იოანესი და ნიშნავს „პეტრიწონელს." შეადარე: ლეონ ჰრომი (=ლეონ ჰრომაელი), გრიგოლ სპარსი (=გრიგოლ სპარსელი), ეფრემ ასური (=ეფრემ ასურელი).

3. „დიდი სჯულისკანონის" მინაწერი „პეტრიწი" თვით იოანეს მიერ უნდა იყოს შესრულებული ამ კოდექსის ერთ-ერთ უძველეს ხელნაწერზე, რომლიდანაც იგი გადავიდა სხვა ნუსხებში.

4. 1084 წელს „დიდი სჯულისკანონი" უკვე თარგმნილი ყოფილა არსენ იყალთოელის მიერ.

5. „დიდი სჯულისკანონის ეს მინაწერი უდავოდ მნიშვნელოვანი შენაძენია იოანე პეტრიწის ძუნწი ბიოგრაფიისათვის.

E. GIUNASHVILI

## ON THE ADSCRIPTION OF 14-TITLE NOMOKANON

SUMMARY

The paper touches upon the problem of identification of Ioane Philosopher's name - Petritsi. The adscriptions of some of the manuscripts (the 12th-14th centuries) containing 14-title Nomokanon translated by Arsen of Iqalto (the 12th century) mention the slavonic form of the name - Petrici/Petrichi. The similar pronunciation of these two forms (Petritsi - Petrichi) is considered to be the firm argument for Ioane Philosopher's activities in Petritsoni monastery.

ლელა შათირიშვილი

# რამდენიმე ფიზიოლოგიური ცნების გაგებისათვის ბასილი ანკვირიელის თხზულებაში

ქრისტიანული სარწმუნოების წარმოშობისა და დამკვიდრების პირველი საუკუნეები თავისი ხასიათით ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდია. ბერძნების მიწიერმა, წარმართულმა რელიგიამ ადგილი დაუთმო ქრისტიანობას, დაიწყო ანტიკური სახოგადოების სულიერი გარდაქმნის პროცესი, ძალიან ნელა ხდებოდა ანტიკური ადამიანის სულიერი ფერისცვალება. სახოგადოების დიდი ნაწილი ცხოვრობდა გაორებული რწმენით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ახალი წესთაღრიცხვის დასაწისიდან, ანუ ქრისტეს აქეთ, თანდათან ყალიბდებოდა ქრისტიანული იდეოლოგია, რომელიც პირველი საუკუნიდან მოყოლებული უფრო და უფრო მეტ მოძრაობებს იძენდა. ქრისტიანობა არ ვითარდებოდა განყენებულად, ითვისებდა ყოველივე მისადებს ანტიკური კულტურისაგან. საუკუნეების განმავლობაში მან შეძლო, თავისი გავლენა გაეფრცელებინა ბიზანტიური სახოგადოების სულიერ ცხოვრებაზე. ეს პროცესი დაგვირგვინდა ახალი ბიზანტიური კულტურის წარმოშობით, IV საუკუნე კი იყო გარდამავალი ეპოქა. ეს იყო უფრო ფინალი უკვე გავლილი ისტორიისა, ამასთან დასაწყისი ახალი ქრისტიანული პერიოდისა.

IV საუკუნე გავიდა ცხარე საღვთისმეტყველო კამათებში. ადგილობრივსა თუ მსოფლიო საეკლესიო კრებებზე განიხილებოდა და დგინდებოდა ქრისტიანული საეკლესიო კანონები, ყალიბდებოდა ქრისტიანული მორალი. ქრისტიანობის განმტკიცებასა და გაძლიერებას ემსახურებოდა სასულიერო მწერლობის მრავალი დარგი, მათ შორის ჰომილეტიკა, რომელიც „აღნიშნავს მოძღვრება-ქადაგებებს, რომელთაც, მორწმუნეთა დასამოძღვრად, სხვადასხვა ადგილას, უფრო კი ეკლესიაში, და სხვადასხვა პირი, უმეტეს წილად, რასაკვირველია, სამღვდელონი, წარმოსთქვამდნენ ხოლმე. ქადაგება-მოძღვრებას ან თვით ავტორი სწერდა ხოლმე, ანდა წარმოთქმის დროს ჩასწერდნენ მას მაშინდელი სტენოგრაფები, გრიგოლ ღვთისმეტყველის მოწმობით, როგორც ოფიციალურად, ისე ფარულად."[1] ბიზანტიური ჰომილეტიკური მწერლობის კლასიკურ ხანად ითვლება IV და V საუკუნეები.

საეკლესიო მჭევრმეტყველების ჟანრს განეკუთვნება ბასილი ანკვირიელის ტრაქტატი „ქალწულებასა შინა ჭეშმარიტისა უხრწნელებისათჳს". იგი ეძღვნება ფიზიოლოგიისა და ზნეობის საკითხების ახსნას. ავტორს თხზულება IV საუკუნის II მესამედში უნდა დაეწერა.[2] ამ ჰომილიამ გავლენა იქონია გრიგოლ ნოსელის ამავე სახელწოდების თხზულებაზე. გადმოცემით ცნობილია, რომ ბასილისეული ტრაქტატი უფრო პოპულარული ყოფილა და უფრო გავრცელებული, ვიდრე გრიგოლ ნოსელისა და იოანე ოქროპირის ანალოგიური ხასიათის თხზულებანი.[3]

ბასილი ანკვირიელი მოღვაწეობდა ბიზანტიაში 336-360 წწ. იგი იყო ანკვირიის ეპისკოპოსი, უაღრესად განათლებული პიროვნება, უბადლო რიტორი და თავისი სამწყსოსათვის ავტორიტეტული სასულიერო პირი, არაერთგზის ჩამოგდებული სასულიერო ტახტიდან, რამდენჯერმე დაბრუნებული, ბოლოს კი გაძევებული ანკვირიიდან.[4]

ბასილი ანკვირიელის თხზულება თავისი ეპისკოპოსობის ჟამს უნდა შეეთხზა. იგი ტრაქტატში ვრცლად და დამაჯერებლად საუბრობს, რათა დაინტერესებული ადამიანები გაარკვიოს უბიწოების ჭეშმარიტებაში, მის უპირატესობაში მიწიერ ცხოვრებასთან შედარებით. ავტორი გვეკლინება მასწავლებლად, ჭკუის დამრიგებლად და კეთილ მრჩეველად.

---

[1] კ.კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1980წ., გვ .551.

[2] F. Cavallera, " Le ' De Virginitate ' de Basile d' Ancyre", Revue d' histoire ecclesiastique, 1905, cc.5-14.

[3] F.G Laroy, " La tradition manuscrite du 'de virginitate de Basile d'Ancyre", Orientalia Christiania Periodica, 1972, cc. 195-208.

[4] Болотов В.В. Лекции по Истории Древней Церкви. Петроград. 1918г. ст. 58.

მისი მიზანია, დამოძღვროს მორწმუნეობის ყველა მოსურნე, უბიწოების დაცვის ყველა მსურველი. ამიტომაც იგი განმარტავს ჭეშმარიტი სათნოებისაკენ სწორ გზაზე მავალთა ზნეობას, ქადაგებს სულიერი და მორალური ღირებულებების შესახებ. მისი ქადაგება ემყარება იმ პერიოდისათვის არსებულ საეკლესიო ნორმებს, რომლებიც უკვე შემუშავებული იყო და არსებობდა მოციქულთა კანონებში, ადგილობრივ საეკლესიო კრებებზე, ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, წმინდა მამების ნააზრევში, სასულიერო მწერლობის ნიმუშებში.

თხზულების პირველივე სტრიქონებიდან ირკვევა, რომ ბასილი ანკვირიელი თავის ჰომილიას შესაფასებლად უგზავნის თავის თანამედროვეს, თანამოაზრეს, სულიერ მეგობარსა და ეპისკოპოსს, ვინმე ლიტოიეს[5]. მისი შრომა 88 გვერდს მოიცავს[6].

ავტორი ტექსტის დასაწყისში მიმოიხილავს მამაკაცისა და ქალის ბუნებას იმ მიზნით, რომ ხორციელი და სულიერი უხრწნელების არსი ნათლად წარმოაჩინოს, ქადაგებისას იყენებს საყოველთაოდ მიღებულ თვალსაზრისს სამყაროს შექმნის შესახებ და მსმენელს ამცნობს, რომ ცოცხალი არსებები, ისევე როგორც სხვა ყველაფერი, ღმერთმა შექმნა, მანვე დაანაწილა სამყარო მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენლებად. მამალს დედალი განუწესა, ჭაკს – ხვადი, ნეზვს – ვერძი, ფურს – კურო. მამაკაცის ნაწილად დედაკაცი განაწესა და, რადგანაც მისგან შექმნა, მასვე დაუმორჩილა, როგორც „კერძოჲ და ასოჲ" მისი; ცოცხალ არსებებს შორის მხურვალე ტრფიალება დათესა და ერთმანეთთან შეუღლების საფუძვლად სწორედ ეს გრძნობა დააწესა, უბრძანა მათ გამრავლება და ქვეყნის გავსება.

ქორწინება, შეუღლება და შთამომავლობის დატოვება არის ადამიანთა ცხოვრების წესი სამყაროს შექმნიდან დღემდე, მაგრამ ჭეშმარიტების ძიების სხვა გზაც არსებობს, რომელზე სიარულიც ყველას არ ძალუძს. ეს არის მორწმუნის გზა, იმ ადამიანთა ცხოვრების გზა, რომლებიც მოისურვებენ ხორციელი სიყვარულისაგან განდგომას და მათ მიზნად იქცევა უხორცო სულისათვის ზრუნვა, რადგან უხორცო სული ღვთის საკუთრებაა. ტრაქტატში ხაზგასმითაა მითითებული, რომ უხრწნელებისათვის გზის ძიება მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც მაცხოვარი მოევლინა კაცობრიობას, თავს იდო კაცობრიობის ცოდვები, უხრწნელების სიკეთე მიწაზევე, ამ წუთისოფელშივე, მიანიჭა მსურველს და განადიდა იგი. მაცხოვარმა ქორწინების გამოცდილება არ მიიღო, რადგან თავად უხრწნელი ქალწულისაგან ხორციელადაც უხრწნელად იშვა და, როგორც ადამმა დაუდო სათავე ამ ცხოვრებას ქორწინების გულისწადილით, ასევე მაცხოვარმა მისცა დასაბამი საუკუნო ქალწულების უხრწნელებას.

თხზულების თემატიკის მიხედვით, საჭიროდ მივიჩნიეთ იმისი გარკვევა, თუ რას გულისხმობს ფიზიოლოგიური ცნებები: „ქალწულება", „ქალწული", „საჭურისობა", „საჭურისი".

ავტორი ეტაპობრივად ავითარებს მსჯელობას ქალწულების შესახებ. იგი საუბრობს ხორციელ ქალწულებაზე, ქალწულთა კვების რეჟიმზე, იმ საცთურებზე, რომელსაც იწვევს ხუთი გრძნობა გრძნობის ორგანოების მეშვეობით; ამას მოჰყვება მსჯელობა სულიერ ქალწულებაზე, საჭურისებსა და საჭურისობაზე. ბასილი ანკვირიელი ზოგჯერ თავის საუბარში საკმაოდ საჩოთირო საკითხებს ეხება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იგი ექიმი იყო, ყველაფერი გასაგები გახდება[7].

ბასილი უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება იმ მისიას, რომელიც თავს იდო. ამიტომაც დაწვრილებით ჩხრეკს თითოეულ საკითხს. მსჯელობას რომ მეტი დამაჯერებლობა შესძინოს, ავტორი იმოწმებს შესაბამის ადგილებს ძველი აღთქმის წიგნებიდან (დაბადება, II რჯული, მეფეთა, ფსალმუნნი, იგავთა, ეკლესიასტე, წინასწარმეტყველთა წიგნები) და ახალი აღთქმის წიგნებიდან, რომელთაგან ტრაქტატში ვხვდებით ადგილებს მათეს, მარკოზის, ლუკას, იოვანეს სახარებებიდან, საკითხავებს სამოციქულოდან: რომაელთა მიმართ, კორინთელთა მიმართ, ეფესელთა მიმართ, ტიმოთეს მიმართ და სხვ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალწულების ქადაგებას ჰქონდა თავისი მნიშვნელოვანი საფუძველი, რაც მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანული სარწმუნოების წიაღშია საძიებელი.

---

[5] A-55, 344r. PG XXX, 672 A.

[6] იხ. A-55, 344r-387v.

[7] F.Cavallera, "Le ' De Virginitate ' de Basile d' Ancyre", Revue d' histoire ecclesiastique, 1905, cc.5-14.

ტრაქტატში გატარებული მოსაზრების მიხედვით, რომელიც ემყარება საყოველთაოდ ცნობილ თვალსაზრისს, ქალწულების აუცილებლობას არც ძველი და არც ახალი რჯული არ მიუთითებს. არც მოსეს რჯული აწესებს ქალწულებას, არც სახარებაში იძლევა მაცხოვარი ამგვარ მცნებას, რადგან მისთვის კარგად იყო ცნობილი კაცისა და ქალის ხორციელი ბუნება. მოსეს რჯულის სათნოებად მოხსენიებულია მცნება: „არა იმრუშო!" (გამოსლვათა 20,14);[8] მაცხოვარი კი ბრძანებს: არც გაურდეს! (მათე,5,27-28)[9]. მოსეს მოძღვრება იესო ქრისტემ სრულ-ყო, მაგრამ ქალწულება „არც ძუელსა შინა დადგა... შჯულად და არცა ახალსა".[10]

ბასილი ანკირიელი იძლევა ახსნას, თუ რატომ არ განიხილებოდა ქალწულება, როგორც სულიერი და ზნეობრივი მოვლენა, ქრისტიანობამდელ სამყაროში. ავტორი მიმოიხილავს ქალწულების რაობას სამოთხეში და მიუთითებს, რომ სანამ ადამი სამოთხეში იყო, „არა მისცა თავი თჳსი დედაკაცსა", მხოლოდ სამოთხიდან გასვლის შემდეგ, პირველი ცოდვის შემდეგ, გაიღო ქალის რაობა, რომ ბუნების მოკვდავებისათჳს შთამომავლობით მაინც ეცა ნუგეში. ახლაც სამოთხეს რომ დაუბრუნდეს ქალწული, იგივე უხრწნელებასა და უბიწო ცხოვრების ფუფუნებას ეზიარება. სამოთხიდან რომ გამოდიოდა ევა, დაწყევლილ-იქნა იგი, მანამდე კი ადამთან ერთად იყო ბედნიერი და თავისუფალი წყევლისაგანაც და ხრწნილებისაგანაც.[11]

მიუხედავად ადამიანების ცოდვისა, ღმერთი მათ მიმართ მაინც მოწყალე აღმოჩნდა. ამიტომაც ისინი ქორწინების საკრველით შეამტკიცა და უკედავება ქორწინების მეშვეობით მიანიჭა ადამ და ევას მოდგმას. მათ შთამომავლობის დატოვება და გამრავლება უბრძანა, რადგან მაშინ შეუძლებელი იყო კაცობრიობისთვის უხრწნელების შჯულის დადება. ღმერთი თავად ხედავდა „კაცთა უკეთურებითა აღძრულთა მათ ბრძოლათაგან ... შობილთა მათ განლევასა..."[12]

ბასილი ანკირიელი აღწერს ქალწულების არსს და განიხილავს ამ ცნების რაობას. მისი აზრით, ქალწულება არის ადამიანის მიერ უხრწნელი ღმერთის მიბაძვა და მიმსგავსება. უბიწოების მსურველმა (ქალი იქნება ის თუ მამაკაცი) ამის მისაღწევად დიდი შრომა უნდა გასწიოს. უხრწნელება ორ ეტაპად ხორციელდება და ერთმანეთს განაპირობებს – ხორციელი უბიწოება უნდა დაეფოს საფუძვლად სულიერ უხრწნელებას, ის უნდა გახდეს პირობა სულის უბიწოებისა. ამასთან უხორცო სულის ქალწულება უხრწნელად იცავს ხორცს. როცა მორწმუნე ამ ჭეშმარიტი მშვენიერების სიკეთეს აცნობიერებს, ხორცს ღირსების მხვედად გამოიყენებს.

„ქალწულებას" სხვადასხვანაირი გააზრება აქვს ბასილი ანკირიელის თხზულებაში. ქალწულება, ჩვენი საკვლევი ტექსტის მიხედვით, არის:

1) ანგელოზური ცხოვრების წესი. თუ ადამიანი დაძლევს ხორცის სიამოვნებას, ნაყოფვნების სიტკბოებას და ამ წუთისოფელში ხორციელი ოწროებით წარმართავს თავის ცხოვრებას, შესაძებელია ანგელოზთა მიბაძვაზე ლაპარაკი.

2) ქალწულება უფრო სულიერი უპირატესობაა, ვიდრე ხორციელი, რის საჩვენებლად არის კიდეც შექმნილი ეს თხზულება. ხოლო ვისაც სურს ქალწულების გვირგვინის დადგმა, მან უნდა შეიმეცნოს ჭეშმარიტება, უბიწოების უდიდესი ღირსების არსი, რათა თავისი უმეცრებით უალრეს სიკეთეს არ მოშორდეს.

3) ქალწულებაში, ტექსტის მიხედვით, იგულისხმება უქორწინებლობა. ქალწულებისა და ქორწინების შედარებისას ავტორი, ცხადია, პირველს ანიჭებს უპირატესობას. ის არაერთგზის იმეორებს, რომ ქალწულების სიკეთე უფალს ყველასათვის არ დაუწესებია სავალდებულო მცნებად – იგი დაწესა პატიჟად სათნოებისმოყვარე სულისათვის და მორწმუნეს მისცა არჩევანის საშუალება ბუნებასა და მცნებას შორის. რჯული არ კრძალავს ქორწინებას, უფალმა ადამიანის ნებას მიანდო უხრწნელების სურვილი, რადგან ეს შესაწირავი ღვთისმოყვარე სულისაა და არ შეჰგავს ქორწინებას.

---

[8] მცხეთური ხელნაწერი (მოსეს ხუთწიგნეული, ისო ნავე, მსაჯულთა, რუთი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დონაძემ, თბილისი, 1981წ., გვ. 181.

[9] ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბილისი, 1979წ., გვ. 271.

[10] A55, 377vb.

[11] A-55, 377rb.

[12] A-55, 377va.

ბასილი ანკვირიელს მიაჩნია, რომ უმრავლესობას თუმცა აქვს წარმოდგენა ქალწულების რაობაზე, მაგრამ არ ზრუნავს ჭეშმარიტი უხრწნელებისათვის. ძველ ეკლესიის ადრექრისტიანულ ხანაში, სავარაუდოდ, მანამ, სანამ ბერმონაზვნობა ჩამოყალიბდებოდა, და მერეც, არსებობდნენ უბიწოდ ცხოვრების მსურველი ქალწულები, რომლებიც დებდნენ ქალწულების აღთქმას, მაგრამ არ ეკურთხებოდნენ მონაზვნებად, ცხოვრობდნენ თავიანთი მშობლებისა და ნათესავების ოჯახებში, იმისებრ ცხონდა სამოქალაქოდ, მაგრამ თავს უძღვნიდნენ ღმერთს, საზეიმოდ დებდნენ ფიცს ეპისკოპოსთა წინაშე, რომ ქალწულებას დაიცავდნენ ცხოვრების მანძილზე. ისინი ითვლებოდნენ ქრისტეს სასძლოებად, უფალს ზრნარედნენ თავიანთ უხრწნელებას, რის გამოც ეკლესიის მიერ იწოდებოდნენ წმიდა ქალწულებად (ειεροι παρθηνοι). ისინი ვედარ ბედავდნენ ქორწინებას, რადგან ჩაითვლებოდნენ ქრისტეს ორგულებად.[13] თუმცა, როგორც ჩვენ საკმაოდ ვთხულებაშიც არის მითითებული, დადებული ფიცის გატეხა მაინც ხდებოდა. ამ მიზეზით ავტორს საგანგებოდ უხდება ზემოთ ხსენებული შემთხვევების განხილვა, როცა ქალწული დებდა უხრწნელების აღთქმას, მაგრამ იმის გამო, რომ ხორცის წადილს ვერ ერეოდა, არღვევდა მას, თხოვდებოდა. ბასილი ანკვირიელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აღთქმის დამრღვევი ვერ იპოვის კანონიერ მეუღლესთან ბედნიერებას იმის გამო, რომ ენება ჯუნის ქორწინების წესს. ყოველი ის კანონი, რომელსაც წესი და სულის კანონი წინ არ უძღვის, მიუღებელია.

ამგვარ ფაქტებს ბასილი ანკვირიელის ეპოქაშიც, მანამდეც და შემდგომაც მრავლად უნდა ჰქონოდა ადგილი, რადგან ამ ცოდვის შესახებ საუბარია სჯულისკანონშიც.[14] (იხ. IV მსოფლიო კრება, კანონი ხალკიდონს შეკრებულთა მამათანა, იე (16). ქალკედონის კრებამ განიხილა ადრეული კანონები და დაადგინა აღთქმის დამრღვევთა განკვეთა ელასიიდან. მაგრამ ამ კანონის არსებობის მიუხედავად, გადაწყვეტილება შეიძლებოდა განეხილა ეპისკოპოსს და გულმოწყალება გამოეჩინა, თუმცა ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს, ეპისკოპოსს შეეძლო, ამგვარი ქორწინება კანონიერად ეცნო. ამით უნდა ავხსნათ ბასილი ანკვირიელის დამოკიდებულებაც აღთქმის დამრღვევების ცოდვიანობის შესახებ.

ქალწულების აღთქმის დამრღვევებს ეხება აგრეთვე ანკვირიის ადგილობრივი კრების მე-19 კანონი[15]. ეს კრება 314 წელს ჩატარდა. ხსენებულ კანონში ლაპარაკია დანაშაულზე, რომელშიც არ უნდა ვიგულისხმოთ მრუშობა. აქ უნდა იგულისხმებოდეს კანონიერი ქორწინება, რომელსაც შეუდგა უბიწოების აღთქმადადებული ქალწული. აშკარაა, რომ კანონი ასეთებს ადებდა მეორედ ქორწინების სასჯელს, რომელიც ითვალისწინებდა წმინდა ზიარების აკრძალვას ერთი წლით (იხ. ბასილი დიდი, 4).[16] უბიწოების აღთქმადადებული ქალწულის ქორწინება სიძეის ან მრუშობის ცოდვის რანგში რომ განხილულიყო, აღთქმის დამრღვევებს წმინდა ზიარების მიღება აეკრძალებოდათ 4 წლით (იხ. ბასილი დიდი, 22).[17] ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო განსაზღვრული და დამტკიცებული ბერმონაზვნობის ინსტიტუტი. ის IV საუკუნის II ნახევარში იქნა მიღებული და თანაც კანონის დამრღვევთა სასჯელი უფრო მკაცრი იყო. [18]

ავტორი თხზულებაში განმარტავს, თუ რა სახით უნდა წარემართათ მორწმუნეებს თავიანთი მოღვაწეობა, ქალწულების აღთქმის დარღვევის ცოდვა რომ აცილებინათ თავიდან. ესენია: ა) ბრძოლა ცოფუნების წინააღმდეგ; ბ) ხორცის მოკვდინება. უხრწნელი სულის უმანკოება არის ჭეშმარიტი მონაპოვარი მორწმუნისათვის, რომელიც მოვალეა, დაორგუნოს ქალური წადილი, ხორცის შეგონებისაგან თავი შორს დაიჭიროს, მოთმინებითა და ღვთის სიყვარულით სძლიოს ხორციელ სურვილებს, რომლებშიც იგულისხმება გემოს, ნაყროვანების, გულისთქმის ცოფუნებები, რომლებიც უწმინდურებებს ალაგზნებენ.[19]

როგორც ცნობილია, ქალწულების ყველა მსურველს არ შეეძლო ღვთის გზას დასდგომოდა, თუ მას გარკვეული ასაკი არ შეუსრულდებოდა. ქალწულების დამცველის

---

[13] Правила Православной Церкви, с Толкованиями Никомида. ТІ. Правила Вселенского Собора . Правило 16. Издание Свято Троицкой Сергиевой Лавры. 1996г. ст. 371.

[14] დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ეგანბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბილისი, 1975წ., გვ. 272.

[15] Правила православной церкви, с толкованиями Никомида. ТІІ. Издание Свято Троицкой Сергиевой Лавры. 1996г. ст. 21.

[16] დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ეგანბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბილისი, 1975წ., გვ. 476.

[17] იქვე, გვ. 486.

[18] Правила Православной Церкви, с Толкованиями Никомида. ТІІ. 1996г. ст.22.

[19] А-55, 347va.

ასაკს რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ამის შესახებ ცნობებს ვხვდებით ძველ სჯულისკანონში. მაგ., ბასილი დიდი ამბობს, რომ 16-17 წლის მორწმუნეს აქვს უფლება დადოს ქალწულების აღთქმა. უფრო პატარების აღთქმას ის „საბავშვო ასაკად" თვლის. ტრულის კანონი 10 წლის ასაკიდან შესაძლებლად მიიჩნევს ქალწულების აღთქმის დადებას, რადგან ამ პერიოდისათვის ეკლესია უფრო გაძლიერდა, მორწმუნენი განმტკიცდნენ რწმენითა და სასოებით. ადრეულ ხანაში, პავლე მოციქულის დროს, 60 წლის ქალებს ენიჭებოდათ ეს უფლება. საერთოდ კი მაინც ეპისკოპოსზე იყო დამოკიდებული მორწმუნეთა ასაკის გადაწყვეტა.[20] ბასილი ანკვირიელი ხნოვანებას არ მიუთითებს, მაგრამ წერს, რომ ქალწულის ასაკიც გამოსაძიებელია და საკითხავი, რადგან თუ იგი ჭაბუკია, ეკლესიაში მარტო არ უნდა მივიდეს, არამედ წესიერ და ღირსეულ ქალწულებთან ერთად, რათა აღასრულოს მცნების წესი.[21]

ბასილი ანკვირიელის აზრით, შედეგი ასეთია:

1) ქალწულების დაცვა არის გზა განღმრთობისაკენ, რადგან იგი „უხრწნელებასა ღვთისასა მობაძავ-ჰყოფს კაცსა და მიამსგავსებს."[22]

2) მორწმუნისათვის არის ზეციურ სასუფეველში დამკვიდრების საშუალება, რადგან, როცა მასთან [ქრისტესთან] მივალთ, რომ არ დავცილდეთ მას, ის წყალობით მიმართავს მორწმუნეებს: „დაადგერით ჩემ თანა და მე თქუენ თანა" (იოვანე,15,4).[23]

3) ქალწულება არის ანგელოზთა მიბაძვა. ანგელოზნი „თუნიერ ჴორცთა შინა" იცავენ უხრწნელებას ღვთის წინაშე, ხოლო ქალწულების დამცველნი მიწაზე, ქვეყნიერებაზე, ამ წუთისოფელში, ეშმაკის ბრძოლისაგან შევიწროვებულნი, ანგელოზთა სათნოებას ბაძავენ და ღვთისათვის მარხულობენ.

„ქალწულების" ცნებას უშუალოდ უკავშირდება ტერმინი „ქალწული", რომელიც საყოველთაოდ ცნობილი მნიშვნელობით–ფიზიკური უხრწნელების მნიშვნელობით, ძველი აღთქმის ტექსტებშიც გვხვდება. მაგ.,

დაბად. 24,14. „და იყოს ქალწული, რომელსა ვჰრქუა მე"[24]...

დაბად. 24,16. „ხოლო ქალწული შუენიერ იყო ხილვითა ფრიად, და ქალწული იყო, მამაკაცი არა უწყოდა მან".[25]

ქალწულისაგან მაცხოვრის შობის შესახებ ძველ აღთქმაშია ნაწინასწარმეტყველევი:

ესაია.7გ.14 „ამისთჳსცა თვით უფალმან მოგცეს სასწაული თქუენ: „აჰა, ქალწულმან მუცლად-იღოს და შვეს ძე და უწოდონ სახელი მისი ემმანუილ".[26]

მათე მახარებელი კი თავის სახარებაში გვამცნობს:

1, 22-23 „ესე ყოველი იქმნა, რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი უფლისაჲ პირითა წინასწარმეტყუელისათა თქმული. „აჰა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე, და უწოდიან სახელი მისი ემმანოელ, რომელ არს თარგმანებით: „ჩუენ თანა არს ღმერთი"[27].

ბასილი ანკვირიელი კიდევ ერთხელ შეახსენებს ყველას, რომ ქალწული არის ღვთისათვის შეწირული (ქალი იქნება თუ კაცი), გვაუწყებს, რომ ქალწულებრივი სული ქრისტეს ხატით არის ავსებული და მასში ადგილი არ უნდა დარჩეს მანკიერებისათვის, რომელსაც უნარი აქვს, შეავსოს სიცარიელე და წაბილწოს.

1) ქალწულს უბიწოების ლოცვა-კურთხევა აქვს მიღებული. თუ ის უხრწნელ სიძეს შეუერთდება, მხოლოდ და მხოლოდ სიწმინდესა და უბიწოებას შეინარჩუნებს.

2) ქალწულს, უპირველეს ყოვლისა, ევალება, სულით განიწმინდოს ბიწიერებისაგან, რომ თავისი ქცევით ჭეშმარიტი ქალწულება შეამკოს. სამაგიეროდ, უნდა ძალუძდეს,

---

[20] Правила Православной Церкви, с Толкованиями Никомида. TI. Правила Вселенского Собора . Правило 16. Издание Свято Троицкой Сергиевой Лавры. 1996г. ст . 526-527.

[21] A-55, 355va.

[22] A-55, 344rb.

[23] ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბილისი, 1979წ., გვ. 605

[24] მცხეთური ხელნაწერი (მოსეს ხუთწიგნეული, ისო ნავე, მსაჯულთა, რუთი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბილისი, 198წ.1, გვ. 84.

[25] იქვე, გვ. 85.

[26] მცხეთური ხელნაწერი (ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, ქება ქებათა სოლომონისა, წინასწარმეტყველთა წიგნები – ესაია, იერემია, ბარუქი, ეზეკიელი), თბილისი, 1985წ., გვ. 78.

[27] ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბილისი, 1979წ., გვ 261.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამალოს თავისი გარეგნული მშვენიერება, არ ეცადოს თავის მოწონებას. თუ ბუნებრივი სილამაზე არ გააჩნია, არც დამშვენება ისურვოს.

3) ქალწულის უბიწოებას საფრთხეს უქმნის გრძნობათა ორგანოები, რომელთაგან ხუთი გრძნობა ხუთ წყაროდ ამოედინება. ესენია: ხედვა, სმენა, გემოსმოყვარეობა, შეხება, ყნოსვა. ისინი ხორცს უწმინდურებით ავსებენ და ხრწნიან სულს. ამიტომაც საჭიროა, უხრწნელების დამცველმა ღვთისმოყვარება გამოიჩინოს და ღვთისმოშიში სიტყვა დაადგინოს თავისი გრძნობის ორგანოების მცველად.

მიწიერ ცხოვრებაში საცთური უამრავია. მორწმუნეს, ქალწულს სიფრთხილე ჰმართებს, რომ ბოროტისა და ბიწიერის თანაზიარი არ გახდეს, მის ქალწულ ხორცში არაქალწულმა სულმა არ დაიბუდოს.

მორწმუნეს ცდუნებად შეიძლება ექცეს მხედველობა, რომელიც სულზე გამოხატავს თვალით დანახულ უკეთურ საქმეებს. ცდუნება შეიძლება გამოწვეიოს სმენამ, რომლის მეშვეობითაც შხამიანი სიტყვა გონებამდე მიაღწევს და შერყვნის მას. სწორედ გონების გახრწნაა საშიში, რადგან მისი მეშვეობით სულზე აისახება კეთილი და ბოროტი თვისებები. სულის დაცვა ქალწულად უფრო რთულია და ამდენად უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე – ხორცისა. ამისათვის, რომ ქალწულმა ცდუნებებს თავი დააღწიოს, სჭირდება თავშეკავება და მცირი ასკეტური ცხოვრება, მას ევალება, რომ უფლის სიყვარულით, მარხვით, ლოცვით, მოღვაწეობით ხორციელი წადილი დაშრიტოს და დაწვას.

ავტორი კატეგორიულად აცხადებს: ნუ იმრუშებს ქალწული ენით, თვალით, სმენით, შეხებით, გონებით, რომ არ გახრწნას თავისი ბუნებითი მშვენიერება. მისი ხორცი, ანუ ტაძარი მეუფისა, უნდა იყოს მომზადებული, სული კი იმგვარად შემკული – როგორც წმინდა რძალი.

4) ქალწულს ევალება მორიდება, მორცხვობა, რომ მეტყველება პატიოსნად და წმინდად დაიცვას. მისი წარმოთქმული სიტყვა მსმენელთათვის სასარგებლო უნდა იყოს და ისეთი, რომ საღვთო ფასკუნდაკთა გაგებაში დაეხმაროს მათ. ქალწულს უნდა ჰქონდეს უნარი, რომ თავისი ქცევით, ზნეობრივი ნორმებისადმი პატივისცემით გავლენა მოახდინოს გარშემო მყოფთა მორალზე, რომ მისმა ხილვამ, სიარულმა, მოძრაობამ ყველა განაწყოს მოწიწებით და თითოეული მხახველის ცნობიერების კეთილი მაგალითი გაუხდეს.

5) ქალწულის ცხოვრების წესი განსხვავდება ქორწინებულის ცხოვრების წესისაგან. განსხვავება დიდია: . უქორწინებელი ზრუნავს უფლისათვის, ქორწინებული ამ ცხოვრებისათვის, ამ წუთისოფლისათვის.

ბასილი ანკვირიელი დაბეჭითებით განიხილავს უქორწინებლობისა და ქორწინების არსს. ერთმანეთს ადარებს ამ ორ მოვლენას და აშკარა უპირატესობას პირველს ანიჭებს, რადგან თავის უხრწნელად დაცვა არის გამოხატვა ადამიანის თავისუფალი ნებისა, სურვილისა, მიემსგავსოს ქრისტეს, რაც, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ნიშნავს უფლის წიაღში დაბრუნებას. ამაში მას უნდა დაეხმაროს შინაგანი ძალისხმევა, ჰიდილი, ბრძოლა, რომ დაძლიოს წინააღმდეგობანი. ქორწინება კი მხოლოდ თავისუფლების დაკარგვის პირობაა და მრავალი უსიამოვნების მიზეზი. ავტორი საკმაოდ საინტერესოდ მოგვითხრობს ამ საკითხებზე, ამიტომაც საილუსტრაციოდ მოვიყვანთ პარაფრაზს თანამედროვე ქართულით:

ის ქალწული (აქ მდედრობითი სქესის წარმომადგენლებზეა საუბარი), რომელიც მოკვდავ ქორწილს ეზიარება, ორი სხეულის ერთობის გამო ორმაგ ზრუნვაში ჩაეარდება და ორი გვამითა და ერთი სულით იწვალებს, იძულებული გახდება, ქმრის დირსება და ნაკლი თვითონაც გაიზიაროს. შვილოსნობისას თითოეული შვილის გაჩენას სულს ამოაყოლებს, გაწვალდება. თუ კარგი ქმარი შეხვდა, შიშით იქნება, სიკვდილმა არ წაართვას, თუ ეს საფრთხე მაინც არ ასცდა, დარდისაგან დაიღეგა. ქალს ქმარი თუ ცუდი გამოადგება, გათხოვება ტანჯვად ექცევა, ვეღარ გაიგებს, რა ამჯობინოს–ქმრის სიკვდილი და დაქვრივების სიმწარე, თუ ქმრის სიცოცხლე. ცხოვრება კი სასტიკად მოექცევა ცუდი მუშულეობისათვის და მისი სული სამუდამოდ განილევა. დედას თუ კარგი შვილები ეყოლება, მათი სიკვდილის შიში გაუჩნდება. თუ ქალი უშვილო აღმოჩნდება, თავისი იღბლის გამო უმძიმეს ყვედრებას უნდა გაუძლოს. იგი ქვრივობისათვისაც უნდა იყოს მზად. თუ უშვილო დაქვრივდება, აღარც ქალწულია, აღარც დედაკაცი, აღარც დედა; ან შესაძლებელია, ქვრივს ობოლთა ზრდა დახვიდეს, მაშინ გამუდმებულ სულთქმასა და

ცრემლში მოუწევს არსებობა. ასეთი ქალები საბრალონი არიან და ამ ცხოვრებაში მწუხარების საგნად მოჩანან.

ქმარი ცოლს მზითევის მეშვეობით ყიდულობს, ქალი ხდება თავისი მეულის მხევალი და კარგავს თავისუფლებას. ქალი ქორწინებით მრავალ პრობლემას უღებს კარს, რადგან ყოველ ქორწინებას ახლავს სულის წყვლა, რომ მწუხარებითა და ტკივილით შვას თავისი შვილები და ქმარი გახდეს მისი ბატონ-პატრონი.

ამ მხრივ გაცილებით მომგებიან მდგომარეობაშია ქალწული, რომელმაც ქმრის უღელზე უარი თქვა და დმერთს შესწირა თავი. ქორწინებაზე უარის თქმით, იგი გასცილდა შვილთა შობის ტკივილებს, გათავისუფლდა მოკვდავი ქმრის მონობისაგან და ქორწინების ბოროტისაგან, გაემიჯნა ამ ცხოვრებაში ცოდვისაგან ნაქსოვ ბადეებს. კერძოდ, განშორდა ქორწინებას – ხორცის ხრწნილებას, უხრწნელი ხორცის მეშვეობით უფლის რძალი გახდა და უბიწო ცხოვრებით უფლის სათნოება შეიყვარა.[28]

ბასილი ანკირიელი შორსმჭვრეტელი რიტორია, ამიტომ ითვალისწინებს იმასაც, რომ ქალწულების არსის ქადაგება, შესაძლებელია, ვინმემ თავის სასარგებლოდ გამოიყენოს, საღვთო მცნების ამოყოთხოს, ქორწინებისაგან „თავისუფალ იქმნეს", მაგრამ ეს მხოლოდ იმისათვის მოიმოქმედოს, რომ არავინ დაუწესოს მას კონტროლი თავის საქციელზე, იხეტიალოს, სადაც მოესურვება და ურიდად მიდი-მოდიოდეს, „სადაცა ენებოს"; რომ ასეთი ქალწულნი „კოლტეულად" იკრიბებოდნენ, სწორედ ამგვარად მოიპოვონ თავისუფლება, ეს გახდეს უმთავრესი მიზეზი მათ მიერ ქორწინების ბოროტებისაგან თავის არიდებისა და არა ღვთის ჭეშმარიტი სიყვარული. ავტორი კიცხავს მათ, ვინც ამგვარად გაიგებს ქორწინებისაგან გათავისუფლების არსს და დაბეჯითებით აცხადებს, რომ ასეთებს ქალწულს არ უწოდებს ჭეშმარიტების სიტყვა, რადგან ისინი სწავლობენ უქმობას, ამაოებას, ფიქრობენ უჯეროსა და ცუდს[29].

ქალწულის იდეალი უნდა იყოს: წუთისოფლის ფუფუნების დათმობა – გულისთქმის, გემოთმოყვარების, სიმდიდრის უარყოფა და მიქცევა ღვთისადმი, რომ სათქმელი ჰქონდეს: კეთილია ღვთისადმი ჩემი მიახლება და სასება.

გარდა ფიზიოლოგიური ცნებებისა „ქალწულება" და „ქალწული" თხზულებაში გამოიყენება ცნებები „საჭურისი", „გამოსაჭურისაება". ამ და ამგვარი ბუნების ადამიანებს იცნობდნენ ოდითგანვე. ეს ეხება მამაკაცებს. მათ შესახებ ძველი აღთქმის წიგნებში ვკითხულობთ:

1) დაბად. 39.1. „ხოლო იოსებ შთაიყუანეს ეგუპტედ და მიიყიდა იგი პეტეფრი, საჭურისმან ფარაოსმან, მზარეულთა მთავარმან..."[30]
2) დაბად. 40.ა.2. „და განურისხნა ფარაო ორთავეს მათ საჭურისთა, ღუნისმნესა მას და მეპურეთმოძღუარსა" [31].
3) I მეფეთა 8. გ. 15. „და ნაყოფისაგანი ყანათა და ვენაჯთა თქუენთა ათეული მიიღოს, და მისთა საჭურისთათჳს და მონათა"[32].

ზემოთმოყვანილ მაგალითებში იეზეკილხმებიან ფიზიკური ნაკლის მქონე მამაკაცები. მათ გარკვეული თანამდებობებიც ეკავათ ხოლმე.

ესაია წინასწარმეტყველი კი წერს, რომ საჭურისები ნუგეშცემულნი არიან ღვთისაგან და მათ შეუძლიათ თავიანთი სათნოებით ღირსეული ადგილი დაიმკვიდრონ ღვთის საბრძანისში.

ესაია 56,3. „...ნუ იტყჳნ საჭურისი, ვითარმედ: მე ვარ ხე ჴმელი"...

56,4. „რამეთუ ამას იტყჳს უფალი: საჭურისთა, რაოდენთაცა დაიმარხენ ბრძანებანი, ჩემნი და აღირჩინენ, რომელნი მე მნებვან, და შეეწყოდიან აღთქუმათა ჩემთა,

56.5. „მივსცე მათ სახლსა შორის ჩემსა და ზღუდესა შინა ჩემსა ადგილი სახელოანი, უმჯობესი ძეთა და ასულთასა, და სახელი საუკუნოჲ მივსცე მათ, და არა მოაკლდეს"[33].

---

[28] A-55, 357 vb -358va.

[29] A-55, 355va-355vb.

[30] მცხეთური ხელნაწერი (მოსეს ხუთწიგნეული, ისო ნავე, მსაჯულთა, რუთი), თბილისი, 1981წ., გვ. 118.

[31] იქვე, გვ. 119.

[32] მცხეთური ხელნაწერი (მეფეთა I, II, III, IV; ნეშტთა I, II, ეზრას I, II, III წიგნები), თბილისი, 1982წ., გვ. 45.

[33] მცხეთური ხელნაწერი (ტალესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, ქება ქებათა სოლომონისა, წინასწარმეტყველთა წიგნები – ესაია, იერემია, ბარუქი, ეზეკიელი); თბილისი, 1985წ., გვ. 141.

ესაია წინასწარმეტყველი ზოგადად საუბრობს საჭურისებზე, სახარებაში კი მაცხოვარი საჭურისებს სამ განსხვავებულ ჯგუფად ანაწილებს. მათ სამივეს „საჭურისნი“ ეწოდებათ. ამის შესახებ მათეს სახარებაში თ. 19,12. ვკითხულობთ:

„არიან საჭურისნი, რომელნი მუცლითგან დედისა თჳსისათჳს საჭურისნი იშჳნეს; და არიან საჭურისნი, რომელნი კაცთაგან გამოისაჭურისნეს; და არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თჳსნი სასუფეველისათჳს ცათასა. რომელნი შემძლებელ არს დატევნად, დაიტიოს.“[34]

ბახილი ანკვირიელი ერთმანეთს უპირისპირებს წინასწარმეტყველისა და სახარებისეულ ინტერპრეტაციას საჭურისებზე, ხაზს უსვამს სახარებისეული თვალსაზრისის სრულყოფილებას ძველი აღთქმის წიგნებთან შედარებით,[35] ამასთან ეყრდნობა ახალი აღთქმის წიგნებს, იყენებს თავის სამდიცინო განათლებას და ამომწურავად ანალიზებს საჭურისობას. მისი აზრით, საჭურისობა შეიძლება იყოს გზა როგორც ღვთისადმი მიახლებისაკენ, ასევე ცოდვისაკენ. სამივე კატეგორიის მამაკაცი „გამოსაჭურისებულია“, ოღონდ სხვადასხვანაირად. უფალს საჭურისობა კანონად, სავალდებულოდ არ დაუწესებია, მსგავსად ქალწულებისა, არამედ იგი პატივად დაიწესა და არჩევანი ადამიანს მიანდო.[36]

1) ის მორწმუნე მამაკაცი, რომელმაც უფალს აღუთქვა თავისი უბიწოება, რომელმაც ქრისტეს მოძღვებით აირჩია უხრწნელი გზა ცხოვრებაში, გონებით მზად არის, ღმერთს განუკუთვნოს თავი, იწოდება ქალწულად, ქალთა მსგავსად, მაგრამ ამავე დროს ავტორი მას იხსენიებს საჭურისად, ღვთისათვის გამოსაჭურისებულად, რომელსაც ისევე ევალება უხრწნელების დაცვა, როგორც ქალწულს. ავტორის აზრით, ამ წუთისოფელში უბიწოდ მცხოვრებნი, გონებითა და სულით სამშრთონი საჭურისნი, იქნებიან უდიდეს პატივში ცათა სასუფეველში.

ამ კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნონ ისინიც, ვინც ახალგაზრდული გამოუცდელობით გამოისაჭურისა თავი ფიზიკურად, მაგრამ ხორცის გამოსაჭურისებასთან ერთად ნებით–გონების გამოსაჭურისებით, ღვთაებრივ უხრწნელებას ეზიარნენ, ყოველგვარ ბოროტებას გაემიჯნენ, ასრულებენ იმას, რაც ნებავს უფალს და იცავენ მისი რჯულის მცნებას.

2) არიან საჭურისნი, რომლებიც ცათა სასუფეველისათვის ქალწულებას იცავენ, ქორწინებას და მიწიერ ცხოვრებას შეურაცხყოფენ, მაგრამ ისინი დაბადებით, დედის მუცლიდან არიან საჭურისნი. ამგვარნი უბიწოდ იმიტომ კი არ იქცევიან, რომ ქალწულების სიყვარულით უარი თქვეს ქორწინებაზე, არამედ მათ ხრწნილებას ზურგი აქციეს იძულებით, ბუნების მძლავრებით.

3) არიან კაცთაგან გამოსაჭურისებულნი, რომელთაც სიწმინდის დაცვის მიზნით, ვიღაცის რჩევით, ფიზიკურად დაისაჭურისეს თავი. მათ, მართალია, აირჩიეს ცხოვრების წინდა გზა, მაგრამ ისინი საკუთარი თავის საონებებად კი არ იცავენ ქალწულების უხრწნელებას, არამედ თავიანთ უბიწოებას აჩვენებენ იმათ, ვინც აიძულა, ამგვარი ღონისძიებისათვის მიემართათ. ასეთი მამაკაცები ემსგავსებიან მარქნელ ხარებს, რომელთაც ბრძოლის სურვილი შერჩათ, უბრალოდ, რქები აღარ აქვთ.

საჭურისობის შესახებ საკითხის ირგვლივ ინტერესი და შეხედულებანი ადრექრისტიანული ეპოქისათვისაც არ ყოფილა უცხო. ეს საკითხი გაუთვალისწინებიათ მოციქულთა კანონებში: 21-24-ში.[37] ამ კანონებში არ არის ლაპარაკი იმ ადამიანებზე, ვინც სულით აღწევს ისეთ სრულყოფილებას, რის შესახებაც მაცხოვარი ბრძანებს მათეს სახარებაში (თ.19,12); წინააღმდეგობა არ ხვდებათ მათაც, ვინც დაბადებით ასეთია. განსაკუთრებული მსჯელობის საგანნი არიან ადამიანები, რომლებმაც განაჭენი გამოუტანეს საკუთარ თავს. მათი ამგვარი საქციელი არის სერიოზული მიზეზი იმისა, რათა ისინი არ იქნან მიღებულნი წმინდა დასში.

როგორც ჩანს, უშუალო მიზეზი მოციქულთა ამ კანონის მიღებისა გამოწვია ბასილიანელთა სექტამ, აღორძინებულმა II საუკუნეში, რომლის მიმდევრებმაც თავისებურად

---

[34] ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბილისი, 1979წ., გვ.323.

[35] A-55, 379rb.

[36] A-55, 381vb.

[37] დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ვ.გაბიძაშვილმა, ე.ჟღუნაშვილმა, მ.დოლაქიძემ, გ.ნინუამ, თბილისი, 1975წ. გვ. 218.

გაიგეს მაცხოვრის სიტყვები და ასონი დაიკვეთეს. ამ სექტის საწინააღმდეგოდ იქნა მიღებული კანონი, რომელიც აჩვენებს, რომ ეს არაადმიანური საქციელი ადგილად გავრცელებული ყოფილა. ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებამ კიდევ ერთხელ განიხილა ეს საკითხი[38]. ის ნიკეის I მსოფლიო კრების (325წ.) I კანონია. „თუკი ვინმე სნეულების გამო მკურნალთა მიერ იქნა წინადაკვეთილი, ან ბარბაროზთა მიერ, ან ბატონის მიერ, შეუძლიაო გახდნენ მღვდელთა დასის წევრები. თუკი ვინმე ჯანმრთელი გამოისაჯურისებს თავს, მას მღვდლობის უფლება აღარ ექნება".[39]

ნიკეის კრების ეს კანონი მიციქულთა კანონს ეყრდნობა, მაგრამ ერთ-ერთი მოსაზრებით, ეს კანონი გამოიცა მღვდელთმთავარ ლეონტი ანტიოქიელის გამო, რომელსაც უყვარდა ერთი ქალი, იგი შინ ჰყავდა და მისი გაშვება არ სურდა. თავისი საქციელი რომ დაეფარა, ასო დაიკვეთა. ევსტათი ანტიოქიელმა განკვეთა ლეონტი წმინდა მსახურებისაგან და, როგორც ნიკეის კრების თავმჯდომარემ, ჩანს, დაარწმუნა კრების მონაწილენი, აღედგინათ ძველი კანონი საჯურისებზე, რაც კრებამ აღასრულა კიდეც მოცემული კანონის მუხეუობით.[40]„პირველად და მეორედ კოსტანტინეპოლის შინა შეკრებულისა კრებისა" მე-8 კანონიც ეთანხმება ნიკეის I კრებისა და მიციქულთა კანონებს.[41]

ბასილი ანკვირიელი იმ ეპოქის მოღვაწეა, როცა ჩატარდა ნიკეის კრება, როცა, როგორც ჩანს, აქტუალური იყო ეს პრობლემა. ამიტომაც იგი მოვალედ თვლის თავს, თავის შრომაში დაწვრილებით აღწეროს თვითგამოსაჯურისების მავნეობა და შენდობასაც კი ითხოვს, რომ ვრცლად უხდება საუბარი, მაგრამ თავს იმით იმარილებს, რომ საჭიროა, შეაჩერონ ეკლესიაში უჯეროო საჯურისთა, ასოს მომკვეთელთა კრებული და თვითგამოსაჯურისების უწესოება აღმოფხვრან, რადგან ეს საქმე აშკარად ეშმაკისაგან მოდის. იგი წარმართთა შორის იყო გავრცელებული, ახლა ამ ცხოვრების ამაოებამ შემოიღო და წარმოაჩინა. მაშინაც და ახლაც მიჩვენებითი სიწმინდის სახით ბოროტებამ გაიმარჯვა ადამიანთა ბუნებაზე.[42]

ზემოთ განხილული საკითხები ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან იმის თაობაზე, რომ ბასილი ანკვირიელი შესანიშნავად ახერხებს თავისი სამედიცინო განათლება შეუხამოს სასულიერო მოღვაწეობას. თხზულებაში ნათლად იკვეთება რწმენისა და ცოდნის ორგვარი შეთავსების აუცილებლობის აღიარების პრობლემა. ავტორი ცდილობს, თეოლოგიურ-განსჯელობაში, ფიზიოლოგიურ, დიეტურ-ჰიგიენურ ცნებებზე დაყრდნობით გააშუქოს თავისი თხზულების თემატიკა ისე, რომ მოსაბეზრებელი არ გახადოს მკითხველისათვის. შესაძლებელია, სწორედ ამან განაპირობა მისი ჰომილიის ასეთი პოპულარობა.

ნაშრომში წამოჭრილი საკითხების არსი და პრობლემატიკა იქნებ ინტერესმოკლებულადაც მოეჩვენოს თანამედროვე საზოგადოებას, დღევანდელმა მკითხველმა, შესაძლოა, ანაქრონიზმადაც ჩათვალოს სტატიაში განხილული ცნებები, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს საკითხები ეკლესიისათვის და საზოგადოებრივი ყოფისათვის მეტად საჭირბოროტოა, ნათელი გახდება, რომ თანამედროვე ადამიანისათვისაც არ დაუკარგავთ მათ თავისი აქტუალობა.

---

[38]Правила Православной Церкви, с Толкованиями Никомида. Т1. Правила Вселенского Собора . Правило 16. Издание Свято Троицкой Сергиевой Лавры. 1996г. ст. 173.

[39] დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ეგაბიძაშვილმა, ეგაუნაშვილმა, მ.დოლაქიძემ, გ.ნინუამ, თბილისი, 1975წ., გვ. 231.

[40] Правила Православной Церкви, с Толкованиями Никомида. Т1. Правила Вселенского Собора . Правило 16. Издание Свято Троицкой Сергиевой Лавры. 1996г. ст. 173-174.

[41]დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ეგაბიძაშვილმა, ეგაუნაშვილმა, მ.დოლაქიძემ, გ.ნინუამ, თბილისი, 1975წ. გვ. 441.

[42] А-55, 383ra.

L. SHATIRISHVILI

# ON THE ISSUL OF SOME PHYSIOLOGICAL POINTS IN BASIL OF ANCYRA'S TREATISE

SUMMARY

The treatise of Basil of Ancyra "On Virginity" is a teaching on physiology and moral problems.

The author's aim is to present spiritual and physical chastity. In the process of studying the work there has arisen necessity of defining the meanings of such terms as: " virginity", "virgin", "castration", "eunuch".

Virginity is:

1) likeness to angelic way of life;
2) a way to deification and access to heaven;
3) spiritual rather than physical state.

Virgin is a woman, especially a young woman, who is or remains in a state of spiritual and physical chastity. An unmarried woman has to live a Godly life. She has to keep abstinence, seclusion, refrain from individual feelings and other austerities.

In the treatise the author opposes sorrows of a married woman to the joys of a virgin.

Castration is the way to God and sin. It concerns only men. There are three categories of castration:

1) abstention from sexual intercourse. Such state of abstention was exercised by men only, which equaled to the chastity of women.
2) men deprived of sexual intercourse ability from their birth.
3) self-castrated men, which was considered to be an unpardonable sin.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო მელიქიშვილი

# ბიბლიური ციტაცია გრიგოლ ნაზიანზელის არალიტურგიკული სიტყვების ეფრემ მცირისეულ თარგმანში

ეფრემ მცირის მიერ გრიგოლ ნაზიანზელის არალიტურგიკული სიტყვების, ე.წ. აპორეტების თარგმანი, რომელიც XI ს.-ის 70-80-იან წლებში გაკეთდა, მთარგმნელობითი მეთოდის თვალსაზრისით მკაფიოდ განსხვავდება ოციოდე წლით გვიან მის მიერ შესრულებული ამავე დიდი მამის ლიტურგიკული სიტყვების თარგმანისაგან. ამის შესახებ უკვე ითქვა სამეცნიერო ლიტერატურაში[1]. ის შედარებითი თავისუფლება, რომელიც მიანიჭა ეფრემმა თავს არალიტურგიკული სიტყვების თარგმნისას, ვრცელდება ამ სიტყვებში ჩართულ ბიბლიურ ციტატებზეც: თუ ლიტურგიკულ სიტყვებში ბიბლიიდან დამოწმებული ადგილები, ზუსტად მოტანილი ან პარაფრაზირებული გრიგოლ ნაზიანზელის მიერ, ეფრემს უცვლელად აქვს თარგმნილი[2], არალიტურგიკულ სიტყვებში ასეთ ადგილებს ეფრემი ისევე ექცევა, როგორც დანარჩენ ტექსტს, ანუ ზოგჯერ გარკვეული სახით ცვლის მათ. ეს ჩარევა ზოგჯერ უმნიშვნელოა, ზოგჯერ–უფრო საფუძვლიანი. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ორიოდე მაგალითი ჩავრთეთ წერილში, რომელშიც მიმოვიხილეთ ზოგადად ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდი წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის არალიტურგიკული სიტყვების მიხედვით[3]. ამჯერად შევეცდებით მეტ მასალას მოვუყაროთ თავი და უფრო სისტემური სახე მივცეთ ჩვენს დასკვნებს.

გრიგოლ ნაზიანზელის მიერ ბიბლიური ადგილების ციტირება არალიტურგიკულ სიტყვებში იმავე პრინციპით ხდება, რომლითაც ლიტურგიკულში. ასეთი ადგილები ძირითადად პარაფრაზირებულია–ზოგჯერ ავტორი მსმენელს მოუთხრობს იმის შესახებ, რაზეც არის საუბარი ბიბლიაში, ზოგჯერ მას მაგალითისათვის სჭირდება ბიბლიის ესა თუ ის მონაკვეთი. ხშირად გრიგოლ ნაზიანზელი არ კმაყოფილდება მხოლოდ ციტატების მოტანით ბიბლიიდან და განმარტავს ამ ადგილებს, კომენტარს უკეთებს მათ. როგორც ჩანს, სწორედ გრიგოლ ნაზიანზელისაგან აიღო ეფრემმა მაგალითი, როდესაც თვითონაც გაუკეთა კომენტარი ისეთ ციტირებას ბიბლიიდან, რომელიც მას არასაკმარისად გასაგები ეჩვენა. ამგვარი ადგილია მაგ.: ეკლესიასტეს მე-11 თავის პირველი მუხლი (Or. 18, 20, 58[4]. PG 35, col. 1009 A 3-4). ამის შესახებ ჩვენ ვმსჯელობთ ზემოთ დასახელებულ წერილში და აქ აღარ შევჩერდებით[5]. თუ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეფრემის მიერ გაკეთებული კომენტარი აშკარაა, ტექსტში მოზრდილი მონაკვეთია ჩართული, ვხვდებით უფრო უმნიშვნელო ჩარევის მაგალითებსაც–თითო-ოროლა სიტყვის დამატებას ციტირებული ადგილისათვის[6].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გრიგოლ ნაზიანზელი ძირითადად პარაფრაზირებულად წარმოადგენს ბიბლიურ ციტატებს და ეფრემიც, მის კვალდაკვალ, ასევე პარაფრაზირებული სახით გვაწვდის მათ თავის თარგმანში. არალიტურგიკულ სიტყვებში ჩართული ბიბლიური ადგილების თარგმნისას ეფრემი მაინც მეტ სიზუსტეს და სიფრთხილეს იჩენს, ვიდრე მთელი

[1] იხ.: ე. ჭელიძე, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია სევერიანე გაბალოვნელის „ექუსთა დღეთა"-ს უძველესი ქართული თარგმანის საფუძველზე, I, თბ., „მეცნიერება", 1996, გვ. 545-558; მისივე, იოანე პეტრიწის ცხოვრება და მოღვაწეობა, I, რელიგია, №3-4-5, 1994. ნ. მელიქიშვილი, ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდი წმ. გრიგოლ ნაზიანზელის არალიტურგიკული სიტყვების მიხედვით, მრავალთავი, XIX, 2001, გვ. 225-235.

[2] იხ.: ნ. მელიქიშვილი, ფსალმუნის ციტირება ეფთვიმე ათონელისა და ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ გრიგოლ ღვთისმეტყველის რამდენიმე ჰომილეტიკურ თხზულებაში, მაცნე, ელს, № 2, 1989, გვ. 89-96. მისივე: ბიბლიური ციტაცია გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილეტიკურ თხზულებებსა და მათ ქართულ თარგმანებში, ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული, თბ., „მეცნიერება", 1997, გვ. 92-97.

[3] ნ. მელიქიშვილი, ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდი...

[4] ქართული თარგმანის ტექსტის მითითებისას, გარდა J.P. Migne-ის Patrologiae Graeca-ში არსებული პარაგრაფებისა და თავებისა, ვუთითებთ აგრეთვე ამ ტექსტის გამომცემელთა მიერ შემოღებულ მუხლობრივ დაყოფას.

[5] ნ. მელიქიშვილი, ეფრემ მცირის..., გვ. 233-234.

[6] იქვე, გვ. 233.

ტექსტის მიმართ–მოქმედების არეალი საკუთარი ინტერპრეტაციისათვის ამ შემთხვევაში შედარებით შეზღუდულია. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ დავინახეთ, ეფრემმა მაინც მოახერხა რამდენიმეჯერ საკმაოდ აქტიურად ჩარეულიყო ტექსტში. ეს ჩარევა ოთხი სიტყვის მანძილზე[7] არა მხოლოდ კომენტირების გზით, არამედ სხვა სახითაც ხდება: ეფრემი, ისევ და ისევ ტექსტის დაზუსტების მიზნით, რამდენადმე სცილდება ნაზიანზელისეულ დედანს, მაგრამ ამ შემთხვევაში მას წყაროდ უკვე აქვს თვით ბიბლია. Or. 32,13,31-ში არის ციტატი ეფესელთა მიმართ 4,13-დან: ნაზიანზელს შესადარებლად მოჰყავს ქრისტე: „καὶ ἑι μὲν ἀνὴρ εἴ κατὰ Χριστὸν..." (PG 35, col. 189 A 1). ეფრემმა აღადგინა ბიბლიის მიხედვით ეს ადგილი და ასე მიაწოდა მკითხველს: „უკუეთუ ხარ მამაკაც, მიწევნულ ჰასაკსა ქრისტეს სავსებისა..." („...εἰς ἄνδρα τέλειον, εἰς μέτρον ἡλικίας τοῦ πληρώματος τοῦ Χριστοῦ"[8]; „...მამაკაცად სრულად, საზომად ჰასაკისად სავსებისა მის ქრისტჱსისა"[9]). ასევე მოიქცა ეფრემი იოვანე 16,2-ის ციტირების დროსაც. ნაზიანზელთან წარმოდგენილი ფრაზა– „ἡγείσθαι λατρείαν εἰσφέρειν τῷ Θεῷ (PG 35, col. 177 C 9)–არის ბიბლიის ზუსტი ციტირება: „λατρείαν προσφέρειν τῷ Θεῷ"[10], რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ ის ორნაირად გავიგოთ: ზოგადად, როგორც „ღმერთისადმი მსახურება" და, კონკრეტულად, „ღმერთისადმი მსხვერპლის შეწირვა." ადიშის ოთხთავში არის: „...შეირაცხოს, ვითარცა სამსახურებელი წინაშე ღმრთისა"[11], ხოლო ე.წ. ეფთვიმესეულ[12] და გიორგი მთაწმიდლისეულ[13] რედაქციებში–ისე, როგორც ეფრემის თარგმანში: „აგონებდეს, ვითარმედ მსხუერპლი შეწირა ღმრთისა". ვფიქრობთ, ეს მეორე წაკითხვა უფრო შეეფერება ბიბლიურ კონტექსტს, სადაც საუბარია შემდეგზე: დადგება დრო, როდესაც ყველა ის, ვინც დახოცავს მორწმუნეებს, ჩათვლის, რომ ამით მსხვერპლი შეწირა ღმერთს. ცხადია, რომ ეფრემისათვის მეორე წაკითხვა უფრო მისაღები აღმოჩნდა. ჩვენის აზრით, ნაზიანზელთან დამოწმებული ამ ბიბლიური ფრაზის თარგმნისას ეფრემმა სწორედ ბიბლიის ქართული თარგმანის გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ჩვენება გაითვალისწინა.

დედნისეულ ტექსტში გვხვდება ეფრემის სხვა უმნიშვნელო ჩარევებიც. მაგ.: Or. 18, 25, 73-ში ფსალმუნიდან ციტირებული (57, 5) ადგილიდან ეფრემმა ამოიღო ერთი სიტყვა, რომელიც, გარდა იმისა, რომ არ არის ფსალმუნის შესატყვის მუხლში, შეიძლება ეფრემს უადგილოდაც მოეჩვენა კონტექსტის გათვალისწინებით, კერძოდ, იქ, სადაც გრიგოლ ნაზიანზელი წერს „გულისწყრომაჲ მისი ტკბილი არა მსგავს იყო გუელისაჲ" („...γλυκὺ τὸ παθος", PG 35, col. 1013 C 18), ეფრემი აკლებს სიტყვა „ტკბილს".

ზემოთ მოტანილი მაგალითები, ფაქტიურად, გრიგოლ ნაზიანზელის მიერ ციტირებული ბიბლიური ადგილების დაზუსტებას წარმოადგენს ეფრემის მხრიდან, ისევ და ისევ ბიბლიაზე დაყრდნობით. შეგვხვდა ისეთი მაგალითიც, როდესაც ეფრემი ცვლის ნაზიანზელის ციტაციას, მოაქვს რა განსხვავებული ბიბლიური კონტექსტი: Or. 18, 30, 96-ში არის ციტატი დანიელიდან, 14, 36-37. გრიგოლ ნაზიანზელთან ნათქვამია, რომ უფლის ანგელოზმა ამოიყვანა წინასწარმეტყველი ორმოდან, სადაც ის მშიერი იჯდა:
:„...ἤ προφήτῃ μεταρσίῳ κορέσας ὡς τὸν Δανιὴλ πρότερον ἐν λάκκῳ λιμώττοντα" (PG 35, col. 1024 A 2-3). ეფრემმა ამოიღო ციტატის მეორე ნაწილი, სადაც საუბარია იმაზე, რომ დანიელი მშიერი იყო ორმოში და დაუმატა ერთი დეტალი, რომელიც არის აგრეთვე ამ ადგილას ბიბლიაში: „არცა წინაჲსწარმეტყუელი აღიტაცა ვარჯითა თმისაჲთა, ვითარ-ყო დანიილისთჳს". აი, ეს

---

[7] ამ წერილში წარმოდგენილი მასალა ემყარება ჩვენს მიერ გამოსაცემად მომზადებული შემდეგი ოთხი სიტყვის ანალიზს: Or. 13–„ჭელთდასხმისათჳს დოაროელთასა, ჰომილია გარდაეცა ევლოღიოს ეპისკოპოსსა"; Or. 17–„მოქალაქეთათჳს შეშინებულთა და მთავრისათჳს განრისხებულისა"; Or. 18–„ეპიტაფია მამისა თჳსისა გრიგოლი ანძიანძორეველ ეპისკოპოსიაჲ"; Or. 32–„კეთილწესიერებისათჳს მეტყუელებათაჲსა".
[8] Novum Testamentum Graece, post Eberhard et Erwin Nestle, Stuttgart, 1993, p. 509.
[9] პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსაცემად მოამზადეს ქ. ძოწენიძემ და კ. დანელიამ, თბ., 1974, გვ. 261.
[10] Novum Testamentum..., p. 302.
[11] ადიშის ოთხთავი 897 წლისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ე. გიუნაშვილმა, დ. თვალთვაძემ, მ. მაჩხანელმა, ზ. სარჯველაძემ და ს. სარჯველაძემ ზურაბ სარჯველაძის საერთო რედაქციით, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე", თბ., 2003, გვ. 422.
[12] ურბნისისა და პალესტინურ ოთხთავებში წარმოდგენილი „ეფთვიმესეული რედაქციის" საკითხი ახლებურად არის გადაჭრილი ზ. სარჯველაძის წერილში: „წყაროსთავის ოთხთავი და ქართული ოთხთავის ეფთვიმესეული რედაქციის საკითხები", ძვ. ქართ. ენის კათედრის შრომები, 29, თბ., 2002.
[13] ვანის, გელათისა და ეჩმიაძინის ოთხთავები. იხ. „ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია", ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ივ. იმნაიშვილმა, თბ., 1979, გვ. 608.

ადგილიც ბიბლიაში: „და უპყრა ანგელოზმან უფლისამან თხემისა მისისა და მტკრთველმან თმითა თავისა მისისაჲთა დადგა იგი ბაბილონს მღუმესა ხედა"[14]. თუ რატომ მოიქცა ეფრემი ასე, დღეს ძნელი საკმელია: ის, რომ უფლის ანგელოზმა წინასწარმეტყველი თმებით ამოიყვანა ორმოდან, ეფიქრობთ, არც იმდენად მნიშვნელოვანი დეტალია, რომ დირდეს მის გამო დედნისეული ტექსტის შეცვლა. შესაძლებელია, ეფრემს უბრალოდ ზეპირად ახსოვდა ეს ადგილი და თარგმნისას ხელი წაუცდა: ჩაუმატა დედანს.

თუ ზემოთ მოტანილი მაგალითებით შეიძლება ვისაუბროთ ბიბლიის გავლენის შესახებ ეფრემის თარგმანზე, გვაქვს საპირისპირო შემთხვევებიც, რომელთა მიხედვით ცხადი ხდება, რომ ბიბლიის ზუსტი ციტირება და გრიგოლ ნაზიანზელის ტექსტში ცვლილებების შეტანა არ იყო ეფრემის თვითმიზანი, რომ ის ამას აკეთებდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ან რაიმე მოსაზრებით საჭიროდ მიიჩნევდა, ან, შესაძლოა, მექანიკურად, ზეპირი მეხსიერების გავლენით გაასწორებდა რაიმეს. ამ დასკვნის გაკეთების საშუალება მოგვცა ციტატმა ოსე 10,12-დან Or. 32, 12, 30-ში: „თესვად ბრძანებულ ვართ სიმართლით და მოსთულებად ნაყოფსა სიმართლისასა, რაათა განვნათლდეთ ნათლითა მეცნიერებისათა". გრიგოლ ნაზიანზელის ბერძნული ტექსტის შესატყვის ადგილას, აგრეთვე ბერძნულ[15] და ქართულ ბიბლიაში საუბარია არა „სიმართლის ნაყოფზე", არამედ „ნაყოფთა ცხორებისათა"-ზე: „καρπὸν ζωῆς" (PG 35, col. 188 C 11) (მცხეთური ხელნაწ., 1986 წ., გვ. 47). დღეს დაბეჯითებით თქმა იმისა, რომ ეფრემს, ცვლიდა რა ამ სიტყვას, ახსოვდა, რომ ეს არის ადგილი ბიბლიიდან, გაჭირდება. ყოველ შემთხვევაში, დედანთან მიმართების თვალსაზრისით საინტერესოა, რომ ეფრემისთვის, კონტექსტის გათვალისწინებით, უფრო ლოგიკური აღმოჩნდა დაეწერა „ნაყოფთა სიმართლისათა" და არა ის, რაც არის გრიგოლ ნაზიანზელთან: „ნაყოფთა ცხორებისათა". ასევე მოიქცა ეფრემი Or. 32, 6, 14-ში იგავთა 4, 28-დან ციტაციის დროს: მან უმნიშვნელო ცვლილება შეიტანა ამ ადგილას, დაწერა „უფუარან ღმერთსა" ნაცვლად „იცნის ღმერთმან"-ისა: „რამეთუ გზათა მარჯუენითთა...უფუარან ღმერთსა და გარემიქცეულ არიან მისგან ძახილნითნი იგი." გრიგოლ ნაზიანზელთან არის ისე, როგორც ბერძნულ ბიბლიაში და მის ქართულ თარგმანში: „...οἶδεν ὁ Θεὸς" (PG 35, col. 180 D 4); „იცნის უფალმან" (მცხეთ. ხელნაწ., 1983 წ. გვ. 288). მართალია, „იცნის უფალმან" ნიშნავს ღმერთისათვის მისაღებს, ე. ი. ეფრემმა მხოლოდ ნიუანსური ცვლილება შეიტანა, მაგრამ, ეფიქრობთ, მაინც აღნიშნის ღირსია ასეთი ცვლილებაც, რადგან ის ბიბლიურ ციტატს ეხება.

Or. 32, 20, 46-ში ერთმანეთზე გადაბმით ციტირებულია ადგილები ფსალმუნის 33,2-დან, იგავთა 8,7-დან და ფსალმ. 39,10-დან. ზუსტი ციტირების შემთხვევაში გვერდი-გვერდ ორჯერ აღმოჩნდებოდა სიტყვა „პირი". გრიგოლ ნაზიანზელთან მეორედ სახსენებელი „პირი" იგავთა წიგნიდან შეცვლილია „ენაჲ ჩემი"-ით. ეს ცვლილება გადმოიღო ეფრემმაც:„ვაკურთხო უფალი ყოველსა ჟამსა, მარადის ქებაჲ მისი პირსა ჩემსა, და ჭეშმარიტებასა იწურთიდეს ენაჲ ჩემი და აჰა, ბაგენი ჩემნი არა დავიპყრენ".

ἐκκλίνω შეიძლება ითარგმნოს როგორც „მოდრეკა", ასევე როგორც „მიქცევა" გადახრის, გზიდან გადახვევის მნიშვნელობით. ეფრემმა გამოიყენა არა ბიბლიაში არსებული „ნუ მიაქცევთ" (იგავთა 4,27, მცხეთ. ხელნაწ., 1983 წ., გვ. 283), არამედ თვითონ თარგმნა ეს სიტყვა როგორც „ნუ მოსდრკებით..."(Or. 32,6,14); μὴ ἐκκλίνῃς (PG 35, col. 180 C 15).

ამრიგად, ზემოთ მოტანილი მაგალითების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ეფრემის მთარგმნელობითი მეთოდი გრიგოლ ნაზიანზელის არალიტურგიკული სიტყვების გადმოღებისას, კერძოდ, მისი თავისუფალი მიდგომა სათარგმნი დედნისადმი, ერცელება ძირითად ტექსტში ჩართულ ბიბლიურ ციტატებზეც: ეფრემი ხან ბიბლიაზე დაყრდნობით აზუსტებს ტექსტს, ხან პირიქით—ისევ ტექსტის დაზუსტებისა და უფრო გასაგებად გადმოცემის მიზნით სცილდება ამა თუ იმ ბიბლიურ ადგილს. ამიმწურავად განსაზღვრა თვით ეფრემმა თავისი მიდგომა გრიგოლ ნაზიანზელის არალიტურგიკული სიტყვების თარგმანისადმი: იგი ამ ტექსტს თარგმნიდა „სიტყუადართვით და მისვე მამისა და მოძღურისა (ეფთვიმეს ნ. მ.) კვალსა შედგომით"[16], იმ მიზნით, რომ იგი რაც შეიძლება გასაგები ყოფილიყო მკითხველისათვის.

[14] მცხეთური ხელნაწერი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბ., „მეცნიერება", 1986, გვ. 38.
[15] Septuaginta, edidit Alfred Rahlfs, Deutsche Bibelgesellschaft, Stuttgart, 1979, p. 498.
[16] A 292, 279v.

N. MELIKICHVILI

# LA CITATION BIBLIQUE DANS LA TRADUCTION DES DISCOURS NON LITURGIQUES DE ST. GREGOIRE DE NAZIANZE PAR EPHREM MTSIRE

RESUME

Dans le présent article, sur les exemples des citations bibliques utilisées dans les discours non liturgiques de Grégoire de Nazianze nous avons étudié la méthode de traduction d'Ephrèm Mtsiré. Nous avons démontré que Ephrèm Mtsiré en traduisant ces passages utilise le même principe que pour le reste de texte-pour rendre plus compréhensible sa traduction, tantôt il précise la citation biblique en se basant sur la Bible, tantôt au contraire, il s'en éloigne toujours dans le but de préciser l'énoncé.

მაია მაჭავარიანი

# დავით ტბელის მიერ თარგმნილი გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებები და ამ თარგმანებისშემცველი ხელნაწერები

კეკელიძის მიხედვით, დავით ტბელმა თარგმნა გრიგოლ ნაზიანზელის შემდეგი თხზულებები[1]:

1 მიზეზი პონტოდ სივლტოლისა მისისაჲ და მოქცევისათჳს მიერ კუალად სიტყჳსგებაჲ ხუცად კურთხევისა მისთჳს მისისა (მთარგმნელი მითითებულია მინაწერში – S 383[2]) or.2

2 თქუმული განდგომილისა იულიანესთჳს (მთარგმნელი მითითებულია დაქარაგმებული სახელით – A 87[3]) or.4

3 შესხმაჲ და ქებაჲ თავისა დისა ღორღონიასი (მთარგმნელის მითითება არცერთ ნუსხაში არ არის) or.8

4 თქუმული თავისა მამისა გრიგოლის და დიდისა ბასილის მიმართ (მთარგმნელი მითითებულია დაქარაგმებული სახელით – A 87[4]) or.9

5 თქუმული მათდა მიმართ მასვე ჟამსა (მთარგმნელი მითითებულია თხზულებაზე დართულ კომენტარში – S 1696[5]) or.10

6 თქუმული თავისა მამისა და გრიგოლის და ერისა მის ანძიანძორისა მიმართ (მთარგმნელი მითითებულია მინაწერში – S 383[6]) or.12

7 შესხმაჲ და ქებაჲ წმიდისა მღდელმოწამისა კჳპრიანესი (მთარგმნელი მითითებულია დაქარაგმებული სახელით – A 87[7]) or.24

8 ღმრთისმეტყუელებისათჳს, თავი მეორე (მთარგმნელის მითითება არ არის არც ერთ ნუსხაში) or.28

9 ებისკოპოსთა მათ მიმართ ეგჳბტით მომავალთა და ერისა (მთარგმნელის მითითება არ არის არც ერთ ნუსხაში) or.34

10 თქუმული თავისა თჳისა მიმართ და მათდა მიმართ, რომელნი-იგი იტყოდის: ჰნებავს და ჰსურის მას კონსტანტინოპოლისა საყდარიო (მთარგმნელის მითითება არ ახლავს არც ერთ ნუსხაში) or.36

11 შესხმაჲ დიდებულისა მოწამისა დიმიტრისი (მთარგმნელის მითითება არ არის არც ერთ ნუსხაში) 48*

12 ებისტოლეჲ კლიდონიოს ხუცისა მიმართ (მთარგმნელის მითითება არ არის არც ერთ ნუსხაში) 101

13 ებისტოლეჲ პირველი, კლიდონის ხუცისა მიმართ (მთარგმნელის მითითება არ არის არც ერთ ნუსხაში) 51*

14 სწავლაჲ (მთარგმნელის მითითება არ არის არც ერთ ნუსხაში) 97*

---

[1] კ.კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ.181-182; კ.კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, V, თბ., 1957, გვ.33-34.

[2] თ.ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1988, გვ.86; 15, შენ.1, - სქოლიოში ეუთითებთ გამოცემის გვერდს, შემდეგ საძიებელი ტექსტის ნომერს ხელნაწერის საკითხავთა რიგში და ასევე აღწერილობაში დართული იმ შეხიშვნის ნომერს, რომელიც ეხება მთარგმნელის ვინაობას. თხზულებების ეს ნუმერაცია მოყვანილია Migne-ს გამოცემის PG-ს მიხედვით, იხ. PG 35-36-37.

[3] თ.ბრეგაძე, აღწერილობა, გვ.101; 26, შენ.2.

[4] იქვე, გვ.99; 19, შენ.1.

[5] იქვე, გვ.94; 20, შენ.1.

[6] იქვე, გვ.87; 21, შენ.1.

[7] იქვე, გვ.101; 31, შენ.2.

15 თარგმანებაა ძნიად გულისჴმის საყოფელთა სიტყუათაჲ (ერთვის გრიგოლის მე-9 ჰომილიის თარგმანს, მთარგმნელის მითითება არ ახლავს)

16 თარგმანებაჲ (ერთვის გრიგოლის მე-10 ჰომილიის თარგმანს, მთარგმნელი მითითებულია "თარგმანების" სათაურში – S1696[8])

როგორც ვხედავთ, გრიგოლის თხზულებათა შემცველ ქართულ კრებულებში მთარგმნელის ვინაობა ყოველთვის მითითებული არ არის. ჩვენთვის უცნობია, ზემოთ ჩამოთვლილი 14 თხზულებიდან კ.კეკელიძემ რის საფუძველზე მიიჩნია დავით ტბელის თარგმნილად ის თხზულებები, რომელთაც მთარგმნელის ვინაობის მითითება არ ახლავთ. ამასთანავე ზემოთ მოყვანილი სიიდან სამ თხზულებას ბერძნული დედანი არ ეძებნება. ესენია: "დიმიტრის შესხმა", კლდონიოსისადმი მიწერილი ეპისტოლე პირველი და "სწავლაჲ". ორიგინალის უქონლობის გამო ზემოთ მოყვანილ ჩამონათვალში მათი ნუმერაცია მოგვყავს ბრეგაძის "აღწერილობის" მიხედვით და გამოვყოფთ ვარსკვლავით. ამათგან, როგორც ქვემოთ ვნახავთ, "დიმიტრის შესხმა" არ არის არც გრიგოლის დაწერილი და არც დავითის თარგმნილი ბერძნულიდან, ამიტომ მას გრიგოლ ნაზიანზელის დავითის მიერ თარგმნილი თხზულებების რიცხვიდან გამოვრიცხავთ. ხსენებული ორი ეპისტოლიდან, რომელთაგან ორივე თითქოს მიწერილი უნდა იყოს კლდონიოს ხუცის მიმართ, ერთს ბერძნული დედანი არ ეძებნება (თ.ბრეგაძის აღწერილობაში ეს თხზულება შესულია 51-ე ნომრით). ისიც არ შეგვაქვს დავითის თარგმანების რიცხვში, ვინაიდან მისი ავტორობისა და მთარგმნელის საკითხი სადაოა. გრიგოლის მე-9 და მე-10 ჰომილიებზე დართული კომენტარები კი ბერძნულიდან ნათარგმნი არ უნდა იყოს. ამდენად, რჩება დავითის მიერ ნათარგმნი გრიგოლის 12 თხზულება, ათი ჰომილია (or.or. 2, 4, 8, 9, 10, 12, 24, 28, 34, 36), კლდონიოსისადმი მიწერილი ერთი ეპისტოლე (Epist.101) და "სწავლაჲ".

გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული თარგმანების შემცველი ნუსხების შესწავლამ აჩვენა, რომ დავით ტბელის თარგმანები არ გვხვდება დამოუკიდებლად; ჩვენულებრივ, დავითის თარგმანები შეტანილია გრიგოლის თხზულებების ეფთვიმე ათონელისეული თარგმანების კრებულებში. ეფთვიმეს კრებულები შევსებულია დავით ტბელის თარგმანებით იმისათვის, რომ შეიქმნას გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებების შემცველ ბერძნულ კრებულთა მსგავსი მცირე კორპუსი. ეს კორპუსი კი შემდგომ ეფრემ მცირემ დაასრულა და შეავსო თავისი თარგმანებით, რათა ბერძნული ტრადიციის ანალოგიით შეექმნა გრიგოლის თხზულებათა სრული კორპუსი.[9]

მოკლედ განვიხილოთ დავითის თარგმანების შემცველი კრებულები. მათ თანმიმდევრობას წარმოვადგენთ იმის მიხედვით, თუ რაოდენობრივად და ქრონოლოგიურად როგორ ჩნდება მათში დავით ტბელის თარგმანები. ვსარგებლობთ ძირითადად ელ.მეტრეველის ნაშრომით ეფთვიმეს კრებულების შესახებ[10] და თ.ბრეგაძის აღწერილობით. ხელნაწერთა აღწერილობაში (ასევე ნაშრომის სხვა ნაწილებშიც) სიმოკლისათვის ვიყენებთ შემდეგ პირობით აღნიშნებს:

1. ხელნაწერთა ჩვენეულ აღწერილობაში ზოგიერთი ხელნაწერის ლიტერს ვიმოწმებთ *Corpus Christianorum*-ის სერიაში გამოცემულ გრიგოლ ნაზიანზელის ლიტურგიკულ ჰომილიათა ქართული თარგმანების პირველი ტომიდან – იხ. St.Gregorii Nazianzeni opera, 1998.
2. ხელნაწერთა შედგენილობაში მოგვყავს მხოლოდ გრიგოლის ჰომილიების ნუმერაცია სათაურების მითითების გარეშე,
3. ქართულ კრებულებში გრიგოლ ნაზიანზელის სახელით შესულ იმ თხზულებებს, რომელთა ბერძნული დედანიც არსებობს, ნომრები მიენიჭა Migne-ს გამოცემის Patrologia Greaca-ს მიხედვით. დანარჩენ თხზულებებს კი, რომლებიც ქართულ კრებულებში მიეწერება გრიგოლს, მაგრამ მათი ბერძნული დედანი ცნობილი არ არის, ნომრები მიენიჭა თ.ბრეგაძის აღწერილობის მიხედვით. ხელნაწერებში შესული შრომების ჩამონათვალში ეს თხზულებები დამატებით გამოყოფილია ვარსკვლავით.

[8] იქვე, გვ.94; 20, შენ.1.

[9] ჯ.ბეჭარაშვილი, ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი ბიზანტიური რიტმული პოეზიის ადრეული ნიმუში, გულანი, თბ., 1989, გვ.84-86.

[10] H.Metreveli, Introduction in Sancti Gregorii Nazianzeni opera, Versio iberica, Orationes I XLV, XLIV, XLI, H.Metreveli (ed.) et K.Bezarashvili, etc. (in *Corpus Christianorum, Series Graeca 36, Corpus Nazianzenum 5)*, Turnhout, 1998, pp.VIII-XVI.

4. ჰომილიების აღმნიშნელ ნომრებთან ვუთითებთ მთარგმნელებს შემდეგი ლიტერებით: ეფთვიმე ათონელი – E, დავით ტბელი – T, გრიგოლ ოშკელი – O, ეფრემ მცირე – M.
5. გრიგოლის კრებულებში შესულ გრიგოლ ხუცესის მიერ დაწერილ გრიგოლ ნაზიანზელის "ცხოვრებას" ჩვეულებრივ აღვნიშნავთ სიტყვით Vita.
6. "წმ.დიმიტრის შესხმა"-ს აღვნიშნავთ შემდეგნაირად – Laudatio Dm.

1) **A 1**[11] (1030-1031 წწ.) - A

გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებული.

ნაკლული (4 ფურცელი აკლია ა და **ნზ** რვეულებს. არ არის მთლიანად გ რვეული. აკლია ბოლო).

გადაწერის ადგილი: კონსტანტინეპოლი.

გადამწერი: ბასილი.

შედგენილობა[12]: Vita E (1r-12v), or.1 E (13r-15v), or.45 E (15v-38r), or.44 E (38v-46v), or.41 E (48v-62v), or.15 E (63r-75r), or.19 E (75v-87r), or.38 E (87v-99v), or.38-ის კომენტარი (მაქსიმე) E (100r-128r), or.43 E (128v-186r), or.39 E (186v-202r), or.40 E (202v-241r), or.11 E (241v-247v), or.21 E (248-276v), or.42 E (277r-298v), or.16 E (299r-316v), or.14 E (316v-349v), or.20 E (350r-360v), or.29 E (361r-377v), or.30 E (378r-396r), or.31 E (396v-422v), **or.24 T** (423r-438r), სწავლანი E (439r-454v).

კრებულის ბოლო თხზულებას – ეფთვიმეს თარგმნილი "სწავლანი სულიერნი" – აკლია დასასრული. ხელნაწერის ერთ-ერთ დეფნად მიჩნეულია A92[13], გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა თავდაპირველი კრებული. აქ ეფთვიმეს თარგმანებთან პირველად ჩნდება დავით ტბელის ერთი თარგმანი – or.24, რომელიც ავსებს 16 ლიტურგიკული სიტყვის ეფთვიმესეულ თარგმანთა კრებულს. აქვეა ეფთვიმეს თარგმნილი არალიტურგიკული (თეოლოგიური) ჰომილიები – or.20,29, 30, 31,სწ.E.

2) **P 3**[14] (1040 წ.) - B

გრიგოლ ღვთისმეტყველისა და გრიგოლ ნოსელის თხზულებების შემცველი კრებული.

ნაკლული (ნგ რვეულს აკლია 1 ფურცელი).

გადაწერის ადგილი: ასურეთი, ქართველთა მონასტერი კალიპოსს.

გადამწერი: დეკანოზი გაბრიელ და იოვანე, ივანე-წმიდელ-საფარელნი (მათ ეს ხელნაწერი შეუწირავთ ჯვრის მონასტრისათვის – 427r-428r).

შედგენილობა: Vita E (2r-15r), or.19 E (15v-23v), or.38 E (23v-31v), or.38-ის კომენტარი (მაქსიმე) E (31v-41r), or.43 E (41r-81v), or.39 E (82r-91r), or.40 E (91r-115r), or.1 E (115r-117r), or.45 E (117r-131r), or.44 E (131r-136r), or.44-ის კომენტარი E (136r-137r), or.41 E (137r-145v), or.20 E (146r-152v), or.29 E (152v-163r), or.30 E (163r-167v) (ამ თხზულებას ბოლოში აკლია ზემოხსენებული ერთი ფურცელი), or.31 E (168r-173v), or.14 E (173v-194v), or.16 E (194v-205v), or.42 E (205v-218v), or.21 E (218v-236r), or.3 E (236r-254v), **or.34 T** (255r-260v), **or.12 T** (261r-264v), **or.36 T** (264v-271r), **or.9 T** (271r-274r), **or.10 T** (274r-276r), or.37 E (276r-287v), or.11 E (287v-292r), **or.24 T** (292r-301v), **or.8 T** (302r-311r), თქუმული ... გრიგოლ ნოსელისაჲ ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა (311v-345v), თქუმული ... გრიგოლ ნოსელისაჲ ... სწავლაჲ სულიერი ... (345v-396v), თქუმული ... გრიგოლ ნოსელისაჲ

[11] თ.ბრეგაძე, აღწერილობა, გვ.62-70; Th.Bregadze, Répertoire des manuscrits de la version Géorgienne des Discours de Grégoire de Nazianze, in *Version Orientales, Repertorium Ibericum et Studia ad editiones curandas,* B.Coulie (ed.) *(Corpus Christianorum, Series Graeca 20, Corpus Nazianzenum 1),* Turnhout, 1988, p.67-68, #2.

[12] შედგენილობაში დაცულია ის თანამიმდევრობა, რა თანამიმდევრობითაც განლაგებულია თხზულებები ხელნაწერებში.

[13] თ.ბრეგაძე, აღწერილობა, გვ.65, 9, შენ.3.

[14] თ.ბრეგაძე, აღწერილობა, გვ.70-78; Th.Bregadze, Répertoire, №3, p.68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინანულისაოჳს (396v-402v), თქუმული ... გრიგოლ ნოსელისაჲ შემოსლვისაოჳს ჳმიდათა მარხვათაჲსა (402v-408v), თქუმული ... გრიგოლ ნოსელისაჲ სწავლაჲ ლოცვისაჲ და თარგმანებაჲ მამაო ჩუენოჲსაჲ (408v-427r).

როგორც ვხედავთ, აქ გრიგოლის 16-სიტყვები ნაკლული სახითაა, წარმოდგენილია ეფთვიმეს მიერ თარგმნილი არალიტურგიკული საკითხავები (or.20, 29, 30, 31, 37 – აკლია or.2, 3 და სწავლანი). დავითის თარგმანებიდან or.24-ის გარდა აქ უკვე ჩნდება კიდევ ექვსი ჰომილია – or. 8, 9, 10, 12, 34, 36.

3) **S 383**[15] (XI ს.-ის პირველი ნახევარი[16]) - C

გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებების შემცველი კრებული.

ნაკლული (ხელნაწერი იწყება გ რვეულით, აკლია ხელნაწერის შიგნითაც).

მომგებელი: ადგომის ეკლესიის დიაკონი კურიკე (426v).

შედგენილობა: or.38 (აკლია დასაწყისი) E (1r-6r), or.39 E (27r-36v), or.40 E (36v-61r), or.1 E (61v-63r), or.45 E (63r-77r), or.44 E (77r-82v), or.41 E (84r-94r), or.20 E (94r-101r), **or.28 T** (101r-118v), or.29 E (119r-120v; აკლია 11 ფურცელი), or.30 E (121r-1130v), or.31 E (131r-147v), **Epist.101 T (147v-154r)**, **or.4 T** (154r-186v), **or.2 T** (187r-220v), or.3 E (220v-241r), or.16 E (241r-254v), **or.9 T** (254v-258v), **or.10 T** (258v-161r), or.11 E (261r-266r), **or.12 T** (266r-270v), **or.36 T** (270v-277v), **or.34 T** (277v-283v) (სიტყვას ბოლოში აკლია ერთი ფურცელი), or.42 E (284r-298v) (სიტყვას დასაწყისში აკლია ერთი ფურცელი), or.37 E (298v-309v) (305v-სა და 306r-ს შორის აკლია ორი ფურცელი), სწავლანი E (309v-322v), **სწავლა T** (322v-326r), or.14 E (326r-346v), or.15 E (347r-354v), or.21 E (354v-373r), **or.24 T** (373v-383r), or.43 E (383r-426v), **or.8 T** (426v-433v), Vita E (433v-435v).

ხელნაწერის ნაკლულობის გამო ლიტურგიკული საკითხავები აქ სრულად არ არის წარმოდგენილი. ეფთვიმეს თარგმნილი არალიტურგიკული საკითხავებიდან აქ შეტანილია თითქმის ყველა (or.3, 20, 29, 30, 31, 37, სწავლანი – აკლია მხოლოდ or.2). დავითის თარგმანები კი სრულად არის წარმოდგენილი - or.2, 4, 8, 9, 10, 12, 24, 28, 34, 36, სწავლა.

4) **S 1696**[17] (XI ს., 60-იანი – 80იანი წლები[18]) - G

ნაკლული (იწყება კ რვეულით და წყდება ნდ რვეულზე, 270v-სა და 271r-ს შორის აკლია ნგ რვეული მთლიანად).

გადამწერი: პეტრე (30r).

შედგენილობა: or. 40 E (1r-26r), or.11 E (26r-30r), or.21 E (30r-49r), or.42 E (49r-63r), **Laudatio Dm** (63r-68v), or.16 E (68v-80v), or.14 E (80v-102r), or.20 E (102r-109r), or.29 E (109r-119v), or.30 E (119v-131v), or. 31 E (131v-149v), სწავლანი* E (149v-162v), or.2* E (163r-179v), or.3* E (179v-199v), **or.2 T** (200r-239v), **სწავლაჲ* T** (239v-243r), **Epist.101 T** (243r-249v), **ებისტოლე პირველი კლიდონიოსის მიმართ* T** (249v-250r), **or.9 T** (250r-253v), **თარგმანებაჲ ძნიად გულისჴმისსაყოფელთა სიტყუათაჲ* T** (253v-254v), **or.10 T** (254v-256v), or.7 O (256v-270v; ტექსტი ბოლონაკლულია, ვინაიდან ხელნაწერიდან ერთი მთლიანი რვეული დაკარგულია), **or.8 T** (271-278v).

ხელნაწერის ნაკლულობის გამო 16-სიტყვები სრულად წარმოდგენილი არ არის. კრებულში შესულია ეფთვიმეს თარგმნილი არალიტურგიკული საკითხავები და დავით

---

[15] თ.ბრეგაძე, აღწერილობა, გვ.83-90; Th.Bregadze, Répertoire, №5, p.69-70.

[16] H.Metreveli, Introduction, p.XI.

[17] თ.ბრეგაძე, აღწერილობა, გვ.91-95; Th.Bregadze, Répertoire, №6, p. 70-71.

[18] გ.ცუცქირიძე, იოანე პატრიკიოსი და პეტრე პატრიკის იდენტიფიკაციისათვის, კრებულში "ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან", თბ., 1996, გვ.196-225; 223.

ტბელის თარგმანები. ეს უკანასკნელი, ვფიქრობთ, ნუსხის ბოლონაკლულობის გამო[illegible]ვე არასრულად არის წარმოდგენილი.

ბიბლიოთეკა

კრებულის შემდგენელ-გადამწერი პეტრე ხუცესი არის XI ს.-ის შუახანების ცნობილი ისტორიული პიროვნება პეტრე პატრიკი, ვისი მოღვაწეობის შესახებაც ვრცლად მოგვითხრობს გიორგი მცირე "გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში".[19] პეტრე იყო აქტიური პოლიტიკური მოღვაწე ქართველთა იმდროინდელი მეფის, ბაგრატ IV-ის კარზე და ბიზანტიის კეისართა დაახლოებული პირიც.

ხელნაწერ S1696-ის ანდერძში პეტრე მოხსენიებულია ხუცესად,[20] ამდენად, პეტრე ამ დროისათვის უკვე სასულიერო პირია. ხუცესობის პერიოდშივე გადაწერა პეტრემ მთელი წლის თვენი სტიქარონებით. ელ.მეტრეველის დაკვირვებით, პეტრემ ეს ორი ხელნაწერი, ანუ თვენი და S1696, გადაწერა არაუადრეს 1060 წლისა[21]. პეტრეს ცხოვრების ბოლო წლები ივირონში გაუტარებია, მისი საძმოს წევრი ყოფილა და იქვე გარდაცვლილა, რასაც მოწმობს ივირონის ერთი აღაპი, რომელიც "წარმოადგენს დიდად საპატიო საუკუნო მოსახსენებელს გარდაცვლილი პეტრე ხუცესისათვის, განწესებულს იოანე წინამძღვრის (ბუქაისძის) მიერ (1080-1104წწ.)".[22] ამ მონაცემებიდან გამომდინარე სავარაუდოა, რომ ხელნაწერი S1696 გადაიწერა XI ს.-ის 60-80-იან წლებში ივირონზე.

S1696 გვევლინება, როგორც პეტრე ხუცესის ბიბლიოფილური მოღვაწეობის ერთი საინტერესო მაგალითი. თუ დავაკვირდებით ამ კრებულის ზემოთ წარმოდგენილ შედგენილობას, ვნახავთ, რომ ეს არის ფაქტიურად ცდა გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებების ყველა იშვიათი ქართული თარგმანის თავმოყრისა. აქ ჩნდება პირველად გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კიდევ ერთი მთარგმნელი – გრიგოლ ოშკელი, კრებულში შესულია გრიგოლ ნაზიანზელის მე-7 ჰომილიის ოშკელისეული თარგმანი. სწორედ ამ კრებულშია შეტანილი ისეთი ნაკლებად გავრცელებული თარგმანები, როგორიცაა or.2-ის ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გრიგოლის მეცხრე ჰომილიაზე დართული დავით ტბელის მიერ გადმოღებული "თარგმანებაჲ ძნიად გულისჴმისსაყოფელთა სიტყუათაჲ" და დავითისვე ნათარგმნი "ებისტოლე პირველი გრიგოლი ღმრთისმეტყუელისაჲ კლიდონიოს ხუცისა მიმართ", - თარგმანები, რომელთა ბერძნული დედნები დღეისათვის ცნობილი არ არის. აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ნუსხაში თარგმანების განლაგება- თანამიმდევრობაზე – გადამწერს ჯერ მოყავს გრიგოლის or.2-ისა და or.3-ის ეფთვიმესეული თარგმანები, და იქვე, თითქოს შესადარებლად (თუ შედარების გასაადვილებლად) მოყავს ისევ or.2, ოღონდ ამჯერად დავით ტბელის თარგმანით. დავითის მიერ თარგმნილ ორ ეპისტოლესაც ერთმანეთის მიმდევრობით ათავსებს და მოაქვს გრიგოლის მე-9 და მე-10 ჰომილიების დავით ტბელისეულ თარგმანზე დართული კომენტარები, რომლებიც საკმარისად განსხვავდება გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებებზე დართული კომენტარების ტრადიციული ტიპისაგან. ყოველივე ამის ფონზე ეს კრებული ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს იგი საეკლესიო, საღვთისმსახურო მიზნებისათვის, მოთხოვნილებებისათვის კი არა, არამედ ვინმე სწავლული ბერის კერძო ინტერესებისათვის იყოს შედგენილი.

5) **A87**[23] (გადაწერილია 1071 წლის შემდეგ[24]) - E

დამკვეთი – მარიამ, აფხაზთა მეფის ბაგრატ IV-ის ასული.

შედგენილობა: Vita E (1r-12v), or.19 E (12v-18r), or.38 E (18r-24v), or.43 E (40r-70v), or.39 E (70v-78r) or.40 E (78r-98r), or.1 E (98r-99v), or.45 E (99v-109v), or.44 E (109v-114r), or.41 E (115-

[19] "გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში" ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა არის გიორგის მოწაფე, მისი სამწერლობო საქმიანობის დიდი დამფასებელი და პოპულარიზატორი იოანე პატრიკ-ყოფილი. ქართული ლიტერატურის ისტორიაში ანტონ I-დან მოყოლებული ამ იოანეს სათანადო ადგილი მიუჩინეს. მაგრამ აკად.ელ.მეტრეველმა გაარკვია, რომ "გიორგის ცხოვრებაში" საუბარია არა ვინმე იოანეზე, არამედ XIსაუკუნის ცნობილ მოღვაწეზე, პეტრე პეტრიკ-ყოფილზე. ეს აღრევა გამოიწვია "ცხოვრების" შემცველ ზოგიერთ ხელნაწერში ქარაგმაში სახელების "იოანესა" (ი~ე) და "პეტრეს" (პ~ე) მსგავსებამ. ამის შესახებ იხილე – ე.მეტრეველი, იოანე პატრიკის..., გვ.196-205.

[20] ე.მეტრეველი, იოანე პატრიკის..., გვ.221.

[21] იქვე, გვ.222-223.

[22] იქვე, გვ.223.

[23] თ.ბრეგაძე, აღწერილობა, გვ.95-104; Th.Bregadze, Répertoire, №7, p.71-72.

[24] მ.მაჭავარიანი, წმ.დიმიტრის შესხმის უცნობი ქართული ვერსია (ხელნაწერი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

123r), or.37 E (123r-133v), or.20 E (133v-139v), **or.28 T** (139v-154r), or.29 E (154r-163r), or.30 E (163r-173r), or.31 E (173r-187v), **or.2 T** (187v-213r), or.3 E* (213r-228r), **or.9 T** (228r-230v), **or.10 T** (230v-232r), or.11 E (232r-235v), **or.12 T** (235v-238v), or.16 E (238v-246r), or.14 E (246r-265v), სწავლანი E* (265v-278v), **or.4 T** (279r-308v; ხელნაწერიდან ამოვარდნილია ერთი მთლიანი თხზულების შემცველი ორი რვეული), **Epist.101 T** (თავნაკლულია, 309r-312v), **or.34 T** (312v-319v), or.21 E (319v-339r), **or.24 T** (339v-349v), or.15 E (349v-358r), **Laudatio Dm*** (358r-363v), **or.8 T** (363v-372v), or.42 E (372v-386v), or.27 O (387r-393v), თარგმანებაი ძნიად გულისჴმის-საყოფელთა სიტყუაოაი O (393v-394r), or. 7 O (394r-414v).

ხელნაწერის დამკვეთი დედოფალი მარიამ-მართაყოფილი არის ცნობილი ისტორიული პიროვნება. მართა, საქართველოს მეფის, ბაგრატ IV-ის ასული, 1066 წელს გაემგზავრა კონსტანტინეპოლს, დაინიშნა ბიზანტიის ტახტის მემკვიდრე მიხეილ VII დუკაზე (პარაპინაკიზე) და მას მარიამი უწოდეს[25]. იმპერატორ მიხეილ VII-ს მმართველობა ხანმოკლე აღმოჩნდა. მან ტახტი მიიღო 1071 წელს, 1078 წლის აჯანყებაში ნიკიფორე ბოტანიატეს გამარჯვების შემდეგ კი მიხეილი იძულებული იყო დაეტოვებინა კონსტანტინეპოლი.

ამ ისტორიული ცნობების საფუძველზე, ვფიქრობთ, შეიძლება A87 ნუსხის აღწერილობებში მოყვანილი დათარიღების დაზუსტება, დავიწროება. A87 ნუსხის ანდერძში, როგორც აღინიშნა, იხსენიება მარიამ დედოფალი. ეს უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ხელნაწერი გადაწერა მას შემდეგ, რაც 1) მართას ბიზანტიაში დაერქვა მარიამი და 2) იგი გახდა მიხეილ პარაპინაკის მეუღლე და ბიზანტიის დედოფალი. სავარაუდოა, რომ A87 ნუსხა გადაიწერა 1071 წლის შემდეგ. ვფიქრობთ, სავსებით შესაძლებელია, დავუშვათ ისიც, რომ ეს ხელნაწერი გადაიწერა ბიზანტიაში (ალბათ, კონსტანტინეპოლში) და არა საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ A87, ისევე როგორც ნუსხა S1696, წარმოადგენს გრიგოლის თხზულებების იმ პერიოდისათვის არსებული ყველა თარგმანის თავმოყრის ცდას. კრებულში ჴელთაიმეს თარგმნილი გრიგოლის 22 თხზულებიდან შეტანილია 21 და "სწავლანი სულიერნი" (აკლია or.2-ის თარგმანი), დავით ტბელის მიერ ნათარგმნი თორმეტი თხზულებიდან – ათი (ცხრა ჰომილია და კლიდონიოსისადმი მიწერილი ეპისტოლე, აკლია or.36-ის თარგმანი) და წარმოდგენილია გრიგოლ ოშკელის ყველა თარგმანი (or.7, 27, "თარგმანებაი"). მაგრამ მსგავსებასთან ერთად ეს ორი ნუსხა (S1696 და A87) საკმაოდაც განსხვავდება ერთმანეთისაგან და, ჩვენი აზრით, ეს სხვაობა, უპირველეს ყოვლისა, ჩანს ნუსხათა გადამწერ-შემდგენელთა მიზანდასახულებაში; A87 ნუსხის გადამწერი კრებს გრიგოლის თხზულებების იმ პერიოდში არსებულ თარგმანებს, S1696 ნუსხის გადამწერი კრებს გრიგოლის თხზულებების იმ პერიოდში არსებულ თარგმანებს, S1696 ნუსხის გადამწერი პოზიცია კი უფრო გამოხატავს ფილოლოგი-ბიბლიოფილის ინტერესებს – იგი აგროვებს არა ყველა, არამედ იშვიათ თარგმანებს.

### 6) **A 16**[26] (1729, 1739) - I

გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებების შემცველი კრებული.

გადამწერი: მღვდელი მახარობელი (281r), პავლე მღვდელი (368r).

მომგებელი: იესე ყულაღარახი, ძე ქსნის ერისთავის დავითისა (368r-v).

გადაწერის ადგილი: I ნაწილი (1r-281v) – მთაბორის ციხე, სოფელი აწერისჴევი

შედგენილობა: Vita E (4r-1v), or.1 E (15r-16v), or.45 E (16v-29r), or.44 E (29v-34r), or.44-ის კომენტარი E (34r-35r), or.41 E (35v-43r), or.15 E (43v-50r), or.19 E (50v-57r), or.38 E (57v-64r), or.38-ის კომენტარი (მაქსიმე) (64v-81r), or.43 E (81r-116v), **Laudatio Dm T** (117r-121r), **or.8 T** (121r-128v), or.39 E (131r-139r), or.40 E (139r-158v), or.11 E (159r-162r),

---

1) [25]ცნობები მარიამ მართაყოფილის შესახებ მოგვყავს შემდეგი სტატიებიდან: ი.ლოლია, მარიამ დედოფალი XI ს. მეორე ნახევრის ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, თბილისის უნივერსიტეტის შრომები (არქეოლოგია, კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტინისტიკა), ტ.183, თბილისი, 1978, გვ.143-152. И.Нодия, Грузинские материалы о византийской императрице Марфе-Марии, ბიზანტინოლოგიური ეტიუდები, Тбилиси, 1978, с.146-155.

[26]თარგმანე, აღწერილობა, გვ.114-124; Th.Bregadze, Répertoire, №11, p.74-75.

or.21 E (162v-177v), or.42 E (178r-189r), or.16 E (189v-198v), or.14 E (199r-217r), or.20 E (217v-224r), or.29 E (224v-234r), or.30 E (234v-244v), or.31 E (244v-259v), **or.24 T** (260r-268v), სწავლანი E (269r-280v), or.43 M (282r-311v), სტიხოსნი იროიკონი M (311v-313r), or.42 M (313r-322r), or.41 M (322v-328r), or.15 M (328r-333r), ზღაპრობანი M (334r-340v), მუხლები იამბიკო M (341r-344v), **or.4 T** (346r-368r).

ხელნაწერის პირველი ნაწილი გადაწერილია A87 და A1 ხელნაწერებიდან.[27] ხელნაწერი შერეული ტიპისაა, მასში ეფთვიმესა და დავითის თარგმანებთან ერთად ჩნდება ეფრემ მცირის თარგმანებიც.

7) **A 1338**[28] (1822 წ.) - K

გადამწერი: ბერი იოსტოს (327v).

ხელნაწერი წარმოადგენს A 16-ის პირს (თ.ბრეგაძე).

შედგენილობა: Vita E (2r-11v), or.1 E (13r-14r), or.45 E (14v-25r), or.44 E (25v-29v), or.41 E (30v-37r), or.15 E (37v-43r), or.19 E (43v-49v), or.38 E (50r-56r), or.38-ის კომენტარი (მაქსიმე) E (56v-73r), or.43 E (73v-100r), **Laudatio Dm T** (100v-104v), **or.8 T** (104v-111r), or.39 E (111v-118r), or.40 E (118v-135v), or.11 E (136r-138r), or.21 E (139r-152r), or.42 E (152v-162v), or.16 E (163r-171r), or.14 E (171v-187r), or.20 E (187v-192v), or.29 E (193r-200v), or.30 E (201r-209v), or.31 E (210r-222v), **or.24 T** (223r-229v), სწავლანი E (230r-240v), or.43 M (241r-270r), სტიხოსნი იროიკონი M (270v-271v), or.42 M (272r-282v), or.41 M (283r-290v), or.15 M (290v-295r), ზღაპრობანი M (295v-302r), მუხლები იამბიკო M (302v-305v), **or.4 T** (306r-326v).

ეს ხელნაწერიც შერეულია, ისევე როგორც A16.

ეფთვიმეს კრებულების გარდა, დავით ტბელის თარგმანები შესულია ასევე ნარეკრებულებში – ნუსხებში, რომლებიც სხვა ავტორთა თხზულებებთან ერთად შეიცავენ გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებებსაც.

8) **A 1101**[29] (1047 წ.)

ასკეტური კრებული.

ნაკლული (აკლია II-V რვეული).

გადამწერი: არსენი გოგოფაძე (35r, 60r).

მომგებელი: არსენი (248v).

ადგილი: საბერძნეთი, მთაწმიდა.

სხვა ავტორების თხზულებებთან ერთად აქ მოთავსებულია "სწავლაი" T (134r-137v).

9) **H 341**[30] (XIს.-ის პირველი ნახევარი).

ჰაგიოგრაფიული კრებული, წარმოადგენს გარკვეული ტიპის მრავალთავს – "მარტიროლოღონს"[31] და შეიცავს კალენდარულ რიგზე გაწყობილ წამება-ცხოვრებათა წიგნებს.

gadamweri: xelnaweri gadaverilia ramdenime gadamweris mier, maTgan cnobilia mxolod erTi – iovane ucbad mCxrekali, romelic moxseniebulia or anderZ-minawerSi, xelnaweris 197-e da 830-e gverdebze.

Laudatio Dm (52r-59v).

---

[27] თ.ბრეგაძე, ალწერილობა, გვ.114-120.

[28] თ.ბრეგაძე, ალწერილობა, გვ.125-132; Th.Bregadze, Répertoire, №13, p.75-76.

[29] თ.ბრეგაძე, ალწერილობა, გვ.193-194; Th.Bregadze, Répertoire, №30, p.86.

[30] Analecta Bollandiana, fasc. 1 et 2, 1926, pp.70-71; H ფონდის აღწერილობა, I, 1959, გვ. 247; თ.ბრეგაძე, ალწერილობა, გვ.199-200; Th.Bregadze, Répertoire, №36, p.88.

[31] ც.ქურციკიძე, ქართული ვერსიები აპოკრიფების მოციქულთა შესახებ (IX-XI სს. ხელნაწერთა მიხედვით). ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც.ქურციკიძემ, თბილისი, 1959, გვ.12.

10) **S 384**[32] (1082-დან 1105 წლამდე[33])
მუხაფრასული საკითხავების კრებული, სადაც შეტანილია სხვადასხვა მთარგმნელების მიერ ნათარგმნი სექტემბრის, ოქტომბრისა და ნოემბრის თვის მასალა.
Laudatio Dm T (240-244v).

11) **Sin.80**[34] (XI ს.)
ასკეტიკურ-ჰაგიოგრაფიული კრებული.
ნაკლული (პირველი რვეულიდან დარჩენილია 4 ფურცელი, შუა ნაწილი ძალიან დაზიანებულია, აკლია ბოლოშიც).
გადამწერი: იოანე (1r, 199v).
Laudatio Dm T (148r-154v).

12) **ქუთ. 64**[35] (1788 წ.)
ჰაგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური კრებული.
დაზიანებული (ზოგი რვეული დარღვეულია და ფურცლები ამოცვენილი).
გადამწერი: ხუცეს-მონაზონი იოანე და ხუცესი ოსე (271r, 526v, 457v).
შემოსულია ჯრუჭის მონასტრიდან.
Laudatio Dm T (44r-49r).

13) **H 2853**[36] (XVIII ს.)
კრებული.
"სწავლა" T (63r-65r).

14) **ქუთ. 91**[37] (XVIII ს.)
გადამწერი: მიტროფანე.
წარმოადგენს იოანე დამასკელის "წინამძღვარს", რომელსაც სხვა ავტორებთან ერთად ერთვის გრიგოლ ნაზიანზელის or.28 T (76r-98v).

15) **A 200**[38] (XVIII-XIX სს.)
დოგმატიკური ხასიათის კრებული.
გადამწერი: მაკარი.
გადაწერის ადგილი: დავით-გარეჯის უდაბნო.
or.28 T (96r-119r).

16) **Q 260**[39] (XVIII-XIX სს.)
საღვთისმეტყველო-დოგმატიკური კრებული.
აკლია ფურცლები 7, 168.
გადამწერი: მთავარ-დიაკონი მიტროფანე (168r).
or. 28 T (72r-93r).

17) **H 28**[40] (1868 წ.)

---

[32] თ.ბრეგაძე, აღწერილობა, გვ.200; Th.Bregadze, Répertoire, №41, p.89.
[33] ძველი მეტაფრასული კრებულები (სექტემბრის საკითხავები), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ნარგიზა გოგუაძემ, თბილისი, 1986, გვ.12.
[34] თ.ბრეგაძე, აღწერილობა, გვ.201; Th.Bregadze, Répertoire,№37, p.88.
[35] თ.ბრეგაძე, აღწერილობა, გვ.240; Th.Bregadze, Répertoire, №83, p.101.
[36] თ.ბრეგაძე, აღწერილობა, გვ.258; Th.Bregadze, Répertoire, №109, p.107.
[37] თ.ბრეგაძე, აღწერილობა, გვ.266-267; Th.Bregadze, Répertoire, №118, p.109.
[38] თ.ბრეგაძე, აღწერილობა, გვ.269; Th.Bregadze, Répertoire, №123, p.111.
[39] თ.ბრეგაძე, აღწერილობა, გვ.271; Th.Bregadze, Répertoire, №128, p.112.
[40] თ.ბრეგაძე, აღწერილობა, გვ.287; Th.Bregadze, Répertoire, №149, p.117.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრებული.
ნაკლული (ხელნაწერი იწყება მეშვიდე რვეულიდან).
გადამწერი: სტეფანე რეგაზოვი (35r).
or.28 T (37v-47v).

18) ქუო. 342[41] (XIX ს.)
ასკეტიკური კრებული.
"სწავლა" T (179r-187r).

ამდენად, დავით ტბელს უთარგმნია გრიგოლ ნაზიანზელის 14 თხზულება და გრიგოლის ერთ ჰომილიაზე დართული კომენტარი. დავითის თარგმანების ზემოთაღწერილი ხელნაწერების შედგენილობას თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ დავითის თარგმანები ეფთვიმეს კრებულებში შემოდის არა ერთიანად, არამედ თანდათანობით. ამასთანავე, დავითის თარგმანების კვლევამ აჩვენა, რომ ჩამოთვლილი თხზულებებიდან ყველა როდია გრიგოლ ნაზიანზელის დაწერილი. მართალია, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველი ბერძნული ხელნაწერების შესწავლა დღესდღეობით მათი დიდი რაოდენობის გამო არ არის დასრულებული, მაგრამ არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და აღწერილობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჯერჯერობით გრიგოლის ნაწარმოებთა შემცველი ხელნაწერებიდან არცერთში არ მოიპოვება არც "დიმიტრის შესხმის", არც კლიდონიოსისადმი მიწერილი "ეპისტოლე პირველის" და არც "სწავლაის" ბერძნული ვერსია. ავტორის პრობლემის გარდა, ზემოთ ჩამოთვლილი ზოგიერთი თხზულების შემთხვევაში მისი ქართულად მთარგმნელის საკითხიც შეიძლება სადაოდ იყოს მიჩნეული. იმის გასარკვევად, თუ რა პრინციპით, როგორ თარგმნის დავით ტბელი გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებებს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, გავარკვიოთ, ზემოთ ჩამოთვლილი თხზულებებიდან რომელი არის და რომელი არ არის გრიგოლის დაწერილი. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ის თხზულებები, რომლებსაც Migne-ს მიერ გამოცემულ გრიგოლის თხზულებებში არ ეძებნებათ ბერძნული დედანი. ეს თხზულებებია, როგორც ვთქვით, "დიმიტრის შესხმა", კლიდონიოსისადმი მიწერილი "ეპისტოლე პირველი" და "სწავლა". ამათგან ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა "დიმიტრის შესხმა", რომლის კვლევამაც მოგვცა მეტად საინტერესო მასალა დავითის თარგმანების შემცველი კრებულების ურთიერთმიმართების შესახებ და თავად დავითის მოღვაწეობის პერიოდის გასარკვევად. ყოველივე ეს წარმოდგენილი იქნება ცალკე შრომაში.

## M. MACHAVARIANI

## THE WRITINGS OF GREGORY NAZIANZEN TRANSLATED BY DAVD TBELI AND THE MANUSCRIPTS CONTAINING THEM

### SUMMARY

The paper studies the interrelation of the Georgian manuscripts containing David Tbeli's translations of Gregory Nazianzen's homilies. It becomes obvous that David's translations appear gradually in the collections of Gregory's homilies containing Euthymius the Athonite's translations with a special aim: to complete them with some new translations.

[41] თ.პრეგაძე, აღწერილობა, გვ.292.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევან ბეზარაშვილი

# საღვთისმეტყველო-რიტორიკული სტილის ზოგიერთი თავისებურებისათვის გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებებსა და მათ ქართულ თარგმანებში: სიღრმე-მიფარულება და ლაკონიურობა (წერილი მეორე)*

## II. პ რ ა ქ ტ ი კ ა

1.*რიტორიკულ-სტილისტური ლაკონიურობა და სიღრმე-მიფარულება (ბასილი მინიმუსის და ეფრემ მცირის განმარტებების მიხედვით)*

1)*"მიფარულად იტყჳს წესისაებრ ფილოსოფოსთაჲსა"* (ნაცვალსახელები და რიცხვითი სახელები არსებითი სახელების ზედმეტად გამეორების ნაცვლად). ამ მეთოდის განმარტებისათვის იხ. ნაშრომის I ნაწილში (მრავალთავი, XIX) ბასილი მინიმუსის კომენტარი (or.19,com.8Jer.43,5r).[1] შდრ. ეფთვიმე ათონელი ყველგან იმეორებს წინა ფრაზაში დასახელებულ არსებით სახელებს დედნის მომდევნო ფრაზის ნაცვალსახელების ნაცვლად):

ა)საუბარია ანტითეტურ დაპირისპირებებზე ანტითეზებში – კაცისა და ღმერთის ქველისმოქმედების განსხვავებაზე, გრძნობადისა და საცნაურის სხვაობაზე: Οὐδὲν γὰρ οὕτως, ὡς τὸ εὖ ποιεῖν, ἄνθρωπος ἔχει Θεοῦ· κἂν *ὁ μὲν* μείζω, καὶ *ὁ δὲ* ἐλάττω εὐεργετῇ, ἑκάτερος, οἶμαι, κατὰ τὴν ἑαυτοῦ δύναμιν (or.14,27,122.PG35,892D1-893A3). "რამეთუ ვერარაჲ ესრეთ, ვითარ ქველისმოქმედებაჲ აქუს კაცსა საბაძველად ღმრთისა, დაღათუ *იგი* დიდად, ხოლო *ესე* უდარეს ქველისმოქმედებს, თითოეული, ვითარ ვჰგონებ, ძალისაებრ თჳსისა" M (A109,168v). შდრ. ეფთვიმე იმეორებს წინა ფრაზაში დასახელებულ არსებით სახელებს "კაცს" და "ღმერთს" დედნის ნაცვალსახელების ნაცვლად: "რამეთუ სხუთა არარაჲთა ესრეთ ჰელ-ეწიფების კაცსა ბაძვაჲ ღმრთისაჲ, ვითარ წყალობითა და ქველისმოქმედებითა მოყუასისაჲთა. დაღაცათუ ქველისმოქმედებაჲ ღმრთისაჲ დიდ არს და დიდებულ და კაცისაჲ – მცირე და მდაბალ, არამედ ძალისაებრ თჳსისა მიემსგავსების მცირჱ ესე და მდაბალი დიდსა მას და დიდებულსა" E (A1,336v-337r). Ὅπερ γάρ ἐστι τοῖς αἰσθητοῖς ἥλιος, τοῦτο τοῖς νοητοῖς Θεός. *Ὁ μὲν* γὰρ τὸν ὁρώμενον φωτίζει κόσμον, *ὁ δὲ* τὸν ἀόρατον (or.21,1,5. PG35,1084A10-12). "რამეთუ რაჲ-იგი არს გრძნობადთათჳს მზჱ, ესევე ცნობადთათჳს – ღმერთი. *იგი* ხილულსა განანათლებს სოფელსა, ხოლო *ესე* – უხილავსა" M (A109,121r). შდრ. "რამეთუ რაჲ-იგი არს ხილულთათჳს მზჱ, ეგრეთვე საცნაურთა და უხილავთათჳს – ღმერთი, რამეთუ მზჱ ხილულსა ამას განანათლებს სოფელსა, ხოლო ღმერთი – უხილავსა" E (A1,248v).[2]

---

*პირველი წერილი თეორიული ნაწილის შესახებ გამოქვეყნებულია: "მრავალთავი", XIX, თბ., 2001, გვ.258-276.

[1]ასეთ შემთხვევებში ბერძნულ დედანში გამოყენებულია კორელაციის სქემა – ე.წ. σχήματα περιβλητικά, μέν-δέ კორელაციის სხვადასხვა ფორმები: εἰ μέν - εἰ δὲ, ὁ μέν - ὁ δέ, τὸ μέν - τὸ δὲ, οὐ μόνον, ἀλλὰ καί და ა.შ., რაც მაღალფარდოვანი სტილის ნიშნებია რიტორიკის ელინისტური და ბიზანტიური თეორიების მიხედვით (G.L.Kustas, Studies in Byzantine Rhetoric, Thessalonike, 1973, p.136-139. E.Norden, Die antike Kunstprosa vom VI Jahrhundert V.Chr.bis die Zeir der Renaissance, Bd.2, Leipzig, Berlin, 1918, S.484-485).

[2]აღსანიშნავია, რომ ამავე მეთოდს იყენებს ეფრემი თავის ორიგინალურ შრომებში: გრიგოლის 16-სიტყვედის მისეულ თარგმანზე დართულ კოლოფონში, სადაც აანალიზებს და ერთმანეთს უპირისპირებს გრიგოლის ჰომილიათა ორ თარგმანს – ეფთვიმე ათონელისას (E) და საკუთარს (M): "*იგი* (E) ყოველთა ეკლესიათა ზედა განფენილი ბრწყინავს, ხოლო *ესე* (M) იშჳთ ვიეთთჳსმე იდვას გულისჴმისმყოფელთათჳს. *ესე* (M) ცხად-ჰყოფდინ სიტყუა-სიმოკლესა და სიღრმესა დიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისასა, ხოლო *იგი* (E) – სიტყუა-სივრცესა და განათლებასა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესსა..." (Jer.43, 3rv; თ.ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1988, გვ.149); აგრეთვე იოანე დამასკელის "დიალექტიკის" წინასიტყვაში, სადაც ერთმანეთს უპირისპირებს წიგნის საეკლესიო და საფილოსოფოსო თავებს: "აჰა ესერა გქონან

b)მოწოდებულია ანტითეტური წყვილი – მართალნი და ცოდვილნი, ანტითეზები, რომლებიც შეიცავენ ერთარსებობისა და სამგვამოვნების მტკიცებას ღმერთში, ძის ორგვარი შობის განმარტებას – უხორცო შობისა "უწინარეს ყოველთა საუკუნეთა" და ხორციელი შობისა:

οἱ τὰ ἀγαθὰ ποιήσαντες...οἱ δὲ τὰ φαῦλα πράξαντες...*καὶ* <u>*τοὺς μὲν*</u> τὸ ἀφραστον φῶς διαδέξεται...<u>*τοῖς δὲ*</u> μετὰ τῶν ἄλλων βάσανος (or.16,9,33-34. PG35, 945C4-14). "კეთილისმოქმედნი...ბოროტისმოქმედნი ... *პირველნი იგი* გამოუთქუმელმან ნათელმან შეიწყნარნეს... ხოლო *მეორენი* – სხუათავე ტანჯვათა თანა" M (A109,180r). შდრ. " მოქმედნი კეთილისანი...მოქმედნი ბოროტისანი... მაშინ უკუე მართალნი შეიწყნარნეს ნათელმან მან გამოუთქუმელმან... ხოლო ცოდვილთა დაესაჯოს სხუათა მათ სატანჯველთა თანა" E (A1,306r).

Τῆς γὰρ μιᾶς οὐσίας, καὶ τῶν τριῶν ὑποστάσεων λεγομένων μὲν ὑφ' ἡμῶν εὐσεβῶς (<u>*τὸ μὲν*</u> γὰρ τὴν φύσιν δηλοῖ τῆς θεότητος, <u>*τὸ δὲ*</u> τὰς τῶν τριῶν ἰδιότητας) (or.21,35,188. PG35, 1124D1-4). "რამეთუ ერთარსებაჲ და სამგუამოვნებაჲ ითქუმის ჩუენ მიერ კეთილმსახურებით (*პირველი იგი* ბუნებასა მოასწავებს ღმრთეებისასა, ხოლო *მეორე* – თუთებასა სამთასა)" M (A109,137v). შდრ. "რამეთუ ერთარსებაჲ და სამგუამოვნებაჲ იქადაგების ჩუენ მიერ კეთილად (ერთარსებაჲ ერთსა მას ბუნებასა გუაუწყებს ღმრთეებისასა და სამგუამოვნებაჲ სამსა მას თითოებასა გუასწავებს)" E (A1,274v). λέγεται γὰρ ἀμφότερα, δύο κειμένων προσηγοριῶν ἑνὶ πράγματι. Ἐφάνη γὰρ Θεὸς ἀνθρώποις διὰ γεννήσεως· <u>*τὸ μὲν*</u> ὤν, καὶ ἀεὶ ὢν ἐκ τοῦ ἀεὶ ὄντος...<u>*τὸ δὲ*</u>, δι' ἡμᾶς γενόμενος ὕστερον (or.38,3,8-9.PG36, 313C5-10). "ერქუმის მრჩობლივე ორდაბადებულებაჲ სახელისდებათაჲ ერთსა საქმესა, რამეთუ გამოუჩნდა ღმერთი კაცთა შობითა: *ერთი იგი* არს და მარადის არს ... ხოლო *მეორე* ჩუენთჳს იქმნა უკუანაჲსკნელ" M (Jer.43,14v). შდრ. "ეწოდების ორივე ესე სახელი ერთსა მას საქმესა, რამეთუ გამოუჩნდა ღმერთი კაცთა შობითა: ხოლო ერთი იგი შობაჲ მისი პირველვე იყო და მარადის არს, მარადის არსისა მისგან... ხოლო მეორე ესე შობაჲ იქმნა ჩუენთჳს უკუანაჲსკნელ" E (A1,88v). შდრ. ბასილი მინიმუსის კომენტარი: "ხოლო მეორისა ამის შობისა მიზეზ იყო ცხორებაჲ კაცთაჲ" (or.38,com.23. Jer.43, 14v).

2)<u>ბასილი მინიმუსის მიერ ლაკონიურობის ნიშნით მოხსენიებული სხვა რიტორიკული ხერხები</u>

a) "*ესევითარნი ნაკლულნი ფილოსოფოსთა ჴელოვნებისანი არიან*" (იხ. ნაშრომის I ნაწილში: or.38,1,1-2. com.1. Jer.15, 10v-11r). ბასილი მინიმუსის მიხედვით, ეს რიტორიკული ხერხი – შემასმენლის კლება ხელს უწყობს მოკლე კომების სიმეტრიულ თანაარსებობას პერიოდში, რითაც იგი ქმნის ანაფორების (ანუ ერთნაირი დასაწყისების), ერთნაირი დაბოლოებების (ანუ ჰომოიოტელევტონების), ერთნაირად მოკვეცილი და თანაბარი წევრების, პარიზონის (ანუ კოლონებში სიტყვათა განმეორების) სიმეტრიას: "ხოლო შენ იხილე, ვითარ მიუთხრობელითა შუენიერებითა შემკობილ არს შენადგამი ესე პირველი, *სწორსიტყუაობითა* და *სწორბოლოობითა* და *სწორმოქცეობითა* განშუენებული..." (or.38,com.1.Jer.15,10v-11r). Ἀφάτῳ κάλλει τὰ κῶλα κεκόσμηται ταῦτα, *ἀναφοραῖς*, καὶ *ἰσοκαταλήκτοις* καὶ *ταῖς παρίσοις* τῶν περιόδων καλλωπιζόμενα... (R.Cantarella, Basilio Minimo II.Scolii inediti. BZ,26,1926,p.19). ბასილის ეს განმარტება შეიძლება მივუსადაგოთ მსგავსი რიტორიკული ლაკონიურობის ხერხით აგებულ სხვა პასაჟებსაც. მაგ., ბასილი კესარიელზე ნათქვამია:

τίς διηγήσασθαι χαριέστερος;
τίς μὲν σκῶψαι παιδευτικῶς;
τίς δὲ καθάψασθαι ἀπαλῶς; (or.43,64,267.PG36,581C9-11).
"ვინ უსახარულევანეს თხრობათა შინა?
ვინ მკდემელ განმსწავლელობით?

---

ასნი თავნი საეკლესიონი ორმეოცდაათთა თავთა მიერ საფილოსოფოსოთა გარე-შეზღუდვილნი, და არცა *ესენი* სრულ არიან უმათოდ, არცა *იგინი* – უმათოდ" (A24,2v-3r. იოანე დამასკელი, დიალექტიკა, მ.რაფავას გამოცემა,თბ.,1976, გვ.67) და სხვ. ეფთვიმე ათონელი ცხადად იტყოდა: არცა საეკლესიონი სრულ არიან საფილოსოფოსოს გარეშე და არცა საფილოსოფოსონი სრულ არიან საეკლესიოს გარეშეო (თუმცა გამონაკლისები მის თარგმანებშიც შეიძლება არსებობდეს).

ვინ შემხებელ ულბილესობით?" M (A109,60v).
შდრ. "ვინ არს უფროჲს მისა სახარულევან მეტყუელებით? ანუ ვინ არს მამხილებელი [illegible] სიბრძნით და შემრისხველ ჯეროვნად?"E (A1,173r).

ეფთვიმე ათონელი სრულიად არ იცავს ამ რიტორიკულ ხერხს ზმნების დამატებით და არღვევს პერიოდის სიმეტრიას. საყურადღებოა, რომ ეფრემის თარგმანის შემცველ ხელნაწერში ამ პასაჟს აქვს მინაწერი **"შუენიერი ესე ადგილი"** (A109,60v), რაც ცხადყოფს იმას, რომ ეფრემს სრულიად გააზრებულად გადმოჰქონდა რიტორიკული ხერხები და მათ იყენებდა არა მხოლოდ ბასილი მინიმუსის მიერ კომენტირებული პასაჟების თარგმნისას.

b) *"წესისაებრ ფილოსოფოსთაჲსა მიფარულადრე თქუმა"* (იხ. ნაშრომის I ნაწილში: or.43,com.92.A109,32v). პატრისტიკაში გავრცელებულ ტერმინს – კუთვნილებით ნაცვალსახელს "ჩუენი", რომელიც საეკლესიო, საღვთო სიბრძნის მნიშვნელობით იხმარებოდა და ასეთივე ფუნქცია აქვს გრიგოლთან და ეფრემ მცირესთან, ეფთვიმე განმარტებით თარგმნის, როგორც "სულიერს". ἡ *καθ᾽ ἡμᾶς* φιλοσοφία (or.43,13,65.PG36,512C6). "*ჩუენი* ესე სიბრძნისმოყუარებაჲ" M (A109,23r). შდრ. "*სულიერი* სიბრძნე" E (A1,138v). მსგავსად არის გრიგოლის ტექსტში და ეფრემის თარგმანში გამოყენებული ტერმინი ἔξω - უცხო, გარეშე არაქრისტიანული სიბრძნის, წარმართულის თუ ერესის მნიშვნელობით, რაც ეფთვიმეს თარგმანში განმარტებულია შესაბამისად. μηδὲ ἐκφορὰ *τοῖς ἔξω* τὰ πολλὰ τῶν ἡμετέρων μυστηρίων (or.45,16,80.PG36,645A15). "არცა მისარქუმელ *გარეშეთა* მრავალნი ჩუენთა საიდუმლოთანი" M (A109,197v). "არა ჯერ-არს დაფარულთა მრავალთა საიდუმლოთა ჩუენთა მითხრობად *უცხოთა სარწმუნოებისაგან ჩუენისა*" E (A1,28r). ოდენ ამ ტერმინებით (ἡμέτερος - "ჩუენი" და ἔξω - "გარეშე", "უცხო"[3]) გამოხატულ შინაარსს, როგორც ნაშრომის I ნაწილში ვნახეთ, დაფარულად თქმას უწოდებს ბასილი მინიმუსი, რომელიც მხოლოდ საკითხში გათვითცნობიერებულთათვის არის გასაგები.

c) *"ნაკლულსიტყუაობით პირსა ოდენ მოიჴსენებდეს თხრობისასა"* (იხ. ნაშრომის I ნაწილში: or.19,com.79.A109,51r). ბასილი მინიმუსის განმარტებით, იგი რიტორიკული ხერხია, რომელიც მოკლედ მიანიშნებს რომელიმე ბიბლიურ თხრობაზე. ასეთია მაგ., ადამიანის შექმნის შესახებ ლაკონიურად ნათქვამი – "პირველი შთაბერვა" (τὸ ἔμφύσημα-Gen.2,7). ეფთვიმეს თარგმანში იგი დაკონკრეტებულია, როგორც ადამის შექმნა: τῷ ἐμφυσήματι τῷ πρώτῳ... (or.40,2,6.PG36,361A8) "შთაბერვითა პირველითა" M (A109,86r). შდრ."და სული იგი, რომელი *პირველ შთაჰბერა ადამს*" E (A1,204r). შდრ. ბასილი მინიმუსის კომენტარი: "პოვე ადგილი ესე შესწავლებულად ვიეთგანმე წინამსწრობელთა ამისთა, რაითარმედ თქუმულთა ამათ მიერ აჩუენებს ქრისტეს მიერ ყოფად *შთაბერვასა ადამისსა*" (or.40,com.5. A109,86v).[4] ცხადია, მოცემული პასაჟი საჭიროებს დაკონკრეტებას და განმარტებას და ბასილი მინიმუსიც განმარტავს მას, ეფთვიმე ათონელი კი იყენებს ბასილი მინიმუსის განმარტებას.

d) *"ჴელოვნებაჲ ფილოსოფოსთა სიტყუათა სიმოკლისაჲ"* (იხ. ნაშრომის I ნაწილში: or.43,com.118.A109,39v). იგი გულისხმობს მინიშნებას ნაცნობ თხრობაზე და ამდენად, მთელი ფრაზის კლებას, რაც განსწავლული ადამიანისათვის აღარ საჭიროებს განმარტებას. ასეთ შემთხვევებში ეფთვიმესეული დაკონკრეტება სწორედ ლიტონი მსმენელისათვის არის გამიზნული. მაგ., ბიბლიური იობის ამბავი და მისი განსაცდელი (იობ.2,7-16,2). Οὕτω μὲν οὖν ὁ ᾽Ιώβ, καὶ τὰ πρῶτα τῆς περὶ αὐτὸν πραγματείας (or.21,18,91.PG35,1101B7). "ესე უკუე არს <u>იობისი</u> და უპირატესობანი მისთა საქმეთანი, რამეთუ წყობა იყო სათნოებისა და

[3] პატრისტიკულ ლიტერატურაში ἔξω(θεν), ξένος, ἀλλότριος –"გარეშე", "უცხო" ეწოდება არაქრისტიანულ, არასაეკლესიო, წარმართულ, ერეტიკულ ან საერო მოძღვრებას (შდრ. ებრ.13,9; IIპეტ.1,16; IIკორ.1,12; Iკორ.2,6; 3,19; მარკ.7,7; მთ.15,9; 16,23 და სხვ.). ἡμέτερος –"ჩუენი" კი ეწოდება ქრისტიანულ, საეკლესიო მოძღვრებას, საღვთო სიბრძნეს (შდრ. Iკორ.2,7; Iკორ.1,24) (*G.W.Lampe*, D.D. A Patristic Greek Lexicon, Oxford, 1968).

[4] პატრისტიკის ზოგიერთ წარმომადგენელთან იგი დაკონკრეტებულადაა წარმოდგენილი. შდრ. ἀπὸ τοῦ ἐμφυσήματος σπείρει ὁ ᾽Αδάμ-Clem.Alex.exc.Thdt.55.PG9,685B. G.W.Lampe, A Patristic Greek Lexicon, Oxford, 1961, s.v. τὸ ἐμφύσημα, 3.i.

შურისა"M (A109,128v). შდრ. "ესე *საქმენი არიან ოობისნი* და *ჭირნი იგი მის ზედა მოწევნულნი,* რამეთუ ბრძოლაჲ იყო სათნოებისა და შურისაჲ"E (A1,260v).

3)ეფრემ მცირის მიერ "ღრმად" სახელდებული რიტორიკული ხერხები და საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია ("ფილოთეონ ისტორიის" კოლოფონის მიხედვით)

a)*ლიტერატურული მაგალითები* – მონასტრის სახელდება "არვედ", "სიბრძნის საწურთელად" და "სტადიონად", რაც მონაზონთა ღვაწლს ასახავს, რიტორიკულ ხერხს წარმოადგენს. "არვე" ბიბლიური სახეა, ხოლო "სტადიონი" – სოფისტური ტროპი. ბიბლიური სახეები, მაგ., "არვე" (ცხოვარი, ფარა; შდრ. ცხოვარი ქრისტეს სამწყსოს მნიშვნელობით: მთ.9,36; 10,16; 12,11; 15,24; 18,12; მრ.6,34; ი.10,15-27; 15,6) და ანტიკური სახე, კლასიკური რიტორიკის ტროპის ელემენტი, მაგ., ტერმინი "სტადიონი" (წვრთნის ადგილი) ლიტერატურულ მაგალითებად არიან გამოყენებულნი ერთნაირი მნიშვნელობით. მესამე სახელდება "სიბრძნის საწურთელი" კი მანამდე ნახსენები ორი სახის შინაარსის გამხსნელია (მონაზონთა მიზანია სულიერი წვრთნით და ღვაწლით საღვთო სიბრძნის მოპოვება). ანტიკური რიტორიკის სახეები, ბიბლიური სახეების პარალელურად, ელინოფილურ ქრისტიანულ ლიტერატურაში გალიტერატურებულია (მათ პარადიგმების ფუნქცია აქვთ)[5] და სულიერ შინაარსს იძენენ, მაგ., კაპადოკიელებთან. სტადიონი, ათლეტთა წვრთნის ადგილი, მონასტერში სულიერი წვრთნის გამოხატულებაა.[6]

რამდენადაც "ფილოთეონ ისტორია" შეუსწავლელია, ამიტომ მივმართეთ ჩვენთვის ნაცნობ გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა თარგმანებს, სადაც მრავლადაა სოფისტიკიდან ნასესხები რიტორიკული ხერხები (აღებული ათლეტური ვარჯიშებიდან, საცხენოსნო ვარჯიშებიდან, სამხედრო ტექნიკიდან და ზღვაოსნობიდან, თეატრიდან, მედიცინიდან, ბუნების მოვლენებიდან).[7] აქ სტადიონის სახე მოთავსებულია მონათესავე ათლეტური ვარჯიშების სახეთა შორის. მაგ., გრიგოლის ძმის კესაროსის მოქმედება ივლიანე განდგომილის მიმართ იწოდება ათლეტის მოქმედებად, რომელიც კარგად იყო ნავარჯიშევი ორივე სახის ბრძოლაში – სიტყვასა და საქმეში. იგი ისე იყო გამზადებული სულიერი ღვაწლისათვის, როგორც ათლეტი სტადიონზე ფიზიკური ღვაწლისათვის:

ἀθλητὴς ἕτοιμος ἦν, καὶ λόγῳ καὶ ἔργῳ πρὸς τὸν ἐν ἀμφοτέροις δυνατὸν ἀγωνίζεσθαι. Τὸ μὲν οὖν *στάδιον* τοιοῦτον καὶ ὁ τῆς εὐσεβείας ἀγωνιστὴς τοσοῦτος (PG35,769B11). "მზა იყო წამებად და სიტყუთა და საქმით ორკერძოვე ძლიერისა მიმართ წყობად. ესევითარი უკუე იყო *სტადიონი* და ესოდენ – მჴნე მოღუაწე იგი ღმრთისმსახურებისაჲ" (or.7,12. M=A292,360v). შდრ. ეფრემამდელ თარგმანში (გრიგოლ ოშკელთან, Xს.) "სტადიონის" ნაცვლად გვაქვს "ასპარეზი", რომელიც უფრო ადრე დამკვიდრებული საშუალო სპარსულიდან შემოსული უცხო სიტყვაა ქართულში და მისი შინაარსი მსმენელისათვის უფრო გასაგებია ("*ასპარეზი* იგი ესრე სახე იყო და მოღუაწე იგი ღმრთისმსახურებისაჲ" - or.7,12,56. O=A87,404r).[8] საყურადღებოა, რომ სულიერი ღვაწლის მნიშვნელობით "ასპარეზი" უკვე გვხვდება ძველ ქართულ აგიოგრაფიაში: "კუალად მჴნეთა მათ თანა მოწამეთა ღუაწლსა მიისწრაფა და *ასპარეზი* იგი მსწრაფლ წარიტაცა და გჳრგჳნითა პატივცემულთა შორის იპოვა" (ასურ. მოღვაწ. ცხ. 188,24,25).

---

[5]და არა გაქრისტიანებული, როგორც არაერთგზის შეცდომით უწოდებდნენ ხოლმე ამ მოვლენას – ანტიკური მითოლოგიის გამოყენებას ქრისტიანულ ორატორულ თხზულებაში (ანდა კიდევ, პირიქით, ბიბლიის მითოლოგიზიაციას). გალიტერატურება ნიშნავს მითოლოგიური თუ ბიბლიური მაგალითის, როგორც პარადიგმის, გამოყენებას ლიტერატურული ხერხის ფუნქციით. სხვა საკითხია, თუ რა შინაარსობრივი დატვირთვა ჰქონდა თითოეულ მათგანს (მაგ., იგი მითოლოგიური მეტაფორა იყო, მხოლოდ ლიტერატურული ხერხის ფუნქციით მოხმობილი, თუ რელიგიური – დემონოლოგიური ფუნქციით; ან კიდევ პირიქით, ბიბლიური პარადიგმა რელიგიური ფუნქციით იყო მოხმობილი, თუ ოდენ ლიტერატურული). K.Demoen, Pagan and Biblical Exempla in Gregory Nazianzen. A Study in Rhetoric and Hermeneutics. Corpus Christianorum. Lingua Patrum, II, Turnholti, 1996, p.294-299; 300-317.

[6]სოფისტური ტროპების ჯგუფები: ათლეტური და საცხენოსნო ვარჯიშები, სამხედრო ტექნიკა, ზღვაოსნობა, სახეები მედიცინიდან, თეატრალური სანახაობები, ბუნების მოვლენები და სხვ. აითვისა ქრისტიანულმა მწერლობამაც და მარტვილებს და მოღვაწეებს მიუსადაგა. შდრ. M.Guignet, St.Grégoire de Nazianze et la rhétorique, Paris, 1911, p.141-167. J.Nimmo Smitt, Romanos the Melodist and Christian Rhetoric, M.Litt. University of Edinburgh, 1971.

[7] M.Guignet, St.Grégoire de Nazianze et la rhétorique, Paris, 1911, p.141-167.

[8] asprēs, aspras საშუალო ირანულში ნიშნავს 1.სიგრძის საზომს - სტადიას (stadium, stadion), უტევანს და 2.ცხენთა სარბიელს, მოედანს, არენას (ἱππόδρομος), მინდორს, ბრძოლის ველს. ამავე მნიშვნელობებით შევიდა იგი სომხურში და ქართულში. იგი გვხვდება ნათარგმნ და ორიგინალურ ძეგლებში, მაგ., "ასპარეზსა ცხენთასა" (მამ.სწ.26,18); "სროლასა და ასპარეზსა", "მოასპარეზედ" (ვეფხ.337,4; 67,3). მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966, გვ.163-164,182,,192,207,283-284.

ასეთივეა მოღვაწეთა სათნოების სარბიელის მოხსენიება "სტადიონად": τοῖς ἀποδυομένοις πρὸς τὸ τῆς ἀρετῆς *στάδιον* (or.24,14.PG5,1185D4-5). "... მათდა სათნოებისა *სტადიონად* მიმართ" (M=A109,233v). "მოღუაწეთა, რომელთაცა ეგულებოდის შესლვად სათნოებისა მას *სარბიელსა*" (E=S383,380r).

თვალსაჩინოებისათვის მივმართავთ ამ ტიპის კიდევ ერთ მსგავს სახეს, მაგ., ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებას, რაც ასევე ქრისტიანი მოღვაწის სულიერი გამარჯვების დასახასიათებლად არის გამოყენებული. იგი სათნოების ჩემპიონია და არა საერო თამაშობების. მაკაბელთა საკითხავის (or.15) ერთ პასაჟში მაკაბელთა დედა, რომელმაც ღირსეულად გადაიტანა შვილების წამება, შედარებულია ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულთან და იწოდება "ულუმპიო მძლედ" ეფრემ მცირის თარგმანში, რომელიც ბერძნულის კალკს წარმოადგენს: Ἐπεὶ δὲ τελειωθέτας εἶδεν, ... διάρασα τὴν κεφαλὴν μάλα φαιδρῶς, ὥσπερ τίς Ὀλυμπιονίκης, ἐν ὑψηλῷ τῷ φρονήματι, καὶ τὰς χεῖρας ἐκτείνασα, μεγάλῃ καὶ λαμπρᾷ τῇ φωνῇ· Εὐχαριστῶ σοι, φησὶ, Πάτερ ἅγιε, καὶ σοί, παιδευτὰ νόμε, ... ὅτι τῶν ἐμῶν ὠδίνων καρπὸν παρεδέξασθε, καὶ ὅτι μήτηρ ἐγενόμην πασῶν μητέρων ἱερωτέρα (PG35,926C5-14). [მაკაბელთა დედამ თავისი შვილები] "ხოლო ვინაჲთგან აღსრულებულნი იხილნა ... აღიღო თავი ფრიადცა ბრწყინვალედ, *ვითარცა ულუმპიო მძლემან*, მაღლითა ცნობითა და ჴელნი განიპყრნა; დიდითა და ბრწყინვალითა ჴმითა "გმადლობ შენ", – თქუა, - "მამაო წმიდაო და შენ, განმწურთელო სჯულო ..., რამეთუ ჩემთა ლმობათა ნაყოფი მიითუალეთ და რამეთუ დედა ვიქმენ დედათა ყოველთა უსამღდელოეს" (or.15,9,26). საყურადღებოა, რომ ეფთვიმე ათონელის თარგმანში სიტყვა ὀλυμπιονίκης ბერძნიზმის გარეშეა ნათარგმნი: [მაკაბელთა დედამ] "მაშინ ზე აღიღო თავი ბრწინვალებით, *ვითარცა მჴედარმან*, რომელსა ეძლიის ერის ფრიადისადა".[9]

"ღრმა წიგნური სიტყვის" ὀλυμπιονίκης გაგებისათვის საყურადღებოა ჰომილიის ამ პასაჟის ბასილი მინიმუსისეული (Xს.) კომენტარი: οὕτως ὁ κατὰ τοὺς Ὀλυμπικοὺς ἀγῶνας νενικηκὼς ἐκαλεῖτο (R.Cantarella, Basilio Minimo, II, p. 10, 18-19). "ესრეთ უწოდიან ულუმპიურთა საბრძოლითა მძლესა "ულუმპიო მძლედ", ვითარცა ულუმპიანად მძლესა" (ეფრემ მცირის თარგმანი: cod.Jer.Georg.15,s.XII,f.245r; Jer.43,s.XII-XIII,f.241r; cod.Tbilisi A109,s.XII-XIII,f.224r).

აქედან ირკვევა, რომ "ულუმპიური საბრძოლი" არის თარგმანი ὀλυμπικὸς ἀγών-ისა, ე.ი. ნიშნავს ოლიმპიურ თამაშობებს, ხოლო "ულუმპიო მძლე" ან "ულუმპიანად მძლე" არის კალკი ὀλυμπιονίκης-ისი და ნიშნავს ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულს, ანუ ოლიმპიურ ჩემპიონს. როგორც ვხედავთ, განმარტება სჭირდება ბერძენ მკითხველსაც კი. ბუნებრივია, რომ განმარტების გარეშე იგი გაუგებარი იქნებოდა ქართველი მკითხველისათვის.

საგულისხმოა, რომ ამგვარი ფორმები არ გვხვდება ქართულ მწერლობაში ეფრემ მცირის ელინოფილურ თარგმანებამდე. ისინი ქართულ მწერლობაში სწორედ ეფრემ მცირემ შემოიტანა. შემდგომში კი ეს ფორმები გავრცელდნენ არა მარტო ელინოფილურ მწერლობაში,[10] არამედ საერო მწერლობაშიც.[11]

ს) *საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის მაგალითები.* ეფრემ მცირისთვის ცნობილია ტერმინ "ფილოსოფიის" შუა საუკუნეებში გავრცელებული ყველა მნიშვნელობა და განმარტება (იხ. ნაშრომის I ნაწილი, შენ.56). იგი ცდილობს მათ დამკვიდრებას ქართულ მწერლობაში. მაგ., იგი განასხვავებს ჭეშმარიტ ფილოსოფიას, ანუ ღვთისმეტყველებას ე.წ. ყალბი ფილოსოფიისაგან, ანუ "გარეშესაგან." ეს კი ტერმინ "ფილოსოფიის" ახალი მნიშვნელობით დამკვიდრება იყო, რადგან ელინოფილობამდელ ქართულ მწერლობაში ეს

---

[9] სიტყუაჲ შჳდთა ყრმათა მაკაბელთათჳს. Sancti Gregorii Nazianzeni Opera. Versio Iberica II, editae a H.Metreveli et K.Bezarachvili, M.Dolakidze, T.Kourtsikidze, M.Matchavariani, N.Melikichvili, M.Raphava, M.Chanidze (Corpus Christianorum, Series Graeca 42, Corpus Nazianzenum 9), Turnhout, 2000, 43-45.

[10] მაგ., იგი გვხვდება XIIს. მეტაფრასებში: "ოლუმპიანისა ღუაწლისა დასასრულ გჳრგჳნი არს" (A162,186r). იხ. ზ.სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1995, s.v. ოლუმპიანი - ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებული.

[11] იხ. ქ.ბეზარაშვილი, იოანე პეტრიწის ე.წ. ბოლოსიტყვაობის ზოგიერთი ადგილის გაგებისათვის: "ულუმპიანთა ძლევანი". Μετάνοια. გ.წერეთლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2001, გვ.48-63.

ტერმინი მხოლოდ "გარეშე" სიბრძნის გამოსახატავად იხმარებოდა.[12] ეფრემი "ჭეშმარიტს" განსაზღვრავს როგორც ბერების ფილოსოფიას და სიკვდილის შესწავლას, ჭეშმარიტი მნიშვნელობის საგნების შემეცნებას და ღმერთთან მიახლებას თავისი სახეებით: პრაქტიკული ფილოსოფიით, ანუ მოღვაწეობით და ხედვით, ანუ საღვთო ჭვრეტით, შემეცნებით:[13]

ა)"*ფილოსოფოსობაჲ* არს *სიყუარული სიბრძნისაჲ*, ხოლო სიბრძნე *ჭეშმარიტი ღმერთი არს*. აწ უკუე სიყუარული ღმრთისა მიმართ – ესე არს *ჭეშმარიტი სიბრძნე*" (ი.დამ.დიალექტ.52,6. ed.Kotter, S.56-57).[14]

ბ)"მოქცევობაჲ სიტყუათაჲ ამის წიგნისაჲ ესევითარი რაჲმე არს, რამეთუ რაჟამს *სიბრძნისმოყუარე*, ანუ ღმრთისმგალობელთა მწყობრი თქუას, *მონაზონთა სახელად*, რამეთუ *ჭეშმარიტად ფილოსოფოსობად, ესე იგი არს სიბრძნისმოყუარებად ჭეშმარიტსა მონაზონებასა სახელ-ედების*" (ფილოთ.ისტ. კოლოფონი. A689, 187v; კოლოფონის სრული ტექსტი იხ. ნაშრომის I ნაწილში).

გ)ტექსტი: Ἐντεῦθεν ἐγὼ μὲν *φιλοσοφεῖν* διέγνων (or.7,9.PG35, 765A15-B1). "მიერითგან უკუე მე *სიბრძნისმოყუარება* განვიზრახე" M. "შ ე ი ს წ ა ვ ე, ვითარმედ *სიბრძნისმოყუარება, რომელ არს ფილოსოფოსობა, არა ეგოდენ სოფლიოჲსა სწავლულებისა, რაოდენ მონაზონებისა სახელ არს წმიდათა წერილთა შინა*, ვინაჲცა აწ რომელ ესე იტყჳს, თავისა თჳსისა მონაზონისა ხატისა შემოსასა, რომლისათჳს მრავლით ჟამითგან სურვიელ იყო" (A292,359v);

ტექსტი: Ταῦτα Καισαρίῳ *ἐφιλοσοφεῖτο* κὰν τῇ χλανίδι (PG35, 768C1-2). "ამათ ზედა კესარიოს *სიბრძნისმოყუარე* იყო" M (or.7,11). "შ ე ი ს წ ა ვ ე, ვითარმედ *ფილოსოფოსობად, ესე იგი სიბრძნისმოყუარებად, მონაზონებისა ცხორებასა სახელ-სდებენ წმიდანი*, ვითარ-ესე აწ ესრეთ იტყჳს, ვითარმედ ამას ზედა კესარიოს მონაზონებდა, დაღაცათუ საერისკაცოჲთა ქლამინდითა შემოსილ იყო..." (A292, 360r).

დ)ტექსტი: χορὸν ἱερέων, χορὸν *φιλοσόφων* (or.19,16,89. PG35,1061D3). "მწყობრსა მღდელთასა, დასსა *სიბრძნისმოყუარეთასა*" M (Jer.43, 13r); შდრ. "კრებულსა მოწესეთასა, კრებულსა მოღუაწეთასა" E (A1, 87r). სქოლიო: "*სიბრძნისმოყუარე* უწოდს მონაზონებით მოღუაწეთა და განშორებულთა ცხორებისა შემტკბობელთა და სამართალ არს "*ფილოსოფოს*", ესე იგი არს "*სიბრძნისმოყუარედ*" წოდებაჲ მათი, რამეთუ *საქმითისა* (=πρᾶξις) ხარისხისაგან *ხედვითისა* (=θεωρία) მიერ *ფილოსოფოსობისა* ხარისხსა აღვლენ, რაჲთა არცა ერთისა რაჲ სიტყჳერისა ჴელოვნებისაგან დაყენებულ იყვნენ უმეცრებისა მიერ" M (or.19,com.87. Jer.43, 13r; შდრ. Jer.15,9r; Jer.13,283v).

2.*ტერმინოლოგიური ფარულმეტყველება – "ღმრთისმეტყუელებისა სიტყუათა მიფარულება" (ეფრემ მცირის შეფასების მიხედვით)*

1) ეფრემის ტერმინოლოგიურ-ცნებითი ფარულმეტყველება და ეფთვიმეს ეგზეგეტური თარგმანი ("განზავებული წყალთაგან სულიერთა", "სიტყუა-სიმოკლე მოძღურისაჲ განავრცო")

A) *"ზედადართული", იგივე "თჳსით გულით დართული" ან "სიტყუადართული"*

a)*ქრისტოლოგიური მაგალითები* – ქრისტეს ორბუნებოვნების, ინკარნაციის – მიწიერი ბუნებისა და კაცობრივი ვნების შესახებ. აქ ეფრემთან ერთ სიტყვაში ენიგმატურად, დაფარულადაა გამოხატული ქრისტეს მიწიერი ბუნება, რაც ქვემოთ წარმოდგენილი ეფთვიმესეული განმარტებების გარეშე გაუგებარი იქნებოდა ლიტონი ერისათვის, მაგ.,

1.*საბურველი* (τὸ κάλυμμα - შინაგანის და სულიერის დამფარავი[15]). საუბარია ქრისტეს ორ ბუნებაზე, ხილულ საბურველში – ხორცში დაფარულ ნათელზე, რომელსაც ებრძვის

[12]დაწვრილებით იხ. ქ.ბეზარაშვილი, "ღრმა წიგნური სიტყვის" გაგებისათვის ეფრემ მცირის კოლოფონებში (იბეჭდება).

[13]ფილოსოფიის ეს ორგვარი მნიშვნელობა მეტად გავრცელებული იყო ეფრემის დროის ბიზანტიურ მწერლობაში თვით საერო მწერლებს შორისაც, მაგ., იოანე ცეცესთან. ასეთი მნიშვნელობით იყენებდნენ მას ფილოსოფოსებიც, მაგ., მიქაელ ფსელოსი და სხვ. H.Hunger, Die hochsprachliche profane Literatur der Byzantiner, Bd.I, München, 1978, S.9.

[14]იოანე დამასკელი, დიალექტიკა, მ.რაფავას გამოცემა, გვ.172. ed.Kotter, p.56,3,1-27.

ნათლისმდევნელი, ანუ ბოროტი: (ὁ τοῦ φωτὸς διώκτης) καὶ τῷ Λόγῳ καὶ Θεῷ μοῦ προσέβαλε *διὰ τὸ κάλυμμα*, τῷ κρυπτῷ φωτὶ διὰ τὸ φαινόμενον (or.40,10,37. PG36,369B10-14). "(ნათლისმდევნელი) ... რამეთუ სიტყუასაცა და ღმერთსა ჩემსა მოუკდა *საბურველისათჳს* დაფარულსა ნათელსა საჩინოსა მისჯულ" M (A109,90v). შდრ. (მდევარი იგი ნათლისაჲ) "ვინაჲთგან სიტყუასაცა და ღმერთსა ჩემსა მოუკდა *საბურველისა მისთჳს ჴორცთაჲსა* დაფარულსა მას ნათელსა ხილულისა მისთჳს" E (A1,209v).

2.*კარვად მიწოს* (τὸ γεῶδες σκῆνος - მიწიერი სხეული; სხეული, როგორც სულის კარავი. Ιμογ.5,1.4.[16] სხეულს მიწიერ კარავს უწოდებდა პლატონიც: τὸ σῶμα...ὃ γήινόν φησιν ὁ Πλάτων σκῆνος. Clem.Alex.Strom.5,14.PG9,140A. იგი ხშირად იხმარება ქრისტეს სხეულის მნიშვნელობით[17] და მიწიერი აგებულების დაფარულად გადმოსაცემად. ეს იგივეა, რაც ზემოთ განხილული (ხორციელი) საბურველი: τοῦ δι' ἡμᾶς πτωχεύσαντος τὴν σάρκα ταύτην καὶ τὸ *γεῶδες σκῆνος* (or.14,15,68.PG35,876C2-3)."დაგლახაკნა ჩუენთჳს ჴორცთა ამით და *კარვთა მიწისაჲთა*" M (A109,161v). შდრ. "ჩუენთჳს დაგლახაკნა და განჴორციელდა და *მიწისაგანი ესე აგებულებად მიიღო*" E (A1,326v). შდრ. τὸ γεῶδες σκῆνος (or.16,15,56.PG35,953C6). "ქუეყნიერი კარავი" M (A109.183v). "ქუეყანისაგანი ესე გუამი" E (A1,311r).

3.*ერთპატივობად* (τὸ ὁμότιμον - თანაბარი პატივის მქონე, ანუ ბუნებით თანასწორი). ჩვენი, ანუ კაცობრივი ბუნების მიღებით მაცხოვარი ჩვენი მსგავსი გახდა, ანუ ღვთაებრივი მოწყალებით კაცის თანაბარი და სწორი, რაც ღვთისმეტყველებაში ლაკონიურად იწოდება "ერთპატივობად". ეს ტერმინი ბერძნული კომპოზიტის – τὸ ὁμότιμον-ის კალკია: εἰσήνεγκεν ἡμῖν...*τὸ ὁμότιμον* (or.19,13,73.PG35,1060A12-13). "შემოიღო ჩუენდა ... *ერთპატივობად*" M (Jer.43,11v). შდრ."რომელ-იგი *მსგავს ჩუენდა იქმნა აურაცხელითა მით წყალობითა*" E (A1,85r).[18]

4.*სწორებით მოკუდა* (ὁμοίως ἀποθνήσκω - ისევე მოკვდა, როგორც კაცი). კაცობრიობის ხსნისათვის ქრისტე კაცობრივის სწორი (თანაბარი, მსგავსი) სიკვდილით მოკვდა, ანუ თავს იდვა ჩვენთვის, კაცთათვის სიკვდილი, რასაც ლაკონიურად ეწოდება "სწორებით სიკუდილი": ὑπὲρ ὧν Χριστὸς *ὁμοίως ἀπέθανεν* (or.14,14,67.PG35,876B1. შდრ. ὑπὲρ οὗ Χριστὸς ἀπέθανεν -Rom.14,15). "რომელთათჳს ქრისტე *სწორებით მოკუდა*" (შდრ."რომლისათჳს ქრისტე მოკუდა" -რომ.14,15) M (A109,161v). შდრ."რომელთათჳს ქრისტემან თავს-იდვა სიკუდილი, ვითარ-იგი ჩუენთჳს" E (A1,326v).

---

[15]G.W.Lampe-სთან არაა დაფიქსირებული κάλυμμα-ს ეს მნიშვნელობა: ხორციელი საბურველი. დასახელებულია მონათესავე მნიშვნელობის მაგალითები: წმ.წერილის სულიერი შინაარსის დამფარავი ლიტერალური მნიშვნელობა და სხვ.

[16]შდრ. დაპირისპირება პავლეში: οἰκία *τοῦ σκήνους* ("*ქუეყანაჲ* ესე სახლი") და οἰκίαν ἀχειροποίητον αἰώνιον ("სახლი ცხელთ-უქმნელი საუკუნოჲ". Ιμογ.5,1); εἰς τὰς αἰωνίους *σκηνάς* ("საუკუნეთა მათ *საუფლოჲსა*". ლკ.16,9). გასაგებია ქსელთ-უქმნელი საუკუნოჲ" მისაზრება: საკმაოდ ძნელი მისახვედრია, რომ ეფრემის თარგმანის "ქუეყნიერ ჩვეულების მიერ გამოვსჭილი" მისაზრება: საკმაოდ ძნელი მისახვედრია, რომ ეფრემის თარგმანის "ქუეყნიერ კარავში" (M=A109,183v; γεώδες σκῆνος-or.16,15,56.PG35,953C6) აღმაშინის სხეული ეფრემისშია. ეფრემის მიერ კონტექსტისათვის შერჩეული მნიშვნელობა "ქუეყანისაგანი ესე გუამი" (E=A1,311r) კი, გაცილებით უფრო სწორი თარგმანია და გასაგებია (ჩამოყალიბებული, რამდენიმე დაკვირვება ეფრემის აზოლესის და ეფრემ ცვირის მთარგმნელობით ძეგლებზე "მაცხე", ელს, 1987,N4,გვ.123).

[17] G.W.Lampe, op.cit., s.v.σκῆνος. σκηνή, σκήνωμα. გარდა ზეცეული კარვის, ანუ ღვთის სახლის მნიშვნელობისა (ფს.14,1; 26,5-6 და სხვ.), კარვის სხვა მნიშვნელობათაგან აღსანიშნავია: აქქვეყნიური, ტანიერი ცხოვრება. ამ შემთხვევაშიც გრიგოლის თხზულებათა თარგმნისას ეფრემმაც არ გადმოაქცა ეს ტერმინი და განმარტებით ცვლის მას. მაგ., *τὴν ἀρχικὴν σκηνὴν* αἴρουτες (or.16,19,78.PG35,961A11). "მთავრებრის *კარვის* ადმდგმელთა"M (A109,186v). შდრ. "საოცრად განცხრომასა მას ზედა მთავრობისასა ზუთაკუნ"E (A1,315v). შდრ. ბასილი მინიმუსის განმარტება: "კარავ" უწოდს ყოველთავე სოფლიოთა პატივთა..." და ა.შ. (or.16, com.46. A109. 186r); ὃς δ' οὖν ἐπαυήκαμεν, μικρὰ τῷ κόσμῳ καὶ *τῇ σκηνῇ* χαριτσάμενοι (or.43,25,119.PG36,529C1-2). "ხოლო ვითარცა უქ მოეჭაცით, მცირედ ვიხარებ სოფლისა და *კარვსა* ზედა"M (A109,30v). შდრ. "ხოლო მო-რა-ვედით ქუეყანად ჩუენდა, მცირედ დაგვაკო სოფლისა შინა ხილვად მეგობართა და თჳსთა"E (A1,146v). შდრ. ბასილი მინიმუსი: "კარავ" უწოდს საერისკაცოსა სიბრძნისა მაჩუენებლობასა..., ყოველსა საწუთროსსა ამის დადებასა" (or.43, com.78.A109,30v).

[18]ძნელი გასაგებია იგი კონტექსტისა და განმარტების გარეშე, რადგან ღვთისმეტყველებაში ამავე ტერმინით აღინიშნება, მაგ., ძის ერთპატივობა მამის მიმართ (τὸ ὁμότιμὸν τὸ πρὸς τὸν πατέρα - Chrys.hom.71.2 in Mt. PG7,696B) და ა.შ. G.W.Lampe, op.cit., s.v. ὁμότιμος.

b)*ანთროპოლოგიურ მაგალითში* ტერმინი "ქუენაჲს შეზავებისაგანი" (ἡ κάτω συνθέσις), როგორც კაცობრივი ცოდვის სახელი (κάτω ქვეყნა სამყაროა ზენასთან – ანგელოსთან დაპირისპირებული. სუსხთან შეზავებით სიცივის მიღება), სუსხთან თეოლოგიაში სიცივე ბუნების საპირისპიროდ იხმარება),[19] განიმარტება როგორც მიწიერ ბუნებასთან შერეული: τὸ δὲ ἁμαρτάνειν, ἀνθρώπινον, καὶ *τῆς κάτω συνθέσεως* (or.40,7,25.PG36,366C3-4). "ხოლო ცოდვაჲ კაცობრივი არს და *ქუენაჲს შეზავებისაგან*" M (A109,88v). შდრ."ხოლო ცოდვაჲ კაცობრივი არს და *ბუნების მის მიწისა თანა შერეულისაჲ*" E (A1,207r).

c)*სოტერიოლოგიის მაგალითები.* მეორედ დაბადება, ნათლისღებით ან აღდგომით განახლება "აღმოდაბადებად" (ἀνάπλασις, ἀναπλάσσω) იწოდება ლაკონიურად. ეფრემის ტერმინი ბერძნული წინდებულიანი ფორმის კალკია: [ τὸ ἑαυτοῦ πλάσμα] ἀλλ' ὥσπερ *οὐκ ὄντας ὑπέστησεν, οὕτως ὑποστάντας ἀνέπλασε*, πλάσιν θειοτέραν τε καὶ τῆς πρώτης ὑψηλοτέραν (or.40,7,26.PG36,366C7-9). "არამედ ვითარ-იგი არაარსნი არს მყნა, ეგრეთვე *დაბადებულნი აღმოჰქუდაბადნა* დაბადებითა *უსაღრთოესითა და პირველისა უმაღლესითა*" M (A109,88v). შდრ."არამედ ვითარცა-იგი არაარსისაგან არსად მოიყვანა, ეგრეთვე *არსებად მოსრულნი ესე კუალად მეორედ დაჰუბადნა* დაბადებითა მით უმაღლესითა და პირველით მის უაღრესითა" E (A1,207r). როგორც ვხედავთ, ეფრემი დედნისაგან დამოუკიდებელი რიტორიკული ხერხის გამოყენებით – ერთი ძირისაგან ნაწარმოები სიტყვების ალიტერაციით ("დაბადებულნი აღმოჰქუდაბადნა") უფრო გამოკვეთს ტერმინის ღირებულებას. *Πῶς οὖν ἀναπλασθῆναι*, καὶ τί γενέσθαι; (or.*45,12,62*.PG36,640A6-7). *"ვითარ აღმოდაბადებაჲ*, ანუ რაჲ ქმნაჲ?" M (A109,195v). შდრ. "ეძიებდა ღონესა, რომლითამცა განგუაახლნა და მისა მოგუაქცინა" E (A1,24v).

d)*თეოზისის მაგალითები*

1.განღმრთობაზე, პირველქმნილ, ცოდვითდაცემამდელ მდგომარეობასთან – "პირველ ბუნებასთან" დაბრუნებაზე მეტყველებს ლაკონიური ფრაზები: "აღმართებაჲ" (ἀναπληθῆναι) და "დასაბამისადგე აღყვანებაჲ" (πρὸς τὸ ἀρχαῖον ἐπαναχθῆναι): ἔδει πάλιν *ἀναπληθῆναι*, καὶ *πρὸς τὸ ἀρχαῖον ἐπαναχθῆναι* or.45,12,61.PG36,640A3-4). "კუალად *აღმართებაჲ* და *დასაბამისადგე აღყვანებაჲ*" M (A109,195v). შდრ."ხოლო ჯერ-იყო კუალად *პირველსა მას ბუნებასა* და *მცნიერებასა დამბადებულისასა მოსლვაჲ* ჴუენი"E (A1,24v).

2.ტერმინი "მობერვა" (ἐμπνέω) სამების მესამე პირით – სული წმიდით შთაგონების აღმნიშვნელია და მისი მადლის გამოხატველია. Lampe-ს პატრისტიკულ ლექსიკონში სწორედ გრიგოლის აღნიშნული ჰომილია არის დასახელებული ამ სიტყვის განმარტებისას, როგორც პიროვნების შთაგონების გამომხატველი.[20] დამოწმებულია პასაჟი სულიწმიდის დიქტირინებათვის საჭადაგებლად შთაგონებული ათანასეს შესახებ: τοῦτο περὶ τοῦ ἁγίου Πνεύματος αὐτὸς *ἐμπνευσθεὶς* ὕστερον (or.21,33,179. PG35,1124A1). "ესეგე ამას *მობერვით* მოცა უკუანაჲსკნელ სულისა წმიდისათჳს" M (A109,137r). შდრ."ესე აწ დიდმან ამან მნათობმან ეკლესიისამან სულისა წმიდისათჳსცა დაამტკიცა *მადლითაჲ სულისა წმიდისაჲთა*" E (A1,273r).

e)*ესქატოლოგიის მაგალითი.* სასუფეველში ამაღლებაზე და მის საქმეებზე მეტყველებს ლაკონიური ფრაზა "ზენაჲს-ყოფა" (ἄνω οὖσα[21]): καὶ ἀκούοντας καὶ πιστεύοντας, *ἄνω τε οὔσαν καὶ πρὸς ἑαυτὴν ἑλκουσαν (შდრ. εἰς τὸν οὐρανόν- In.3,13; 12,32) (or.14, 20, 91. PG35,* 884B11-12). "სჳნეღთა და რწმუნებულთა, *ზენაჲს-ყოფისა* და მისსა მიმართ

---

[19]G.W.Lampe, op.cit., s.v.κάτω, ἡ σύνθεσις,A6 (შდრ. ὁ Θεὸς ἀσύνθετος λέγεται. Just. qu. et resp.129.PG6,1380BC. შდრ. Gr.Naz.31.32.PG36,169B; ibid.31.33.172A).

[20]G.W.Lampe,op.cit.,s.v.ἐμπνέω. 3. შდრ.იქვე: ὡς τινος *θείας χάριτος* ἐμπνευσθεὶς (Eustrat.v.Eutych.46.PG86,2328B; ibid. 9. PG86, 2284C). როგორც ვხედავთ, ზოგჯერ პატრისტიკაში იგი ისევე გავრცობილად (სალვოო მადლის მობერვად) არის წარმოდგენილი, როგორც ეფთემისთან.

[21]G.W.Lampe-ს განმარტებით მისი ერთ-ერთი მნიშვნელობაა ზეცური სულიერი საგნები, მათი ჭვრეტა (s.v. ἄνω. 6. შდრ. ἐπὶ τὸ ἀνώτερον, ἐπὶ τὴν αἰώνιον ζωήν-Orig. hom.in Jo.13,3.PG14,404B).

მიმხიდველობისათა" M (A109,165r). შდრ."რომელთა-ესე გუსწავიეს და გუორწამს, ეთოარმენ *ზჳცა გჳლოს ამაღლებად* და ზეცისა საქმეთა სიყუარული" E (A1,331r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

B) *"თარგმანთავანი", ანუ "თარგმანისაგან ჩართული".*

ეფთვიმეს მიერ კომენტარებიდან ტექსტში ჩართული განმარტებები, რომლებიც დაეძებნა გრიგოლისეული ტერმინოლოგიური ფარულმეტყველების მაგალითებს[22], კიდევ ერთხელ ცხადყოფენ, რომ ამგვარი ადგილები, მართლაც, მოფარულად, ბუნდოვნად იყო თქმული და მოითხოვდა სპეციალურ განარტებას არა მარტო ეფთვიმეს მიერ ლიტონი ქართველი ერისათვის, არამედ ბერძენი კომენტატორის მიერაც არცთუ გაუნათლებელი მეთხველისათვის (ბასილი მინიმუსის კომენტარები ხომ მწიგნობარი იმპერატორისათვის – კონსტანტინე პორფიროგენეტისათვის იყო განკუთვნილი[23]).

a) *ქრისტოლოგიური მაგალითები. ინკარნაციის* გამოსახატავად ღვთისმეტყველებაში კაცობრივი ბუნება, რომელიც ქრისტემ მიიღო, იწოდება აგრეთვე "მიღებულ ბუნებად". ჩვეულებრივ, გრიგოლი და, შესაბამისად, ეფრემი მას გადმოსცემენ ერთი ლაკონიური სიტყვით "მიღებული" (ἡ πρόσληψις , τὸ πρόσλημμα - კაცობრივი ბუნების მიღება ლოგოსის მიერ). იგი ისეთივე ტერმინია, როგორიც σάρκωσις - განხორციელება, მხოლოდ მასავით "საყოველთაოდ ცნობილი" არ არის. Lampe-სთან დამოწმებულია გრიგოლ ღვთისმეტყველი: περὶ τὴν Χριστοῦ σάρκωσιν, ἤτοι πρόσληψιν - or.21,3,15.PG35,1085A14-15.[24] შდრ. "ქრისტეს განჴორციელებას, რომელ არს განკაცებაჲ"EM (A109,122r; A1,249v); დამოწმებულია აგრეთვე იოანე დამასკელი: κατὰ τὴν ... σάρκωσίν τε καὶ πρόσληψιν-Jo.D.rect.sent.2.PG94,1425A). გრიგოლის მიხედვით, ქრისტე ღვთისგან ცხებულია და მცხებელთან მიმსგავსებული: ἀλλὰ καὶ *διὰ τὴν πρόσληψιν* τὴν χρισθεῖσαν θεότητι, καὶ γενομένην ὅπερ τὸ χρῖσαι (or.45,13,65.PG36, 641A1-2). "არამედ *მიღებულისაჴს ღმრთებრ ცხებულისა და მცხებელებრ* ქმნულისა" M (A109,196r). შდრ. "არამედ *კაცებისა მისაჴსცა მისისა, რომელი მიიღო,* რომელი-იგი იცხო ღმრთებითა და იქმნა მსგავს მცხებელისა მის" E (A1,25v). როგორც ვხედავთ, ეფრემი ამ შემთხვევაში კიდევ უფრო ამძაფრებს დეფინიტრაციას (χρισθεῖσαν-χρῖσαι: ცხებულისა-მცხებელებრ) იმით, რომ უმატებს მას მეორე წყვილს (მიღებულისაჴს-ღმრთებრ). რამდენიმე შემთხვევაში (სხვადასხვა ადგილას) ტერმინი πρόσληψις განმარტებულია კომენტატორის მიერ, რასაც ეხმაურება ეფთვიმეს თარგმანიც (შდრ. ბასილი მინიმუსის კომენტარი, რომელსაც აირეკლავს ეფთვიმესეული თარგმანები, რაც იმას მოწმობს, რომ ეფთვიმე ზოგადად ითვალისწინებდა კომენტართა მონაცემებს და არა მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში გადმოჰქონდა მისი რომელიმე ფრაზა: "სრულებით მიიღო ბუნებაჲ კაცობრივი.." -or.40,com.106. A109,113v).

შდრ. აგრეთვე προελθὼν δὲ Θεὸς *μετὰ τῆς προσλήψεως* (or.38,13,60. PG36,325B14=or.45.9, 49. PG36, 633D5. შდრ. Jo.D.Jacob.83.PG94,1481C[25]). "გამოვიდა უკუე ღმერთი *მიღებულისაგე თანა,* ერთი ორთაგან წინააღმდგომთა –ჴორცთა ვიტყჳ და სულისა" M (A109,194r). შდრ."გამოვიდა უკუე ღმერთი *მიღებულითა მით გუამთა,* ერთი ორთაგან შუუმაგასებელითა, ჴორცთა ვიტყჳ და სულისა" E (A1,22v). შდრ. ბასილი მინიმუსის კომენტარი: "ხოლო რაჲთა

---

[22] ეფთვიმეს მიერ ბასილი მინიმუსის კომენტარებით სარგებლობის მაგალითები პირველად მოიძიებს მრაფვიმ და თოთნჰეზ'ხურმა (იხ. ნაშრომის I ნაწილის შენ. 69-ში დასახ. მათი შრომები). ეს ჩანართები კომენტარებიდან ეფთვიმეს თარგმანში სხვადასხვა ხასიათისაა: თეოლოგიური, ტრინიტოლოგიური და აშ. ისინი შედიოდენ დამატებით ინფორმაციის წყაროდ ბერძნულენოვანზე თუ სხვ. ჩვენს მიერ საკვანძოდ ამ შრომისათვის მოძიებული მაგალითები უმეტესად წარმოადგენენ უშუალოდ ტერმინული ფარულმეტყველების ხერხით შექმნილი სიტყვიერი იკონოგრაფიის განმარტებასა და განარტივებას ნიმუშებს, ხოლოდ "თარგმანთაგანი" და "ხედაჲთრული" ფარავენ ერთიანების, ერთიანების ფრაზების ფრაგმენტების ერთიანებად, რაც ეფთვიმე ბასილის კომენტარიდან არა მთელ ფრაზებს, არამედ ერთიანების ფრაგმენტებს ირჩევდა და ათავსებდა თარგმანში. ამ საკითხის დეტალური განხილვა მოცემულია ჩვენს მიერ მომზადებულ სტატიაში: "ეფთვიმე მთარგმნელი და ფილოლოგი", მრავალთავი XV, თბ.,1989,გვ.18-31.

[23] იხ.თოთნჰეზ'ხური, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტირების ისტორიიდან. მრავალთავი XV, თბ.,1989,გვ.18-31.

[24] იხ. G.W.Lampe, op.cit., s.v. πρόσληψις. აღსანიშნავია, რომ ზოგი წმ. მამა ამ ტერმინს გრამატიკულ განსაზღვრებათან ერთად იყენებს (ἡ σάρξ - ხორცი. მაგ., თუ ობიექტთან (ე.წ. Genetivus obiectivus) ერთად ეყენებს (ἡ σάρξ - ხორცი. მაგ., πρόσληψις σαρκός - Eus.Ps.5,12.PG23,117C;ἡ πρόσληψις τῆς σαρκός - Ath.Ar.2.14.PG26,176C; შდრ კათ πρόσληψιν πάσης τῆς ἀνθρωπείας φύσεως - Photinus et al.ep.ap.Epiph.haer. 72. 12 .PG42, 397D; Gr. Nyss. Apoll. 40. PG45, 1213C; ἐν προσλήψει σαρκός - Cyr.Alex.Arcad.;apol.Thdt.I;ἐν προσλήψει ψυχῆς λογικῆς καὶ σώματος - Flav.CPep.Thds.PG65,892B), ზოგი კი (მათ შორის გრიგოლ ღვთისმეტყველი) – განსაზღვრების თუ ობიექტის გარეშე, რაც ქმნის სწრაფად მის მიფარულებას არა მარტო ქართულ თარგმანში, არამედ ორიგინალშიც.

[25] გრიგოლ ღვთისმეტყველის ეს მაგალითიც დამოწმებულია G.W.Lampe-სთან, s.v. πρόσληψις.

სრულებაჲ განკაცებისაჲ გაუწყოს, ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ: "გამოვიდა ღმერთი მიღებულისა მის თანა..." აჰა სრულიად მიღებაჲ სულისა და ჴორცთაჲ, რომლითა *ყოვლადვე კაცებაჲ სრულიად მიიღო ღმრთეებამან*" - ἐν γὰρ τῇ προϋπαρχούσῃ τοῦ Θεοῦ Λόγου ὑποστάσει ἡ ἔμψυχος αὐτοῦ ὑποστᾶσα σὰρξ αὐτὴν ἔσχαν ὑπόστασιν (or.38,com.106. Jer.15,20r; Th.Schmidt ed.,129,$_{4-6}$, p.90).

b)*განღმრთობის* გადმოსაცემად ბერძენი კომენტატორისგან (ბასილი მინიმუსი) და ქართველი მთარგმნელისგანაც (ეფთვიმე ათონელი) არამცოდნეთათვის ("არამეცნიერთათჳს") განმარტებას თხოულობს ის მოვლენა, რომ ეს დიდი პატივი ადამიანს მიენიჭება არა მისი ბუნების გამო, არამედ მადლით: Γνῶθι πόθεν σοι τὸ εἶναι, τὸ ἀναπνεῖν, τὸ φρονεῖν..., υἱὸν γίνεσθαι Θεοῦ, συγκληρονόμον Χριστοῦ, τολμήσας εἴπω, *καὶ θεὸν* αὐτόν; (or.14,23,103.PG35,888A 6-12). "სცნობდ, ვინაჲ შენდა ყოფაჲ, აღმოფშჳნვაჲ, ცნობაჲ....ძე-ყოფაჲ ღმრთისაჲ, თანამკჳდრ ქრისტესსა, კადრებით ვთქუა, თჳთ *ღმერთცა*?" M (A109,166r). შდრ."გულისჴმა-ყავ, თუ ვინაჲ არს შენი არსებაჲ, მშჳნვარებაჲ და ცხორებაჲ?... შვილ-ღმრთისა-ყოფაჲ, თანამკჳდრობაჲ ქრისტესი, ვიკადრო თქუმად, *ღმერთ-ყოფაჲ მადლითა*?" E (A1,333r). შდრ. ბასილი მინიმუსის კომენტარი: "ნამდჳლვე დიდ საკადრის არს განღმრთობისა კაცთაჲსა თქუმაჲ, უკუეთუ ვინ არა მეცნიერ იყოს, ვითარმედ *მადლით* და არა ბუნებით არს განღმრთობაჲ იგი" (or.14,com.63. A109,166v).

c)*შესაქმის* მაგალითებიდან განმარტებულია შემდეგი:

1.დამბადებელი, ანუ არსთა მქმნელი (არსმქმნელი) იგივე არაარსისაგან არსებად მომყვანებელია: *ὧν ποιητὴν* εἶναι (or.14,33,159.PG35,904A1). ("ვინაჲთგან საჭიროდ უჴმს წინაგანმგებელცა ამათდა ყოფაჲ), რომელთა *დამბადებელ* არს" M (A109,172v). შდრ."რომელნი-იგი *არაარსისაგან არსებად მოიყვანნა*, (მპყრობელცა და განმგებელ მათდა იყოს)" E (A1,344v); μὴ τινος *οὐσιώσαντός* τε καὶ συναρμόσαντος; (or.14,33,158.PG35,901C14). "არათუმცა ვისმე *არს-ექმნა* და შეენაწევრა?" M (A109,172v). შდრ."არა თუმცა *დამბადებელმან მოიყვანნა არსებად* და შეზავნა თჳთებანი იგი?" E (A1,344r). შდრ. ბასილი მინიმუსის კომენტარი: "პირველად *არაარსისაგან არსად მოყვანებაჲ* უჴმს ნივთსა. ამისსა შემდგომად დასახვაჲ ვითარებად რადმე ქმნულებისა და ეგრეთდა *პყრობაჲ და განგებაჲ*" (or.14,com.92. A109,172v). ეფთვიმეს პირველი მაგალითი მეტ მსგავსებას ამჟღავნებს მეორე მაგალითის კომენტართან. ჩანს, ეფთვიმე ზოგადად ხელმძღვანელობდა გრიგოლის კომენტარებით. ეფთვიმე ბევრჯერ იყენებს კლიშედ ქცეულ ამ განმარტებას: ὁ ὢν *γίνεται*, καὶ ὁ ἄκτιστος κτίζεται (or.38,13,61. PG36,325C2). "*არსი იქნების* და აუგებელი აეგებვის" M (Jer.43,20r). შდრ."*არარსი იგი არს იქმნების* და დაუბადებელი დაიბადების" E (A1,95v) და ა.შ.[26]

2.საუბარია ადამიანისათვის შემოქმედის მიერ მინიჭებული თავისუფალი ნების, თავისუფალი არჩევანის უფლების შესახებ, რომლის მიზანია ის, რომ ადამიანმა არა მხოლოდ იძულებით – ღვთისაგან მინიჭებული სიკეთის თესლის გამო, არამედ თავისი ნებით აირჩიოს სათნოება, სიკეთე. ამასთან, კეთილის მიმღებლის, ე.ი. ადამიანის ნებით არჩეული სიკეთე არანაკლებია, ვიდრე მიმცემელის, ანუ ღმერთის მიერ გაღებული სიკეთის თესლი.[27] განმარტების გარეშე ძნელი გასაგებია, თუ რომელ თესლზეა აქ საუბარი: τῷ αὐτεξουσίῳ τιμήσας, ἵν' ᾖ τοῦ ἑλομένου τὸ ἀγαθὸν οὐχ ἧττον ἢ του παρασχόντος *τὰ σπέρματα*... (or.45,8,38.PG36,632C2-4; შდრ. or.38,12,49.PG36,324B5). "და თჳთმფლობელობითა პატივ-სცა, რაჲთა იყოს აღრჩევით კეთილი არა უდარეს მიმადლებულთა *თესლთა*" M (A109,193r). შდრ."და თჳთმფლობელობითა პატივ-სცა, რაჲთა იყოს კეთილი იგი არა უნაკლულევანეს მიმღებელისა მის კეთილთაჲსა, ვიდრელა მიმცემელისა მის *თესლთა კეთილისათა*..." E (A1,21r). შდრ. ბასილი მინიმუსის კომენტარი: "აქა იტყჳს კაცისათჳს, ვითარმედ: რაჲთა არა უდარეს ღმრთივმოცემულისა კეთილისა იყოს თჳთ ნებსით თჳთმფლობელობით აღრჩევაჲ იგი

[26]შდრ.ὁ τεχνίτης ... ἐμόρφωσε, καὶ εἰς τάξιν ἤγαγε καὶ ... οὐσίωσε τὰ ὁρώμενα-Bas.Hex.22.PG29,32A; οὐσιοῖ τὰ μὴ ὄντα, τὰ κτισθέντα συνέχει-Bas.Spirit.19.PG32,101B. G.W.Lampe, s.v. οὐσιόω.
[27] იხ. Lampe, s.v. τὸ σπέρμα სიკეთის (ἡ ἀρετή) თესლის მნიშვნელობით (5.d).

მისგან კეთილისაჲ, ესე იგი არს, უნაკლულო და სრულყოფაჲ კაცისაჲ სათნოებათა შინა, რაჲთა არა ხოლო *თესლნი აქუნდენ კეთილთანი* ღმრთისა მიერ, ვითარცა იძულებით ყვანებულსა ღმრთისასა, არამედ ნებსით უიძულებლად და თავისუფლებით იყოს ადამ მოქმედ სათნოებისა" (or.45,com.18. A109,193r; შდრ. დუბლეტური პასაჟის კომენტარი: καὶ μὴ μόνου τοῦ παρασχόντος τὰ σπέρματα τῶν ἀγαθῶν Θεοῦ ὡς μὴ κατ᾽ ἀνάγκην ἐκ Θεοῦ γινόμενον, ἀλλ᾽ ἐλευθερίως τελοῦντος τὴν τοῦ ἀγαθοῦ ἐργασίαν τοῦ ᾽Αδάμ. or.38, com. Th.Schmidt ed., 115b,3-6,p.82).

d) *ზეციური იერარქიისა* და *პნევმატოლოგიის* სფეროდან აღსანიშნავია უმაღლესი სიკეთის განფენა ანგელოზურ და ზეციურ ძალებზე. გრიგოლ ღვთისმეტყველთან მეორე ნათლად სახელდებული გონიერი სულები უძრავნი და ძნელად მოძრავნი არიან ბოროტის მიმართ და მხოლოდ სიკეთისაკენ წარიმართებიან (იძრვიან), როგორც ღვთისგან უშუალოდ გაბრწყინვებულნი.[28] გრიგოლი და, შესაბამისად, ეფრემი აღარ იმეორებენ წინა ფრაზაში ერთხელ უკვე ნათქვამ დაზუსტებას, თუ რის მიმართ არის ამ უსხეულო საგნების აღუძრველობა (ἀκινήτους *πρὸς τὸ κακόν*. "აღუძრველ *ბოროტისა მიმართ*"- or.45,5,28.PG36,629B4) და ქვემოთ მხოლოდ ტერმინ ἀκίνητος-ის მოხსენიებით კმაყოფილდებიან:[29] πείθει δὲ με, μὴ *ἀκινήτους*, ἀλλὰ δυσκινήτους, καὶ ὑπολαμβάνειν ταύτας... (45,5,29. PG36,629B7). "ხოლო დამარწმუნებს მე არა *შეუძრველ*, არამედ ძნიად აღსაძრველ გონებადცა ამათდა..." M (A109,192r). შდრ."ხოლო დამარწმუნებს მე არა თქუმად, არცა შერაცხვად მათთჳს სრულიად *აღუძრველ ბოროტისა მიმართ*, არამედ ძნიად აღსაძრველ..." E (A1,19v). შდრ. ბასილი მინიმუსის კომენტარი: "სიტყუერებითა თანაარს და მახლობელ ურთიერთას უწოდს ბუნებასა უჴორცოთასა, რომელთა ძნიად აღსაძრველობაჲ კეთილისაგან ამისთჳს თქუა, რაჲთა ცხად-ყოს, ვითარმედ სიტყუერი ბუნებაჲ არა მყის კუეთებასავე თანა აღიძრვის კეთილისაგან, არამედ თჳთმფლობელობით აღირჩევს და ერთგზის კეთილსა ზედა დაბადებული ნებსით უკუანაჲსკნელდა მიდრკების *სიბოროტედ* განვრდომითა თჳსისა სიკეთისაგან" (or.45, com.14. A109,192r; შდრ. დუბლეტური პასაჟის კომენტარი: μὴ ἀκινήτους πρὸς τὸ κακόν. or.38, com. Th.Schmidt ed., 92,4, p.72).[30]

2)მიფარულების "სხუებრ ცვალება".

A) *"განზავება სიცხადე-სიადვილით", "სიტყვათა მარტივობით".* გრიგოლისეულ მიფარულებას და ლაკონიურობას ეფთვიმე არა მარტო ავრცობს, არამედ ცვლის უფრო მარტივი და გასაგები ფორმით. აი, მაგალითები *ანთროპოლოგიიდან და ქრისტოლოგიიდან*:

1.*ანთროპოლოგიიდან.* საღვთისმეტყველო ენით "აგებული ბუნება" იგივე კაცობრივი ბუნებაა, შექმნილი ბუნება, ანუ ბუნებითი შობა, განსხვავებით ღვთაებრივი ბუნებისაგან[31]: καθαρὸς γὰρ ἀπὸ ῥύπου παντελῶς οὐδεὶς, οὐκ οὖν ἐν *γεννητῇ φύσει* (or.14,30,143.PG35,897C9-10). "რამეთუ არცა ერთი ვინ ყოვლითურთ წმიდა ბიწისაგან არა არს *აგებულთა ბუნებასა* შინა"M (A109,171r). შდრ. "რამეთუ სრულიად წმიდაჲ და ყოვლისაგან ბიწისა შეუხებელი არავინ არს *ბუნებასა მას შინა კაცობრივსა*"E (A1,341r).

2.*ქრისტოლოგიიდან.* სიტყვა "თბე" (τὸ φύραμα-ცომი, საფუარი) კაცობრივი სუბსტანციის და ქრისტეს ინკარნაციის გამომხატველია[32]. მისი რთული სახისმეტყველება ძველი და ახალი აღთქმის მოვლენების დამაკავშირებელია. "თბე" არის ცომი, საფუარი, რომელიც ეგვიპტური ცოდვების გამოხატულება იყო, ამიტომ ხვდებოდნენ ებრაულ პასექს უცომოთი (გამოსლ.12,9). ახალი აღთქმის მიხედვით, რადგან ქრისტეს სიკვდილით ადამიანი კვდება ცოდვისათვის,

---

[28]ბერძნულ ფილოსოფიაში ფართოდ ცნობილი მოძრაობის ცნების (κίνησις) გამოყენებას გრიგოლ ნოსელის ტრინიტარულ მოძღვრებაში, ქრისტიანული საღვთისმეტყველო ენის კავშირს ბერძნული ფილოსოფიის ენობრივ მემკვიდრეობასთან, მის გამოყენებას terminus technicus-ის მნიშვნელობით, ფილოსოფიური ცნების შეკავშირებას ბიბლიურ აზრთან შეისწავლის თ. დოლიძე, ერთი ფილოსოფიური ცნების რეცეფციისათვის გრიგოლ ნოსელის მოძღვრებაში წმ.სამების შესახებ.- Μετάνοια. გრ.წერეთლის 130 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ.,2001, 82-102.

[29]ლაკონიურობა და მიფარულება ზემოთ უკვე ნახსენები კონტექსტის გამეორების თავიდან აცილების მიზნით ბასილი მინიმუსისეული და ჩვენს მიერ განხილული ერთ-ერთი რიტორიკული ხერხია (or.19,co.8.Jer.43,5r; or.43,com.92.A109,32v) და ამიტომ მოგვყავს მისი შესაბამისი მაგალითი.

[30]შდრ. Lampe-ს ერთერთი განმარტება: s.v. ἀκίνετος - ბოროტის მიმართ აღუძრველობა (ქრისტესი ან ანგელოზთა).

[31]იხ. G.W.Lampe, op.cit., s.v. γεννητός. შდრ. τὸ μὲν ἀεὶ ὄν, *τὸ νοητόν, ἀγέννητον* εἶναι διδάσκει [sc.Plato]· τὸ δὲ οὐκ ὄν, τὸ αἰσθετόν, [γεννητόν] Athenag.leg.19,1. PG6, 929A.

[32] G.W.Lampe, op.cit., s.v. φύραμα.

ამიტომ "ახალი თბე"/ცოში (νέον φύραμα) და სულიერი პასჭა ქრისტიანული განახლების, ცოდვათა ახოცვისა და ძველი ცოხის (τὴν παλαίαν ζύμην) განწმენდის საწინდარია, რადგან ქრისტიანი უნდა იყოს ადამიანი ცოდვის, ანუ სიფუვარის გარეშე (ἄζυμοι. Ι.კორ.5,7-8: "განწმიდეთ ძუუე ძუელი იგი ცოხი, რაჲთა იყვნეთ ახალ თბე, ვითარცა-ეგე ხართ უცოხო, რამეთუ ზატიკად ჩუენთა ჩუენოჳს დაიკლეს ქრისტჱ." შდრ. მარკ.8,15; მთ.16,5-12.[33] ამ სახისმეტყველებას შესანიშნავად განმატავს გრიგოლ ღვთისმეტყველი აღვსების (ადდგომის) საკითხავში: "ცხრეი იქმნების აღვსებაჲცა იგი და მოსპლვაჲ ცოხოვანისაჲ შუდ დღე...ხოლო ცოხოვანისა მოსპლვაჲ არს სრულიადი უჩინო-ყოფაჲ ჩუენგან ძუელისა მის და დამჭავებულისა უკეთურებისა და ვნებათა ჩუეულებისაჲ"(E=A1,27v), "რაჲთა არღარაჲთ მეტჯპელებრითა *თბითა* ვხოზარდეობდეთ" (M=A109,197v. ἵνα μηδὲν Αἰγύπτιον ἐπιστιζώμεθα *φύραμα*.or.45,15,76.PG36,644C6-7). ჩანს, რომ ეფთვიმე გაურბის ამ ტერმინის ხსენებას. ეს სახისმეტყველება მეტ-ნაკლებად გასაგებია, როცა საუბარია, ანთროპოლოგიაზე, ადამიანის შეზავებულ ბუნებაზე, მასში ორი განსხვავებული თვისებრიობის – სულისა და ხორცის ნაზავზე, ხორციელი ბუნების ცოდვიანობასა და განხრწნადობაზე, რაც გამოხატულია ფრაზით "თიხასთან შეთბევაზე"- τῷ πηλῷ συμφύρομαι (Gr.Naz.or.14,6,29-33.PG35,865A12. იხ. "თიხასთან ადრევა" თარგმანებში EM: "ვითარ შევეუღლე, არა უწყი და ვითარ ხატი ვარ ღმრთისაჲ და *თიჴასა თანა აღვერევი* (შდრ. "თიჴასა თანა ადრეულ ვარ"E=A1,320v) ... რაჲ არს ჩემ ზედაჲ ესე სიბრძნე და რაჲ არს დიდი ესე საიდუმლოჲ..."M (A109,157v; ბერძნული ზმნა συμφύρω -"შერევა" გაგებულია, როგორც φύραμα-დან ნაწარმოები).[34] გრიგოლის ეს ფრაზა დამოწმებულია იოანე სინელის "კლემაქსში".PG88,1064A7. შდრ. პეტრე გელათელის თარგმანი: "ვითარ ხატი ვარ ღმრთისაჲ და თიჴასა თანა *შეეითბევჲ* ვითარცა იტყჳს დიდი გრიგოლი". A39,159v; ეფთვიმე ათონელის თარგმანი: "თიჴასა თანა *ადრეულ ვარ*". საქ.კკლ.კალენდ.1986,415).[35]

მაგრამ როცა ეს ტერმინი გამოიყენება ქრისტოლოგიაში ქრისტეს კაცობრივი ბუნების აღსანიშნავად, იგი გულისხმობს იმას, რომ მაცხოვარი თავისი ვნებით მოასწავებს კაცობრივი ცოდვების ახოცას და "ახალ თბეს" ცოდვის გარეშე. შდრ. "მიიღო სიკუდილიცა უკუდავმან, განრა *ჴორცთა ჩუენთაგან თბისა* დაიჭსნა" ("ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი").[36] ანუ ყოველივე ადამიანური მიიღო ქრისტემ გარდა ხორციელი ცოდვებისაო. ცხადია, ეს ტერმინი გამოხატავს განხორციელებისა და ცოდვათა დახსნის მისტერიას. შდრ. "ქალწულებრივთა სისხლთა შენთაგან, სძალო, *თბენ საიდუმლოჲ*, ზენაჲს განგებისად, ძისა ღმრთისა ძედ მესვ იქმენ ამისთა მაცხოვნად" (თამარის იამბიკო. H2955, XVIIIს.).[37] ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ იგი ეფთვიმეს თარგმანში იცვლება უფრო გასაგები ტერმინით "ბუნება": Χριστοῦ ... τοῦ ταπεινώσαντος ἑαυτὸν μέχρι τοῦ ἡμετέρου *φυράματος*... (or.14,15,68. PG35,876B13-C2). "რომელმან დაიმდაბლა თავი თჳსი ვიდრე ჩუენისა *თბისადმდე*" M (A109,161v). შდრ. "რომელმან დაიმდაბლა თავი თჳსი ვიდრე ჩუენისა

---

[33] А.П.Лопухин, Толковая Библия,СПб., т.1, 1904-1907, с.311 (Исход.12,9); т.11,1913,с.38-39 (1Кор.5,7-8).

[34] სულის ორგვარი შემეცნებისათვის – საღვთისა და სხეულებრივის გამოსახატავად იყენებს მას იოანე პეტრეწმიდელი: "ღმრთებრივი უკუე ვითარ ღმერთი და მაღმრთი სულთაჲ. ხოლო ეშმაკური ... ვითარ ერთის თბეთაგანი..." (=ცხრმეტის მასალისაგან) (ი.ლეტ.ძრ.II,165. შდრ.დ.მელიქიშვილის თანამედროვე ქართული თარგმანი, თბ.,1999,162).

[35] ე.ჭელიძე, ძიებანი წმ.გრიგოლ ღვთისმეტყველის შესახებ (1.გრიგოლ ღვთისმეტყველის უცნობი ციტირება). ფილოლოგიური ძიებანი, II, 1995, გვ.164-167.

[36] ქართლის ცხოვრება, II, ს.ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1959, გვ.23.

[37] ქართული ხელნაწერთა აღწერილობა (H) VI, თბ., 1953, გვ.299.

*ბუნებისაძე*" E (A1,326v).[38] მაშინ როცა, ქართველ ელინოფილებთან – ეფრემთან, პეტრე გელათელთან, "ისტორიანისა და აზმანის" ავტორთან და თამართან იგი "თბილ" რჩება.[39]

B)*განზავება "სიცხადით" და "სხუებრ ცვალება" "თარგმანთაგანდან".* აქ განვიხილავთ ისეთ მაგალითებს, სადაც ეფთვიმე კომენტარებიდან აღებული ცხადი ფრაზებით ცვლის გრიგოლის ბუნდოვანებას და ი"შვიათ ტერმინებს, ისე, რომ საგანგებოდ აღარ აერცობს ფრაზას. საზოგადოდ, კომენტატორული ჟანრი სწორედ თავისი ცხადმეტყველებით არის ცნობილი. ქვემოთ წარმოდგენილი პასაჟების ბასილი მინიმუსისეული კომენტარები და მათი ეფრემისეული თარგმანი გრიგოლის და მისი ადეკვატური ქართული ტექსტის მიჯარული ღეთისმეტყველების, ბუნდოვანი სტილის, ი"შვიათი და ძნელად გასაგები საღვთისმეტყველო ტერმინების უფრო ნაცნობი და ცხადი ტერმინებით განმარტების ემსახურება.

a)*ნათლისღებით* ცოდვათა შენდობა სახელდებულია, როგორც "ჭამით განკუეთა", რაც განიმარტება როგორც "შუა განკუეთა" დროში, ანუ ნათლისღებამდე და ნათლისღების შემდგ. ნათლისღებით შენდობილია პირველქმნილი ცოდვები და არა ნათლისღების შემდგომითი:

Σήμερον γάρ ἐστι παρὰ σοὶ τὸ ἀλλότριον· καὶ οὐκ ἀνηρέθη ἁμάρτημα, *τῷ χρόνῳ δὲ διεκόπη.* Τὸ μὲν πρὸ τοῦ βαπτίσματος τολμηθέν, τὸ δὲ μένον μετὰ τὸ βάπτισμα· τῶν γὰρ ἡμαρτημένων, οὐ τῶν ἁμαρταν ομένων τὸ λουτρὸν ἔχει συγχώρησιν (or.40,32,148. PG36,404C16-405A). "...რომელ დღეს შენ თანა არს უცხოა და არა მოისპო ცოდვაჲ იგი, გარნა *ჭამით განკუეთა*, რომელიმე – კადრებითა პირველ ნათლისღებისა და რომელიმე – დადგრომითა შემდგომად ნათლისღებისა, რამეთუ ბრალყოფილთა და არა ბრალყოფადთა შენდობაჲ აქუს ემბაზსა" M (A109,105rv). შდრ."...რამეთუ დღეს უცხოა იგი მონაგები შენ თანა არს და არა უჩინო ქმნულ არს ცოდვაჲ იგი, არამედ *განკუეთილ არს საშუალ.* რამეთუ პირველი იგი ნათლისღებისა მიერ შენდობილ არს, ხოლო მეორე ეგე შემდგომად ნათლისღებისა პგიეს, ხოლო საბანელსა მას პირველქმნულთა მათ ცოდვათაჲ აქუს შენდობაჲ და არა რომელთა იქმოდი" E (A1,229v). შდრ. ბასილი მინიმუსის კომენტარი: "ესე არს *"ჭამით განკუეთაჲ"*, რამეთუ პირველ ნათლისღებისა უსამართლოდ მომგებელობაჲ შენდობითა *შუა განკუეთა* ნათლისღებამან. ხოლო შენ არა სრულიად მოსპე იგი, რამეთუ ჯერეთ გაჰყიფიხლა ბოროტად მოგებული იგი" (or.40,com.74. A109,105r).

b)*ანთროპოლოგიძად* ტერმინი "სამთავრო" (ἡγεμονικόν) შეცვლილია ტერმინით "გონება". განწმენდილი გონების გაბრწყინვება საღმრთო ნათლით უფრო გასაგებია მრველისათვის, ვიდრე "სამთავროს" გაბრწყინება. ἡγεμονικὸν ნიშნავს წარმმართველ ძალას. ამავე დროს, იგი სტოიკოსთა ტერმინია და სულის ძირითად მამოძრავებელ ძალას – გონებას, ინტელექტს აღნიშნავს. პატრისტიკაში მას იყენებენ გამოცხადებასთან, ხილვასთან (ჭვრეტასთან), განწმენდასთან კავშირში[40]:

τοσαῦτα περιλάμπον ἡμῶν *τὸ ἡγεμονικόν*, καὶ ταῦτα κεκαθαρμένον, ὅσα καὶ ὄψιν ἀστραπῆς τάχος οὐχ ἱσταμένης (or.38,7,26.PG36,317C3-5). "ესოდენ განაბრწყინებენ *სამთავროსა* ჩუენსა და მასცა განწმედილსა, რაოდენ ხილვაჲ ელვისა, მსწრაფლ დაუდგრომელისაჲ" M (Jer.43,16v).

---

[38]Lampe-სთან დამოწმებულია სწორედ გრიგოლ ღვთისმეტყველის განსახიერების მაგალითი. ამასთან საკურადღებოა, რომ იქვე დამოწმებული სხვა მაგალითებიდან ზოგი ტერმინის "თბესთან" ერთად იძლევა მის სინონიმურ წყვილს, განმარტებას, რომელიც ეფთვიმეს განმარტებას მაგ. ἀνέλαβε *τὸ φύραμα* ὅλης *τῆς ἀνθρωπίνης φύσεως* - Sophr.H.liturg.10.PG87,3989D; Bas.h.myst.28.Gr.Nyss.hom. in ICor.15,28. PG44,1313B;

σήμερον τὴν ἀπαρχὴν τοῦ ἡμετέρου *φυράματος*, τουτέστι, *τὴν σάρκα ἐν οὐρανῷ* Χριστὸς ἀνήγαγεν-Chrys.ascens.4.; Jo.D.f.o.3.2.PG94,985BC; τὴν ζύμην *τοῦ ἀνθρωπείου φυράματος ἑνώσας* καὶ καθάρας-Isid.Pelus.epp.I.360.PG78,388A). G.W.Lampe, op.cit., s.v.φύραμα.

[39] აღსანიშნავია, რომ "თბე" სხუილის, გვამის არსების მნიშვნელობით ახმარება ეფრემის სამოციქულოს განმარტებაში (A390,47r) და მეხოტბეებთან (შ.ათ.73; ჩახრუხ.98;17,3). შდრ. რომ.11,16. კადნელიც, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983, გვ.382-384.

[40]G.W.Lampe,op.cit.,s.v. ἡγεμονικὸν II.E,F2,3. შდრ. ალეთსისტური ფრაზა: ἐν τῷ ἡγεμονικῷ λογισμῷ (Gr.Nyss.or.dom.3. PG44,1149C). ბუნებრივია მკვლელის დაკეთება, როდესაც იგი ეფთვიმეს მიერ შერჩეულ კონტექსტურ მნიშვნელობას "გონებას" და "ბუნებას" უფრო გასაგებად მიიჩნევს ტერმინ-ტი "ἡγεμονικὸν-ის ფარდად, ვიდრე ეფრემის მიერ თარგმნილ "სამთავროს" (შდრ. or.40,45,208.PG36,424C11; "ბუნებითა" (E=A1,240v), "სამთავროთაა"M=A109,113v) ნაწილობრივ, დასაბუთებით, გვ.123-124). ამას, რომ ეს ტერმინი საკითხების სპეციალურ განმარტებას, ცხადყოფს ეფრემის "შენიშვნა, რომელიც ეფრემს თავის დამსმენელის "გარდამოცემის" მისეულ თარგმანს და განმარტებას ურთხელ ჯერ ხოროცელ მიქ.მელქას: "...სული მთავარ არს, ხოლო *სამთავრო სულიაჲ არს გონებაჲ* და ამის მიერ იტუმეს ჴოროცა ორღანოდ" A24,95r. რ.ჩიბინოშვილი, "გარდამოცემის" ქართული თარგმანები, თბ., 1966, გვ.130.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შდრ."ესრეთ ოდენ ეჩუენის *გონებასა* ჩუენსა და იგიცა, რაჟამს წმიდა არნ, ვითარცა-იგი სიმალე ელვისა დაუდგრომელისაჲ"E (A1,91r). შდრ. ბასილი მინიმუსის კომენტარი: "მცირედ ჟამ უწოდს განბრწყინებასა *გონებისასა* საღმრთოჲსა ნათლისაგან, რაოდენცა განწმედილი ვისი იყოს მსგავს, ვითა ელვისა ხილვისაჲთა, რომელი-იგი კნინოდენსა ჟამსა გუეჩუენებინ და მსწრაფლ განგუეშორებინ".

τοσαῦτα πόσας, ὀλίγα φήσι τὸ θεῖον τὸν καθαρὸν περιλάμπει νοῦν, οἷα καὶ ἀστραπὴ τὴν ὄψιν ταχέως ἀφισταμένη καὶ διάττουσα (or.38,com.56. Jer.43,16v; Th.Schmidt ed.,70, p.56). საუბარია იმაზე, რომ უფალი ადამიანის განწმენდილ გონებას დაუდგრომელი ელვის მსგავსად ეჩვენება.

3.*<u>საღვთისმეტყველო-სტილისტური მიფარულება (საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიისა და რიტორიკული ხერხების ერთიანობა და შერწყმა)</u>*

როგორც აღნიშნავენ, რიტორიკის საერო ხელოვნება გრიგოლმა ქრისტიანული იკონოგრაფიის სახეობად აქცია.[41] ეფრემის მიერ კალკირებული და მიბაძული საღვთისმეტყველო-რიტორიკული სტილიც არა მარტო ფორმალურად იყენებს კლასიკურ რიტორიკულ-ფილოსოფიურ ხერხს, არამედ მისი საშუალებით გამოხატავს სიტყვას, როგორც სიტყვიერ, ე.წ. "ლოგიკურ ხატს" საღვთო ჭეშმარიტებისა (დოქტრინალური კონცეფციებისა), მის ვერბალურ იკონოგრაფიას, ისევე როგორც ეს ორიგინალშია. განსაკუთრებით ეს ითქმის გრიგოლის ანტითეტურ ენაზე, რომელსაც იგი წარმატებით იყენებს კოსმოლოგიის, ანთროპოლოგიის, ქრისტოლოგიის, ტრინიტარული დოქტრინის გადმოსაცემად. ორი კონტრასტული ტერმინის თანაასებობა და კავშირი, რომელიც ერთდროულად გამოხატავს მათ ერთიანობასაც და ოპოზიციასაც, ის გზაა, რომელსაც მკითხველი მიჰყავს გამოუთქმელისა და მიფარულისაკენ. აქ თეოლოგიური და ესთეტიკური მიზანი ერწყმის ერთმანეთს.[42]

a)*ტრინიტარული დოქტრინიდან* მამის უშობელობა განიმარტება, როგორც "არავისგან არს" (იგულისხმება – შობილი). გრიგოლი (და შესაბამისად, ეფრემ მცირე) იყენებს რიტორიკულ ხერხს – ანტითეზაზე აგებულ სიმეტრიულ პარალელიზმს (რომელშიც ალიტერაცია და ჰომოიოტელევტონებიც გვხვდება), რათა გამოკვეთოს მამის დაუსაბამობა და ძის არადაუსაბამობა (არა უშობელობა -ეფთვიმეს მიხედვით), ანუ მამისაგან შობა, როგორც მას ეფთვიმე ათონელი განმარტავს. ეფთვიმეს თარგმანში საღვთისმეტყველო-რიტორიკული მიფარულება და პარალელური წყვილების რიტორიკული სიმეტრია დარღვეულია ეგზეგეტური თარგმანით:

Πατὴρ ὁ πατὴρ, καὶ ἄναρχος· οὐ γὰρ ἐκ τίνος.

Υἱὸς ὁ υἱὸς, καὶ οὐκ ἄναρχος· ἐκ τοῦ Πατρὸς γάρ (or.39,12,52. PG36,348B5-7).

"მამაჲ – მამა და დაუსაბამო, რამეთუ არავისგან არს.

---

[41] შდრ.G.Florovsky, Creation and Redemption. Collected Works, vol.3, Belmont, Mass.1976, p.29. იხ.V.E.F.Harrison, Word as Icon in Greek Patristic Theology. - Sobornost, Iconoportrating Eastern Churches Review, vol.10, №1, 1988, pp.38-49, 43. გამომსახველობის სიმბოლური ფუნქციის შესახებ ბიზანტიურ ლიტერატურაში, თეოლოგიური εἰκών-ისა (ხატი) და რიტორიკული ἔμφασις-ის (გამომსახველობის) შესახებ (წმ.მამათა ნაწერები არიან εἰκόνες სიტყვის სფეროში, ისე როგორც ქრისტეს ხატი – ხელოვნების სფეროში) იხ. G.L.Kustas, op.cit., p.198-199, 185, 13, 123-124. ბიზანტიური ბერძნულის სიტყვა არის უკვე არა მხოლოდ სტილის გამომხატველი სიტყვა, არამედ ცოცხალი სიტყვა (ibid., p.154). გრიგოლი თავად განმარტავს ადამიანური სიტყვის მიმართებას საღვთო სიტყვასთან, როგორც საკრალური ხასიათის მქონეს. ადამიანური სიტყვა ისე მიემართება თავად ადამიანს – ღვთის ქმნილებას (τῆς λογικῆς φύσεως), როგორც ღვთის სიტყვა მიემართება თავად ღმერთს. ამდენად, ღვთის ქება ადამიანური სიტყვით მხოლოდ ადამიანის, როგორც სამყაროს გვირგვინის, პრივილეგიაა. ამიტომ ადამიანური სიტყვის ჭეშმარიტი დანიშნულებაა ჰარმონიაში ყოფნა ღვთის სიტყვასთან (or.16,1. PG35, 936B; or.21,18. PG36, 153A). G.Kondothra, The Word – Human and Divine. An Approach of Gregory Nazianzen, in: Studia Patristica, 16, 1985, p.385-388. გრიგოლის სიტყვა რომ არ არის მხოლოდ რიტორიკული სიტყვა და საღვთო ცხოველი სიტყვაა, როგორც ნიშანი ზეციური მშვენიერებისა, ამაზე ჯერ კიდევ მიქაელ ფსელოსი ამახვილებდა ყურადღებას: გრიგოლის სიტყვამ ზეციდან მიიღო მშვენიერება და ძალი (ἄνωθεν εἴληφε...τὸ τῶν λόγων κάλλος καὶ κράτος-ed.A.Mayer,§2,$_{30}$); იგი სიტყვებს ქმნიდა არა მხოლოდ ხელოვანებით (τέχνη), არამედ საკუთარი სულიდან გამომდინარე ცხოველმყოფელი წყლის წყაროთი (πηγὴν ζῶσαν ἀναστομώσας-ed.A.Mayer,§12,$_{228\text{-}231}$).; თავისი მჭევრმეტყველებით მან არა მხოლოდ ცოცხლები მოახედა მისკენ, არამედ სხეულით დაფლული არსებანიც აღადგინა და ცხოვრება მიანიჭა (τῇ μεγαλοφωνίᾳ...πρὸς τὸ ζῆν ἐπανήγαγεν-ed.A.Mayer,§6,$_{115\text{-}117}$) და ა.შ. იხ. მიქაელ ფსელოსის ტრაქტატი: Τοῦ ὑπερτίμου Ψέλλου λόγος σχεδιασθεὶς Πόθον βεστάρχην ἀξιώσαντα αὐτὸν γράψαι <u>περὶ τοῦ θεολογικοῦ χαρακτῆρος</u>. A.Mayer, Psellos' Rede über <u>*den rhetorischen Charakter*</u> des Gregorios von Nazianz. Byzantinische Zeitschrift 20,1911. მიქაელ ფსელოსის ეპისტოლე-ტრაქტატი საღვთისმეტყველო სტილის შესახებ (გამოკვლევა, თარგმანი, კომენტარები ქ.ბეზარაშვილისა), ბიზანტიური მწერლობის ქრესტომათია, III, თბ.,1996.

[42] G.L.Kustas, op.cit.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძე – ძე და არა დაუსაბამო, რამეთუ მამისაგან არს" M (A109,79r). შდრ. "მამაჲ არს მამაჲ დაუსაბამოჲ, რამეთუ არავისგან შობილ არს. ძე არს ძჱ –არა უშობელი, არამედ მამისაგან შობილი" E (A1,193v).

b)*ონტოლოგიური* ლაკონიური ტერმინი –"ყოფადი" (τὸ εἶναι)[43] ეფთვიმეს მიერ განიმარტება, როგორც ნამდვილი არსი და ჭეშმარიტი: χθὲς τὸ δοκεῖν τις ἐτίμας, σήμερον *τὸ εἶναι* προτιμησίν (or.44,9,35.PG36,617A10-11). "გუშინ პატივ-სცემდ საგონებელსა, დღეს წინაპატივ-ეც *ყოფადსა*" M (A109,208v). შდრ."გუშინ პატივ-სცემდი საგონებელსა, დღეს *არსი იგი და ჭეშმარიტი* პატივცემულ ყავ" E (A1,44r). ეფთვიმეს განმარტებით ირღვევა არა მარტო ფილოსოფიური მიფარულების ხერხი, არამედ რიტორიკული ხერხი, რომელიც გრიგოლს ამ პასაჟში გამოუყენებია. ეს არის სიმეტრიული პარალელიზმი და წონასწორობა ანტითეტურად დაპირისპირებული წყვილისა –წარმართული და ქრისტიანული მოძღვრებებისა; კატეგორიებისა, რაც გამოხატულია ტერმინებით "საგონებელი" და "ყოფადი". ეფთვიმე თავისი განმარტებით, რომ "ყოფადი" არის ნამდვილად არსებული და ჭეშმარიტი,[44] რითაც იგი განსხვავდება წარმართული "საგონებელი", ანუ სიზმარეული, გამოგონილი რწმენისაგან, არღვევს კომების და კოლონების წონასწორობას პერიოდში და შესაბამისად, მათ თანაბარ რიტმულ ჟღერადობას, რაც ეფრემს დაუცავს თავის თარგმანში. ეფრემს დამატებითი ნიუანსიც კი შეაქვს დედნის სიმეტრიაში – ჰომოიოტელევტონებით ამდიდრებს კოლონების დასასრულს: "საგონებელსა...ყოფადსა". საყურადღებოა, რომ მთელი პასაჟი, საიდანაც ეს პერიოდია ამოღებული, მთლიანად ამგვარი პარალელიზმით არის გამართული.

c)*გნოსეოლოგიური ტერმინი θεωρία - საღვთო ხედვა, ჭვრეტა*. განმარტებას მოითხოვს ლიტონი მსმენელისათვის. დასაზუსტებელია, რომ ეს სულიერი, გონითი ხედვაა, საღვთო შემეცნებისაკენ მიმყვანებელი, და განსხვავდება ჩვეულებრივი ფიზიკური ხედვისაგან, ანუ ამ სიტყვის ყოფითი მნიშვნელობისაგან; რადგან აღნიშნულ სიტყვას ორთავე ეს მნიშვნელობა გააჩნია ბერძნულშიც და ქართულშიც – ყოფითი და ფილოსოფიური. ამიტომ ეფთვიმე უმეტესად ასეთ განმარტებას ურთავს ამ ტერმინს: *τῇ θεωρίᾳ* (or.40,41,189. PG36,417C4). "*ხედვითა*"M. შდრ."*ხედვითა გონებისაჲთა*" E. ხედვის ამგვარი კონტექსტისმიერი განმარტებები ძალზე ხშირია ეფთვიმესთან (შდრ. θεωρία - ხედვაჲM და "ხედვაჲ გონებითი"E _or.14,4,20; or.39,8,29; "გონიერი და საცნაური ხედვაჲ"E (or.21,1,8.PG25,1084B9); "ხედვაჲ საღმრთოჲ" E (or.21,6,28.PG35,1088B14); θεωρητικός - ხედვაჲ (გონებითი)E. or.45,18,191; or.38,12,52; or.40,41,189 და ა.შ.).

გრიგოლის და ეფრემის ლაკონიური მიფარულება ზოგ კონტექსტში საკმაოდ გაუგებარია ამგვარი განმარტების გარეშე: Μήποτε ὡς *τοῦ θεωρητικοῦ* τὸ ἐπιθυμητικὸν περισφίγγοντος...· (or.45,18,91. PG36,649A9). "ნუსადა, ვითარცა *მხედველობითითა* გულისთქუმითსა შეჰკრავს...?" M (A109,199r). შდრ. "რასა გულისჴმა-გჳყოფს ამის მიერ? ნუუკუე ამას გუასწავებს, რაჲთა *გონებისა სიწმიდითა და ღმრთისა მიმართ ხედვითა* გარე-მოვიცვათ გულისთქუმისა კერძი" E (A1,30r; საუბარია სულიერი ხედვით გულისთქმის დათრგუნვაზე, როგორც განმარტებაზე ეფეს. 6,14-ისა: "მოირტყჳნით წელნი თქუენნი ჭეშმარიტებით").

კიდევ უფრო გაუგებარია ეს ტერმინი ისეთ შემთხვევებში, სადაც იგი ფილოსოფიური მიფარულების გამოხატვის ფუნქციის გარდა რიტორიკული ხერხის ფუნქციითაც არის გამოყენებული: *θεωρία* γὰρ ἦν τὸ φυτόν, ὡς ἡ ἐμὴ *θεωρία* (or.45,8,41. PG36,632D1. შდრ. or.38,12,52.PG36,324C1). "რამეთუ *ხედვა* იყო ნერგი, ვითარ ჩემი *ხედვაჲ*" M (A109,193r). შდრ,"რამეთუ *ხედვაჲ* იყო ხჱ იგი *და ზრახვაჲ*, ვითარ მე ვჰგონებ" E (A1,21v; საუბარია ცნობადის ხეზე, რომელიც, გრიგოლის შეხედულებით, მხოლოდ სულიერად სრულყოფილთათვის იყო მისაღები და აკრძალული იყო სულიერად ჩვილთათვის

---

[43] საერთოდ, ონტოლოგიური ტერმინები, მაგ., პლატონის τὸ ὄν (Timaeus 29e) და მისთ. შინაარსობრივი ბუნდოვანების მაგალითებად იყო დასახელებული რიტორიკის თეორიებში, მაგ., Hermog.247.3W. G.L.Kustas, op.cit., p.191.

[44] ამ ტერმინის ქართულად თარგმნის ისტორიისათვის იხ. ე.ჭელიძე, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, თბ.,1996, გვ.91-131. დ.მელიქიშვილი, ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან, თბ.,1999, გვ.162-174.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაზღვრულ დრომდე). აქ არის გამოყენებული რიტორიკული ხერხი აზრობრივი ანტითეზისა – ხედვა სულიერი და ხედვა ფიზიკური. მათი დაპირისპირება ე.წ. ვერბალურ ალიტერაციასაც ქმნის. ეფთვიმე განმარტავს ამ სიტყვის როგორც ერთ, ისე მეორე მნიშვნელობას, რითაც ირღვევა გრიგოლის მიერ გამოყენებული რიტორიკულ-ფილოსოფიური ხერხი – ორი "ხედვის" დაპირისპირება. პირველ "ხედვას" იგი განმარტავს, როგორც "ხედვაჲ და ზრახვაჲ" (ანუ სწავლება). მეორე "ხედვა" კი, კონკრეტულ შემთხვევაში ნიშნავს აზრს, შეხედულებას,[45] რაც ეფთვიმეს შესაბამისად აქვს თარგმნილი კონტექსტური მნიშვნელობის შერჩევით: "ვითარ მე ვჰგონებო" (ანუ თავად ავტორის – გრიგოლ ღვთისმეტყველის ნათქვამი პირველ პირში). საყურადღებოა, რომ ეფრემს ამ შემთხვევაში დაუნახავს განმარტების აუცილებლობა და აშიაზე დაურთავს შენიშვნა –"შეისწავე": "*ხედვად* უწოდს მეცნიერებასა და გულისჴმის-ყოფასა" (or.38,12,52; Jer.43,19r). შდრ. ბასილი მინიმუსის ტექსტი: οἷον γνῶσις, ἔννοια. κατὰ τὴν ἐμὴν θεωρίαν, κατὰ τὸν ἐμὸν νοῦν, κατὰ τὴν ἐμὴν γνῶσιν... or.38,com. Th.Schmidt ed., 120, p.86).

d)*ქრისტოლოგიური მაგალითიდან* აღსანიშნავია პასაჟები:

1.მაცხოვრის *ვნების* შესახებ, რომლის მიფარულების საიდუმლო ისევ რიტორიკულ ხერხთან არის გადაჯაჭვული: *ὃς οἷς ἔπαθε, τὸ πάσχειν* διδάσκων, οἷς *ἐδοξάσθε, τὸ συνδοξασθῆναι* χαρίζεται (or.45,21,103.PG36,652 D5-6). "*რომელი რომლითა ევნო, ვნებასა* გუასწავებს და რომლითა *იდიდა, თანადიდებასა* მოგუმადლებს" M (A109,200v). შდრ."რომელი *ვნებითა თჳსითა* მის თანა ვნებასა გუასწავებს და დიდებითა თჳსითა მის თანა დიდებასა მოგუანიჭებს" E (A1,32r). შდრ. ბასილი მინიმუსის კომენტარი: "ესე თავადი არს უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, რომელსა-იგი, რაჟამს ჩუენთჳს ევნო, *ვნებათა მათ თჳსთა მიერ გუასწავა ჩუენცა მისთჳს ვნებაჲ*, ხოლო რომელი-იგი იდიდა ვნებითა მის მიერ, დიდებასა მიჰმადლებს მისთჳს ვნებულთა... გინათუ თჳთ ესეცა რიტორებრი არს მოქცევაჲ: "რომელი რომლითა ევნო..." (or.45,com.57. A109,200v). კომენტატორი ბასილი მინიმუსი არა მარტო განმარტავს დაკლებულ და საგულვებელ ადგილებს –"რომლითა ევნო" ნიშნავს იმას, რომ "თავისი ვნებით" მაცხოვარმა გვასწავლა "მისთვის ვნება" და ა.შ., არამედ იგი ხსნის პასაჟში გამოყენებულ რიტორიკულ ხერხსაც, რომელიც ერთნაირი ფუძეების მქონე სიტყვების პარონომასიის და ალიტერაციის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს. გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ ეს სიტყვები ნაცვალსახელებია, რომლებიც ბასილი მინიმუსის ზემოთ განხილული განმარტებითვე (or.19,com.8.Jer.43,5r), დამატებითი მიფარულების შემქმნელია. აქ გამოყენებულია მთელი წყვილები ალიტერაციისა: "რომელი რომლითა...რომლითა," "ევნო ვნებასა," "იდიდა თანადიდებასა", რაც ეფრემთან შესაბამისი ბერძნული ალიტერაციების კალკია: ὃς οἷς...οἷς, ἔπαθε τὸ πάσχειν, ἐδοξάσθε τὸ συνδοξασθῆναι. ეფთვიმე ბასილის კომენტარიდან მოხმობილი განმარტების მოკლე პერიფრაზირების ტექსტში ჩართვით, თუმცა ასე თუ ისე (დაცილებულად) მაინც წარმოადგენს ალიტერაციულ სიტყვებს, მაგრამ არღვევს უშუალოდ ერთმანეთის მეზობლობაში მყოფი ალიტერაციული წყვილების ერთიანობას (პირველი წყვილი მასთან საერთოდ დაკარგულია), რაც ქმნიდა სწორედ ბუნდოვანებისა და ლაკონიურობის ეფექტს.

2.ისევ მაცხოვრის *ვნების* მაგალითი: υἱὸν ... ἀπαθῆ θεότητι, παθητὸν τῷ *προσλήμματι* (or.40,45,205.PG36,424B10).[46] "[ძე] უვნებელი ღმრთეებითა, ვნებული *მიღებულითა*" M (A109,113v). შდრ. "უვნებელი ღმრთეებითა და ვნებული *ჩუენგან მიღებულითა მით ბუნებითა*" E (A1,240v). აქ რიტორიკული ანტითეზაა (ღვთაებრივი და კაცობრივი ბუნების), რომელიც გამდიდრებულია ჰომოიოტელევტონებით კომებში. ეფთვიმეს თარგმანში განმარტების ჩართვით დარღვეულია ანტითეზის სიმეტრია.

ამგვარად, ვხედავთ, რომ ეფრემ მცირე ყოველნაირად ცდილობს, შეინარჩუნოს დედნის საღვთისმეტყველო-რიტორიკული სტილის ნიუანსები, მაშინ როცა ეფთვიმე ათონელი არ იცავს მათ.

---

[45]იხ.დ.მელიქიშვილი, დასახ.შრომა, გვ.128-134.

[46]გრიგოლის ეს მაგალითი დამოწმებულია G.W.Lampe-სთან, s.v.πρόσλημμα. ამ ტერმინის განხილვისათვის შდრ. ზემოთ შენ.24-25.

K. BEZARASHVILI

# SOME PECULIARITIES OF THEOLOGICAL-RHETORICAL STYLE IN THE WRITINGS OF GREGORY NAZIANZEN AND THEIR GEORGIAN TRANSLATIONS: LACONICISM AND OBSCURITY

SUMMARY

Part II: Practice

The paper studies the theoretical conceptions of laconicism and obscurity as the peculiarities of the style of Gregory Nazianzen's works, which are analyzed in the writings of Byzantine scholars: Basilius Minimus (10th c.), Michael Psellos (11th c.) and their Georgian contemporary Ephrem Mtsire (11th c.). In the second part of the research the author of the paper studies the patterns from the Gergian translations of Gregory's works in order to show the practical value of theoretical conceptions. It becomes obvius that all these theological and rhetorical nuances of the style of Gregory the Theologian are maintained in the translations of Ephrem Mtsire, while Eutymius Athoneli (10thc.) translates them using the method of exegetical translation.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარ ოთხმეზური

# გრიგოლ ნაზიანზელის *დასამშვიდებელ სიტყვათა* ეფრემ მცირისეული თარგმანი

წინამდებარე წერილში განხილულია ქართული თარგმანი IV საუკუნის დიდი კაპადოკიელი მამის, გრიგოლ ნაზიანზელის არალიტურგიკული საკითხავების ჯგუფისა,[1] რომელიც *დასამშვიდებელი სიტყვების* სახელწოდებითაა ცნობილი. ამ ჯგუფში გაერთიანებულია გრიგოლის სამი თხზულება: *Or.* 6 (*დასამშვიდებელი პირველი*), *Or.* 22 (*დასამშვიდებელი მესამე*) და *Or.* 23 (*დასამშვიდებელი მეორე*).[2] ეს არის ამ სიტყვათა ტრადიციული ნუმერაცია, რომელიც მავრისტების პუბლიკაციაში და, შესაბამისად, *პატროლოგია გრეკაშია* წარმოდგენილი, თუმცა ბერძნულ ხელნაწერთა ტრადიციაში *Or.* 22-ს *მესამე დასამშვიდებელი* ეწოდება, ხოლო *Or.* 23-ს – *მეორე დასამშვიდებელი*,[3] რაც გრიგოლ ნაზიანზელის მიერ ამ სიტყვათა შეთხზვის ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას უნდა უკავშირდებოდეს.[4] ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ქართულ ხელნაწერთა ტრადიციაც ბერძნულს უჭერს მხარს: *Or.* 22 *დასამშჳდებელი მესამის*, ხოლო *Or.* 23 *დასამშჳდებელი მეორის* სახელწოდებითაა ცნობილი.[5]

*დასამშვიდებელი სიტყვების* ქართული თარგმანი შესრულებულია XI საუკუნის II ნახევარში ანტიოქიაში, შავ მთაზე მოღვაწე ცნობილი ქართველი მთარგმნელის, ეფრემ მცირის მიერ.

### ქართული თარგმანის ხასიათი

*დასამშვიდებელ სიტყვათა* მთარგმნელი, ეფრემ მცირე ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში ელინოფილური მიმდინარეობის ფუძემდებლადაა მიჩნეული. მისი თარგმანების უმეტესობა გამოირჩევა ბერძნულ ორიგინალთან განსაკუთრებული სიახლოვით და ელინიზებული ენით, თუმცა ეფრემის მოღვაწეობაზე ბოლოდროინდელი დაკვირვებების შედეგად გამოვლინდა, რომ მისი თარგმანების ერთი ჯგუფი თავისუფალ თარგმანებს წარმოადგენს და მთარგმნელობითი მეთოდით ახლოს დგას წინაელინოფილური პერიოდის მთარგმნელების, ცნობილი ქართველი მწიგნობრების, ექვთიმე და გიორგი ათონელების

---

[1] გრიგოლ ნაზიანზელის არალიტურგიკულ საკითხავთა ქართულ თარგმანებს გამოსაცემად ამზადებს გრიგოლ ნაზიანზელის ქართული თარგმანების შემსწავლელი ჯგუფი (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი); ჯგუფში აგრეთვე მიმდინარეობს ამ საკითხავთა ბერძნულთან მიმართების კვლევა. რამდენიმე არალიტურგიკული სიტყვის (*Or.* 17, 18, 32) ქართული თარგმანის ანალიზი მოცემულია ნ. მელიქიშვილის წერილში *ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდი წმ. გრიგოლ ნაზიანზელის არალიტურგიკული სიტყვების მიხედვით*, მრავალთავი 19, 2001, გვ. 225-235.

[2] *Or.* 6: *PG* 35, col. 721-752; *Or.* 22: *Ibid.*, col. 1131-1152; *Or.* 23: *Ibid.* col. 1152-1168.

[3] *P G* 35, col. 1131, n. 69; col. 1151, n. 68; GRÉGOIRE DE NAZIANZE, *Discours* 20-23, Introduction, texte critique, traduction et notes par J. MOSSAY (*Sources Chrétiennes*, 270), Paris, 1980, p. 218; p. 280.

[4] სამივე სიტყვის შეთხზვის გარემოებათა და თარიღის შესახებ იხ. GRÉGOIRE DE NAZIANZE, *Discours* 6-12, Introduction, texte critique, traduction et notes par M.-A. CALVET-SEBASTI (*Sources Chrétiennes*, 405), Paris, 1995, p. 19-32; GRÉGOIRE DE NAZIANZE, *Discours* 20-23, *SC.* 270, p. 201-206, 269-271.

[5] გრიგოლ ნაზიანზელის *დასამშვიდებელმა სიტყვებმა* ჩვენამდე მხოლოდ ერთი გვიანდელი ნუსხით მოაღწია. ეს არის 1800 წლით დათარიღებული ხელნაწერი *A*-292, რომელიც შეიცავს გრიგოლ ნაზიანზელის ლიტურგიკულ და არალიტურგიკულ საკითხავებს, ეპისტოლეებს, გრიგოლ ხუცესის *გრიგოლ ნაზიანზელის ცხოვრებას*. კრებულში *დასამშვიდებელი სიტყვები* შემდეგ გვერდებზეა მოთავსებული:
- f. 240$^{r}$-249$^{v}$: *Or.* 6, ლაკუნა f. 249f$^{r}$-ზე, სიტყვებიდან ...*მე დავიცვენ* სიტყვებამდე *ამას რაჲ ვყოფდეთ* (=*PG* 35, 749 B 4 - 752 A 4); - f. 249$^{v}$-255$^{r}$: *Or.* 23; - f. 255$^{r}$-263$^{v}$: *Or.* 22. საკითხავები დანომრილია: "კბ", "კგ", "კდ"; აშიებზე დასტურდება მარგინალური ნიშნები (245f.$^{v}$, 246f.$^{r-v}$, 258f.$^{r-v}$) და მარგინალური შენიშვნები (251f$^{v}$, 252f$^{r}$, 253f$^{r}$, 253f$^{v}$, 254f$^{r}$). თ. ბრეგაძე, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, თბ., 1988, გვ. 167-183; T. BREGADZE, *Répertoire des manuscrits de la version géorgienne des Discours de Grégoire de Nazianze,* Versiones Orientales, repertorium Ibericum et studia ad editiones curandas, ed. B. COULIE (*Corpus Christianorum. Series Graeca,* 20. *Corpus Nazianzenum,*1) Tournhout, 1988, p. 82-83.

თარგმანებთან.[6] ამ ტექნიკით შესრულებული თარგმანები ეფრემს თავისი მთარგმნელობითი საქმიანობის ადრეულ ეტაპზე უნდა შეესრულებინა, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული მისი ელინოფილური მთარგმნელობითი კონცეფცია; თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალ მთარგმნელობით მეთოდს იგი თავისი მოღვაწეობის გვიანდელ ეტაპზეც მიმართავდა იმ შემთხვევაში, თუ კი სათარგმნი თხზულების ჟანრული სპეციფიკა ამას მოითხოვდა.[7]

არალიტურგიკულ საკითხავთა შემცველი კრებულის, *A*-292-ის ერთ კოლოფონში ეფრემი მიუთითებს, რომ გრიგოლ ნაზიანზელის არალიტურგიკული საკითხავები მას ნათარგმნი აქვს *სიტყუადართვით*, მისი წინაპრისა და მასწავლებლის, ექვთიმე ათონელის მიბაძვით.[8] ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში ექვთიმე ათონელი თავისუფალი თარგმანებით არის ცნობილი, რომელთა ნაწილი ვრცელი ინტერპოლაციების და გამოტოვებების, კომპილაციისა და პერიფრაზის მეთოდის გამოყენების შედეგად ბერძნული მოდელისგან განსხვავებულ რედაქციულ ტიპებსაც კი ქმნიან. ექვთიმეს თარგმანთა ნაწილი კი, რომელსაც, სხვათა შორის, განეკუთვნება გრიგოლ ნაზიანზელის ლიტურგიკული საკითხავების უმეტესობა, შედარებით ნაკლებ თავისუფლებას ავლენს ბერძნული მოდელების მიმართ. სწორედ ამ ტიპის ექვთიმესეული თარგმანები უნდა ჰქონდეს ეფრემს მხედველობაში, როდესაც ამბობს, ჩემს მასწავლებელს, ექვთიმეს ვბაძავო. აქვე ეფრემი აღნიშნავს, რომ მან ჯერ გრიგოლის არალიტურგიკული საკითხავები თარგმნა, ხოლო შემდგომ – ლიტურგიკული, რომლებიც, როგორც კვლევამ დაადასტურა, ბერძნულის თითქმის სიტყვასიტყვით თარგმანებს წარმოადგენს.[9]

*დასამშვიდებელ სიტყვათა* ქართული თარგმანის ბერძნულთან შედარების შედეგად დადასტურდა კოლოფონში გამოთქმული ეფრემისეული შეფასება – ეს თარგმანი, რომელიც მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე უნდა იყოს შესრულებული, მართლაც სხვაობს ბერძნული დედნისგან. სხვაობა ძირითადად გაპირობებულია ქართული თარგმანის ხასიათით, ქართველი მთარგმნელის დამოკიდებულებით სათარგმნი მასალის მიმართ. აქვე გვინდა შევნიშნოთ: კვლევის შედეგად აშკარად გამოიკვეთა ისიც, რომ სწრაფვა ბერძნულ წყაროსთან სიახლოვისაკენ, სიზუსტისაკენ, რაც ეფრემის მთარგმნელობითი მეთოდის მთავარი პრინციპია მისი მოღვაწეობის ძირითად ეტაპზე, მისი საქმიანობის ადრეულ პერიოდში, *დასამშვიდებელ სიტყვათა* თარგმანებში უკვე იჩენს თავს.

*დასამშვიდებელ სიტყვებში* ყველაზე მცირე სათარგმნ ერთეულად წინადადებაა აღებული, სადაც ეფრემი ურთავს ცალკეულ სიტყვებს, სიტყვათა ჯგუფებს, ზოგჯერ ფრაზებსაც კი. მაგალითად, ხშირია წინადადების შევსება რომელიმე წევრით, რომელიც ბერძნულში არ არის, მაგრამ იგულისხმება:

τῆς μὲν ἐν τῷ κοινῷ τὸ ἄκοινον φυλαττούσης, τῆς δὲ ἐν τῷ ἀμίκτῳ τὸ φιλ-άδελφον καὶ φιλάνθρωπον - *ერთითა მით სოფელსა შინა ზეშთასოფლისაობაჲ დაიცვჱბოდეს, ხოლო მეორითა მარტოდმყოფობასა შინა ძმათმოყუარებაჲ და კაცთმოყუარებაჲ გამოჩნდებოდეს* (*Or*. 6, § 2).

ბერძნულ ტექსტში, რთული წინადადების მეორე ნაწილში, მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა არ დასტურდება. მის როლს ასრულებს წინადადების პირველი ნაწილის მიმღეობა – φυλαττούσης. ქართულ თარგმანში, წინადადების მეორე ნაწილში, აზრის სიცხადისა და გაშლის მიზნით ჩამატებულია შემასმენელი: *გამოჩნდებოდეს.*

თარგმანში დასტურდება, აგრეთვე, ქვემდებარის, განსაზღვრების და წინადადების სხვა წევრთა ჩართვის შემთხვევები. ამ ტიპის ჩანართები ავსებენ წინადადებას და ქართველი მკითხველისთვის უფრო გასაგებს ხდიან მის შინაარსს, თუმცა ამის შედეგად გრიგოლის

[6] ე. ჭელიძე, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, თბილისი, 1999, გვ. 544-555.

[7] მაგალითად, ეფრემს თავისი მოღვაწეობის გვიანდელ ეტაპზე თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით აქვს ნათარგმნი *ფსევდონონეს მითოლოგიური კომენტარები* და გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ბასილი მინიმუსისეული *კომენტარები*, TH. OTKHMEZURI, *Pseudo-Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii* (*Corpus Christianorum. Seires Graeca*, 50, *Corpus Nazianzenum*, 16), Turnhout-Leuven, 2002, p. xxxvii.

[8] თ. ბრეგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 174; ეფრემის ამ კოლოფონთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე K. BEZARASHVILI, *The Problem of the So-called "Aporeta" in the Georgian Corpus of the Works of Gregory the Theologien*, Le Muséon, 108 (1995), p. 131-142.

[9] ლიტურგიკული სიტყვების ეფრემისეული თარგმანის ამ თავისებურების შესახებ იხ. E. CHELIDZE, *The Two Georgian Translations of the Homilies of St. Gregory Naziaanzen*, Studia Patristica 33 (1997), p. 506-508; ქ. ბეზარაშვილი, *ფორმალური ეკვივალენტის თარგმანების მახასიათებლები გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიების ეფრემ მცირისეულ თარგმანებში*, Λογος (წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში), 1, 2003, გვ. 84-110.

ფრაზები კარგავენ ლაკონურობას, რაც მისი რიტორიკული სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.[10]

ზოგ შემთხვევაში ფრაზათა ეფექტებს განმარტებითი ხასიათი აქვს. მაგალითად, მცირე გავრცობის ნიმუშს ვხედებით *Or.* 6, § 4-ში, სადაც საუბარია ისრაელის სისხლითა მსხვერპლშეწირვების შესახებ, რომელებშიც, გრიგოლის თქმით, წინასწარ იყო განჭვრეტილი მომავალი (ოგულისხმება ქრისტიანული მსხვერპლშეწირვა): ταῖς ἑναίμοις θυσίαις σκιαγραφῶν τὴν μέλλουσαν. ქართვ-ელი მთარგმნელი სიტყვას τὴν μέλλουσαν (*მყოფად*) ამატებს *უსიძნლო საიდუმლო*-ს, რის შედეგადაც მკითხველისათვის ნათელი ხდება, თუ რა აქვს მხედველობაში გრიგოლს: *მსხუერპლითა სისხლიანითა წინა-გამოსახვიდა საიდუმლოსა ყოფადისა უსისხლოისასა*. ასეთ შემთხვევაში ლაკონურობასთან ერთად იკარგება გრიგოლის სალვთისმეტყველო-ფილოსოფიური აზრის *მიფარულება*, რაც ასევე გრიგოლის სტილისთვისაა დამახასიათებელი.[11]

თარგმანში ზოგ შემთხვევაში გამჟღავნებულია ეფრემისეული პოზიცია იმ საკითხის მიმართ, რაზეც ტექსტშია საუბარი.[12] მაგალითად, *Or.* 22, 12-ში გრიგოლი საუბრობს II საუკუნის ერეტიკოსის, მონტანის შესახებ, რომელიც იყო ფრიგიელთა ღვთაების, კიბელეს კულტმსახურების მდევლმთავარი. გრიგოლი ახსენებს შმაგ ფრიგიელებს, რომლებიც, ზიარებულნი და სხვისი მაზიარებელნი (τελούντων τε καὶ τελουμένων), გრიგოლის დროსაც კი, ისევე როგორც ანტიკურობაში, თაყვანს სცემდნენ ამ ღვთაებას. ეფრემს ეს ტერმინები ნათარგმნი აქვს, როგორც *აღსრულება ყოველად აღსრულებელი*ა. აქ აშკარად იკვეთება ეფრემის უარყოფითი დამოკიდებულება კიბელეს კულტმსახურთა მიმართ. სიანტერესოა, რომ ეფრემის გვიანდელ თარგმანში, *ფსუედონონეს მითოლოგიურ კომენტარებში*, სადაც ზუსტად ეს ტერმინები გვხვდება მსგავს კონტექსტში, ეფრემის დამოკიდებულება სრულიად განსხვავებულია. იგი, უკვე როგორც ნამდვილი შუასაუკუნეების გრამატიკოსი, გრამატიკული ანალიზის საყუძველზე იძლევა ამ ტერმინთა ზუსტ თარგმანს და განმარტებას.[13]

*დასამშვიდებელ სიტყვათა* ეფრემისეულ თარგმანში ვხვდებით, აგრეთვე, წინადადებათა პერიფრაზით თარგმნის, საერთოდ გამოტოვების, ზოგ შემთხვევაში წინადადების შინაარსის შეცვლის შემთხვევებსაც. ამ ხერხს ეფრემი მიმართავს უფრო ხშირად ისეთი პასაჟების თარგმნისას, სადაც მსჯელობა რთულ თეოლოგიურ საკითხებს შეეხება. ეფრემი ცდილობს, ამგვარი მსჯელობები შედარებით გამარტივებულად მიაწოდოს ქართველ მკითხველს.[14]

თარგმანში ვხვდებით რამდენიმე მხატვრულ სახეს, რომელსაც შესატყვისი არ ეძებნება ბერძნულში. აშკარაა, რომ ეს მხატვრული სახეები გრიგოლის ტექსტში ეფრემს მიერვა შეტანილი. ეფრემისეული მხატვრული სახეები უმეტესად შედარებებია. მაგალითად, *Or.* 22, §1-ში საუბარია იაკობზე, რომლისთვისაც მისი შვილის, იოსების სისხლითაა სამოსის ჩახუტება იყო *ამალელებელი და თანაც დამამშვიდებელი* (φλεγομένοις καὶ παραμυθούμενος). ეფრემის თარგმანში ვხვდებით ჩანართს: *შეტკბობად იგი სისხლითა შებღალულისაჲ ცუარ საჴუმილავის*

---

[10] გრიგოლის სტილის ამ თავისებურებაზე არაერთი აზრი აქვთ გამოთქმული როგორც ქრისტიან ავტორებს - ბასილი დიდს, მაქსიმე აღმსარებელს, ბასილი მინიმუსს, მიქაელ ფსელოსს, ისე XX საუკუნის ცნობილ მკვლევრებს – ვ. ნორდენს, მ. გინუს.

[11] ნიშანდობლივია, რომ ეფრემ მცირე ძალიან კარგად იყო გათვითცნობიერებული გრიგოლ ნაზიანზელის რიტორიკული სტილის ამ თავისებურებებში. „სიტყუასიმალჳე და სიღრმე", „ღრმითსიმეტყუელებისა სიტყუათა მიფარულება" – ასე ახასიათებს იგი გრიგოლის თხზულებათა სტილს ლიტურგიკულ სიტყვათა თარგმანზე დართულ კოლოფონში, იხ. *Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica* I, *Orationes*, editae a H. METREVELI et al. (*Corpus Christianorum. Series Graeca,* 36, *Corpus Nazianzenum* 5), Turnhout-Leuven, 1998, p. xxxviii-xxxix. ლიტურგიკულ სიტყვათა ეფრემისეულ თარგმანებში, რომლებიც სიტყვისიტყვით მისდევენ ბერძნულს, გრიგოლის რიტორიკული სტილის ეს თავისებურებები კარგადაა ასახული, იხ. ქ. ბეზარაშვილი, *საღვთისმეტყველო-რიტორიკული სტილის ზეგავლენა თავისებურებებისათვის გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებებსა და მათ თარგმანებში: მიფარულება და ალაპარაკება*, მრავალთავი 19, 2001, გვ. 258-276. ო. ოთხმეზური, *კომენტარია გაელენა გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართულ თარგმანებზე*, ფილოლოგიური ძიებანი II, 1995, გვ. 159-162.

[12] საკუთარი ანტიტრამპათიით თუ ანტიეტრატული პოზიციის გამომხატველი არაერთი ნიმუში დატკუნდება გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა და ამ თხზულებებზე შედგენილ კომენტართა ექვთიმე ათონელისეულ თარგმანებში, ც. ქურციკიძე, *გრიგოლ ღვთისმეტყველის XLIII ჰომილიის ექვთიმე ათონელისეული თარგმანის თავისებურება*, ფილოლოგიური ძიებანი II, 1995, გვ. 50-51.

[13] ტერმინ ეფრემი თარგმნის, როგორც *საიდუმლოთგანჰყოფელობა*, ხოლო ტერმინი - *საიდუმლოთმიმღებელობა*, იხ. TH. OTKHMEZURI, *Pseudo-Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii*, p. xxxviii-xxxix.

[14] საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბასილი მინიმუსის *კომენტარებში*, რომელებიც, ეფრემის მიერ ამ თხზულების ჭანრული სპეციფიკიდან გამომდინარე, ძირითადად თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდითაა შესრულებული, სწორედ თეოლოგიური მსჯელობების შემცველი პასაჟებია ბერძნულ ტექსტთან განსაკუთრებული სიახლოვით ნათარგმნი, განსხვავებით რიტორიკული ხასიათის კომენტარებისგან და შინარსობრივი ხასიათის განმარტებებისგან, რომლებიც ბერძნულიდან ქართულად თავისუფლადაა გადმოტანილი.

*დამშრეტელ ექმნებოდა.* ამავე ჰომილიის §16-ში საუბარია მშვიდობაზე – საჩუქარზე, რომელიც ღმერთმა უბოძა ადამიანებს. აქ ეყრემი აკეთებს ჩანართს: *ეითარცა წამალი, ყოველთა ენებათაგან შეუხებელი.*

მეტად საინტერესო მხატვრული სახე – მეტაფორა არის გაჩენილი გრიგოლის ამავე ჰომილიის §10-ში. ფრაზა καὶ οἱ μὲν οὐ δοκοῦσι μέλανες διά τινας τοιούτους - ქართულად განსხვავებულად არის წარმოდგენილი: *მას აქუს საითოებად სიმტკიცე საქმეთა კეთილთად და არარა ბრალეულ იქმნების გარეშეთა ცილისწამებითა, დაღათუ სახელ-ეხებოდეს პირდოთაგანი და ჩუკენი.* ქართულ თარგმანში, როგორც ჩანს, μέλανες (*შავი*)-ის ასოციაციით გაჩენილია *პირდო.* ცნობილია, რომ როგორც ქართულ, ისე სომხურ ბიბლიურ და პატრისტიკულ წიგნთა თარგმანებში ტერმინით *პირდო* ხშირადაა ხოლმე გადმოტანილი Αἰθίοψ.[15] ამ სახელს დაკარგული აქვს ეთნიკური მნიშვნელობა, ზოგადად შავკანიანის აღმნიშვნელად გვევლინება როგორც ანტიკურ, ისე ბიზანტიურ ლიტერატურაში და ძალიან ხშირად *უცხოს, უშნოს, გროტესკული ტიპის* მეტაფორად არის ქცეული.[16] ზემოთ მოტანილ ეყრემისეულ პასაჟშიც *პირდო* ბიზანტიური მხატვრული აზროვნების ტრადიციის ცოდნითა და გათვალისწინებით შედგენილი მხატვრული სახეა და ამ შემთხვევაშიც *ცუდი ადამიანის* მეტაფორას წარმოადგენს. საკუთარი მხატვრული სახის ჩართვა თარგმანში მთარგმნელის საკმაოდ თავისუფალ მიდგომაზე მიუთითებს სათარგმნი ტექსტის მიმართ. მეორე მხრივ, ამ ტიპის მხატვრული სახის დამოუკიდებლად შექმნა მისი ავტორის ელინოფილურ განსწავლულობაზე მიუთითებს.

ასეთივე ტიპის მხატვრული სახეა გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიებში საკმაოდ ხშირად მოხსენიებული Ἕλληνες, რომელსაც Αἰθίοψ-ის მსგავსად დაკარგული აქვს ეთნიკური მნიშვნელობა და როგორც გრიგოლის, ისე სხვა წმინდა მამათა წიგნებში *წარმართის,* სახოგადოდ *წარმართობის* მეტაფორაა.[17] ამ მნიშვნელობით დასტურდება ἑλληνικὸς *Or.* 23, § 8-ში. ეყრემს ამ შემთხვევაში პირდაპირ კი არ გადმოაქვს ეს ტერმინი, არამედ ხსნის მეტაფორის არსს, მის მნიშვნელობას და თარგმნის ἑλληνικὸς ქართულად: *წარმართებრ.*[18]

საზოგადოდ, მხატვრულ სახეთა სიუხვე და მრავალფეროვნება გრიგოლის რიტორიკული სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. *დასამშვიდებელ სიტყვათა* ქართული თარგმანის შესწავლამ ცხადყო, რომ ეყრემი ცდილობს გრიგოლისეული მხატვრული სახეების და ხერხების გადმოტანას ქართულში, თუმცა თანმიმდევრობას და განსაკუთრებულ სიზუსტეს ამ კუთხით იგი არ იჩენს. მაგალითად, *Or.* 22, § 2-ში დასტურდება ორი პარონომასია: ἐξ οὐ λαοῦ λάος καὶ ἐξ οὐκ ἔθνους ἔθνος γεγόναμεν. ქართულ თარგმანში ეს პარონომასიები ორივე შემთხვევაში ერთი და იმავე ფუძისგან ნაწარმოები სიტყვებითაა გადმოტანილი, რითაც შენარჩუნებულია გრიგოლის სტილი: *ეიქმნენით არაყრობისაგან ერ და უცხოჲსლობისაგან თჳსად.* მაგრამ სხვა შემთხვევაში, ამავე ჰომილიის § 4-ში, ეყრემი თავს არიდებს ერთი და იმავე ლექსიკური ერთეულის გამეორებას: ὅρος τοῦ βάλλειν καὶ βάλλεσθαι – *საზღარ ... ცემასა და კუეთებასა.* βάλλω-დან ნაწარმოები βάλλειν და βάλλεσθαι გადმოტანილია ალტერნატიული მნიშვნელობის ორი სხვადასხვა სიტყვით: *ცემა* და *კუეთება.*

ჰომოიოტელევტონებით აგებული პასაჟი, სადაც ერთნაირ დაბოლოებებს ეხვედებით როგორც ცალკეული კოლონის ბოლოს, ისე თავად კოლონის ფარგლებში, ქართულად

---

[15] ამ ტერმინთან დაკავშირებით ქართულ თარგმანებში იხ. ე. ხინთიბიძე, *„ფარულად და თჳსაფად“ ეთიოპია,* თსუ შრომები, ლიტერატურათმცოდნეობა, 1986, გვ. 67-75; ჭ. ბეზარაშვილი, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებანი და ქართული საშუალოსპრ ტრადიციები.* მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1-4, 1994, გვ. 94-97; სომხურ ტრადიციაში – Moses Khorenatsi, *History of the Armenians*, R. W. Thomson ed., Cambridge, Mass. London, 1980, p. 20, 243.

[16] ამ მნიშვნელობით გვხვდება Αἰθίοψ ბასილი მინიმუსის ეპისტოლეში, რომელიც უძველს გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ბასილისეულ *კომენტარებს,* Th. S. Schmidt, *Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem xxxviii commentarii* (*Corpus Christianorum, Series Graeca* 46, *Corpus Nazianzenum* 13), Turnhout-Leuven, 2001, p. 4-5. ამ ეპისტოლის ეყრემისეულ თარგმანში Αἰθίοψ გადმოტანილია, როგორც *პირდო.*

[17] J. Opelt, *Griechische und lateinische Bezeichnung des Nichtchristen. Ein terminologischer Versuch*, Vigiliae Christianae, 19 (1965), p. 1-22.

[18] აღსანიშნავია, რომ გრიგოლის ლიტურგიკულ საკთახავთა ეყრემისეულ თარგმანში მხატვრული სახე Ἕλληνες, ἑλληνισμός უმეტეს შემთხვევაში გადმოტანილია, როგორც *ელენი, ელენური,* ჭ. ბეზარაშვილი, *ეყრემ მღვრის შეხედულებები კლასიკური სალიტერატურო ფორმის და ქრისტიანული მიზანთის ურთიერთმიმართების შესახებ,* ლიტერატურული ძიებანი, XIX, 1998; მსგავსი ვითარებაა ბასილი მინიმუსის კომენტარებთა ეყრემისეულ თარგმანშიც.

შემდეგნაირადაა გადმოტანილი: ხუთივე კოლონში დაცულია ჰომოიოტელეუტონის მექანიზმი, თუმცა თავად კოლონთა დაბოლოებები ერთმანეთისგან სხვაობენ:
δογματικῶς, ἀλλ᾽ οὐκ ἀντιλογικῶς, ἀλιευτικῶς, ἀλλ᾽ οὐκ ἀριστοτελικῶς,
πνευματικῶς, ἀλλ᾽οὐ κακοπραγμονικῶς, ἐκκλησιαστικῶς, ἀλλ᾽ οὐκ ἀγοραίως,
ὠφελίμως, ἀλλ οὐκ ἐπιδεικτικῶς - *შჯულისდებით, არა წინააღმდეგობით, მეთევზურებრ, არა არისტოტელურ, სულიერებით, არა ბოროტადგამოძებით, საკვლესიოდ, არა საუბნად, სარგებლად და არა საზუნებელად.*

ყურადღებას იპყრობს იმ მხატვრულ სახეთა გადმოტანის თავისებურება, რომლებიც გრიგოლთან ბიბლიურ ციტატებშია წარმოდგენილი: მაგალითად, *Or.* 23, § 5-ში არის ორი ბიბლიური ციტატა მცირე ცვლილებით: ταπεινοῖς δίδωσι χάριν ὁ Κύριος (*Jac.* 4,6) ταπεινοῖ δ᾽ ὑψηλοὺς ἕως γῆς (შდრ. ταπεινῶν δ᾽ ἁμαρτωλοὺς ἕως τῆς γῆς, *Psal.* 146,6) *ფსალმუნის* ἁμαρτωλούς ჩანაცვლებულია გრიგოლის მიერ ὑψηλούς-ით, რის შედეგადაც გრიგოლთან გაჩენილია ორი მხატვრული სახე: პარონომასია – ταπεινοῖς - ταπεινοῖ, და დაპირისპირება – ταπεινοῖς - ὑψηλούς. ამ პასაჟის ეფრემისეულ თარგმანში პარონომასია სახეზეა (*დაბალთა - დაამდაბლებს*), მაგრამ დაპირისპირება აღარ არის იმის გამო, რომ ეფრემის თარგმანი მისდევს არა გრიგოლის ტექსტს, არამედ *ფსალმუნს* და მის ქვეს ქართულ თარგმანს.[19]

გრიგოლი *დასამშვიდებელ სიტყვებში*, ისევე როგორც საერთოდ თავის ჰომილიებში, ხშირად მიმართავს ისეთ მხატვრულ ხერხებს, როგორიცაა გამეორება და პარალელიზმი. ეფრემის თარგმანში გრიგოლის პროზის ეს თავისებურება გარკვეულწილად ასახულია, თუმცა განსაკუთრებული სიზუსტე არც ამ მხრივ არის დაცული:

- *Or.* 22, §11-ში დასტურდება ორი ანტითეტური კოლონი, რომელიც ქართულად თანმიმდევრულად არის ნათარგმნი, ოღონდ კონსტრუქციაში ჩართულია ἐστι-ს შესაბამისი *არს*[20]: τίνα μὲν ... τίνα δὲ ... τίνα δὲ ... τίνα δὲ (PG. 35, col. 1144 A 13 - B3) - *თუ რად* [*add. არს*] ... *ანუთუ რად* [*add. არს*]; *ანუთუ რად* [*add.*არს] ... *თუ რად* [*add. არს*] ...

- *Or.* 23, §2-ში მეორდება სამი კონსტრუქცია კითხვით ნაცვალსახელით ποῦ, რომელიც ბერძნულიდან ქართულად ზედმიწევნითაა თარგმნილი, ოღონდ აქაც ჩამატებულია ზმნა *არიან*: Ποῦ τοίνυν ... Ποῦ ποτε ἡμῖν ... Ποῦ ποτε ἡμῖν (PG. 35, col. 1153 A6-12) - *სადა* [*add. არიან*] *აწ* ... *სადა* [*add. არიან*] *ჩუენდა* ... *სადა* [*add. არიან*] *ჩუენდა* ...

აქვე დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, სადაც სიზუსტე ნაწილაკთა გადმოცემისას დაცული საეთოდ არ არის. მაგალითად:

- უარყოფითი ნაწილაკი μήτε, რომელიც სამჯერ მეორდება ერთ პასაჟში, ქართულად სამი სხვადასხვა ნაწილაკითაა გადმოტანილი:

μήτε ... μήτε ... μήτε ... ((PG. 35, col. 1160 C 5) – *არცა ... გინა ... ანუ* ...[21]

თავისუფალ თარგმანში საზოგადოდ ნაკლები ყურადღება ექცევა სხვადასხვა ტიპის ნაწილაკთა თარგმნას. ეფრემი *დასამშვიდებელ სიტყვებში* ამ მხრივ, მართალია, განსაკუთრებულ სიზუსტეს არ იჩენს, მაგრამ უყურადღებოდ ნამდვილად არ ტოვებს ტექსტის ამ მხარეს. როგორც ცნობილია, ნაწილაკები გრიგოლის პროზაში საკმაოდ დიდ როლს ასრულებენ. ისინი ერთმანეთთან აკავშირებენ კოლონებსა და პერიოდებს, არეგულირებენ მათ მონაცვლეობას, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ რიტმს ანიჭებს გრიგოლის პროზას. ამგვარად, ქართულ თარგმანში გრიგოლისეული კოლონები და პერიოდები, მიუხედავად თავად კოლონებსა და პერიოდებში შეტანილი სხვადასხვა სახის მცირე ცვლილებებისა, ნაწილაკთა გადმოტანის წყალობით თავის ფორმას ნაწილობრივ მაინც ინარჩუნებენ; აქედან გამომდინარე, თარგმანში ნაწილობრივ შენარჩუნებულია გრიგოლის პროზის რიტმიც.

[19] ამის შესახებ იხ. ქვემოთ.

[20] ქართულ თარგმანში *არს* ზმნის ჩამატების შესახებ იხ. ქვემოთ.

[21] ნაწილაკთა გადმოტანის თვალსაზრისით მსგავსი ვითარებაა გრიგოლ ნაზიანზელის ლიტურგიკულ სიტყვათა ქუთათის ათონელისეულ თარგმანში. რაც შეეხება ლიტურგიკულ სიტყვათა ეფრემისეულ თარგმანს, იქ, ამ მხრივ, საკმაოდ დიდი სიზუსტეა დაცული, იხ. B. COULIE, *Les traductions géorgiennes du Discours 1 par Euthyme l'Hagiorite et Ephrem de la Montagne Noire*, Studia Nazianzenica I, B. COULIE ed. (Corpus Christianorum, *Series Graeca* 41, *Corpus Nazianzenum* 8), Turnhout-Leuven, 2000, p. 254-256.

გრიგოლ ნაზიანზელის *Or.* 6, 22 და 23 ეყრემისეულ თარგმანში ბიბლიური ციტატების გადმოტანის თვალსაზრისით შემდეგი სურათი იკვეთება: ეყრემი ბიბლიურ ციტატებს გრიგოლის სიტყვათა ბერძნული ტექსტის მიხედვით კი არ თარგმნის, არამედ უმეტეს შემთხვევაში გადმოაქვს ისინი უშუალოდ ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანებიდან.[22] ეს განსაკუთრებით ცხადად ჩანს იმ შემთხვევაში, როდესაც თავად გრიგოლს თავის საკითხავებში ციტირებულ ბიბლიურ ტექსტებში გარკვეული ცვლილებები აქვს შეტანილი.[23] ამ დროს ეყრემის მიერ ბიბლიის წიგნთა ქართული თარგმანებიდან მოტანილი ტექსტები, რომლებიც ძირითადად ბიბლიის კანონიკურ ბერძნულ ტექსტს მისდევს, აშკარა სხვაობას ავლენს გრიგოლის მიერ ციტირებული ბიბლიური ტექსტებისაგან.

- θηρίον ἥρπασεν ... τὸ Ἰωσὴφ *Or.* 22, 1 (*PG.* 35, col. 1132 B 10-11) – *მჭეცმან add. პოროტმან მიმტაცა იოსებ* (ეყრემის თარგმანი) = *მჭეცმან პოროტმან მიმტაცა იოსებ*[24] (cf. θηρίον πονηρὸν κατέφαγεν αὐτόν) *Gen.* 37, 33.

- ὁ Θεὸς ἐν ὑμῖν ἐστιν *Or.* 23, 4 (*PG.* 35, col. 1153 D 6-7) – *ღმერთი თჳნულ შორის არს* (ეყრემის თარგმანი) = *ღმერთი თჳნულ შორის არს* (cf. ὁ Θεὸς ἐν ὑμῖν ἐστιν) *I Cor.* 14, 25.

- μὴ ὅτι ἑπτάκις, ἀλλὰ καὶ πολλάκις τοσοῦτον *Or.* 22, 15 (*P.G.* 35, col. 1149 A 7-8) – *არა ხოლო შჯდ ზის, არამედ სამეოცდაათჯერ შჯდ ზის* (ეყრემის თარგმანი) = *არა ... ვიდრე შჯდ ზისამდე, არამედ ვიდრე სამეოცდაათ შჯდ ზის*[25] (cf. Οὐ ἕως ἑπτάκις, ἀλλ' ἕως ἑβδομηκοντάκις ἑπτα) *Matth.* 18, 22.

- μεθ' ὑετὸς, μήτε δρόσος *Or.* 22, 1 (*P.G.* 35, col. 1132 C 2) – *ნუცა ცუარი, ნუცა წჳმაჲ* (ეყრემის თარგმანი) = *ნუ ... ცუარი, ...ნუცა წჳმაჲ* (cf. μὴ ... δρόσος καὶ μὴ ὑετός) *II Reg.* 1, 21.

- ταπεινῶς δ' ὑψηλοὺς ἕως γῆς *Or.* 23, 5 (*PG.* 35, col. 1156 B 13-14) - *დაამდაბლებს ცოდვილთა მიწამდე* (ეყრემის თარგმანი) = *დაამდაბლნის ცოდვილნი მიწამდე*[26] (cf. ταπεινῶν δ' ἁμαρτωλοὺς ἕως τῆς γῆς) *Psal.* 146,6.

ყურადღებას იპყრობს ერთი შემთხვევა, რომელიც გამონაკლისს წარმოადგენს ამ თარგმანში ბიბლიურ ტექსტთა ციტაციის საერთო წესიდან: გრიგოლს პირდაპირ, თითქმის ცვლილების გარეშე აქვს გადმოტანილი ფრაზა ბიბლიიდან, ეყრემი კი სწორედ ამ დროს არ მიმართავს ძველ ქართულ ბიბლიურ ტექსტს, როგორც ამას აკეთებს უმეტეს შემთხვევაში, და თავად თარგმნის ამ პასაჟს:

- Διὰ ταῦτα ἐγὼ κλαίω *Or.* 22, 8 (*P.G.* 35, col. 1140 B 14) = Ἐπὶ τούτοις ἐγὼ κλαίω *Thren.* 1, 16.

ამ ფრაზის ძველი ქართული თარგმანი იერემიას *გოდებაში* არის: *ამის ჴსოვს ჳგოდებ ცრემლით.* ლექსიკური ერთეული კლაი, რაც ნიშნავს *ტირილს* (ეს სიტყვა, როგორც ვხედავთ, ასეცაა ნათარგმნი იერემიას *გოდებათა* წიგნის ქართულ ვერსიაში), ეყრემის მიერ თარგმნილია, როგორც *ცრემლით გოდება.* რატომ თარგმნა კლაი, როგორც *ჳგოდებ ცრემლით,* და რატომ არ ისარგებლა ჩვენულებისამებრ, როგორც ამას აკეთებს *დასამშვიდებელი სიტყვების* თარგმნისას, ბიბლიის ძველი ქართული თარგმანით, სადაც მარტივად და გასაგებად არის თარგმნილი ეს სიტყვა, ძნელი სათქმელია.

---

[22] ბიბლიის ციტაციის შესახებ ქრისტიანული აღმოსავლეთის ენებზე შესრულებულ თარგმანებში იხ. G. GARRITE, *Traduttore traditore di se stesso,* Académie royale de Belgique. Bulletin de la Classe des Lettres et des Sciences morales et politiques, 5e S., 57 (1971), p. 65. ბიბლიის ციტაციის შესახებ გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა სომხურ თარგმანებში იხ. B. COULIE, SANCTI GREGORII NAZIANZENI OPERA, *Versio armeniaca* I, *Orationes* II, XII, IX (*Corpus Christianorum, Series Graeca* 28, *Corpus Nazianzenum* 3), Brepols-Turnhout, 1994, p. xxxi-xxxii.

[23] ცნობილია, რომ თავად გრიგოლ ნაზიანზელი ბიბლიური წიგნების ციტირებისას ხშირ შემთხვევაში ცვლიდა ხოლმე ბიბლიურ ტექსტს, ამის შესახებ იხ. P. GALLAY, *La Bible dans l'œuvre de Grégoire de Nazianze le Théologien,* Le monde grec ancien et La Bible, C. MONDÉSERT dir., Paris, 1984, p. 313-334.

[24] *წიგნნი ძუელისა აღთქმისანი* I, გ. გიგინეიშვილის და ც. კიკვიძის გამოც., თბილისი, 1989, გვ. 224.

[25] *ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია,* ა. იმნაიშვილის გამოც., თბილისი, 1979, გვ. 320.

[26] *ფსალმუნნი (ძველი ქართული რედაქციები),* მ. შანიძის გამოც., თბილისი, 1960, გვ. 401. *ფსალმუნის* ამ პასაჟის ციტაციის შესახებ იხ. ანგრეთვე ზევით, გვ.

ასევე ძნელი ასახსნელია შემდეგი შემთხვევა: პასაჟი, რომელიც თითქმის უცვლელადაა გადმოტანილი გრიგოლის მიერ *მათეს სახარებიდან* და ასევე უცვლელადაა წარმოდგენილი *სახარების* ქართულ თარგმანში, ეფრემის თარგმანში შეცვლილია ფრაზათა თანმიმდევრობის თვალსაზრისით:

ῥιπτοῦντες τὰ ἅγια τοῖς κύσι, καὶ βάλλοντες τοὺς μαργαρίτας ἔμπροσθεν τῶν χοίρων *Or*. 22, 6 (*PG*. 35, col. 1137 C 8-10) Μὴ δῶτε τὰ ἅγιον τοῖς κυσὶ, μηδὲ βάλητη τὰς μαργαρίτας ὑμῶν ἔμπροσθεν τῶν χοίρων ( = *ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა*) *Matth*. 7, 6 *Iber*.

გრიგოლის *Or*. 22-ის ქართულ თარგმანში ამ ბიბლიურ ციტატაში საუბარია ჯერ მარგალიტის ღორების წინ დაყრის, ხოლო შემდგომ ძაღლებისათვის სიწმინდეთა მიცემის შესახებ: *დაუსხამთ მარგალიტსა წინაშე ღორთა, და სიწმიდესა ზედა შემოვიყვანებთ ძაღლთა.*

ვხვდებით ისეთ შემთხვევასაც, როდესაც ეფრემს გრიგოლის საკითხავის თარგმნისას ბიბლიური წიგნის ქართული თარგმანიდან გადმოაქვს ციტატა და მასში გარკვეული ცვლილება შეაქვს:

- Υἱοὶ ἀνθρώπων, ἕως πότε βαρυκάρδιοι *Or*. 23, 6 (*PG* 35, col. 1157 B 15) = Υἱοὶ ἀνθρώπων, ἕως πότε βαρυκάρδιοι *Psal*. 4, 3.

*ფსალმუნის* ამ ფრაზის როგორც უძველეს, ისე გიორგი ათონელისეულ თარგმანში დასტურდება კომპოზიტის βαρυκάρδιοι ეტიმოლოგიური თარგმანი *გულფიცხელ*. ეფრემი ცვლის ამ სიტყვას უფრო ზუსტი ეკვივალენტით, რომელიც ასევე ეტიმოლოგიურ თარგმანს წარმოადგენს – *გულმძიმე*: *ძენო კაცთანო, ვიდრემდის გულმძიმე ხართ?*

ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში ეფრემ მცირე ცნობილია ბერძნული ტერმინების ეტიმოლოგიური თარგმანებითა და განმარტებებით.[27] მის თარგმანებსა და თარგმანებზე დართულ მარგინალურ შენიშვნებში, რომლებიც მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის გვიანდელ ეტაპზეა შესრულებული, უხვად ვხვდებით ეტიმოლოგიური თარგმანებისა და განმარტებების მეტად საინტერესო ნიმუშებს. ზემოთ მოტანილი მაგალითიდან ცხადი ხდება, რომ განსაკუთრებული სიზუსტისაკენ სწრაფვა ბერძნულ კომპოზიტთა თარგმნისას ჯერ კიდევ ეფრემის მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე იჩენს თავს მის თარგმანებში.

*ფსალმუნის* ტექსტის სწორების საინტერესო მაგალითს ვხვდებით, აგრეთვე, გრიგოლის ლიტურგიკული სიტყვის, *Or*. 40-ის ეფრემისეულ თარგმანში. ციტატა *ფსალმუნიდან* καὶ δράσσεσθαι τῆς Χριστοῦ παιδείας (*Psal*. 39, 179) ეფრემის მიერ თარგმნილია: *და იმჯულვიდეს ქრისტეს სწავლასა.* ფსალმუნის ამ ფრაზის გიორგი ათონისეული თარგმანია: *მიიღე სწავლაჲ.* გიორგისეული *მიიღე* ეფრემის მიერ შეცვლილია ლექსიკური ერთეულით *იმჯულვე*, რომელიც უდიდესი სიზუსტით გადმოსცემს ბერძნული სიტყვის δράσσομαι-ს შინაარსს.[28]

რაც შეეხება ბიბლიურ ალუზიებს, რომლებსაც უხვად ვხვდებით გრიგოლის სიტყვებში, ეფრემი მათ თარგმნის თავისუფლად, ისევე როგორც საზოგადოდ არალიტურგიკულ სიტყვათა ტექსტებს. გავრცობის წყაროს აქ შესაბამისი ბიბლიური წიგნები წარმოადგენს. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ამ ტიპის პასაჟის ქართულ თარგმანში გამჟღავნებულია ეფრემისეული შეფასება თუ დამოკიდებულება ბიბლიის ამა თუ იმ პერსონაჟის თუ მოვლენის მიმართ.

ამგვარად, ბიბლიური ციტატები და ალუზიები თარგმნილია ისე, როგორც ეს მოსალოდნელი იყო თავისუფალ თარგმანში. ამ თვალსაზრისით ეფრემის მეთოდი ახლოს დგას ექვთიმე ათონელის მიერ ბიბლიურ ციტატათა გადმოტანის მეთოდთან და სხვაობს ბიბლიური ციტატებისა და ალუზიების თარგმნის იმ პრინციპისაგან, რომელიც გატარებულია ეფრემის მიერ ლიტურგიკული სიტყვების თარგმანში და რომელიც ამ ტიპის პასაჟების თარგმნას

---

[27] TH. OTKHMEZURI, *Pseudo-Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii*, p. xxxviii.

[28] აქ კიდევ ერთი რამაა საგულისხმო: *ფსალმუნთა* და *სამოციქულოს* კომენტარების თარგმნისას ეფრემი, როგორც იგი თავად აღნიშნავს, სარგებლობდა ამ ბიბლიურ წიგნთა გიორგი ათონისეული თარგმანებით. *სამოციქულოს* კომენტართა შესავალში, რომელიც *ფსალმუნთა* კომენტარების შემდგომ არის ნათარგმნი, იგი აღნიშნავს, რომ განსამარტავად აღებული ტექსტის გიორგისეულ თარგმანს იგი საჭიროების შემთხვევაში ცვლიდა – ბერძნულთან აახლოებდა. მართალია, *ფსალმუნთა*, თარგმნის შემთხვევაში, მისივე შენიშვნით, იგი ამას არ აკეთებდა, მაგრამ *ფსალმუნთა* კომენტარების ეფრემისეული თარგმანის ბიბლიური ტექსტის ნაწილების კვლევამ გამოავლინა, რომ იგი იშვიათ შემთხვევაში მაინც ასწორებდა *ფსალმუნის* გიორგისეულ ტექსტსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშუალოდ გრიგოლის სიტყვათა ბერძნული ტექსტების მიხედვით გულისხმობს.[29] თუმცა არალიტურგიკულ სიტყვებში ბიბლიური პასაჟების თარგმნის მაგალითზე უკვე იკვეთება ეფრემის ელინოფილური მთარგმნელობითი კონცეფციის კონტურები.

**ენობრივი თავისებურებები**

*დასამშვიდებელ სიტყვათა* ეფრემ მცირისეულ თარგმანში ბერძნული ენობრივი კონსტრუქციები უმეტესად ქართული ენობრივი ნორმების მიხედვითაა გადმოტანილი, თუმცა ეფრემის ამ ადრეულ თარგმანში უკვე შეინიშნება ქართული ენის ელინიზაციის საკმაოდ გამოკვეთილი ნიშნები.

თარგმანში წინადადებები ძირითადად ქართული ენობრივი ნორმების მიხედვითაა გამართული. პარალელურად დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, სადაც ბერძნული წინადადების წყობა გავლენას ახდენს თარგმანზე. შედეგად, გარკვეული სინტაქსური წყვილები, რომლებიც ქართულში ჩვეულებრივ ერთადაა წარმოდგენილი, ბერძნულის გავლენით ზმნითაა გათიშული. ეს მოვლენა, როგორც ცნობილია, ქართულისთვის არაბუნებრივად არის მიჩნეული.

Εἰ σκεδαστῆς ἐσμεν φύσεως – *განქარვებადისანი ვართ ბუნებისანი* (Or. 23, 1).

Οἶτοί με καὶ παρόντες λαμπρὸν ἐποίουν, ἡ ἐμὴ περιουσία, τὸ ἐμὸν ἀγαθόν – *ამათ, ბრწყინვალე მყვეს მე მახლობელობითა, ჩემთა სიმდიდრეთა, ჩემთა საშუებელთა* (Or. 6, 3).

გრიგოლის პროზის ერთ-ერთი თავისებურება ტექსტში უშემასმენლო წინადადებების არსებობაა, რაც მის ორატორულ სტილს ქმნის. უშემასმენლო წინადადებები საზოგადოდ არ არის ნორმა ქართული ენისთვის. ამიტომ თარგმანში ძალიან ხშირია შემთხვევები ამგვარ წინადადებებში *არს* ზმნის ჩართვისა.[30] წინადადებაში *არს* ერთვის მეტყველების სხვადასხვა ნაწილებს – არსებით სახელს, ზედსართავ სახელს, ნაცვალსახელს, მიმღეობას. მაგალითად:

Οὐ γὰρ Θεὸς ... οὐδε δεσποτικόν – *არა ღმერთ არს ... არცა მეფე არს* (Or. 23, 9).

Θερμὸς ὁ ζῆλος - *მჴურვალე არს შური* (Or. 23, 1)

Τίς – *რაჲმე არს* (Or. 22, 7).

συναρμολογούμενοι καὶ συμβιβαζόμενοι – *დამოკიდებულ და შენაწევრებულ ვართ* (Or. 6, 4).

ბერძნული მიმღეობური კონსტრუქციები, რითაც ძალიან მდიდარია გრიგოლის საკითხავები, თარგმანში უმეტესწილად ზმნის პირიანი ფორმითაა გადმოტანილი.[31] მაგალითად:

θηρώμενοι καὶ...καλλωπιζόμενοι - *მოინადირებენ და... განშუენდებიან* (Or. 6, 13).

καταλάμποντος καὶ φωτίζοντος - *განაბრწყინვებს ... და განანათლებს* (Or. 6, 8).

მიმღეობის გადმოტანა ზმნის პირიანი ფორმით, მართალია, ნორმაა ამ თარგმანისათვის, მაგრამ აქვე დასტურდება მიმღეობის მიმღეობით გადმოტანის შემთხვევებიც:

ὁ τοὺς ἑνοῦντας ἑνῶν καὶ δοξάζων τοὺς δοξάζοντας - *შემაერთებელი შემაერთებელთა და მადიდებელი მადიდებელთა* (Or. 23, 4).

συνδήσαντι καὶ φυλάξαντι - *შემკრველისა და დამცველისაგან* (Or. 6, 8).

თარგმანში დასტურდება ამა თუ იმ ბერძნული ლექსიკური ერთეულის ალტერნატიული თარგმანის არაერთი შემთხვევა:

τέμνουσαν – *განმწვალებელთა და განმყოფელთა* (Or. 23, 3).

νήπιον – *სიჩჩოებასა და უსრულობასა* (Or. 6, 4).

ზედსართავი სახელების ქართულად გადმოტანისას ეფრემი ყურადღებას ამახვილებს ხარისხის ფორმებზე, თუმცა ხშირ შემთხვევაში სიზუსტის დაცვას ვერ ახერხებს –

---

[29] ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ნ. მელიქიშვილი, *ფსალმუნის ციტირება ეფთვიმე ათონელისა და ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ გრიგოლ ღვთისმეტყველის რამდენიმე ჰომილეტიკურ თხზულებაში*, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, 1989, გვ. 95-96; ნ. მელიქიშვილი, *ბიბლიური ციტაცია გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილეტიკურ თხზულებებსა და მათ ქართულ თარგმანებში*, ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული მიძღვნილი ი. ჯავახიშვილის 120 წლის იუბილესადმი, 1997, გვ. 92-97.

[30] გრიგოლის სტილისთვის დამახასიათებელი უშემასმენლო წინადადებები სიტყვასიტყვით არის გადმოტანილი გრიგოლის ლიტურგიკულ საკითხავთა ეფრემისეულ თარგმანებში. მაშინ როდესაც ექვთიმე თავის თარგმანებში უმეტეს შემთხვევაში ურთავს შემასმენელს, იხ. B. COULIE, *Les traductions géorgiennes du Discours* 1 *par Euthyme l'Hagiorite et Ephrem de la Montagne Noire*, p. 254.

[31] გრიგოლის ლიტურგიკულ საკითხავებში ეფრემს მიმღეობური კონსტრუქციები ხშირ შემთხვევაში მიმღეობითვე გადმოაქვს. ექვთიმე კი მიმღეობებს ზმნის პირიანი ფორმით თარგმნის, იხ. ნ. მელიქიშვილი, *რამდენიმე დაკვირვება*

უფროობითი ხარისხის ზედსართავები გადმოაქვს აღმატებითი ხარისხის ფორმით და პირიქით (სხვათა შორის, ეფრემი სწორედ ზედსართავ სახელთა გადმოტანისას ხშირად მიმართავს ხოლმე ალტერნატიულ თარგმანს): τῶν τραχυτέρων - *უფიცხესსა და უმძვინვარესსა;* μεγαλοπρεπέστατον - *უფროჲს დიდად შუენიერ.*

ზოგჯერ ეფრემთან ზედსართავი სახელის ფორმით ზმნიზედაც კი არის გადმოტანილი: καλῶς - *ზომიერსა და კეთილსა.*

თარგმანში შეინიშნება კიდევ ერთი თავისებურება: ორიგინალში მხოლობით რიცხვში წარმოდგენილი სიტყვა ქართულად მრავლობით რიცხვშია გადმოტანილი, ან პირიქით; აგრეთვე, ვხვდებით წინადადებაში სიტყვათა, აგრეთვე ერთგვაროვან წევრთა რიგის მოდიფიკაციის ნიმუშებს. ნიშანდობლივია, რომ ორივე მოვლენა დასტურდება გრიგოლის თხზულებათა სომხურ თარგმანშიც. ეს საკითხი შესწავლილია თარგმანის თეორიის მკვლევართა მიერ და მიჩნეულია, რომ ამგვარი მოდიფიკაციები საზოგადოდ ახლავს ტექსტის ერთი ენიდან მეორეზე გადატანის პროცესს და თარგმანებში ხშირად იჩენს ხოლმე თავს.[32]

თარგმანში შეინიშნება საკმაოდ დიდი რაოდენობა ლექსიკური კალკებისა. ბერძნული კომპოზიტები უმეტეს შემთხვევაში მათი შემადგენელი ნაწილების მიხედვითაა ქართულად თარგმნილი:

φιλοδοξία - *დიდების-მოყუარება;* φιλαρχία - *მთავრობის-მოყუარება;* φιλοποίμενες - *მწყემსთ-მოყუარე;* εὐταξία - *კეთილად-წესიერება;* αὐτοφιλανθρωπία - *თჳთ-კაცთ-მოყუარება.*

ეფრემთან დასტურდება, აგრეთვე, დიდი რაოდენობით წინდებულიანი ზმნები, რომლებიც ასევე ბერძნულის კალკირებულ ფორმებს წარმოადგენს: προ-εστησάμεθα - *წინა-წარვიძღუანეთ;* συν-απ-έρχεται - *თანა-წარ-ჰყვების.*

რთული სახელებისა და ზმნების ეტიმოლოგიური კალკებით გადმოტანა, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით მკვეთრადაა გამოვლენილი ეფრემის გვიანდელ თარგმანებში. როგორც არალიტურგიკული საკითხავების ქართული თარგმანის ლექსიკის შესწავლა მოწმობს, ეფრემის მთარგმნელობითი მეთოდის ეს თავისებურება უკვე მის ადრეულ თარგმანებში ჩნდება.

თარგმანში ეტიმოლოგიური კალკების გვერდით იშვიათად ვხვდებით ლექსიკური ერთეულის შინაარსის მიხედვით თარგმნის შემთხვევებსაც. მაგალითად, *Or.* 22, 8-ში κωμῳδία თარგმნილია, როგორც *სასაცილო არს,* ხოლო τραγῳδία ეფრემს გადმოტანილი აქვს, როგორც *სალმობაჲ ესე გულისა ჩემისაჲ.* საყურადღებოა, რომ ამავე ფუძეების შემცველი ტერმინები ეფრემს გრიგოლის ლიტურგიკულ სიტყვათა თარგმანში ტრანსკრიფციით აქვს გადმოტანილი, რასაც თავის მხრივ იგი ეტიმოლოგიურ განმარტებებს ურთავს: *ტრაგიკოელნი - გოდებათამეტყუელ, კომიკოელნი - მოკიცხარებათა მწერალ.*[33]

*დასამშვიდებელ სიტყვათა* ეფრემისეულ თარგმანში ბერძნულიდან ტრანსკრიფციით გადმოტანილ რამდენიმე სიტყვას ვხვდებით. ესენია: ἡ γραμματική – *ღრამატიკოსობა,* ὁ βασιλίσκος – *ვასილისკო,* τὸ θέατρον – *თეატრონ-ი,* τὸ ὄργανον – *ორღანო,* τὸ τάλαντον – *ტალანტ-ი,* ἡ φιλοσοφία – *ფილოსოფია,* ὁ φιλοσόφος – *ფილოსოფოს-ი.* საგულისხმოა, რომ ეს სიტყვები ძველ ქართულ ტექსტებში, სახელდობრ, ეფრემამდელ თარგმანებშიც დასტურდება.[34] ამ თვალსაზრისით საინტერესოდ გვეჩვენება βασιλίσκος - ს ტრანსკრიფციით გადმოტანის შემთხვევა. ეს სიტყვა დასტურდება *Or.* 23-ში, ერთ პასაჟში სამჯერ. აქედან ერთ-ერთია ციტატა *ფსალმუნიდან:* ἐπὶ ἀσπίδα καὶ βασιλίσκον ἐπιβαίνειν (*Psal.* 90, 13). *ფსალმუნის* ამ ფრაზის ძველ, X საუკუნემდელ თარგმანში βασιλίσκος გადმოტანილია ლექსიკური ერთეულით *ექიდნე,* გიორგი ათონელისეულ თარგმანში კი – ტრანსკრიფციით: *ვასილისკო.* გრიგოლის *Or.* 23-ის დასახელებული პასაჟის თარგმნისას ეფრემი *ფსალმუნის* გიორგი ათონელისეულ თარგმანს ეყრდნობა და βασιλίσκος გადმოაქვს ტრანსკრიფციით. აღსანიშნავია, რომ ეფრემის გვიანდელ თარგმანებში, განსაკუთრებით ისეთ ტექსტებში, რომლებიც სპეციფიკური ტერმინოლოგიით

*ექვთიმე ათონელისა და ეფრემ მცირის მთარგმნელობით მეთოდზე,* მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 4, 1987, გვ. 119-127.

[32] B. Coulie, *Sancti Gregorii Nazianzeni opera, Versio armeniaca* I, p. xxx-xxxi.

[33] გრიგოლ ნაზიანზელის *Or.* 21-ის მარგინალური შენიშვნა, cod. *Jer.* 43, 140 f.[v], saec. xii.

[34] ეს სიტყვები, გარდა *ღრამატიკოსისა,* ყველა დასტურდება ი. აბულაძის *ძველი ქართული ენის ლექსიკონში,* რომელიც შეიცავს XI საუკუნემდელი ტექსტების მასალას. რაც შეეხება *ღრამატიკოსს,* ეს სიტყვა ეფრემამდე დასტურდება გიორგი ათონელთან.

გამოირჩევიან, გაცილებით უხვია ბერძნულ სიტყვათა ტრანსკრიფციით გადმოტანის შემთხვევები. როგორც ცნობილია, ეფრემს ერთ-ერთ თავის კოლოფონში გამოთქმული აქვს მოსაზრება ბერძნულ სიტყვათა უთარგმნელად გადმოტანის შესახებ. მისი აზრით, მთარგმნელმა ამ ხერხს მხოლოდ მაშინ უნდა მიმართოს, როდესაც მის მშობლიურ ენაზე არ არსებობს ამა თუ იმ ტერმინის შესატყვისი ლექსიკური ერთეული.[35] საინტერესოა, რომ მიუხედავად ამგვარი პოზიციისა, ეფრემთან თარგმანში ზოგჯერ ისეთი სიტყვების ტრანსკრიფციით გადმოტანის ნიმუშებიც დასტურდება, რომლებსაც ძველ ქართულში მკვიდრი შესატყვისები აქვს. მაგალითად, κροκόδειλος - *კროკოდილო* (ეფრემი) - *ნიანგი, ხვითქი* (ძველი ქართული შესატყვისი); ῥόδον - *როდო* (ეფრემი) – *ვარდი* (ძველი ქართული შესატყვისი).[36] როგორც ჩანს, ფლორასა და ფაუნასთან დაკავშირებული სახელწოდებების ტრანსკრიფციით გადმოტანის ტენდენცია ჯერ კიდევ წინაელინოფილურ ტრადიციაში არსებობდა და განსაკუთრებულად გამოიკვეთა ელინოფილურ თარგმანებში.

ცალკე შევჩერდებით ეფრემის მიერ ტერმინების φιλοσοφία, φιλόσοφος-ის გადმოტანაზე. როგორც ცნობილია, φιλοσοφία-ს პატრისტიკულ ლიტერატურაში სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა, რომელთაგან ორი მნიშვნელობაა ჩვენთვის საყურადღებო. ესენია φιλοσοφία, როგორც *საღვთისმეტყველო სიბრძნე*, მეორე– φιλοσοφία, როგორც *წარმართული ფილოსოფია*. როგორც ეფრემის *დასამშვიდებელ სიტყვებზე* დაკვირვებამ წარმოაჩინა, ეფრემი ცდილობს, ლექსიკურ დონეზე განასხვაოს ამ ტერმინის ორი მნიშვნელობა – იქ, სადაც გრიგოლი საუბრობს საღვთისმეტყველო სიბრძნეზე, ეფრემი იძლევა ამ სიტყვის ეტიმოლოგიურ თარგმანს – *სიბრძნისმოყუარება*, ხოლო იქ, სადაც საუბარი წარმართულ ფილოსოფიაზეა, ეფრემს ტრანსკრიფციით გადმოაქვს ეს სიტყვა – *ფილოსოფია*. ტერმინის მნიშვნელობების განსხვავებული ლექსიკური ერთეულებით გამიჯვნა კარგად იკვეთება *Or*. 22-ში, სადაც ეფრემი საუბრობს ანტიკური სამყაროს სამ სასწავლო დისციპლინაზე: გრამატიკაზე, სოფისტიკაზე და ფილოსოფიაზე, რომლის ხსენებაც კი, გრიგოლის თქმით, თავბრუს ხვევს ახალგაზრდებს: καὶ τὴν πολυύμνητον δὴ ταύτης σοφιστικὴν, ἢ γραμματικὴν, ἵνα μὴ λέγω φιλοσοφίαν, περὶ ἣν νέων φιλοτιμία λυσσᾷ τε καὶ μέμηνε. ქართულში φιλοσοφία გადმოტანილია ტრანსკრიფციით, ფრაზა ახალგაზრდების მისდამი დამოკიდებულების შესახებ საერთოდ არ არის ნათარგმნი და მის ნაცვლად დასტურდება ეფრემისეული ჩანართი: *და კუალად მრავალსაქებელსა ამას სწავლულებასა და ღრამმატიკოსობასა, რაჲთა არღარა ვთქუა, ვითარმედ ფილოსოფოსობასა, რამეთუ ახალმან ამან და ჩუენმან სიბრძნისმოყუარებამან მიუღო მას სახელი ესე*. საგულისხმოა, რომ მსგავსი ვითარება შეინიშნება გრიგოლ ნაზიანზელის ლიტურგიკული სიტყვების ეფრემისეულ თარგმანშიც,[37] აგრეთვე ბასილი მინიმუსის კომენტარების ქართულ თარგმანშიც, რომელიც გრიგოლის ლიტურგიკულ საკითხავებთან ერთად ეფრემის მოღვაწეობის გვიანდელ ეტაპზეა შესრულებული.[38]

ამგვარად, გრიგოლ ნაზიანზელის *დასამშვიდებელ სიტყვათა* ეფრემისეული თარგმანის შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ: მთარგმნელის დამოკიდებულება დედნის მიმართ თავისუფალია. თარგმანი ორიენტირებულია მკითხველზე – მთარგმნელის მიზანია გრიგოლ ნაზიანზელის ნააზრევი ცხადი და გასაგები იყოს მკთხველისათვის. ამავე დროს თარგმანში შეინიშნება სწრაფვა სიზუსტისაკენ ბიბლიურ ციტატათა, ტერმინთა გადმოტანისას; თარგმანში გარკვეულწილად ასახულია გრიგოლის მხატვრული სტილის ნიუანსები. დასტურდება ენის ელინიზაციის ნიშნები. აშკარაა, რომ ეფრემის მთარგმნელობითი მეთოდის ის თავისებურებები, რომლებიც ელინოფილური მთარგმნელობითი პრინციპის სახით ჩამოყალიბებულ სახეს იღებს მის გვიანდელ თარგმანებში, ჩანასახის ფორმით უკვე მის ადრეულ თარგმანებში იჩენს თავს.

---

[35] cod. *A*-1115, 223 f., saec. xii.

[36] TH. OTKHMEZURI, *Pseudo-Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii*, p. LII-LIII.

[37] ქ. ბეზარაშვილი, *ეფრემ მცირის ლიტერატურულ-თეორიული შეხედულებებიდან. ბაძვის ცნების ტრადიციული ასპექტი ეფრემ მცირესთან და ბიზანტიური რიტორიკის თეორიაში*, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1-4, 1992, გვ. 148-149.

[38] თ. ოთხმეზური, *ბასილი მინიმუსის კომენტართა ქართული თარგმანის ხასიათი და ენობრივი თავისებურებები* (იბეჭდება). ნიშანდობლივია, რომ ქართველ მთარგმნელებს ხშირად ფილოსოფოსობა (წარმართული სიბრძნის მნიშვნელობით) გადმოაქვთ ფონეტიკურად დამახინჯებული ფორმით: *ფილაფოზობა* (ექვთიმე ათონელი), *ფილასოფოსობა* (ეფრემ მცირე). ც. ქურციკიძე, ბასილი კესარიელის სწავლათა ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, თბილისი, 1983, გვ. 053.

მიუხედავად იმისა, რომ *დასამშვიდებელ სიტყვათა* უფრემისეული თარგმანი ხასიათებს ბერძნულისაგან, მაინც შესაძლებელი ხდება მისი მიმართების დადგენა ბერძნულ ტექსტუალურ ტრადიციასთან. გრიგოლისეული ტექსტების შექმნის პერიოდიდან, IV საუკუნიდან მოყოლებული XI საუკუნემდე, ვიდრე გრიგოლის სიტყვები ქართულად ითარგმნა, ბერძნულმა ტექსტმა გარკვეული ცვლილებები განიცადა. ეს ცვლილებები ერთი შეხედვით არ არის დიდი, მაგრამ იმდენად მყარია, რომ ბერძნული ტექსტუალური ტრადიციის კვლევისას შესაძლებელი გახდა ბერძნული არქეტიპისაგან განსხვავებული ორი ჯგუფის, N-ისა და M-ის გამოყოფა.[39]

*Or.* 6-ის ქართული თარგმანის დღეისათვის ცნობილ გამოცემებთან შედარებამ გამოავლინა, რომ ტექსტობრივად ქართული თარგმანი ბერძნული ხელნაწერების ორი ოჯახიდან – N და M, მხარს უჭერს N-ს (cods. AQBWVT).

- διηρεῖτο N=*განიჭრებოდა Iber.* ნაცვლად διεσκέδατο M (*PG.* 35, col. 721 A 10; *SC* 405, p. 120 (1, l. 5); - *ἐν ἀλλοτρίοις ὀρώμενα* M, *om.* N, *Iber.* (*PG.* 35, col. 728 B 7; *SC* 405, p. 134 (5, l. 8); - *ἐννοήσαντες* N = *მოგონებულ იქმნებით Iber.* ნაცვლად ἐγκαλέσαντες M (*PG.* 35, col. 736 B 11; *SC* 405, p. 150 (11, l. 18); - ὕλης ἔργον M, *om.* N, *Iber.* (*PG.* 35, col. 740 C 13; *SC* 405, p. 158 (14, l. 16); - δοκοῦσι M, *om.* N, *Iber.* (*SC* 405, p. 158 (14, l. 22); - τὸ ὁμόψυχον N = *ერთსულობითა Iber.* ნაცვლად τὸ ὁμότιμον M (*PG.* 35, col. 741 C 3; *SC* 405, p. 160 (15, l. 22); - φοβητέων N = *საშინელ Iber.* ნაცვლად εὐλαβητέον M; (*PG.* 35, col. 748 B 14; *SC* 405, p. 172 (20, l. 19).[40]

დასტურდება მხოლოდ ორი შემთხვევა, როდესაც ქართული ტექსტი მხარს უჭერს M ოჯახის ვარიანტულ წაკითხვას: - καὶ τραχυτέρους N, *om.* M, *Iber.* (*PG.* 35, col. 729 A 8; *SC* 405, p. 136 (6, l. 13-14); - Ἡ μὲν οὖν εὐχαριστία τοιαύτη M = *და მადლობაჲ იგი ესე არს Iber.*, τοιαύτη *om.* N (*PG.* 35, col. 732 A 5; *SC* 405, p. 140 (8, l.5).

*Or.* 6-ის ქართულ ტექსტში ვხვდებით ისეთ ვარიანტულ წაკითხვებსაც, რომლებიც დღეისათვის უცნობი ბერძნული მოდელიდან უნდა მომდინარეობდეს.

- τῆς ἀξίας (*ღირსება*) – *წესსა ზედა ოქსა* – * τῆς τάξεως (*Or.*6, 13).

- χορούς (*გუნდნი*) – *მსოფლენი* – * χωρίτας (*Or.* 6, 16).

ამგვარი ვარიანტების გამოვლენა მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ბერძნული ტექსტუალური ტრადიციისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, ქართული თარგმანის უშუალო წყაროს დადგენისათვის.

*Or.* 22-ის ქართული თარგმანის ბერძნულთან მიმართების გამოკვეთა რთული აღმოჩნდა, რადგან ეს ტექსტი *დასამშვიდებელ სიტყვათა* შორის ყველაზე მეტად სხვაობს ბერძნულისაგან. ამგვარ ვითარებაში, ცხადია, ფრაზაში სიტყვათა თანმიმდევრობის შეცვლა ვერ იქნება კრიტერიუმი იმისა, თუ რომელ ბერძნულ ტექსტუალურ ტრადიციას მისდევს თარგმანი. ამას ადასტურებს კიდევაც *Or.* 22-ის ქართულ თარგმანში სიტყვათა თანმიმდევრობის ნიშუშები, რომელთაგან ზოგი M-ს უჭერს მხარს, ხოლო ზოგი N-ს: - ἔπεσε τόξον N = *დაცა ისარი Iber.* / τόξον ἔπεσε M (*PG.* 35, col. 1132 C 2-3; *SC* 270, p. 220 (1, l. 27); - πολλάκις νικῶσι M = *მრავალგზის ... მძლე ექმნებიან Iber.* / νικῶσι πολλάκις N (*PG.* 35, col 1149 B 15; *SC* 270, p. 256 (16, l. 8-9).

---

[39] N ოჯახის ხელნაწერებია: A - *Ambrosianus* E49-50 *inf.* (*gr.* 1014), saec. xi; Q - *Patmiacus gr.* 44, saec. x; B - *Parisinus gr.* 44, saec. ix; W - *Mosquensis Synod. gr.* 64 (*Vladimir* 142), saec. ix; V - *Vindobonensis theol. gr.* 126, saec. xi; T - *Mosquensis synodalis* 53 (*Vladimir* 147), saec. x. M ოჯახის ხელნაწერებია: S - *Mosquensis synodalis gr.* 57 (*Vladimir* 139), saec. ix; D - *Marcianus gr.* 70, saec. x; P - *Patmiacus* 33, an. 941; C - *Parisinus coislinianus* 51, saec. x. ამ ხელნაწერების ვმყარდები *SC*-ის *Or.* 6, *Or.* 22-ისა და *Or.* 23-ს გამოცემებიც.

[40] ნიშანდობლივია, რომ ქართული ვარიანტული წაკითხვები უჭერს რა მხარს N-ს, ისინი ამასთანავე უკავშირდება ბერძნულ ხელნაწერთა X ჯგუფსაც, რომელიც გამოვლენილი და შესწავლილია ვერონიკა სომერსის მიერ. ეს ჯგუფი, მისი დაკვირვებით, ახლოს დგას N ოჯახთან, იხ. V. SOMERS, *Histoire des Collections complètes des Discours de Grégoire de Nazianze (Publications de l'Institute Orientaliste de Louvain,* 48), Louvain-la-Neuve, 1997, p. 251-253; C. MACE - C. SANSPEUR, *Nouvelles perspectives pour l'histoire du texte des discours de Grégoire de Nazianze le cas du Discours* 6 *en grec et en arménien*, Le Muséon, 113 (2000), p. 378.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც შევნიშნეთ, ეფრემი თანმიმდევრული არ არის ზედსართავი სახელებისა და მიმღეობების ზმნიზედების, ასევე მათი ხარისხის ფორმების გადმოტანისას. ამიტომ ის ფაქტი, რომ πορρω N - πορρωτέρω M გადმოტანილია, როგორც *შორეულ*, არ უნდა მიანიშნებდეს თარგმანის უეჭველ კავშირზე N ჯგუფთან.

თავისუფალი თარგმანის დედანთან მიმართების კვლევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს M და N ჯგუფის ტექსტებში განსხვავებული ლექსიკური ერთეულების არსებობას. ასეთია τὴν ἀρετὴν ἐντεχνος cods. BSDPC და τὴν ἀρετὴν ἀτεχνος cods. AQWVT. მაგრამ ეს ადგილი ქართულად *ad sensus* არის ნათარგმნი - *სათნოებით საქმე*, ამდენად ზუსტად განსაზღვრა, თუ რომელ ვარიანტულ წაკითხვას უკავშირდება ეს გამოთქმა, რთულია. ქართული თარგმანის ბერძნულთან მიმართების გასარკვევად საყურადღებო უნდა ყოფილიყო ამ თუ იმ სიტყვისა თუ ფრაზის კლება-მატების შემთხვევა M და N ჯგუფის ტექსტებში, მაგრამ ამ კუთხითაც ქართული თარგმანი არ იძლევა გამოკვეთილ სურათს – ის ხან N-ს უჭერს მხარს, ხანაც M-ს:

- μᾶλλον ἢ τὸ μισεῖσθαι M, *om.* AQWVT, *Iber.* (*SC* 270, p. 258 (16, l. 20).
- ἐξ ὧ πεπόνθασι ἢ συμπεπόνθασιν M = რაჲ შეემთხუა, ანუ რაჲსაჴს შეემთხუა *Iber. om.* N. (*PG.* 35, col. 1133 A 11-12; *SC* 270, 222 (2, l. 14).

ახლა რაც შეეხება *Or.* 23-ის ქართული თარგმანის ბერძნულთან მიმართების საკითხს: ბერძნულში დასტურდება ერთი ვარიანტული წაკითხვა, რომელიც იძლევა N და M ჯგუფების ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯვნის საშუალებას – ἀποδράσης N : ἀποδρασάσης M.[41] ეს სიტყვა ქართულ თარგმანში გადმოტანილია საწყისით - *წარკჳმ-ით* ( ვითარებითი ბრუნვ. საწყისისა *წარკჳმა*). ამიტომ იმის გარკვევა, N-ისა თუ M-ის ვარიანტულ წაკითხვას უკავშირდება ქართული, შეუძლებელია. თუმცა დანარჩენი მონაცემების მიხედვით აშკარად იკვეთება ქართული თარგმანის კავშირი ABQWVT S ხელნაწერების ბლოკთან:[42]

- κατὰ σέ DPC, *om.* ABQWVT S, *Iber.* (*PG.* 35, col. 1161 B 3-4; *SC* 270, p. 300 (10, l. 3); - κατὰ τὸν ἀληθὴ λόγον DPC, *om.* ABQWVT S *Iber.* (*PG.* 35, col.1161 B 4; *SC* 270, p. 300 (10. l. 3); - ὅτι μηδὲ εἷδει ἑνὶ κατασκευάζεται DPC *om.* ABQWVT S, *Iber.* (*PG.* 35, col. 1161 B 6; *SC* 270, p. 300 (10, l. 5).

ამგვარად, *დასამშვიდებელ სიტყვათა* ეფრემისეული თარგმანის ბერძნულთან მიმართების კვლევის შედეგები გვაძლევენ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას, რომ XI საუკუნის II ნახევარში ანტიოქიის მწიგნობრულ წრეებში მიმოქცევაში იყო გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველი N ჯგუფის ხელნაწერები.

[41] *SC* 270, p. 213-214.
[42] S-ის მიმართების შესახებ N ჯგუფთან იხ. *SC* 270, p. 279.

TH. OTKHMEZURI

# EPHREM MTSIRE'S TRANSLATION OF THE *ORATIONES DE PACE* BY GREGORY OF NAZIANZUS

SUMMARY

Gregory of Nazianzus' non-liturgical sermons 6, 22, 23 (*Orationes de pace*) are translated into Georgian by the famous Georgian scholar of the Black Mountain Ephrem Mtsire in the second half of the eleventh century. Though Ephrem is considered to be the founder of the hellenophile tendency in Georgian Literature, alongside the adequate translations some of his works follow the principles of free translation technique. The investigation of the Georgian texts of the *Orationes de pace* shows that the translation is of dynamic equivalence – it is made in more or less free translation technique. The scrupulous analysis of the translation reveals that the elements of literalism like lexical calques, etymological translations of Greek compounds, rendering of Greek syntactical constructions are also attested in the texts.

On the relationship of the Georgian translation of *Or.* 6, 22, 23 to the Greek the following could be said: by the eleventh century the Greek manuscript tradition is already divided into two main families – N and M. Comparing Ephrem's translation of the *Orationes de pace* with the Greek has made it clear that it rests on the family N.

შაია რაშავა

# გრიგოლ ნაზიანზელის პირველი თეოლოგიური სიტყვის (Or 27) კომენტარები ქართულ-სომხურ თარგმანებში

გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებებს მრავალი კომენტატორი ჰყავდა როგორც ბიზანტიურ, ისე აღმოსავლურ ქრისტიანულ მწერლობაში. გრიგოლის ენისა და სტილის თავისებურებანი, გამოხატვის საშუალებათა ორიგინალობა, დახვეწილი ლაკონურობა დიდ სირთულეებს ქმნიდა მისი ღვთისმეტყველების სიღრმისა და აზრის "მიჯარულების" გაგების თვალსაზრისით. ამით იყო გამოწვეული მისი თხზულებების კომენტირების აუცილებლობა.

გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ბერძნული კომენტარების შესწავლა, რომელიც დაკავშირებულია ბერძნულ ხელნაწერთა გამოვლენასა და ძიებასთან, ხელნაწერთა დიდი რაოდენობის გამო არ შეიძლება ამოწურულად ჩაითვალოს. იგივე შეიძლება ითქვას სხვაენოვან თარგმანებში არსებულ კომენტარებთან დაკავშირებით. ამიტომ ამა თუ იმ ენაზე დაცული კომენტარის გამოვლენასა და შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმის დასადგენად, თუ რა ბედი ეწია გრიგოლ ნაზიანზელის მრავალრიცხოვან შრომებს, როგორ ესმოდათ მისი ჰომილიების, წერილების შინაარსი მომდევნო დროის მოღვაწეებს.

სწორედ ამ თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას გრიგოლ ნაზიანზელის პირველი თეოლოგიური სიტყვის – "ვენომიანოსთა მიმართ და ღმრთისმეტყველებისათჳს წინაგანბჭობაი" (or 27) – ქართულ-სომხურ თარგმანებში დადასტურებული კომენტარები. კომენტარები ერთვის Or 27-ის ბოლო §10-ს, სადაც გრიგოლ ნაზიანზელი ასახელებს რამდენიმე წარმართულ-ფილოსოფოსთ მიმდინარეობას, რომელთა კრიტიკასაც ისახავს იგი მიზნად. ესენია:

1. პითაგორას: დუმილი ( σιωπή), ორფიკული ცერცვი( κύαμος) და გამოთქმა: "თჳითონ თქჳა"(`Αυτὸς ἔφα).

2. პლატონის: იდეები( ἰδεας ), სულთა მიგრაცია( μετενσωματώσις ), სულების ციკლური მოძრაობა( περίοδος ), მოგონება ( ἀνάμνησις ), კეთილი სხეულის ტრფიალება სულისადმი( διὰ τὼν καλὼν σωμάτων ἐπι φύχην ἔρωτας).

3.ეპიკურეს: უღმრთოება( ἀθεία ), ატომები( ἄτομοι ), ჰედონიზმი( ἡδοινὴν )

4. არისტოტელეს: წინაგანგება ( πρόνοια ), ჴელოვნება( ἔντεχνον ), სულის მოკვდავება( θνητός περὶ ψυχῆς ), დოგმების ადამიანური ბუნება( (ἀνθρωπικῶν τὼν δογματὼν ).

5. სტოელთა ქედმაღლობა( Στοᾶς τὴν ὀφρυν).

6. კინიკელთა უძღებება ( τὼν Κυνὼν τὸ λίχνον).

7. წარმართთა: სიცარიელე ( κενὸν ), სავსება (πλήρες), ეშმაკნი კეთილისმოქმედნი და ბოროტისმოქმედნი( δαιμόνοι ἀγαθοποίοι τε καὶ κακοπόιοι), მისნობა (μαντεία), ღმერთის გამოძახება (θεαγωγία), სულების გამოძახება (ψυχαγωγία), ვარსკვლავთა ძალები (ἄστρων δυνάμει").

აღნიშნულ მონაკვეთს გრიგოლ ოშკელის თარგმანში მოსდევს კომენტარები შემდეგი სათაურით: "თარგმანებაი ზემოწერილთა მათ რიცხუეულთა ძნიადგულისჴმისსაყოფელთა სიტყუათაი".[1]

კომენტარების სათაური თავისი ფორმულირებით ჰგავს იმ სათაურებს, რომლებიც ნაზიანზელის სამი სიტყვის კომენტარებს აქვთ ქართულ ხელნაწერებში. ესენია:

[1] გრიგოლ ოშკელის თარგმანი or 27-ისა და მასზე დართული კომენტარებისა დაცულია ერთადერთ ხელნაწერში. ეს არის A 87 ( XI ს.) ნუსხა. საკითხავის ტექსტი დისერტაციის 387 r –393v-ზე, კომენტარებისა –393 v-ზე. კომენტარების სათაური დაწერილია ასომთავრულით, წითელი მელნით.

1. Or 9-ის კომენტარი, მთარგმნელია დავით ტბელი. სათაური ასეთია: "თარგმანებაჲ ძნიად გულისჴმისსაყოველთა სიტყუათაჲ".[2]

2. Or 38-ის კომენტარი, რომელიც მიეწერება მაქსიმე აღმსარებელს. სათაურია: "მაქსიმე აღმსარებელი, თარგმანებაჲ ძნიად გულისჴმისსაყოველთა სიტყუათაჲ ქრისტჱშობის საკითხავისათა." მთარგმნელია ეფთვიმე მთაწმიდელი.[3]

3. Or 44-ის კომენტარი, სათაურია: "ძნელთა სიტყუათა განმარტებაჲ". მთარგმნელია ეფთვიმე მთაწმიდელი.[4]

განმარტების ხასიათით, სტილით კი Or27 § 10-ის კომენტარები განსხვავდება ზემოთაღნიშნული კომენტარებისაგან, სადაც კომენტირება ხდება ნაზიანზელის ტექსტიდან აღებული ფრაზების, ლემებისა და მათი განმარტებების პრინციპით. განმარტებას აქვს ასეთი ფორმა: ნაზიანზელის ტექსტიდან აღებულ ციტატას წინ უძღვის მითითება: "ღმრთისმეტყუელისაჲ", ხოლო ამ ციტატის კომენტარის წინ წერია: "თარგმანი". Or 27 § 10-ის კომენტარები კი სტილით ახლოსაა ფსევდო-ნონეს მითოლოგიურ კომენტარებთან, სადაც განმარტებულია ესა თუ ის მითოლოგიური ჰეროსნაჲ თუ რჱალობა.[5]

გრიგოლ ოშკელის ქართული თარგმანი Or 27-ისა შესრულებულია არა ბერძნული ენიდან, არამედ სომხური დედნიდან. ცნობა ამის შესახებ დასტურდება თარგმანის შემცველ A 87 ხელნაწერში. ტექსტის დასაწყისში ხელნაწერის ქვედა აშიაზე ასომთავრულით არის მინაწერი: "გრიგოლ ოშკელის თარგმნილი"[6]. ამავე ცნობას ადასტურებს ეფრემ მცირე იმ ანდერძ-მინაწერში, რომელიც ახლავს Or 27-ის მისეული თარგმანის ტექსტს A 292 ხელნაწერში.[7]

მოსალოდნელი იყო, რომ § 10-ზე დართული კომენტარებიც სომხურიდან იქნებოდა თარგმნილი. მართლაც, სომხური ხელნაწერები ადასტურებენ ამ ფაქტს. რამდენიმე სომხურ ხელნაწერში დასტურდება Or 27-ის ის კომენტარები, რომლებიც გვაქვს გრიგოლ ოშკელის ქართულ თარგმანში.

კომენტარების რაობისა და შინაარსის გარკვევისა და ნაზიანზელის ტექსტთან მათი მიმართების დადგენის მიზნით მოგვაქვს Or 27 § 10-ის[8] ტექსტი სომხური და გრიგოლ ოშკელის ქართული თარგმანების მიხედვით.

| | |
|---|---|
| Կործանեա ինձ զվիճաբարի զլուսիքնէն և զոլորուկան զիրախական, և զնոյնս չապագա նոցին. զվնգեալ նորաձև ամբարիշատածութիւնն. | ა. შემომუსრენ მე პითაგორეს დუშილნი<br>ბ. ორფიოსის უცერცეროანი და თუთ იგინივე მათთჳს<br>გ. სუფიოსის ახალსახეინი ზუაობით სილაღენი. |
| Վաշնեա ինձ զվիատոնի տեսական և զայլ մարմնով փոփոխել հոգի[ա]ոց, և զչարչ ճանապարհ մերոց հոգի[ա]ոցս և զվերատին յիշողութիւնն և որք ոչ բարւոք յաղագս գիտից պատճառ մարմնոց յոգիսն են ցանկութիւնք | დ. ჰბრძოდე შენ პლატონის შესახედავთა და სხუად და სხუად გუამად სულთა ცვალებისა ქადაგებასა, და გარემოქცევითა ქცევასა სულთა ჩუენთასა და უშუერებით შუენიერთა მიმართ გუამთა ტრფიალებასა სულთასა. |

[2] S 1696, 253v- 254v.

[3] ხელნაწერები იხ. წიგნში: გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველი ქართული ხელნაწერების აღწერილობა, თ. ბრეგაძის გამოცემა, თბ. 1988, 321. Sancti Gregorii Nazianzeni opera. Versio iberica III, Oratio XXXVIII, edite a Helene Metreveli et all., Turnhout- Leuven, 2001, 121-219.

[4] ხელნაწერები იხ. წიგნში: გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა... 321.

[5] ფსევდო-ნონეს მითოლოგიურ კომენტართა ქართული თარგმანები, გამოსცა თ. ოთხმეზურმა, თბ. 1989, 81-87. Pseudo-Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii (Corpus Christianorum. Series Graeca, 50, Corpus Nazianzenum, 16), Turnhout-Leuven, 2002.

[6] A 87, 278r.

[7] A 292, 312v. ეფრემ მცირის ანდერძ-მინაწერის ტექსტი იხ. გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა აღწერილობა... 175.

[8] PG 36, c. 24.

| | |
|---|---|
| ესმაქსიმეს დაბადებიდან და დასაფლავებამდე | ე. ეპიკურეს უდმრთოებასა და მის განუკუთვნელთა შესახედავთა ქადაგებასა და მისსა მას სიცოფით მშუებელობასა |
| ესმაქსიმეს ღვთგეწრდაბა ნათლისღებისა და ზედ[ა]ხედაება ხოცა[ა]ნისა, და ღმრთა კაცთა მოსლვისა | ე. არისტოტელესსა შეეძლო შენ სიტყუამოკლესა ჭელოვნებასა და ზეგარდამოსა განგებულებისა განსაზღერებასა და რომელი მოკუდავებისათჳს სულთა ჩუენთჳსა ყო მან გამომეტყუელებაა და მოსცა კაცთა. |
| ესმაქსიმეს ცხორებაა. | ზ. კუალად მოწაყვეთა მისთა მიმო[მ]ქცევრად წოდებულთაჲ განმიმარტე მე წარბმაღლობაჲ |
| ესნაჲსაგან დაჲკითხებისა და დასჯისაჲ | [ზ]. გინათუ ნაყოფნებით უძღებებაჲ და სიღნიაში გლეხურთაჲ |
| ესანიანი ლიან დისაკუთრებისა ესკაშარისებისა ადამიანისა, ორ კაცისა ათითოჲსა, ესაი დიქსენი, კაცისა ხითოჲსა, ესაი ჩიაჲსა ბალიანა და ჯალა, დიდი ესაი მოციქულებისაჲ ათითოჲსაჲ, ქრისტჱსმოსებისა, ათითოჲსა დასაკითხებისა. | თ. მითხრენ მე ამაოებანიცა იგი და სიცბილნი მათნი, რომელნი-იგი ღმერთთა მიერ ჭელითქმნულთა შესცთეს, რანი არიან კერპნი მათნი. იტყოდე მსხუერპლთათჳსცა მათთა და უშმაკთა მათთჳს, მათ მიერ კეთილად და ბოროტად სახელდებულთა, რომელნი-იგი ვითარცა ცნობამიღებულნი, სცბიან უდმრთოებით და ვარსკულავთა ძლიერებასა რასმე ქადაგებენ და საკრველ ჰყოფენ. |

ქართულ თარგმანში სომხური დედნის ტექსტთან შედარებით დასტურდება სხვადასხვა ხასიათის განსხვავებები. ზოგი სიტყვა მეტია ქართულში სომხურთან შედარებით, ზოგან აკლია ქართულს. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ მონაკვეთში ქართველი მთარგმნელი უფრო ერთგულად მისდევს სომხურ დედანს, ვიდრე ჰომილიის დანარჩენ ტექსტში. ეს გარემოება, ვფიქრობთ, იმით უნდა აიხსნას, რომ წარმართულ-ფილოსოფიურ თემებზე მსჯელობისას გრიგოლ ოშკელი, გამომდინარე თავისი სარწმუნოებრივი პოზიციიდან, ნაკლებად იჩენს ინიციატივას, საკუთარი მოსაზრებებით შეცვალოს ავტორის, გრიგოლ ნაზიანზელის, მსჯელობა კლასიკურ ფილოსოფიურ საკითხებზე. ჰომილიის დანარჩენ ნაწილებში ქართულ თარგმანში სრულიად განსხვავებული სურათია სომხურ დედანთან მიმართების თვალსაზრისით. ამჯერად მათზე არ შევჩერდებით და მხოლოდ კომენტარებს განვიხილავთ.

გრიგოლ ოშკელის თარგმანში Or 27-ის კომენტარებს, როგორც ალვნიშნეთ, აქვს სათაური: "თარგმანებაჲ ზემოწერილთა მათ რიცხუეულთა ძნიად გულისჴმისაყოფელთა სიტყუათაჲ". სათაურის მიხედვით ირკვევა, რომ თარგმანებაჲ ანუ განმარტებები უშუალოდ მოსდევს ზემოთ დაწერილი ჰომილიის ტექსტს, სადაც ძნელად გასაგები სიტყვები რიცხუეულია, ანუ დანომრილია. მართლაც, წარმართულ-ფილოსოფიური მიმდინარეობები ნაზიანზელის ტექსტის ქართულ თარგმანში ბერძნული ორიგინალისა და სომხური თარგმანისაგან განსხვავებით, ქართული ასოებით არის დანომრილი. სულ ცხრა ნომერია: ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, [ზ], თ. ჰომილიის ტექსტის შესაბამისად კომენტარებიც დანომრილია. პირველ აბზაცს უზის მხოლოდ ა ასო (ასომთავრულით), სამ აბზაცთან წერია: სიტყუაჲ ბ, სიტყუაჲ გ, სიტყუაჲ დ (ასევე ასომთავრულით). ორი აბზაცი განსხვავებულად არის მინიშნებული: ზ. მიმო[მ]ქცევართათჳს; [ზ]. გლეხურთა მათთჳს (ასომთავრულით). ბოლო აბზაცს პირველის მსგავსად მხოლოდ ნომერი უზის: თ.

Or 27 § 10-ის კომენტარები სომხურად რამდენიმე ხელნაწერში დასტურდება. როგორც ილ. აბულაძე აღნიშნავს, ზოგიერთ სომხურ ხელნაწერში კომენტარები დასტურდება ხელნაწერის ამიებზე (ერევნის მატენადარანის № 3284 ( XVIII ს.), ვენის მხითარისტთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკის № 316 ( XI ს.). არის ხელნაწერები, რომლებშიც კომენტარები ტექსტისგან დამოუკიდებლად დასტურდება. მკვლევარი ასეთად ასახელებს **վերք պատճառաց** "მიზეზთა წიგნების" შემცველ ხელნაწერებს, როგორიცაა მატენადარანის № 5602 ( 1178 წ.) და № 6362( 1181 წ.) ნუსხები. ზოგ ხელნაწერში Or 27-ის ტექსტს კომენტარები არ ახლავს ( №3415, №1500).[9] იქ. აბულაძის მიერ დამოწმებულ ხელნაწერთაგან ზოგიერთში კომენტარები დასტურდება დამოუკიდებლად, ნაზიანზელის ტექსტის ბოლოს, ისევე, როგორც ეს არის გრ. ოშკელის თარგმანში. ასეთია მატენადარანის №5602 ხელნაწერი (126v-127v). ზოგ ხელნაწერში კი ჯერ მოტანილია ლემა ნაზიანზელის ტექსტიდან, შემდეგ მისი კომენტარი. ნაზიანზელის ტექსტი მითითებულია **բն.**(=**ընագիրք**). ხოლო კომენტარი **լծ.**(=**լուծմունք**) აბრევიატურებით. ასეთია №6302 ხელნაწერი (1181წ.) ( 126v-127r).

Or 27 § 10-ის კომენტარები სომხური თარგმანისა და გრიგოლ ოშკელის ქართული თარგმანის მიხედვით:[10]

### თარგმანებაჲ ზემოწერილთა მათ რიცხუეულთა ძნიად გულისხმისსაყოფელთა სიტყუათაჲ

I.

| | |
|---|---|
| var.I: **Պիթագորաս յաշակերտութիւն եկեալցն հրամայէր լուռ լինել և ոչ խաւսել ա. ամ**<br>var.II: **Պիթագորաս յաշակերտութիւն եկեալցն պշինդ ամ հրամայէր լուռ լինել մի պիամասաւիրական ուսչէն խաւսա.**<br>var.III: **ա.ամ Պիթագորաս լուռ պահէիր գաշակերտն.** | ა. პითაგორეს ბრძენთა მათგან სოფლისაგანი იყო ფილოსოფოსი[1] და სწავლად მის თანა მოსრულთა მათ ხუთ წელ დუმილსა უბრძანებდა და არა შეუნდობდა კითხვად რასაცა, არამედ რაათა ისმენდენ ოდენ[2] და ისწავლიდენ სიტყუათა სიბრძნისათა.[3] |

1) **Պիթագորաս**] : add. ბრძენთა მათგან სოფლისაგანი იყო ფილოსოფოსი.

2) **հրամայէր լուռ լինել և ոչ խաւսել ա. ամ** [ var.I] : ხუთ წელ დუმილსა უბრძანებდა და არა შეუნდობდა კითხვად რასაცა, არამედ რაათა ისმენდენ ოდენ.

3) **մի պիամասաւիրական ուսչէն խաւսա** [ var.II]: ისწავლიდენ სიტყუათა სიბრძნისათა.

II.

| | |
|---|---|
| var. I: **Որպէս ոլոռն ասաց չուտել, մի զՀաւր սերմն ուտէ:**<br>var. II: **իսկ Որպէս աւրհնաղրեաց ոլոռն չուտել, մի զՀաւրն սերմն ուտէ, ասէ, որ զոլոռն ուտէ:**<br>var.III: **Որպէս աւրհնա եդ Հաւրն ուտէ** | ბ. ორფეოდს, ჰრომთა ფილოსოფოსმან[1], შჯულად დაუდგა მოწაფეთა თჳსთა[2] ცერცჳსა არა ჭამაჲ, რამეთუ თჳთ[3] ნათესავსა მამისა თჳსისასა ჭამდა. |

1) **Որպէս** ]: add. ჰრომთა ფილოსოფოსმან

2) **ասաց** [ var.I], **աւրհնաղրեաց** [ var.II], **աւրհնա եդ** [ var.III] : შჯულად დაუდგა მოწაფეთა თჳსთა.

3) **Զի** ]: add. თჳთ

4) **Ասէ, որ զոլոռն ուտէ** [ var.II]: om. Iber.

[9] იქ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული.. . 0194.

[10] კომენტარების სომხური თარგმანის ტექსტი მოგვაქვს იქ. აბულაძის გამოცემის მიხედვით. გამოცემაში მითითებულია ვარიანტები: var.I – მატენადარანის №3284 ხელნაწერი, var. II– მატენადარანის №5602 ნუსხა, var. III – მატენადარანის № 6362 ხელნაწერი. იხ. იქ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული.. . 0196 –0198.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III.

| | |
|---|---|
| var.I: Սափիդէս ասաց, թէ հակառակ ինչ չիք, այլ ամենայն ճշմարիտ է<br>var. II: [Սափի]...ասաց, եթէ հակառակ ինչ ոչ գոյ, այլ ամենայն ճշմարիտ է<br>var. III: Սափի ասաց, թէ չկայ իրք հակառակ, այլ ամենայն ճշմարիտ է | გ. სეფიოს ფილოსოფოსი აღზუავნა სხუათა ყოველთა ზედა ბრძენთა[1] და თქუა: წინააღმდგომი რაჲსავე საქმისაჲ არა ჳერ-არს,[2] არამედ ყოველი ჭეშმარიტ არსო. |

1) Սափիդէս [var.I], Սափի [var.III]: add. ფილოსოფოსი აღზუავნა სხუათა ყოველთა ზედა ბრძენთა

2) Հակառակ ինչ չիք [ var.I], հակառակ ինչ ոչ գոյ [ var.II], չկայ իրք հակառակ [var.III]: წინააღმდგომი რაჲსავე საქმისაჲ არა ჳერ-არს.

მე-3 კომენტარში სომხურ და ქართულ თარგმანებში გამოჩნდა სახელი სეფი/ სეფიოს ფილოსოფოსი. იგი გაჩნდა ბერძნულ ორიგინალში არსებული პითაგორელთა გამონათქვამის - Αὐτὸς ἔφα-ს გრაფიკულად მცდარი წაკითხვის შედეგად. Αὐτὸς-ის ბოლო ς თანხმოვანი მიკუთვნებულია მომდევნო ἔφα -სიტყვას და ამ გზით მიღებული "სეფი" გააზრებულია, როგორც სახელი უცნობი ფილოსოფოსისა. ეს სახელი დასტურდება როგორც კომენტარში, ისე თვით ჰომილიის ტექსტში( § 10). ჰომილიის სომხურ-ქართულ თარგმანებში რომ ნამდვილად გარკვეულ პიროვნებაზეა ლაპარაკი, ამას ადასტურებს ზემოთ მოხსენებული კომენტარი, რომელიც ამ პიროვნებას შემდეგ მოსაზრებას მიაწერს: წინააღმდეგობა არ არსებობს და ყოველივე ჭეშმარიტად არსებობს.[11]

IV.

| | |
|---|---|
| var.I: Պղատոն ասաց՝ ամենայն իրիք տեսակ մի է, որովք գրին այլք, որպէս գրի մոմ մատանեաւ և ի շուրջ գան ոգիք փոփոխմամբ և ցանկութեամբ ի մարմինս իջանեն<br>var.II: Պղատոն ասաց՝ ամէնայն իրիք տեսակ մի է, որով գրին այլքն, որպէս մոմ մատանեաւ և շուրջ գալ զոգին ասաց և եթէ փոփոխմամբք մարմնոյ ի մարմին ցանկութեամբք ի մարմինսն իջանեն և յիշեն վերստին, ուստի ելին և անդրէն դառնան<br>var.III: Պղատոն ասաց՝ թէ ամենայն իրաց տեսակ մի է, որով գրին այլքն, որպէս մոմ մատանեաւ և շուրջ գան ոգիքն և փոփոխմամբ ի մարմին իջանեն և վերստին իջմամբ յառաջինսն վերափոխին | დ. პლატონ ბრძენმან ესრეთ [1] თქუა: შესახედავი კაცთა ზედა ერთი სახე ჰგიესო[2], რომლითაცა ყოველნი გამოისახვიან, ვითარცა-იგი ბეჭდითა ერთითა მრავალნი ცჳლნი ერთსახედ დაიბეჭდვიან[3] და სულნი კაცთანი მიმოიქცევიანო და გუამითი- გუამად იცვალებიან და რომელიცა გუამი სთნდეს და გულმან უთქუას, მასცა შინა დაადგრებიანო[4-5]. |

1) Պղատոն]: add. ბრძენმან ესრეთ

2) Ամենայն իրիք [ իրաց var.III] տեսակ մի է [ var.I, var.II ]: შესახედავი კაცთა ზედა ერთი სახე ჰგიესო.

3) Որպէս գրի մոմ մատանեաւ [var.I ]: ვითარცა-იგი ბეჭდითა ერთითა მრავალნი ცჳლნი ერთსახედ დაიბეჭდვიან

აქ იგულისხმება პლატონის იდეები (ἰδέα), რომლებიც ისე აღიბეჭდებიან ცალკეულ საგნებში, როგორც ცვილზე ბეჭდის ანაბეჭდები (Theetet, 193 c).

---

[11] პითაგორელთა გამონათქვამის შესახებ Or 27-ის სომხურ და ქართულ თარგმანებში იხ. მ. რაფავა, ერთი უცნობი პერსონალია გრიგოლ ნაზიანზელის პირველი სადვთისმეტყველო სიტყვის (Or 27) ქართულ- სომხურ თარგმანებში, მრავალთავი, XIX, 2001, 213-220.

4) փոփոխմամբ և ցանկութեամբ ի մարմինս իջանեն [ var.I], և եթէ փոփոխմամբք մարմնոյ ի մարմին ցանկութեամբք ի մարմինս իջանեն ( var. II): და გუამითი-გუამად იცვალებიან და რომელიცა გუამი სთნდეს და გულმან უთქუას, მასცა შინა დაადგრებიანო.

გრიგოლ ოშკელი ցանկութեամբ სიტყვას პლეონასტურად თარგმნის: სთნდეს და გულმან უთქუას. აქ ლაპარაკია სულების მიგრაციაზე, როცა სულები ისწრაფიან რომელიმე სხეულში ჩასახლებას.

և յիշեն վերստին, ուստի ելին և անդրէն դառնան [ var. II], և վերստին իջմամբ յառաջինսն վերափոխեն [ var. III]: om. Iber.

ნაზიანზელის მიერ მითითებული პლატონისეული ცნება "მოგონება"( ἀνάμνησις) ჰომილიის სომხურ ტექსტში თარგმნილია յիշողութիւն სიტყვით, ხოლო სომხურ კომენტარში ნახმარია ზმნური ფორმა: յիշել. "მოგონება" ( ἀνάμνησις) სომხურ კომენტარში დაკავშირებულია სულების მიგრაციასთან. სულებს აქვთ მოგონება პირველმყოფობაზე, საიდანაც მოვიდნენ და სადაც მიბრუნდებიან. რაც შეეხება ოშკელის ქართულ თარგმანს, იქ არც ჰომილიის ტექსტში, არც კომენტარში ეს სიტყვა თარგმნილი არ არის.

V.

| | |
|---|---|
| var.I: Եպիկուրոս ասաց ինքնեղ և զտեսակս անձաւտ և թէ բարի է մարդոյ ուտել և ըմպելն<br>var.II: Եպիկուրոս ասաց ինքնեղ զաշխարհ, այս է անաստուածութիւնն. և զտեսակն անձաւտս, և թէ մարդոյ բարի է ուտելն և զըմպելն<br>var.III: Եպիկուրոս ինքնեղ ասաց զաշխարհս և տեսակս անձաւտս և բարի զուտելն և զըմպելն | ე. ეპიკოროს ბრძენმან[1] არსნი ყოველნი თჳთქმნულად თქუნა[2-3] და შესახედავნი – განუკუეთელად, და ვითარმედ: კაცისა კეთილი და უმჯობესი ჭამაჲ და სუმაჲ არსო. |

1) Եպիկուրոս ]: add. ბრძენმან
2) Ասաց ինքնեղ զաշխարհ[ var.II], ինքնեղ ասաց զաշխարհս [ var. III]: არსნი ყოველნი თჳთქმნულად თქუნა
3) Այս է անաստուացութիւնն [var. II]: om. Iber.
4) Բարի : კეთილი და უმჯობესი

ჰომილიის ტექსტში ნაზიანზელი ეპიკურეს პირველ ბრალდებად ასახელებს მის ულმრთოებას( ἀθεία). კომენტარში განმარტებულია, თუ რაში მდგომარეობს ეპიკურეს ულმრთოება: ეპიკურემ არსთა შექმნაში უარყო ზებუნებრივი მიზეზი, ღმერთი და სამყარო თვითშექმნილად გამოაცხადა, ანუ სამყაროს შექმნას მექანიკური ახსნა მოუძებნა. კომენტარის სომხურ ტექსტში( var.II) წერია: այս է անաստուածութիւնն, რაც სომხურის სხვა ვარიანტებსა და ქართული თარგმანში არ არის.

VI.

| | |
|---|---|
| var. I: Արիստոտէլ ասաց, թէ նախախնամութիւնն մինչ յարեգակն և լուսին և յաստեղս, և անտի խոնարհ ոչ ևս ինչ, այլ իմաստասիրեաց զհոգիս մահկանացուս գոլ<br>var.II: Արիստոտէլ զնախախնամութիւնն խոստովանի և զամենայն ինչ մերոյ նախայաւժարութեան ասէ և ոչ ի հարկէ ճակատագրին, բայց զհոգիս մարդկան մահկանացու ասէ<br>var.III: Արիստոտէլ ասաց, մինչ ի լուսաւորքդ նախախնամութիւն Աստուծոյ և ի ներքոյ լուսաւորքդ ինամեն. և զոգիս մարդկան մահկանացու | ვ. არისტოტელე ბრძენმან[1] თქუა: განგებულებაჲ ღმრთისაჲ ჰგიეს ზეცისათა ზედა[2] და ვიდრე მზედ და მთოვარედ და ვარსკულავთამდე მოიწევის,[3] ხოლო უქუე არღარა შთამოვალსო[4], და სულისათჳს კაცთაჲსა რეცა ჴელოვნისმეტყუელმან და მოკუდავად თქუნა[5]. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

არისტოტელეს შესახებ კომენტარის ქართული თარგმანი უფრო ახლოა var.I - var.III-თან.

1) **Ապիստոսէլ**[ add. ბრძენმან

2) **մինչ ի լուսաւորչդ նախախնամութիւնն Աստուծոյ** [ var.III]: განგებულებაჲ ღმრთისაჲ ჰგიეს ზეცისათა ზედა

3) **յարեգակն և լուսին և յաստեղս** [var.I]: ვიდრე მზედ და მთოვარედ და ვარსკულავთამდე მოიწევის

4) **Ոչ ևս ինչ** [ var.I], **ոչ ի հարկ** [var. II]: არღარა შთამოვალსო

5) **Ա յլ իմաստասիրեացն գՀովհ մաՀկնացուս գոլ** [var. I]: და სულისაჲს კაცთაჲსა რეცა ჭელაღნისმეტყუელმან და მოკუდავად თქუნა.

ნაზიანზელის მიერ არისტოტელეს მიმართ წამოყენებული ბრალდებებიდან კომენტარებში განმარტებულია მხოლოდ ორი შეხედულება ფილოსოფოსისა: წინაგანგება ( Πρόνοια) და სულთა მოკვდავება (ὁ θνητὸς περὶ ψυχῆς).

კომენტარი ეხმიანება არისტოტელეს მიერ განვითარებულ აზრს, რომ უზენაესი მზეზის, ღმერთის წინაგანგება მოიცავს მხოლოდ ციურ სამყაროს, ცის ზემოთას, ხოლო უფრო დაბალ არსებებში, ცის ქვემოთა სამყაროში იგი არ ერევა.

## VII.

| | |
|---|---|
| var.I: **ձեմ[ա]կանքն ամբարտաւանեցին և ոչ խաւսել ընդ ումեք արժանի վարկանէին**<br>var.III: **ձեմ[ա]կանքն ոչ խաւսել ընդ ումէք արժանի համարէին ամբարտաւանել** | ზ. მიმო[მ]ქცევართათჳს. ესრეთ უკუე გუსწაւიეს გარეშეთა წიგნთაგან, ვითარმედ ვიდრემდის პლატონ ფილოსოფოსი ცოცხალღა იყო, არისტოტელე და მოწაფენი მისნი ვერ იკადრებდეს ერთსა შინა ქალაქსა დადგრომად და სწავლად პლატონის პატივისათჳს, რამეთუ პატივი მოძღურებისაჲ მას ეპყრა, არამედ ადგილითი-ადგილად იქცეოდეს და ესრეთ სიბრძნისმეტყუელებდეს. ამისთჳს არისტოტელეანთა მათ რიტორებრითა სიტყჳთა მრორინედ გინა მიმო[მ]ქცევრად სახელ-სდვეს[1], ხოლო წარბმაღლობელად ღმრთისმეტყუელმან ამისთჳს უწოდა მათ, რამეთუ ზუავნი იყვნეს და ფუდულნი, და არავის ფრიად სიტყუას მიუგებდეს, არამედ წარბმაღლობით თანა-წარჰჴდებოდეს.[2] |

1) **ձեմ[ա]կանքն** ]: მიმო[მ]ქცევართათჳს. ესრეთ უკუე გუსწაւიეს.. . მიმო[მ]ქცევრად სახელ-სდვეს

2) **ամբարտաւանեցին և ոչ խաւսել ընդ ումեք արժանի վարկանէին** [var. I]: წარბმაღლოებელად ღმრთისმეტყუელმან ამისთჳს უწოდა მათ, რამეთუ ზუავნი იყვნეს და ფუდულნი და არავის ფრიად სიტყუას მიუგებდეს, არამედ წარბმაღლობით თანა-წარჰჴდებოდეს.

ნაზიანზელის დედნის τῆς Στοᾶς ( სტოა ) სომხურში თარგმნილია **ձեմական** სიტყვით, რომლის ზუსტ ქართულ შესატყვისს წარმოადგენს ო"შკელის "მიმო[მ]ქცევარი". მაგრამ **ձեմական** არის არისტოტელეს მიმდევრების, პერიპატოელების, ადმნიშნელი სომხური სიტყვა.[12] როგორც ჩანს, სომეხმა და ქართველმა მთარგმნელებმა Στοά მოიაზრეს, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერიპატოელები. ქართულ კომენტარში ეს თემა საკმაოდ გავრცობილია და განსხვავებით სომხური კომენტარისაგან, განმარტებულია, თუ რატომ ეწოდებათ ამ სკოლის მიმდევრებს პერიპატოელები. საყურადღებოა, რომ ქართველი მთარგმნელი თავისი ორიგინალური განმარტების წყაროდ "გარეშეთა" ანუ წარმართ ფილოსოფოსთა წიგნებს ასახელებს.

**VIII.**

| | |
|---|---|
| var.I: ჴ̃ნაჲ̃ს აი ჲ̃ბაჲ ი ფილოპ̃ნაფალ ლ̃ჩის<br>var II: ჴ̃ნაჲ̃ს აი ჲ̃ბაჲს ის ფილოპ̃ნაფალ ლ̃ჩის[ ]<br>var.III: ჴ̃ნაჲ̃ს ჴ̃ნა ჲ̃აიცჩაჲ̃ს მ̃ჩაჲ̃ს ჴ̃ამაჩ̃ჩ̃ჩის, ჴ̃ფი ჩ̃ნაჲ̃ნაჩ̃ჩ̃ი ჲ̃ მ̃ს აი ი ისაჩ̃ჩ̃ის ჴ̃ანა ფილოპ̃ნაფიჩ̃ჩ̃ისა | წ. გლეხურთა მათთჳს.[1] ხოლო რომელნიცა გლეხურნი იყვნეს და უსწავლელნი წარმართთაგანი იგი, შერეულად და ღნიობად ყოვლისაფერისა ჭამასა და სუმასა შექცეულ იყვნეს ნაყროვნებით[2] |

1) ამ̃ბ̃ჲ̃ნაჲ̃ნაჩ̃ჩ̃ი]: add. გლეხურთა მათთჳს

2) ჴ̃ნაჲ̃ს აი ჲ̃ბაჲ ი ფილოპ̃ნაფალ ლ̃ჩის [ var.I], ჴ̃ნაჲ̃ს ჴ̃ნა ჲ̃აიცჩაჲ̃ს მ̃ჩაჲ̃ს ჴ̃ამაჩ̃ჩ̃ჩის...ჴ̃ანა ფილოპ̃ნაფიჩ̃ჩ̃ისა [ var.III]: ხოლო რომელნიცა გლეხურნი იყვნეს და უსწავლელნი წარმართთაგანი იგი, შერეულად და ღნიობად ყოვლისაფერისა ჭამასა და სუმასა შექცეულ იყვნეს ნაყროვნებით.

ნაზიანზელის ტექსტის τῶν Κυκῶν-ის შესატყვისად სომხურ თარგმანშია ჴ̃ნაჲ̃ს, ხოლო ქართულ შესატყვისად არის "გლეხურთაჲ".

კომენტარებშიც იგივე შესატყვისებია. როგორც ილ. აბულაძე შენიშნავს, სომხური ჴ̃ნაჲ̃ს, რაც ბერძნული κυκικός-ის თარგმანს წარმოადგენს, ქართველი მთარგმნელის მიერ წაკითხულ იქნა, როგორც ჩ̃ჩაჲ̃ს, რაც ადრინდელი ქართულით "მდაბიურს", "მდაბიოს", ე. ი. "გლეხს" აღნიშნავდა. სომხური სიტყვის გრაფიკულად სხვაგვარი წაკითხვის შედეგად განსხვავებული თარგმანი "გლეხურთაჲ".[13] ეს აშკარა არშიხმი კიდევ ერთხელ ადასტურებს ოშკელის თარგმანის სომხურიდან მომდინარეობას.

**IX.**

| | |
|---|---|
| ი̃ამ̃აჲ̃ ჲ̃ ჩ̃ჩჲ̃ბაჲ̃ნაჲ̃ნაჩ̃ჩ̃ი ჴ̃ჩაჲ̃ ჴ̃აჲ̃ჩ̃ჩ̃ ჴ̃ანაჲ̃ჩ̃ჩ̃ი ჲ̃ ი̃ამ̃აჲ̃ ჴ̃ნაჲ̃ს ჴ̃ჩაჲ̃ნი, ჴ̃ფი ჲ̃ აჩ̃ნაჲ̃ნაჩ̃ჩ̃ი ჴ̃ანაჲ̃ჩ̃ჩ̃ი ჲ̃ ჩ̃ჩაჲ̃ჩ̃ჩ̃ი ჩ̃ჩაჲ̃ჩ̃ჩ̃ი ჲ̃

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილი სხვა ხელნაწერებში, მათ შორის გრიგოლ ოშკელის მიერ გამოყენებულ ნუსხაშიც იქნებოდა.

ქართული და სომხური კომენტარების შედარებით ირკვევა, რომ გრიგოლ ოშკელის თარგმანი მუდმივად არცერთ სომხურ ვარიანტს არ მიჰყვება. ქართულ კომენტარებში სომხური კომენტარების შერეული სურათი იჩენს თავს. ამდენად, გრიგოლ ოშკელის მიერ თარგმნილი კომენტარების წყაროდ ამ ხელნაწერებისაგან ( № 3284, 5602 და 6362 ) განსხვავებული სხვა სომხური ხელნაწერი უნდა ვიგულვოთ.

ქართული თარგმანის სომხურ თარგმანთან დამოკიდებულების ხასიათის შესახებ ილ. აბულაძე შენიშნავს:

"ერთიმეორის გვერდით ნიმუშად მოტანილი ქართული და სომხური ტექსტები ( ჯერ ნაწყვეტი თვით ნაწარმოებიდან და მერე ამ ნაწარმოებზე დართული ახსნა-განმარტება) ერთმანეთს, როგორც ეს შედარებიდან ირკვევა, არ ხვდება ტექსტობრივ. ამიტომ სინამდვილესთან უფრო ახლოს ვიქნებით, თუ დავასკვნით, რომ გრიგოლ ოშკელის თარგმანის დედანი არსებულისაგან განსხვავებული და, მაშასადამე, სხვა რედაქციისა ყოფილა".[14]

სომხურ და ქართულ თარგმანებს შორის არსებული განსხვავებები, მართლაც, შეიძლება აიხსნას იმით, რომ ქართველ მთარგმნელს განსხვავებული რედაქციის სომხური ტექსტი ჰქონდა ხელთ.

ამავე დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ აქ შეიძლება მთარგმნელის შემოქმედებით ინიციატივასთან გვქონდეს საქმე. ვეყრდნობით რა or 27--ის მთლიანი ტექსტის ქართული და სომხური თარგმანების ურთიერთშედარებით მიღებულ შედეგებს, რომლითაც ნათლად გამოიკვეთა გრიგოლ ოშკელის თავისუფალი თარგმნის ხასიათი და თავისებურებანი, ჩვენ უფრო მართებულად გვეჩვენება ის მოსაზრება, რომ ქართულ თარგმანში სომხურთან შედარებით არსებული განსხვავებები ქართველი მთარგმნელის მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებებით უნდა აიხსნას. კომენტარების ქართული ტექსტის სომხური დედნისაგან განსხვავებული წაკითხვები გრიგოლ ოშკელის შემოქმედებით ინიციატივას უნდა მივაწეროთ. ქართულში გვაქვს სხვადასხვა სახის გავრცობა: სიტუაციური, ასოციაციური, განმარტებითი ხასიათისა, საპირისპიროს ჩვენება; ჩამატებულია ზმნები; ჩართულია პერიპატოლელთა განმარტების შემცველი მოზრდილი მონაკვეთი, ბოროტი დემონის დასახელება და ა.შ. ქართულ –სომხური ტექსტების ურთიერთშედარების საფუძველზე მიღებულ შედეგებზე ამჯერად არაფერს ვამბობთ. იგი ცალკე თემაა.

* * *

გარკვეულ ინტერესს იწვევს or 27-ის სომხურ და ქართულ თარგმანებში § 10-ზე დართული კომენტარების ავთენტურობის საკითხი. ვის ეკუთვნის აღნიშნული კომენტარები, შეთხზულია ისინი სომეხი მთარგმნელის მიერ, თუ სომხურში ბერძნულიდან არის შესული? რა შეიძლება ითქვას Or 27 § 10-ის კომენტარების რაობის შესახებ გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ჩვენთვის ცნობილი ბიზანტიელი ავტორებისა და სომეხი კომენტატორების მიერ შექმნილი კომენტარების ფონზე?

ჩვენთვის ცნობილ გამოქვეყნებულ ბერძნულ კომენტარებს შორის დასტურდება Or 27-ის რამდენიმე კომენტარი, რომლებიც ეკუთვნიან ბასილი მინიმუსს, ელია კრეტელს, მაქსიმე აღმსარებელს, აეტი სირიელს, ანონიმს.[15]

გამოქვეყნებულ კომენტარებს შორის ანონიმის კომენტარები, რომლებიც ახლავს Or 27-ის §§ 5, 7 და 10-ს, გარკვეულ შინაარსობრივ სიახლოვეს იჩენს სომხური და ოშკელის თარგმანების კომენტარებთან. კერძოდ, Or 27 §10-ის ანონიმისეული კომენტარი ეხება

[14] იქვე, იგივე, 0198.

[15] Ioan. Saydak, Historia critica scholiastarum et commentatorum Gregorii Nazianzeni. Pars I. De codicibus scholiastarum etc. Cracoviae, 1914. E. Norden, Scholia in Gregorii Nazianzeni Orationes inedita, Hermes 27 ( 1892). E. Piccolomini, Scolii alle orazioni di Gregorio Nazianzeno, Annali delle Universita Toscane, 16,1 ( Pisae, 1879). Fr. Oehler, S. Patris nostri Maximi Confessore de variis difficilibus locie ss. pp Dionysii et Gregorii ad Thomam, Anecdota Graeca,T. 1, Halis, 1957.

τὸ κενόν და τὸ πλῆρες სიტყვების განმარტებას. ლაპარაკია იმაზე, რომ დემოკრიტემ ეპიკურეზე ადრე გამოაცხადა τὸ κενόν და τὸ πλῆρες ყოველივეს დასაბამად.[16]

იმავე ანონიმის Or 27 § 5-ის კომენტარი ეხება სიტყვებს: οἱ θᾶττον ἃ τοῦ αἵματος ἢ λόγων ἐστὶν ὧν μεταδοῖεν τοῖς ἀμυήτος. კომენტარში განმარტებულია პითაგორელთა მიერ ცერცვის ჭამის აკრძალვის მიზეზები, რაზეც გრიგოლ ოშკელის თარგმანის კომენტარებშიც არის საუბარი.

Or 27 § 10-ის კომენტარები( სომხური და ოშკელის თარგმანების მიხედვით) ასევე შინაარსობრივ სიახლოვეს ავლენენ Or 27-ის ელია კრეტელის კომენტარებთან[17] და ანონიმის Or 25 §6-ის კომენტართან.[18] ელია კრეტელის კომენტარში ყურადღება გამახვილებულია პითაგორას მოძღვრებაზე, კერძოდ, მის დუმილსა( σιωπή ) და ცერცვის აკრძალვის წესზე, ასევე პლატონის, არისტოტელეს, კინიკოსების ცალკეულ შეხედულებებზე, თეაგოგიასა და პსუხოგოგიაზე. ანონიმის კომენტარში განმარტებულია Or 25 § 6-ში ნაზიანზელის მიერ მოხსენებული Περιπάτους,᾽Ακαδημείας, Στοὰν,᾽Επικούρου – ფილოსოფიური მიმდინარეობები[19], ანუ ის მიმდინარეობები, რომლებიც დასახელებულია Or 27-ის § 10-სა და მასზე დართულ კომენტარებშიც. მათგან περιπατός-ის განმარტება მხოლოდ ქართულ თარგმანშია, როგორც ეს ზემოთ იქნა მითიებული.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კომენტარები თემატურად იმეორებენ Or 27 § 10-ის კომენტარებს, რომლებიც სომხურ და ქართულ თარგმანებშია წარმოდგენილი, ამ უკანასკნელის ორიგინალს არცერთი მათგანი არ წარმოადგენს. ჩვენთვის საინტერესო კომენტარები უცილობლად განსხვავდება მათგან და ამდენად, ისინი სხვა ავტორს ეკუთვნიან. ეს გარემოება ბუნებრივად ისევ სომხური დედნისაკენ მიგვაქცევინებს ყურადღებას, კომენტარების ავტორის სომხურ სინამდვილეში ძებნისკენ გვიბიძგებს.

ცნობილია, რომ გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებებს არა ერთი და ორი სომეხი კომენტატორი ჰყავდა. ესენია: ნერსეს შნორჰალი, ვარდან ჰაღპატეცი, ელია ასური, დავით ქობაირეცი, იოვანე იმასტასერი, გრიგოლ აბასისძე, მხითარ გოში და სხვა. ჩამოთვლილი პირები XII ს-ის და მომდევნო ხანის მოღვაწენი არიან.[20] მათგან უმრავლესობა სამოღვაწეო ადგილის მიხედვით "ჩრდილო მხარის" მოძღვრებად არიან ცნობილი.[21]

სომხურ ხელნაწერებში კომენტარების სამგვარი სახეობა დასტურდება: **լուծմունք** (ახსნა-განმარტებები), **պատճառք**( მიზეზები) და **մեկնութիւններ** ( განმარტებები), რომლებსაც ერთიდაიგივე მიზანი აქვთ: განმარტება, მაგრამ განსხვავებული ხასიათისა: უფრო ფორმობრივი აღნაგობის აზრით.

კომენტარები ზოგ ხელნაწერში აშიაზეა, ზოგში კი შიგ ტექსტშია ჩართული. ზოგ კომენტარს ავტორი ჰყავს. მაგალითად, დავით ქობაირეცის ეკუთვნის 12 ლიტურგიკული სიტყვისა და 15 თეოლოგიური სიტყვის კომენტარები. კომენტარები დასტურდება იმ კრებულებში, რომლებიც **գիրք պատճառաց** კრებულებად არიან ცნობილი და რომელთა შემდგენლად გრიგოლ აბასისძე ითვლება.[22]

სომეხ კომენტატორთაგან ჩვენს ყურადღებას იქცევს დავით ქობაირეცის ( 1150 –1220 წწ.) კომენტარები, რომლებიც დასტურდება რამდენიმე სომხურ ხელნაწერში, ასევე **Գիրք պատճառաց** –ის შემცველ ხელნაწერებში.

ერთ-ერთი ასეთი ხელნაწერია ერევნის მატენადარანის № 5602 ხელნაწერი. მისი დათარიღების შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ზოგნი მას 1177 წლით ათარიღებენ, ზოგნი – 1178 წლით.[23] ხელნაწერი დავით ქობაირეცის ავტოგრაფად არის მიჩნეული, თუმცა ნუსხაში ავტორის სახელი არ არის შემონახული. ხელნაწერში დაცულია ანდერძი, რომელზე

---

[16] E. Piccolomini, Scolii…27.

[17] I. Sajdak. Historia…95 –112. PG 36, c. 737-932.

[18] E Piccolomini. Scolii…24-25.

[19] PG 35, c.1205 A 1-3.

[20] Կ: Մուրադյան, Գրիգոր Նազիանզացին Հայ մատենագրութեան մեջ, Երևան, 1983, 169-194:

[21] ლ. მელიქსეთ-ბეგი, "ჩრდილო მხარის სომეხთა მოძღვარნი" და მათი ვინაობა. თფილისი, 1928.

[22] La version Arme'nienne des Discours de Gre'goire de Nazianz, par G. Lafontaine et B. Coulie, Corpus Scriptorum Christianorum orientalium, v.446, subsidia, t.67, Lovanii, 1983, 7.

[23] Կ. Մուրադյան, Գրիգոր Նազիանզացին…177. Վ. Հակոբյան, Դավիթ Քոբայրեցու հիշատակարանը, Տեղեկագիր, 8, 1952, 119. Հայերեն Ձեռագրերի հիշատակարաններ, Երևան, 1988, 222.

დაყრდნობით მოღებულია აზრი, რომ ხელნაწერში დაცული კომენტარების ავტორი დავით ქობაირეცია. ეს ანდერძი მკვლევართა დიდი ყურადღებით სარგებლობს. იგი რამდენჯერმე გამოქვეყნებული.[24] ანდერძი შედგება ორი, თემატურად სრულიად განსხვავებული ნაწილისაგან. პირველ ნაწილში ანდერძის ავტორი ეხება გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტირების საკითხებს,[25] მეორეში კი – საქართველოში ორბელიანთა აჯანყებას.[26]

ჩვენს ყურადღებას ანდერძის პირველი ნაწილი იპყრობს. ანდერძში გაცხადებულია, რომ ნერსე სომეხთა კათალიკოსისა და ვარდანის ( იგულისხმება პაჟარტეცი) სურვილითა და დავალებით მან ( დავითმა) ხელი მოჰკიდა დიდი სოფისტის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, ორი წიგნის კომენტარების შევსებასა და გავრცობას. ეს წიგნებია: **Ի ծնունդ Քրիստոսի** (ქრისტეს შობისათვის) და **Ա.ი որս** ( მათდა მიმართ )[27]. ანდერძის შესაბამისად, № 5602 ხელნაწერში წარმოდგენილია ამ ორი კოლექციის– ლიტურგიკულისა და თეოლოგიური– თხზულებათა კომენტარები.

დავით ქობაირეცის ავტორობა ზოგი მკვლევრის გარკვეულ ეჭვებს იწვევს. არსებობს განსხვავებული მოსაზრება, რომ № 5602 კრებული არის ნაზიანზელის ორი წიგნის კომენტარების დავით ქობაირეცისეული რედაქცია. დავით ქობაირეცი იცნობდა წინამორბედების – ვარდან ჰაჟარტეცისა და ელია ასურის ( ორივენი XII ს-ის მოღვაწენი არიან) – კომენტარებს გრიგოლის თხზულებებისა. დავითის კრებულში აშკარად ჩანს ელია ასურის კომენტარების გავლენა და კვალი.[28] ზოგ სომხურ ხელნაწერში დავით ქობაირეცი წარმოდგენილია , როგორც კომენტატია შემკრები. მაგრამ არის სომხური ხელნაწერები, სადაც კომენტარების გარკვეული ნაწილი იმეორებს იმ მასალას, რაც არის ქობაირეცის ავტოგრაფ ხელნაწერში და რომლებშიც ავტორობის საკითხი ღიად არის დარჩენილი.

სომხურ ხელნაწერთა შორის დასტურდება ისეთი კრებულები, რომლებიც შეიცავენ დავით ქობაირეცის განმარტებებს. ეს კრებულები **Ի բերք պատճառաց** "მიზეზთა წიგნის" სახელით არიან ცნობილი. პ. დაშიანის შენიშვნით, ვენის № 317 ხელნაწერში "მიზეზთა წიგნის" შემკრებად ადგილ-ადგილ დავით კომენტატორი მოიხსენიება. ხოლო ნ. აკინიანის აზრით, "მიზეზთა წიგნის" შემდგენელმა, გრიგოლ აბასისძემ, გამოიყენა დავით ქობაირეცის განმარტებები.[29] "მიზეზთა წიგნის" შემცველ კრებულთან დავით ქობაირეცის მიმართების საკითხი მრავალ, ბოლომდე გაურკვეველ კითხვას შეიცავს, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ " მიზეზთა წიგნში" დაწესტურებულ ბასილი დიდისა და გრიგოლ ნისელის თხზულებათა კომენტარებს აქვთ ზედწოდება " დავით ვარდაპეტის მიერ თქმული" ( ხელნაწერი № 1879, 298v.), ხოლო ნაზიანზელის საკითხავების კომენტარები ავტორის დასახელების გარეშე არიან წარმოდგენილი.[30]

სომეხ მკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც ეხება დავით ქობაირეცის მიერ გრიგოლ ნაზიანზელის ორი კოლექციის საკითხავების კომენტირებას, როგორც ვხედავთ, ერთგვაროვანი არ არის. სომხურ ხელნაწერებშიც არ ჩანს ერთი გამოკვეთილი სურათი იმისა, თუ რომელი კომენტარი ეკუთვნის ამა თუ იმ ავტორს და რომელია სხვათა მიერ გადამუშავებულ-რედაქტირებული. ყოველ შემთხვევაში, სომხურ ხელნაწერებში დადასტურებული ის კომენტარები, რომელთა ამოსავალ დედნად ქობაირეცის ავტოგრაფის სახელით ცნობილი № 5602 ხელნაწერი ივარაუდება, მთელ რიგ ტექსტობრივ მსგავსებას, გარკვეული ფრაგმენტების იდენტურობას ავლენენ სხვა კომენტატორების განმარტებებთან.

ასეთ ვითარებაში, როცა დავით ქობაირეცის კომენტარების შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, ამ კომენტარების ერთი ნაწილის შესახებ შეიძლება სრულიად გარკვეული და ზუსტი დასკვნა გაკეთდეს. დასკვნა ასეთია: იმ ორი კოლექციიდან, რომელთა კომენტარებსაც დავით ქობაირეცის მიაწერენ, **Ա.ი որս** კოლექციის მეთაური საკითხავის, Or 27-ის

---

[24] Կ. Մաթևոսյան, Գրիգոր Նազիանզացին... 178.

[25] მატენადარანის № 5602, 268v –270a. Տեսկևպոիր 8, 118. Հանրեն Գևոպոերի Հիշատակարաններ և - մր գդ., Երեվան, 1988, 222 - 223.

[26] მატენადარანის № 5602 270v – 272 v. Տեսկևպոիր 8, 119 -120. Հանրեն Գևոպոերի....223 - 225.

[27] ცნობილია, რომ სომხურ ხელნაწერებში ნაზიანზელის თხზულებები 4 კოლექციის სახით დასტურდება. ზემოთ ჩამოთვლილები ორი მათგანია.

[28] Կ. Մաթևոսյան, იგივე, 181 -182.

[29] Կ Մաթևոսյան, იგივე, 183.

[30] იგივე, 184.

§ 10-ზე დართული კომენტარები (დადასტურებული № 5602 და სხვა ხელნაწერებშიც) ნამდვილად არ ეკუთვნის არც დავით ჭობაირეცის, არც ელია ასურს და არც რომელიმე მათ თანამედროვეს, თუ მომდევნო ხანის კომენტატორს. ამ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა გრიგოლ ოშკელის ქართული თარგმანი, სადაც Or 27 § 10-ის კომენტარები ზუსტად ისაა, რომლებიც სომხურ ხელნაწერებში ( მათ შორის № 5602-ში ), დასტურდება. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ გრიგოლ ოშკელი X ს-ის მოღვაწეა, ხოლო ხელნაწერი, რომელშიც მისი თარგმანი დასტურდება, XI ს-საა, სრულიად აშკარაა, რომ აღნიშნული კომენტარები შექმნილია X ს-მდე, ე.ი. მანამ, სანამ მათ თარგმნდა გრიგოლ ოშკელი. ამდენად, აბსოლუტურად უნდა გამოირიცხოს ამ კომენტარების მიკუთვნება X ს-ის მომდევნო ხანის რომელიმე სომეხი კომენტატორისთვის.

Or27 § 10-ის უძველესი სომხური კომენტარების არსებობის ფაქტი შეიძლება განზოგადდეს ნაზიანზელის სხვა საკითხავების კომენტარების მიმართაც. სრულიად მოსალოდნელია, რომ სომხური მწერლობის ადრეულ პერიოდშივე ნაზიანზელის საკითხავების თარგანთან ერთად, ან უშუალოდ მომდევნო პერიოდში, მთარგმნელებმა ან სხვებმა ამ საკითხავებს კომენტარებიც დაურთეს. როგორც ჩანს, დავით ჭობაირეცის, ასევე "მიზეზთა წიგნის" შემდგენელმა თავიანთი კრებულების შედგენისას ისარგებლეს სომხურ მწერლობაში ძველთაგანვე არსებული კომენტარებით.

ჩვენი ვარაუდი იმის შესახებ, რომ სომხურად X ს-მდე არსებული კომენტარები Or 27 §10-ისა სომეხი მწერლის მიერ უნდა იყოს შექმნილი, ნაწილობრივ იმ ერთი ტექსტობრივი წაკითხვითაც მართლდება, რომელიც დასტურდება კომენტარების სომხურსა და ქართულ თარგმანებში. მხედველობაში გვაქვს ნაზიანზელის მიერ მითითებული პითაგორელთა ფორმულის Αὐτὸς ἔφα-ს ნაცვლად **Սեփ**, სეყიოს ფილოსოფოსის დასახელება როგორც საკითხავის ტექსტის, ისე კომენტარების სომხურ-ქართულ თარგმანებში. ჩვენს მიერ გარკვეულად, რომ **Սեփիոս** – სეყიოს გაჩნდა Αὐτὸς ἔφα-ს მცდარად წაკითხვის საფუძველზე.Αὐτὸς სიტყვის ბოლო თანხმოვანი ς მიკუთვნებულია მომდევნო ἔφα სიტყვას. პითაგორელთა ფორმულა წაკითხულ იქნა, როგორც Αὐτὸ σεφα – თვით სეყა// თვით სეყიოს.[31]

ბერძნული სიტყვის გრაფიკულად მცდარი წაკითხვა ჩვენი აზრით, ნაკლებ მოსალოდნელია, ბერძენს მოსვლოდა. თუმცა შეიძლებით ნაკლებ განათლებული ბერძენი გადაშენების შემთხვევაში არც ეს არის გამოსარიცხი. მაგრამ რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, Or 27-ში პითაგორას გამონათქვამის ნაცვლად სეყიოს ფილოსოფოსის დასახელება არცერთ ბერძნულ ხელნაწერში ჯერ-ჯერობით დაფიქსირებული არაა. ამდენად, ვფიქრობთ, რომ ნაზიანზელის ტექსტში პითაგორას გამონათქვამი Αὐτὸς ἔφα უფრო სხვა ენაზე მთარგმნელის, ამ შემთხვევაში სომხის, მიერ არის არასწორად წაკითხული და სხვაგვარად გააზრებული.

ამ ადგილის კომენტარიც მხარს უჭერს იმ წაკითხვას, რაც მოცემულია სომხურ თარგმანში. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ სომხური თარგმანის ტექსტის კომენტატორად ბერძენი ავტორი გამოსარიცხია. ასე რომ, ჩვენი ვარაუდით, სომხური თარგმანის კომენტარები Or 27 §10-ისა სომეხი კომენტატორის მიერ არის შექმნილი. შექმნილია ისინი X ს-მდე.

Or 27 §10-ის კომენტარების მაგალითზე ცხადი ხდება, რომ სომხური კომენტარების შესწავლა სხვადასხვა სომხურ ხელნაწერებში, მათი ბერძნულ თუ სხვაენოვან კომენტარებთან შედარება დამატებითი კვლევა-ძიების შემთხვევაში მრავალ საყურადღებო სიახლეს გამოავლენს გრიგოლ ნაზიანზელის ლიტერატურული მემკვიდრეობისა და მასზე შექმნილი მრავალრიცხოვანი კომენტარების შესწავლის საქმეში.

[31] ამის შესახებ იხ. ჩვენი წერილი " ერთი უცნობი პერსონალია გრიგოლ ნაზიანზელის პირველი საღვთისმეტყველო სიტყვის (Or 27) ქართულ- სომხურ თარგანებში", მრავალთავი, XIX, 2001.

M. RAPHAVA

# LES COMMENTAIRES DU PREMIER DISCOURS THEOLOGIQUE ( 0R 27 ) DE GREGOIRE DE NAZIANZE DANS LES TRADUCTIONS GEORGIENNES ET ARMENIENNES

RESUME

Le premier discours théologique de Grégoire de Nazianze "Délibération préliminaire" dans la traduction de Grégoire d' Ochki est suivi des commentaires avec le titre " Les commentaires des mots difficiles à comprendre". Les commentaires représentent l' explication des ideés des filosofhes hellènes: Pythagore, Platon, Epikure, Aristot, des Péripathétiques et des Cyniques et aussi les commentaires de quelques doctrines païennes. Les commentaires suscits, ainsi que toute la lecture, sont traduits de l' arménien. Le texte géorgien des commentaires se distinge par la lecture à cause de la méthode de la traduction propre du traducteur géorgien. Dans le texte géoergien on rencontre les insertions en rapport avec la situation, l' association et l' explication. Parfois le trraducteur insère les verbes ou tout un passage, qui contient l' explication de mot " Péripathétique" et aussi la mention des diables méchants comme "Maditès".

Il n'y a pas l' analogie des commentaires Or 27 parmi les commentaires grecs déja édités. On les trouve dans quelques manuscrits arméniens. Pour constater leur authenticité il faudrait examiner les recueils contenants les commentaires attribués à David Kobairetzi ( XII siècle ).

Parmi les savants il y a la différence sur la question de la paternité de David Kobairetzi. Le commentaires de Or 27 existants dans la traduction géorgienne de Grégoire d' Ochki attestent que leur auteur n'est pas ni David Kobairezi, ni quelque'un de ses contemporains.

Les commentaires indiqués sont écrits jusqu' à XI siecle c' est à dire jusqu'à leur traduction de Grégoire d' Ochki.

Ce fait atteste que les commentaires des homélies de Grégoire de Nazianze existaient dans la littérature arménienne plus avant au X siècle. David Kobairezi et les autres auteurs arméniens du XII siècle ont utilisé les commentaires plus vieux.

თამარ მარგიანი

# რამდენიმე შენიშვნა გრიგოლ ხუცესის „გრიგოლ ნაზიანზელის ცხოვრების" ქართულ თარგმანებთან დაკავშირებით

„გრიგოლ ნაზიანზელის ცხოვრების" ავტორი გრიგოლ ხუცესი თხზულების შესავალში აღნიშნავს, რომ მას გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებებიდან ამოუკრებია ცნობები გრიგოლის ცხოვრების შესახებ: „ოჳთ მისთავე თქუმულთა შინა მიმოგანთუსლა შეკრებითა მისთჳს ვემსგავსები მკრებელთა ჭკჳსთა, რომელთა-იგი შეკრებაჲ წულილადისა კენჭებისაჲ ყიან აღსავსება ეროთსა სახლისა შენაწევრებისა" (A 109, 237r)[1]. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათაგან მხოლოდ სამია ისეთი, სადაც გრიგოლ ხუცესი აკეთებს ციტირებას. ესენია Or.42, Or.43 და De vita sua (გრიგოლ ნაზიანზელის ავტობიოგრაფია). სხვა თხზულებები გრიგოლ ნაზიანზელისა „ცხოვრებაში" გამოყენებულია ალუზიების სახით[2].

Or.42 და Or.43 ქართულ ენაზე ორი თარგმანით არსებობს – ეფთვიმე ათონელის და ეფრემ მცირისა[3]. De vita sua ქართულად არ არის ნათარგმნი. ამავე მოღვაწეების მიერაა თარგმნილი „გრიგოლ ნაზიანზელის ცხოვრებაც"[4].

გრიგოლ ხუცესის მიერ „ცხოვრებაში" Or.42 – დან შემდეგი ადგილია ციტირებული: Τοιουτον ποτε τουτο το ποιμνιον, και τοιουτον νυν, ουτως ευεκτουν τε και πλατυιομενον; ει δε μηπω τελειως, αλλ' εις τουτο γε ταις κατα μερος οδευον προσηκαις;

προφητευω δε, οτι και οδευσον. Τουτο μοι το Πνευμα προλεγει το αγιον ει τι προφητικος εγω, και βλεπων τα εμπροσθεν[5].

ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანში Or.42 – ის შესაბამისი ადგილი ასეა თარგმნილი: „ესრეთ უნდოო იყო ესე სამწყსოჲ, ვითარცა ვთქუთ, ესევითარი არს აწ შუებული და განვრცელებული; დაღაცათუ არა სრულიად, არამედ სრულებისა მიმართ მივალს დღითი-დღე და ვწინაასწარმეტყუელებ, ვითარმედ მიიწიოსცა. რამეთუ ამას მეტყჳს მე სული წმიდაჲ, გინაოუ წინაასწარმეტყუელ ვარ მე და მომავალთა მხედველ (A 1 282r). „გრიგოლ ნაზიანზელის ცხოვრებაში" ეფთვიმე ათონელი არ აკეთებს ციტირებას, არამედ გვაძლევს მოკლე, ადვილად გასაგებ თარგმანს, რაც ასე დამახასიათებელია ამ თარგმანისათვის[6]: „ამასვე ვწინაწარმეტყუელებ და ამას მეტჯს სული წმიდაჲ, ვითარმედ მცირედღა და განმრავლდეს სამწყსოჲ ესე დიდად" (L 12r)[7].

Or.42-ის შესაბამისი ადგილი ეფრემ მცირის თარგმანში ზუსტად მიჰყვება ბერძნულ დედანს: „ესეცითარი იყო ოდესმე ესე სამწყსოჲ და ესევითარი აწ ესრეთ კეთილმიმწოთმი და განვრცელებული; დაღაცათუ არღა სრულიად, არამედ ამისსავე მიმართ მოგზაური მცირედ-მცირედ შეძინებითა, და ვწინაასწარმეტყუელებ, ვითარმედ მიიწიოსცა. რამეთუ ამას წინა-

---

[1] PG 35, col. 245 B 9-15.

[2] Gregorii presbyteri Vita sancti Gregorii Theologi – X.Lequeux, CCSG 44, Turnhout - Leuven, 2001, გვ. 21.

[3] Or.42-ისა და Or.43-ის გამოსაცემად მომზადებული ქართული თარგმანები მომაწოდეს ჭაბუკარაშვილმა და ცქიტიშვილმა, რისთვისაც მათ მადლობას მოვახსენებ.

[4] ეფთვიმე ათონელისეული თარგმანის (E) ტექსტის დასადგენად ვიყენებთ შემდეგ ხელნაწერებს: A1- A, P3 –B, S 383- C, A87-E, A92-F, A80 – I, A 1103 – K, A 16 – L, Ath 77 – M, ხოლო ეფრემ მცირისეული თარგმანისათვის (M) შემდეგ ნუსხებს: A 109 – A, Ier.15 – B, Ier.43 – C, A 1490 – F, A 292 –G, A 79 –a, H 1347 – b. ამ ხელნაწერების აღწერილობა იხ. თარგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1988.

[5] PG 36, col.365 A 6-11

[6] თარგაძიანი, გრიგოლ ხუცესის „გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრების" ეფთვიმე ათონელისეული თარგმანის თავისებურება. მრავალთავი XYIII, 1999, გვ.131–138.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტყჳს მე სული წმიდაჲ, გინა თუ წინაჲსწარმეტყუელ ვარ მე და ვხედავ მომავალთა" (A 109 143 r).

„ცხოვრების" ეფრემისეულ თარგმანში ეს ციტატა განსხვავებულადაა თარგმნილი: „ესე სამწყსოჲ იყო ოდესმე ესრეთ, ვითარ-ესე ვთქუ, და ესევითარი არს აწ შუებული და განვრცელებული; დაღაცათუ არღა სრულებით, არამედ სრულებისა მიმართ მიმავალი და მცირედ-მცირედ შეძინებისა მიმღებელი და ვწინაჲსწარმეტყუელებ, ვითარმედ მიიწიოსცა, რამეთუ ამას მეტყჳს მე სული წმიდაჲ, გინა თუ წინაჲსწარმეტყუელ ვარ მე და ყოფადთა მხედველ" (A 109 256r). როგორც ვხედავთ, Or.42-ში არსებული „ευεκτουν" Or.42-ში ეფრემს უთარგმნია როგორც „კეთილმიმწთომი", ხოლო „ცხოვრებაში"– როგორც „შუებული". ვფიქრობთ, ეს ფაქტი ერთ-ერთ არგუმენტად გამოგვადგებოდა იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ ეფრემს „ცხოვრება" 16 ლიტურგიკულ სიტყვაზე ადრე უთარგმნია, რადგანაც „შუებული" ბუნებრივი ქართული შესატყვისია „ευεκτουν"– ისა, მაშინ როცა „კეთილმიმწთომი" კალკირებული თარგმანის ნიმუშია.[8]

მეორე ციტატა გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებებიდან არის De vita sua–დან: „Ω Πατερ, συνεκβαλλεις σεαυτω την Τριαδα"[9]. ეფრემ მცირე შესაბამის ადგილს ასე თარგმნის: „შენ თანავე განიყვანებ ჩუენგან სამებასა, ჵ მამაო"(A 109 254 v).

ეფთვიმე ათონელი ამ ციტატას ზუსტად არ თარგმნის. იგი ცდილობს ფრაზა უფრო გასაგები გახადოს მკითხველისათვის: „ჵ წმიდაო მამაო, უკუეთუ ეგე ჰყო, წარწყმდეს მართალი სარწმუნოებაჲ და შენ ზედა იყოს ბრალი" (A 16 11v).

მესამე ციტატა, რომელსაც გრიგოლ ხუცესი თავის „ცხოვრებაში" იყენებს, არის Or.43–დან: „Πλην και Θεω φιλον το κατα δυναμιν"[10]. გრიგოლ ხუცესს ამგვარად მოჰყავს ეს ადგილი: „Θεω λεγουσα φιλον ειναι το κατα δυναμιν"[11]. Or.43–ში ეფთვიმე ასე თარგმნის: „გარნა ღმრთისაცა სათნო არს ყოველივე ძალისაებრ საქმჱ"(A 1 185r), ხოლო „ცხოვრებაში"–შემდეგნაირად: „ყოველი საქმე, ძალისაებრ ქმნილი, სათნო არს" (A1 12v).

Or. 43-ის ეფრემ მცირისეული თარგმანის შესაბამისი ადგილია: „გარნა ღმრთისაცა საყუარელ ძალისაებრი" (A 109 70 r.), ხოლო „ცხოვრებაში" – „ გარნა ღმრთისაცა სათნო არს ყოველივე შემსგავსებული ძალისაჲ"( A 109 262 v). როგორც ვხედავთ, ეფრემი „ცხოვრების" თარგმნისას იმ მცირეოდენ განსხვავებასაც ითვალისწინებს, რაც Or.43-ისა და „ცხოვრების" ბერძნულ ტექსტებს შორის არსებობს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გრიგოლ ხუცესი „ცხოვრების" შესავალშივე მიუთითებს იმაზე, რომ მან გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებებზე დაყრდნობით დაწერა მისი „ცხოვრება". იგი გრიგოლ ნაზიანზელის დაბადების ადგილად ქალაქ ნაზიანზს (Ναζιανζος) ასახელებს[12]. თუმცა თვით გრიგოლ ნაზიანზელი თავის დაბადების ადგილს არ აზუსტებს. ჩვეულებრივ, კაპადოკიის ორ ადგილს ასახელებენ: ნაზიანზი (Ναζιανζος) და არიანზი ('Αριανζος)[13]. „ცხოვრების" ქართულ თარგმანებში ეს ორი სახელი ხშირადაა აღრეული.

გეოგრაფიული სახელი Ναζιανζος განსხვავებული ფორმითაა წარმოდგენილი „ცხოვრების" ეფთვიმე ათონელისა და ეფრემ მცირის თარგმანების შემცველ ხელნაწერებში.

„ცხოვრების" ეფთვიმე ათონელისეული თარგმანის შემცველ ხელნაწერებში Ναζιανζος შემდეგი სახით გვხვდება: ნანძიანძოჲ, ნანძიანძორი, ნანძიანძოჲ, ანძიანძორი,

---

[7] „ცხოვრების" ტექსტი დადგენილია A 1 ხელნაწერის მიხედვით, მაგრამ ამ ადგილას A 1 ნაკლულია და ტექსტი აღდგენილია A 16 (L)– *ის მიხედვით, რომელიც A 1* – დან გადაწერილად ითვლება. იხ. თ. ბრეგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ.116.

[8] ქ.ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის კომენტარების ქართული ვერსიებიდან (ეფრემ მცირის თარგმანი), გულანი, თბილისი, 1989, გვ.121; ნ.მელიქიშვილი, ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდი წმ.გრიგოლ ნაზიანზელის არალიტურგიკული სიტყვების მიხედვით, მრავალთავი, XIX, თბილისი, 2001, გვ.225–226; ე.ჭელიძე, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია სევერიანე გაბალოვნელის „ექუსთა დღეთა"–ს უძველესი ქართული თარგმანის საფუძველზე, I, თბილისი, 1996, გვ.545–558; მისივე, იოანე პეტრიწის ცხოვრება და მოღვაწეობა, I,რელიგია, N3-4-5, 1994.

[9] PG 35, col.285 B 1-2.

[10] PG 36, col.604 C 15.

[11] PG 35, col.304 C 12-13

[12] PG 35, col.245 C 8.

[13] X.Lequeux, დასახ. ნაშრომი, გვ. 207.

ანძიანძო. ხშირად ერთსა და იმავე ხელნაწერშიც კი გვაქვს სხვადასხვა ფორმით. მაგალითად, A ხელნაწერში გვხვდება როგორც ნანძიანძოჲ, ასევე ანძიანძორჲ. BCKM ხელნაწერებში – როგორც ნანძიანძოჲ, ისე ნანძიანძორიც.

„ცხოვრების" ეფრემ მცირის თარგმანის შემცველ ხელნაწერებში ნაკლებად ჭრელი სურათია, კერძოდ Naziანზეს სულ ორი სახითაა წარმოდგენილი: ანძიანძოჲ და ანძიანძორი.

„ცხოვრებაში" 'Აριανζეს სულ სამჯერაა ნახსენები – გრიგოლის ცხოვრების ბოლო წლებში, როცა იგი ტოვებს კონსტანტინეპოლს და მიდის არიანზში, სადაც მან სიცოცხლის ბოლომდე დაჰყო[14]. რა არის არიანზი – სოფელი თუ გრიგოლ ნაზიანზელის მკვიდრი მამული? ეს საკითხი არაერთგზის ყოფილა მსჯელობის საგანი[15]. B.Coulie-მ მიმოიხილა რა ყველა აქამდე არსებული მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით, გრიგოლ ნაზიანზელის Testamentum-ზე (ანდერძზე) დაყრდნობით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ 'Αριανζες გრიგოლ ნაზიანზელის მკვიდრი მამულია[16].

როგორც აღვნიშნეთ, 'Αριανζες სულ სამჯერაა ნახსენები „გრიგოლ ნაზიანზელის ცხოვრებაში". ორივე თარგმანში ეს სახელი არიანძო ფორმითაა, თუმცა ხშირია მისი აღრევა გეოგრაფიულ სახელთან Naziანზეს.

განვიხილოთ ჯერ „ცხოვრების" ეფთვიმე ათონელის თარგმანის (E) შემცველი ხელნაწერები:

მ.207.[17] და წარემართა კაბადუკიისა კერძოთა და მივიდა რაჲ მუნ, დაჯდა ადგილსა უდაბნოსა, რომელსა ეწოდებოდა არიანძოჲ[18], რომელი მამულად მისა იყო ( L 14r);

მ.212. ... ჯდა სენაკსა თუსსა არიანძოს ( L 14r );

მ.216. ... იყო რაჲ დაყუდებით არიანძოს (A 12r).

მ.207 და მ.212 მხოლოდ შვიდ ხელნაწერშია წარმოდგენილი (BEFHILM). აქედან სამში (E, F,H) გვაქვს სწორი წაკითხვა – არიანძო, სხვა ხელნაწერებში კი ასეთი სურათია: ანძიანძორი – BIM, ანძიანძო– L .

მ.216. წარმოდგენილია უკვე 8 ხელნაწერში. A, E და H ხელნაწერებში გვაქვს სწორი არიანძო, ხოლო BFIKM ხელნაწერებში – ანძიანძორი, L–ში – ანძიანძო.

„ცხოვრების" ეფრემ მცირისეული თარგმანის შემცველ ხელნაწერებში ასეთი სურათია:

მ.207...მოვიდა არიანძოჲ, სოფლად კაბადუკიისა, ადგილსა მას, რომელი-იგი მოგებული იყო სამკჳდრებელად მისსა მამულად (A 261 v). ყველა ხელნაწერში გვაქვს ანძიანძო (B და b ხელნაწერები ნაკლულია).

მ.212. ...დაადგრა განსუენებით არიანძოს შინა (A 262 r). ოთხ ხელნაწერში (ACKb) გვაქვს არიანძო, ხოლო სამში (Fba) – ანძიანძო

(B ხელნაწერი ნაკლულია).

მ.216. ...დაყუდებით ჯდომასა მას შინა თუსსა არიანძოს (A 262v). აქ იგივე ვითარებაა, კერძოდ, არიანძო – ACKb, ხოლო ანძიანძო – Fba (B ნაკლულია).

როგორც ვხედავთ, გადამწერთა უმრავლესობა ხშირად ურევს ერთმანეთში ანძიანძოსა და არიანძოს. სწორედ ამიტომ გამხდარა საჭირო „შეისწავლე" დართვა, რომელშიც ამ აღრევაზეა საუბარი.[19] ეფრემ მცირისეული თარგმანის შემცველ ორ ხელნაწერში ( K9 და A79) წარმოდგენილია „შეისწავე": „შეისწავე, რამეთუ არიანძოჲ მის დაბისა სახელი არს, რომელსა შინა დაყუდა წმიდაჲ გრიგოლი შემდგომად ქალაქით ანძიანძოჲთ გამოსვლისა. ამისთჳს ნუ განჰრეც სახელთა, მწერალო" (K 9 338r, A79 410 r).

---

[14] PG 35, col.301 B 1, C 10-11; col.304 B 2.

[15] B.Coulie, Les richesses dans l'œuvres de Saint Grégoire de Nazianze, Louvain-la Neuve, 1985, გვ.15, შნშ. 22.

[16] იქვე, გვ.15-17.

[17] ვიყენებთ ტექსტის ჩვენ მიერ შემოღებულ მუხლობრივ დაყოფას.

[18] ყველა დამოწმებულ მაგალითში მოგვაქვს სწორი ფორმა „არიანძო".

[19] თითხმეზური, შენიშვნები შენიშვნების შესახებ: გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კრებულის K 9 სჭოლიონში წაკითხული მოხსენებაჲ კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე, 2000წ.

TH. MARGIANI

# QUELQUES NOTICES SUR LES TRADUCTIONS GÉORGIENNES DE „LA VIE DE GRÉGOIRE DE NAZIANZE" PAR GRÉGOIRE LE PRÊTRE

RESUMÉ

Dans l'article présenté nous étudions quelques fragments cités des ouvrages de Grégoire de Nazianze (Or.42, Or.43, De vita sua) dans „La Vie de Grégoire de Nazianze" par Grégoire le prêtre; sont comparées les traductions des fragments correspondants de Vita et des ouvrages cités de Grégoire de Nazianze ( Or.42, Or.43 et Vita sont traduits par Euthyme l'Athonite et Ephrem Mtsiré, De vita sua n'est pas traduit en géorgien).

Nous étudions également les cas de confussion des Nazianze et Arianze dans les manuscrits géorgiens comprenant la Vita. C'est pour cela qu'on fut obligé d'ajouter l'Attention dans les deux manuscrits géorgiens (K 9 et A 79), comprenant la traduction d'Ephrem Mtsiré: „Attention, Arianze est le nom du burg où Saint Grégoire s'est retiré en ermitage après avoir quitté la ville de Nazianze. Donc, copiste, ne confond pas des noms.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ქაჯაია

# კმევა ძველ ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში

კმევას საშინაო თუ საკულტო მიზნებისათვის იყენებდნენ როგორც წარმართები, ისე ებრაელები, რასაც "ძველი აღთქმაც" ადასტურებს.

ადრეული ქრისტიანული ღვთისმსახურება არ ცნობდა კმევას. დევნის მთელი პერიოდის განმავლობაში ცერემონიებისადმი ძველი ქრისტიანების უარყოფითი დამოკიდებულება კმევისადმი დაუფარავ ზიზღში გადაიზარდა. ამდენად, წინანიკეურ პერიოდში ეკლესიამ უარი თქვა კმევის რიტუალზე. იოანე მახარებელი პირველი ქრისტიანი ავტორი იყო, რომელმაც კმევა "ახალ აღთქმაში" შემოიტანა (აპოკ. 5, 8; 8,3-4 და ა. შ).

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, კონსტანტინეს ეპოქაში კმევა შემოღებულ იქნა თითქმის მთელ ქრისტიანულ სამყაროში, თუმცა ხატების თაყვანისცემის აღდგენამდე პატრისტიკულ მემკვიდრეობაში იშვიათად, მაგრამ მაინც გამოსჭვივის უარყოფითი დამოკიდებულება მისდამი.

კმევას არ იცნობს არც "სამოციქულო კონსტიტუციები" და არც თეოდორე მოფსუესტელი, მაგრამ წმიდა პეტრეს პირადი ნივთების სიაში (IV ს.) მოხსენიებულია ოქროს საცეცხური. წმ. ეფრემი, ეგერია და იოანე ოქროპირი ერთხმად მიუთითებენ კმევის რიტუალის არსებობაზე სირიაში, იერუსალიმსა და ანტიოქიაში. ხელოვნების ძეგლები (ფრესკები, მოზაიკა) საზოგადოდ და, განსაკუთრებით, რომში, კარგად ასახავენ საცეცხურის გამოყენებისა და კმევის პროცესს[1].

ჩანს, კმევას ეკლესია საერო მნიშვნელობას უფრო ანიჭებდა, ვიდრე რელიგიურს. საკმეველს აკმევდნენ ნადიმებსა და სახალხო თავშეყრის ადგილებზე, განსაკუთრებით, დაკრძალვებზე. კმევა მიღებული იყო კონსტანტინეს კარზეც. წმინდა ეფრემი (✝373) პირველი ქრისტიანია, რომელიც გვაწვდის ცნობებს კმევის ლიტურგიკული გამოყენების შესახებ.

ცისკრის მსახურებაში მას იყენებდნენ ლოცვებსა და მოსახსენებლებში, მწუხრის მსახურების დროს შეწყალებებსა და მონანიებებში, მაგრამ კმევის ეს დანიშნულება უცხოა ბიზანტიური ჟამისწირვისათვის. მართალია, საკმევლის ლოცვა მოწმობს, რომ აქ საკმეველს შესაწირავის მნიშვნელობა აქვს ("საკმეველსა შევსწირავთ წინაშე შენსა"), მაგრამ იგი გვიანდელი დამატებაა და ნასესხებია სხვა ტრადიციიდან[2].

დასაკმევი ობიექტის ბუნებიდან გამომდინარე (საკურთხეველი, ძღვენი, ტრაპეზი და ა.შ.), კმევა ბიზანტიურ ჟამისწირვაში აღქმული უნდა იქნას როგორც პატივისცემის ნიშანი. გამონაკლისს წარმოადგენს, ალბათ, მსახურების დასაწყისი. არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამ დროს კმევას ავი სულების გასადევნად იყენებდნენ.

ბიზანტიური ლიტურგიკული წყაროების უმრავლესობა არაფერს ამბობს კმევის შესახებ "დიდ შესვლაში" ან სადმე სხვაგან. ეს რუბრიკალური ლაკონიზმი უფროა, ვიდრე არგუმენტი კმევის გამოყენების საწინააღმდეგოდ. გერმანე კონსტანტინოპოლელი ჯერ კიდევ

---

[1] R.F. Taft, The Great Entrance. A History of the transfer of gifts and other Preanaphoral Rites of the Liturgy of St. John Chrysostom, Roma, 1978, გვ. 150.

[2] წმინდა მამათა ლიტურგიკული კომენტარების მიხედვით ბიზანტიურ ჟამისწირვაში კმევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. როგორი მრავალფეროვანიც არ უნდა იყოს სასაკმევლის განმარტება, თავად საკმევლის სურნელება პირველ რიგში სულიწმიდას უკავშირდება 1) "სასაკმევლე მოასწავებს კაცობასა ქრისტესასა, ხოლო ცეცხლი ღმრთაებისა მადლსა, სურნელებაჲ საკმევლისა-სურნელებასა მას სულისა წმიდისასა და კუალად სასაკმევლო სახე არს წმიდაჲ მის საშოსა ქალწულისა, რომელმან იტვირთა ნაკუერცხალი იგი ღმრთეებისა, რომელმან ჯერ-იჩინა მისგან ხორცშესხმაჲ" (გერმანე კონსტანტინოპოლელის "ეკლესიის ისტორია", აღნიშნული რედაქცია შეცდომით ატარებს ბასილი დიდის სახელს. ხელნაწერი A 450, გვ.431). 2) "კმევაჲ საკმევლისა დაწყებული წმიდით საკურთხევლით აღნიშნავს გარდამოსვლასა და კეთილსულნნელსა მადლსა სულისა წმიდისასა". (სიმონ თესალონიკელის "საიდუმლოებითი თარგმანება ლიტურღიისა" აღნიშნული ფრაგმენტი წარმოადგენს შესაბამის ადგილის პარაფრასს, შესრულებულს უცნობი ავტორის მიერ. ხელნაწერი A 642,169 V.)

VIII ს. მოიხსენიებს კმევას ძღვნის შესვლის დროს, თუმცა არ აზუსტებს მასთან დაკავშირებულ სხვა დეტალებს[3].

თანამედროვე ბერძნული რუბრიკები არაერთგვაროვანია. კმევის რიტუალს ასრულებს ხან დიაკონი, ხან მღვდელი. ბერძნულ ხელნაწერთა ერთი ნაწილის მიხედვით, "დიდ შესვლაში" დიაკონი საკმეველს აკმევს მღვდლის მიერ ქერუბიკონის წარმოთქმის პროცესში.

ადრეული წყაროები კმევის რიტუალის შესრულებისას უპირატესობას დიაკონს ანიჭებენ. აღნიშნული პრაქტიკა დასტურდება ქართულ ხელნაწერ Sin 89-ში და სხვა ნუსხებში სლავური ვერსიების ჩათვლით. ღვთისმსახურების ყველაზე ადრეულ ეტაპზე საკმეველს აკმევდა ერთ-ერთი ღვთისმსახური, რომელიც მონაწილეობას იღებდა ძღვნის გადატანის პროცესიაში, მაგრამ არ მიჰქონდა ძღვენი. ხოლო თუ ღვთისმსახურებაში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი დიაკონი, რომელსაც ეკავა ძღვენი, მაშინ კმევა ხდებოდა მღვდლის მიერ.

ლიტურგიის განვითარების მომდევნო ეტაპზე მღვდელი, ისევე როგორც ეპისკოპოსი, მონაწილეობას აღ იღებდა პროცესიაში, ასე რომ, დიაკვნები ატარებდნენ ძღვენს და არქიდიაკონი აკმევდა. უფრო მოგვიანო წყაროებში, გარდა ლეო ტუსკონელის ვერსიისა (1173-1178), რომელიც დიდი ეკლესიის ღვთისმსახურებას აღწერს, მღვდელი მიაბრჯენს ძღვნის გადატანის პროცესიაში ისე, რომ ძღვენი არ უჭირავს და ამ მოვალეობას ჯერ კიდევ დიაკონი ასრულებს. მღვდელი საკმეველს აკმევს მხოლოდ საკურთხეველსა და ძღვენს, (ხელნაწერი Karlsruhe EM 6 XIII ს). ქართულ ხელნაწერ Sin 89-ში კი ადგილი აქვს საპირისპირო მოვლენას, მღვდელს მიაქვს ძღვენი, ხოლო დიაკონი აკმევს საკმეველს[4].

ზემოთქმულს თუ შევაჯამებთ, აღმოჩნდება, რომ საკმეველს თავიდან აკმევდა დიაკონი და არქიდიაკონი, როგორც ეს იკვეთება ლეო ტუსკონელის რედაქციაში. პატარა ეკლესიებში, სადაც ღვთისმსახურთა ნაკლებობა იყო, მღვდელი იძულებული ხდებოდა დიაკვნებს ძღვნის შეტანაში დახმარებოდა. მას შემდეგ, რაც "დიდმა შესვლამ" საზეიმო ხასიათი მიიღო, საკმეველის კმევის პრაქტიკა მღვდლის პრეროგატივად იქცა. სწორედ ამან გამოიწვია კმევის დროს მღვდლისა და დიაკონის როლების აღრევა.

**კმევის ადგილი და ობიექტი** – რადგან ქერუბიკონის ლოცვა "დიდი შესვლის" დანამატია, არაერთგვაროვნება კმევის რუბრიკებში, ამ რიტუალის ადგილი ქერუბიკონის ლოცვასთან მიმართებაში (სრულდება ის მასზე ადრე, მასთან ერთად თუ მის შემდეგ) ნაკლებ ყურადღებას' იმსახურებს. სირთულე თავს იჩენს მაშინ, როდესაც წირვაში მონაწილეობას არ იღებს მკმეველი დიაკონი და მღვდელმა საკმეველიც უნდა დააკმიოს და ილოცოს კიდეც.

საზოგადოდ კმევის მხოლოდ პირველსაწყისმა ობიექტმა შეიძლება ახსნას მისი არსი. ამიტომ უარი უნდა ეთქვას დამატებებს ტექსტში. დღევანდელ ბიზანტიურ ლიტურგიაში სიტუაცია გათანაბრებულია. კმევის პროცესი საერთო ლიტურგიკული ფენომენია. დროთა განმავლობაში ეს რიტუალი გართულდა და შესაბამისად დაიკარგა კმევის ძირითადი ობიექტის გაგება. მაგალითად, ადრეულ წყაროებში დიაკონი სახარების წაკითხვამდე აკმევდა ალელუა-საგალობლის თანხლებით, მაგრამ ეს კმევა თანდათან გადაიზარდა საკურთხეველის, კანკელისა და ხალხის კმევაში, სწორედ ისე, როგორც მესის დასაწყისში ხდება.

მსგავს შემთხვევას აქვს ადგილი "დიდ შესვლაშიც". ამ რიტუალმაც, ცხადია, დროთა განმავლობაში გარკვეული ცვლილებები განიცადა. ჟამისწირვაში გვიან ჩართული ქერუბიკონის ლოცვა და მოსანანიებელი ფორმულები, რომლებიც არეგ-დარეგას იწვევენ "დიდი შესვლის" წესში, გამოხატავენ ღვთისმსახურთა თვითნებობასა და დაუოკებელ სურვილს, საკუთარი ცვლილებები შეიტანონ ჟამისწირვის ტექსტში.

დღეს ბიზანტიური მესის "დიდ შესვლაში" სამი განსხვავებული კმევაა:

1) დიაკონი (ან მღვდელი) აკურთხებს საკურთხეველს, ტრაპეზს, ღვთისმსახურებს, კანკელს და ხალხს.

---

[3] წინამდებარე შრომის ნაწილი, რომელიც ეხება კმევის რიტუალს "დიდ შესვლაში" და მასთან დაკავშირებულ ბერძნულ ხელნაწერთა ჯიშებებს, მთლიანად ეყრდნობა რ. ტაფტის გამოკვლევას "The Incensation and Lavabo" იხ.: Robert F. Taft, "The Great Etrance, A History of the transfer of Gifts and other Preanaphoral'Rites of the Liturgy of St. John Chrysostom (Orientalia Christiana Analecta), Roma, 1978, გვ. 149-178. ეხება რა კმევის რიტუალთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორც მოსალოდნელი იყო, იგი აქცენტს ძირითადად "დიდ შესვლაზე" აკეთებს.

[4] რ. ტაფტი, დასახ. ნაშრ. გვ. 152.

2) შემდეგ ორივე მღვდელი და დიაკონი, ლოცვის შემდეგ მიდიან სამკვეთლოს კარ და მთავარი მოზეიმე აკმევს ძღვენს.

3) ძღვნის შემობრძანების შემდეგ იკმევა აერი, ძღვენი და ეს უკანასკნელად ეწირება აერით. ამის შემდეგ მთავარი მოზეიმე კიდევ ერთხელ აკმევს საკმეველს ძღვენს.

თვით ხელნაწერთა გვიანდელ ტრადიციაშიც კი თავს ირენს კმევის მხოლოდ ოთხი ურთიერთდაკავშირებული მუდმივი ობიექტი შემდეგი თანმიმდევრობით: საკურთხეველი, ძღვენი სამკვეთლოს მაგიდაზე, მღვდელი და ძღვენი საკურთხეველზე მისი დაფარვის შემდეგ. მაშასადამე, ამ მონაცემებზე დაყრდნობით უარი უნდა ეთქვას კანკელისა და სხვა ელემენტების კმევაზე.

"დიდ შესვლაში" კმევას იხსენიებს, აგრეთვე, ერთ-ერთი უძველესი წყარო "ცერემონიების წიგნი", რომელიც აღწერს დიდი ეკლესიის სამღვდელთმთავრო ლიტურგიას. ამ დროს, ძღვნის შემოტანამდე არქიდიაკონი აკმევს იმპერატორს, პატრიარქს და საკურთხეველს. როდესაც ძღვენი სოლეაზე[5] მოემართება, ღვთისმსახურები მცირე ხნით ყოვნდებიან, ხოლო არქიდიაკონი შემდის საკურთხეველში, აკმევს მოწესეებს, პატრიარქს და წმიდა საკურთხეველს, რის შემდეგაც ძღვენს შეიტანენ და დააწყობენ საკურთხეველზე. "ცერემონიების წიგნში" სხვა კმევა "დიდი შესვლის" პროცესში მოხსენიებული არ არის.

საკურთხეველზე განთავსებული ძღვნისა და სამღვდელოების კმევა უძველესი წყაროების მიხედვით (XII ს-მდე) არის ერთადერთი და ფინალური "დიდი შესვლის" რიტუალში. თუმცა ეს არ არის "დიდ შესვლაში" კმევის პირველადი ტრადიცია. კიდევ უფრო ადრეული წესი შემოგვინახა სომხურმა მესამ. დღემდე ერთადერთი კმევა "დიდ შესვლაში" ხდება პროცესიის ბოლოს, სანამ ძღვენს ტრაპეზზე მოათავსებენ.

უძველესი წყაროები არ მიუთითებენ, მაგრამ ძღვნის დაკმევა პირველად, ალბათ, სკეუოფილაციონში (საჭურჭლეში) ხდებოდა. ამას ადასტურებს საცეცხური, რომელიც ძღვნის მოსატანად წასულ დიაკონს თან მიაქვს. ამ რიტუალის კვალს შეიძლება წავაწყდეთ ლეო ტუსკონელის ვერსიაში და Sin ქართულ 89-ში.

კმევის რიტუალის რეკონსტრუქციის მცდელობა საშუალებას იძლევა გამოიყოს მისი განვითარების სამი საფეხური. I) "დიდი შესვლის" ადრეულ ეტაპზე დიაკვნების პროცესია მიემართებოდა საკურჭლისაკენ, რომელიც დაშორებული იყო საკურთხეველს. ამ დროს შეუძლებელი იყო კმევა დაწყებულიყო საკურთხეველიდან უკიდურეს შემთხვევაში დიდ ეკლესიაში, რადგან ძღვნის გადმოტანის მოსამზადებლად დიაკვნები ძალიან ადრე გამოეცვნენ სხვა სამღვდელო პირებს. მათ თან მიჰქონდათ საცეცხურები და ალბათ სკეუოფილაციონში ხდებოდა ძღვნის კმევა, თუმცა არცერთ წყაროში ეს აქტი მოხსენიებული არ არის. პროცესიის დაბრუნების შემდეგ არქიდიაკონი აკმევდა საკურთხეველს, ძღვენს და მღვდლებს, რომლებიც ანაფორისათვის ემზადებოდნენ.

მსგავსს შემთხვევას ვხვდებით XII-XIII საუკუნის დიატაქისში - ბრიტანეთის მუზ. 34060, რომელიც დიდი ეკლესიის სამღვდელმთავრო ლიტურგიას აგვიწერს.

2) მას შემდეგ, რაც სამკვეთლო საკურთხეველს დაუახლოვეს, კმევა "დიდ შესვლაში" სხვა კმევების მსგავსად დაიწყეს საკურთხეველიდან, რასაც ადასტურებს ხელნაწერი Athens Ethnike bibl. 662 (XII-XIII).

"დიდ შესვლამდე" დიაკონი იღებს საცეცხურს და მღვდლის კურთხევის შემდეგ აკმევს საკმეველს საკურთხევლის წინ. შემდეგ ორივე მიემართება სამკვეთლოში და იქაც ჯვრის ფორმით აკმევენ ტრაპეზზე დადგმულ ძღვენს. მომდევნო ქმედებას წარმოადგენს მათი დაბრუნება საკურთხეველში ძღვენთან ერთად, რომელსაც დიაკონი აწყობს ტრაპეზზე და აკმევს მღვდელს შემდეგი სიტყვებით "მომიხსენე ჩუენცა, მეუფეო" - რაზედაც მღვდელი პასუხობს: "მოგიხსენეს თქუენცა უფალმან ღმერთმან სახუკუველსა მისსა ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე". ბოლო რიტუალს წარმოადგენს გადასაფარებლის მოხდა ძღვენიდან და ამ უკანასკნელის კმევა. ასეთია კმევის რიტუალი "დიდ შესვლაში" ზემოაღნიშნული ათონური ნუსხის მიხედვით. რუბრიკა, რომლის კატეგორიული მოთხოვნის თანახმად, დიაკონმა საკმეველი უნდა აკმიოს საკურთხევლის წინ, უპირისპირდება კმევის უკვე დაწყებულ არასწორ გამოყენებას.

[5] სოლეა – შემაღლებული ადგილი ამბიონის ორივე მხარეს, იგივე – კლიროსი.

3) კმევის რიტუალის განვითარების უკანასკნელი ეტაპი კარგად ჩანს ფილოთეოსის დიატაქსისში და დუკასის editio princeps-ში (ვენეცია 1526 წ.). “დიდი შესვლის” წინ დიაკონი საკურთხეველში უკმევს ტრაპეზის ოთხსავე მხარეს, მთელ საკურთხეველს, მღვდელსა და ორივენი მიემართებიან სამკვეთლოსაკენ. მას შემდეგ, რაც დიაკონი უკმევს სიწმიდეს სამკვეთლოს ტრაპეზზე და მღვდელს, იგი თავზე დადგმული ფეშხუმით და მღვდელი ბარძიმით ხელში ბრუნდებიან საკურთხეველში. მღვდელი დგამს ბარძიმსა და ფეშხუმს ტრაპეზზე, შემდეგ აკმევს დაფარნას და ძღვენს ფარავს მისით. ამას მოჰყვება კიდევ ერთი ფინალური კმევა “დიდ შესვლაში”, როდესაც მღვდელი უკმევს უკვე დაფარულ ძღვენს.

თანამედროვე გამოცემებში კმევის არეალი კიდევ უფრო ფართოვდება. საკმევ ობიექტთა შორის ვხედავთ კანკელს, ხალხს, ქოროს.

**კმევის ფორმულა** – დღევანდელი რუბრიკების მიხედვით, დიაკონი კმევის დროს წარმოთქვამს 50-ე ფსალმუნს და თუ სურს, შეუძლია სინანულის ტროპარი დაუმატოს. ზოგიერთი ხელნაწერი უფლებას იძლევა, ეს უკანასკნელი ითქვას მხოლოდ მე-19-ე მუხლის შემდეგ, რადგან ფსალმუნის ეს ორი ფინალური მუხლი უკვე ფიგურირებდა იმ ფორმულებში, რომელთაც წარმოთქვამდა მღვდელი, სანამ აკმევდა ძღვენს ტრაპეზზე დადების შემდეგ.

ეს ფორმულები შუალედური დამატებაა და მათ არ იცნობს არცერთი ადრეული ნუსხა. 50-ე ფსალმუნი კი სტაბილური ფორმულაა. ის წარმოითქმოდა პირველი კმევის დროს და კარგად მიესადაგება იმ მონანიე ტონს, რომელიც ახასიათებს საკურთხევლის წესებს მთელ აღმოსავლეთში.

წინამდებარე ნაშრომის მეორე ნაწილი მთლიანად ეძღვნება კმევის რიტუალს ჟამისწირვის ადრეულ ქართულ ნუსხებში. ჩვენ გვაინტერესებს კმევა ლიტურგიის სხვა ნაწილებშიც და არ ვიფარგლებით მხოლოდ “დიდი შესვლით”.

ქართულ ხელნაწერთა მონაცემები დღევანდელ დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში გათვალისწინებული არ არის, თუ არ ჩავთვლით Sin 89-ს, რომლის ლათინური თარგმანი ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის[6]. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ ძირითადად ბასილი დიდისა[27] და იოანე ოქროპირის[8] ლიტურგიებს ვეყრდნობით. ქართულმა ნუსხებმა საინტერესო მასალა შემოგვინახეს და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნეს, რომ თუ თანამედროვე ლიტურგიაში არსებობს კმევის რიტუალის შესრულების გარკვეული კანონზომიერება, ადრეულ ნუსხებში ამგვარი კანონზომიერების დადგენა საკმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენს. თავად ცერემონიალი, მისი რუბრიკალური მონაცემები იმდენად არაერთგვაროვანია, რომ ძნელია, თვალი გავადევნოთ ამ ცერემონიალის ქრონოლოგიური განვითარების დინამიკას.

ხაზი უნდა გაესვას ქართულ ხელნაწერებში არსებულ ორ მომენტს:

1. წესიდან გადახვევაა ეს თუ არა, ზოგიერთ ქართულ ნუსხაში ძღვენი მოაქვს არა დიაკონს, არამედ მღვდელს.

2. ერთ-ერთი ადრეული ნუსხა Sina 89, სხვა ქართულ ხელნაწერთაგან განსხვავებით, აფიქსირებს კიდევ ერთ კმევას “დიდი შესვლის” შემდეგ, ანაფორაში, ზიარების დასასრულს.

ამგვარად, ქართულ ხელნაწერებში კმევას ადგილი აქვს სამკვეთლოს რიტუალში, “მცირე შესვლაში”, “დიდ შესვლასა” და ანაფორაში. პირველ რიგში შევეხებით სამკვეთლოს ანუ წინადაგების რიტუალს. თუ გავიზიარებთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ლიტურგიის ამ ნაწილში აკმევდნენ ავი სულების გასადევნად, მაშინ შეიძლება ამ ფაქტით აიხსნას პირველი კმევის საკმაოდ მყარი ტრადიცია.

**სამკვეთლოს რიტუალი** – ბასილი დიდის ჟამისწირვის ერთ-ერთი უძველესი ნუსხა H531 (XI ს.) კმევასთან დაკავშირებულ ვრცელ რუბრიკას შეიცავს. აქ მღვდელი საკმევლის

---

[6] A Jacob, Une version géorgienne inédite de la liturgie de saint Jean Chrysostome, Le Muséon, LXXVII, 1-2, Louvain, 1964, გვ. 65-120.

[7] ნ. ქაჯაია, ბასილის კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები, თბ., 1992, გვ. 260-317.

[8] ეს ხელნაწერებია: Sin 89 (გამოცემულია ა. ჟაკობის მიერ); გრაცი 5 (Liturgiae Ibericae Antiquiores, Edidit M. Tarchnišvili, Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, vol. 122, Scriptores Iberici, t. I, Louvain, 1950, გვ. 64-83). A 194 (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ.I 2. შეადგინეს და დასბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, თ. მგალობლიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ და ც. ჯღამაიამ, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1976, გვ. 331-333. A 922 (ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექცის ხელნაწერი) გელ.657 (დაცულია ქუთაისის საისტორიო-საეთნიგრაფიო მუზეუმში).

ლიცვას[9] წარმოთქვამს სეფეებიდან ნაწილების ამოკეთის შემდეგ, ხოლო დიაკონი აკმევს მოგვიანებით, წინადაგების ლიცვის შემდეგ: "დიაკონმან საკუმველი აკუმოს[illegible] სიწმიდისა და ყოველისა ეკლესიისა და ვითარცა საკურთხეველად შეიდეს, მუნცა აკუმოს". ამ რუბრიკის მიხედვით, კმევის ობიექტებია სიწმიდე, ეკლესია და საკურთხეველი.

ხელნაწერ Sin 89-ში – XI ს. (იოანე ოქროპირის ლიტურგია) კმევის რუბრიკას განსხვავებული სახე აქვს. თუმცა კმევის ობიექტი გამოკვეთილი არაა, მაგრამ აქ უკვე ველად ძღვენი იგულისხმება. მას შემდეგ, რაც მღვდელი აღსაჰყრობელით დაჰბურავს ძღვენს, იტყვის: "დაამყარა სოფელი, რაჲთა არა შეიძრას", დიაკონი საკმეველს აკმევს, რასაც მოჰყვება საკმეველის ლიცვა. ლაკონიური რუბრიკა გვაქვს ამავე ხელნაწერის ბასილი დიდის ლიტურგიაში. ეს რუბრიკა სამი სიტყვით გამოიხატება: "დიაკონმან საკუმველი აკმიოს".

ქრონოლოგია, რიტუალისა თუ რუბრიკების მსგავსება ხელნაწერთა დაჯგუფების საშუალებას გვაძლევს. XIII საუკუნის სამი ხელნაწერიდან (A 194, გრაცი 5, A 922). პირველი საერთოდ არ იცნობს საკმეველოს რიტუალში კმევას. დანარჩენი ორი კი მხოლოდ საკმეველის ლიცვას შეიცავს და დიაკონზე არაფერს ამბობს.

თითქმის ახსოლუტურად იდენტურია საკმეველოში კმევის რუბრიკა ორ ქართულ ნუსხაში: S 4980 (XII-XIII სს.), ბასილი დიდის ლიტურგია და გელ. 657 (XVI ს.), იოანე ოქროპირის ლიტურგია. მოგვყავს რუბრიკის ტექსტი იოანე ოქროპირის ლიტურგიიდან: "სეფეებიდან ნაწილების ამოკეთის "შემდგომად მიუპყრას საკმეველი მღვდელსა, ხოლო მან ჯუარი დასწეროს და თქუას: საკმეველსა შეუსწირავთ შენდა ქრისტე, ღმერთო ჩუენო, საკნისელად სულად სულნელებისად. ნაცველად გარდმოგვველინე ჩუენ მადლი სულისა შენისა წმიდისა ყოველადვე აწ და".

**და დიაკონმან დაასხას საკუმველი და თქუას:** „წინადაგებაჲსა პატიოსანთა მსხუერპლთასა უფალსა მიმართ ვილოცოთ. და ამას რაჲ იტყოდის, სამჯერ ჯუარი დასწეროს საცეცხურითა ფეშხუმსა ზედა და ბარძიმსა".

ზემოხსენებული ხელნაწერთა წინადაგების კმევის პროცესის ზოგიერთი დეტალი (მაგ. საკმეველის წინასწარ კურთხევა მღვდლის მიერ, ძღვნის კმევა ჯვრის ფორმით და ა. შ.) ძალიან ჩამოჰგავს "დიდი შესვლის" კმევის ცერემონიალს ამავე პერიოდის ბერძნულ ხელნაწერებში, რომელთა თავისებურებებსაც რ. ტაფტი სამკვეთლოსა და საკურთხევლის დაახლოებით ხსნის, თუმცა აქ, რიტუალიდან გამომდინარე, კმევა საკურთხეველიდან იწყება. ქართულ ხელნაწერებში კი კმევის ობიექტებია მხოლოდ ფეშხუმი და ბარძიმი.

**კათაკმეველთა წირვა (მცირე შესვლა)** – კათაკმეველთა წირვა იწყება მაშინ, როდესაც პროცესია მიემართება იმ ადგილისაკენ, სადაც კითხულობენ სახარებას. ამავე დროს გალობენ ტროპარებს, რომელიც მთავრდება სამწმიდაო არსით. კათაკმეველთა წირვაში "ახალი აღთქმის" მხოლოდ ორი საკითხავია, ზოგჯერ მათ ემატება ერთი საკითხავი "ძველი აღთქმიდან". წამკითხავი კითხულობს ეპისტოლეს, ხოლო დიაკონი - სახარებას. ამის შემდეგ ისინი კითხულობენ კათაკმეველთა ლიცვებს, რაც ბოლოვდება კიდეც ამ რიტუალს.

ქართულ ხელნაწერებში, ლიტურგიის ამ ნაწილში, კმევის პროცესი არაერთგვაროვანია. ამ თვალსაზრისით ქართული ნუსხები ორ ნაწილად იყოფა:

ოთხი ხელნაწერიდან ორი (გრაცი 5 და A 922), საერთოდ არ იხსენიებს სახარებას და აქედან გამომდინარე, არც კმევას. დანარჩენი ორი კი (A 194, გელ. 657), სახარებასთან დაკავშირებით მხოლოდ დიაკონის შემდგომ ქმედებაზე მიუთითებს: "დიაკონმან შემდგომად სახარებისა" და ა. შ. კმევასთან დაკავშირებით ასეთ ცნობებს გვაწვდიან XIII-XVI საუკუნეების ქართული ნუსხები.

ცხადია, ოთხივე ხელნაწერში რუბრიკალურ ლაკონიზმთან გვაქვს საქმე, რადგან "მცირე შესვლა" სახარებას უკავშირდება და მის გარეშე მთელი რიტუალი აზრს კარგავს.

მეტნაკლებად ვრცელი რუბრიკებია დაცული დანარჩენ ქართულ ხელნაწერებში.

H531 (ბასილი დიდის ლიტურგია) - "მცირე შესვლა" ვრცელი შესავალი რუბრიკით იწყება: "დიაკონმან აღიღოს საცეცხური და სახარებაჲ და სანთელნი და გამოვიდეს მღვდელი

---

[9] მოგვყავს ამ ლიცვის სრული ტექსტი: "ლიცვაჲ საკუმველისაჲ: საკუმველსა შევსწირავთ წინაშე შენსა, უფალო ღმერთო ჩუენო, სულნელებისა სულიერისანსა, რომელი-ესე შეიწირე, მეუფეო, ზეცისა მას და წმიდისა და სულიერსა საკურთხეველსა შენსა და გარდამოველინე ჩუენ ზედა წყალობაჲ შენი და კეთილნი შენნი და მოშანიჭენ იგინი ჩუენ, მოსაცა შენთა, რომელნი ცხადით სახელსა შენსა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკურთხევლით და დიაკონნი წინა-უძღოდიან და მოვიდენ და დადგენ წინაშე აღსავალსა საკურთხევლისასა".

ფსალმუნური საგალობლის, მოციქულთა საკითხავისა და ალელუა-ფსალმუნის შემდგომ "დიაკონმან საკუმეველი აკმიოს და თქუას: სიბრძნით აემართენით და ისმინეთ წმიდისა სახარებისაჲ". დაახლოებით იგივე სურათი გვაქვს ხელნაწერ S4980-ში (ბასილი დიდის ლიტურგია).

ხელნაწერ Sin 89-is მიხედვით საკმევლის კიდევ უფრო ვრცელი რუბრიკებია დაცული ხელნაწერ სინა 89-ში, ორივე ბიზანტიურ ლიტურგიაში. მოგვყავს რუბრიკა სრულად იოანე ოქროპირის ჟამისწირვიდან: "და აღიღონ "მომიჴსენე" და თქუნენ ზედადასადებელნი და დიაკონმან აღიღოს სახარებაჲ და საცეცხური, მღვდელი უკუანა შეუდგეს და მოვიდენ სამეუფოთა ბჭეთა"

* * *

"დიაკონმან "დიდებასა" ზედა მიუპყრას მღვდელსა საკმეველი, მღვდელმან ჯუარი დასწეროს, დიაკონმან დაასხას და მღვდელმან ისე ლოცვაჲ შესლვისაჲ წართქუას".

* * *

"და თქუან "ალელუიაჲ". შემდგომად "ალელუიაჲსა" დიაკონმან საკმელი აკუმიოს და თქუას: სიბრძნით, აემართენით და ისმინეთ წმიდისა სახარებისაჲ".

როგორც ვხედავთ, კმევის ობიექტი არც ამ რუბრიკაშია გარკვევით დასახელებული. სამაგიეროდ იოანე ოქროპირის ლიტურგიის ვახტანგისეული ვერსია გვამცნობს, რომ დიაკონი "შემოუკმევს" წმიდა ტრაპეზს გარშემო და "სამღვდელოსა და მღვდელთაცა"[10].

რადგან კმევის იგივე ობიექტებია დასახელებული ადრეულ ხელნაწერთა "დიდ შესვლაშიც", ამიტომ მივეცით თავს უფლება დავყრდნობოდით ვახტანგისეულ რედაქციას. ამ უკანასკნელის მონაცემების გათვალისწინება სიფრთხილეს მოითხოვს. გვიანდელ ნაბეჭდ ტექსტში ადრეულ ხელნაწერთაგან განსხვავებით, კმევის რიტუალი საკმაოდ გართულებულია.

ზემომოყვანილმა ფრაგმენტებმა ცხადყო, კმევის რიტუალი ქართულ ნუსხებში სხვაობს ერთმანეთისაგან, თუმცა სიტუაციის გათანაბრება, რომელიც თანამედროვე ლიტურგიაში დასრულდა, უკვე დაწყებულია. ჩვენ აქ ვგულისხმობთ ორსავე რიტუალში მღვდლის მიერ საკმევლის კურთხევას და ნაკურთხი საკმევლის გამოყენებას დიაკვნის მიერ.

**დიდი შესვლა** – ქართულ ხელნაწერთა დიდი ნაწილი ლიტურგიის ამ მონაკვეთში კმევას არ იცნობს და ძნელი წარმოსადგენია ეს ფაქტი რუბრიკების არარსებობით ავხსნათ. ჩვენს ნუსხებში სიწმიდის შემოყვანების შემდეგ იწყება არა კმევა, არამედ ხელთბანა და დიალოგი მღვდელსა და დიაკონს შორის. ბასილი დიდის ლიტურგიაში ვკითხულობთ: "შემდგომად სიწმიდისა შემოყვანებისა მღვდელმან ჴელნი დაიბანნეს". (Sin 89, H 531, S 4980 - ნაკლულია) რუბრიკა მოწმობს, რომ სიწმიდე არსებული წესისაგან განსხვავებით შემოაქვს მღვდელს.

გვიანდელ ხელნაწერთა რუბრიკები მოწმობენ, რომ აღდგა ძველი ტრადიცია, მღვდელი და დიაკონი ფუნქციებს ცვლიან. ამჯერად ძღვენი შემოაქვს დიაკონს:

"და დიაკონმან სიწმიდენი დადგნეს წმიდასა ტრაპეზსა ზედა". (A 922) სიწმიდეების განლაგებას მოსდევს ხელთბანის ცერემონიალი და მისი ფორმულა.

ხელნაწერ A-194-ში არ ჩანს, ვინ დგამს სიწმიდეს ტრაპეზზე. მღვდელი თუ დიაკონი. გრაცი 5 კი საერთოდ არ აფიქსირებს ძღვენის შემოტანას. ორივე ნუსხაში ხელთბანის რიტუალი და მისი ფორმულა ჩვეულ ადგილზეა.

ვრცელი რუბრიკა კმევის შესახებ დასტურდება ხელნაწერ Sin 89-ში დაცულ იოანე ოქროპირის ჟამისწირვაში. (ჩვენ არ შეგვიძლია ავხსნათ რატომ არ შეიცავს მსგავს რუბრიკას იმავე ნუსხაში დაცული ბასილი დიდის ლიტურგია).

ონდაკი, ტფ., ვახტანგის სტამბა, 1710, გვ.74.

რუბრიკის ტექსტი მოგვყავს სრულად: "და აღიღონ დიაკონთა საცეცხურები და სამწყრობელი და სანთელი და მღვდელმან ბარძიმი და ჯუშხუმი და სიწმიდე შემოაყვანონ და ფსალტუა თქუან ჭმითა სიწმიდისაჲ... "

* * *

"შემდგომად შემოყვანებისა დადგას სიწმიდე ზედა საკურთხეველსა, აღსაპყრობელი დაჰბურონ. დიაკონმან საკმელი მოაკუმიოს გარემო საკურთხეველსა და მღდელთა უკუმიოს".

ამგვარად, დიაკონმან აიღოს საცეცხური, სამწყრობელი და სანთელი, ხოლო მღვდელმა ბარძიმი და ჯუშხუმი და ძღვენი შემოიტანონ. დადგან სიწმიდე საკურთხეველზე და აღსაპყრობელი "დაჰბურონ". ამის შემდეგ დიაკონი აკმევს საკურთხეველის გარშემო და აკმევს მღვდლებს.

**ანაფორა** – ზიარების შემდგომ მეოთხე და უკანასკნელ კმევას აფიქსირებს ერთადერთი ქართული ხელნაწერი Sin 89. ეს ფაქტი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ დღემდე ჩვენს მიერ შესწავლილ ქართულ ნუსხებში ამგვარი შემთხვევა არ დასტურდება "და ეზიაროს ერი და შემდგომად ზიარებისა დიაკონმან საკმეველი მოაკმიოს და მღდელმან თქუას მაღლიად..."

რუბრიკაში არ არის გამოკვეთილი ვის და რას აკმევს დიაკონი საკმეველს. ხელნაწერი არ იძლევა ამ ობიექტის ზუსტად განსაზღვრის საშუალებას. ჩვენი ვარაუდით, აქ ამ დროისათვის (XI ს. ), ერის კმევაზე საუბარი ნაადრევია. უნდა დავუშვათ, რომ ანაფორაში უკმევენ ჩვენს მიერ უკვე დასახელებულ რომელიმე ობიექტს: ეკლესიას, სამღვდელოებას და ა. შ.

ამრიგად: ქართულ წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას: 1. ქართულ ნუსხათა უმრავლესობა, უფრო სწორად მათი რუბრიკები, დუმილით უვლიან გვერდს კმევის რიტუალს, რომლის ადგილს "დიდ შესვლაში" ხშირად იკავებს ე.წ. ორიენტალური ფორმა დიალოგისა მღვდელსა და დიაკონს შორის. ამ წყაროებში კმევაზე უარის თქმას მხოლოდ რუბრიკალური ლაკონიზმით ვერ ავხსნით.

2. კმევა ჟამისწირვის ქართულ ტექსტებში გვხვდება ოთხჯერ: ა) სამკვეთლოს რიტუალში; ბ) "მცირე შესვლაში"; გ) "დიდ შესვლაში"; დ) ანაფორაში (ზიარების შემდგომ).

3. კმევის ობიექტებია: სიწმიდე, საკურთხეველი, ეკლესია, ტრაპეზი, ღვთისმსახურები.

4. ქართულ ნუსხებში, ადრეულ ბერძნულ ხელნაწერთა მსგავსად არაფერია ნათქვამი კანკელის, ხალხის, ქოროსა და სხვა ობიექტების კმევაზე.

**Н. КАДЖАЯ**

## КАЖДЕНИЕ В ДРЕВНЕГРУЗИНСКИХ ЛИТУРГИЧЕСКИХ ПАМЯТНИКАХ

РЕЗЮМЕ

Древнехристианское богослужение в предникейский период не признавало каждения. После объявления христианства государственной религией каждение было принято во всем христианском мире.

Большинство изученных нами грузинских списков умалчивает о каждении, место которого в "Великом входе" часто занимает т. н. ориенталистическая форма диалога священника с дьяком . Отказ от каждения в этих источниках нельзя объяснить лишь рубрикальным лаконизмом.

Каждение в древнегрузинских в литургических памятниках встречается четырежды: 1) в ритуале пробождения; 2) в Малом входе; 3) в Великом входе; 4) в Анафоре.

В этих ритуалах основными объектами каждения являются: ритуал пробождения: _ Святые дары, алтарь, церковь; "Малый вход" _ трапеза , богослужители; "Великий вход " – алтарь (подразумеваются и дары) богослужители; Анафора – Текст рукописи не позволяет установить объект каждения.

Грузинские рукописи наподобие греческих списков, исключают каждение иконостаси , хора, народа и других объектов.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირმა ყარაულაშვილი

## ანჩისხატი: *კერამიდიონი* ჰიერაპოლისიდან თუ *მანდილიონი* ედესიდან?*

საქართველოში ავგაროზის აპოკრიფულ ლეგენდათა ციკლიდან ფართო გავრცელება მხოლოდ ერთადერთმა ვერსიამ, *აბგარის*[1] *ეპისტოლემ* (*Epistula Abgari*) ჰპოვა.[2] სწორედ ეს აპოკრიფი გადმოგვცემს ედესის ხელთუქმნელი ხატის (რომელიც ადრინდელ წყაროებში *ტილოდ*, ხოლო შემდეგ *მანდილიონად* მოიხსენიება)[3] კეცზე აღბეჭდილი პირის წარმოშობის ყველაზე პოპულარულ ვარიანტს, რომლის თანახმად *მანდილიონმა* ქალაქ ჰიერაპოლისში კეცზე სასწაულებრივად აღბეჭდილი ასლი დატოვა. *აბგარის ეპისტოლემ* დასაბამი მისცა ედესის ხატისა და მისი ასლების შემდგომი ბედის შესახებ სხვადასხვა გადმოცემის ჩამოყალიბებას. ბიზანტიური ტრადიციის თანახმად, ჰიერაპოლისში კეცზე აღბეჭდილი ედესის ხატის ასლი, ანუ *კერამიდიონი*, საუკუნეების განმავლობაში იმავე ქალაქში ინახებოდა და მხოლოდ მოგვიანებით, 966 წლის ოქტომბერში იქნა კონსტანტინოპოლში გადასვენებული ნიკიფორე ფოკას მიერ (ედესიდან *მანდილიონის* გადასვენებიდან 13 წლის შემდეგ).[4] თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიზანტიურ ტრადიციაში ედესის ხატის კეცზე აღბეჭდილი ასლის შესახებ სხვა, არანაკლებ საინტერესო, და ქართული ტრადიციისათვის უფრო მნიშვნელოვანი გადმოცემაც არსებობდა. დაწვრილებით მას მოგვიანებით შევეხები, ახლა კი მკითხველის ყურადღება ხელთუქმნელი ხატის შესახებ ქართულ მწერლობაში ჩამოყალიბებულ ტრადიციას მინდა მივაპყრო.

ხელთუქმნელ ხატთან დაკავშირებულმა ქართულმა გადმოცემებმა და საქართველოში დაცულმა ანჩისხატმა, რომელიც ტრადიციულად ხელთუქმნელთან იყო გაიგივებული, განსაზღვრეს ქართველ მწიგნობართა და მეცნიერთა დიდი ინტერესი ედესის *მანდილიონის* ლეგენდათა ციკლის მიმართ. აბგარის ლეგენდა და მის საფუძველზე აღმოცენებული ქართული ლოკალური ტრადიცია, რომელიც XII საუკუნის დასასრულიდან იღებს დასაბამს, XIX საუკუნიდან მოყოლებული არაერთხელ მოექცა ქართველ მეცნიერთა ყურადღების ცენტრში. მე მათ ანალიზზე არ შევჩერდები, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ქართული ლიტერატურული ტრადიციის ევოლუცია *მანდილიონისა* და *კერამიდიონის* შესახებ

---

* მოცემული სტატიის იდეა სხვა ნაშრომის „King Abgar of Edessa and the Concept of a Ruler Chosen by God" (იბეჭდება ბუდაპეშტში, CEU-ს გამომცემლობაში) ქართული მასალის დამუშავების პერიოდში, ბატონ ზაზა ალექსიძესთან კონსულტაციის პროცესში დაიბადა. მადლობას მოვახსენებ ბატონ ზაზას გულითადი თანადგომის, სტატიაზე მუშაობის პროცესში გაწეული დახმარებისა და გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე შენიშვნებისათვის, აგრეთვე ქალბატონ ციალა ქურციკიძეს და ქალბატონ მაია რაფავას საინტერესო კომენტარებისათვის.

[1] ედესის მეფის სახელი მოიხსენიება როგორც აბგარი ე. წ. აღმოსავლურ ტრადიციაში, ანუ სირიულ, არაბულ, ეთიოპიურ, სომხურ ენებზე. ბიზანტიურ ლიტერატურასა და ბიზანტიის კულტურულ არეალში მყოფი ქვეყნების გადმოცემებში მეფე ავგაროზად (Ἄβγαρος, Αὔγαρος) ან ავგარად (Авгарь) იწოდება. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში მეფეს, ორიგინალური სირიული ტრადიციის მიხედვით, აბგარად მოიხსენიებენ. სტანდარტიზაციისათვის მეც სახელის სირიულ ვარიანტზე შევჩერდები.

[2] M. Geerard, *Clavis Apocryphorum Novi Testamenti. Corpus Christianorum* (Turnhout: Brepols, 1992), გვ. 65. № 88:2. ტექსტი გამოცემულია რ. ლიპსიუსის მიერ *Acta Petri, Acta Pavli, Acta Petri et Pavli, Acta Pavli et Theclae, Acta Thaddaei* (Lipsiae: H. Mendellssohn, 1891), გვ. 279-283. ნაწყვეტი აპოკრიფიდან, რომელიც ეპისტოლეთა ტექსტს შეიცავდა, გამოაქვეყნა ე. ფონ დობშუცმა: E. von Dobschütz, "Der Briefwechsel zwischen Abgar und Jesus," *Zeitschrift für wissenchaftliche Theologie* 41 (1900): 422-486, გვ. 436. აბგარის ლეგენდის ამ ვერსიის ბერძნული ვარიანტი და მისი დათარიღების საკითხი დეტალურადაა განხილული ჩემს სტატიაში "The Date of the *Epistula Abgari*," *Apocrypha* 14 (2002): 85-111. ტექსტის ქართული რედაქციები გამოქვეყნებულია ნესტან ჩხიკვაძის მიერ: "ავგაროზის ეპისტოლის შესახებ: ავგაროზ მეფისა და უფალ იესო ქრისტეს ეპისტოლეები ურთიერთისადმი," *გზა სამეუფო* 1/4 (1996): 32-72.

[3] ხატთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის განვითარებისათვის იხილეთ ჩემი სტატია: "The date."

[4] K. Kavan, *Miracle and Art* (PhD Thesis, University of London, 1995), გვ. 93, შენიშვნა 63. ლეო დიაკვანი *კერამიდიონის* გადასვენებას ჰიერაპოლისიდან იოანე ციმისხსაც მიაწერს, მაგრამ, როგორც ჩანს, ავტორი ნიკიფორე ფოკას და იოანე ციმისხის სირიულ ლაშქრობებს ურევს ერთმანეთში, ვინაიდან არც ერთი ლეოს მიერ მოხსენიებული ქალაქი არ იხსენიება თავად ციმისხის წერილში. *The Cambridge Medieval History*, ed. by J. M. Hussey. Vol. IV, The *Byzantine Empire*, part I, *Byzantium and its Neighbours* (Cambridge, University Press, 1966), გვ. 169.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეტალურად არის გაანალიზებული ზაზა ალექსიძის სტატიაში "*მანდილიონი და კერამიონი* ძველ ქართულ ლიტერატურაში."[5]

ქართული ტრადიციის თანახმად, ქრისტეს ხელთუქმნელი ხატის ასლი საქართველოში ადრეულ პერიოდშივე გადმოასვენეს. ვინაიდან ამ ეტაპზე კვლევის მიზანს გადმოცემული ამბების ისტორიული ღირებულების დადგენა არ წარმოადგენს, არც ამ საკითხს შევეხები დაწვრილებით და მოცემულ სტატიაში მხოლოდ ლოკალურ ლეგენდებში ასახული მოვლენების ზოგიერთი სიუჟეტური ნიუანსის შესაძლო წყაროს დადგენას შევეცდები.

*კერამიდიონთან* დაკავშირებით ქართულ მწერლობაში თითქმის ერთდროულად ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ინფორმაცია იჩენს თავს: ერთის მიხედვით, ხელთუქმნელი ხატი ჰიერაპოლისიდან კლარჯეთში ჩამოიტანა ანდრია პირველწოდებულმა (იოანე ანჩელის მიერ ჩამოყალიბებული ტრადიცია – XII-XIII საუკუნეების მიჯნა)[6], ხოლო მეორის მიხედვით, ხატი ედესიდან ანტონ მარტყოფელმა მოასვენა და მარტყოფში დაავანა (არსენი ბულმაისიმისძის[7] და საბა სვინგელოზის[8] მიერ ჩამოყალიბებული ტრადიცია – XIII საუკუნის მეორე მეოთხედი). თუმცა იოანე ანჩელი თავის საგალობელში ანჩისხატს არცერთხელ კეცს არ უწოდებს, მის მიერ ჰიერაპოლისის ხსენებამ ხატის *კერამიდიონთან* გაიგივებას ჩაუყარა საფუძველი; სხვაგვარი ვითარება იყო არსენი ბულმაისიმისძის მიერ ჩამოყალიბებული ტრადიციის თანახმად: ხატი აქ კეცად იყო წოდებული, თუმცა ჰიერაპოლისის ნაცვლად ედესა იყო ნახსენები და, შესაბამისად, ხატიც საქართველოში სწორედ ედესიდან გადმოსვენებულად იყო მოხსენიებული.

მოცემულ ვითარებაში იბადება კითხვა: რა წყაროს ეყრდნობოდა არსენი, როდესაც კეცი საქართველოში ედესიდან გადმოსვენებულად გამოაცხადა? არის ეს ინფორმაცია არსენის მიერ ბერძნული ტრადიციის შეცდომით გააზრების შედეგი, თუ ავტორს ხელთ ეპყრა არა *აბგარის ეპისტოლე*, არამედ ლეგენდის სხვა, განსხვავებული ვერსია, რომელიც მსგავს ამბავს შეიცავდა?

ამ საკითხზე პასუხის გასაცემად თავად არსენი ბულმაისიმისძის ტექსტს დავიმოწმებ. საგალობელში ხატის წარმომავლობაზე საუბრისას ავტორი წერს:

"ევლავიოს ნეტარი
ხატსა რაჲ საუფლოსა დამმარხველ იქმნა,
საშინელისა მისგან
სხუაჲ გარდამობეჭდულ იქმნა კეცსა ზედა,
რომელი-იგი ღირსისა ანტონისგან
წამისყოფითა ღმრთისაჲთა მოგუანიჭა საძლეველად მტერთა."[9]

როგორც ირკვევა, არსენი ხატის ედესაში ლოკალიზაციის გარდა თხრობას სხვა დეტალებითაც ავსებს და ვინმე ევლავიოსს მიაწერს "ედესიად გამოჩინებული დიდებული ხატის" აღმოჩენას, რომელიც ანტონიმ საქართველოში ჩამოიტანა. ტექსტიდან ასევე ცხადი ხდება, რომ ევლავიოსის მიერ აღმოჩენილ ხატში არსენი არა *მანდილიონს*, არამედ მის ასლს, *კერამიდიონს* გულისხმობს, მაგრამ ედესის ხატისა და მისი ასლის შესახებ საქართველოში გავრცელებული ლეგენდის ვერსიაში, *აბგარის ეპისტოლეში*, არც ევლავიოსი, არც მის მიერ ხატის აღმოჩენის ამბავი არ მოიხსენიება. აქ მხოლოდ ჰიერაპოლისის კეცის წარმოშობის ისტორიაა მოთხრობილი. ხომ არ მიგვანიშნებს ეს გარემოება იმ ფაქტზე, რომ არსენი მოცემული საგალობლის შეთხზვისას აბგარის ლეგენდის საქართველოში გავრცელებული ვერსიით კი არ სარგებლობს, არამედ რაიმე სხვა წყაროთი?

---

[5] ზაზა ალექსიძე, "*მანდილიონი და კერამიონი* ძველ ქართულ მწერლობაში," *აკადემია. ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი. თსკა* 1 (2002): 9-15.

[6] *იოანე ანჩელი, გალობანი ანჩისხატისანი*, წიგნში *ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია*, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ. ტ. 1 (თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1946), გვ. 381-383.

[7] *ხატისა უხილავისაჲ ამავე გალობითა, თქუმული არსენი ბულმაისიმისძისაგან, ქართლისა კათალიკოზისა*, წიგნში *აბუსერიძე ტბელი. თხზულებანი.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ბოლოსიტყვაობა და საძიებლები დაურთეს ნარგიზა გოგუაძემ, მიხეილ ქავთარიამ, და რაულ ჩაგუნავამ (ბათუმი: აჭარა, 1998), გვ. 104-152.

[8] *საბა სვინგელოზი, გალობანი ქრისტეს განგებულებისა და განკაცებისანი*, წიგნში *ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია*, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ. ტ. 1 (თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1946), გვ. 391-393.

[9] *აბუსერიძე ტბელი*, გვ. 117.

პასუხს ამ კითხვაზე კვლავ არსენისეული ტექსტი იძლევა. ვიდრე უშუალოდ არსენის საგალობელზე გადავიდოდე, მინდა მკითხველს შევახსენო, რომ საქართველოში ფართოდ გავრცელებული აბგარის ლეგენდათა ციკლის ერთადერთი ვერსია *აბგარის ეპისტოლე* იყო. მოცემული აპოკრიფის ტექსტი იწყება აბგარის იესოსადმი მიწერილი წერილისა და ქრისტეს საპასუხო ეპისტოლის გადმოცემით, შემდეგ კი აქცენტი მთლიანად ედესის *მანდილიონის* ისტორიაზე გადადის, და აბგარის მალემსრბოლის, ანანიას [გვიანდელ ტექსტებში მოციქულ თადეოზის] მიერ ხატის იერუსალიმიდან ედესაში წასვენებისა და გზად ჰიერაპოლისში ხატის მიერ მოვლენილი პირველი სასწაულის, ანუ *კერამიდიონის* წარმოშობის, ჰიერაპოლისის მთავართან მოლაპარაკებისა და *კერამიდიონის* ჰიერაპოლისში დატოვების ისტორიას გადმოსცემს. ტექსტი *მანდილიონის* ედესაში დავანების, აბგარის განკურნების, და შემდეგ აბგარისა და ედესის მოსახლეობის მონათლვის ისტორიით მთავრდება. *აბგარის ეპისტოლისაგან* განსხვავებით, არსენი *მანდილიონს* კონსტანტინეპოლში დავანებულად მოიხსენიებს:

"ქალაქმა მზემან
ტილოჲ, ხოლო ქართლმან
კეცი დაიმკჳდრა
სიმდიდრედ საცხორებლად..."[10]

ამდენად, არსენისათვის კარგადაა ცნობილი *მანდილიონის* ედესიდან კონსტანტინოპოლში გადასვენების ამბავი, რომელიც *აბგარის ეპისტოლეში* არ იხსენიება. ხატის გადასვენების ისტორიული ფაქტი გადმოცემულია კონსტანტინე პორფიროგენეტის ავტორობით ცნობილ ტექსტში. ქართულ ენაზე ამ ტექსტის თარგმანი ერთადერთი რედაქციით XIII საუკუნის ხელნაწერშია (Q 762) შემონახული.[11] ტექსტის სათაურია: *კონსტანტინეს მიერ, მეფედ ბერძენთა დადგინებულისა, ქრისტეს მიერ მეფისა საუკუნეთაჲსა, თხრობაჲ, შეკრებილი თითოსახეთა თხრობათაგან ავგაროზის მიმართ წარყვანებულისა მის ხატისათჳს ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა, თუ ვითარ ედესიით კონსტანტინეპოლედ აღმოიყვანეს.*[12]

ეს ტექსტი იმპერატორის ნება-სურვილით 944 წელს *მანდილიონის* ედესიდან კონსტანტინეპოლში საზეიმოდ გადასვენების აღსანიშნავად შეითხზა. 944 წელს ბიზანტიელმა სარდალმა იოანე კურკუასმა (Curcuas) დაიპყრო მელიტენე და სამოსატი და ალყა შემოარტყა ედესას.[13] ქალაქის ემირი იძულებული იყო მშვიდობიანი მოლაპარაკება ეწარმოებინა ბიზანტიასთან და გადაეცა მათთვის აღმოსავლეთი საქრისტიანოს ყველაზე ცნობილი რელიკვია – ქრისტეს ედესური ხატი. რელიკვიის გადაბრძანებას ედესიდან კონსტანტინეპოლში 944 წლის 16 აგვისტოს თან სდევდა ტრიუმფალური პროცესია, ხოლო ერთი წლის შემდეგ 16 აგვისტოს ხატის მოსახსენებელი საეკლესიო დღესასწაულიც დაწესდა.

თხზულება აბგარის ლეგენდის ირგვლივ არსებულ ყველა გადმოცემას აერთიანებს და დაწვრილებით მოგვითხრობს აბგარისა და ქრისტეს მიმოწერის, *მანდილიონისა* და ჰიერაპოლისის კეცის წარმოშობის, VI საუკუნეში სპარსელების შემოსევისა და ედესის სასწაულებრივი გადარჩენის, X საუკუნეში ბიზანტიელი მთავარსარდლის ედესის ემირთან ხატის გადაცემაზე მოლაპარაკების და თავად ხატის გადასვენებისა და საზეიმოდ მიღების ამბებს.

საყურადღებოა, რომ *კერამიდიონის* წარმოშობასთან დაკავშირებით *თხრობაში* ორი განსხვავებული ამბავია წარმოდგენილი. პირველი მათგანი *აბგარის ეპისტოლის* გადმოცემას იმეორებს ჰიერაპოლისში მომხდარი სასწაულის შესახებ:

---

[10] იქვე, გვ. 119.

[11] *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი /Q/ კოლექციისა:* შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ელ. მეტრეველის, და სხვ. ი. აბულაძის რედაქციით (თბილისი: მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1958), ტ. 2. გვ. 210.

[12] ბერძნული ტექსტის სათაური ცოტათი სხვაობს ქართული თარგმანისაგან: Κωνσταντίνου ἐν Χριστῷ βασιλεῖ βασιλέως Ρωμαίων τοῦ Πορφυρογεννήτου Διήγησις ἀπὸ διαφόρων ἀθροισθεῖσα ἱστοριῶν, περὶ τῆς πρὸς Αὔγαρον ἀποσταλείσης ἀχειροποιήτου θείας εἰκόνος Ἰησοῦ Χριστοῦ τοῦ θεοῦ ἡμῶν. Καὶ ὡς Ἐδέσσης μετεκομίσθη πρὸς τὴν πανευδαίμονα ταύτην καὶ βασιλίδα τῶν πόλεων Κωνσταντινοῦπολιν. Migne, *Patrologia Graeca,* 113, სვეტი 423-454. შემდგომ მოიხსენიება როგორც *თხრობა.*

[13] Steven Runciman, "Some Remarks on the Image of Edessa," *Cambridge Historical Journal* 3 (1929-31): 238-252, გვ. 248.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

> "და ვითარცა მიიქცა მიერ ანანია [ავგაროზის მალემსრბოლი – ი. ყ.] და მიიწია ციხესა იერაპოლისასა, რომელსა-იგი სარკინოზულითა ჴმითა მემბეჯ უწოდენ, ხოლო ასურთაჲთა – ბამბუკ,[14] მის ქალაქისა კართა გარეშე დაივანა, სადა-იგი მდებარე იყო სიმრავლე კეცისაჲ ახლად შემზადებულისაჲ, რომელთა შორის დაჰკრძალა ანანია წმინდაჲ იგი და საუფლოჲ ხატი, ტილოსა მას ზედა გამოსახული.
>
> ხოლო შუვაღამეს ოდენ მოეფინა ცეცხლი გარემო ესევითარისა მის ადგილისა, ვიდრემდის საგონებელ იყო ყოველთა მიერ მყოფთა ქალაქისათა, ვითარმედ ეტყინების და შეიწუვის ადგილი იგი, რომლისა მიერ თვალთაცა თჳსთა დაწუვისაგან შეეშინა. და ზარ-განჴდილნი გამოვიდეს ძიებად და ხლებად მიზეზსა (გვ. 49) მას ესეოდენისა მოტყინარებისასა.
>
> და ვითარცა მიიწინეს ადგილსა მას და პოვეს ანანია, შეიპყრეს იგი, ვითარცა მოქმედი ესე-ვითარისა კადნიერებისაჲ. და ეძიებდეს მისგან მიზეზსა საქმისასა, და ჰკითხვიდეს მას, თუ ვინაჲ მოვალს, ანუ ვიდრე წარვალს. ხოლო ანანია განცჳბრებულ იყო და უმეცარ მიზეზსა ცეცხლისასა, გარნა ესე ხოლო აუწყა, თუ ვინაჲ მოვალს, ანუ ვიდრე წარვალს, ანუ თუ რაჲ მოაქუს. და აუწყა, ვითარმედ მის მიერ მოღებული იგი შორის კეცთა მათ დაუკრძალავს, რომლისა მიერ საგონებელ არს აღტყინებაჲ ცეცხლისაჲ. ვინაჲცა მოსრულნი იგი მყის გამოეძიებდეს ჭეშმარიტებასა სიტყუათა მისთასა. და განიხილეს რაჲ, პოვეს ადგილსა მას ხატი არა ხოლო ანანიაჲსგან მოღებული და შორის კეცთა მათ დაკრძალული იგი, არამედ ერთსა მას მათ კეცთაგანსა ზედა სხუაჲცა ხატი გამოხატულ იყო წმიდისა მისგან ხატისა ქრისტესისა. რამეთუ საკჳრველებითა საუფლოჲთა, მისდა მიახლებულისა (გვ. 50) მის ერთისა კეცისა ზედა გამოსახულ იყო სხუაჲ ხატი, უწერელისა მისგან ტილოჲსა უწერელადვე გამოხატული."

*თხრობის* შემდგომი მონაკვეთიც *აბგარის ეპისტოლის* შინაარსს მიჰყვება და დაწვრილებით მოგვითხრობს ანანიას ჰიერაპოლისის მოსახლეობასთან მოლაპარაკების და *კერამიდიონის* ჰიერაპოლისში დატოვების ისტორიას. შემდეგ ტექსტი ადრეული სირიულ-ბიზანტიური მწერლობისათვის ტრადიციული ეპიზოდების გადმოცემით გრძელდება, და დაწვრილებით გადმოსცემს თადეოზის ედესაში ჩასვლის, აბგარის განკურნებისა და მონათლვის, აბგარის ვაჟიშვილის ქრისტიანობისგან განდგომის ამბებს. მოცემულ ნაწილში ტექსტი მხოლოდ ერთხელ ვარდება ტრადიციული სიუჟეტური ქარგიდან, როდესაც *თხრობაში* აბგარის ვაჟის განდგომასთან ერთად *მანდილიონის* ედესის კედელში დამალვის მოტივი შემოდის.

ამ ეპიზოდით სრულდება *თხრობაში* აბგართან უშუალოდ დაკავშირებული მოვლენების გადმოცემა და ტექსტის შინაარსი ახალი მოტივებით, კერძოდ კი ედესის მეფისათვის გაგზავნილი რელიკვიების, ქრისტეს ეპისტოლისა და ხელთუქმნელი ხატის შემდგომი თავგადასავლების ამსახველი ამბებით ივსება. ამათგან პირველი სპარსელებით

---

[14] ჰიერაპოლისის (სირ. მაბბუგის) არაბული სახელწოდებაა მემბეჯი (resp. მანბიჯი [Manbij, Μέμπετζε]). *The Cambridge Medieval History*-ს თანახმად, მანბიჯის ძველი სახელწოდება იყო მამბუკი (Mambyke). შესაბამისად, სახელის სირიულმა ფორმამ შემდეგი სახის ტრანსფორმაცია განიცადა: მაბბუგი <მამბუკი < ბამბუკი. *The Cambridge Medieval History*, გვ. 169. ქართული ტექსტი მოცემულ მონაკვეთში სხვაობს ბერძნულისგან: ὁ τῇ μὲν Σαρακήνων φωνῇ Μεμμὶχ λέγεται, τῇ δὲ Σύρων Μαβοὺκ (PG, 113, სვეტი 432). ბერძნულ ტექსტში ბამბუკის ნაცვლად მოხსენიებულ ფორმას, მემიხი, სხვაგან ვერსად მივაკვლიე. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ *Narratio*-ს ქართული თარგმანი ტექსტის სხვა მონაკვეთებშიც ემიჯნება ბერძნულს, ხოლო დასკვნითი ნაწილი ქართულად შედარებით მარტივი ფორმითაა წარმოდგენილი. ქართული და ბერძნული ტექსტების დეტალური შედარებითი ანალიზი, სავარაუდოა, მეტ საინტერესო ნიუანსს გამოავლენს. ამჟამად კი ვარაუდის სახით მინდა გამოვთქვა მოსაზრება, რომ ქართული ტექსტი წარმოადგენს არა PG-ში გამოქვეყნებული ტექსტის თარგმანს (რომელიც კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ სანქციონირებული და გარკვეულწილად "პოლიტიზირებული" ტექსტის საბოლოო ფორმად წარმოგვიდგება), არამედ *Narratio*-ს ერთ-ერთი ადრეული, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ვარიანტის თარგმანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარშემორტყმულ ქალაქში ხატის სასწაულებრივად გამოჩენისა და ქალაქის გადარჩენის მონაკვეთია. სწორედ აქ არის მოთხრობილი *კერამიდიონის* წარმოშობის ახალი, ტრადიციულისგან განსხვავებული ისტორია, სადაც მკითხველისთვის უკვე ნაცნობი ევლალიოსის[15] სახელიც მოიხსენიება:

> "ხოლო მას ოდენ ღამესა ჩუჷნებით გამოუჩინდა ევლალიოს ეპისკოპოსსა ქალაქისასა დედაკაცი ვინმე შემკობილი და შუჷნიერი, რომელი უზესთაეს იყო სახისა კაცებრივისა, რომელი განაზრახებდა და ეტყოდა მას ვითარმედ: მიიქუთ ჴელთა ჴელით უქმნელი ხატი უფლისა და მაცხოვრისა ყოველთაჲსაჲ. და ეგრეთ აღასრულეთ ლიტანიობაჲ. და უეჭუელად აჩუჷნნეს ოდენ საკურველებანი თჳსნი. ხოლო ეპისკოპოსი აღიარებდა სრულიადსა უმეცრებასა, ვითარმედ არა უწყიან (გვ. 66) ანუ თუ მათ შორის არს, გინა თუ ვიეთცა შორის იპოების ხატი იგი ჴელთუქმნელი. მაშინ ეტყოდა მას სახითა დედაკაცისაჲთა გამოჩენილი იგი, ვითარმედ ზედა კერძო ბჭეთა ქალაქისათა მის რომელსამე ადგილსა მით რომლითამე სახითა დაფარულ არს ესევითარი იგი ხატი ჴელითუქმნელი.
>
> და ვითარცა განიღჳძა ეპისკოპოსმან, გულისჴმა-ყო ჭაშმარიტებითი იგი ძალი ჩუჷნებისაჲ მის და განთიად წარვიდა ლიტანიითა ადგილსა მას და პოვა წმიდაჲ იგი ხატი ყოვლად განურყუნელი და კანდელი იგი წინაშე მისსა აღნთებული, ეგეოდენთა მათ წელთა სიმრავლესა დაუშრეტელად გებული. ხოლო საფარველად ხატისა მის აღმართებულსა კეცსა ზედა გამოსახულ იყო სხუაჲ ხატი და მსგავსებაჲ წმიდისა მის და საუფლოჲსა ხატისაჲ, რომელი იგი მიერითგან ვითარმე მოაქამომდე კეთილად დაცვული დამარხულ არს ქალაქსა მას შინა ედესისასა (გვ. 67)."

---

[15] არსენის საგალობელში მოხსენიებული სახელი ევლავიოსი *თხრობის* ბერძნულ და ქართულ ტექსტებში ევლალიოსად (Εὐλάλιος) მოიხსენიება.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეპისკოპოსის სახელად ევლალიოსის მოხსენიება ბერძნულ *თხრობაში ეგერიას მიმოსვლის* (*Egeriae Peregrinatio*, 19) ანალოგიით ხდება. ამ თხზულების თანახმად, გალელ პილიგრიმ ქალს ედესის დათვალიერებისას მეგზურობა ქალაქის ეპისკოპოსმა, სავარაუდოდ ევლოგიუსმა, გაუწია. ევლოგიუსი, როგორც ედესის ეპისკოპოსი (Eulogius of Edessa), ესწრებოდა 381 წლის კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებას. *Egeria: Diary of a Piligrimage*, trans. and annot. by George E. Gingras. Ancient Christian Writers 37 (New York: Newman Press, 1970), გვ. 204, შენ. 202. ევლოგიუსი მოიხსენიება *ედესის ქრონიკაში* (ნ. პიგულევსკაია ამ თხზულებას 540 წლით ათარიღებს), სადაც მოცემულია ედესის ეპისკოპოსთა სია 540 წლამდე (აღსანიშნავია, რომ ამ სიის მიხედვით სპარსელთა შემოსევის პერიოდში ედესის ეპისკოპოსი იყო ადდაი, გარდ. 541 ან 543 წ.). *ედესის ქრონიკის* თანახმად, 'იმ წელს, როცა თეოდოსი დიდი გამეფდა, ეპისკოპოსი გახდა მარ ევლოგი[უსი]. ამ მარ ევლოგ[იუს]მა ააგო მარ დანიელის სამრეკლო (ეკლესია), რომელსაც მარ დომიციის სამრეკლოს უწოდებენ... 689 (სელევკიდების ერა, resp. ჩვ. წ. აღ. 386) წელს, წითელ პარასკევს, მარ ევლოგიუსმა გარდაიცვალა.' Н. В. Пигулевская, "Едесская Хроника," *Палестинский сборник* 4/67(1959): 78-96, განს. გვ. 84, 91.

სახელ ევლოგიუსთან დაკავშირებით ასევე საინტერესო ცნობები აქვს დაცული V-VI საუკუნის სირიელ ავტორს, იეშუა სტილიტს თავის *ქრონიკაში* (ნაწარმოები ჯერ 297-8 და 395-6 წლებში მომხდარ ამბებს გადმოსცემს, შემდეგ დეტალურად აღწერს 494-507 წლების ვითარებას "ედესაში, ამიდში, და მთელს მესოპოტამიაში."). 499-500 წლებში მომხდარ მოვლენათა შორის იგი აღნიშნავს: "[ედესის] დიდი ჭიშკრის კედელს ბზარი გაუჩნდა სამხრეთით; და ზოგი ქვა მიმოფანტული იყო იმ ადგილიდან საკმაო მანძილის მოშორებითაც კი..." *The Chronicle of Joshua the Stylite, composed in Syriac A.D. 507 with a Translation into English and Notes*, ed. and tr. William Wright (Repr: Amsterdam: Philo Press, 1968), გვ. 26. ედესის კედელი პირველად სპერსელებთან საომრად მზადების პერიოდში, 500-501 წლებში შეაკეთეს. Wright, *Chronicle*, გვ. 41. მოგვიანებით, 504-505 წლებში მომხდარი ამბების აღწერისას, ავტორი ევლოგიუსსაც ახსენებს, რომელსაც ედესის გამგებელს უწოდებს (ედესის ეპისკოპოსად პეტრეა მოხსენიებული). იმავდროულად ავტორი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ქალაქის კედლის ხელახალ რეკონსტრუქციაზე: "ევლოგიუსი, ედესის გამგებელი, დაკავებული იყო ქალაქის აღდგენით. და იმპერატორმა [ანასტას პირველი (491-518) – ი.ყ.] [მისცა მას] ორასი წონა [ოქრო] სამშენებლო ხარჯებისათვის. მან განაახლა და შეაკეთა ქალაქის გარე კედელი [მთლიანად], რომელიც ქალაქს გარშემო ერტყმის...იმპერატორმა ასევე მისცა ეპისკოპოსს [პეტრეს] ოცი წონა [ოქრო] კედლის აღდგენისთვის საჭირო ხარჯებისათვის..." Wright, *Chronicle*, გვ. 69.

ზემოაღნიშნულიდან ნათელი ხდება, რომ გადმოცემამ *კერამიდიონის* ედესური ასლის შესახებ ერთმანეთს დაუკავშირდა ედესის ისტორიაში ცნობილი სხვადასხვა დროს მოღვაწე ორი ევლოგიუსის სახელი. ერთი ევლოგიუსი ქალაქის გალავნის აღდგენით სამუშაოებს ხელმძღვანელობდა (*მანდილიონი* და მისი ასლი სწორედ ედესის კედელში დამარხული იპოვეს), ხოლო მეორეს ქალაქის ეპისკოპოსის თანამდებობა ეკავა (ხატი სწორედ ეპისკოპოსმა აღმოაჩინა).

ამდენად, საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული მოსაზრება, რომ გადმოცემის თავდაპირველ, სავარაუდოა ზეპირ ტრადიციაში, სწორედ ევლოგიუსის სახელი უნდა ყოფილიყო გამოყენებული, რომელმაც შემდგომი ტრანსფორმაცია განიცადა: ევლოგიუსი < ევლალ(ვ)იოსი. საფიქრებელია, ისტორიული პირის მოხსენიებას "ჭეშმარიტების ელფერი" უნდა მიენიჭებინა მთლიანად გადმოცემისათვის.

ამგვარად, *თხრობაში მანდილიონის* ორი ასლის, ორი *კერამიდიონის* ისტორიაა მოთხრობილი. პირველი *აბგარის ეპისტოლეში* დაცულ ვერსიას იმეორებს, ხოლო მეორის თანახმად, ხელთუქმნელი ხატის ასლი VI საუკუნეში, სპარსელების შემოსევის დროს, სასწაულებრივად ვლინდება ქალაქის კედელში დამარხულ *მანდილიონთან* ერთად.

როგორც ჩანს, *კერამიდიონის* შესახებ ახალი ტრადიციის გაჩენის წინაპირობა VI-VII საუკუნეებში, ანუ არაბთა ბატონობის ადრეულ პერიოდში, ედესაში შექმნილ პოლიტიკურ და კონფესიურ ვითარებაში უნდა ვეძიოთ. მავრიკი II-ის (520 – 602) მეფობის დროს ედესაში მიმდინარეობდა სერიოზული ბრძოლები მონოფიზიტურ და დიოფიზიტურ დაჯგუფებებს შორის. ამავე პერიოდში მონოფიზიტებმა ხელთ იგდეს ედესის კათედრალზე ზედამხედველობის უფლება, სადაც, გადმოცემის თანახმად, *მანდილიონი* ინახებოდა. მოგვიანებით, 623 წელს, იმპერატორმა ჰერაკლემ (602-635) კათედრალი მართლმადიდებლებს დაუბრუნა.[16] ქრისტეს ხელთუქმნელი ხატის, როგორც ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი უძვირფასესი რელიკვიის, ფლობას ამ პერიოდისათვის უკვე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. შესაძლოა, როდესაც ედესის მონოფიზიტებმა კათედრალზე (შესაბამისად *მანდილიონზე*) ზედამხედველობის უფლება დაკარგეს, მათ ხელთუქმნელი ხატის საკუთარი ასლის ფლობის სურვილი დაბადათ და მალევე, სავარაუდოა უკვე VIII საუკუნის დასაწყისისათვის, საკუთარი "ჭეშმარიტი" ხელთუქმნელი ხატიც, ანუ საკუთარი *კერამიდიონი* გაუჩნდათ.[17] წყაროებში *მანდილიონის* ახალი, ედესური ასლის დასასვენებელ ადგილად ედესის ნესტორიანული ეკლესია იხსენიებოდა.[18]

საყურადღებოა, გადმოცემა *მანდილიონის* ედესური ასლის წარმოშობის შესახებ, რომელიც წერილობით კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებაში დაფიქსირდა, VI-VIII საუკუნეებში ჩამოყალიბდა. კვლევის ამ ეტაპზე ძნელი სათქმელია, თუ რომელ გარემოში შეიქმნა ახალი გადმოცემა *კერამიდიონის* შესახებ: ედესის მართლმადიდებლურ წრეში VI-VII საუკუნეებში, როცა კათედრალი და *მანდილიონი* მონოფიზიტებს ეკუთვნოდათ, თუ მონოფიზიტურ წრეში, VII-VIII საუკუნეებში, როცა მონოფიზიტებმა დაკარგეს კათედრალიც და *მანდილიონიც*. ამჟამად მხოლოდ ის შეიძლება თამამად ითქვას, რომ ედესის *კერამიდიონი* XII საუკუნისათვის გაიგივებული იყო ნესტორიანულ ეკლესიაში დავანებულ *მანდილიონის* ასლთან. სწორედ ასეთად მოიხსენიებს ანტონი მარტყოფელის მიერ ქართლში ჩამოსვენებულ კუბს არსენი ბულმაისიმისძე:

> "ანტონის ღმრთივ სწაველულსა
> ეძენებოდა ღმრთის მბრძოლისა ნესტორის შეილთა
> ჰყრობად უხრწნელსა ხატსა
> ქრისტეს ღმრთისასა და მოიღო მათგან
> კეთილად
> ვერაგობითა ღმრთისა მიერ აღძრულმან
> და ცხორებისა წინდად დაგაკუნჭა."[19]

ამდენად, ნათელი ხდება, რომ არსენი ბულმაისიმისძე, როდესაც ხელთუქმნელ ხატს საქართველოში ედესიდან გამომსვენებულად მოიხსენიებს, ეყრდნობა ან კონსტანტინე პორფიროგენეტის სახელით ცნობილ თხზულებას, ან, შესაძლოა, მასზე დამყარებულ რომელიმე ბერძნულ საგალობელს (საყიქრებელია, *კერამიდიონისადმი* მიძღვნილს).[20] არსენი მათ საფუძველზე საკუთარ, ქართულ ტრადიციას ამკვიდრებს, რომლის თანახმადაც საქართველო ქრისტიანული სამყაროს უმნიშვნელოვანესი რელიკვიის, *მანდილიონის* ერთ-ერთი ასლის, კერძოდ კი, ედესის *კერამიდიონის* მფლობელი ხდება, რომელიც ანტონი მარტყოფელს ფარულად მოაქვს ედესის ნესტორიანული ეკლესიიდან.

---

[16] Av. Cameron, "The History of the Image of Edessa: The telling of a story." *Harvard Ukrainian Studies* 7 (1983): 80-94, გვ. 88.

[17] E. von Dobschütz, *Christusbilder. Untersuchungen zur christelischen Legend. Texte und Untersuchungen zur Geschichte der ältchristlichen Literatur*. Neue Folge 3 (Leipzig: C. Hinrichs'sche Buchhandlung, 1899), გვ. 142-147.

[18] Cameron, *The History*, გვ. 87.

[19] *აბუხრიტ ტბელი*, გვ. 115-116.

[20] *მანდილიონისადმი* მიძღვნილ იმ საგალობელთა ტექსტში, რომლებზეც ხელი მიმიწვდებოდა, პარალელურ ტექსტს ვერ მივაკვლიე. თუმცა არსენის ტექსტის კომპოზიცია და ზოგიერთი დეტალი მაინც მაფიქრებინებს ძირითადი სუჯეტური ხაზის ანალოგიაზე. ამ მიმართებით აუცილებელია აღინიშნოს, რომ *მანდილიონისა* და *კერამიდიონისადმი* მიძღვნილ ბერძნულ საგალობელთა ძირითადი ნაწილი დღემდე გამოუქვეყნებელია.

როგორც დასაწყისში აღვნიშნე, *კრამდიონის* საქართველოში გადმოსვენებასთან დაკავშირებით XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე ორი ტრადიცია ჩამოყალიბდა: იოანე ანჩელისეული, რომლის თანახმადაც პიერაპოლისის ხელთუქმნელი ხატი (resp. *კრამდიონი*) ანდრია პირველწოდებულმა კლარჯეთში ჩამოასვენა, და არსენი ბულმაისიმისძისეული, რომლის თანახმად კი ქართლში ედესიდან ანტონი მარტყოფელმა გადმოიტანა.

იოანე ანჩელმა, ქართული ტრადიციის დამაარსებელმა, იესოს ედესის ხატის გადმოსვენება მაცხოვრის მოციქულის, ანდრია პირველწოდებულის სახელს დაუკავშირა, რომელმაც გადმოცემის თანახმად, საქართველოში I საუკუნეში იქადაგა. მაგრამ ტრადიციულად ხომ ითვლებოდა, რომ ანდრიამ საქართველოში არა ქრისტეს ხელთუქმნელი, არამედ ღვთისმშობლის ჩვილედი ხატი ჩამოიტანა.[21] სავარაუდოა, სწორედ ამ წინააღმდეგობამ, აგრეთვე ხელთუქმნელი ხატისა და მისი ასლების შესახებ გადმოცემების სირიულ სამყაროსთან კავშირმა აიძულა ქართველი მწიგნობრები, არსენი ბულმაისიმისძე და საბა სვინელოზი, ახლებურად გადაეზრებინათ იოანე ანჩელის მიერ შემოთავაზებული ვარიანტი. მათ *კრამდიონის* საქართველოში გადმოსვენების ამბავი აგრეთვე საქართველოში ქრისტიანობის ისტორიას, ამჯერად სირიელი მამების მოღვაწეობას დაუკავშირეს და ხატის ჩამოსვენება ანტონი მარტყოფელს მიაწერეს. როგორც სინას მთის ახლად აღმოჩენილი ქართულ ხელნაწერთა კოლექციის N/Sin-50 ხელნაწერში შემავალი ასურელ მამათა ცხოვრების—უძველესი რედაქციიდან ირკვევა, ანტონი არ მოიხსენიებოდა საქართველოში მოსული ბერების სიაში. როგორც ზ. ალექსიძე ვარაუდობს, "შესაძლოა, ანტონი ასურელ მამებს დამოწყებული ქართველი ბერი იყო, რომელმაც ისეთ სიმაღლეს მიაღწია ასკეტურ ცხოვრებაში, რომ თანდათან ერთ-ერთ ასურელ მამად იქნა მიჩნეული."[22] სავარაუდოა, სწორედ არსენი ბულმაისიმისძემ და საბა სვინელოზმა თავისი საგალობლებით ჩაუყარეს საფუძველი ანტონის სირიელ მამებთან გაიგივების ტრადიციას.

ამგვარად, სხვადასხვა ავტორების მიერ შემოთავაზებულმა ორმა ტრადიციამ ხელი შეუწყო ქართულ წყაროებში ხელთუქმნელ ხატთან დაკავშირებით შექმნილი გაუგებრობის ჩამოყალიბება-გაღრმავებას. როგორც ჩანს, დასაწყის ეტაპზე იოანესეული და არსენისეული ვერსიები დამოუკიდებლად ვითარდებოდა. სავარაუდოა, ორივე ტრადიციის განვითარება განაპირობა ქრისტეს ხელთუქმნელი ხატისა და მისი ასლის შესახებ ბერძნული გადმოცემებისა და სირიელ მამათა ცხოვრების უძველეს რედაქციაში (ამავე—გადმოცემების ზეგავლენით) ორი სასწაულებრივად მოვლენილი ხატის შექმნაზე თხრობის ანალოგიამ. თანდათანობით, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ზ. ალექსიძე, ანჩის ხატი გამოცხადდა *მანდილიონად*, ხოლო მარტყოფისა – *კრამდიონად*.[23]

საფიქრებელია, ანჩისხატის გაიგივება *მანდილიონთან* იოანე ანჩელის ტრადიციაში არსენისეული ტრადიციის ელემენტების შეჭრის შედეგად მოხდა. ამ პროცესს გარკვეულწილად თავად არსენი ბულმაისიმისძის ნაშრომმა და საგალობლის დამკვეთის, აბუსერიძე ტბელის განმარტებამაც შეუწყო ხელი. არსენის საგალობელში არის ნაწყვეტი, სადაც *ავტორი არ აკონკრეტებს, რომ ანტონის მიერ ჩამოსვენებული ხატი კრამდიონია*:

„ღღეს არე სულნელებისაჲ,
ღღეს ნიავი ცხორებისაჲ
მოეფინა ქართველთა ერსა ზედა,
ევლავიოჲს ღირსისა მიერ
ედესიას გამოჩინებული
დიდებული ხატი,
უცვალებელი სახე ქრისტეს ღმრთისაჲ,
რომელი ანტონისგან
მოღუაწებითა ღმრთისაჲთა მოგუეცა."[24]

აბუსერძე ტბელი კი თავის განმარტებაში აღნიშნავს, რომ ხელთუქმნელი ხატი "ოდეს მიჟვანებულ იქმნა ედესიაჲთ კოსტანტინოპოლელ, ხოლო მეორედ, ვინაჲთგან მიემადლა

[21] ქ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1 (თბ: საბჭოთა საქართველო, 1960), გვ. 322-323.
[22] ზ. ალექსიძე, *მანდილიონი*, გვ. 13.
[23] იქვე, გვ. 11.

ნათესავსაცა ჩუენსა მოწყალებითა ღმრთისაჲთა ღირსისა მამისა ჩუენისა ანტონი მარტოდმყოფელისა მიერ. და დღესა ფერისცვალებასა ვემოხუევით კეცსა ზედა გარდამოხუფრულსა ტილოსსა მიერ."[25] ბუნებრივია, ამ მონაკვეთებზე დაყრდნობით მკითხველი, სპეციალური მომზადების გარეშე, ვერ შესძლებს ადვილად გაარჩიოს, თუ რომელი ხატის, *მანდილიონის* თუ *კერამიდიონის* გადმოსვენებაზე საუბრობენ მათი ავტორები.

ამდენად, როდესაც არსენი ბულმაისიმისძე და აბუსერიძე ტბელი კეცის შესახებ საუბრობენ, როგორც ჩანს, იმავდროულად მის *მანდილიონთან* გაიგივების ტრადიციის დანერგვასაც ცდილობენ. განსაკუთრებით უკანასკნელი, ვინაიდან იგი ხატს ჯერ ედესიდან კონსტანტინეპოლში, ხოლო შემდეგ უკვე კონსტანტინეპოლიდან ქართლში გადმოსვენებულად მოიხსენიებს. სავარაუდოა, XIII საუკუნის მოღვაწეთა განზრახვამ მალევე წარმატებას მიაღწია, და ქართულმა ტრადიციამ ანჩისხატი *მანდილიონთან*, ხოლო მარტყოფის ხატი – *კერამიდიონთან* გააიგივა. □სწორედ ამგვარ დამოკიდებულებას ანჩისხატის მიმართ ავლენენ XVIII საუკუნის მოღვაწენი, როდესაც ხატის განახლებულ მოჭედილობაზე შემდეგი სახის (ქრონოლოგიური შეცდომის მქონე) წარწერა კეთდება: "...ხატი ესე ჭედით უქმნელი პირველად ედესიდგან კონსტანტინეპოლად წარმოუსვენებიათ. და ოდეს ლეო ისავრი და სხუანი ხატომბრძოლნი გამოჩნდეს მას ჟამსა, მუნითგან წამოესვენათ და დაესვენათ კლარჯეთსა საეპისკოპოსოსა საყდარსა ანჩისასა..."[26]

ამგვარად, უკვე XIII საუკუნიდან დაწყებული, არსენი ბულმაისიმისძის მიერ კეცის ედესაში ლოკალიზაციის შესახებ ცნობამ თანდათანობით საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ხელთუქმნელი ხატის გადმოსვენების შესახებ არსებულ ტრადიციებში *კერამიდიონის მანდილიონად* ტრანსფორმაციის პროცესს.

IRMA KARAULASHVILI

## *ANCHISKHATI: KERAMIDION* FROM HIERAPOLIS OR *MANDYLION* FROM EDESSA?

RESUMÉ

The present article aims at establishing the possible source of one episode of the *Canticle on the Holy Icon of Ancha* of Arseni Bulmaisimisdze (twelfth-thirteenth century). The icon of Ancha was, by the founders of the local Georgian cycle of the Abgar legend, named to be either the *Acheiropoiētos* Image of Christ from Hierapolis (Ioane Ancheli, twelfth century), or the *Keramidion* from Edessa (Arseni Bulmaisimisdze and Saba Synkellos, thirteenth century). The *Keramidion* from Hiserapolis was well known in the Georgian tradition from the widespread translation of the *Epistula Abgari*; while *Keramidion* from Edessa, except of the *Canticle of* Arseni Bulmaisimisdze, was not mentioned in the ancient Georgian texts at all. The details, provided by Arseni in his *Canticle*, that is to say, mentioning of the name of Eulav(l)ios, made possible to identify the text that contained the information about the *Keramidion* of Edessa, the *Narratio diversis ex historiis collecta de divina*

[24] აბუსერიძე ტბელი, გვ. 109.
[25] იქვე, გვ. 92.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*Christi Dei nostri imagine non manufacta ad Abgarum missa; exque Edessa in beatissimam hanc augustamque urbem Constantinopolim translata*, attributed to Constantine VII Porphyrogennetos (ninth century). Finally, it was possible to assume that either *Narratio*, or one of the *Hymns* of the *Acheiropoiētos Image* of Christ (most plausibly, that of the *Keramidion*), based on the *Narratio*, served as a source for the *Canticle* of Arseni Bulmaisimisdze.

Moreover, the information of Arseni about Edessa, and a note, made by the commissioner of His *Canticle*, Abuseridze Tbeli, that the icon was first translated from Edessa to Constantinople, and than to Kartli, promoted the introduction of elements of tradition of Arseni Bulmaisimisdze (the localisation of the icon in Edessa) to that of Ioane Ancheli (no precision of whether the icon was *Mandylion* or *Keramidion*). As a result, the idea that the icon of Ancha represents the *Mandylion* itself has been gradually accepted by the Georgian tradition during the Middle Ages.

[26] შალვა ამირანაშვილი, *ოპიზარი* (თბილისი: ფუდურაცია, 1937) გვ. 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თინა ცერაძე

## დევთუბანი – ქართველთა სამოღვაწეო უცნობი კერა წმ. მიწაზე?

დევთუბნის არსებობა დღემდე ცნობილი იყო ერთი იერუსალიმური აღაპის მიხედვით, რომელიც ე.წ. იერუსალიმურ სვინაქსარში (იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის კუთვნილი ნუსხა - Jer. Georg. 24-25) არის დაცული და დადებულია ვინმე მარინა დევთუბნელის სახელზე: „თუესა ივლისსა ჳდ. ამ(ა)სვე დღესა პაინაშუდი და აღაპი მარინა დევთუბნ(ე)ლისა(ჲ). დაუკლებლად აღმსრ(უ)ლ(ე)ბ(ე)ლთა შეუნდვენ, უჴალო ღმერთო“.[1] იერუსალიმური აღაპების ტექსტების გამომცემელი, ე. მეტრეველი მიუთითებს, რომ მარინა დევთუბნელის აღაპი დაწერილია XIV საუკუნის ნუსხურით და რომ სხვა დამატებითი ცნობები მარინა დევთუბნელის შესახებ ცნობილი არ არის.[2]

მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე ნათელი არ იყო, კონკრეტულად რას გულისხმობდა ზედწოდება „დევთუბნელი“, აღნიშნული აღაპის ტექსტი მაინც იძლეოდა საშუალებას, რომ „დევთუბანი“ რომელიღაც დედათა მონასტრად ყოფილიყო მიჩნეული. ამგვარი ვარაუდი თავის დროზე გამოთქვა კ. კეკელიძემ, რომელმაც „დევთუბანი“ მიიჩნია მაკარი მეგვიპტელის თხზულებათა შემცველი ქუთაისური ხელნაწერის (ქუთ. 181) ანდერძის მიხედვით ცნობილი დედათა მონასტრის - „დერთუჴას“ დამახინჯებულ ფორმად: „იქნება „დერთუჴა“ იყოს დამახინჯებული „დევთუბან–ი“? ჯუარის მონასტრის აღაპებში მოხსენიებულია „მარინა დევთუბნელი“ (№274); შეუძლებელი არაა, რომ ქართველებს პალესტინის ერთ-ერთი პუნქტისათვის ეწოდებიათ ქართული სახელი „დევთუბანი“, თუ ეს უკანასკნელი მართლა ამ პუნქტის მონასტერს გულისხმობს“.[3]

**ახალი ცნობები „დევთუბნის“ შესახებ.**

დევთუბნის შესახებ ახალ, დამატებით ცნობებს გვაწვდის 2 იერუსალიმურ ხელნაწერში (Jer. Georg. 62 და Jer. Georg. 65) დაცული დღემდე უცნობი მინაწერები.

1) ხელნაწერი Jer. Georg. 65 - პარაკლიტონი.[4]

ხელნაწერის პირველი ფურცელი, რომელზედაც მრავალი საყურადღებო მინაწერი არის დაცული, ჩვენი ვარაუდით, გვიან უნდა იყოს ჩაკერებული ნუსხაში –იგი დაუნომრავია, ათვლა იწყება ხელნაწერის მეორე ფურცლიდან, რომელიც, ხელნაწერში არსებული პაგინაციის თანახმად, ხელნაწერის პირველ გვერდს წარმოადგენს.

ნუსხის პირველი ფურცლის r-ზე დაცულია ანდერძი დუდა აბაზაისძე ტბელის ასულისა, რომელიც იერუსალიმის დერტავის მონასტერს შეეხება, v-ზე კი, სხვა მინაწერებს შორის, წარმოდგენილია ჩვენთვის საინტერესო ერთი მინაწერიც, რომელშიც დევთუბნის ხსენებას ვხვდებით: „ქ. დევთუბნური არა არის ესე პარაკლიტონი. ჯუარმან პატიოსანმან იცოდით“ (XIII-XIV სს-ის ნუსხურით).

ამავე გვერდზე, აღნიშნული მინაწერის ცოტა ზევით, იმავე ხელითა და მელნით არის შესრულებული კიდევ ერთიც: „ქ. დიონოსეს, მოძღუარსა ჯუარისასა შეუნდოს ღმერთმან. ამ“ (ნუსხურით). ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცნობა დევთუბნის შესახებ დიონოსე ჯვრის მოძღვარს უნდა ეკუთვნოდეს.

დამოწმებული ანდერძი წარმოადგენს ერთადერთ ჩვენთვის ცნობილ წყაროს დიონოსე ჯვარის მოძღვრის შესახებ. ეს პირი არ ჩანს არც იერუსალიმურ აღაპებში და არც იერუსალიმური ხელნაწერების ჩვენთვის ცნობილ კოლოფონებში; თუმცა კი მისი სტატუსი

---

[1] ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, 104 (აღაპი № 278).
[2] იქვე, 174.
[3] კ. კეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები საშუალო საუკუნეთა მახლობელ აღმოსავლეთში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957, 214, შენ. 2.
[4] R. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque patriarcale grecque à Jérusalem, Revue de l'Orient Chrétien, 3-e série, t. IV (XXIV), 1924, N 3 et 4, 400. რ. ბლეიკი ხელნაწერს ათარიღებს XIII-XV საუკუნეებით.

(„მოძღვარი“) უნდა მიგვითითებდეს, რომ მოყვანილი ცნობის ავტორი ჯვრის მონასტრის საკრებულოს ავტორიტეტული პირი უნდა ყოფილიყო.[5]

2) ხელნაწერი Jer. Georg. 62 - იეღისისა და აგვისტოს თვენი[6]

ამ ხელნაწერის 174 ვ-ზე მოთავსებულია მინაწერი: „ესე წიგნი დვითუბნური არს. აღდგომელს მახარებელს და მისთ(ა) მშობელთა შეუნდოს დმერთმან. ამინ“ (ნუსხურით).

მინაწერის ავტორი, აღდგომელი მახარებელი (XIV-XV ს.ს.) საკმაოდ ცნობილი პირია - მისი სახელი ხშირად გვხვდება იერუსალიმური ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებში; მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა ერთი ანდერძი, რომელიც დაცულია ე.წ. გოლგოთის სვინაქსარში (ხელნაწერი H 1661). ამ მრავალმხრივ საყურადღებო წყაროს საფუძველზე აღდგომელი მახარებლის მოღვაწეობის ხანად უნდა მივიჩნიოთ XIV ს-ის მიწურული – XV ს-ის დასაწყისი.[7]

ორივე ხელნაწერის (Jer 65; Jer. 62) მინაწერები გვაფიქრებინებს, რომ დვითუბანი უნდა ყოფილიყო მონასტერი, სადაც ინახებოდა ქართულ ხელნაწერთა გარკვეული კოლექცია (წიგნსაცავი) და რომ დვითუბნის კუთვნილი ხელნაწერებით სარგებლობდნენ იერუსალიმის სხვა მონასტრებსა თუ წმინდა ადგილებზე (კერძოდ, იერუსალიმის ჯვრის მონასტერსა და გოლგოთაზე) მოღვაწე ქართველი სასულიერო პირებიც.[8] ეს არ იყო უჩვეულო მოვლენა – ქართულ ხელნაწერთა კოლეოფონებიდან კარგად არის ცნობილი, რა ფართო ხასიათი ჰქონდა ხელნაწერების თხოვებას ერთი მონასტრიდან მეორეში მათი გადაწერისა თუ წაკითხვის მიზნით.

ამ საყოველთაოდ გავრცელებული პრაქტიკის შესახებ მასალას გვაწვდიან იერუსალიმის მონასტრების კუთვნილი ხელნაწერების კოლოფონებიც. ასე მაგალითად, ერთ-ერთ ხელნაწერში, რომელიც თავის დროზე კაპათის მონასტრის საკუთრებას წარმოადგენდა, ვხვდებით ვინმე გიორგის ანდერძს (XIII ს.), რომელიც გვამცნობს, რომ აღნიშნული ნუსხა მას (გიორგის) შეუძენია იერუსალიმში ერთი სპარსელი კაცისაგან ქალაქის ხვარაზმელთაგან გათავისუფლების შემდეგ და დაუბრუნებია იგი თავდაპირველი შენახვის ადგილზე – კაპათას (კაპკათას) მონასტერში. ამისდა მიუხედავად, გიორგი ანდერძის ბოლოს მოთავსებული მოსახსენებელი ფრაზის დასაწყისში ჩამოთვლის ყველა ადგილს, სადაც შეიძლებოდა ყოფილიყო გადატანილი ეს ტყვეობიდან გამოსყიდული ნუსხა (საფიქრებელია, რომ მისთვის კარგად იყო ცნობილი ხელნაწერების „მოგზაურობის“ ჩვენს მიერ აღნიშნული პრაქტიკა): „...აწ გინათუ კაპკათს შინა, გინა გარეთ შუშთა შინა, ანუ თუ ჯუარსავე შინა იყუნენ, ვინცა მიემოხუენით და იმსახუროთ... “ (მოსახსენებლის ტექსტის დასასრული დეფექტურია –თ.ც.).[9]

დღესდღეობით სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის კუთვნილ ერთ კრებულში (Sin. 91), რომელიც გადაწერილი ყოფილა იერუსალიმის კაპათას მონასტერში იოვანე ანჭიელის დისწულის, ოქროპირის (XIV ს.) მიერ, დაცულია გადამწერის ცნობა, რომ ეს აგიოგრაფიული კრებული მას (ოქროპირს) შეუდგენია სხვადასხვა მონასტრებიდან ნათხოვი რამდენიმე ხელნაწერის საფუძველზე: „წმიდანო მამაო და ძმანო, დიდად გული მელმის და მტკივის, რომელ წინაუმძოდ ა არა მიწყებით სწერია ესე საკითხავები და მიზეზი ესე არს: ოთხისა თუ ხუთისა დედნისაგან ვწერდი, ნათხოვისა სხუსა და სხუსა

---

[5] ქართული სამონასტრო კოლონების ისტორიის ცნობილი მკვლევრის, ე. მეტრეველის, სიტყვებით, „მოძღვარი სამონასტრო საკრებულოში არის სულიერი მამა და ყველაზე პატივცემული და განსწავლული მწიგნობარი, ხშირად სულიერი ცხოვრების წარმმართველი, რომელიც ზრუნავს ძმობის სულიერ აღზრდა-განსწავლაზე და რომელსაც ჰკუის მოწაფეები – „სულიერი შვილნი“ (ე. მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტრის საადაე წიგნი, თბ., 1998, 103). ამავე ნაშრომში, უფრო ქვემოთ, ე. მეტრეველი შენიშნავს, რომ „ეს სტატუსი (მოძღვრის სტატუსი – თ.ც.) გულისხმობდა მონასტრის დიდად დამსახურებულ, განსწავლულ და განსაკუთრებული ავტორიტეტის მქონე პიროვნებას, რომელსაც ხელმწიფებოდა ძმობის წევრთა დამოძღვრა და განსწავლა“ (იქვე, 260).

[6] R. Blake, დასახ. ნაშრ., 397-398. ვფიქრობთ, ხელნაწერის ზედაპირული დათარიღება (XVII ს.) ზუსტი არ არის - ხელნაწერში დაცული ნივთების საინტერესო მინაწერი, რომლის ტექსტსაც ქვემოთ მოვიყვანთ, XIV-XV სს-ით უნდა დათარიღდეს.

[7] გოლგოთის სვინაქსარში დაცული აღდგომელი მახარებლის ანდერძი თარიღდება 1401-1407 წლებით (იხ. ე. მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XV-B, თბ., 1948, 42. ანდერძის ტექსტი იხ. იქვე, 41).

[8] მინაწერებისა და აღაპის ტექსტებზე დაყრდნობით დვითუბნის დედათა მონასტრის არსებობის ხანად XIII-XVსს. უნდა მივიჩნიოთ.

[9] А. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае, Православный Палестинский Сборник, IV, 1 (1888), Приложение, I, 168 (ხელნაწერი № 77). ბლეიკის კატალოგით, ესაა ხელნაწერი № 67 (იხ. R. Blake, დასახ. ნაშრ., 401).

მონასტრისაგან და ჯამსა თუსსა ვერ ვიპოვნი დედაჲ...“.[10] სწორედ ამ პრაქტიკის ამსახველი დამატებით წყაროებად უნდა იქნას მიჩნეული Jer 65-ისა და Jer 62-ის ჩვენს მიერ მოყვანილი მინაწერებიც.

ცხადია, აქვე დგება დევთუბნის მონასტრის ლოკალიზაციის საკითხიც. არის თუ არა შესაძლებელი გავარკვიოთ, სად მდებარეობდა ეს მონასტერი, რას გვაძლევს ამ თვალსაზრისით Jer 65-სა და Jer 62-ში დაცული მინაწერები ?

ვფიქრობთ, აღნიშნულ მინაწერთა ტექსტები არაპირდაპირ გვიდასტურებს, რომ დევთუბანი წმინდა მიწაზე, უფრო ზუსტად კი იერუსალიმში (ან მის შემოგარენში) მდებარე მონასტერი უნდა ყოფილიყო; ამასთან, მარინა დევთუბნელის ზემოთ დამოწმებული აღაპის საფუძველზე შეგვიძლია დავაზუსტოთ, რომ დევთუბანი წარმოადგენდა დედათა მონასტერს, სადაც ხსენებათან ერთად მოღვაწეობდნენ ქართველი დედებიც.[11]

ამ თვალსაზრისის (დევთუბანი მდებარეობდა იერუსალიმში ან მის შემოგარენში) გამოძიმის საშუალებას გვაძლევს შემდეგი: ორივე მინაწერის მიზანს წარმოადგენს ხელნაწერთა მესაკუთრის დადგენა ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა შესაძლო პრეტენზიის თავიდან ასაცილებლად - დიონოსე ჯვარის მოძღვრის მინაწერის თანახმად, ხელნაწერი Jer. 65 არ წარმოადგენს დევთუბნის კუთვნილებას, აღდგომელი მახარებელის ანდერძი კი, პირიქით, ადასტურებს, რომ ხელნაწერ Jer 62-ის მესაკუთრე დევთუბანი იყო. ამდენად, როგორც უკვე აღინიშნა, ირკვევა, რომ დევთუბნის კუთვნილი ხელნაწერებით სარგებლობდენ იერუსალიმის სხვა მონასტრებში მცხოვრები ქართველი ბერ-მონაზვნები (აღდგომელი მახარებელის ანდერძი); თავის მხრივ, ჩანს, რომ დევთუბნის მკვიდრნიც აქტიურად იყენებდნენ სხვა სავანეთა კუთვნილ ქართულ ხელნაწერებს (დიონოსე ჯვარის მოძღვრის ანდერძი).

საზოგადოდ, ხელნაწერებში საკმაოდ ხშირად ვხვდებით მითითებებს იმის შესახებ, თუ რა ადგილიდან, რომელი მონასტრიდან იყო ესა თუ ეს ნუსხა წამოღებული თუ შეწირული; ამასთან, ხელნაწერის ადრინდელი ადგილსამყოფელი ზოგჯერ ძალიან დიდი მანძილით იყო დაცილებული მისი შენახვის (თუ შეწირვის) ახალ ადგილს. ჩვენს მიერ მოყვანილი ორივე ანდერძი კი ცხადყოფს, რომ, ერთი მხრივ, დევთუბანსა და, მეორე მხრივ, იერუსალიმის ჯვრის მონასტერსა და აღდგომის ეკლესიაში მოღვაწე პირებს თანაბრად მიუწვდებოდათ ხელი ამ მონასტერთა წიგნსაცავებში დაცულ ხელნაწერებზე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა დიონოსე მოძღვრის მინაწერი. მისი ტექსტი საშუალებას იძლევა დავასკვნათ – ხელნაწერთა გაცვლა-გამოცვლას იმდენად ინტენსიური ხასიათი ჰქონდა, რომ ზოგ შემთხვევაში გარკვეული ცილობის თუ პრეტენზიების მიზეზიც შეიძლებოდა გამხდარიყო. ამაზე მიგვითითებს დიონოსეს გაფრთხილება – იცოდეს ჯვარმა პატიოსანმაო (ანუ ჯვრის მონასტრის საკრებულომ – თ.ც.). ასეთი მჭიდრო კონტაქტები კი, ჩვენი აზრით, შეუძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ეს მონასტრები სხვადასხვა რეგიონში (სხვადასხვა ქვეყნებში) იქნებოდნენ განლაგებულნი.

Jer 65-სა და Jer 62-ში დაცული მინაწერების ჩვენეული ვარიანტით დამატებით არგუმენტს გვაწვდის კ. კეკელიძის მიერ ადრე გამოთქმული ვარაუდის სასარგებლოდ, რომლის თანახმადაც დევთუბანი პალესტინაში მდებარე ერთ-ერთი მონასტერი უნდა ყოფილიყო. თავისთავად საინტერესოდ გვეჩვენება ისიც, რომ დევთუბნის სახით საქმე უნდა გვქონდეს ქართულ ნიადაგზე წარმოქმნილ ტოპონიმთან, რომელიც პალესტინაში მდებარე სამნასტრო კერას აღნიშნავდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ სახელით ქართველები მოიხსენიებდნენ იერუსალიმში ან მის შემოგარენში მდებარე რომელიღაც ადგილს, სადაც მდებარეობდა აღნიშნული სავანე.

ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით კ. კეკელიძისეულ ჰიპოთეზაზე დევთუბნისა და დერთუფას იგივეობის შესახებ. ვფიქრობთ, რაიმე დამატებითი ცნობის (წყაროს) გარეშე შეუძლებელია მისი როგორც გაზიარება, ასევე უარყოფა. საკითხი იმის შესახებ, ეს სახელი („დევთუბანი“) პალესტინაში მდებარე, ჩვენთვის სხვა სახელით ცნობილ მონასტერს, მაგ.

---

[10] G. Garitte, Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinaï, Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, vol. 165, Subsidia, t. 9, Louvain, 1956, 280. ეს ანდერძი გამოქვეყნებული აქვს ა. ცაგარელაც. იხ. А. Цагарели. დასახ. ნაშრ., 216 (ხელნაწერი № 49).

[11] ჩვენთვის ცნობილი არცერთი წყარო (მარინა დევთუბნელის აღაპი და Jer 65-სა და Jer 62-ის მინაწერები) არ მოიხსენიებს დევთუბანს, როგორც ქართულ სავანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დერთუფას, მიემართება თუ XIII-XV სს-ში არსებულ რომელიმე სხვა პალესტინურ სავანეს, ჯერჯერობით ღიად უნდა დარჩეს. სწორედ ამის გამო ვარჩიეთ, რომ წინამდებარე პუბლიკაციის სათაური შეკითხვის სახით ყოფილიყო წარმოდგენილი.

T. TSERADZE

## DEVTUBANI – AN UNKNOWN CULTURAL SEAT OF GEORGIANS IN THE HOLY LAND?

SUMMARY

Devtubabani ( which means "Fairy Goliafs' Area" ) and some manuscripts of Devtubani are mentioned in the 13th-15th cc. colophones in two Georgian manuscripts ( Jer. Georg. 65; Jer. Georg. 62 ) of the library of Greek Orthodox Patriarchate in Jerusalem. Basing on these colophones we think that "Devtubani" might imply a monastery within the boundaries of Jerusalem where Georgian monks used to live and where a number of Georgian manuscripts' collection ( depository ) were kept. Unfortunately, the colophones do not provide enough information for precise localizing of "Devtubani".

These colophones provide evidence that the manuscripts of Devtubani were in use in other monasteries and holy places in Jerusalem ( namely, in the monastery of Cross in Jerusalem, in Golgotha ) by Georgian clergy.

It is interesting that "Devtubani" seems to be a placename of Georgian origin. This makes us think that the representatives of Georgian colony in Jerusalem used to adopt Georgian placenames to denote some places in Jerusalem ( or its surroundings ).

According one 14th c. memorial note of Jerusalem memorial book ( Jer. Georg. 24-25 ) which has preserved the name of Marina of Devtubani we can conclude, that Devtubani monastery was a nunnery.
The colophones of Jer. Georg. 65 and Jer. Georg. 62 have not been published before.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბა ქაჯაია

# საქართველოს ბერძნული ფრესკული წარწერების ლიტერატურული წყაროები

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ ორი ყველაზე დიდი მეუდაბნოის ექვთიმე დიდისა და საბა განწმენდილის ფრესკულ წარწერებს, რომლებიც შედგენილია რედაქტორთა მიერ წმინდა მამების ბიოგრაფიების მნიშვნელოვანი ეპიზოდების გადამუშავების საფუძველზე. ფილოლოგიურმა ძიებამ დაადასტურა, რომ აღნიშნული მეთოდის გამოყენება ეჭვს არ იწვევს, მაგრამ წარწერათა ტექსტების ამ პრინციპით შედგენა ძალიან ართულებს მათი ფესვების მოძიებასა და კვლევას.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ექვთიმე დიდის სახელით ცნობილი ერთ-ერთი ფრესკული წარწერა, რომელიც დაცულია ალვანის ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთის სვეტის წახნაგზე, ქვემო რეგისტრში. ფრესკაზე გამოსახულ ექვთიმეს ხელში უჭირავს გრაგნილი ექვსტრიქონიანი ბერძნული წარწერით:

ο[ἱ] διὰ πέρας ἔθελον τὴν νότι[ο]ν. θάλασ[σ]αν μακρόθυμ[οι], [καὶ] ταπεινόφρον[ες] ..

... რომელთა სურდათ წიაღსვლა სამხრეთის ზღვასა, სულგრძელნი და მომთმენნი (უნდა იყვნენ?)[1]

ეს წარწერა, ჩვენი აზრით, წარმოადგენს გამოძახილს ექვთიმე დიდის ბიოგრაფიის იმ ეპიზოდისა, რომელიც საბა განწმენდილის ცხოვრების კიმენურ რედაქციაშია შემონახული. სრულად მოგვყავს აღნიშნული ფრაგმენტის ბერძნულ-ქართული ტექსტი საბას ცხოვრებიდან:

*ἐξῆλθεν δέ ποτε ὁ μέγας Εὐθύμιος ἐκ τοῦ Ῥουβᾶ τὴν ἔρημον διοδεῦσαι βουλόμενος τὴν ἐπέκεινα τῆς νεκρᾶς θαλάσσης πρὸς μεσημβρίαν ἑπομένους ἔχων Δομετιανὸν καὶ Σάβαν. καὶ ἐλθόντων αὐτῶν εἰς τόπους ἀνύδρους καὶ χρονισάντων σφοδροῦ καύσωνος ὄντος διψήσας λίαν ὁ μακάριος Σάβας ἔπεσεν μηκέτι ἰσχύων βαδίσαι τῆς ἐν τῶι βάθει τῶν σπλάγχνων, ὡς οἶμαι, ὑγρότητος ὑπὸ τοῦ σφοδροῦ καύσωνος ἀναλωθείσης. ὁ δὲ γέρων σπλαγχνισθεὶς καὶ διαχωρίσας ἑαυτὸν ὡσεὶ λίθου βολὴν ἔπεσεν ἐπὶ πρόσωπον δεόμενος τοῦ θεοῦ καὶ λέγων· κύριε ὁ θεός, δὸς ὕδωρ ἐν γῆι διψώσηι τὴν τοῦ νεωτέρου δίψαν παραμυθούμενον. καὶ μετὰ τὴν εὐχὴν καλέσας αὐτὸν καὶ τρίτον τῶι σκαλιδίωι ὀρύξας ἔδειξεν αὐτῶι ὕδωρ ζῶν καὶ πιὼν ὁ Σάβας ἦλθεν εἰς ἑαυτὸν καὶ ἐξ ἐκείνου δύναμιν θείαν ἐδέξατο πρὸς τὸ ὑποφέρειν τὰ δυσχερῆ τῆς ἐν ἐρήμωι διαγωγῆς.*[2]

„განვიდა ოდესმე ადგილით რუბაჲთ დიდი ევთჳმი, რაჲთამცა განვლო უდაბნოჲ, რომელ არს წიაღზღუამკუდარსა სამხრით და თანა-ჰყვანდეს დომენტიანოს და საბა. და მიიწივნეს ესენი ადგილთა ურწყულთა და დაყვეს ჟამი რაოდენიმე. და დიდისა მის სიცხისაგან ფრიად მოეწყურა ნეტარსა საბას და დავარდა დიდითა მით სიცხითა და ვერ ძალ-ედვა სლვად და აღესრულებოდა იგი მძაფრითა მით სიცხითა. ხოლო ბერს შეეწყალა იგი და განეშორვა მათგან ვითარ ქვისატყორცებელ ოდენ და დავარდა პირსა ზედა თჳსსა,

[1] თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, II, აღმოსავლეთ საქართველო, გვ. 319.

[2] Ed. Schwartz, Kyrillos von Skythopolis, Texte und Untersuchungen 49, 2 (Leipzig, 1939), გვ. 94-95.

ევედრებოდა ღმერთსა და თქუა: უფალო ღმერთო, მოეც წყალი ადგილსა ამას ურწყულსა და განუქარვე ჭაბუკსა ამას წყურილი.

და შემდგომად ლოცვისა მოუწოდა და სამჯერ დასცა სკალიდი და აღმოეცენა ადგილსა მას წყალი ცხოველი. და ასუა მისგანი საბას, და მოეგო თუსსავე გონებასა. და მისგან მოიღო ღმრთის მიერ ძალი, რაჲთა დაუთმოს სიმძიმესა უდაბნოსასა"[3].

საბას ბიოგრაფია მოწმობს, რომ ახალგაზრდული ასაკის გამო, წმინდა ექვთიმემ მას თავის ლავრაში მიღებაზე უარი უთხრა და სამოღვაწეოდ თუოქტოსტესთან გააგზავნა აკადემელ-დაბრში. მიუხედავად ამ ფაქტისა, საბა ყოველთვის სარგებლობდა ექვთიმეს კეთილგანწყობით და მათი ერთობლივი მოგზაურობაც სწორედ ამას ადასტურებს.

ამგვარად, რუბიდან წამოსულმა ექვთიმემ საბასა და დომენტისთან ერთად განვლო უდაბნო, რომელიც მკვდარი ზღვის გაღმა, სამხრეთით მდებარეობს. ახალგაზრდა საბამ ვერ გაუძლო უდაბნოს სიცხესა და წყურვილს, და რომ არა ექვთიმე, რომელმაც სასწაულებრივად მოიპოვა უდაბნოში წყალი, ახალგაზრდა ასკეტს გარდაუვალი დაღუპვა ელოდა.

ექვთიმეს მიერ მოსეს მსგავსად უდაბნოში წყლის მოპოვება სასწაულად ითვლებოდა. ადგილ წარმოსადგენია, როგორ ზეგავლენას ახდენდა აღნიშნული ფაქტი მწიგნობარი მამების წარმოსახვაზე. მათ გადაამუშავეს ეს ვრცელი ბიოგრაფიული დეტალი. მისცეს მას ლაკონური ფორმა და დიდაქტიკური შინაარსი.

ექვთიმეს გრაგნილზე მოთავსებული ეს მდუმარე ქადაგება ალვანის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიაში საუკუნეთა მანძილზე შეახსენებდა მრეველ უდაბნოში მომხდარ სასწაულს.

ამავე მეთოდით არის შედგენილი საბა განწმენდილის ყველა წარწერა. განვიხილავთ თითოეულ მათგანს: ხობის ღვთისმშობლის ტაძრის საკურთხევლის სარკმელებს შორის ორი გამოსახულებიდან ერთ-ერთი საბაა, რომელსაც ხელში უჭირავს გრაგნილი ოთხსტრიქონიანი ბერძნული წარწერით: τείχισον τὸ κελλίον σου – ააგე სენაკი შენი[4]. საბას ბიოგრაფია მოწმობს, რომ ის იყო არა მარტო სახელგანჯმული ასკეტი, არამედ უდიდესი ქტიტორიც. ასკეტური ცხოვრების მსურველთ ის სენაკებს აძლევდა თავის ლავრაში. ხოლო იმ პირებს, რომელთაც ჰქონდათ ამის შესაძლებლობა, მოუწოდებდა საკუთარი ხარჯით აეგოთ თავისი სენაკები.

მოგვყავს შესაბამისი ბერძნულ-ქართული ტექსტები საბას ცხოვრებიდან:

> *τὸν γὰρ τοιοῦτον μονότροπον οἶδα τὴν γραφὴν ὀνομάζουσαν ἐν τῶι λέγειν κύριος κατοικίζει μονοτρόπους ἐν οἴκωι. | ὅτε δὲ ἐδοκίμαζεν τοὺς ἀποταξαμένους τόν τε τῆς ψαλμωιδίας κανόνα ἀκριβῶς μεμαθηκότας καὶ ἱκανοὺς γεγονότας τὸν ἑαυτῶν νοῦν τηρεῖν καὶ καθαριεύειν τῆς τῶν κοσμικῶν μνήμης τὴν διάνοιαν καὶ πρὸς τοὺς ἀλλοτρίους λογισμοὺς ἀνταγωνίζεσθαι, τότε παρεῖχεν αὐτοῖς κελλία εἰς τὴν λαύραν· εἰ δὲ εἶεν δυνατοί, ἐπέτρεπεν αὐτοῖς οἰκοδομῆσαι διαβεβαιούμενος καὶ λέγων ὅτι ὅστις ἐν τῶι τόπωι τούτωι κτίσει κελλίον ἢ ἐπικτίσει, οὗτος ἐστὶν ὡς ἐκκλησίαν θεοῦ κτίζων.*

[5]

„ესეგითართა მარტოდმყოფთათჳს ეიცი წერილისაჲ, ვითარ აჴსენებს, რამეთუ იტყჳს: „უფალმან დაამკჳდრის მარტოდმყოფი სახლსა“ (ფს. 67,7). და ოდეს გამოსცდის ახლად მონაზონთა, თუ ჴეშმარიტად უსწავიენ ფსალმონისა კანონი და უკუეთუ შემძლებელ არნ იგი დაცვად გონებისა თჳსისა და თუ განწმენდილ არნ იგი გონებისაგან ერისკაცობისა საქმეთა და გულისწრახვათა და წინააღმდგომ თუ არნ სამაგელთა გულისთქუმათა მტერისათა. და ოდეს ამით ყოველითა გამოიცადის, მაშინ მისცის მას სენაკი ლავრასა შინა. და თუ ვინმე შემძლებელცა არნ შშნებად სენაკისა. **უბრძანის მას შშნებაჲ.** დამტკიცებულად თქუს,

---

[3] მამათა ცხორებანი (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვ. თბილაშვილმა, თბ., 1975, გვ. 61-62.

[4] თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, I, გვ. 114.

[5] იხ. შვარცის გამოცემა. გვ. 113.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარმედ: უკუეთუ ვინმე ადგილსა ამას აღაშჱნოს სენაკი, ეგრე არს, ვითარცა ეკლესიაჲ ღმრთისაჲ აღაშჱნა."[6]

საბას ცნობილი წარწერა ჩვენს მიერ საბას ცხოვრებიდან მოყვანილ ფრაგმენტს ეფუძნება.

– აგე სენაკი შენი – ასე მიმართავდა ყველაზე სახელგანთქმული ქტიტორი თავის სულიერ ძმებს და სენაკების აშენებისაკენ მოუწოდებდა.

გრემის მთავარანგელოზის ეკლესიის (XVI ს.) იმ თაღზე, რომელიც აერთებს სამხრეთის კედელს სვეტებთან, კუთხეში, დასავლეთ მონაკვეთზე პირით სამხრეთის კედლისაკენ, მთელი ტანით გამოსახულია საბა. მის გრაგნილზე (ნაცრისფერ ფონზე შავი ასოებით) იკითხება 6 სტრიქონიანი ბერძნული წარწერა.

τ<ρ>υφῶν μαραίνει τὸ δροσῶδες τ[ῶν] φύλ[λ]ων, τῦφος δὲ (τεφροῖ τῆς ψυχῆς τὴν λαμπάδα) – სიცხე აშრობს ფოთოლთა ნესტიანობას, ხოლო სიამაყე აქრობს სულის ლამპარს[7].

ამ წარწერის წყაროსაც საბა განწმენდილის ცხოვრება წარმოადგენს. ტექსტის აღნიშნულ მონაკვეთში მოთხრობილია ურჩი ბერის იაკობის ისტორია. მან ისარგებლა ლავრაში საბას არყოფნით და ბერებთან ერთად საბას ნებართვის გარეშე აღაშენა მცირე „ევკტერი" (სამლოცველო) და სენაკები. დაბრუნებულმა საბამ ურჩი ბერი შერისხა და უთხრა:

... πλὴν ἄκουε
*τί ὁ προφήτης συμβουλεύει τοῖς δι' ἀπειρίαν ἢ ἀπόνοιαν ἐγχειροῦσιν τοῖς ὑπὲρ ἀξίαν καὶ δύναμιν· συγκόψατε τὰ ἄροτρα ὑμῶν εἰς ῥομφαίας καὶ τὰ δρέπανα ὑμῶν εἰς σειρομάστας· τί γὰρ ὄφελος γεωργίας πολέμου τὴν γῆν κατέχοντος;*

„ხოლო ისმინე წინაწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყჳს უმეცართა და ამპარტავანთათჳს, რომელნი ჰყოფენ უფროჲს პატივისა და ძალისა მათისა, და თქუა: დაჭრენით საჴნისნი თქუენნი მახჳლად და მანგალნი თქუენნი ლახურად. ანუ რაჲ სარგებელ არს მუშაკისა მის, უკუეთუმცა ბრძოლით ქუეყანაჲ ეპყრა?"[9]

ამ ფრესკული წარწერის წყაროს ძიების სფერო თავად აგიოგრაფიულმა ტექსტმა შემოგვიფარგლა. როდესაც ცხოვრების ავტორი ციტატის პირველ ნაწილში ამპარტავნებასა და უმეცრებაზე საუბრობს, ერთ-ერთი წინასწარმეტყველის ავტორიტეტს ეყრდნობა. ტექსტის მომდევნო ნაწილი მოწმობს, რომ ამავე წინასწარმეტყველს უნდა ეკუთვნოდეს შემდეგი გამონათქვამი: „დაჭრენით საჴნისნი თქუენნი მახჳლად და მანგალნი თქუენნი ლახურად. ანუ რაჲ სარგებელ არს მუშაკისა მის, უკუეთუმცა ბრძოლით ქუეყანაჲ ეპყრა"?

რადგან აღნიშნული ციტატა წარმოადგენს ესაიას წინასწარმეტყველების ერთ-ერთი მუხლის (2, 4) პარაფრაზს[10], შესაბამისად უმეცართა და ამპარტავანთა დახასიათებაც მისსავე წინასწარმეტყველებაში აღმოჩნდა:

„ამისთჳს ამათ იტყჳს მეუფჱ, უფალი საბაოთ ძლიერი ისრაჱლისა: ვაჲ ძლიერთა ისრაჱლისათა, რამეთუ არ დასცხრეს გულისწყრომაჲ ჩემი წინააღმდგომთა შორის, და მძჳავრი მტერთა ჩემთაგან ვყო (1, 24) და მოვაწიო ჴელი ჩემი შენ ზედა და გამოგაჴურვო შენ სიწმიდედ, ხოლო ურსმნი წარვწყმიდნე და მოვსპნე ყოველნი უშჯულონი შენგან და ყოველნი **ამპარტავანნი** (1, 25), რამეთუ იყვნენ ვითარცა ბელეკონნი განმჴმელნი ფურცელთანი, და ვითარცა სამოთხე არმქონებელი წყლისაჲ" (1. 30).

მოგვყავს 30-ე მუხლის ახალი ქართული თარგმანიც: „რადგან ფოთოლდაცვენილ ბელეკონად და ურწყავ ბაღად იქცევით". ესაიას აღნიშნული მუხლი არ არის ერთადერთი, სადაც ამპარტავნება უფოთლო, გამხმარ ხესთან არის შედარებული.

[6] მამათა ცხორებანი, გვ. 73.
[7] თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, II, გვ. 326.
[8] იხ. შვარცის გამოცემა, გვ. 129.
[9] მამათა ცხორებანი, გვ. 83.
[10] ცდება ბერძნული ტექსტის გამომცემელი ე. შვარცი, რომელიც აღნიშნულ ციტატას მცირე წინასწარმეტყველ იოველს მიაწერს.

ისო ზირაქის წინასწარმეტყველებაში ვკითხულობთ: „ნუ აღსევდები შენს ფიქრებში, ხარივით რომ არ დაიფლითოს შენი სული. შეჭამ შენს ფოთლებს და დაღუპავ ნაყოფსაც და დარჩები გამხმარ ხესავით“ (6, 2-3)[11].

ამგვარად, ტექსტიც ადასტურებს, რომ როდესაც აგიოგრაფი საბას აზრით ერთ-ერთ უმძიმეს ცოდვაზე, ამპარტავნებაზე, საუბრობს, აუცილებლად გულისხმობს ესაიას წინასწარმეტყველებას. იგი ამ შემთხვევაში მხოლოდ ზოგადი მინიშნებით კმაყოფილდება, რადგან ზემოაღნიშნული გამონათქვამი, როგორც სასულიერო, ისე საერო პირებისათვის ნაცნობი უნდა იყოს.

წარწერის ავტორი კი, ცხადია, მხოლოდ მინიშნებით ვერ შემოიფარგლება, რადგან ფრესკული წარწერა უნდა იყოს ნათელი, ლაკონიური და მეუდაბნოედ წოდებული წმინდა მამის გამონათქვამს უნდა ეყრდნობოდეს. ამიტომ იგი საბას მიერ ნაგულისხმევ ესაიას მუხლის თავისებურ ვარიანტს გვთავაზობს. ეს წარწერა ერთი მხრივ, ინარჩუნებს კავშირს ბიბლიურ ციტატასთან და მეორე მხრივ, აქვს სწავლების ფორმა, რაც მეუდაბნოეთა წარწერების ძირითად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს.

საბას ცხოვრების ერთ-ერთი ეპიზოდის გამოძახილს უნდა წარმოადგენდეს, აგრეთვე, მისი სახელით ცნობილი წარწერა ალვანის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიისა და მარტვილის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარში.

γαστρὸς κρατῶν κράτησον ἰσχύ[ι] πάσ[ῃ] – რომელიც სძლევ სტომაქს*, დაეუფლები ძალითა ყოველითა.[12]

ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდი აგიოგრაფიული ცხოვრების ავტორს შემდეგნაირად აქვს გადმოცემული: მას შემდეგ, რაც თეოდოსის მონასტრის მეჯოხეს, აზიელ აფროდისეს უნებლიედ ჯორი შემოაკედა, ქუზიბას წინამძღვარმა იოანე მეგვპტელმა იგი ცოდვების მოსანანიებლად საბა განწმენდილთან გააგზავნა. საბამ ცოდვილს მისცა სენაკი და უბრძანა:

*ὑστοίχησον τῶι κελλίωι σου καὶ ἄλλωι κελλίωι μὴ παραβάλῃς μηδὲ τῆς λαύρας ἐξέλθῃς καὶ ἐγκρατὴς γενοῦ γλώσσης καὶ κοιλίας καὶ σώιζῃ.*

[13]

„დაჯექ სენაკსა შინა შენსა და სხუსა სენაკსა ნუ შეხუალ, ნუცა ლავრით განხუალ და შეიკრძალე ენაჲ შენი და **მუცელი** და ამით სცხონდე“.[14]

ამ ფრაგმენტში ყველაზე კარგად იკვეთება საბას მორალური კრედო, მისი ქრისტიანული ფილოსოფია. თუ გავითვალისწინებთ ფრესკული წარწერების შექმნის პრინციპებს, ეს სენტენციებით მდიდარი ტექსტი არ შეიძლება არ იყოს საბას რომელიმე წარწერის წყარო. აფროდისეს ისტორიის გაგრძელება გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი მოსაზრება საფუძველმოკლებული არ არის.

ამგვარად, აფროდისემ საბას მცნებებით დაიწყო ცხოვრება, სათნოების გზაზე მან დაძლია ყველა დაბრკოლება და, რაც მთავარია, მან დაძლია საკუთარი სტომაქი.

აგიოგრაფი აგრძელებს, რომ აფროდისე თავის სენაკში პალმის ფოთლებისაგან ყოველ თვე წნავდა ოთხმოცდაათ კალათს და სასტუმროს გამგებელს, ქსენადოქარს, აბარებდა.

---

[11] ბიბლია, თარგმანი ზ. კიკნაძისა, თბ., 1989.

* შდრ. კორპუსის წაკითხვა: რომელი ძლევ კუჭს, დაეუფლები ძალითა ყოველითა. ტექსტი გასწორებულია გამომცემლის ნებართვით.

[12] თ. ჟაუჩიშვილი, საქართველოს ბერძული წარწერების კორპუსი, I, გვ. 130; II, გვ. 318-319.

[13] ვ. შვარცის გამოცემა, გვ. 134.

[14] მამათა ცხორებანი, გვ. 86.

*λαμβάνων δὲ βάια παρὰ τοῦ οἰκονόμου ἐνενήκοντα μαλάκια πεπληρωμένα καθ' ἕκαστον μῆνα παρεῖχεν τῶι ξενοδόχωι· τὰ δὲ περισσευόμενα ἐφητὰ εἴτε λάχανον εἴτε ὄσπριον εἴτε ψευδοτρόφιον, ταῦτα λαμβάνων ἀπετίθετο εἰς μίαν λεκάνην καὶ ἐκ τῆς λεκάνης ἐλάμβανεν καθ' ἡμέραν μικρὸν καὶ αὐτῶι ἠρκεῖτο. καὶ εἰ ὄζεσεν τὸ ἐν τῆι λεκάνηι ἢ σκώληκας ἐποίησεν, οὐκ ἔρριπτεν τοῦτο, ἀλλὰ μόνον προσετίθει τὰ περισσευόμενα ἐφητά. ὁ πάννυχος δὲ αὐτοῦ κλαυθμὸς οὐκ ἤφιεν τοὺς γείτονας ἀνεθῆναι.*

15

„და სხუაჲ ნამეტნავი რომელ ქმნის, მისცის იგი ქსენადოქარსა და მისგან მოიღის წვენი, გინა მხალი, გინა ოსპნი, გინა რომელიმე წუენი. ესე ყოველი შეკრიბის და ლაკნასა შთაასხის, რომელ-იგი დღითი-დღე მუაქუნ. ესე იყო საზრდელი მისი. გინა დაყროლდის, გინა მტლი დაესხის, არა დასთხიის იგი, არამედ ზედა ურთავნ სხუასა მას წუენსა“.[16]

აგიოგრაფი დასძენს, რომ აფროდისემ ასეთ ყოფაში ოცდაათი წელი გაატარა. „არასადა დასნეულდა, არცა მწუხარე იქმნა, არცა **სტომაქი** შეელმა“, არამედ ისეთ დიდებას ეზიარა, რომ ერთი კვირით ადრე „იხილა... აღსრულება თჳსი“.

მარხვა და საკვებისაგან თავის შეკავება დიდი ქრისტიანული სათნოებაა. ამიტომ აფროსიდეს ისტორია საბას ბიოგრაფიაში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული.

ჩვენი ვარაუდით, ალვანისა და მარტვილის წარწერები ამ ეპიზოდის მეტად თავისუფალ და ზოგად პარაფრაზს წარმოადგენს. იგი შთაგონებულია საბას ხმოვანნიშნული გამონათქვამით, რომელიც მისი ბიოგრაფიის მიხედვით ამ დიდი მოღვაწის ცხოვრების ძირითად წესს წარმოგვიდგენს და რომელიც არ შეიძლება დარჩენილიყო ამოფთეგმებისა და ფრესკულ წარწერათა ავტორების ყურადღების მიღმა.

ამავე პრინციპით უნდა იყოს აგებული საბას სახელით ცნობილი წარწერაც, რომელიც შესრულებულია ბობნევის იოანე მახარებლის სახელობის ეკლესიის დასავლეთ კედელზე ქვემო რეგისტრში:

ὅστις σῶμα ἐνίκησε οὗτο[ς φύσιν ἐνίκησεν]

„რომელმან დაძლია სხეული, მანვე დაძლია ბუნება“.[17]

საბას ბიოგრაფიის მიხედვით, წმინდანმა მონასტრის ბაღში მოწყვიტა ვაშლის ულამაზესი ნაყოფი, მაგრამ ჭამის წინ გაახსენდა, რომ ვაშლმა ადამს სამოთხე დააკარგვინა და „სიკეთილი სოფლად შემოვიდა“. საბამ „ჰხძლო ნებასა გულისასა“, ვაშლი მიწაზე დაგდო, ყუჩით გასრისა იგი და მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ახლოს არ გაჰკარებია ამ ნაყოფს.[18]

ამრიგად, ჩვენ მიერ ზემოჩამოთვლილი წარწერების წყაროს საბა განწმენდილის „ცხორება“ წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ეს წარწერები, ერთი შეხედვით, მეტისმეტად ზოგადია და თითქოს მხოლოდ დეკორის ფუნქციას ასრულებს, ლოგიკური მსჯელობისა და ფილოლოგიური ძიების საშუალებით დღესაც კი ხდება შესაძლებელი მათი საკარაუდო წყაროების მოძიება. მაშინ ძნელი წარმოსადგენი არ არის, რამდენად გასაგები და მისაღები იყო ეს ფრესკული წარწერები ადრეულ საუკუნეებში მრეველისათვის, რომელიც კარგად იცნობდა თავისი საყვარელი წმინდანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმნიშვნელო დეტალებსაც კი.

[15] იხ. ვ. შარაშის გამოცემა, გვ. 135.
[16] მაჩაბლის ცხორებანი, იქვე.
[17] ო. ჯანაშიშვილი, დასახ. ნაშრ. II, გვ. 202.
[18] მაჩაბლის ცხორებანი, გვ. 58 (უფრო მოკლედ არის გადმოცემული ეს ეპიზოდი ჩვენს ხელთ არსებულ ბერძნულ ტექსტში. იხ. ვ. შარაშის გამოცემა, გვ. 89).

ეროვნული ბიბლიოთეკა

Г. КАДЖАЯ

# ЛИТЕРАТУРНЫЕ ИСТОЧНИКИ ГРЕЧЕСКИХ ФРЕСКОВЫХ НАДПИСЕЙ ГРУЗИИ

РЕЗЮМЕ

Часть сохранившихся в грузинских церквях и монастырях фресковых надписей принадлежат пустынникам и носят поучительный характер.

Филологический анализ этих надписей принадлежащих св. Евфимию (336-473) и св. Савве (V), свидетельствует о том, что эти надписи заимствованы из основных эпизодов жизни и деятельности вышеуказанных святых.

Тексты, полученные путем сокращения и переработки этих эпизодов, соответствуют требованиям, предъявленным к фресковым надписям – они малого объема и содержат основные мотивы соответсвующих агиографических фрагментов.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაია მამაცაშვილი

# "ვეფხისტყაოსნის" ერთი ადგილის გასწორებისათვის

რუსთველის პოემაში კიდევ რჩება ადგილები, რომელთა გაგება და სწორი გააზრება საგანგებო კომენტარისა თუ გასწორების გარეშე ჭირს. მათი არსებობა ტექსტში მნიშვნელოვანწილად გადამწერთა არაკვალიფიციურობით და არაკომპეტენტურობითაა განპირობებული. განსაკუთრებით იმ წაკითხვათა აზრი რჩებოდა მათთვის გაუგებარი, რომელთა სწორად გააზრებისათვის აუცილებელი იყო აღმოსავლური ენების ცოდნა. ამიტომაც, ძალზე ხშირად, მათი ცოდნის შესაბამისად სწორდებოდა პოემის ე.წ. "გაუგებარი" ადგილები, რითაც, არცთუ იშვიათად, მახინჯდებოდა ტექსტის სწორი და მართებული წაკითხვები. ასე შესწორებული ადგილები შემდგომ ერთადერთ მართებულ ვარიანტებად ცხადდებოდა და საბოლოოდ მკვიდრდებოდა პოემის ტექსტში.

წინამდებარე წერილი სწორედ ამ გზით დამახინჯებული ერთ-ერთი წაკითხვის აღდგენის ცდას წარმოადგენს.

თავში "თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა მის ყმის საძებრად"[1], როგორც სათაურიდანვე ჩანს, მოთხრობილია თინათინის მიერ ავთანდილის უცხო ყმის, ანუ ტარიელის, საძებრად გაგზავნის ამბავი: "წადი, იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად" (131, 4). ამისთვის თინათინი სამ წელიწადს უწევსებს ავთანდილს:

"სამსა ძებნე წელიწადსა იგი შენი საძებარი" (133, 1)

როგორც ყმა და მიჯნური, ავთანდილი მზადაა სამსახურად. ამის შემდეგ კი ტექსტში ვკითხულობთ:

"კვლა შეჰფიცეს ერთმანეთსა, დააპირეს ესე პირი,
გასალდეს და გაამრავლეს საუბარი სიტყვა-ხშირი" (137, 1, 2)

ამას უშუალოდ მოსდევს სტროფი:

"ერთგან დასხდეს, ილაღობეს, საუბარი ასად აგეს" (138, 1)

ჩვენი ყურადღება მიიქცია ვარიანტმა: "გასალდეს და გაამრავლეს". ამ სახითაა იგი დამოწმებული პოემის ტექსტის ყველა გამოცემაში.

"ვეფხისტყაოსნის" ტექსტში დაკანონებული ეს წაკითხვა, ჩვენი ვარაუდით, გაუგებრობის შედეგი უნდა იყოს. არა გვგონია, რომ გამოცემათა ასეთი ერთსულოვნება იმის დასტური იყოს, რომ ტექსტში ყველაფერი რიგზეა.

დავიწყოთ იმით, რომ "გასალდეს და გაამრავლეს" სინონიმური წყვილია და მისი ორივე წევრი უკავშირდება (ყოველ შემთხვევაში, უნდა უკავშირდებოდეს) "საუბარი სიტყვა – ხშირს". მაგრამ ეს ასე არაა. "გასალდეს"-ის დაკავშირება "გაამრავლეს" ფორმასთან ჭირს როგორც გრამატიკულად, ისე შინაარსობრივად. გამომცემელთა აზრით, "გა-სალ-დ-ეს" წარმოადგენს დონიან ვნებითის ფორმას, მაშინ როდესაც "გა-ა-მრავლეს" მოქმედებითი გვარის ზმნაა. ამგვარად, ირღვევა სინონიმთა დაწყვილების რუსთველური პრინციპი. ვინც იცნობს რუსთველის მხატვრულ ხერხებს, მისთვის სრულიად აშკარაა, რომ სინონიმთა ამგვარი დაწყვილება (სხვადასხვა გრამატიკულ ფორმათა სინონიმურ წყვილებად წარმოდგენა) სრულიად უცხოა რუსთველისათვის. ამგვარი შეუსაბამობა სხვაგან არსად გვხვდება "ვეფხისტყაოსანში".

სინონიმური წყვილები პოემაში, თუ ისინი ზმნურია, ყოველთვის (გამონაკლისის გარეშე) ერთი და იმავე ზმნური ფორმით, პირით და რიცხვითაა წარმოდგენილი. საილუსტრაციოდ მოვიხმობთ რამდენიმე ნიმუშს: "დახოცეს და ამოწყვიდეს" (78, 2), "მიჰხოცდეს და მიისრვოდეს" (77, 2), "სტიროდეს და იჭირვოდეს" (198, 4), "მიტირე და მივაგლახე" (158, 4),. "შემხნდეს და შემოვედრე" (807, 4), "დაგწვნა და დაგდაგნა" (945, 3) და

[1] ტექსტს ყველგან "ვეფხისტყაოსნის" 1966 წლის გამოცემის მიხედვით ვიმოწმებთ.

სხვა. ზემოთდასახელებული წყვილები "და" კავშირიანი იყო. იგივე პრინციპი ხორციელდება "და" კავშირის გარეშე წარმოებულ სინონიმურ წყვილებშიც: "მეყვე გაწყრა, გაგულისწყა" (96, 1), "შემიხვეწა, შემიბრალა" (574, 3), "გაგულისდა, გაავცნობდა" (758, 1), "გაკიცხულა, გაბასრულა" (863, 4), "მოღორებულხართ, დამცთარხართ" (1192, 2), "მოიძულოს, მოიძაგოს" *(215, 4)* და ა.შ.

ახლა ვნახოთ, რასთან გვაქვს საქმე განსახილველ სინონიმურ წყვილში – "გასალდეს და გაამრავლეს". თუ დავუჯერებთ გამომცემელთ, "გა-სალ-დ-ეს" არის დონიანი ენებითის მესამე პირის ფორმა, წარმოდგენილი მხოლობით რიცხვში, ხოლო "გაამრავლეს" კი – მესამე პირის მოქმედებითი გვარის ზმნაა, მრავლობით რიცხვში მოცემული. გრამატიკული შეუსაბამობა სინონიმური წყვილისა აშკარაა.

როგორც ზემით აღვნიშნეთ, ამ წყვილში შინაარსობრივ შეუსაბამობასაც ვაწყდებით. რუსთველის მიხედვით, სინონიმური წყვილი შინაარსობრივადაც უნდა თანხვდებოდეს ერთმანეთს – "გასალდეს" უნდა შეეხატყვისებოდეს "გაამრავლეს", ანუ შინაარსობრივად მისი იდენტური უნდა იყოს. თუ "გაამრავლეს საუბარი სიტყვა-ხშირი" ეგუება კონტექსტს და შინაარსი სავსებით გასაგებია, ამას ვერ ვიტყვით "გასალდეს საუბარი სიტყვა-სხშირზე".

რას უნდა ნიშნავდეს სიტყვა "გა-სალ-დ-ეს" და როგორ ესმით იგი ტექსტის გამომცემელთ. გამოცემებზე დართულ ლექსიკონებში "გასალდეს" ვარიანტი განსამარტ ერთეულად ყველგან არაა გატანილი. პირველად იგი განმარტა ვახტანგ VI-მ თავის კომენტარებში – "სალ – მაგარს ჰქვიან"-ო, ე.ი. მან ამოსავლად "სალ" – მიიჩნია. ასე დაუკავშირდა "გასალდეს" ფორმა "სალ" სიტყვას და ლექსიკონშიც გატანილი იქნა "გასალება" ძირზე. "გასალება" კი განიმარტა, როგორც "გამაგრება, განმტკიცება". ასეთი განმარტების შედეგად "გასალდეს" დონიანი ფორმა სტროფის პირველ ტაეპს – "დააპირეს ესე პირი" ანუ პირობის განმტკიცებას დაუკავშირდა და არა "საუბარი სიტყვა-ხშირს". იუსტინე აბულაძე თავის ორივე გამოცემაში "გასალება" ძირზე ტრადიციულ განმარტებას: "სალად ქცევა, გამაგრებას" უმატებს ახალ ვარიანტს: "გათამამებას". ეს უკანასკნელი აშკარად კონტექსტს შეფარდებული განმარტებაა. ამით იუსტინე აბულაძე ცდება, "გასალდეს" ფორმა როგორმე დაკავშირებოდა "საუბარი სიტყვა-ხშირი"-ს.

აკ. შანიძემ, ჩანს, არ გაიზიარა მეცნიერის მიერ შემოთავაზებული განმარტება (გათამამება) და სიტყვა "გასალდეს" კვლავ "გასალება, გამაგრებას" დაუკავშირა. ასე დამკვიდრდა პოემის ტექსტში ე.წ. დონიანი ენებითის ფორმა "გასალდეს" ძველი განმარტებით.

მოგვაჩნია, რომ თუ მაინცდამაინც გასალება, გამაგრების შინაარსი უნდა ჩადებულიყო "გასალდეს" ვარიანტში, ალბათ, უპრიანი იქნებოდა მისი დაკავშირება არა "სალ" ფორმასთან, არამედ იმავე მნიშვნელობის მქონე სპარსულ "sald"-თან, რომელიც სპარსულად "მაგარს, ძლიერს, მკვრივს" ნიშნავს. სხვათაშორის, ეს ვარიანტი გრამატიკულ შეუსაბამობას მაინც მოხსნიდა, რადგან დონიანი ენებითის ფორმა "გა-სალ-დ-ეს" მოქმედებითი გვარის ზმნად ("გა-სალდ-ეს") იქცეოდა. მაგრამ, ჩვენი აზრით, აქ არც "სალ" უნდა იკითხებოდეს, და არც "სალდ".

გაუგებრობა, თითქოს, ხელნაწერთა ჩვენებებს უნდა მოეხსნა, მაგრამ ისინი ძალიან ჭრელ სურათს იძლევიან. ვარიანტთა ასეთი სიჭრელე და სიმრავლე იმაზე მიანიშნებს, რომ ტექსტი ამ ადგილას ძალზე ნაწვალებია. ჩანს, ეს წაკითხვა იმთავითვე გაუგებარი აღმოჩნდა გადამწერთათვის. მოგვაქვს "გასალდეს"-ის ხელნაწერებისეული ვარიანტები:

გასალდის და გაამრავლის – S – 235 (XIX)

გახალდეს და გაამრავლეს – H – 2074 (მე-17)

გახლდეს და გაამრავლეს – A-656 (XIX); A-1123 (XIX)

განხლდეს და გაამრავლეს – Q1075 (XIX); 733 (XIX); S-3447 (XIX)

გახარდეს და გაამრავლეს – A-530 (XIX); A-855 (XIX);

გაალდეს და გაამრავლეს – S-4499 (მე-17)

გაახლდეს და გაამრავლეს – S-4988 (მე-18); S-5006 (მე-18);
S-344 (XIX); ქუთაისი 205 (მე-18)

გაახლეს და გაამრავლეს – H-2074 (მე-17); H-2610 (მე-17);
Q-799 (მე-18); Q-279 (XIX); Q-484 (XIX);

Q-296 (მე-18); H-2850 (XIX); H-2323 (XIX)

გაახელეს, გაამრავლეს – S-4527 (XIX); S-5207 (XIX)

გაზარდის და გაამრავლის – Q-431 (XIX)

გასალდეს და გაამრავლეს – Q-622 (XIX)

გაერთდგნენ და გაამრავლეს – H-933 (XIX)

გახარდეს და გაამრავლეს – A-855; A-530 (XIX)

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტექსტის გამომცემლებმა ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად "გასალდეს და გაამრავლეს" წაკითხვა მიიჩნიეს.

ჩვენი აზრით, პოემის ტექსტში თავდაპირველად უნდა ყოფილიყო არა "გასალდეს" წაკითხვა, არამედ "გა-სად-ეს" ვარიანტი, რომლის ამოსავალი არის სპარსული სიტყვა – sad- "ახი." ეს მნიშვნელობა კი კარგად ჯდება კონტექსტში, როგორც ფორმის, ისე შინაარსის თვალსაზრისით.

"გა-სად-ეს და გაამრავლეს" – გააასეს და გაამრავლეს საუბარი სიტყვა ხშირი – ე.ი. ბევრი ილაპარაკეს, ასად გახადეს საუბარი.

"ახი" კონტექსტში, ცხადია, მრავლის მნიშვნელობითაა ნახმარი. პოემაში იგი "ათას'ზე" ხშირადაა გამოყენებული "სიმრავლის" აღსანიშნავად. მაგალითად: "ახი ებოძა საჭურჭლე, ებრძანა ახდა შავისა" (336, 2), "ფათერაკი სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს თუნდა ახი" (165, 1), "ასნი კლიტენი ..." (490, 1), "ასჯერ ახი" (474, 1), სიტყვა ასები (1364, 1) და მრავალი სხვა. გვხვდება ასიდან ნაწარმოები ზმნური ფორმებიც:

"ჩვენ პატიჟნი გაგვიასდნენ" (590), "იასოცნეს" (1161) და სხვა.

განსაკუთრებით საყურადღებოა 794-ე სტროფი, რომელშიც გაცოცხლებულია მისტიურ-ნეოპლატონური კონცეფცია ერთისა და ასის, ანუ ერთისა და მრავლის შესახებ:

"ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად,
ვინ არს ძალი უხილავი, შემწედ ყოველთად მიწიერთად,
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად,
იგი გაჰხდის წამის ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად".

სხვათაშორის, "ერთისა და მრავლის" ურთიერთმიმართების ნეოპლატონური ფორმულა ნიზამისთანაც "ერთისა და ასის" დაპირისპირებითაა გამოხატული მის "ხამსაში" ("ხუთწიგნეულში"). "ხამსას" პირველსავე წიგნში, კერძოდ, "საიდუმლოებათა საგანძურში" იგივე სიმბოლიკაა გადმოცემული შემდეგი პოეტური ფორმულით:

"sad ze ieki dide, ieki sad sode"[1]

"ასში ერთი დაინახე (შეიცანი) და ერთში – ასი".

პეტრიწი კი პირდაპირ აცხადებს: "ნაწილებად ჩათვალე რიცხვები, რომელთაგანაც შედგება "ასის" ცნება, მთელში კი [ანუ ერთში – მ.მ.] შეიცანი ასის ერთიანობა". შ. ნუცუბიძის აზრით, აქ გამოსჭვივის შეხედულებათა მთელი სისტემის სიახლოვე, რომელიც გენეტურად არის დაკავშირებული როგორც ნიზამისთან, ასევე რუსთველთან, პეტრიწთან და არეოპაგიტიკასთან.[2]

ვფიქრობთ, მოტანილი პასაჟიდანაც კარგად ჩანს "ასის" განსაკუთრებული მნიშვნელობა რუსთველის პოეზიაში.

ახლა, რაც შეეხება კონკრეტულად "გა-სად-ეს" ფორმას. შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რატომ მიმართა რუსთველმა სპარსულ "სად"-ს და არა ქართულ "ასს" ამ სინონიმური წყვილის შედგენისას.

ვფიქრობთ, არც ამაშია რაიმე უცხო და მოულოდნელი. "ვეფხისტყაოსანში" ხომ უამრავი სინონიმური წყვილი გვხვდება იმ პრინციპით წარმოებული, როდესაც ერთი სიტყვა უცხოურია (სპარსული) და მეორე – ქართული. მაგ.: "მარტოდ და **ღარიბად**" (168, 2), "ხასნი და დიდებულები" (176, 1). "**ხელაარსა**, ფიცისა" (708, 1), "ხახლად, **მენად**" (702, 2) და მრავალი სხვა. ანდა რატომ არაა დადასტურებული ტექსტში ცალკე სიტყვად სპარსული "sad" – "ასის" მნიშვნელობით? პოემაში ამის მაგალითებიც უხვად მოგვეპოვება – ცალკე

[1] Низами Гянджеви, Сокровищница тайн, изд. А Н Азерб. ССР. Баку, 1960 г., стр. 55

[2] დაწვრილებით ამის შესახებ იხ. შ. ნუცუბიძე, "Руставели и Восточный ренессанс," стр. 300-302

აღებული რომელიმე ადმოსავლური სიტყვა ტექსტში არა გვხვდება, მაგრამ მისგან ნაწარმოები ზმნური ფორმა კი ხშირადაა დამოწმებული. მაგ.: "ძაბუნი" (სპ. zabun) ცალკე არა გვხვდება, მაგრამ ხშირია მისგან ნაწარმოები ქართული ფორმები: "საძაბუნო", "დაძაბუნება":

"ვერ ვეცრუვები, ვერ ვუზამ საქმესა საძაბუნოსა" (797, 3), "მტერი თქვენი დაძაბუნდეს" (742, 4), "ეგრე ვითა დავძაბუნდი" (559, 3), "დამიძაბუნეს" (603, 3) და სხვა. ასევე სპარსული "ბეზარ" (bezar), რომელიც ცალკე არაა დაფიქსირებული ტექსტში, მაგრამ ზმნური ფორმით გვხვდება პოემაში: "სამყოფთაგან იაბეზროს" (178, 4); სიტყვა "აშიკიც" (სპ. asik) – მხოლოდ ზმნური ფორმითაა დადასტურებული "ვეფხისტყაოსანში". "ერთსა ვისმე აშიკობდეს" (18, 2), "ვინ მაშიკობს ვისსა ვისი" (1089, 3); ანდა სპარსული აზატი (azad): "ტყვე მქმნენ ანუ მაზატე" (252, 3), "აზატებს" (1069, 4), "ნაზატები" (262, 1) და სხვა.

ზემოთ მოხმობილი მაგალითები იმის დასტურია, რომ რუსთველს საჭირო შემთხვევაში თავისუფლად შეეძლო სპარსული "სად"-ი ცალკე არ გამოეყენებინა და მისგან ანალოგიურად ზმნური ფორმა "გასადეს" ეწარმოებინა.

და ბოლოს, როგორ უნდა მიეღოთ ტექსტის გადამწერთ "გასადეს"-გან "გასალეს ან გასალდეს" ფორმები. ვფიქრობთ, მარტივად: ქართველმა გადამწერმა, რომელმაც არ იცოდა სპარსული, ჩათვალა, რომ "გასადეს" ზმნაში "დონის" წინ ან "ლასია" ამოვარდნილი ანდა მის ნაცვლად "ლასი" უნდა ყოფილიყო ზმნაში. ამ გზით უნდა მიგვეღო "გასალეს" და "გასალდეს" ზმნური ფორმები, რომელთაგანაც შემდგომ ტექსტის გამომცემლებმა ოპტიმალურ ვარიანტად დონიანი ვნებითის ფორმა "გასალდეს" ალიარეს.

ვფიქრობთ, რომ ტექსტში თავდაპირველად უნდა ყოფილიყო გადამწერთათვის გაუგებარი "გასადეს" ფორმა, რომელიც სავსებით ეცუება კონტექსტს, მართავს სინონიმურ წყვილს როგორც გრამატიკულად ასევე შინაარსობრივად, და რაც მთავარია, მას ლოგიკურად ეხმიანება მომდევნო სტროფის პირველ ტაეპი:

"ერთგან დასხდეს, ილაღობეს, საუბარი ასად აგეს" (137, 1)

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ რუსთველი, თითქოს, საგანგებოდ განუმარტავს მკითხველს, რომ წინა სტროფში დამოწმებული სპარსული "სად", იგივეა, რაც ქართული "ასი".

## М. Г. МАМАЦАШВИЛИ

## К УТОЧНЕНИЮ ЗНАЧЕНИЯ СЛОВА "GASALDES" В ТЕКСТЕ ПОЭМЫ Ш. РУСТАВЕЛИ "ВИТЯЗЬ В ТИГРОВОЙ ШКУРЕ".


### РЕЗЮМЕ

В статье дана попытка пояснения значения слова "gasaldes", засвидетельствованного в тексте поэмы.

На основании изучения показаний рукописей поэмы и анализа привлечённого в работе материала, автор статьи приходит к заключению, что вариант "gasaldes" (укрепить, утвердить) является результатом ошибки, допущенной переписчиками не владевшими персидским языком. По мнению автора, в данном случае вместо "gasaldes" следует читать слово "gasades" (производное от персидского "sad" – сто), которое вполне соответствует контексту как грамматически, так и в отношении содержания:

"gasades da gaamravles saubari sitqva xiri" – "Во сто крат увеличили и умножили разговор", что и подтверждается в первой же строке следующей строфы: "Ertgan dasxdes, ilaxobes, saubari asad ages" – "Сели вместе (рядом) и во сто раз умножили приятный разговор" .

Думается, Руставели привлечением грузинского слова "asi" – "сто" в глагольной форме "asad ages" – хотел как-бы пояснить читателю значение слова "sad".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკატერინე ბოგიაშვილი

# ტექსტობრივი შეხვედრები „ამირანდარეჯანიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“

კლასიკური პერიოდის ქართული საერო ძეგლების კვლევისას გარკვეულ ინტერესს იწვევს „ამირანდარეჯანიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ურთიერთმიმართების საკითხი. სამეცნიერო ლიტერატურაში დაფიქსირებულია ტექსტობრივი შეხვედრები, რომელთაც ადგილი აქვთ ამ ორ ნაწარმოებში და გამოთქმულია გარკვეული თვალსაზრისი. იმ მკვლევარებს შორის, რომლებმაც ყურადღება მიაქციეს აღნიშნული ტექსტუალური პარალელების არსებობას, გამორჩეულია კ. კეკელიძის ღვაწლი. იგი, მიმოიხილავდა რა რუსთაველის ლიტერატურული განათლების, განსწავლულობის დიაპაზონს, ყველაზე კონკრეტულად და ფართოდ შეეხო „ამირანდარეჯანიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ უშუალოდ ტექსტობრივი შეხვედრების საკითხს. კ. კეკელიძე მიიჩნევს რომ „ . . . რა მხრითაც არ უნდა მივუდგეთ ამ ორ ნაწარმოებს, მათ შორის დიდ მსგავსებას დავინახავთ.“[1] ალ. ბარამიძის შეხედულებით, „იდეურობითაც და მხატვრულობითაც „ვეფხისტყაოსანი“ ძალიან შორს ტოვებს „ამირანდარეჯანიანს“, მაგრამ „ცალკეული მომენტებით ემთხვევა მას“.[2] ე. მელეტინსკის მოსაზრებით, აღნიშნულ ძეგლებს შორის ბევრი თანხვედრა იჩენს თავს. «Даже самое поверхностное сопоставление «Вепхисткаосани» с «Амираном Дареджаниани» – წერს იგი – показывает, как классическая форма грузинского романического эпоса органически вырастает из более ранней героико-романической и сугубо авантюрной разновидности . . . – და დასკვნის სახით აღნიშნავს , რომ Между «Амираном Дареджаниани» и «Вепхис ткаосани много точек соприкосновения.»[3] გ. იმედაშვილის შეხედულებითაც, „ვეფხისტყაოსნის სახეებისა და იდეალების შექმნაში „ამირანდარეჯანიანის“ როლი ერთგვარად მნიშვნელოვანია.“[4]

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების ანალიზზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოძიებული ტექსტობრივი თანხვედრები ფრაგმენტულია, ხოლო საკვლევ საკითხთან დაკავშირებული დასკვნები ზოგადია და საერთო შთაბეჭდილების ხასიათს ატარებს.

ჩვენ განსაკუთრებულად დავინტერესდით ამ საკითხით და შევეცადეთ, დეტალურად აღგვენუსხა ტექსტობრივი პარალელები „ამირანდარეჯანიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში.“ ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ აღნიშნულ ძეგლებს შორის მსაგავსება თავს იჩენს სიუჟეტში, შინაარსის ზოგიერთ დეტალში, რაც გამოხატულია ტექსტობრივი შეხვედრებით, მთელი ეპიზოდებისა და პასაჟების თანხვდენით, ზოგჯერ ციფრების, საბრძოლო იარაღის, საყოფაცხოვრებო და სხვა ნივთების აღწერილობის სიზუსტითაც კი. აღნიშნულის ნათელსაყოფად, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, პირველ რიგში, წარმოგვედგინა ის ეპიზოდები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, მთლიანობაში ემთხვევა ერთმანეთს:

| ვეფხისტყაოსანი | ამირანდარეჯანიანი |
|---|---|
| იყო არაბთა მეფე როსტევანი „მორჭმული“ და „განგებიანი“. ერთხელ როსტევან მეფე ამალასთან ერთად | იყო ჰინდოთ მეფე აბესალომი, „მორჭმული და განგებიანი. ერთხელ იგი ამალასთან ერთად ნადირობდა. |

[1] კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, თბ., 1958, II, 145.

[2] ალ. ბარამიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, ალ. ბარამიძე, „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1966, II, 217.

[3] Е. М. Мелетинский, Средневековый роман, М., 1983, 205.

[4] ქართ. ლიტ. ისტორია, გ. იმედაშვილი, „ამირანდარეჯანიანი“, თბ., 1966, II, 46.

სანადიროდ წავიდა. იგი მოულოდნელად მტირალ უცნობ რაინდს გადაეყარა, რომელიც ვეფხვის ტყავით იყო შემოსილი. ხელმწიფემ „საკვირველ“ მოყმესთან შეხვედრა მოისურვა, მაგრამ უცნობი განზრახვას ვერ მიუხვდა მეფეს და ვერ შეძლო მისი სურვილის შესრულება. გამწყრალმა როსტევანმა ლაშქარი დაადევნა მას და თავადაც ამალასთან ერთად გაეკიდა. როცა უცნობმა რაინდმა თავის მდევარში მეფე შეიცნო, ისე სწრაფად და უკვალოდ გაუჩინარდა, რომ მისთვის თვალის მოკვრაც ვერავინ მოასწრო. ხელმწიფე ძლიერ დაანაღვლიანა ამ ამბავმა, „დაღრეჯილი წამოვიდა“, თავი ანება ასპარეზობას, არც სანადიროდ გავიდა და არც ინადიმა. ვეფხისტყაოსანი რაინდის ამბის უცნობელობის გამო დამწუხრებული როსტევანის ნუგეშინისცემა მხოლოდ მისმა ქალიშვილმა – თინათინმა შეძლო. მან მეფეს ურჩია, უცხო მოყმის მოძებნა ქვეშევრდომთათვის დაევალებინა. ხელმწიფემ მოიწონა ასულის რჩევა და ერწმუნა მას. როსტევანის ბრძანებით „მოასხნეს კაცნი, გაგზავნნეს ოთხთავე ცისა კიდეთა.“ (სტრ. 115). წარგზავნილებმა ერთი წლის განმავლობაში ძებნეს უცხო მოყმე, მაგრამ უშედეგოდ. საბოლოოდ, ხანგრძლივი ძიების შემდეგ, ვეფხისტყაოსანი რაინდის პოვნა და მისი ამბის შეტყობა როსტევან მეფის სპასპეტმა – ავთანდილმა მოახერხა. მან გაარკვია, რომ უცხო მოყმე იყო ინდოეთის ამირბარი, ღირსეული რაინდი – ტარიელი. მისი სატრფო, ინდოეთის ტახტის ერთადერთი მემკვიდრე – ნესტან-დარეჯანი, მისმა გამზრდელმა დავარმა ფარსადან მეფის ნებართვის გარეშე, ყველასათვის უცნობ ადგილას გადაკარგა. ტარიელი დიდი ხნის განმავლობაში უშედეგოდ ეძებდა ნესტან-დარეჯანს, რამაც იგი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. ამ მდგომარეობაში მყოფი ხელქმნილი მიჯნური სასწრაფოდ საჭიროებდა დახმარებას.

გაუჩინარებული სატრფოს მოძებნა ტარიელს ავთანდილმა აღუთქვა. მან ეს გადაწყვეტილება მეყვსეულად მიიღო. ავთანდილი

ნადირობის დროს, უეცრად, მეფე „საკვირველ“ ქურციკს გადააწყდა. აბესალომმა უჩვეულო ცხოველის შეპყრობა გადაწყვიტა, ლაშქარს მასზე დადევნება უბრძანა და თვითონაც თავის დიდებულებთან ერთად გაეკიდა. მეფის მცდელობა ამაო აღმოჩნდა – ქურციკი მოულოდნელად და უკვალოდ გაუჩინარდა. მისი გადახვეწის ადგილზე კი აბესალომმა ქვითკირის სახლის კედელზე გამოსახული სამი უცნობი ჭაბუკის სურათი იპოვა. მეფე დაამწუხრა ჭაბუკთა ამბის „უცნობელობამ“. „დაღრეჯით მყოფმა“ თავი ანება ნადირობასა და პურობას.

დანაღვლიანებულმა ხელმწიფემ მოიწონა ვაზირთუხუცესი ჯაზირის რჩევა, სამი უცხო ჭაბუკის ამბავი მის ქვეშევრდომებს შეეტყოთ: „გავგზავნნეთ კაცნი ქალაქთა სპარსეთისათა . . .“ (გვ. 19) – შესთავაზა მან მეფეს. გაგზავნილი მსახურები დიდი ხნის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდნენ, შეესრულებინათ მიცემული დავალება. ბოლოს მხოლოდ ორმა მათგანმა შეძლო აბესალომისათვის სასურველი ამბის შეტყობა. მათ დაადგინეს, რომ სურათზე გამოსახული რაინდები იყვნენ უძლეველი სახელის მქონე ჭაბუკი – ამირან დარეჯანისძე და მისი ძმადნაფიცები. „ამირანდარეჯანიანის“ უძლეველი გმირის – მზეჭაბუკის საცოლე, ხაზართა მეფის ერთადერთი ასული, მისმა გამზრდელმა ხელმწიფესთან შეუთანხმებლად, ყველასათვის მოულოდნელად გადაკარგა.

ამირან დარეჯანისძისათვისაც უცნობია ტილისმათა ქვეყნის ტახტის მემკვიდრის – ხუარაშან ქალის, გზა-კვალი. ამის მიუხედავად, მან

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაბეთში დაბრუნდა, მაგრამ ისევ სასწრაფოდ დატოვა თავისი სამშობლო და ტარიელის სატრფოს საძებნელად გაემგზავრა. ამ გრძელ და ხიფათიან გზაზე მყოფი რაინდი გზის მცოდნე კაცთა – („ყოლაუზთა“) დახმარებას იყენებდა.

გადაწყვიტა, ქალის ადგილ-სამყოფელისათვის მიეგნო. ამირან დარეჯანისძემ ეს გადაწყვეტილება ისე უცბად მიიღო და საძებნელად იმდენად სწრაფად გაემგზავრა, რომ ვერ შეძლო იმ დროისათვის იქ არმყოფ თავის სამ ძმას დალოდებოდა. გზის გასარკვევად იგი, ისევე როგორც „ამირანდარეჯანიანის“ სხვა ჭაბუკები, წინამძღოლებს, ანუ „ყოლაუზებს“ მიმართავდა.

ნესტანის საძებნელად წასული ავთანდილი გადაეყარა ერთ ადგილას გაჩერებულ ქარავანს, რომელიც მეკობრეთა შიშით გზის გაგრძელებას ვერ ბედავდა. მოქარავნეებმა მიახლოებისთანავე ქება შეასხეს ავთანდილს: „ყმამან სალამი უბრძანა, ქებასა შეასხმიდესა“ (სტრ. 1029). რაინდმა ვაჭრებს ვინაობა ჰკითხა, რაზედაც მათ ასე მიუგეს: „ჩამოხე“ და – ჩვენს ამბავს მერე „მოგახსენებთო“. ავთანდილმა ვაჭართაგან გაარკვია, რომ მათ არ შესწევდათ ძალი მეკობრეთაგან თავის დასაცავად. იგი ვაჭრებს დახმარებას დაჰპირდა: **„მე მივინდობ სისხლთა თქვენთა, შემოვისხამ, და-ცა-მწვთების“** (სტრ. 1036). ამ წინადადებამ მოქარავნეები სიხარულით აავსო. ავთანდილმა ვაჟკაცობა დაუწუნა ვაჭრებს. რაინდმა მათ ურჩია, ბრძოლას გარიდებოდნენ. მან უჭირველად ძლია მეკობრეებს და ვაჭრებთან ერთად „გაიარა ზღვა“.

ხუარაშან ქალის საპოვნელად წასული ამირან დარეჯანისძე გზად შეხვდა ქარავანს, რომელიც მეკობრეთა გამო ადგილიდან ვერ იძვროდა. მოქარავნეებმა დანახვისთანავე ქება შეასხეს ამირან დარეჯანისძეს: „. . . თაყუანისგუცეს, ქება შეგუასხეს.“ (გვ. 277). მან ვაჭრების ვინაობა გამოიკითხა, რაზედაც მათ უპასუხეს: ჯერ ჩვენთან ინებეთ მობრძანება და ჩვენს ამბავს შემდეგ „მოგახსენებთო“. ამირან დარეჯანისძემ მოქარავნეებისგან შეიტყო, რომ ისინი უძლურნი იყვნენ მეკობრეთა წინაშე. მან სიცოცხლის გაღების ფასად აღუთქვა დახმარება ვაჭრებს: **„ . . . ესე იცოდე, რომე, ვირემდი ჩუენ არა დავიჲოცნეთ, თქუენ მანამდი არა გევნოს რაო“** (გვ. 280-281). ამან მოქარავნეებს დიდი სიხარული მოჰგვარა. ამირან დარეჯანისძემ რაინდობა დაუწუნა ბასრელ ვაჭრებს. ბრძოლაში ჩაურევლობისაკენ მოუწოდა მეკობრეთაგან შეშინებულ ვაჭრებს, აგრეთვე, ბადრი იამანისძემაც. მან ზღვის გავლის შემდეგ ავთანდილი იოლად დაამარცხა მეკობრეები და ზღვათა სამეფოში აღმოჩნდა. ამ ვაჭრებთან ერთად იმგზავრა – „გაიარა ზღუა“. ზღვის გადალახვის შემდეგ ბადრი იამანისძე ზღვათა სამეფოში მოხვდა.

ქვეყნის ქალაქ გულანშაროში სახლები წითელ-მწვანე ქვით იყო ნაგები: „ზღვის პირსა სახლი ნაგები დგა ქვითა წითელ-მწვანითა“ (სტრ. 1112). ზღვათა სამეფოში ავთანდილს დახმარებას უწევს ვაჭართუხუცესის ცოლი ფატმანი, რომელიც ნესტანის ამბავს ორი ზანგი მონის საშუალებით შეიტყობს: „მე ორნი შავნი მონანი მყვანან სავსენი გრძნებითა, . . . მოვასხენ, ქაჯეთს გავგზავნენ, ვარქვი, თუ: „ნუ დასდგებითა“ (სტრ. 1238). ვაჭართუხუცესის მეუღლე ნესტანსაც დაეხმარა. მან ტარიელის სატრფოს

ტილისმათა ქვეყნის ქალაქის ყველა სახლი წითელ-მწვანე ქვით იყო აგებული: „აწ ნახეთ ქალაქი დიდი და სახლი ყუელა, წითლითა და მწვანითა ქვითა ნაგები.“ გვ. (306) ამირან დარეჯანისძისათვის საჭირო ამბავი ბალხეთის დედოფალმა ზანგი მონების საშუალებით შეიტყო: „დედოფალმან მოუსხმევინა სამნი კაცნი, შავნი, ვითა კუპრნი . . .“ (გვ. 698) ამირან დარეჯანისძეს ვაჭართუხუცესმა აბრამმა

მარგალიტი აჩუქა იმ მიზნით, რომ იქნებ რამეში გამოდგომოდა. ფატმანმა გაარკვია, რომ ნესტანი ქაჯეთის ციხეში იყო დატყვევებული. ქაჯეთის ქალაქს სამი კარი ჰქონდა და თითოეულს სამიათას – სამიათასი მეომარი იცავდა. მგზავრებისათვის ქაჯთა ქალაქში შესვლა შეზღუდული არ იყო.

ქაჯეთის ციხის აღების წინ ტარიელმა თავის მეგობრებს თავდადება და ძალ-გულოვნება მოუწონა, მაგრამ დაიწუნა მათი შემოთავაზებული გეგმა მასში თავისი უმოქმედო მდგომარეობის გამო. „ესე მე დამსვრის, ნუ უბნობთ სიტყვითა თქვენ სათნევითა“ (სტრ. 1403) – უთხრა მან მეგობრებს და თავისი ტაქტიკა შესთავაზა: ქაჯეთის ციხეზე იერიში სამი სხვადასხვა კარიდან ერთდროულად მიეტანათ. მეგობრებმა მოიწონეს და გაიზიარეს მისი წინადადება, რომელმაც ისინი საბოლოოდ გამარჯვებამდე მიიყვანა. ტარიელმა და მისმა მეგობრებმა აიღეს ქაჯეთის ციხე, ნესტანი ტახტრევანზე დააბრძანეს და გადაწყვიტეს, გრძელი გზით წამოსულიყვნენ, რათა მადლობა გადაეხადათ ზღვათა მეფისა და ფატმანისათვის. ფატმანი დიდი სიხარულით შეხვდა ნესტანსა და გამარჯვებულ გმირებს. ტარიელმა ზღვათა მეფეს მადლობის ნიშნად ქაჯთა ქვეყანა უძღვნა: **„სრულად ქაჯთა სამეფოსა გიძღვნი,** ჩემგან შეიწირე.“ (სტრ. 1430)

მარგალიტი უძღვნა, იქნებ რამეში დახმარება გაგიწიოსო. სეფედავლე დარისპანისძემ შეიტყო, რომ მისი საცოლე – ჭენთა მეფის ასული ციხეში იმყოფებოდა. ასფან მეფის ქალაქის კართაც სამიათას-სამიათასი მეომარი ჰყავდა მცველად. მგზავრთა შესვლა არ იყო შეზღუდული, აგრეთვე, ჭენთა მეფის ქალაქში. ბალხამ ყამისძესთან შერკინების წინ გამართული თათბირობისას ამირან დარეჯანისძემ თავის ყმებს ვაჟკაცობა და თავგანწირვა მოუწონა, მაგრამ არ გაიზიარა მათ მიერ შემოთავაზებული ტაქტიკა, რადგან მას არ სურდა, ომის დროს პასიურ პოზიციაში აღმოჩენილიყო: „ . . . ვინათგან მე აქა ვარ, მაგისი ერთისაცა ქნა არა ეგების,“ (გვ. 651) – განაცხადა მან და ძმადნაფიცებს თავისი გეგმა შესთავაზა, რომელიც ყველამ მოიწონა და მათთვის გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა. მზეჭაბუკმა და მისმა ძმადნაფიცებმა მტერზე ძლევა ასეთი ხერხით მოიპოვეს: იერიში სამი კარიდან ერთდროულად მიიტანეს. სეფედავლე დარისპანისძემ ძმადნაფიცებთან ერთად შემუსრა ციხე, გამოიყვანა თავისი საცოლე, ტახტრევანზე დასვა და მოკლე გზას შორეული არჩია, რათა მადლობა გადაეხადათ შაოსანი დიაცისათვის, რომელმაც მათ დიდი დახმარება გაუწია. შაოსანი სიხარულით გამოეგებება გამარჯვებით შემოქცეულებს. სეფედავლემ მას მადლობის ნიშნად დევთათვის წართმეული ქვეყანა უბოძა: **„ . . . იგი ქუეყანა შენდა მომიცემიაო . . .“** (გვ. 459)

ტარიელი და ნესტანი სამშობლოში დაბრუნდნენ. მათი დაბრუნების აღსანიშნავად ინდოეთის „დედოფალმან შეიმოსა, შავი ძაძა აიხადა “ (სტრ. 1635) და ტარიელსა და ნესტანს სანაქებო ქორწილი გადაუხადა.

ამირან დარეჯანისძის ბალხეთში ჩასვლის აღსანიშნავად „გასცა ბრძანება დედოფალმან და აჰPადეს შავი ყუელასა.“ (გვ. 659) ბალხეთის დედოფალმა თავის ასულსა და ამირან დარეჯანისძეს დიდი ქორწილი გადაუხადა.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომელიც ხშირად გვხვდება როგორც „ამირანდარეჯანიანში“, ისე „ვეფხისტყაოსანში“ და იმით იპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ ძეგლებში სიუჟეტის შემდგომ განვითარებას განსაზღვრავს:

| ვეფხისტყაოსანი | ამირანდარეჯანიანი |
|---|---|
| ტახტის მემკვიდრედ მხოლოდშობილი ასულები ჰყავთ მეფე როსტევანსა და მეფე ფარსადანს. ერთხელ, არაბეთის მეფემ ვეზირებს მოუხმო და სათათბიროდ დაჯდა. **„მე გარდასრულვარ, სიბერე ჭირს . . .“** – მიმართა მან დიდებულებს და მათ წინაშე ტახტის გადაბარების საკითხი წამოჭრა. ასევე მოიქცა ინდოეთის მეფე ფარსადანიც და თავის მრჩევლებს ტახტის მემკვიდრედ ისეთი სასიძოს კანდიდატურა შესთავაზა, რომლის მსგავსი სხვა არ ეგულებოდა. „მეფემან ბრძანა: „ხვარაზმშა, ხელმწიფე ხვარაზმელია, თუ მოგვცემს შვილსა **სასიძოდ, მისებრი არ-რომელია“.** (სტრ. 511) | „ამირანდარეჯანიანშიც“ თითქმის ყველა მეფეს ტახტის მემკვიდრედ მხოლოდ ასული ჰყავს. ზღვათა მეფემ მოიწვია დიდებულები, დაჯდა და მრჩეველთა წინაშე მემკვიდრეობითობი პრობლემა წამოჭრა. მან ვეზირთა პირით თავის ერთადერთ ასულს შეუთვალა: „შვილო, მე დავბერებულვარ“. . . და ისეთ საქმროს ვეძებ შენთვის, რომ ქვეყნად მისი მსგავსი ვაჟკაცი არსად მოიძებნებოდეს: „და ესეთსა ქმარსა ვეძებდი შენთვის, რომელმცა **არავინ იყო დამართებითი მისი“** (გვ. 62) |

მოვლენათა შემდგომი განვითარება ძეგლებში იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გადაწყვეტილებას მიიღებენ ხელმწიფეები აღნიშნული პრობლემის გადაჭრის დროს.

ახლა ვნახოთ, რა შედეგი მოგვიტანა ჩატარებულმა კვლევამ „ამირანდარეჯანიანსა“ და „ვეფხისტყაოსანს“ შორის უშუალოდ ტექსტობრივი პარალელების თვალსაზრისით:

| ვეფხისტყაოსანი | ამირანდარეჯანიანი |
|---|---|
| ჰომა არაბთა მეფე როსტევანის დახასიათებით იწყება: **„იყო არაბეთს როსტევან**, მეფე ღვთისაგან სვიანი, მადალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარმრავალი, ყმიანი, მოსამართლე, და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი.“ (სტრ. 32) | „ამირანდარეჯანიანიც“ ჰინდოთ მეფე აბესალომის დახასიათებით იწყება: **„იყო ჰინდოთ მეფე აბესალომ, მორჭმული და განგებიანი“** (გვ.3). |
| ნადირობისას როსტევან მეფე და მისი ამალა მოულოდნელად გადაეყრებიან უცხო მოყმეს: **„ახეს უცხო მოყმე ვინმე. . .“**(სტრ. 84) | ნადირობის დროს მეფე აბესალომი და მისი ამალა უეცრად ქურციკს გადააწყდებიან მათ **„ . . . ერთი ქურციკი ნახეს. . .“** (გვ. 5) |
| უცხო მოყმე ვეფხვის ტყავით იყო შემოსილი: „მას ტანსა კაბა ემოსა გარე თმა ვეფხის ტყავისა, ვეფხის ტყავსა ქუდივე იყო სარქმელი თავისა.“ (სტრ. 85) | ქურციკის აღწერილობა უცხო მოყმის სამოსელის – ვეფხვის ტყავის ბუნებრივი შეფერილობა ერთნაირ ფერთა გამას ქმნის. ამ უცნაურ ცხოველს „ . . . რქანი ესხნეს ოქროსა ფერნი, თუალნი და ჭლიქნი – შავნი, მუცელი თეთრი და ზურგი – ძოწეული.“ (გვ. 5) |
| როსტევან მეფე ასე აფასებს უცხო მოყმეს: „უცხოსა და საკვირველსა ყმასა რასმე გარდვეკიდე“. (სტრ. 109) როსტევანმა ლაშქარი დადგინა უცხო მოყმეს: „მეფე გაწყრა, გაგულისდა, **ლაშქარნიცა შეუზახნა.** (სტრ. 95) | მეფე აბესალომიც ამგვარადვე აღიქვამს ქურციკს: „ . . . ესრეთ საკუირველი არის . . .“ (გვ. 5) აბესალომ მეფემაც ბრძანა: **„ . . . ყოველმან კაცმან ცხენები შეევუტივეთ . . .“** (გვ. 6) |

უცხო მოყმე „მასვე წამსვე **დაიკარგა,** არ უნახავს თვალსა ჩვენსა, . . . ეძებდეს და ვერ ჰპოვებდეს კვალსა მისგან წანარბენსა.“ (სტრ. 97)

როსტევან მეფე „. . . შემობრუნდა, დაღრეჯილი წამოვიდა.“ (სტრ. 100)

შეჭირვებულმა როსტევანმა „არცა ჰკრალა ასპარეზსა, ვამი ვამსა მოურთვიდა; ყველაკაი მოიშალა, სადაცა ვინ მხეცთა სრვიდა“ (სტრ. 100).

ნესტანის საძებნელად წასული ავთანდილი გზად ქარავანს გადაეყარა „მუნ ქარავანი ურიცხვი მოსდგმოდა ზღვისა კიდესა, შეიჭირვებდეს, ჭმუნვიდეს, ვერცა დგეს, ვერცა ვლიდესა.“ (სტრ. 1029)

ავთანდილმა მოქარავნეებს **„ჰკითხა თუ: „ვინ ხართ, ვაჭარნო?** მათ საუბარი ჰკიდესა“. (სტრ. 1029)

ვაჭრებმა ავთანდილს ასე უპასუხეს: „ჩამოხე და მოგახსენოთ ამბავი და საქმე ჩვენი.“ (სტრ. 1030)

ავთანდილის დაპირებამ სიხარულით აავსო მოქარავნეები: „მოქარავნენი აივსნეს სიხარულითა დიდითა“ (სტრ. 1037)

ავთანდილი ვაჟკაცობას უწუნებს ბაღდადელ ვაჭრებს: **„თქვენ ვაჭარნი,** ჯაბანნი ხართ, **ომისაცა უმეცარნი.“** (სტრ. 1040)

ავთანდილი ვაჭრებს ურჩევს, ბრძოლას გაერიდონ: „შორს ისრითა არ დაგხოცენ, **ჩაიხშენით თანა კარნი.“** (სტრ. 1040)

ავთანდილმა ვაჭრებთან ერთად გაიარა ზღვა: „ზღვა გაიარა ავთანდილ, მივა ტანითა მჭევრითა“ (სტრ. 1061).

ზღვის გავლის შემდეგ ავთანდილს შეატყობინებენ, რომ ეს ქვეყანა ზღვათა სამეფოა: „ესეა ზღვათა სამეფო . . .“ (სტრ. 1065)

ვაჭართუხუცესის ცოლმა ფატმანმა ნესტანს, რომელსაც წინ ხიფათიანი გზა ელოდა, ძვირფასი თვალმარგალიტი აჩუქა იმ მიზნით, რომ იქნებ რამეში გამოდგომოდა: „ვარქვი: „ჩემო, განლა **„ჩაეხუეწა** ქურციკი და უჩინო იქმნა.“ (გვ.7)

მეფე აბესალომზე ნათქვამია: „შემოკრბეს დიდებულნი და ნახეს მეფე დაღრეჯილად.“ (გვ. 9) ანალოგიური ფორმით გამოხატა თავისი მწუხარება აბესალომ მეფემაც: „არცა შექნა პურობა და არცა გავიდა ნადირობასა.“ (გვ. 9)

ამირან დარეჯანისძეც გზად შეხვდება ქარავანს: „ . . . მას ჴევსა შინა ქარავანი დგა ურიცხუი . . .“ (გვ. 277)

ბასრელ ვაჭართუხუცესს **„ჰკითხა** ამირან დარეჯანისძემან: **„ვინ ხარ შენ, აბრაჰამ,** ანუ, ვისი არის ესე ქარავანი? (გვ. 277) ასევე მიუგეს ვაჭრებმა ამირან დარეჯანისძეს: „ბრძანეთ ჩვენსა ლარსა, და მერმე მუნ მოგაჴ სენოთ ჩუენი ამბავი.“ (გვ. 277) ასევე სიხარული მოჰგვარა ამირან დარეჯანისძის დახმარების პირობამ ბასრელ მოქარავნეებს: „ . . .გაეხარნეს ჩუენი მისვლა. . .“ – ამბობს ამირან დარეჯანისძე. (გვ. 277) ასევე უწუნებს რაინდობას ბასრელ მოქარავნეებს ამირან დარეჯანისძეც: **„. . .თქუენ, ბასრელნი,** კარგნი ჭაბუკნი ხართ, მაგრა **ჭაბუკთა,** ღმერთო, **უნახავნი ხართ. . .“** (გვ. 283) ბადრი იამანისძემ ასევე მოუწოდა ვაჭრებს, ბრძოლაში არ ჩარეულიყვნენ: „ . . . გუიყივლა ბადრი იამანისძემან: **„ჩაიმალენით ნავსა შიგანო!“** (გვ. 52) ვაჭრებთან ერთად იმგზავრა ზღვის გავლით ბადრი იამნისძემაც: „გავიარეთ ზღუა . . .“ (გვ. 55) ბადრი იამანისძეც ზღვის გადალახვის შემდეგ ზღვათა სამეფოში აღმოჩნდება: „. . . მივედით, სადა ზღუათა მეფისა ქუეყანა იყო.“ (გვ. 53)

ამირან დარეჯანისძესაც ვაჭართუხუცესმა აბრამმა მარგალიტი უძღვნა „ . . . და ეგრე მოახსენა: „სადა თქუენ მიხუალთ, ნუთუ ესე მუნ გეPმარებოდესო.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადმე გეხმარების ესეგვარი“ (სტრ 1178).

ფატმანი გაარკვევს, რომ ნესტანი ქაჯეთის ციხეში არის დატყვევებული: „ციხეს გზი ეზომ მაღალსა, თვალნი ძლივ გარდასწვდებიან.“ (სტრ. 1300)

ნესტანმა ფატმანს აცნობა, რომ ქაჯთა ქალაქს სამი კარი ჰქონდა და თითოეულს სამიათას-სამიათასი მეომარი იცავდა: „ქალაქის კართა სამთავე სამათას-სამათასები.“ (სტრ. 1243)

მგზავრთათვის ქაჯთა ქალაქში შესვლა შეზღუდული არ იყო: **„ისი კაცნი არ იჭირვენ მგზავრსა, ქალაქს შემავალსა.“** (სტრ. 1399)

ქაჯეთის ციხის აღების წინ გაიმართება თათბირი, სადაც ტარიელი თავის მეგობრებს ასე მიმართავს: „ტარიელ უთხრა: „მე თქვენი ვცან გმირთა მეტი გმირობა, **თქვენსა ძალ-გულსა თქვენივე ჰგავს თათბირობა, პირობა“** (სტრ. 1402).

ქაჯეთის ციხის ასაღებად მეგობრებმა შემდეგ ხერხს მიმართეს: **„სამთავე სამად გაიყვეს, თვითომან თვითო კარები.“** (სტრ. 1412)

ერთადერთი ასული ჰყავთ არაბთა მეფე როსტევანსა და ინდოთ მეფე ფარსადანს. ნესტანზე ნათქვამია: „ღმერთმან არ მოგცა ყმა შვილი, გივის ერთაი ქალია.“ (სტრ. 565)

ტახტის გადაბარების საკითხის გადასაჭრელად არაბეთის მეფემ ვეზირებს მოუხმო სათათბიროდ: . . . „მეფემან იხმნა ვაზირნი, თვით ზის ლაღი და წყნარია.“ (სტრ. 34)

სწორუპოვარი რაინდი ტარიელი ავთანდილს უამბობს: „. . . ვით კატასა, ვხოცდი ლომსა.“ (სტრ. 328)

შეუდარებელმა რაინდმა ავთანდილმა „სადაცა ნახნის, დახოცნის ლომ-ვეფხნი მოშამბნარენი.“ (სტრ. 1330)

რაინდებს საგმირო საქმეებისაკენ თავიანთი მიჯნურები მოუწოდებენ. ნესტანი ტარიელს ეუბნება: **„სჯობს, საყვარელსა უჩვენნე, საქმენი საგმირონია.“** (სტრ. 383)

(გვ. 293)

სეფედავლე გაარკვევს, რომ მისი საცოლე, ჭენთა მეფის ასულიც, ციხეში იმყოფება: „ციხე არის, რომელსა შინა იგი ჭენთა მეფისა ასული ზის . . .“ (გვ. 429)

ასფან მეფის ქალაქს „უდგა კართა ზედა სამათას-სამათასი მეომარი კაცი მცველად.“ (გვ. 257)

ასევე არ იყო შეზღუდული მგზავრთა შესვლა ჭენთა მეფის ქალაქშიც. **„ქალაქსა შესვლასა არავინ გაყენებს.“** (გვ. 429)

ბალხამ ყამისძესთან შერკინების წინ ამირან დარეჯანისძე იგივეს ეუბნება თავის ყმებს: **„ . . . ვითა თქუენსა ჭაბუკობასა მართებს ყუელა ეგრე გითქუამს.“** (გვ. 651)

მზეჭაბუკი და მისი ძმადნაფიცები მტრის დასაძლევად ანალოგიურ ტაქტიკას აირჩევენ: **„ერთსა კარსა მზეჭაბუკი დადგა, და მეორესა – დორათ და მესამესა კარსა-მოსორ ნადირისძე.“** (გვ. 584-585)

ხელმწიფეთა უმრავლესობასაც ტახტის მემკვიდრედ ასევე ასულები ჰყავთ. ამ მდგომარეობაშია ხაზართა მეფეც: „ძე არა უვის, და ქალი უვის. ეგეთი, რომე მისებრი ჯერეთ დღესამდის არავის უნახავს.“ (გვ. 528)

ზღვათა მეფემაც ანალოგიური მიზნით მოიწვია დიდებულები სათათბიროდ: „მოიყუანნა მეფემან ზღუათამან დიდებულნი და დაჯდა.“ (გვ. 62)

უძლეველი გმირი „მზეჭაბუკი ვითა კატათა, ჰკვლიდა ლომთა.“ (გვ. 522)

დაუმარცხებელმა ჭაბუკმა ამბრი არაბმა ასევე „ . . .სადაცა მინდორსა შიგან ლომი დახუდის, მან ცოტამან ყმამან, ვითა კატა მოკლის . . .“ (გვ. 117)

გმირობის გამოჩენას მოითხოვს თავისი საქმროსაგან ზღვათა მეფის ასულიც: „. . . **მე ეგეთი ქმარი არ მინდა,** რომე ეგრე ვგონებდე, **თუ მისი დამართებითი**

თანაგრძნობის გამო ტარიელისადმი გულისტკივილით გამსჭვალული ავთანდილი და ფრიდონი ტირიან: „გულ-ამოსკვნილნი გულითა ტირან ვერ-დამთმობრითა." სტრ. (1014)

უცხო მოყმის ბედით დაინტერესებული როსტევან მეფე თავისი ჭმუნვის მიზეზს ქალიშვილს ასე განუმარტავს: „რა უმძიმდა, არ ვიცოდი, ან ტიროდა ვისთვის კიდე." (სტრ. 109)

ავთანდილ და ფრიდონი, როგორც რაინდები, აღიარებენ ერთმანეთის ღირსებებს: **„თვით უსახოდ ფრიდონს ყმა და მოეწონა ყმასა ფრიდონ."** (სტრ. 988)

რაინდის ცხოვრების წესი ტარიელის მიერ ასეა გადმოცემული: **„მოსრნის მხეცნი** და ნადირნი ისარმან ჩემგან სრეულმან; მერმე **ვიბურთი მოედანს,** მინდორით შემოქცეულმან; შევედი, **შევქმნი ნადიმი,** ნიადაგ ლხინსა ჩვეულმან." (სტრ. 333)

„ვეფხისტყაოსნის" რაინდები ხშირად ნადიმობენ რაიმე კონკრეტული მიზეზის გარეშე. ავთანდილზე ნათქვამია: **„მას დღე** მუნით არ წავიდა, **ინადიმა,** გაისვენა." (სტრ. 678)

„ვეფხისტყაოსანში" ნადირობის მრავალი ეპიზოდია აღწერილი. ფრიდონი ტარიელს უამბობს: „დღეს **გამოვე ნადირობად,** ზღვისა პირსა ვინადირე." (სტრ. 608)

„როსტევან მეფე ნადიმს მართავს ნადირობის შემდეგ: **„ინადირეს,** შემოექცეს მხიარულნი, მინდორს რულნი . . . ხმას სცემს ჩანგი ჩაღანასა, **მომღერალნი იყვნეს** რულნი!" (სტრ. 727)

ქაჯეთის ციხის აღების სიძნელის შესახებ ფრიდონი თავის ძმადნაფიცებს ეუბნება: „სადაცა შენ და შენი ძმა ხართ, **ძნელი გაადვილდების."** (სტრ. 1321)

ფრიდონი მუდმივ მეგობრობასა და დახმარებას აღუთქვამს ტარიელს: **„ზედა-ზედა დავსტკებნიდე** დარბაზსა და ამა თემსა; **„სამსახურსა მიბრძანებდი** უხუცესი ვითა მრწემსა." (სტრ. 1651)

**კაცი არისო. . ."** (გვ. 62)

მზეჭაბუკის ბედით შეძრული „ატირდა ამირან დარეჯანისძეცა, და ჩუენ ყუელანი ავტირდით ძნელად. . ." ( გვ. 313)

ასევე ინტერესდება ამირან დარეჯანისძე მისთვის სრულიად უცნობი ადამიანის ტირილის მიზეზით: „ვინ ხარ, ძმაო, და ანუ უადგილოსა აქა ტირილად რად დასჯედ? . . ." (გვ. 497-498)

ასევე დაინახავენ ერთმანეთის ღირსებებს უძლეველი ჭაბუკები ამირან დარეჯანისძე და სეფედავლე დარისპანისძე: **„ამას იტყოდა დარეჯანისძე: „არა მინახავს ჭაბუკი სეფედავლესებრიო!" და სეფედავლე მას აქებდა და ამას ეტყოდა, ვითა: „მადლი ღმერთსა, რომელ ჭაბუკისა უნახავი არა მომკლაო!"** (გვ. 481)

ასეთივეა „ამირანდარეჯანიანის" რაინდის ცხოვრების წესი, რომელსაც მზეჭაბუკი ასე აღწერს: „ . . . **ვასპარეზობდით, ვიმღერდით, ვნადირობდით** და სიხარული იყვის დიდი." (გვ. 335)

ნადიმის გადასახდელად საბაბი არ ჭირდებათ „ამირანდარეჯანიანის" ჭაბუკებსაც: **„მას ჟამსა** ამირან დარეჯანისძე **ნადიმად ჯდა. . ."** (გვ. 197)

ნადირობის ამსახველი სცენა ხშირად გვხვდება „ამირან დარეჯანიანშიც": „ბრძანა ამირან დარეჯანისძემან და **ნადირობად გავიდა."** (გვ. 496)

ნადირობიდან შემოქცეულმა ამირ მუმლმა **„ნადიმი დაიდვის** და **იმღერდიან მოშაითნი. . ."** (გვ. 363)

მწითური ჭაბუკი ამასვე ეუბნება ამირან დარეჯანისძეს: „აწ გზა **არის ძნელი, განა** შენ ვითარი ჭაბუკი ხარ, **ყუელა ადვილი არის შენგანო."** (გვ. 45-46)

ანალოგიურ პირობას აძლევენ ერთმანეთს ამირან დარეჯანისძე და სეფედავლე: „მისცეს ფიცი ერთმანერთსა ეგეთი, რომე, თუ ეგებოდეს, **ზედა-ზედ ვნახვიდეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნესტანის მოსაძებნად წასული ავთანდილი გზის მცოდნე კაცთა-წინამძღოლთა დახმარებას იყენებს: „გზას **ყოლაუზი მისციან. . .**" (სტრ. 976)

ავთანდილი მეფე-პატრონთან მიმართებაში ამბობს: **„ვით მოიხმაროს მონამან პატრონსა ზედა ხრმალია?"** (სტრ. 1485)

ავთანდილი მიმართავს შერმადინს: **„ხამს მეფეთა ერთგულობა, ყოფა გვმართებს ყმასა — ყმურად."** (სტრ. 154)

ტარიელი მეფე-პატრონთან მიმართებაში აღნიშნავს: **„შეცილებამცა ვინ ჰკადრა, რათგან თვით იყო მნდომელი!"** (სტრ.513)

მადლიერებით აღსავსე ვაჭართუხუცესი უსენი მიმართავს თავის პატრონს – ზღვათა მეფეს: „. . . ჰე, მაღალო ხელმწიფეო, . . . რაცა სხვა მაქვს, ვისი არის ოქრო, თუნდა საჭურჭლეო? დედის მუცლით რა გამომყვა? **მბოძებია თქვენგან მეო."** (სტრ. 1168)

რაინდებისადმი პატივისცემას მეფეები ხშირად გამოხატავენ შეგებებით. ასე მიეგება როსტევან მეფე ტარიელს, როცა მისი არაბეთში შესვლა შეიტყო: **„მეფე შეჯდა, გაეგებნეს თავადნი და სრულად სპანი."** (სტრ. 1509)

პატივისცემის ნიშნად ფარსადან მეფემ წითელი კარვები დაადგმევინა ხვარაზმშას ძისათვის: „მოედანს **დავდგი კარვები წითლისა ატლასებისა."** (სტრ. 552)

მეფეები ხშირად გამოხატავენ ვასალებისადმი თავიანთ კეთილგანწყობას ძღვნობა-ბოძებით. თინათინმა მეფედ კურთხევის დღეს „ . . . გასცა უზომო, **უანგარიშო,** ულევი" (სტრ. 52)

თინათინის სიუხვეზე ნათქვამია: „რომე სრულად ამოაგებს **მცირესა და დიდებულსა"** (სტრ. 53)

ზღვათა მეფემ ტარიელს უძღვნა გვირგვინი „იაგუნდისა მრთელისა, ყვითლისა, მეტად ხასისა." (სტრ. 1438)

ავთანდილის არაბეთში დაბრუნებით გახარებულმა თინათინმა ამ ამბის მახარობელ შერმადინს „ . . . საბოძვარი უბოძა, მისი ყველაი დამოსა." (სტრ. 682)

ერთმანერთსა. და თუ რა გუიჭირდეს, **ერთმანერთსა უშუელდეთო."** (გვ. 483)

ასევე იქცევა შესაფერის ვითარებაში სავარსამისძეც: **„ვითხოვეთ ყოლაუზი კაცი და მოგუგუარეს. . ."** (გვ. 90)

ამირან დარეჯანისძე ამბობს: **„არა კარგი არს აზნაურთაგან ჴელმწიფეთა სიკუდილი."** (გვ. 247-248)

ამირან დარეჯანისძე ამბობს: **„. . . მე ყოველთა მეფეთა ყმა და მონა ვარ . . ."** (გვ. 244)

ჯაზირ ვაზირი თავის პატრონთან დაკავშირებით ამბობს: **„. . .არცა ჰამს პატრონისა დიდი ცილება."** (გვ. 18-19)

ამირან დარეჯანისძეც მეფე-პატრონს ამასვე ეუბნება: „ძღუნისა კულა მადლი რად გინდა, **ყუელაი თქუენი ნაბოძუარია** და თქუენითა ბედითა მოგებული არის." (გვ. 202)

ამავე მიზეზით ამბრი არაბს „ . . .**გამოეგება წინა მეფე იამანთა და ყოველნი დიდებულნი . . ."** (გვ. 171)

სიმან სინდთა მეფის ძესაც **„დაედგნა ძოწეულნი კარავნი. . ."** (გვ. 227)

ბალხამ ყამისძემ „ . . . **დაიდგა ძოწეულნი კარავნი . . ."** (გვ. 670)

ასეთივე მაგალითები ხშირად გვხვდება „ამირანდარეჯანიანშიც": „მე, სავარს, მიბოძა აბესალომ ინდოთა მეფემან **უანგარიშო** განძი. . ." (გვ. 710)

ტილისმათა ქვეყნის დედოფლის ბრძანებით „. . . გასცეს ურიცხუი **დიდებულთა და მცირედთა** ზედა . . ." (გვ. 320)

ტილისმათა ქვეყნის დედოფალმა ამირან დარეჯანისძეს უბოძა „. . . გუირგუინი ყუითლისა იაგუნდისა. (გვ. 319)

ამირ მუმლმაც ამირან დარეჯანისძეს მიცემული დავალების შესრულებისა და კმაყოფილების ნიშნად „უბოძა

ამირანს საბძოლარი ურიცხუი, და ჩუენ ექუსნივე დაგუმოსნა ტანსა. . .“ (გვ. 262)

ზღვათა მეყის ასულის სიმშვენიერე ასეა გადმოცემული: **„ვფიცავ დმერთსა ცხოველსა, მზე მისდა არა ჯობნილა!“**

(გვ. 68)

აბუტალიბს გვერდით „. . . ქალი უჯდა, ვითა მზე გგეთი.“

სავარსამისძეც ასე ახასიათებს ზღვათა მეყის ასულს: „ . . . ვთქუი: **„თუმცა არა ჰორციელია, მზე არისო.“** (გვ. 64)

ნადირობისას ამირან დარეჯანისძე დაინახავს შავებით შემოსილ მგლოვიარე უცნობს, რომელიც „ . . . **შავსა ტაიჭსა** ზედან ჯდა . . .“ (გვ. 3)

ტილისმათა ქვეყანაში „ . . . ყუელა მოსილი იყო ძოწეულითა . . . და **თავსა-რიდე, იგიცა ძოწეული** . . .“ (გვ. 327)

ამირანის ამალასთან შემხვედრ ვაჭარს „ . . . თავსა პირ-ოქრო რიდე ეხუია. (გვ. 276)

ტილისმათა ქვეყნის დედოფლის ტახტრევანიც თეთრ-ძოწეულის გამით არის წარმოდგენილი: „ . . . **ძოწეულისა იაგუნდისა არისო, შეკაზმული მარგალიტით.**“ (გვ. 316-317)

ტილისმათა ქვეყანაში ამირან დარეჯანისძისთვის გამართული ნადიმი ასეა აღწერილი: „მუნ სამყოთა ტაბლათა თუალისა ჭიქათა და ჯამთა მეტი არა იმსახურებოდა. რომელიმე იყო **ჭიქა ძოწეულისა იაგუნდისა**, და რომელიმე-მწუანისა ზურმუხტისა, რომელიმე **იაგუნდისა ყუთნლისა**, და რომელიმე **ბალახშისა**.“

(გვ. 317-318)

ნესტანის სილამაზით დატყვევებული ფატმანი ამბობს: **„ვფიცავ, რომე იგი მზეა, არა ჰმართებს მზესა მზობა.“** (სტრ. 1136)

ტარიელი ნესტანზე ამბობს: „პირისპირ მჯდა იგი მზე, გული ვისთვისცა კედებოდა,“ (სტრ. 482)

ნესტანის სილამაზემ უსენი განაცვიფრა: **„თუ ხორციელი არისცა, თვალნიცა მრისხვენ ღმრთისანი!“** (სტრ. 1155)

უცნობი მოყმე შავ ცხენზე იჯდა: **„შავი ცხენი** სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა.“ (სტრ. 84)

თინათინი „ . . . იყო მჯდომარე **ძოწეულითა რიდითა.**“ (სტრ. 124)

ავთანდილს „პირ-ოქრო რიდე ეხვია. . .“ (სტრ. 4)

ფრიდონმა ნესტანისა და ტარიელისათვის ტახტი დაადგმევინა, რომელიც ასეა აღწერილი: „მათ ქალ-ყრმათათვის **საჯდომი დაედგა თეთრ-ძოწეული**“ (სტრ. 1463)

ავთანდილისა და თინათინის ქორწილში „**იაგუნდისა ჯამები** იყვის, **ლალისა ჭიქები**, კვლა უცხო ფერთა ჭურჭელთა ჰსხდის უცხო-უცხო სიქები.“ (სტრ. 1551)

მოხმობილი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე დასტურდება ტექსტობრივი შეხვედრების ორი ჯგუფი: 1) ზედმიწევნითი, სიტყვა-სიტყვითი თანხვედრები და 2) შინაარსობრივი ანუ აზრობრივი პარალელები, რომლებიც მსგავსია გადმოცემული შინაარსის თვალსაზრისით, მაგრამ ადგილი არ აქვს ზუსტ ლექსიკურ ანალოგიას, თუმცა, ზოგჯერ, ლექსიკური მსგავსებებიც შეინიშნება.

ტექსტობრივი შეხვედრების ნიმუშები ძეგლების დასაწყისშივე იპყრობს ყურადღებას. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „ამირანდარეჯანიანის“ პირველ თავსა და „ვეფხისტყაოსნის“ ამბის დასაწყისს. ძეგლების მითითებულ ადგილებს ტექსტობრივი პარალელების ერთ ნაწილში თავმოყრა და ამგვარი შეხვედრების რელიეფური მაგალითები

გამოარჩევს. ჰინდოთ მეყვე აბესალომისა და როსტევან არაბთა მეფის ნადირობის აღწერა სიტყვა-სიტყვით მიჰყვება და ყველა მნიშვნელოვანი პასაჟით ემოძვრება ერთმანეთს.

ასე მაგალითად, სრულ აზრობრივ და ლექსიკურ შეხვედრას აქვს ადგილი აბესალომ მეფისა და როსტევან მეფის დახასიათებისას: ერთნაირია უცხო მოყმისა და საუცხოო ქურციკის აბესალომისა და როსტევანისეული შეფასება. ისინი მათ „საკვირველად" მიიჩნევენ. საერთოა ამ ორი მონარქის ყურადღების ობიექტით დაინტერესება და სურვილი მათთან მიახლებისა. ერთნაირია მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება უცხო მოყმისა და ქურციკის შეპყრობის შესახებ და ამ გადაწყვეტილების მეყვესეულობა. მეყვე აბესალომიც და როსტევანიც პირადად, მთელი ამალის თანხლებით დაედევნებიან ქურციკსა და უცნობ რაინდს. საერთოა საკვირველი ქურციკისა და უცხო მოყმის უეცარი და უკვალო გაუჩინარების ფაქტი. საერთოა, აგრეთვე, ამ გარემოებით გამოწვეული ხელმწიფეთა „ჭმუნვა" და ძებნებში მისი გადმოცემის სიტყვა-სიტყვითი დამთხვევა. მსგავსია ნებიერ მონარქთა მიერ მწუხარებისა და სევდის გამოხატულება „უცხო" რაინდისა და „საკვირველი" ქურციკის მიერ მინიშნებული სამი უცნობი ჭაბუკის ამბის არ ცოდნის გამო. ერთნაირ ვითარებაში მყოფი შეჭირვებული ხელმწიფენი იწონებენ და ეწერწმუნებიან უახლესი ადამიანების – აბესალომის შემთხვევაში ვაზირთა უხუცესის, ჯაზირის, ხოლო როსტევანთან მიმართებაში ქალიშვილის რჩევას, ქურციკისა და ტარიელის მოძებნა ქვეშევრდომებს დაავალონ. პრობლემის ერთგვარი გზით გადაწყვეტა თანაბრად შედეგიანი აღმოჩნდება ორივე შემთხვევაში – აბესალომ მეყვის ქვეშევრდომები და როსტევანის სპასპეტი ავთანდილი საბოლოოდ მიაკვლევენ თავიანთი ძებნის საგანს.

ამგვარი ზედმიწევნითი თანხვედრების ფონზე ყურადღებას იპყრობს „ამირანდარეჯანიანისეული" ქურციკის „უცხო მოყმით" ჩანაცვლების ფაქტი. მნიშვნელოვანია, რომ უცნობი რაინდი ვეფხვის ტყავით არის შემოსილი და ვეფხისტყაოსან მოყმედ იწოდება. ყერთა გამა, რომელიც ქურციკის აღწერილობაშია მოცემული და ვეფხვის ტყავის ბუნებრივი შეფერილობა სავსებით თანხვდება ერთმანეთს. ვეფხისტყაოსანი რაინდის გამოჩენა როსტევანს მიახვედრებს, რომ საქმე აქვს უჩვეულო და საკვირველ მოვლენასთან. ვეფხვის ტყავი სიმბოლოა სამყოფ ინიციაციისა, რადგანაც იგი დაკავშირებულია ხელახლა შობასთან, უმაღლეს სიბრძნესთან ზიარებასთან. ვეფხიტყაოსნობა კი არის ინიციაციის გაგლის, ნებელეთზე გამარჯვების, ნათელშემოსილების გამოხატულება. ბასილი დიდის „ფიზიოლოგის" მიხედვით, ვეფხვი სიმბოლოა ქრისტესი. ამდენად, ვეფხვის ტყავით მოსილის გაგება ფუნქციურად ედრება ღმერთშემოსილის გაგებას. ზემხედველი როსტევანისათვის იმთავითვე ნათელია, რომ უცხო მოყმე სწორედ ამგვარი პიროვნებაა, რაც პოემაში შემდგომ დასტურდება კიდეც. ანალოგიური აღქმა აქვს მეყვე აბესალომს, როდესაც ნადირობისას საკვირველ ცხოველს გადაეყრება. გავრცელებული წარმოდგენით, ნადირთ ღვთება, ანუ ნადირთ პატრონი, თავისი ბუნებით ზოომორფულია. რიგ შემთხვევებში იგი ქურციკის სახეში მოიაზრება, რომელსაც სხვა ცხოველთაგან მხოლოდ რაიმე ნიშანი „თეთრი ფერი, ოქროს რქები, დაგრეხილი ან ამობრუნებული რქა ან ცალი რქა, ჩვეულებრივზე დიდი ზომა ან ჭრელი ტყავი განასხვავებს."[5] მეყვე აცნობიერებს, რომ იგი ანაზდეულად საღმრთო ნადირს გადაეყარა. სწორედ ამან გამოიწვია მისი ცხოველი ინტერესი კეელზე გამოსახული უცნობი ჭაბუკების მიმართ. ქურციკის გამოჩენა მიანიშნებს მოსალოდნელი თავგადასავლის უჩვეულობასა და მნიშვნელობაზე, რაც მართლდება უძლეველი რაინდის ამირან დარეჯანისძის ამბით.

„ამირანდარეჯანიანსა" და „ვეფხისტყაოსანში" მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ მეყვეებს, როგორც ქმედ გმირებსა და უხუნაეს ხელისუფალთ. ეს ფაქტი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს რეალური ყოფის გამოძახილია და უდავოდ წარმოადგენს ჟანრის რეკვიზიტს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ვეფხისტყაოსანში" მეყვეები უფრო გამოკვეთილი პერსონაჟები არიან და მეტი დინამიურობით გამოირჩევიან. ისინი სრულყოფისათვის საჭირო ყველა თვისებით აღჭურვილ გმირებად გვევლინებიან და ხშირად ძნელია ამ თვისებების წარმოჩინების შესაძლებლობა. „ამირანდარეჯანიანში" მეყვის სახე გაცილებით სქემატურია და მოკლებულია ყოველგვარ ინდუვიდუალობას. ამ თავისებურებათა მიუხედავად, „ამირანდარეჯანიანისა" და „ვეფხისტყაოსნის" ტექსტუალური შეხვედრების

[5] ე. ვორსალაძე. ქართ. სამონადირეო ეპოსი, თბ., 1964, 29.

კვლევისას აშკარად იკვეთება ის მსგავსება, რომელიც მეფე პერსონაჟებს ახასიათებთ და ძეგლებში არაერთი ტექსტობრივი პარალელის სახით იჩენს თავს. ხელმწიფე-ძეგლების ძლიერებისა და მისი მსოფლხედვის გამომსატყვები სახე-სიმბოლოა. ამდენად, ორივე ძეგლი იდეალში მას მოიაზრებს, როგორც „მორჭმულსა“ და „განგებიანს“, როგორებადაც ისინი არიან კიდეც წარმოდგენილნი უმეტეს შემთხვევაში. თხზულებათა მიხედვით, მეფე ლაღი და სვეკეთილია, გამორჩეული სიბრძნითა და სამართლიანობით. მისი აუცილებელი თვისებებია გულუხვობა და საბოძვარხშირობა, სულგრძლობა და თანაგრძნობის უნარი. მეფე პერსონაჟებთან მიმართებაში „ამირანდარეჯანიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ განსაკუთრებული მსოფლმხედველობრივი დატვირთვა აქვს მონარქთა წუხილისა და თანაგრძნობის ფაქტს გასაჭირში მყოფი მათთვის სრულიად უცხო ადამიანებისადმი. ერთი უცხობის ტირილი და მწუხარება მათი დაინტერესებისა და ჭმუნვის მიზეზი ხდება. რუსტველ მეფე თანაუგრძნობს უცხო მოყმის გასაჭირს, დაინტერესდება მისი ტირილის მიზეზით. „რა უმძიმდა, „არ ვიცოდი, ან ტიროდა ვისთვის კიდე“ – გულისკვივილით განუმარტავს იგი ქალიშვილს. ამირან დარეჯანისძე, რომელიც ამავე დროს მეფეა, ანალოგიურ თანადგომას გამოხატავს, როცა მტირალ უცნობს ეკითხება: „ . . . ვინ ხარ, ძმაო, და ანუ უადგილოსა აქა ტირილად რად დასჯედ? . . .“ მსგავსი ფაქტები რამდენიმეგზის გვხვდება ამ ორ ძეგლში. ეს არის ტენდენცია, რომელსაც ადგილი აქვს „ამირანდარეჯანიანშიც“ და „ვეფხისტყაოსანშიც“, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ყოველისმპყრობელ ხელმწიფეთათვის, როგორც მეფე-პატრონთათვის, მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანის ბედი, რადგან ყოველი მათგანი ამსოფლიურ ღირებულებას წარმოადგენს. ასეთია ორივე ძეგლის ავტორის მსოფლმხედველობა, თუმცა „ვეფხისტყაოსანში“ მას განსაკუთრებული მასშტაბები აქვს, ადამიანური აზროვნების სხვა სიღრმეებს მოიცავს და სულ სხვა რანგშია აყვანილი.

ორივე ძეგლში ადგილი აქვს რაინდის გამეფების ფაქტს. ამგვარი რეალობის არსებობა ორგანულია სარაინდო ჟანრისათვის და წინ წამოწევს ისეთ პრობლემატიკას, როგორიცაა თაობათა ცვლისა და ტახტის გადაბარების, მემკვიდრეობითობის საკითხი. აღნიშნული პრობლემა აქტუალური ხდება ხელმწიფის დაბერების ბუნებრივი პროცესისა და ვაჟი მემკვიდრის არ ყოლის შემთხვევაში. ორივე ძეგლის თითქმის ყველა მოქმედი მეფე პერსონაჟი დგას აღნიშნული პრობლემის წინაშე და ვალდებულია მიიღოს სწორი გადაწყვეტილება. გზა რაინდობიდან ხელმწიფობამდე გრძელი და რთულია. ამგვარი ინიციაცია მრავალი განსაცდელის წიაღსვლითაა და ერთი შეხედვით გადაულახავი დაბრკოლებების დაძლევით მიიღწევა. მხოლოდ განსაკუთრებით რჩეული რაინდის ხვედრია, გახდეს ღირსი მეფის ასულზე დაქორწინებისა, დაიმსახუროს მისი სიყვარული და მოიპოვოს სამეფო გვირგვინი. თუ ტახტის ღირსეული პრეტენდენტის შერჩევისას მოხუცი მეფე უსამართლო გადაწყვეტილებას მიიღებს, ამ ნიადაგზე მოსალოდნელია გარკვეული კონფლიქტის აღმოცენებაც. ამ საკითხის სრულფასოვანი ანალიზი არ შეადგენს ჩვენი ამჟამინდელი კვლევის საგანს. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ეს არის აქტუალური პრობლემა, რომელიც „ამირანდარეჯანიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ რეალიზებულია მრავალი ტექსტუალური შეხვედრების სახით.

მსგავსება-თანხვედრილების თვალსაზრისით „ამირანდარეჯანიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ საგანგებო ყურადღებას იქცევს პატრონყმური ურთიერთობის საკითხი. პატრონყმობა, რომელიც შუა საუკუნეების საზოგადოების სოციალური საყრდენი იყო, ამ პატრონყმობა, რომელიც შუა საუკუნეების საზოგადოების სოციალური საყრდენი იყო, ამ საზოგადოების საყოველთაოდ გაზიარებულ ეთიკურ წარმოდგენებსა და იდეებს აერთიანებდა. ყველა ეს იდეა ჩვენთის საინტერესო ორივე ძეგლში სრულად განხორციელდა და ამ ფენომენთან მიმართებაში „ამირანდარეჯანიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“ დეტალურად თანხვდება ერთმანეთს. პატრონყმობის უმნიშვნელოვანესი პრინციპებია: პატრონის ერთგული სამსახური მთელი მორალურ-ფიზიკური შესაძლებლობებით და ამ სამსახურისათვის მუდმივი მზადყოფნა, სიუხვერნისათვის თავგანწირვა, მისი დაცვა და ხელშეუხებლობა, მორჩილება და პატივისცემა, მეფე-პატრონის, როგორც უმაღლესი სიუხვერნის, ცხებულება და ღვთისმსახურობა, პატრონისაგან ყმის სამსახურის ჯეროვანი დაფასება, მისი ღირსებების აღიარება, ვასალზე ზრუნვა, მისი პატივისცემა გულუხვი მასპინძლობითა თუ ძღვნობა-ბოძებით, გლახაკთა დაწყალობება, პატრონის სამართლიანობა და გულმოწყალება, კლასობრივი ჰარმონია სახოგადოებრივ ურთიერთობაში, რის გამოც ფეოდალური სახელმწიფოს სოციალური ცხოვრება დიდ, შეთანხმებულ, მშვიდობიან ოჯახად მოიაზრება.

აღნიშნული პრინციპები ძეგლებში გაიდეალებულია და არაერთგზის დემონსტრირდება ავტორის ზუსტი ტექსტობრივი თანხვედრების, ხან კი – შინაარსობრივი პარალელების სახით.

„ამირანდარეჯანიანსა" და „ვეფხისტყაოსანში" აღწერილი სოციალური ურთიერთობა ფეოდალური საქართველოს პატრონყმური ყოფის რეალურ სურათს ასახავს. ცნობილია, რომ შუა საუკუნეები დასავლეთში ფეოდალიზმის ზეობის ხანადაა აღიარებული, ამავე პერიოდის წამყვან ლიტერატურად კი ფრანგული მიიჩნევა. მეცნიერები ამას საფრანგეთში ფეოდალიზმის კლასიკური ფორმების არსებობით ხსნიან. ქართული ფეოდალიზმი, რომელიც XII-XIII საკ-ებ-ში კლასიკური ფორმით არსებობდა, დიდ სიახლოვეს ამყოფებდა ფრანგულ ფეოდალიზმთან, ხოლო ქართული პატრონყმური ურთიერთობა – ფრანგულ ვასალიტეტთან. პატრონყმური ურთიერთობა წარმოადგენდა ფეოდალური ქვეყნის სოციალურ საყრდენს და იმ ჭაკუთხედს, რომელზეც ვითარდებოდა ეპოქალური ჟანრის – სარაინდო რომანის მოქმედება. პატრონყმობა ეპოქის მსოფლმხედველობამ და სოციალურმა რეალობამ ჟანრის ატრიბუტად აქცია. იგი სრულფასოვნად აისახა ჩვენივის სინტერესო ორივე ძეგლში. როგორც ტექსტობრივი შეხვედრების ანალიზმა გვიჩვენა, ამ სიბრტყეში „ამირანდარეჯანიანი" და „ვეფხისტყაოსანი" ყველაზე რელიეფურად თანხვდება ერთმანეთს.

თხზულებათა მიხედვით, პატრონყმური ურთიერთობა მასში მონაწილე ორივე მხარისათვის ერთნაირად ხელსაყრელი და სასურველია. იცავს რა პატრონის ხელშეუხებლობას და მის პიროვნებას ყოველგვარი ხელყოფისაგან, რაინდი ინარჩუნებს საუთარ კეთილდღეობას და ყველა სიკეთეს მეფეს უმადლის, მისი მეშვეობით მოპოვებულად მიიჩნევს. ვეჭართუხუცესი უსენი მადლიერ მეფეს ასე მიმართავს: „რაცა სხვა მაქვს, ვისი არის ოქრო, თუნდა საჭურჭლეო, დედის მუცლით რა გამომყვა? მბოძება თქვენგან მეო." (სტრ. 1177) ამირან დარეჯანისძე ამირ მუმლს პასუხობს: „ძღუენისა კუალა მადლი რად გინდა, ყუელაი თქუენი ნაბოძუარია და თქუენითა ბედითა მოგებული არის. (გვ. 202) თავის მხრივ, მეფეებიც ღირსეულად აფასებენ რაინდთა ღვაწლსა და საგმირო საქმეებს. პატრონთა მხრიდან ყმა რაინდებისადმი კეთილგანწყობისა და მადლიერების გამოხატვა „ამირანდარეჯანიანშიც" და „ვეფხისტყაოსანშიც" ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვხვდება, განუზომელი გაცემა-ბოძების სახით. დიდთა და მცირეთათვის „ხბცით ნაბუქალი" წყალობა, უხეი დასაწუქრება, ვასალთა „დამსვა", მათთვის გამართული ნადირობა, ნადიმი და ასპარეზობა, კარვის დადგმა, მიგებება თუ გაცილება, მეფის კმაყოფილების, ვასალებისადმი მისი პატივისცემის გამომხატველია და უმაღლესი სიუხვრენის ღვთივგვირგვინისნებას, ღირსეულობასა და საშორსილანობას უსვამს ხაზს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ვეფხისტყაოსანში" „მეფეთა შიგან სიუხვეს" უფრო ადმატებული მსოფლმხედველობრივი დატვირთვა ენიჭება. მორალი: „რასაცა გასცემ შენია, რასც არა, დაკარგულია" – ეთიკური კოდექსის სახეს ატარებს და მეფეთა მხრიდან პოლიტიკის რანგში აყვანილი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ქვეყნის კეთილდღეობას. ვასალისა და პატრონის აწყოსა და მომავლის გადაჯაჭვულობა, მათი ურთიერთხელსაყრელი თანაარსებობა და ურთიერთგანპირობებულობა, რაც ნიშანდობლივია ორივე ძეგლისათვის, წარმოადგენს კიდევ ერთ ფაქტორს, რომელიც ფეოდალური ოჯახის იდილიასა და კლასობრივი ჰარმონიის გარემოს ქმნის.

„ამირანდარეჯანიანის" და „ვეფხისტყაოსანის" ტექსტობრივი შეხვედრების კვლევისას ზედაპირული დაკვირვებითაც აშკარაა, რომ ორივე ავტორი მიზნად ისახავს, შექმნას იდეალური გმირი, რომელშიც შუა საუკუნეების ფეოდალური ეპოქის პირმშოს – კეთილშობილ რაინდს მოიაზრებს. მათ თანაბარი ძალით აქვთ განცდილი რაინდის ძლიერი ფიგურის არსებობის აუცილებლობა, მისი, როგორც ქვეყნის კეთილდღეობის თავმდებისა და დამცველის, რეალური საჭიროება. ისინი ვაჟკაცის სრულყოფილების რაინდის ფიგურაში ჭერენენ, რომელსაც აუცილებლად უნდა ახასიათებდეს „სამამაცო ზნეთა" სრული კომპლექსი. ძეგლების მიხედვით, რაინდი უძლეველი მეომარია, რომელიც განსაკუთრებული ფიზიკური ძალით გამოირჩევა. მისი საგმირო საქმეები უმაღლესი სამხედრო ქველობის გამოვლინებაა და თხზულებებში არა ერთგზის დემონსტრირდება მაღარი ორთაბრძოლების, ხელჩართული, დაუნდობელი ომებისა და საკვირველ ძლევამა სახით. იდეალური გმირის უჩვეულო, განსაცვიფრებელი ძლიერების უკუნველი დადასტურებაა „ამირანდარეჯანიანსა" და „ვეფხისტყაოსანში" რაინდთა მიერ ლომების უჭირველად, „ვით კატაო", ხოცვის არა ერთი ფაქტი. ორივე ძეგლის მიხედვით, რაინდი უშიშარია და თავდაჯერებული, სავსებით დარწმუნებულია საკუთარ შესაძლებლობებში და მუდმივად მზად არის, შეასრულოს თავისი

მისია, თუმცა სრულად აქვს გააზრებული მოსალოდნელი ხიფათის ალბათობაც. იდეალურ გმირთა ამ შეუღწეველობისა და სწორუპოვრობის გამო ორივე ძეგლის ავტორი მათ „ლომებად“ და „ლომთა ლომებად“ მიიჩნევს. რაინდთა აღნიშნული თვისებები შეგვხვდება მკვეთრი ტექსტობრივი პარალელიზმით არის აღბეჭდილი.

იდეალური პერსონაჟის – კეთილშობილი რაინდისათვის, ნიშანდობლივია პირადი მოვალეობის შეგნება და მისი ზედმიწევნითი შესრულება, სარაინდო კოდექსის შეუბღალვად დაცვა, სიმართლის ძებნა და სამართლის განხორება, მუდმივი მზაობა ბოროტებასთან საბრძოლველად, სულგრძელობა, დამარცხებულის შენდობა, სიკეთის ქმნა და ა. შ. რაინდს ვხედავ დარაგრულის ქომაგობა და გასაჭირში მყოფის დახმარება, განსაკუთრებით მაშინ, როცა მფარველობას საბრძოლო ხელოვნების უმეცარი და თავდაცვის უნარს მოკლებული თანამოძმე საჭიროებს. ორივე ძეგლი მდიდარია ამგვარი შემთხვევებით, მაგრამ, როგორც მსოფლმხედველობრივი, ასევე ტექსტობრივი პარალელების თვალსაზრისით, გამორჩეულად საყურადღებოა რაინდთა მიერ ვაჭართა ქომაგობის და მეკობრეთაგან მათი გამოხსნის ფაქტები. ავთანდილისა და ამირან დარეჯანისძის მიერ ვაჭართა ქარავნის დაცვისა და მძარცველთაგან გადარჩენის ეპიზოდები ყველა მნიშვნელოვანი პასაჟით თანხვედრა ერთმანეთს და სიტყვა-სიტყვითი ტექსტობრივი შეხვედრების სიუხვით გამოირჩევა. ზემოთ მოტანილი ტექსტუალური პარალელების სურათი მოწმობს, რომ, „ამირანდარეჯანიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ ვაჭართა აღქმა და მათდამი დამოკიდებულება ერთგვაროვანია. რაინდები რეალურად აფასებენ მათ ღირსება-ნაკლოვანებებს, აყვედრიან ვაჭრებს საბრძოლო ხელოვნების უცოდინრობასა და სარაინდო ფასეულობათა არქონას, მაგრამ, როცა საჭიროება მოითხოვს, თავგანწირვით იცავენ და ბოლომდე ეხმარებიან მათ. თავის მხრივ, არანაკლები მნიშვნელობის მატარებელია ვაჭართა მიერ რაინდებისათვის გაწეული სამსახური. სწორედ მათი მეშვეობით მიაკვლევენ გმირები თავიანთი ძებნის საგანს – ამირან დარეჯანისძე ხუარაშან ქალის ადგილსამყოფელს გაარკვევს, ავთანდილი კი – ნესტანისას. გვაროვნული არისტოკრატიისა და ვაჭრული არისტოკრატიის ურთიერთხელსაყრელი და ჰარმონიული თანაარსებობა თვალსაჩინო ფაქტია ორივე ძეგლის მიხედვით. „ვეფხისტყაოსნის“ გერმანული თარგმანის წინასიტყვაობაში ჰ. ჭუკერტი აღნიშნავს, რომ პოემაში „ცანაძის შეკვრა რაინდულ-ფეოდალური ნიშნით წარმოებს, მისი გახსნა და გადაჭრა კი ქალაქურ-ვაჭრული ნიშნით“.[6] იგივე ითქმის „ამირანდარეჯანიანთან“ მიმართებაშიც. ორივე შემთხვევაში თანაბარი ძალით აქვს განვლილი ამ ორი ფენის შეთანხმებული და კეთილმოსურნე ურთიერთობის აუცილებლობა. ამით აიხსნება ძეგლებში ვაჭართა წრის განსაკუთრებული ადგილი და აღნიშნული სოციალური როლების გადაჯაჭვულობა, რაც ქართული ფეოდალური სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურმა რეალობამ და ქვეყნის აღმავლობაში ვაჭრული არისტოკრატიის განსაკუთრებულმა მნიშვნელობამ განსაზღვრა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მ. ხინკლისა და შ. რუსთაველის იდეალური გმირები კეთილშობილი რაინდები არიან, რომლებიც ჩამოთვლილი თვისებების გარდა, კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი შტრიხით ემსგავსებიან ერთმანეთს. მათთვის დამახასიათებელია მეგობრისათვის სრული თავდადება. ბრძოლა სიყვარულის მოსაპოვებლად და მის დასაცავად. ძეგლების მიხედვით, იდეალურ გმირთა ყოველდღიური ცხოვრების წესიც (ზეიმ-ნადიმი, ნადირობა, ასპარეზობა, ძღვნობა-ბოძება) ძალიან ჰგავს ერთმანეთს. იმ თვისებათა შორის, რომელიც რაინდისათვის აუცილებელად მოიაზრება, მნიშვნელოვანია მისი მაღალი სოციალური წარმომავლობა. ორივე ძეგლის მიხედვით, იდეალური გმირები უმაღლეს გვაროვნულ არისტოკრატიას მიეკუთვნებიან. ამასთანავე, ისინი შეუდარებელი გარეგნული მშვენიერებითაც გამოირჩევიან. რაინდის ყველა აღნიშნულ თვისებასთან მიმართებაში ორივე შემოქმედის განწყობილება ერთ მთლიანობაში ერთიანდება. მათთვის იდეალური გმირი სრულყოფილი პერსონაჟია, მაგრამ თავად სრულყოფილების გაგება სხვადასხვაგვარია. იგი მ. ხინკლისათვის ის კატეგორიაა, რომელიც მხოლოდ ჩვენს მიერ შეძლებისდაგვარად დაწვრილებით ჩამოთვლილი თვისებების ერთობლიობას წარმოადგენს, აბსოლუტურად თავსდება საგმირო-სარაინდო ჟანრის ჩარჩოები და მთლიანად ეპოქის მოთხოვნებით არის განსაზღვრული.

რუსთაველისათვის სამხედრო ქველობასა და საგმირო საქმეებს ისეთივე ღირებულება აქვს, როგორც მ. ხინკლისათვის. იგი მათ ისევე აუცილებლად და საჭიროდ მიიჩნევს,

[6] Schotha Rusthaveli, Der Recke im Tigerfell, Berlin, Rutten u. Loening. Geleitwort des Ubersetzers: "Rustaveli und sein Poem", 27.

როგორც „ამირანდარეჯანიანის“ ავტორი, თუმცა მხოლოდ ამით არ კმაყოფილდება. მისი იდეალური გმირისათვის ჩამოთვლილი ნიშან-თვისებები სრულყოფილების ერთი მხარეა. „ვეფხისტყაოსნის“ რაინდს აქვს არანაკლები მნიშვნელოვანი სხვა მხარეებიც. სრულყოფილება რუსთაველისათვის თვისებათა რთული კომპლექსია. მისი იდეალი ჰუმანური, გონებაგახსნილი, მადალმორალური, გაინებითა და გულით ბრძენი, მშვენიერი, ლაღი, დახვეწილი, მგრძნობიარე, ძლიერი განცდის უნარის მქონე, აუქქარებელი, ფილოსოფიური, განმჭვრეტი გმირია, რომელშიც ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს უპირატესი სულიერი და ფიზიკური თვისებები. რუსთაველისათვის სრულყოფა საზომია, რომლითაც იგი ადამიანებს ერთიმეორისაგან განარჩევს. „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“ – ეს არის პოემის ერთგვარი კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ავტორი ადამიანებს აქსიოლოგიურ სკალაზე აყენებს არა მათი წარმოშობის, არამედ მათი პიროვნული სრულყოფილების ნიშნით. რუსთაველის ჰარმონიული ადამიანი მოიაზრება, როგორც ამქვეყნად ყოველივე ღირებულის დასაბამი და მიზანი. ეს არის პოემის საერთო სულისკვეთება, რომელიც მას პირველი სტრიქონიდან ბოლომდე გასდევს.

ომი და სისხლიანი შეტაკებები „ამირანდარეჯანიანის“ ჭაბუკების ცხოვრების წესია. მათგან განსხვავებით, „ვეფხისტყაოსნის“ რაინდები არ ცხოვრობენ მუდმივი ბრძოლის გარემოში, მაგრამ არსებობენ და მოქმედებენ გაუსაძლისი ემოციური დაძაბულობის ატმოსფეროში. პოემაში ნამდვილი ბრძოლა გმირების შინაგან სამყაროში მიმდინარეობს, ნამდვილი კონფლიქტი მოქმედ პირთა შიგნით არის გადატანილი და ნებისა და ემოციის დაპირისპირებულობაში გამოიხატება. „ვეფხისტყაოსანში“ პრობლემაა საკუთარ გრძნობებზე გაბატონება და არა მტრებთან შებმა. სიუჟეტის განვითარებაც კი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გადაწყდება გმირის შიგნით „უმოქმედო კაეშნისა და მოქმედებისაკენ მიმწევდებელი გონების ბრძოლის ბედი“,[7] როგორ მოახერხებს იგი, რაციონალური და ირაციონალური საწყისების ჰარმონიზაციას. ესაა „ვეფხისტყაოსნის“ რაინდის მთავარი მისია და გმირობის საგანი. ამგვარი არსებითი განსხვავება ძველების ავტორთა შემოქმედებით მიზანდასახულობის სხვადასხვაობით არის განპირობებული. მ. ხინელის მიზანია, გამოძერწოს უძლეველი რაინდის ფიგურა და როგორც საგმირო ეპოსისთვისაა დამახასიათებელი, მისი ძლევამოსილება სხვადასხვაგვარ საბრძოლო თავგადასავლებში გვიჩვენოს.

რუსთაველის შემოქმედებითი მიზანდასახულობა კი არის, შექმნას იდეალური, მაგრამ კაცებრივი ბუნების მქონე გმირი, რომელმაც უნდა შეძლოს განსჯისა და ემოციის დაპირისპირებულობის გადალახვა და მოქმედების ჯეროვანი გზით წარმართვა. გენიალურმა შემოქმედმა თავის სრულყოფილ გმირს დააკისრა ქვეყნიერებისათვის „სწორი ფიქრისა და აზრის“ მიცემა და რაციონალურისა და ირაციონალურის ჰარმონიული შერწყმის გზით სამყაროს გაკეთილშობილებისაკენ, უკეთესობისაკენ წარმართვა.

ტექსტუალური პარალელების ანალიზმა გვიჩვენა, რომ „ამირანდარეჯანიანისა“ და „ვეფხისტყაოსნისათვის“ დამახასიათებელია გმირების, ფაქტებისა და მოვლენების პიპერბოლიზება, რაც, საზოგადოდ, ნიშანდობლივია საგმირო-სარაინდო ჟანრისათვის. სწორუპოვარი რაინდის მხატვრული სახის შესაქმნელად მ. ხინელი მკვეთრ ჰიპერბოლას მიმართავს, რაც მის პერსონაჟებსა და სიუჟეტს ფანტასტიკურობისა და არარეალურობის ელფერს ანიჭებს. იდეალური გმირის განდიდებისათვის რუსთაველი ორი საწყისის – რეალიზმისა და ჰიპერბოლიზმის – სინთეზს ახდენს. „ვეფხისტყაოსანში“ გაზეიადებულია გმირთა ღირსებებიც, მათი გრძნობის სიძლიერეც და მისი გამოხატვის ფორმაც. მაგრამ აბსოლუტურად ნამდვილია კონკრეტული ვითარებებით განსაზღვრული, ყოველთვის რეალურად გადმოცემული მისი გმირების გრძნობისა და განცდის ცვალებადობის დინამიკა. იგი იმდენად რეალურია, რომ მკითხველს ვერც კი წარმოუდგენია პერსონაჟებში განსხვავებულ გრძნობათა აღმოცენება, მათ მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღება და სხვაგვარი მოქმედება, ვიდრე ამას რუსთაველი გვთავაზობს. მათი გასაჭირი და ტკივილი მკითხველისთვისაც ნაცნობი ტკივილი და გასაჭირია. ამიტომ, რუსთაველის გმირები არიან იდეალურნი, მაგრამ, ამავე დროს, აბსოლუტურად რეალურნი და ჰიპერბოლიზაციის მიუხედავად, არ კარგავენ დამაჯერებლობასა და ინდივიდუალობას.

[7] ნ. ნათაძე, სიბრძნე, ნება, ირაციონალური ადამიანი, თბ., 1982, 47.

ტექსტობრივი შეხვედრების კვლევისას ყურადღებას იპყრობს ერთი არსებითი ფაქტი. „ამირანდარეჯანიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ძლევამოსილი და უდრეკი გმირები ცრემლს ღვრიან გასაჭირში ჩავარდნილი თანამოძმისადმი ღრმა თანაგრძნობისა და გულისტკივილის ნიშნად. გრძნობის ამ უმაღლესი ემოციური ფორმით გამოხატვა გმირებს ნაკლად კი არ ეთვლებათ, არამედ ღირსებად, რომელიც მათი კეთილშობილებისა და რაინდის ძლიერი ფიგურის ქვეშ დაფარული ფაქიზი მგრძნობელობის გამოხატულებაა. „ამირანდარეჯანიანში“ არსებული ეს მნიშვნელოვანი ფაქტი, ერთი უცნობის ბედით ხელმწიფეთა ყურადღებისა და დაინტერესების ტენდენციასთან ერთად, ადასტურებს, რომ რუსთაველს ჰქონდა შემზადებული *ნიადაგი და საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ შეექმნა სრულიად ახალი სახე* მგრძნობიარე გულითა და ძლიერი განცდის უნარით აღბეჭდილი იდეალური გმირისა და მისი სულის მოძრაობის, შინაგანი ცხოვრებისა და ინდივიდუალობის ასახვისათვის დიდი გასაქანი მიეცა.

საკვლევი მასალის შესწავლის შედეგად, ვფიქრობთ, სურათი ნათელია. ზემოთ მოტანილი ტექსტობრივი პარალელების ერთობლიობა და მათი ანალიზი ცხადყოფს, რომ „ამირანდარეჯანიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსება მთლიანად სარაინდო ჟანრის სპეციფიკით არის განსაზღვრული. რადგან ძეგლებს შორის პარალელიზმი მარტოოდენ ამ კუთხით იჩენს თავს, საჭიროა, რამდენიმე სიტყვით მათ ჟანრობრივ კუთვნილებასაც შევეხოთ. „ამირანდარეჯანიანის“ ჟანრის საკითხთან დაკავშირებით, ადგილი აქვს აზრთა სხვადასხვაობას, რაც ცალკე კვლევის საგანია, მაგრამ, ჩვენი აზრით, „ამირანდარეჯანიანი“, როგორც „შერეული ჟანრის ნაწარმოები, რომელშიც აშკარაა ორივე ჟანრის (საგმირო ეპოსისა და სარაინდო რომანის) ატრიბუტების არსებობა, მართლაც, უნდა ჩაითვალოს საგმირო-რომანულ ეპოსად,“[8] როგორც ამას გვთავაზობენ ე. მელეტინსკი და მ. მამაცაშვილი. სამეცნიერო აზრი ერთგვაროვანი არ არის არც „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრის საკითხთან მიმართებაში. მკვლევართა უმრავლესობისაგან განსხვავებით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ იგი არის არა სარაინდო რომანი, არამედ რომანული პოემა, როგორც ამას ამტკიცებს ე. მელეტინსკი.[9] მართალია, ძეგლში დიდია სარაინდო ჟანრის ელემენტების ხვედრითი წილი, მაგრამ ისინი მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ გარეგნულ ფორმას განსაზღვრავენ. თავად ნაწარმოების შინაარსის ღრმა ანალიზი და რუსთაველის შემოქმედებითი მიზანდასახულობის გარკვევა სულ სხვა რეალობას გვიდასტურებს. მაშინ, როდესაც სიუჟეტის განვითარების პროცესში კონკრეტული ვითარება და სარაინდო ჟანრის სპეციფიკა მოითხოვს გმირების შერკინებას, რუსთაველი ყოველთვის გვერდს უვლის სისხლისღვრას, გარდა საფუძვლიანად მოტივირებული უკიდურესი აუცილებლობისა. „ვეფხისტყაოსანში“ არასოდეს იღვრება სისხლი ძალის დემონსტრირებისა და სახელის მოხვეჭის მიზნით. მთავარი ომი აქ გმირების შინაგან სამყაროში არის გადატანილი. საკუთარ თავთან ბრძოლამ და ირაციონალური საწყისის დაძლევამ უნდა აზიაროს რაინდი სრულყოფილებას და გამარჯვებამდე მიიყვანოს. ეს არის რუსთაველის გმირის ძირითადი პრობლემა და არა სახელის ძიება, მტერთან შებრძოლება ან მისი ძლევა. აღნიშნული გარემოება ერთ-ერთი არსებითია „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრული კუთვნილების თვალსაზრისით. ეს საკითხი არ წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომის განხილვის საგანს, მაგრამ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ „არ არსებობს სუფთა სახით წარმოდგენილი ერთი რომელიმე ჟანრი, რომელიც აბსოლუტურად თავისუფალი იყოს მეზობელი ჟანრის ელემენტებისა და სპეციფიკისაგან.“[10] ამრიგად, თუ თავს მოვუყრით ყოველივე ზემოთქმულს და მოქმედებებისა და მოვლენების პოეტური განვითარების ერთიან სივრცესთან მიმართებაში განვიხილავთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს მართლაც რომანულ პოემას და არა სარაინდო რომანს.

მეცნიერებაში საყოველთაოდ გაზიარებული მოსაზრებაა, რომ რუსთაველის იდეები იყო სრულიად ახალი და უცხო ქართული ლიტერატურული რეალობისათვის. ასევე დადგენილი ფაქტია, რომ შუა საუკუნეების ხელოვნება ორიენტირებული იყო ნაცნობზე და არა „უცნობსა“ და „უცნაურზე“, რამაც განაპირობა საუკუნეების მანძილზე ლიტერატურული ნაწარმოებების სიუჟეტის მდგრადობა და განმეორებულობა. „ . . . პოეტის შემოქმედებითი ფანტაზია უნდა გაჰყოლოდა სავსებით გარკვეულ ჩარჩოებს, მსმენელს უნდა მიეღო იგი, რასაც მიჩვეული იყო. . . ამიტომ შეიძლება ვილაპარაკოთ „ჩვეულ ესთეტიკაზე“ – მსმენელის

---

[8] მ. მამაცაშვილი, ამირანდარეჯანიანის ჟანრის საკითხისათვის, მრავალთავი, XVIII, თბ., 1999, 361.

[9] ე. მელეტინსკი, დასახ. ნაშრომი, 208.

[10] მ. მამაცაშვილი, ამირანდარეჯანიანის ჟანრის საკითხისათვის, მრავალთავი, XVIII, თბ., 1999, 358.

ესთეტიკური გრძნობა კმაყოფილდება მხოლოდ იმ ფორმებითა და სიუჟეტებით, რომელსაც იგი მიჩვეულია“.[1] ამდენად, ქართული ფეოდალური საზოგადოების ლიტერატურულმა გემოვნებამ თავისთავად განაპირობა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი და მასში სარაინდო ჟანრის ელემენტების ხვედრითი წილი. რუსთაველის პოეტიკის პრინციპებიდან გამომდინარე, მისი

მაღალი ხელოვნება მკითხველისათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ შემოქმედებითი ამოცანის განხორციელებისათვის რუსთაველმა არ მოინდომა კომპრომისზე წასვლა იდეებთან. მას არც სურვილი ჰქონდა და არც მიზანი მკითხველისათვის თავისი აზროვანწყობილება ადაპტირებულად, იდეები კი შერჩევითობით მიეწოდებინა. შემოქმედებითი თემის დამუშავების ასეთი ეპოქალური წესის პირობებში, რომელსაც საუუნეებზე გამწვდომი ძალა ადმოაჩნდა, რუსთაველმა შეძლო, ტრადიცია და სიახლე ერომანეთთან მოერგებინა. მან ძველისა და ნაცნობის ფუნქცია ფორმას დააკისრა და ეთილშობილი რაინდის ყველასათვის მახლობელი და საყოველთაოდ მისაღები ფიგურის ქვეშ გახსნა ადამიანის სულის ღრმა შრეები, შემოიტანა არსებითად ახალი იდეები და ქართული საზოგადოება სხვა მსოფლმხედველობრივ მასშტაბებს აზიარა.

„ამირანდარეჯანიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ურთიერთმიმართებით დასტურდება, რომ საქმე გვაქვს ლიტერატურულ-ისტორიული პროცესის მთლიანობასთან. „ვეფხისტყაოსანი“ არ არის ამოვარდნილი ეროვნულ-კულტურული გარემოდან. იგი „ჩეტყორივით“ კი არ მოვლენია ქართულ ლიტერატურას, არამედ ჰქონდა კარგად შემზადებული ნიადაგი. მის შექმნამდე არსებობდა ის ლიტერატურული და კულტურული წანამძღვრები, რომლებმაც გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ფონზე მოგვიყვანა რუსთაველამდე, „ქართული პოეტური გენიის ზეიმამდე“ (შ. ნუცუბიძე). სწორედ ასეთ წანამძღვარს წარმოადგენდა „ამირანდარეჯანიანი“. მასში „შესამჩნევია ცალკეულ ამბავთა ისეთი ძირები, რომელნიც ფეოდალური ურთიერთობის განვითარების დასაწყისს ეყრდნობა და გაცილებით უსწრებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავისთავად რაინდული ეოფის დამკვიდრებას . . .“[2] ნაწარმოების ეს ნაწილი ცალკე ფენის შთაბეჭდილებას ქმნის, რომელიც უძველესი წარმოშობის ნიშნებით ხასიათდება. აღნიშნული გარემოება, ჟანრის განვითარების ზოგადი კანონზომიერება, „ამირანდარეჯანიანსა“ და „ვეფხისტყაოსანს“ შორის არსებული ტექსტობრივი პარალელები და ძეგლების ლექსიკა გვაფიქრებინებს, რომ „ამირანდარეჯანიანი“ რამდენიმე ათეული წლით მაინც წინ უნდა უსწრებდეს „ვეფხისტყაოსანს“. ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი კარგად იცნობს „ამირანდარეჯანიანს.“ ძეგლებს შორის ეს ნაცნობობა დადასტურებულია ხედმიწევნითი ტექსტობრივი შეხვედრებით, შინაარსობრივი პარალელებით, სიუჟეტური მსგავსებით, მთელი პასაჟების თანხვედრით. ყურადღებას იპყრობს მეფეთა სასახლეების, ციხე-დარბაზების, განძეულობის, სამკაულების, პატიოსანი ქვების, ძვირფასი ქსოვილების, ტანისამოსის, ლარის, საბრძოლო იარაღისა თუ საყოფაცხოვრებო ნივთების (ჭურჭელი, ჯამები, ჭიქები) და სხვათა მსგავსი აღწერა. მოკლეული მასალა შეიცავს ფაქტებს, სადაც თანხვედრა ძეგლებს შორის ციფრების სიზუსტით არის აღბეჭდილი. მაგრამ საერთო ტენდენციების არსებობა და შეხების მრავალი წერტილი არ წარმოშობს მ. ხინკლისა და შ. რუსთაველს შორის ურთიერთგავლენის საკითხს. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს გათავისებული აქვს „ამირანდარეჯანიანი“ და როცა საჭიროება მოითხოვს, გამოიყენოს უკვე დამკვიდრებული და კარგად ნაცნობი, მხოლოდ მაშინ, აბსოლუტურად გააზრებულად მიმართავს მ. ხინკლს, ენდობა როგორც შემოქმედს და მთლიანად ეყრდნობა მას.

„ამირანდარეჯანიანსა “ და „ვეფხისტყაოსანში“ აღმოჩენილი ტექსტობრივი პარალელების, საერთო ტენდენციებისა და სხვა მსგავსებების მიუხედავად, დიდია შემოქმედებით და იდეური დისტანცია მ. ხინკლიდან შ. რუსთაველამდე. განსხვავებულია მხატვრული ჩანაფიქრის მასშტაბები და მისი შესრულების დონე, შემოქმედებითი მიზანდასახულობა და განწყობილება, რომ აღარაფერი ვთქვათ სიუჟეტის აგების შესახებ. ეს განსხვავება იმ ეპოქათა სულისკვეთებამ განსაზღვრა, რომელთაც ძეგლების ავტორები მიეკუთვნებიან. მ. ხინკლი სხვა დროის შვილია და ასრულებს თავისი ეპოქის დაკვეთას.

[1] В. Я. Шилфар, Образная система арабской литературы, М., 1979, 71.

[2] ქართული ლიტ. ისტორია, გ. იმედაშვილი, ამირანდარეჯანიანი, II, თბ., 1966, 43.

როგორც ე. მელეტინსკი სამართლიანად აღნიშნავს, პირველად სწორედ „ამირანდარეჯანიანში“ გაჩნდა ახალი გმირი – კეთილშობილი რაინდი, რომელსაც მაქსიმალური გასაქანი მოგვიანებით „ვეფხისტყაოსანში“ მიეცა.[13] რუსთაველის ეპოქამ სხვა ფასეულობები მოიტანა, რომელიც მთლიანად აირეკლა „ვეფხისტყაოსანში“. შ. რუსთაველმა ეპოქალური იდეები სრულიად ახალი, ჭეშმარიტებასთან წილნაყარი იდეებით გაამდიდრა. მისმა გენიალურობამ ქართული აზროვნება სულ სხვა სიმაღლეზე აიყვანა, მანამდე არნახულ მასშტაბებს აზიარა და ზედროულობის ნიშნით აღბეჭდა ეს ბრწყინვალე ნიმუში ქართული სულისმეტყველებისა.

**E. GOGIASHVILI**

## LES RENCONTRES TEXTUELLES ENTRE *AMIRANDAREDJANIANI* ET *LE CHEVALIER À LA PEAU DE TIGRE*


RESUMÉ

L'étude ci-présente analyse les convergences textuelles observées entre les deux ouvres: *Amirandaredjaniani* de Mossé Xoneli et *Le Chevalier à la peau de tigre* de Chota Roustaveli. Plus précisement, *à* la base du corpus étudié il nous semble possible de discerner deux types des rencontres textuelles:

1. les coincidences lexico-terminologiques 2. et la parenté d'un système conceptuel ou idéologique.

L'analyse d'une correspondance observee montre, que l'ouvre de Mossé Xoneli devrait être parfaitement connue *à* Chota Roustaveli. La preuve en est la correspondance iner-textuelle qui impliquerait par exemple, la similitude des épisodes et des nombreux passages, des nombres; L'identité des armes et des outils, les analogies dans leur mode description.

Malgre ce genre de parallelisme textuel, a savoir, des tendances communes et parfois des memes orientations, la distance reste neanmoins considérable entre les deux styles créatifs et entre le positionnement ideologique des auters. Cette différence, quant *à* elle, serait conditionnée par l'esprit des époques contemporaines *à* ces auteurs.


[13] ე. მელეტინსკი, დასახ. ნაშრომი, 201.

მიხეილ ქავთარია

# ერთი ფურცელი ქართული პოეზიის ისტორიიდან

ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში პოეტი ქალების ღვაწლი და შემოქმედება შეძლებისდაგვარად არის შეფასებული. მშვენიერთა სქესის წარმომადგენელთ არა ერთი და ორი ფრთიანი სტრიქონით, მოსხიბლავი ლექსით აქვთ გამდიდრებულ-გალამაზებული ქართული პოეზიის ანთოლოგია, უძველესი დროიდან მოყოლებული ვიდრე XIX საუკ. პირველ ნახევრამდე ქართველ პოეტ ქალებს უპრეტენზიო წვლილი შეჰქონდათ ქართული პოეტური სიტყვის განვითარებაში. განსაკუთრებით ჭარბად ეს ღვაწლი გამოჩნდა XVIII საუკ. მეორე და XIX საუკ. პირველ ნახევარში. ქეთევან დედოფალი – ვამებული, მარიამ – მაკრინე – ერეკლე I ასული, მაია გაბაონი; მანანა, სალომე, მარიამი, ქეთევანი, თეკლა – ერეკლე II ასულები და სხვების (ძველებზე რომ არაფერი ვთქვათ) შემოქმედება, რომელიც ძალზე ფრაგმენტულად არის შემორჩენილი, აშშვენებს და ხიბლს მატებს ძველი ქართული პოეზიის საგანძურს. დასახელებულ ბანოვანთა პოეტური მემკვიდრეობა, როგორც ვთქვით, მრავალრიცხოვანი ნიმუშებით არ არის შემონახული, მაგრამ რაც არის, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანს ეხება და მხოლოდ სუბიექტური, ემოციური მუხტით არ არის გაჯერებული. სტრიქონებში შესანიშნავად ჩანს ისტორიული სინამდვილის ანარეკლი, ეპოქის ტკივილი და სიხარული, ლიტერატურული ცხოვრების ძირითადი მიმართულების მოტივები. სოფლის მდურვის საერთო განცდა მწვავე იყო ქართველი პოეტი მანდილოსნების მემკვიდრეობისათვისაც. გვიანი ფეოდალური ხანის ქართული მწერლობისათვის დამახასიათებელი ყველა ძირითადი თემა მეტ-ნაკლები სისავსით გაჟღერებულია ქართველ პოეტ ქალთა ნაწერებში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართველ პოეტ ქალთა შემოქმედება რატომღაც თავის დროზე არ იყო საერთო ლიტერატურული ცხოვრების პროცესში ჩართული. ცალკეული, კონკრეტული პოეტური ფაქტები პოეზიის ქომაგთათვის სახიამოვნო აზრით, პოეტური ფორმით მისაღები, მაინც ცალკე იდგა, ერთიან შემოქმედებით პროცესში არ ივარაუდებოდა და თვით პოეტ მანდილოსნებსაც არ ჰქონდათ ამ თვალსაზრისით დიდი პრეტენზია, ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს შემორჩენილი მასალებიდან. ამიტომაც არის დღეს სანთლით საძებარი პოეტ მანდილოსანთა მემკვიდრეობა. მხოლოდ პოეტურ ხელნაწერ კრებულებს შემოუნახავთ თითო-ოროლა ლექსი.

ქართველი პოეტი ქალების შემოქმედებაზე ინტერესით წერდნენ კორნელი კეკელიძე, ლევან ასათიანი, ტრიფონ რუხაძე, შერმადინ ონიანი, მერი გუგუშვილი, ლიანა კეკელიძე, ჭფიაშვილი და სხვები. დასახელებული ავტორები ბეჯითად ეძებდნენ ხელნაწერთა ფოლიანტებში ბედნიერი შემთხვევის წყალობით გადარჩენილ სტრიქონებს, აქეყენებდნენ და სხვადასხვა ასპექტით ანალიზებდნენ. მაგრამ, მაინც უნდა ითქვას, რომ ქართველ ბანოვანთა პოეტური ანთოლოგია არც ბოლომდეა შევსებული და არც აკადემიური გამოცემა არსებობს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია.

ჩვენც გვინდა სპეციალისტებს (და მკითხველ საზოგადოებას) გავაცნოთ სამი ლექსი XIX საუკ. დასაწყისის პოეტი ქალისა, რომლის შესახებაც ზოგადად ჯერ კიდევ 1954 წელს წერდა განსვენებული ტრიფონ რუხაძე წიგნში „ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან“.[1]

[1] შდრ. ტრ. რუხაძის წერილი „ლიტერატურულ საქართველოში“ (1941 წ., 24 / I ნომერი), სათაურით „უცნობი პოეტი ქალები“.

დასახელებული წიგნით ავტორი დაინტერესებულ საზოგადოებას მრავალ ახალ მასალასთან ერთად აცნობს ორი პოეტი ქალის სახელს – ვარვარას და სოფიოს – რომელთა პოეტური ნიმუშები მას პეტერბურგის ხელნაწერთა საცავებში უნახავს.

ლიტერატურის ისტორიას, ცნობილია, აინტერესებს დიდი შემოქმედნიც და მოკრძალებულნიც. ისტორიაში ყველას თავისი კუთვნილი ადგილი აქვს, ამიტომ თითოეული მათგანის ნაღვაწის დაფიქსირება და ობიექტური შეფასება აუცილებელია.

დასახელებული ავტორების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის არაფერია ნათქვამი. მხოლოდ ორიოდე ფრაზაა ტრ. რუხაძესთან. მოგვაქვს უკლებლივ ყველა ცნობა: „ძველ საქართველოს პოეტ ქალთა პლეადას ემატება სახელი ორი ახამდე უცნობი პოეტი ქალისა. ესენი არიან სოფიო და მუხრანბატონის დედა ვარვარა. ჩვენამდე მოაღწია ამ პოეტი ქალების ორიოდე ლექსმა“. სქოლიოში წერს: „მათი საინტერესო ლექსები ჩვენს მიერ მიგნებული იქნა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერებში: E – 49 და ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექცია № 76“.[2] წიგნში დამოწმებულია საილუსტრაციო სტრიქონები სოფიოს ერთ-ერთი ლექსიდან. მკვლევარი წერს: „სოფიო იოანე ბატონიშვილის მეუღლის ქეთევან წერეთლის ასულის თანამედროვეა. იგი მომსწრა 1801 წელს გიორგი XIII ძეთა რუსეთში გამგზავრებისა. მანვე კარგად იცის, რომ გრიგოლ იოანეშვ, *ერთადერთი ვაჟი ქეთევან ზურაბ წერეთლის ასულისა, 1812* წელს შეთქმულებაში მონაწილეობის გამო, რუსეთში გაიწვიეს. თვით ქეთევანი საქართველოში ცხოვრობს, სამყოფელად მიჩენილი აქვს გორის ციხე და სანატრელად ერთი რამ დარჩენია: მეუღლე და შვილი „ მსწრაფლ მოიქცნენ ქართლადვე, არ იქნენ გზა განგრძნობილი“. ამიტომ ქეთევანი ავალებს პოეტ ქალს, სოფიოს, დაწეროს ლექსად „ცხოვრება წმიდა ნინოსი“.[3] ეს არის და ეს, მეტს არაფერს გვთავაზობს ავტორი.

ლ. ასათიანის ცნობილი წიგნი „ძველი საქართველოს პოეტი ქალები“ დასახელებულ პოეტ ქალებს არ იცნობს.[4]

საჭიროა ახლავე ითქვას, ტრ. რუხაძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ზოგადობის ჩარჩოებს არ სცილდება. მის მიერ მითითებული პეტერბურგის წიგნსაცავების ქართული ხელნაწერების კოლექციები თანამედროვე მოთხოვნებით აღწერილი არ არის (და არ იყო წიგნის გამოქვეყნების ჟამსაც). ამიტომ ფაქტების შემოწმება ყოველთვის ვერ ხერხდება. რუსულან ორბელის ერთადერთი წიგნი,[5] რომელიც 50 წლის წინ დაისტამბა, არქეოგრაფიის დღევანდელ ყველა მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს. ამ წიგნის მიხედვით, პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კოლექციის ხელნაწერი E – 49, რომელსაც ტრ. რუხაძე ასახელებს და რომელშიც თითქოს არის დასახელებულ პოეტთა ლიტერატურული მასალა, ფაქტობრივად არის მონაზონ ილარიონის (ათონის მთის გვიანი პერიოდის ბერი) მიერ შედგენილი ათონის მთის ქართულ ხელნაწერთა კატალოგი: „ქართული წიგნების სახელები ივერიის მონასტერსა შინა მდებარესა მთაწმიდას“, შედგენილი 1836 წელს ათონის მთაზე.[6] E – 49 ხელნაწერში არავითარი ლექსები, არც საერო და არც სასულიერო, მით უმეტეს, ვარვარა – სოფიოს ნაღვაწი წარმოდგენილი არ არის.[7]

„ვინ იყო პოეტი ქალი სოფიო? აქ ერთი საკითხი გვინდა დავსვათ: ხომ არ არის ეს ქალი სოლომონ ლეონიძის მეუღლე – სოფიო, ნიკო ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“

---

[2] ტრ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბილისი, 1954 წ., გვ. 150.
[3] იქვე, 152.
[4] ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, თბილისი, 1936 წ., მისივე, ქართული მწერლობა, თბილისი, 1949 წ.
[5] Р. Орбели, Грузинские рукописи Института Востоковедения АНСССР, Москва – Ленинград, 1956 г.
[6] Р. Орбели, დასახელებული წიგნი, გვ. 165.
[7] შდრ. რ. ორბელის წიგნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმირი ქალი?“ - კითხულობს ტრ. რუხაძე.[8] განსვენებულ მკვლევარს რატომ გაუჩნდა ეს კითხვა, გაუგებარია. რადგანაც, ჯერ ერთი, ლექსში დაცული ზოგიერთი ბიოგრაფიული დეტალი ამ კითხვის დაყენების უფლებას არ იძლევა, მეორეც, კარგად ცნობილია, რომ სოლომონ ლიონიძის მეუღლე სოფიო ქსნის ერისთავის დავითის ასულია,[9] ლექსში რამდენჯერმეა დაფიქსირებული, რომ სოფიო არის დეკანოზის და. სმწუხაროდ, დეკანოზის არც სახელი და არც გვარი არ არის ნახსენები. არც არაფერი მითითებაა მისი ვინაობის ამოსაცნობად. როგორც ჩანს, მითითებული დეკანოზი ბატონიშვილი იოანეს წრეში მიღებული პიროვნება ყოფილა და მაღალი ავტორიტეტიც ჰქონია, რადგან სოფიო მხოლოდ მისი საეკლესიო იერარქიული წოდების ხსენებით კმაყოფილდება, წარმოგვიდგენს რა საკუთარ პერსონას.ვარაუდის სახით შეიძლება დავუშვათ, რომ დასახელებულ დეკანოზად შეიძლება იგულისხმებოდეს იოანე ბატონიშვილთან დაახლოებული იესე დეკანოზი. ხელნაწერ S – 5367 – ში ორჯერ არის მოხსენებული დეკანოზი. პირველად, იოანე ბატონიშვილის ლექსში, რომელშიც გაკენწლილია დეკანოზი იესე.

„თვით იესე დეკანოზსა არა აქუს ჩემი გახსენება,
არ იგონებს, რომელ საყდარს ექმნებისლა მოთავეება,
მოაკლდების დედუფლისგან ჯოგთ გარეკა, მიხუავება,
ჭყონდიდლისგანც მსუქანთ ძროხებთ აღარ ექმნეს მოყვანება.
მას ჟამს მოაყრის მას ხილი (?) და იქმნების ჩემი მძებნელი,
გზათა, რომელთა აწ არ ვალს, ხშირ-ხშირად იყოს მტკეპნელი,
გარნა მე ამა ჟამისა სამარადისოდ მხსოვნელი,
არა ვყოფ, რათა ეგება მობრძანდის, ვიყო მთხოვნელი“.

მეორე, ლექსს აქვს იოანე ბატონიშვილის მინაწერი: „აი, მოწყინება, რასი დაჯდაბვა დამაწყებინა. მარა არც სულ ტყუილი არის. გარნა იესე დეკანოზს ვაყურებიებ თავის სეირს. ჩემის უთანხმოებისათვის თუ ასე დაემართა, როგორც დავწერე. თქუენი მონა იოანე “ (27v).

სამწუხაროდ, ამ იესე დეკანოზის შესახებაც ბევრს ვერაფერს ვიტყვით. წყაროებში ამ ეტაპზე ვერ დაიძებნა (ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვერ შევძელით) მის შესახებ ბიოგრაფიული მასალა.

ხელნაწერი, რომელშიც სოფიოს რამდენიმე ლექსია წარმოდგენილი, დაცულია პეტერბურგის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (ყოფილი სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკა). ამ დაწესებულების ხელნაწერთა განყოფილებაში ქართული ხელნაწერების მეტად მნიშვნელოვანი კოლექციებია თავმოყრილი. იოანე ბატონიშვილის, მიხეილ საბინინის, გრენის, დორნის და ახალი კოლექციები. ქართულ ხელნაწერთა რაოდენობა რამდენიმე ასეულს აჭარბებს. ამ კოლექციის უნიკალურობის აღსანიშნავად საკმარისია დავასახელოთ ჭილზე დაწერილი (სინას მთიდან ჩამოტანილი) IX საუკ. ქართული ხელნაწერი – ფსალმუნი (ფრაგმენტი), რომელიც ახალ კოლექციაშია მე-10 ნომრად აღრიცხული. განსაკუთრებით მდიდარია იოანე ბატონიშვილის კოლექცია. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტები საუკუნეზე მეტ ხანს მუშაობდნენ ამ მეტად მნიშვნელოვანი კოლექციის მასალაზე, მათი სრულფასოვანი აღწერილობა არ არსებობს[10] (ისევე როგორც აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილების ქართული ხელნაწერებისა). ეს ფაქტი დღეს განსაკუთრებით გულდასაწყვეტია, რადგანაც შექმნილი

---

[8] ტრ. რუხაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 155.

[9] ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, ტექსტი დადგენილია პ. ინგოროყვას მიერ, თბილისი, 1968 წ., გვ. 205. ტრ. რუხაძე ამავე წიგნის გვ. 160-ზე წერს: „ჰყავდა მეუღლე ერისთავის ასული . . . ჩვენი აზრი პოეტი ქალის სოფიოსა და ს. ლიონიძის მეუღლის სოფიოს იგივეობის შესახებ, ალბათ, სადაოდ დარჩება“.

[10] ერთი ნაწილის მოკლე აღწერილობა, უფრო სწორად, კატალოგი, XIX საუკ. მიწურულს შეადგინა და გამოაქვეყნა აკად. ნიკო მარმა. Краткий каталог собрания грузинских рукописей приобретенного Императорскою Публичною Библиотекою в 1898 г,. Отчет Императорской Публичной Библиотеки за 1896 г., СПБ, 1900 ., приложение стр. 1-15; 1987 წელს კვლავ შედგა ამ მასალის კატალოგი, რომელიც ჩემი დახმარებით შეასრულა Ольга Валентиновна Васильева –მ. Собрание грузинских рукописей царевича Иоанна (Грузинского), опись., II, 1987 г. Ленинград.

სიტუაციის გამო მოკლებულნი ვართ ამ მდიდარი წიგნსაცავიდან მივიღოთ საჭირო მასალები.

ხელნაწერი, რომლის შესახებაც ვაპირებთ საუბარს, იოანე ბატონიშვილის კოლექციიდანაა, აღრიცხულია 131 ნომრით. ნაწერია ქაღალდზე (22,5 x 18), შედგება 112 ფურცლისაგან. ჩასმულია ხის ტყავგადაკრულ ტყიფრულ ყდაში. ნაწერია მხედრულად, დახაწყისი ასოები სინგურით და მთავრულად. ხელნაწერი გადაუწერია ორ პიროვნებას. პირველია გორელი ანდრია შიხისძე შიხინოვი (12r) და მეორე – დეკანოზის და სოფია (52r, 111v). მოგვაქვს ორივე გადამწერის ანდერძები:

ანდერძი ანდრია შიხინოვისა: „უგანათლებულესო საქართუმლოს მეფის სძალო, წერეთლის სალთხუცის ზურაბის ასულო ქეთევან, ბრძანებული თქუენი სრულ იქმნა . . . ჭელითა ყოვლად უღირსი გორელი ანდრია შიხის ძე შიხინოვისათა. ფებერვლის 3 (6), წელსა ჩყოგ (1813), ქჺს ფა (501+1312= 1813). 1813, 2. 6“.

ანდერძი სოფიასი: „ბრძანებითა მათის უგანათლებულების საქართველოს მეფის სძლის სალთხუცის ზურაბ წერეთლის ასულის ქეთევანისათა აღწერილ იქმნა მეტაფრასი ესე ღვთისმშობლის მიცვალებისა ფრიად ცოდვილისა დედაკაცისა დეკანოზისა დის სოფიასაგან, რომელი ებოდიშოს ჩხაბასა და ვითხოვ შენდობასა. უკუეთუ ჰპოვოთ რაიმე შეცთომილი ასო, მეტი თუ ნაკლები, ნუ მწყევთ, არამედ მომიხსენეთ ლოცვითა თქუენითა. სრულ იქმნა მეტაფრასი ესე აგვისტოს ია (11), ქჺს ფ (500+1312=1812), წელსა ჩყიბ (1812). დმერთმან ბედნიერებაში მოახმაროს საქართველოს მეფის სახლს ქეთევანს“ (52v).

ხელნაწერი შედგება: ა) შობა ღვთისმშობლისა (1r-3v); ბ) შესხმა ტაძრად მიყვანებისათვის (5r-12v); გ) სიტყვა ხარებისა (13r-19r); დ) [პილატეს მიერ განჩინება ქრისტესთვის] (19r-20v); ე) [ქრისტეს ვნებათა ადგილთა ნახვა] (20v-23v); ვ) მიცვალება ღვთისმშობლისა, თქმული ვასილი დიდისა (24r-50v); ზ) მოქცევაჲ ქართლისაჲ (57r-92v); თ) წამებაჲ ქეთევან დედოფლისა (95v-111r).

როგორც ანდერძიდან ჩანს, ხელნაწერი კრებულად მოგვიანებით შეუკრავთ. ამას გვაფიქრებინებს ხელნაწერში მითითებული რამდენიმე თარიღი. ანდრია შიხინოვის ანდერძში 1813 წელია მოხსენებული, სოფიას ანდერძში – 1812 წელი, ხოლო მის ერთ-ერთ ლექსში – 1814 წელი. ამიტომ ვფიქრობთ, რომ კრებული რამდენადმე მოგვიანებით შეუკრავთ, ყოველ შემთხვევაში, 1814 წელზე ადრე არა.

ქეთევან ზურაბის ასული წერეთელი იოანე ბატონიშვილის მეუღლე იყო. იგი ზურაბ წერეთლის – იმერეთის სამეფოს დიდი მოხელის – ერთ-ერთი ასულია. ზურაბ წერეთელი დიდი ოჯახის მამა და პატრონი იყო. საბუთები მისი და მისი შვილების შესახებ ბლომად არის დაცული და ნაწილი გამოქვეყნებულია შოთა ბურჯანაძისა და სხვების მიერ.[11] ოლია იოსელიანის გამოკვლევის[12] მიხედვით, ასე გამოიყურება მისი ოჯახი:




[11]საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივები, ისტორიული დოკუმენტები, წიგნი პირველი, ტექსტი შენიშვნებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა შ. ბურჯანაძემ, თბ. 1953 წ., ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466 – 1770 წწ.), წიგნი I, ტექსტი გამოსცა შ. ბურჯანაძემ, 1958 წ.

[12]ო. იოსელიანი, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბილისი, 1987 წ.

ქეთევანი გაუთხოვებიათ ქართლის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII –ის ვაჟზე იოანე ბატონიშვილი. იოანე ბატონიშვილი ცნობილი მწიგნობარი, მწერალი, მეცნიერი, პუბლიცისტი ქართველ მწიგნობართა თაობას წინამძღვრობდა. ქეთევანი დაბადებულა 1773 წელს და დაქორწინებულა 1787 წ. ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერის № 197 მინაწერში ვკითხულობთ: „საქართველოს მეფის ძემ იოანემ და მემცხედრემან მისმან მეფის ასლმან, იმერეთის სახლთხუცის წერეთლის ასულმა ქეთევანმა ჯვარი დაიწერეს ივლისის დღესა ა(1), ქორონიკონს უოე(475) (1787 წ.). მეფის ძე იყო კ(20) წლისა და მეფის სძალი იზ(14)“. იოანე და ქეთევანს შეეძინათ ერთი ვაჟი – გრიგოლი, რომელიც თავისი დროის აღიარებული პოეტი იყო.[14]

ხელნაწერ S – 5367 –ში დაცულია იოანე ბატონიშვილის მეტად თბილი ლექსი მეუღლისადმი.[15] ლექსიდან აშკარად ჩანს, რომ პოეზია მეუღლეებს შორის დიდი პატივით სარგებლობდა; ამიტომ სავსებით ბუნებრივად ჩანს, რომ ქეთევანი ხელნაწერის გადაწერას ავალებს სწორედ მელექსე ქალს და სთხოვს ლექსის დაწერასაც.

სოფიას (ასეთი ფორმით გვხვდება) სახელით ხელნაწერებში წარმოდგენილია სამი ლექსი: 1. „მიცვალება ყოელად წმიდისა ღვთისმშობლისა“; 2. „ქეთევან დედოფლისადმი“ და 3. „ნინოსადმი“. ამათგან დღემდე არც ერთი გამოქვეყნებული არ არის. ისიც უნდა ვთქვათ, რომ სოფიას შემოქმედების სხვა ნიმუშები გამოვლენილი არ არის. ტრ. რუხაძეს წიგნში, როგორც საილუსტრაციო მასალა, მოტანილი აქვს რამდენიმე სტრიქონი, ისიც მხოლოდ წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი ლექსიდან. კერძოდ: 2 $_{1-3}$, 3 $_{2-4}$, 7 $_{1-4}$, 11 $_{1-4}$, 12 $_{3-4}$, და 13 $_{1-3}$. სამწუხაროდ, პუბლიკაციაში დაშვებულია უზუსტობები, არის კორექტურული და მექანიკური შეცდომები.

სამივე ლექსი კარგად ცნობილი კლასიკური ფორმითაა დაწერილი. ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ლექსში მონაცვლეობს ოცმარცვლიანი და თექვსმეტმარცვლიანი სტრიქონები. ქეთევანისადმი მიძღვნილი ლექსი თექვსმეტმარცვლიანი ზაირითაა დაწერილი, ხოლო ნინოსადმი ლექსში კი მე –2 და მე –3 სტროფები ოცმარცვლიანია. ლექსები გამოკვეთილად სახოტბო ჟანრისაა და ამიტომ პოეტური ფრაზა ერთგვარად დაშტამპულია. ავტორი ხაზგასმით მიუთითებს, რომ სამივე ლექსი ზურაბ წერეთლის ასულის, ქეთევანის, თხოვნით თუ დაკვეთით არის დაწერილი. მიუხედავად იმისა, რომ ლექსები მაინცდამაინც დიდი ზომისანი არ არიან (ღვთისმშობლისადმი – 6 სტროფი, ქეთევანისადმი – 11 სტროფი, ნინოსადმი – 13 სტროფი) ავტორმა მაინც მოახერხა სახოტბო სტრიქონების გვერდით საკუთარი პერსონის შესახებაც ეთქვა ორიოდე სიტყვა, შეძლებისდაგვარად გამოეხატა საკუთარი განცდა, დამკვეთისადმი დამოკიდებულება, ეროვნული განწყობა. ავტორი დაჯილდოვებულია პოეტური ნიჭით, აშკარად აქვს შემოქმედებითი ხედვა. ეს უკანასკნელი, მართალია, დამკვეთი შეგნებულად არწევს ქების ობიექტს და ამით ერთგვარად ზღუდავს ავტორს, მაგრამ მაინც ახერხებს სათქმელის თქმას. ღვთისმშობელი მარიამი, მარად ქალწული, „მუცლად მღებელი შემოქმედისა“, ქართველთა გვარ-ტომის მცველი და მფარველი, იმედი და ნუგეშია ქართველთა. საუკუნეების მანძილზე შემუშავებული მესიანისტური იდეა – განწყობა მოქმედებს ავტორზე:

„ქართველთ მეფენი, ღვაწლთა მკრეფელნი, შენ წილ ხდომილად სახელდებულნი,
იესიან-სოლომონიან, დავითის ტომით აღმორჩებულნი,
შემწეულ გხადიან, შენ გიქადიან, შენ მიერ ძლევა მინიჭებული,
ეც ძალი შენი, ეშმაკთ დამშენი, ქუალად ვიხილოთ მორჭმით შვებული“.

პოეტი მეფე გიორგი XII-ის რძლის, ქეთევან ზურაბ წერეთლის ასულის, მეხოტბეა, მისი დავალების აღმსრულებელია. როგორც ჩანს, ლექსების საქმბარ პერსონად ამიტომაც

---

[13] ალ. ბარამიძე. იოანე ბატონიშვილის ბიოგრაფიიდან, ნარკვევები, III, 1952 წ., გვ. 372 – 376.

[14] იხ. ხელნაწერი H – 2130. ნაირა ბერძენიშვილის საკანდიდატო დისერტაცია დაწერა გრიგოლის შემოქმედებაზე.

[15] ნაწყვეტი გამოაქვეყნა ტრ. რუხაძემ, იხ. დასახელებული წიგნი, გვ. 143 – 144.

შეგნებულად აირჩიეს ქალები – ღვთისმშობელი, ქეთევან დედოფალი და ხანო განმანათლებელი. სამივეს მისამართით იგრძნობა მორწმუნე პოეტის მოკრძალება, მათი დიდი ღვაწლის გაცნობიერებისა და მათ წინაშე ქედის მოდრეკის სურვილი. ავტორი ამასთან აცხადებს, რომ იგი შთააგონა (იქნებ ჯობაა დაუკვეთა) და ხელში კალამი აიღებინა მეფის რძალმა, ქეთევანმა. ერთი ცხადზე უცხადესია, რომ ლექსების ავტორი უთუოდ პოეტური ნიჭით დაჯილდოვებული მანდილოსანია, უჭრის პოეტური კალამი. ჩახრუხაულის ოდა რითმებით დატვირთულ, ყველასათვის ცნობილ მძიმე ფორმაში ახერხებს სათქმელის მკაფიოდ და მოხდენილად გამოხატვას. სტრიქონები მოკლებული არ არის პოეტურობას, ნათელია და ხატოვანი, არ აკლია არც მომხიბვლელობა და არც ჰეწი. კარგად იცნობს, ერთი მხრივ, ქართული ლექსის დიდსა და რთულ ტრადიციას, სტრუქტურას, მეორე მხრივ, დასახელებულ წმინდანთა მოღვაწეობას, მათ შესახებ არსებულ ჰაგიოგრაფიულ თუ ჰიმნოგრაფიულ მემკვიდრეობას. ეს ხელს არ უშლის, თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს დასახელებული წმინდანების მისეული მხატვრული პორტრეტის შექმნაში, მათ დაფასება-აღიარებაში. ავტორი ზედმიწევნით იცნობს ზოგადად ქართული მწერლობის, კერძოდ საერო მწერლობის, ტრადიციებსაც. ამის დასტური გახლავთ მის მიერ ლექსებისათვის ჩვენში დამკვიდრებული სახოტბო ჟანრის ფორმების არჩევა. ეს ფაქტი, ცხადია, შემთხვევითი არ არის. ისიც აუცილებელი სათქმელია, რომ სამეფო ოჯახის წევრთა შორის პოეტი – შემოქმედი სოფიო ცნობილიც და აღიარებულიც ყოფილა, მისი პოეტური შესაძლებლობები დაფასებული. მეფის რძალი ქეთევანი – მწიგნობრობის დიდი ქომაგი და მეცენატი – სწორედ სოფიოზე აკეთებს არჩევანს. მას ავალებს ხელნაწერის ერთი ნაწილის გადაწერას, უკვეთავს ლექსებს.

ბუნებრივად მივადექით კითხვას, ვინ არის სოფია // სოფიო და რა ვიცით მის შესახებ? ლექსებში დასახელებულია ისტორიული კონკრეტული პიროვნებები.

I ლექსი. ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ სტრიქონებში დასახელებულნი არიან:

ა) გიორგი XII მეფე
ბ) იოანე ძე გიორგი XII – ისა
გ) ქეთევანი, რძალი მეფისა
დ) ზურაბ წერეთელი, მამა ქეთევანისა
ე) სოფია, დეკანოზის და.

II ლექსი. ქეთევან დედოფლისადმი მიძღვნილი ლექსი:

ა) მუხრანელ ბაგრატიონთა აშოთანის ასული
ბ) კახთა მეფის ალექსანდრეს სძალი
გ) დავით მეფის ფერცხელი
დ) თეიმურაზ I მშობელი
ე) შაჰ-აბასის წინააღმდგომელი
ვ) ქეთევანის წამების სცენები
ზ) ზურაბ წერეთელი, იმერთა სარდალი
თ) ქეთევანი, სძალი გიორგი XII მეფისა

III ლექსი ნინოსადმი

ა) ქართველთა განმანათლებელი
ბ) ანდრიას ქადაგების წარმმართველი
გ) სოფია
დ) დეკანოზის და სოფია
ე) გიორგი XII მეფე
ვ) ქეთევანი, გიორგი მეფის სძალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) წერეთლის ასული.

ავტორის გარდა ყველა დასახელებული პირის შესახებ წყაროებში მასალები ბლომადაა, მაგრამ მათი მოხმობის აუცილებლობა აქ არ არის.

ლექსებიდან კარგად ჩანს, რომ ქეთევანი ისეთ პიროვნებას უკვეთავს ხელნაწერის გადაწერას და ლექსების დაწერას, რომელიც მწიგნობართა წრეში აღიარებული მელექსე უნდა ყოფილიყო.

„გულმოდგინებით მიბრძანებს შენის ცხოვრების წერასა,
უმეცარი და უცნობი, შემძლებელი ვარ მე რასა,
მე ვითარ ჭელს ვყოფ აღწერად ქებასა, შენსა ფერასა,
მაგრამ სძალს ჭელმწიფისასა უარს ვაძრებდი ვერასა“

(ნინოსადმი)

„მისგან მებრძანა აღწერა ამა წიგნისა შენისა,
„ვერ გავბედე მოკრძალებით უარისა მოხსენება . . .“

(ქეთევანისადმი)

„ზურაბ წერეთლის ასულმან მიბრძანა გულსმოდგინება,
„მათის ბრძანებით აღვწერე მე წიგნი ესე ყოველი . . .“

(ღვთისმშობლისადმი)

სამწუხაროდ, სოფიოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არაფერი ვიცით.

სოფიოს ლექსები XIX საუკუნის პირველი ათწლეულით თარიღდება. ჩვენი მწერლობის ისტორიაში ეს არის პერიოდი, როდესაც საქართველოში ლექსს ბევრი წერს, მაგრამ ნამდვილი პოეტი ჯერ არ ჩანს. ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეტური სიტყვის ზემოქმედება ამ დროისათვის ჯერ კიდევ მოკრძალებულია. ბატონიშვილთა და მათთან ახლო მდგომ ადამიანთა პოეტური საქმიანობა სამშობლოდან შორს მიმდინარეობს. რუსეთში იძულებით გადასახლებულნი და მიმოფანტულნი, ქართულ სიტყვასთან ჰიდილში ატარებდნენ წუთისოფელს. ისიც ხაზგასასმელია, რომ მათი პოეტური ქმნილებები, სულერთია, მაღალმხატვრული თუ მდარე, სამშობლომდე ეგრე რიგად ვერ აღწევდა და, ბუნებრივია, ვერავითარ ამინდს ვერ ქმნიდა. მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილი ადამიანები, ცხადია, ვერ შეძლებდნენ სამშობლოში მაღალი პოეზიისათვის ნიადაგის შემზადებას. ამიტომ მხოლოდ საქართველოში დარჩენილი კალმოსნები, უპირატესად ეპიგონები, ამზადებდნენ საფუძველს ამ ისტორიული მისიისთვის. სწორედ ერთ-ერთი ასეთი შემოქმედია სოფიო, რომლის მემკვიდრეობა ჯერჯერობით სამი სახოტბო ლექსითაა ცნობილი და ისიც გამოუქვეყნებელია და საზოგადოებისათვის უცნობი. სოფიო და მისი მსგავსნი ქვეყნის პოლიტიკური შეზღუდულობის გამო წარსულით არიან შთაყინებულნი და მათი ნაღვაწიც ხელნაწერებში რჩება მხოლოდ, როგორც კონკრეტული ფაქტები. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი დეტალიც. სოფია ცხოვრობს და მოღვაწეობს საქართველოში, აქ წერს ხელნაწერს, ხოლო მისი ლექსები პეტერბურგის ქართულ ხელნაწერებშია დაცული, საქართველოში შემონახულ პოეტურ კრებულებში მისი არც ერთი ლექსი გამოვლენილი არ არის. ეს, ალბათ, აიხსნება იმით, რომ ქეთევან დედოფალმა (იოანე ბატონიშვილის მეუღლემ) რუსეთში გადასახლებისას, ჩანს უკლებლივ წაიღო მთელი ბიბლიოთეკა, ყველა თავისი ხელნაწერი, რომლებშიც სწორედ სოფიას ლექსების შემცველი ნუსხაც იყო.

სოფიას ლექსებს არ აკლიათ ხიბლი, ფონად აშკარად გასდევს ქალური სინაზე. სამშობლოს ბედზე დაფიქრებული პიროვნების განწყობა.

სოფიას ლექსები უეჭველს ხდის, რომ იგი ქეთევან წერეთლის ასულთან, იოანე ბატონიშვილის მეუღლესთან, დაახლოებული პიროვნება ყოფილა. სამიეე ლექსში ეს ფაქტი ხაზგასმით არის წარმოჩენილი, თუმცაღა არ ჩანს, როდის დაიწყო ეს სიახლოვე და სად.

ლექსებით ისიც კარგად ჩანს, რომ ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის თავგადასავალი სოფიასათვის ცნობილია. სოფიამ ასევე შესანიშნავად იცის წმინდა ნინოს და ქეთევან დედოფლის როლი და დამსახურება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. იცის დიდი ქეთევანის ტრაგიკული ბიოგრაფია, რომ იგი აშოთან მუხრანბატონის ასულია, ალექსანდრე კახთა მეფის რძალია, დავით მეფის მეუღლეა და თეიმურაზ პირველის დედაა. იცის, რომ დატყვევებული ქეთევანი მხნედ შეხვდა მოახლეებულ განსაცდელს, დედოფალმა ამაყად დაგმო შაჰ-აბასის მოთხოვნა, რისთვისაც მიიღო მოწამებრივი აღსასრული. არ არის გამორიცხული, რომ სოფია თვით ქეთევან დედოფლის – წამებულის პოეტურ სტრიქონებსაც იცნობდა, ტყვედშყრობილმა დედოფალმა პოეტურ სიტყვას ანდო თავისი განწყობა. დავით რექტორის ცნობილ კრებულში, რომელიც სწორედ მაშინ შედგა, როდესაც იწერებოდა ქეთევან წერეთლის დაკეთით დაწერილი სტრიქონები, შეტანილია ლექსი „ანბანთქება ფისტიკაური“, რომელიც ქეთევან დედოფალს მიეწერება. მაშასადამე, XIX საუკ. პირველ ათეულში იცოდნენ დიდი დედოფლის სახელით ცნობილი ნაწერები. სწორედ ამ სტრიქონების გავლენით გამოთქვა თეიმურაზ I-მა დედის ლოცვა. ქეთევანის ლოცვაზე ჰაგიოგრაფიულ ტექსტებშიც არის საუბარი:

„რადგან მომკლა უწყალომან, დრო იპოვა ჩემსა ზედა,
სასწაული მოავლინე ქრისტიანეთ ტკვეთა ზედა,
შეილსა ჩემსა თეიმურაზს ძლევა მიეც მტერსა ზედა,
ღვაწლთა ჩემთა აღმწერელი ედემს დასვი ტახტსა ზედა“.

გრიგოლ დოდორქელის თხზულებაში „წამება ქეთევანისა“ დედოფლის წამების სურათი ასეა გადმოცემული: „დაასხნეს ჯელნი იგი ბილწნი მტარვალთა მათ, განაშიშვლეს წმიდაჲ იგი პატიოსანი ბრწყინვალე გუამი მისი და განურთხნეს ჭელნი მისნი და განბანარეს იგი და მოიხუნეს მარწუხნი და განაჭურვნეს და დახლიჩნეს ძუძუნი სანატრელისანი . . . მერმე მკლავნი დაჰგლიჯნეს . . . და ნაკუერცხალი აღგზებული დააყარეს სისხლმწოლველისა მას ჭორცთა მისთა, მერმე მოიღეს ქუაბი განჭურვებული და დაახურეს წმიდასა თავსა მისსა“ (ძეგლები, V, გვ. 29).

დაახლოებით ეს სურათია ქეთევანის წამების შესახებ არსებულ ყველა დოკუმენტში. სოფიო ქეთევანის წამების საგანგებო დეტალიზაციას არ მიმართავს. იგი ზოგადად ხატავს იმ სურათს, რომელიც შეიქმნა და რომელიც, ვიმეორებთ, ყველა წყაროში მეტ-ნაკლებად ერთნაირია. სოფიოსთან ჯაითხულობთ:

„თავს იხსენ ყოველი ტანჯვანი: მარწუხნი, შამფურ, ბარები,
გახით დაგლეჯა ძუძუთა და ნაკუერცხლები მწარები,
ძარღუთა ნადენი სისხლითა მორწყვ შირაზის არები,
ჭორცნი მოიწუწნ, სული ჰქმენ ანგელოზთ მინაბარები“.

პოეტი საგანგებოდ ხაზს უსვამს ქეთევან დედოფლის ქედუხრელობას, გადაწყვეტილების სიმტკიცეს:

„განბასრე მძლავრი შაჰ-აბაზ და მისი სჯული ყოველი,
აგინე ბილწი მაჰმადი, ადიდე ღმერთი ცხოველი,
შევედრე ღმერთსა ქართველნი, ცრემლი გდიოდა მთოველი,
მერმე წარმოსდეგ მტარვალთ წინ წამების შეუპოველი“.

ქეთევანოლოგიაში სოფიოს ლექსს თავისი ადგილი უჭირავს: თეიმურაზ პირველი, სულხან-საბა ორბელიანი (თეიმურაზის თხზულების გამგრძელებელი), სოფიო და დიმიტრი ბაგრატიონი, რომლის ნაწარმოები ყველაზე ადრე და პირველად დაისტამბა. ამ გუნდში სოფიო საკმაოდ ავტორიტეტულად გამოიყურება.

I

მიცვალება ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისა

1. ჲ დედოფალო, ყოველთ სატურფელო, სული წმინდაგან ძღვნად მინათვალო,
ცოდველთ ლხინებაჲ, მართალთ ჩინებაჲ, ყოველად უბიწო, ქალწულთა თავალო,
ზეცისა ძალნი, დგას შიშით მკრძალნი, წინაშე შენსა, მზეჲ დაუვალო,
და სამწმიდაობით, გალობის კმობით, გიღაღადებენ "უსძლოო ძალო."

2. პალატ ღვთივ ბჭეო, ზეზისა დამარღვეველო ჯოჯოხეთისაჲ,
დამხსნელო ევასგან კრულებისაჲ, აღმომყვანელო ქვესკნელით ტყვისაჲ,
გამოუცდელო ქორწინებისაჲ, ქალწულებითა მშობელო ძისაჲ,
და მუცლად მღებელო შემოქმედისაჲ, მკლავით მტვირთველო სიტყვისა ღვთისა.

3. ქართველთ მეფენი, ღვაწლთა მკრეფელნი, შენ წილ ხდომილად სახელ დებულნი,
იესიან და სოლომონიან დავითის ტომით აღმორჩებული
შემწედ გხადიან, შენ გიქადიან, შენ მიერ ძლევა მინიჭებული,
და ეც ძალი შენი, უშმაკთ დამშენი, კელავაც ვიხილოთ მორჭმით შვებული.

4. გვარ–ნატომობით, მეფედ ცხებული, ქართველთ მეფის ძე მოსკოს ქებული,
გიორგი მეფის ძედ წოდებული, თვით იოანედ სახელდებული,
შენ სასოდ მისად, მყოვარ ჟამისად, ხარ საკედრებლად გამზადებული,
და ქრისტეს დედაო, ექმენ მწედაო, მიეც წყალობა გაუხვებული.

5. შენისა მიცვალებისა სასწაულთ გამოჩინება,
სძალმან გიორგი მეფისამ, ქეთევან წერად ინება,
ზურაბ წერეთლის ასულმან მიბრძანა გულსმოდგინება,
და შენ გხადის, ყოველად წმიდაო, შენ მიანიჭე ლხინება.

6. მათის ბრძანებით აღვსწერე მე წიგნი ესე ყოველი,
დეკანოზის და სოფია, დავშვრები ცრემლთა მთოველი,
შენს ძესთან მიშუამდგომლე, ვარ წყალობის მთოველი,
და ჰაერის მცველთა ჴელისგან ხსნასაც შენგანვე მოველი " (51 r-v)

## II

### ქეთევან დედოფლისადმი

1. მუხრანით მზეობ დავითის ტომთაგან აღმორჩებული,
აშოთან პანკრატონის ასული ყოველად ქებული,
კახთ მეფის ალექსანდრესგან სძლად პალატს მოწოდებული,
და ფერცხალი[16] დავით მეფისა, ქეთევან სახელდებული.

2. თვით დამჭირველი ტახტისა და დედოფალი სვიანი,
კახთ მემკვიდრობით მპყრობელი, არ უნაყოფო – ძიანი,
თეიმურაზის მშობელი, ვინ იქნა მეფე სვიანი,
და მდედრ გონებითა შემკული, ღვთის მსახურ, კეთილგზიანი.

3. სხუაც გამოიღე, ნეტარო, ნაყოფი უმჯობესია,
ამ სოფლის შვება-განცხრომას, გამოირჩიენ ზესია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიმკე სამარადისო, არად შერაცხე ესია,
და მძლავრ მეფეს წინა აღუდეგ და ადიარე მესია.

4. განბასრე მძლავრი შაჰ-აბაზ და მისი სჯული ყოველი,
აგინე ბილწი მაჰმადი, ადიდე ღმერთი ცხოველი,
შეეედრე ღმერთსა ქართველნი, ცრემლი გდიოდა მთოველი,
და მერმე წარმოსდეგ მტარვალთ წინ წამების შეუპოველი.

5. თავს ისხენ ყოელი ტანჯვანი: მარწუხნი, შამფურ, ბარები,
გაზით დაგლეჯა ძუძუთა და ნაკუერცხლები მწარები,
ძარღუთა ნადენი სისხლითა მორწყე შირაზის არები,
და ჭორცნი მოიწუმნ, სული ჰქმენ ანგელოზთ მინაბარები.

6. სისხლი ღაღადებს ღმერთს წინა მოღვაწებათა შენთანა,
გვირგვინად თვისად გხადიან მით ძენი შენთა ძეთანი,
ტომობით პანკრატოვანნი და რტონი კახ მეფეთანი,
და შენ მოეც ძლევა, სიმტკიცე და განგრძობანი დღეთანი.

7. იმერთა სარდალ-სახლთ-ხუცის, ხურაბ წერეთლის შობილი,
შენის სახელის ღირს ქმნილი და შენს პალატში სძლობილი,
სძალი გიორგი მეფისა, ქეთევან სახელჰმობილი,
და შენ გხადის თვისად მფარველად, მართ შენთა მონდობილი.

8. შენ ხარ სახელ და სიქადულ შენისა მოსახელისა,
არს მარად შენი მოქენე, შენ წინ განმპყრობი ჭელისა,
სულით და ჭორცით შეწევნას, ცუა-ფარვას შენგან ელისა,
და შენ შემწე ექმენ წინაშე პატიოსნისა ძელისა.

9. მეფის ძეს იოანეს და გრიგოლს ძეს მეფის ძისასა,
დაუცხრომელად გაეედრებს, სიგრძეს გთხოვს მათის დღისასა,
მერე სიშოვრით დაწყლული ნახვასაც გესავს მისასა,
და მოქცევა მათი ქართლადვე უთხოვე დედას მღვთისასა.

10. მისგან მებრძანა აღწერა ამა წიგნისა შენისა,
ქართლ-კახეთისა დედოფლის, ზეცა გვირგვინით მშვენისა,
ქართველთა სიქადულისა და სპარსთა ლახვარ მშვენისა,
და ვითარ ძალ მედვა სრულ-ყოფა, ვით ღვაწლსა შენსა შეენისა.

11. ვერ გავბედე მოკრძალებით უარისა მოხსენება,
გულსმოდგინედ მოვიჯირვე, თავს არ მივეც მოსვენება,
თუ იხილოთ მცდარი რამე, ეს არს ჩემგან მოქენება,
და ნუ მწყევთ, ყველამ შემინდევით, ლოცვით ჰყავით მოხსენება (54 r – 55v)

III

წმიდა ნინოსადმი

[16] ფურცხალი დამოწმებულია ერეკლე II წერილშიც სოლომონ მეფისადმი: „არჩილ ფურცხალსა . . . თუსსა მტკვანნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. სიტყვისა ღვთისა მსახურო და თანამოსაგრეო და,
ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო, მხნეო და,
ქართველთა განმანათლებელო, შუქ მოშფენელო მზეო და,
და სული წმიდისა ქნარო, წინა მწე მეყავ მეო და.

2)ქალწულთა თვალო, მზედ მოსათვალო, ქართველთ მნათობო, ღირსო დედაო,
მოციქულთ სწორო, ბროლთ განმაშორო, მწუხრის შემცველო, ნათელ ზედაო,
შენსა ცხოვრებას, შორით მორებას, წერად სოფიო კრძალვით ვბედაო,
და ამ წიგნის მჭონეს, მკითხველ გამგონეს, შენი მოჰფინე მადლი ზედაო.

3. ქართველთა დედა[დ] იწოდე ტყუმ და ჩვენ გამოგვიხსენ ტყვეობისაგან,
მაყვლოანს ვანობ, სულთა სავანობ, უბრწყინვალესად ნათობ მზისაგან,
ქება მსურს წერად, შეგიძლებ მე რად, ნაკლულევანი გულის ჴმისაგან,
და აწ ესე მცირე ძღუნად შეიწირე, დეკანოზის დის სოფიასაგან.

4. კერპთ საზორველი დაამხე სასწაულითა შენითა,
არმაზ ძირითურთ აღიფხურა, ზადენ თან მაჰყუა ქშენითა,
ოტებულ იქმნენ ბომონით ჰაერ-ქარ-სეტყვის შენითა,
და შენ მუნვე ჰგიე უვნებლად ღვაწლითა განაშვენითა.

5. ვის ძალ-უც ღირსად, ჯეროვნად შენთა სასწაულთ თხრობანი,
ვინ გამოიკულევს წვლილიად, ვისი მისწვდება ცნობანი,
ჩვენ ტყვეთა მხსნელად მოსრულმან, შენ ვით იწოდე ტყვობანი,
და ჯერ იწყე ჴორცთა კურნება, ასე იხმარე ბრძნობანი.

6. მსწრაფლად შესძინე მის თანა კვალად კურნება სულისა,
იქმენ მოძღუარ და მოღვაწე, დედა ქართლისა სრულისა,
მქადაგებელი მამისა, ძისა და წმიდის სულისა,
და უკან აქციენ მახვილნი ეშმაკთა აღლესულისა.

7. შენ უცხოვო და უცხოთა მხსნელად მოსულო დედაო,
ბნელისგან მომძლავრებულთა აღმოგვიბრწყინდი მზედაო,
აწცა გიორგი მეფის სძალს-ქეთევანს ეყავ მწედაო,
და სულიერ მტერზედ მეოტად გამოაჩინე მძლედაო.

8. შენგან მოელის ორკერძო სულით და ხორცით ლხენასა,
შენ გადიდებს და შენადვე საქებრად აღძრავს ენასა,
ეტრფიალება შენისა ქადაგებისა სმენასა,
და მოანიჭე დიდება, მუნ შერთე მწყობრსა ზენასა.

9. წმიდაო ნინა, მოხედე ასულსა წერეთლისასა,
ფერცხალსა იოანესსა, გიორგი მეფის ძისასა,
ვისთვის არს მარად მწუხარე, სიშორით სიგრძეს გზისასა,
და შენითა შუამდგომლობით ითხოვს ნახვასა მისასა.

---

გამოუხუნა“ Q – 1459, გვ. 321, 15 r.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. სალხენად თჳსად ჰყვანდა მას ძე ერთი მხოლოდშობილი,
აწ სიშორითა მისითა არის გულ-ლახვარსობილი,
დაუცხრომელად გავედრებ მარადის ცრემლით ლტობილი,
და მსწრაფლ მოაქციენ ქართლადვე, არ იქმნენ გზა განგრძობილი.

11. გულმოდგინებით მიბრძანებს შენის ცხოვრების წერასა,
უმეცარი და უცნობი შემძლებელი ვარ მე რასა?
მე ვითარ ჴელს ვყოფ ადწერად ქებასა შენსა ფერასა,
და მაგრამ სძალს ჴელმწიფისასა უარს ვაძრებდი ვერასა.

12. რაც ძალ მეც ვიგულსმოდგინე მათისა მორჩილებითა,
ნინა, ქართველთა მნათობო, ვარ შენის სასოებითა,
დეკანოზის დის სოფიოს მომხედე მოწყალებითა,
და დამიხსენ ჯოჯოხეთისგან, სამოთხე ვპოო შვებისა.

13. ვინცა ინებოთ ამ წიგნის აღწერა რაზომ ხანია,
თვესა ივლისსა სრულ იქმნა, იყო დღე იგი ცხრანია,
ქორონიკონი ჳდებოდა ამ წელს ფარი და ბანია,
და მწერალი გესავ, მკითხველო, ლოცვა ყავო ჩემთვის მზანია. (93r – 94r)

**М. КАВТАРИЯ**

## ОДНА СТРАНИЦА ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ПОЭЗИИ

РЕЗЮМЕ

Впервые публикуются стихи поэтессы Софии, которая жила в начале XIX века. София посвятила

стихи деве Марии, св. Кетеван и Нино Просветительнице. София работала по просьбе Кетеван Церетели, жены царевича Иоанна. Она для царевны переписала рукопись, которая сегодня хранится в Петербурге.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია სამყურაშვილი

# არაბიზმები „ხუარაზმშაჰის საუნჯის“ ქართულ ვერსიაში

შუა საუკუნეების ქართული სამედიცინო თხზულება „ხუარაზმშაჰის საუნჯის“ ქართული ვერსია, ამ პერიოდის სხვა სამედიცინო ტექსტების (უსწორო კარაბადინი, წიგნი სააქიმოჲ) მსგავსად, უხვად შეიცავს უთარგმნელად – ტრანსკრიპციით გადმოტანილ არაბულ ლექსიკას, მათ შორის სპეციალურ სამედიცინო (ანატომიურ, ბიოლოგიურ, ფიზიოლოგიურ, სნეულებათა და სხვ.) ტერმინებს. ამავე დროს აღნიშნული სიტყვების დიდი ნაწილი ხშირად წარმოდგენილია არაბული გრამატიკული კატეგორიებით, გვხდება არაბული ფრაზეოლოგიური კალკები; ტექსტში გვხდება აზრობრივად ბუნდოვანი ფრაზები, რაც გამოწვეულია არაბული ლექსიკის არასწორი თარგმანის მიზეზით.

1. ტექსტში გამოყენებული გარკვეული რაოდენობა არაბული სიტყვებისა წარმოდგენილია არაბულისთვის სპეციფიკური გრამატიკული ფორმებით:

ა). გაუხმოვნებლად (მხოლოდ გრძელი ხმოვნებია წარმოდგენილი, რომლებსაც დაწერილობაში შესაბამისი გრაფიკული ნიშანი მოეპოვებათ), მხოლოდ თანხმოვნებით.

*„ცნობა **რსუბის**“; „კარი მეთურამეტე, რჩევა ავ-კარგის **რსუბის** შუა“ (12 v). „კარი მეოცდაერთე – მეოცდაოთხე, ცნობა ამბავი კაცთა ტანის **რსუბის** ფერებისაგან ... **რსუბის** სისქისა და სითხელისაგან ... **რსუბის** ადგილისაგან ... გამოჩენაშიგა“* (122 r). رسوب *რასუ̄ბ* – ნალექი.

*„ერთი **რბათი** კისრის ჰარარასაგან ამოსულია“ (30 r); „მისი **რბათიცა** ორისა ძუალისაგან ამოსულია“* (44 r); رباط *რუბა̄ტ* – იოგი.

*„მას **შყ** ქუიან“* (133 r). شق *შკკ* – ნაბზარი.

*„რაც განზედა მივარდეს, მას **ჯზ** ქუიან“* (133 r) جزء *ჯზ’* – ნაწილი, ნაკვეთი.

***დბეილა** ზემოთსა ნაწლევშიგა არის“* (226 v). ذبول *ḏაბუ̄ლ* – დნობა.

*„**დხანი** იყოს“* (231 v). دخان *დუხა̄ნ* – აორთქლება.

*„**მბაშირშიგა** გამაგრდეს“* (106 r, 7). مباشر *მუბა̄შირ* – საპირისპირო, მოპირდაპირე.

*„ავი რუსუბი და უმთელო ... არის **ნხალე**“* (213 v). نخل *ნახლ* – გაბნეული.

*„**მფარეხი**“* (9v, 5). مفرّح *მუფარრიჰ̌* – დამამშვიდებელი.

*„**თამ ალ-რჯუ, ნაყის ალ-რჯუ**“* (166 v). تم الرجع ، ناقص الرجع *თამმუ-ლ-რაჯ‘ი, ნა̄კისუ-ლ-რაჯ‘ი* – პულსის სახეობანი.

მაგალითების გამრავლება კიდევ არის შესაძლებელი, მაგრამ ვფიქრობთ, ესეც საკმარისია. გაუხმოვნებელი ძირების არსებობა ტექსტში შეიძლება აიხსნას ორი მიზეზით: პირველი, მთარგმნელის ყოყმანით, როდესაც მან არ იცის სწორი გახმოვნება და შეცდომის თავიდან ასაცილებლად გაუხმოვნებლად წერს; ანდა მეორე: სიჩქარის გამო მთარგმნელმა, მოკლედ, ტრანსლიტერაციით გადმოიტანა არაბული სიტყვები. ორივე შემთხვევაში გაუხმოვნებელი ძირის სახით წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულების ტექსტში არსებობა მხოლოდ მწიგნობრული გზით შეიძლება აიხსნას. ამდენად, ისინი არაბულიდან წარმომავლობის არგუმენტად შეიძლება ჩაითვალოს.

**ბ).** მთარგმნელი ცდილობს ზუსტად გადმოიტანოს ორიგინალის ტერმინოლოგია. ტექსტში არაბულ სიტყვებთან სახელის სტატუსის, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის მაჩვენებელი აფიქსები – არტიკლი და ნუნაცია ხშირად შენარჩუნებულია:

*„**ალ**ასბაბ **ალ**ხარჯთა, **ალ**ასბაბ **ალ**ტაბიათ **ალ**ლაზმა“* (2 v) الاساب الخرجة .

الطبقات *„ალთაბაყათ**ულ** სალიბა/ **ალ**თაბაყათ **ულ**საფყიაცა ქუიან“ (2 v)* . الطبيعة اللزمة)

ARCHIVE
http://Archivebeta.Sakdigital.ge

الصفيقة/الصلبية. *„ალჰალმათ **ულ**დადადი“ (86 r)* الحلمة الغدّة. *„ასბაბ **ულ**მადიმა“* اسباب المدينة. *„ასბაბ **ულ**ვასილა“ (17 v)* اسباب الوصيلة. *„**ალ**დვიათ **ულ**მავთაჰა“ (2 v).* المفتحة الادوية. *„**ალ**მუღიად**ულ** ლუაბ“ (17 v)* المغيد اللعاب. *„და**ულ**სალაბი, და**ულ**ჰაია“ (136 v).* داء الحية، داء الثعلب. *„ზანად**ულ** ასფალი“;* زند الاسفل، زند العالي. *„ზანად**ულ**ალი“ (44 r).* خبث النفسي. *„**ალ**ღაშათ ალმაშიმია“ (69 v)* الغشاة المشيمية.. *„ზიყუ ნაფასი“ (129 r)* تم الرجع. *„თავრიყ**ულ** ითისალი/თაფრიყ**ულ** ითისარი“ (153 v)* اتصال تفريق. *„ინთიჰ**ალ** ბურჰანი“ (294 r)* انتحال البرهان. *„ავდაჯ**ულ** მათინ“ (52 v)* ودج الباطن

მაგალითების გამრავლება კიდევ შეიძლება, მაგრამ ვფიქრობთ, ამჯერადაც საკმარისია. „ხუარაზმშაჰის საუნჯის“ ქართული ვერსიის ავტორს ხელი უნდა ჰქონოდა არაბული წყარო, ამის ნათელი დასტურია ტექსტის მოცემული ნიმუშები, რომლებშიც გვხვდება **„ალ“**-არტიკლით პირდაპირი თუ ირიბი ბრუნვების მაწარმოებელი გახმიერებით. **-ულ ... , -ალ ...** ქართულ ტექსტში არაბულ სახელთა ასეთი ორთოგრაფიით არსებობა მხოლოდ და მხოლოდ მწერნობრული გზით შეიძლება აიხსნას.

**გ).** ტექსტში ზოგჯერ გვხვდება უთარგმნელად დატოვებული სიტყვები არაბული ენისათვის სპეციფიკური ორობითი რიცხვის ფორმით:

*„ორი ძუძუს თავი სიმეტე ამოსულა, აქიმნი მას ძალობითა **ალჰალმათან** ქუიან. ხასიათი სუენების ამა **ჰალმათინით** იყოს“ (80r)* الحلمتان الحلمة/ الحلمة.

***„ლოზათინი** ყელისაგან არის“ (89r).* *„სარგებელი ამა **ლავზათინისა** ის არის, რომე აერს, რომე ყელშიგა უნდა ჩავიდეს, ცოტად უკუიმჭიროს“ (89r).* لوزتان لوزة/لوزة.

*„ამა ორთა აზალათა ძალობითა **აზალათან** ქუიან“ (90r)* عضلتان عضلة/عضلة.

**დ).** ტექსტში შეიძლება შეგვხვდეს უთარგმნელად დატოვებული სიტყვები არაბულისათვის ასევე, სპეციფიკური ე. წ. „მსხვრეული მრავლობითის“ ფორმით[2]

*„ვარიდის შტოები ღიდას შირიანის შტოებითა ჩაგზავნის ... **ავარიდას** ხსენების კარშიგა მოგონებული არის“ (75v). ცნობა სისხლის ძარღვსა, ღუღძლისაგან ამოსულია, მას **ავარდა** ქუიან“ (75v). **ავარდას** ამბავი და შირიანი ერთობილთა ასოთა მბავშიგა მოგონებული არის“ (81r.; **ავარდა[ს]** შეშა ძარღუებშიგა გაუვლია“ (64v).* ورد وَرَدَ/وَرَدٌ – ვარდი.

*„აკიცხა დაჭირება საირანითა და სარჯლითა ... იმისთუნ არის, რომე ამა მეტი **იხლატისაგან** გამოწმედეს“ (156 r). „სუნის გუარი, რომე სიმსივნე მათგან დაიბადების, ეჭუსი არის, ამათგან ოთხი **იხლათი** არის – სისხლი და ზაფრა და სევდა და ბალღამი“ (135r). „ბეური იყოს, რომე ავი სუნის გუარი კარგის **იხლათშიგა** გარეული იყოს“ (135r). „სტომაქშიგა ავი **იხლათი** იყოს, ქეშპოპა მუდმად იყოს“ (172r) „თუ კბილი **იხლათის** მონარჩომი არ შეირგებდა, ისი მონარჩომი მის ჯაჭვარშიგა არ წახდებოდა“ (134v).* خلط خِلْطٌ مر. أخلاط أَخْلاطٌ ’ახლაბ – ნარევი, ნაზავი.

***„ამრაზისაგანცა** ამბავები გაახალდეს, მას **არაზ** ქუიან“ (142r). **„აარაზისაგან** ნიშნები ეძებოს სნეულობისა ამბავის შეტყობისათვინ, სნეულობის ალამთი ქუიან“ (142v).* مرض مَرَضٌ مრ. أمراض أَمْرَاضٌ ’ამრაბ – სენი; عرض ’არაბ მრ. أعراض أَعْرَاضٌ ’ა’რაბ – კლინიკური სურათი.

*„ძარღუი, რომე უფრო გარეთ არის, მას **ადდაჯუ** ზაჰრი ქუიან და უფრო შიგნითსა – **ავდაჯულ** ბათინ; და ვიდაჯსა სულის ძარღუი ქუიან“ (52v, 68 r).* وداج وَدَجٌ مრ. أَوْدَاجٌ ’ავდაჯ – კისრის არტერია.

*„ესე სიფაყი **ასთარი** არის შეშა ძარღუისაგან და ესე **ასთარი** ჯაზიბის და დაფიის შეშა ძარღუებთაგან მოქსოვილი არის, რომე ესე ასთარი ფხულის შემოზიდვა და **ამსაჭი** და გაყენება სამთავე ქნის“ (102 r).* ستار سِتْرٌ მრ. استارا أَسْتَرٌ ’ასთარ – საბურველი, გარსი.

---

[1] Юшманов, Н. Грамматика литературного арабского языка, М., 1985, გვ. 93-95.

[2] Юшманов, Н. 1985, იქვე, გვ. 83-86.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ე).** უთარგმნელად დატოვებული სიტყვები შეიძლება შეგვხვდეს „სწორად მრავლობითის“ ფორმითაც:

*„[თუალისა საქმენი] დაშა არის და შეშა ძარღუი, და **თაბაყათი**, და **რუტუბათი** და **ახალათი“** (80v).* მრ-ის ფორმებია: **ასტრ** *ადალ3ი*, **ტრუბრ** *რუტუბ3ი*, **ტბკტ** *ტაბაკ3ი*. შეადარე მხ. რიცხვის ფორმებს: **ბტბკ**، **ტრბრ**.

*პირველი **თაბაყა** მაგარი არის“ (81 r). „მეორე **თაბაყა** მაშიმაის **თაბაყა** არის“ (82r). „ოდესცა ერთი **ახალა** თაშანუჯი ქნას, ზურგი მისკე მოუქცეს“ (49r). „ორთავე ხასი ზურგის **ახალა** ქუაან“ (49 r).*

მთარგმნელი ორიგინალის ქართულ ენაზე გადმოტანისას თანამიმდევრულობას ვერ იცავს. ზემოთ მოტანილი სანიმუშო სიტყვები შეიძლება შეგვხვდეს ქართული გრამატიკული კატეგორიით – „ებ“ და „ნარ“-იანი მრავლობითის ფორმებით:

*„ზაფრა ... ნაწლევთა ბალღმისაგან და **ხილტებთაგან** გამორეცხს“ (88v). „თუალის **თაბაყები** აავსოს“ (84r). **„თაბაყები**, რომე ჯალიდიას წინა არის, თუთო მისგან დიდა იმა თაბაყას ძარღუებისაგან პოვებს“ (84r). „თუალის **თაბაყანი“** (82r). **„რუტუბათები** ტანისაგან გამოწმდეს“ (lv). **„რუტუბათები** შეინახოს“ (232v). „**ახალაებისა** მისა მჭნელი ჰანჯარა არის“ (87r). „ამა **ახალაებსა** მეშველება მისცემს ყოველგნით“ (46r). **„ახალაები** ორთა ... ტერფშეგა დადებული არის“ (59 v). „მუცლის **ახალაები** რვა არის“ (49v).*

**ვ).** უთარგმნელად გადმოაქვს ფერისა და ფიზიკური ნაკლის აღმნიშვნელი სახელები, რომლებიც არაბულში **أفعل** 'აფ'ალუ ტიპით არის ნაწარმოები.[3]

*„[წითელი ოთხი ფერი არის] ... მესამე ერთობ წითელი, ძალობითა **აშმარ** ქუაან“ (192r).* **أحمر** 'აჰმარ – წითელი. *„ესე არის **ადბარი“** (192 r).* **أغبر** 'აღბარ – ცისფერი. **„აშხარი** ნარისა ფასელი თხელი იყოს“ (205 r).* **أشخر** 'აშხარ – ცეცხლისფერი, (წითელი).

**ზ).** უთარგმნელად გადმოაქვს განკერძოებული სიტყვა:

*„სისხლისა სნეულობა იყოს, **ხასად**, პირველს სნეულობაშეგა“ (20lv). „ბაყლი ნახევარი ქუეშეშეგა ქნას, **ხასად**, იმა ასოშეგა, რომე ტკივილი იყოს“ (194v). „ცხელებაშეგა ... წყალი თეთრი იყოს, **ხასად**, ცხელებაშეგა, რომე ისი სიმსივნე ბარკალზედა დაიბადოს“ (194v). „ასოშეგა ტკივილი დაიბადების, **ხასად**, თირკმელშეგა“ (204r). „მსუქნის წყალი თეთრი იყოს, **ხასად**, დედათა წყალი, ხაზიანო არ დია იყოს“ (195r).* **خاص** *ხას* – კერძოდ, განსაკუთრებით.

**2.** სპეციალურ ტერმინთა გადმოსაცემად ტექსტში შეიძლება შეგვხვდეს სიტყვასიტყვითი – კალკირებულ ფორმები[4]:

***სენის უფლისა** საქმე გაძნელდეს“ (14lv)* صاحب المرض *„**ზაფრის ყვანისა უფალსა** ყურნი დაუდგეს“ (139r)* صاحب الصفراء. *„**ყვანის უფალსა** უწამლო“ (140v)* صاحب التخمة. *„**თაშანუჯის უფლისა** ფასელი ბევრი გაშავდეს, ... ერთობ ავი იყოს“ (199v)* صاحب التشنج. *„მაჯა, რაგორაცა **ხუნაფის უფლისა** იყოს“ (182 r, 17)* صاحب الخناق. *„**ხიცუ ნაფასის უფალი**“ (186v, 7).* صاحب الضيق النفس. *„**საქოის უფალი**“ (185 v)* صاحب السكتة. *„**წყალის უფალი** გრილისა და ნედლისა წამლებას ერთობ მონატრე არის“* (196 r). *„**ტყორბის უფლისა** ფასელშეგა სისხლის ჭოთები შეკრულიყოს“ (216r).*

ან: ***ძაღლის შიმშილი** მას ქუაან, რომე ხან-ჟამიერად ჭამდეს და ვერ გაძღებოდეს“* (97v). صاحب الجوع الكلب

*„თუ სიმთელის იყოს (მაჯასი), **ჰუსნულ ვაზნ** ქუაან და **მუსთაყიმისა ვაზნიცა** ქუაან, ეითაცა **მართალი ვაზნი“** (166 r)* وزن المستقيم حسن // الوزن

---

[3] Юшманов, Н. 1985, იქვე, გვ. 80.

[4] Лихачев, Д. Текстология, М.-Л., 1960, გვ. 395: „ერონტრივი კალკები – უცხოური სიტყვების სიტყვასიტყვით გადმოცემა, რომელსაც შემოუნახავს მორფოლოგიური სტრუქტურა ამ უცხო სიტყვისა, შეიძლება იყოს თარგმანის მაჩვენებელი, თუ რა თქმა უნდა იგი უკვე არ არის ენის ლექსიკურ ფონდში შესული და დამკვიდრებული“.

*„თუ ცხროსა თავის ტკივილი იყოს, იცოდი, რომე* ***კუერცხის გულისა ნაღუელისაგან*** *არის“ (18 r)* بيض الاصفر – კვერცხის გული, ნაღველი. *„თუ ტყირბი სტკივოდეს, იცოდი,* ***შავისა ნაღუელისაგან*** *არის“ (18 r)* السوداء – სევდა, შავი ნაღველი.

ანატომიური ტერმინის კალკია მოცემულ ფრაზაში: *„ამა მეორეს [ხრტილს – უზრუფს]* ***სახელი არ არის“*** *(35v)* لا اسم له – ანატ. უსახელო ხრტილი.[5]

**3.** სათარგმნი ტექსტის მეცნიერული ხასიათი მოითხოვდა თარგმანის დედანთან ზედმიწევნით დაახლოებას, აზრის უაღრესი სიზუსტით გადმოცემას. ამისათვის მთარგმნელი, ზოგჯერ არაბულ ფუძეს ქართულ მაწარმოებელ აფიქსებს ურთავდა და ამნაირად წარმოქმნიდა ახალ, ხელოვნურ ლექსიკურ ერთეულებს, რომელთა დიდი ნაწილი, რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ კონკრეტული ძეგლის ფარგლებში გამოიყენება და ისინი სხვა ქართულ სამედიცინო ძეგლებში გვხვდება და არც ქართულ სალიტერატურო ლექსიკურ ფონდში არ დამკვიდრებულა ასეთებია, მაგალითად: „უნიზამო“, „ნამუნთაზიმ“, „უნაფასობა“, „თამდიდობა“, „სილაზუჯე“ და სხვა მრავალი:

*„იცოდი, რომე ისი, რომე* ***ნიზამიაგან*** *და* ***უნიზამოსაგან*** *ეძებონ, ფერი არის ამა ორს ქუეშე, ვითაცა ფერი არის ქეშპისაგან“ (18r).* نظام *ნიზ̣ა̄მ* > უ-ნიზ̣ა̄მ-ო.

*„თუ იმა ნასხზედა აღარ მობრუნდეს, ყოველს მაჯაშიგა იაროს და მას* ***ნამუნთაზიმ*** *ქუიან“ (164v).* منتظم *მუნთაზ̣ი̄მ* > ნა-მუნთაზ̣ი̄მ.

***„უნაფასობა*** *ნიშანი უხარშავობის და უძალობის იყოს“ (235r).* نفث *ნაფას̱* > უ-ნაფას̱-ობა.

*„ხარატ* ***უყუშუროდ*** *ნახოს“ (146v).* قشر *კუშურ* > უ-კუშურ-ო.

*„წყალი* ***ურუსუბო*** *იყოს“ (235r).* رسوب *რუსუ̄ბ* > უ-რუსუ̄ბ-ო.

***„მუშარიქათობა“*** *(71v, 11).* مشاركة *მუშა̄რიქათ* > მუშა̄რიქათ-ობა.

***„თამდიდობა“*** *(4v, 3).* تمديد *თამდი̄დ* > თამდი̄დ-ობა.

***„სილაზუჯე“*** *(228v).* لزوج *ლაზუ̄ჯ* > სი-ლაზუ̄ჯ-ე.

*„თირკმელი იმა ღიდასა კარგად დასწუროს და* ***თამამობითა*** *გაჰყაროს წყალი, რომე ...* ***თამამად*** *მოიხარშოს; მოხარშული და* ***გათამამებული*** *იმა ასოს მიხუდეს“ (102r, 11-13).* تمام *თამა̄მ* – დასრულებული, დამთავრებული. > თამა̄მ-ობა, თამამ-ად, გა-თამამ-ებ-ული. აღნიშნული სიტყვა, მართალია, დამკვიდრდა ქართულ სალიტერატურო ენაში, მაგრამ მან განსხვავებული შინაარსი შეიძინა, ვიდრე მოცემულ კონტექსტში აქვს.

წარმოქმნილია ახალი ზმნები:

*„ოდესცა საჭმლის დნობა* ***გაითამამდეს,*** *გზა გაიხსნას“ (93v, 1).* تم *თამმა* – დასრულება, დამთავრება. > *გა-თამამ-დეს* – დასრულდეს. ზმნურ ფორმას მოცემულ კონტექსტშიც სწორედ არაბული ზმნის შინაარსი აქვს, და არა ქართულ სალიტერატურო ენაში დამკვიდრებული მნიშვნელობა.

ან: *„ნიშანი ამა მზასაგან* ***ამბოს“*** *(143 r). „ანუ ბოტუსაგან* ***ამბოს“*** *(165r). „სარიისაგან სინედლე* ***ამბოს“*** *(165r). „მაჯასისა ამბავი* ***ამბოს*** *გულისა ამბავებზე და სულისა და ტანის“ (183v ). „ნიშანი ... სიჭმისა გონებისაგან* ***ამბოს“*** *(186v,).* انبأ *ანბა'ა* – ამბობს, მიანიშნებს, შეატყობინებს.

**4.** ტექსტში, წინადადების დასაწყისში ხშირად გვხვდება რამდენიმე ფრაზა-გამოთქმა, რომლებიც სტილისტური თვალსაზრისით არ არის შეცდომა, მაგრამ მათი ხშირი, ზომაზე მეტი ხმარება მიგვანიშნებს უცხოენოვანი დედნის გამოყენებაზე. ეს გამოთქმებია: **„იცოდი, რომე“; „უნდა, რომე“; „იყოს, რომე.“ თუ** ქართულ თხრობით ტექსტში წინადადება იწყება ამგვარი ფრაზებით, ეს ბუნებრივი მოვლენაა, მაგრამ თუ ხშირად გამოიყენება, ვთქვათ, ათიდან შვიდი ფრაზა ასე იწყება, მაშინ შესაძლოა ვიფიქროთ არაბული მოდელის არსებობაზე, რადგან ასეთი დასაწყისი არაბული თხრობისათვის არის დამახასიათებელი.

---

[5] შდრ. Ахвледиани, В. Фонетический трактат Авиценны (текст, перевод, исследование), Тб., 1966, لا اسم له безымянный (хрящ), გვ. 85.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტილისტური ანალოგიების ზედმეტ ხმარებას ჟერარ გარიტიც თარგმანის ნიშნებად განიხილავს.[6]

განვიხილოთ ნიმუშები, რომლებშიც ზემოთ მოტანილი გამოთქმები გვხვდება:

**I. ა).** „იცოდი, რომე“ არის არაბული მოდელის, اعلم انّ – სახელების და اعلم انْ – ზმნების წინ მდგომი, შესაბამისი გამოთქმა, რომლითაც ხშირად იწყება წინადადება:

***„იცოდი, რომე*** *უკეთესი აზალა, სუნთქუის აზალაებთაგან, ჰიჯაბი არის“ (46v).* ***„იცოდი, რომე*** *პირუტყუი ბალახთაგან და ადამიშვილი ორითა რასმითა გაყრილი არის; ერთი ცნობა და მეორე – ძრვა ნებითა“ (59r).* ***„იცოდი, რომე*** *მაჯასის აშლილობა სიმსივნის მიზეზითა, ხუთისა ამბავისაგან იყოს“ (181r).* ***„იცოდი, რომე*** *ერთობილი შირიანის ძალები გულის ძრვის პირდაპირ იყოს“ (154v).* ***„იცოდი, რომე*** *ყავამი მძლავრი ნიშანი არის სნეულის მშუიდობაზედა“ (213r).* ***„იცოდი, რომე*** *(109v). „რაგორაცა კაცისა გუნება სწორი არ არის, მაჯასიცა სწორი არ არის“ (159r). „და აგრევე,* ***იცოდი, რომე*** *ჯაზიბის და მასიქის და მუღაირისა და დაფიის ძალები ... ოთხი ძალისა სარგებელი უნდა, რომე მათისა საქმე მართლად მოვიდეს“* ***იცოდი, რომე*** *არა ყუელა სუქუნი და ფთური, რომე ყოვლისა ასოს საქმეშიგა გამოჩნდეს, მარაზი არის“ (127v).*

**ბ).** „უნდა, რომე“ ან „მართებს, რომე“ არის არაბული يجب أنْ – „საჭიროა“, ჰამს“ გამოთქმის შესატყვისი ფრაზა, რომლიც, ასევე, ხშირად გვხვდება წინადადების დასაწყისში:

*„ფირტვის ღიდას,* ***უნდა, რომე*** *წურილი და თხელი და შუენიერი იყოს“ (67v). „სისხლი, რომე მისი ღიდა შეიქნების,* ***უნდა, რომე*** *სხუა ასოთაგან მოხარშულიყოს“ (74v). „ძრვის შეშა ძარღუები უფრო ძალიანი* ***უნდა, რომე*** *იყოს“ (79v). „აქიმან,* ***უნდა, რომე*** *იცოდეს, ვითა სენის გუარი რომელსა ასოშიგა ყოფილა“ (128r).* ***„მართებს, რომე*** *სენის გუარი თირკმელისაკე პირი ქნას“ (204r).* ***„მართებს, რომე*** *უფრო მაგარი იყოს“ (72v).* ***„მართებს, რომე*** *მისი თავი ამა მრგუალის გზაზედა იყოს“ (47v).* ***„მართებს, რომე*** *თქუან, ვითა თერთმეტი აზალა არის“ (54r).* ***„მართებს, რომე*** *სუნთქუა გაუწყუეტელი შეიქნას“ (184v).* ***„მართებოდეს, რომე*** *მართალი სიმთელე ერთგუარი არის“ (126r).*

**გ).** „იყოს, რომე“ წარმოადგენს არაბული يكون أنْ – „არის, რომ“; „იყოს, რომ“, „ხდება“, ადგილი აქვს“ გამოთქმის მოდელს, რომლითაც ხშირად იწყება წინადადებები ჩვენს საკვლევ ტექსტში:

***„იყოს, რომე*** *ქონისა გადნობისაგან ყვანა ... დაიბადოს“ (193v).* ***„იყოს, რომე*** *ყოვლისა წყალსა ახლოს იყოს“ (191v). „და ბევრი* ***იყოს, რომე*** *უძილობის ბედითა წყალი გათეთრდეს“ (189r).* ***„იყოს, რომე*** *სიმწოისა და სიმლაშეს მიზეზითა ტყავსა გარეთა პირი ქნას“ (204r).* ***„იყოს, რომე*** *თარქიბი გარეულლობისაგან ორფერი გუარიანი მივარ-დეს; და* ***იყოს, რომე*** *სამისა ხილტის გარეულლობისაგან მივარდეს; და* ***იყოს, რომე*** *ოთხისა გარეულლობისაგან მივარდეს“ (192r). „[სნეულობა] ... ასრე* ***იყოს, რომე*** *ტედშიგა, რომე მისი გუნება სნეულის გუნებისა ქეშპი იყოს, გაინქრივოს“ (138r).* ***„იყოს, რომე*** *... კიდე რამე შეტყობითა ... მარაზიცა იყოს და არაზიცა და საბაბიცა“ (128r).* ***„იყოს, რომე*** *სნეულობა სხუა ასოს სენისა მიზეზი იყოს“ (128r).* ***„იყოს, რომე*** *მარტო და გრილი სურმიზაჯი სრთსა ასოზედა მოიმატოს“ (131r).* ***„იყოს, რომე*** *ძარღუისა პირი თავში გაიხსნას, მას შყ ქუიან“ (133r).*

**II.** ტექსტში თვალსაჩინოა „და“ კავშირის ჭარბი ხმარება. ეს ფაქტი, ქართული ენის ბუნებრივი სინტაქსისათვის უცხოა და იგი სასულიერო ძეგლების შესწავლის საფუძველზე ბიბლიური წიგნების თარგმანთა ანალოგიით არის ახსნილი.[7]

არაბულიდან თარგმნილ ქრისტიანულ და სამედიცინო ძეგლებზე მუშაობისას სპეციალისტები ხშირად აღნიშნავენ ტექსტებში „და“ კავშირის ხშირ და ზოგჯერ უადგილო ხმარებას და ამ მოვლენას არაბული მაერთებელი (وُ და ف) კავშირების ქართულ თარგმანში გადმოტანის ფაქტით ხსნიან[8]. თარგმნილ ძეგლებში ანომალური სინტაქსის არსებობა ზოგადად აღნიშნულია ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც.[9]

---

[6] G. Garitte, Traduttore traditore di se stesso, Extraidu Buletin de l’ Académiee royale Belgique (Clfsse des Lettres), 1971 (ჩვენ ვსარგებლობდით ც. ბიბილეიშვილის ქართული თარგმანით „მთარგმნელი და მოღალატე ერთია“, მრავალთავი XVIII, 1999: „თარგმანის დადგენაში სტილისტიკაც დიდად გვეხმარება ... ერთ-ერთი ნიშანია „ზედმეტი ხმარება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ერთ ენაში გამოთქმის ნორმალური ხმარება მეორე ენაში შეიძლება ზედმეტად გამოჩნდეს. ეს მეორე ენის ინტერფერენციის შედეგია. მასში შეიძლება თარგმანის ნიშანი დავინახოთ.“ გვ. 300.

[7] ქ. დანელია, „უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში“, იხ. მაცნე (ელს), 1979, № 3, გვ. 90-97.

[8] ამონიოსის სინა-რაითის „მამათა მოსრვის“ არაბულ-ქართული ვერსიები (IX-XI, XIII-XVIIIსს. ხელნაწერების მიხედვით), ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო რუსუდან გვარამიამ, თბ., 1973, გვ. 054; „იოვანე ოქროპირის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი (968 წლის ხელნაწერის მიხედვით), ტექსტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ჩვენს საკვლევ ტექსტში შეინიშნება „და“ კავშირის ჭარბი ხმარება სასვენი ნიშნის „მძიმე“-ს ფუნქციით.

*„თუალისა საქმენი ლაშა არის,* ***და*** *შეშა ძარღუი,* ***და*** *თაბაყათი,* ***და*** *რუტუბათი,* ***და*** *აზალათი,* ***და*** *ავარდა და შირიანი“ (80v). „ჰაივანის ალათი ... ყასაბა,* ***და*** *ყელი,* ***და*** *ჰანჯარა და ფირტვი არის“ (183v). „უფროსნი ასონი მისნი ორფერი არის,* ***და*** *ძუალები,* ***და*** *შეშა ძარღუები,* ***და*** *შიგნითი ასოები,* ***და*** *სისხლის ძარღუები,* ***და*** *შირიანები, და სასა ყუელა მართლად ორკერძად არის, ... რაგორაცა ტყუბი“ (101v). „სტომაქს,* ***და*** *ღუიძლს,* ***და*** *ტყირბსა და ნაწლევებთა ადგილი არ იქნებოდა“ (103r). „ერთობილთა ასოთა გუნება, რაგორაცა გული,* ***და*** *სასა,* ***და*** *ძუალები,* ***და*** *შეშა ძარღუები,* ***და*** *[სისხლ] ძარღუები,* ***და*** *შირიანები და მათი მგზავსი თუითო მისი თავისა ადგილი დაიმჭირონ“ (111r). „მუსავარას ძალი ძალი არის, რომე მისგან ასოები და სახენი მისნი,* ***და*** *გატენილობა,* ***და*** *განი,* ***და*** *სიდიდე და სიწურილე მისი გამოჩნდეს“ (111v).*

**ბ.** ტექსტში გვხვდება „და“ კავშირის გამოყენების შემთხვევები „აგრეთვე,“, „-ც“, „მაშ“ და სხვა ფუნქციებით; ყველა ეს მნიშვნელობა არაბულ و კავშირს აქვს;

*„ზანტობა, და სისუსტე, და ნაღულიანობა,* ***და*** *სისხლისა ძარღუთა სიმსავსეობა,* ***და*** *პირისახისა სიწითე, და ფსელი სქელი და ფერიანი,* ***და*** *თუალთა აშლილობა ... სიმსავსის ნიშნები იყოს“ (148r).* სისხლისა ძარღუთა სიმსავსეობა, პირისახისა სიწითე**ც**, ... **აგრეთვე,** თუალთა აშლილობა ... სიმსავსის ნიშნები იყოს.

*„ყელი იმა ადგილსა ქუიან, რომე საჭმლის და ღუინის ადგილი იყოს და გზა,* ***და*** *სუნთქუის გზა მაშიგა არის“ (88v).* სუნთქუის გზა**ც** მაშიგა არის.

გარემოებითი წინადადების დასაწყისში „და“ კავშირი იხმარება „მაშინ“, „და თან“, ამასთან“ ფუნქციით. ჩამოთვლილი მნიშვნელობები არაბულ و კავშირს აქვს:

*„ოდესცა ყრიანატისი ილუთი ასთარღი შეიქნას,* ***და*** *სენის უფლისა საქმე გაგრძელდეს“* (141 r). **მაშინ** სენის უფლისა საქმე გაგრძელდეს.

*„ოდესცა ასო, რომე უნდა მობრუნდეს სიმთელის სახისაგან, მობრუნებულიყოს,* ***და*** *ხალხალი იმა ასოთა ამბავშიგა გამოჩნდეს“* (132r). **მაშინ** ხალხალი იმა ასოთა ამბავშიგა გამოჩნდეს.

*„თუ გახეთქილიყოს,* ***და*** *თითს ებძოლოს“* (152r). **მაშინ** თითს ებძოლოს.

**გ.** არაბული **ف** კავშირი თანამიმდევრობას ან ქვემდებარის ცვლას აღნიშნავს და ითარგმნება: „და ასე“, „შემდეგ კი“, „ხოლო.“ ჩვენს საკვლევ ტექსტში „და“ კავშირი ხშირად გამოიყენება ზემოთ ჩამოთვლილ მნიშვნელობათა გადმოსაცემად:

*„წლლულებაშიგა [სენი] იმა დღეს უფრო ძნელი იყოს, რომე მოიხარშოს და თავი ქნას,* ***და*** *ტკივილი დაწლნარდეს“* (211 v). **შემდეგ** ტკივილი დაწყნარდეს.

*„[წამალი] ენასა ვადრისოთ სუელითა მჩუარითა, რომე გამოიღოს სიშავე,* ***და*** *სნეულმა გამოიბანოს პირი ვარდისა წყალითა“* (22v). **შემდეგ კი** სნეულმა გამოიბანოს პირი ვარდისა წყალითა.

***„ფაილი*** *ჰაივანის ძალი არის,* ***და*** *ალათი – ყასაბა და ყელი“* (183v). **ხოლო** ალათი – ყასაბა და ყელი.

*„ქეილუსი ღუიძლშიგა მოიხარშოს და მართალი ღიდა შეიქნას,* ***და*** *მართალი ღიდა სისხლი არის“* (94 ). **ხოლო** მართალი ღიდა სისხლი არის.

**5.** ტექსტში ზოგჯერ გვხვდება ე.წ. პარონომაზიის ნიმუშები, რაც სპეციალისტთა თვალსაზრისით მხოლოდ სემიტურ ენებს ახასიათებს.[10] აქედან გამომდინარე, ქართულ ტექსტში პარონომაზიის ნიმუშების არსებობა მიგვანიშნებს, რომ იგი უნდა მომდინარეობდეს სემიტურენოვანი, კერძოდ, არაბული ორიგინალიდან.

აი, ტექსტში გამოყენებული პარონომაზიის ზოგიერთი ნიმუში:

*„სახსრები* ***სარჯელითა*** *არ* ***გარჯილიყუნენ,*** *კაცს შეუძლია თავისა და ყელის გადაბრუნება“ (35v, 7). „მე ხანსა ინყიბასისა სარჯელის შეტყობისა უმეცარი ვიყავ, მერმე*

---

გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო რუსუდან გვარამიამ, თბ., 1986, გვ. 41-043; ასევე: ლ. სამყურაშვილი, „არაბიზმები წიგნი სააქიმოჲ“-ში, მრავალთავი XI, თბ., 1985, გვ. 59-61.

[9] ჟ. გარიტი, იქვე: 1999, „უცხოური წარმოშობის კვალი შეიძლება ტექსტის სინტაქსსაც აჩნდეს ... თარგმანის უჩვეულო სინტაქსი გამოცდილი ფილოლოგისათვის თვალში საცემია ... სინტაქსური თავისებურებანი, ე.ი. ერთი ენისათვის დამახასიათებელი გრამატიკული კონსტრუქციები სპეციალურ თარგმანს საჭიროებს. თუ მთარგმნელი ამ მოვლენას არაზუსტად გადმოგვცემს, მაშინ ამოსავალი ენის თავისებურებანი თარგმანის ენაში გარკვეულ კვალს ტოვებს.“ გვ. 299-300.

[10] კ. წერეთელი, პარონომაზია ქართულში, იხ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება VI, 1954, „პარონომაზია სემიტურ ენათათვის, განსაკუთრებით ებრაულისათვის დამახასიათებელ მოვლენადაა მიჩნეული, იგი მდგომარეობს ერთი ვერბალი ცნების ორი ფორმით (ორი სიტყვით) გადმოცემაში. ამასთანავე, ეს სიტყვები ერთი და იმავე ზმნიდან არიან ნაწარმოები; ან მოკლედ რომ ვთქვათ, პარონომაზია ერთი ზმნის ორი სახით (ფორმით) წარმოდგენაა“, გვ. 461; „პარონომაზია ბიბლიის ორიგინალის ზეგავლენით შემოსულად მიიჩნევა არასემიტურ ენებში“ გვ. 464.

***საგონებელი ვიგნე“*** *(154 v). „მძებნელმან* ამა წიგნისაგან ამაავი *ეძებდეს“* *(78v). „ჭეშმარიტისა სიმრუდესა **სიწრფნარითა** დაწრფნარებულიყოს“ (6v). „ანგარიშითა იანგარიშონ“ (28v).*

მოტანილი მაგალითებიც ორიგინალის ტექსტის ზედმიწევნით სიზუსტით თარგმნის შედეგად უნდა იყოს მიღებული.

**6.** ტექსტში შეინიშნება ჰენდიადისები ანუ სინონიმური წყვილები ერთი მცნების გადმოსაცემად, რაც გამოწვეულია მთარგმნელის მცდელობით, ორიგინალს მოუბებნოს ზუსტი შესატყვისი:

„და მზათაგან ***ამაავი შეტყობა*** *იყოს“ (165 v). „წყალი **წმინდა მნაოობი** არ იყოს“ (189v). **„უუთელი ნარინჯისფერადა** იყოს ფსელი“ (150r). „მფოცდასამე სწორი მაჯასი სიგრძითა და სიმოკლითა იყოს, ისი ჩასუელითა და დავარდნითა სწორი იყოს, მას **მართალი სწორი** ქუიან“ (16lv). „სენის გუარი უფროსს **ხანსა** და **დროს** უფროსსა მაშიგა დარჩეს“ (153r). „მესამე აზალა, აზალა უფროსი არის და ორკეცი, **ვითაცა რაგორაცა** ცოტა მაჯასი იყოს“ (171 v). „ამაავი სნეულობისა მომატებისა არის ... რაგორაცა ცხელება ... ვითაცა **ყოველ წამსა ყოველ დღეთა** უფრო გაცხელდების“ (137v).*

**7.** ტექსტში ხშირად შეინიშნება არაბული მიმართებითი ნაცვალსახელის კალკირებული თარგმანის კვალი, რომელიც ხშირად ნაცვალსახელოვან სუფიქსებსა და ნაწილაკებთან ერთად იხმარება წინადადებაში: **الذى** ,**الذى** – რომელიც, რომლისგანაც.

„შტო თავისა და კისრის აზალაშიგა შემოსულა ... მერეე ჯუფთისგან, ***რომე მისგან*** ამა აზალას ვერ მოსწევნა“ (63r) რომლისგანაც ამა აზალას ვერ მოსწევნა.

„თაბაყაები თუითო მისმან ღიდა იმა თაბაყას ძარღუებისაგან პოვებს, ***რომე მისგან*** ამოსულია“ (84r). რომლისგანაც ამოსულია.

„სნეულობანი, ***რომე მათგან*** *დაიბადოს“ (149r). რომელთაგანაც დაიბადოს. „მუსავარას ძალი, ძალი არის, **რომე მისგან** ასოები და სახენი მისნი გამოჩნდეს“* (111v). რომლისგანაც ასოები და სახენი მისნი ... გამოჩნდეს.

**8.** ტექსტში გვხვდება არაბული ე.წ. „თხრობის ნაცვალსახელის“ გადმოტანის შემთხვევები. იგი წინადადებაში **لَنْ** და **أَنْ** ნაწილაკებს დაერთვის, არ ითარგმნება და არც არავითარი ფუნქცია აქვს:

„ენა ... მას გარეთ რომე ცნობისა და გემოს ალათი არის და მაშიგა მესამე სარეველი არის; და ისი არის, **რომე ისი,** რაგორაცა მოჯრაფა არის, რომე საჭმელებს, რომე კაცნი დაცხნენ, კბილებს ქუეშე არონიებენ“ (86v). „ყისვანცა, **რომე მას** არ აცხელებდეს“ (236r).

**9.** შეინიშნება **من** წინდებულის კვალი,[11] რომელსაც უამრავი მნიშვნელობა აქვს; აღნიშნავს ნაწილის მთელთან მიმართებას, კუთვნილებას, ურთიერთობას ... ითარგმნება, როგორც პარტიტივი და ითარგმნება, როგორც „-გან“, „-დან“, „-ისა“:

„თაბაყაები, რომე ჯალიდიას წინა არის, ***თუითო მისმან*** *ღიდა იმა თაბაყას ძარღუებისგან პოვებს, რომე მისგან ამოსულია“* (84r). **من كل** – თითოეული. *„**თუითო მისა** ბეური შტოები უქნია“ (77r).* **من لكل** – თითოეულს. *„გ ზაშიგა **თუითო მისისაგან** შტო აზდგომია“* (77r). **من لكل** – ყოველი. *„ხსენება ამა ყუელასი **თუითო მისი** ამა თქმულშიგა მის ადგილს მოგონებული არის“ (85v).* თითოეული. *„შირიანები და მათი მგზავსი **თუითო მისი** თავისა ადგილი დაიმჭიროს“ (111 r).* ერთი. *„**ერთი მისგან** [მიზეზი] კაცისა ტანშიგა გამოჩნდეს“ (17r).* **من احد** – ერთ-ერთი (მიზეზი). *„სიფაყი ფერი დაშესი არის **სხუა ფერთაგან**, რომე ამა ძრეისაგან ტინინი შეიქმნას“ (32v).* – ერთ-ერთი ფერი (სახეობა). *„[ძარღუი] ოთხსა წიბოს **მკერდის წიბოთაგან** ღიდას მისცემს“ (52v). მეოთხე მიზეზი სუდასი **გზაებშიგა გზაებთაგან** ყურჩა მიეარდეს“ (2r).* ერთ-ერთ სადინარში. *„ასონი არაფერსა **ძალს ძალებთაგან** ტანისა და ნაყსანისა ვერ მოიხსენოს“ (157v).* ვერც ერთ ძალს.

**من** ნაწილაკის ერთ-ერთი ფუნქცია არის შედარებითი ხარისხის გამოხატვა და ითარგმნება, როგორც „ვიდრე“:

---

[11] *გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1951, გვ. 245.* ასევე: Х. Баранов, Арабско-русский словарь, М., 1957, გვ. 978-979. ასევე: ٧٤٨ გვ. منجد الطلاب، دار المشرق، بيروت – لبنان، ١٩٨٦

ეროვნული ბიბლიოთეკა

*„[გულსა და ფირტვს] ორთავ ღიდა უფრო წმინდა და მოხარშული უნდა* ***სხუა ასოთაგან*** *“ (102r).* ვიდრე სხვა ასოებს. *„ჰაჯათი უფროსი იყოს* ***ახალი აერისა შემოზიდულობისაგან*** *“ (184v).* ვიდრე ახალი ჰაერის შემოზიდულობა. *„გემო და სიხარული ამისთუინა, რომე სულსა და ძალსა ორნივე უფრო წღნარად დაძრან* ***ჯავრისაგან*** *“ (182v).* ვიდრე ჯავრი.

**10.** შეინიშნება على ნაწილაკის კვალი, რომელსაც, ასევე, უამრავი მნიშვნელობა აქვს, მათგან: „შესახებ“, „გამო“, გამოხატავს რაიმე საქმესთან დამოკიდებულებას; ზოგჯერ კი ზმნას ობიექტური ქცევის მნიშვნელობას ანიჭებს;[12]

*„მას უკანა კარგად შევიტყევ და* ***მაზედა*** *აქიმობის კარი* ***ჩემზედა*** *კარგად გაეღო“* (154v). მის შესახებ, ჩემთვის გაიღო = კარგად გავიგე. *„სნეულობა* ***კაცზედა*** *გამოცხადდეს“* (137v). სნეულობა კაცმა შეიტყოს.

**11.** შეინიშნება ل ნაწილაკის კვალი, რომელიც მომდევნო ნათესაობით ბრუნვასთან იხმარება და ირიბ ობიექტს აღნიშნავს, ზოგჯერ კი კუთვნილებას გამოხატავს, რომელიც აქვს ქართულ ზმნებს: „ჰყავს“, „აქვს“.[13]

***„თავსა და კისერისა*** *ფერად-ფერადი სარჯელები ბევრი იყოს“* (35r). სარჯელები ბევრი აქვს. *„პირველსა წიგნშიგა მოგონებული არის, ვითა* ***ყოვლისა საქმისა*** *მიზეზი არის“* (236v). ყოველ საქმეს თავისი მიზეზი აქვს. ***„ჰანჯარასა*** *თექუსმეტი აზალა არის“* (36r). აზალა აქვს. *„სნეულობანი ოთხი ამბავი არის და* ***თუითო ამბავსა*** *ხანი შეტყობილი და* ***აქიმსა*** *იმა ამბავისაგან და დროსაგან ღონე არ არის“* (237v). თუითოეულ ამბავს (სნეულებას) [ესაჭიროება] გარკვეული დრო; ღონე (აქ: უნარი, ცოდნა) არ აქვს. ***„ვისგანცა,*** *რომე მას არ აცხელებდეს, დაბულისა ნიშანი იყოს“* (236 r). ვისაც არ აცხელებდეს. *„ამა მეორეს [ხრტილს უზრუფს]* ***სახელი არ არის*** *“* (35v). لا اسم له – ანატ. უსახელო ხრტილი.

**12.** შეინიშნება كل ნაწილაკის[14] არაზუსტი თარგმანის შემთხვევები:

*[უზრუფისა] ... სარგებელი ის არის, რომე ოდესცა კაცი მუჴლზედა დაჯდეს, რა ადგეს ...* ***ყუელა ტანი*** *იმა სახსარზედა იყოს“* (26v). ორიგინალში შესაბამის ადგილას იქნებოდა: كل الجسم – მთელი ტანი. ან: *„ზიყუ ნაფასის უფალი სუნთქუაშიგა* ***ყოველი მკერდი*** *აღმა აზიდოს“ (186 v).* كل الصدر – მთელი მკერდი.

**13.** ტექსტში შეინიშნება ფრაზეოლოგიური კალკები.

ა. მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური წყობა და სრული შეთანხმება რიცხვში, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ორიგინალის ანალოგიით:

*„ამბავი* ***გაღების და გაფართებისა გზაებისა*** *ოთხი ფერი არის“ (2v).* ***„ნაფასი თხელი*** *ნიშანი სენისა გუარისა უხარშავობისა იყოს“ (236r).* ***„საქმენი ცოტანი*** *არის“ (27v).* ***„იხთილაფნი ორფერნია“*** *(164r).* ***„თითების ძუალების სათვალავები*** *თოთხმეტი ჭოთი არის“ (27r).* ***„ძუალების სათვალავნი*** *მის ადგილს მოგონებული არის“ (27v). „ესე ხანი* ***ხანი მავლუდასი*** *არის“ (112r).* ***„უფროსნი ასონი*** *მისნი ორფერი არის“ (100v). „ასოები და* ***სახენი მისნი*** *... სიდიდე და* ***სიწურილე მისი*** *გამოჩნდეს“ (111v).* ***„წყურვილი ბევრი“*** *(150r).* ***„ნიშნები ზაფრისა სიმრავლის“*** *(150r). „სენის* ***გუარი სასისა*** *“ (150r).*

ბ. ტექსტში გვხვდება უარყოფითი ნაწილაკის უადგილო ხმარების შემთხვევები, რაც გამოწვეული უნდა იყოს ორიგინალის კონსტრუქციის ზუსტად გადმოტანის მცდელობით:

*„ყოფა მისი* ***არ კარგი*** *იქნებოდა“ (47r, 15). „თუ სათვალავშიგა სიმრუდე იყოს,* ***არა ზიანი*** *უც“ (55r, 8).* ***„არა ქარი*** *დაიბადოს“ (228r). „სირბილე* ***არ დია*** *მოვიდეს“ (228r, 13). „ყავამითა სწორი არ იყოს და* ***არა სული*** *ჰქონდეს“ (236v, 4).* ***„არ მის*** *ადგილს იყოს“ (2r, 5).* ***„არ მისითა*** *გუნებით არის“ (155r, 17).* ***„არ მაჯას*** *წონითა გვანდეს და ... მას* ***არ მართალიცა*** *ქუიან“ (166r, 14).*

---

[12] გ. წერეთელი, 1951, იქვე, გვ. 158.

[13] გ. წერეთელი, 1951, იქვე, გვ. 222.

[14] كل ნაწილაკი მომდევნო განუსაზღვრელ სახელთან ითარგმნება „ყოველი“, თითოეული“; მომდევნო განსაზღვრულ სახელთან ითარგმნება „მთელი“, ხოლო მომდევნო განსაზღვრულ მრ. რ.-ის სახელთან – როგორც „ყველა“.

**გ.** ქართულ სალიტერატურო ენაში რიცხვით სახელებში „და“ აკავშირებს მხოლოდ ოცეულებს და ერთეულებს, ათსა და ათმეტეულებს, დანარჩენები – უკავშიროდ ან ცალკე. ჩვენს დამოწმებულ ფრაზებში „და“ აკავშირებს ასეულებს და ერთეულებს, რაც, შესაძლოა, არაბული რიცხვითი სახელის წარმოების ანალოგიით იყოს გამოწვეული:

*„ყუელა მისი* ***ას და ექუსი*** *აზალა იყოს“ (46v, 15). „დაჯერება ჯუფთის სათვალებითა იყოს და ისი [აზალა]* ***ას და რვა*** *არის“ (48v).*

**დ.** სტილისტურად გაუმართავი ფრაზები, წინადადებაში სიტყვათა გამეორება, განპირობებული არაბული სინტაქსური კონსტრუქციებით, გამოწვეული უნდა იყოს დედანთან მაქსიმალური დაახლოების მცდელობით:

*„შუბლის* ***აზალა, აზალა*** *არის წურილი და ფართო“ (30 r). „მეექუსე* ***თაბაყა, თაბაყა*** *არის სქელი“ (83v).* ***„აზალაები,*** *რომე ბასტი და ყაბზი ორივე ქონან,* ***აზალაები*** *არის, რომე წიბოს შუა არის“ (46r). „მუსავარას* ***ძალი, ძალი*** *არის, რომე მისგან ასოები ... გამოჩნდეს“ (111v). „ნამიისა* ***ძალი,*** *ვითაცა მომატებული ძალი,* ***ძალი*** *არის, რომე ღიდა ასოებშიგა მოამატოს“ (108r).*

**ე.** ზოგ წინადადებაში ჩანს არაბული ენის გრამატიკისთვის სპეციფიკური ე.წ. „მოჩვენებითი ქვემდებარის“ კვალი;[16]

***„გუნებასა,*** *ესე ძალები, რომე მოვიგონეთ,* ***მისთუის*** *მიცემული არის“ (112r).* გუნებისთვის მიცემული არის. ***„ღიდა,*** *მისგან ნამეტურს სჭამს, მისი ტანი* ***მისგან*** *გაიძღოს“ (232v).* ტანი საზრდოსგან გაიძღოს. ***„ცივი ოფლი*** *ჰადას ცხელებაშიგა* ***მისი ნიშანი*** *იყოს, რომე ტანშიგა უხარშავი რუტუბათი ბევრი არის“ (234r).* ცივი ოფლი ნიშანი [არის].

**ვ.** სტილისტურად გაუმართავი ფრაზები, წინადადებაში ერთგვაროვან წევრთა გათიშვა, განპირობებული უნდა იყოს ორიგინალის ენის სინტაქსური კონსტრუქციებით:

*„იცოდი, რომე* ***პირუტყუი*** *ბალახთაგან და* ***ადამიშვილი*** *ორითა რასმითა გაყრილი არის, ერთი ცნობა და მეორესა ძრვა ნებითა“ (59 r). „ნიშანი დაუბადებია“ (101v).* ***„ცხუირთაგან*** *სისხლის დენა და* ***კბილისა ძირთაგან“*** *(148r).* ***„ჴორცის ღუიძლისა*** *უძლურობა და* ***მასარიყისა*** *იყოს“ (225r).* ***„კაცისა*** *ტანშიგა და სხვა* ***სულიერთა*** *თირკმელი ბევრი ჭამა და* ***ტკბილიანი*** *– ესე ნიშნები გაადასტუროს, რომე სისხლისა სიმრავლე არის“ (149v). „სუნთქუისა ამბავები, რაგორაცა მაჯასისა ამბავი, ამბოს* ***გულისა*** *ამბავებზე და* ***სულისა და ტანის“*** *(183v).* ***„კაცისა*** *ტანი* ***და სხუა სულიერთა*** *გარეული და დაზელილი არის ოთხისა სათავნოსაგან“ (155r). „იმბისათისა ძრვისა მიზეზითა ცისკრის გრილი და* ***წმინდა*** *ნიავი და* ***ახალი*** *გულს შიგნით მიახუედროს“ (156v).*

**ზ.** მოცემულ რთულ წინადადებებში სახელადი წინადადების არსებობა ორიგინალის ენის სტრუქტურით შეიძლება აიხსნას:

***„ღუიძლის სარგებელი ის,*** *რომე ნაჭამი, რომე მაშიგა მოგროვდეს, რომე ოდესცა გასავლად ადგეს, ერთხელ დაეხსნას“ (98 r).* ***„მეორე მიზეზი ისი,*** *რომე ღუიძლი ქეილუსსა უფროსი შეიზიდოს“ (231r).* ***„ორი წურილი ძარღუი,*** *მისგან შტო ქნილა და ჰიჯაბშიგა გაფანტულა“ (67r ასონი მის მოხარშვისაგან დახსნილი იყოს,* ***რომე გულს და ფირტუს მოხარშვა და დნობა ბევრი არ უნდა ექცევოდეს“*** *(102r).* ან კიდევ: *„თუ ხუთისა მაჯასისაგან ერთი). „ამა ჯალიდიას უკანა სხუა რუტუბათი არის წმინდა და* ***მისი ყავამი – სქელი“*** *(81 v). „შტოების გუარი ესე ორი ძარღუი არის, რომე ერთმანერთსა უფრო ახლოს დადებული არის და* ***შტოები ქნილი და სიწღნარითა უფრო ფართო გაღების და გაფანტული“*** *(114 v). „რუსუბის სიმეტე,* ***რომე ნუზჯისა უკანით და მას უკანა,*** *რომე სიფლი გათხელებულიყოს, წაძრახვისა და სნეულისა ფიცხლა შუელებისა ნიშანი იყოს“ (216 r).* ***„თუ ესე სიფლი ჭიქის ძირსა,*** *ქარები ტანისა ნახევარის ქუეშეთისა შიგა იყოს“ (219r). „ასრე რომე თქუან,* ***ვითა მუსთავი ძალაშიგა*** *ანუ ჩქარობაშიგა“ (165r).*

**თ.** სტილისტურად გაუმართავი ფრაზები, ბრუნვაში შეუთანხმებლობა, გამოწვეული უნდა იყოს ორიგინალთან მაქსიმალურად დაახლოების მცდელობით. მოცემული ფრაზების შინაარსი თუმცა გასაგებია, მაგრამ ქართული ენის სინტაქსური ნორმების მიხედვით გაუმართავია:

*„ამა აზალაებსა ექუსი დათუალონ“ (32v). „ჰანჯარასა თექუსმეტი აზალა არის“ (36r). „ფირტვი ასო არის, რომე მას მოსვენება არ არის“ (74r). „კაცმან ზურგს ვერ გაიმართევდა“ (100v). „თირკმელი იმა ღიდასა კარგად დასწუროს და თამამობითა მისგან გაჰყაროს წყალი“*

---

[15] ა. შანიძე., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 153.

[16] არაბულში, ზოგჯერ, წინადადება იწყება სახელით, რომელიც სახელობით ბრუნვაში დგას და გარეგნულად ქვემდებარეს მოგვაგონებს, მაგრამ იქვე წინადადებაში ეს სახელი ნაცვალსახელოვანი სუფიქსის სახით მეორდება და წინადადების რომელიმე წევრს წარმოადგენს. მას „მოჩვენებითი ქვემდებარე“ ეწოდება და ხაზგასმით არის წინადადების წინ გამოტანილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*(102r). „მთელსა კაცსა ძალიანი საქმისა ქნა და ცოტა ჭამა, წყალი გაყუითლდეს და მისი მიზეზი ძაფრისა სიმრავლე იყოს“ (196r).*

მთარგმნელი ორიგინალის ქართულ ენაზე გადმოტანისას თანამიმდევრულობას ვერ იცავს. ტექსტში ერთმანეთის გვერდით გვხვდება ფრაზები ბუნებრივი ქართული წყობის და ბუნდოვანი, სტილისტურად და აზრობრივად გაუმართავ წინადადებათა ნიმუშები, რაც გამოწვეული უნდა იყოს მთარგმნელის მცდელობით, ასახოს ორიგინალის ფორმაც და შინაარსიც:

*„ესე ვარიდის შირიანი გულისაგან ფირტვისაკე მოსულა და მაშიგა გაფანტულა ორის საქმისათვინ. ერთი ისი, რომე შუენიერი სისხლი, რომე მას ღიდად არგებს, მას მიახუედრებს; და მეორე ისი, რომე აერის სიგრილე ფირტვისაგან გულს მიახუედრებს“ (64r).* ანდა: *„ყური სადაფი არის უზრუფისაგან და შეშა ძარღუისაგან და ჴორცისაგან აფრავითა აღებული, რომე აერი რომე ჴმების ძალთაგან დაიძრას, ამა სადაფშიგა შეიყაროს და ტინინი ქნას“* (85r). ან კიდევ: *„ნაღველი კისა არის ძარღუისა და ლიფებთაგან სიგრძითა და სიფართითა ამაზედა მოქსოვილი და ღუიძლისაგან ჩაკიდებული; და ღუიძლის მარჯუენით გზა მაშიგა გახსნილა და ზაფრა ამა გზით მაშიგა შემოვა“* (95r).

მაგრამ მის გვერდით ისეთი ფრაზებიც გვხვდება, რომლებშიც როგორც ჩანს, სიტყვა სიტყვითი თარგმანის შედეგად შინაარსის გაგება ჭირს:

*„შიგნიური სენების ... მეხუთე ფერი ხილტის სიმსავსე იყოს ასოშიგა, რომე* ***თავისთავი შუაებშიგა ასოთა ალათებშიგა ადგილი ქნას“*** *(4v).* ან: ***„თუ გაყრა და ზიდვა და გაყენება იმა წყალის, თირკმელი და მისი ძალი არ იქნებოდა,*** *ღიდა წყალითა გარეული ასოთა შიგა წავიდოდა, კაცი მუდმად სისხაიანი იქნებოდა“ (101v).* ანდა: *„ორთავ [გული და ფირტვი] ღიდა უფრო წმინდა და მოხარშული უნდა სხუა ასოთაგან, მაგრა ასეთი უნდა, რომე რომე სიჩქარეშიგა შეეძლოს მაჯასი გაუწყუეტელი შეიქნას, ამისთუის რომე ძალი იბძოლოს, სხუა მაჯასი მობრუნდეს და სხუა ფერთაგა შეიქნას, ანუ ერთი მაჯასისა ალათი ერთფერი სხუა ფერთაგან მოვიდეს და სხუანი ერთმანერთისა მგზავსნი იყუნენ,* ***მუსთავისა რიგი სხუა სხუასა წესშიგა,*** *ასრე რომე თქუან, ვითა მუსთავი ძალაშიგა ანუ ჩქარობაშიგა“ (165r). „ოდესცა ალათი უფრო მაგარი იყოს, ასრე რომე ისი საქმე, რომე სიჩქარე ვერა იქს, გაუწყუეტლობითა გაათავოს“ (170r). „და რა ზანაბულ ფარი აჩვენებს, ვითა ძალი ცოტა არის, მართებს რომე ამბოს, ვითა ძალი ორჯერ მისოდენი არის, რომე მიზეზი ძალიანი არის“ (173r). „ძალიანი მაჯა თითის წუერითა უნდა ძებნა, და თითების თავი შირიანზედა ძრიელად უნდა დადება; და უძლურს მაჯასსა რბილად უნდა დადება,* ***ასრე რომე თითის სიმძიმე შირიანზედა არათ ღონითა არ იყოს;*** *და სიწღნარითა უნდა ძებნა,* ***ამისთუინ რომე უძლური ძალი შირიანის ძრვისაგან,*** *და ტყავი, რომე შირიანის პირი ზედა არის, და თითის გაყენების, რომე ტყავზედა დადებული არის, დაღონდეს და მაჯა არ ეჩვენოს; მაგრა უძლურს მაჯასა უსიწღნაროდ ვერ იცნას“* (159r).

ჩანს, მთარგმნელი ცდილობს მკითხველს ზუსტად მიაწოდოს ორიგინალის სამედიცინო დებულებანი. იგი რა თქმა უნდა გრძნობს ამ დროს წარმოქმნილ წინააღმდეგობას შინაარსსა და ფორმას შორის, მაგრამ ამჯობინებს თარგმანის ენა მძიმე იყოს, ზოგჯერ ძნელად გასაგები, სამაგიეროდ იყოს ზედმიწევნით ზუსტი. ასეთ შემთხვევებში არ შეიძლება არ გაგვახსენდეს არსენ იყალთოელის სიტყვები ანასტასი სინელის „წინამძღუარის“ ბოლოთქმიდან, სადაც იგი სიტყვასიტყვითი თარგმანის დროს წარმოქმნილ სირთულეს აღნიშნავდა: „ჩემს თარგმანს თუ სიბნელე რაჲმე სადმე ანუ სიდუხჭირე შესდგამს, იგი ბერძულისა შედარებულობისაგან არს და არა ქართულთა სიტყუათა დაშუენებასა ვერმეცნიერობისაგან“.[17] ეს სიტყვები კარგად მიესადაგება ჩვენს საკვლევ ტექსტსაც, რომელშიც გაუმართავი ფრაზები „არაბულისა შედარებულობისაგან არს“.

ზემოთ მოტანილ ფრაზებში გამოვლენილი მორფოლოგიური და სინტაქსური კონსტრუქციები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ქართული სალიტერატურო ენის ნორმებად, რის შესახებაც გვაფრთხილებს მკვლევარი ზ. სარჯველაძე[18]. ისინი საკვლევი ტექსტის ორიგინალის გრამატიკული კონსტრუქციების გავლენით არის მიღებული. ეს მოვლენა კი ერთ-ერთი არგუმენტია იმისა, რომ თხზულება ორიგინალური არ არის. იგი თარგმნილია უცხო – არაბული ენიდან.

### *14. არასწორი თარგმანი*

თარგმანმა შეიძლება გვიჩვენოს სპეციფიკური შეცდომები, იქიდან გამომდინარე, რომ მთარგმნელმა ვერ გაიგო ორიგინალის ენა და შედეგად სტილისტურად და აზრობრივად გაუმართავი წინადადებები მივიღეთ. კონტექსტისათვის შეუსაბამო სიტყვების გამოყენება

---

[17] ციტატა მოტანილი გვაქვს წიგნიდან: კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 275.

[18] ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975 „სალიტერატურო ენა განიცდის სხვა მწიგნობრულ ენათა გავლენას. ითარგმნება დიდძალი ლიტერატურა. ამ პროცესის შედეგად სალიტერატურო ენაში შესაძლოა თავი იჩინოს უცხო ენისათვის დამახასიათებელმა სინტაქსურმა კონსტრუქციებმა. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რომ ამ გზით მიღებული სინტაქსური და მორფოლოგიური კალკები მშობლიური ენის სტრუქტურისათვის დამახასიათებელ გრამატიკულ მოვლენად არ მივიჩნიოთ“. გვ. 25.

სათარგმნი სიტყვის პოლისემიურობით არის გამოწვეული; ეს მოვლენა თარგმანის თეორეტიკოსებისათვის საკმაოდ ცნობილი ფაქტია.[19]

საკვლევ ტექსტში ზოგჯერ გვხვდება პოლისემიურობის ნიმუშები:

*„სიმართლითა ისიე ტკივილი გამოჩნდებოდა“ (26ვ).* სისწორითა გამოჩნდებოდა. „აზალა ***გამართალდეს*** და ***სიმართლეზედა*** *დადგეს“ (34ჯ).* აზალა გახწორდეს. *„კისერი* ***მართლად*** *დადგეს“ (35ჯ).* სწორად დადგეს. *„ამა ვათარის სარჯულისაგან წიგი* ***მართლად*** *ჩვიდეს“ (56ჯ).* სწორად ჩვიდეს. *„[სისხლის ძარღუებ] ... **მართალსა** [ნაწლევსა] ნახვევარსა* ხედა *გაფანტულა“* (65ვ). სწორსა ნაწლევსა ზედა. *„ჳნა* ***მართლად*** *მისავ ადგილს მოვიდეს“* (86ვ). სწორად მოვიდეს. **ჯო** – იყო ჯანმრთელი, მართალი, სწორი.

*„სტომაჭის* ***სიმცხადეშეგა*** *მარჯუენით გაფანტულა, რომე ამა* ***სიმცხადეს*** *ღიდა მისცეს“ (65ვ)* სტომაჭის ზედაპირზე; ზედაპირს ღიდა მისცეს. *„მეოთხე ძარღუი შტოები ქნილა, რაგორაცა ბეწვები, ზოგი სტომაჭის* ***მცხადად*** *ჯაზბის* ***სიმცხადეშეგა*** *გაფანტულა“* (66ვ). სტომაჭის გარეთ, ჯაზბის ზედაპირზე. *„მეორე შტო [სუბათის შირიანის]* ***მცხადად*** *ამოსულა და ყურის წინა ... აზალებშეგა შემოსულა“ (75ვ).* ზედაპირზე ამოსულა. *„თაფრიყულ ითასრი ისი, რომე* ***მცხადად*** *იყოს, მცხადად ინახვის“* (153ვ). გარეთ იყოს.

მეორე ნათქომის მეორე კარში ჩამოთვლილია გარეგნული ნიშნები ზოგი სნეულებისა, რის საფუძველზეც ექიმმა სწორი დიაგნოზი უნდა დასვას შინაგან სნეულებათა შესახებ. კარის ბოლოს ასკვნის:

*„შეიტყონ, ვითა* ***გარეთის*** *არაზისაგან შიგნითური არაზის ამბავი და ნიშანი რას წესით უნდა ძებნა“* (147რ). გარეგნული არაზი (ნიშნები). *„აჰმს უნდა, რომე* ***მცხადი*** *არაზისაგან შიგნითური ამბავი იცოდეს“* (146რ). გარეგანი არაზი (ნიშნები). **ظاهر** – ცხადი, ხილული, თვალსაჩინო; გარეგანი, ზედაპირი, გარეთ.

*„პირველი დრო ისი იანგარიშონ, რომე სნეულობა* ***კაცზედა გამოცხადდეს“*** (137ვ). სნეულება კაცმა შეიტყოს. **ظهر** – ცხადი გახდა, გამოვლინდა; **على** ნაწილაკით: (على) **ظهر** – შეიტყო.

*„ბეშტი ამა ორი* ***მართებისათეს*** *დიდი არის“* (109 რ). ორი საჭიროებისათვის. **وجب** – მართებს, ჭამს, საჭიროებს.

*„ჴუვის თავსა და ბოლოს* ***ფერი*** *უფრო მაგარი ძუალი მოუყიდებია“ (25რ).* მაგარი სახეობის ძუალი. *„სიფაყი* ***ფერი*** *ღაშასი არის, მაგრა უფრო ძრიელი“ (29ჯ). სიფაყი ღაშას სახეობა არის. „დამბაღებულობან ესე ალაით [ნაწლევი] ექუსისაგან დაბადა; თუითო* ***ფერი*** *თუითო სარგებლისათუნ ... რა მისი* ***ფერი*** *ბეჟრი იყო, ისი [ექუსი] დადგა; **ფერი** პირველი ნაწლევთაგან ისნაჳრი ნაწლევი არის“ (97ჯ).* **لون** – ფერი, ნაირსახეობა.

ზოგჯერ თარგმანის შედეგად სტილისტურად არაზუსტი წინადადება მიიღება:

*„ყული იმა ადგილსა ქუიან, რომე საჭმლის და* ***ღუინის*** *ადგილი არის. და გზა; და სუნთქუის· გზაშეგა არის“* (88 v). შესაბამის ადგილას ორიგინალში იქნებოდა **شراب**, რომელიც, ზოგადად, „სასმელს“, „ალკოჰოლიან სასმელს“, „ღვინოსაც“ ნიშნავს. ღვინის – ჟურნის წვენის აღსანიშნავად არაბულში გამოიყენება **نبذ** (ღვინის დაყენება) ძირი. მოცემულ წინადადებაში კი ზოგადად სასმელი იგულისხმება, რადგან აქ საუბარია საკვების გასატარებელ და სასუნთქ ორგანოზე. ეს კარგად ჩანს მეორე შემთხვევაში, სადაც იგივე სიტყვა ჯერ არაბულად, შემდეგ ქართული შინაარსით არის მოტანილი:

*„მას [შარდს] წინაო უნდა დამჭირუა, რომე სუნის უფალი საჭმელი ანუ* ***შარბათი*** *არ ჭამოს“ (188 v).* შემდეგ კი გრძელებს, რომ შარდი არ უნდა აიღონ: *„უძილობის უკანა ... ამისუნ რომე საჭმელს და* ***ღუინოს*** *უკანა ... წყალის ამბავი მოაბრუნოს და ფერიცა“* (189რ).

**15. სიტყვათა გრაფიკული მსგავსება.** გრაფიკულად მსგავსი, მაგრამ სემანტიკურად განსხვავებულ სიტყვათა აღრევამ აზრის ბუნდოვანება გამოიწვია:

*„აზალა ... ზურგის* ***პირველს*** *მოკიდულია“* (45ვ). ზურგის დასაწყისს. *„მარის ბოლო არის და სტომაჭისა* ***პირველი“*** (93ვ). სტომაჭისა დასაწყისი. *„ამა კარის* ***პირველშეგა*** *მოგონებული არის“* (110ვ, 17). ამა კარის დასაწყისში. *„სნეულობისა* ***პირველი*** *იმა წამზედა იანგარიშონ“* (137ვ, 7). სნეულობის დასაწყისი.

1. **أول** მრ. **أوائل** – დასაწყისი. 2. **أول** მრ. **أولون** – პირველი.

[19] ჯ. გარიტი, „ორაზროვნება ფართოდ გავრცელებული ლინგვისტური მოვლენაა ... ორაზროვნებას შეუძლია დამახინჯოს ხელთარი თუ წერილობითი ტექსტი“. მრ. XVIII, 1999, იქვე, გვ. 301-302.

ან კიდევ: *„ძუალთაგან უფრო* ***სიძუალე*** *ის არის, რომე კარგი სიმრუდე უც, ... გარშემონი და შეშა ძარღუნი და სისხლისა ძარღუნი ამა მრუდისა მუცელშიგა ჩადებულ არს“* (25 r). ძვლის ღირსება ის არის.

აღნიშნული კონტექსტი ეხება წვივის ძვლის ღირსებას, რაც ტექსტის გაგრძელებიდან კარგად ჩანს:

*„თუ ამა სახითა არ იქნებოდა [ძვალი], გარშემონი და შეშა ძარღუნი გარეთ დადებულიყო, სენებს და ტკივილებს ახლოს იქნებოდა“* (25r).

*1. عَظَمَة – ძვალი; 2. عَظَمَة – ღირსება, დიდებულება, ბრწყინვალება*

სიტყვათა პოლისემიურობის და გრაფიკული მსგავსების ნიადაგზე წარმოიშვა მცდარი თარგმანი შემდეგი ფრაზებისა:

*„**ვაჟობაშიგა** დედის ნაშობის სინედლე მეტი იყოს და სიბერეშიგა – ერთობ ცოტა“* (13r). ყრმობაში, ახალგაზრდობაში.

شاب // شباب – ვაჟი“, „ყრმა“, „ახალგაზრდა“; في شباب. „ყრმობაში“, „ახალგაზრდობაში“.

ან: *„ზამთრის ტედშიგა და* ***ვაჟობის წელიწადთა შიგა*** *და ბერობაშიგა ... ნედლი საჭმელების ჭამა ... გაადასტუროს, რომე ბალღმისა სიმეტისა ნიშანი არის“ (149v).* في سن شباب – „ახალგაზრდობის წლებში“, „ახალგაზრდობაში“.

ან კიდევ: *„ბერის მაჯასი თუითო მისი თავის* ***წლისაგან*** *იყოს და გამცხადდეს, რომე ყოვლის* ***წლის*** *მაჯასი რას წესზედა იყოს“* (166r). თავისი ასკის (ხნოვანების) [შესაბამისი] იყოს; ყოველი ასაკის მაჯასი.

1. سنة მრ. سنوات – წელი, წელიწადი. 2. سن მრ. أسنان – ასაკი, ხნოვანება.

ტექსტში შეინიშნება ფრაზების ბუნდოვანება, რაც გამოწვეულია გრაფიკულად მსგავსი და შინაარსით განსხვავებული ნაწილაკების აღრევით. ეს ნაწილაკებია: 1. (إن + لا) إلا – „თუ არ“, „გარდა“; წინამავალ უარყოფასთან (لا ... إلا) ითარგმნება, როგორც „მხოლოდ“. 2. ألا – „ნუთუ“, „ნუთუ არ“.

*„იცოდი, რომე კაცნი და ყოველთა სულიერთა ფაქი ქუეშეთ დაიძრას,* ***ნუთუ*** *თამსაჰსა, რომე მას ზემოთ ფაქი დაიძრას“ (32r).* გარდა თამსაჰისა (ნიანგისა ლ. ს.). *„შეშა ძარღუები ყუელა ჯუფთნია ...* ***ნუთუ*** *ერთი შეშა ძარღუი ... რომე მარტო არის“ (60 r).* გარდა ერთი შეშა ძარღუისა. *„თუითო ფარდისაგან შტო თავის და კისრის აზალაშიგა შემოსულია ...* ***ნუთუ*** *მერვე ჯუფთისაგან“ (63r).* მხოლოდ მერვე ჯუფთისაგან. *„ამა ძარღუის სიწურილესა მიზეზითა სტომაქსა ღუიძლთანა სნება და საზიანო არ იყოს,* ***ნუთუ*** *ერთობ ტკივილის მიზეზითა, რომე ღუიძლშიგა გამოჩნდეს“ (94 v-95 r).* გარდა ერთობ ტკივილის მიზეზითა. *„ღიდა წურილთა ძარღუებშიგა ვერ გაიაროს და ასოთა ვერ მისწივოს,* ***ნუთუ*** *ცოტა წყალის გარევითა“ (231 v).* თუ არ წყალის გარევით. *„ჰაივანის ძალი ყოველს ტანსა ვერ მიხუდეს,* ***ნუთუ*** *ჰარარათი ღარიზის ძალითა და ასონი არაფერსა ძალს ძალებთაგან ტანისა და ნავსანის ვერ მოიხსენოს,* ***ნუთუ*** *ჰაივანის ძალითა“ (157 r,v).* ჰაივანის ძალი მთელს ტანს მხოლოდ ჰარარათი ღარიზის ძალით მიხუდეს, და ნავსანისა მოიხსენოს მხოლოდ და მხოლოდ ჰაივანის ძალითა.

ჩვენს მიერ მოტანილი გასწორების მართებულობა გარკვევით ჩანს ტექსტის გაგრძელებში:

*„მაშ, ესე ორი ძალი არის, ვითა ჰაივანის ძალი და ჰარარათი ღარიზის ძალი, რომე ყოვლისა ტანისა და ყოვლითა ასოთა ძალის მიმცემი არის“ (157v).*

ან: *„არა მოემატოს და არც არა დააკლდეს [მაჯასს],* ***ნუთუ*** *ორსულობის სიმძიმისაგან“ (175v).* მხოლოდ ორსულობის სიმძიმისაგან.

ასევე ნაწილაკთა გრაფიკული მსგავსების მიზეზით არის უზუსტობა დაშვებული შემდეგ ფრაზებში: *„ისი, რომე აქიმსა გულის ამბავი უნდა იცოდეს, ოთხი რამე არის: ერთი ისი, რომე გულისა ჯავარი იცნას.* ***მაგრა*** *გულის ჯავარი ფერი არის, რომე ოთხთა სათავნოთაგან მოგროვებული არის და მისი სახე ჰაივანის ძალი არის და გულისა სახე ორთავზედა მივარდეს, და მისისა ამბავი მაჯასი არის, და მის გარშემოშიგა სისხლი და სული არის“* (157 v). ჭეშმარიტად გულის ჯავარი ფერი არის.

*„**მაგრა** ისნააშარი ნაწლევი სტომაქისა ძირს მოკიდებულა, და მის პირს, რომე სტომაქისაგან მაშიგა გაღებულია, ბავაბი ქუიან“ (97v).* ჭეშმარიტად ისნააშარი. *„**მაგრა** სარცხო ასო არის რუბათებთაგან და ძარღუებთაგან და შირიანებთაგან და შიგა ცოტა ჴორცი არის; და მისი გუარი რუბათი არის, რომე ბუშტის გზით ამოსული არის“* (140v). ჭეშმარიტად სარცხო ასო არის. *„**მაგრა** სნეულობა ამბავი არის კაცისა ტანშიგა და იმა ამბავისაგან ერთისა ერთს ამბავშიგა ასოთა ძალთაგან ანუ უფროსი სენი ეცეს“* (126v).

ჭეშმარიტად სნეულება ამბავი არის. *„**მაგრა** საბაბი რამე იყოს, რომე პირველი ორი იყოს და მისის ყოფისაგან კაცისა ტანშიგა ახალი ამბავი გამოუჩნდეს“* (126v). ჭეშმარიტად საბაბი იყოს. *„**მაგრა** ამბავი თხელისა ფსელისა რვა არის“ (202v-203 r).* ჭეშმარიტად ამბავი რვა არის. *„**მაგრა** მიზეზი ქავილისა ხილტი არის მლაშე უფერული“* (7v). ჭეშმარიტად მიზეზი ხილტი არის.

أنّ – „მაგრამ“, რთულ ქვეწყობილ წინადადებაში. 2. إنّ – „ჭეშმარიტად“ წინადადების დასაწყისში იხმარება.

ამრიგად, ლექსიკური ერთეულების თუ ნაწილაკების აღრევის შემთხვევები გამოწვეულია არაბული ენის სპეციფიკურობით, როდესაც თანხმოვანთა გრაფიკა ერთნაირია და სემანტიკური განსხვავება დამოკიდებულია წინადადებაში მხოლოდ გახმოვნებაზე, რომელიც ტექსტში ყოველთვის არ არის დაფიქსირებული; იგი გამოთქმაში აისახება, ანდა დამოკიდებულია წინადადებაში მის პოზიციაზე.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ დაფიქსირებული ნიმუშები მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებებისა, ასევე, გრაფიკულ თუ პოლისემიურ ნიადაგზე წარმოშობილი არაზუსტი თარგმანის შემთხვევები, სრულად არ გვაქვს გამოტანილი ტექსტიდან. მსგავსი მაგალითების ამოღება კიდევ შეიძლება გაგრძელდეს. ამიტომ, რათა უფრო თვალსაჩინო გამხდარიყო ორიგინალის ენის გავლენა ქართულ ტექსტზე, ჩვენ ვამჯობინეთ წარმოგვეჩინა მისი ნაირგვარობის სახეობანი და არა ერთგვაროვანი მაგალითების სიმრავლე.

ვფიქრობთ, მოტანილი მასალა ნათლად წარმოაჩენს „ხუარაზმშაჰის საუნჯის“ ქართული ვერსიის არაბული თარგმანიდან წარმომავლობის უეჭველობას.

**Л.В. САМКУРАШВИЛИ**

## АРАБИЗМЫ В ГРУЗИНСКОЙ ВЕРСИИ “ХОРЕЗМШАХСКОГО СОКРОВИЩА”

РЕЗЮМЕ

Грузинская версия важного средневекового медицинского сочинения “Хорезмшахское сокровище” не схожа с оригиналом. В результате тщательного изучения текста выявилась существующая в нем в значительной степени арабская лексика, в том числе медицинские термины. В тоже время значительная часть лексики представлена грамматическими категориями, характерными для арабского языка; встречаются семантические и формальные кальки, а также случаи образования

искусственных слов из арабской лексики. В тексте фиксируются стилистические и по смыслу не точно переведенные предложения, что объясняется дословным переводом с оригинала.

Считаем, что собранные воедине все виды арабизмов представляют достаточный материал для заимствования грузинской версии “Хорезмшахского сокровища” с арабского языка.

ედიშერ ხოშტარია-ბროსე

# თემი შუა საუკუნეების საქართველოს ბარში (ისტორიობრაფიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევი)

ტერმინი „თემი“ ბერძნულია (τέμνω-იონ., τέμενος) და ნიშნავს, – სხვა მნიშვნელობებთან ერთად, – გარეშემორტყმას, გარემოზღუდვას, ჩამონაჭერს, მიწის ნაკვეთს (შეწირულს ღვთაებისადმი), სატაძრო მიწას, სამყო მიწას (იხ. ვაისმანის ბერძნულ-რუსული ლექსიკონი; დვორეცკის ლექსიკონით: მიწის ნაკვეთი, სამფლობელო, მამული, ველი).

ბიზანტიურ სამყაროში თემი სამხედრო-საგადასახადო ტერიტორიულ ერთეულს ნიშნავდა, რომელიც, უპირატესად, იმპერიის სასაზღვრო ნაწილში მდებარეობდა. ერთ-ერთი ასეთი თემი კავკასიის ტერიტორიაზე იყო „არმენიაკის თემი“ და ასეთივე თემს ს. ჯაუხიშვილი ვარაუდობდა ლაზეთშიც. ს.ჯაუხიშვილმა საგანგებოდ შეისწავლა ბიზანტიაში თემების არსებობისა და თემური წყობილების საკითხი და შემდეგი ვარაუდი გამოთქვა: „თემების ჩამოყალიბება უკავშირდება ქვეყნის ფეოდალიზაციას, ე.ი. ის თემები, რომელებიც ჩამოყალიბდა VII საუკუნეში ირაკლის დროს, წარმოადგენდნენ იმ მსხვილ ფეოდალურ სამფლობელოებს, რომელთა მფლობელებს, ფეოდალებს, თავის მხარეში ძალაც და გავლენაც მოეპოვებოდათ, პატარა მაგრამ სანდო ჯარიც ჰყავდათ და ეკონომიურადაც ღონიერნი იყვნენ. და როდესაც განაპირა პროვინციებში ან ისეთ პროვინციებში, რომელთაც სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ, გარეშე მტერი იყო მომდგარი და სახელმწიფოს ხიფათი მოელოდა, საჭირო იყო ამ სახიფათო პროვინციაში მტკიცე ძალაუფლება ყოფილიყო. მთავრობა იძულებულია გამოიყენოს ამ პროვინციის ფეოდალის ძალიერება და გავლენა, ჩააბაროს მას ამ პროვინციაში ხელმძღვანელობა და მეთაურობა, როგორც სამოქალაქო ისე სამხედრო ხელისუფლება, რომ ამ გზით სახელმწიფო გადაარჩინოს მტრისაგან განადგურებას; ამ ფეოდალს მიენდობა ამ პროვინციაში მის განკარგულებაში მყოფი საკუთარი ჯარის საფუძველზე შექმნას საჭირო არმია ადგილობრივი მოსახლეობის ჩათრევით სამხედრო სამსახურში[1].“

ასეთი ერცელი ციტატის მოტანა იმიტომ დაგვჭირდა, რომ გაგვეთვალისწინებინა ბიზანტიური თემის ბუნება, ვინაიდან ერთადერთი გზა ამ ტერმინის საქართველოში შემოსვლისა ბიზანტიასთან მჭიდრო ურთიერთობა ჩანს და ამდენადვე, არსებითია თუ რა დროიდან ხდება ეს გადმოტანა, ან რა სახეცვლილება განიცადა აქ ამ ინსტიტუტმა.

აღსანიშნავია, რომ ქართულ სინამდვილეში ტერმინი „თემი“ XIII-XIV საუკუნეებამდე არ გვხვდება, ხოლო ამ დროიდან, როგორც ქვემოთ დავინახავთ, იგი ფართოდ შემოდის ტერიტორიული ერთეულის, ან ამ ერთეულის მოსახლეობის, სასოფლო ერთობის თუ ტაძართან (ეკლესიასთან) დაკავშირებული მრევლის მნიშვნელობით. ნიშანდობლივია, რომ თუკი ქართულ თემს ბიზანტიურ თემთან ტერიტორიული ერთეულის მნიშვნელობა აკავშირებს, ბერძნულ სიტყვა τέμνω–სთან მას, გარდა ტერიტორიული ნიშნისა, ამ

[1] ს.ჯაუხიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, I, IV-VII საუკუნეები, თბ. 1948 წ, გვ. 165-166.

ტერიტორიის სატაძრო ან სამეფო კუთვნილების ნიშანიც აახლოებს[2]. მართალია, ჩვენამდე მოღწეული ქართული მასალებით ნაკლებად ჩანს თემის სამხედრო ფუნქცია, მაგრამ, აფრქვევს რა არსებულ თემებში, მათი ფეოდალურ ურთიერთობებში მოქცევის ხანაში, ცხადია მოსახლეობის სამხედრო ფუნქციაც იგულისხმებოდა, მსგავსად იმისა, როგორც ეს ს. ჯუაზჩიშვილს აქვს აღწერილი ბიზანტიაში.

ერთი სიტყვით, ტერმინი „თემი“ ბიზანტიური სინამდვილიდან ჩანს შემოსული, ხოლო საქართველოში იგი შინაარსობრივად რამდენადმე სახეცვლილია. ქართული „თემი“ უფრო უახლოვდება ასევე ბიზანტიურ სამყაროსთან კავშირში მყოფ ბულგარეთის ტერიტორიაზე არსებულ ფილიპოლისის თემს, რომელიც გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ დაარსებულ პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონშია (1084 წ.) დასახელებული: „პირველად თუთგანვე თემსა ფილიპოლისისა ცხებედ წოდებული სოფელი პეტრიწონისად. . . “[3].

ტერმინი „თემის“, როგორც სოფლების შემცველი ტერიტორიული ერთეულის აღმნიშვნელის, მთელ რიგ ქართულ საბუთში „ქვეყნის“ პარალელურად ხმარება, მართლაც ქართული და ბიზანტიური თემის კავშირის მანვენებელი უნდა იყოს.

ცნობილია, რომ საქართველოში თემმა, როგორც საზოგადოებრივ-ორგანიზაციულმა ფორმამ, თავდაპირველად ასახვა ჰპოვა სტრაბონის ცნობაში (ძვ.წ. I ს.) იბერიის საზოგადოების სოციალური აღნაგობის, კერძოდ, აქ მოსახლეობის ოთხი „გენოსის“ („გვარის“) არსებობის შესახებ.

სტრაბონის მიხედვით, თუ კი იბერიის მოსახლეობის პირველი საზოგადოებრივი წრე გაბატონებულ სამეფო საგვარეულოს, ხოლო მეორე – ჭურუმთა კორპორაციას წარმოადგენდა, მესამე „გვარი“ თავისუფალ წვრილ მწარმოებელთა (მხედართა და მიწისმოქმედთა) წოდებას შეადგენდა, მეოთხე კი – „ლაოების“ („მდაბიო ხალხისაგან“) შედგებოდა, რომელნიც თავისუფლებას მეტ-ნაკლებად მოკლებულნი იყვნენ – სამეფო მონებად განიხილებოდნენ და ცხოვრებისათვის ყოველგვარ საჭირო საქმეს ასრულებდნენ.

ამასთან, სტრაბონი მოსახლეობის ოთხი „გვარის“ ჩამოთვლის შემდეგ დასძენს: „საზოგადო აქვთ მათ ქონება ნათესაობისადა მიხედვით. მართავს და განაგებს თითეულს უხუცესი“[4]. ცხადია, ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს პირდაპირი მნიშვნელობით სამეფო საგვარეულოს ან ქურუმთა წრეს ეხებოდეს, მაგრამ დანარჩენ „გვარების“ მიმართ თამამად შეიძლება აქ დავინახოთ მინიშნება საგვარეულო ქონებასა და სათემო მმართველობაზე.

ს.ჯანაშია სტრაბონის მიერ აღწერილ იბერიაში უკვე კლასობრივ საზოგადოებას ხედავს და მის შემდგომ განვითარებას ფეოდალურ ურთიერთობათა შემოსვლას უკავშირებს. იგი წერს: „ფეოდალური ურთიერთობა ისახებოდა და ვითარდებოდა იბერიის საზოგადოების ძირითად ფენაში, სტრაბენის „მესამე გენე“ში, ქართულ „ერში“. ამ „მესამე გენეს“, „ერის“, მთელი შემდეგდროინდელი ისტორია იმაში მდგომარეობს, რომ იგი სულ უფროდაუფრო მკვეთრად და შეურიგებლად იყოფა ორ ბანაკად: უმრავლესობა თანდათან ჰკარგავს თავის ძველს ძირითად ქონებრივსა და სოციალურ-პოლიტიკურ უფლებებს და „მეოთხე გენში“, „გლეხობაში“ გადადის (თავის მდგომარეობის მიხედვით). უმცირესობა კი ჰქმნის იმ კლასს, რომელსაც ჩვენ ფეოდალებს ვეძახით“[5].

„ერის“, ანუ ძველი გვაროვნული თემის ნაშთის თუ მემკვიდრის დაშლის ეს პროცესი ქართული ადრეშუასაუკუნეების (ადრეფეოდალური) საზოგადოების განვითარების ძარღვს

---

[2] უფრო ღრმად თუ ჩავუვებით, ტერმინი თემის ძირები შეიძლება მოიძებნოს ინდოევროპულ სიტყვა teom-ში, რომელიც სახლს ნიშნავს (дом ||tom) და ავრთებს საოჯახო და სოციალურ ურთიერთობაში მყოფ ადმიანებს (Т. Гамкрелидзе, В. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, Тб., 1984, გვ.742).

[3] ქართული სამართლის ძეგლები (ა.დოლიძის გამოცემა), III, თბ. 1970 წ. გვ. 45.

[4] თ.ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ, 1957 წ. გვ. 128.

[5] ს.ჯანაშია, შრომები, I, თბ. 1949 წ. გვ. 137, 149-150.

წარმოადგენს, რომლის საფეხურები შეეხაბამება ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების ძირითად ეტაპებს.

ქართულ სინამდვილეში, ქართული წყაროების მიხედვით, თემი, როგორც საზოგადოების მწარმოებელი ნაწილის გაერთიანების ფორმა დადასტურებულია სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში (X ს.). ამ საკითხს უკვე ბევრი მკვლევარი შეეხო საგანგებოდ (ს.ჯანაშია, მ.ლორთქიფანიძე, ა.ბოგვერაძე, ნ.ვაჩნაძე, დ.გოგოლაძე). სხვაგან წყაროებში თემი, როგორც ტერიტორიული ერთეული, გვიანობამდე არ გვხვდება და ამიტომ ჩვენ ამ ორგანიზაციის არსებობას და მის ევოლუციას თვით „ერის“ თავგადასავლის მიხედვით წარმოვიდგენთ, მისი საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზიდან გაქრობამდე, რაც X-XII სს. ოგულისხმება, იმ დასუსტებით, რომ X საუკუნისათვის „ერი“, როგორც საზოგადოებრივი ფენა („მდაბიორ-მოლაშქრეთა“ სახით – ნ. ბერძენიშვილი), ძირითადად ამოსწურავს თავის ფუნქციას, შემდგომ კი უკვე გადმონაშთად გვევლინება – საქართველოს ბარში, ხოლო მთაში თავისებური სახით გვიანაც არსებობს.

„ერის“ ანუ სტრაბონის დროინდელი ჯერ კიდევ თავისუფალი მწარმოებელი (მიწისმფლიდი) და ამავე დროს მოლაშქრე საზოგადოებრივი ფენის არსებობა და მისი ურთიერთობა (დამოკიდებულება) გაბატონებულ ფეოდალურ წრეებთან, იმავე სამეფო ხელისუფლებასთან, IV-VI საუკუნეებიდან დაწყებული ინტენსიური ფეოდალიზაციის (მიწის ფეოდალური დასაკუთრების) პირობებში უნდა განხილული იქნას, როგორც თემებად გაერთიანებული უშუალო მწარმოებელთა მასის - „ერის“ დაყმევება თემებად (და არა ინდივიდუალურად, კომლობრივად), რაც ქართული ფეოდალიზმის ადრეულ საფეხურად (X ს.-მდე) უნდა მივიჩნიოთ.

თემების დაყმევების გზა თუ ხერხი იმთავითვე იყო ფეოდალური ძალების მხრივ ციხეების მშენებლობა თუ დაპატრონება. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა თრიალეთში ბაღავაშების მიერ გაბატონებისა და ციხის მშენებლობასთან დაკავშირებით ნ.ბერძენიშვილის შემდეგი დაკვირვება: „ეს ციხე-სიმაგრეები ... ქვეყანაზე საბატონო საშუალება ხდება“, ისინი „პირველ რიგში ამ ქვეყანაზე პოლიტიკური ბატონობის იარაღი იყო „მთავრის“ ხელში“. ფეოდალის დასაყრდენ ძალას ერი წარმოადგენდა – „ესენი იყვნენ ლიპარიტის ერი, ყმობისაგან პირმოქცეული მოკიდებულები (ეს ადრეფეოდალური ხანის რუსული дружина-ს მსგავსი სოციალ-პოლიტიკური მოვლენა უნდა ყოფილიყო)“. „ ...ასე დაყოფილი იყო ამ დროს მთელი საქართველო საციხისთავოებად, ციხეში შემავალ ქვეყნებად, ციხეებად, - სამხედრო-ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ქვეყნებად“. „ ...ამ ქვეყნებში პატრონი თავისი ერით საჭიროა და გამართლებული, სადაც მათი ფუნქცია გაჩენილა...“[6]. მოცემული სურათი ძალზე გვაგონებს ბიზანტიის თემის აღწერილობას, იმ დამატებით, რომ აქ საქმე გვაქვს დაყმევებულ თემთან.

ასეთ დაყმევებულ თემებში უშუალო მწარმოებები – „მდაბიორ-მოლაშქრენი“ (ერი) აღარ არიან ძველი ალოდისტები – თავისუფალი მეთემეები, არამედ უკვე „ყმებად“ განიხილებიან, თავიანთ მდგომარეობის მიხედვით, რომელთაც უკვე ყავთ „პატრონი“.

ფეოდალიზაციის ამ ადრეულ საფეხურზე უშუალო მწარმოებელთა თემური დაყმევების ფაქტი, თემის მიწების ფეოდალური მითვისების საფუძველზე, მინიშნებულიც იყო ჩვენს ისტორიოგრაფიაში (ნ.ბერძენიშვილი, ა.ბოგვერაძე), მაგრამ ამას არ გასწვეია სათანადო ანგარიში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების პერიოდიზაციის დადგენის დროს. თუ კი ს.ჯანაშიას და ნ.ბერძენიშვილის თვალსაზრისით გადასვლა ადრეფეოდალური

[6] ნ.ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები (VIII ს.), 1990 წ. გვ. 315-317.

საფეხურიდან განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობებზე X-XII საუკუნეებისათვის დამთავრდა, რასაც მთელი რიგი მკვლევარნი იმთავითვე იზიარებდნენ, შემდგომ გამოიკვეთა ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებული პოზიციები.

1980 წელს გამოქვეყნდა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საგანგებო სამეცნიერო სესიაზე (1978 წ. 27.II – 3.III) წაკითხულ მოხსენებათა და კამათში გამოსვლების ტექსტების კრებული: „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია", საიდანაც ჩანს, რომ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა გრძელდება. კერძოდ, თუ გავითვალისწინებთ, ადრე გამოთქმულ მოსაზრებებს და სესიაზე გაკეთებულ მოხსენებებს და გამოსვლებს, საქართველოში ადრეფეოდალურიდან განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობებზე გადასვლის დროის საკითხზე შემდეგი თვალსაზრისები არსებობს: ს.ჯანაშიას და ნ.ბერძენიშვილის პოზიციაზე (X-XII სს.) იდგნენ ან დგანან შ.მესხია, ვ.გაბაშვილი, მ.ლორთქიფანიძე, რ.მეტრეველი, მ.ბერძნიშვილი, ნ.ასათიანი, გ.მამულია, ე.ხოშტარია-ბროსე; ქ.ჩხატარაშვილს ეს მიჯნა VI-VIII საუკუნეებში გადააქვს; დ.მუსხელიშვილის აზრით კი VIII საუკუნის პირველ ნახევარში სრულდება ადრეფეოდალური ხანა; მეცნიერთა უმრავლესობა მიჯნად დებს IX საუკუნეს – გ. ჯამბურია, ა.ბოგვერაძე, ვ.გუჩუა, თ.პაპუაშვილი, ივ. სურგულაძე; XI-XIII საუკუნეებს ვარაუდობენ მ.დუმბაძე, გ.ძიძიგური, ჯ.სტეფნაძე. ხოლო გ.მელიქიშვილს განვითარებული ფეოდალიზმის დადგომის ხანად XIII-XIV სს. შემდგომი პერიოდი მიაჩნია.

აზრთა ასეთი სხვადასხვაობის არსებობისას, რა ძირითადი კრიტერიუმები შეიძლება ავიღოთ საკითხის გადასაჭრელად? ვფიქრობთ, ასეთია უშუალო მწარმოებლის – „ერის" თუ „მდაბიო-მოლაშქრის" (ნ.ბერძენიშვილი) დაყმევების ფორმები და ხასიათი – თემური თუ ინდივიდუალური და თემის, როგორც ამ კატეგორიის მოსახლეობის ერთობის არსებობის ხანგრძლიობა. ადრეული ხანისათვის (X საუკუნემდე) სხვა პირდაპირი მასალის ნაკლებობის გამო (როდესაც ბარის ვითარების ამსახველი ერთად-ერთი ასეთი წყაროა „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება"), როგორც ითქვა, ჩვენ იძულებული ვართ მეთემეთა – „ერის" თუ მდაბიო-მოლაშქრეთა ფენის თავგადასავალს მივადევნოთ თვალი და ამით ვიმსჯელოთ თვით თემის არსებობა-არარსებობაზე, რაც ადრე ვცადეთ კიდეც გაგვეკეთებინა[7].

ამჟამად გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ თემი, როგორც ერთობა მდაბიორ-მოლაშქრეთა – „ერისა" სამხედრო ფუნქციის მატარებელიც უნდა ყოფილიყო, რასაც იგი უთოდ ინარჩუნებს თემის დაყმევების შემდეგაც. ამითი იგი აშკარა მსგავსებას იჩენს ბიზანტიურ თემთან, რომელიც ს.ყაუხჩიშვილის მიერ იყო დახასიათებული ზემოთმოტანილ ციტატაში. მაგრამ დროთა განმავლობაში „ერის" ნაწილის პროფესიონალ მოლაშქრეებად გადაქცევის[8] და დიდი ნაწილის გაგლეხების პროცესთან დაკავშირებით, თემი სახეს იცვლის და უშუალო მწარმოებელთა-მიწისმოქმედთა (ამ ეტაპზე უკვე სამხედრო ფუნქციას მოკლებულთა) გაერთიანებად წარმოგვიდგება. სწორედ ასეთ თემთან გვაქვს საქმე საქართველოში ფეოდალიზმის განვითარების ახალ ფაზაში გადასვლის შემდეგ, როდესაც უშუალო მწარმოებელი, უკვე მიწაზე მიმაგრებული თავისუფლებამოკლებულ ფენად – გლეხებად გვევლინება, ისე, როგორც ეს წარმოდგენილია, მაგალითად, გიორგი II-ის მიერ (1072 წ.) შიომღვიმისადმი მიცემულ საბუთში: – „და სიგელი ესე სიმტკიცისათვის დაგუიწერიან, და მოგუიჴსენებიან წმიდისა მამისა შიოსდა და წმიდისა ლავრისა მღუიმისადა სოფელნი და აგარანი მათნი და ყოველნი საქონელნი მათნი, რომელნი სამეფოსა ჩუენსა

[7] ე.ხოშტარია-ბროსე, ქართული ფეოდალიზმის გენეზისისა და განვითარების ზოგიერთი საკითხი. ქართული საისტორიო წყაროებში მოხსენიებული სოციალური ცნება-ტერმინის „ერის" გაგებისა და ბატონყმობის გამარჯვების დროის შესახებ. წიგნში: ე.ხოშტარია-ბროსე, ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები, თბ. 1984 წ. გვ.4-39; აქვეა ნარკვევი „წვრილი ერის" შესახებ, გვ 40-50.

[8] ე.ხოშტარია-ბროსე, თანამედროვე ქართული მედიევისტიკის ზოგიერთი პრობლემის მეთოდოლოგიური ასპექტები, „მაცნე", ისტორიის . . . სერია, 1988 წ. №3.

შინა არიან, – სახელდებით ესე: აგარაჲ – ციხედიდს, გლეხნი და მიწაი – ნიჩბისხევლები და მიწაი – კოდალს და წინარეკს ...“[9]. ხოლო შიომღვიმისადმი უკვე გიორგი III-ის მიერ მიცემულ მამულის მყსობელობის და შეუვალობის განახლების სიგელში (1170 წ) – შემოწირულ და ნასყიდ სხვა ქონებასთან ერთად, აღნიშნულია „წურილმანად გლეხები“, უფრო ქვემოთ კი დასახელებულია „ციხედიდს გლეხნი, ძუელადვე ნასყიდნი, მათითა სამართლითა ტყითა, წყლითა, ველითა, საკმარითა და უკმარითა ... ვათა ძუელთაგან შეუვალნი საერისთავოსა, საციხისთავოსა და საშურტაოისა ჴოველისაგან ...“[10].

ქართული მასალების (დოკუმენტების და ნარატიული წყაროების) მონაცემებით გვიანდელი „თემის“ ერთ-ერთი მნიშვნელობა სწორედ ასეთი აგარაკების და სოფლების ერთობლიობა იყო, უფრო ფართო მნიშვნელობასთან ერთად, რომელიც საერთოდ ტერიტორიულ ერთეულს – „ქვეყანას“ გულისხმობდა. დოკუმენტებში, მაგალითად, გვაქვს: „თემთა, ჭუეყანათა ამოწუჴვედლობა“ (მალის ამოკვეთის სიგელი აღაქსანდრე მეფისა – 1440 წ.)[11], „და ვინცა ამა თემსა ანუ სხაუაგან შეაწუენოთ ...“ (ერთულების წიგნი გერასიმე მაწყუერელისა მიქელ კათალიკოზისადმი –1414-1426 წწ.)[12], „საყდრისა ბიჭვინტის ძმათ და საყდრისშვილთა, თემთა და ჭუეყანათა და აგარაკთა მტრობაჲ ...“ (ბიჭვინტის იადგარი – 1525-1550 წწ.)[13], „ვისცა სხუის უმტეროს თემისა რამ მოეპაროს, ის ხუთულად აზღუევინოს“ (ბრძანება სიმონ I-ისა მეკობრეთმძებნელთა შესახებ – 1590 წ.)[14].

ქართული სამართლის ძეგლებში „...თემი“ მხოლოდ ფართო მნიშვნელობითაა ნახმარი. ბექას სამართლის შესავალი იხსენიებს: „ხუთსავე თემსა სამცხისასა, ტაოველთა, შავშთა და კლარჯთა და მათ შინა მყოფთა ეპისკოპოსთა და მუუდაბნოველთა ...“[15], ხოლო ვახტანგის სამართალის მიხედვით „თემი“ ქვეყანაა: “უცხო თემი“ - “უცხო ქვეყანა“[16].

საისტორიო ნარატიულ წყაროთაგან „ქართლის ცხოვრებაში“ ტერმინი „თემი“ პირველად შემოდის „ისტრანი და აზმანში ...“, სადაც გვაქვს ხსენება „თემისა და თემის...“, ან „თემთა და თემთა“ – საქართველოს ლაშქრის შემადგენლობის ჩვენებისას („მესხნი, თორელნი, ქართველნი, სომხითარნი ...“); აქვე ვხვდებით ფრაზას: „იმერთა და ამერთა, ზემოთა და ქუემოთა შუდთავე თემთა ...“; გვაქვს – „მთავარი თემისა ლორისა“. ანალოგიური მნიშვნელობით „ქართლის ცხოვრების“ მომდევნო ნაწილებში „თემის“ გამოყენება ხშირია. მაგალითისათვის მოვიტანთ ფრაზას „ახალი ქართლის ცხოვრებიდან“: ლუარსაბ მეფე მიუხდა ათაბაგს „და წარუღო თემნი და დაბანი მრავალნი“[17]. აქ დაზუსტებული ჩანს „თემის“ რაობა, როგორც ტერიტორიული ერთეულისა, რომელიც დაბებს მოიცავდა.

„თემის“ უფრო ვიწრო გაგებით დასავლეთ საქართველოს დოკუმენტებში ხმარების ნიმუშებია: „სვიმონეთს ...ჩვენი სასაფლაო გიბოძეთ და იმ საყდრის დეკანოზათ დაგაყენე. და თემის უფროსობა გიბოძეთ და ერისგანთ-მოხელეობა“ (წყალობის წიგნი გიორგი იმერთა მეფისა კლდიაშვილ-შალიკაშვილისადმი – 1563-1564 წწ.)[18], ეპისკოპოსი გაბრიელ ცაგერელის მიერ ხვამლის ეკლესიისადმი მიცემულ შეწირულობის წიგნით კი (1656 წ. ახლოს) ირკვევა,

[9] ქართული სამართლის ძეგლები, II, ი.დოლიძის გამოცემა, თბ. 1965 წ. გვ. 10.
[10] იქვე, გვ. 21
[11] იქვე, გვ. 127.
[12] იქვე, III, გვ. 183.
[13] იქვე, II, გვ. 180.
[14] იქვე, გვ. 204.
[15] იქვე, I, გვ. 425.
[16] იქვე, I, გვ. 518, 529, 524.
[17] ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. II, 1954 წ. გვ. 19, 30, 106, 109, 348, 505.
[18] ქართული საჩართლოს ძეგლები, II, გვ. 192.

რომ ცალკეული სოფლების თემები გარკვეულ საღებავ მოვალეობებს ასრულებენ: „ ...დათვლილი თევდორაშვილისა ბეგარა თემისათვის მიმიცემია; ოყურეშელი მივიდეს გიორგობას დღეს იმ გლეხისასა და მისცემდეს ის გლეხი ოყურეშელს თემსა: ერთ კარგს გასუქებულს თხას, ერთს კარგს ცხვარსა, ხუთს გოროს ღვინოსა, ერთს გოროს პურსა და ერთს გოროს ღომსა, ერთის თეთრის სანთელსა, ერთის ბიშტის საკმეველსა.

მერმე იმ თემმან ხუცესსა იმ ცხვარზედ ჩემის სულისათვის ჭამი აწირვინონ და ტყავი საწირავად მისცენ. და რაცა ამ წიგნშიდ სასმელი და საჭმელი ეწეროს, ლამაზათ დაამზადონ; ხუცესს კარგა დაუხდნენ და მის საწესოსა ნუ დააკლებენ; და თვითონ თემმან ლხინი ნახონ და მე შენდობა მითხრან; და სანთელი ჩამოასხას ხუცესმან და სანთელი და საკმეველი თემს დაურიგოს; მე შენდობა მითხრან“[19]. ანალოგიური ვითარება გვაქვს დადასტურებული ცაგერის საყდრის მეალებე გლეხების ბეგარის დავთარშიც (1643-1661 წწ.): „ ...კაცია ლემსწვერიძეს მართებს ცაგერლის მუშაობა, ლაშქრობა და სამსახური, სხვა მისი ბეგარა და გამოსავალი თემისათვის მიმიცემია: ნახევარი უსახელოველისათვის და ნახევარი ნაკურალეშვილისა და ლეხთელისათვის ჩემად სააღაპოდ . . . “[20].

გვიან შუასაუკუნეებში დასავლეთ საქართველოში, იმერეთის სამეფოს თითქმის ყველა კუთხეში თემის არსებობა დამოწმებული აქვს თ.ბერაძეს, რომელიც სათანადო დოკუმენტური მასალის შესწავლის შედეგად ასკვნის: „თემი ორგანიზაციულად ეკლესიასთან იყო დაკავშირებული. ყველა თემს თავისი საკუთარი „თემის ხატი“ გაანდა, რომლის სახელობის საყდარი ამ თემის წევრების ერთგვარ პატრონს წარმოადგენდა. თემის წევრი იყო ასეთ საყდარში შემავალი ყველა დამოკიდებული ადამიანი, განურჩევლად იმისა, ვის ყმა-გლეხს წარმოადგენდა იგი ……თემის გამგებლობა სასულიერო ხასიათს ატარებდა და „თემის უფროსად“ ჩვეულებრივ იმ საყდრის დეკანოზი ითვლებოდა, რომლის მრევლსაც ეს თემი შეადგენდა“[21]. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ავტორი ეყრდნობა გიორგი იმერთა მეფის მიერ კლდიაშვილებისადმი მიცემულ წყალობის წიგნს (1563-1564 წწ.), რომელიც შინაარსობრივად ანალოგიურია (პირია?)‘ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი საბუთისა.

თემის ეკლესიასთან კავშირზე და ამასთან ადრინდელ საგაძრო თემთან მემკვიდრეობით დამოკიდებულებაზე ლაპარაკობს ამისი პირდაპირი დადასტურება სამეგრელოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არსებული ზოგიერთი ფაქტით. მხედველობაში გვაქვს ტოპონიმების „ყულიშ-კარისა“ და „ალერტ-კარის“ დაკავშირება წარმართულ თეონიმებთან „ყული“ და „ალერტი“ და ამის საფუძველზე აღნიშნულ თემების, როგორც სასოფლო გაერთებების შესწავლა[22].

თემის პრობლემა თეორიულ თუ ისტორიოგრაფიულ ასპექტში, უხვი ფაქტობრივი მასალის მოხმობით, მონოგრაფიულად დაამუშავა დ.გოგოლაძემ.[23] იგი უფრო სათემო მიწისმფლობელობის საკითხს სწევს წინ და იმ დასკვნამდე მიდის, რომ თუ კი დასავლეთ საქართველოში სათემო მიწათმფლობელობა თითქმის მთლიანად იყო გამქრალი, აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლსა და კახეთში) იგი საკმაოდ ფართოდ იყო წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტებში. მაგრამ, ავტორს თუმცა მოაქვს გარკვეული მასალა ქართლიდან, მაინც იძულებულია აღნიშნოს, რომ სათემო მიწისმფლობელობა უფრო კახეთის და განსაკუთრებით ქიზიყისთვის იყო დამახასიათებელი (სასოფლო-სეთემო მფლობელობაში მყოფი სახნავ-სათესი მიწების პერიოდული გადანაწილებით …).

---

[19] იქვე, III, გვ. 520.

[20] იქვე, გვ. 526.

[21] თ.ბერაძე, სასოფლო თემი იმერეთის სამეფოში, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 81, №1. 1976, გვ. 225-228.

[22] დ. ჯოთაძე, იხ. ყულიშ-კარის თემი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა). საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბ. 2003 წ.

ჩვენი დაკვირვებით, რაც უპირატესად ქართლის ე.წ. საგლეხო საბუთების საგანგებო შესწავლას ემყარება[24], გვიან, შუა საუკუნეების ქართლში (XVII-XVIII სს.), ბატონყმური ურთიერთობის და სათავადოთა სისტემის არსებობის პირობებში, სახნავ-სათესი სავარგულები საბატონო (ან სამეფო) საკუთრებაში და კერძო-ინდივიდუალურ საგლეხო მფლობელობაში იმყოფებოდა. სათემო სარგებლობაში იყო მხოლოდ ტყე, წყალი (მორწყვის სისტემა) და მთის სათიბ-საძოვრები. პერიოდული გადანაწილებაც მხოლოდ მათ ეხებოდა, ისევე, როგორც სოფლებს თუ გლეხებს შორის დავის საგანი, როგორც წესი, ესენი იყვნენ, ხოლო სახნავის გადანაწილება ან მასზე დავა შედარებით იშვიათად გვხვდება. (როდესაც საქმე კერძო მფლობელობაში ან გადანარჩენ საერთო-სასოფლო სარგებლობაში მყოფ და უკანონოდ მითვისებულ სავარგულებს ეხებოდა). როგორც ითქვა, კახეთში (და ნაწილობრივ ქვემო ქართლშიც) ამ მხრივ რამდენადმე განსხვავებული ვითარება იყო, მაგრამ არა ყველგან; ქიზაყში კი ტიპიურ სათემო მფლობელობასთან გვაქვს საქმე, მიწის პერიოდულ გადანაწილებით. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ასეთი გადანაწილება, რაც ტიპიური თემის აუცილებელი ატრიბუტია, არც დასავლეთ საქართველოში და არც ქართლის მეურნეობრივად წამყვან ნაწილებში არ დასტურდება, განსაკუთრებით სადაც მევენახეობა დომინირებს.

დასავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, გვიანი შუასაუკუნეების ქართლის მასალებში, მართალია, ვერ ვხვდებით თემს, როგორც ეკლესიასთან დაკავშირებული მრევლის ერთობას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქართლის სოფლებისათვის უცხო იყო სასოფლო-სათემო ერთიანობა, განსაკუთრებით ზოგჯერ დადასტურებული „სათემო მიწებზე" დავისას, როდესაც სასოფლო ერთობა შესაბამისი სახელით გამოდის: „ღორისთაველნი", „ღორისთაველი კაცი", „გუდარეხელნი"[25] და მრავალი ასეთი. დამახასიათებელია აგრეთვე გამოთქმა „ერთობილი", გამოყენებული არა თემის, არამედ ზოგადად მეფის ქვეშევრდომების მიმართ, გარკვეულ ტერიტორიის ფარგლებში. მაგალითად, სვიმონ I-ის ბრძანებაში მეკობრეთმძებნელის შესახებ (1590 წ.) ვკითხულობთ: „...უზედაესთა მოგახსენებთ და უქუედაესთა გიბრძანებთ: ერთობილნო დიღმისა ზედათნო, მტკუარ-გამოღმართნო, ვიდრე ჴევამდე – ებისკოპოსნო, თავადნო, აზნაურნო, გლეხნო, დიდნო და მცირენო, ვინგინდავინ ბრძანებისა ჩუენისა მორჩილნი იყუნეთ!"[26]. სვიმონ II-ის მიერ ეპისკოპოს ელისესადმი მიცემულ წყალობის წიგნში კი (1628 წ.) ნათქვამია: „და რა რიგადაცა ან მოქალაქესა ან თემის კაცს სხვის თბილელისათვის ემსახუროს, ისრევ თქუენ უნდა გემსახუროს"[27]. აქ ლაპარაკია თბილელისათვის ქალაქში, ქართლსა თუ საბარათაშვილოში შეწირულ ყმებზე, რომელნიც, უთუოდ ქალაქის (თბილისს) გარეთ „თემის კაცებად" ანუ სასოფლო „თემების" წევრებად არიან გააზრებულნი.

ცხადია, ასეთ „თემებს" აქაც თავისი სალოცავი „ხატი" ანუ ეკლესია ჰქონდათ, რომლის მრევლსაც ისინი წარმოადგენდნენ.

ამგვარად, სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვას და წყაროების მონაცემების შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ: შუა საუკუნეების განმავლობაში თემმა საქართველოს ბარში განვითარების შემდეგი საფეხურები გაიარა – ადრეფეოდალურ ხანაში, რომელიც სავარაუდოდ იწყება ჩვენი წელთაღრიცხვის II-IV საუკუნეებიდან, ადგილი აქვს ძველი (წინაფეოდალური) სატაძრო თუ სამეფო დაქვემდებარებაში მყოფი თემების დაყმევების პროცესის თანდათან გაღრმავებას, რაც მიწის ფეოდალურ მითვისების თანმდევი მოვლენა

---

23 დ.გოგოლაძე, ქართული სოფელი ფეოდალიზმის ხანაში (VI-XVIII სს.), სათემო მიწათმფლობელობა, თბ., 1997 წ.
24 ე.ხოშტარია, გლეხების სოციალური მდგომარეობის საკითხავის XVII-XVIII სს. ქართლში. ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაკვ. II, თბ. 1960 წ.
25 დ.გოგოლაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 115, 116, 132.
26 ქართლის სამართლის ძეგლები, II, გვ. 204.
27 იქვე, გვ. 213.

იყო. V-VI საუკუნეები ამ მხრივ გარდატეხის ხანაა. სატაძრო თუ საერო (სამეფო, დიდგვაროვანთა – „აზნაურთა“) განკარგულებაში მყოფი მიწების ფეოდალურ საკუთრებად გადაქცევა საყოველთაო ხასიათს და სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბებს იღებს. პარალელურად ხდება უშუალო მწარმოებლის – ადრე თავისუფალი მეთემე-ალოდისტის, ძველი „ერის“ (მდაბიორ-მოლაშქრის) დაყმევება, მხოლოდ არა ინდივიდუალურად, კომლობრივ, არამედ თემებად (დაყმევებული თემის ფარგლებში). ამას თან სდევს ადრიდანვე არსებული არათავისუფალი მწარმოებელი საზოგადოების (სტრაბონის მეოთხე „გვარის“ – ლაოების), ანუ შემდეგში გლეხობის წრის გაფართოებას, „ერის“ დაშლის ხარჯზე. ეს პროცესი თავის კულმინაციას აღწევს IX-X საუკუნეებში, ხოლო ძირითადად სრულდება XI-XII სს. ამ დროისათვის ხდება „ერის“ (მდაბიორ-მოლაშქრეთა) ერთი ნაწილის გადაქცევა პროფესიონალურ მოლაშქრეებად („სპა“, „ლაშქარი“), ხოლო უშუალო მწარმოებლის ძირითად მასას უკვე ყმა-გლეხობა შეადგენს. ამასთან დაკავშირებით „თემიც“ იცვლის სახეს. ეს უკვე არის არა „ერის“ ერთობა (თავდაპირველად მეთემე-ალოდისტები, შემდეგ კი თემის ფარგლებშივე დაყმევებული მდაბიორ-მოლაშქრენი), არამედ სასოფლო-ტერიტორიული ერთობა ყმა-გლეხობისა, შემოკრებული ტრადიციულად უპირატესად ეკლესიის გარშემო მრევლის სახით – კერძოდ, უფრო დასავლეთ საქართველოს სინამდვილეში და მეტ-ნაკლებად აღმოსავლეთ საქართველოში. აქ, ქართლის წამყვან რეგიონებში, თემი, როგორც მოსახლეობის ორგანიზაციული ფორმა, თითქმის გამქრალი ჩანს, ხოლო კახეთის და ქვემო ქართლის ფარგლებში მნიშვნელოვნად ინარჩუნებს თავს, ზოგან კი, მაგალითად ქიზიყში, კვლავ ბატონობს (ყველა ნიშნებით – სახნავ მიწის პერიოდულ გადანაწილების ჩათვლით).

ერთი სიტყვით, XI-XII საუკუნეებისათვის მთლიანად საქართველოში სახეზეა „პატრონყმობის“ „ბატონყმობით“ შენაცვლება, რაც განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობების საბოლოო შემოსვლას მოასწავებს.

ნიშანდობლივია, რომ ასეთ დასკვნამდე ამჟამად მივედით საკუთრივ „თემის“ პრობლემის განხილვის შედეგედ, რაც სავსებით შეესაბამება ჩვენ მიერ ადრე გამოთქმულ მოსაზრებას საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა პერიოდიზაციის შესახებ[28].

Э. ХОШТАРИЯ-БРОССЕ

## ОБЩИНА («ТЕМИ») В РАВНИННЫХ РЕГИОНАХ СРЕДНЕВЕКОВОЙ ГРУЗИИ (ИСТОРИЧЕСКИЙ И ИСТОЧНИКОВЕДЧЕСКИЙ ОЧЕРК)

### РЕЗЮМЕ

В средневековой Грузии (в равнинных регионах) община («теми») прошла следуюищие этапы развития: в раннефеодальную эпоху, которая, примерно, начинается с II-IV вв. имел место процесс закрепления находившихся в распоряжении храмов и царской власти древних (дофеодальных) общин, что было сопутствующим феодальному присвоению земель явлениям. В V-VI вв. в этом отношении наблюдается перелом – превращение в феодальную собственность находившихся в распоряжении храмов и светских властей (царский дом, аристократия – «азнауры») земельных владений получает широкие масштабы. Параллельно

[28] ე.ხოშტარია-ბროსე, ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების დღევანდელი დონისა და ძირითადი ამოცანების შესახებ, „მაცნე“, ისტორიის ... სერია, 1992 წ. №1, გვ. 158-159. ეს წერილი დასაბეჭდად უკვე წარდგენილი და აწყობილი იყო, როდესაც გამოვიდა აკად. დ. მუსხელიშვილის მონაგრაფია: "საქართველო IV-VIII საუკუნეებში" (თბ., 2003 წ.), რომელშიც საგანგებო თავში განხილულია შუა საუკუნეების საქართველოს სოციალური განვითარების პერიოდიზაციის საკითხები, რისი გათვალისწინებაც აუცილებელია. მაგრამ, რადგან ჩვენ ძირითადად ამ და სხვა ადრინდელ წერილებში გატარებულ თვალსაზრისზე ვრჩებით, შესაძლებლად მივიჩნიეთ ამ წერილის უცვლელად დაბეჭდვა. თუმცა მიზანშეწონილად ვთვლით დაზუსტდეს აქამდე მიღებული ზოგიერთი კვალიფიკაცია მოვლენების შეფასებასა თუ ქრონოლოგიური ჩარჩოების კრიტერიუმების განსაზღვრის თვალსაზრისით, რაც მნიშველოვნად შეუწყობს ხელს ჩვენს ისტორიოგრაფიაში პერიოდიზაციაზე არსებულ განსხვავებულ პოზიციების დაახლოვებას.

происходит закрепощение непосредственных производителей – свободных общинников – алодистов (старого «эри» - земледельцев и воинов), не индивидуально-подымно, а в рамках целой общины. Идет процесс закрепощения общины. Этому способствует расширение существовавшего и ранее слоя несвободных производителей, в дальнейшем крестьян - «глехи», за счет разложения общинников – «эри». Этот процесс достигает кульминации в IX-X веках, а завершается, в основном, в XI-XII вв. К этому времени происходит превращение «эри» (земледельцев-воинов) в профессиональных воинов («спа», «лашкари»), а основную массу непосредственных производителей уже составляет крепостное крестьянство. Соответственно изменяется и облик общины («теми»). Это уже не прежняя община «эри» а территориальное объединение (сельская община) крепостных крестьян, собиравшихся традиционно вокруг церкви, в большинстве случаев в виде паствы – главным образом в Западной Грузии и отчасти и в Восточной. В ведущих районах Картли община («теми»), как организационная форма населения, почти полностью исчезла, а в Кахети и Квемо Картли местами сохранила свое существование, а в Кизики осталась господствующей формой (с обычаем периодического распределения пахотных земель).

ელენე ცაგარეიშვილი

# ზოგი რამ დავით კურაპალატის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ

ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერის, ტაო-კლარჯეთის ანუ „ქართველთა სამყოს“ დიდი კურაპალატის, დავით III-ის სახელთან დაკავშირებულია ეგრის-აფხაზეთის, ქართლისა და ტაო-კლარჯეთის პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ბაგრატ III-ის გამეფებით, იმავე დავითის ინიციატივითა და მხარდაჭერით.

ისევე, როგორც ტერიტორიითა და ძირითადი მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობით X საუკუნეში ტაო-კლარჯეთის ქართულობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს, ასევე სადავოდ არ უნდა იყოს ქცეული ამ მხარის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოღვაწის, დავით კურაპალატის, ქართული წარმომავლობაც, რაზედაც აშკარად მეუთითებენ როგორც ქართული, ასევე უცხოური (ბიზანტიური, არაბული, სომხური) წყაროები.

დავით დიდი კურაპალატის ქართველობა საკამათოდ არის ქცეული ძირითადად მხოლოდ სომხურ ისტორიოგრაფიაში.

„სომხური ენციკლოპედიის“ III ტომში დავით კურაპალატისადმი მიძღვნილ სტატიაში იგი იწოდება ტაოსა და კლარჯეთის ბაგრატუნ მთავრად. იმავე სომხური ენციკლოპედიის XI ტომში „ტაოს საკურპალატო“ სომხურ მხარედ არის წარმოდგენილი, ხოლო დავითი ბაგრატუნიანთა დროის კურაპალატად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ადრინდელ, ასევე თანამედროვე სომხურ ისტორიოგრაფიაში დავით III ქართველთა კურაპალატი სომხური წარმომავლობის მჭონე მოღვაწედ არის მიჩნეული. სულ ახლახანს მოსკოვში გამოცემულ „Православная энциклопедия“, III ტომში, სტატიაში „Армения“ - Искусство армян халкидонитов“ ტაოს ქართული ხურუთმოძღვრული ძეგლები ბაგრატიონთა ეპოქაში, დავით კურაპალატ-ბაგრატუნის გამგებლობის დროს შექმნილ სომხურ ხურთმოძღვრულ ძეგლებად არის გამოცხადებული. იქ ვკითხულობთ: "В эпоху Багратидов наиболее значительные памятники созданы в правление Давида Куропалата: монастырские соборы в Ошкванке, Хахуле (Хахули, 2-я пол. X в.), Дорткилисе и Пархале отличаются вытянутыми пропорциями всего здания..Анализ памятников Тайка выявляет их тесные связи с зодчеством Армении (Ширак) и Грузии (Кларджети, Шавшети и др.). В результате присоединения части этой области к Грузинскому царству усилился процесс влияния грузинского исскуства. Ярким примером этого является перестроенный в 1027 и 1032 гг. собор в Ишхане"

ზემოთქმულით არ მთავრდება სტატიის ავტორების სწრაფვა, რაც შეიძლება, უფრო მეტად დაამახინჯონ სინამდვილე: «Строительная деятельность армян-халкидонитов, выходцев из Тайка, была продолжена за пределами области, напр. в Петрицонском (Бачковском) монастыре, основанном Григорием Пакурианом (Бакурианом) (кон. XI-нач. XII в.).

В крестообразной скальной церкви №7 в Сабереби, X в. в комплексе монастырей Давидгареджи в Грузии, сохранились оригинальные по своей иконографии росписи, среди которых изображения коронованной Богородицы ( с арм. надписью "католике"), Девы Сиона, Солнца и Луны, восходящие к искусству Армян-халкидонитов (Дорт килисе, Кирануванк, сер. XIIIв.) Армянские надписи в росписи дублированы греческими, что также позволяет говорить о принадлежности церкви армянам-халкидонитам“[1].

[1] Православная энциклопедия, Под редакцией Патриарха Московского и всея Руси Алексия II, Том III, Москва, 2001, стр. 314-316.

ყოველგვარი საბუთიანობის გარეშე სომეხ მკვლევარებს სურთ ამტკიცონ, რომ ტაოს ხუროთმოძღვრული ძეგლები შექმნილია სომეხ ქალკედონიტთა მიერ, ბეგრი მათგანი ტაოს ბაგრატუნ მთავრად აღიარებული დავით კურაპალატის მეთვალყურეობითა და მხარდაჭერით. ჩვენ აქ არ შევუდგებით ზემოთ მოტანილი ცრუ ფაქტების განხილვას, ტაოს ქართული ხუროთმოძღვრება სიყალბისაგან სჯობს დაიცვან ქართველმა ხელოვნებათმცოდნეებმა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ 1947 წელს აკად. სიმონ ჯანაშიამ მაღალ მეცნიერულ დონეზე ამხილა რუსი ავტორის ნ.ტოკარსკის ნაშრომის „Архитектура древней Армении“ მიზანი მთელი სამხრეთ საქართველო, მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობით, კონფესიონალობითა და კულტურით უცხოეროვნულ, კერძოდ, სომხურ სამყაროდ წარმოაჩინოს ყოველგვარი ფაქტების, მოსაზრებებისა და წერილობითი წყაროების მონაცემთა გაუთვალისწინებლად.

თანამედროვე სომეხი მეცნიერები კი კვლავაც აგრძელებენ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კუთხის, ტაო-კლარჯეთის სომხეთის ისტორიულ ტერიტორიად, მისი მოსახლეობის სომხურად და IX-X საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების სომხურ ძეგლებად გამოცხადებას. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ისინი არც იმისაგან იხევენ უკან, რომ დავით III დიდი კურაპალატი, ადარნასე III-ის ძე, ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელი, სომხური წარმომავლობის მოღვაწედ გამოაცხადონ.

ქართულ და უცხოენოვან (სომხური, ბიზანტიური, არაბული) წერილობით წყაროებში საყურადღებო მასალებია შემონახული დავით კურაპალატის ტიტულატურის შესახებ.

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთაგან დავითმა პირველმა მიიღო „მეფეთა-მეფის“ წოდება. XI საუკუნის ქართველი მემატიანე ასე ახასიათებს დავითს: „ესე დავით კურაპალატი უმეტეს განდიდნა ყოველთა მეფეთა ტაოსთა. იყო პირველად ღმრთისმოყუარე და გლახაკთ-მოწყალე, მდაბალი, მშჯდი, და ძუელსენებელი, ეკლესიათა მაშენებელი, ტკბილი, უხჯ, კაცთმოყუარე და ფიჩოსანთ-მოყუარე, ყოველთათჳს კეთილისმყოფელი და სავსე ყოველითა კეთილითა. ამან აღაშენა მონასტერი და საყდარი ღმრთისა, წმიდა ეკლესია ხახულისა“[2].

ამავე „მატიანე ქართლისაჲ“-ში დავით კურაპალატი იწოდება: „დავით დიდი კურაპალატი“, „დიდი მეფე დავით კურაპალატი“, „დავით კურაპალატი ტაოსთა“, „ტაოს მეფე“, „მეფეთა-მეფე“, „მეფე დავით კურაპალატი“, „დიდი მეფე დავით კურაპალატი“, „კურაპალატი“. სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში დავით მოიხსენიება: „დავით კურაპალატი“, „დავით დიდი კურაპალატი“, „ერისთავი-ერისთავი“. თ. ჟორდანიას მიერ გამოცემულ ქრონიკებში იგი იწოდება: „დავით მაგისტროსი“, „ღვთივ გვირგვინოსანი მეფეთა-მეფე“, „ღვთივ დამყარებული დავით მაგისტროსი“, „მეფე დავით მაგისტროსი“, „ძლიერი და ღვთისმსახური მეფე და ყოველსა აღმოსავლეთისა კურაპალატი დავითი“. ეს უკანასკნელი მოხსენიება დავით კურაპალატისა განსაკუთრებით არის საყურადღებო X საუკუნის ტაო-კლარჯეთის სამეფოს ისტორიისათვის. იგი დაცულია ოშში გადაწერილ ხელნაწერთა შორის ყველაზე ადრეულ ხელნაწერ „სამოთხეში“, უფრო ზუსტად მის მოსახსენებელში, რომელიც გადაწერილია 977 წელს, მიქაელ მოდრეკილის დისწულის, სტეფანე მწიგნობრის მიერ. ოშის სკრიპტორიუმის საქმიანობას იმ დროს წარმართავდა ჩორდვანელთა სახლის საუკეთესო წარმომადგენელი იოვანე – თორნიკეს ძმა იოვანე ვარაზვაჩე, რომელთანაც *ერთად აღნიშნულ მოსახსენებელში ტაოს მეფე დავით მაგისტროსია მითითებული*. იოვანე ვარაზვაჩესა და დავითის ერთად მოხსენიება სწორედ მათი ერთობლივი მოღვაწეობის მანიშნებელია. როგორც ცნობილია, ბარდა სკლიაროსის დამარცხების შემდეგ, 979 წლის 24 მარტს იოანე-თორნიკე კეისრისაგან ბოძებულ სვინგელოზის პატივით ტაოში დაბრუნდა. სწორედ ამ დროს ბიზანტიისათვის გაწეული დახმარებისათვის დავითმა მიიღო კურაპალატის ტიტული, ამიერიდან იგი ნაცვლად მაგისტროსისა კურაპალატად იწოდება; იოანე-თორნიკე კი ნაცვლად პატრიკისა–სვინგელოზად. ზემოთ დასახელებული ფაქტი აღნიშნულია „სამოთხის“ ბოლოს დართულ თორნიკეს ანდერძში. აღნიშნული ანდერძის მიხედვით, ამ პერიოდს განეკუთვნება იოანე-თორნიკესა და დავით კურაპალატის გადაწყვეტილება ათონზე ქართველთა მონასტრის აშენების შესახებ. როგორც ელენე მეტრეველი აღნიშნავს, „ოშის „სამოთხის“ ახალი ანდერძი... მრავალი თვალსაზრისით ბრწყინვალე პირველწყაროა დავით კურაპალატის ეპოქის საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შესასწავლად და ჩორდვანელების დიდი ოჯახის წევრთა ღვაწლის წარმოსაჩენად დავით

[2] მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბილისი, 1955 წ. გვ. 273-274.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში. ეს ანდერძი ამავე დროს პირველი წერილობითი დოკუმენტია ბარდა სკლიაროსზე ქართველთა მხედრიონისა და იოანე-თორნიკეს დიდი გამარჯვების შესახებ...“[3]

დასახელებული ანდერძის ბოლო ფურცელი შეიცავს ბარდა სკლიაროსზე გამარჯვებულთა, პირველ რიგში, კი დავით კურაპალატის ქებასა და ლოცვა-კურთხევას: „მე იოვანე თორნიკე-ყოფილმან და ძმამან ჩემმან იოვანე ვარაზვაჩე, ძეთა სულკურთხეულისა ჩორდვანელისათა, მოვიგეთ და დავწერეთ წმიდაჲ ესე წიგნი, რომელსა ეწოდების წმიდათა მამათა მიერ სამოთხჱ, რომელსა შინა იპოვებიან მრავალფერნი მადლნი, მკურნალნი სულისანი, სალოცველად და სადიდებლად პირველად ძლიერისა და ღმრთისმსახურისა მეფისა და ყოვლისა აღმოსავალისა კურაპალატისა დავითისთჳს, რაჲთა სათნოდ ღმრთისა ქცევათა მისთათჳს დაუმკჳდროს მეუფემან სუფევაჲ დაუსრულებელი, რამეთუ მართლმადიდებლობისა თუალი არს და, მსგავსად შემოქმედისა თჳსისა, სიმდაბლისა წესსა შინა დაუკლებელად იქცევის და საღმრთოჲსა სიყუარულისა ჯაჭუთა აღჭურვილი, და მოწყალებაჲ ქრისტეს სახედ შეუმოსიეს, რამეთუ სული წმიდაჲ თანამზრახველად აქუს, რომელი ორძის გონებასა შინა მისსა, ვითარცა თავი – აგებულებასა ზედა ნივთიერსა“.

X საუკუნის სომეხი ისტორიკოსი, დავით კურაპალატის თანამედროვე, სტეფანოს ტარონეცი, ბევრ საყურადღებო ცნობას გვაწვდის დავით კურაპალატის შესახებ და ძირითადად „კურაპალატად“, „ტაოელთა კურაპალატად“, „დიდ კურაპალატად“ მოიხსენიებს მას. XI საუკუნის სომეხი ისტორიკოსი, არისტაკეს ლასტივერტეცი დავით კურაპალატის გარდაცვალების აღწერისას აღნიშნავს: „გარდაიცვალა დავით კურაპალატი, კაცი ძლიერი, ქვეყნის მშენებელი, გულუხვი და ღატაკთა მოყვარე. მან ჭეშმარიტად დაამყარა მშვიდობა, რადგანაც მის დროს ყოველი ადამიანი, თანახმად წინასწარმეტყველებისა, განისვენებდა ვაზისა და ლეღვის ხის საფარველ ქვეშ“[4]. არისტაკესი თავის თხზულებაში „ისტორია“ დავითს „ქართველთა კურაპალატადაც“ იხსენიებს. XII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მათეოს ურჰაეცი დავითს „ქართველთა მთავარს“, „დავით კურაპალატს“, „დავით ქართველთა კურაპალატს“ უწოდებს.

გიორგი მთაწმიდელის თხზულებაში „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“ დავითი „დავით კურაპალატად“ ან უბრალოდ „კურაპალატად“ არის წოდებული. XI საუკუნის არაბი ისტორიკოსი იაჰია ანტიოქიელი მას ასე იხსენიებს: „მალიქ ალ-ჯურზან – ქართლის მეფე, მალიქ ალ-ჯურზ – ქართველთა, ივერიელთა მეფე, საჰიბ ულთა – ოლთისის მფლობელი“[5].

ზემოთქმულს უნდა დავუმატოთ, რომ დავით III კურაპალატის ტიტულატურის სისრულისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთჳმე ათონელისეული ქართული თარგმანის შემცველი H2251 (994-1001წწ.) ხელნაწერის ანდერძმინაწერებს, რომლებშიც დავით კურაპალატი ოთხჯერ „ქართველთა მეფედ“ მოიხსენიება, ორჯერ კი „მეფედ“. როგორც ისტორიკოსმა ნ. შოშიაშვილმა გაარკვია, „ქართველთა მეფის“ ტიტული დავითს უტარებია 994-1001 წლებში[6].

დავით III ბაგრატიონის მეფობის დროს X საუკუნის II ნახევარში ტაოს ქართველთა სამეფომ განსაკუთრებულ სიძლიერეს მიაღწია, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მის ტიტულატურაშიც აისახა.

საქართველოს სხვა ქართულ სამეფო-სამთავროთა შორის ტაოს სამეფოს განსაკუთრებული მდგომარეობა ეკავა. იგი ორად იყო გაყოფილი. ამიერ-ტაო ბაგრატ ქართველთა მეფეს ეკუთვნოდა, ხოლო იმიე – ტაოს ჩრდილო ბასიანით, თორთომითა და სპერით X საუკუნის 60-იანი წლებიდან დავითი განაგებდა. სამხრეთ-დასავლეთიდან ტაოს სამეფოს უშუალოდ ბიზანტიის იმპერიის სამფლობელოები ემიჯნებოდა, საზღვარი მდინარე არაქსზე გადიოდა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით ტაოს თურქული მოსახლეობით დასახლებული სომხეთის მიწები ესაზღვრებოდა.

X საუკუნეში ამიერკავკასიის ქრისტიან გამგებელთა, სახელდობრ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა მხარდაჭერასა და მოკავშირეობას ბიზანტიის იმპერია მარჯვედ იყენებდა

---

[3] ელენე მეტრეველი. ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან. თბ., 1996, გვ. 10.

[4] არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1974, გვ. 41

[5] გ. ბუაჩიძე, ბიზანტიის ახლოაღმოსავლური პოლიტიკა იაჰია ანტიოქიელის „ისტორიაში“ ( X ს. 40-იანი წლები – XI ს I მესამედი) ავტორეფერატი. გვ. 12

[6] იხ. ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთუმე ათონელისეული თარგმანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთოო ც. ქურციკიძემ, თბ., 1983 წ., გვ. 010-021.

არაბთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ისიც ცნობილია, რომ ზოგჯერ ბიზანტიას გაშეცნები ქართველთა მიერ მაშმადიანთათვის წართმეულ მიწებს ქართველთა კუთვნილებად ცნობდნენ. სწორედ ასე შემოიერთა ბასიანი დავით კურაპალატმა.

დავით კურაპალატის სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობა ძირითადად ახასიათებს ბიზანტიასა და საქართველოს შორის ურთიერთობას X საუკუნის II ნახევარში. აღნიშნულ ხანაში ბიზანტიის ჯარებმა არაბთაგან გაათავისუფლეს მთელი რიგი დაპყრობილი ტერიტორიები. ბიზანტია-საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობაში განსაკუთრებით საყურადღებო მოვლენაა ბარდა სკლიაროსის აჯანყება და ქართველების აქტიური მონაწილეობა მის ჩახშობაში, რაც დავით კურაპალატის მხარდაჭერით განხორციელდა. ამ აჯანყების შესახებ საკმაოდ ბევრი ცნობაა შემონახული როგორც ქართულ, ასევე უცხოურ წყაროებში[7].

ბარდა სკლიაროსის შესახებ ქართული და სომხური წყაროების ჩვენებები ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა. ისინი დაბეჯითებით აღნიშნავენ, რომ ბასილ კეისარმა და კონსტანტინემ აჯანყებულ ბარდა სკლიაროსს ჯარ ბარდა ფოკა დაუპირისპირეს, მაგრამ როდესაც ამითაც ვერაფერს გახდნენ, მათ უკვე დახმარებისათვის მიმართეს დავით კურაპალატს.

სტეფანოს ტარონეცი თავის „მსოფლიო ისტორია"-ში საკმაოდ ვრცლად გადმოსცემს ბარდა სკლიაროსის აჯანყების ამბავს. იგი წერს: „ბერძენთა მეფემ ბასილმა თორნიკე სარდალი, რომელიც ქართველთა გვარიდან იყო, წმიდა მთის ბერი გამოიძახა და წარგზავნა ტაოელთა კურაპალატთან დავითთან. მან აღუთქვა [დავითს], რომ მისცემდა ხალტო-იარიჭს კლესტურიით, ჩორმაირს, კარინს, ბასიანს, პატარა ციხეს სევუკს მარდაღში, ჰარქსა და აპაშენიქს (რომლებიც გადასცა კიდეც შემდგომში), თუკი მას ჯარს გაუგზავნიდა დასახმარებლად[8].

აღნიშნული ტერიტორიების („ზემონ ქვეყანანი") უმრავლესობა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ბიზანტიის აღმოსავლური პროვინციების დაცვაში. ამბოხების ჩახშობაში ქართველთა მონაწილეობაზე კედრენეც მიუთითებს, მხოლოდ ქართულ-სომხურ წყაროთაგან განსხვავებით, მისი ცნობით, დავით კურაპალატს დახმარებისათვის მიუხმო არა ბასილ კეისარმა, არამედ ბარდა ფოკამ. ამასთანავე ბიზანტიელი ჟამთააღმწერელი რატომდაც არ ახასიათებს ქართველთა ჯარის რიცხვს. ქართული და სომხური წყაროების თანახმად კი დავითმა ბიზანტიელებს დასახმარებლად გაუგზავნა 12 000 მეომარი. კედრენეს ცნობა დაწვრილებით აქვს განხილული მ. კახაძეს, რომელსაც მითითებული აქვს ისტორიკოსის ტენდენციურობა და ისტორიული ფაქტების განგებ დამახინჯება[9].

სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ დაწვრილებითაა შესწავლილი ბარდა სკლიაროსის აჯანყება[10].

როგორც ცნობილია, დავით კურაპალატი ნომინალურად განაგებდა ტაოს სამხრეთ ნაწილს, ფაქტიურად კი იგი იყო ბატონ-პატრონი მთელი სამხრეთ საქართველოსი. მან საკმაოდ გააფართოვა თავისი სამფლობელოს საზღვრები ტაო-კლარჯეთის სამხრეთით მდებარე იმ მიწების ხარჯზე, რომლებიც ადრე არაბებს ჰქონდათ დაპყრობილი: „მე-10 საუკუნის მეორე ნახევარში ტაო-კლარჯეთის სამეფო შეიცავდა მეტად ვრცელ ტერიტორიას, რომლის სამხრეთი საზღვარი ვანის ტბასა და ქალაქ ერზინკამდე (ერზინჯანი) აღწევდა. მეტად დიდი იყო დავითის პირადი ძალაუფლებაც. მან პირველმა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთაგან მიიღო „მეფეთა-მეფის" წოდებულება. ეს წოდებულება კარგად გამოხატავდა ფაქტიურად არსებულ მდგომარეობას, როცა მრავალრიცხოვან წვრილ მფლობელთა შორის დავით III უდავოდ სარგებლობდა უზენაესი მბრძანებლის უფლებებით"[11].

მართალია, დავით კურაპალატი ატარებდა ბიზანტიის საკარისკაცო ტიტულს კურაპალატისას და ნომინალურად დამოკიდებული იყო ბიზანტიაზე, მაგრამ ყოველ თავის მოქმედებაში, უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობდა საკუთარი ინტერესებით და არა ბიზანტიის იმპერიის საჭიროებებით. ქართულ-სომხური წყაროების მიხედვით, აჯანყების დასაწყისში ბარდა სკლიაროსი დიდი სიმხეთის დასავლეთ რაიონებში დამკვიდრდა. ბარდა

---

[7] გიორგი მთაწმიდელის „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი", იმდროინდელი ქართველი მოღვაწის სიცოცხლე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ქრონიკები, ინდექსები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბილისი, 1967; ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ალექსანდრე ბოცვაძემ, თბილისი, 1979; ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ალექსანდრე ბოცვაძემ, თბილისი, 1982; ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ალექსანდრე ბოცვაძემ, თბილისი, 2008; ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ალექსანდრე ბოცვაძემ, თბილისი, 2014; ქართლის ცხოვრება, ტ. III, ტექსტი დადგენილი, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ალექსანდრე ბოცვაძემ, თბილისი, 2019; ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ალექსანდრე ბოცვაძემ, თბილისი, 2020.

[8] სტეფანოს ტარონეცი (სასოლიკი), მსოფლიო ისტორია, პეტერბურგი, 1885 წ., გვ. 192 (სომ. ენაზე).

[9] მ. კახაძე, ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში, თბ., 1954, გვ. 36-45.

[10] Н. Ломоури, К истории восстания Варды Склира, თ.უ.მ. № 67. გვ. 29-44

[11] ნ.ბერძენიშვილი, ი.ლაღიაშვილი, ს.ყანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, 1948, გვ. 158.

სკლიაროსის ასეთი წინსვლა საფრთხის წინაშე აყენებდა დავით კურაპალატს არა როგორც ბიზანტიის ვასალს, არამედ როგორც ტაოს დამოუკიდებელ გამგებელს. გაითვალისწინებდა შექმნილი მდგომარეობა, დავით კურაპალატმა რეალური დახმარება აღმოუჩინა ბიზანტიის სამყარო კარს. მაგრამ ბარდა სკლიაროსის დამარცხებიდან ექვსი წლის შემდეგ დავით კურაპალატს უკვე ვეღარ ეხვდებით ბიზანტიელთა მოკავშირედ. იგი ბიზანტიის ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგე ხდება და ამჟამად უკვე მხარს უჭერს ამ ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ახალ აჯანყებას ბარდა ფოკას მეთაურობით. როგორც ცნობილია, ბარდა ფოკამ, რომელიც ბასილ კაისაროსის ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ გააჯანსვა, მოულოდნელად აჯანყებულ სკლიაროსთან დაამყარა კავშირი, რათა ებრძოლა ბიზანტიის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში, როგორც იაპია ანტიოქიელი გადმოგვცემს, დავით კურაპალატმა მინაწილეობა მიიღო ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ბარდა ფოკას აჯანყებაში, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ბიზანტიას[12]. ამ ფაქტითაც მტკიცდება, რომ დავით კურაპალატი ბიზანტიისაგან დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ატარებდა. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, მხედველობიდან არ გამოჰპარვია ბიზანტიის იმპერატორს, ბასილ II-ს, რომელმაც იაპია ანტიოქიელის ცნობით, დავითის სიკვდილით დასჯაც მოინდომა, მაგრამ დავითმა პატიება ითხოვა. ბასილმა აიძულა დავით კურაპალატი ანდერძით სიკვდილის შემდეგ თავისი სამფლობელოები ბიზანტიისთვის დაეტოვებინა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობამდე მონაწილეობისათვის მიღებული ტერიტორია დავით კურაპალატის კუთვნილებად მხოლოდ მის სიცოცხლის ხანაში ითვლებოდა. სწორედ ამიტომაც დავითი სულაც არ იქნებოდა ბიზანტიის ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მოსურნე, რადგანაც აღნიშნული ტერიტორიების თავის გამგებლობის ქვეშ შემომტკიცებისა და თავისი სიკვდილის შემდეგაც მათი შენარჩუნებისათვის უფრო ხელსაყრელი იყო ბიზანტიის დასუსტება. მაგრამ, როგორც ცნობილია, ბასილმა შეძლო ბარდა ფოკას აჯანყების ჩაქრობა, რამაც გამოიწვია დავით კურაპალატის გეგმების ჩაშლა. ბასილთან აღრინდელი, შედარებით კეთილგანწყობილების შეცვლამ მკრული დამოკიდებულებით, ვფიქრობთ, გარკვეული როლი ითამაშა დავით კურაპალატის სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდზე და მის აღსასრულზედაც. სამეცნიერო ლიტერატურაში ქართულ წყაროებზე („მატიანე ქართლისა", სუმბატ დავითის ძის ქრონიკა) დაყრდნობით ცნობილია, რომ დავით კურაპალატი გარდაიცვალა 1001 წელს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დავითის გარდაცვალების ფაქტი „მატიანე ქართლისა"-სა და სუმბატ დავითის ძის ქრონიკის ძირითად ტექსტში კი არ არის აღნიშნული, არამედ ჩანართებში. ქართულ წყაროებში ძალიან მოკლედ არის მოხსენებული აღნიშნული ამბავი და არაფერია თქმული დავითის გარდაცვალების გარემოებათა შესახებ. სულ სხვა ვითარებას ვხედავთ სომხურ საისტორიო წყაროებში (სტეფანოს ტარონელი, არისტაკეს ლასტივერტელი, მათეოს ურჰაელი, სუმბატ სპარაპეტი).

ქართული წყაროებისაგან განსხვავებით, ზემოთ დასახელებულ სომეხ ისტორიკოსებთან მითითებულია, რომ დავით კურაპალატი ბუნებრივი სიკვდილით კი არ მომკვდარა, არამედ იგი ფარულად მოკლეს.

საინტერესოა გაირკვეს, რამდენად სარწმუნოა სომხური წყაროების ცნობები დავით კურაპალატის მოკვლის შესახებ. დავითის თანამედროვე სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ტარონელი, რომელიც დავითის მოღვაწეობის შესახებ საგულისხმო ცნობებს გვაწვდის, არაფერს ამბობს მისი სიცოცხლის მკვლელობით დასრულების შესახებ, მაგრამ თუ დაუკვირდებით სტეფანოსის ცნობას დავით კურაპალატის სიკვდილის შესახებ, ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნება, რომ ისტორიკოსისათვის ცნობილი იყო დავითის დაღუპვის ნამდვილი ვითარება და მიზეზები, მაგრამ რატომღაც მას თავი აურიდებია ამ ამბის დაწვრილებით გადმოცემისათვის და მის შესახებ მხოლოდ გაკვრით მოხსენიებით დაკმაყოფილებულა. იგი წერს: „მე ჩემ მოვალეობად ვთვლიდინ ხანგრძლივი გოდებით გადმომეცა დიდი კურაპალატის დავითის სიკვდილის ამბავი, მაგრამ რადგანაც გრძელი სიტყვა მსურდა შემემოკლებინა, ამიტომ ხოტბის შესხმის დრო არ არის და მხოლოდ გაკვრით მოვიხსენიებ მას"[13].

[12] Император Василий Болгаробойца. Извлечения из летописи Яхии Антиойского. издал, перевел и объяснил В.Р.Розен, СПБ, 1883, стр. 23-27.

[13] სტეფანოს ტარონელი , მსოფლიო ისტორია, გვ. 275.

სომხურ საისტორიო წყაროთა შორის დავითის დაღუპვის შესახებ პირველად მიუთითა არისტაკეს ლასტივერტეცმა, რომელიც, განსხვავებით სტეფანოს ტარონეცისაგან, მართალია, აღნიშნავს, რომ დავითი კი არ მომკვდარა, არამედ მოახრჩვეს, მაგრამ ამ ფაქტის დაწვრილებით აღწერას მაინც თავს არიდებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ამბავიც მას, სხვათა შორის, ყოველგვარი ყურადღების გამახვილების გარეშე აქვს გადმოცემული სულ სხვა ფაქტის აღწერისას. არისტაკეს ლასტივერტეცის ცნობით, რუსებთან ბერძნებისა და ტაოელ აზნაურთა შეტაკების დროს „იმავე ადგილას აზნაურთაგან ფრიად საპატიო ოცდაათი კაცი დაიღუპა. ეს მათ ტყუილუბრალოდ არ შემთხვევია, რადგანაც მათ დიდ ხუთშაბათს სასიკვდილო წამალი შეურიეს საიდუმლო მსხვერპლს, შეასვეს მას და მით მოახრჩვეს ნეტარი არსება. ასე განაშორეს იგი სიცოცხლეს, მათ მობეზრდათ მისი არსებობა, [ყოველივე ეს გააკეთეს] იმ დაპირებებისათვის, რომელსაც მეფისაგან მოელოდნენ. ამისათვის ღმერთმა სამართლიანად მიუზღო [აზნაურებს] მათი საქმეების შესაფერისად...“[14] უფრო ვრცელი ვარიანტი დავით კურაპალატის მკვლელობის ამბისა XII საუკუნის სომეხ ისტორიკოს მათეოს ურჰაეცის აქვს დაცული თავის „ჟამთააღმწერლობა“-ში. მას ამ ბოროტი საქმის განმახორციელებელიც კი ჰყავს დასახელებული: „დავითის ბოროტმა აზნაურებმა, კაენისა და სხვა მკვლელების მსგავსად, განიზრახეს ბოროტება – დავითის მოკვლა. მათ თავიანთი ბოროტი განზრახვის განხორციელება მიანდვეს ქართველთა ქვეყნის ეპისკოპოსს, ილარიონს. მან მხსნელი ხორცი და სისხლი ქრისტესი სასიკვდილო წამალს შერია და მხსნელი მკვლელად იქცა. შემდეგ მკვლელმა თავისი ძღვენი პირში ჩაუდო წმიდა მთავარს; ღვთისმოყვარე დავითმა იცოდა [ყოველივე], არაფერი არ თქვა, არამედ აიღო განსაკუთრებული წამალი და მით დაიყუჩა თავისი სხეულის სატკივარი. ხოლო ურჯულო ეპისკოპოსი ილარიონი კვლავ აღენთო ბოროტი განზრახვით, [ერთ დღეს] შევიდა მის ოთახში და ვიდრე კეთილმსახურ დავითს მშვიდი ძილით ეძინა, აიღო მისი ბალიში, დაადო დავითს პირზე, ზედ დაეცა ძლიერი ძალით და წამებით მოახრჩო ღვთისმოყვარე დავით კურაპალატი“[15].

დავით კურაპალატის მოკვლის ამბის გადმოცემისას მათეოს ურჰაეცის ზემოთ მოტანილ ცნობას წყაროდ იყენებს XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი სუმბატ სპარაპეტი, რომელსაც თითქმის სიტყვასიტყვით აქვს იგი გადმოტანილი თავის თხზულებაში, მხოლოდ რამდენიმე ადგილას დაშვებული აქვს შეცდომები: მაგალითად, „ილარიონის“ ნაცვლად მითითებული აქვს „ვრარიონი“. ეტყობა, სუმბატ სპარაპეტს სიტყვაში „ვრარიონი“ დამახინჯებით გაუერთიანებია եպիսկոպոս վրաց աշխարհին Իլարիոն“. „ վրաց“ და „ Իլարիոն“ „րիոն“ ნაწილის შეერთებით მიუღია „վրարիոն“-ი. სუმბატ სპარაპეტისა და მათეოს ურჰაეცის იმ ცნობების შეჯერებამ, რომლებიც აღწერენ დავით კურაპალატის მოკვლის ამბავს, გამოააშკარავა, რომ მათეოს ურჰაეცის თხზულება ამ შემთხვევაში პირდაპირი წყაროა სუმბატისათვის. რაც შეეხება ამ ორი წყაროს მიმართებას არისტაკეს ლასტივერტეცის თხზულებასთან, გადაჭრით თქმა იმისა, რომ ეს უკანასკნელი წყაროდ გამოუყენებია მათეოს ურჰაეცის, ვფიქრობთ არ შეიძლება. უფრო სავარაუდოა, რომ მათეოს ურჰაეცსა და არისტაკეს ლასტივერტეცის რომელიღაც მესამე წყაროთი უსარგებლიათ.

დავით კურაპალატის მოკვლის ბუნდოვანებით მოცული ისტორიის გასარკვევად აუცილებელია ბიზანტიასთან საქართველოს ურთიერთობის პირობებში ტაოს აზნაურთა ორიენტაციის გათვალისწინება, რადგანაც სომხური წყაროების თანახმად დავითი სწორედ მათ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედების მსხვერპლი გახდა. როგორც ცნობილია, X-XI საუკუნეებში ბიზანტიის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში არაერთი ქართველი დიდებული გამოდიოდა ბიზანტიის დამხმარის როლში და მით უადვილებდა აგრესორს გარკვეული ტერიტორიის დაპყრობას. ბიზანტიის მხარეზე ქართველ აზნაურთა გადასვლის მიზეზი ბიზანტიელი კეისრების მიერ წარმოებულ მოსყიდვა-გადაბირების პოლიტიკაშია საძიებელი. ივ.ჯავახიშვილის სამართლიანი შენიშვნით, „ბერძნები არავითარ საშუალებას, ქრთამსა და მოსყიდვასაც კი არ ზოგავდნენ, რომ ქართველი დიდებულები თავიანთი მეფის წინააღმდეგ აემხედრებინათ და კეისრის მხარეზე გადმოებირებინათ...თავიანთი ვერაგულის ქცევით და ცბიერებით ბიზანტიელებმა წადილს მიაღწიეს“[16]. სწორედ ანალოგიურ შემთხვევასთან უნდა

14 არისტაკეს ლასტივერტეცი...გვ. 41

15 მათეოს ურჰაეცი, ჟამთააღმწერლობა, ვაღარშაპატი, 1898 წ., გვ. 37-38 (სომხ.ენაზე)

16 ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 135.

გვქონდეს საქმე დავით კურაპალატის მოკვლისას. არისტაკეს ლასტივერტელისთან პირდაპირაა მითითებული: „მათ მობაზრდათ მისი არსებობა.[ყოველივე ეს გააკეთეს] დაპირებებისათვის, რომელსაც მეფისაგან მოელოდნენ“. საფიქრებელია, სწორედ ამ დაპირებებით გაბრიყვებულმა ტაოს აზნაურთა გარკვეულმა ჯგუფმა შეუფალობისა, თუ პრივილეგიური მდგომარეობის მოპოვების იმედით, ბიზანტიის ინტერესების დაცვისათვის საკუთარი მეფის მოკვლაშიც კი მიიღო მონაწილეობა. ხოლო რაც შეეხება თვით ბიზანტიის კეისარს ბასილს, მისგან ასეთი ბოროტმოქმედებისათვის ტაოელთა წაქეზება და მხარდაჭერა არც კი ჩანს მოულოდნელი. საკმარისია გავიხსენოთ, რომ მას ჯერ კიდევ ადრე, როგორც ამას იაპია ანტიოქიელი გადმოგვცემს, ბარდა ფოკას მხარეზე დავით კურაპალატის მონაწილეობისათვის დავითის სიკვდილით დასჯა განუზრახავს, მაგრამ დავითმა აღიარა დანაშაული და თავისი სიკვდილის შემდეგ ანდერძით თავისი სამფლობელოების ბიზანტიისათვის გადაცემა აღუთქვა.

გარდა ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ბარდა სკლიროსის აჯანყების ჩახშობაში მონაწილეობისათვის დავითს ბიზანტიის კეისარმა უბოძა გარკვეული ტერიტორია, რომელიც კურაპალატს მხოლოდ თავის სიცოცხლეში უნდა განეგო, მისი გარდაცვალების შემდეგ კი ეს ადგილები ისევ ბიზანტიის გამგებლობაში გადავიდოდა. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმიერ-ტაოს ხელისუფალების განკარგულებაში გადმოსულ ოლქებს ბიზანტიის იმპერიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ახლადშეძენილმა ოლქებმა და ქალაქებმა, რომლებიც მნიშვნელოვან სავაჭრო გზებზე მდებარეობდნენ, ხელი შეუწყვეს სახელმწიფო სალაროს შემოსავლის გაზრდას. ამან კი თავის მხრივ განაპირობა იმიერ-ტაოს ეკონომიური მომძლავრება და სააღდმიცემო საქალაქო ცხოვრების განვითარება. ბიზანტიის მმართველ წრეებს მიზნად ჰქონდათ დასახული ამ დროისათვის დასუსტებული სომხეთის სამფლისამთავროების დაპყრობა, ამასთანავე ბიზანტიის იმპერიისათვის აშკარა იყო ტაოს გამგებლის დავით კურაპალატის სწრაფვა განმტკიცებინა ქართული პოზიციები და გავლენა მეზობელ სომხეთში. დავითმა ანის-შირაკის გამგებელს დაათმობინა მნიშვნელოვანი შატიკის ციხე-სიმაგრე, რომელიც თავის ვასალს ყარს-ვანანდის მეფეს გადასცა. ისიც აღსანიშნავია, რომ თითქმის მთელი სომხეთის მეფე-მთავრებზე დავითის ძალა და გავლენა იყო გავრცელებული. რა თქმა უნდა ბიზანტია ასე ადვილად ვერ შეეგუებოდა დავითის სწრაფვას ამიერკავკასიაში გავლენის დაუფლებისაკენ. ზემოთ აღნიშნული გარემოება, ბიზანტიის კეისრისათვისაც ცნობილი იყო. ბასილმა ისიც კარგად იცოდა, რომ დავით კურაპალატი მისი ერთგული ვასალი არასოდეს არ იქნებოდა, ამიტომ მან მხარი დაუჭირა და წააქეზა ბოროტმოქმედებისაკენ თვით ტაოს ტერიტორიაზე შექმნილი დაჯგუფება აზნაურებისა, რომლებიც თავიანთი სეპარატისტული მისწრაფებებით დაუპირისპირდნენ ტაოს სამეფო ხელისუფლებას. ბიზანტიის კეისარი შესაფერის მომენტს ეძებდა მის მიერ დავით კურაპალატისათვის ბოძებული მიწა-წყლის კვლავ უკან დასაბრუნებლად. ამის განხორციელებას კი ბასილი მხოლოდ დავითის სიკვდილის შემდეგ თუ შეძლებდა. ზემოთ დასახელებულ გარემოებათა გათვალისწინების შემდეგ, ვფიქრობთ, სინამდვილისაგან არც თუ ისე შორს უნდა იყოს სომეხ ისტორიკოსთა ცნობები დავით კურაპალატის მოკვლის შესახებ.

როგორც ცნობილია, დავით კურაპალატის ცხოვრება-მოღვაწეობის ბოლო პერიოდში, X საუკუნის 70-იან წლებში, ქართველი ერი ისეთი მნიშვნელოვანი ისტორიული აქტის განხორციელების წინაშე დადგა, როგორიცაა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. აღნიშნული საკითხი მომზადებული და განპირობებული იყო საქართველოს ფეოდალური პოლიტიკური ერთეულების წინარე პერიოდის პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ სოციალურ-კულტურული განვითარებით. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბება დაკავშირებული იყო X ს. II ნახევარსა და XI ს. დასაწყისში ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილ საგარეო-პლიტიკური ვითარებასთან.

ამ მნიშვნელოვანი აქტის განხორციელების იდეური ხელმძღვანელი ქართლის ერისთავი იოანე მარუშის-ძე იყო. მან სავსებით სწორად განჭვრიტა აღნიშნული პერიოდისათვის შიდა ქართლისათვის ბრძოლის გამძაფრების საშიშროება, ქართველ მეფე-მთავართა შორის გამოარჩია ყველაზე გაელენიანი, ძლიერი მოღვაწე დავით კურაპალატი და შესთავაზა, ან თვითონ დაუფლებოდა ქართლს, ან, როგორც „მატიანე ქართლისა“ გვაუწყებს, „უბოძოს ბაგრატს, ძესა გურგენისსა, ასულის წულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელსა

ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი. ესევე ივანე მარუშის-ძე ეძებდა ბაგრატს მეფედ. და ვითარცა მოისმინა დავით კურაპალატმან სიტყუა ივანე მარუშისძისა, წარმოემართა ძალითა თუსითა ყოვლითა, და მოვიდა ქართლად. რაჟამს ცნეს მოსლვა მისი კახთა, წარვიდეს ვითარცა მეოტნი და დაუტევეს ქართლი. მოვიდა დავით კურაპალატი, ჩამოდგა ქუაჳურელთა, მოეგება წინა ქართლის ერისთავი ივანე მარუშის-ძე, აღიღო მისგან უფლისციხე და მიუბოძა ბაგრატს და მამასა მისსა გურგენს, რამეთუ არა ესუა შვილი დავით კურაპალატსა, და ბაგრატ, ძე გურგენისი, გაეზარდა შვილად თუსად... და ვითარ შეიქცა მუნით გარე, დაუტევნა უფლისციხეს გურგენ და ძე მისი ბაგრატ. მას ჟამსა იყო ბაგრატ ჯერეთ ასაკითა თუსითა უსრულ, ამისთუს თანაგანმგებელად დაუტევა მამა მისი გურგენ. შემოიკრიბნა აზნაურნი და უბრძანა: „ესე არს მკჳდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე, ამას დაემორჩილენით ყოველნი“.[17]

ზემოთ აღნიშნულ ფაქტებს 975 წელს ჰქონდა ადგილი, 3 წლის შემდეგ კი დასავლეთ საქართველოში საშინაო საქმეების გართულებისა და არეულობის გამო იოანე მარუშის-ძემ მიზანშეწონილად მიიჩნია, დავით კურაპალატისა და ქართლისა და ეგრის-აფხაზეთის აზნაურთა თანხმობით ბაგრატის გამეფება, რამაც საფუძველი ჩაუყარა ეგრის-აფხაზეთის, ქართლისა და ტაო-კლარჯეთის პოლიტიკურ გაერთიანებას.[18]

ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ფართოდ და დამაჯერებლად არის წარმოდგენილი დავით კურაპალატის პიროვნების, როგორც ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ერთ-ერთი ინიციატორისა და განმახორციელებლის, როლი და ყოველივე ამის ეჭვქვეშ დაყენება უსაფუძვლოდ ჩანს[19].

განსაკუთრებით საყურადღებოა დავით კურაპალატის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელსაც იგი დაუცხრომელი ენერგიით წარმართავდა. იგი მხოლოდ ტაოში სამწერლობო მოღვაწეობით არ კმაყოფილდებოდა. დავით კურაპალატს გამუდმებით ჰქონდა დამყარებული ურთიერთობა ათონზე მოღვაწე ქართველ მამებთან. როგორც ცნობილია, ეფთუმე ათონელმა ქართულად თარგმნილი „მრავალნი წიგნნი წარცნეს წინაშე დავით კურაპალატისა“ და „დავით კურაპალატი ზედაჲსზედა მოუწერნ, რაჲთა თარგმნიდეს და წარსცმიდეს“[20]. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დავით კურაპალატი მხოლოდ ათონიდან გამოგზავნილი წიგნებით არ კმაყოფილდებოდა. მან ათონზე თავადაც გააგზავნა ერთი მწიგნობარი, მამა იორდანე ხელნაწერების გადასაწერად[21]. ტაოში მწერლობის, კულტურისა და სახელმწიფო ოფიციალურ ენად ქართული ენა იყო გამოყენებული. ამაზე მიუთითებს, მაგალითად, დავით კურაპალატის მიერ მოჭრილ მონეტაზე ქართული წარწერა: „ქე შეიწყალე დავით კურაპალატი“[22]. ასევე საყურადღებოა დავითის ქართული წარწერა მის ჯვარზე: „ქრისტე, ადიდე დღეგრძელობით დავით კურაპალატი. ამინ“[23].

ტაოს ტერიტორიაზე არსებულ მრავალრიცხოვან ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე შემორჩენილია მრავალი ქართული წარწერა.

როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაშია აღიარებული, დავით კურაპალატისა და სხვა ბაგრატიონთა მიერ აგებულ ტაძრებზე შემონახული ქართული წარწერები აშკარად მეტყველებენ როგორც წარწერების შემკვეთთა, ისე ამ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ირგვლივ მობინადრე მოსახლეობის ქართულ წარმომავლობაზე.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მხოლოდ მოკლედ შევეხეთ დიდ დავით III-ის იმ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის ზოგიერთ მხარეს, რომელმაც მას განსაკუთრებული, გამორჩეული ადგილი დაუმკვიდრა საქართველოს ისტორიაში.

---

[17] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 272, 274

[18] იქვე, გვ. 275

[19] გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973, გვ. 4-24; ა.აბდალაძე, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI სს-ში, თბ., 1988, გვ. 239-241; ზ. პაპასკირი, ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990, გვ. 14-62.

[20] „ცხოვრება იოვანესი და ეფთუმესი“, ძეგლები, II, 1967, გვ. 61.

[21] ც. ქურციკიძე, ათონზე გადაწერილი ერთი ხელნაწერის შესახებ, კრებული „მწიგნობარი“, თბ., 1980, გვ. 117

[22] დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ.,1950, გვ. 43.

[23] Г.Чубинашвили, Золотых дел мастера Асата работа для Таоййсского владетеля Давида, მუზეუმის მოამბე, XV- B, 1948, გვ. 117.

აკად. ნ. ბერძენიშვილის სამართლიანი მითითებით: „დავით კურაპალატი დიდი პოლიტიკოსი იყო, დიდი პროგრესული მოღვაწე, დიდი პატრიოტი...ქართული კულტურისათვის უსიდენ დიდი ჭირნახულობა მან იმით დაგვირგვინა, რომ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას მტკიცე საფუძველი დაუდო. ქალკედონიტი დავით კურაპალატი ბიზანტიის კულტურულსა და პოლიტიკურ სამყაროში ქართული ეროვნული შეგნების მესაჭე და მოღვაწეა, ქართულ ენას დავითის ქვეყანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ის აქ განსაკუთრებულ როლს თამაშობს (ამის მოწმობაა ტაოელი ქართველების ეს განსაკუთრებული ზრუნვა ქართულ ენაზე, ქართულ კულტურაზე. ათონზე ტაოელთა იდეა ბატონობს), დავითის ფული ქართული ზედწერილით, დავითის მშენებლობა (ქართულ წარწერიანი), დავითის დროშა-ჯვარი ქართული წარწერით, დავითის ქვეყანაში ქართული სავანეები (ხახული, ოშხანი, ოთხთა ეკლესია), დაუცხრომელი ზრუნვა ქართული ქრისტიანული ლიტერატურის გამდიდრება-გავრცელებისათვის. ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ამ მხრის პოლიტიკაში ქართულ ენას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აკისრია და ეს უნდა გასაგები იყოს: დავითი ტაოს კურაპალატი იყო, ჩამომავლობით ქართველი ბაგრატიონი (აშოტ კურაპალატის შტო), სარწმუნოებით ქალკედონიტი“[24].

ამრიგად, ჩვენი აზრით, როგორც ქართულ, ასევე უცხოენოვან წყაროებში დაცული მასალების გაანალიზებით ნათელია, რომ დავით III კურაპალატი, ძე ადარნასე III-ისა, თავისი ეთნიკურობით, კონფესიონალური კუთვნილებით, მრავალმხრივი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით, საშინაო და საგარეო პოლიტიკის სწორი წარმართვით X საუკუნის ქართული სამყაროს ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

**Э. ЦАГАРЕИШВИЛИ**

## НЕКОТОРЫЕ ДАННЫЕ О ГОСУДАРСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ ДАВИДА КУРАПАЛАТА

РЕЗЮМЕ

Данные разноязычных и разнохарактерных источников (грузинские, армянские, греческие, арабские письменные источники, эпиграфические и нумизматические материалы X века, приписки рукописей X века) содержат многочисленные факты о деятельности Давида III куропалата Багратиони, который сыграл значительную роль в истории Грузии второй половины X в.

В армянской историографии, в армянской энциклопедии и в "Православной энциклопедии" Давид III куропалат называется Давидом Багратуни, а его владение Тао-армянским.

В предлагаемой работе, на основе изучения данных выше названных источников, показано, что Давид III куропалат, сын Адарнасе III-го, потомок Ашота куропалата, создателя юго-западного грузинского государства, был крупным государственным деятелем второй половины X века, активным участником создания Грузинского феодального царства. А что касается Тао, при Давиде куропалате оно продолжало оставаться грузинским по культуре и языку. Грузинские надписи многочисленных церквей Тао свидетельствуют о грузинской национальности как заказчиков этих надписей, так и об этническом составе населения этих областей.

Все мероприятия Давида Таойского куропалата имели явно выраженный характер грузинской государственной политики.

Главной целью национальной политики Давида куропалата была заселение мусульманских земель христианами грузинами и армянами-халкидонитами и расширение границ Таойского царства.

Армянские исторические источники подтверждают сведения грузинских (Георгий Святогорец) и византийских историков (Георгий Кедрин) об участии Давида Куропалата в подавлении восстания Варды-Склира. Армянские источники показывают, что убийство Давида куропалата было осуществлено провизантийской группировкой, возникшей в Тао.

[24] ნ. ბერძენიშვილი, კლასიობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. II, თბ., 1965, გვ. 23-24.

# სინას სულთა მატიანე
## ზედგინისძეთა მოსახსენებლები

სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის წმ. გიორგის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანეში (Sin 77) მოსახსენებელთა ძირითად ტექსტს შორის დატოვებულ თავისუფალ არეებზე (195v–196r) შეტანილია ზედგინისძეთა სახლის საოჯახო მოსახსენებლები:

*"ს(უ)ლსა ზედგინისძესა დღღარსნალ - ყოფილსა დამიანეს შ(ეუ)ნ(დნ)ს ღ(მერთმა)ნ, მათსა მცხედრესა თუმიან - ყოფილსა თეკლ(ა)ს შ(ეუ)ნ(დნ)ს ღ(მერთმა)ნ, შ(ა)თთა ძეთა – ჯანიბეგს, ზაურადს, მერაბს, გორზამს, ფილიმონს, მამისასა, ქაიხოსროს შ(ეუ)ნ(დნ)ს ღ(მერთმა)ნ"* (195v).

ცალკეა ჩაწერილი დღღარსნალი შვილ ქაიხოსროს, მისი დისა და ძმისწულების მოსახსენებელი:

*"დღღ(ა)რსნ(ა)ლი შვილის ქაიხოსროს დასა მარინეს და მისა ძმისწ(უ)ლთა ტუსის, გივის, იმარინდოს, გოდერძის შ(ეუ)ნ(დნ)ს ღ(მერთმა)ნ"* (196r).

ზედგინისძეთა მოსახსენებლები შესრულებულია სწორი კალიგრაფიული ნუსხურით, რომლისთვისაც დამახასიათებელია დაკბილულთავიანი **მ**, **ზ**, **დ** გრაფემები; განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი და ორწერტილი. იმავე ხელით მატიანეში შეტანილია: სურხან ვაჩნაძისა და მისი მეუღლის, თამარის (195v), შალვა ბურდიაშვილისა და მისი მეცხედრის, ულუმპიას (196r), ყარემუზაშვილ შანგულ - ყოფილ შილას, მისი მეცხედრის, მარინესა და შვილების – ქანთაშრის, მერაბის, ქექაოზის, საბას; ეგზამ თურმანიძისა და მისი მეუღლის, ბანუარის; რუსაფ კოპახძისა და მისი მეუღლის, მარინეს; ბესარიონ კუაჩალიძისა და მისი დის, მარინეს მოსახსენებლები (204v).

მოსახსენებელთა ეს ფენა პალეოგრაფიულად XV–XVI საუკუნეებისაა. იგი მატიანის ძირითადი ტექსტისა და შემდეგდროინდელ შემავსებელთა ფენების ქრონოლოგიის გათვალისწინებით XV საუკუნის პირველი ნახევრის შემდგომი ხანებით თარიღდება.

მოსახსენებლებიდან ვეცნობით ზედგინისძეთა საგვარეულოს სამი თაობის წარმომადგენლებს: დოღრასნალ - ყოფილ დამიანეს, მის მეუღლეს – თუმიან - ყოფილ თეკლას, მათ შვილებს – ჯანიბეგს, ზავრადს, მერაბს, გორზამს, ფილიმონს, მამისას, ქაიხოსროსა და მარინეს, შვილიშვილებს – ტუსის, გივის, იმარინდოსა და გოდერძის. აქ ჩამოთვლილი პირების შესახებ თითქმის არაფერია დაცული XV საუკუნის ზედგინისძე–ამილახორთა შესახებ არსებულ იმ ისტორიულ დოკუმენტებსა და წმინდა მიწის აღაპ-მოსახსენებლებში, რომლებიც პ. კარბელაშვილის, შემდგომ კი ნ. ბერძენიშვილისა და ე. მეტრეველის მიერ ზედმიწევნითაა შესწავლილ-გამოცემული.[1]

ტიმოთე გაბაშვილი ზედგინისძე–ამილახორებს იერუსალიმში ორი მონასტრის აშენებას უკავშირებდა. მისი ცნობით, წმ. ბასილის დედათა მონასტერი ამირინდო და თაყა ზედგინისძეებს აუშენებიათ.[2] ჯვარის მონასტრის ტიშენდორფისეულ აღაპთა ნუსხაში მართლაც შე-

[1] პ. კარბელაშვილი, ამილახართა საგვარეულოს ისტორიული გუჯრები, ძველი საქართველო, ტ. II, ე. თაყაიშვილის რედ., ტფილისი, 1911-1913, გვ. 101-138; ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, I, 1937, გვ. 1-71; ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), თბილისი, 1962, გვ. 25-26, 39-40.

[2] ტიმოთე გაბაშვილი, მიმოხილვა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1956, გვ. 81.

სულია ამირინდო ამილახორისა და მისი მეუღლის, თამარის ადაპები. სააღაპე განძინებასთან ერთად ჯვარის მონასტრის მამას ამირინდო ამილახორისა და მისი ნათესავებისათვის სამარხოდ ტრონად დაუმტკიცებ–მოუხსენებია წმ. ბასილის მონასტერი (T.85). ელ. მეტრეველმა ეს გახნინება პალეოგრაფიულად XV საუკუნით დაათარიღა, ხოლო ტიმოთეს მიერ მონასტრის მაშენებლად დასახელებული ამირინდო და თაყა XV საუკუნის ზედგინისძეთა სახიერის წიგნებში მოხსენიებული ამირინდო ამილახორთან და თაყასთან გააიგივა; შესაბამისად, მონასტრის აშენების თარიღი XV საუკუნის 60-ანი წლებით იქნა განსაზღვრული.[3]

ზედგინისძეებთან დაკავშირებით ტიმოთეს ასევე მოეპოვება ცნობა ჯვარის მამა ქრისტეფორე ზედგინისძისა და მისი ნათესავების მიერ იერუსალიმში წმ. თეკლას მონასტრის აშენების შესახებ: "ქ. წმიდის თეკლას მონასტერი ჯვარის მამის ქრისტეფორეს და მისის ნათესავთაგან აღშენებული, ზედგინისძითა".[4]

XX საუკუნის 60-იან წლებში, შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილისათვის სამზადისსას, საქართველოს ტელევიზიის ექსპედიციამ (ი. რურუა, გ. პატარაია, გ. მელქაძე), რომელიც იერუსალიმში პალესტინის სიძველეების გადასაღებად იყო მიგზავნილი, უფლის საფლავის მახლობლად მდგომ კუთხის სახლის კედელზე გადაიღო ორნამენტული ჩარჩოში ჩასმული, შეიფსრტაქნიანი, XV–XVI საუკუნეებისათვის დამახასიათებელი შეწიაღებული ასომთავრულით შესრულებული, უცნობი სააღმშენებლო წარწერა:

ⴒ. ⴟⴂ ⴂⴜⴑⴇⴍⴇⴟⴜⴝ Ⴟ
ⴕⴝ ⴂⴟⴝ ⴒ-ⴑⴑⴂⴀ ⴓⴍⴒⴝ
ⴟⴍⴂ ⴂⴝⴆⴂ ⴕⴇⴝ ⴑⴍⴝⴑ
ⴒⴑⴂ ⴜⴝ ⴜⴟⴝⴂ ⴟⴂⴒⴑⴂ ⴂⴒⴑⴂ ⴜ
ⴕⴖⴂⴜ ⴜⴑ ⴜⴝ ⴟⴇⴓⴒⴂⴖ ⴕⴂⴒⴂⴝ
ⴒⴑⴂⴀⴕⴝ ⴜⴝ ⴟⴝⴜⴇ ⴓⴂⴜⴇⴜ ⴟⴟⴂⴟ
ⴒ ⴟⴍⴝ ⴖⴒ ⴒ ⴓⴒⴝ.

ქ. მე, ზედგინისძემ(ა)ნ, ჯ(უა)რ(ი)ს მ(ამა)მ(ა)ნ, ქ(ა)იხოსრო ალვ(ა)შ(ე)ნე ზღ(უ)დე ესე და სენ(ა)კი. | წ(მიდა)ო და მ(ა)რთალ-ქ(ალ)წ(უ)ლ(ო) მ(ო)წ(ა)მეო თ(ეკლა, მ(ეო)ხ და მცველ ექ(ს)ტ(ა)ხოსრ(ო)ს, და მ(ი)სთა დედა-მ(ა)მ(ა)თ|ა შ(ეუნდ)ნ(ე)ს ღ(მერთმა)ნ, ა(მი)ნ.[5]

წარწერის თანახმად, ჯვარის მამა ქაიხოსრომ ზღუდე და სენაკი ააშენა წმ. თეკლას მონასტერში, რომელიც იერუსალიმში ქრისტეს საფლავის ახლოს მდებარეობდა.

2001-2002 წლებში, წმინდა მიწაზე ექსპედიციის დროს, ბერძნული საპატრიარქოს ტერიტორიაზე, წმ. თეკლას ეკლესიის მახლობლად მდებარე სენაკის სარკმელთან აღმოჩნდა თავდაყირა ჩაგდგმული ქაიხოსრო ზედგინისძის დაკარგული წარწერის ანალოგიურ ორნამენტულ ჩარჩოში ამოკვეთილი კიდევ ერთი სააღმშენებლო წარწერა. ამ წარწერის შესახებ მსჯელობა მხოლოდ ექსპედიციის ანგარიშში გამოქვეყნებული მცირე ზომის ფოტოსა და მისი შინაარსის მიხედვით მიხდება. ახლად აღმოჩენილი წარწერის თანახმად, ქაიხოსრო ზედგინისძეს თავისი შვილების სულის შესანდობლად რვა სახლი და ოცდარვა კამარა აუშენებია. ხელოვნებათმცოდნე - ეპიგრაფიკის, გ. გაგოშიძის აზრით, კამარა კედლების გასწვრივ ამოშენებული თაღების მსგავს, ქულბაქების მაგვარ ღია სავაჭრო შენობას უნდა ნიშნავდეს, რომლებიც იერუსალიმის ქუჩებში დღესაც მრავლადაა შემორჩენილი.[6] ეს ვარაუდი სწორი ჩანს, რამდენადაც სულხან-საბას ახსნით, კამარა არის "კონქი, გინა ხულა"; ხულა კი განმარტებულია სავაჭრო სახლად.[7]

დოკუმენტურ და პილიგრიმულ წყაროებში პირველი ოფიციალური ცნობა წმ. თეკლას მონასტრის შესახებ XVI საუკუნის მიწურულს, სახელდობრ 1593 წელს განეკუთვნება და რუს ვაჭარს, შემდგომში კარის დიაკვან ტრიფონ კორობეინიკოვს ეკუთვნის. იგი წმ. თეკლას

[1] ჭ მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 25-26..
[2] ტ. გაბაშვილი, მიმოსვლა, გვ. 81.
[3] გ. მიქაძე, იერუსალიმის უცნობი ქართული სააღმშენებლო წარწერა, ქართული წყაროთმცოდნეობა., III, თბილისი, 1971, გვ. 236-241.
[4] გ. გაგოშიძე, წმინდა მიწის ქართული წარწერები, Academia, ისტორიული ფილოლოგიური ჟურნალი, ტომი 5(A), 2003, გვ. 38-39.
[5] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ილ. აბულაძის გამოც., თბილისი, ტ. I, 1991, გვ. 349; ტ. II, 1993, გვ. 434.

მონასტერს, უფლის საფლავის მახლობლად მდებარე წმ. თეოდორე სტრატილატისა და წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედის მონასტრებთან ერთად, ჯვარის მონასტრის წინამძღვრის იოსების დაქვემდებარებაში ასახელებს.[8] მართალია, კოროპინიკოები ამ მონასტრების ქართულობაზე პირდაპირ არაფერს ამბობს, მაგრამ მათი ქართველთა კუთვნილებად მიჩნევის საფუძველს მონასტრებისათვის გაღებული შესაწირავი თანხის ჯვარის მონასტრის წინამძღვრისათვის გადაცემის ფაქტი იძლევა.[9]

არსებობს მეორე დოკუმენტიც, რომელიც იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ოფიციალურ განაცხადს წარმოადგენს პალესტინაში ქართული მონასტრების შესახებ 1200-1308 წლებში. თუმცა ამ დოკუმენტს ნაკლებად შეიძლება გაეწიოს ანგარიში, რამდენადაც მისი სანდოობა მკვლევართა შორის ეჭვს იწვევს. დოკუმენტში დასახელებული ფაქტები და თარიღები სინამდვილეს ნაკლებად შეესაბამება, თავად კი გაცილებით გვიან (XVII ს.) ჩანს შედგენილი. ეს დოკუმენტი სხვა მხრივაა საინტერესო – მასში წმ. თეკლას მონასტერი დასახელებულია იმ ქართული მონასტრების (წმ. ნიკოლოზის, წმ. იაკობის, წმ. იოანე ღვთისმეტყველის, წმ. თევდორეს, წმ. ეკატერინეს) გვერდით, რომლებიც ბერძნებმა თითქოსდა გაწუული დაბმარების საფასურად გადასცეს ქართველებს.[10]

XVII საუკუნის დასწყისში ქართველებმა, როგორც ირკვევა, წმ. თეკლას მონასტერი დაკარგეს. იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის (1641-1707) ცნობით, ქართველებს იგი იერუსალიმის პატრიარქ თეოფანესათვის (†1646) დაუთმიათ. წმ. თეკლას მონასტრის სამხრეთ ნახევარში კი, რომელიც პატრიარქ პაისიოსს (†1660) კოპტებისგან შეუძენია, აღუდგენია ეკლესია, ეზო და ბაღი.[11]

XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის წმ. თეკლას მონასტრის მფლობელებად კვლავ ბერძნები გვევლინებიან. 1777 წელს იერუსალიმის პატრიარქ სიმეონის მიერ სლავურ ენაზე დაბეჭდილ იერუსალიმის სავანეების აღწერილობაში წმ. თეკლას მონასტერი, აღდგომისა და წმ. იაკობის მონასტრებთან ერთად, უფლის საფლავის მახლობლად, ძველ საპატრიარქოსთანაა დასახელებული. აქედანვე ვიგებთ, რომ იგი დედათა მონასტერი ყოფილა („В сем месте находится и лествица по которой входят в дом Патриарший (или Патриархию), в Синод и в келлию Патриаршаго Наместника. Там же и трапеза, и приемная и церковь св. Константина, имеющая 3 окна к Св. Гробу и 18 лампад, из коих, 6 неугасаемых. Там есть церковь Св. первомученицы Феклы и еще церковь Пресвятыя Богородицы, принадлежащая к монастырю постящихся жен, в котором постилась и св. Мелания с 90 девицами").[12]

წმ. თეკლას მონასტერს ასევე ძველ საპატრიარქოსთან აიგივებდა ა. ცაგარელი.[13] რაც შეეხება წმ. თეკლას მონასტრის საალმშენებლო წარწერას, რომელიც საქართველოს ტელევიზიის ექსპედიციამ გასული საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში გადაიღო, მოგვიანოდ ადგილზე აღარ ჩანს და მისი კვალი იკარგება. წარწერას ვერ მიაკვლეს 2002 წელს წმინდა მიწის შემსწავლელი ექსპედიციის წევრებმაც. გამორიცხული არ არის, რომ საქართველოს ტელევიზიის ექსპედიციის მიერ ფიქსირებული წარწერიანი ქვა, რომელიც შესაძლოა, მეორადი მშენებლობისასაც კი იყო გამოყენებული, უფლის საფლავის მიმდებარე *ტერიტორიაზე ნაგებობათა განახლება-რეკონსტრუქციის პროცესში დაიკარგა ან სულაც* განგებაც იქნა განადგურებული (ისევე, როგორც ბოლო ხანებში ბერძნული საპატრიარქოში მდებარე წმ. ნიკოლოზის ეკლესიის განმაახლებლის ქართული წარწერა).

აქ მოხმობილი მასალები წმ. თეკლას მონასტრის თავდაპირველი აშენების დროისა და მისი მაშენებლის ვინაობის დასადგენად, ვფიქრობ, მაინც ნაკლებად გამოდგება. ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან, რომლებიც წმ თეკლას მონასტრის მაშენებლის შესახებ მოგვეპოვე-

---

[8] Архимандрит Леонид, Иерусалим, Палестина и Афон по русским паломникам XIV-XVI вв., Чтения в Императорском обществе истории и древностей Российских, кн. I, 1871, с. 62.

[9] ე. მეტრეველი, იერუსალიმის რაჰვენიმე ქართული მონასტრის დათარიღების ცდა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, 1962, გვ. 231; მისივე, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 38-39.

[10] ე. მეტრეველი, იერუსალიმის რაჰვენიმე ქართული მონასტრის დათარიღების ცდა, გვ. 233; რ. ჯინუ, ქართველები იერუსალიმში (ა.შალვა ვარდიძის თარგმანი), სტამბოლი, 1921, გვ. 17-18; გრ. ფერაძე, უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, თბილისი, 1995, გვ. 114-119.

[11] А. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае, *Православный Палестинский Сборник*, т. IV, вып. 1 (1888), с. 120

[12] Описание града Божия Иерусалима и святых мест, в нем и близь него находящихся, в которых совершались различныя события, для рода человеческаго спасительныя, Москва, 1836, с. 21-22.

[13] А. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае, с. 120. მისი ცნობით, ეს არის ოგივე "нынешняя старая патриархия".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, ელ. მეტრეველი უპირატესობას ტიმოთე გაბაშვილის ცნობას ანიჭებდა. მისი აზრით, ტიმოთეს ცნობა წმ. თეკლას მონასტრის ჯვარის მამა ქრისტეფორე ზედგინისძისა და მისი ნათესავების მიერ აშენების თაობაზე, ისევე, როგორც იერუსალიმის ქართული მონასტრების შესახებ მასთან არსებული სხვა მონაცემები, სანდოდ შეიძლება მივიჩნიოთ, რამდენადაც ქართველი მოგზაური ამგვარ ინფორმაციას საამშენებლო წარწერებზე, სამონასტრო მოსახსენებლებზე, აღაპებსა და ხელნაწერებზე დაყრდნობით იძლევა.[14]

თავის დროზე, ჯერ კიდევ წმ. თეკლას მონასტრის საამშენებლო წარწერის აღმოჩენამდე, ელ. მეტრეველი, ტიმოთეს ცნობის საყურადღებოდ, ქრისტეფორე ჯვარის მამას პირობით XV საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწედ მიიჩნევდა; შესაბამისად, იმ დროისათვის თვლიდა აშენებულად წმ. თეკლას მონასტერსაც.[15] უკეთ მოგვიანებით, ქაიხოსრო ზედგინისძის საამშენებლო წარწერის აღმოჩენასთან დაკავშირებით, მან დაუშვა სინას სულთა მატიანის ქაიხოსრო ზედგინისძისა და იერუსალიმის საამშენებლო წარწერის ჯვარის მამად მოხსენიებული ქაიხოსროს იგივეობის შესაძლებლობა; იმავდროულად ეჭვი გამოთქვა წარწერაში სახელ ქაიხოსროს წაკითხვასთან დაკავშირებით, თუმცა შენიშვნაში აღნიშნა, რომ ქრისტეფორე შეიძლება იყოს ქაიხოსროს აღკვეცის შემდეგდროინდელი სახელი.[16]

ტიმოთეს ცნობის სანდოობა წმ. თეკლას მონასტრის აღმშენებლის შესახებ, მართლაც, დაადასტურა ჯვარის მამა ქაიხოსრო ზედგინისძის საამშენებლო წარწერამ; ამასთანავე გაირკვა, რომ ტიმოთეს უნდა ესარგებლა ჩვენთვის უცნობი რაღაც წყაროთი, სადაც წმ. თეკლას მაშენებლად იხსენიებოდა ქრისტეფორე ზედგინისძე და მისი ნათესავები. წმ თეკლას მონასტრის საამშენებლო წარწერასა და სინას სულთა მატიანეში კი ასეთად, როგორც ვიცით, ჩანს არა ქრისტეფორე, არამედ ქაიხოსრო. მართალია, წყაროებში ჯვარის მამის სახელის დასახელებისას წინააღმდეგობა იჩენს თავს, მაგრამ იგი ადვილად მოიხსნება, რამდენადაც სავსებით დასაშვებია და იმავდროულად მოსალოდნელიც, რომ ქრისტეფორე იყო ქაიხოსრო ზედგინისძის ბერად აღკვეცის შემდგომდროინდელი სახელი. სინას სულთა მატიანის ზედგინისძეთა საოჯახო მოსახსენებლები, ისევე როგორც თეკლას მონასტრის საამშენებლო წარწერა, ქაიხოსროს წმინდა მეწაღე ჩასვლის, სახელდობრ მისი ჯვარის მამობის პირველ ხანებს უნდა განეკუთვნებოდეს. საამშენებლო წარწერის შესრულების დროისათვის წმ. თეკლას მონასტერი უკვე არსებულად უნდა მივიჩნიოთ, რამდენადაც, როგორც ამას წარწერიდან ვიგებთ, ქაიხოსროს მისთვის მხოლოდ ზღუდე და სენაკი აუშენებია. ამდენად, ნაკლებ მოსალოდნელია, რომ ჯვარის მამა ქაიხოსრო მონასტრის თავდაპირველი მაშენებელი იყო – იგი უფრო განმაახლებელი ჩანს. ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებასაც, რომ ტიმოთე გაბაშვილთან მონასტრის მაშენებელში ყოველთვის არ იგულისხმება აღმშენებელი, რიგ შემთხვევაში იგი (მაგ. წმ. თეოდორეს, წმ. ნიკოლაოზის, წმ. აბრაამის მამამთავრის და სხვ.) განმაახლებელია.[17]

წმ. თეკლას მონასტრის საამშენებლო წარწერის გამომცემელმა, გ. მიქაძემ ქაიხოსრო/ქრისტეფორესთან დაკავშირებული შეუსაბამობა ტიმოთე გაბაშვილის ცნობასა და წმ. თეკლას მონასტრის საამშენებლო წარწერას შორის სხვაგვარად გადაჭრა. მისი თვალსაზრისით, ქაიხოსრო ზედგინისძე ჯვარის მამად უნდა ყოფილიყო ქრისტეფორეს შემდგომ, მისი მოღვაწეობის პერიოდი კი ზოგადად XV საუკუნის მეორე ნახევრით – XVII საუკუნის დასაწყისით განისაზღვრება.[18]

არის რამდენიმე მომენტი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელი ჩანს იმის დასადგენად, თუ როდის იქნა აშენებული წმ. თეკლას მონასტერი, ვინ არის ჯვარის მამა ქაიხოსრო/ქრისტეფორე ზედგინისძე – მონასტრის მაშენებელი თუ შემდგომი განმაახლებელი; ამის გასარკვევად სასურველია შეძლებისდაგვარად განისაზღვროს ქაიხოსრო ზედგინისძის მოღვაწეობის პერიოდი და მისი ადგილი XV საუკუნის ჯვრის მონასტრის მამათა რიგში.

ზედგინისძეთა საგვარეულოს აღზევება XIV საუკუნიდან იწყება, რაც უკავშირდება მათ მიერ შიდა ქართლში ხსენილსიერი მამულის, ახალციხის (არაგვის ხეობა) და შიომღვიმის მონასტერში საგვარეულო საძვალის მიღებას. განსაკუთრებით წინაურდებიან ზედგინისძეთა საგვარეულოს ცალკეული წარმომადგენლები – ავთანდილი და მისი

---

[14] ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 39.

[15] იქვე, გვ. 39-40; ე. მეტრეველი, იერუსალიმის რამდენიმე ქართული მონასტრის დათარიღების ცდა, გვ. 235.

[16] ე. მეტრეველი, ვინ ააშენა იერუსალიმის თეკლას მონასტერი?, ანაკრი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული, თბილისი, 2002, გვ. 241-245.

[17] ე. მეტრეველი, იერუსალიმის რამდენიმე ქართული მონასტრის დათარიღების ცდა, გვ. 225-235.

ძმისწულები თაყა და ზევდგინი ალექსანდრე I-ის მეფობაში (1412-1442) და ერთგული და თავდადებული სამსახურის სანაცვლოდ, მეფესთან "თანა-შეზრდილ გაზრდილნი," სამკვიდროდ ღებულობენ მნიშვნელოვან სამოხელეო თანამდებობებსა და მამულებს. ამ დროისათვის მათ ხელში გადადის კასპი, იგოეთი, ქარელი, გომნი, უფრო მოგვიანებით ფლობენ ყმა-მამულს მცხეთას, კარსანს, ჯვარს, ძაგნაკორნას, ახატანს, ხატიწობენს; ალექსანდრე I-ის ძეების: ვახტანგ IV-ისა (1442-1446) და გიორგი VIII-ის (1446-1476) ზეობაში, მართალია, დროებით კარგავენ სამფლობელოებს, მაგრამ მალევე ახერხებენ მდგომარეობის გამოსწორებას. XV საუკუნის პირველ ნახევარში ზედგინისძეებს სამკვიდროდ მიუღიათ გორის მოურავის სახელო; მათივე ხელში ჩანს ეზოს ჩუხჩარეხისა და მოლარეთუხუცესის თანამდებობებიც. იმავე ხანებს უკავშირდება ზედგინისძეთა მიერ ამილახორის სახელოს მიღება, რომელიც მალე ქართლის სამეფოში შემავალი ერთ-ერთი დიდი სამხედრო-ადმინისტრაციული და პოლიტიკური ერთეულის – საამილახვროს მეთაურის სახელწოდებად იქცევა.[19] (ვახუშტის თანახმად, *„ხოლო შიდა ქართლს ამილახორი, არამედ არა არს გუარი, გარნა წესი მეჯინიბეთხუცობისა, ვითარცა უწოდებენ სპარსნი, ხოლო გუარი ზედგინისძე არს და პატივცემული მეფეთაგან მთავრობით, ვითარცა აჩენს გუჯარნი მათნი"*[20]). რამდენადმე მოგვიანებით, ზედგინისძეებს დასაბამი მიუციათ გურამიშვილებისა (გვიან შუასაუკუნეებში ფლობდნენ ხერკ-საგურამოსა და ზედაზენს) და ტუსისშვილების საგვარეულოებისათვის. ვახუშტი ბატონიშვილი გურამიშვილებისა და ტუსიშვილებს ზედგინისძეებად მიიჩნევდა, ხოლო თავად ცნობა შეაქვს ქვეთავში „კახთათუს".[21] ასევე ზედგინისძეებად მიიჩნევს ტუსიშვილებს იოანე ბატონიშვილიც, რომელიც ამ გვარის წარმოშობას საკუთარ სახელ "ტუსი"-ს უკავშირებს (*„...გაუგვარდათ სახელისა გამო, რომელსა ამათ წინაპართაგანსა ეწოდა სახელად „თუს" და ამის გამო მიიღეს ტუსისშვილობა. ამათნი გვარნივე ჰნდნენ დროსავე ალექსანდრე მეფისასა წელსა 1469-სა და არიან მცხოვრებნი კახეთსა შინა ახმეტას და გაღმა მხარეშია. არიან: 1. შიოშის შვილები, 2. ქაიხოსროს შვილები და სხვანი"*).[22] დოკუმენტურ წყაროებში ცნობები ტუსიშვილების შესახებ XVI საუკუნიდან ჩნდება. XVI საუკუნის მეორე ნახევარში კახთა მეფეს ტუსიშვილებისათვის ადრე ნაბოძები ძაგნაკორნის მოურავობის სანაცვლოდ (რომელიც სვეტიცხოვლის დეკანოზისა ყოფილა) მიუცია ოდიშელიძეთა მოურავობა; ასევე სასაფლაოდ გადაუცია კახი მეფეების სამარხი, რომელიც შემდგომ ისევ ჩამოურთმევია.[23]

ზედგინისძე-ამილახორთა შესახებ ცნობები წმინდა მიწასთან დაკავშირებულ მასალებში XV საუკუნის მეორე მეოთხედიდან მოგვეპოვება. წმ. თეკლას მონასტრის აღმშენებელი ზედგინისძეების შესახებ ცნობას ჯვარის მონასტრის სვინაქსარულ აღაპებსა და ტიშენდორფისეულ ნუსხაში, მართალია, არ ვხვდებით, მაგრამ ტიშენდორფისეულ ნუსხაში შესულია ალექსანდრე I დიდის (1412-1444) თანამედროვე ზედგინისძეთა: ავთანდილის, მამისას, თაყას და ჯანიბეგის აღაპები (T. №№57, 77, 78, 79, 80, 83, 93). ეს აღაპები ერთი ხელითაა შესრულებული და ალექსანდრე I-ის ზეობის წლებით, უფრი ზუსტად კი XV საუკუნის შუა ხანებით თარიღდება.[24] ავთანდილ ზედგენისძის მოსახსენებელი გვხვდება კიდევ ერთ იერუსალიმურ ხელნაწერში, სადაც იგი 1444 წლის ახლო ხანებში, ალექსანდრე მეფის გარდაცვალების შემდგომ ჩანს ჩაწერილი (Jer. 76, 1v-2r).[25] მოსახსენებელი ხელნაწერში შეტანილია იმავე ნუსხური ხელით, რომლითაც წინა გვერდზე ალექსანდრე მეფის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჩაწერილი მოსახსენებელია შესრულებული: *„ს(უ)ლსა მეფეთ-მეფისა ალექსანდრესა / განუს(უე)ნოს და შ(ეუნდვ)ნ(ე)ს ღ(მერთმა)ნ. მათსა მეუღლესა / თამ(ა)რ დედოფალსა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ"*. უფრო ადრე ან, შესაძლოა, შემდგომ ხანებშიც კი ამავე ხელნაწერის 1 r-ზე ჩაუწერიათ ალექსანდრე I-ის კიდევ ერთი მოსახსენებელი ძესთან, გიორგისთან ერთად. ამ მოსახსენებელთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ იგი

---

[18] გ. მიქაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 236-241.

[19] ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბილისი, 1983, გვ. 86-96, 102. მ. ქიქოძე, ქართლის სათავადოების ისტორიიდან XV-XVIII სს. (საამილახვრო), მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 35, 1963, გვ. 98-99, 109.

[20] ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბილისი, 1973, გვ. 35.

[21] იქვე, გვ. 35.

[22] იოანე ბაგრატიონი, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბილისი, 1997, გვ. 44.

[23] სსცსა 1449 - 1787.

[24] ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 75-76; 25,

[25] Jer. 76 (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფოტოპირი).

ხელის მიხედვით, შეტანილი ჩანს ბედან ჭილასძისა და მისი მეულლის, კანდაკეს (2v) მცირე სენებეთან ერთად. იმავე ხანებით უნდა თარიღდებოდეს იოვანე უროტისძის მოსახსენებელიც, რომლის თანახმად, მას მისი კუთვნილი აშენებული ვენახი ჯვარის მონასტრისათვის შეუწირავს (4r ). ჯვარის მონახსენის აღაპებსა და ხელნაწერის მინაწერებში XV საუკუნის შუა ხანებისათვის მოხსენიებული ზედგენისძეები, შესაძლოა, მართლაც იყვნენ დაკავშირებული წმ. თეკლას მონასტერთან, მაგრამ მათი გაიგივება სინას სულთა მატიანის ზედგინისძეებთან მაინც ვერ ხერხდება. თუ რატომ, ამის შესახებ რამდენიმე გარემოება ჩანს გასათვალისწინებელი.

სინას სულთა მატიანის ძირითადი ტექსტის შედგენის დროის (XV საუკუნის პირველი მეოთხედი) და მასში შემდგომ შეტანილი მოსახსენებლების ფენების გათვალისწინებით (მოსახსენებელთა ბოლო ფენა მატიანეში შესულია XVI საუკუნის 40-იან წლებში), ხსენებათა განსახილველი ჯგუფი და მასში მოხსენიებული ზედგინისძეთა ხსენებები XV-XVI საუკუნის მიჯნით, უფრო კი XVI საუკუნის დასაწყისით უნდა თარიღდებოდეს.

ამგვარი დათარიღების მართებულობაზე მიუთითებს მოსახსენებელთა ამ ფენის ზედგინისძეთა ონომასტინკონში ძველი ტრადიციული სახელების (ჯანიბეგი, მამისა, იმირიდო) გვერდით ახალი საგვარეულო სახელების (გივი, ტუსი, მერაბი) გაჩენა, რაც უდავოდ XV საუკუნის შემდგომი ხანების მიმანიშნებელია. სინას მოსახსენებელში დადასტურებული საკუთარი სახელები ზედგენისძე-ამილახვართა საგვარეულოში სწორედ გვიან ხანაში ვრცელდება და XVI-XVII საუკუნეებიდან ქართლსა და კახეთში ზედგინისძეთა საგვარეულოდან გამოყოფილი ახალი განშტოებების გვარსახელად (გურამიშვილები, გივიშვილები, ტუსიშვილები, ქაიხოსროშვილები) იქცევა.

ადრეულ ხანაში წმ. თეკლას მონასტრის ქართველთა კუთვნილების დამამტკიცებლად ჩვეულებრივ იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში დაცული ოთხთავის (Jer. 161) ერთ-ერთ კოლოფონს მოიხმობენ. ამ მინაწერის პალეოგრაფიული მხარის გათვალისწინებით ელ. მეტრეველი მიიჩნევდა, რომ წერილობით წყაროებში თეკლას მონასტრის დამოწმება XV საუკუნეზე ადრე არ გვხდება.[26] ხელნაწერის ფოტოპირი, რომელიც კ. კეკელიძის ხან. ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული, საშუალებას იძლევა უფრო მეტი ინფორმაცია მივიღოთ როგორც თავად ხელნაწერის შექმნის დროის, ისე წმ. თეკლას მონასტრისა და მისი აღმშენებელი თუ განმაახლებელი ზედგინისძეების შესახებ. ამის საფუძველს იძლევა ხელნაწერის დასაწყისში, საცავ თავისუფალ გვერდზე, ნუსხურითა და მხედრულით სხვადასხვა დროს შესრულებული მინაწერები, აგრეთვე ხელნაწერის დასასრულს დართული მომგებლის ანდერძი. ფაქტიურად ეს ჩანაწერები წმ. თეკლას მონასტრის ქართველთა მფლობელობის ხანის ერთგვარ მატიანეს წარმოადგენს და მნიშვნელოვანი დახმარება გაწევა შეუძლია საკითხის გარკვევისას.

ხელნაწერის 230r-ზე, ტექსტისავე კალიგრაფიული ნუსხურით შესრულებული მომგებლის ანდერძიდან დგინდება, რომ ხელნაწერი გადაწერილია ქართლის კათოლიკოს მიქაელის განგებით: *„(ქრისტე) ღ(მერთო)ო, მფლობ(ე)ლო ყ(ოვ)ლთა არსთაო, / ადიდე ორთავე შინა სუფ(ე)ს(ა)თა დიდი ქართლისა კ(ათალი)კ(ო)ზი მიქ(აე)ლ“*.

XII საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული, ამ სახელით ცნობილია სამი კათოლიკოს-პატრიარქი: დაახლ. 1178-1187 წწ.; XIII ს. 30-იანი წწ. – 1241 წ.; 1420 წ. – 1425 წწ.[27] დასახელებულთაგან ჩვენი ხელნაწერის ქტიტორად ალბათ უფრო მოსალოდნელი იქნებოდა XV საუკუნის დამდეგის მიქაელ კათალიკოსი მიგვეჩნია, რამდენადაც იგი იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღაპებში მოხსენიებული ალექსანდრე I დიდის დროინდელ ზედგინისძეთა თანამედროვეა. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ხელნაწერიც შესაბამისად ამ მიქაელის ხეობის წლებით უნდა დათარიღდეს; მაგრამ ამგვარ დათარიღებას არ ეთანხმება ხელნაწერის აშიებზე გაცილებით ადრეული ხელით, XIII-XIV საუკუნის მიჯნაზე გაკეთებული ჩანაწერები (118r, 139r, 166r, 193r, 202r), რაც, ბუნებრივია, ხელნაწერის ადრეულობაზე მიუთითებს. სავარაუდოდ, ხელნაწერი XII-XIII საუკუნის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს, ხელნაწერის მომგებლად კი ამ პერიოდის ზემოთ დასახელებული ორი მიქაელიდან ერთ-ერთი უნდა მივიჩნიოთ.

[26] ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 40.
[27] ს. ლომინაძე, კათალიკოსი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, V, თბილისი 1980, გვ. 318.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება საცავ ფურცელზე შესრულებულ კოლოფონებს, სწორედ მათგან ვიგებთ ხელნაწერი დავითნის ერთ ხანს წმ. თეკლას მონასტრისათვის კუთვნილების შესახებ. ანდერძ-მინაწერები სხვადასხვა დროისაა, ზოგიერთი მათგანი ამჟამად საკმაოდ გადასული ჩანს, რის გამოც ფოტოზე ცუდად გაირჩევა. ისინი რამდენადმე აზუსტებენ ტიმოთე გაბაშვილის ცნობებს, აგრეთვე იერუსალიმში მიკვლეული სააღმშენებლო წარწერების მონაცემებს ქართველთა მიერ წმ. თეკლას მონასტრის მფლობელობის თაობაზე. ჩანაწერები შემდეგი თანმიმდევრობითაა შესრულებული:

1. გაკრული კალიგრაფიული ნუსხურით, ეკუთვნის წიგნის შემკაზმავს (ფოტოზე ფანქრით (შესაძლოა ელ. მეტრეველის მიერაც კი) მიწერილია – XIII-XIV *სს.):*

*ამი[ს წ]იგნისა მკაზმავსა ც(ოდვილ)სა ნომს / შ(ეუ)ნ(დნე)ს ღ(მერთმა)ნ და ვინცა თქ(უა)ს, მასცა შ(ეუ)ნ(დნე)ს ღ(მერთმა)ნ.*

2. XV-XVI საუკუნეების არც თუ კალიგრაფიული მხედრულით, ძლივსღა განირჩევა, იკითხება ფრაგმენტულად. მინაწერის მდებარეობა იმის მაჩვენებელია, რომ დამწერს გაუთვალისწინებია ქვემოთ მოთავსებული მინაწერი, რომელიც ბეენა ჩოლაყაშვილს ეკუთვნის. აქედან გამომდინარე, იგი შესრულებული უნდა იყოს ბეენას ჯვარის მამობის შემდგომ ხანებში. მინაწერში, მართალია, გაჭირვებით, მაგრამ ნაწილობრივ მაინც განირჩევა დამწერის ვინაობა. იგი, როგორც ირკვევა, სინას სულთა მატიანიდან ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ ერთ-ერთ (შესაძლოა ქაიხოსროს ან მის რომელიმე ნათესავს) ზედგინისძე-დოღარსნალიშვილს ეკუთვნის. მინაწერი, ბეენას კოლოფონისა და მისი ჯვარის მამობის დროის, აგრეთვე სინას სულთა მატიანეში შესული ზედგინისძეთა მოსახსენებლების გათვალისწინებით, XVI საუკუნის 10-20-იანი წლებით, ბეენას ჯვარის მამობის შემდგომი პერიოდით, განისაზღვრება. მინაწერი გარკვეულწილად გვეხმარება ქაიხოსრო/ქრისტეფორე ზედგინისძის ჯვარის მამობის დროის დადგენაში, რამდენადაც ქრისტეფორეს ადგილი XV საუკუნის ჯვარის მამათა რიგში ელ. მეტრეველის მიერ პირობითადაა განსაზღვრული. წერილობით წყაროებში ბეენა ჩოლაყაშვილი ჯვარის მონატრის მამად ჩანს 1511-1514 წლებში, უფრო ზუსტად, XVI საუკუნის 10-იან წლების პირველ ნახევარში. ასევე ცნობილია, რომ მისი შემდგომი ჯვარის მამა იოაკიმე ლეონ კახთა მეფეს იერუსალიმში გაუგზავნია 1538 წელს.[28] თავისუფალი რჩება დროის გარკვეული მონაკვეთი, როცა შეიძლება ვივარაუდოთ ქაიხოსროს ჯვარის მამობა. ამდენად, მისი ჯვარის მამობა შეიძლება XV-XVI საუკუნეების მიჯნით ან XVI საუკუნის 20-30-იანი წლებით (ვიდრე 1538 წლამდე) განისაზღვროს:

*ქ. ღ(მერ)თო, შ(ეიწყალ)ე ზედგინიძე დ<ა>ღარსალ[ა] შვილ[ი] [------] და მისთა დედა-მამათა / შ[(ეუნ)დ(ვე)]ნ [ღმერთ]მან და წმ[იდა თეკ]ლამა, / [და] ვინცა შენდობა [თქუას], თქ(უ)ენცა [შეგინდ[ოს]* ღმერ[თმან].***

* სტრიქონს ზემოთ

** ბეენას მინაწერის პირველი სტრიქონის გასწვრივ

3. გვერდის შუაში, გამართული, მტკიცე მხედრული ხელით. მინაწერი XVI საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწის, ჯვარის მამა ბეენა ჩოლაყაშვილის (XVI საუკუნის 10-იანი წლების პირველი ნახევარი) ავტოგრაფს წარმოადგენს:

*ღ(მერთ)ო, შ(ეიწყალ)ე ცოდვილი ჩოლაყას / შვილი ბეენ და მშობელნი / მისნი, წმიდაო თეკლა. ა(მი)ნ, ˙ა(მი)ნ, ა(მი)ნ.*

4. გვერდის მეორე ნახევარზე, ბეენას მინაწერის ქვემოთ, გაწაფული ნუსხური ხელით:

*† ღ(მერთ)ო, ვინცა ესე დ(ავი)თი თეკლ(ა)სა წ(მიდ)ასა / გამოაჭოსა იჱ(რუსალემ)სა გამო-მცა-იჭუე/ბის ს(უ)ლი მისი ღთ(ი)ს(ა)გ(ა)ნა, ა(მი)ნ. /*

[28] ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 37.

*[და] ც(ო)დეილს ზ(ა)ბ(ი)ლონს შ(ეუნდნ)სა ღ(მერთმა)ნ, ა(მი)ნ. | [აც ხ(ო)]ნე ს(უ)ლი ბ(ა)რბ(ა)რესი, ა(მი)ნ, ო(ფალ)ო ღ(მერთო)ო.*

ხელნაწერის 230r-ზე, მომგებლის ანდერძის ქვემოთ ყურადღებას იპყრობს XVII საუკუნის კალიგრაფიული მხედრულით შესრულებული კიდევ ერთი მინაწერი, რომელიც ჩვენს ხელთ არსებულ ფოტოზე კიდის წაჭრის გამო სრულად არ იკითხება. მინაწერი უნდა ეკუთვნოდეს ხოლოყაშვილთა კიდევ ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, ჯვარის მამა ნიკოლოზ (იგივე ნიკიფორე) ირუბაქისძეს (1643-1649):

*ჯ(უარო) ც(ხოველს) მყოფელო, შ(ეი)წყალ(ე) ფ(რა)დ ც(ო)დვილი ნიკ(ოლო)ზ ჯ(უარის) / [მამა] . . .*

ამდენად, წმ. თეკლას მონასტრის კუთვნილი ხელნაწერის ანდერძ-მინაწერების განთავსებისა და ქრონოლოგიის გათვალისწინებით, ჯვარის მამა ქაიხოსრო ზედგინისძე და სინას სულთა მატიანის ქაიხოსრო დოღარსნალიშვილი ერთი და იგივე პირად შეიძლება ვივარაუდოთ. სინას სულთა მატიანეში ზედგინისძეთა მოსახსენებლები შეტანილი უნდა იყოს ქაიხოსროს ჯვარის მამად გახდომამდე, სავარაუდოდ, იერუსალიმში მისი ჩასვლის პირველ ხანებში. როგორც აღინიშნა, სინას სულთა მატიანეში ჩაუწერიათ ქაიხოსროს ორი მოსახსენებელი. ერთი – მშობლებთან, დოღარსნალ - ყოფილ დამიანესთან და თუმთან - ყოფილ თელასთან და ძმებთან ერთად, ხოლო მეორე – მისი დისა და ძმისწულებისათვის. ამ მოსახსენებლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქაიხოსრო დოღარსნალ - ყოფილ დამიანეს უმცროსი ვაჟი უნდა ყოფილიყო (195v). ცალკეა შეტანილი დოღარსნალიშვილ ქაიხოსროს დის, მარინესა და მისი ძმისწულების: ტუსის, გივის, იმარინდოსა და გოდერძის ხსენების ჩანაწერი (196r). ამ საოჯახო მოსახსენებელში მარინეს დოღარსნალიშვილ ქაიხოსროს დად მოხსენიება იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ სინას სულთა მატიანეში როგორც ზედგინისძეების, ისე ამ ფენის დანარჩენი მოსახსენებლების „დამწერელი“ ქაიხოსრო თუ არა თავად მარინეა; შესაძლოა მისი სახელი იკითხებოდა წმ. თეკლას მონასტრის ოთხთავის ამჟამად ნაწილობრივ წარხოცილ მოსახსენებელში, რომელიც ბეჭედს ჯვარის მამობის დროს მისი ავტოგრაფული ჩანაწერის გათვალისწინებით ჩანს შესრულებული. მოსახსენებლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სინაზე მარინესა და მის ძმისწულებს, როგორც ჩანს, სწორედ ჯვარის მამა ქაიხოსროს წყალობით იცნობდნენ. ქაიხოსრო/ქრისტეფორეს გაიგივებას, შესაძლოა, რამდენადმე ამაგრებდეს ისიც, რომ დოღარსნალიშვილ ქაიხოსროს დედა თუმიანი, სინას მოსახსენებელის თანახმად, სწორედ წმ. თეკლას სახელზე ჩანს აღკვეცილი მონაზონად. სავარაუდოა, რომ იერუსალიმის წმ. თეკლას დედათა მონასტერში მოღვაწეობდა ქაიხოსროს და მარინეც. სინაზე ზედგინისძეთა მოსახსენებლების შეტანიდან ახლო ხანებში ან, შესაძლოა, XVI საუკუნის პირველ მეოთხედშიც კი, ქაიხოსრო ჯვარის მამა გამხდარა და ქრისტეფორეს სახელით აღკვეცილა.[29] ჯვარის მამა ქაიხოსროს, მიუხედავად მის მიერ წარმოებული ფართო აღმშენებლობისა, წმ. თეკლას მონასტრის პირველმშენებლად ვერ მივიჩნევთ; ამას ეთანხმება წმ. თეკლას მონასტრის საამშენებლო წარწერებიც, სადაც იგი მხოლოდ განმახლებლად გვევლინება, სენაკსა და ზღუდეს უშენებს (შესაძლოა აღუდგენს) საგვარეულო მონასტერს და მის გარშემო რვა სახლს (სავარაუდოდ, სასტუმროს) და ოცდარვა სავაჭრო ობიექტს აშენებს.

იერუსალიმში ქაიხოსრო ზედგინისძის ჩასვლისა და მისი ჯვარის მამობის პერიოდი დაახლოებით XV-XVI საუკუნეების მიჯნით ან XVI საუკუნის 10-იანი წლების მეორე ნახევრით, უფრო კი 20-30-იანი წლებით შეიძლება განისაზღვროს. ამას გვაფიქრებინებს როგორც წმ. თეკლას მონასტრის კუთვნილ ხელნაწერში (Jer. 161) არსებული მინაწერების განთავსება და ქრონოლოგიური თანმიმდევრობა (ბეჭედ ხოლოყაშვილის მინაწერი მდებარეობის თვალსაზრისით დოღარსნალიშვილ–ზედგინისძის მოსახსენებელზე ადრე ჩანს ჩაწერილი ხელნაწერში), აგრეთვე ის მონაცემები, რომლებიც XV საუკუნის ჯვარის მამების (იოანეს და

[29] წმინდა მიწაზე ჩასული პილიგრიმი ხშირ შემთხვევაში საერო სახელს იცვლიდა და იქ რჩებოდა სამოღვაწეოდ. ამის მრავალი მაგალითის დასახელება შეიძლება, მაგ. ხელნაწერებში, სამოგზაურო ლიტერატურასა და ეპიგრაფიკაში ჯვარის მამა ნიკიფორე ხოლოყაშვილი იხსენიება როგორც საერო, ისე სამონაზონო სახელითაც – ნიკოლოზად და ნიკიფორედ.

დანიელის) შესახებ მოგვეპოვება.[30] ირკვევა, რომ დანიელი ჯვარის მამა უნდა ყოფილიყო XV საუკუნის პირველ ნახევარში, ხოლო იოანე – XV საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ვიდრე 1480-1490-იანი წლების დასაწყისამდე. ამდენად, ქაიხოსრო ჯვარის მამა შეიძლება ყოფილიყო როგორც ბეენამდე, ისე მის შემდეგმაც, XVI საუკუნის 10-იანი წლების დამლევიდან 30-იანი წლების შუა ხანებამდე, გარკვეულ მონაკვეთში (რამდენაც იერუსალიმში ოსმალეთის ბატონობის ადრეული პერიოდის ერთ-ერთი არაბული დოკუმენტის თანახმად, 1525/1527 წლის ჯვრის მონასტრის წინამძღვრად დასახელებულია ვინმე ბასილი მამულაძე – *რა'ის დაირ ალ-მუსალლაბა*).[31]

რაც შეეხება წმ. თეკლას მონასტრის აშენების თუ ქართველთა მფლობელობაში მისი გადასვლის დროს, ამის თაობაზე გარკვეული რაიმეს მტკიცება ცნობების ნაკლებობის გამო ძნელია. მასალები, რომელიც შემდგომ ხანებში იერუსალიმში ქართველთა ეკლესია-მონასტრებზე ერთ-ერთი *პრეტენდენტისა* და მეურვის, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს *XVII-XVIII საუკუნეების ოფიციალურმა წყაროებმა შემოინახეს, გარკვეული* მიზნით ჩანს შედგენილი და სანდოობის თვალსაზრისით აშკარად ტენდენციური. ამ ცნობების გავლენით რ. ჯანენი წმ. თეკლას მონასტერს, ისევე როგორც ზედგინისძე-ამილახოროთათვის გადაცემულ წმ. ბასილის მონასტერს, იერუსალიმის იმ ბერძნული სავანეების გრძელ ჩამონათვალში (წმ. ნიკოლოზის, წმ. გიორგის, წმ. იაკობის, წმ. იოანე ღვთისმეტყველის, წმ. თეოდორეთა, წმ. დიმიტრის, წმ ეკატერინეს მონასტრები) ასახელებდა, რომლებიც XIII-XIV საუკუნეებში გაძლიერებულმა ქართველებმა თემმა დაიჭირა.[32] იგივე აზრს ავითარებს იერუსალიმის ბერძნულ მართლმადიდებლურ არქივში დაცული არაბული დოკუმენტების გამომცემელი ბ. აბუ-მანე იგი მიიჩნევს, რომ 1453 წელს, ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდგომ ხანებში, იერუსალიმში მამლუქების მიერ შევიწროებული ბერძნების ტაძრები და სალოცავები ქართველთა *მფარველობის ქვეშ* გადავიდა.[33] *ჩვენს* ხელთ არსებული წყაროების საფუძველზე ამ ჯერად მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ზედგინისძეთა მიერ წმ. თეკლას მონასტრის აშენება, თუნდაც ბერძენთაგან მათ საგვარეულო მფლობელობაში გადასვლა (ისევე როგორც XV საუკუნის შუახანებში ამავე საგვარეულოს ძირითადი სახლის მეთაურის, ამირინდო ამილახოროსათვის წმ. ბასილის მონასტრის გადაცემა), შესაძლოა, მართლაც, XV საუკუნის პირველ ნახევარს, უფრო კი მისი მეორე მეოთხედის დამლევს უკავშირდებოდეს. ეს ის პერიოდია, როდესაც იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღაპებსა და ხელნაწერთა მინაწერებში ჭარბად ჩნდება ცნობები აღქმანნერე I-ისა და მისი მემკვიდრეების თანამედროვე ზედგინისძეთა ცალკეული წარმომადგენლების: ავთანდილის, მამისას, თაყას და ჯანიბეგის შესახებ. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ჯვრის მონასტრის აღაპებში დადასტურებული ზედგინისძეები სინას სულთა მატიანის იმ ზედგინისძე – დოღლარსანეშვილთა წინაპრებად შეიძლება მივიჩნიოთ, რომლებიც XVI საუკუნის პირველ ნახევარში წმ. თეკლას მონასტერში საადმშენებლო სამუშაოებს ატარებენ. რაც შეეხება დოღლარსანეშვილებს, ისინი წმ. ბასილის მონასტრის მფლობელ ზედგინისძე–ამილახოროსა სახლის შთამომავლებად ვერ ჩაითვლებიან, ისინი ზედგინისძეთა იმ შტოს წარმომადგენლებად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელთაც სამეყო-სამთავროებად დაშლის შემდგომ, კახეთში ტუსი'შვილთა განშტოებას დაუდეს საფუძველი.[34]

---

[30] XV საუკუნის ჯვარის მამების ქრონოლოგიასა და მათი ვინაობის საკითხი განხილულია სინას მატიანის მოსახსენებელთა III ფენისადმი მიძღვნილ ქვეთავში და აქ არ შევეხები.

[31] ო. სალამე, ბ. პენ-ორენი (წიწუა'შვილი), ქართველები იერუსალიმში XVI საუკუნის სამი არაბულ დოკუმენტის მიხედვით, თბილისი, 1991, გვ. 10, 16, 17.

[32] რ. ჯანენ, ქართველები იერუსალიმში, გვ. 17-18.

[33] გ. ჯაფარიძე, დიალოგი ტუნიკ-ქრისტეს საქართველოსა და ეგვიპტეს შორის XIV-XVI ს-ის დასაწყისში იერუსალიმში აღმოჩენილი არაბული დოკუმენტების მიხედვით, ქართული დიპლომატია. წელიწდეული, თბილისი, 1994, გვ 211.

[34] ამ ბოლო დროს გამოითქვა ვარაუდი, რომლის თანახმადაც, შესაძლოა, არ გამოირიცხოს სინას მატიანის ზედგინისძეთა კავშირი სისტერიონ საბუთებში მოხსენიებულ დოღლარძეთა (var. დოღლარისძე, დოღლარძე) ვგაროთან. ნ. ხუცი'შვილის აზრით, დოღლარძეების საგვარეულო სახელი შეიძლება მომდინარეობდეს ზედგინისძეთა საგვარეულოში დადასტურებული და გავრცელებული სახელიდან – „დოღლარსანი". XIV-XV საუკუნეებში დოღლარძეები, სავარაუდოდ, უნდა სჭეროდათ "დეკანის წყლის ხეობის ნაწილი (დეკანოზთა, ტახტისძირი, დირნი); ნაწილობრივ დიდი ლიახვის მარჯვენა სანაპირო (მიწერი რჩეთის ანუ ხეთის მახლობლად) და, აგრეთვე, ფრონეკის ქედზე, სამრგვალი ხოლი ურამის მიმართულებით (სოფ. დოღლაური და დოღლაურის ჭალა ანუ დოღლაურის ველი)" (იხ.: ნ. ხუცი'შვილი, იერუსალიმის სამონასტრო მიწისმფლობელობის ისტორიიდან შიდა ქართლში, მრავალთავი, XVIII, თბილისი, 1999, გვ. 388-389). ნიშანდობლივია, რომ ამ ადგილების ნაწილი, დოკუმენტური წყაროების თანახმად, XVII-XVIII საუკუნეებიდან მოკიდებული იერუსალიმის სამონასტრო მფლობელობაშია (იხ. ნ. ხუცი'შვილი, დასახ. ნაშრომი).

XVI საუკუნიდან მოყოლებული, თურქ-ოსმალთა გაბატონებამ პალესტინაში (1516 წ.), მოგვიანებით კი საქართველოს სამხრეთში – სამცხე-საათაბაგოში, წმინდა მიწის ქართულ-ქრისტიანული თემისა და მისი კუთვნილი სავანეების მდგომარეობა უარესობისაკენ მკვეთრად შეცვალა. ოსმალთა მიერ ქრისტიანულ ეკლესია-მონასტრებზე და მათ მსახურებზე შეწერილ აუტანელ ფულად და ნატურალურ გადასახადებსა და ხელისუფლების სხვადასხვა ინსტანციების მიერ შევიწროვება-რბევას ერთვოდა გამუდმებული ჭიდილი იერუსალიმის სხვა ქრისტიანულ თემთა (სომხები, ბერძნები, ფრანცისკანელები) წარმომადგენლებთან, რომლებიც ცდილობდნენ ესარგებლათ ქართველთა შეჭირვებული მატერიალური მდგომარეობით და ხელში ჩაეგდოთ მათი კუთვნილი ეკლესია-მონასტრები. მძიმე მდგომარეობის გამოსასწორებლად, მონასტრებზე დაკისრებული გადასახადებისა თუ დაგროვილი ვალების დასაფარავად, ასევე აღარ კმაროდა საქართველოდან დროდადრო ჩასული ეპიზოდური ხასიათის გზავნილები და შესაწირავები. ყოველივე ეს იწვევდა ერთ დროს ძლიერი ქართული კოლონიის დამცრობასა და შემცირებას, ოდითგანვე იერუსალიმის წმინდა სალოცავებში დამკვიდრებულ ქართველ სასულიერო პირთა იქიდან გამოდევნასა და მათი კუთვნილი უძრავ-მოძრავი ქონების, ზვრებისა და მიწების გაყიდვას; ყოველივე ეს სამონასტრო მეურნეობის მოშლით, საბოლოოდ კი თავად ეკლესია-მონასტრების დაგირავება-გასხვისებით სრულდებოდა. ასე მოხდა წმ. თეკლას მონასტრის შემთხვევაშიც.

XVI საუკუნის 10-იანი წლების პირველ ნახევარში წმ. თეკლას მონასტერი მისი ხელში ჩაგდების მოსურნეთა ხელყოფისაგან ჯერ კიდევ მტკიცედ ჩანს დაცული ერთ-ერთი ენერგიული და შეუპოვარად მებრძოლი ჯვარის მამის, ბეენა ჩოლაყაშვილის მიერ. იერუსალიმური ქართული ხელნაწერების ჩანაწერებით, ბეენა გარდა იმისა, რომ ყოველი საშუალებით (ზოგჯერ ფიზიკური ძალის გამოყენებითაც კი) იბრძოდა ქართველთა უფლებების აღსადგენად და სხვა ქრისტიანული თემების მძლავრობის შესაჩერებლად გოლგოთაზე, აღდგომის ეკლესიასა თუ წმ. იაკობის მონასტერში, იმავდროულად ზრუნავდა ქართველთა მონასტრების იავარქმნილი ქონებისა და ხელნაწერების გადასარჩენად.[35] ამის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს მინაწერი მოსახსენებელი წმ. თეკლასადმი მეოხების ვედრებით, რომელიც ამ მონასტრის კუთვნილ ოთხთავზე (Jer. 161) ბეენას თავისივე ხელით შეუსრულებია. გამორიცხული არ არის, რომ თავად ხელნაწერი ბეენას ჯვარის მამობის დროს შეიკაზმა. ამას უნდა ადასტურებდეს ბეენას ჩანაწერის ზემოთ მოთავსებული ანდერძი, რომელიც ხელნაწერის შემკაზმავს, ვინმე ნაუმს ეკუთვნის; სავარაუდოდ იგი ბეენას თანამოღვაწე იმავე სახელის მქონე იმ პირად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც იერუსალიმური ხელნაწერების (Jer. ცაგ. 17 და 50) მინაწერებში ხელნაწერის შეკაზმვასთან დაკავშირებით ბეენასთან ერთად იხსენიება და მის მოძღვრად იწოდება.[36]

უფრო ადრე, XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე ან, შესაძლოა, უფრო მოგვიანებითაც კი (XVI საუკუნის 10-იანი წლების მეორე ნახევრიდან – 30-იანი წლების შუა ხანებამდე პერიოდში), ჯვარის მამა ქაიხოსრო ზედგინისძეს წმ. თეკლას საგვარეულო მონასტერში სააღმშენებლო სამუშაოები ჩაუტარებია. ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ სახელდობრ, როდის უნდა ჩაეტარებინა ქაიხოსროს აღდგენით-განახლებითი სამუშაოები მონასტერში, რამდენადაც ბეენას ჯვარის მამობის შემდგომი ხანებიდან, უკვე ოსმალთა ბატონობისას, იერუსალიმის ქრისტიანული თემებისათვის, მით უმეტეს კი ქართველებისათვის, როგორც მატერიალური თვალსაზრისით, ისე ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთობის მხრივაც, არც თუ ისე ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ხშირად დიდი ხნით გამოკეტილ და სიძველისაგან დანგრევის პირამდე მისულ ქრისტიანულ ეკლესია-მონასტრებში ადგილობრივ ხელისუფალთა მიერ ახალი მშენებლობების წარმოება მკაცრად იყო შეზღუდული. ამის გამო შესაძლებელი ხდებოდა ძირითადად განახლებით-აღდგენითი სამუშაოების ჩატარება, ისიც შარიათის მსაჯულთა ნებართვით. ყოველივე ამას ადასტურებს ისრაელელ ორიენტალისტთა მიერ იერუსალიმის მუსლიმთა შარიათის სასამართლოს არქივში მოძიებული, 1571 და 1585 წლებით დათარიღებული, ორი საბუთი.[37] მათგან პირველი წარ-

---

[35] ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, გვ. 0185-0186.

[36] А. Цагарели, დასახ. ნაშრომი, გვ. 156-157, 166.

[37] ო. სალამე, გ. ბენ-ორენი (წიწუაშვილი), დასახ. ნაშრომი, გვ. 16-17, 23-24.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოადგენს სულთნის ბრძანებას განაჩენის გამოტანის თაობაზე ჯვარის მონასტრის [illegible] ჭესთან ადრე (მუსლიმთა მიერ ქართველებისათვის სავანის ჩამორთმევის დროიდან) არსებულ მეჩეთში ქართველი ბერების მიერ გამყოფი კედლის აშენებისა და მისი სატრაპეზო დარბაზად გადაქცევასთან დაკავშირებით. მეორე დოკუმენტში, რომელიც იერუსალიმში "მიწების, ზარებ-ბის და მონასტრების" მფლობელი ქართული თემის სხვა ქრისტიანულ თემთა (სომეხთა, ფრანკთა, ნესტორიანთა და ა.შ.) მხრიდან შევიწროებისა და თავდასხმების აკრძალვას ეხება, მშენებლობასთან დაკავშირებით უკვე პირდაპირაა მითითებული: "როდესაც მონასტრისგან რაიმე ძველი ნაწილი დაინგრევა, აღდგეს დანგრეული ძველი [ნაწილი] იმის გარეშე, რომ აშენდეს რაიმე ახალი – შარიათის მსაჯულთაგის შეტყობინებით".[38] ამდენად, შექმნილი ვი-თარებიდან გამომდინარე, როგორც ოსმალთა ბატონობის წინარე ხანებში, ისე შემდგომაც, ქაიხოსრო ზედგინისძეს წმ. თეკლას მონასტერში მხოლოდ აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარე-ბია, რაც საალმშენებლო წარწერითაც დასტურდება.

XVI საუკუნის დამლევს წმ. თეკლას მონასტერი ჯერ კიდევ ქართველთა ხელშია და ჯვარის მამა იოსების დაქვემდებარებაში ჩანს (ტრიფონ კორობეინიკოვი). თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ იმავე საუკუნის 20-იანი წლებიდან ჯვარის მონასტერზე, შესა-ბამისად კი მის გამგეობაში მყოფ იერუსალიმის დანარჩენ ქართულ ეკლესია-მონასტრებზე (მათ შორის წმ. თეკლას მონასტერზეც), უზენაეს ზედამხედველობას უკვე იერუსალიმის *ბერძნული საპატრიარქო* ახორციელებს. იგი, ქართული სავანეებისა და *მათი ქონების* ხელყ-ოფისაგან დაცვის საბაბით, მათი დაპატრონების ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტი ხდება.[39] იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის გადმოცემით, XVII საუკუნის დასაწყისისათვის, იერუ-სალიმის პატრიარქ თეოფანეს დროს (1608-1645 წწ.), ქართველებს წმ. თეკლას მონასტერი (როგორც ჩანს, მხოლოდ მისი ნახევარი) ბერძნებისათვის დაუთმიათ. მის სამხრეთ ნახევარში კი მოგვიანებით პატრიარქ პაისიოსს (†1660) კოპტებისაგან ნაყიდი ეკლესია და ბაღი აღუდგენია.[40]

## დამატება
### სინას სულთა მატიანეში (სინ. 77) XV-XVI სს. მიჯნისათვის შესული მოსახსენებლები

195v. ს(უ)ლსა ზედგინისძესა დოღარსნალ - ყოფილსა დამიანეს შ(ეუ)ნ(დნე)ს ღ(მერთმა)ნ. მათსა მეცხედრესა თუმიან - ყოფილსა თეკლ(ა)ს შ(ეუ)ნ(დნე)ს ღ(მერთმა)ნ. მ(ა)თთა ძეთა – ჯანიბეგს, ზავრადს, მერა-ბს, გორზამს, ფილიმონს, მამიასა, ქაიხოსროს შ(ეუ)ნ(დნე)ს ღ(მერთმა)ნ.

ვაჩნასძესა სურხ(ა)ნს და მ(ა)თსა მეუღლესა თამარს შ(ეუ)ნ(დნე)ს ღ(მერთმა)ნ.

196r ს(უ)ლსა ბურდიაშვილსა შ(ა)ლვას და მისსა მეცხედრესა ულუჰ-იას შ(ეუ)ნ(დნე)ს ღ(მერთმა)ნ, ა(მი)ნ.

დოღ(ა)რსნ(ა)ლი შვილს ქაიხოსროს დასა, მარინეს და მისა ძმისწ(უ)ლთა ტუსი, გივ(ი)ა, იმარინდოს, გოდერძი-ს შ(ეუ)ნ(დნე)ს ღ(მერთმა)ნ.

204v ს(უ)ლსა ფ(ა)რ(ე)მუზაშვილსა შ(ა)ნგ(უ)ლ - ყოფილსაი შილ(ა)ს შ(ეუ)ნ(დნე)ს ღ(მერთმა)ნ. მ(ა)თსა მეცხედრესა მარინეს შ(ეუ)ნ(დნე)ს

[38] იქვე, გვ. 24.

[39] ნ. შმვიდობაძე, საქართველოს ურთიერთობა იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოსთან პატრიარქ თეოფანე III (1608-1644) დროს ქართული საისტორიო საბუთების მიხედვით, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №1-4, 1999, გვ. 179-182.

[40] ა. Цагарели, დასახ. ნაშრომი, გვ. 120.

ღ(მერთმა)ნ. მ(ა)თთა შვილთა ქ ა ნ თ ა შ ე რ ს, მ ე რ ა ბ ს, ქ ე ქ ა ო ზ ს, ი (ა) ბ (ა) ჲ ს შ(ეუნდო)ს ღ(მერთმა)ნ. ამ(ი)ნ.

თ უ რ მ ა ნ ი ს ძ ე ს ა ე გ ზ ა მ ს და მისსა მეუღლესა ბ ა ნ უ ა რ ს შ(ეუ)ნ(დნე)ს ღ(მერთმა)ნ, ამინ.

კ ო პ ა ს ძ ე ს ა რ ო ს ჳ ს შ(ეუ)ნ(დნე)ს ღ(მერთმა)ნ. მისსა მეუღლესა მ ა რ ი ე ს შ(ეუ)ნ(დნე)ს ღ(მერთმა)ნ.

კ უ ა ჩ ა ლ ი ს ძ ე ს ა ბ ე ს ა რ ი ო ნ ს და მისთა დედა-მ(ა)მათა შ(ეუ)ნ(დნე)ს ღ(მერთმა)ნ, ამინ.

ბ ე ს ა რ ი ო ნ ი ს დასა მ ა რ ი ნ ე ს შ(ეუ)ნ(დნე)ს ღ(მერთმა)ნ.

D. KLDIASVILI

## GEORGIAN SINAI SYNODIKON COMMEMORATIONS OF THE ZEDGINISDZES

SUMMARY

1. Georgian ecclesiatics' and pilgrims' increase in number to the Holy Places of Christian East becomes tangible since 15th century. the aim was to preserve and assist Georgian religious center, to provide significant donations and renew old Georgian churches and monasteries. A great number of commemorations included in the synodikon (or a commemorative chronicle) of St. George's Georgian Church of the Monastery of St. Catherine on Mount Sinai, compiled in the first quarter of 15th century, are the proof of this.

2. Among 15th to 16th centuries ascription incorporated at different times in Synodykon (Sin. 77), stands out a layer of commemorations of the Zedginisdzes, representatives of aristocratic families of East Georgia.

3. The article allows tracing the history of St. Thekla's Monastery (that at present is located in the Greek Orthodox Patriarhcate of Jerusalem) which seems to have been in the possession of the Georgians in 15th century until the first half of the 17th century. It also shads light on the activity of the Zedginisdzes in Jerusalem and Sinai, particularly that of the Father Superior of the Monastery of Holy Cross Kaikhosro /Kristefore Zedginisdze s participation in the reconstruction of St. Thekla's Monastery at the end of 15th century and the beginning of 16th century or in 1520's to 1530's.

დოდო ლომიძე

# გუდამაყრელთა, მთიულთა, მოხევეთა, თაგაურთა და ქისტთა ფიცისა და ერთგულების წიგნები მეფე ვახტანგ VI-ისადმი

მოსკოვში, რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ფონდის 1739 წლის №2 საქმეში (ფრ. 2-4)[1], სხვა საბუთებთან ერთად დაცულია კავკასიის მთიანეთის 5 პროვინციის მცხოვრებთა – გუდამაყრელთა, მთიულთა, თაგაურთა[2], ქისტთა და მოხევეთა თავკაცების ფიცის წიგნები უცნობი ჴელმწიფისადმი ერთგულებისა და ქვეშევრდომობის შესახებ[3].

ისინი წარმოადგენენ ქართულენოვან დედნებს, დაწერილს ერთი ხელითა და ერთი შაბლონით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია წერტილი, ორწერტილი და იშვიათად სამწერტილი. ფიცის წიგნების დაწერის თარიღი და ადრესატის ვინაობა უცნობია. წიგნები შედგენილია პროვინციების მიხედვით, მათში ჩამოთვლილია თავკაცების გვარები, რომლებიც დამოწმებულია ჯვრის დასმით.

ფიცის წიგნებიდან ირკვევა, რომ კავკასიის მთის ზემოდასახელებული პროვინციების მცხოვრებლებს ერთად დაუდვიათ ფიცი ხელმწიფის ერთგულებაზე და ქვეშევრდომობაზე. მათვე ხელმწიფესთან გაუგზავნიათ ოთხი წარმომადგენელი, რომელთაგანაც მხოლოდ ერთის ვინაობაა ცნობილი. ეს დემეტრე რევაზიშვილია. წარმომადგენლებს ხელმწიფისათვის წერილებთან ერთად, „ზეპირი სიტყვის" (ე.ი. პოლიტიკური მნიშვნელობის ამბების), გადაცემა ჰქონიათ დავალებული.

კავკასიის მთის ხუთი პროვინციის მცხოვრებთა თავკაცების ფიცის წიგნების ქართულენოვანი დედნები გამოქვეყნებული ჯერ არ ყოფილა.

1968 წელს ზემოდასახელებული ფიცის წიგნების რუსულენოვანი თარგმანი, შესრულებული რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიაში, გამოაქვეყნა ვ.გამრეკელმა[4]. მანვე დოკუმენტურად დაასაბუთა, რომ წერილები დაიწერა 1733 წლის 14 მაისს. გამომცემელი პუბლიკაციის ბოლოს დართულ შენიშვნაში აღნიშნავს: "«Грузинские оригиналы пяти горских провинций в архивном деле нами не найдены. Поэтому мы не смогли восстановить правильные формы фамилий, во многих случаях явно искаженных. В ряде случаев вместе с именем и фамилией названы села, откуда происходят названные лица. Однако наименования сел не выделены как таковые, а входят как бы в наименование лиц. Так например, из списка жителей Хеви:

Ахалцихели Берука – село Ахалцихе.

Артхомос Хевсус Кутгелас – село Артхмо.

Кергетс Пецуас Шуджачшус – село Гергети.

Пашец Чонидзев Гивс – село Паншети.

Аршас Базалис Апциаурис – село Арша.

Карбас Кулидьзес Тутас – село Гарбани.

---

[1]ამავე საარქივო საქმეშია დაცული ალექსანდრე მეფის წერილი რუსეთის მთავარსარდლისადმი. როგორც დღეისათვის გარკვეულია, ალექსანდრე მეფის წერილს კავკასიის მთის 5 პროვინციის ფიცის წიგნებთან არავითარი კავშირი არა აქვთ. ისინი მექანიკურად არიან ჩაკერებული ერთ საქმეში. ამის შესახებ იხ. დ.ლომიძე, რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში დაცული ალექსანდრე მეფის წერილი, როგორც წყარო საქართველოს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ XVIII საუკუნის 30-წლებში, მოხსენება წაკითხული საქართველოს მეცნ. აკადემიის, საქართველოს ისტორიული წყაროების და თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენციაზე, თბ. 2002.

[2]თაგაურები არიან ჩრ.ოსეთში, თაგაურის ხეობაში მოსახლე ხალხი. ისინი ვახტანგ VI-საგან იღებდნენ ხელფასს. ამ ხეობაზე გადიოდა XVIII საუკუნეში საქართველოს ჩრ. კავკასიასთან და რუსეთთან დამაკავშირებელი გზა (იხ. ზ.ანჩაბაძე, თ.ბოცვაძე, გ..თოგოშვილი, მ.ცინცაძე, ჩრ. კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, თბ.19696 გვ.228.

[3] ფოტოპირები იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. რსპა, ს. №№48, 441.

[4]АВПР, ф. 110/I, 1733, д. I, л. 22-27; ხ.ი. ფ. რსპა, საბ. №290; Документы по взаимоотнониям Грузии с Северным Каваказом в XVIII в., документы подобрал, подготовил к печати и предпослал им исследование В.Н. Гамрекели, Тб., 1968, с. 122-126.

Сиос Кахиасшвилс Кукас – село Сиони.

Квелетс Озишвилс Авчас – Гвелети.

Обращает на себя внимание тот факт, что пять писем писанны по одному шаблону. Конкретные место и обстоятельство составления их неизвестны. Одновременно, следует подчеркнуть полную реалистичность представленной в них ономастики и топономики, в значительной части проверенной нами. Ряд возбужденных сомнений и вопросов быть может будут разъяснены по обнаружении грузинских оригиналов[5].

ფიცის წიგნების რუსულენოვანი თარგმანის ქართულენოვან დედანთან შედარების შედეგად ირკვევა, რომ თარგმანი ჩვენს მიერ მიკვლეული ქართულენოვანი დედნიდან მომდინარეობს.

ქართული დედნისაგან განსხვავებით, რუსულ თარგმანში, პუბლიკაციის მიხედვით, წერილების თანმიმდევრობა ოდნავ შეცვლილია. კერძოდ, ქართულ დედანში წერილების თანმიმდევრობა შემდეგია: 1.გუდამაყრელთა; 2.მთიულთა; 3.თაგაურთა; 4.ქისტთა; 5.მოხევეთა. რუსულ თარგმანში: 1.გუდამაყრელთა; 2.მთიულთა; 3.ქისტთა; 4.თაგაურთა; 5.მოხევეთა. ამგვარად, რუსულ თარგმანში

№3 და №4 წიგნები გადაადგილებულია.

ჩვენს ხელთ არსებული ქართული დედანი ასწორებს რუსულ თარგმანში დაშვებულ უხეშ შეცდომებს, რომელთა წყარო ძირითადად დედნის არასწორი წაკითხვაა, ასევე ავსებს ტექსტში მთარგმნელის მიერ გამოტოვებულ გაუგებარ ადგილებს.

რუსული თარგმანი, ქართული დედნისაგან განსხვავებით, იძლევა ცნობებს როგორც წერილების ადრესატის, ასევე მთარგმნელის ვინაობის შესახებ.

ადრესატი არის მოსკოვის ქართული კოლონიის მესვეური, ქართლის მეფე ვახტანგ VI, ხოლო მთარგმნელი – ცნიაზ ბორის თურქისტანოვი, იგივე ბაადურ თურქისტანიშვილი. ის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეა, რომელიც XVIII საუკუნის 20-იან წლებში იყო ვახტანგ VI-ის დესპანი იმპერატორ პეტრე I-თან.

წერილების რუსულად თარგმნის მიზეზი რუსეთის იმპერიაში მოქმედი წესები იყო. კერძოდ, უცხოეთიდან მიღებული კორესპოდენციები რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიაში მოწმდებოდა, ითარგმნებოდა და შემდეგ გეზავნებოდა ადრესატს.

1733 წლის 22 მაისს მეფე ვახტანგ VI რუსეთის იმპერატორ ანა იოანეს ასულს წერილით ატყობინებდა კავკასიის მთის 5 პროვინციის მცხოვრებთა ერთგულებისა და ქვეშევრდომობის წიგნებისა და წარმომადგენლების მიღებას.

ქართველი მეფე იმპერატორს განუმარტავდა, რომ დასახლებული პროვინციები მცირე ვბარდოსა და ჩეჩნეთს ესაზღვრებოდა და ოსმალების მიერ ჯერ კიდევ არ იყო დაპყრობილი. კავკასიის მთის 5 პროვინციის მცხოვრებნი იმპერატორისაგან ითხოვდნენ ოსმალების წინააღმდეგ დახმარებას, წმინდა ჯვრის ციხე-სიმაგრეში მათთვის ამანათების გამოგზავნას და ასევე მათთან თვით ვახტანგ მეფის, ან ერთ-ერთი ბატონიშვილის გამოშვებას[6].

ჩვენი აზრით, წერილების დაწერის კონკრეტულ ადგილად შეიძლება არაგვის საერისთაო ვივარაუდოთ. ამას გვაფიქრებინებს ბარძიმ არაგვის ერისთავის წერილი მეფე ვახტანგ VI-ისადმი: „ფშავი და ხევსურეთი გაგვიერთდა. მე და შანშეც ერთნი შევიქენით... ურემი ასე დასუსტდა, რომ ბაღდადი წაართვეს (ირანმა-დ.ლ.), ორასი კაციც არ არის ქართლში. მანამდე მე ეს გზა მიჭირავს, მობძანდი, ხონთქარი, ყეენი თქვენ შემოგეხვეწებათ“[7]. საუბარი ეხება საქართველოს რუსეთთან დამაკავშირებელ გზას.

ამგვარად, კავკასიის მთის 5 პროვინციის ფიცის წიგნები წარმოადგენს მნიშვნელოვან საბუთს XVIII საუკუნის 30-იანი წლების კავკასიაში მიმდინარე პროცესებისა და ამ რეგიონის ხალხების მოსკოვის ქართულ კოლონიასთან და რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ.

წერილები შეიცავენ მეტად საინტერესო ონომასტიკურ და ტოპონიმიკურ ცნობებს კავკასიის მთიანეთის ისტორიისათვის.

---

[5] Документы… с. 294.

[6] იქვე…, გვ. 126-127.

[7] М. Броссе, Переписка на иностранных языках грузинских царей с россискими государями, СПб., 1861, с. 192.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი მოწმობენ კავკასიის მთის ზემოდასახელებულ მცხოვრებთა წინააღმდეგ კონსოლიდაციას, ხოლო ვახტანგ VI კავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლის ორგანიზატორად გვევლინება.

## ტ ე ქ ს ტ ი

№1

ჭ ღ(მერ)თ(მა)ნ ბედნიერის ჭემწიფის ჭირი მოსცეს გუდამაყრელთ:

ტლოშიაურს პაპს +
ნაცვალს, ტლოშიაურს გივს +
ტლოშიაურს ტლოშიას + და გაგას+
ბობონაურს იმედის+
ბექაურს დიდებას +
ჩოხელს მგელას + და ხუცესს +
ლაზარეს აფციაურს+
ავთანდილ ბუბულაურს +
ჩოხელს თათარს +

ამ გუდამაყრის თავსკაცებს მუჭლს კოცნა მოგვიხსენებია და ჩვენი სიტყვა ამ ოთხის კაცისათვის დაგვიბარებია.

№2

ჭ ღ(მერ)თ(მა)ნ მოწყალემ ბედნიერის ჭემწიფის ჭირი მოსცეს თქვენს მიწამტვრის სულ მთიულთ:

*ცოხისთავს გიორგის +*
ნაზღაიძეს ავთანდილს +
ბუთხუზებს: გ{ი}ვს, გოდერძის ++
ბურდულ მამუკას+
სეთურიძეს მამუკას+
კაიშაურს ჯაბანს +
ძაგანს ხუცესს +
გოდერძი ჯარმირზაშვილს +
ნარაიძეს ბერს +
ბენიაიძეს პაპს +
წამალაიძეს დათვიას +
[ქა]რჩაიძეს თათარს +
ნადიბაიძეს გივს +
ჩოხელს ჯაბაბანს +
კობაიძე ბასილს +
ამირეჯ[*] ქურციკს +
ქავთარაშვილს ზარიბეგს +

ამაებს მუჭლს კოცნა მოგვიხსენებია და ჩვენს სიტყვას ბატონს ეს ოთხი კაცი მოახსენებს, ამათთვის დაგვიბარებია.

№3

ჭ ღ(მერ)თ(მა)ნ ბედნიერის ჭემწიფის ჭირი მოსცეს თაგაურთ თავსკაცებს:

შანაშვილს ბიჭს და ყანთუყოს ++
გავდინს თულათისშვილს +
ძამოს აზნარისშვილს +

[*] ამ სიტყვის პირველი ასო "ჭ" გადაშლილია დამწერის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დულანისშვილს ნაფის +
დარბიჩხს დოლეთს +
დანიყოსშვილს ბოლათიყოს და ყანჩას,
დოხიყოს ერისთვისშვილს +
ბათაყო ჩურიხისშვილს +
ყაყიდურს, ლიშიყო ჯანთიშვილს +
ხაფაჭა თემურიშვილს +
დაქო ალიქიშვილს +
დუდარიშვილს სოსს +
დუდარიშვილს ბაგრას, ელბერდის +
თაგაურს აყოს +

ამათ თქვენს ერდგულობაზედ დაგვიფიცავს და ჩვენი სიტყვა ამ ოთხის კაცისათვინ დაგვიბარებია და ჩვენ მუჭლს კოცნა მოგვიხსენებია.

№4

ქ. ღ(მერ)თ(მა)ნ ბედნიერის ჭემწიფის ჭირი მოსცეს ქისტთ თავსკაცს:

იანდოსშვილს ბორძს და კარაჯს++
აბუღაჯიშვილს გერიხანს+
ჩიურისშვილს ბოჯს და ჯაბოს++
ხამატყანისშვილს ყანჩას+
ლევარსანისშვილს ახორას+
ჩიურიშვილს ბოთს+
ხარსისშვილს ბათჩირს+
ლაფჯაგას ბონიას+
ფათხალაგას ქოთაისშვილს ლაზიბეგს+
გარაჯას დიგის, სადიგიშვილს აძუს+
ტარშს დიდის და კაკას++
ღლიას, ითიშვილი მერცხალი+
ტამიშვილი კაცოს+
ვძაისშვილს ბათავს
ანგუსტელთ დიგს და მარზაყანს++
არჯაჭასშვილს აჯაკს+

ამათ თქვენს ერთგულობაზედ დაგვიფიცავს და ჩვენი სიტყვა ამ ოთხის კაცისათვინ დაგვიბარებია და მუხლის კოცნა მოგვიხსენებია.

№5

ქ. ღ(მერ)თ(მა)ნ ბედნიერის ჭემწიფის ჭირი მოსცეთ სულ მოჭვეთ:

ზალს ჩოფიკასშვილს +
თექთურმანიძეს ცხვირას +
თექთუმანიძეს მამაის* +
ხუდუშაურს პაპას +
ზარიბეგს და იას ++
ვარძუკასშვილს გივს +
ახალციხეს, ბუწუკურს + და ცისკარასშვილს პაპუას +
კარკუჩას, დუდულას +
ართხმოს, ჭვესურს, კურდღელას და გელას არაბულებს ++
გერგეტს, ბეწიკას შუჯაშვილს +
ფაშეთს, ჩონიაიძეს გიას+
არშას, ბახალის აფციაურს +
სულიაურს პაპუას +

*ჩამატებულია სტრიქონს ზემოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიბოტენს,სულელიძეს პაპუას + და ხულელიძე პაპუას +
გარბანს, გელიაიძებს: თუთას და ჯუნას ++
სიონს, გახაისშვილს გუგუას, დავითასშვილს გიას ++
ტყარშეთს, ბუსიურს ლომიტას, ჯავრანიძეს ივანეს ++
გორიციხეს: ჩქარიულს აღულას +
ავშაჯანისშვილს გიორგის+ ელოშვილს თამაზას+
ფხერშეთს, ზურაბასშვილს ჯუნიას+
ჰურთის: ჩოჩოშვილს გელიტას, ბაკვიძე პაპს ++
ყანობს კობიაშვილს ნოდარს + ალიაშვილს ალ ი** მირზას +
მნას, უძილას+, ჩ**იტიშვილს ელადის, ნოქარიშვილს ელისბარს+
ქ. ცდოს, ვაშნიაშვილს ჯანიყოს +
გველეთელს, ოზისშვილს ავჩას+ და კოდიკისშვილს საგს+
ქუთისშვილს ანგუთიყოს +

ქ. სულ ერთპირათ შეყრის ამ მოჴევეთ თაყვანისცემა მოგვიხსენებია და თქვენს ერდგულობაზედ დაგვიფიცავს და ეს კაცნი გვიახლებია. ჩვენს სიტყვას ეს კაცნი მოგახსენებენ და ეს რევაზისშვილი დემეტრე მოგახსენებს.

**D. LOMIDZE**

## LETTERS OF ASSURANCE AND LOYALTY TO KING VAKHTANG VI WRITTEN BY THE GUDAMAQARIANS, MTIULS, MOKHEVS, TAGAURS AND KISTS

SUMMARY

1. The paper deals with five letters that are kept in Moscow, in the archives of Russian Foreign Office. Russian-Georgian Relations Fund of 1739, act n. 2 (pp.2-4).
The highlanders of east Georgia, representing: the Mtiels, Gudamaqarians, Mokhevs and the highlanders of north Caucasus: the Mtiels, Tagaurs and Kists altogether sent their letters of assurance and loyalty, and their representatives to King Vakhtang VI in Moscow. The letters do not concentrate on political issues. The highlanders' representatives had to make oral report to King Vakhtang VI.

2. The letter is written in Georgian. Letters are written by one scribe and they have never been published before.

3. In 1968 V. Gamrekeli published Russian translation of these letters performed in the Department of Foreign Office in 1733. The publisher writes: "In the archives we could not find original letters of the five highland provinces which were written in Georgian. Consequently, we could not identify correct forms of some surnames which were mostly mis-spelt. Some guesses and questions might be solved when Georgian originals are found." The Georgian original which is published in this paper sheds light on the omitted and vague passages as well as on the incorrect interpretations. It also provides interesting information about consolidation of forces between the nations of North Caucasus and Georgia and about King Vakhtang VI as the organizer of independence war of the peoples of Caucasus.

** ასო რ გადაშლილია დამწერის მიერ.
** გადასწორებულია დამწერის მიერ.

გულიკო მჭედლიძე

# ყაფლანისშვილთა სათავადოს ისტორიიდან

## საბარათიანოს ჩამოყალიბება

XV საუკუნე უნიკალურია საქართველოს ისტორიაში. ეს უნიკალურობა ერთიანი ქართული სახელმწიფოს მოშლით, სათავადოთა სისტემის ჩამოყალიბებით და ახლად აღზევებული ფეოდალური გვარების სიმრავლით გამოიხატება. აი, სწორედ ამ საუკუნეში შეიმჩნევა დიდგვაროვან აზნაურთა გაძლიერება და ახალი ფეოდალური სახლების ჩამოყალიბება. გადაშენებულ ფეოდალთა ნასახლარზე ახალი გვარები მოდიან და ეპატრონებიან გაყრანებულ მამულებს. ძველი ფეოდალური გვარების ჩამომცროება და გაქრობა ისტორიის ასპარეზიდან თემურ-ლენგის ამაოხრებელი შემოსევების შედეგებით იყო გამოწვეული. რამდენიმე სამეფო-სამთავროდ დაქუცმაცებული საქართველო სათავადოთა სისტემის გამარჯვების ასპარეზად იქცა. სუსტი სამეფო ხელისუფლება ვეღარ უწევდა კონტროლს ფეოდალებს, ვეღარც ვერაფრით ეხმარებოდა მათ. ამან გამოიწვია ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივ ურთიერთობაში სათავადოთა სისტემის განმტკიცება.

სათავადო წარმოადგენდა სოციალურ-ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ ერთეულს. ფორმალურად თავადი მეფის მოხელეა, სათავადო კი სამოხელეო მიწა-წყალი, მაგრამ რეალურად სათავადო სამემკვიდრო მამულად არის ქცეული და მამიდან შვილს გადაეცემა. სათავადოთა სისტემის შექმნა იყო ერთადერთი სწორი გამოსავალი არსებულ სიტუაციაში. სათავადოთა სისტემამ გადაარჩინა საქართველო. როდესაც თავადი თავის სათავადოს ინტერესებს იცავდა, ებრძოდა გარეშე მტერს და იგერიებდა მოსხდურს, ამით ქვეყნის ნაწილს იცავდა. როცა დაქცეულ სოფლებს აშენებდა, დანგრეულ ეკლესია-მონასტრებს აღადგენდა, ამით ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას უწყობდა ხელს. მართალი იყო გ. ჯაბურია, როდესაც წერდა: "სათავადო არის ის ძალა, რომელსაც ეყრდნობა მეფის ხელისუფლება. ქართლში არ არსებობდა სხვა რომელიმე მნიშვნელოვანი ძალა, რომელზედაც დაყრდნობით შესაძლებდა ცენტრალური ხელისუფლება მართვას. სათავადოს გარკვეული ვალდებულებანი აკისრია ცენტრალური ხელისუფლების წინაშე (ჯარის გამოყვანა, "სახელმწიფო ხარჯის" მოკრეფა და სხვა). ყველა ამისათვის პასუხისმგებელია მეფის მოხელე-თავადი (ფეოდალური სახლის უფროსი). სახლის წევრებსაც გარკვეული ვალდებულებანი აკისრიათ მეფის წინაშე ყველა ამ ურთიერთვალდებულებას აწესრიგებს ცენტრალური ხელისუფლება - მეფე, რომელიც სახლიკაცობის რიგის დამცველად გამოდის"[1]. გადაშენებულ ფეოდალთა ნაოხარზე ახალი გვარების მოსვლას და დაფუძნებას თავად სამეფო ხელისუფლება უწყობდა ხელს, როგორც ქვეყნის მოშენების ხელშემწყობ ფაქტორს. ამაზე არაერთი სიგელი არსებობს. მაგალითად, ურდოელაშვილები გადაშენებული დაფირიძისეულ მამულს დაეპატრონნენ. ივანისძეთა უმკვიდრო საქადაგო სახლი მადალაძეებს უბოძეს, აბულახტარიძეების მამულზე ზედგინიძეები გაბატონდნენ. ძველი ფეოდალების - მირიანისძეთა მამული, რომელიც "დაბილოვდა და უმკვიდრო იყო", „საღვინეს მოლარეს" ქავთარაძეს მისცეს. სწორედ ამ ეპოქაზე მოდის ქვემო ქართლში, ძველ საორბელოზე ბარათაშვილების აღზევება, რომელიც დიდი სათავადოს შექმნით - საბარათიანოს ჩამოყალიბებით დამთავრდა. მის ბაზაზე კი XVI-XVII საუკუნეებში ცხრა ახალი სათავადო წარმოიშვა.

ბარათაშვილები რომ ქაჩიბაძეები არიან, ეს ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილმა აღნიშნა: ბარათაშვილები "იტყვიან ჩამოშავლობასა ქაჩიბაძისასა, რომელსა აცხადებს გუჯარნი და სიგელნი მათნი მეფეთაგან წყალობისანი"[2]. ქაჩიბაძეებს ბარათაშვილები სწორედ ბარათა ქაჩიბაძის გამო ეწოდათ. ბარათაშვილთა წარმოშავლობა გარკვეული აქვს ს. ჯანაშიას ნაშრომში "ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის". ქაჩიბაძეები: "ბაღვაშ-ორბელთა ნაოხარზე ნელ-ნელა აშენებენ თავიანთ ძლიერებას, ორბეთ-სამშვილდის მებატონეები ხდებიან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

"საორბელოსაც" "საბარათიანოდ" აქცევენ"[3]. ბარათაშვილების წარმოშობას ჭაჩიბაძეებისგან იზიარებს გ. ჯამბურია, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა საბარათიანოს სათავადოს ისტორია. ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით მან გააკეთა დასკვნა: "სრულიად ცხადი ხდება, რომ ბარათაშვილები ჭაჩიბაძეების ჩამომავალნი არიან. ეს მასალა აგრეთვე მოწმობს, რომ ჭაჩიბაძეებს ბარათაშვილები ბარათასგან ეწოდათ, როგორც ამას ფიქრობს თ. ჟორჟოლიანი და, რომელსაც იზიარებს ს. ჯანაშია"[4]. მეც მიმაჩნია, რომ ბარათაშვილები წარმომავლობით ჭაჩიბაძეები არიან.

ს. ჯანაშიას აზრით, საქართველოს ფეოდალური მონარქიის ხანაში სხვა ლიხთ-იმერულ კოლონისტებთან ერთად ქართლში გადმოდიან ქაჯიფაძე-ჭაჩიბაძეები, ბაღვაშთა ნაოხარზე სახლდებიან და საორბელოსაც საბარათიანოდ აქცევენ. ს. ჯანაშიას მიაჩნია, რომ ფიტარეთის სამშენებლო წარწერაში მოხსენიებული ამერიჯიბი ქავთარ ქაჯიფას ძე არის წინაპარი ჭაჩიბაძე-ბარათაშვილებისა. ქაჯიფაძე-ჭაჩიბაძის კავშირი, მართლაც, აშკარაა. მოვიყვან ამ საამშენებლო წარწერიდან ფრაგმენტს: "ღირს ვიქმენ მომადლებითა ღმრთისათა მე ქავთარ ქაჯიფაძემ, ამირეჯიბი თვითმპყრობელისა ძლიერისა მეფეთა-მეფისა გიორგისი, აღშენებად ამას მონასტრისა და საყდრისა დედისა ღმრთისა. არაღვისი ჰრთავს თჳნიერ ჩემისა ჰალალისა და ჴრმლისა მოგებულისა...

... ვიყიდენ ტანძაჲ და თევდორწმიდაჲ ჩემითავე ჴრმლითა მოგებითა საფასითა"[5]... მან ეს სოფლები ფიტარეთის ღვთისმშობლის ეკლესიას შესწირა.

სოფელ თევდორეწმიდაში დღესაც არის წმინდა თევდორეს სახელობის ეკლესია, რომელიც XIV ს-ით თარიღდება. აი, ამ ეკლესიის სამშენებლო წარწერის ფრაგმენტი: "სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაითა, წმიდისა თევდორესითა და ყოველთა წმიდათა მისთაჲთა ესე დაწერილი ჩვენ, თევდორეწმინდელთა მღდელთა და მწერველთა, დავწერეთ მას ჟამსა, ოდეს ამას ეკლესიას ვაშენებდით, მოგუცა (80 - გ.მ.) დუკატი გაბრიელ ჩაბაისძემან"[6]...

შეიძლება ვარაუდის სახით დავუშვათ, რომ გაბრიელ ჩაბაისძეც ლიხთ-იმერული სამყაროდან არის მოსული. ამაზე მიუთითებს გვარის ფორმა "ჩაბაისძე". ესეც ამაგრებს ს. ჯანაშიას მოსაზრებების სისწორეს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გაბრიელ ჩაბაისძე ახნაურია ქაჯიფაძეებისა. ფიტარეთისა და თევდორეწმიდის ეკლესიათა წარწერები, ჩემი აზრით, თანადროულია და XIV საუკუნის I ნახევარს განეკუთვნება.

ჭაჩიბაძე ძველი გვარია და მართალი იყო ს. ჯანაშია, რომელიც მას აფხაზურ, უფრო სწორედ ერთ-ერთ ძველ ქართულ ტომთან "ჭაჩებთან" აკავშირებდა. ასევე მართალი იყო მამუკა ბარათაშვილი, როდესაც წერდა: "ვინ ძირათ ბარათ, ქავთარის მოძე ჭაჩიბაძისა", რაც იმას ნიშნავს, რომ ბარათაშვილები ქავთარ ჭაჩიბაძის ჩამომავლები ("მოძე") არიანო. როგორც ჩანს, მართლაც, ქავთარ ქაჯიფაიძემ ჩაუყარა საყუძველი ბარათაშვილების დიდ გვარს. "ქაჯიფა" გვარის ადრეული ფორმაა, "ჭაჩიბა" უფრო გვიანდელი. "იფა" - ნიშნავს ძეს, "იბაც" იგივეა. დასავლეთ საქართველოდანაა გაბრიელ ჩაბაისძეც. ამავე წარმომავლობის გვარებია: დუმბაძე, სუმბაძე, დარბაიძე, გურაბანიძე. ბევრია ამავე წარმოშობის სვანური გვარები: მუკბანი, გულბანი, ფილფანი და სხვა. ისინი ყველანი ქართველები არიან, დასავლეთ საქართველოს კოლხურ-აფხაზური კულტურის შვილები. თავიანთი წარმომავლობა კარგად იცოდნენ ბარათაშვილებმაც. გერმანოზ ბარათაშვილი სასამართლოზე ამბობდა: "როდესაც ჩვენმან გუარის კაცმან დიდმან ბარათა მცხეთას ყორანთა შესწირა, სამძღვარნი და წისქვილნი სიგელშიგა რომ სწერია და ეს არის სამძღვარი. ამას იქით შეუწირავს და ამას ზემოთ არ არის შეწირულიო"[7].

გერმანოზ ბარათაშვილისა და კათალიკოსის სამამულე დავას (დაობდნენ სოფელ ყორანთას და რატევანის საზღვარზე) მეფე ლუარსაბ I არჩევდა. საბუთს თარიღი არ უზის, ლუარსაბ I-ის ზეობის წლებით - 1527-58 წწ. თარიღდება. მაშასადამე, ამ დოკუმენტით ნათელია, რომ გერმანოზ ბარათაშვილისათვის ბარათა ჭაჩიბაძე, რომელმაც სოფელი ყორანთა შესწირა სვეტიცხოველს, მათი "გვარის კაცია" და "დიდ ბარათად" ეწოდება იმის გამო, რომ ახალ სათავადოს და ახალ საგვარეულოს მისცა დასაბამი.

ისტორიული დოკუმენტებიდან ჩვენთვის ცნობილი ამ გვარის პირველი წარმომადგენელი სწორედ ეს ბარათა ჭაჩიბაძეა, რომელმაც შესწირა სოფელი ყორანთა სვეტიცხოველს. იგი ალექსანდრე I-ის (1412-42 წწ.) თანადროული მოღვაწეა და სამეფო სალაროს მოლარე: "მე

ქაჩიბაძემან სალაროს მოლარემ ბარათამან და მეუღლემან ჩვენმა პატრონმა ფინათინ და ძეთა ჩვენთა დავით, გერმანოზ, ლაპა"[8].

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ მათ შესწირეს "სოფელი ყორანთა" სვეტიცხოველს: თავდაპირველად საბარათიანო სამ ხეობას მოიცავდა: ეს იყო ალგეთის, მაშავერას და ქციის ხეობები.

XVI საუკუნეში ბარათაშვილთა სათავადო გაიზარდა, გაფართოვდა მათი ტერიტორია, იმატა ყმა-მამულმა, გამრავლდა ბარათაშვილების გვარიც. ამიტომაა, რომ ისინი რამდენჯერმე გაიყარნენ. მათი პირველი გაყრა 1523 წელს მოხდა. გაიყარნენ ქავთარ ბარათაშვილის (ქავთარი შვილიშვილი იყო ბარათა ქაჩიბაძისა) შვილები: გუგუნა, ქუმსი, გერმანოზი, თაყა, გოსტასაბი და ფალავან-ხოსრო. ისინი დავით X (1505-1525 წწ.) გაჰყარა. ლუარსაბ I-მა 1537-38 წწ. გაჰყარა იოთამ და ორბელ ბარათაშვილები.[10] ამით ჩაეყარა საფუძველი საბარათიანოს სათავადოში ორ ახალ სათავადოს - საორბელიანოს და საიოთამიშვილოს. ქციისა და მაშავერას ხეობა ერგო იოთამს, ხოლო ალგეთისა - ორბელს. 1543 წელს კი ლუარსაბ მეფემ ახლა ფარიშატ და გიორგი ბარათაშვილები გაჰყარა. მათ "მამით მამული გაუყვიათ"[11]. "XVI ს-ში იოთამიშვილები უფრო ძლიერი გვარია, მაგრამ შემდეგ ორბელიშვილები ძლიერდებიან და XVII ს-ის ნახევრისათვის ძლიერ სათავადოს ქმნიან და სომხით-საბარათიანოში პირველ ადგილს იკავებენ"[12]. ეს ვითარება ნათელია ისტორიული დოკუმენტებიდან.

XV ს-დან საბარათიანოს სახლის სახელოდ მეფის სალაროს მოლარეობა ჩანს. სამეფო სალაროს მოლარე იყო ბარათა ქაჩიბაძის ვაჟი დავითი[13]. საბუთების სიმცირის გამო ძნელია იმაზე ლაპარაკი, ჰქონდათ თუ არა ეს სახელო ბარათაშვილებს XVI ს-შიც. მაგრამ შემდეგ უფრო დიდი სახელოს - სომხით-საბარათიანოს სარდლის თანამდებობას ეუფლებიან, რომელსაც სამემკვიდრეო სახელოდ აქცევენ. სომხით-საბარათიანოს სადროშოს ტერიტორია გაცილებით მეტი იყო, ვიდრე საბარათიანოს სათავადოსი. იგი მოიცავდა საკუთრივ საბარათიანოს სათავადოს- ალგეთის, ქციის, მაშავერას ხეობებს, სომხითს, ტაშირს, ლორეს, ყაიყულის და თრიალეთის ნაწილსაც.

კონსტანტინე მეფის (1479-1505 წწ.) დროს საბარათიანოს თავკაცნი დიდი გავლენით სარგებლობდნენ სამეფო კარზე. უზუნ-ჰასანის წინააღმდეგ მოწყობილი მრავალი ბრძოლის ორგანიზატორები და აქტიური მონაწილენი სწორედ ბარათაშვილები იყვნენ. აი, რას წერს ვახუშტი ბატონიშვილი ამ შემოსევების შესახებ: უზუნ-ჰასანი "მოვიდა სომხითს, მივიდა ორბეთის ძირას და მძლედ დაუხვდნენ მეფე კონსტანტინე ბარათიანითა, ვერარაჲ შემუსრა და მოადგა ტფილისს, ხოლო კონსტანტინე მეფე ერკინებოდა საბარათიანოთი მარბიელითა ყეენისათა"[14]. ბარათაანთ დიდ ავტორიტეტზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ კონსტანტინე მეფის ძემ, დავითმა ცოლად შეირთო ბარათა ქაჩიბაძის შვილიშვილი, დავით ბარათაშვილის ასული ნესტანჯარი. კონსტანტინე მეფემ "ბარათიანნი აღავსნა საბოძურითა"[15].

ბარათაშვილები ყოველთვის მამაცურად იბრძვიან შემოსეული მტრის წინააღმდეგ. კონსტანტინე მეფემ უბრძანა: "ბარათიანთა და სომხითართა, მიუჴდნენ ელთა დატევებულთა ყაენისაგან საზღვართა ქართლისათა. სრულიად მოსრნეს და ტყუე-ყვნეს. აღიღეს ალაფნი დიდძალნი და შემოიქცნენ გამარჯვებულნი"[16]. დიდი შემართებით იბრძოდნენ ბარათაშვილები იაკუბ-ყაენის წინააღმდეგაც. "ბარათიანთა უწყეს ბრძოლა თათართა"[17].

XVI ს-ში ქართლის სამეფო გამუდმებულ ბრძოლებს აწარმოებდა ხან ირანის, ხან ოსმალეთის მოძალებული აგრესიის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის სულისჩამდგმელები და, მართლაც, ხმალჩაუგებელი მებრძოლები, გმირი მეფეები ლუარსაბ I (1527-56 წწ.) და სიმონ I (1556-1600 წწ.) იყვნენ. ბრძოლის ასპარეზი ხშირად ქართლი იყო და უფრო ხშირად სომხით-საბარათიანო. ბარათაშვილები ყოველთვის ენერგიულად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ და იბრძოდნენ, სამწუხაროდ, ხშირად ერთმანეთის წინააღმდეგაც. ეს იყო შინაფეოდალური ომები. 1569 წელს შაჰ-თამაზმა დავით XI-ს (დაუთ-ხანს) მისცა თბილისი და ქართლი. საბარათიანოს სახლიკაცების დიდი ნაწილი დავით მეფის მხარეზე გადავიდა, მაგრამ ზოგნი სიმონ მეფის მხარდამჭერნი დარჩნენ. მაგალითად, სიმონ მეფის მხარეზე იყო სომხით-საბარათიანოს სარდალი საჩინო ბარათაშვილი. ბარათაანი ხშირად ირანული ორიენტაციისანი იყვნენ. მართლაც, საბარათიანოს სათავადოს თავკაცების დიდი ნაწილი შაჰ-აბასის მხარეზე იყო, მაგრამ ნაწილი - არა, რაც ქმნიდა საფუძველს შინაფეოდალური დაპირისპირებისათვის. საბარათიანოში პირველობისათვის მიმდინარე ფეოდალური ბრძოლები ტრაგედიით დამთავრდა - ბარათა ბარათაშვილმა თავისი სახლიკაცები გაწყვიტა. ქაიხოსრო

ბარათაშვილი, ყაფლან ბარათაშვილი და მისი ძმა ბაგრატ-ხანის მომხრენი იყვნენ, ხოლო ბარათაშვილი კი თეიმურაზ I-ს უჭერდა მხარს. ამ ბრძოლას ბარათაშვილები საკუთარ ინტერესებს უქვემდებარებდნენ და სათავადოს გაყართოებისათვის აქტიურად იბრძოდნენ.

## ყაფლანისშვილთა სათავადოს წარმოშობა

საბარათიანო XV-XVI საუკუნეებში დიდი და ძლიერი სათავადო იყო. "ბარათაშვილების სახლი - წერდა დ. გვრიტიშვილი, - ძლიერი და რიცხვმრავალი იყო. თუ საბარათიანოს რეზიდენციას სამშვილდე წარმოადგენდა, საბარათიანოს სახლისშვილები კი საბარათიანოს სხვადასხვა კუთხეებში ისხდნენ და თავიანთი საუფლისწულოები ჰქონდათ. ეს საუფლისწულოები ბარათაანთ გაყრის ნიადაგზე დამოუკიდებელ სათავადოებად იქცნენ"[18]. საბარათიანო, როგორც დამოუკიდებული სათავადო, დაიშალა და მის ნანგრევებზე ცხრა ახალი, დამოუკიდებელი სათავადო წარმოიქმნა. ეს სათავადოები, ანუ ფეოდალური სენიორიები იყო: საგოსტაბაბისშვილო, საგერმანოზისშვილო, საზურაბისშვილო, საბაბისშვილო, საყაფლანისშვილო. (ცალკე სათავადოები ჰქონდათ: ქავთარისშვილებს, იოთამისშვილებს, იარალისშვილებს, ფალავან-ხოსროსშვილებს. ამ სათავადოებს შორის წარმოებდა ბრძოლა პირველობისათვის. ამ ბრძოლაში გამარჯვებული ყაფლან ბარათაშვილი გამოვიდა და ჩამოაყალიბა ახალი სათავადო-საყაფლანისშვილო, რომელმაც სომხით-საბარათიანოში წამყვანი მდგომარეობა დაიკავა სხვა სათავადოებთან შედარებით.

აი, როგორ მოხდა ეს: როდესაც ბარათა ბარათაშვილმა თავისი სახლიკაცები გაუყვიტა, ყაფლან ბარათაშვილმა გაასწრო და შაჰ-აბასთან გაიქცა ირანში. 1624 წ. იგი თან გამოჰყვა ირანის ლაშქარს, რომელსაც ურჩი თეიმურაზ მეფისა და ქართველების დასჯა . ჰქონდა დავალებული. ყაფლან ბარათაშვილს უნდოდა ყიზილბაშების დახმარებით დაემარცხებინა ბარათა ბარათაშვილი და დაებრუნებინა დაკარგული მამული. მარაბდის ბრძოლაში ყაფლან ბარათაშვილი ყიზილბაშების მხარეზე იბრძოდა, ბარათა ბარათაშვილი კი - თეიმურაზ მეფისა. სამწუხაროდ, მარაბდის ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. ბარათა ბარათაშვილმა ბრძოლის ველი მიატოვა, ცოლ-შვილი წამოიყვანა და ოსმალეთში გაქცევა დააპირა, მაგრამ ფარავნის ტბასთან მას ყაფლან ბარათაშვილი დაეწია ყიზილბაშთა ლაშქრით. მოხდა შეტაკება და ამ ბრძოლაში ბარათა ბარათაშვილი მოკლეს. ამ ამბავს ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერს: "მოსწყვდნა ბარათამ სახლეულნი თჳსნი და ყაფლან ძმისწული მისი იქლტოდა და მოუვიდა წინაშე შაჰ-აბასისა. ამისთჳს წარმოეგზავნა შაჰ-აბაზ სანი და მოეწივნენ ბარათას ფარავანისა ზედა და მოკლეს იგი"[19]. ასე იძია შური ყაფლან ბარათაშვილმა და დაიბრუნა არა მარტო თავისი კუთვნილი მამულები, არამედ ბარათას ნაქონი მამულებიც მისიანკუთრა. მაგრამ ვახუშტი ბატონიშვილს ეშლება ის, რომ ყაფლან ბარათაშვილი ბარათას ძმისწული კი არ არის, არამედ ბიძაშვილია.[20]

მანამდე კი სვიმონ მეფემ , მას შემდეგ, რაც ბარათამ ყაენს უღალატა, მისცა ქაიხოსროს ბარათაშვილს ბოლნისის ზვარი, საბარათიანოს სარდლობა და მეკობრისმძებნელობა.[21] ეს 1623 წელს მოხდა. 1627 წლის სიგელში კი ეკითხულობთ: "ჩვენ, მეფემან პატრონმან სვიმონ, ვსე წყალობის წიგნი და ნიშანი გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერთგულსა და მრავალჯერად თავდადებით ნამსახურსა ბარათაშვილსა ყაფლანბეგს. მოგვადექით კარსა და თქვენივე ბიძაშვილის ბარათას ნაქონებ მამულის წყალობას დაგვეჯჯენით. გიბოძეთ ბარათას ნაქონი სოფელი ჭუაბევანი, სოფელი თეკნადი, სოფელი ძველი დმანისი, და სოფელი ფოცხვერიანი"[22]. ასევე როსტომ მეფემ უწყალობა ყაფლანს იფნობს მცხოვრები როშაქისშვილები მამულით და ფოცხვერიანში მელქისეგების ნაქონი მამული[23]. მანვე უბოძა ქვემო ბოლნისს ბარათა (ბარათაშვილის) ზვარი[24], სოფელი კიპრუჭი[25], ხოლო ლუარსაბმა, როსტომ მეფის შვილიბიძამა - ქვემო ბოლნისის ზვარი, იფნობი, მირტაშენი, გეგუთის ნახევარი და კანის ნახევარი[26]. როსტომ მეფემ განუახლა ყაფლანს იმ მამულების წყალობა, რომელიც წილად ხვდა ორბელ ბარათაშვილს იოთამ ბარათაშვილთან გაყრისას. ამ მამულს მას ისახან-სულთანი ედავებოდა, მაგრამ ყაფლანს, რადგან იგი ორბელ ბარათაშვილის ჩამომავალი იყო, კანონიერად ეკუთვნოდა ეს მამულები. მამულები კი საკმაოდ ბევრი იყო: "ტაშირი, მირთაპატი, წითელი ეკლესია, დელუ ყულიჯანის სოფელი, აკოფას სოფელი, ჭუკის სოფელი, ყოშაქილისა, შიშთაფა, დიაკენის ქვა, ჭილღი, ჭილღის წყლის აქეთ მდებარე ბიწები, ავდარასა და ბარჭალარას გამყოფი საქარავნო შარის მარჯვენივ მდებარე და

კინლუჯის ზემოთა გზის ადგილები"[27]. აი, ასე შეიძინა ყაფლანმა მამა-პაპეული მამულები, ზოგიც შეისყიდა, ზოგიც სამამულე დავის გზით დაიბრუნა. ის ძლიერი და [illegible] პიროვნება იყო და დაუღალავად იღვწოდა სათავადოს ტერიტორიული გაფართოებისათვის. მას ჰქონდა სამამულე დავა ბარათაშვილებთან, იოთამისშვილებთან, ვირშელისშვილებთან[28]. ხშირად სამამულე დავა ყაფლანის სასარგებლოდ წყდებოდა. მაგალითად, ვირშელიშვილებთან წარმოებული სამამულე დავა მან მოიგო და მას მიეკუთვნა სოფლები: "აბანო, სენები, თოფრაყალა, გოშპარისშვილის მამულის გამოკლებით, ნასოფლარი ბალჩალარი"[29] და სხვა. ასე ააშენა და გააფართოვა ყაფლან ბარათაშვილმა საყაფლანისშვილოს სათავადო.

ყაფლან ბარათაშვილი თავისი დროის ცნობილი ფიგურა იყო. იგი იყო მდივანბეგი 1634-36 წწ.[30] სახლთუხუცესი 1646 წლიდან[31]. საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდა სამეფო კარზე, ახლოს იყო როსტომ მეფესთან, რომელმაც მას მფარველობის პირობა მისცა[32]. ჰყავდა ხუთი ვაჟი - პაპუნა, ვახტანგ-ორბელი, ასლანი, თამაზი, გიორგი და ერთი ასული როდამი, რომელიც იყო თანამეცხედრე ვახტანგ მეფისა. ყაფლანის მეუღლე თამარი - ამილახვარის ასული იყო. მან დიდი ენერგია და ძალა მოახმარა ახალი სათავადოს აშენებას. ყაფლანის წინაპრების მიერ აშენებული "ქვეყანა საბარათიანო" გაოხრებული და გაპარტახებული იყო შინაური და გარეშე მტრისაგან. დანგრეული იყო სოფლები, ბევრი იყო ნასოფლარები, განადგურებული იყო ხოდაბუნები, ზვრები, ვენახები, ბაღები. ამ მხრივ დიდმა ყაფლანმა, მართლაც, დიდი სამუშაო ჩაატარა. დანგრეული სოფლები ააშენა, ნასოფლარები ხელახლა დაასახლა და საყაფლანისშვილო ერთ-ერთ ძლიერ სათავადოდ აქცია საბარათიანოში. ფიტარეთის მონასტერი ყაფლანისშვილთა საგვარეულო საძვალე იყო. ეს მონასტერიც მეორედ ააშენა და შეამკო ყაფლანმა. აქვე ჰპოვა უკანასკნელი განსასვენებელიც. მისი საფლავის ქვაზე, რომელმაც საბედნიეროდ, ჩვენამდე მოაღწია, აღნიშნულია მთელი მისი დამსახურება საყაფლანისშვილოს სათავადოს აშენების საქმეში:

"ქრისტე, შეიწყალე პატრონი ყაფლანი. ქ. წყალობითა და შეწევნითა ღმრთისაითა მე, ორბელისშვილმა ყაფლან მეორეთ შევამკე მონასტერი ესე. ბარსა და მთაში მტრისაგან გაოხრებული მკვიდრი მამული ჩემი აღვაშენე სოფელი ჲა (61 გ.მ.) და ამას გარეთ შენი მამებარა სოფელი იზ (17- გ.მ.) ესე ყოველი დაუტევე ძეთა ჩემთა ე (5 - გ.მ.) და დავემკვიდრე ამასა შინა ქრონიკონსა ტნთ"[33]. ყაფლანი 1671 წელს გარდაიცვალა. ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული დოკუმენტებიც 70-იან წლებამდე მოდის. უნდა ითქვას ისიც, რომ ყაფლანის მეოხებით სათავადოს სამეურნეო ცხოვრება სწრაფად წავიდა წინ. ამას ხელი შეუწყო როსტომ მეფის (1632-58 წწ.) მიერ წარმოებულმა ჭკვიანურმა პოლიტიკამ. ქართლის სამეფომ ამოისუნთქა, დანგრეულ და ომებისაგან გათანგულ ქვეყანას აშენების საშუალება მიეცა. ყაფლანისშვილების გავლენა როსტომ მეფის და შაჰნავაზის (ვახტანგ V) სამეფო კარზე დიდი იყო.

სწორედ ეს პერიოდი იყო ყაფლანისშვილის ფეოდალური სახლის აყვავების ხანა. მესტუმრის პირით შაჰნავაზმა შემოუთვალა ყაფლანს, რომ მისი ზვარი ბოლნისში, რომელიც ლუარსაბ ბატონისშვილს სჭერია, ისევ მას დაუბრუნა[34]. გორჯასპი ბარათაშვილისათვის მიბარებული საბუთების ნუსხაში იხსენიება როსტომ და შაჰნავაზ მეფეების მიერ ყაფლან ბარათაშვილისათვის მიბარებული საფიცრის წიგნები, "ყეენის" მიერ მიწერილი რვა რაყამი და შაჰნაზარისაგან მიღებული საფიცრის წიგნი. ეს ნუსხა 1691 წელსაა დაწერილი[35]. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ეს ისტორიული დოკუმენტები დაიკარგა. ყაფლანის ვაჟებს დიდი თანამდებობები ეჭირათ სამეფო კარზე. მისი უფროსი ვაჟი პაპუნა მოლარეთუხუცესი და სომხითის მოურავი იყო. იგი 1636-89 წწ-ში იხსენიება ისტორიულ დოკუმენტებში, 1671 წ. დოკუმენტში მოლარეთუხუცესად იწოდება[36], სომხითის მოურავად კი 1678 წლიდან[37]. ჰყავდა მეუღლე ბანგიჯასპ აბაშიძე. ისინი უშვილოები იყვნენ. პაპუნა ყაფლანისშვილიც ფიტარეთის მონასტერშია დამარხული: "მე დიდი ორბელის უხუცესი ძე, სომხითის მოურავი, საორბელოს პატრონი, საბარათიანოს დიდი თავადი, მეფის გიორგის დედის ძმა, ბატონი პაპუნა გარდავიცვალე. ძე არა მესვა, არცა ასული. ესოდენი დიდების პატრონი ამ მცირეს საფლავს დავემკვიდრე. შეძვრად ხელს ნუ მყოფთ, შენდობას ბრძანებდეთ, გევედრები. ქრონიკონს ტოზ"[38]. 1689 წელს გარდაიცვალა. 1701 წელს კი მისი მეუღლე ბანგიჯასპ აბაშიძეც

მიიცვალა, რომელიც მეუღლის სიკვდილის შემდეგ მონაზვნად აღიკვეცა ბარბარეს სახელით და ისიც ფიტარეთის მონასტერშია დამარხული.

ჯაყლანის მეორე ვაჟი ასლანი მოლარეთუხუცესი იყო 1677-97 წლებში, ხოლო 1692-97 წწ. სომხითის მოურავი[39]. ასლანი საბუთებში იწოდება დიდი ორბელ ბარათაშვილის ჩამომავლად. იგი საკმაოდ აქტიური პოლიტიკური მოღვაწე იყო.

ჯაყლანის მესამე ვაჟი ვახტანგი - იგივე ორბელი, მდივანბეგი იყო 1676-84 წლებში. მას მეუღლედ ჰყავდა ზაალ ერისთავის ასული თამარი[40]. მას უწყალობა შაჰნავაზმა ქართლის, ქალაქის, საბარათაშვილოს, სომხითის და თათრის მდივანბეგობა[41]. ჰყავდა რვა ვაჟი: სულხანი (იგივე სულხან-საბა ორბელიანი), ერასტი, ვახუშტი, ჯაყლანი, ზაალი, დემეტრე, ნიკოლოზი, ზურაბი. ისიც იღვწოდა სათავადოს გაფართოებისათვის. გიორგი XI მას უწყალობა მებაღეთუხუცეს შამფურას ნაქონი ბეითალმანი სასახლე ქალაქში და ათინას ნაქონი სახლები[42]. იყიდა ზაქუმა ალი-ყულისშვილისაგან ზემო ბოლნური ზვარი, შიოშ ბარათაშვილისაგან - ქვეშის ხევზე ჯალდამისა და ღორისთავის მამულები[43]. ასევე შეიძინა შიოშ თამაზაშვილისგან მისი მკვიდრი სოფელი ჯალდამი და ყმები: გრიგოლა, ვართანა და თამაზა პაპაშვილები მამულებით[44]. კიდევ ბევრია ვახტანგ-ორბელის ყმა-მამულის ნასყიდობის სიგელები. იურიდიულ დოკუმენტებში ხან მოწმეა, ხან დამამტკიცებელი, ხან სასამართლო დავის გამრიგე. მეფეები მას ხშირად წყალობენ, ხანაც უწერებიან. მაგალითად, მეფე გიორგი XI ვახტანგ-ორბელს ჩამოართვა რეტავანს მცხოვრები 29 გლეხი და შერმადანისშვილს მისცა, მაგრამ შემდგომ ისევ დაუბრუნა წართმეული ყმა-მამული[45]. ვახტანგ-ორბელს დიდი ავტორიტეტი და დიდი გავლენა ჰქონდა სამეფო კარზე.

ჯაყლანის მეოთხე ვაჟი თამაზი თავისი დროის გამოჩენილი და ცნობილი პიროვნება იყო. ის იყო სომხით-საბარათიანოს სარდალი[46], ზრუნავდა სათავადოს ტერიტორიული გაფართოებისათვის, ყიდულობდა ყმა-მამულს: იყიდა იაგანა ქანანაშვილისაგან ყმები[47]. ქახისხრო ბარათაშვილისაგან შეიძინა კრკონში ორი საკომლო[48]. პირობა მისცა თავის ძმას ვახტანგს გაუფრანცობის შესახებ[49]. მონაწილეობდა გივი ამილახვრისა და მისი ძმისწულის შერიგებაში[50]. გვაქვს სხვა საბუთებიც, სადაც ხან მოწმეა, ხან სასამართლო დავის გამრიგე, ხან პირობის წიგნის მიმცემი. საინტერესოა ერთი საბუთი, რომლის მიხედვითაც მისთვის მიურთმევიათ რვათუმნიანი ოქროს ხანჯალი[51].

ვერ გავარკვიეთ რა თანამდებობაზე ჰქონდა ჯაყლანის უმცროს ვაჟს გიორგის. ვიცით, რომ გიორგის ჰყავდა სამი ვაჟი: პაპუნა, გორჯასპი, ზურაბი[52]. ისიც, როგორც ყველა საჯაყლანისშვილოს წარმომადგენელი, იძენს ყმა-მამულს: იყიდა შუა ბოლნისის მამასახლისისაგან ვენახი[53]. იყიდა ხოდაბური[54], 1652 წლიდან 1679 წლამდე ჩანს ისტორიულ დოკუმენტებში, მერე ალბათ, გარდაიცვალა და ამიტომ ქრება მისი ხსენება ისტორიულ საბუთებში.

ჯაყლანისშვილ-ორბელისშვილთა გენეალოგია საკმაოდ კარგად არის შესწავლილი მ. ჭავთარიას[55] მიერ. ამიტომ მე ამას აღარ შევეხები, ვიტყვი მხოლოდ ერთს, რომ ჯაყლანისშვილ-ორბელიშვილი ერთი გვარია. XVII ს-ის I ნახევარში ძველი სათავადოს - საორბელოს ნანგრევებზე აშენებულ ახალ სათავადოს ჯაყლან ბარათაშვილმა ჩაუყარა საფუძველი. ამიტომ ამ სათავადოს საჯაყლანისშვილოს ჰქვია, ხოლო ჯაყლანიანთ სახლის წევრები ჯერ ბარათაშვილების გვარს ატარებენ, შემდეგ ჯაყლანისშვილისას, ხოლო შემდეგ კი - ორბელიან-ორბელისშვილს. ხანაც ერთი და იგივე პიროვნება ზოგ საბუთში ბარათაშვილის გვარს ატარებს, ზოგში - ჯაყლანისშვილის, ხოლო ზოგან ორბელიშვილის. მათ კარგად იციან, რომ ეს ერთი გვარია და ისინი ორბელ ბარათაშვილის ჩამომავლები არიან, რომელმაც საბარათიანოში XV ს-ში ახალ სათავადოს ჩაუყარა საფუძველი. მ. ჭავთარია წერს: „ალმოსავლეთ საქართველოს ისტორიას ორბელიანთა გვარმა მნიშვნელოვანი კვალი დაანჩნია. შესამჩნევად გაიზარდა მათი როლი XVII ს. II ნახევრიდან, როდესაც ორბელიანებმა (ბარათაშვილებს გამოეყვნენ), დააარსეს დამოუკიდებელი ფეოდალური სახლი და სახელმწიფო მართვა-გამგეობაში დაიწყეს აქტიური მონაწილეობის მიღება. ჩამოყალიბდა

ორბელიანთა დიდი ფეოდალური ოჯახი, რომელთა წარმომადგენლებიც ჩვენი კულტურისა და ქველმოქმედების ისტორიაში ყაფლანისშვილების სახელითაც არიან ცნობილი"[56].

ყაფლანისშვილ-ორბელიანები, მართლაც, აქტიური პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები იყვნენ. ეს ნათლად იკვეთება ისტორიული დოკუმენტებიდან და ნარატიული წყაროებიდან.

## ყაფლანისშვილთა სათავადოს სტრუქტურა და ყაფლანიანთ სამემკვიდრო სახელობი სამეფო კარზე

საყაფლანისშვილოს, როგორც სათავადოს, თავისი სოციალური სტრუქტურა ჰქონდა. სათავადოს სათავეში ედგა თავადი, მერე მოდიოდნენ თავადიშვილები, აზნაურები, მსახურები, გლეხები.

სათავადოს სახლის უფროსს თავადი ეწოდებოდა, სახლის წევრებს კი თავადიშვილები. ისინი საუფლისწულო მამულებზე ისხდნენ, მაგრამ სათავადოს სახლის უფროსს ემორჩილებოდნენ ყველაფერში. სათავადოს უძღებოდა სახლის უფროსი. ყაფლანისშვილებს საკუთარი აზნაურები ჰყავდათ და მსახურების დიდი რაოდენობაც, რომლებიც გლეხთა წრიდან იყვნენ გამოსული. საყაფლანისშვილოში საბატონო გლეხები იყვნენ, აქედან ზოგი ნებიერი იყო, ზოგი ნასყიდი, ზოგი ბოვანი, ზოგი თარხანი და ა.შ. სხვადასხვა კატეგორიებისა. გლეხები უამრავ გადასახადს იხდიდნენ. საყაფლანისშვილოს თავისი მოხელეები ჰყავდა: სახლთუხუცესი, ბოქაულთუხუცესი, მეჯინიბეთუხუცესი და სხვა, რომლებიც სათავადოს მართვა-გამგეობაში იღებდნენ მონაწილეობას.

თავდაპირველად საყაფლანისშვილოს სახლის უფროსი მისი დამფუძნებელი ყაფლან ბარათაშვილი იყო, მისი გარდაცვალების შემდეგ სათავადოს უფროსობა ჩაიბარა მისმა ძემ პაპუნამ, რომელიც საფლავის ქვის წარწერაში "სბარათიანის დიდ თავადად" იწოდება. 1689 წელს პაპუნას გარდაცვალების შემდეგ საყაფლანისშვილოს სათავადოს უფროსი მისი მემდევნო ძმა ასლანია. 1718 წელს, ასლანის გარდაცვალების შემდეგ კი - მამუკა ყაფლანისშვილი, ხოლო მამუკას გარდაცვალების შემდეგ - მდივანბეგი ერასტი, ვახტანგ-ორბელის ვაჟი. ერასტის შემდეგ საყაფლანისშვილოს სათავეში უდგება ქაიხოსრო ბარათაშვილი, რომელიც ერთდროულად მდივანბეგიც იყო და სომხით-საბარათიანოს სარდალიც.

სათავადო სახლის უფროსი ამავე დროს მეფის მოხელეც იყო. მას ევალებოდა სათავადოს ტერიტორიაზე გადასახადების მოკრეფა და ჯარის გამოყვანა.

ყაფლანისშვილების სამემკვიდრო სახელები ქართლის სამეფო კარზე შემდეგი იყო: მოლარეთუხუცესობა - ამ სახელოს ფლობდნენ: პაპუნა ყაფლანისშვილი-ბარათაშვილი, ასლან ყაფლანისშვილ-ბარათაშვილი. ეს უკანასკნელი მეფის სალაროს და ხაზინის გამგებელი იყო. ყაფლანისშვილთა სახელო იყო აგრეთვე სომხით-საბარათიანოს სარდლობა. სომხით-საბარათიანოს პირველი სარდალი იყო თამაზი, ყაფლანის ვაჟი, რომელიც 1701 წელს დაიღუპა ავღანელებთან ბრძოლაში. სარდალს მეფე ნიშნავდა და ირანის შაჰი ამტკიცებდა. მეფე მას დროშას და ხმალს აძლევდა. სარდალი ჯამაგირს ირანის შაჰისაგან იღებდა. სარდლის მოვალეობა იყო ომის დროს ჯარის გამოყვანა, მშვიდობიანობისას წესრთნა და სარდლის მოვალეობა იყო ომის დროს ჯარის გამოყვანა, მშვიდობიანობისას წესრთნა და ლაშქრის მზადყოფნა ომისათვის. სარდალი იყო დავით ყაფლანისშვილ-ორბელიანი, რომელიც ამავე დროს სახლთუხუცესის სახელოსაც ფლობდა. იგი იყო ერეკლე II-ის სიძე, მაგრამ სიძე-სიმამრს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ერეკლე მეფემ (1744-98 წწ.) სახლთუხუცესობაც კი წაართვა დავითს, მაგრამ სარდლის თანამდებობა ვერ ჩამოართვა, რადგან ამ სახელოს ჩამორთმევა მხოლოდ შაჰს შეეძლო. სარდლად იგი სიკვდილამდე დარჩა. სომხით-საბარათიანოს უკანასკნელი სარდალი იოანე ორბელიშვილ-ყაფლანისშვილი იყო.

ყაფლანისშვილთა სამკვიდრო სახელო იყო მდივანბეგობა. ეს იგივე მსაჯულთუხუცესი იყო, მოსამართლეთა უფროსი და სამდივნოს გამგებელი. პირველი მდივანბეგი ამ სათავადოდან თვით დიდი ყაფლანი იყო, მის შემდეგომ - მისი ვაჟი ვახტანგ-ორბელი. ამ სახელოს საყაფლანისშვილო მემკვიდრეობით ფლობდა. ასევე საყაფლანისშვილოს სამკვიდრო სახელო იყო სახლთუხუცესობა. იგი იყო მეფის სახახლის გამგე და სახახლის დაწესებულებათა მთავარი გამგებელი. სახლთუხუცესის კომპეტენციაში შედიოდა შესავალ-გასავალის აღნუსხვა. პირველი სახლთუხუცესი ყაფლანიანთ სახლიდან თვით ყაფლანი იყო, შემდეგ მისი შვილიშვილი ლუარსაბი. ხშირად სახლთუხუცესიც და სარდალიც ერთი და იგივე პირი იყო და ის უსათუოდ ყაფლანისშვილთა სახლიდან უნდა ყოფილიყო.

ყაფლანისშვილთა სახლის ხელში იყო ეშიკაღასბაშის თანამდებობა. ეს სახელო როსტომ მეფემ შემოიღო და მას საპოლიციო ფუნქცია მიანიჭა (იგივეა, რაც მანდატურთუხუცესის). პირველი ეშიკაღასბაშე იყო რევაზ ასლანის ძე ყაფლანისშვილი, ბოლო კი - ასლან ორბელიანი.

სომხითის მოურაობაც ყაფლანიანთ სახლს ჰქონდა. ყაფლანის უფროსი ძე პაპუნა სომხითის მოურავი იყო, შემდეგ - მისი ძმა ასლანი. ამ სახელოს მემკვიდრეობით ფლობდნენ. ყაფლიანთ სახლის სახელო იყო აგრეთვე მებაღახეობა. ეს იყო სამეფო ბაბალახო გადასახადების მოკრეფა. ამ სახელოს ფლობდა ვახუშტი ორბელიანი, სულხან-საბა ორბელიანის ძმა. ამას გარდა, ყაფლანიანთ სახლის წევრებს სხვადასხვა თანამდებობებიც ჭირათ სამეფო კარზე. მაგალითად, ბაზიერთუხუცესობა, მეჯინიბეთუხუცესობა და მრავალი სხვა.

### საყაფლანისშვილოს სათავადოს ტერიტორია, ყმა-მამული, მეურნეობა

საყაფლანისშვილოს სათავადო, როგორც აღვნიშნე, საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა, ეს იყო ქციის ხეობა, ზურტაკეტის ხეობა, დმანისის ხეობა (იგივე მაშავერას ხეობა). ამას გარდა, მამულები ჰქონდათ ტაშირში, ალგეთში, სომხითში. საყაფლანისშვილოს ყმებისა და სოფლების რაოდენობის დასადგენად უმთავრესი წყაროა მეწინავე დროშის, სომხითსაბარათიანოს აღწერილობა 1721 წლისა და ის სიგელ-გუჯრები, რომლებიც მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან ყაფლანისშვილ-ორბელისშვილთა მიერ ნაყიდი თუ ნაწყალობევი ყმა-მამულისა და სოფლების შესახებ.

ამ "დროშის" აღწერა ვახტანგ VI-ის ბრძანებით ჩაატარეს ვახუშტი ბატონიშვილმა და გივი თუმანიშვილმა. ამ სტატისტიკური აღწერილობის მიხედვით, საყაფლანისშვილოში შედიოდა 164 სოფელი. მწყემსი, უნდუში, ჯუმვორი, ფარჩხულუ, ჩახმახლუ, ქციღა, ბაზითაღა, სალამალეჭი - აყრილი სოფლები იყო, მაგრამ იქ კომლთა გარკვეული რაოდენობა კიღევ იყო. ხოლო ოხერი, ნაოხარი და ნასოფლარი სოფლები მთლად ცარიელი იყო. ასეთი 7 ნასოფლარი ყოფილა:. სარუჩამას სოფელი, შავი საყდარი, ჭანდარაკი, თახილ-ბითმაზი, ხანდაზის სოფელი, ხიზუას სოფელი, საჯანიანო[57]. სულ ჰყავდათ 1899 კომლი, თუმცა ბევრი იყო ბოგანო და აყრილი ყმა. ჰყავდათ აგრეთვე 101 აზნაური.

საყაფლანისშვილოს, როგორც დამოუკიდებელ სათავადოს, საკუთარი სასაფლაო-მონასტრები ჰქონდა. ეს იყო ფიტარეთის მონასტერი - ყაფლანისშვილთა საგვარეულო სამარხი და დმანისის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. XVIII ს-ის II ნახევრიდან კი ყაფლანისშვილ-ორბელიანები თბილისის სიონში იმარხებიან. ფიტარეთში ემარხნენ საყაფლანისშვილოს შემდეგი წევრები: დიდი ყაფლანი - საყაფლანისშვილოს დამაარსებელი და აღმაშენებელი, მისი ვაჟი პაპუნა, პაპუნას მეუღლე ბანგაჯანი (პაპუნამ და მისმა მეუღლემ ააშენეს ტანძიის კარის დიდი ეკლესია), სულხან-საბა ორბელიანის პირველი მეუღლე დარეჯან მუხრანბატონი, პაპუნა ორბელისშვილის მეუღლე ანა, ვახტანგ-ორბელი (მან ააშენა ტანძიის კარის პატარა ეკლესია), ქაიხოსრო ორბელისშვილის პირველი მეუღლე და მეორე მეუღლე თინათინი[58].

ყაფლანისშვილებს სახახლეები ედგათ: ტანძიაში, დმანისში, თბილისში.

ყაფლანისშვილთა საგვარეულო ციხეები იყო: დმანისის ციხე, ქვეშის ციხე, ხულუტუს ციხე (ყაფლანის აშენებულია).

საყაფლანიშვილოს მეურნეობაზე წარმოდგენას გვიქმნიან სიგელ-გუჯრები და ნარატიული წყაროები. მაგალითად, საყაფლანისშვილის დავთარი[59], რომელიც გადასახადების ნუსხაა; ამ დავთრის მიხედვით, საყაფლანისშვილოში მოჰყავდათ მარცვლეული კულტურებიდან: ხორბალი, ქერი, ფეტვი, ასლი. ტექნიკური კულტურებიდან კი - სელი, ბამბა, ბრინჯი. ჰქონდათ ხოდაბუნები, ვენახები, ზვრები. ამ მხარის მაღალ ნაყოფიერებას აღნიშნავდა ვახუშტი: "ქციის ხრამი ნახიდურამდე უმეტეს განიერი. აქ ნაყოფიერებს სხვათა ადგილთაგან მეტად ბრიწეული, ლეღვი, ზეთისხილი და სხვანი ხილნი. არს ქციას შინა თევზთა სიმრავლე, ფრიადი და გემოიანი. პირუტყვნი უამრავნი. ამერ და იმერ დაბნებიანი - არის აქ ფრინველთა სიმრავლე შინაურ-გარეულთა და უფროს კაკაბთა"[60].

ვახუშტი იმასაც აღნიშნავს, რომ იქ მარცვლეულიც მოჰყავდათ, აბრეშუმიც, ბამბაც, ხოლო მესაქონლეობა და მეფრინველეობა კარგად იყო განვითარებული. აი, რას წერს იგი: "ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი თესლთა, ხილნი წალკოტთა და მტილთა უმეტესი და

მრავალნი აბრეშუმი და ბამბა მრავალი. პირუტყვნი აქლემიდან თხამდე ყოველნი. ფრინველნი გარეულ-შინაურნი, ყოველნი აურაცხელნი და ფრინველთა სანადირო წარჩინებულთა ყოველთაგან“[61]. ამ ამონაწერიდან იოლად შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ საყაფლანისშვილო და საერთოდ, საბარათიანო, იმდროინდელ აღმოსავლეთ საქართველოში ეკონომიკურად ერთ-ერთი დაწინაურებული მხარე იყო. მარცვლეული კულტურის მოყვანა წამყვანი დარგი იყო საყაფლანისშვილოში. განვითარებული იყო მევენახეობაც. საბუთებიდან კარგად ჩანს, რომ ყაფლანისშვილებს ვენახები და ზვრები ჰქონდათ ბოლნისს, დმანისს, წულრუდაშენს, ტანძიას. მისდევდნენ ბამბისა და აბრეშუმის დამზადებას. ჰქონდათ შესანიშნავი ხილის ბაღები. განვითარების მაღალ დონეზე ჩანს მესაქონლეობა - “აქლემიდან თხამდე“ მოყოლებული დიდი რაოდენობით ყველანაირი პირუტყვი ჰყოლიათ. განვითარებული ჩანს მეთევზეობა. მეურნეობის დამხმარე დარგად არის მიჩნეული ნადირობა - განსაკუთრებით გარეულ ფრინველებზე. მრავალად ჰყოლიათ მოშენებული შინაური ფრინველი. საყაფლანისშვილოს საძოვრების დიდი რაოდენობა ჰქონდა. ჰყავდათ საკუთარი რემები, ჯოგები, ხახორები, ფარები. განსაკუთრებით განვითარებული იყო მეცხვარეობა. დმანისის სანახებზე ვახუშტი წერდა: “ფრიად ნაყოფიერი ყოველთაგე ვენახ-ხილითა, თესლ-მარცვლითა“[62].

ხელოსნობის რა დარგები იყო განვითარებული საყაფლანისშვილოში, ამის თქმა ძნელია. როგორც წესი, მეთუნეობა და მჭედლობა რომ იქნებოდა, ეს ცხადია. ყაფლანისშვილის ყმებში ვხვდებით - ხელოსანს, მჭედელს, ყეიქარს, მღებავს. ქვის დამუშავება რომ მაღალ დონეზე იყო ასული, ამას ამ მხარეში აშენებული უამრავი ეკლესია-მონასტერი მოწმობს. მარტო ფიტარეთის ღვთისმშობლის ტაძრის ჩუქურთმები რად ღირს ქვაზე კვეთის შესანიშნავი ნიმუშებია ფიტარეთის მონასტრის საფლავის ქვები და მათზე ამოკვეთილი წარწერები. იქნებოდნენ ხითხუროებიც. განვითარებული იყო სამთამადნო მრეწველობა. ვახუშტი წერდა: “დმანისის ქუეით ჩრდილოთ კერძ ხიწოს ხევი. აქ ითხრების ლითონი რკინისა და სპილენძისა და ლაჟვარდისა“[63]. ვახუშტი აღნიშნავს კიდევ სამკურნალო წყლების (ალბათ, მინერალური წყლების) არსებობას დმანისის სანახებში: “არს აქ წყარო, რომელი ჰკურნავს მუწუკთა. აქვა არს წყარო, რომელი დაამსხვრევს ქვასა შორიმისასა და დააყრევინებს სმითა“[64]. ვახუშტისვე აქვს კიდევ ერთი ცნობაც: “ჴევჯავის ხევსა არს კლდე სპეტაკი და მისგან სცვივა ბროლი გაოლილი კუთხედ, მწყვეტი ორ კერძი“[65]. აქ მოხმობილი მასალის მიხედვითაც, საბარათიანო და კერძოდ, საყაფლანისშვილოს სათავადო ძლიერი და ეკონომიკურად დაწინაურებული მხარე ჩანს, სადაც სოფლის მეურნეობა, მესაქონლეობა და ხელოსნობა საკმაოდ განვითარებულია.

განვითარებული ჩანს ვაჭრობაც, რადგან საყაფლანისშვილოზე გადიოდა სავაჭრო-საქარავნო გზა, რომლის ერთ-ერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი ყაფლანისშვილების კუთვნილი ქალაქი დმანისი იყო. ყაფლანისშვილებს სერიოზული შემოსავალი ჰქონდათ ბაჟის სახით. ბაჟს იღებდნენ როგორც შეტანილ, ისე გატანილ საქონელზე. საბაჟო იყო დმანისის ხეობის მეორე მნიშვნელოვან ცენტრში, ქვეშის ციხეშიც. დმანისის საბაჟოს ნახევარი 1536 წელს გაყრის დროს შეხვდა ორბელს. XVII ს-ის მეორე ნახევრიდან კი ეს საბაჟო სულ ყაფლანიანთ ხელშია: “ყაფლანისშვილები მთელ სომხით-საბარათიანოს ვაჭრობას უწევდნენ კონტროლს... ყაფლანისშვილები ბაჟს იღებდნენ არა მარტო იქ გატარებულ საქონელზე ან იქიდან გატანილზე, არამედ აქ გასაყიდელ საქონელზე“[66] - წერდა გ. ჯაბურია. ამას აღნიშნავენ კიდეც ყაფლანისშვილები ერთ-ერთ საბუთში. “ქ. ბოლნისზე და თრიალეთზე, რაც ქარავანი გაიელის, ბაჟი სულ ჩვენია. აბრეშუმზე - აბაზი, ენდროზე და ბამბაზე - ოცი შაური, ფარჩაზე - ექვსი შაური, ხიზილალაზე, თევზზე ერთი შაური, ბრინჯზე - ერთი შაური“[67]. საყაფლანისშვილოდან გასაყიდად გაჭენდათ თაფლი, ბამბა, ბრინჯი.

საყაფლანისშვილოს გამოსაღებში ნატურალურ რენტასთან ერთად ფულადი რენტაც ჩანს. ფულად გამოსაღებში მთავარი ადგილი ეჭირა მალს (სულადი გამოსაღები) და სასვიანოს (საკოლო გამოსაღები). თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ფული შემოსდიოდათ საბაჟოებიდანაც, ყაფლანისშვილების კარგი ეკონომიკური მდგომარეობა გასაგებია. ამიტომ ისინი მუდამ ჰპატებდნენ ყმა-მამულს თავიანთ ძირითად ქონებას.

XVIII ს-ის 70-იან წლებში ქართლში მძიმე ვითარება შეიქმნა. ვახტანგ VI-ის დიპლომატიურ მარცხი განიცადა. ქართლი ოსმალებმა დაიპყრეს. ქართლის გამგებელი ისაყ-ფაშა გახდა. პაპუნა ორბელიანი წერდა, რომ ქართლი ოსმალებმა აღწერეს და მძიმედ დახარკეს: "კაცის სულზე დრაჰკანი, ცხვარზე ორი შაური, ძროხაზე - აბაზი, კამეჩზე და ცხვარზე - ექვსი შაური"[68]. მდივანბეგი ერასტი ყაფლანისშვილი, რომელიც ამ დროს სათავადოს უფროსი იყო, ოსმალთა სამსახურში შევიდა. ასევე მოქცა ერასტის მომდევნო საყაფლანისშვილოს სახლის უფროსი ქაიხოსრო ყაფლანისშვილიც. მეტი გამოსავალი არ იყო. სხვანაირად სათავადოს ინტერესებს ვერ დაიცავდა და ვერც დაიფარავდა ოსმალთა აოხრებისაგან. 1723 წელს დაწყებული ოსმალობა 1735 წელს ყიზილბაშობამ შეცვალა. თითქოს გარეშე მტერი არა ქმარობდა, საყაფლანისშვილოში ყეოდალური შინაომები მიმდინარეობდა. სათავადოს უფროსი ქაიხოსრო ებრძოდა დემეტრე ყაფლანისშვილის ოჯახს. ქაიხოსრომ საეთო ქონება მითვისა და თავისი სახლიკაცები შეავიწროვა. მოინდომა მათი შეპყრობა და დაიჭირა კიდეც ხაალი და მისი ძმები, მაგრამ ერთმა ძმამ, ყაფლანმა გაასწრო და ნადირ-შაჰთან მივიდა. ქაიხოსრომ ვეღარ გაბედა ყაფლანის სახლიკაცების დახოცვა.

ყიზილბაშობა უფრო მძიმე გამოდგა, ვიდრე ოსმალობა. ყიზილბაშებმა უფრო დიდი ხარკი დაადეს ქართლს. საყაფლანისშვილო მძიმე დღეში ჩავარდა.

1742 წელს გივი ამილახვარი აჯანყდა ყიზილბაშების წინააღმდეგ, მაგრამ ქაიხოსროს მეთაურობით საყაფლანისშვილო შაჰის ერთგული დარჩა. მხოლოდ ის ნაწილი ყაფლანისშვილ-ორბელისშვილებისა, რომელიც უკმაყოფილო იყო ქაიხოსროს პოლიტიკით, გივი ამილახვარს მიუდგა. საყაფლანისშვილო "შეუძერელი სახლი იყო". ბევრი მტერი ჰყავდათ. "ყიზილბაშობასაც" ეგუებოდნენ და „ოსმალობასაც", ოღონდ სათავადო დაეცვათ დარბევისაგან. გივი ამილახვარი იმიტომ გადაუკიდა ქაიხოსროს ორბელისშვილს, რომ ქაიხოსრომ ჩაშალა ერეკლე ბატონიშვილის ქორწინება გივი ამილახვრის ცოლისძმისშვილთან. გივი ამილახვარმა, მართლაც, გააჯერანა საყაფლანისშვილო. იქირავა ლეკის ჯარი და საყაფლანისშვილო მოაოხრებინა. დიდი ზარალი მოუვიდა საყაფლანისშვილოს იმ ბრძოლების დროსაც, რომელიც წარმოებდა ერეკლე მეფესა და აბდულა-ბეგს შორის. 1747-48 წლებში. ნაწილი ყაფლანისშვილ-ორბელისშვილებისა ერეკლე მეფის მხარეზე იყო, ნაწილი - აბდულა-ბეგისა. ბრძოლის ასპარეზს ხშირად საყაფლანისშვილო წარმოადგენდა. ამ მოვლენაზე წერდა პაპუნა ორბელიანი: "შეწუხდა სომხითის ხეობა. ვეღარ შესძლეს დგომა ქვეყნასა თვსთა"[69]. ორბელიანთა ერთ დროს აყვავებული მამულები ისე დაიცალა, რომ "დმანისის და ფიტარეთის მეტი შენობა აღარსად იყო"[70]. 1752 წელს ფიტარეთიც დაარბიეს ლეკებმა: "აღიღეს ციხე ფიტარეთის ლეკთა და იავარყვეს საქონელი ურიცხვი საყდრისა. წაახხეს ტყვე ფრიადი"[71]. მართლაც, საყაფლანისშვილოს სათავადო ყაფლანისშვილ-ორბელისშვილთა საცხოვრებლად აღარ ვარგოდა. ეს სათავადო, რომელიც XVII ს-ის II ნახევარსა და XVIII ს-ის დასაწყისში საბარათიანო ყველაზე დიდი და ძლიერი სათავადო იყო, ფაქტიურად, გაანადგურების პირას იყო მისული. როდესაც ელიზბარ ყაფლანისშვილს ქარავანზე თავდასხმა დაუბარალეს და სიკვდილით დასაჯეს, ყაფლანისშვილთა სამივე ოჯახი დაუყოვნებლივე აიყარა ტანძიიდან და საცხოვრებლად ქალაქ თბილისში გადმოვიდა. 1744 წელს თეიმურაზ II აღადგინა ყაფლანიანთ სახლის რიგი - "თეიმურაზ მეფეს მოეწონებია მოესპო ეს გაუთავებელი დავა, რომელიც დიდი ხანია, მიმდინარეობდა ყაფლანიანთ სახლში და, რომელიც გამოწვეული ყოფილა "ავის დროის გამოისობით". თეიმურაზ II ყაფლანისშვილები "ერთმანეთს ნებაყოფლობით ისევ ძმობაზე და სახლიკაცობაზედ" გაარიგა"[72]. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე საყაფლანისშვილოს სახლის წევრები ისევ დაუპირისპირდნენ და გადაემტერნენ ერთმანეთს.

1772 წელს გამომჟღავნდა შეთქმულება ერეკლე II წინააღმდეგ. ამ შეთქმულების ერთ-ერთი მოთავე ზაალ ყაფლანისშვილიც ყოფილა. შეთქმულებაში მისი მონაწილეობის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ მისი სახლიკაცები: რევაზ სარდალი, სახლთუხუცესი დავითი და ეშიკაღასბაში დიმიტრი უფრო დაახლოებულნი ყოფილან მეფესთან, ვიდრე თვითონ ზაალი. ამის გამო განაწყენებულს მიუღია მონაწილეობა შეთქმულებაში.

ტახტისათვის ბრძოლამ უკანასკნელი ლახვარი ჩასცა ყაფლანისშვილოთა სათავადოს არსებობას. ყაფლანისშვილ-ორბელისშვილოთა ნაწილი ერთ ბატონიშვილს უჭერდა მხარს,

ნაწილი - მეორე ბატონიშვილს. ფეოდალური შინაომები სათავადოს აჩანაგებდა. XVIII ს-ს ბოლო წლები მძიმე იყო სათავადოსათვის. სადღა იყო ყაფლანისშვილთა ძველი დიდება და ძლიერება? საყაფლანისშვილოს ერთ დროს აყვავებული ეკონომიკა დაეცა, სოფლის მეურნეობა მოიშალა, საყაფლანისშვილო გაპარტახდა, მოსახლეობისაგან დაიცალა და იქ თანდათანობით უცხო ეთნოსი დამკვიდრდა. საყაფლანისშვილოს სათავადომ, როგორც ადმინისტრაციულ-პოლიტიკურმა ერთეულმა, არსებობა შეწყვიტა 1801 წლის შემდეგ, როდესაც რუსეთმა დაიპყრო აღმოსავლეთ საქართველო და მალე თავისი ადმინისტრაციული დაყოფის სისტემა შემოიღო და ქართლ-კახეთის სამეფო ორ გუბერნიად აქცია. დაპყრობილი ქვეყნის ტერიტორია მაზრებად დაყო, ხოლო სათავადოები და სამოურავოები, როგორც მმართველობის ადგილობრივი, ეროვნული ერთეულები, გააუქმა. თანაც სათავადოებსაც თავისი ყავლი გაუვიდათ და აღარ აკმაყოფილებდნენ დროის მოთხოვნებს. ასეთია ყაფლანისშვილთა სათავადოს ისტორია.

მაგრამ ის აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ყაფლანისშვილ-ორბელისშვილთა ძველმა და დიდებულმა გვარმა არაერთი გამოჩენილი მოღვაწე მისცა საქართველოს. ჩამოვთვალოთ ზოგიერთი მათგანი: ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანი; პოეტი დიმიტრი ორბელიანი; მემუარისტი ვახტანგ ორბელიანი; ჰაგიოგრაფი, ჰიმნოგრაფი და ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, კათალიკოსი ბესარიონ ორბელიანი; მწიგნობარი, ლექსიკოგრაფი - ზაალ-ზოსიმე ორბელიანი; პოეტი, მწიგნობარი მზეჭაბუკ ორბელიანი; ცნობილი ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი; პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგ-პუბლიცისტი ალექსანდრე ორბელიანი; პოეტი, მთარგმნელი გიორგი ორბელიანი; ქართული რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი პოეტი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ორბელიანი; რომანტიკოსი-პოეტი ვახტანგ ორბელიანი და სხვანი.

1. გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1955, გვ. 135.
2. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973, გვ. 33.
3. ს. ჯანაშია შრომები, ტ. II, თბილისი, 1952, გვ. 481.
4. გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1955, გვ. 7.
5. ვ. სილოგავა, ქვემო ქართლის წარწერები, დმანისი II, 2000, გვ. 246-247.
6. ვ. სილოგავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 249.
7. ქართული სამართლის ძეგლები, IV სასამართლო განჩინებანი (XVI-XVII სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ი. დოლიძემ, □ 7, 1972, გვ. 43.
8. ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, თბილისი, 1913, გვ. 37.
9. ხ.ი. ფ. AD 1299.
10. ცსსა ფ. 1950 11-112.
11. ხ.ი. ფ. HD 10 381.
12. გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1955, გვ. 20.
13. ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წ. III, 1913 გვ. 38.
14. ვახუშტი ბატონისშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 385.
15. იქვე.
16. იქვე, გვ. 386-387.
17. იქვე.
18. დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან. თბილისი, 1955, გვ. 133.
19. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 428.
20. ცსსა. ფ. 1450 15-132.
21. ცსსა ფ. 1450 12-106.
22. ცსსა ფ. 1450 15-132.
23. ცსსა ფ. 1450 15-131
24. ც.ი. ფ. HD 14 476
25. ცსსა ფ. 1450 15-127.
26. ცსსა ფ. 1450 15-109.
27. ცსსა ფ. 1450 15-140, ფ. 1450 15-100.
28. ხ.ი. ფ. SD 794, ფ. HD 14 184, ფ. SD 539.

29. ხ.ი. ფ. SD 534.30. ხ.ი. ფ. QD 8237, ცხსა 1449-2649, ხ.ი. ფ. HD 14476.
31. ხ.ი. ფ. SD 744, ფ. შ□ 794, ფ. HD 14 284, ფ. QD 503 და სხვა.
32. ხ.ი. ფ. HD 1919.
33. გ. მჭედლიძე, ფიტარეთის მონასტრის ისტორიიდან (ფიტარეთის მონასტრის საფლავის ქვების წარწერები), მრავალთავი, XVIII. 1999. გვ. 459.
34. ცხსა ფ. 1450 15-111.
35. ხ.ი. ფ. SD 1931.
36. ხ.ი. ფ. AD 85.
37. ცხსა ფ. 1450 21-41.
38. გ. მჭედლიძე, ფიტარეთის მონასტრის ისტორიიდან. მრავალთავი XVIII, 1999 გვ. 458.
39. ხ.ი. ფ. AD 1357, ფ. HD 9439, ცხსა ფ. 1448-57 და სხვ.
40. ხ.ი. ფ. SD 2300, SD 2301.
41. ხ.ი. ფ. SD 536.
42. ხ.ი. ფ. SD 536.
43. ხ.ი. ფ. SD 537, HD 13106.
44. ხ.ი. ფ. SD 2298.
45. ცხსა ფ. 1450 38-29.47. ხ.ი. ფ. QD 871-3.
48. ცხსა ფ. 1450 10-180.
49. ხ.ი. ფ. SD 572-ა.
50. ხ.ი. ფ. HD 10 068.
51. ხ.ი. ფ. HD 15081
52. ხ.ი. ფ. SD 623, შ□ 625.
53. ხ.ი. ფ. SD 623.
54. ხ.ი. ფ. HD 6683.
55. მ. ქავთარია, ყაფლანისშვილთა სახლის გენეალოგია, წერილი პირველი, მრავალთავი, XIV, 1987. ორბელიშვილთა (ყაფლანისშვილთა) ფეოდალური სახლის ისტორია, მრავალთავი XVI. 1990 წ.
56. მ. ქავთარია. ყაფლანისშვილთა სახლის გენეალოგია. წერილი პირველი, მრავალთავი XIV 1987, გვ. 115.
57. მასალანი, საქართველოს სტატისტიკური აღწერილობა მეთვრამეტე საუკუნეში. აღწერა მეწინავე დროშის საბარათაშვილოსა და სომხითისა, შედგენილი ვახტანგ VI ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილისა და გივი თუმანიშვილის მიერ 1721 წ., თბილისი, 1907, გვ. 159-224.
58. გ. მჭედლიძე, ფიტარეთის მონასტრის საფლავის ქვის წარწერები. მრავალთავი, XVIII, 1999., გვ. 457-462.
59. ხ.ი. ფ. HD 1365.
60. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება. ტ. IV, 1973, გვ. 323.
61. ვახუშტი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 324.
62. ვახუშტი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 316.
63. ვახუშტი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 315.
64. იქვე.
65. ვახუშტი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 323.
66. გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 109.
67. თ. ჟორდანია, ქრონიკები II, 1897, გვ. 443.
68. პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, 1971, გვ. 211.
69. პაპუნა ორბელიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 139.
70. იქვე, გვ. 200.
71. პაპუნა ორბელიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 200.
72. გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 173.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

G. MCHEDLIDZE

# FROM THE HISTORY OF SENIORIA OF SAKHAPLANISHVILO

SUMMARY

Sakhaplanishvilo as an independent senioria formed at the second half of XVII century. It's founder was Khaplan Baratashvili, which instead of destroyed and devastated senioria formed the large and strong one. The Khaplanishvili's-Orbelishvili's had the great posts in the royal palace of Kartli kingdom - mdivanbegi, sakhltukhutsesi, the mouravi of Somkhit-Sabaratiano, the commander of Somkhit-Sabaratiano, Eshikagasbashi and others. The Khaplanishvili's had a great influence.

In XVIII in century the Ottoman's and Qizilbash's invations, the vaids from the part of, the Leks and the incessant civil wars devastated the strong senioria of Khaplanishvili's.

The senioria of Khaplanishvili's as an independent administrative-political organization, stopped it's existence in 1801, when Russia conquered East Georgia and introduced it's system of administration and the seniorias and samouravos as local national administrative ones abolished.

ნანა მშვიდობაძე

# საქართველოს უზენაესი მმართველობის საერთო კრების მრჩევლების პასუხი სენატორ მეჩნიკოვის ინსტრუქციაზე, როგორც წყარო ქართული დიპლომატიკის ისტორიისათვის

საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივის უზენაესი მმართველობის საერთო კრების ფონდში დაცულია სენატორ მეჩნიკოვის მიერ შედგენილი ინსტრუქცია, რომელშიც ქართული სამეფო სიგელების დედნობა- ნატყუარობის დადგენის საშუალებანია მოცემული[1]. ამავე ფონდში ინახება ქართველ მრჩევლთა წერილობითი პასუხი მეჩნიკოვის ინსტრუქციაზე[2]. ინსტრუქციის შედგენა, ისევე როგორც მასზე პასუხების გაცემა რუსული მმართველობის ორგანოებში პირადი და ქონებრივი უფლებების დასამტკიცებლად წარდგენილ დოკუმენტთა შორის ყალბი საბუთების გამოვლენამ განაპირობა.

1830 წლის მაისში გაბაშვილმა აცნობა თბილისის გუბერნატორს, რომ თბილისში მეფეთა ყალბი სიგელების საფუძველზე თავადობა და აზნაურობა მიენიჭა რამოდენიმე პირს. მისი დასმენით დააპატიმრეს 16 კაცი. ზოგი დაპატიმრებულთაგანი მაშინვე გამოუცხადა და აღიარა, რომ საქართველოს დეპუტატების საკრებულოსა და უზენაეს მმართველობაში რამოდენიმე პირი უკვე დამტკიცებული იყო თავადად და აზნაურად, მაგრამ საქმის ნელი წარმოების გამო იყვნენ. რუსეთის ხელისუფლების მიერ საბოლოოდ დამტკიცებულნი არ არიან.

ყალბისქმნა გამოვლინდა იმერეთშიც.

მაშინვე შეიქმნა საგამოძიებო კომისია, რომელიც ქართული სიგელების მცოდნე ხუთი პირისაგან შედგებოდა. კომისიას ჩვეულებრივი საგამოძიებო გზით სრულიად ადვილად შეეძლო გამოევლინა ყალბი საბუთებიცა და სიყალბესთან დაკავშირებული პირებიც. მაგრამ სენატორმა მეჩნიკოვმა, რომელიც იმხანად აწარმოებდა სარევიზიო მუშაობას საქართველოში, საგანგებო მოხსენებით მიმართა იუსტიციის მინისტრს ბენკენდორფს, რომელშიც ითხოვდა, რომ მინისტრს, ეს ამბავის როგორც დიდი ბოროტმოქმედება, ეცნობებინა ხელმწიფეს იმპერატორისათვის და გამოეთხოვა საქართველოს თავადაზნაურობის საქმეების შეჩერების უფლება ყველა სამთავრობო უწყებაში.

1830 XI. 29 დადგენილების ძალით, რომელიც მინისტრთა კომიტეტის უმაღლესად დამტკიცებულ აზრს ემყარებოდა, შეიქმნა საქართველოს მეფეების სიგელების საგამოძიებო კომისია, შეჩერებულ იქნა ყველა საქმე, რომელიც საქართველოს მეფეთა სიგელებს ემყარებოდა[3].

სენატის 1831. VII. 7 უკაზის საფუძველზე სიგელების განმხილველი კომისია შეიქმნა ჭეთაისშიც[4].

ჯერ კიდევ 1830 XI. 29 შექმნილი კომისია მიმართავდა მცოდნე პირებს, აღენუსხათ და მოეწოდებინათ მეფეთა მიერ ბოძებული სიგელების დედნები, რომ შედარების გზით დაედგინათ წარმოდგენილი საბუთის დედნობა-ნატყუარობა, მოითხოვდნენ აღუწერათ ქართული სიგელ-გუჯრებისათვის დამახასიათებელი ნიშან თვისებანი, მაგრამ დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღეს. ბოლოს, მიმართეს თვით სენატორ მეჩნიკოვს, სიგელების საგამოძიებო საქმის ინიციატორს, შეედგინა ინსტრუქცია, რომელიც დაეხმარებოდა კომისიის წევრებს სიგელების ძიების, მათი დედნობა-ნატყუარობის დადგენის

[1] სსცსა ფ1 ს. 728, ფრ. 100r-102v.

[2] იქვე: ფრ.: 106r-111v.

[3] В.Н. Иваненко, Гражданское управление закавказьем. Ист. очерк. Тифлис, 1901, 180-83.

[4] А.Я. Введенский, Подлог и фальсификация исторических документов в грузии в первой половине XIX в. Тр. Тбилисск. гос. университета, т. XV, 1940, 61.

საქმეში[5]. მისი ინსტრუქცია წარმოდგენილია საქართველოს მთავარმართებლისადმი გამოგზავნილ სენატის 1832. VII. 7 უკაზში. მასში მეფეთა სიგელების ძიების – მათი „ღირსების“ – დედნობა-ნატყუარობის გამოვლენის საშუალებანი კითხვების სახით არის ჩამოყალიბებული: "изъяснены способы предлагаемые г. сенатором Мечниковым к раскрытию достоинства грузинских царских документов"[6]. მეჩნიკოვის ინსტრუქციაზე პასუხი საქართველოს უზენაესი მმართველობის საერთო კრებამ ქართველ მრჩევლებს დაავალა. მათი ნაშრომი უნდა გამხდარიყო სახელმძღვანელო წესი საბუთების ნამდვილობის ძიების საქმეში[7]. 1834. VII. 27 საერთო კრების მრჩევლებმა თავიანთი ნაშრომი – პასუხი ინსტრუქციაზე ე.წ. "отзыв", წარუდგინეს საერთო კრებას[8]. საერთო კრებამ 1834. VIII. 11 მეჩნიკოვის ინსტრუქციაზე მრჩევლთა პასუხი განხილვის შემდეგ იგი საერთო კრებამ 1834. VIII. 11 მთავარმართებელს წარუდგინა[9], რომელმაც ის 1835. VIII. 12 დაამტკიცა[10].

მეჩნიკოვის ინსტრუქცია-კითხვები საქმის დიდი ცოდნით არის შედგენილი და თვალისწინებს დიპლომატიკის ყოველ იმდროინდელ მიღწევას. მაგრამ არც ამ ინსტრუქციას, არც მისი ინიციატივით შექმნილ სიგელების საგამოძიებო კომისიის მუშაობას რაიმე განსაკუთრებული როლი ქართული დიპლომატიკის განვითარებაში არ შეუსრულებია.

მრჩევლთა პასუხები-სახელმძღვანელო წესი სიგელების ძიების საქმეში წარმოდგენილია პარალელური ქართულ-რუსული ტექსტებით. ხელს აწერენ შემდგენელი ავტორები, – კომისიის წევრები – საერთო კრების მრჩევლები დიმიტრი თარხან-მოურავი, დავით აფხაზი, ალექსანდრე სუმბათაშვილი, დავით ბარათაშვილი, სამარაღდონ ორბელიანი[11]. რუსული თარგმანი, რომელიც აღმასრულებელი ექსპედიციის მთარგმნელს ენაკოლოფაშველს ეკუთვნის, 1940 წელს თბილისის უნივერსიტეტის შრომებში მეცნიერული გამოკვლევით გამოაქვეყნა ა.ა. ვედენსკიმ (А.Я. Введенский, Подлог и фальсификация исторических документов в Грузии в первой половине XIX в. – თბილისის უნ-ტის შრ. XV. 1940 გვ. 40-79) მეცნიერი თვლის, *რომ მრჩევლთა პასუხი მეჩნიკოვის ინსტრუქციაზე არის არა მხოლოდ ქართული, არამედ* რუსული დიპლომატიკის თვალსაჩინო ძეგლი, მისი აზრით, ნატყუარი და ნამდვილი დოკუმენტების ერთმანეთისაგან გარჩევის ხელოვნება, ერთი მხრივ ემყარება ქართველ მრჩევლების ემპირიულ ცოდნას, რომელიც მათ, როგორც ექსპერტებსა და კონსულტანტებს, ათასობით დოკუმენტის ნამდვილობის ძიების დროს დაუგროვდათ, მეორე მხრივ, სენატორ მეჩნიკოვის მიერ თბილისის საგამოძიებო კომისიაში ჩამოტანილ სენატის დეპარტამენტის რუსული კანცელარიის მოხელეთა გამოცდილებას. მას რუსული მმართველობის ორგანოებში ქართული სიგელ-გუჯრების კვლევა ყალბი საბუთების გამოვლენის მიზნით, ქართული დიპლომატიკის საწყისად მიაჩნია. სამწუხაროდ, მეცნიერს ვერ შეუნიშნავს, რომ ქართველ მრჩევლების ცოდნა, საქართველოში საუკუნეების მანძილზე შემუშავებულ საბუთის შედგენის მტკიცედ დადგენილ წესს ემყარებოდა. ბევრმა ქართველმა, განსაკუთრებით სამეფო კარზე ნამსახურმა მოხელე ქართველებმა, საერთო კრების მრჩევლებმა, კარგად იცოდნენ საბუთების შედგენა, ქართული სამეფო წყობილება და მმართველობა. ყალბი საბუთების გამოვლენისა და გაცნობების ფაქტები ჩვენში XV საუკუნემდა დადასტურებული[12]. მრჩევლების ცოდნა მათ მიერ მეჩნიკოვის ინსტრუქციაზე დაწერილ პასუხებში გამოჩნდება. ინსტრუქციაში დასმული კითხვები, გარკვეული წილად, შემოყვარგლავდა და ვერც ავლენდა მრჩევლების ცოდნას მთლიანად. ნაშრომი თავისი დროის მოთხოვნილებას პასუხობდა. ა. ვედენსკი აანალიზებს ქართველ მრჩევლთა მიერ შემუშავებულ პასუხს, სამართლიანად მიაჩნია იგი პირველ ქართულ დიპლომატიკურ ნაშრომად, რომელსაც დიპლომატიკურ ტრაქტატს უწოდებს და ასკვნის, რომ იგი XIX ს. დასაწყისის დიპლომატიკური მეცნიერების მიღწევებს უახლოვდება.

ნაშრომი 16 წესს, პასუხს შეიცავს. „წესები“ განზოგადოებული სახით არის მოცემული. წინადადებები აგებულია რუსული წყობით, რაც რუსული ინსტრუქციის გავლენით, საქმის რუსული წარმოებით, პასუხებში სიზუსტის დაცვის აუცილებლობით

[5] А.Я. Введенский, დასახ. ნაშრ., 62.
[6] სსცსა ფ1 ს. 728, ფურ. 128.
[7] იქვე, 113ტ-v.
[8] იქვე, 105ტ-v.
[9] იქვე, 105ტ.
[10] А.Я. Введенский, დასახ. ნაშრ., 68.
[11] სსცსა იქვე, 106ტ-111v.
[12] გ.გ. ბერძნიშვილი, ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროები. თბ. 1989.

შეიძლება აიხსნას. ერთმანეთისაგან გამოჯნულია საჯარო და კერძო უფლებრივი აქტები. საქართველოს მეფეების მიერ გაცემული საბუთები, გარეგნული ნიშნის მიხედვით, სამ ცალკეულ სახეობად არის წარმოდგენილი. 1) წყალობისა და შეწირულების სიგელები – „მეფეთაგან ნაბოძები ღრამოტები", 2) ბარათნი, ოქმნი და ზედაწარწერანი ანუ რეზოლუციანი მეფეთანი არზებთა ზედა კერძოთა კაცთათა, გინა საზოგადოთ საქართველოს ხალხთათა მოწერილნი, და 3) წერილნი – სხუა და სხუა გუარნი. „პირობისა, შეკრულობისა ანუ მორიგებისა, გინა განაჩენნი, დაწერილნი კერძოთა კაცთა შორის", რომელნიც მეფეს უნდა დაემტკიცებინა. ნახსენები დოკუმენტების გამაერთიანებელი ქართული „წერილნი" – რუსულ ენაზე თარგმნილია სიტყვით "Акт". მთავარი ყურადღება მტკიცებით ნაწილს, სიმტკიცის ნიშნებს ექცევა. დრო განსაზღვრულია ზოგადად „ძველ, ახალ, და უახლესთა დროთა შინა", მეფის სიგელის აღსანიშნავად, ყველგან იხმარება სიტყვა „ღრამოტა", ტიტული – „ტიტლო".

ქართველი მოხელეების საერთო კრების მრჩევლების მიერ ქართულ ენაზე შედგენილი დიპლომატიკური ნაშრომი, რომელშიც პრაქტიკული დიპლომატიკის საკითხები ერთად არის თავმოყრილი, დღემდე მხოლოდ რუსული თარგმანით არის ცნობილი. იგი საინტერესო ძეგლია ქართული დიპლომატიკის ისტორიისა და ქართული დიპლომატიკის მკვლევართათვის.

მომაქვს მრჩეველთა ნაშრომი. პასუხი მენიკოვის ინსტრუქციაზე. ორთოგრაფია უცვლელია.

განვიხილეთ რა გულისჴმისყოფით წინადადებული ჩუენდამო პირი წერილისა, შელგენიასა გამომძიებელისსა კომისიისა მიერ, კითხვებითა გარჩევისა გამო ყალბთა სიგელთა ნანდვილთა თანა, ჩვენ ვსპოებთ შემდგომთა:

ქართველი მოხელეების საერთო კრების მრჩევლების მიერ ქართულ ენაზე შედგენილი დიპლომატიკური ნაშრომი, რომელშიც პრაქტიკული დიპლომატიკის საკითხები ერთად არის თავმოყრილი, დღემდე მხოლოდ რუსული თარგმანით არის ცნობილი. იგი საინტერესო ძეგლია ქართული დიპლომატიკის ისტორიის, ქართული დიპლომატიკის მკვლევართათვის.

თან ერთვის მრჩევლთა ნაშრომი.

განვიხილეთ რა გულისჴმისყოფით წინადადებული ჩუენდამო პირი წერილისა შედგენილისა გამომძიებელისა კომისიისა მიერ, კითხვებითა გარჩევისა გამო ყალბთა სიგელთა ნანდვილთა- თანა, ჩვენ ვჰპოებთ შემდგომთა:

ა

მეფეთაგან ნაბოძებთა ღრამოტებთა შინა შემდგომად მეფისა და დედოფლისა ტიტლისა აღინიშნეოდნენ თუოეულად სახელნი ძეთა მათთანა და ღრამოტის ბოლოჴედ ჩაირთოდა სახელი მეფისა და დედოფლისაგან, ანუ დაისმოდა ბეჭდები და ამასთანავე მოაწერდნენ ჭელსა და ანუ დასხამდნენ ბეჭედსა მოხსენებულნი მათ ღრამოტებთა შინა მეფისა ძენი; გარნა არა იშვიათად შეემთხვეოდა, რომელ დედოფალსა და ყოველთავე მათ მეფისა ძეთა არა მოეწერათ ჭელი ანუ არა დაესვათ ბეჭედნი მათ ღრამოტებთა ზედა, შემთხვევისა გამო მუნ არ დასწრებისა მათისა დროსა ღრამოტის ბოძებისასა და თუნდ კიდეც არ ყოფილიყო მათგან ჭელმოწერილი ანუ ბეჭედდასმული, მაშინცა ღრამოტად იგი ჭელმოწერილი ანუ ბეჭედდასმული მხოლოდ მეფისაგან არა დაჰკარგავდა ღირსებასა თჳსსა და იკმარობდა თჳს შორის სრულსა ძალასა და თუნდ კიდეც ღრამოტასა შინა მეფისასა არა ყოფილიყუნენ სახელდობრ აღნიშნულნი მეფის ძენი, მაშინაც თხოვითა ღრამოტის პატრონისათა, დაუსვამდნენ მას ღრამოტასა ზედა ბეჭედსა თჳსთა, გინა მოუწერდნენ ჭელსა, და თუმცა მეფე ნაბოძებთა ღრამატაებთა ზედა ყოველთჳს მოაწერდა ჭელსა ანუ დაჰსუამდა ბეჭედსა დასამტკიცებელად მის ღრამოტისა, გარნა იშვიათად იქმნებოდა ჭმარებულ ორივე ერთად ესე იგი ჭელის მოწერაცა და ბეჭდის დასმაცა და ესეც ნებისაებრ მეფისა. აქა ითქმის ესეცა, რომელ უწინარეს იზ-ის ასწელობისა, უფრო იყო ხშირად ხმარებულ ჭელის ჩართვა და იშვიათად ბეჭდის დასმაცა ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ

გარდა მეფის ღრამოტებთა არიან: ბარათნიც, ოქმნიც და ზედა წარწერანიცა ანუ რეზოლუციანი მეფეთანი არზებთა ზედა კერძოთა კაცთათა, გინა საზოგადოთ საქართველოს ხალხთათა მოწერილნი რომელთაცა ზედა ჭმარებულ იყო მეფეთაგან თავიანთ სახელს ჩართვა, გინა ბეჭდის დასმა მითვე წესითა, ვითარ-იგი ღრამოტებთა ზედა; გარნა უახლესთა დროთა შინა ოდესმე დაჰხმდნენ ოქმთა და ბარათთა ზ (ედ) ა განსაკუთრებულთა ამათდამი ბეჭედთა თჳსთა.

გ

ტიტლო საქართველოს მეფეთა, შთამომავალთა ბაგრატოანთაგან ხმარებული ბოძებულთა ღრამოტებთა შინა, იყო ძველთა დროთა შინა ესრედ, ჩვენ მეფეთ მეფემან ღუთივ წყალობით ცხებით გვირგვინოსანმან, თუთმპყრობელმან და თჳთ ჭელმწიფემან, იესიან, დავიდიან, სოლომონიან, პანკრატოანმან ამა და ამან (სახელი), ხოლო ახალთა დროთა შინა იწერებოდნენ ესრეთ: წყალობითა ღუთისათა, ჩუენ იესიან, დავიდიან, სოლომონიან, პანკრატოანმან მეფემან ქართლისა, კახეთისა და სრულიად საქართველოსამან ამა და ამან (სახელი), ხოლო რომელნიმე დასძინებდნენ ტიტლოსსა შ (ინ) ა თჳსსა გარდა საქართველოსა, სხეთაცა სამფლობელოთა და მოკლედ ესრედცა დაიწერებოდა: ჩუენ მეფემან ანუ მეფეთ მეფემან, ხოლო ოქმთა და არზათა ზედა წარსწერდნენ ესრეთ: ჩვენი ბრძანება არის.

დ

რომელნიმე საქართუმლოს მეფენი შედგომილნი იძულებით მახმედიანთ ჰსჯულისადმი, ხმარობდნენ კინღა თჳთ მასვე ტიტლოსა, რასაცა საქართუმლოს ნამდვილ მართმადიდებელნი მეფენი, გინა დართვიდნენ მას შინა ზოგნი შეილურად აღზრდილობასა თჳსსა სპარსეთს ჭელმწიფესაგან და მისგანვე აღყუანასა მეფობის ღირსებასა ზედა, ზოგნი უწოდნენ თავთა თჳსთა ფერჯთა მტკიცედ მისსა და ზოგნი აღნიშენიდნენ სხუა და სხუასა მოხელეობასა სპარსეთის კარისასა, რომელნიცა ჰქონიათ მათ, რომელთა გამოცა სჩანს დამოკიდებულებაჲ მათი სპარსეთის ჭელმწიფჳსა ზედა.

ე

მოწოდებაჲ საქართველოს მეფეთაგან ნაბოძებთა ღრამოტებთა შინა შემწედ და მოწმად წმიდისა სამებისა, ზეცაურთა ძალთა და ყოველთავე წმიდათა, რომელნიცა იდღესასწაულებიან მართლმადიდებელისა ჩუენისა ეკლესიისაგან და ეგრეთვე დაბოლოებაჲსა შინა ამგგარი ღრამატებისასა ზედ დართვაჲ წყევისაცა მათ შემდგომთა მყსლობელთა ანუ გარეშეთა კაცთა ზედა, რომელნიმცა დაარღვევდენ (ანუ მოჰშლიდნენ) იმა ღრამატებსა იყო ხმარებაჲ უფრო ძველთა დროთა შინა ხშირად, ხოლო ახალთა დროთა შინა იშჳიათად.

ვ

რომელნიმე საქართუმლოს მეფენი რადგანაც შიშითა და იძულებითა იქენენ შედგომილნი მახმედიანთ ჰსჯულისადმი მხოლოდ გარეგნობით, ხოლო შინაგანობით საიდუმლოდ აღმსარებელნი ქრისტიანობითისა სარწმუნოებისანი, ამისთჳს ხმარობდნენცა ღრამოთებთა შინა ამგვარათვე მოწოდებათა წმიდათათა და დასდებდნენცა წყევასა მაგალითისამებრ მოღებულისა სამღრთოს წერილთაგან მათ ზედა, ვინაცა დაარღვევდა ღრამატებსა მათსა, ვითარ-იგი აღმოაჩენენ მრავალნი სხვადასხვასგვარნი შეწირულებანი მათგან საქართუმლოს მართლმადიდებელთ ეკლესიისადმი უმეტეს ამის გამო, რომელ ვინადგან საქართველო იყო ქრისტიანობის აღმსარებლობისა, ამის გამო მოუწოდდნენ იგინი წმიდათა სახელთა, რათა არა მოშლილიყო შემმდგომთა ქრისტიანთა მეფეთაგან.

მეფისა ღრამოტებთა შინა იშვიათად აღინიშნოდა ღირსება იმა გვამისა, რომელსაცა ებოძებოდა ღრამატა, ესე იგი, თავადობა, აზნაურობა ანუ მოჭალაქობა, არამედ მხოლოდ უფრო იწერებოდა სახელი, გვარი და თანამდებობა, რომელიც თუ ჰქონდა იმა გვამსა, რომელსაცა ეძლეოდა ღრამატაჲ იგი. გარდა ამისა, არის აქამდისცა ჩვეულება საქართველოსა შინა რომ გვარში იხმარებიან სხვადასხვა წოდებანი ხარისხთა და ღირსებათამებრ. მაგალითებრ:

სარდლიშვილი, მდივანბეგისშვილი თავადი ორბელიანი [ხოლო იგივე იწოდების ჯან ბაკურიანადაც 1783-ს დამტკიცებულის ტრაკტატის გამო].

მოურავისშვილი – თავადი ანდრონიკოვი

მეთორისშვილი – თავადი სუმბათოვი

მორდლისშვილი – თავადი გურგენიძე [რომელმანცა მიიღო ჩინი აფიცრობისა მორდლისშვილობით].

ყორჩიბაშიშვილი – თავადი რუსიევი [ესე იყო თელავის კეთილშობილთაგან გამორჩეული კეთილშობილთ წინამძღომელად, რომელიცა იწოდებოდა ამ გვარით და ჴელსაც ისე აწერდა].

აგრეთვე წინაპართ სახელთ გამოცა წოდებანი იხმარებოდნენ, ვითარ იგი ყაფლანიშვილი – თავადი ორბელიანი.

გერმანოზისშვილი, გოსტაშაბიშვილი – თავადი ბარათოვი, საამიშვილი იგივე;

ბებურიშვილი, ასათიშვილი, აღათოშვილი, ონანაშვილი-თავადი ვაჩნაძე;

ნოდარიშვილი – თავადი ჯორჯაძე

ნოდარიშვილი, ზაქარიაშვილი-თავადი ციციანოვი

მამუჩიშვილი – თავადი ჭავჭავაძე

ერასტიშვილი – თავადი ანდრონიკოვი

როშაქიშვილი – თავადი ჩოლოყაევი იგივე

კიკოშვილი – თავადი ფალავანდოვი

ბორტიშვილი – თავადი მაჩაბელი და სხვანიცა მრავალნი გვარნი არიან, ორ-სამ რიგნი და ზედართულნი, რომელნიცა ზოგთა ერთთა ღრამატათა შინა ჩვეულებისამებრ ესრეთ არიან მოხსენებულნი. მაგრამ გარემოება ესე არცა დაამდაბლებს ჰსწორესა გვარისა მიღებასა და ვერცა შეუცვლის ნამდვილსა გვაროვნებასა ვინათგან ვითარცა ზემორე მოვიზსენეთ, ესე გვარნი სახელნი არიან წარმოებულნი სახელოთა და ღირსებათაგან, ვიტარნიცა ჰქონიან წინაპართა ანუ თჳთ სახელთაგან მათთა, რათა დაშტომილიყო გვარში სახელი მათი.



მეფისა ბარათებოა, ოქმთა ანუ რეზოლუციათა შინა, მოწერილთა არზებთა ზედა კერძოთა კაცთათა, ეგრეთვე იშვიათად აღინიშნოდა წოდებაჲ ამა გვამისა, რომელსაცა ეკუთვნოდნენ მეფისა იგი ბარათნი, ოქმნი ანუ რეზოლუციანი.



საქართუმლოს მეფის კარზედ იყუნენ საკუთარნი მოხელენი დასაწერად ნაბოძების ღრამოტებისა. მოხელეთა ამათ ეწოდებოდათ მდივანნი, იგინი აწერდნენ ყოველთჳის თჳთ ღრამოტებტა ზედა, რომელ იგინი არიან მათგან დაწერილნი. და ესეცა ხშირად შეემთხვეოდა, რომელ მათ არ მოეწერათ სახელო თ□სი და ამასთანავე ოდესმე შეემთხვეოდა ესეცა, რომელ მეფისა კარზედ მდივანთ გარდა ღრამატებსა დასწერდნენ კერძონი კაცნიცა, ანუ ბრძანებითა თჳთ მეფისათა, გინა თხოვითა თჳთ მისითა, ვისაც ეძლეოდა ღრამატა, და ესეგითარნი დამწერნი მიაწერდნენ მათზედა თჳსსა ჴელსაცა, რომელ მათ მიერ არიან აღწერილნი. და იქმნებოდა ესეცა, რომელ არა მოეწერათ მათ კერძოებითა კაცთა თჳსნი სახელნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი

ღრამატანი მეფისანი იწერებოდნენ ძველთა დროთა შინა, როგორც ეტრატზედა, ქაღალდზედაც, ხოლო ახალთა დროთა შინა, თუმცა იწერებოდა, გარნა იშვიათად ეტრატზედ. ხმარებული საწერად იყო თუთ აქ საქართველოში შემოღებული იფხის ფურცელისაგან შემდგარი მელანი, ოსმალური კოშტი მელანი და გუნდის მელანი - წითლის წამლით (გინა სინგურით), ადგილ-ადგილ წერა ყოფილა უძველესთა დროთა შინა რომელთამე წერილებთა შინა; ხოლო ღრამოტებთა შინა თუ სადმე არიან როადენნიმე ლექსნი დაწერილნი წითლის წამლითა, მაშინ ლექსნი ესე უნდა იყუნენ გამომხატუმლნი საღმრთოთა ანუ წმიდათა სახეთანი, გინა მეფეთანი, სადაცა შეჰხუდებოდნენ წერასა შინა, ესე იგი სტრიქონის დაწყებასა, გინა საშუალოსა ადგილსა შინა, ხოლორ რომელთამე ღრამატებთა შინა თუთ თავს უფრო უნდა იყოს დასმული ასო ჭ ასომთავრული ანუ მხედრული რომლისამე ნაკვეთაბითა.

ია

მირთმევაჲ ღრამატისა ახლად ტახტზედა აღსრულთა მეფეთადმი დასამტკიცებლად მისსა იყო დამოკიდებული ნებასა ზედა თუთ ღრამატის პატრონისასა, ვინაჲთგან ჭელმოწერილი ღრამატა ერთისა მის ღრამატის მიმცემელის მეფისაგან შეირაცხებოდა ჩვეულებისაებრ ყოველთვის ნამდვილად, თჳნიერ ჭელმოწერისა ანუ ბეჭდის დასმისაცა შემდგომთა მეფეთაგან; ხოლო თუ ვინმე მოიწადიენებდა და წარუდგენდა ღრამატისა თჳსსა ახლად ტახტზე აღსრულსა მეფესა განსამტკიცებლად ჭელის მოწერითა ანუ ბეჭდის დასმითა მისითა, მაშინ მეფე თჳსის ნებისაებრ დაუმტკიცებდა მას თჳსის სახელის ჩაწერვითა, გინა ბეჭდის დასმიტა. ხოლო ჭელის მოწერა დედოფლისაგან და მეფის ძეთაგან გინა ბეჭდის დასმაჲ მას ღრამატასა ზედა იყო ეგრეთვე დამოკიდებული ღრამატისა მის პატრონსა ზედა. უკეთუ იგი ისურვებდა ამას, ვინაჲდგან მხოლოდ ერთი ოდენ ჭელის მოწერა მეფისაგან, ანუ ბეჭდის დასმა იყო საკმაოდ.

იბ

ძველის დროებში ყოველთჳს ყოველთაჳ ღრამატებთა და სხუათა დოკუმენტებთა შინა იწერებოდნენ უფრო ქართულნი წულთაღრიცხუანი, ხოლო ახალთა დროთა შინა იხმარებოდა ერთიცა და მეორეცა.

იგ

მეფისაგან ბოძებულთა ღრამატებტა, რომელთამე ზედა მოაწერდნენ ჭელსა, ანუ დასჰიდნენ ბეჭედსა თჳსსა თხოვითა ღრამატებისა მის პატრონისათა მყოფნი მეფის კარზედა უპირველესნი მოხელენი, ესე იგი: სარდარი, სალოხუცესი, მსაჯული და სხუანიცა, გარნა სხეებრ უკეთუ ესე ვითარი ჭელის მოწერა, გინა ბეჭდის დასმაჲ არ იყოს მათ მეფისაგან ნაბოძებთა ღრამატებთა ზედა ხსენებულთა მოხელეთაგანცა, და იყოს ჭელმოწერილი, გინა ბეჭედ დასმული მხოლოდ მეფისაგან, მაშინცა უცილებელად შეიწყნარების იგი ნამდჳლად და აჭუს თჳს შორის სრული ძალი.

იდ

საქართველოსა შინა იყო ნება პრთულ, რომელ სხუა და სხუა გუარნი პირობისა, შეკრულობისა ანუ მორიგებისა წერილნი, გინა განაჩენნი დაწერილნი კერძოთა კაცთა შორის, შემდგომად გარდაწყჳეტისა და ჭელის მოწერისა, გინა ბეჭდის დასმისა გარდამწყჳეტელთაგან მათთა, წარუდგებოდაჲ მეფესა დასამტკიცებლად, უფრო ისინი, რომელიც მოხელისაგან იყო პირველ გარდაწყჳეტისა მეფისადმი საჩივრითა რომლისამე მხრისაგან; რომელთაცა მეფე და ოდესმე თუთ დედოფალიცა დაამტკიცებდნენ ხელის მოწერითა გინა ბეჭდის დასმითა; ხოლო წარდგენაჲ ამგვარტა წერილებთა საკუთრად დედოფლისადმი დასამტკიცებლად იქმნებოდა მაშინ როდესაც წერილნი იგი, დაწერილნი მათ საქმეთა, გინა ყმათა და მამულთა ზედა, შეეხებოდნენ მხოლოდ დედოფალსა, კუთვნილებისა

გამო მათისა მისდა, ვითარ იგი სახელ-იდებოდა სადედოფლოდ. სხვებრ ამგვარნივე წერილნი დამტკიცებულნი თჳნიერ მეფისა და დედოფლისაგან, ჴელმოწერითა და ბეჭდის დასმითაცა კარის მოხელეთა, ესე იგი მდივანბეგთა და მსაჯულთაგან, შეირაცხებოდნენ მტკიცედ და მოუშლელად. და ესეცა შეჩხუდებოდა, რომელ მცხოვრებნი კაცნი თჳს შორის წარმოებულსა სადაოსა საქმესა ზედა გაშვებულ იყუნენ თანა დასწრებითა კერძოთა კაცთათა ესე იგი ბჭეთაგან და მათ მიერ გარდაწყვეტილობათა მიიღებოდა ნამდჳლად.

იე

თუმცა დაუტევნელობისა გამო ღრამატის პაზრისა ერთსა ფურცელსა ზედა, გარდაიწებებოდნენ ორნი და სამნი ფურცელნი ერთად, გარნა არა იყო ნიადაგ ჭმარებული ნიშნების დასმა ადგილს, გინა ხაზის გავლება გარდაწებულის ფურცლებზე მათის შეერთებისათჳს, და რომელთამე მეფის ღრამატებთა შინა არიან კი დასმულნი ბეჭდნი მათ ადგილებთა ზედა, სადაცა არიან გარდაწებებულნი ფურცელნი ერთი მეორეზედ.

ივ

დასმაჲ მეფეთ ღრამატთა ზედა მეფის ბეჭდებისა და ეგრეთვე აღნიშნვაჲ ვენზელად გამოყვანილის სახელებისა ანუ შიფრებისა, იყო ერთიცა და მეორეცა დამოკიდებული თჳთ საკუთარსა ნებასა ზედა მეფისასა, ოდეს რომელ შეემთხვეოდა. ხოლო განწესებაჲ, თუ რომელთა ღრამატებტა ზედა უნდა დაესვათ ბეჭდები, და რომელთა ზედა აღენიშნათ მხოლოდ შიფრი მეფის სახელისა არ აყო, ვინაჲთგან ღრამატა მეფისა, ბეჭედდასმული თჳნიერ აღნიშნისა შიფრით სახელისა, გინა მხოლოდ შიფრიანი თჳნიერ ბეჭდისა, იყო ნამდჳლ შესაწყნარისი, და ერთ-ერთი მათგანი, რომელიც იქმნებოდა მას ღრამატასა ზედა, შეიცვლდა მეორისა ადგილს. ამასაცა დაუმატებთ, რომელ უკანასკნელნი მეფენი უფრო ხშირად ხმარობდნენ ბეჭდის დასმასა, და ჴელის მოწერას – ი"შვიათად.

კაპიტანი თავადი დიმიტრი თარხან-მოურავი
სოვეტნიკი შტაბს-კაპიტანი თავადი დათია აბხაზოვი
შტაბს-კაპიტანი თავადი ალექსანდრე სუმბათაშვილი
სოვეტნიკი გუბერნსკი სეკრეტარი თავადი დავით ბარათაშვილი
სოვეტნიკი თავადი სამარდღონ ორბელიან

**Н. МШВИДОБАДЗЕ**

## ОТВЕТЫ ГРУЗИНСКИХ СОВЕТНИКОВ ОБЩЕГО СОБРАНИЯ ВЕРХОВНОГО ГРУЗИНСКОГО ПРАВИТЕЛЬСТВА НА ИНСТРУКЦИЮ СЕНАТОРА МЕЧНИКОВА КАК ИСТОЧНИК ГРУЗИНСКОЙ ДИПЛОМАТИКИ


РЕЗЮМЕ

В деловом фонде Гос. центр. ист. архива Грузии хранятся "ответы" грузинских советников общего собрания на инструкцию сенатора Мечникова, русский перевод которого с научным исследованием в 1940 г. был опубликован А.А. Введенским. Это первая работа по дипломатике Грузии, написанная на грузинском языке и является интересным памятником как для истории, так и для исследователей грузинской дипломатики.

В данной работе также представлен грузинский текст "Ответов" грузинских советников.

მარინე ოლურიძე

# ორი ოსმალური დოკუმენტი მე-18 საუკუნის 80-იანი წლების დასავლეთ საქართველოს შესახებ

1999 წელს თბილისის ცენტრალურმა საისტორიო არქივმა თურქეთის რესპუბლიკიდან მიიღო დაახლოებით 1120 დოკუმენტის ქსეროასლი, რომელთა უმრავლესობა ძირითადად ასახავს მე-18-19 და მე-20-ე საუკუნის დასაწყისის როგორც საქართველოს, ისე მისი მეზობელი ქვეყნების ისტორიას. ამათგან ჩვენ შევარჩიეთ ორი დოკუმენტი: №1228, რომელიც არის არზრუმის ვალის, ალი ფაშას მოხსენებითი ბარათის რეზიუმე და დათარიღებულია 1199 წ. ჯუმადიულევველის 29-ით / 1785 წლის 9 აპრილით/ და №1228ა. ეს არის ჩილდირის ვალის, სულეიმან ფაშას მოხსენებითი ბარათი, შედგენილი 1199 წ. ჯუმადიულახერის 5-ში / 1785 წ. 15 აპრილს. ორივე ბარათი შეეხება იმერეთის მეფე სოლომონ I-ის გარდაცვალების ანუ 1784 წლის შემდგომ განვითარებულ პროცესებს დასავლეთ საქართველოში. ორსავე დოკუმენტში ერთდაიგივე მოვლენებია ასახული, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ №1228 ცნობათა სიუხვით გამოირჩევა და გაცილებით ვრცელია.

ოსმალეთი, რომელიც იმერეთის სამეფოზე ზეგავლენას კარგავდა, ცდილობდა, მხედველობიდან არ გამოპპარვოდა დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მოვლენები და როგორც ზემოდასახელებული ორი დოკუმენტიდან ირკვევა, ამას მშვენიერად ახერხებდა კიდეც. საქართველოს შესახებ ცნობების მოპოვება და მიწოდება ევალებოდათ საქართველოს მომიჯნავე არზრუმისა და ჩილდირის ვილაიეთების ვალიებს. არზრუმის ვალის, ალი ფაშას, ეს დოკუმენტი შეუდგენია დიდვეზირის მიერ მასთან გაგზავნილი იმ წერილის საპასუხოდ, რომელშიც მას ცნობების მიწოდებას სთხოვდნენ (№1228). როგორც ირკვევა, დიდვეზირი ცნობათა გადამოწმების პრინციპით მოქმედებდა, რამეთუ №1228ა-ში გარკვეით წერია: „სანდოობის საკითხი რადგანაც მუდმივად დგას და კვლავ ცნობების მოწოდება და სინამდვილის ცოდნაა საჭირო, ამიტომ იქნა ნაბრძანები“ (№1228ა). ორი სხვადასხვა პირისგან – ჩვენს შემთხვევაში, ალი ფაშასა და სულეიმან ფაშასაგან – მიწოდებული ცნობები დიდვეზირს საშუალებას მისცემდა, მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე რაც შეიძლება კარგად ყოფილიყო ჩახედული საქართველოში განვითარებულ მოვლენებში.

ვილაიეთების ვალიები ცნობების შესაგროვებლად, თავის მხრივ, მსტოვრებს იყენებდნენ. №1228ა-ში შემდეგს ვკითხულობთ: „საქართველოდან ჩვენი სანდო მსტოვარი მოვიდა“. შევნიშნავთ, რომ მსტოვარი ქართულად მოუბარი ყოფილა, მაგრამ თავად რა ეროვნებისა იყო, ამის თქმა ძნელია.

დოკუმენტებში სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ იმერეთის ტახტზე ასული დავით გიორგის ძე „არაკანონიერ ხანად“ (№1228) და „გურჯისტანის სახანოზე პრეტენზიის მქონე“ (№1228ა) ხანდაზა მოხსენიებული, იმ დროისათვის შექმნილი პოლიტიკური ვითარება კი შემდეგნაირადაა დახასიათებული: „ამჟამად საქართველოს მოსახლეობა სამ ჯგუფად გაიყო. დადიანმა და გურიის მთავარმა და მათმა ხალხმა, გასულ წელს მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ოსმალეთის ერთგულება გააგრძელეს და განამტკიცეს, რუსები, თბილისის ხანი და ხსენებული დავითი უარყვეს და მტრად შერაცხეს“ (№1228). როგორც ვხედავთ, აქ ურთიერთდაპირისპირებულ ორ ბანაკზეა საუბარი: ერთი მხრივ, ოსმალეთის მხარეს მდგომ გურიასა და სამგრელოზე და, მეორე მხრივ, რუსეთის მხარეს მდგომ ერეკლე

მეორესა და დავით გიორგის ძეზე.ამგვარად, სამ პარტიაში უნდა ვიგულისხმოთ: პირველი – გურია და სამეგრელო, მეორე – ერეკლე მეორის და მესამე – დავით გიორგის ძის მომხრეები. იმავე დოკუმენტში ასეთ ფრაზასაც ვაწყდებით: „იმერეთის სამეფოში მოსახლეობის ნაწილი დავითის და ნაწილი არჩილის ვაჟის ხანობის მსურველი იყო“. საქართველოს მოსახლეობის ორ ჯგუფად გაყოფაზეა საუბარი დოკუმენტ №1228ა-შიც. იქ კვლთხულობთ: „გურჯისტანის მოსახლეობის ნაწილი თბილისის ხანის, ერეკლე ხანის, წილი იყო და სოლომონის ძმისშვილის, არჩილის ძისკენ იხრებოდა და მის მხარეს იჭერდა და მეორე ნაწილი – ხანობაზე პრეტენზიის მქონე დავითს ემორჩილებოდა და მათ შორის მღელვარება და არეულობა სუფევდა“.

ორივე დოკუმენტის დასაწყისში ნათქვამია, რომ „დავითმაც, საქართველოს მეორე ხანის, (პირველ ხანში სოლომონ პირველი უნდა ვიგულისხმოთ – მ.ი.) ერეკლეს მსგავსად, რუსეთისადმი დამორჩილების გამოცხადების მიზნით ერთი ადამიანი პეტერბურგში გაგზავნა“. დავითის „რუსეთისაკენ გადახრაში“ არზრუმის ვალი ჰაჯი ალი ფაშა ერეკლე მეორეს ადანაშაულებდა. იგი დიდვეზირს სწერდა: „იმის გარდა, რომ ზემოხსენებული დავითი წყეულ ერეკლეს დაუხლოვდა და ახლო ურთიერთობები აქვს, რუსებისკენაც გადაიხარა და მისი თხოვნა მფარველობის შესახებ გამქრალიაო“ (№1228). დავითის „რუსებისკენ გადახრა“ იმით დასრულდა, რომ მან გასული წლის ანუ 1198 წლის ზულკაადას თვის დასაწყისში (1784 წლის სექტემბერში) რუსეთში ელჩობა გაგზავნა კათალიკოსის, ბერების და ორი თავადის შემადგენლობით (№1228). ცხადია, მათში უნდა ვიგულისხმოთ მაქსიმე კათალიკოსი, სარდალ - სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი და მდივანბეგი დავით კვინიხიძე[1]. ქართველი ელჩები „ანანურის გზის შემდეგ მდებარე მოზდოკად სახელდებულ ციხეში იქაური მცველსა და სერასქერს-გენერალს შეუყოვნებია“ (№1228). დოკუმენტის თანახმად, ეს არ იყო პირველი ელჩობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ამ ელჩობამდე, დავით გიორგის ძეს „მორჩილების თხოვნით ერთი ადამიანი პეტერბურგში გაუგზავნია“. გამორიცხული არაა, რომ ჯერ კიდევ მაქსიმე კათალიკოსის, ზურაბ წერეთლისა და დავით კვინიხიძის გაგზავნამდე დავით გიორგის ძემ, მართლაც, გაგზავნა პეტერბურგში „ერთი ადამიანი“, რომელსაც, ვფიქრობთ, ქართული ელჩობის ჩასასვლელად იქ ნიადაგი უნდა მოემზადებინა.

1555 წ. ზავის თანახმად, ოსმალეთის ზეგავლენის სფეროში მოხვედრილ დასავლეთ საქართველოზე თავისი ზეგავლენის შესუსტებას ოსმალეთი, ცხადია, ვერ ურიგდებოდა და იმერეთს კვლავ თავის ხელდებულ ქვეყანად მიიჩნევდა. აკი წერს კიდეც ჰაჯი ალი ფაშა: „გურჯისტანის მოსახლეობამ ვინმე სოლომონის რჩევით დაივიწყა, რომ ისინი უკვე დიდი ხანია, ოსმალეთის იმპერიის რეაიას ეკუთვნიან“ (№1228).

ოსმალეთი იმერეთზე თავისი „უფლებების“ აღდგენას ტახტზე მისთვის სასურველი პირის აყვანით ცდილობდა. ასეთი პირი გამოიქნა კიდეც. ეს გახლდათ ქაიხოსრო ლევანის ძე აბაშიძე. „იმისათვის, რომ ოსმალეთის იმპერიის მიერ იგი გურჯისტანის ხანად დანიშნულიყო, ქაიხოსრო ბეგის რაზმი ამ მხრიდან (ოსმალეთიდან – მ.ი.) არზრუმის ვალისთან, ზემოხსენებულ მოხელესთან გაიგზავნა და მანაც თავისი ქეთხუდა საკმარისი რაოდენობის მეომართან ერთად ხსენებულ ბატონს თან გააყოლა და ... გურჯისტანის მხარეში გაგზავნა“ (№1228).

დოკუმენტებში არაფერია ნათქვამი ქაიხოსრო ბეგისა და ოსმალთა ლაშქრის გურიიდან გაქცევის მიზეზზე. როგორც უმეტეს შემთხვევაში ხდება ხოლმე, ოსმალები წარუმატებლობის მიზეზად მოგონილ საბაბს ახახელებენ. ასეა ამ შემთხვევაშიც - „ზამთარიც მეომრებისთვის წინააღმდეგობად იქცაო“ (№1228). ცხადია, ოსმალეთისთვის ყველაზე უპრიანი მისი კანდიდატის – ქაიხოსრო ბეგის ტახტზე ასვლა იყო, „მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, „სირთულე შეიქმნა“, რადგანაც, როგორც აღვნიშნეთ,“ ორად გაყოფილი იმერეთის

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973, გვ. 744
2 იქვე, გვ. 620.

მოსახლეობის ნაწილი დავითის და ნაწილი – არჩილის ვაჟის ხანობის მსურველი იყო, რატომ იყო ოსმალეთი როგორც ერთი, ისე მეორე დავითის წინააღმდეგი, ამის პასუხს №1228ს დოკუმენტში ვპოულობთ: „რადგანაც დავითი და არჩილის ძე ერეკლე ხანისკენ იხრებოდნენ, ამათი ხანად დასმა მიზანშეწონილი არ არისო“ - წერდა არზრუმის ვალი ჰაჯი ალი ფაშა. დასუსტებულ ოსმალეთს სხვა გზა არ დარჩენოდა, გარდა ლოდინისა, ხოლო ამ ორიდან, თუ რომელი იქნებოდა არჩეული, ოსმალეთი „მის ხანობას უპირატესობას მიანიჭებდა“ (№1228). საბოლოოდ, მაინც „ხსენებული დავითისა და არჩილის ვაჟის თბილისის ხან ერეკლესთან სიახლოვე და თანხმობა და რუსებისკენაც გადახრა და დამორჩილება ნათელი იყო, ამიტომ ხსენებული ფაქტიურად ხანად დამტკიცდა ... გურჯისტანი, თავისი ნებით, ერეკლესა და მოსკოველებს ჩაბარდა“ (№1228). ოსმალეთმაც დავით გიორგის ძის „მხარდაჭერა უმჯობესად“ მიიჩნია (№1228).

№1228ა დოკუმენტში მოხსენიებულია რუსეთისა და ერეკლეს დასაყრდენი ჩერქეზეთში მდგომი რუსული ჯარიც.

ჩილდირის ვალი სულეიმან ფაშა სულთნის კარს მსტოვრის მოტანილ ამბავს ატყობინებდა: „რუსეთის მხრიდან ამ დღეებში ანანურის გზით ოხი მოსკოველი გურჯისტანში მოვიდა და ხსენებულ დავითს ხმალი და ხალათი მოუტანა“. ხმალი და ხალათი ხომ სამეფო ნიშნებია და ისინი, როგორც ცნობილია, 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის თანახმად, „ საქართველოში ტახტზე ახალასულ მემკვიდრეს რუსეთის იმპერატორისგან უნდა მიეღო“[2]. რამდენადაც ტრაქტატი რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის დაიდო, ეს წესი ქართლ-კახეთის მეფეებზე ვრცელდებოდა, აქ კი საუბარია დავით გიორგის ძეზე, რომელსაც რუსეთთან ამგვარი ხელშეკრულება ჯერ კიდევ დადებული არ ჰქონდა. ალბათ ამიტომაც, საუბარია მხოლოდ ხმალსა და ხალათზე, გვირგვინის, სიგელის, დროშისა და კვერთხის შესახებ კი არაფერია ნათქვამი. 1784 წელს ეკატერინე დედოფლისადმი გაგზავნილ წერილში ბესარიონ გაბაშვილი წერდა: მეფესა ჩვენსა ზედა მოაყლინოთ თქვენის ყოვლად მოწყალე ის ფარვანი და ჩვენდა პატრონად და მეფედ დაამტკიცოს მოწყალემან ხელმან თქვენმან და, მეფობისა ნიშანნი, ვითარცა ქართლისა და კახეთისა მეფესა ზედა მოიცილინა, მის მსგავსის მოწყალებით ამისი ახოვანი სიჭაბუკე და მეფობაც განანათლეთ“[3]. როგორც ჩანს, სამეფო ნიშნების გამოგზავნით რუსეთი ბესიკის თხოვნასაც ნაწილობრივ აკმაყოფილებდა და იმერეთის სამეფოზეც უკვე პრეტენზიას აცხადებდა. კიდევ ერთი დეტალი: „რუსეთის მხრიდან ერეკლე ხანისთვის მიცემული ხელშეკრულების ასლი ამასაც (დავითსაც – მ.ი.) მისცა“ (№1228ა). ცხადია, აქ გეორგიევსკის ტრაქტატზეა საუბარი. ოსმალეთს მშვენივრად ეცოდინებოდა, რომ დავით გიორგის ძის მიერ გაგზავნილი ზემოხსენებული ელჩობა იმერეთის მოსახლეობის სახელით დავით გიორგის ძის მეფედ ცნობას, იმერეთის მფარველობაში მიღებას და თურქების წინააღმდეგ დახმარებას ითხოვდა[4]. როგორც ჩანს, სულეიმან ფაშა რუსეთიდან მოსალოდნელ საშიშროებას უკვე განხორციელებულ რეალობად აღიქვამდა. არც ისაა გამორიცხული, რომ პეტერბურგში ჩასულ ქართულ ელჩობას ეს დოკუმენტი, მართლაც, გააცნეს. მსტოვარს სულეიმან ფაშასთან ისიც უთქვამს, რომ რუსეთიდან მოსულთა განცხადებით, რუსეთის მხარეს უბრძანებია: „ხსენებული დავითი შესანიშნავი გურჯისტანის ხანად დავნიშნეთ. თბილისის ხანის, ერეკლე ხანის მსგავსად, მთელი შენი საქმეები ჩვენს გადაუდებელ საქმეებს შორისაა და დიდებული ოსმალეთის ფიქრი და შიში ნურანაირად ნუ გექნებათო“ (№1228ა). ალი ფაშას მოხსენებით ბარათში სწორედაა შენიშნული: რუსეთი საქართველოს „დასმორჩილებლად აქეზებს და შთააგონებს“, მაგრამ ცდილობს, რომ „მისი საქმეების მოწესრიგება ბოლო დროისათვის გადადოს“ (№1228).

[3] ბესიკი, თხზულებანი, ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, თბ., 1962, გვ. 192.
[4] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, გვ. 744.

დავით მეფესა და მასთან დაახლოებულ პირებს შორის წარმოქმნილმა უთანხმოებამ ასახვა ჰპოვა ალი ფაშას პატაკშიც. მასში ნათქვამია: „გარდაცვლილი სოლომონის ქეფუნა და საქმეში გამოცდილი წულუკიძე და წერეთლად სახელდებული თავადი (პაპუნა წერეთელი – მ.ი.) ანიკაშის მთავრობის მეთაურები და გავლენიანი პირები გახდნენ და მათმა მომხრეებმა ხსენებულ დავითს არ დაუთმეს და არ დამორჩილდნენ, მოსცილდნენ და გაანაწყენეს“. ამას შედეგად მოჰყვა განაწყენებულთა დაახლოება ერეკლე მეორესთან. როგორც დოკუმენტში ვკითხულობთ, „თბილისის ხან ერეკლე წყეულთან მუდმივი მიმოწერა და თანხმობა ჰქონდათ ... თავადმა წულუკიძემ გასულ წელს ერთი ქალიშვილი ერეკლეს ვაჟს და ერთიც – არჩილის ვაჟს შერთო“. ეს ცნობა სიმართლეს არ შეუფერება. ცნობილია, რომ ბერი წულუკიძეს ორი ვაჟის – სვიმონისა და ქაიხოსროს გარდა ჰყავდა ორი ქალი – დარეჯანი და ხვარამზე, მხოლოდ დარეჯანი სოლომონ პირველის მემკვიდრესთან, ალექსანდრე ბატონიშვილთან იყო დაქორწინებული[5], ხვარამზე კი თავად ლევან მიქელაძესთან[6], დავით არჩილის ძეს კი „მისცეს მეუღლედ ასული დადიანისა კაცაისი“[7]. პოლიტიკური კავშირები ხშირად ნათესაური კავშირებით მტკიცდებოდა და ამ შემთხვევაშიც, როგორც ჩანს, ალი ფაშამ თავის მოხსენებით ბარათში ეს ცნობა ამის გათვალისწინებით ჩაროო.

ბერი წულუკიძის ჩანაფიქრი დოკუმენტში შემდეგნაირადაა გადმოცემული: „სურდა, როგორც სოლომონის, ისე ხსენებულის (დავით არჩილის ძის – მ.ი.) ქეთხუდაც ყოფილიყო და ამ გზით აჩიკაში მისი მმართველობის ქვეშ შესულიყო და მისი განზრახვა შესრულებულიყო“ (№1228).

ჰაჯი ალი ფაშა დავით გიორგის ძის მიერ დავით არჩილის ძის მემკვიდრედ გამოცხადების შესახებაც იყო ინფორმირებული. „შეთანხმების საფუძველზე ხსენებული ვაჟი აჩიკაშის ფორმალურ ხანად იქნა აყვანილიო“, - წერს იგი.

ასეთია ის ცნობები, რომლებსაც გვაწვდიან არზრუმის ვალი ჰაჯი ალი ფაშა და ჩილდირის ვალი სულეიმან ფაშა თავიანთ მოხსენებით ბარათებში.

ვიძლევით №1228-ე დოკუმენტის ქართულ თარგმანსა და ფაქსიმილეს.

ამჟამინდელი არზრუმის ვალის, პატივდებული ვეზირის, პატიოსანი ჰაჯი ალი ფაშას
უმაღლესობისაგან მოსული წერილის რეზიუმეა.
1199 წ. ჯუმადალევველის 29/1785 წლის 9 აპრილი.

საქართველოს ხანის სოლომონის გარდაცვალების შემდეგ არაკანონიერმა ხანმა დავითმა, საქართველოს მეორე ხანის, ერეკლეს, მსგავსად, რუსეთისადმი დამორჩილების გამოცხადების მიზნით ერთი ადამიანი ჰეტერბურგს გაგზავნა. [ეს ამბავი] გაზეთის ფურცელზე მოთავსებული განცხადებით გაირკვა. დიდვეზირმა [ალი ფაშას] წერილი გაუგზავნა, რომელშიც ზემოხსენებული საქმის შესახებ ცნობების მიწოდება მოსთხოვა. საქართველოს ვითარებაში კარგად რომ ყოფილიყო ჩახედული, საამისოდ სიფხიზლე მართებდა. ამჟამად საქართველოს მოსახლეობა სამ ჯგუფად გაიყო. დადიანმა და გურიის მთავარმა და მათმა ხალხმა, გასულ წელს მიღებული გადაწყვეტილების თანახმად,

[5] მასალები საქართველოს ისტორიისათვის შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმების, გამოცემა მ.ჯანაშვილისა, ტფილისი, 1905, გვ. 26-27.
[6] მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის, მზითვის წიგნები, გამოც. მზია იაშვილისა, თბ., 1974, გვ. 95, №15
[7] ნიკო დადიანი, ქართველი ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დურთო შ.ბურჯანაძემ, თბ., 1962, გვ. 184; ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გამოსცა თ.ლომოურმა, ნიბ., 1941, გვ. 63.

დიდებული ქვეყნისადმი ერთგულება გააგრძელეს და განამტკიცეს; რუსები, თბილისის ხანი და ხსენებული დავითი კი უარყვეს და მტრად შერაცხეს.

მინაწერი: საქართველოს ხანის, სოლომონის გარდაცვალების შემდეგ არაკანონიერი ხანის – დავითის მიერ, ერეკლე ხანის მსგავსად, რუსეთისადმი დამორჩილების გამოცხადება ახლა გაირკვა, რის გამოც ვითარებისა და მდგომარეობის დადგენის მიზნით არზრუმის ვალიმ ზემოხსენებულის განყოფილებას დამატებითი წერილი გაუზავნა და ეს წერილი იმის პასუხია.

იმის გამო, რომ იმერეთის ქვეყანაც განაწყენდა და გარდაცვლილი სოლომონის ქეთხუდა და საქმეში გამოცდილი წულუკიძე და წერეთლად სახელდებული თავადი იმერეთის მთავრობის წინამძღოლები და გავლენიანი პირები გახდნენ, მათმა მომხრეებმა ხსენებულ დავითს არ დაუთმეს და არ დამორჩილდნენ, ჩამოშორდნენ, გაანაწყენეს და თბილისის ხანთან – წყვლ ერეკლესთან მუდმივი მიმოწერა და ურთიერთობა გააბეს.

ხსენებულმა წულუკიძემ გასულ წელს ერთი ქალიშვილი ერეკლეს ძეს და მეორე არჩილის ვაჟს შერთო და ამრიგად, ურთიერთობა ნათესაობითა და ერთსულოვნებით განმტკიცდა. სოლომონის სიკვდილის შემდეგ ფული და ძვირფასეულობა მთლიანად უვნებელი დარჩა. მას, როგორც სოლომონის ქეთხუდას, ევალებოდა თავლყური ედევნებინა, რომ დაპყრობისა და მორჩილების ჟამს არ მიეტაცებინათ. თბილისის წყვლი ხანის ქალიშვილი და არჩილის ვაჟი ხსენებულ ხანთან გააგზავნეს და დღეს თბილისშია. შეთანხმების საფუძველზე იგი ფორმალურად დამტკიცდა იმერეთის მბრძანებლად. [წულუკიძეს] სურდა, რომ როგორც სოლომონის, ისე მისი ქეთხუდაც ყოფილიყო და ამ გზით აჩიკბაში მისი მმართველობის ქვეშ შესულიყო და მისი განზრახვა შესრულებულიყო.

იმის გარდა, რომ ზემოხსენებული დავითი წყვლ ერეკლეს მიემხრო და ახლო ურთიერთობები ჰქონდა, რუსებისკენაც გადაიხარა და მისი თხოვნა მფარველობის შესახებ გამჟღავნდა და თანაც გახმაურდა და საყოველთაოდ ცნობილი გახდა, რომ გასული წლის ზულკაადას დასაწყისში კათალიკოსი, ბერები, რომლებიც ახსნა-განმარტებას საჭიროებდნენ, და ორი თავადი რუსეთში ელჩად გაემგზავრნენ. ანანურის გზის შემდეგ მდებარე მოზდოკად სახელდებულ ციხეში მოსვლისას იქაურმა მცველმა და სერასქერმა – გენერალმა ხსენებული თავადები შეაჩერა. თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა პეტერბურგზე, ეს ხსენებულ ბერს გამოჰკითხა, ჩაიწერა და შეატყობინა. საგულვებელია, რომ როგორც ზემოთ წერია, გაზეთის ფურცლზე გამოქვეყნებული ცნობა ამის მიხედვით იქნა შედგენილი.

ერთი სიტყვით, ხსენებულ დავითს სახანოზე გავლენა არ ჰქონდა და შეშფოთებისა და შიშის გამო ხან რუსებსა და თბილისის ხანს და ხან ჩილდირის მხარეს მიმართავდა მფარველობისთვის და ემორჩილებოდა.

დიდებული ქვეყნის მიერ გურჯისტანის ხანად დანიშვნის მიზნით ქაიხოსრო ბეგი თავისი რაზმითურთ ამ მხრიდან არზრუმის ვალისთან, ზემოხსენებულ მოხელესთან გაიგზავნა და მანაც თავისი ქეთხუდა საკმარისი რაოდენობის მეომართან ერთად ხსენებულ ბატონს თან გააყოლა. ვინაიდან საქართველოს მოსახლეობამ ვინმე სოლომონის რჩევით დაივიწყა, რომ ისინი უკვე დიდი ხანია, ოსმალეთის რეაიას ეკუთვნოდნენ, საჭირო იყო კვლავ უზრუნველეყოთ წესრიგის დამყარება, მაგრამ ძლიერი ზამთარი ჯარისკაცებისთვის წინააღმდეგობად იქცა.

დიდვეზირის მიერ [ჰაჯი ალი ფაშასადმი] მანამდე გაგზავნილ წერილში ნათქვამია: ქაიხოსრო ბეგის იმერეთის მმართველად დასმა შესაძლებელი თუა, მით უკეთესი, თუ არადა, ხსენებული დავითის ან ბოლოსდაბოლოს საქართველოს ემირებიდან შესაფერისის არჩევის შესახებ ბრძანება გამოქვეყნდება. ამის კვალდაკვალ, ზემოხსენებულის მიერ ჩილდირის

ვალისადმი გაგზავნილი შეტყობინების საპასუხო წერილში ნათქვამია: ქაიხოსრო ბეგის ტახტზე ასვლასა სირთულე შექმნა, იმერეთის მოსახლეობა ორად გაიყო. ერთს დავითის, მეორეს არჩილის ვაჟის ხანობა სურს, მხოლოდ ამ საქმის დაჭერება საჭირო არ არის და ორმოცი, ორმოცდაათი დღით გადადება უმჯობესია. ზემოაღნიშნულის მიერ კვლავ ჩილდირის ვალისთან გაგზავნილ წერილში წერია: ხსენებული დავითისა და არჩილის ვაჟის წყეულ ერეკლესთან სიახლოვე და თანხმობა და რუსებისკენაც გადახრა და მორჩილება, საჭიროების ჟამს ამათგან ერთ-ერთის ხანად დამტკიცება დიდებულ ქვეყანას რამდენჯერმე მოვახსენეთ. ამათგან რომელიც იქნება, მის ხანობას უპირატესობას თუ მივანიჭებთ და მოვაგვარებთ, მაშინ მნიშვნელობა აღარა აქვს, თბილისის ხანს თუ მოსკოველებს გადაეცემა ჩვენი მიწა და გურჯისტანი. იმ შემთხვევაში, თუ ქაიხოსრო ბეგის ტახტზე დასმა ვერ მოხერხდება, საქართველოს ამირებიდან ერთი შესაფერისი ვინმე აირჩევა და სტამბოლს ეცნობება. მას შემდეგ, რაც ყველაზე შესაფერისის დანიშვნის და ამის შედეგად შექმნილი ჩვენთვის ხელსაყრელი ვითარების შესახებ შეგატყობინეთ, ბევრი დღე გავიდა და პასუხი ჯერ კიდევ არ ჩანს. შემდეგში, თუ რა დღეს მოვა პასუხი და რა გზით დამყარდება წესრიგი, ამას მაშინვე გაცნობებთ.

მინაწერი აშიაზე: სიმშვიდემ დაისადგურა, რის გამოც მთელი გურია და სამეგრელო [ოსმალეთს] დაემორჩილა და მათი უკან დაბრუნება ცნობილია. საქართველოში ქაიხოსროს მომხრეები არ ჰყავდა და ამიტომ მისი ტახტზე დასმა ვერ მოხერხდა. ბოლოს, ხანის დამტკიცების საკითხი ჩილდირის ვალისთან თათბირის შედეგად გადაწყდა და დაიწერა. ამ მხარეში გამართულ მეჯლისზე არზრუმისა და ჩილდირის ვალიებს იმ მუხლების შესახებ სხვადასხვა დამატებები მიეწერათ და გაეგზავნათ. არზრუმის ვალიმ ეს საკითხი ჩილდირის ვალისთან ერთად განიხილა და ვინაიდან დავითი და არჩილის ძე ერეკლე ხანისკენ იხრებოდნენ, დაწერეს, რომ ამათი ხანად დასმა მიზანშეწონილი არ იყო. ამ წერილმა ადრე გაგზავნილი წერილის შინაარსი განამტკიცა და [ეს მოსაზრება] კვლავ მისაღებად მიიჩნიეს. აქედან გაგზავნილი დამატებითი წერილით არზრუმის ვალი გააფრთხილეს, რომ მათგან მოგვიანებით გაგზავნილი წერილის მისვლის გამო მოსალოდნელი იყო ეს წერილი ამოღებულიყო. მოგვიანებით გაგზავნილი წერილის პასუხს უნდა დალოდებოდნენ.

მინაწერი აშიაზე: საჭიროა, რომ ეს წერილი უწინ გამოიცვს და არზრუმის ვალისთან კვლავ გაიგზავნოს დამატებით დაწერილებითი წერილი. ადრე გაგზავნილი ამბის პასუხიც ალბათ იქნება.

ხსენებული დავითისა და არჩილის ძის თბილისის ხან ერეკლესთან სიახლოვე და თანხმობა და რუსებისკენაც გადახრა და მორჩილება ნათელი იყო, ამიტომ ხსენებული ფაქტიურად ხანად დამტკიცდა. თუმც ქაიხოსროს [ხანად] დანიშვნა შესაძლებელი იყო, მაგრამ სხვა გზას მიმართეს, რადგანაც საქართველო ერეკლესა და მოსკოველებს თავისი ნებით ჩაბარდა. საქართველოს ამირებიდან ბოლოს შესაფერისი შეარჩიეს და ხანად დაადგინეს. მაღალი სასულთნოს მიერ ამ ამბის გახმაურება სირთულეს გამოიწვევს. ასეთ შემთხვევაში ხსენებულის ხანობას ნებას თუ დართავენ, საგულვებელია, რომ სრული შემწყნარებლობა და ყველა შემთხვევაში მხარდაჭერა ზემოხსენებულისთვის უმჯობესი იქნება.

მინაწერი: შეგატყობინეს, რომ დიდვეზირის სიტყვის მოსვლამდე მართებული იყო შეყოვნება.

გადაწყვეტილება: დიდვეზირის მოსვლამდე შეჩერებულ იქნას!

დღეს სტამბოლში მცხოვრები, ყულების მამისა და ძმის, გამოცდილი დადიანის გარემოცვაში ერთგულება სუფევს და იმის გათვალისწინებით, რომ მათ (ოსმალეთსა და დადიანს – მ.ი.) ჭეშმარიტი თანხმობა და ურთიერთობები აქვთ, მისი იმ მხარეში გაგზავნის შესახებ აზრი მისაღებია. ასეთ ვითარებაში გულწრფელ, დიდებულ სასულთნოში გათვალისწინებულ იქნა, თუ რა სიკეთეს მოიტანდა დადიანის სურვილის გათვალისწინება, იმერეთისთვის მხარდაჭერა და მღელვარებისა და უთანხმოების [მიზეზების] განხილვა.

მინაწერი: დევთერდარ ეფენდის განყოფილებას გადაეცა და მოწესრიგება ებრძანა. ფირმანი სულთნის უდიდებულესობას ეკუთვნის.

ყარსისთვის პროვიანტის შეძენა დიდვეზირის ჩუხადარს, ღვთის მონას, სულეიმანს დაავალეს. პროვიანტის საყიდლად მისთვის გადაცემული თანხა სახელმწიფო ხაზინიდან გაიცა. არზრუმის საბაჟოდან მხოლოდ 2285 ყურუში იქნა მოპოვებული. ვერ მოხერხდა თანხის იმ ნაწილის შეგროვება, რომელიც, შეთანხმების თანახმად, მარაშისა და მისი შემოგარენიდან უნდა გადაეცათ. მას შემდეგ, რაც ბედნიერების ზღურბლს ამ ცნობის შემცველი წერილი გაუგზავნა, დაახლოებით შვიდი თვე გავიდა და პასუხი არ ჩანს. გარდა იმისა, რომ პროვიანტის საფასურის მოთხოვნით ჩუხადარმა ზემოხსენებულს თავი მოაბეზრა, ახლა სთხოვა, რომ ბრძანება გაეცა წერილის გაგზავნის თაობაზე, რომელშიც აღნიშნული იქნებოდა, რომ სახელმწიფო ფასი არ იყო დადგენილი და მას არ შეეძლო პროვიანტის შეძენა, უკან დაბრუნებული ფული კი გადაეცათ იმ ადგილებისთვის, სადაც სწრაფად შეიძლებოდა შეძენა. ხსენებული საკითხის მოსაგვარებლად მან ბრძანება ერთ წერილსა და P.S.–ში დაწერა.

**М.А. ИЛУРИДЗЕ**

## ДВА ОСМАНСКИХ ДОКУМЕНТА ОБ ИМЕРЕТИНСКОМ ЦАРСТВЕ 80-ЫХ ГОДОВ 18-ГО ВЕКА

РЕЗЮМЕ

В статье рассмотрены два османских документа из древнехранилищ Турции. В них говорится о политических процессах, происходящих в Имеретинском царстве в 80-ых годах 18-го века







ეროვნული ბიბლიოთეკა

მზია სურგულაძე, ნიკო ხუციშვილი

# საისტორიო დოკუმენტების კომპიუტერული მოდელირების საკითხები

ქართული ისტორიული მეცნიერების თანამედროვე პირობებთან ადაპტაციისათვის სრულიად აუცილებელია ინფორმატიკის შესაძლებლობების გამოყენება, ისტორიული ინფორმატიკის მეთოდების დანერგვა. ისტორიული ინფორმაციის თვისებებზე დაყრდნობით ამ დისციპლინის ფარგლებში ხდება ტექსტის ფორმალიზაციის იმგვარი წესების შემუშავება, რომელიც, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით, უზრუნველყოფს ინფორმაციის შენახვის, მოძიებისა და კვლევითი ამოცანების შესრულებას.

ყოველგვარი ისტორიული ტექსტი, გადატანილი მონაცემთა ბაზაში, თავისთავად ახალი ტიპის ისტორიული წყაროა, რომელსაც შენარჩუნებული აქვს პირველადი წყაროს ძირითადი ინფორმაციული ღირებულება და, ამავე დროს, შეძენილი აქვს ახალი შესაძლებლობა – ინტეგრირებულ იქნას სხვა ანალოგიურ მონაცემთა ბაზებთან საკვლევი ინტერესების შესაბამისად.

წერილობითი ისტორიული წყაროები მრავალგვარია შინაარსის, სტრუქტურის, ინფორმაციის კოდირების წესის მიხედვით. ეს მრავალფეროვნება განსაზღვრავს იმ ლოგიკური მოდელის შემუშავებას, რომელიც საფუძვლად ედება ამა თუ იმ ტიპისა და სახეობის ისტორიული წყაროს მონაცემთა ბაზას[1].

ისტორიულ წყაროთა სისტემაში დოკუმენტური წყაროები განსაკუთრებულ ტიპს ქმნიან. მათ აქვთ დამახასიათებელი სტრუქტურა, ინფორმაციის კოდირების წესი და ძალზე მაღალი ინფორმაციული ღირებულება, რამდენადაც ისინი ზუსტად აფიქსირებენ ამა თუ იმ კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობას და სოციალური სივრცის მაორგანიზებელ ელემენტებს. სწორედ ამიტომ დოკუმენტური წყაროები გამოიყენება პოლიტიკური ვითარების, სოციალური განვითარების დონის, სახელმწიფო წყობის, სამართლებრივი აზროვნების, საეკლესიო ორგანიზაციის, სამეურნეო კულტურული თუ ყოფითი რეალიების შესასწავლად. დოკუმენტური წყაროების ბაზაზე აღმოცენდა და ვითარდება რამდენიმე ისტორიული დისციპლინა: დიპლომატიკა, გენეალოგია, სფრაგისტიკა და სხვ. დოკუმენტური წყაროები საუკეთესო მასალას შეიცავს აგრეთვე ენის ისტორიის მკვლევართათვის – აქ არის *დაცული ისტორიული ონომასტიკონი, ცოცხალი მეტყველების ფაქტები* და ა.შ. მიუხედავად *დოკუმენტური წყაროებისადმი დიდი ინტერესისა, მათი სრული კორპუსის გამოცემა დღემდე* ვერ განხორციელდა. უმთავრესი მიზეზი ამ ვითარებისა არის დოკუმენტების დიდი რაოდენობა. არსებული პუბლიკაციები მხოლოდ მცირე ნაწილია დოკუმენტური წყაროების უზარმაზარი მასისა.

კომპიუტერული ტექნოლოგიების გავრცელებამ არსებითად შეცვალა წყაროთა ინფორმაციული რესურსების ათვისების შესაძლებლობები. დღის წესრიგში დადგა დოკუმენტურ წყაროთა მონაცემთა ბაზების პროექტირების საკითხი. გარკვეული სამუშაოები ამ მიმართულებით მიმდინარეობს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში. გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულიდან დღემდე ხელნაწერთა ინსტიტუტში მომზადდა საისტორიო საბუთების მონაცემთა რამდენიმე ბაზა, რომელთაგან თავისი მოცულობითა და საძიებო პარამეტრების სიმრავლით გამოირჩევა 1997-2000 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტის პროგრამით შესრულებული „XVIII საუკუნის ქართული საისტორიო საბუთების მონაცემთა ბანკი“.[2]

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარატიული წყაროებისათვის („ქართლის ცხოვრება“) ამგვარი მოდელი შემუშავებულია მ. დუმბაძისა (ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი) მ. გურაბანიძის (ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტი) მიერ („ქართლის ცხოვრების“ კომპიუტერული მოდელი. ბუნებრივ ენათა დამუშავება. ქართული ენა და კომპიუტერული ტექნოლოგიები. კონფერენციის მასალები, 2003 წ. 16-18 ივნისი, გვ. 12-13); ავტორეფერატი.

[2] პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობდნენ ხელნაწერთა ინსტიტუტის წერილობითი საისტორიო ძეგლების განყოფილების თანამშრომლები. სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მზია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზის სტრუქტურას საფუძვლად დაედო „საარქივო აღწერილობის საერთაშორისო გენერალური სტანდარტი – ISAD“, მიღებული აღწერილობის სტანდარტების კომისიის მიერ 1993 წელს სტოკჰოლმში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს სტანდარტი ჩვენთვის უმთავრესად სასარგებლო იყო როგორც დოკუმენტის აღწერის ზოგადი პრინციპების სახელმძღვანელო და არა როგორც საისტორიო საბუთის აღწერის კონკრეტული სქემა. ბაზა მომზადდა მონაცემთა მართვის პროგრამა CDS Micro ISIS-ში.

ჩვეულებრივ, მონაცემთა ბაზები იქმნება საცნობარო-ბიბლიოგრაფიული ან სამეცნიერო კვლევითი მიზნებისათვის. უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ პროექტში გათვალისწინებულია ორივე ტიპის მონაცემთა ბაზებისათვის დამახასიათებელი მოთხოვნები.

რაში მდგომარეობს საისტორიო საბუთის კომპიუტერული დამუშავების სპეციფიკა? საისტორიო საბუთი, როგორც მონაცემთა ერთობლიობა, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ რთული აგებულებისაა, ხოლო მასში დაცული მონაცემები მრავალფეროვანია. კომპიუტერული მონაცემთა ბაზა კი ერთმნიშვნელოვნად გულისხმობს ამ მონაცემთაგან უმთავრესის გამოყოფასა და მათ მოქცევას მკაცრად ჩამოყალიბებული კლასიფიკაციის ჩარჩოებში. აქედან გამომდინარე, საისტორიო საბუთების კომპიუტერული დამუშავებისას, ისევე, როგორც ნებისმიერი ისტორიული წყაროს მონაცემთა ბაზის აგებისას, პირველი რიგის ამოცანაა ლოგიკური მოდელის აგება, რაც უმთავრესად წყაროთმცოდნეობითი საქმიანობაა. უპირველეს ყოვლისა, ხდება დადგენა იმისა, თუ რა პარამეტრებს უნდა შეიცავდეს საბუთის „ანკეტა“ და განისაზღვრება, თუ როგორ უნდა იყოს ლოგიკურად ეს პარამეტრები დაჯგუფებული.

პროექტის განხორციელებისათვის სამუშაოები ორ ეტაპად წარიმართა: პირველ ეტაპზე დამუშავდა ე.წ. ლოგიკური მოდელი, რომელიც მორგებული იქნებოდა ყველანაირ დოკუმენტურ წყაროზე, მიუხედავად მათი სახეობრივი მრავალფეროვნებისა. ასეთი მოდელის შექმნის შემდეგ შესაძლებელი გახდა შერჩეულიყო მონაცემთა მართვის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა ლოგიკურ მოდელში გათვალისწინებულ საძიებო და საკვლევი ამოცანების გადაჭრას. მეორე ეტაპზე კი, შემუშავებული ლოგიკური მოდელის საფუძველზე, განხორციელდა დოკუმენტების მონაცემთა ფიზიკური შეტანა კომპიუტერში შერჩეული პროგრამით.

რაც შეეხება დოკუმენტის შინაარსობრივ მახასიათებლებს, მათი რაოდენობის დადგენისა და სტრუქტურული იერახის განსაზღვრისათვის სხვადასხვა სახეობის დოკუმენტთა ნიმუშებზე ჩატარდა წყაროთმცოდნეობითი კვლევა, რის შედეგად შეიარჩა მახასიათებელთა ოპტიმალური რაოდენობა და გამოიკვეთა მეცნიერული დირებულების თვალსაზრისით ერთგვაროვანი ინფორმაციული არეები. საერთო ჯამში გამოიყო 6 ძირითადი არე: 1. იდენტიფიკაციისა და რაგვარობის არე, 2. თარიღის არე, 3. კლასიფიკაციისა და რაობის არე, 4. შინაარსის არე, 5. დამტკიცებების არე, 6. გამოცემებისა და შენიშვნების არე. თითოეულ დასახელებულ არეში, თავის მხრივ, გამოიყო ველები და ქვეველები. სულ მიეღეთ 30 ველი და 46 ქვეველი.

ლოგიკურ მოდელში დოკუმენტის შინაარსობრივი თავისებურებების ასახვისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭირო გახდა დოკუმენტური წყაროების შიდა საკლასიფიკაციო კრიტერიუმის შერჩევა, რომლის საფუძველზე ხდება დოკუმენტის რაობის განსაზღვრა, ანუ დოკუმენტის დასათარიღება. ეს სრულ შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო მოცემული მის რეალურ იურიდიულ შინაარსთან, ამასთან არ უნდა დაკარგულიყო დოკუმენტის თვითდასახელება, ან ის სახელწოდება, რომლითაც მას აღნიშნავდნენ წარსულში მისი მოშხმარებლები. საბუთის რაობის (კლასიფიკაციისა და დასახელების) სრულად განსაზღვრისათვის საჭირო მინიმუმ ოთხი პარამეტრი: 1. საბუთის სახეობა მისი დანიშნულების მიხედვით (ნასყიდობა, შეწირულება, გაყრის წიგნი, ანდერძი და სხვ.). ეს პუნქტი საჭიროა, რათა მოხდეს საბუთის კლასიფიკაცია; 2. საბუთის დასახელება მინიჭებული მკვლევართა მიერ (მაგ. შეწირულება სვეტიცხოველისადმი). უნდა ითქვას, რომ ბაზის სტრუქტურაზე მუშაობისას ვცდილობდით, რაც შეიძლება ნაკლები ადგილი

სურგულაძე.სიამოვნებით გვინდა ალვნიშნოთ, რომ პროექტის განხორციელების დაწყებამდე, მონაცემთა ბაზის სტრუქტურისა და პროგრამული გადაწყვეტის შესახებ ბატონ თემურ ჩხეიძესთან წონასწორებით მოხსენება გავაკეთეთ საჯარო ბიბლიოთეკის ავტომატიზაციის განყოფილებაში და მის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ბიბლიოთეკაში მომუშავე ინფორმატიკის სპეციალისტებმა, რამაც ასევე დადებითად იმოქმედა პროექტის განხორციელებაზე.

დაგეგმვებინა მკვლევრის ინტერპრეტაციისათვის, თუმცა მისი მთლიანად გამორიცხვა შეუძლებელი აღმოჩნდა; 3. თვითდასახელება – საბუთში დადასტურებული დასახელება დიპლომატიკური ტერმინი: სიგელი, დაწერილი, წიგნი და სხვ. 4. გვიანდელი დასახელება. საბუთს ზოგჯერ ახლავს მოგვიანო ხანის მინაწერი, რომელიც განსაზღვრავს მის რაობას. იგივე შეიძლება ითქვას საბუთის დამტკიცებების შესახებ. საისტორიო საბუთი შეიძლება რამდენჯერმე იყოს დამტკიცებული და არც ერთი მაოგანის გამოტოვება არ შეიძლება. ესენია: 1. თანადროული დამტკიცება (როდესაც საბუთი დამტკიცებულია მისი გაცემისთანავე), 2. გვიანდელი დამტკიცება (როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში ეთითება დამატკიცებლის სახელი და თარიღი), 3. საბუთს შეიძლება ახლდეს ხელრთვა და ესეც უნდა აისახოს ბაზაში, 4. საბუთი შეიძლება დამტკიცებული იყოს ბეჭდით. ამიტომ, საჭირო ხდება ბეჭდების (ყოველ შემთხვევაში ქართულის მაინც) ლეგენდების წარმოდგენა.

ასეთივე მნიშვნელობა ენიჭება საბუთის რეგისტრაციის ამსახველ მონაცემებსაც.

ამ მოთხოვნათა გათვალისწინებით ლოგიკურ მოდელში დოკუმენტის კლასიფიკაციის და რაობის არემ შემდეგი სახე მიიღო:

***III კლასიფიკაციისა და რაობის არე***

*90 კლასიფიკაცია*

*a. ssხელობა (მაგ. იურიდიული აქტები)*

*b. ქვესახეობა (მაგ. ნასყიდობა, შეწირულება და სხვ.)*

*100 რაობა (საბუთის სათაური)*

*110 გვიანდელი დასახელება*

*120 თვითდასახელება*

დოკუმენტური წყაროების მონაცემთა ბაზების პროექტირებისას გამოიკვეთა დოკუმენტის შინაარსის პრობლემა. რადგან პროექტის ფარგლებში შეუძლებელი იყო დოკუმენტების სრული ტექსტების შეტანა მონაცემთა ბაზაში, ამიტომ შეიქმნდით დოკუმენტის შინაარსის ანოტაციაზე.

მონაცემთა საგნობრივი ველების პროექტირებისას ვცდილობდით მაქსიმალურად გაგვეანზრებინა ისტორიული კვლევის ამოცანები, თუმცა არანაკლებ საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს ასეთი ინფორმაცია ფილოლოგიური და ენათმეცნიერული პოზიციებიდანაც.

თითოეული საგნობრივი ველი წარმოადგენს დოკუმენტური წყაროების ტექსტიდან ორგანიზებულად ამოკრეფილ იმ მონაცემთა ერთობლიობას, რომელთაც წყაროთმცოდნეობითი ღირებულება შეიძლება ჰქონდეთ. გარდა დამოუკიდებელი მნიშვნელობისა, ასეთი ველები, დიდი რაოდენობის მონაცემების დაგროვების შემთხვევაში, იძენენ ახალი ტიპის წყაროს მნიშვნელობას და შეიძლება გამოყენებულ იქნან ისტორიული მასალისადმი ახლებური მიდგომის სარეალიზაციოდ. ლოგიკურ მოდელში (გარდა ანოტაციის ველისა) შეირჩა 10 საგნობრივი ველი, ესენია:

1. წმინდანთა და ბიბლიური სახელები
2. პერსონალია
3. ტოპონიმები
4. ხუროთმოძღვრული ძეგლები
5. გადასახადები
6. ფულის ერთეულები
7. ზომა-წონის ერთეულები
8. სოციალური ტერმინები
9. მნიშვნელოვანი მოვლენები
10. გაცემის ადგილი

ყველა სახეობის დოკუმენტს, რა თქმა უნდა, თანაბარი რაოდენობის მახასიათებლები არ გააჩნია, მაგრამ ყველა სახეობის აღწერა ამგვარ ბაზაში შესაძლებელია.

დოკუმენტური წყაროების გარკვეულ სახეობებში ტექსტის დიდი ნაწილი ეთმობა ძველი აღთქმის პერსონაჟების და ქრისტიანული ეკლესიის წმინდანების ჩამონათვალს. ეს მასალა თავისთავად საინტერესო სურათს ქმნის, ვთქვათ, ამა თუ იმ წმინდანის კულტის გავრცელების ან პოპულარობის საილუსტრაციოდ. საინტერესოა აგრეთვე ეპითეტები, რომლებსაც დოკუმენტის ტექსტი აკუთვნებს ამა თუ იმ წმინდანს. ამდენად, აუცილებლად ჩავთვალეთ ლოგიკურ მოდელში ცალკე კომპონენტად შეგვეტანა „წმინდანთა და ბიბლიურ სახელთა“ ველი.

დოკუმენტური წყაროები უაღრესად მდიდარია ცნობებით კონკრეტულ პირებზე, შეიძლება ითქვას, რომ ყოველი დოკუმენტი არის გარკვეული პირის სოციალური საქმიანობის, ან პირთა ჯგუფის ცოცხალი ურთიერთობების ამსახველი მატერიალური ნაშთი. დოკუმენტების ავტორები თუ ადრესატები, აქ მოხსენიებული სხვა, მესამე პირები წარმოადგენენ ჩვენი წარსულის სუბიექტებსაც და ობიექტებსაც. მრავალგვარია მათი მოხსენიების წესი თუ ხარისხი. დოკუმენტში ხშირად მოტანილია ცნობა პირის საზოგადოებრივი მდგომარეობის, მისი სოციალური კატეგორიის, თანამდებობის, პროფესიის, ნათესაური კავშირების თუ სხვ. შესახებ. ამ ტიპის ცნობათა ერთობლიობამ შეადგინა 20 მახასიათებელი, რომლებიც გაერთიანებულია პერსონალიის ველში. ეს ველი მრავალმხრივ საინტერესო მასალას მიაწვდის საზოგადოების, სამართლის ისტორიის, გენეალოგიის, ისტორიული ანთროპონიმიის და სხვა დარგების მკვლევართ.

პერსონალიის ველში გამოიყო შემდეგი ქვეველები:

*1. პირი (გვარი, სახელი), 2. მამის სახელი 3. ზედწოდება 4. ტიტულატურა 5. სოციალური კატეგორია 6. თანამდებობა 7. პროფესია 8. სოციალური ვალდებულება 9. ეროვნება 10. წარმომავლობა 11. მეუღლე 12. შვილი 13. შვილიშვილი 14. ძმა 15. პაპა 16. სახლიკაცი 17. განაყოფი 18. ნათესავი 19. იურიდიული ფუნქცია საბუთთან დაკავშირებით 20. მოხსენიების ხარისხი 21. აღმსარებლობა*

ლოგიკურ მოდელში ცალკე ველად არის გამოყოფილი „ონომასტიკონი". აქ თავს იყრის სხვადასხვა კატეგორიის გეოგრაფიული სახელი, სახელმწიფოთა, მხარეთა, ადმინისტრაციულ ერთეულთა სახელწოდებანი, რომლებიც დოკუმენტურ წყაროებში შეიძლება შეგვხვდეს. აქვე გავაერთიანეთ ტოპობრივი და ეთნიკური სახელწოდებები. სულ ამ ველში გამოიყოფა 7 ქვეველი. ეს ველი უპირატესად გაოველილია ისტორიული გეოგრაფიის, ისტორიული დემოგრაფიის და ტოპონიმიკის მკვლევართათვის:

***160 ონომასტიკონი***

*1. ურბონიმი (მიკროტოპონიმი. მაგ.: უბანი, ქუჩა)*
*2. ოიკონიმი (ტოპონიმი. მაგ.: სოფელი, ქალაქი)*
*3. მხარე*
*4. კუთვნილება (ვის ეკუთვნოდა აღნიშნული მიწა)*
*5. სახელმწიფო*
*6. ეთნონიმი*
*7. პიდრონიმი*

დოკუმენტურ წყაროებში ძალზე ხშირია წარსულის მატერიალურ ძეგლებზე, საკულტო ნაგებობებსა და საგნებზე, საცხოვრებელ სახლებზე ყოფითი დანიშნულების ნივთებზე მითითება. ასეთი მასალის თავმოყრის მიზნით შეიქმნა „ძეგლების" ველი, რომელშიც გაერთიანებულია 4 ქვეველი:

170. ძეგლები
1. ხუროთმოძღვრული ძეგლი
2. მდებარეობა
3. ნივთი
4. მესაკუთრე

ცალ-ცალკე ველებია გამოყოფილი საგადასახადო ტერმინების, ფულის, ზომა-წონის ერთეულების, სოციალური ტერმინების თავმოყრის მიზნით. ამ ველებში მონაცემების დიფერენცირება დამატებითი მახასიათებლებით არ არის გათვალისწინებული, რადგან საბუთის ტექსტი პირველად აღწერის დონეზე ამის საშუალებას არ იძლევა. მაგრამ ამ ველების მონაცემების თავმოყრას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მათი შეჯსება, დახარისხება, რეგიონალური, ქრონოლოგიური ან იერარქიული პრინციპით დაჯგუფება, სტატისტიკური მეთოდებით დამუშავება.

დოკუმენტურ წყაროებში არაიშვიათად მითითებულია მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენები (მათი აღწერა თვით დოკუმენტის შედგენის მიზანს სცილდება), რომლებთანაც დოკუმენტში მოხსენიებულ პირებს გარკვეული პირდაპირი ან ირიბი კავშირი შეიძლება ჰქონდეთ. ასეთი მოვლენები ზოგჯერ ავსებენ ნარატიული წყაროების ცნობებს ახალი

დეტალებით და მათი გამომზეურება სრულიად აუცილებელია. სწორედ ამიტომ არის ლოგიკურ მოდელში გამოყოფილი „მნიშვნელოვანი მოვლენების“ ველი.

დოკუმენტური წყაროების კომპიუტერული დამუშავების შედეგები რამდენიმე კუთხითაა საინტერესო. ერთ-ერთი მთავარი, როგორც აღვნიშნეთ, არის საცნობარო დანიშნულება.

მეორე და, ჩვენი აზრით, არანაკლებ საინტერესოა აღნიშნული ბაზის გამოყენება სტატისტიკური ანალიზის ჩატარებისათვის და მიღებული შედეგების განზოგადების ცდა კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში საზოგადოებრივი ცხოვრების სურათის აღსადგენად.

მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს, იმის საილუსტრაციოდ, თუ რა სახის სტატისტიკური მონაცემები მივიღეთ ჩვენი მონაცემთა ბაზის დამუშავების შედეგად. ეს მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა კვლევითი ამოცანის გადაჭრისათვის. მაგალითები წარმოდგენილია „Excel“-ის გრაფიკული სქემების სახით (ტექსტური ფაილები გადაგვჭონდა ჯერ Access-ში, ვადგენდით შესაბამის მოთხოვნებს და შემდეგ ვიყენებდით Excel-ს).

ქრონოლოგიური მონაცემები

ქრონოლოგიური საზღვრები პრაქტიკულად მთელ XVIII საუკუნეს მოიცავს. სქემაზე ჩანს, რომ საბუთების ძირითადი ნაწილი მოქცეულია 1709-1776 წლებს შორის.




დოკუმენტების დალაგება სახეობათა მიხედვით

ბაზაში გაერთიანებული საბუთების უდიდეს ნაწილს (1738 ერთ.) მინიჭებული აქვს „იურიდიული აქტის“ სახელწოდება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სტატისტიკურ ცნობებს (286), საქმისწარმოებებს (171), ეპისტოლეებს (131), სასამართლო აქტებს (105). მათგან ყველაზე მრავალრიცხოვანი – „იურიდიული აქტები“ უმრავლეს შემთხვევაში წარმოადგენს ნასყიდობებს (833), წყალობის საბუთებს (293), წილის ბარათებს (204) და სხვ.




მონაცემები დოკუმენტების გაცემის ადგილის შესახებ

2844 საბუთიდან, რომლებიც საბოლოოდ დარჩა ბაზაში, უდიდესი ნაწილი გაცემულია ქართლში – 1722. მნიშვნელოვნად ნაკლებია საქართველოს სხვა რეგიონებიდან: კახეთი – 208 და იმერეთი – 112. საქართველოს დანარჩენი მხარეები საბუთებში სულ რამდენიმე ერთეულითაა წარმოდგენილი, ხოლო ნაწილზე კი მითითებული არ არის. ე.ი. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ საბუთებში ასახული მოვლენებისა და მოქმედებების ძირითადი არეალი ქართლია.




მონაცემები პერსონალიის შესახებ

რაც შეეხება დოკუმენტებში მოხსენიებულ პირებს, სულ საბუთებში დასახელებულ პირთა რაოდენობა 25980-ია. რა თქმა უნდა, ეს არ გულისხმობს იმას, რომ დასახელებული პირები ყველა სხვადასხვაა. ზოგჯერ საქმე გვაქვს გამეორებასთან. განსაკუთრებით ეს ეხება მეფეებსა და მოხელეებს, რომლებიც თავიანთი სიცოცხლის მანძილზე ათეულობით საბუთს გასცემდნენ.

მონაცემები პროფესიათა შესახებ

საბუთებში ზოგჯერ აღნიშნულია პირის პროფესიაც. სულ პროფესიული ნიშნით დახასიათებულია 263 პირი. ე.ი. უხეში მიახლოებით ყოველ 98-100 კაცზე ერთი რაიმე ხელობის მფლობელი იყო. პროფესიათა შორის შედარებით მეტჯერაა დასახელებული მჭედელი და დალაქი (25-25-ჯერ). ამათ მოსდევს მწერალი, ოქრომჭედელი და სხვ.




მონაცემები ოიკონიმების შესახებ

ქალაქებისა და სოფლების დასახელება საბუთებში დადასტურებულია 2729-ჯერ. გორი – 97-ჯერ; თბილისი – 80-ჯერ; მცხეთა – 32-ჯერ. სოფლებიდან ხშირადაა დასახელებული ატენი (26), რუისი (26), ხოვლე (26).



მონაცემები ფულის ერთეულების შესახებ

ფულის ერთეულებიდან ყველაზე ხშირად დასახელებულია თეთრი (197) და თუმანი (193).




აღვნიშნავთ, რომ საისტორიო დოკუმენტების დიდი მასივის დამუშავებისას ერთ-ერთი მთავარი სირთულე საბუთში დამოწმებული საკუთარი სახელებისა და სოციალურ-ეკონომიკური ტერმინების უნიფიკაციის საკითხია. გარდა ამისა, მუდმივად ჩნდება სურვილი არ დაიკარგოს საბუთში დადასტურებული ესა თუ ის ფორმა. მაგალითად, საბუთების ნაწილში დადასტურებული სიტყვა „ქალაქი", უმრავლეს შემთხვევაში აღნიშნავს „თბილისს", გვხვდება აგრეთვე თვითონ „თბილისიც". უნდა მოხდეს მათი გაერთმნიშვნელიანება, თან სასურველია, ისე, რომ შენარჩუნდეს ორივე სახელი. და ეს ერთ-ერთი ყველაზე მარტივი მაგალითია. მომავლისათვის, ვფიქრობთ, როგორც ისტორიული, ასევე ენათმეცნიერული თვალსაზრისით, სასარგებლო იქნება მონაცემთა ბაზაში შევიდეს საბუთების სრული ტექსტები.

M. SURGULADZE, N. KHUTSISHVILI

## THE PROBLEMS OF HISTORICAL DOCUMENTS COMPUTER MODELS

SUMMARY

In the Article it is discussed the methods and principles of historical documents' computer working up which were worked out in the K.Kekelidze Institute of Manuscripts in 1997-2000. During this period by the historians, the research workers of the Institute, on the basis of grants given by the Georgian Academy of Sciences, it was prepared "The Database of the Georgian Historical documents of 18th century", which units 3000 juridical acts of different types. The database was prepared in CDS Micro ISIS.

On the first stage of the project's accomplishing it was worked out the logical model of historical document (its computer description), which could be reconciled to any documental source, in spite of their multifunctional variety. On the second stage it was carried out the physical entering of documents data in computer. It was selected the optimum number of registration-bibliographical characteristics of historical documents and their content peculiarities; also it was distinguished information areas from scientific point of view: 1. The identification area 2. The data area 3; The classification area; 4. The content area. 5. The confirmation area. 6. The remarks area. In each areas there was distinguished the fields and subfields. Finally it were defined 30 fields and 46 subfields.

In the article there are given the examples of statistic data in graphic schemes: the chronologic data; the sorts of documents; the places of documents giving out; the data about persons; the data about profession and etc.

ლია კიკნაძე

# იოანე ბატონიშვილის კალმასობისული ქართული გრამატიკის ტექსტისათვის (სრულია თუ არა იგი)

იოანე ბატონიშვილის სახელით ქართული ენის ორი გრამატიკაა ცნობილი. ერთი, ვრცელი, შესულია მის „კალმასობაში“, როგორც თხზულების შემადგენელი ნაწილი, ხოლო მეორე, მოკლე გრამატიკა, შექმნილია 1829 წელს ყრმათათვის სასკოლო სახელმძღვანელოდ. ვრცელ გრამატიკას „კალმასობის“ პირველ წიგნში[1] საკმაოდ მოზრდილი მონაკვეთი უჭირავს, კერძოდ 48r–104v, რვეულებრივი პაგინაციით, რომელიც ავტორისეულია და, ამდენად, ყველაზე ძველი – მე-7 რვეულის 4r – მე-14 რვეულის 8v გვერდები.

„კალმასობა“ ქართველი საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა 1861 წელს, რო-დესაც გამოქვეყნდა თხზულების ადმომჩენის, ცნობილი ისტორიკოსის დ. ბაქრაძის წერილი მოწოდებით – გამონახულიყო სახსრები ამ შესანიშნავი ქმნილების დასა-ბეჭდად[2]. ამას მოჰყვა მომდევნო 1862 წელს „კალმასობის“ დასაწყისი ნაწილის დასტამბვა. ეს იყო ჟურნალ „ცისკრის“ მიერ განხორციელებული გამოცემის I ტო-მი, რომელიც შეიცავდა ქართულ გრამატიკას და რომელსაც ახლდა დ. ბაქრაძის აღნიშნული წერილი. II ტომი დაიბეჭდა 1867 წელს (ორივე ტომი მოიცავდა I წიგნის მხოლოდ ნაწილს – 1-29,5 რვეულებს). მეორე გამოცემა განხორციელდა 1895 წელს ზ. ჭიჭინაძის მიერ, რომელმაც „კალმასობის“ ხელნაწერის გაუჩინარე-ბის გამო დედნად გამოიყენა წინა გამოცემა და ორივე ტომი ერთ წიგნად დაბეჭდა დ. ბაქრაძის წერილითურთ[3]. თითქმის მთელი საუკუნის შემდეგ, უკვე ჩვენს დროში, 1986 წელს გრამატიკა გამოქვეყნდა ცალკე წიგნად[4], რომელსაც ერთგოდა გამომ-ცემელის გამოკვლევა. ბოლო, მეოთხე გამოცემა განხორციელდა 1990 წელს, როდე-საც გამოვიდა ოთხ წიგნად ჩაფიქრებული „კალმასობის“ I წიგნი[5] (II წიგნი დაი-ბეჭდა 1992 წელს, III და IV წიგნები ჯერჯერობით გამოუქვეყნებელია).

იმის გამო, რომ ჩვენს დროში კალმასობისეულმა გრამატიკამ მხოლოდ 80– 90-იან წლებში იხილა დღის სინათლე, ძველი გამოცემები კი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, ეს ნაშრომი მეცნიერების ყურადღების მიღმა დარჩა და სპეციალური შესწავლის საგანი მხოლოდ მოგვიანებით გახდა.

დ. ბაქრაძის ზემოაღნიშნულ წერილში ქართულ გრამატიკას მხოლოდ ერთი წინადადება ეძღვნება: იგი ნახსენებია იმ სწავლებათა ჩამონათვალ-ში, რომლებიც „კალმასობაშია“ განხილული. მთელი საუკუნის შემდეგ, 1962 წელს დაიბეჭდა ნ. გოგუაძის[6] წერილი, რომელშიც იოანე ბატონიშვილის მოკლე გრამატიკის შედა-რებითი განხილვაა მოცემული კალმასობისეულ გრამატიკასთან, ე.ი. მასში ავტორი ამ უკანასკნელს მიმართავს, როგორც დამხმარე საშუალებას მოკლე გრამატიკის კვლევის საქმეში. 1968 წელს

---

[1] Q720; დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტი-ტუტში.

[2] დ. ბაქრაძე წერილში მაღალ შეფასებას აძლევს იოანე ბატონიშვილის თხზულებას და მიაჩნია, რომ იგი ორ წიგნის მოიცავს. პირველი – „თითქმის თხზულის სრული ფურცლით შემდგარი“ მის მიერ მიკვლეული, საქართველოშია, ხოლო მეორე – პეტერბურგში, იოანე ბატონიშვილის შვილი-შვილის ოჯახში დაცული, ქართველი სახელგანთქმული უცხოველი.

[3] „კალმასობა, თხზულება იოანე ბატონიშვილისა, დიმიტრი ბაქრაძის წინასიტყვაობით, გამოც. მე-2 ზ. ჭიჭინაძისა, თბ. 1895.

[4] „კალმასობისეული ქართული გრამატიკა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ნორა კოტრიკაძემ, თბ. 1986. „კალმასობა“ გამოქვეყნდა უფრო ადრეც, 1936 (I ტ.) და 1948 (II ტ.) წლებში კორნელი კეკელიძისა და ალექსანდრე ბარამიძის მიერ, მაგრამ მასში არ შესულა გრამატიკა, ისევე როგორც სხვა მეცნიერული თუ რედაქციური სწავლებები (მცირე გამონაკლისის გარდა).

[5] იოანე ბატონიშვილი, ხუმარსწავლა, წიგნი I. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ციალა კახაბრი-შვილმა და ცოტნე კოკაძემ, თბ. 1990.

[6] ნ. გოგუაძე, იოანე ბატონიშვილის გრამატიკა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნა-წერთა ინსტიტუტის მოამბე, თბ. 1962.

„კალმასობას“ და მის გრამატიკულ ნაწილს წერილი უძღვნა ნ. კოტრინამ[7], თუმცა დაწვრილებითი ანალიზი არ მოუცია. 1979 წელს ალ. ფოცხიშვილმა დეტალურად განიხილა კალმასობისეული გრამატიკა[8], დაადგინა მისი წყაროები (გაიოზ რექტორისა და დავით ბატონიშვილის გრამატიკული ნაშრომები ანტონ კათალიკოსის გრამატიკასთან ერთად) და შეაფასა იგი. 1986 წელს გამოცემულ ქართულ გრამატიკას ახლავს გამომცემლის, ნ. კოტრინოვის გა-მოკვლევა და გრამატიკულ ტერმინთა საძიებელი. გამოკვლევაში განხილულია გრამატიკის წყაროების საკითხი და იოანე ბატონიშვილის მუშაობის მეთოდი, რომელიც ასეა დახასიათებული: „ავტორ-შემდგენელი შემოქმედებითი კომპილაციის მეთოდს მიმართავს და ამ გზით წარმოგვიდგენს შესაბამისი ეპოქის ამსახველი კომპლექსური გრამატიკის ახალ სტრუქტურულ მოდელს“[9].

რაც შეეხება უპირველეს საკითხს, სრულად მოაღწია თუ არა კალმასობისეულ-ლი ქართული გრამატიკის ტექსტმა ჩვენამდე, სპეციალურად იგი არავის უკვლევია, თუმცა გარკვეული მოსაზრებები გამოითქვა სამეცნიერო ლიტერატურაში.

სანამ ამ მოსაზრებებს განვიხილავდეთ, მოკლედ წარმოვადგენთ იმ ხელნაწერის კოდიკოლოგიურ დახასიათებას, რომელშიც არის შესული ქართული გრამატიკა.

„კალმასობა“ ავტორის ხელიდან 4 წიგნად გამოვიდა. პირველი წიგნი, რომელიც დღეს 3 ნაწილად და შესაბამისად, 3 ხელნაწერად არის წარმოდგენილი (Q720+Q577+S5374[10]), იოანე ბატონიშვილის გარდაცვალების შემდეგ (1830 წ.) მისი მეუღლის, ქეთევანის, მეშვეობით უნდა მოხვედრილიყო ქეთევანის ძმის, ცნობილი ბიბლიოფილისა და კოლექციონერის, გრიგოლ წერეთლის ოჯახში, საიდანაც მემკვიდრეობით ერგო მის შვილიშვილს, ნესტორ წერეთელს. მან გადასცა, სწო-რედ, ხელნაწერი დიმიტრი ბაქრაძეს, რომელმაც დაწერა წერილი „კალმასობის“ შესახებ, ხოლო ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციამ განახორციელა მისი ნაწილის გამოცემა „ქართველ საზოგადოების მინდობილობით“. ხელნაწერი დიდი მოცულო-ბისა იყო – შეიცავდა 47 რვეულს ანუ 387 ფურცელს[11] – და დაბეჭდვის გაიოლების მიზნით გაყვეს ორ ნაწილად (29,5 და 17,5 რვეული), რაჰაც ხელი შეუწყო მისი ფურცლების დაკარგვას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი ნაწილი (1–29,5 რვეული) დაიბეჭდა 2 ტომად, პირველი 1862, ხოლო მეორე 1967 წელს, რის შემდეგაც ეს ნაწილი ხელნაწერისა დაიკარგა[12]. მხოლოდ 1934 წელს გამოჩნდა საკმაოდ ნაკლული: აკლდა დასაწყისი ფურცლები, შიგნითაც; აგრეთვე მე-10, მე-15 რვეულები და რამდენიმე რვეული ბოლოში: 26-ე რვეულის 5 ფურცელი, 30-ის 4 ფურცელი, მთელი 27-ე, 28-ე და 29-ე რვეულები. ამ დაკლებული ადგი-ლებიდან ქართულ გრამატიკაზე მოდის მე-10 და მე-15 რვეულები. საბედნიეროდ, დაკლებული მე-10 რვეული ნაკლულად აღმოჩნდა ამჟამინდელ Q577 ხელნაწერში. იგი 9 ფურცელს შეიცავს, აქედან ექვსი მე-10 რვეულისაა (აკლია პირველი და მერვე ფურცლები), ხოლო 3 (7r-v, 8r-v, 9r) „კალმასობის“ წინა დაკლებული ფურცლების პირებია (ძველი პაგინაციით 21, 22, 25, 26, 27)[13].

პირველი გამოცემის დროს მე-10 რვეული თავის ადგილას–Q720 ხელნაწერის შემადგენლობაში იყო და შესაძლებელი იქნებოდა მისი ამჟამად დაკლებული პირველი და მერვე ფურცლე-ბის აღდგენა ან გამოცემით. მაგრამ ერთი გარემოების გამო, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, ორი ფურცლიდან ერთის აღდგენა შეუძლებელია.

რაც შეეხება მეთხუთმეტე რვეულს, იგი დღემდე დაკარგულად ითვლება და მისი კლება Q720 ხელნაწერის ძველ პაგინაციაში ასახული არ არის, ე.ი. იგი დაკარგულია პაგინაციის გაკეთებამდე. მე-15 რვეული რომ აკლია Q720-ს, გარდა ტექსტის კლებისა, ვიგებთ ხელნაწერის ფცლობელის, გრიგოლ წერეთლის მინაწერის მიხედვითაც, რომელიც გაკეთებულია მე-14–16 რვეულების ქვედა აშიაზე: „აქ მოუპარავს ქურდსა მეათხუთმეტე რვეული და საძაგელს უკაცობრივ გონებას უქმნია ესე... და ვერ დაუთმია მხილება. არა წარგცა აღუსებელსა მთხლესა და გესლსა ამბოხებისასა. თავადი გრიგოლ წერეთელი“. მინაწერის ავტორს ეს არასაკმარისად მიუწნევია და მე-16 რვეულის პირველი ფურცლის v-ზე

[7] ნ. კოტრინოვი, იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“ და მისი გრამატიკული ნაწილი, ჟ. ცისკარი, 1968, №8, გვ. 134.
[8] ალ. ფოცხიშვილი, ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბ. 1979.
[9] დასახელებული გამოცემა, გვ. 29.
[10] სამივე ხელნაწერი ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული.
[11] ქ. ქაქლიძის და ალ. ბარამიძის დასახ. გამოცემა, ტ. I, გვ. X.
[12] დღევანდელი Q720 და Q577 ხელნაწერები. რაც შეეხება მეორე ნაწილს, იგი თავის დროზე მოხვედრილა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმში. დღეს დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში – S5374.
[13] გადაწერილია იოანეს ავტოგრაფიდან უცნობი პირის მიერ.

(ქვემო აშიაზე) მსგავსი შინაარსის მეორე მინაწერი გაუკეთებია: „მ, წყეული, ვინ შეაჭრა უსჯულოება უსჯულოებასა და მპარაობა კაენობასა და ჰელჰყო ქურდობად მეათხუთმეტეს რვეულსა უფასოსა ამის მარგარიტისასა. თავადი გრიგოლ წერეთელი". გრიგოლ წერეთელი გარდაიცვალა 1843 წელს. მაშასადამე, მე-15 რვეული დაკარგულა 1843 წლამდე.

ახლა მივუბრუნდეთ იმ მოსაზრებებს, რომლებიც გამოითქვა სამეცნიერო ლიტერატურაში გრამატიკის ტექსტის თაობაზე.

ალ. ფოცხიშვილის აზრით, კალმასობისეული გრამატიკის ტექსტი ნაკლულია: „თუ Q720-ს მივუმატებთ Q577 ხელნაწერს, ტექსტი აღდგებოდა ორი ფურცლის გა-მოკლებით და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დაკარგული ორი ფურცლიდან ერთის ტექსტი უკვე დაბეჭდილშია შეტანილი, საბოლოოდ დადგინდება, რომ ხელ-ნაწერს აკლია მხოლოდ ერთი ფურცელი"[14]. მკვლევარმა შესანიშნავად იცის, რომ Q577 ხელნაწერში Q720-ის მე-10 რვეულია დაცული ორი ფურცლის დაკლებით (აკლია პირველი და მერვე ფურცლები). სულ სხვა აზრისაა ნ. კოტინოვი: მისთვის Q577-ში დაცულია მე-15 რვეული და არა მე-10. მას მიაჩნია, რომ მის მიერ 1986 წელს გამოცემული გრამატიკის ტექსტი წარმოადგენს "შევსებულ ვრცელ რედაქ-ციას"[15] და ამაში გულისხმობს დაკლებული ადგილების შევსებას Q577-ით, რომე-ლიც Q720-ის ნაწილია (მისი აზრით, მე-15 რვეული) და ძველი გამოცემებით, ე.ი. მკვლევარის აზრით, გრამატიკის ტექსტი სრულად არის ჩვენამდე მოღწეული და არაფერი აკლია.

რამდენად სწორია ეს განცხადება?

ცნობილია, რომ „კალმასობის" პირველ გამოცემაში თხზულების ტექსტი და, მათ შორის, გრამატიკაც თვითნებურად არის შემოკლებული–ხშირად ერთი-ორი სიტყვაა ამოღებული, ზოგჯერ მთელი აბზაცები, არც თუ იშვიათად–მთელი გვერ-დებიც კი. სწორედ ეს ბოლო შემთხვევა გვაქვს ზმნის უღლების პარადიგმების დროს, როდესაც პირველმა გამომცემლებმა არ დაბეჭდეს განსაზღვრული ტიპის მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნების უღლების პარადიგმები (დაწყებული მესამიდან მეექვსის ჩათვლით. დაბეჭდეს მხოლოდ პირველი და მეორე „მიმოხრა") ანუ ხელნაწერ Q720-ის 66r–70v და მისი მიმყოლი 4 გვერდი, რომელიც იმ დროს ამავე ხელნაწერის ნაწილი იყო, ამჟამად კი Q577-შია შესული (1r-v, 2r-v ძველი პაგინაციით) – სულ 14 გვერდი (პირველი და მე-14 გვერდების მხოლოდ ნაწილია დაბეჭდილი)[16]. გამოტოვებულ გვერდებზე მოთავსებულია ზმნების „ვემთხუწვი"/„ვიმ-თხუწვი", „მივიღებ"/„მივიღები", „ვუწოდ"/„ვიწოდები" და „ვწერ" უღლების პარადი-გმები.

ახალ გამოცემებში ამ ზმნების უღლების პარადიგმებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ „ვიწოდები" ვნებითი ზმნის უღლების პარადიგმა სრული არ არის – აკლია რამდენიმე დროისა და კილოს ფორმა. ესენია: იპოტეტიკის (პირობითი) კილოს აწმყო, ნამყო უსრული, ნამყო სრული და უსრულესი, ნამყო უუსრულესი, აგრეთვე განუსაზღვრელი აწმყოსა (ე.წ. ინფინიტივისა) და მიმღეობების (აწმყოს, ნამყოს, მყოობადის) ფორმები. აკლია აგრეთვე „ვწერ" შემოქმედებითი (მოქმედებითი) გვა-რის ზმნის ყველა დროისა და კილოს (სულ 12), ასევე განუსაზღვრელი აწმყოსა და მიმღეობების ფორმები, ე.ი. გრამატიკის ტექსტი ამ ნაწილში ნაკლულია ორი გვერდის ფარგლებში და ეს არის სწორედ ის პირველი ფურცელი, რომელიც ამჟა-მად აკლია ხელნაწერ Q577-ს და რომელიც პირველი გამოცემის დროს თავის ად-გილზე, Q720-ის შემადგენლობაში იყო, ისევე როგორც მისი მომდევნო ფურცლები ანუ მთელი მე-10 რვეული. ამჟამად კი დაკარგულია და აღდგენა შეუძლებელია ძველი გამოცემებითაც კი, რადგან მოყოლილია იმ შემოკლებულ გვერდებში, რომ-ლებიც შეგნებულად გამოტოვეს და არ დაბეჭდეს პირველმა გამომცემლებმა. გრამატიკის 1986 წლის გამომცემელს კი ეს ვერ შეუმჩნევია და მიაჩნია, რომ ამ ნაწილში სრულად აღადგინა ტექსტი ძველი გამოცემების მეშვეობით. მისი განცხა-

---

[14] ალ. ფოცხიშვილი, ქართული ენათმეცნიერების ისტორია, თბ. 1995, გვ. 338.

[15] დასახელებული გამოცემა, გვ. 30.

[16] ეს გამოტოვებული გვერდები ხელნაწერში მინიშნებულია ფანქრით შეტანილი პირობითი ნიშნებით (x, #) იხ. ხელნაწერ Q720-ის 66r და Q577-ის 2v (ძველი პაგინაციით). საერთოდ ხელნაწერს ძალიან ეტყობა პირველი გამომცემლების მუშაობის კვალი: დასმულია პუნქტუაციის ნიშნები, შესამოკლებელი ადგილები გადახაზულია ან პირობითი ნიშნებითაა მინიშნებული.

დება სწორია Q577-ის დაკლებული მერვე ფურცლის მიმართ, რომელიც პირველ გამოცემაში არ მოხვდა შემოკლებაში, თავის ადგილზე იყო დაბეჭდილში და იმით შეიცსო Q577-ის ან დაკარგული მერვე ფურცელი[17].

რაც შეეხება გრამატიკის მეთხუთმეტე რვეულის კლებას, თანამედროვე მკვლევართათვის რატომღაც არც დასმულა საკითხი, ბოლონაკლულია თუ არა გრამატიკა – მათთვის გრამატიკა მთავრდება იმ ადგილას, სადაც ძველ გამოცემებში მითითებული, თუმცა იქ, მართებულად, მრავალწერტილით მინიშნებული, რომ ბოლოში ამ თხზულებას რაღაც აკლია და მხოლოდ ამის შემდეგ არის შენიშვნა „დასასრული ღრამმატიკისა“. ამაზე, როგორც ჩანს, არ დაფიქრებულა ნ. კოტინო-ვიც, რომელსაც მიაჩნია, რომ Q577 შეიცავს მე-15 რვეულს (და არა მე-10-ს. ამ რვეულის კლებას იგი საერთოდ არსად ახსენებს). გამოდის, რომ მისთვის მე-15 რვეული გრამატიკის შუა ნაწილშია და არა ბოლოში. 1936 წლის გამომცემლებს, კორნელი კეკელიძესა და აღქსანდრე ბარამიძეს კი შეუმჩნევიათ, რომ მე-15 რვეულის ნაწილი გრამატიკას ეჭირა. წინასიტყვაობაში მეცნიერები მსჯელობენ საერო თუ საეკლესიო სწავლებების გამოცემაში შეუტანლობის არგუმენტების შესახებ და დასძენენ: „აქაც გამონაკლისი დავუშვით ქართული ენის გრამატიკის კურსისა[18] (რომლის ნაწილი თავიდანვე დაკარგული ყოფილა ხელნაწერში და რომელიც მთლიანად პირველ გამოცემებშიაც არ შესულა) და საქართველოს ისტორიის იმ ნაწილებისათვის, რომელნიც წარმოადგენენ ქართველ წმიდათა „ცხოვრების“ შინაარსის შემოკლებულ გადმოცემას“[19]. ხაზგასმულ წინადადებაში ნათლად არის ნათქვამი, რომ გრამატიკის ნაწილი თავიდანვე ყოფილა დაკარგული და ძველ გამოცემებშიც არ შესულა – ეს ნაწილი კი მე-15 რვეულია და არავითარ შემხვევაში მე-10, რომელიც მე-19 ს. 60-იან წლებში დაკარგული არ ყოფილა და Q720-ის შემადგენელი ნაწილი იყო.

შინაარსის მიხედვით ამოცნობა იმისა, მე-14 რვეულით მთავრდებოდა თუ არა კალმასობისეული გრამატიკა, ერთობ ძნელია, რადგან დღევანდელ ბოლო თავში მოცემულია არა რომელიმე კონკრეტულ თემაზე მსჯელობა, არამედ სხვადასხვა ხასიათის შენიშვნები, რომლის დართვაც საჭიროდ მიუნევია იოანე ბატონიშვილს. აქ არის დავით ბატონიშვილის გრამატიკიდან[20] გადმოტანილი ცნებები–ნათესავი, სახე, განყოფილება, შემმტკიცებელი განყოფილება, აღლეკი ანუ უკუნრღუნვა... მოცემულია ზოგიერთი მაგალის განმარტებაც. პირველი სამი ცნება (ნათესავი, სახე, განყოფილება) დავით ბატონიშვილს აღებული აქვს პორფირიოს ფინიკიელის თხზულებიდან „ხუთთა მარტივთა ხმათათჳს“ და მიაჩნია, რომ გრამატიკული ტერ-მინების დეფინიციები უნდა განისაზღვროს ამ ცნებების მიხედვითაც, ე.ი. ითქვას, კონკრეტულ განსაზღვრებაში რომელი სიტყვაა ნათესავი, სახე და განყოფილება. ამ გაგებას, როგორც ჩანს, ეზიარებდა იოანეც, რისი დასტურიცაა პირველ თავში „ღრამმატიკისათჳს“ დავითის გრამატიკიდან შესავალი ნაწილის სიტყვასიტყვით გადმოტანა. აქ შეტანილია ცნებები, რომლებიც „შეუდგებიან და ემდევრებიან ღრამმატიკასა“. ასეთებია „ოთხნი იგი გუარნი მოძღურებითნი“–განსაზღვრება, გან-წვალება, აღმოჩენა და აღლეკი. აქვე ნათქვამია: საჭიროა ვიცოდეთ, რომ „სახეჲ-არსა (განსაზღვრებასა ლ.კ.) შინა უნდა ჰსჩნდეს სამნი რაიმენი, ესე იგი, სახე, ნათესაი და განყოფილება“. ამ მოთხოვნის პრაქტიკული განხორციელებაა ბოლო თავში მოცემული მცდელობა იოანე ბატონიშვილისა, გრამატიკის განსაზღვრებაში მკითხველს განუმარტოს, რომელი სიტყვებია სახე, ნათესაი და განყოფილება. მოვიყვანთ ციტატას: „ვინაჲდგან სახლუარნი ღრამმატიკისა არს ესე – ღრამმატიკა არს შემძლებელობა, მართლუბრობა და წესიერწერა, ამას შინა ღრამმატიკა დაიდჳბის სახედ, შემძლებელობა–ნათესავად, მართლუბრობა–განყოფილებად და წესიერ-წერა–შემმტკიცებელ განყოფილებად“[21].

---

[17] ნ. კოტანოვს ვერ შეუმჩნევია ავტოფეჯ იოანე ბატონიშვილის შეცდომა ქვეთავში „მიმოხრა მეოთხისა უღელლებისა ენებითთა ჩჩინათა...“ იოანეს „მიეღება“ ენებითი ჩჩინის ფორმების ნაცვლად ისეც „მიეღებს“ მოქმედებითი გვარის უღლება გაუმარტებია, რაც ზემოთ უკვე ჰქონდა, შემდეგ იმავე სათაურით უკვე ენებითის ფორმები მოუცია (იხ. Q720 67v-68r, 1786 წ., გამოც. 66, 67). ეს შეცდომა გამჟორებულია 1990 წ. გამოცემაშიც – აქაც ორჯერაა დაბეჭდილი „მიეღება“ მოქმედებითი ჩჩინის პარადიგმები (გვ. 163-168) ყოველგვარი შეჩერშენის გარეშე.

[18] მაო დაბეჭდეს მცირე ნაწილი გრამატიკისა – პირველი ორი თავი (ღრამმატიკისათჳს, წიგნისათჳს) და დღევანდელი ბოლო თავის წინა (თჳს განყოფილებისა წიგნისა).

[19] ქ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის დასახ. გამოცემა, გვ. IX. ხაზი ჩვენია.

[20] S3719, დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში.

[21] 1986 წ. გამოცემა გვ. 137. ეს ბოლო ტერმინი – „შემმტკიცებელი განყოფილება“ დავით ბატონი-შვილს ნოვაციაა.

ამ თავის დღევანდელი ბოლო გვერდი მთავრდება „სახელმდგამის“ (ომონიმის) განსაზღვრებით და მაგალითად მოყვანილია „ენიგნი“, რომელსაც ომონიმური მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა კონტექსტში. ეს განსაზღვრებაც და მაგალითიც დავით ბატონიშვილის გრამატიკიდანაა გადმოტანილი და საფიქრებელია, აქვე ყოფილიყო განმარტებული დავითის გრამატიკის სხვა ცნებებიც (მაგ. ადმოჩენა, საქმითი და ხედვითი შემძლებელობა...) ან სხვა წყაროდან გადმოტანილი საჭირო შენიშვნები. ამ თავშივე შეიძლებოდა ყოფილიყო გრამატიკული კატეგორიების განსაზღვრებები იმის ჩვენებით, თუ რომელია მაობი სახე, ნაოსავი და განყოფ-ლება, მოკლედ რომ ვთქვათ, იოანე ბატონიშვილს შეეძლო გაეგრძელებინა გრამა-ტიკისთვის საჭირო ცნობებზე მსჯელობა დავითის გრამატიკაზე დაყრდნობით, მისი ნოვაციების (ხშირად ბუნდოვანის) შემოტანით ან სხვა წყაროს მოშველიებით.

ასეა თუ ისე, ჩვენი ფიქრით, კალმასობისეული გრამატიკა აქ არ მთავრდება და მისი ბოლო ნაწილი გადადიოდა მე-15 რვეულზე. ამის დასტურია დღევანდელი ბოლო გვერდის (მე-14 რვეულის 8v) კუსტოდიც–„დების“ (ეწო-დების). ცხადია ავტორი ახალ ფურცელზე არ გადატანდა ორ მარცვალს, თუ არ აპირებდა მსჯელობის გაგრძელებას. ახლა უკვე რასაკვირველია, ვერავინ განსაზღვრავს, რა ეწე-ბა დაკარგული მე-15 რვეულის ფურცლებზე ან რა მოცულობისა იყო იქ მოთავსე-ბული ტექსტი სხვადასხვა საჭირო შენიშვნისა, მაგრამ ფაქტია, რომ გრამატიკა აქ არ მთავრდება.

შეიძლება დავასკვნათ: იოანე ბატონიშვილის კალმასობისეული ქართული გრამატიკა ჩვენამდე ნაკლული სახითაა მოღწეული – აკლია ერთი ფურცელი (2 გვერდი) შუა ნაწილში (მე-10 რვეულის პირველი ფურცელი) და ბოლოში მე-15 რვეულის გარკვეული ფურცლები, რომლებზე არსებული ტექსტის მოცულობის განსაზღვრა დღეს უკვე შეუძლებელია.

## Л. КИКНАДЗЕ
## О ТЕКСТЕ ГРУЗИНСКОЙ ГРАММАТИКИ ИЗ "КАЛМАСОБА" ИОАННА ЦАРЕВИЧА


РЕЗЮМЕ

Первые издания грузинской грамматики в составе "Калмасоба" Иоанна царевича осуществились в 1862 (издание журнала "Цискари") и 1895 годах (издание З. Чичинадзе), в наши дни – в 1986 (отдельное издание грамматики) и 1990 годах. Во всех этих изданиях текст грамматики представлен в неполном виде, в старых – довольно сокращенно, а в новых – сравнительно полно. По мнению издателя 1986[го] года Н. Котинова текст грамматики в этом издании напечатан в полном виде, благодаря пополнению из старых изданий. Кодикологическое изучение рукописи грамматики (Q720 Института рукописей) показало, что суждение издателя о полноте текста грамматики не соответствует действительности. На самом деле текст грамматики до нас дошёл в неполном виде и восстановить его целиком старыми изданиями невозможно. Дело в том, что недостающие сегодня листы рукописи не все напечатаны в старых изданиях из-за самовольного сокращения издателями текста. В это сокращение попал именно первый лист десятой тетради рукописи Q720 (ныне Q577), который сегодня отсутствует, утерян.ы

В изданиях как новых, так и старых грамматика кончается на 14[ой] тетради (стр. 104v рукописи Q720). По нашему мнениюб текст грамматики продолжался на 15[ой] тетради, которая утеряна ещё в 40[ые] годы XIX столетия и не могла попасть в первые издания. О недостающих последних листах грамматики указывает кустод ეწო-დების, что позволяет предположить продолжение текста на следующий лист 15[ой] тетради, иначе автор Иоанн царевич не стал бы переносить два слогаб не собираясь продолжить разговор о нужных для грамматики заметках.

Наше мнение поддерживает высказывание издателей "Калмасоба" 1936 года К. Кекелидзе и А. Барамидзе о том, что в грамматике с самого начала нехватало одной тетради, а таковой является 15[ая] тетрадь ( а не 10[ая]), так как во время старых изданий 10[ая] тетрадь была на своём месте, т.е. в составе рукописи Q720.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერი ფოფხაძე

# ბარონ ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაის საქართველოში ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ

**I. მასალები მისი წარმომავლობისა და ოჯახის შესახებ.**

XIX საუკუნის რუსეთის იმპერიაში, კერძოდ კავკასიაში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე ბარონი ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი.

მიუხედავად იმ დიდი როლისა, რომელსაც ასრულებდა ბარონი ა.პ. ნიკოლაი კავკასიაში, კერძოდ, საქართველოს ცხოვრებაში, მისი მოღვაწეობა საერთოდ არ არის შესწავლილი. ცალკეული ცნობები მის შესახებ გაბნეულია როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის არქივებში. საქართველოში ეს მასალები ძირითადად დაცულია კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, სადაც ინახება მისი პირადი არქივი. ბარონ ა.პ. ნიკოლაის შესახებ მასალები აგრეთვე ინახება გ.ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმისა და ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდებში. საინტერესო მასალებია გაბნეული XIX საუკუნის მემუარულ ლიტერატურასა და ცნობილ საცნობარო და პერიოდულ გამოცემებში. ამ მასალების შესწავლამ საშუალება მოგვცა შეგვეკრიბა და აღგვედგინა ჩვენი თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო ცნობები მისი პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ.

კვლევის პირველი ეტაპი მოიცავს ალექსანდრე ნიკოლაის წარმომავლობისა და მისი ოჯახის შესახებ არსებული მასალების შეკრება-გაანალიზებას.

ბარონი ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი წარმოშობით ცნობილი და შეძლებული ოჯახიდან იყო. მისი წინაპრები სახელგანქმული ფრანგი სახელმწიფო და სახოგადო მოღვაწეები იყვნენ. კერძოდ, ბარონ ა.პ. ნიკოლაის ბაბუა (მამის მხრიდან) იყო ბარონი ანდრია ლევის ძე ნიკოლაი, მწერალი, ვოლტერისა და დიდროს მეგობარი. 1760 წელს იგი სტრასბურგიდან პეტერბურგში მიიწვიეს რუსეთის ტახტის მემკვიდრის, იმპერატორ პეტრე III-ისა და ეკატერინე II-ის ვაჟის, შემდგომში რუსეთის იმპერატორის, პავლე I-ის მასწავლებლად.

ბარონი ანდრია ნიკოლაი იმპერატორ პავლე I-ის განსაკუთრებული ნდობითა და პატივისცემით სარგებლობდა. 1798 წელს იგი იმპერატორმა დანიშნა რუსეთის საიმპერატორო აკადემიის პრეზიდენტად. ამ თანამდებობაზე იგი იმყოფებოდა 1803 წლამდე[1].

ზოგიერთი ინფორმაციით, ბარონ ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაის ბებია იყო ცნობილი ფრანგი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ანა-ლუიზა ჟერმენ, ბარონესა სტალ-ჰოლშტეინი, მადამ დე სტალი, ცნობილი ფრანგი სახელმწიფო მოღვაწის, ლუდოვიკო XVI-ის ფინანსთა მინისტრის ჟაკ ნეკერის ქალიშვილი[2].

ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის მამა – პავლე ანდრიას ძე ნიკოლაი იყო დიპლომატი, რუსეთის საქმეთა რწმუნებული ინგლისსა და შვედეთში[3]. ბარონ ა.ნიკოლაის დედის ვინაობა კი ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია. ლარუსის ენციკლოპედიიდან[4] ცნობილია, რომ მადამ დე

[1] Энциклопедический словарь, изд., Ф.А. Брокгауз, И.А. Ефрон, т. XX1, стр. 113 С-П – 1897.
[2] Словарь кавказских деятелей. Тифлись, 1890, стр. 58.
[3] Личние архивные фонды в государственных хранилищах, 11, М, 1963. стр. 19.
[4] Grand Larousse encyclopédi, Paris, 1960-1975, v. 9.

სტალს ჰყავდა ვაჟი – ოგიუსტ ლუი, ბარონი სტალ-ჰოლშტეინი (1790-1827); ერთ-ერთი ფრანგი მწერლის[5] ნაწერებში ჩვენ მივაკვლიეთ ცნობას იმის შესახებ, რომ მადამ დე სტალს ჰყავდა აგრეთვე ქალიშვილი, გრაფინია დე ბროლ. თუ რომელი მათგანის შვილი იყო ბარონ ა.ა. ნიკოლაის დედა, ამის დადგენა ვერ მოხერხდა. ბარონ ა.ნიკოლაის ჰყავდა ორი ძმა – ნიკოლოზ პავლეს ძე (1818-1869), დიპლომატი, რუსეთის წარგზავნილი დანიაში და ლეონტი პავლეს ძე, ცნობილი რუსი საახუდრო მოღვაწე, იბრძოდა ჩრდილოეთ კავკასიაში შამილის წინააღმდეგ, მოღვაწეობდა შამილის მიერ გატაცებული დავით ჭავჭავაძის ოჯახის გათავისუფლებაში.

ბარონი ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი დაიბადა 1821 წლის 25 დეკემბერს კოპენჰაგენში, დაამთავრა საიმპერატორო ცარსკოე სელოს ლიცეუმი, რის შემდეგ სამსახური დაიწყო ჯერ ნოვოროსიისკისა და ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორთან, მ. ს. ვორონცოვთან, ხოლო შემდეგ კავკასიაში (ასევე მ.ს. ვორონცოვთან). კავკასიაში ყოფნის პერიოდში მან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სამხედრო ექსპედიციებში დარღოსა და დაღესტანში, რის შემდგომაც დაინიშნა მეფისნაცვლის მოძრავი კანცელარიის დირექტორად კავკასიაში. 1850 წელს მან ცოლად შეირთო ალექსანდრე ჭავჭავაძის უმცროსი ქალიშვილი სოფიო ჭავჭავაძე.

ბარონი ა.ნიკოლაი 1852 წელს დაინიშნა კავკასიის მხარის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრად და სასწავლო ოლქის მზრუნველად, ხოლო 1862 წელს სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგად და ცენზურის მთავარი სამმართველოს წევრად. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, 1863 წლიდან, ბარონი ა.ნიკოლაი ბრუნდება საქართველოში და ინიშნება ჯერ სენატორად და კავკასიის მთავარმართებლის საბჭოს წევრად, შემდგომ კი ამიერკავკასიის საბატონო გლეხთა მომწყობი ცენტრალური სამმართველოს უფროსად, სახელმწიფო საბჭოს წევრად (1875), აღმზრდელობითი სახლების მმართველად (1878), 1881-1882 წლებში სახალხო განათლების მინისტრად; 1884-1894 წლებში ბარონი ა. ნიკოლაი მუშაობდა სახელმწიფო საბჭოს კანონთა დეპარტამენტის თავმჯდომარედ, იგი არჩეული იყო თბილისის საპატიო მოქალაქედ. იყო სენატორი და სტატს-სეკრეტარი[6].

ბარონ ა. ნიკოლაის საქართველოში მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის პოსტი ეჭირა, მაგრამ მისი გავლენა სამმართველოს ფარგლებს სცილდებოდა. მრავალი წლის განმავლობაში იგი კავკასიის, კერძოდ საქართველოს მთელ ადმინისტრაციულ ცხოვრებას ხელმძღვანელობდა; კლასობრივი ინტერესები, რაც მას ადგილობრივი თავადაზნაურობის ნაწილთან აკავშირებდა, გავლენას ახდენდა მის პოლიტიკაზე, კერძოდ, ბარონმა ა.ნიკოლაიმ დააბრკოლა გლეხთა გამოსყიდვის საქმე, რის გამო ადგილობრივი გლეხები, იმპერიის სხვა რეგიონებთან შედარებით, კიდევ დიდ ხანს დარჩნენ ყოფილი მემამულეების დროებით ვალდებულთა მდგომარეობაში. იგი უდიდესი მონდომებით ატარებდა მთავარმართებლის, მიხეილ ვორონცოვის პოლიტიკას, რის შედეგადაც მუსულმანთა უმადლეს წრეებს საქართველოში მიეკუთვნა მიწები, მაშინ, როდესაც ირანისა და ოსმალეთის ბატონობის დროს ეს წრეები მიწებით სარგებლობდნენ მხოლოდ დროებითი მფლობელის უფლებით[7].

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ბარონ ალ. ნიკოლაის ცოლად ჰყავდა ალექსანდრე ჭავჭავაძის უმცროსი ქალიშვილი – სოფიო. მათ იქორწინეს თბილისში. ადრე ცნობილი იყო, რომ მათ ჰყავდათ ერთადერთი ქალიშვილი მარიამი, (მაკა). რამოდენიმე წლის წინ ლიტერატურის მუზეუმში მიკვლეულ იქნა მასალები, რომელთა მიხედვითაც მათ არა ერთი, არამედ სამი ქალიშვილი ჰყავდათ. როგორც შემდგომ გაირკვა ლიტერატურის მუზეუმში

[5] Андре Моруа, Баирон. М, 1936, стр. 269.
[6] Энциклопедический словарь, изд. Ф.А. Брокгауз, И.А. Ефрон, т. XXI, стр. 113 С.-П, 1897
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.7, გვ. 430.
- მბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბილისი, 1983, გვ. 121.
- Словарь кавказских деятелей, Тифлись, 1890, стр. 58
[7] მიხეილ ხელთუბნელი, სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან. თბილისი, 1938, გვ. 75-76.

დაცული მასალების მიხედვით, სოფიო ჭავჭავაძე-ნიკოლაის 1856 წლის 4 აპრილს თბილისში შეეძინა ქალიშვილი ნინო, რომელიც მონათლეს სიონის საკათედრო ტაძარში. ნათლიებად იყვნენ ნინო ჭავჭავაძე და ბარონი ლეონტი ნიკოლაი. ამავე საარქივო მასალებში დაცულია 1864 წლის 26 მარტით დათარიღებული რვეულები, სადაც ნინო ნიკოლაის ხელით დაწერილია კარნახი რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე მასწავლებლის მიერ გასწორებული შეცდომებით. ნინო ნიკოლაისთან დაკავშირებული სხვა მასალის მოძიება ამ დროისათვის ფაქტობრივად შეუძლებელი აღმოჩნდა. ვფიქრობ, რომ იგი 1864 წლის მარტის თვის შემდეგ გარდაიცვალა.

ბარონ ალ.ნიკოლაისა და სოფიო ჭავჭავაძის მეორე ქალიშვილი მარიამი (მაკა) დაიბადა ასევე ქ. თბილისში 1859 წლის 10 იანვარს. მათი უმცროსი ქალიშვილი ოლღა კი 1862 წლის 6 მარტს დაიბადა ქ. კიევში, სადაც იმ დროს მუშაობდა ბარონი ალ. ნიკოლაი. მუზეუმში დაცული დოკუმენტური მასალის მიხედვით, გოგონა მონათლეს 22 მარტს კიევის სოფიის საკათედრო ტაძარში; სოფიო ჭავჭავაძე მშობიარობიდან რამდენიმე დღის შემდეგ (1862 წლის 18 მარტს) გარდაიცვალა; იგი დაასაფლავეს ნიკოლაების საგვარეულო აკლდამაში მონრეპოში, ვიბორგის მახლობლად (ფინეთი). სულ მალე გარდაიცვალა ოლღა ნიკოლაიც. ისიც დასაფლავებულია დედის გვერდით. რაც შეეხება ბარონ ალ. ნიკოლაის, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ იგი კვლავ დაბრუნდა საქართველოში. ბარონი ნიკოლაი გარდაიცვალა 1899 წელს კიევში, დასაფლავებულია ასევე მონრეპოში, მეუღლისა და ქალიშვილის გვერდით[8].

ბარონ ალ. ნიკოლაისა და სოფიო ჭავჭავაძის მეორე ქალიშვილი მარიამი (მაკა) დედის გარდაცვალების შემდეგ იზრდებოდა ჭავჭავაძეების ოჯახში, აქ შეხვდა იგი და მალე ცოლად გაჰყვა გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძეს.

გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძე იყო აფხაზეთის მთავართა საგვარეულო შტოს ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, წლების მანძილზე თბილისის გუბერნიის ჯარ ვიცე-გუბერნატორი (1883-1888), შემდეგ კი გუბერნატორი (1889-1897 წწ.), რუსეთის არმიის ოფიცერი. გიორგის დედა იყო სამეგრელოს მთავრის, ლევან V დადიანის ასული ეკატერინე (პუპი).

გიორგი შერვაშიძემ დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოში საგანგებო დავალებათა მოხელედ; ამ დროს დაუახლოვდა იგი ალ. ჭავჭავაძის ოჯახს, გაეცნო მაკა ნიკოლაის და იქორწინა მასზე. საქართველოში ჩამოსული იმპერატორი ალექსანდრე III და იმპერატრიცა მარია ფეოდოროვნა გაეცნენ გიორგი შერვაშიძეს. იმპერატორის გარდაცვალების შემდეგ იგი პეტერბურგში, საიმპერატორო კარზე, გადაიყვანეს. არსებობს ვერსია, თუმცა დოკუმენტურად დაუდასტურებელი, რომ ალექსანდრე III-ის გარდაცვალების შემდეგ იმპერატრიცა მორგანულ ქორწინებაში იმყოფებოდა გიორგი შერვაშიძესთან. გიორგი უდიდესი გავლენით სარგებლობდა სამეფო კარზე. თვით ყოელისშემძლე მინისტრი ვიტეც არაერთხელ მიმართავდა მას დახმარებისთვის ამა თუ იმ საკითხის მოსაგვარებლად[9].

გიორგი შერვაშიძე ჩვენი ხალხის დიდი მეგობარი და მოჭირნახულე იყო. იგი თვითონ იღებდა მონაწილეობას ეროვნული თვალსაზრისით სასარგებლო საქმიანობაში, თაოსნობდა საქველმოქმედო ღონისძიებებს. დიდი როლი ითამაშა მან სახალხო სკოლების გახსნის საქმეში. არის ცნობები, რომ გიორგი შერვაშიძე მფარველობდა ილია ჭავჭავაძეს, როდესაც ეს უკანასკნელი ტანდარმერიის ფარულ დევნას განიცდიდა. არის აგრეთვე ცნობაც იმის შესახებ, რომ პეტერბურგში მყოფმა გიორგი შერვაშიძემ იქ მყოფი შალვა ნუცუბიძისგან

[8] ბეჟა გონჯილაშვილი, ჭავჭავაძეთა ნაფუძარზე, თბილისი, „მერანი-3", 1999, გვ. 88.
[9] Г.А.Дзидзария, Формирование дореволюционной абхазской интеллигенции, Сухуми, 1979, стр. 99.

გაიგო თბილისის უნივერსიტეტის გახსნის შესახებ. მან შ. ნუცუბიძეს თბილისის უნივერსიტეტისათვის საჩუქრად გადასცა თავისი უმდიდრესი და უნიკალური ბიბლიოთეკა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის ბიბლიოთეკასთან ერთად გზაში დაიღუპა[10].

გიორგი შერვაშიძესა და მარია ნიკოლაის ჰყავდათ ერთადერთი ვაჟი – დიმიტრი (დიმა). იგი დაიბადა 1880 წელს თბილისში. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და 1901 წელს მუშაობა დაიწყო ქ. ვილნოში საგუბერნიო სამმართველოს ჩინოვნიკად. 1914 წლიდან იგი მუშაობდა სტავროპოლის ვიცე-გუბერნატორად. ჰქონდა კამერ-იუნკერისა და ნადვორნი სოვეტნიკის ჩინი. 1916 წელს დიმიტრი გიორგის ძე შერვაშიძე დაინიშნა ქ. ვიტებსკის ვიცე-გუბერნატორად, 1918 წლის ოქტომბერში იგი გაასახლეს პეტერბურგიდან და საცხოვრებლად ჩამოვიდა საქართველოში, აფხაზეთში. საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წელს დიმიტრი შერვაშიძე გადაასახლეს ირკუტსკში, სადაც იგი წლების მანძილზე მუშაობდა იურისტად. ამჟამად ირკუტსკში ცხოვრობენ დიმიტრის შთამომავლები, კერძოდ, მისი შვილიშვილი –იური ლევანის ძე შერვაშიძე. მას დამთავრებული აქვს ირკუტსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტი, იური შერვაშიძის კალამს ეკუთვნის ცნობილი წიგნი „რევოლუციური კუბა“[11].

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ პაპუნა წერეთლის ფოტო-არქივსა და ლიტერატურის მუზეუმის იკონოგრაფიულ ფონდში ჩვენ მივაკვლიეთ უადრესად საინტერესო ფოტო-მასალას: ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის, მისი ქალიშვილის, სიძის –გიორგი შერვაშიძისა და შვილიშვილის – დიმიტრი გიორგის ძე შერვაშიძის უნიკალურ ფოტოებს. (ფოტოასლები თან ახლავს ჩვენს გამოკვლევას).

ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა უადრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი საქმეა ჩვენი ისტორიისათვის.

**M. POPKHADZE**

## BARON ALEXANDER P.NIKOLAY'S LIFE AND WORK IN GEORGIA.

SUMMARY

Baron Alexander Nikolay, an outstanding public figure, was one of the most important persons in the Russian Empire in the 19th century and in the Caucasus in particular.

In spite of the great role he played in the Caucasus and especially in the life of Georgia, his life and activities have not been studied at all. The information about him is kept both in the archives of Georgia and Russia. Interesting data may be gleaned from the wellknown memoirs literature, in the periodicals and reference books.

---

- ოთარ ჭურღულია. ქართულ-აფხაზური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობანი, თბილისი, „ნაკადული“, 1983, გვ. 104-108.

[10] ოთარ ჭურღულია. ქართულ-აფხაზური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობანი, თბილისი, „ნაკადული“, 1983, გვ. 236, 248-249.

[11] Г.А.Дзидзария, Формирование дореволюционной абхазской интеллигенции, Сухуми, 1979, стр. 107.

- Кавказский календарь на 1915 г, стр. 454.
- Кавказский календарь на 1917 г, стр. 699.

The study of this material gave me the opportunity to collect and restore very significant and interesting data about the personality and activities of Baron A. Nikolay, namely about his origin and his family.



ცისანა ბებილეიშვილი

# ბარონ ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაის რამდენიმე წერილი თავისი ძმის ლეონტი პავლეს ძე ნიკოლაისადმი

მრავალთავის წინა, XIX ნომერში, დავწყეთ კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცული, კავკასიაში მოღვაწე რუსეთის მაღალჩინოსანი მოხელის, გამოჩენილი ქართველი პოეტის ალ.ჭავჭავაძის სიძის, ბარონ ალ.ნიკოლაის[1] ფრანგულენოვანი წერილების ქართული თარგმანების გამოქვეყნება. გთავაზობთ ბარონ ალ.ნიკოლაის მიერ თავისი ძმის, ბარონ ლეონტი პავლეს ძე ნიკოლაისადმი[2] გაგზავნილი რამდენიმე წერილის თარგმანს, რომლებიც, ვფიქრობთ, საინტერესო მასალას შეიცავენ როგორც იმჟამინდელ საქართველოში, ასევე კავკასიასა და ევროპაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. წერილებს ახლავს კომენტარებიც.

თბილისი, 6 ივლისი, 1854

ძვირფასო მეგობარო, გიგზავნი ამ ბარათს და ერთ საათში კახეთს მივემგზავრები. ალბათ გაიგებდი, რომ შამილმა[3] ამ მხარეს შემოუტია. შედეგი კი ისაა, რომ წინანდალი გადაუწვავთ და დაურბევიათ. ზუსტად არ ვიცით, რა ბედი ეწია ჭავჭავაძეების[4] ოჯახს. ვიმედოვნებდი, რომ ეს ჭორი აღმოჩნდებოდა, ვერ წარმომედგინა, რომ ასეთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო. საბრალო დავითი[5] თავის მილიციასთან ერთად შილდაში იყო და იქ აღმოჩნდა ბლოკირებული. მივდივარ, რომ თავად დავრწმუნდე, რა ხდება და, თუ საჭიროა, დავეხმარო და ვანუგეშო. დიდხანს არ დავრჩები და რასაც ადგილზე შევიტყობ, გაცნობებ. გაცილებ. [. . .]

თბილისი, 17 დეკემბერი, 1854

ახლახან შენი მეგობარი გიგო იყო ჩემთან და მითხრა, რომ ხვალ დილაადრიან გოზნაიაში მიდის, იქიდან კი ხასავიურტში. ჩემი ძვირფასო მეგობარო, მართალია გუშინ შურაში მოგწერე, რომ შამილის ვაჟი[6] თანახმაა შინ დაბრუნდეს, არ შემიძლია ასეთი შემთხვევა ხელიდან გავუშვა და რამდენიმე სიტყვა არ მოგწერო. ეგებ ეს წერილი უფრო ადრეც მიიღო. მაშინ ეს იქნება პირველი წერილი, რომლითაც გენერალის პოსტზე

[1] ბარონი ალ. ნიკოლაი, იხ. მ.ბერძნიშვილი, მასალები XIX ს-ის I ნახევრის ქართული საზოგადოების ისტორიისთვის, ტ.II, თბ. 1983, გვ.121;ცოლად ჰყავდა გამოჩენილი ქართველი პოეტის ალ. ჭავჭავაძის უმცროსი ქალიშვილი სოფიო (1833-1862).

[2] ბარონი ლეონტი პავლეს ძე ნიკოლაი, გენერალ-ადიუტანტი, კავკასიის გრანდერთა კორპუსის მეთაური; 1868 წლიდან თავს არებებს სამხედრო სამსახურს და ჯან ლუის სახელით ბერად იკვეცება კარტეხიანელთა ორდენის მონასტერში გრენობლთან (საფრანგეთი). მან უარყო პრობესტანტული სარწმუნოება და კათოლიკობა მიიღო. იხ. მ.ბერძნიშვილი, მასალები XIX ს-ის I ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ.II, თბ. 1983, გვ.121; Русский биографический словарь, 1914, с.353-355.

[3] იმამი შამილი (1798-1871)

[4] იგულისხმება 1854 წ. წინანდალში შამილის მიერ ალექსანდრე ჭავჭავაძის მამულის აოხრება და მისი შვილის, დავით ჭავჭავაძის, ოჯახის ტყვედ წაყვანა.

დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე (1818-1884) რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. 1844 წლიდან კახეთის ცხენოსანთა მილიციის მეთაური. მონაწილეობდა ექსპედიციებში შამილის წინააღმდეგ. 1853-56 წწ. ხელმძღვანელობდა კახეთის დაცვას შამილის რაზმების თავდასხმებისაგან.

[5] იგულისხმება შამილის ვაჟი ჯემალუდინი, რომელიც ახულგოს ბრძოლის შემდეგ (1839) რუსეთში იძრდებოდა და რუს ოფიცრად ჩამოყალიბდა.

დაწინაურებას მოგილოცავ, თუმცა გუშინდელის მიზანიც ეს იყო. [...]. დავითს ვთხოვე შურადან რაც შეიძლება სწრაფად გადმოგიგზავნოს ჩემი წერილი სანდო კაცის ხელით იმედია, არ დააყოვნებს და არც მის შინაარსს გააახმაურებს. წერილის გამოგზავნის შემდეგ ფოსტით მივიღე 3 რიცხვის შენი ბარათი საინტერესო დეტალებით იმის შესახებ, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ვედენოში იმპერატორის თანხმობამ შამილის ვაჟის დაბრუნებაზე და მისმა წერილმა ამ საკითხთან დაკავშირებით. აწი შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ როცა [შამილი] შეიტყობს, რომ მისი ვაჟი ბრუნდება, სხვა პირობებთან დაკავშირებით პრობლემებს ადარ შეგვიქმნის[7]. გვპირდებიან, რომ ყმაწვილ კაცს, რაც შეიძლება, მალე გამოგზავნიან. შეიძლება ერთ თვეში ამ წამებას ბოლო მოეღოს. – ჩემო მეგობარო, მინდა შემთხვევით ვისარგებლო და გამოგიგზავნო გენერალს ერთი წყვილი სამხრე. თუ ამას შენი გიგოს წამოსვლამდე მოვაგვარებ, მას გამოვატან, თუ არადა, ჩემს კეთილ განზრახვაში ეჭვი არ შეგეპაროს. მე და სოფიო გულით გეხვევით.

## თბილისი, 17 თებერვალი, 1856

ძვირფასო მეგობარო, მივიღე შენს მიერ 3 თებერვალს გამოგზავნილი წერილი და ძალიან ვწუხვარ, რომ შენი დეკემბრით აღმოჩნდა. მივიღე აგრეთვე მამას მიერ პეტერბურგიდან გამოგზავნილი გრძელი წერილი, რომელიც ყრიად საინტერესო, მაგრამ ვერ ვიტყოდი, რომ სანუგეშო დეტალებს შეიცავს იმ ძირითადი საკითხის შესახებ, რამაც გვაიძულა ავსტრიის წინადადება მიგვეღო. საქმე ასე თუ ისე მიდიოდა და, როგორც იცი, ვენაში უკვე მოაწერეს ხელი შეთანხმების აქტს. ახლა პარიზში მოლაპარაკება დაწყებული უნდა იყოს და ალბათ უკვე იციან კიდეც, გვკქნებოდა თუ არა მშვიდობა, რაც ნაკლებ სარწმუნოდ მიმაჩნია. მერეც იმდენი რამ შეიძლება მოხდეს. რომ დარწმუნდე, მხოლოდ საკუთარი თვალით უნდა წაიკითხო ფაქტის აღსრულების შესახებ. ალბათ წაიკითხავდი ინგლისის დედოფლის საკმაოდ თავშეკავებულ და ცივ სიტყვას. მიმართავს ირგვლივ გამართული კამათი უფრო დათმობას წააგავდა, ვიდრე მშვიდობის დამყარების სურვილს. ჟიულჩორ, ლუი ნაპოლეონის[8] ნება ბოლოს მოუღებს ყოველგვარ ბოროტ განზრახვას და მშვიდობა დამყარდება, რადგან მას ასე სურს. მოქნილობას ნამდვილად ვერ წაართმევ, პირველი კლასის აკრობატია. ეჭვი არაა, რომ დღეს ევროპაში პირველი კაცია და მსოფლიოს ბედ-იღბალიც დღეს მის ხელშია. არ მახსოვს, გაცნობე თუ არა ადგილობრივი პოლიტიკის ამბები, ის რომ შჩერბინინი სენატორად დანიშნეს. ალბათ, გაზეთებში ნახავდი. ხომ გესმის, რაოდენ საინტერესოა ჩვენთვის, ვისი საქმეებიც ანცცლარიაში მიდის, ვინ იქნება მისი შემცვლელი. მისი ახლანდელი მემკვიდრე, წესით კრუზენშტერნია, იმედი გვქონდა, რომ იგი შეცვლიდა მას, მითუმეტეს გენერალი მ. კარგი თვალით უყურებს. მაგრამ, სამართლიანობის გარდა, არსებობს ძლიერი გავლენა და კეთილი ნება იმისა, რომ სამოქალაქო საქმეები გენ. ბებ-ის[10] ხელშია. ცხადია, რომ მიუხედავად კანონიერი მემკვიდრის არსებობისა, შეეცდებოდა ეს ადგილი თავისი არჩეული კაცისთვის მიეცა. ასეც მოხდა. რადგან კრუზენშტერნმა წასვლა მოითხოვა, როგორც ჩანს, საბჭოში გადაიფასენენ, ბებ-მა მოახერხა ყოფნაინის[11] არჩევა. არ ვიცი, რამდენად იცნობ ყოფილს. უნარიანი ადამიანია, ის, რასაც რუსეთში საქმიან კაცს ვუწოდებთ, ე.ი. ადამიანი, რომელიც კარგად ერკვევა ბიუროკრატიულ რუტინაში. მიუხედავად ამისა, მისი დანიშვნა მიმაჩნია ქმედებად, რითაც სახელმწიფოს ინტერესები პირად შეხედულებებს ემსხვერპლა. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ სამართლიანად თუ უსამართლოდ, ბარონ როზენს[12] პეროიდის ე.წ. ქართველთა შეთქმულებაში მონაწილეობდა და ამის გამო რუსეთში

[7] იგულისხმება ჭაჭებაძეების ოჯახის გამოსასყიდი თანხა.

[8] ბარიატინსკი ალექსანდრე ივანე ძე (1815-1879), რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე, გენერალი, ირმოდა კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ. 1856-1862 წწ. კავკასიის მთავარმართებელი.

[9] იგულისხმება გენერალი მილუტინი დიმიტრი ალექსის ძე (1816-1912), რუსეთის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ფელდმარშალი, გრაფი. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი

[10] იგულისხმება გენერალი ბებუთოვი ვასილ ოსიპის ძე (1791-1858).

[11] იგულისხმება ქაროველი სახოგადო მოღვაწე, უბალიცისტი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მეჩვეური დიმიტრი ივანის ძე ყიფიანი (1811-1887)

[12] ბარონი როზენი – გრიგოლ ვლადიმერის ძე (1782-1841), რუსი სამხედრო მოღვაწე, გენერალი, კავკასიის მთავარმართებელი, ხელმძღვანელობდა კავკასიის მთიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ჩახშობას. იხ. Русский биографический словарь, т. 16, СПБ, 1913.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო გადასახლებული. უნდა ვაღიაროთ, რომ თავისთავად ეს ფაქტი შეუძლებელს ხდის მის სამოქალაქო ადმინისტრაციის არბიტრი იყოს. მისი ნათესაური კავშირები, აზროვნების წესი და ხასიათი ამ თანამდებობისთვის შეუფერებელია. იგი დეპარტამენტის შესანიშნავი ხელმძღვანელი იქნებოდა პეტერბურგში, მაგრამ არა იმ თანამდებობაზე, რომელსაც უმზადებენ. მისი დანიშვნა ახალი, ე.ი. წმინდა წყლის აბორიგენთა ერის დასაწყისია ამ ქვეყნის სამოქალაქო მმართველობაში, გარდა ამისა, იგი ბებ-ის სისტემის მარჯვენა ხელი და განსახიერებაა, რომელმაც ასე, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მოიპოვა პირველობა. ეს ფაქტი საშუხარად მიმაჩნია და ვაღიარებ, რომ ასეთი არჩევანი სეფდიან ფიქრებს მგვრის. საერთოდ, ძალზე სამწუხაროა აქაური სამოქალაქო საქმეების ვითარება, უფრო სწორად, სტაგნაცია. ყველაფერი იმას მოწმობს, რომ აქ სამსახური ნაკლებ სასიამოვნო გახდება და ერთადერთი გამოსავალი ინერტულობა და ქარავნის გატარება იქნება.

ამას წინათ დრო არ მქონდა მეპასუხნა პატარა ლეხინის თაობაზე. ძალიან მესიამოვნა ამ გაჭირვებული ოჯახის დახმარება, მაგრამ ხელს მიკრავს კანონი, რომლის თანახმადაც, კანდიდატების ჩარიცხვა მათი ჩაწერის რიგით ხდება. არავითარი პრობლემა არ იქნება, ბავშვი სახელმწიფოს ხარჯზე თუ ჩაეწერება. ამისათვის საჭიროა იქნება ცნობა მამამისის გარდაცვალების შესახებ, რაც ყფიქრობ, შენც შეგიძლია გაუკეთო და შემდგომ დოკუმენტები [...]. ამ გზით შეიძლება შენი პროტეჟე კანდიდატთა სიაში ჩაეწეროთ, რაც არ გულისხმობს მის დაუყოვნებლივ ჩარიცხვას. ამისთვის ორი გზა არსებობს: ან მეფისნაცვლისგან[13] მიიღო თანხმობა, რომ ბავშვს პირველივე მიღებული დოკუმენტის საფუძველზე ჩარიცხავს, რითაც იგი სიაში მე-4 აღმოჩნდება, მაგრამ მეფისნაცვალი რიგით არაა შეზღუდული და შეუძლია ვინც უნდა, ის დაასახელოს. ამისათვის, წარდგინების ქაღალდში საჭიროა აღინიშნოს საგანგებო წყალობა შენი შუამდგომლობით და, შესაძლოა, მეფისნაცვალმა იგი შენი თხოვნით გამოაგზავნოს. ასეთივე ვაკანსიის მიღება შეიძლება მიმდინარე ან მომავალ წელს. ან ბავშვი ეკონომიურ ვაკანსიაზე უნდა ჩაირიცხოს, რაც გულისხმობს ვალდებულებებს, რომ პოლიტიკური განათლების სფეროში იმუშავებს. ეს ვაკანსიები ჩემს ხელშია. ახლა უკვე შევსებულია და სამწუხაროდ, ჭ-ს კაზლოვსკაიას ახლახან დაჯილდო პირველსავე შესაძლო ვაკანსიას მისი მფარველობის ქვეშ მყოფი ღარიბი ბავშვისთვის. ე.ი. მე [ლეხინი] შემიძლია მხედველობაში ვიყოლიო მეორე ვაკანსიისთვის. სხვათა შორის, წინასწარ ვერ ვიტყვი, როდის მომეცემა შესაძლებლობა. ბოლოს, შესაძლებელია ბავშვის სწავლის საფასურის გადახდა, რაც ალბათ, ოჯახს არ შეუძლია, ესაა 160 რუბ. ყოველწლიურად და 30 ჩარიცხვისას. [...].

გაგარინის[14] შემდეგ ეკლესიის ჯგრის ვერავითარ კვალს ვერ მივაგენი. თუ საჩქარო არაა, ყფიქრობ, უმჯობესია მისწერო გაგარინს და სთხოვო გამოგიგზავნოს პატარა ჩანახატი. იგი ამას სიამოვნებით გააკეთებს და დარწმუნებული იქნები, რომ კარგია.

ჯანმრთელობის მხრივ, ჩვენ კარგად ვართ. ლაპარაკობენ მეფისნაცვლის სტავროპოლსა და შავი ზღვისპირა კაზაკების მხარეში გამგზავრების შესახებ. არ ვიცი, თქვენთანაც ჩამოვა თუ არა, ან სტავროპოლში თუ ჩაგიყვანს. აქ ყველაფერი გასაიდუმლოებულია. ძვირფასო მეგობარო, მე და სოფიო ნაზად გეხვევით. – შემდეგისთვის გამოგიგზავნი ხელისმომწერთა სიის პრინცესას ტყვეების ისტორიაზე, რომელიც მისმა გამოვა და გაფრთხილებ, რომ შემოსული თანხა ტყვეების გამოსასყიდადაა გამიზნული. ქველმოქმედების მიზნით შენთვისაც აპირებენ გამოგზავნას, ალბათ მიიღები ინდრენიუსის[15] საქმეს იმ ტყვეებთან დაკავშირებით, რომლებიც რუსეთიდან უნდა დაბრუნდნენ. – მოგიკითხა ნინა ალექსანდროვნამ[16].

თბილისი, 27 აპრილი 1857

---

[13] იგულისხმება ალექსანდრე ბარიატინსკი.

[14] რუსი ფერმწერი, არქიტექტორი, ხელოვნების მკვლევარი გრიგოლ გრიგორის ძე გაგარინი 1810-1893

[15] ინდრენიუსი ბორის ვასილის ძე, გენერალ-მაიორი, კოკასიის ჯარების მთავარი შტაბის უფროსი, იხ. Акты, т. X, გვ. XXI-XXII.

[16] იგულისხმება ნინო ალექსანდრეს ას. ჭავჭავაძე-ბარიბოდეოვისა (1812-1857)

ძვირფასო მეგობარო, ამ წერილის მიზანია განსაკუთრებული რეკომენდაცია გაგიწიო მის ჩამომტანს, საფრანგეთის კონსულს საქართველოში, ბარონ ტინატს. იგი გასართობად და ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მოგზაურობას აპირებს კავკასიის სახღვარზე, ხასავიურტში, ჩიგკურტში, შურაში და ა.შ. სახიამოვნო ადამიანია და მე მასთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს. გთხოვ, კარგად მიიღო და შენი შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყო, რაც შეიძლება, მეტი ნახოს და, რაც შეიძლება, სახიამოვნოდ. შეიძლება მან ეს წერილი ჩერქეზნაიადან გამოგიგზავნოს და გთხოვოს შენთან ჩამოსვლაში დაეხმარო. იმედია, შეძლებ კაზაკების ესკორტი გაუგზავნო, რადგან ეტლი არა ჰყავს და სადაც შესაძლოა, ცხენით წასვლა სურს, გადაადგილების ამ საშუალებითაც რომ ისარგებლოს. ეგებ მოახერხო და ყუმახის ზეგანზე გადასასვლელად ცხენი გაუგზავნო. [...]

ბარონ ლ.ნიკოლაის, ხასავიურტი

თბილისი, 10 დეკემბერი, 1857

ჩემო ძვირფასო, კეთილო მეგობარო, ორიოდ სიტყვას გწერ და ბიბიკოვების[17] შვილებს ვატან. არა იმიტომ, რომ რეკომენდაციას ვუწევ, მე მათ არ ვიცნობ, ამას სხვები გააკეთებენ. მინდა, რაც შეიძლება, სწრაფად გაცნობო გამაოცნებელი ამბავი, რომელიც გუშინ პეტერბურგიდან მიღებული წერილიდან შევიტყეთ, იქ კი ტელეგრაფით მიუღიათ. კერძოდ, შეიარაღებულმა ლეი ბონაპარტემ ასამბლეა დაითხოვა და მოითხოვა მისთვის გადაეცათ გენერლები: შანგარნიე, ლამორისიერი და შარასი[18], რომლებიც ვენსანში გამოამწყვდია. ასამბლეა დაშლილად და თავისი თავი 10 წლით ხელშეუვალად გამოაცხადა! რას იტყვი ამაზე! წარმოუდგენელი, ყოველ შემთხვევაში, გასაოცარი ამბავია. ნეტავ რა მოხდება. პარიზში საალყო მდგომარეობაა, მაგრამ სიმშვიდეა. ან ლეი ნაპოლეონმა იცის, რასაც აკეთებს და დარწმუნებულია თავის ქმედებაში, ან სიგიჟეა, რომელიც შეიძლება სიცოცხლის ფასად დაუჯდეს. არ ვიცი, რა ვიფიქრო. ვფიქრობ, პრეზიდენტს დიდი უპირატესობა აქვს, ერთადერთი მოქმედი პირი იყოს არაქმედითად აღიარებული და დეზავუირებული მრავალრიცხოვანი ასამბლეის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. ასამბლეის, რომელმაც არც კი იცის, რა უნდა. ქვეყანა კი დაიღალა რევოლუციითა და ღალატობით, და უპირველეს ყოვლისა, დასვენება უნდა. იმედია, ჩვენთვის ძვირფასი ადამიანების გამო შესაწყობელი არაფერი გვაქვს. გამოგიტყდები, რომ უჩის მდგომარეობა მაღელვებს. ვის მხარეს დაიჭერს, დარწმუნებული ვარ, მხოლოდ ღირსეულისას. შესაძლოა გადადგეს კიდეც. სხვათა შორის, ვფიქრობ, ლეი ნაპოლეონმა კარგად გათვალა. ყველა პატიოსანი ადამიანი ალტერნატივის წინაშე აღმოჩნდა. ან მას უნდა დაუჭირონ მხარი, ან აიძულონ თავის გადასარჩენად წითლებს ჩაუვარდეს ხელში. გენერლის კაბინეტიდან ახლა მეტის მოწერა არ შემიძლია [...] მთელი გულით გეხვევი

თბილისი, 14 იანვარი, 1857

ჩემო კეთილო მეგობარო, ვფიქრობ ჩემს წერილებს შორის ინტერვალი კვლავ გაიზრდება, რადგან ქვედანაყოფისთვის წერილების წამოღება შეწყდა და ჩვეულებრივ ფოსტას უნდა მივმართო, რომლის სიჩქარეც კარგად მოგეხსენება. ჩემი უკანასკნელი წერილის შემდეგ მივიღე შენს მიერ 27 დეკემბერს გამოგზავნილი ბარათი. გულითად მადლობას გიხდი ახალი წლისა და ნინოჩკას[19] კბილის მოლოცვისათვის. მეორე გაცნობ, რომ მეორე კბილმაც ამოჭრა. ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პატარა ქალმა კარგად

[17] ბიბიკოვი დიმიტრი სერგოს ძე, პოდპოლკოვნიკი, მსახურობდა კავკასიის ჯარების გენერალურ შტაბში (Кавказский Календарь, Тб. 1846, с.218)

[18] შანგარნიე, ფრანგი გენერალი და პოლიტიკური მოღვაწე (1793 – 1877), ლამორისიერი, გენერალი და პოლიტიკური მოღვაწე (1806 – 1865), შარასი, მინისტრი (1810 – 1865).

[19] ნინოჩკა – სოფიო ჭაუჭავაძისა და ბარონ ალ.ნიკოლაის ქალიშვილი.

გაუძლო განსაცდელს. მეც შენსავით ვისურვებდი, რომ დამდეგმა წელმა ბედნიერება და სიმშვიდე მოგვიტანოს. რაც შეგვეხება პირადად ჩვენ, ღმერთს მხოლოდ დღემდე ბოძებული ბედნიერების გახანგრძლივება შეიძლება შევთხოვოთ და მადლობა მოვახსენოთ იმისათვის, რაც გვარგუნა. რაც შეეხება ქვეყნიერებას, მშვიდობაზე უკეთესს ვერაფერს ვუსურვებდი [...] გამოგიტყდები, რომ მოკავშირეებიც მაწუხებს და მეშინია ამ მხრიდან ახალი გრიგალი არ გვიახლოვდებოდეს. ინგლისი სპარსეთს ისეთ რამეს სთხოვს, რასაც ჩვენ ვერ დავეთანხმებით, კერძოდ, უფლება – იყოლიოს კონსული ყველა პორტში, ხოლო მის ქვეშევრდომებს ჰქონდეთ საკუთრების უფლება ხმელეთსა და ზღვაზე, ანუ იყოლიონ გემები სპარსეთის ყურესა და კასპიის ზღვაზე. თუ სპარსელებს ჩიხში მოიმწყვდევენ და ისინი დახმარებას გვთხოვენ, ძნელი იქნება უარის თქმა. ინგლისელები, თავის მხრივ, თურქების ჩათრევას ცდილობენ, რაც მათ მდგომარეობას ართულებს, რადგან ბოსფორზე 3 ათასი ზარბაზანი აქვთ. თუ თურქეთი ლიგაში შევა, ჩვენ კი საწინააღმდეგო ბანაკში ვიქნებით, გაჩნდება მიზეზი იმის გამოსაცხადებლად, რომ შავი ზღვა ინგლისის ფლოტის მიერაა ოკუპირებული. ვფიქრობ, ინგლისელებსაც ეს უნდათ. იმედია, რომ ლუი ნაპოლეონი მოახერხებს ამ გეგმის ჩაშლას თუ არა და, საქმე კვლავ აირევა. გუშინ კურიერით საშინელი ამბავი შევიტყვეთ, რომელიც პეტერბურგში ტელეგრაფით მიუღიათ. პარიზის არქიეპისკოპოსი წმ. სტეფანეს ეკლესიაში წირვის დროს ვიღაც მღვდელს მოუკლავს[20]. ეს საზარელი მკვლელობა, რომელიც ნამდვილი გიჟის ნამოქმედარი უნდა იყოს, შუა საუკუნეებსა და ველურების დროს მაგონებს. ერთი სული გვაქვს, როდის შევიტყობთ დეტალებს. ამას წინათ, ბარიატინსკი ჩვენს მეგობარ მირსიზე ისე მელაპარაკა, რომ ძალიან არ მესიამოვნა. მითხრა, საშინლად თვითკმაყოფილი და მატყუარა გახდაო. პეტერბურგში ბევრისთვის უწყენინებია, მათ შორის, ბარიატინსკის ოჯახისთვისაც, სადაც ხშირად დადიოდა და ბარიატინსკის მხოლოდ სახელით, ალექსანდრედ მოიხსენიებდა, რაც მის და-ძმას ძალიან არ სიამოვნებდა. სწუხდა, რომ ბარიატინსკის კარიერის დასაწყისში აქ არაა, რაღაცნაირად რომ დააკვალიანოს. რაც უფრო საწყენია, არშიყობა დაუწყია და ოდესაში ვინმე ქ-ნ დემიდოვასთან, დაბადებით ბენკენდოფთან, რომანი გაუბამს, რის გამოც უცხოეთში გადახვეწილა. როგორც ჩანს, ქალის ოჯახს რაღაც გაუგია. მართალი გითხრა, არასოდეს მესმოდა მირსის ოდესაში სიარული, როცა მისი ცოლი კალუგაში რჩებოდა. ეტყობა, ეს იყო მიზეზი. ძალიან მეწყინა ყოველივე ეს, რადგან ადამიანზე კარგი აზრის შენარჩუნება მიყვარს, მაგრამ კარგსა და ცუდს ერთმანეთში ვერ ვურევ. შენი შვებულების შესახებ ბარიატინსკის ჯერ არ დაველაპარაკებივარ. მინდა ეს საუბარი ბუნებრივად წამოიჭრას და უადგილოდ არ დავიწყო, რაც იმის მიმანიშნებელი იქნება, რომ დავალებული მაქვს. თანაც, მეშინია უარი არ მითხრას, რაც საქმეს საფუძველშივე გააფუჭებდა, მინდა საუბარი სხვათა შორის წამოვიწყო. ბარიატინსკისთან ერთად ხშირად მიწევს ცხენით სეირნობა და შემთხვევა აუცილებლად მომეცემა, თანაც, საკითხი ჯერ მომწიფებული არაა. მთხოვეს, კიდევ ერთი ტყვის შესახებ მომაწოდო ცნობები – ვინმე იასონ სუქნიშვილი, დაბადებული წინანდალში, 23 წლის. მისმა მშობლებმა შეიტყვეს, რომ 60 მანეთად უნდათ მისი გაყიდვა. მეეჭვება, მაგრამ რამეს თუ გაიგებ, მასიამოვნებ. ახლა, ალბათ ლაშქრობაში ხარ. გეთანხმები, რომ თქვენი პირველი ექსპედიცია ნაკლები ძალისხმევით ჩატარდა. ამას კი ვაღიარებ, მაგრამ იმედია, არ მისაყვედურებ, რომ ისეთი ვითარება მირჩევნია, სადაც უფრო მშვიდად იქნები. – უკვე მოგწერე, რომ გაზაფხულამდე სათანადო მიზეზი არ მექნება, მონრეპოში[21] წასვლაზე უარი რომ ვთქვა. [...] ნინოჩკა თუ კარგად იქნება, ამ მოგზაურობას კიდევ შევეგუები, მაგრამ დიდი თავადის, კონსტანტინეს ჩამოსვლაც მაფიქრებს, რადგან ამან შეიძლება ჩემი გამგზავრება ასიცხებამდე გადაავადოს, რაც კასპიის გეგმას ჩაფუშავს. გავარვარებული ქვეყნის გადასერვა მოგვიწევს ბაქოდან ასტრახანამდე, თანაც წლის ყველაზე არასასურველ დროს. სხვა გზა აღარ გვექნება და სტავროპოლიდან მთებით უნდა წამოვიდეთ. ვაღიარებ, ძალიან მიჭირს, ასე უხალისოდ შევუდგე მონრეპოსკენ მგზავრობას. თან, ჩემს მდგომარეობაში ეს მოგზაურობა სრული უგუნურება იქნება, მრავალ საზრუნავს გამიჩენს. ახლა, თუ ყველა რესურსს

---

[20] იგულისხმება ის ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა პარიზში 1857 წ. 3 იანვარს. პარიზის ეპისკოპოსი მონსენიორ მარი-დომინიკ-ოგუსტ სიბური წმ. ეტიენის ეკლესიაში შესვლისას მოკლა განკვეთილმა მღვდელმა ვერჟემ. იხ. G.d' Avenil, les evêques et archêveques de Paris des origines à nos Jours, t.2, Paris, 1878, p. 297-310.

[21] მონრეპო – ბარონ ნიკოლაების მამული ვიბორგის მხარეში.

გამოვიყენებ, საკმაოდ რეალური შესაძლებლობა მაქვს 4 წელიწადში ჩემი მდგომარეობა გამოვასწორო. [...] საქმე აეწყობა, თუ შეცდომებს არ დავუშვებთ და წვრილმანებიც გავითვალისწინებთ. გამოცდილებამ დაგვანახა, რა საშუალებები და ფასეულობა გააჩნია. რადგან საქმე უკვე დაიძრა და ბევრი რამ გაკეთდა კიდეც, შეგვიძლია ფაქტებით ვიმსჯელოთ. როგორც გამოვთვალეთ, 1860 წლამდე წამგებიანი ვიქნებით, საერთო თანხიდან 4 ათასი მანეთი შეიძლება მამას მოცემული თანხიდან დავფაროთ, რაც ჩვენი საოჯახო ბიუჯეტის უმნიშვნელო ნაწილია. 1861 წლიდან სუფთა მოგება დაიწყება, რომელიც 1863 წ. 4 ათასს გადააჭარბებს. მანამდე თავის შეკავება მოგვიწევს. წლევანდელ მოგზაურობას კი 2 ათასი მაინც სჭირდება და თუ დედოფლის[22] განზრახვა, ზამთარი თბილისში გაატაროს, განხორციელდა, მრავალი წლით ვიძირები. ჩვენ ორი ნინა ალექსანდროვნას დღეში აღვნიშნეთ[23]; №2 თმახუჭუჭა, კოხტად დავარცხნილ პატარა, მაგრამ ლამაზ თოჯინას ჰგავდა. შინაური სადილი გვქონდა ჩვენთან. ეკატერინა ალექსანდროვნა[24] ჯერ კიდევ აქაა, ბავშვები ჰყავს ავად, ახვედრება და ახიხინებთ. ახლა პატარა ანდრო[25] გაცივდა. პატარა ელენე ჭავჭავაძე[26], რომელიც ნინა ალექსანდროვნასთანაა, ძალიან გაცივებულია და რამდენიმე დღეა წევს. ანა ილინიშნა[27]. კვლავ დედოფლისწყაროშია. მისი უფროსი ძმა, ბარიატინსკის ადიუტანტი, რამდენიმე დღეა ჩამოვიდა. – ყველა გაგვახარა შენმა ცნობამ მათი უმცროსი ძმის შესახებ, რომელიც შენთანაა[28]. მშვიდობით, ძვირფასო და კეთილო მეგობარო. გულით გეხვევი ჩემი, სოფიოსა და ბავშვების სახელით. მოკითხვას გითვლის ნინა ალექსანდროვნა. მომიკითხე შენი იოსები. დმერთი იყოს შენი მფარველი.

თბილისი, 20 იანვარი, 1857

ძვირფასო მეგობარო, ერმოლაევმა, სახ. ფოსტის უფროსმა, იკისრა ჩემი წერილების სუნჯადან გადმოგზავნა. რადგან ეს გზა გეოგრაფიულად უმოკლესია, ფოსტისთვისაც მოკლე ინდა იყოს და ახლა ცდას ვატარებ. გთხოვ მაცნობო, რა შედეგი მოჰყვება. ერთდროულად მივიღე 3-ში და 9-ში (გროზნაიადან) გამოგზავნილი შენი წერილები. გულთამად მადლობას გიხდი, იქიდან რომ მომწერე. როგორც ხედავ, 6 დღის ამბები შევიტყვე – ძალიან მეწყინა, ფოსტის დღეს ისევ რომ ვერ მიიღე ჩემი წერილი, მაგრამ, ერთი კვირის მანძილზე იმდენი სხვა საშუალება იყო, რომ ყოველი მათგანი გამოვიყენე. როგორც ჩანს, ამ ბატონებმა ჩემი წერილები გროზნაიაში დატოვეს და ექსპედიციის დაწყებას დაელოდნენ. იმედი მაქვს, ბოლოს და ბოლოს მიიღებ. წერილები გორჩაკოვს, ბაშმაკოვს და ჩერცოვს გამოვატანე. დღეს გენერალმა მილიუტინმა მითხრა, რომ თქვენი ახალი ამბები მიიღო. ე.ი. რამდენიმე დღეა ტფისმჭრელის ნაკლებ სასიამოვნო საქმეს აკეთებ, მაგრამ მიხარია, რომ საკუთარი ფრთებით დაფრინავ და გარკვეული დამოუკიდებლობაც გაგაჩნია. დრაგუნები რომ არ მოგცეს, არ მიკვირს. წვრილმანი შური ქვეყნად ძალიან გავრცელებულია, მისი გამოვლინებები რომ გაგიკვირდეს. უფრო საოცარია, როცა ამას არ ეჯახები. სხვათა შორის, იმედი მაქვს, შენი მონაცემებით შეძლებ [...] საკუთარი შეხედულებისამებრ იმოქმედო და ისეთ საქმეს მოჰკიდო ხელი, რომელიც უფრო შესაფერისად მიგაჩნია.

დმერთმა ხელი მოგიმართოს და გფარავდეს, მაშინ ადამიანების შური ვერას დაგაკლებს. მთელი გულით ვევედრები დმერთს ამას. მე და სოფიო მადლობას გიხდით საახალწლო სურვილებისთვის. ეჭვი არ გვეპარება, რომ გახსოვართ და ყოველივე საუკეთესოს გვისურვებ. დარწმუნებული იყავი, რომ შენც იმასვე გისურვებთ. ამ ზამთარს შენზე ბევრს ვფიქრობდი, სადამოებზე, რომლებიც სისტემატურად ეწყობა ხუთშაბათ-შაბათობით ბარიატინსკისა და ლუკაშთან და სადაც, ჩემი ასაკის გამო მხოლოდ მაყურებლის როლში ვარ. წელს სახოგადოებაში გამოჩნდა მეტად სასიამოვნო ყმაწვილი

---

[22] იგულისხმება იმპერატორ ალექსანდრე II-ის მეუღლე, დედოფალი მარია ალექსანდროვნა.
[23] იგულისხმება ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვა და ბარონ ალ.იკოლაის ქალიშვილი ნინოჩკა.
[24] ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანი (1816-1882), სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის, დავით დადიანის მეუღლე.
[25] ანდრო – ეკატერინე ჭავჭავაძისა და დ. დადიან დადიანის ვაჟი.
[26] ელენე – დავით ჭავჭავაძის ქალიშვილი.
[27] ანა ილინიშნა – დავით ჭავჭავაძის მეუღლე, იღლი ბატონიშვილის ასული ანა გრუზინსკაია.
[28] ანა და ბარბარე გრუზინსკების ძმა, დმიტრი გრუზინსკი ლ.ნ.ყოლაის პოლკში მსახურობდა იუნკრად.

ქალი, საბრალო ფალავანდოვის[29] ასული, რომელსაც მგონი, იცნობდი. ლამაზი, კეთილშობილი თავაზიანი, მას ის უპირატესობა აქვს, რომ არავინ არ გააჩნია. ვამბობ უპირატესობა მეთქი, მისთვის, ვინც მას შეირთავს. მხოლოდ დეიდა ჰყავს, ელენე ერისთავი[30], რომელთანაც ცხოვრობს. ალბათ გგონია შუამავლობას ვაპირებ, სულაც არა, რადგან შენთვის ის, მართლაც, ძალიან ახალგაზრდაა, ჯერ 16 წელიც არ შესრულებია. მაგრამ მუდამ, როცა სასიამოვნო ქმაწილ ქალს ვხედები, შენზე ვფიქრობ და რა ბედნიერი ვიქნებოდი, კარგად დაბინავებული რომ მეგულებოდე. ამაოდ თამაშობ ბერბიჭას როლს, შენ ოჯახური ცხოვრებისთვის ხარ გაჩენილი, იმდენ სითბოს აფრქვევ ირგვლივ, რომ შენც იმსახურებ სანაცვლოს – დაფიქრდი ამაზე. ძალიან ნუ დაიგვიანებ, თორემ მერე ინანებ. ბარიატინსკის შაბათობებს, გარდა იმისა, რომ ძალიან სასიამოვნოა, ის უპირატესობაც აქვს, რომ 7-დან 11 საათამდე გრძელდება. ეს გონივრული და მოსახერხებელია. მითხარი, გეთაყვა, წმ. სტანისლავის ორდენის წონაკი თუ მიიღე. მამამ შემატყობინა, რომ ეს ამბავი გაზეთებიდან გაგიგია. მიკვირს, მით უმეტეს, რომ ჩემი წმ. ვლადიმირის ჯვრის граммота კორონაციიდან გამოზავნილი კურიერით მივიღე. მგონია, რომ შენც მაშინ მიიღე შენი წოვნაკი. [...] შევატყობინე შენი ცნობა მის საქმესთან დაკავშირებით. მთხოვა, მადლობა გადმომეცა. როგორც კი კოლოსოვსკის[31] შევხვდები, ამ საკითხზე დაველაპარაკები. არც შენი კალენდრები დამივწყებია. ვფიქრობ, ამ დღეებში გადმოგიგზავნით, ვეღარ დავამთავრეთ მათი კითხვა – გიგზავნი ალინას[32] წერილს, რომელზედაც მოგწერე. გესიამოვნება მისი წაკითხვა, რადგან სავსეა დედობრივი ქმაყოფილებით. ვუსასუხე და ვთხოვე, ისე მოაგვაროს, რომ ამ ზაფხულს მონრეპოში ჩამოვიდეს; წარმომიდგენია, რა შეკრება იქნება, ყველანი თუ ჩავალთ, 7 შვილი, 2 რძალი და 11 შვილიშვილი. ოჯახი გამოცოცხლდება და ასეთი შეკრებისთვის, რომელიც შეიძლება აღარც კი განმეორდეს, ღირს მხსვერპლის გაღება. გაზეთებში ნახავდი, პარიზის ეპისკოპოსის მკვლელობის ამბავი დადასტურდა. რა საშინელებაა. ამბობენ, საცოდავი რამდენიმე წამში გარდაიცვალა და მხოლოდ იმის თქმა მოასწრო, „საბრალოო“. რა დიდებულია, სიკვდილის წუთებში შენი მკვლელი გებრალებოდეს. საბედნიეროდ, როგორც აღმოჩნდა, ის კაცი გიჟი ყოფილა და ეკლესიიდან მოკვეთილი. როგორც ხედავ, მოლაპარაკებები დასრულდა. ვნახოთ, სამთავრობისა და შავი ხვეის ევაკუაცია მითითებულ ვადებში თუ მოხერხდება. ამას მხოლოდ მაშინ დავიჯერებ, როცა მოხდება. ხასაი[33] ჩამოვიდა და მითხრა, რომ შენთან მოდის, ამის შესახებ მოუწერია. უცებ, საშინელი სურვილი გაუჩნდა, ხასელმწიფოს ემსახუროს. ვფიქრობ, ეს სურვილი ოჯახურმა ბედნიერებამ მოგვარა. გვიამბო, რომ ყარაბაღში ძალიან აღელვებთ სპრსეთ-ინგლისის ომი, რომ ინგლისელებს ბუშირში ორი სპარსული პოლკი უნახავთ, ჯარისკაცებისა და ოფიცრებისთვის ბლომად ფული და პროკლამაციები დაურიგებიათ. პროკლამაციებით სპარსელებს არწმუნებდნენ, რომ მათ კი არ ერჩიან, არამედ შაჰს[34] და განსაკუთრებით, მის მინისტრს. მერე პოლკი თავიანთი პროკლამაციების გასავრცელებლად გაუშვიათ. ისიც ინგლისელების მიღებითა და გულუხვობით გახარებული წასულა. გასაკვირი არ იქნება, ერთ მშვენიერ დღეს შაჰი ან მისი მინისტრი რომ მოწამლონ. გიგზავნი ჩემი მგონაკის, ჰეტრუს წერილს ნიუ-იორკიდან. ძალიან საინტერესოა. ამ დღეებში, შემთხვევა რომ მოგეცემა, დამიბრუნე. მინდა შევინახო, რადგან სერიოზული დოკუმენტია. მიხარია, რომ ნიუ-იორკში ისეთი ყოჩაღი აგენტი გვყავს, როგორიც ბ-ნი სტეკლია. სხვათა შორის, წინათ მის შესახებ არაფერი მსმენია. ჩვენთან ყველაფერი რიგზეა, ნინოჩკას კბილები ამოსდის, უკვე სამი კბილი აქვს. მალე სხვებიც ამოჭრის. კოლია[35] ძველებურად ცელქობს. ეკატერინა ალექსანდროვნა ჯერ კიდევ აქაა, სულ იმას ამბობს, მალე უნდა წავიდეო. ნინა ალექსანდროვნა მადლობას გითვლის გულთბილი მოკითხვისთვის. გასულ ორშაბათს, 14-ში მისი და ნინოჩკას დღეობა ვიზეიმეთ. საოჯახო სადილი და მერე

---

[29] ფალავანდოვი – ნიკო იოსების ძე ფალავანდიშვილი, მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს საბჭოს წევრი, გარდ. 1853 წ. (?) იხ. ეროხინცევიანი, წერილები, თქ. აგაპე წერეთლის რედაქციით, თბ. 1936. გვ. 241.

[30] ელენე ორბელიანი-ერისთავისა, ზაქარია ერისთავის მეუღლე.

[31] კოლოსოვსკი ივანე გრიგოლის ძე, კავკასიის კორპუსის გენერალ-ადიუტანტი.

[32] ალინა, ალბათ, ბარონ ნიკოლაის და.

[33] ხასაი – ხასაი მუსაი, პოლკოვნიკი, ყუმიხეული იხ., Зассерман, Барятинский, 1, с.135.

[34] შაჰი – 1857 წ. ირანის შაჰი იყო მირზა თაჟი-ხან ამირ ნეზამი.

[35] კოლია – სოფიო ჭავჭავაძისა და ბარონ ალნიკოლაის ვაჟი.

გზა შინისაკენ. იმავე საღამოს ჩამოვიდა თავადი გრიგოლ ორბელიანი[36], შენი ამბები წერილად გამომკითხა! დიდი სიმპათიით ვარ განწყობილი მის მიმართ. როგორც ჩანს, ბარბარა ილინიშნა[37] ზღვის აბაზანების მისაღებად პეტროვსკაიაში[38] უნდა წაიყვანოს, თან მაზლს კომპანიასაც გაუწევს. – არ მახსოვს, გითხარი თუ არა, რომ თავადის ასული ჩაჩევსკაია[39] ჩამოვიდა, ბარიატინსკი რომ გირიგებდა. საკმაოდ დაბერებულა, თუმცა კეთილი და თავაზიანი ქალი ჩანს. ახლა მამას გლეხობს და შინიდან არ გამოდის. ნახვამდის, ძვირფასო მეგობარო, მე და სოფიო ნახად გეხვევით, მიტროფანუშკას მადლობა გადაეცი საახალწლო სურვილებისთვის და გრიგორიც მოიკითხე.

**TS. BIBILEICHVILI**

## QUELQUES LETTRES DU BARON AL.NICOLAY À SON FRÈRE L.NICOLAY

RÉSUMÉ

Nous proposons la traduction géorgienne de 7 lettres du Baron Al.Nicolay à son frère L.Nikolay. Les lettres consèrnent les événements ayant lieu en Gèorgie, au Caucuse en Russie ou en Europe.

[36] გრიგოლ ორბელიანი (1804-1883). – გამოჩენილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი. მონაწილეობდა სამხედრო ოპერაციებში ლეკების წინააღმდეგ (1822-30), რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომებში. 1838 წლიდან საქართველოს გრენადერთა პოლკის შტაბ-კაპიტანი, მონაწილეობდა აღმოსავლეთ კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ ომებში; 1843 წლიდან ავარიის მმართველი და დაღესტნის ჯარების უფროსი – იბრძოდა შამილის წინააღმდეგ, თბილისში მსახურობდა მთავარმართებლის საჭის თავმჯდომარედ.

[37] ბარბარა ილინიშნა – ილია ორბელიანის მეუღლე, ილია ბატონიშვილის ასული ბარბარე გრუზინსკაია.

[38] პეტროვსკაია, დღევანდელი მახაჩყალა.

[39] ჩაჩევსკაია – ოფიცერ პლატონ ჩაჩაშვილის (?) ასული.

ეთერ ჯავთარაძე

# მარი ბროსეს ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან

მარი ბროსეს ქართველოლოგიური მოღვაწეობა იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც ევროპულ ორიენტალისტიკაში ის-ის იყო მკვიდრდებოდა აზრი ამ კვლევის აუცილებლობის შესახებ. მარი ბროსეს პირველად სასულიერო მიდრეკილებები ჰქონდა, შემდეგ აღმოსავლეთმცოდნეობით დაინტერესდა, ხუთი წელი ჩინურ ენასა და სიტყვიერებას სწავლობდა. მოგვიანებით, ჟან-ანტუან სენ მარტენის რჩევით, რომლის შრომებშიც პირველად დაიდო საფუძველი ქართული ენის შესწავლის საქმეს, მარი ბროსემ ქართული და სომხური ენები შეისწავლა. იგი გაეცნო პარიზში დაცულ ქართულ ხელნაწერებს. ქართულ-სომხურ ლიტერატურაზე სისტემატურად აქვეყნებდა გამოკვლევებს პარიზის სააზიო საზოგადოების ბეჭდვით ორგანოში, რაც შემდეგ ამ საზოგადოებამ ცალკე წიგნად გამოსცა. 1836 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იგი მოღვაწეობდა პეტერბურგში. მეცნიერებათა აკადემიასა და უნივერსიტეტში საქართველოსა და სომხეთის ისტორიის ციკლს კითხულობდა. პეტერბურგში სამ წიგნად გამოაქვეყნა სხვადასხვა ქართულ სიძველეთა დიდძალი მასალა.

ევროპული ორიენტალისტიკა თავდაპირველად სკეპტიკურად უყურებდა ქართველოლოგიის იმ საერთაშორისო მნიშვნელობას, რაც მოგვიანებით ნათელი გახდა. სწორედ ამის ანარეკლია მარი ბროსეს სიტყვები: "ევროპელთაგან არავინ დასჯერდა[1] ქართველი მეისტორიეების თქმულთა, ვიდრემდის დამტკიცებათა მოგროვებითა არ წარმოვაჩინე დაჯერების ღირსება მათი. და ჩემი დამტკიცება აქა-იქა ძიებაში შემოკრებიე, საჯდრებისა და ციხეებისა და სხვადასხვა შენებაების კედლებზე, დრამატებში, სხვადასხვა ნივთების ზედწერილებში".[2]

ამ სიძველეთა ძიებაში დაუახლოვდა იგი პეტერბურგის ქართველ მოღვაწეებს – თეიმურაზ ბატონიშვილს, პეტრე ქებაძეს, იონა გედევანიშვილს და სხვებს.

მარი ბროსემ ამ სიძველეთა ადგილზე მოსახილველად ორჯერ იმოგზაურა საქართველოში. აქ იგი გაეცნო ქართველ წყაროთმცოდნეთა და ისტორიკოსთა პირველი თაობის წარმომადგენლებს – პლატონ იოსელიანს, დიმიტრი ბაქრაძეს, დიმიტრი მეღვინეთუხუცესსა და სხვებს.

პეტერბურგში დაბრუნებული მარი ბროსე მათ სისტემატურად სწერდა წერილებს, სთხოვდა ქართულ სიძველეთა შესახებ ცნობების შეგროვებას და მიწოდებას, წერილითვე ატყობინებდა თავის შენიშვნებს.

ქვემოთ ვაქვეყნებთ მარი ბროსეს რამდენიმე წერილს დიმიტრი ბაქრაძესთან, პლატონ იოსელიანსა და დიმიტრი მეღვინეთუხუცესთან.

წერილები დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში, მარი ბროსეს არქივში, დაწერილია ქართულ ენაზე. წერილების სტილს ვიცავთ, ვასწორებთ მხოლოდ მნიშვნელოვან გრამატიკულ უხუსტობებს.

წერილები იბეჭდება კუპიურებით.

---

[1] იგულისხმება "არ დაიჯერა"

[2] მ. ბროსეს წერილი დიმიტრი მეღვინეთუხუცესთან. მარი ბროსეს არქ. №16.

## დიმიტრი ბაქრაძესთან

მოწყალეო ხელმწიფეე დიმიტრი ზაქარიას ძეე!

დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის ხელით მაახელით წერილი და თქვენი შედგენილი სიტყვა "საქართველოს ისტორიის წყაროები", რომლისათვის მე დიდად მადლობელი ვარ. ეს სიტყვა ძალიან მესიამოვნა, არა მხოლოდ იმისთვის, რომ თქვენ ღირსების მეტად აქებთ ჩემს ნამუშაკევსა და საქართველოს სიძველეთა ისტორიისა მაძიებლობასა ჩემთა. იმით უფრო მომეწონა წერილი თქვენი, რომ ადრიდანვე გიცნობ, "კავკაზში" დაბეჭდვილთა სხვადასხვა სიტყვათა გამო და სიხარულით შევიტკე ესე, რომ გამოჩნდა საქართველოში თვით ქართველი კაცი, განათლების მოყვარე, რომელსა სურს გამოძიება და გამოცხადება ძველის ყოფაქცევისა საქართველოს ხალხთან და თქვენგან ვისაოებ შეწევნასა. ჩანს, თქვენ კარგათ მომზადებული ბძანდებით. კარგათა გესმის ესე, რომ უსაფუძვლოთ არ აშენდება სახლი. საფუძველნი ისტორიისა არიან: ა) დაწერილნი ამბავები მეფეთა თუ დიდებულთა კაცთა; ბ) გუჯრები, სიგელები, სხვადასხვა სახელმწიფო და სახალხო წერილები ძველის დროისა; გ) ფული და ხედწარწერაები და სხვა.

რაც შემეძლო, მე მარტო კაცსა, მოვაგროვე სახელმწიფო დოკუმენტები, მაგრამ დარწმუნებული ვარ და ჭეშმარიტებით ვაღიარებ, რომ რაც მიქმნია, იმის ათასჯერ მეტი დარჩა საქმნელად შემდეგთა ჩემთა საქართველოს მოყვარულთა მიერ. ახლა პირველი წყარო ქართულის ისტორიის უნდა იყვნენ გუჯრები და ხედწარწერაები. თქვენ, ბატონო, საქართველოში ცხოვრობთ, ქართველთ თანამემამულე ბძანდებით, ენა კარგად იცით. უთუოდ ყველანი – თავადები, აზნაურები დიდის კმაყოფილებით გიჩვენებენ ძველს გუჯრებსა. შეგიძლიათ მოაგროვოთ ხედწარწერები საყდარ-მონასტერთა და სხვადასხვა შენებათა. მოგეხსენება, რა უქნია დიმიტრის[3]. რა კარგი და უცხო ამბავები შეიტყო ადგილებში, სად არავის არ ეგონა შესაძლებელი. უთუოთა ჩანს, ბიულეტენებში პოლკოვნიკის ბარტილემეოსის მიერ მოგროვილი ხედწარწერები სამასამდინ და ჩემს რაპორტებში – ათასხუთასამდის, პირველი ნამდილი წყარო და საფუძველი ისტორიისა.

გთხოვ, დამიწეროთ სია სრული თქვენი სიტყვებისა იმისთვის, რომ წავიკითხო მეორედ და ვთარგმნო რამე. ესეცა შემატყობინეთ მონათესავე ბძანდებით თუ არა ბაქრაძის, რომელმაც უცხოს გულკეთილობით მიმასპინძლა უჯარმას. თუ მონათესავე მისი ბძანდებით, მე დიდი ხნისა ვარ მოვალე თქვენი. ახლა მომიტევეთ, თქვენს სიტყვაში შევნიშნე... [4]

მშვიდობით ბძანდებოდეთ, ჩემო ბატონო, და ალმრიცხეთ თქვენს გულითად მეკობრების რიცხვში.

18 იანვარი, 1857 წელი, სანკტ-პეტერბურგი.

*მოწყალეო ხელმწიფეე დიმიტრი ზაქარიას ძეე!*

დიდად მრცხვენია და ძალიან დამნაშავე ვარ თქვენ თანა და თქვენთა ამხანაგთა წინაშე, რომ ასე დაგიგვიანეთ პასუხი და მადლობა, ბოდიშსა გთხოვთ უმდაბლესად. როცა მომივიდა წიგნი თქვენი, შეუძლოდ ვიყავ და ასე დაღრმაებული მწუხარებაში, რომ საქმეებზედ ძალი აღარა მქონდა ჩემი უფროსი შვილის გარდაცვალების გამო. ნუ გგონია,

[3] იგულისხმება დიმიტრი მეღვინეთუხუცესი.

[4] აქ ხელნაწერს მარჯვენა მხარე ჩამოხეული აქვს სიგრძეზე და არცერთი სტრიქონი ბოლომდე არ იკითხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ უდებვაყ თქვენი წერილი, რომ არ მიამებოდა გამოცემა თქვენი ჟურნალისა. საქებელია მეცადინეობა ესე ამ საგანზედ. გულით მსურს, განათლება დაიფანტოს საქართველოში თქვენის ხელითა.

ამას წინადაც წავიკითხე რამდენიმე სიტყვა თქვენი ზაკვკაზკის კალენდრებში და გეოღრაფიული საზოგადოების ზაპისკებში. მომწონა მიმოხილვა თქვენი სვანეთისა და გადაწერილი თქვენგან ზედწარწერაები მანდაური საყდარ-ხატებისა მათის განმარტებითურთ. მისმა მაღალ-ღირსებამ გიორგი გამრეკელოვმა, ყოფილმა ჩემმა მასპინძელმა ახალციხეს ჩემი მოგზაურობის დროს, შემატყობინა სურვილი თქვენი ამისთანა მოგზაურობისა სხვა სადმე ქართულ ქვეყნებში. როცა მომივიდა ამბავი ესე, შეუძლებელი იყო ასეთი მოგზაურობა დღიურის გარემოებისა გამო და ამისთვის არც მასთან, არც თქვენთან არ მიპასუხებია. თუ განგრძელდა სურვილი ესე თქვენი, დასწერეთ პლანი, როდის და რა და რა ადგილებში მიმოსვლა გინდა, რა იმედი გაქუს პოვნად რაისამე ღირსსახსენებელისა, რამდენი ფული ამას მოუნდება. პლანი გაგზავნეთ პირდაპირ აკადემიაში. ჩვენ განვიხილავთ და გიპასუხებთ. ძალიან დავბერდი და ამისთვის მწადიან, რომ ყმაწვილმა ყმამა გაათაოს ჩემგან დაწყებული.

გთხოვთ, უფ. ნ. ღოღობერიძეს, ვ. თულაშვილს, ს. მელიქიშვილს, გ. წერეთელს მოახსენოთ ჩემს მაგიერ მადლობა და მშვიდობით სუფევის სურვილი.

21 მაისი, 1866 წელი, სანკტ-პეტერბურგი.

## პლატონ იოსელიანთან

უფალო!

მომივიდა თქვენის კეთილშობილებისაგან წიგნი და ძღვენი [5] აკადემიისათვის შეწირული თქვენ მიერ. ამავე დროს, როდის თქვენცა უნდა მიგეღოთ ჩემ მიერ მადლობა პირველისა თქვენისა წყალობისათვის. მეორედ ბრძანებულ ვიქმენ აკადემიისაგან დიდის მადლობისა თქვენდა მოსაწერად. კეთილად და პატივისცემით მოხსენებული იყო ჩვენს შორის თქვენი სახელი და თვით მეცა გმადლობ ფრიად. მე წარმეკითხა უწინ ანტონის "წყობილსიტყვაობა", მაგრამ მსურდა მისი საკუთრად ქონება. ეხლა თითქმის ჩემი საკუთარი იყოს, როდესაც აკადემიას ეკუთვნის.

თუ თქვენ ძალიან მაქებთ ამ შრომისათვის, რომელი გავიღე ქართულის ენისა სწავლისათვის, გაქებ მე უმეტესად ჩვენებურის ენისა სწავლაზე.

ნუ უგულებელსყოფთ, ბატონო, თქვენს ენასა და სიტყვიერებას. აწ მსურველ იქმნეს ევროპიელნი უფრცელესის თქვენის ქვეყანის ცნობისა. იშუა მათ შორის რწმენა, რომ ამ აქამომდე უცნობ კავკასიის კიდეში შესაძლებელია მოპოვნება რაოდენიმე საუნჯეთა კაცობრიობის ჭკვიანობისათა. კარგია, რომ ანბანი დაგიბეჭდიათ ყრმათათვის[6]. ვიცი, რომ აპირებდით ორთა თამარის ქებად დაწერილთა წიგნებისა დაბეჭდვას[7]. ჩემის აზრით, საკმაო არაა, ქართულის ენით განზოგადოება მისი. ასრე გაკეთებული შრომა ვინ ევროპაში გაიგოს? რუსთა თითქმის არ იციან, რამეთუ იმათ დრო არა აქვთ ქართულის ენისა სწავლად და სულ ყოველს ევროპიაში ერთი-ორი კაცი თუა, ქება ზღონ თქვენი. მაგრამ თუ

[5] იგულისხმება პლატონ იოსელიანის მიერ გამოცემული ანტონ I-ის "წყობილსიტყვაობა" (1853წ.). წერილი 1838 წლითაა დათარიღებული. ჩანს, ეს შრომა ხელნაწერის სახით გაგზავნა.

[6] იგულისხმება პლატონ იოსელიანის მიერ შედგენილი "ანბანი ქართული სასარგებლოდ ქართველთა ახალ-მოსწავლეთა ყრმათა" (1840წ.). ეს შრომაც ამ დროისთვის დაბეჭდილი არ არის.

[7] ლაპარაკია ჩახრუხაძის "თამარიანსა" და იოანე შავთელის "აბდულმესიას" პლატონ იოსელიანისეულ გამოცემებზე (1838წ.).

რუსულად, გინა ფრანციცულად სწეროთ, ძალიან ბევრნი მადლობასა მოგცემენ შენა შეგიძლია, მაგალითად, წინასიტყვაობაში წერა მოთხრობისა სახელოვანის მეფის თამარისა და შენიშნულებათა შინა მიცემა წულილვით უწყებათა საქართველოისა ზნეთა ზედა-მეთჳ.

ძალიან მსურველ ვარ, ბატონო, რომ ხშირად აკადემიასა სწეროთ თქუენთა შრომათა ამბავი. მოხარულ იქნება მისი უადმატებულესობა, ჩუენი ბევრის ქებისა ღირსი უვაროვ[8], მეცნიერთა მოყვარე, თვით ფრიად მეცნიერი და განათლების წინამძღვარი ყოველს როსსიაში. ამას უყვარს უმეტესად საქართველო და მისი სიტყვიერება. ასრე გულით შემზადებულია აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, კნიაზ დონდუკოვ-ვარსახოვი. ისინი ფრიადის სიხარულით და სათნოებით მოისმენენ, რომ საქართველოშიდ არის ღირსი პროფესორი, რომელიც თვისის ქუეყანისა განათლებას თვისის ძალისაებრ შემწე ექმნების.

ამ წიგნსა ჩემსა თანა რაოდენნიმე გამოგიგზავნე ძლევნად. პირველად უფ. ჟუღრენის[9] ერთი უწყება პროკლე დიადოხოსისა, ჩუენს ბულლეტინში დაბეჭდილი. მეორედ ჩემგან დაბეჭდილნი ორნი ღრამმატიკანი. მესამედ თერთმეტი ჩემ მიერ აქ დაბეჭდილნი ზედნაწერთა მოხატულობანი. ამ უკანასკნელ საქმესი მრავალი შემწეობა შეგიძლიათ ჩუენგა. თუ აწინდელის მაგალითისაებრ[10], სხუანიცა ზედნაწერნი საფლავთა და შენებულებათანი მოაგროოთ და აკადემიას გამოგზავნოთ, ღირს ქებისა და მადლობისა იქნებით. ადვილია თქუენთჳს ამისთანა სიძველეთა მოგროება. წარწერათაგან მრავალნი თუ ცოტანი სწორია. მადლობა მიიღეთ ჩუენ მიერ. ამისთანა დაუშრომელის ღუაწლით დიდი საქმე შესრულდეს. გთხოვთ, რომ თუ იპოოთ ერთი საულ დაჳითიანად სახელდებული წიგნი, იმისი უწყება გამოგვიგზავნოთ.

უკანასკნელად მიიღოს თქუენმა კეთილშობილებამ დამტკიცება ჩემისა თქუენდა პატივისცემისა.

25 მარტი, 1838 წელი, სანკტ-პეტერბურგი.

## დიმიტრი მეღვინეთუხუცესთან

უსაკუთრესო მეგობარო ჩემო!

ჩემს უკანასკნელს წიგნსა მიიღებდით უთუოდ, თქუენის უკანასკნელის წერილის შემდგომ. ცოტა დაგიგჳანე პასუხი ესე.

თქუენი რაპორტების აკადემიაში წარდგენის შემდეგ ვთარგმნე ადგილების აღწერა, რამდენიმე შენიშვნა შეგუმატე და მივეც დასაბეჭდავად, ახლა დაიბეჭდა ერთი ნახევარი, მეორეც მალე გამოვა. გთხოვ, ბატონო, წვიმეთისა[11] რომ არის ზედაწარწერა, თქუენი გადმოწერილი, გასინჯეთ მეორედ და დიდის გულსმოდგინებით დამიწერეთ, იმისათვის, რომ ვერის ღვთისმშობლის ციყრებს კარგად ემსგავსებიან.

ამას გარდა, თიღვის მონასტრის ზედაწარწერა ძალიან ბნელია. გთხოვ, მეორედ გადმოსწერეთ ჩემთვის.

რაცა გაქუს საქართველოს დიდებულთა ჩამომავლობანი შეკრებილნი, როგორც ადრე გამოგიგზავნია ჩემთვის ამილახვარიანთი, მუხრანიანთი და სხვათა, ასე და ამრიგად მოგროვილნი თქუენგან ამბავები მიბოძეთ.

---

[8] იგულისხმება ალექსი სერგეის ძე უვაროვი (1825–1884წწ.), რუსი მეცნიერ-არქეოლოგი.
[9] იგულისხმება ანდრია მიხეილის ძე შეგრენი (1794–1855წწ.), აკადემიკოსი, ლინგვისტი, ოსური ენის მკვლევარი.
[10] ლაპარაკია პლატონ იოსელიანის მიერ გაგზავნილ არქეოგრაფიულ მასალაზე.
[11] იგულისხმება გორის მახლობლად მდებარე წვიმოეთის ნათლისმცემლის ეკლესია

ამ დღეებში მისწერა აკადემიამ ნამესტნიკს, რომ ნება მოგცეს მოგზაურობისა ექვსი თვე და ფულიც. არ ვიცი, როგორ გადაწყდება ეს საქმე. თუ თანახმა იქნება ნამესტნიკი დაგიწერ ადგილების სიასა, რა და როგორ, სად უნდა წახვიდეთ და ნახოთ. უეჭველად ბევრს რასმე ეშოვნით, სახელიც გექნება და პატივი დიდი.

გთხოვ, მომიკითხეთ გორისა თავადაზნაურები და მიიღეთ თქვენთვის საკუთარი დამტკიცება მეგობრობისა ჩემისა.

26 მარტი, 1849 წელი. სანკტ-პეტერბურგი.

მოწყალეო ხელმწიფევ!

მიიღებდით უთუოდ ამასწინათ გამოგზავნილს ფოჩტით აკადემიისა მიერ პაკეტსა, რომელში იყო ეგზემპლარები ოცამდის რაპორტისა ჩემისა თქვენთვის და დაბეჭდილი ფრანციცულად თქვენი მოგზაურობის აღწერა შენიშვნებით. ამასთანავე, წიგნი იყო ჩემი თქვენთან და ინსტრუკცია მოგზაურობაზე.

ახლა აქ იყო ნამესტნიკი და შევიტყე თქვენი წასვლის ნებართვა მალე მტკვარს იქითაც და ძველს ახალციხის საფაშოში. ამისთვისა დაგიწერე ამასთან შეერთებული ინსტრუკცია სრული რუსულად. წაიკითხეთ და აღასრულეთ. სახელი გექნება მამულის სარგებელსა იქით და უეჭველად მას უკან ჯილდოს მიიღებთ. რაც ძალი მაქვს, მე ამაში შეგეწევი.

ხშირ-ხშირად წიგნი დამიწერეთ, სადიდღა შემძლებელობა გქონდეს. აქ დავაბეჭდვინებ და მანდ შესაბამის ქებით შევატყობინებ.

იყუნეთ მხნე და გონიერი. თუ საშიში ადგილი იყოს, ნუ წახვალთ უფრთხილოდ. სჯობს ათის ადგილის ნახვა უშიშრად, მინამ ერთისაცა დიდის შიშითა.

მანდაურნი თავადაზნაურნი მომიკითხეთ პატივისცემითა. პასუხი მანდედანვე ჯერ არ მიმიღია. იოსელიანი[12] მომიკითხეთ მეგობრულად.

25 ივლისი, 1849 წელი, სანკტ-პეტერბურგი.

მოწყალეო ხელმწიფევ!

დღეს მოკლედ გიპასუხებ, ამისთვის, რომ თვალის ტკივილისა გამო სამი თვის მეტია, არ დამიჭერია კალამი და ახლა თუმცა უკეთა ვარ, მაინც ვერ მოვრჩი სრულიად.

მომილოცამს თქვენი მიღება და განწესება დრაჟდანსკის კანცელარიაში და შემწეობა თავადი გიორგი ერისთვისშვილისა თეატრის[13] გარიგებაში. დიდხან არ მიმიღია წერილი თქვენი, არც მოგზაურობის აღწერა. მეშინოდა, დაიკარგაო ჩემის მიზეზით, ასე ვფიქრობდი. მადლობა ღმერთსა, არაფერი ცუდი არ შეგემთხვა რა, და უფრო კარგი გენახათ.

ახლა, ჩემო ბატონო, ვეღი მოგზაურობის მოთხრობასა თქვენ მიერ. ეჭვი ნუ გქონდნენ, თუ ბედნიერ იყავით, თუ ღირსი რამე ბევრი თუ ცოტა გიშოვნია, შესაფერის პატივით ვაღირსებ ყველას და წარვადგენ უფროსებთან. გთხოვ, საკუთრად ეს შემატყობინეთ, ვინ არის ეს გიორგი ერისთვისშვილი, ქართული თეატრის აღმაშენებელი, რომელიც კომედიებს მისთვის სწერს. ნუ უკუეი ეს ის არის გიორგი, ვისთან ნაცნობობა მჭონდა გორში, კონსი და ოქროსი ძმა. მაშინ ამბობდენ, სტიხებს სწერსო, მოშაირე არისო. თუ არ შევსცდი, მომიკითხეთ დიდის პატივისცემითა.

2 ივნისი, 1851 წელი, სანკტ-პეტერბურგი.

[12] იგულისხმება პლატონ იოსელიანი.

[13] საუბარია დიმიტრი მეღვინეთუხუცესის, როგორც დრამატურგის, მოღვაწეობაზე გიორგი ერისთავის თეატრში.

მოწყალეო ხელმწიფევ!

დიდად მესიამოვნა არა მხოლოდ მიღება წიგნისა თქვენისა, ამასთანავე ნახვა დისწულისა თქვენისა ზაქარიასი. შემაწუხებდა მოუწერლობა და მდუმარება თქვენი იმისთვის უფრო, რომ ვერ გამეგო, რა იქნა თქვენი აღწერა უფლისციხისა. თუმცა ვიცოდი, რომ ბევრი ძიება გიქნია და ძიერფასი სიძველე გიშოვნია იქა, მაგ დიდხანს უდულებელყოფილ ქალაქსა შინა. გაგიგრძელებია სიარული ჩემგან უნახავ ადგილებში და ისეთი კარგი რამ წარწერილები მოგიგროვებია, რომ თქვენზედ დიდი იმედი მქონდა. მე ყოველთვის მზად ვიყავ და ვარ ახლაცა შემწეყოფად თქვენდა და თქვენებურთა, რაც ძალი მექნება.

ზაქარია მოვიდა ჩემთან, თავისი ჩქარა წასვლა შემატყობინა. ვწუხდი და მიხაროდა იმავ დროს. ვწუხდი ამისთვის, რომ ჩემი შვილიც წლეულს განწესდება უნივერსიტეტში და მსურდა ორთავე ყმაწვილთა ერთმანერთის ცნობა და დამეგობრება. მიხაროდა წიგნისა გამო თქვენისა და შემთხვევისა თქვენდამი მიწერისა. გთხოვთ, თუ გაგითავებია რამე უფლისციხის აღწერა, წამაკითხვინეთ ეს თქვენი ნამუშევი, აკადემიას წარუდგენ ამასა და ჩვენს გაზეთებში დავაბეჭდვინებ, როგორც ადრე მიქნია მოგზაურობათა თქვენთა ამბები, დიად მოსაწონი მეცნიერთათვის.

ამასთანავე ზაქარიას ხელით გაახლებთ საქართველოს ახალი ისტორიის უქზემპლარსა, მეხსიერების ნიშნად. მე რომ ავად ვიყავი 1851 წელს და ცუდად მყოფობის გამო არ შემეძლო მეტი მუშაობა, ჩემის რჩევითა აკადემიამ ჩააბარა დ. ჩუბინოვსა დაბეჭდვა ვახუშტისა და სხვადასხვა ახალ დროისა მეისტორიეთა მოთხრობათა. ორიგინალი წავიკითხეთ ერთად. მან გაასწორა თაბახები და მისის სახელზე, როგორ შეჰგავდა, დაიბეჭდა წიგნი ესე. მაგ შრომისა ვიყავ თანამონაწილე. მან უფროსი ერთი სიმძიმე ხელხელვისა მიიღო თავის თავზედა. მიიღეთ ეს წვლილი შეწირულობა გულმაყოფილებით, ქართველივით და მეგობარივით. უთუოთა მოგწონს გასულის დროისა მამულისა თქვენისა ამბავი.

წიგნს გავასრულებ. სხვასა პირისპირ მოგახსენებს ზაქარია.

ცოტა გარდავეჩვიე ქართულ ენასა, იმისთვის, რომ ახლა დამცირდა რიცხვი აქა მცხოვრებთა ქართველთა და ავადმყოფობისა გამო არა ხშირად დავიარები სტუმრად. მომიტევეთ.

27 აგვისტო, 1856 წელი, სანკ-პეტერბურგი

მოწყალეო ხელმწიფევ!

დიდად მეამა თქვენი წერილი გასულის დეკემბრის 13-ისა და შევიტყე თქვენი მშვიდობით სუფევა. წავიკითხე კიდე დიმიტრი ბაქრაძის სიტყვა "ქართული ისტორიის წყაროები", რომელი ფრიად მომეწონა. ჩანს, კარგად გაზრდილი კაცია, უცხო ენების მცოდინარე, ჩემი ფრანციცულად ნათხზის წიგნების წამკითხველი. შეიძლება მასთან ვიმუსაიფო საქართველოს სიძველეთათვის, და თუ ცდილობს ასე რამდენსამე წელიწადს, ბევრს კარგსა იქს. აი, ამაში პასუხი დამიწერია მისთვის. მას ურჩევ მე, რომ გუჯრები იკითხოს, შეკრიბოს და განიჩხრიკოს. ამას გარდა, კარგი იქნება, თუ როგორც თქვენ გიქნია, მოგზაურობა საქართველოში. ისევ ის ეცადოს ნახვად ძველის საყდრებ-მონასტრებისა და ზედწარწერები მოაგროვოს. იმითი მოიგებს უსრულესსა გაცნობასა საქართველოისა.

სხვებ იმედი მაქვს, არ დაგავიწყდება საქართველოს სიძველეთა მეძიებლობის სიყვარული და შემწე იქნები ამაში არა მხოლოდ სურვილისა და შრომისა ჩემისა, ნამეტნავად მამულისა თქვენისა დიდებისა და სახელისა.

გთხოვთ დიდის პატივისცემით მომიკითხეთ ალექსანდრე და გიორგი ერისთვიშვილები და ვინც არის გორში ჩემი ნაცნობი.

19 იანვარი 1857 წელი, სანკტ-პეტერბურგი

E. KAVTARADZE

# MARY BROSSET'S EPISTOLARY HERITAGE

SUMMARY

This publication presents Mary Brosset's letters. Famous French scientist worked in the field of Georgian Heritage and collaborated with representatives of the first decade of Georgian historians such as Platon Ioseliani, Dimitri Bakradze and Dimitri Megvinetukhutsesi.

Letters are preserved at Mary Brosset's archive in the K. Kekelidze Institute of Manuscripts of Georgian Academy of Sciences.

ნანა ჯანჩაველი

# XIX ს. ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიიდან (საარქივო მასალა წერეთელთა საოჯახო დავის შესახებ)

მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის უთუოდ საგულისხმო უნდა იყოს ერთი კონკრეტული მასალა ნესტორ წერეთლის ფონდიდან - №233 (დაცულია კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში) წერეთლების საარქივო ფონდში), რომელიც წარმოადგენს ნესტორ წერეთლის „თხოვნას“ ქუთაისის გუბერნიის სასამართლოს სახელზე: ნესტორი თხოულობს სასამართლოსაგან, მისცენ ბიძამისის მიერ უკანონოდ მითვისებული სამემკვიდრეო ქონებიდან მისი კუთვნილი წილი – ნახევარი. იგი უჩივის ბიძას, მამის ძმას, ალექსანდრეს, რომელმაც, როგორც ნესტორი აღნიშნავს, გრიგოლ წერეთლის – ალექსანდრეს მამისა და ნესტორის პაპის – სიკვდილის შემდეგ ყოველივე უკლებლივ მიითვისა. დავა მათ შორის მემკვიდრეობის გამო[1] დაიწყო გრიგოლის ცოლის ელისაბედის გარდაცვალების (1850 წ. 13 აგვისტო) შემდეგ. ზემოაღნიშნული „თხოვნა“ საყურადღებო ცნობების შემცველია წერეთლების გრიგოლისეული შტოს ოჯახის ირგვლივ. სახელდობრ, საჩივარში აღნუსხულია, ზედმიწევნითი სიზუსტით, ოჯახის მთელი ავლა-დიდება – განძეულობა, წიგნები, ხელნაწერები. მოცემულია მათი სამეურნეო შემოსავლის ნუსხა ყმა-გლეხებით, მამულებით და სხვ.

მოგვყავს „თხოვნის“ ტექსტი სრულად, უცვლელად; დაცულია დედნისეული ორთოგრაფია.

პირი
ქუთაისის გუბერნიის სუდსა შინა
შორაპნის უეზდის დაბასა საჩხერეს მცხოვრების მებატონის თავადის ნესტორ დიმიტრის ძის წერეთლისაგან
თხოვნა

ბაბუაჩემი პოლკოვნიკი კნიაზი გრიგოლ წერეთელი, დროსა მოგზაურობისა მისისასა ქალაქით ტფილისით, საუბედოდ ჩემდა გარდაიცვალა გორის უეზდის სოფელსა ახალქალაქს, სახლსა შინა დისწულთა თვისთა თავადთ თალხანოვთასა ჩყმგ-ის [=1843] წლის დეკემბრის კბ-სა [=22] დღესა, სადაცა წარვიდა ბიძაჲ ჩემი საჩხერის უჩასტკის დაბასა საჩხერეს მცხოვრები შტაბ როტმისტრი თავადი ალექსანდრე გრიგოლის ძე წერეთელი, წარმოასვენა სხეული გარდაცვალებულისა და მიიღო თვისსა მფლობელობასა შინა ყოველი თანქონებული ბაბუისა ჩემისათანა ნივთნი და წერილნი მისნი, მოასვენა რა სახლსა შინა მამაჲ თვისი, ვიდრე დასაფლავებადმდე მისსა გააღო ყოველი დაკეტილი ჭურჭელნი მისნი და მიიღო თვისსა საკუთრებასა შინა, საეკლესიო სამკაულნი, სამხედრო საჭურველნი, ცხენი და უნაგირნი, წიგნი სალმრთონი და სამოქალაქონი, ჭურჭელნი ოქროსა, ვეცხლისა და სპილენძისანი, სტოლის და ჩაის იარაღნი ვეცხლისანი, ჭურჭელნი მინისა და შუშეულნი, პირუტყვნი გუთნის ხარნი და კანბეჭნი, ჯოგი ცხენისა და ძროხისანი, რომელნიცა ქვემორნე

[1] წერეთლების ფონდში მრავლადაა ამ დავის ამსახველი მასალა მომჩივან მხარეთა საჩივრების, ახსნა-განმარტებებისა და მისთ. სახით.

ამისა აღნიშვნიან. ხატი ყოვლად წმინდისა ღვთისმშობლისა ოქროთი და თვლებით მოჭედილი ნაწილებით სავსე დანაშთენი მეფის ასულის დარეჯანისა. – ორი გულსაკიდი ხატი ოქროთი მოჭედილნი თავისი ოქროს ჯაჭვებითვე, რომელიცა გულზედ ეკიდა ბაბუასა ჩემსა განუშორებლად. – ბარძიმ ფეშხუმი, კოვზი, კამარა, ლახვარი, სამდუღრე, ოთხი თეფში, ერთი დიდი ტრაპეზზედ დასასვენებელი სახარება, ერთი დიდი ჯვარი ტრაპეზზედვე დასასვენი, ყველანი ვეცხლისანი მოოქვრილნი და ფინივთებით გაწყობილნი და თავისი შესაფერი დაფარნებით გაწყობილნი, ყველანი ღირებულნი ას თუმან ვეცხლისად, ნაჩუქარი ბაბუისა ჩემისადმი დისწულისა თვისისა საქართველოს მეფის გიორგის ძის გრიგოლ ბაგრატიონისა მიერ გარდამოხსნა ოქრომკედით შეკერილი ასოც მანეთად ღირებული; – კვალადვე საეკკლესიონი ნივთნი: ბარძიმი, ფეშხუმი, კოვზი, ლახვარი, კამარა, სამდუღრე და ტაკუკი, სამი შანდალი ვეცხლისა, ორი ტრაპეზზედ და ერთი სამკვეთლოზედ დასადგმელნი, დიდი ჯვარი ერთი ტრაპეზზედ და ერთი მაღლა აღსავლის კარზედ დასვენებულნი, სამი დიდი კანდელი ხატების წინ კიდებულნი და ერთი დიდი საცეცხური, ყოველნი ესე ზემო ხსენებულნი ნივთნი ვეცხლისანი, სამი ზარა, ორი სპილენძის ცეცხლის შესატანი აქანდასი, ერთი დიდი ყვითელი საიაზმე თავისის უსუპით, ორი კანდელი თუნუქისა და ერთი დიდი ხვამლი; – წიგნები: სახარება, სამოციქულო, ჟამნი, დავითნი, ლოცვანი, დიდი სადღესასწაულო, ორი მეტაპრასი, ზატიკი, სამთვენი – ორი მარხვანი და ერთი საწელიწადო ყოველი დღის თვენი, მხატრობა ბერძნულად დაბეჭდილი საწელიწადო წიგნად შეკრული, ტილოზედ დახატული, კანკელი მამის ჩემის მიერ რუსეთიდამ მოტანილი და ცხრა ხატი ხეზედ დახატული, ესე ეკკლესიასა შინა სახმარნი ნივთნი სამოც თუმნად ღირებულნი; – სახლშიდ ქონებულნი წიგნები: საღმრთო და სამოქალაქო ექვსთა დღეთა წმინდისა ვასილისა, იტიკა მისივე წმ. ინდისა, სამი წიგნი წმინდის იოანე ოქროპირისანი, ქართველთა წმიდათა ღირსთა და მოწამეთა ცხოვრება, რომელიმე ცალ-ცალკე და რომელიმე ერთად შეკრული, გრიგოლი ღვთისმეტყველის წიგნი, ორი იოვანე დამასკელის წიგნი, ორი მაქსიმე აღმსარებლის წიგნი, ფლავიოს იოსების წიგნი და ორი დაბადება, ორი ალექსანდრე მაკედონელის ისტორია რუსულიდამ ქართულად პირველის ანტონი ქათალიკოზისაგან თარგმული და მეორე ჩხატარიძისაგან აღწერილი, ორი ქართლის ცხოვრება, ერთი მხედრული და მეორე ხუცურად აღწერილი, ორი ქილილა და [და]მანა, სამი ვეფხვისტყაოსანი, ერთი ხელთ ნაწერი და ორი სტანბისა, პლუტარხოსის მიერ შედგენილი ისტორია რომაელთ და ბერძენთ მხედართმთავრობისა, იესე მღვდლის გარსევანიშვილის მიერ თარგმნილი, ღომეროსის ილიადა, ქართულად თარგმნილი და ქსენეფონტეს ისტორია ქართულად, ორნივე ჩუქებულნი სამეგრელოს მფლობლისაგან ბაბუასა ჩემისადმი, თელემაკოსი ქართულად, თვით ბაბუაჩემის მიერ აღწერილი შიდ მხატრობით, ველისარიონის წიგნი, ორი მილორდი, მარკ ავრელიოსი და კიდევ ველისარიონის წიგნი სამივე ივანე ღაბუაშვილისაგან გარდაწერილნი, ოქროს აღნაქვსი, სამეფო ტომარი, მზამეტყველება, და წყობილსიტყვაობა, ხ[რ]ონოღრაფი, ხ[რ]ონოლოღია, ნარკვევი კიტაის სიბრძნე და სხვანი მრავალნი წიგნაკნი, ეფისტოლენი და მიწერ-მოწერანი, საფილასოფოსო წიგნი: ღრამატიკა, რიტორიკა, კავშირი, დიალიკტიკა, კატეღორია, ბაუმეესტარი, პორფირი, და სხვანი, ზღაპრის წიგნნი: დარეჯანიანი, დავრიშიანი, როსტომიანი, ყარამანიანი, არჩილიანი, ვისრამიანი და საქართველოს მეფის მეათცამეტე გიორგის ძის იოვანეს მიერ აღწერილი მღვდელ-მონაზონის იონა ხელაშვილის მოგზაურობა ანუ კალმასობა ვრცლად აღწერილი, - სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი რაოდენსაც წიგნს რუსულიდამ ათარგმნინებდა, გადაათეთრებინებდა ქართულად და შავს უგზავნიდა ბაბუასა ჩემსა და ერთის სიტყვით ვიდრე ასსამოც წიგნადმდე, რომლისაც სია თვით ბაბუაჩემის ხელით აღწერილი მინახავს მე. ეს ბიბლიოტიკა ქართული ბაბუისა ჩემისა ღირდა ას თუმან ვეცხლისად ; – ნივთნი: ოქროს აზალფაშა, რომელიც აჩუქა ლევან დადიანმა თავადს როსტომ ერისთავს, რომლისაგანაც მოისყიდა ბაბუამან ჩემმან, ოქროს თასი, რომელიცა გამოართვა ბაბუამან ჩემმან ასულსა

თვისსა კნეინა ნატალია აგიაშვილისას, ოთხი სურა ვეცხლისა, ორი ღოქი იმერულად გაკეთებული ვეცხლისანი, ერთი დიდი ახალფაშა ვეცხლისა შიგნივ ოქროთი დაფერილი, რომელიცა აწუკა ბაბუამან ჩემმან ძმისწულსა თვისსა კნეინა სალომეს და გამოართვა უკანვე, ორი ვეცხლის პოდნისი, ორმოცი კაცის დანაჩანგალი და კოვზები ვეცხლისანი, თავისი სალფეთქებით, ორი დუჟინი ჩაის ფინჯლები და კოვზები ვეცხლისანი, ნახევარი ოქროში დაფერილი, ერთი ხელი თეფშები, საწნეები, სტაქნები და ბლუდები სახღვარს გარეთი, ერთი დიდი ჭიქის მარანი, რომელიც ქეთევან მუფის რძალმა თავის დედას, მამიჩემის ბებიას უბოძა, მუფე გიორგის დანაშთენი, და მისი ჩასამატებელი პრიბორი, მათმა მეუფებამ მიტროპოლიტმა უბოძა რკინით დაჭედილს წითელ სკივრში, ექვსი გადაფრიალა სტაქანი ჩაის დასალევი დავით დადიანმა უბოძა. ექვსი მურაბის კოვზი ოქროთი დაფერილი მიტროპოლიტმა უბოძა. ეს ზემოხსენებულნი სტოლის და იმერული სუფრის იარაღნი, ღირებულნი სამოც თუმნად; – სამი ოქროს საათი, ღირებულნი სამივე ოც თუმნად და ერთიც დიდი სტოლზედ დასადგმელი საათი, ისიც თორმეტ თუმნად ღირებული, რომელიცა აწუკა ბაბუასა ჩემსა სამეფნრეელოს მთავარმა დავით დადიანმა, ჯვარი ანნასი, ბრილიანტით განშვენებული უმაღლესის ნებით ბოძებული ბაბუისადმი ჩემისა; თოფები, რხმლები, დამბაჩები და ხანჯლები ოცამდისინ; ოთხი პრტყელი ძეწკვი, რომელიცა გამოართვა დისწულსა თვისსა თავადს ალექსანდრე თარხანოვს და ერთი დიდი ძეწკვი ცხრა ქილიანი თავეს ოქროთი დაფერილი, რომელიცა მოუტანა ბაბუასა ჩემსა თავადმა დავით აგიაშვილმა. ეს თოფ-იარაღი, ძეწკვები, დამბაჩები, რხმლები და ხანჯლები ყველანი ღირებულნი სამოც თუმნად ვეცხლისად, სამი ჩასაცმელი ბეწვი მათგანშიდ აძლია ოთხმოცი მანეთი უეზდის ნაჩალნიკმა გრიგოლ მიზანდაროვმა, ოცდაათი ნაჭერი ხალიჩა, ქეჩა და ფარდაგი, საგარეო იახტნები, თეზგები, ტაშტები და ერთი ხელი სადალაო – ესენი ღირებული ოცდაათ თუმნად, საარაყე ქვაბი თავისის ზალფუშით და მილით, რომელიც ბრეგვაძისაგან იყიდა ბაბუაჩემმა, ღირებული ექვსი თუმან ვეცხლისად, ორი რკინის დგემელი სტანბოლიდამ მოტანილი, თვითოეული ღირებული სამოც მანეთად ვეცხლისად; სტანბისათვის სახმარნი ორი მარმალილოს ქვა ლომებად გამოსახულნი თავისის მარმალილოს სვეტებით, ღირებულნი თუთხმეტ თუმან ვეცხლისად, ორასი იმპერარია, რომელიც ებარა ბაბუისა ჩემისა მათ მეუფებას იმერეთის მიტროპოლიტს და ბიძამან ჩემმან გამოართვა და მის შემდგომ მამა ცოცხალი აღარ უნახავს. ორი სახლი ერთი ქუთაისს ქალაქშიდ და მეორე რაჭის უეზდის დაბასა ონს. პირველი აქვნდა უეზდის სასწავლებელს, ხოლო მეორე უეზდის უპრავლენიას ნაქირავები და ბიძა ჩემი იღებდა ქირას შემდგომ ბაბუა ჩემის გარდაცვალებისა, თუ რაოდენად და რამდენს ხანს, ეს იცნობება რაჭის უეზდის უპრავლენიდამ და ქუთაისის უეზდის ყოფილის სასწავლებელიდამ. ორი დუქანი ქუთაისშიდ აქვნდა გაქირავებული ასეოდენს ხანსვე და მიიღო მათი ქირა ორმოცდაათი თუმანი, - წარგზავნილია ყოველს ზაფხულზედ ხან ათს და ხან ნაკლებს ურმებს ქირას თვეში ჩყმგ-ის [=1843] ჩყნ-ს [1850] წლადმდე და მოქონდათ ხან სამიცი და ოდესმე არა უნაკლულეს ორმეოცდაათის თუმნისა ვეცხლის ფულისა, ყიდდა ხარსა და კანებეს. მაგალითად ერთხელ გააყიდვინა გლეხს გრიგოლა მარგველაშვილს ქუთაისს ოცის თუმნის ხარი თუ კანბეჩი, ჩაურეკდა საერთო ხარსა, კანბეჩსა, თხასა და ცხვარსა ურიებს და აყიდვინებდა ერთის თუმნისას ორ თუმნად, რომელთა ფასი შესდგება ორმოც თუმნადმდე, მოატანინებდა ქართლიდამ მარილს და მათაც ჩაუყრიდა საერთო ურიებს და ახთვევინებდა ფასს, რომელიცა შესდგება ოცდა ათ თუმნად, იღებდა გასამჯერლოს გლეხს კაცებშიდ, რაიცა შესდგება ორმოც თუმნად, ოცს თუმანს ხორცის ფასს ჩყმგ-ის ჩყნ-ს წლადმდე იღებდა სახსერეს წელიწადში და ესოდენსავე ფულს რაჭას თაინსა და საურს და ხმარობდა საკუთრად, იღებდა გაოხოვების დროს ჩვენი გლეხიკაცის ქალებთა სახელწოდებით საჩუქრედ და საქვრიოდ ხუთიდამ ოც მანეთ ვეცხლის ფულადმდე, რაიცა შეადგენს ორმოც თუმანს. – ამასთანავე ბებიაჩემი ელისაბედ დადიანის ასული გარდაიცვალა ჩყნ-ის [=1850] წლის

აგვისტოს ორსა რიცხვსა, რომელსაც დაშთა ოთხი რახტი და ასალი ვეცხლისა, ამათგანი ერთი იმერეთის დედოფლის მარიამის ნაქონი, რომელიც წაალებინა აწინდელმა სამენგრელოს მთავარმა საყიდლად და ას თუმნად არ მისცა და შემდგომ უკანვე დაუბრუნა, – ოქროს სტაქანი, ორი პოდნოსი ვეცხლისა, ორი ჭიქის მარანი, ცხრა ვეცხლის ნალბაქი, თორმეტი ხელი ვეცხლის კოვზი, დანა და ჩანგალი თავისის სალფეთქებით, თორმეტი ჩაისა და თორმეტი მურაბისა ვეცხლის კოვზნი ოქროშიდ დაფერილნი, აზალფაშა ერთი ვეცხლისა, სამი სტაქანი ვეცხლისა ოქროშიდ დაფერილი; - ქალის სამკაულნი: გულის მანიაკი თავისის ქულუჩებით მარგალიტით გაწყობილი და მრთლად გულზედ ასაფარებელი მარგალიტით შეკერილი, ბახჩა ქინძისთავი თავისის მღილით, საყურეები მარგალიტისა, თავსაკრავი მარგალიტისა, ჯაჭვი მარგალიტისა, ოქროსა და ვეცხლის ბეჭდები და დაშლილი მარგალიტი, კრიანოსნები მარჯნისა და ქარვისანი, თუნგები, ტაშტები, რომელიმე ტანის საბანი და რომელნიმე წვრილნი ქვაბნი ოცდაათამდის, – გაუჭრელი ფარჩები ძველის დიბისა და სხვანი საქალო ტანისამოსნი, ქურქები ბეწვისა და ტანისამოსნი აბრეშუმეულნი, ლაჩაქები და ნაკერი თავსაფრები, ქირმანის და ვენგერიის შალები, ორხაოები, ხალიჩები, ქეჩები და ფარდაგები ორმოც ნაჭრამდე, ბალიშები, ლებები, მუთაქები და ბუნბულები, საბნები, რომელიმე ფარჩის და რომელიმე ჩითისანი, ქალის ხელსაქმის იარაღები, ძველი ფულები, ასამდის აბრეშუმის კარგი ხელსახოცები, სამოცი თავი შაქარი, ორი ზანდუკი თეთრი საპონი, ძველი სპილენძის თეფშები, ოცი დუჟინი თეფში, აგრეთვე სტაქნები, ღრაფინკები და ბოთლები, ასოცი კოდი პური, ერთი ბეღელი და ერთი სამზარეულო სახლი თვით ჩემგან ნასყიდნი, ესენი ყველანი ღირან ხუთი ათას მანეთად. ამათ გარდა დარჩა ოთხასი იმპერიალი ლიფში გამოკერული. – ამა ჩემისა საჩივრისა დასამტკიცებლად საეკკლესიო სამკაულთათვის ეკითხოს ჯრუჭის მონასტრის მღვდელმონაზონთ: იუსტინეს, ნეოფიტეს და დიაკონს ივანე აბაშიძეს, მღვდელთ გიორგი აბრამიშვილს, ბართლომე და მარკოზ იაყობიშვილთა, ანტონ ნადირაძეს და პეტრე ტყემალაძეს, აგრეთვე წიგნებთათვის და ყოველთა ზემორე აღნიშნულთა საგანთათვის სამენგრელოს მფლობელს დავით დადიანს და ძმასა მისსა გრიგოლს, სუფრის იარაღთათვის და ყოველთა ვეცხლოულებათა მნახველთა სახლსა შინა ბაბუისა ჩემისასა დავნიშნავ შემდგომთა პირთა: პოლკოვნიცა ქეთევან წერეთლისას, ასულსა მისსა კნეინა სალომე ანდრონიკოვისას, მაიორს სვიმონს, კაპიტანს გიორგის, პოდპორუჩიკს მიხაილს, პრაპორშჩიკთ: ასლან და ძმასა მისსა ნიკოლოზს, კოლლეჟსკის რეღისტრატორს როსტომს, პაპუნას, სვიმონს და გიგო როსტომის ძეთ თავადთ წერეთლებთ; – აზნაურთ: გლახუა გოდობრელიძეს, ზურაბ აბაშიძეს, ნიკოლოზ აბდუშელიშვილს, გიორგი მაჭავარიანს, კაცია მაჭავარიანს და კაცია გომართელს, გარსევან მაჭავარიანს და მამუკა კურცხალიას და ეგრეთვე ამ ზემოხსენებულთ პირთ უნახავსთ სახლსა შინა კედელზედ აკრული აღნიშნული ჩემ მიერ თოფნი, ხანჯალნი, დამბაჩები და რხმლები, გარდაცვალების ჟამს რომ ახალქალაქიდამ წამოიღო ბიძამან ჩემმან დანაშთი მამისა თვისისანი, ეკითხოს პაპის დასა ჩემსა კნეინა მაკრინა თარხანოვისასა და ძეთა მისთა ალექსანდრე და ილია თავადთ თარხანოვთ, აგრეთვე ეკითხოს თავადს ალექსანდრე თარხანოვს, ბაბუამან ჩემმან გამოართვა მას ოთხი პრტყელი ვეცხლის ძეწკვნი ანუ არა, ხოლო დიდის პრტყელის ქილებიანის ძეწკვთათვის ეკითხოს თავადთ ბებე და ბეკო აგიაშვილებთ; – ხარისა და კანბეჩის ქირისათვის ყმებთა ჩვენთა, რომელნიცა არიან სამფლობელონი, რომელნიმე ბიძისა ჩემისა და რომელნიმე ჩემნი: გრიგოლა მარგველაშვილს, დათუა აბრამიშვილს, გოგისა დარბაიძეს, პავლია და ბესო ასანიძეებთ, პეტრიკს და გლახუკ ცუხიშვილებთ და ქუთაისის მცხოვრების ივანე ჭარუაშვილის მოჯამაგირეთ: სესია მეგრელს და ბეჟანა – ხონელს ხოლო სპილენძის ჯრუჭიდამ წამოღებულის და სხვა სპილენძის ჭურჭლების და შესახებელ ქვეშაგებელთა, გოგია ძინძიბაძეს, ფირანია ინანეიშვილს, მამუკა დარბაიძეს და გიორგა ტყემალაძეს; – ვაჭრობა პირუტყვთა და მარილისა, ურიებთა ჩვენთა მცხოვრებთა დაბასა საჩხერეს. – ხოლო დანაშთენთათვის ბებიისა ჩემისათა – სიასა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც აჩვენა რახტების და სხვების რაოდენობის ბებიის ჩემის მიერ დაწერილ ბიბლიოთეკა ჩემმან მათს მეუფებას იმერეთის მიტროპოლიტს და ძმასა მისსა მაიორს კნიაზ სვიმონ წერეთელს. ამისთანავე წარმოვადგენ თვით ბებიის ჩემის ხელით დაწერილს და აგრეთვე რახტისა და ასლის ვაჭრობაზედ, ოდესაც ყიდდა ბიძაჩემი, სამენგრელოს მფლობელს დავით დადიანს, სტეფანე აკოფოვს და მელქონ სოღოროფს. და დანაშთენთა რაოდენობათათვის ბებიისა ჩემისათა, ვინათგან გარდაცვალების ჟამს დაესწრენ, კნეინა ქეთევან წერეთლისას და ასულსა მისსა კნეინა სალომე ანდრონიკოვისასსა, პოლკოვნიკს კნიაზს იესე ანდრონიკოფს, გედევან ანანიევს და მოსამსახურთა ბებიისა ჩემისა: დედოფლისსეულს და გმირფალვანდისსეულს და გლეხთა: ბასილა მდვალს და სოსიკა იაკობაშვილს, აგრეთვე კოლექსკის სეკრეტარს გრიგოლ სვიმონის ძეს წულუკიძეს და ღუბერნსკის სეკრეტარს კნიაზ ნიკოლოზ ლორთქიფანიძეს, რომელთაც უნახავსთ ნივთის რაოდენობაჲ ბებიისა ჩემისა. ამათ გარდა ეკითხოსთ ღენერალი: გიორგი ერისთავს, ნიკოლოზ ფალავანდოვს, გრიგოლ და ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკის, კოლლეჭსკის სოვეტნიკთ: დიმიტრი ყიფიანს და ლევან ქორქიევს, ნადვორნის სოვეტნიკს იაკინთე ალექსიევს, კაპიტანს სვიმონს და პრაპორშიკს პაატას თავადთ წულუკიძეთა, რომელ გაუგონიათ მათ თუ არა: ბაბუა ჩემი პოლკოვნიკი გრიგოლ წერეთელი იყო მდიდარი ანუ არა და უკეთუ არა იყო პირველი საქართველოსა შინა, არა ვისამეზედა უდარესი.

ყოველი ესე ზემოხსენებულნი ნივთნი და აგრეთვე ქვემორე აღწერილნი ბებიის ჩემის გლეხები მიითვისა ბიძამან ჩემმან, არა მხსოვნელმა მისმან, რომელ მე ვყავდი მას მკვიდრი ძმის წული და მემკვიდრეობასა შინა მონაწილე, და განსალტოველად ყოველისა იჭვისა უნდა დაესწრო სულით და ხორცით ჩვენი მფარველი და პატრონი მიტროპოლიტი დავით ჟამსა განხილვისა ბაბუისა და ბებიისა ჩემისა საცხოვრებელისა. ვინ არა უწყისა რომელ მამაკლო ამით ყოველსა დანაშთენსა მათსა, რაისათვის ყოველად უმორჩილესად ვსთხოვ ღუბერნიის სუდს შემდგომ სიმართლის აღსხნისა მომეცეს მე ყოველთა ამა საცხოვრებელთაგან ნახევარი ნაწილი. ბებიის ჩემის ყმები არიან შემდგომნი: ა) შამოელ თეთრუაშვილი ცოლ-შვილით და ძმისწულით ისაკითი, ოთხი სული მამრისა და სამი მდედრისა; ბ) გაბრიელ თეთრუაშვილი ძმით, ორი მამრისა და ორი მდედრისა; - გ) აბრამა თეთრუაშვილი ექვსი მამრისა და სამი მდედრისა; - დ) იოსება თეთრუაშვილი. ექვსი მამრისა და სამი მდედრისა სამოსახლო ადგილებით და დუქნებით; ე) გარდაშენებულის ურიის სახლი, სამოსახლო და მიწა ადგილი, ესენი ყველანი მცხოვრებნი დაბასა საჩხერეს; ამ ზემოხსენებულთ ურიებთაგან შამოდის წლით წლად ას-ასი მანეთი ვეცხლისა საჩხერის უჩასტკი[ს] (ქალალი ამოგლეჯილია) სოფელსა ჩიხაში ვ) ... ხუთი მამრის და სამი მდედრის; - ზ) პაპუნა იაკობიშვილი, ოთხი მამრის და ორი მდედრის; - ჱ) სვიმონა იაკობიშვილი, ოთხი მამრის და ერთი მდედრის; თ) ბასილა იაკობიშვილი მცხოვრები სოფელსა სავანეს, ხუთი მამრისა და სამი მდედრის და ი) მცხოვრები სოფელსა მუხურას კუტივაძე, ორი მდედრის სქესით და მამულით; ამათგან შემოდის წლითი წლად ხუთი თუმანი ვეცხლისა; - სამი მოახლე: დედოფლისსეული, გმირფალვანდისეული და მთავრისსეული; – ეს ზემოაღწერილი ნივთები, წიგნები და ყმები ყოველივე იმას გარდა არის, რაც გასაყოფლათ შემოვიდა და გავყავით.

ნანდვილისა თანა სწორ არს კნიაზი ნესტორ წერეთელი
ნამდვილისა თანა სწორი არის (გაურკვეველია ხელმოწერა).
ჩუნგა-ს წელსა მაისის კჱ-სა დღესა [=1853 წლის 25 მაისი]

ზოგი რამ „თხოვნაში“ მოხსენიებულ წერეთელთა შესახებ.

„თხოვნის“ ავტორი ნესტორი საჩხერელი თავადის გრიგოლ წერეთლის შვილიშვილია, ხოლო ალექსანდრე – გრიგოლის ვაჟი. გრიგოლ წერეთელი (1787-1843) იმერეთის

სახლთუხუცესის ზურაბ ქაიხოსროს ძე წერეთლის ძეა[2], თავისი დროისათვის ფრიად განათლებული პიროვნება, ამასთან დიდი მწიგნობარიც[3]. „იყო ფრიად მეცნიერ და ყოვლითურთ სიკეთითა განშვენებულ, ჭაბუკ, ახოან გუამითა, ხოლო აბრამიან ქცევითა, რომლისა სახსენებელი იყავნ საუკუნოდ," - აღნიშნავს მისი თანამედროვე, „ბარამ-გულანდაძიანის" (H-926) გადამწერი. წიგნის ყადრის მცოდნეს ბიბლიოთეკაც გვარიანი ჰქონდა. აქ იყო თავმოყრილი ნაბეჭდი წიგნებიც და ხელნაწერებიც, რომლებიც ზოგი უშუალოდ გრიგოლის მიერაა გადაწერილი, ან – მისი დაკვეთით, ან თარგმნილია ქართულად. მოგვიანებით, 1884 წელს გრიგოლის ბიბლიოთეკის ნაწილი გადაეცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. დღეს ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულია გრიგოლ წერეთლის ნაქონი მრავალი ხელნაწერი. ხელნაწერებს და ნაბეჭდ წიგნებს ზოგს თვითონ იძენდა, ზოგსაც ჩუქნიდნენ[4]. მაგალითად, ანტონ I-ის მარტირიკა 1768 წლის (S-1272), მინაწერი 11 ν-ზე გვამცნობს: „ჩემ [=1840] წელსა იანვრის კ-ს [=20-ს] ეს წმინდა მარტირიკა ებოძა ჩემთვის დავით ლეონის ძე დადიანს სახსოვრად მისსა თავადი გრიგოლ წერეთელი, რომელი ვიყავ დედით ბიძა მისი". ან ცხოვრება ესთატესი (H-1385), მინაწერი 37 ν–ზე: „ჩემი საყვარელო ძმაო, წერეთლის ძეო გრიგოლ! ეს ესთატეს წიგნი შენთვის მომირთმევია. ოკდომბრის ით [=19], წელსა ჩყე [=1805]. ვიცი სწყალობ სიბრძნესა. შენი და ქეთეონ". როგორც ნესტორ წერეთელი შენიშნავს „თხოვნაში", „სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი რაოდენსაც წიგნს რუსულიდან ათარგმნინებდა, გადაათეთრებინებდა ქართულად და შავს უგზავნიდა ბაბუასა ჩემსა"[5]. დავით დადიანის მიმართ გრიგოლს ასეთი ჩანიშნა აქვს გაკეთებული: „ჩყლ© [=1838] წელსა, სექდებრის კ-სა [=30-ს], მაჩუქა ჩემმა დისწულმა დავით დადიანმა მე, მისს ბიძას, გრიგოლ წერეთელს, ეს ღეროდტეს ისტორია. უმეტეს მით, რომელ ჩემი ისტორიის წიგნები აქვს ძვირფასი თვრამეტი და ამით სურს ნათხოვარი ჩემგან საკუთრება ჩემი მიმიღოს და აღარ მომებრუნოს! ჰოი, უაღეირო წყურვა ჰანგაართა მდიდართა"[6].

საინტერესოა, რომ გრიგოლს ერთ-ერთი ხელნაწერის მხატვრობაც უცდია: „ … თელემაკოსი ქართულად, თვით ბაბუაჩემის მიერ აღწერილი შიდ მხატრობით", - აღნიშნავს ნესტორ წერეთელი[7].

გრიგოლ წერეთელს ცოლად ჰყავდა მანუჩარ II დადიანის ქალი ელისაბედი, რომელიც იყო სოლომონ II-ის თანამეცხედრის, მარიამ დედოფლის ძმისწული[8]. ჰყავდა ვაჟები: ალექსანდრე, სამსონი, დიმიტრი, იოსები, და ასული რუსუდანი.

გრიგოლ წერეთლის ვაჟთაგან უმცროსი, სამსონი, 17 წლისა დაიღუპა ქობულეთთან ბრძოლაში 1829 წლის მარტში[9]. რაც შეეხება იოსებს, იგი დიმიტრისთან ერთად სწავლობდა პაჟთა კორპუსში. შემდეგ მსახურობდა კავკასიის კორპუსის მთავარსარდალთან, ბარონ როზენთან. იოსების დასახასიათებლად საინტერესო ჩანს ნაწყვეტი ანნისხატის დეკანოზის დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის წერილიდან გრიგოლ წერეთლისადმი: … „საყვარლისა შვილისა თქვენისა მოგვეწერათ იოსებისა, მივწერო არხიმანდრიტს ნიკიფორეს და სხვათა,

---

[2] ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ზურაბისა და გრიგოლის კრიპტოგრაფიული წერილები (Sd-1342), რომლებიც შეიცავენ სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის საიდუმლო ცნობებს იმერეთის 1810 წლის აჯანყების შესახებ. იხ. გ.მაჭაძე, ზურაბ და გრიგოლ წერეთლების კრიპტოგრაფიული წერილები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1960, გვ. 251-254.

[3] იხ. მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, 1983, გვ. 241-242.

[4] გრიგოლის ბიბლიოთეკასთან დაკავშირებული ეს ფაქტები აღნიშნულია მბერძნიშვილის ზემოდასახელებულ ნაშრომში.

[5] წერეთლების არქივი, ნესტორ წერეთლის ფონდი, №233, Iv.

[6] იხ. S–309, პეროდტეს ისტორია, მინაწერი 152 გვ-ზე.

[7] ნესტორ წერეთლის ფონდი, იქვე.

[8] ო.სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), II, 1981, გვ. 145-146.

[9] დიმიტრი წერეთლის ფონდი, №7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იცნობდენ. მე დიდის კმაყოფილებით აღვასრულებ თქვენს ბრძანებას. ეროვნული ნიკიფორეს მივსწერ, ... არავის არ დავაგდებ .... თქვენს შვილს ვინ არ პატივს სცემს, ვინ არ მიეგებება სიხარულით და ვინ არ მიიღებს. უმეტესად ამით, რომ დიდად საყურადღებო და თქვენი საკადრისი შვილი არის. ... ყოველი სული ტფილისში ამას შეეტრფის და შეხარის"[10]. იოსები გარდაცვლილი ჩანს 1858 წლამდე[11].

გრიგოლის უფროსი ვაჟი დიმიტრი 12 წლის ასაკიდან თავის ძმასთან იოსებთან ერთად სწავლობდა რუსეთში პაჟთა კორპუსში[12]. სრულიად ახალგაზრდა, 22 წლის დიმიტრი, სულ რაღაც ერთი წლის დაბრუნებული რუსეთიდან, მოკლეს 1829 წლის 19 აგვისტოს ვაკის მაზრის სოფ. ოფშიკვეთში, ღამით, სახლში, მძინარე[13]. შვილის მკვლელობით გამწარებული გრიგოლ თხოვნას თხოვნაზე წერს სხვადასხვა ზემდგომ პირებთან, რათა გამოაშკარავებულ იქნან მკვლელები და სათანადოდ დასჯილნი. მკვლელებად გრიგოლი ასახელებს თავად თეიმურაზ ნიჟარაძეს და მის ნათესავებს[14], ხოლო მიზეზად მკვლელობისა მიიჩნევს „სიკუდილშემოსილსა შურსა მათსა გლეხებისა და მამულისათვის"[15]. როგორც გრიგოლი ახასიათებს თავის შვილს თბილისის სამხედრო გუბერნატორ სტრეკალოვისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ თხოვნა-განმარტებით ბარათში, დიმიტრი „იყო უცხო აზიურის ზნისა და აქაურის მიუწოომელის სიკუდილშემოსილის მტრობისა"[16].

რაც შეეხება ალექსანდრე წერეთელს, იგიც ისევე, როგორც მე-19 საუკუნის ქართველ თავად-აზნაურთა წრიდან გამოსულ პირთა უმეტესობა, სამხედრო სამსახურში იღგა. 1849 წლისათვის იგი ლეიბ-გვარდიის კაზაკთა პოლკის კორნეტია. 1857 წელს ალექსანდრე – შორაპნის რაზმის ყოფილი უფროსი, კაზაკთა ლეიბ-გვარდიის პოლკის რტმისტრი – დაჯილდოვდა წმ. სტანისლავის ორდენით თურქეთთან ომში გამოჩენილი მამაცობისათვის[17].

1836 წელს ალექსანდრე წერეთელმა იქორწინა ერისთავის ასულ (იკორთელი ერისთავების შტო) ეკატერინეზე[18]. მაგრამ მათი ქორწინება უიღბლო აღმოჩნდა: ეკატერინემ არ მოისურვა საჩხერეში საცხოვრებლად გადასვლა. რამდენიმეგზის დიდი ხვეწნა-მუდარის, შეთვლა-შემოთვლის შემდეგ, როგორც იქნა, 1845 წელს ალექსანდრემ დაითანხმა ეკატერინე იმერეთს ჩასვლაზე. მაგრამ ეკატერინემ გაძლო ამჯერად ქმართან მხოლოდ ნახევარ წელს: იგი ჩიოდა, რომ ალექსანდრე მის მიმართ სასტიკი და ულმობელი იყო. ალექსანდრე კი ბრალდებებს უარყოფდა. ეკატერინე წერდა ქმარზე საჩივრებს სხვადასხვა ოფიციალური პირების სახელზე[19].

ალექსანდრემ მეორედ იქორწინა ნატალია ალმასხანის ასულ ნიჟარაძეზე[20].

ალექსანდრე წერეთელი გარდაიცვალა 1873 წელს პოლკოვნიკის ჩინით. მას მემკვიდრე არ ჰყოლია, აღესრულა უძეოდ. საგულისხმოა, რომ რაფიელ ერისთავი, რომელიც პირადად იცნობდა ალექსანდრეს, ახასიათებს მას მეტად უარყოფითად: „ალექსანდრე სიძუნწის განსახიერებაა სხვა უამრავ ცუდ თვისებასთან ერთად", - აღნიშნავს იგი და განაგრძობს: „იგი მალავს და ინახავს ყველაფერს, როგორც გოგოლის ჟუნჟი მემამულე და სხვისთვის ერთ დამპალ კრინდელსაც არ გაიმეტებს"[21]. სხვათაშორის, ალექსანდრეს სახელთან არის

---

[10] იქვე, №14. წერილის თარიღია 1830 წლის 10 მარტი.
[11] იხ. რაფიელ ერისთავის წერილი აბერგესადმი, ეგვენი ვეიდენბაუმის ფონდი, №1721. მაქსიმე ბერძნიშვილი გრიგოლის ვაჟების შორის არ ასახელებს იოსებს. მის თანახმად, გრიგოლს სამი ვაჟი ჰყავდა. იხ. მ.ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრ., II, 1983, გვ. 241. ასევე არ მოიხსენიებს იოსებს გრიგოლის ძეთა შორის ო.სოსელია, იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 145-146.
[12] დიმიტრი წერეთლის ფონდი, №7.
[13] იქვე; ხელნაწერი Q–766.
[14] დიმიტრი წერეთლის ფონდი, №9.
[15] იქვე, №7.
[16] იქვე.
[17] ალექსანდრე წერეთლის ფონდი, №4.
[18] იქვე, №7.
[19] იქვე.
[20] იქვე, №45, ფ.16. ალმასხან ნიჟარაძე საბუთებში იხსენიება კოლეგიის ასესორად.
[21] ეგვენი ვეიდენბაუმის ფონდი, №1721, რაფიელ ერისთავის წერილი ადოლფ ბერძენესადმი (რუსულ ენაზე).

დაკავშირებული ა.გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“-ის ავტოგრაფული ნუსხის ბედიც. როგორც რაფიელ ერისთავი შენიშნავს, ალექსანდრე იყო მფლობელი „ვაი ჭკუისაგან“-ის ავტოგრაფისა. საქმე ისაა, რომ ალექსანდრეს ერთ-ერთი ძმა იოსები (იმჟამად გარდაცვლილი) მეგობრობდა ა.გრიბოედოვთან. ან იოსებმა თვითონ გამოსთხოვა გრიბოედოვს თხზულების ხელნაწერი, ან გრიბოედოვმა თავად მისცა (ან აწუქა, ნ.ჯ.) თავისი ხელნაწერის დედანი მას. ჩანს, ხელნაწერი ამ გზით ჩაუვარდა ხელთ ალექსანდრეს. როდესაც ნინო ჭავჭავაძეს დასჭირდა თხზულების გადაწერა დედნისეული ნუსხიდან და სთხოვა ალექსანდრეს, ხელნაწერი მათხოვეო, ალექსანდრემ მტკიცე უარი უთხრა, მე აღარა მაქვს ხელნაწერი, დავკარგეო, რაშიც ეჭვი ეპარებოდათ რაფიელ ერისთავსაც და ნინო ჭავჭავაძესაც[22].

გენერალ-ლეიტენანტი ნესტორ წერეთელი, გრიგოლის ვაჟის დიმიტრის ძე, დაიბადა 1830 წელს[23]. დედა ნესტორისა მაკრინე, ქაიხოსრო ნიჟარაძის ასული, გათხოვდა დიმიტრიზე 1828 წელს. გარდაიცვალა 1839 წელს. დარჩა ერთადერთი ვაჟი ნესტორი[24].

1850 წელს ოცი წლის ნესტორ წერეთელი დანიშნეს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის სამსახურში განსაკუთრებულ დავალებათა უმცროს ჩინოვნიკად. იმავე წელს დაინიშნა იმერეთის მილიციის უფროსის, სიმონ წულუკიძის ადიუტანტად. ოსეთის დაშოშინებაში მონაწილეობისათვის გადაიყვანეს იუნკრად. 1852 წელს იბრძოდა ტურჩადღის მაღლობებზე ლეკების წინააღმდეგ გრიგოლ ორბელიანის რაზმში. შემდეგ გახდა განსაკუთრებულ დავალებათა უფროსი ჩინოვნიკი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთან. 1853 წლიდან ნესტორი გურიის რაზმშია და მონაწილეობს შეტევით ბრძოლებში თურქებთან რედუტკალესა და მდ. ჩოლოქზე. 1854 წლიდან დაინიშნა რაჭის ცხენოსანთა რაზმის უფროსად. 1855 წელს სამეგრელოშია და კვლავ მონაწილეობს თურქებთან ბრძოლებში[25]. 1864 წლიდან იგი რუსეთის იმპერატორის ადიუტანტია[26]. 1876 წელს ნესტორი არჩეული იქნა იმერეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლად[27].

ნესტორ წერეთელი გარდაიცვალა 1883 წლის 10 ნოემბერს[28]. მასაც ალექსანდრეს მსგავსად მემკვიდრე არ ჰყოლია.

ნესტორ წერეთელს ცოლად ჰყავდა პელაგია, ქაიხოსრო გურიელის ასული. ქაიხოსროს ქერიმა ელისაბედმა რუსეთის მთავრობის მიმართ ერთგულება გამოიჩინა, რის საფასურადაც მის შვილს პელაგიას 1842 წელს უბოძეს ფრეილინობა[29]. პელაგია წერეთლისა გარდაიცვალა 1883 წლის 20 დეკემბერს[30]. უნდა აღინიშნოს, რომ პელაგია იყო მფლობელი „ეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნუსხისა, რომელსაც მეტად საინტერესო თავგადასავალი აქვს[31]: იმერეთის მეფეს სოლომონ მეორეს მიართვეს მაღალმხატვრულად გაფორმებული „ეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი. მეფის გარდაცვალების შემდეგ ხელნაწერი ერეო მის ასულს დარეჯან ბარონიშვილს, რომლის ვაჟი ივანე აბაშიძე 1819-20 წლის იმერეთის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური იყო.

1820 წელს იმერეთის მმართველმა პუზირევსკიმ ქუთაისში შეიპყრო ზოგიერთი აჯანყებული. ივანე აბაშიძემ თავს გაქცევით უშველა და თავი შეაფარა სოფელ შემოქმედში ქაიხოსრო გურიელის ოჯახს. ივანე აბაშიძემ იცოდა, რომ იმერეთში მის ოჯახს დაარბევდნენ. ამიტომ, რაც რამ ძვირფასი ჰქონდა, ყველაფერი თან წაიღო შემოქმედში, მათ შორის პაპამისის ნაქონი „ეფხისტყაოსანი“. აჯანყების დამარცხების შემდეგ ქაიხოსრო

---

[22] იქვე.
[23] ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, Q-766, მინაწერი 4, 1r.
[24] ნესტორ წერეთლის ფონდი, №225.
[25] ნესტორ წერეთლის ფონდი, №5.
[26] იქვე, №11.
[27] იქვე, №17.
[28] ხელნაწერი S–5008, მინაწერი №6.
[29] Акты, т. XI, გვ. 692; მაქსიმე ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრ., ტ.I, 1980, გვ. 201.
[30] ხელნაწერი S–5008, მინაწერი №6.

გურიელიც და ივანე აბაშიძეც ოსმალეთს გადაიხვეწნენ. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი დარჩა ქაიხოსროს ოჯახში. ასე და ამგვარად მოხვდა პეტაგაის მზითევში „ვეფხისტყაოსნის“ ეს ნუსხა[32]. 1880 წელს პეტაგია წერეთლისამ ხელნაწერი სამუშაოდ დროებით ათხოვა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიას, რომელმაც იგი დაუბრუნა მფლობელს 1882 წელს. ხელნაწერის ბედი შემდგომში უკავშირდება ექვთიმე თაყაიშვილის, დავით სარაჯიშვილის და სხვათა სახელებს[33].

მცირე ექსკურსი: წერეთლებს დიდი ღვაწლი მიუძღოდათ იმერეთის მეფეების – სოლომონ პირველისა და სოლომონ II-ის წინაშე. ისინი კი თავის მხრივ ღვაწლს უფასებდნენ იმით, რომ უბოძებდნენ მათ ყმა-მამულს და დიდ თანამდებობებზეც ნიშნავდნენ[34]. წერეთელთაგან ერთ-ერთი გავლენიანი პირი დასავლეთ საქართველოში სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი იყო[35], გრიგოლის მამა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რომელიც გამორჩეული იყო თავისი აურაცხელი სიმდიდრით. დიდძალ შემოსავალს იღებდა ყმა-მამულისაგან და ყმა-ვაჭრებისაგან[36]. შემოსული თანხით იგი ყმა-მამულს იძენდა და მევახშეობასაც ეწეოდა[37]. ქუთაისში დუქნებიც ჰქონდა. შემოსავალს იღებდა ქუთაისის სტამბიდანაც[38]. რადგანაც ფლობდა თურქულ და რუსულ ენებს, ამიტომ მეფის კარზე თარჯიმან-კომენტატორის საქმიანობასაც ეწეოდა[39]. 1804 წელს ზურაბ წერეთლის მცდელობით იმერეთი შეუერთდა რუსეთს, რის გამოც იმპერატორმა დაასაჩუქრა იგი ბრილიანტებით შემკული ოქროს სათუთნით[40].

როგორც ო. სოსელია შენიშნავს, გამდიდრებისთვის ბრძოლაში მამას არ ჩამოუვარდებოდა გრიგოლი[41]. გამდიდრების მიზნით მან თავისი ვაჟი დიმიტრი ჩაასიძა თავად მერაბ ნიჟარაძეს, რომელმაც ყმა-მამული და მთელი ქონება მას უანდერძა. გრიგოლი ჩართული იყო აგრეთვე ვაჭრობა-მევახშეობაში. აკი ნესტორიც ამბობს, რომ „ბაბუაჩემი პოლკოვნიკი გრიგოლ წერეთელი ... უკეთუ არა იყო პირველი საქართველოსა შინა, არა ვისამეჩნდა უდარესი“[42].

„თხოვნაში“ მოხსენიებული მიტროპოლიტი დავითი გრიგოლ წერეთლის ერთ-ერთი ძმაა, შემდგომში იმერეთის ეპარქიის მმართველი, რომელიც საკმაშენებლო და სამეურნეო მოღვაწეობას ეწეოდა თავის საგვარეულო ჯრუჭის მონასტერში. მან მთელი თავისი ქონება ჯრუჭის მონასტერს უანდერძა[43].

დაბოლოს, ზემომოყვანილი „თხოვნა“ მთლიანად დასტურია წერეთლების გრიგოლისეული შტოს შთამომავლობით დაგროვებული სიმდიდრისა და შეძლებული ცხოვრებისა. ამასთანავე ყველაზე ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ წერეთელთა საგვარეულოს წარმომადგენლები ღრმა დაინტერესებას ავლენენ მათი თანამადროვე ლიტერატურულ – კულტურული ღირებულებებისადმი, რაც აშკარად მიუთითებს მათ სულიერ ინტელექტუალურ დონეზე.

---

[31] „ვეფხისტყაოსნის“ ამ ნუსხის ისტორიას ვრცლად და ძალზე საინტერესოდ მოგვითხრობს ზურაბ ჭუმბურიძე წიგნში „ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ“, 1983, გვ. 269-178.

[32] დღეს ეს ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში შიფრით S–5006.

[33] დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ზ.ჭუმბურიძის ზემოდასახელებულ წიგნში.

[34] ო. სოსელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 111.

[35] იქვე. გვ. 115.

[36] იქვე.

[37] იქვე. გვ. 116.

[38] იქვე. გვ. 118.

[39] იქვე. გვ. 119.

[40] იქვე. გვ. 123.

[41] ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 129.

[42] იხ. ნესტორ წერეთლის „თხოვნა“.

[43] ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 144-145.

Н. Г. КАНЧАВЕЛИ

# ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНСКЩЙ ОБЩЕСТВЕННЩЙ ЖИЗНИ (АРХИВНЫЙ МАТЕРИАЛ ОТНОСИТЕЛЬНО РАЗНОГЛАСИЙ И СПОР МЕЖДУ ЧЛЕНАМИ СЕМЬИ ЦЕРЕТЕЛИ)

РЕЗЮМЕ

Публикуется прошение князя Церетели Нестора Дмитриевича, хранящееся в фонде Института рукописей им. К. С. Кекелидзе, адресованное суду Кутаисской губернии. Предметом спора является наследственное имущество, которым незаконно овладел дядя Нестора церетели кн. Александр.

Прошение отражает картину быта семьи князя Григория Зурабовича Церетели. Особенно примечательна глубокая заинтересованность членами его семьи современными им литературно-культурными ценностями, указывающими на их образованность и духовно-интеллектуальные интересы.

ელენე მაჯავარიანი

# დედნისა და ასლის ურთიერთობის საკითხისათვის ზოგიერთი ქართული ხელნაწერის მოხატულობის შედარებითი ანალიზის საშუალებით

შუასაუკუნეების სამწერლობო კერებში შექმნილი ქართული მოხატული ხელნაწერები მდიდარ მასალას გვაძლევენ ხელით გადაწერილი წიგნის შექმნის პროცესების, წიგნის შემქმნელ ოსტატთა შრომის ორგანიზაციის, მხატვრებსა თუ მხატვარსა და გადამწერს შორის შრომის განაწილების შესასწავლად.

XII-XIII საუკუნეები ქართული წიგნის ხელოვნების ისტორიაში მეტად საინტერესო პერიოდია. ამ დროიდან შემოგვრჩა მდიდრულად მოხატული და დასურათებული ხელნაწერები. საქართველოს პოლიტიკურმა და ეკონომიურმა სიძლიერემ განაპირობა ხელოვნების დარგების განვითარება, კერძოდ წიგნის მხატვრული გაფორმების მაღალი დონე, თუმცა, თავის მხრივ, ქართული წიგნის ხელოვნება ძლიერი ტრადიციების მატარებელი იყო. ჯერ კიდევ ადრეულ შუასაუკუნეებში ელინისტურ სამყაროსთან, ხოლო შემდგომ XI საუკუნიდან მოყოლებული ბიზანტიურ სამყაროსთან ურთიერთობამ საქართველო კულტურულად მაღალგანვითარებული ქვეყნების არეალში მოაქცია.

საზღვარგარეთის მხატვრულ კერებში მომუშავე ქართველ ოსტატებს ბერძენ ოსტატებთან უხდებოდათ თანამშრომლობა. ქართველები შესანიშნავად ფლობდნენ ბერძნულ ენას, ბევრი წიგნი ითარგმნებოდა ბერძნულიდან და არ არის გამორიცხული, რომ ორიგინალში არსებული მხატვრობის ნიმუშები სახელმძღვანელოდ იყო გამოყენებული. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ოსტატები ყოველთვის ინდივიდუალურ შემოქმედებით ხასიათს ამჟღავნებდნენ. მათ გადაამუშავეს და ეროვნულ თავისებურებებს შეუყარდეს ბიზანტიური წიგნის ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი თავისებურება (მაგ. საფურწერო ტექნიკა, ორნამენტული დეტალები და სხვ.)

უნდა აღინიშნოს, რომ ხელოვნების დარგებს შორის ხელნაწერი წიგნის შემკულობა ყველაზე მეტად ექვემდებარება გარეშე მხატვრული სამყაროს ზეგავლენას. ხელნაწერი ადვილად შეიძლება გადატანილ იქნეს სხვა მხატვრულ გარემოში და ამდენად გამოყენებულ იქნეს სახელმძღვანელო ორიგინალად. მხატვარ-ოსტატებს შეეძლოთ ესარგებლათ ან იმავე პერიოდის ხელნაწერთა მოხატულობით, ან უფრო ადრეული ხანის ორიგინალით. ყოველივე ამის გამო შუასაუკუნეების მხატვრულ კერებში შექმნილი ქართული ხელნაწერების შესწავლის დროს მთელი ძალით წარმოჩინდება დედანსა და ასლს შორის ურთიერთობის საკითხის კვლევის აუცილებლობა.

სამწუხაროდ, დღევანდელობას არ შემორჩა მითითებანი მხატვართათვის, არც რაიმე სამხატვრო სახელმძღვანელო ორნამენტული ჩანახატებით ან იკონოგრაფიული სქემებით. არც ცნობები მოგვეპოვება ანდერძ-მინაწერებში იმის შესახებ, რომ მხატვარი რაიმე გარკვეული ნიმუშით სარგებლობს. ის მითითებანი კი, რაც ჩვენთვის ცნობილია, შუქს ვერ მოფენს კონკრეტულად რომელიმე ხელნაწერის საფუძველზე ასლისა და დედნის ურთიერთობის საკითხს. ისინი უფრო შრომის განაწილების საქმეს ეხებიან. X ს. ერთ-ერთ ხელნაწერში (იხ.სვანური მრავალთავი, A-19) დაცულია მითითება „ტაძრის მწერალთათვის“ ანუ მომხატველთათვის იმის შესახებ, რომ მათ ხატვის დროს რეალური ადამიანების სახეები უნდა გამოხატონ: „ჰბაძეთ სიჭელოვნითა ხატსა სულიერთასა“ – ვკითხულობთ იოანე ოქროპირის ტექსტში[1]. გვაქვს მითითებანი გადამწერისა მხატვრისადმი. მაგ. შემოქმედის გულანში (Q-103) მოსახატავად განკუთვნილ, თავისუფლად დატოვებულ ადგილებში მიწერილია, თუ რა უნდა შეასრულოს მომხატველმა. XI ს. ხელნაწერში (იხ.გრიგოლ

ღვთისმეტყველის თხზულება, A-92) ერთ-ერთი გადამწერი, ზაქარია, მხატვარს თავების დასაწყისში დატოვებულ ადგილებზე მიუთითებს: „თავები დამიტოებია, ოქროთა [illegible]“ (189v). ლეილ-მაჯნუნიანის (H-397) ანდერძში გადამწერი და მომხატველი დავით თუმანიშვილი აღნიშნავს: „მხოლოდ ეს შევმატე წიგნსა ამას, რომ სახენი და მოქმედებანი ლეილ-მაჯნუნისანი გამოვხატე“ (57v). ცნობილია ერთადერთი სამხატვრო სახელმძღვანელო, რომელიც განკუთვნილია მხატვართათვის მხოლოდ ანატომიის შესასწავლად. ეს არის იოანე ბატონიშვილის მიერ ნათარგმნი დანიელ პრეისლერის (ხელნაწერის სახით შემონახული) წიგნი: „საფუძვლიანი კანონი ანუ მოკლე ხელმძღვანელობა მხაზველობითისა ხელოვნებისადმი“, რომელსაც ხატვის ძირითადი წესების საილუსტრაციოდ დართული აქვს ლითოგრაფიულად შესრულებული ტაბულები (H 2375).

ცნობილია, რომ გადამწერი მუშაობის პროცესში ყოველთვის დედანს იყენებდა, რის შესახებაც ხშირად მიუთითებდა ანდერძში. ამას ვიზუალურად ამტკიცებენ მახარებელთა მინიატურები. მახარებელს, რომელიც გადამწერის როლშია გამოხატული, სამუშაო მერხზე გრაგნილი აქვს გადაფენილი ან წიგნი აქვს გადაშლილი, საიდანაც იწერს. გადამწერი ყოველთვის ეძიებდა „მართალ“, „ჭეშმარიტ“ დედანს. მის მოსაძიებლად მიმართავდა „დიდ საცავს“, მიემგზავრებოდა ათონის მთაზე. როგორც ცნობილია, დროთა განმავლობაში ოთხთავის ტექსტი იცვლებოდა და ამიტომ გადაწერის პროცესში გიორგი მთაწმიდელმა იგი შეაჯერა ბერძნულ დედანს. გიორგის ანდერძი, სადაც თხოვნაა ოსტატთათვის, რომ არ შეცვალონ ტექსტი, XI საუკუნიდან ბევრ ქართულ ოთხთავს დაერთვის (იხ.გელათის ოთხთავი, ვანის ოთხთავი და სხვ.)

ზემოთქმულის გათვალისწინების საფუძველზე მხატვრული დედნის გამოსავლენად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორნამენტული დეკორისა თუ მხატვრობის შედარებით ანალიზს სათანადოდ შერჩეული ძეგლების მიხედვით.

შუასაუკუნეების ოთხთავის ხელნაწერები – ერთ წიგნად შეკრული მათე, მარკოზ, ლუკა და იოანეს სახარებანი დასურათებულია ქრისტეს ცხოვრების ამსახველი სიუჟეტებით. ჩვენამდე მოღწეული მოხატული ხელნაწერები უმთავრესად ოთხთავის ტექსტებს შეიცავენ. ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში ტაო-კლარჯეთის მხატვრულ სკოლაში შეიქმნა მხატვრულად გაფორმებული ოთხთავები. XI-XII სს. ბიზანტიურ არეალში მოქცეულმა წიგნის ხელოვნებამ ხალხური შემოქმედების პარალელურად შეიმუშავა, განავითარა და მრავალი საუკუნის მანძილზე შეინარჩუნა საფერწერო ტექნიკის პროფესიონალიზმი და იკონოგრაფიული თავისებურებანი. წმინდანთა, მახარებელთა თუ ცალკეული სიუჟეტებისათვის განკუთვნილი მსგავსი იკონოგრაფიული სქემების არსებობა, ქართულ და ბერძნულ ხელნაწერთა სასურათო სისტემების მსგავსება (სიუჟეტების შერჩევისა და განაწილების თვალსაზრისით) შუასაუკუნეების მხატვრობაში დადგენილი ნორმების ასახვად უნდა მივიჩნიოთ. როცა გელათის ოთხთავში სხვადასხვა სახარებაში განმეორებულია ეს მაგ. ეშმაკეულის განკურნების სცენაში სნეულის იკონოგრაფიული ტიპი: წელს ზემოთ შიშველი ფიგურა დახრილი თავით და როცა სოლისებრი ფორმის თმებით, გარკვეული სახელმძღვანელოს არსებობაზე მიგვითითებს.

დედნისა და ასლის ურთიერთობის ნათელსაყოფად აღსანიშნავია ის შემთხვევები, როცა ოსტატი უშუალოდ დამოკიდებული იყო გარკვეულ ორიგინალზე. გელათის ოთხთავში ერთ მინიატურაზე ზოგჯერ რამდენიმე სიუჟეტური კომპოზიცია არის განლაგებული. სწორკუთხა ჩარჩოს ფარგლებში ოქროს ფონზე განთავსებულია, მაგალითად, ოთხი სცენა ისე, რომ თითოეულ მათგანს გარს უვლის ოქროს ფონი და ამდენად ეს კომპოზიციები, ერთმანეთისაგან დაშორიშორებული, დამოუკიდებლად აღიქმებიან. რჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი ოსტატმა გადმოიტანა ჩარჩოშემოცლილი (ფიგურები, არქიტექტურული ნაგებობანი ჩამოჭრილია კიდეებზე) იმ ორიგინალიდან, სადაც თითოეული, ოთხკუთხა ჩარჩოთი შემოფარგლული, ტექსტში იყო ცალცალკე ჩართული.

ასევე, გელათის ოთხთავის ზოგიერთი მინიატურა, სადაც ორი სცენაა განლაგებული, II ჯრუჭის ოთხთავში ცალცალკე, ორ სვეტად დაწერილ ტექსტში გვერდიგვერდ არის ჩართული. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც, გელათის ოთხთავის ოსტატმა ისარგებლა

---

[1] ილ.აბულაძე, „მამათა სწავლანი X და XI ს-თა ხელნაწერების მიხედვით“, თბილისი, 1955, გვ. 22.

ორიგინალით (ჯრუჭის II ოთხთავი გამორიცხულია, რადგანაც მოგვიანო ხანისაა, სადაც მინიატურები ტექსტში ცალცალკე იყო განლაგებული (სურ. 1 და სურ. 2).



სურ. 1.
ბელათის ოთხთავი Q-908, XII ს.
ქრისტეს ლოცვა მესამედ ელეონის მთაზე და ქრისტე მძინარე მოწაფეების წინაშე.



სურ. 2
II ჯრუჭის ოთხთავი
H-1667, XII ს.
ქრისტეს ლოცვა მესამედ ელეონის მთაზე.
ქრისტე მძინარე მოწაფეების წინაშე ელეონის მთაზე.

XIII ს. ორი ოთხთავის (H-1870 და A-18) მახარებელთა გამოსახულებების კომპოზიციური ურთიერთმსგავსების საფუძველზე შეიძლება გამოვავლინოთ მხატვრული მეთოდით გამოყენებული ორიგინალი. ანდერძებში მითითებულია, რომ ორივე ხელნაწერი გადაწერილია გიორგი თაბაურის მიერ. გიორგის მიერვეა მოხატული ორივე ხელნაწერში თავსამკაულები (ისინი შესრულებულია ტექსტის მელნით და შეფერადებულია სინგურით ეტრატის ფონზე). აქ ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ გიორგი თაბაურმა A-18 ოთხთავში არსებული მახარებლები შეასრულა H -1870 ოთხთავის მახარებელთა მიბაძვით. H -1870 ხელნაწერში ამჟამად მხოლოდ იოანე მახარებელია შემორჩენილი, რომელიც პროფესიონალი ოსტატის ნახელავია. მინიატურა ცალკე ფურცელზეა შესრულებული და ჩართულია ხელნაწერში (62v).

ორივე ხელნაწერში საქმე გვაქვს მახარებელთა მინიატურების მეტად ორიგინალურ კომპოზიციურ გადაწყვეტასთან. ქართულ სინამდვილეში ეს კომპოზიცია გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს, რამაც მიიპყრო სწორედ ჩვენი ყურადღება . მახარებლები წარმოდგენილი არიან ჩარჩოს გარეშე ეტრატის ფონზე. სავარძელი და სამუშაო მერხი გაერთიანებულია ფერადოვანი ზოლების მეშვეობით. აქ გამეორებულია მახარებელთა ტანისამოსის ნაოჭების სქემატური ნახატიც. აშკარაა, რომ ხალხური წრიდან გამოსულმა ოსტატმა – გიორგი თაბაურმა – პროფესიონალი ოსტატის მიერ შესრულებული მინიატურები შეარჩია სანიმუშოდ, თუმცა მახარებელთა გამოსახულებანი მან ინდივიდუალურ მხატვრულ სტილში გამოხატა (სურ. 3 და სურ. 4).



სურ. 3
XIII საუკუნის ოთხთავი. H-1870
მახარებლის გამოსახულება



სურ. 4
XIII საუკუნის ოთხთავი. A-18
მახარებლის გამოსახულება

რაც შეეხება ორნამენტული მსგავსებების საფუძველზე სამუშაო დედნის განსაზღვრას, ამის მაგალითებიც შეიძლება დავასახელოთ. XIII ს. ლაბსყალდიხა და ამჟამად მატენადარანში დაცული ართვინის (გადმოტანილია ეჩმიაძინის საკათალიკოსოს სამდივნოდან) ოთხთავების ოსტატებმა გამოიყენეს თამარის მიერ კონსტანტინოპოლში დაკვეთილი ვანის ოთხთავი, რომელიც ბერძენი ოსტატის მიერაა მოხატული. პირველი მათგანი იმეორებს ვანის ოთხთავის ორნამენტულ დეტალებს, ცალკეულ სცენებს, სახედაო ასოებს, ხოლო ართვინის კოდექსი კი იმეორებს ვანის ოთხთავის მოხატულობის კომპოზიციურ სქემებს, თუმცა ნაციონალური ტრადიციების შესაბამისად უარყოფს თავფურცელზე ქრისტეს გამოსახვას და ასევე მახარებელთა ორ-ორარუსიან კომპოზიციებს.



სურ. 5
სახარების დასაწყისი მთავრული ასოების მოხაზულობათა მსგავსებანი XII-XVI საუკუნეების ოთხთავების მიხედვით.

სამივე ხელნაწერის ორნამენტულ მხატვრობაში შეინიშნება სახარების ტექსტების დასაწყისი მთავრული ასოების მოხაზულობათა მსგავსებანი, რაც შემდგომი საუკუნეების, კერძოდ, XVI საუკუნის ხელნაწერებშიაც იმავე კომპოზიციური წყობით გვხვდება (სურ. 5). მოგვიანო ხანის ხელნაწერებში, მაგალითად, ნავისა და ანძაზე ასული ფიგურებისაგან შედგენილი „ჯარის“ ნახატობა სქემატურ ხასიათს იღებს (სურ. 6). ძნელია ხელნაწერთა შესრულების შემხვედრი ადგილების დადგენა. შესაძლოა ერთი ხელნაწერი იცნობდა მეორეს, ან მათ ერთი საერთო დედანი ჰქონდათ. აშკარაა, რომ არსებობდა ორნამენტულ შემკულობათა შემუშავებული კომპოზიციური სქემები[2].

[2] Е.Мачавариани, Изображения сюжетных инициалов в грузинских средневековых рукописях и их прототипы, მოხსენება წაკითხული ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ IV საერთაშორისო სიმპოზიუმზე, თბილისი, 1983.

სურ. 6



გელათის ოთხთავი XII ს. | H-1707 XII ს. | ართვინის ოთხთავი XII ს. | A-401 XVI ს.

ამ გარემოებაზე მიუთითებენ ასევე ტაო-კლარჯეთის მხატვრულ სკოლაში შესრულებული მთელი რიგი ხელნაწერები (A-138, A-496, A-922, იენაშის ოთხთავი და სხვ.), რომელთა საზედაო ასოების მოხატულობა მსგავსი ორნამენტული დეტალებითაა გამდიდრებული. ორნამენტულ შემკულობას ნათელი ფერები, გრაფიკული ხაზის უპირატესობა, აკვარელისებრი საღებავებისა და მასთან ერთად შეუფერავი ეტრატის გამოყენება ახასიათებთ, რაც სრულიად განსხვავდება ბიზანტიური ტიპის ხელნაწერებში არსებული მხატვრული საზედაო ასოებისაგან[3].

მოხატული მთავრული საზედაო ასოების შესწავლის დროს ყურადღება მიიპყრო ასო „ჯანის“ მხატვრულმა არქიტექტონიკამ და ასევე ამ გრაფიკული კონფიგურაციის განმეორებამ მთელ რიგ ხელნაწერებში, რამაც საინტერესო დასკვნამდე მიგვიყვანა. ასო „ჯანის“ მოხაზულობა ერთადერთი, ჯვარედინი ფორმის მქონეა მთელ ასომთავრულ ანბანში (სურ. 7). ივ. ჯავახიშვილის აზრით, ასო „ჯანი“ რთულ ბგერას წარმოადგენდა, რომელიც შესაძლებელია, თავდაპირველად ორი ასოთი, თუმცა ეს საკითხი მან შემდგომი კვლევის საგნად მიიჩნია[4].



ადიშის ოთხთავი H-2211 | H-325 | A-182 | H-1459

სურ. 7

„ჯანის“ მხატვრული არქიტექტონიკა – ზოგი ფერადოვანი, ზოგი ტექსტის მელნით გრაფიკულად შესრულებული, გამოხატულია მთელ რიგ ხელნაწერთა საზედაო ასოებში: იხ. ადიშის ოთხთავი, IX ს. H-2211, XI ს., (360r); H-325 XII ს., (94r); A-182, XIII ს., (53r); A-1459, XIII ს., (88r) და ა.შ.

[3] Р.Шмерлинг, Художественное оформление грузинской рукописной книги, IX-XIвв., Тбилиси, 1967 стр. 161.
[4] ივ.ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949, გვ. 231.

„ჯან“ ბგერის გრაფიკული გამოსახულება, როგორც ქრისტეს მეშვიდობის ჩამოყალიბებულია ქრისტეს ინიციალების – უკვე შექმნილი „ინისა“ და „ქანის“ დიაგონალურად შერწყმის შედეგად[5]. ჯვრის სახით გამოხატული მონოგრამა ფორმითაც და შინაარსითაც ჯვარცმული ქრისტეს სიმბოლოა, რომელიც ქრისტიანობამ დაამკვიდრა ქართულ ანბანში „ჯან“ ბგერის აღსანიშნავად, როგორც ქართულ ნიადაგზე შექმნილი ქრისტეს მონოგრამა (როგორც ცნობილია, ქრისტეს ინიციალებისაგან არის შექმნილი ქრისტეს ბერძნული მონოგრამა).

მინიატურების მხატვრობისა თუ ორნამენტული შემკულობის ურთიერთშედარების საფუძველზე კიდევ მრავალი მაგალითი შეიძლება გამოვავლინოთ დედნისა და ასლის ურთიერთობის მისანიშნებლად. ზემოთადნიშნული მაგალითების მიხედვითაც ცხადია, რომ არსებობდნენ სახელმძღვანელოდ მხატვრული ნიმუშები, რომელთაც სხვადასხვა ოსტატი სხვადასხვა დროს იყენებდა ინდივიდუალური შემოქმედებითი ხელწერის საფუძველზე. იხ. ადიშის ოთხთავი, IX ს., H-2211, XI ს. (360r); H-325, XII ს. (94r); A-182, XIII, (53r); A-1459, XIII ს. (88r) და ა. შ.

Е. МАЧАВАРИАНИ

## ВЗАИМООТНОШЕНИЕ ВОСПРОИЗВЕДЕНИЯ С ОРИГИНАЛОМ НА ОСНОВАНИИ СРАВНИТЕЛЬНОГО АНАЛИЗА УКРАШЕНИЙ НЕКОТОРЫХ ГРУЗИНСКИХ РУКОПИСЕЙ

РЕЗЮМЕ

По сей день не сохронились художественные руководства, предназначенные для мастеров книжного искуства средневековья. О существовании образцов также не указано в колофонах дошедших до нас грузинских рукописей.

Наличие художественного оригинала возможно выявить лишь на основании сравнительного анализа сходных составных элементов орнаментального декора или миниатюр в разных рукописях и в разное время. В данной статье даны примеры воспроизведения определенных художественных образцов, учитывая творческие индивидуальности исполнителя.

[5] ელ. მაჭავარიანი, ასომთავრული დამწერლობის მხატვრული თავისებურებანი ქართული ხელნაწერების მიხედვით (V-XIII სს), მრავალთავი, II, თბ., 1973, გვ. 238.

ენრიკო გაბიძაშვილი

# საქართველოს ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონის შესახებ[1]

„ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი", რომელიც პირველად იბეჭდება და წარმოდგენილია მკითხველთა ფართო საზოგადოების სამსჯავროზე, ავტორთა კოლექტივის ღრმა რწმენით, ერთი იმ მრავალი წინასწარი სამუშაოთაგანია, რომელიც წინ უძღვის ქართული ეკლესიის სრული ენციკლოპედიის შედგენას – უახლოესი მომავლის უმნიშვნელოვანეს და გადაუდებელ საქმეს.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ წინამებარე ნაშრომი მსგავსი ლექსიკონის შედგენის პირველი ცდა არის, ნათელი გახდება ის სიძნელეები, რომელთა დაძლევა მოუხდა ავტორთა მცირერიცხოვან კოლექტივს და უფრო მისატევებელი იქნება ის ხარვეზები, რომლებიც ამ ლექსიკონს უსათუოდ აქვს. მთავარი სიძნელე სალექსიკონო მასალის შეკრება იყო, რადგანაც წერილობითი წყაროების ნაწილი (ხელნაწერები, საეკლესიო-ისტორიული საბუთები, ეპიგრაფიკული ძეგლები და სხვა საეკლესიო სიძველენი) ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოქვეყნებული, ხოლო მათი დამუშავება და გამოქვეყნება ავტორთა მრავალრიცხოვანი კოლექტივის შრომასა და დიდ დროს მოითხოვდა, რისი საშუალებაც ამჯერად არ იყო. ასევე ჯერჯერობით მთლიანად არ არის გამოვლენილი, აღრიცხული და შესწავლილი ჩვენი კულტურის უძველესი ძეგლები – ეკლესია-მონასტრები და სხვა ქრისტიანული სიძველენი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო, შედარებით სრულად წარმოგვედგინა ქართული ეკლესიისა და ძველი ქართული კულტურის ეს უბანი. ხსენებულმა მიზეზებმა ლექსიკონის სისრულეს ბევრი რამ დააკლო. ლექსიკონში შეტანილი სხვადასხვა შინაარსის მასალის ხვედრითი წონა ერთნაირი არ არის.

ჩვენ შევეცადეთ ლექსიკონში მთელი სისრულით წარმოგვედგინა ქართული ეკლესიისა და საეკლესიო მწერლობის ყველა საკითხი და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია, კერძოდ: ღვთისმსახურება, საღმრთო წერილი, საღვთისმსახურო წიგნები, საეკლესიო შესამოსელი და წმინდა ჭურჭელი, სასულიერო მწერლობის ყველა დარგი, საეკლესიო კანონმდებლობა, სამწერლო-სამონასტრო კერები, ხელნაწერი წიგნისა და საეკლესიო ხელოვნების ძირითადი საკითხები, პალეოგრაფიისა და ეპიგრაფიკის ცალკეული პრობლემები, ცნობები ეკლესია-მონასტრების დაარსებისა და ისტორიის, ხუროთმოძღვრული თავისებურებებისა და მოხატულობის შესახებ.

„ლექსიკონი", მართალია, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის საკითხებს ეძღვნება, მაგრამ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ შეგვეტანა არა მარტო ძირითადი მასალა საეროდ მართლმადიდებლური ეკლესიისა (გამოჩენილი ეკლესიის მამები, საეკლესიო მწერლები მათი თხზულებები, მწვალებლობები და სხვა), არამედ მცირეოდენი ცნობები კათოლიკური, იუდაური, მაჰმადიანური, ბუდისტური და წარმართული რელიგიების შესახებაც. მათგან შედარებით ვრცლად კათოლიკური ეკლესიაა წარმოდგენილი (ძირითადი ორდენები, სექტები, კრებები და სხვა), უფრო ნაკლები მოცულობისაა არაქრისტიანული რელიგიების ამსახველი მასალა (რელიგიური მიმდინარეობანი, ძირითადი საკულტო წიგნები და სხვა). რაც შეეხება წარმართობას, რომელიც ქრისტიანობის გავრცელებამდე ძირითადი რელიგია იყო საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში მისი გადმონაშთები „ლექსიკონში" ძირითადად ეთნოგრაფიულ მასალასთან და ხალხურ-რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებით ჩანს, აგრეთვე იმ ცნებები, რომლიც ლექსიკონში წარმოდგენილია ქართული და ბერძნულ-რომაული კერპთაყვანისმცემლობის არცთუ მრავალრიცხოვანი მაგალითებთან დაკავშირებით.

[1] წარმოდგენილია "წინასიტყვაობა" "საქართველოს ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონისა", რომელიც 1988 წელს დაიბეჭდება, მაგრამ დღემდე ვერ დაიბეჭდა.

ლექსიკონში დიდი ადგილი აქვთ დათმობილი ქრისტიანული ეკლესიისა და სარწმუნოების წინაშე გარკვეული დამსახურების მქონე პირებს, რომელთა სულგრძელ პროფესიული და იერარქიული კუთვნილება მრავალფეროვანია: მოციქულები და წინასწარმეტყველები, ქრისტიანული ეკლესიისათვის თავდადებული მოწამეები და გამოჩენილი ბერ-მონაზვნები, ყველა იერარქიის საეკლესიო პირები, საეკლესიო მწერლები და მთარგმნელები; აგრეთვე ხელნაწერთა გადამწერნი, მომგებელნი, დამკვეთნი, შემკაზველნი და მომხატველნი, ეკლესიის მაშენებელი ქტიტორები, კალატოზნი და ხუროთმოძღვარნი, რომელთა რიცხვში არიან როგორც საეკლესიო, ასევე საერო პირებიც. ამ უკანასკნელთა რიცხვში შედიან ის მეფეები და დიდებულები, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით ქრისტიანული ეკლესიის წინაშე. აქვეა შეტანილი იმ სექტებისა და მწვალებლობათა დამხარსებლები და ცნობილი მოღვაწეები, რომლებთან ბრძოლაშიც იწროთბოდა ქრისტიანული სარწმუნოება. ჩვენ შევეცადეთ „ლექსიკონში" მოხვედრილიყო ყველა ქართველი სასულიერო პირი, განურჩევლად მისი დამსახურებისა თუ იერარქიული მდგომარეობისა, რომელიც კი ფიქსირებულია წერილობით წყაროებში XVIII საუკუნის ჩათვლით. მაგრამ, ცხადია, ბევრი მათგანი ჩვენთვის უცნობი დარჩა იმ წყაროების გამოუცმელობის გამო, რომლებშიც ისინი იხსენიებიან.

„ლექსიკონში" ცალ-ცალკე არ აისახა აგრეთვე ის ქართველი მოწამეები, რომელთა კოლექტიური წამების ფაქტები ცნობილია წყაროებით და ამავე სახით შევიდა ჩვენს ლექსიკონში, თითოეული მათგანის სახელი კი წარმოდგენილია მხოლოდ ქართულ საეკლესიო კალენდრებში და ისტორიული მონაცემებით არ არის დადასტურებული (ცხრა ძმა კოლაელნი, 11 დეკემბერს მოხსენიებული საქართველოში წამებულთა დედათა და მამათა სახელები –245 მამაკაცი და 108 ქალი).

„ლექსიკონში" შეტანილი ბევრი ქართველი სასულიერო პირი ცნობილია მხოლოდ იმ წყაროთი, რომელიც სხვა მონაცემების უქონლობის გამო მითითებულია მოცემულ პირთან და მასზე ცნობებიც ამოიწურება მხოლოდ ამ საბუთში მისი მოხსენიებით. ვფიქრობთ, მათი შეტანა „ლექსიკონში" მაინც გამართლებულია: ჯერ ერთი, რომ ისინი ცნობილი იყენენ მკითხველი საზოგადოებისათვის და მეორეც, დროთა განმავლობაში, ახალი მასალების გამოვლენის შემთხვევაში, შეიძლება შეივსოს მათი ბიოგრაფიული მონაცემები (ხელნაწერთა ინსტიტუტში მიმდინარეობს მუშაობა სიგელ-გუჯრებში მოხსენიებულ პირთა საძიებლების შედგენაზე).

საეკლესიო პირები „ლექსიკონში" ჩვეულებისამებრ სახელებზეა გატანილი, ხოლო თუკი გვარიც ცნობილია, ფრჩხილებში არის მოწერილი. საერო პირების მცირე ნაწილი, რომლებიც „ლექსიკონში" მოხვდნენ ეკლესიის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, გარდა მეფეებისა (ისინი მხოლოდ გამორჩევით) – ყველა გვარებზეა შეტანილი (ამათ რიცხვშია მისიონერი მოგზაურები, სასულიერო მწერლობისა და ხელოვნებათმცოდნეობის გამოჩენილი მკვლევარნი, ეკლესიის მეცენატები, საეკლესიო თემატიკით დაინტერესებული მწერლები და სხვა). თუმცა ყოველთვის არ ხერხდება გარჩევა ესა თუ ის პირი საეკლესიო წოდებისაა, თუ საეროსი (ზოგიერთი კალიგრაფ-გადამწერი, ხატებისა და ჯვრების და წიგნის ყდის მომჭედელი ოქრომჭედლები, მაშენებელ-კალატოზნი და სხვა) და ამიტომ ისინი „ლექსიკონში" ისევე წარმოვადგინეთ, როგორც წყაროში იხსენიებიან. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი და იმავე სახელის მქონე ბევრი პირი იყრის თავს, ისინი ერთი სათაურის ქვეშ ერთიანდებიან მათი მოღვაწეობის დარგის მიხედვით (კალიგრაფ-გადამწერი, მხატვარი, იერარქი და ა.შ.). ცალკე სტატია ეძღვნება, უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებული ღვაწლის მქონე პირებს, ხოლო ზოგიერთ იმათაც, ვის შესახებ წყაროებში მეტი ცნობებია დაცული. არ არის სრულად წარმოდგენილი „ლექსიკონში" არც მართლმადიდებლური ეკლესიის ყველა წმინდანი მათი ძალზე დიდი რაოდენობის გამო (მარტო იოანე-ზოსიმეს კალენდარში და გიორგი მთაწმინდლის დიდ სვინაქსარში მათი რაოდენობა ორ ათასს აღემატება), რაც უზომოდ გაზრდიდა ლექსიკონის მოცულობას, ამასთანავე ბევრი მათგანის შესახებ თითქმის არავითარი ცნობები არ მოიპოვება (ხოლო ბიოგრაფიული ცნობების გარეშე ისინი ისედაც არიან საეკლესიო კალენდარში). ამიტომ არაქართველ წმინდათაგან „ლექსიკონში" შევიტანეთ მხოლოდ ისინი, რომელთა შესახებაც დაწერილი "წამება" ან "ცხოვრება" ქართულ ენაზე მოგვეპოვება.

ამავე მიზეზით მხოლოდ მთავარი და მნიშვნელოვანი გეოგრაფიული პუნქტები და პირები შევარჩიეთ „ლექსიკონისათვის" ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან. ხოლო სრულად

ისინი ფიქსირებულნი არიან სხვადასხვა ენებზე გამოსულ ბიბლიის სიმფონია-ლექსიკონებში. არ შეიტანეთ ცალ-ცალკე მართლმადიდებლური ეკლესიის (ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, კონსტანტინოპოლის, რუსეთის) პატრიარქები და რომის კათოლიკური ეკლესიის პაპები, გარდა ზოგიერთი გამორჩეული პირისა. შეგარჩევთ მხოლოდ ისინი, ვინც ქართულ ეკლესიასთან რითიმე იყო დაკავშირებული. საკმარისად მივიჩნიეთ, რომ პატრიარქთა და პაპების სრული სიები ლექსიკონში შეგვეტანა აღნიშნული სააპატრიარქოებისა და რომის ეკლესიის შესახებ წარმოდგენილი სტატიების შემდეგ. ვერ წარმოვადგინეთ ბულგარეთის, სერბიის და სხვა მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდელმთავართა სიები მასალის უქონლობის გამო.

არ ჩავთვალეთ საჭიროდ ლექსიკონში შეგვეტანა საღმრთო წერილში სიმბოლურ-ალეგორიული მნიშვნელობით ნახმარი აბსტრაქტული (სიკეთე, ბოროტება და სხვა), თუ კონკრეტული (მწყემსი, ცხოვარი, ხახლი და ა. შ.) სახელებიც, რადგან „ლექსიკონის" მოცულობა დიდად გაიზრდებოდა.

არ არის წარმოდგენილი „ლექსიკონში" ფილოსოფიის საკითხებიც, თუკი ასეთები თეოლოგიურ დოგმატიკას არ უკავშირდება.

ეკლესია-მონასტრები „ლექსიკონში" შეტანილია იმ გეოგრაფიული პუნქტის (სოფლის, ქალაქის) სახელწოდებით, სადაც ისინი დგანან, ან რომლის მახლობლადაა აშენებული. გამონაკლისია დაშვებული განსაკუთრებით ცნობილი ძეგლების მიმართ (სვეტიცხოველი, საფარა, ოშკი და სხვა), რომლებიც „ლექსიკონში" საკუთარი სახელწოდებებით არიან შესული.

ქართველი წმინდანები და მათ შესახებ დაწერილი "ცხოვრება"-"წამებანი" გაერთიანებულია ერთ სტატიაში წმინდანის სახელზე, ე.ი. არ არის წარმოდგენილი ცალ-ცალკე ურ დამოუკიდებელ სტატიად, რადგან ფაქტობრივად ერთი და იმავეს განმეორება გამოვიდოდა. ის ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული თხზულებები, რომლებიც ერთდროულად რამდენიმე მოწამეს ეძღვნება [მაგ. აღაპი, ქიონია, კასსია, ფილიპპა, ევტუქია, აღათონ] „ლექსიკონში" აიხსნება ასე: შედარებით ვრცელი ბიოგრაფიული მასალა მოცემულია თხზულების სათაურში პირველად მოხსენიებულ მოწამეზე, ხოლო სხვებთან თითქმის იგივე ცნობები შედარებით მოკლედაა წარმოდგენილი, თუმცა შეგვეძლო მხოლოდ „იხილეთი" დაკმაყოფილებულიყავით.

„ლექსიკონში" ხანდახან შეგვხვდება ასეთი ხასიათის „ზედმეტობა": ერთ საგანზე სხვადასხვა ადგილას ორი სტატიაა შეტანილი [მაგ. ათონის ბიბლია – ოშკის ბიბლია; მრწამსი – სიმბოლო სარწმუნოების; ლიტურგია – ჯამისწირვა; დაბადება – შესაქმე; არქიდიაკონი – მოვაკრდიაკონი და სხვ.]. ეს გამოიწვია „ლექსიკონზე" რამდენიმე ავტორის მუშაობამ, ხოლო რედაქტირების დროს ადარ ჩავთვალეთ მიზანშეწონილად ასეთ წყვილთაგან ერთ-ერთის ამოღება და მხოლოდ „იხილეთი" დაკმაყოფილება, რადგან ისინი ზუსტად არასდეს იმეორებენ ერთმანეთს, არამედ ავსებენ სხვადასხვა ცნობებით.

თავიდან განზრახული იყო, თითოეული სტატიის ბოლოს დაგვერთო წყაროებისა და ლიტერატურის სია, როგორც ეს მიღებულია ენციკლოპედიების შედგენის პრაქტიკაში, მაგრამ ავტორთა სიმცირემ, მასალის სიმრავლემ და „ლექსიკონის" მოცულობის ზრდამ ამ განზრახვაზე ხელი აგვაღებინა. ამ ხარვეზს ნაწილობრივ შეავსებს წყაროებისა და ლიტერატურის ის საერთო სია, რომელიც ლექსიკონს ერთვის, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ სიაში სრულად არაა ასახული ის სამეცნიერო ლიტერატურა – მონოგრაფიები და სტატიები, რომლებიც გამოვიყენეთ „ლექსიკონზე" მუშაობის დროს და დავკმაყოფილდით იმით, რომ შედარებით სრულად წარმოგვედგინა წყაროები, ხოლო ლიტერატურიდან – მხოლოდ ძირითადი.

წყაროებითა და ლიტერატურით სარგებლობასთან დაკავშირებით უნდა ვთქვათ, რომ სტატიათა გარკვეული ნაწილი წყაროებიდან, კერძოდ კი ქართული ენციკლოპედიიდან, მხოლოდ მცირეოდენი შემოკლებით თუ ცვლილებებით არის გადმოტანილი წინამდებარე „ლექსიკონში" იმ მოსაზრებით, რომ თითოეული მათგანი ამ საკითხის სპეციალისტის მიერ არის დაწერილი, ამასთანავე შეეხსაბამებოდა ჩვენს მოთხოვნებს. ეს ძირითადად ეხება ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, ეთნოგრაფიისა და ფეოდალური საქართველოს ისტორიის საკითხებს, აგრეთვე ბიბლიოლოგიისა და რელიგიათა ისტორიების ზოგიერთ პრობლემას. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ იმ მასალით სარგებლობის ფაქტი, რომელიც დამუშავებისა და გამოსაცემად მომზადების სტადიაშია. პირველ რიგში, ჩვენი „ლექსიკონისათვის" მდიდარი

მასალა მოვიძიეთ „დიდი სვინაქსარის“ ხელნაწერ მასალებში, რომლითაც სარგებლობა ვნებ მოვახერხეთ ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლის მ. დოლაქიძის ნებართვით, რომელიც ამ ძეგლს გამოსაცემად ამზადებს, ნაწილობრივ ვისარგებლეთ სიგელ-გუჯრებიდან ამოკრეფილ პირთა საძიებლის მასალებითაც, რომელიც ამ დროისათვის იყო დამუშავებული ხელნაწერთა ინსტიტუტის დიპლომატიკის განყოფილების თანამშრომელთა მიერ.

დაბოლოს, ორიოდე სიტყვით ლექსიკონის შედგენის ინიციატორთა და ავტორთა კოლექტივის შესახებ.

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის უშუალო ინიციატივითა და განკარგულებით 1982 წელს დაიწყო მუშაობა პირველი ქართული საეკლესიო ენციკლოპედიური ლექსიკონის შესადგენად. სამუშაოს შესრულება დაევალათ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს ენრიკო გაბიძაშვილს (ხელმძღვანელი), მაია მამაცაშვილსა და ანა ღამბაშიძეს. მათ მიერ 1988 წელს დამთავრებული სამუშაო ავტორთა მიხედვით ასე ნაწილდება: ე. გაბიძაშვილმა შეასრულ ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ...ჟ...ს, ტ, უ, ფ ასოების ქვეშ წარმოდგენილი სტატიები [ სულ დაახლ. 42 ნაბ. თაბახი], მ. მამაცაშვილმა – ზ, თ, ი, კ, ... ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ [ დაახ. 27 ნაბ. თაბახი], ა. ღამბაშიძემ – ლ, მ, ნ, ო, პ, ... რ, ს, ჭ, ხ, ჯ, ჰ [დაახლ. 34 ნაბ. თაბახი]/

„ლექსიკონის“ ავტორ-შემდგენელთა კოლექტივი თხოვნით მიმართავს მკითხველებს, განსაკუთრებით კი იმ სპეციალისტებს, რომლებიც მუშაობენ „ლექსიკონში“ შეტანილი მასალის სფეროში, მოგვაწოდონ თავიანთი შენიშვნები და „ლექსიკონში“ დამატებით შესატანი მასალა, რაც თავისებური ბაზისი გახდება ქართული ეკლესიის ენციკლოპედიის შედგენის დროს, უკიდურეს შემთხვევაში – წინამდებარე „ლექსიკონის“ მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემის მომზადების საქმეში.

E. GABIDZACHVILI

## SUR “VOCABULAIRE ENCYCLOPÉDIQUE DE L’ÉGLISE GÉORGIENNE”

RÉSUMÉ

Dans cette oeuvre est exposé l’avant-propos du “Vocabulaire encyclopédique de l’église géorgienne” qui fut préparé pour publication en 1986 mais qui n’est pas encore édité. L’avant propos susdit donne la revue de sont sujet et des principes de sa composition.

თამარ ჯუმბურიძე

# ჟურნალ „Oriens Christianus“-ის ისტორიისათვის*
## (ჰ. ძაუშჰოლდის შესავალი წერილის მიხედვით)

„Oriens Christianus“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდული გამოცემაა, რომელშიც ქვეყნდება მასალები ქრისტიანული აღმოსავლეთის შესახებ. ჟურნალი რომში დაარსდა 1901 წელს და მისი მთავარი მიზანი იყო აღმოსავლეთის ქვეყნების ლიტერატურისა და ხელოვნების, ეკლესიის ისტორიის კვლევა და ამასთანავე ამ საკითხების კვლევის ისტორიის შესწავლა.

Compo Santo Teutonica-ს კოლეჯის რექტორმა ანტონ დე ვაალმა დააარსა რომაული კვარტალური ჟურნალი ქრისტიანული აღმოსავლეთის საკვლევად და მისი ხელმძღვანელობა ანტონ ბაუმშტარკს მიანდო, რომელიც ამ დროს ამ კოლეჯში სწავლობდა და 30 წლისაც არ იყო. შემდგომში Campo Santo–მ ჟურნალი გიორგის საზოგადოებას გადასცა, რომელიც მანამდეც უწევდა მას ფინანსურ დახმარებას. იგი Propaganda Fide–ს ნაცვლად ჰარასევიცის სტამბაში იბეჭდებოდა.

ჟურნალში ქვეყნდებოდა არაბული, კოპტური, სომხური, სლავური, ქართული ქრისტიანული ხელოვნების ძეგლების მიმოხილვა და ტექსტები. გამოკვლევების გარდა იბეჭდებოდა მოკლე რეცენზიები მნიშვნელოვან გამოცემებზე. შემდგომში, რაკი ტექსტების გამოსაცემად შეიქმნა სპეციალური სერია Corpus Scriptorum Christianorum Orientalis, Oriens Christianus–ში შემცირდა ტექსტების პუბლიკაცია.

წიგნების მიმოხილვა დღემდე ჟურნალის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ცნობებს თავიდან ს. ბაუმშტარკი წერდა, 27-ე ტომიდან (1930) ეს მოვალეობა იკისრა ვილი ჰოფენინგმა, შემდეგ ი. მოლიტორმა, ი. ასფალგმა, დღეს კი ამ ნაწილს ძირითადად ჟურნალის გამომცემელი პ. კაუფჰოლდი წერს. ქართული მასალაც საკმაოდ იყო წარმოდგენილი ჟურნალში, განსაკუთრებით 60-70-იან წლებში: დაიბეჭდა რეცენზიები ჭილ-ეტრატის იადგარის, სინური მრავალთავის, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის გამოცემებთან დაკავშირებით*. ჟურნალში დღესაც ბეჭდავენ სტატიებს ქართველი მკვლევარები. ბოლო წლებში გამოქვეყნდა ა. ხარანაულის, ლ. ალექსიძის, ნ. დობორჯგინიძის, ზ. სხირტლაძის სტატიები.

თავისი არსებობის მანძილზე Oriens Christianus–ს ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა. ჟურნალის გამოცემას განსაკუთრებით სირთულეებს უქმნიდა მძიმე ეკონომიური მდგომარეობა პირველი და მეორე მსოფლიო ომის დროს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1948

---

* Oriens Christianus, Gesamtregister für die Bände I (1901)-70 (1986)

* -J.Molitor, Ars Georgia 6 (Serie A: Alte Kunst) unter Mitarbeit von S.Barnaveli, W.Beridze, W.Cincadze, hrsg. von Tschubinaschvili, Tiflis, 1963 [Besprechung] Or.Chr. 49, 1965, s. 146ß148.
- J.Molitor, A.Sanidze, Sinai-Mravaltavi vom Jahre 864 [Besprechung] Or.Chr. 45, 1961, s. 148
- J.Molotor, K.Tschenkeli, Georgisch-Deutsches Wörterbuch. Zürich 1960 [Besprechung], Or.Chr. 49, 1965, s. 149
- J.Molitor, Bedi Kartlisa, Revue de Kartvelologie, XIX-XX, 48-49 (1965), Or.Chr. 5.
- J.Assfalg, T.Bregadze, M.Kavtaria, L.Kutateladze, Kartul helnacerta aggeriloba, Tbilissi 1973 [Besptechung] Or.Chr. 60, 1976, 196
- J.Asfalg, Simon Qauchčišvili [Personalie], Or.Chr. 60, 1976, 181.
- J.Assfalg, Mravaltavi I, Tbilisi 1971, [Besprechung], Or.Chr. 56, 1972, 219
- J.Assfalg, Frau Professor Elene Metreveli [Personalia], Or.Chr. 62, 1978, 212
- J.Assfalg, A.Sanidze, A.Martirosov, A.Dzišiašvili, Čiletratis iadgari, Tbilisi 1977 [Besprechung], Or.Chr. 62, 1978, 220

წელს, ჟურნალი კვლავ აღდგა და დღემდე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ჟურნალად გამოცემად რჩება ქრისტიანული აღმოსავლეთის საკითხებზე.

ჟურნალის ამჟამინდელი გამომცემელია ჰ. კაუფჰოლდი, რომელიც სპეციალობით იურისტია და ჟურნალის გამოცემას და ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევას თავის თავისუფალ დროს უთმობს. ძველ ქართულს ის დაეუფლა იულიუს ასფალგთან, ხოლო ახალი ქართული ბავარიის სახელმწიფო ბიბლიოთეკის თანამშრომელ თამარ ვესტთან ისწავლა. იგი თავისი მასწავლებლისა და ჟურნალის ყოფილი გამომცემელის, იასფალგის ტრადიციას აგრძელებს და ხელნაწერთა ინსტიტუტს დღემდე უგზავნის Oriens Christianus–ის ახალ ტომებს. 1989 წელს მან გადაწყვიტა გამოეცა საინფორმაციო ტომი მანამდე გამოცემული 70 ნომრის სარჩევით (Gesamtregister) და ამ ტომს ვრცელი შემაჯამებელი წერილი დაურთო შესავლის სახით, რომელშიც იგი ეხება ქრისტიანული აღმოსავლეთის მე-20 საუკუნის გერმანელ კვლევარებს, ახასიათებს არა მარტო მათ მეცნიერულ მოღვაწეობას და დამსახურებას, არამედ პირველ რიგში იმას, თუ რას აკეთებდნენ ისინი უმაღლეს სასწავლებლებში. ესაა, თვითონ ავტორის სიტყვით, ერთი ნაწილი ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევის ისტორისა, რომელიც მთლიანი სახით ჯერ კიდევ დასაწერია. ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევა უნივერსიტეტებში შემთხვევითობაზე იყო დამოკიდებული, მაგრამ მაინც არსებობდა გარკვეული ტრადიცია, - აღნიშნავს ჰ. კაუფჰოლდი, - რაც ახლა, სამწუხაროდ, გაწყვეტილია ან არსებობს გაწყვეტის საშიშროება.

ავტორი სათითაოდ ახასიათებს თითოეულ მკვლევარს, იწყებს, რა თქმა უნდა, თვითონ ანტონ ბაუმშტარკით და შემდეგ თანამიმდევრობით მიჰყვება იმ ავტორებს, რომლებიც წლების მანძილზე თანაშრომლობდნენ Oriens Christianus–ში. სტატიის მეორე ნაწილი ეხება ჟურნალის გამოცემის ისტორიას: როდის რომელი სერია გამოდიოდა, როდის ფერხდებოდა მუშაობა ან იცვლებოდა სტილი. მთლიანობაში კაუფჰოლდის ეს შესავალი წერილი ძალიან საინტერესოა გერმანიაში ქრისტიანული აღმოსავლეთმცოდნეობის შესწავლის ისტორიისათვის. მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო მაინც ის ავტორები არიან, რომლებიც ქართულ მასალაზე მუშაობდნენ და ქართულ ლიტერატურასა და კულტურას იკვლევდნენ. ამიტომ ჩვენ ტექსტიდან ამოვირჩიეთ ამ თვალსაზრისით საინტერესო ადგილები და გთავაზობთ მათ თარგმანს.

ჰ. კაუფჰოლდის სტატიის ზოგი ნაწილი ჩვენს თარგმანში ძალიან შემცირებულია, ზოგი მთლიანადაა ამოღებული, მაგრამ გამოტოვებულ ადგილებს სამი წერტილით არ აღვნიშნავთ. ტექსტი გაბმულია, რათა უფრო იოლი აღსაქმელი იყოს. რამდენიმე შენიშვნა მხოლოდ ზოგ ადგილას დაგვრთია სქოლიოში, დანარჩენი ტექსტი ვეცადეთ ზუსტად გადმოგვეტანა და სტილიც დაგვეცვა. გერმანული გვარები ფრჩხილებში მოგვყავს ლათინური დაწერილობითაც. მიუხედავად იმისა, რომ სტატია 1989 წელსაა დაბეჭდილი და არც თუ ისე ახალია, იგი მაინც საინტერესოდ მიგვაჩნია ქართველი მკითხველისათვის.

**T. TCHUMBURIDZE**

## ZUR GESCHICHTE DES ORIENS CHRISTIANUS (NACH DER EINLEITUNG ZUM GESAMTREGISTER VON H. KAUFHOLD)

ZUSAMMENFASSUNG

In der Einleitung zum Gesamtregieter der Zeitschrift "Oriens Christianus" (1989) berichtet H.Kaufhold über die Geschichte der Zeitschrift und über deutsche Vertreter der Wissenschaft von Christlichen Orient. Die vorliegende Arbeit ist die gekürzte Variante des Artikels. Hervorgehoben werden die Stellen, die im Wesentlichen Georgienforschung in Deutschland betreffen.

85 წელია, ეს ჟურნალი არსებობს და 70 ტომი გამოიცა. ზოგი რამ შეიძლება აღარ იყოს აქტუალური, ზოგი მხოლოდ მეცნიერების ისტორიისთვისაა საინტერესო, მაგრამ ბევრი რამ დღესაც გასათვალისწინებელია. ამიტომ არის რომ ზოგი რამ ხელახლა გამოიცემა მაგ., Ioseph Simonius Assemoni-ის "Bibliotheca Orientalis Clementina-Vaticana" (Rom 1719-1723) ან Michael Le Quien–ის „Oriens Christianus" (Paris 1740), რაც გვიჩვენებს, რომ ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევა წინ მიდის, მაგრამ ძველი დასკვნები მხოლოდ ნელა იცვლება ახლით. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ არა მარტო ახალი, არამედ მრავალი წლის წინ გამოცემული ტომებიც შეგვეტანა სიაში.

ჩვენი ცოდნა ქრისტიანულ აღმოსავლეთზე არასრული დარჩა და ძალიან ნელა ვითარდება, რაც ალბათ იმის ბრალია, რომ სპეციალისტების რიცხვი ცოტაა. მართალია, ქრისტიანული აღმოსავლეთი გეოგრაფიულად ვრცელ უბანს მოიცავს – კავკასიიდან ეთიოპიამდე და ეგვიპტიდან ინდოეთამდე, სხვადასხვა ხალხებით, ენებით და კულტურებით და, თუმცა დასავლური კულტურა ქრისტიანულ აღმოსავლეთს ბევრ რამეს უმადლის, ეს სფერო ორიენტალისტიკაში გერივით იყო გერმანიაშიც და სხვაგანაც. ამით თავს ვერ შეინახავს ადამიანი, ამიტომ მკვლევართა უმეტესობა, სხვა საკვანძო გვერდით, უბრალოდ, ინტერესის გამო იკვლევდა ქრისტიანულ აღმოსავლეთს მეცნიერულად.

## ქრისტიანული აღმოსავლეთის გერმანელი მკვლევარები მე-20 საუკუნეში

ჩვენი მოკლე მიმოხილვა ეძღვნება ქრისტიანული აღმოსავლეთის გერმანელ მკვლევარებს, რომლებიც დროის ამ მონაკვეთში იყვნენ დაკავშირებულნი Oriens Christienus–თან. ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა იმდენად მათი შრომების მეცნიერული ღირებულება, არამედ პირველ რიგში ის, თუ რამდენად იყვნენ ამ სფეროში ისინი წარმოდგენილი უმაღლეს სასწავლებლებში. ესაა ერთი ნაწილი ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევის ისტორიისა გერმანიაში, რომელიც ჯერ კიდევ დასაწერია. ქვემოთ ვნახავთ, რომ უნივერსიტეტში ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევა უფრო შემთხვევით ხასიათს ატარებს და სასწავლო ტრადიცია ზოგჯერ წყდება ან შეიძლება შეწყდეს.

პირველი და მრავალწლიანი თანამშრომელი Oriens Christianus–ისა, ანტონ ბაუმშტარკი (1872-1948) სწავლობდა კლასიკურ და სემიტურ ფილოლოგიას (მისი ბაბუაც იმავე სახელსა და გვარს ატარებდა, იგი იყო კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტი და 1848-1871 წლებში ფრაიბურგის უნივერსიტეტის პროფესორი). 1898 წ. მან ჰაიდელბერგში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რამდენიმე წელი სწავლობდა სასულიერო კოლეჯში Campo Santo Teutonico–ში რომში (1900-1904), რამაც საშუალება მისცა თავის ინტერესებს გაჰყოლოდა და მრავალრიცხოვანი ნაშრომები შეექმნა ქრისტიანული აღმოსავლეთის სფეროში. ამას დაემთხვა ბედნიერი შემთხვევაც: Cempo Santo-ს იმდროინდელმა რექტორმა ანტონ დე ვაალმა (Anton de Waal) 1877 წელს დაიარსა რომაული კვარტალური ჟურნალი და ქრისტიანული აღმოსავლეთის საკვლევად აზრად მოუვიდა დაეარსებინა საკუთარი ბეჭდვითი ორგანო, კერძოდ Oriens Christianus, მისი ხელმძღვანელობა კი ბაუმშტარკისათვის მიენდო. ამის შესახებ მოკლედ ბაუმშტარკი თვითონ წერს ანტონ დე ვაალის ნეკროლოგში (Or. Chr. 14, 1916, 316) და აღნიშნავს, რომ ის მაშინ 30 წლისაც არ იყო. რომში ყოფნის შემდეგ 9 თვე იყო ეგვიპტეში, პალესტინასა და სირიაში (1904/5), რასაც ფინანსური დახმარების არარსებობის გამო შესწირა თავისი „მოკრძალებული ქონების ნაწილი" (Or. Chr. 5, 1905, "Zum Abschied", 1, Or. Chr. 33, 1935, 161 ). ბოლოს სხვა გზა აღარ ჰქონდა და ჩასბახში ახერნთან (ბადენში) მასწავლებლობით შეულობდა ჯურის ფულს იქაური მღვდლის,ფრანც ქსაბერ ლენდერის (Franz Xaber Lender)

(1830-1913) მიერ 1875 წ.დაარსებულ ინსტიტუტში (იხ. Lexikon für Theologie und Kirche, 2. Aufl. Bd. 9, 1937, 1033). უფუძნობის გამო იძულებული იყო მე-5 ტომის შემდეგ მიეტოვებინა Oriens Chrisrianus-ის ხელმძღვანელობა.

მას ჰქონდა კონკრეტული გეგმა – ეხელმძღვანელა იერუსალიმში გიორგის საზოგადოებასთან ახლოდდაარსებული აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისათვის იერუსალიმში, მაგრამ ეს არ განხორციელდა. ამის გამო იმედის გაცრუება იგრძნობა მისი წიგნის, „Festbrevier und Kirchenjahr der Jakobiten" (Padeborn 1910, s. VIII), რომელიც ასევე ლენდერს მიუძღვნა, წინასიტყვაობაში. 1908 წელს ბაუმშტარკი დაოჯახდა და მისი აღმოსავლეთში ყოფნაც შეწყდა, რადგან მრავალშვილიანი მზარდი ოჯახის შენახვა პალესტინის მიწაზე დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მის ნაცვლად გიორგის საზოგადოებამ პალესტინაში 1909 წლის გაზაფხულზე ორი სასულიერო პირი გაგზავნა: პაულ კარგე (Paul Karge) ბრესლაუდან და კონრად ლიუბეკი (Konrad Lübeck) ფულდიდან (Oriens Christianus 9, 1911, 116, იერუსალიმის ინსტიტუტი (1926 წლიდან). იხ. გიორგის საზოგადოების ყოველწლიური ჟურნალი Jahresberichte der Görres-Gesellschaft და W. Spiel, Die Görres-Gesellschaft. Grundlagen-Chronik-Leistungen, Padeborn 1957 გვ. 63-66).

კერძო სკოლაში მასწავლებლობას ბაუმშტარკმა მხოლოდ I მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო თავი. საიდან ჰქონდა დრო მეცნიერებისათვის, ამაზე თვითონ წერს სირიული ლიტერატურის ისტორიის წინასიტყვაობაში (1922): „ხშირად მეცნიერულ მუშაობას ეთმობოდა დასვენების საათებისთვის წართმეული დრო ღამის 10-დან 3 საათამდე, როცა ღონეს მაცლიდა დარდი სურსათის ან სათბობის სიმცირით გამოწვეულ სირთულეებზე და მრავალშვილიანი ოჯახის მეურნეობისათვის საჭირო სახსრების უქონლობაზე". ის თითქმის 50 წლის იყო, როცა დაასახელეს ორდინალურ პონორირებულ პროფესორად ქრისტიანული აღმოსავლეთისა და აღმოსავლური ლიტურგიის ისტორიისა და კულტურის დარგში ბონის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. ეს იყო თანამდებობა, რომლითაც ცხოვრება შეიძლებოდა.

კათედრის ხელმძღვანელის ადგილი მას კიდევ დიდხანს არ ჰქონია. ბონში 1917 წლიდან ბონში ერნო ლიტმანი (Erno Littmann) ასწავლიდა, როგორც ორდინარიუსი სირიულისა და ეთიოპიურისათვის. იგი 1921 წელს თიუბინგენში გადავიდა, მაგრამ მისი მემკვიდრე 1923 წელს ბაუმშტარკი კი არ გახდა, არამედ პაულ კალე. ასევე არ გადასცეს მას სხვა კათედრაც, რომელიც მისთვის ძალიან შესაფერისი იქნებოდა – კერძოდ, 1917 წელს დაარსებული ქრისტიანული აღმოსავლეთის შესწავლის ექსტრაორდინარიატი მიუნხენის კათოლიკურ თეოლოგიურ ფაკულტეტზე. ის დაიკავა ძველი აღთქმის სპეციალისტმა, ქრისტიანული აღმოსავლეთის ნაკლებ მცოდნემ პაულ ქარგემ (1881-1922). განიხილებოდა აგრეთვე რიუკერის (Rücker), ვანდენჰოფის (Vandenhoff) და გრაფის (Graf) კანდიდატურები, რომლებსაც შემდეგ შეეეხებით (იხ. Hegel, Geschichte der Katholisch-theologischen Fakultät München, 1773-1964, Band I, Münster, 1966, 422-426,).

1921-1922 წწ. ბაუმშტარკმა ბონშიჩ ამთრის სემესტრში დაიწყო პედაგოგიური მუშაობა. ამ დროს დაიწყო ლექციების კითხვა ქრისტიანული აღმოსავლეთის მეორე მკვლევარმა ჰაინრიხ გუსენმა (Heinrich Goussen) (1863-1927). გუსენი ორი ათწლეულით სამხედრო მღვდელი იყო, 1931 წ. კი ბონში კათოლიკურ-თეოლოგიურ ფაკულტეტზე დაიწყო მუშაობა ქრისტიანული აღმოსავლეთის და აღმოსავლური ენების ნამდვილ პონორირებულ პროფესორად. ის დიდი ხანი დაინტერესებული იყო ამ სფეროთი, მაგრამ თუ კი ბაუმშტარკის ძალიან თავაზიანი ნეკროლოგის მიხედვით ვიმსჯელებთ (Or. Chr. 24, 1927, 345-360), ის ცოტა უცნაური პიროვნება ჩანს, მართალია, პასუხისმგებლობით სავსე, მაგრამ პედაგოგურ ასპარეზზე დიდი წარმატება არ ჰქონდა და აკადემიური მოღვაწეობისადმი გულგრილი იყო. ამას გარდა, ცოტა ჰქონდა გამოქვეყნებული შრომები. ამიტომ მისი დამსახურება ძირითადად

ისაა, რომ ქრისტიანული აღმოსავლეთის შესახებ ლიტერატურა შეაგროვა, რაც ახლა ბონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაშია დაცული.

ბონის უნივერსიტეტში 20-იან წლებში წაკითხული ლექციების მიხედვით ჩანს, რომ ბაუმშტარკი სალექციო თემატიკით ისევე კარგად მიესადაგებოდა თეოლოგიურ ფაკულტეტს, როგორც გუსენი (მეორე მხრივ, გუსენი ბონის მეცადინეობებს ნაწილობრივ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ატარებდა). ბაუმშტარკთან წინა პლანზე გარკვეით დგას ლიტურგიის ისტორია. პირველ სემესტრში ის სამ საათს კითხულობდა კურსს: „აღმოსავლური ლიტურგიის ისტორიის პრობლემები და წყაროები", ხოლო ერთ საათს „სომხური ქრისტიანობა და ელინიზმი". აღმოსავლეთმცოდნეობის სემინარის ფარგლებში შეტანილი იყო ასევე (რაც გაოცებას იწვევს): „სავარჯიშოები შედარებითი ლიტურგიის ისტორიაში, ჟამისწირვის წესი, ვნების პარასკევის ლოცვები და ყოველდღიშინდის ლიტანია რომში" (ზამთრის სემესტრი 1922-23). მაგრამ ბაუმშტარკი მონაწილეობას იღებს ჩვეულებრივ აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო პროგრამაშიც და რეგულარულად კითხულობს სირიულს და არაბულს დამწყებთათვის (მაგ. Breviarum Chaldaicum, სირიული ჰიმნები, ჯურანის სურები, არაბული პოეზია). მაგრამ შემდგომში ბონის უნივერსიტეტში არაბულს ასწავლიდნენ პაულ კალე, მაქს ჰერტენი (Max Herten) (1912 წ. აღმოსავლეთმცოდნეობის, ისლამური ენების და კულტურების პროფესორი ბრესლაუში) და ვილი ჰეფენინგი (Willi Heffening). ბაუმშტარკი ნაწილობრივ ეხება ისლამს, ასევე ქრისტიანულ პალესტინურ და ქანაანის წარწერებს. 1923 წ. ზაფხულის სემესტრში იწყება მისი დაინტერესება ხელოვნების ისტორიით („სირიული და სომხური წიგნის მხატვრობა"). მისი ლექციების თემები კვლევის თემატიკა ერომანეთს ემთხვევა. კვირაში ორ საათს 1922 წლის ზაფხულის სემესტრში კითხულობს „აღმოსავლურ ჟამისწირვას", 1926-27 წწ. ზამთრის სემესტრში კი ყველა ფაკულტეტის მსმენელთათვის კითხულობს „ბიზანტიურ კულტურას".

ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვა ენები გუსენს ჰქონდა ჩაბარებული. მას პირველ სემესტრში მაჰყავს შემდეგი კურსები: „კოპტური, ანუ ქრისტიანული არაბული დამწყებთათვის (იგულისხმება ძველი არაბულის ცოდნა)", „სომხური ან ქართული დამწყებთათვის", „აღმოსავლური (სასულიერო) სამართლის ძეგლები, მათი შინაარსი და თავისებურებანი (სირიული, კოპტური, ეთიოპიური, სომხური, ქართული)". ენის სწავლების გარდა მოეგიებებით ის ეხება – მსგავსად ბაუმშტარკისა – სხვადასხვა ზოგად თემას, მაგ., პაპის პრიმატი აღმოსავლურ ეკლესიებში, ლიტურგიული წიგნების შესახებ, აღსარების და მონანიების შესახებ ძველ აღმოსავლურ ეკლესიებში. 1922 წ. ზაფხულის სემესტრში: „რუული ენა", „ქართული ეკლესიის ბრძოლა არსებობისათვის". 1927 წ. გუსენის გარდაცვალების შედეგად შექმნილი სიცარიელე იმავე წელს ნაწილობრივ შეავსო გრიგორ ფერაძემ (1893-1942), როგორც „დამხმარე ლექტორმა ქართულისა და სომხურისათვის". 1935 წლიდან ბონში ასწავლიდა ქართველოლოგი გერჰარდ დეტერსი (Gerhard Deeters) (1892-1961). კოპტურის სწავლა შეიძლებოდა ჰანს ბონესთან (Hans Bonnet) ეთიოპოლოგისა – სემიტოლოგ და ისლამის სპეციალისტ ოტო შპისთან (Otto Spies) (1901-1981).

1923 წლიდან ბაუმშტარკი აღმოსავლური ენების და შედარებითი ლიტურგიკის მეცნიერების პროფესორი იყო ნიმეგენში, 1926 წლიდან კი ურტრეხტში ისლამისა და არაბული ენების პროფესორი, ჩემი აზრით, ალბათ, ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. 1930 წლიდან, ჰუბერტ გრიმის (1864-1942) შემდეგ მან ჩაიბარა აღმოსავლეთმცოდნეობის კათედრა მიუნსტერში, „სადაც მუშაობდა მნიშვნელოვან კათედრაზე სემიტოლოგიის ფართო სფეროში და ამიტომ იძულებული იყო ქრისტიანული აღმოსავლეთის სპეციფიკური კვლევის საზღვრებს გასცდენოდა სწავლების დროსაც და კვლევაშიც". (Or. Chr. 31, 1934, 99). 1930 წლის ზაფხულის სემესტრში ბაუმშტარკმა შემოიღო კურსები: „ისლამი და ქრისტიანობა", „ებრაული", „ჯურანის კვლევა", „ჰეშიტარა და თარგუმის შედარებითი კვლევა". შემდეგ სემესტრებში მუშაობდა არაბულზე, სირიულზე,

ქრისტიანულ პალესტინურზე, უგარიტულზე და ებრაულზე (მაგ. „ისტორიულ-კრიტიკული კვლევა ებრაული ტექსტებისა და ებრაული ლოცვებისა"). 1933-1934 წწ. ზამთრის სემესტრში ატარებდა სალექციო კურსს ყველა ფაკულტეტის მსმენელთათვის შემდეგი სათაურით: „რომი, აღმოსავლეთი და გერმანელები ქრისტიანული დასავლეთის ჩამოყალიბებისას". არ უნდა დავფაროთარც ეს მხარე– მსოფლიოსათვის გახსნილი, მაგრამ I მსოფლიო ომში გერმანელების დამარცხებით ძალიან შეწუხებული ბაუმშტარკი ნაციონალ-სოციალისტებისგან ძალიან შორს არ იდგა, მაგ. 1937 წ. გამოცემულ კარლ მარია კაუფმანისადმი მიძღვნილ საუბილეო გამოცემაში ის თავს იწონებს, რომ 1932 წლის 1 აგვისტოს, მიუხედავად იმისა, რომ 12 მცირეწლოვან ბავშვზე უნდა ეზრუნა და პრუსიის სახელმწიფო სამსახურში იყო, ვესტფალენში, ვილჰელმის უნივერსიტეტში, იგი პირველი ორდინალური პროფესორი იყო, ვინც ნაციონალ-სოციალისტურ პარტიაში შევიდა, რათა არჩევნებში მიეღო მონაწილეობა. ნაციონალურ-სოციალისტები 1932 წლის 31 ივლისის არჩევნებში ყველაზე ძლიერი პარტია იყო.

ბაუმშტარკის გვერდით სემიტოლოგიაში მუშაობდნენ ფრანც ტაეშერი (Franz Taeschner) და გრიმერი (Grimer). ფერდინანდ ჰესტერმანი (Ferdinand Hestermann) (1878-1959) მუშაობდა ზოგად ენათმეცნიერებაში დაეთნოლოგიაში, 1933 წლიდან რეგულარულად იწყებს ლექციების კითხვას ქართულში, 1934 წლიდან კი – ძველ ნუბიურსა და მეროიტულში. 1949 წ. ის იენაში გადავიდა.

1935 წ. 1 აპრილს 62 წლის ასაკში ბაუმშტარკი თავს ანებებს სამსახურს და ბრუნდება ბონში. მისი მოღვაწეობის სფერო იმდენად ფართო იყო, რომ სცილდებოდა ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევის ჩარჩოებს, მაგრამ ორიენტალისტების ცნობიერებაში იგი სათანადოდ ვერ აღიბეჭდა, რადგან რუდი პარეტის (Rudi Paret) წიგნში „Arabistik und Islamkunde an deutschen Universitäten" ("არაბისტიკა და ისლამის კვლევა გერმანულ უნივერსიტეტებში") (1966) იგი მოხსენიებულიც არ არის.

გერმანიაში ქრისტიანული აღმოსავლეთმცოდნეობის მეორე საყრდენი იყო ადოლფ რეუკერი (Adolf Rücker) (1880-1948). ის იყო თეოლოგი და ახალი აღთქმის სპეციალისტი, მაგრამ აღმოსავლეთით დაინტერესებული, 1912-1914 წწ. იყო გოორგისის საზოგადოების სტიპენდიატი იერუსალიმში, იკვლევდა ეკლესიის ისტორიას, ქრისტიანულ არქეოლოგიას, ასწავლიდა კოპტურს და სომხურს, არაბულს და სირიულს*.

მესამე საყრდენი ქრისტიანული აღმოსავლეთმცოდნეობისა გერმანიაში და Orins Christanus–ისა უეჭველია იყო გეორგ გრაფი (Georg Graf) (1875-1955). მან გიმნაზიაში შეისწავლა არაბული, 1910-11 წწ. იყო იერუსალიმში გოორგისის საზოგადოების სტიპენდიატი, შემდეგ 1930 წლამდე (55 წლის ასაკამდე), მრავალ ქვეყანაში მოგზაურობისა და მრავალრიცხოვანი მნიშვნელოვანი პუბლიკაციების მიუხედავად, რიგითი სულიერი მამის სამსახურს ეწეოდა აუგსბურგში. იმავე წელს ის ჰონორარული პროფესორი გახდა ქრისტიანული აღმოსავლეთის ლიტერატურაში თეოლოგიის ფაკულტეტზე მიუხედავად უნივერსიტეტში. ამის შემდეგ უფრო კარგად შეეძლო მეცნიერულ მუშაობისათვის მიეძღვნა თავი (იხ. „ქრისტიანული არაბული ლიტერატურის" წინასიტყვაობა 1944). 1931 წლიდან კითხულობს ლექციებს: „წამყვანი ავტორები სირიული და ეგვიპტური ქრისტიანული ლიტერატურისა მე-8 საუკუნიდან", მეორე სალექციო კურსი იყო: „ძველი ქართული ტექსტების შესწავლა" ან, სურვილის მიხედვით, „შესავალი ძველ ქართულ გრამატიკაში" (კვირაში ერთი საათი). შემდგომ წლებში ქართულის კურსები და აღმოსავლური ლიტურგიის ისტორიის სხვა თემებიც იკითხებოდა: „საეკლესიო წელიწადი აღმოსავლურ რიტუალებში" ან უბრალოდ „საავადჯოებები ქრისტიანული აღმოსავლეთის შესასწავლად". ძირითადი თემა მისი კვლევისა– ქრისტიანული არაბული ლიტერატურა, აღარ არის წინა პლანზე. ის რამდენჯერმე

* მის მოღვაწეობას ჰ. ქაუხჩოლი დაწვრილებით აშუქებს, მაგრამ ჩვენ შემოკლებით მოგვყავს (თ.ჯ.).

ხანგრძლივი დროით მოშაობდა ვატიკანის ბიბლიოთეკაში, მისი ლექციები ყოველ სემესტრში არ ტარდებოდა. 1939 წ. მისი პედაგოგიური მოღვაწეობა მთავრდება, რადგან ნაციონალ-სოციალისტებმა თეოლოგიური ფაკულტეტი დახურეს. ამის შემდეგ უკვე 70 წლის გრაფი ლექციებს აღარ კითხულობდა.

ვილჰელმ ჰენგსტენბერგი (Wilhelm Hengstenberg) (1885-1963) მდიდარი ოჯახიდან იყო. ამის გამო საშუალება ჰქონდა, როგორც კერძო მკვლევარს, თავისი მეცნიერული ინტერესებისათვის დაეთმო დრო ისე, რომ აკადემიურ კარიერას არ გაჰყოლოდა. ის კრუმბახერის მოწაფე და ბიზანტინისტი იყო, მაგრამ მალე მისი ძირითადი თემა ქრისტიანული აღმოსავლეთის ენები გახდა. 1922 წელს მიუნხენში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია კოპტოლოგიაში და წაიკითხა მოხსენება: „მონოფიზიტური ეროვნული ეკლესიის შექმნა სირიასა და ეგვიპტეში“ (სფერო: ფილოლოგია და ქრისტიანული აღმოსავლეთი).

1922-1923 წწ. ზამთრის სემესტრში პირველად ჩნდება მისი სალექციო კურსები: „სირიული გრამატიკა“, „კოპტური ტექსტების კითხვა“, ფილოსოფიის ფაკულტეტის ისტორიის განყოფილებაზე – “V-VI სს. მონოფიზიტური მოძრაობის წყაროები”, “აღმოსავლეთ რომის ეკლესიის პოლიტიკა ქალკედონის კრებიდან ჰერაკლამდე”. ასევე კითხულობდა ქრისტიანული აღმოსავლეთის ენების შესავალს (კოპტური, სირიული, სომხური, ეთიოპური, მოგვიანებით, როცა გრაფი აღარ კითხულობდა, – ქართულიც). კოპტურის კურსი მიჰყავდა სვვე ბერგშტრესერს (Bergsträsser) (1886-1933), ეთიოპიურის თეო ბაუერს (Theo Bauer) (1896-1957), ეგვიპტურის ვილჰელმ შპილბერგს (Wilhelm Spielberg) (1870-1930) და ალექსანდრე შარფი (Alexander Scharff) (1892-1950).

ჰენგსტერბერგის მოწაფეები იყვნენ ალექსანდრე ბიოლიგი (Alexsander Böhlig) და იულიუს ასფალგი (Julius Assfalg). ამ დარგის მნიშვნელობაზე ომის შემდგომ წლებში ბიოლიგს საინტერესო სტატიები აქვს გამოქვეყნებული Oriens Christianus–ისა და ZDMG–ს ფურცლებზე (1963, 259-263).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიუნხენში სომხურსა და ქართულს ასწავლიდნენ ამ ენების წარმომადგენლები არტაშეს აბეღიანი (გადმოვიდა ბერლინიდან) და არჩილ მეტრეველი (1947 წლიდან როგორც უშტატო ლექტორი).

მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში ბევრმა აღმოსავლეთმცოდნემ და თეოლოგმა დაიცვა დისერტაცია ქრისტიანული აღმოსავლეთის პრობლემატიკაზე, რაც დღეისათვის იშვიათი მოვლენაა. აღმოსავლეთმცოდნე ტაუშერი მოგვიანებით წერდა, „ქრისტიანული აღმოსავლეთის არქეოლოგიას და ლიტერატურას [გერმანიაში] სამწუხაროდ ნაკლები ყურადღება ექცევაო“ (რიუკერის ნეკროლოგი, გვ. 159).

მეორე მსოფლიო ომის წინ ლიტერატურის კვლევის ასპარეზზე გამოვიდნენ აბაუმშტარკის მოწაფეები.

ჰიერონიმუს ენგბერდინგი (Hieronymus Engberdig) (1899-1969) ასწავლიდა ქრისტიანულ აღმოსავლეთმცოდნეობას მიუნხენში 1950-1959 წლებში. 1964 წელს ქრისტიანული აღმოსავლეთის კათედრის (რიუკერის ხელმძღვანელობით) ნაცვლად შეიქმნა აღმოსავლეთის ეკლესიების ისტორიისა და თეოლოგიის კათედრა, რომელზეც მოიწვიეს ჰოლანდიელი იოჰანეს გერჰარდუს რემერსი (Johannes Gerhardus Remmers), მაგრამ იგი უფრო მართლმადიდებლობით იყო დაინტერესებული.

იოზეფ მოლიტორმა (Joseph Molitor) (1903-1987) – 1928 წ. დისერტაცია დაიცვა ბაუმშტარკთან ბონში. ის ბონში ასწავლიდა 1951 წლიდან, ხოლო 1958-1970 წწ. ბამბერგში – ახალ აღმოქმას და ქრისტიანულ აღმოსავლეთმცოდნეობას.

პაულ კრიუგერი (Paul Krüger) (1904-1975) ბაუმშტარკის მოწაფე იყო, 1961-1964 წლებში ენგბერდინგის ადგილს იკავებს მიუნხენში.

სამიეე მათგანი Oriens Christianus–ის თანამშრომლები და თანაგამომცემლები იყვნენ. უნივერსიტეტის გარეთაც იყო მთელი რიგი თეოლოგებისა, ვინც ქრისტიანული აღმოსავლეთის საკითხებს იკვლევდა: გუსტავ დიტრიხი (1869-1947) (სიროლოგი), ჰუგო დუენსინგი (1877-1961) (ეთიოპიური და პალესტინური), კორად ლიუბეკი (1873-1952), კლემენს კოპი (1886-1967), იგნაც რიუკერი (1879-1957) და სხვ.

ამათი ზრუნვით ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევამ გერმანიის აღმოსავლეთმცოდნეობაში წონა და მნიშვნელობა შეიძინა. ალექსანდრ ბოელინგი (Alexander Böhling), ბიზანტინისტიკის პროფესორი ჰალეში, გერმანიის აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოების ფარგლებში (Deutsche Morgenländische Gesellschaft) ატარებდა სხდომებს და შექმნა სექცია „ქრისტიანული აღმოსავლეთი და ბიზანტია", რომელიც არსებობდა 1935 წ. რომში ჩატარებული აღმოსავლეთმცოდნეობის ინტერნაციონალურ კონგრესიდან მოყოლებული. პირველად ეს სექცია შეიკრიბა 1958 წელს გერმანელი აღმოსავლეთმცოდნეობის XIV კონფერენციაზე (იხ. Ernst Hammerschmidt, Oriens Christanus 43, 1959, 153-155).

გიოერესის საზოგადოება ხელს უწყობდა Oriens Christanus–ის გამოცემას და მას დიდი დამსახურება მიუძღვის ამ მხრივ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 1949 წ. კიოლნში შედგა პირველი გენერალური შეკრება და აღმოსავლეთმცოდნეობის სექცია ისევ აღდგა (ხელმძღვანელი ფრიდრიხ შტუმერი). 1951 წ. მიუნხენის გენერალურ შეკრებაზე სექციას სახელი გადაარქვეს და მას „ქრისტიანული აღმოსავლეთის შემსწავლელი სექცია" უწოდეს. ხელმძღვანელი გახდა ბიზანტინისტი ფრანც დოელგერი, 1952 წლიდან კი – გეორგ გრაფი, შემდეგ რიგრიგობით ენგბერდინგი, მოლიტორი და ასფალგი. გ. გრაფი სექციის სხდომაზე გამოვიდა მოხსენებით: „Corpus Serigtorum Christianorum Orientalium-ის მდგომარეობა და მიზნები", ფრიდრიხ ნოეტშერი კი: „ებრაელ ბერთა გაერთიანება და ქრისტიანობის დასაწყისი მკვდარი ზღვის აუზის ხელნაწერების მიხედვით".

მაგრამ ქრისტიანული აღმოსავლეთის შესწავლა ცალკე საგნად ვერ დამკვიდრდა გერმანიის უნივერსიტეტებში, განსხვავებით ბიზანტინისტიკისაგან, რომელიც მე-19 საუკუნის ბოლოდან კარლ კრუმბახერის (Karl Krumbacher) (1854-1909) მცდელობით გამოეყო კლასიკურ ფილოლოგიას და დამოუკიდებელ დისციპლინად იქცა.

1960 წ. ადამ ფალკენშტაინმა ორიენტალისტებთან ერთად აღმოსავლეთმცოდნეობის მდგომარეობის შესახებ გამოსცა სტატია, სადაც ქრისტიანული აღმოსავლეთი „სპეციალურ დისციპლინადაა" განხილული სემიტოლოგიის და ისლამის მცოდნეობის ჯგუფში. უცნაურია, რასაც აქ ვკითხულობთ: „ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევა ტერიტორიულად იმავე რეგიონს ეხება, რასაც ისლამისტიკა, მაგრამ ისლამური სამყაროს კვლევასთან შედარებით უკანა პლანზეა გადაწეული, რადგან ქრისტიანობა და ქრისტიანული ლიტერატურის ნიმუშები აღმოსავლეთში შეიწროებულია". აქ არ ჩანს მიზეზი იმისა, თუ რატომაა უნივერსიტეტში არასახარბიელო სიტუაცია ქრისტიანული აღმოსავლეთის შესწავლის მხრივ, არც რჩევა, რომ ხელი შეუწყონ ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევას. უფრო გასაგებია, რასაც Deutsche Morgenländische Gesellschaft წერს სტატიაში „გერმანული აღმოსავლეთმცოდნეობა 70-იან წლებში. მდგომარეობის ანალიზი, პერსპექტივები" (1972): „სხვა დარგების არსებობისთვისაც იბრძვიან, მაგრამ ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევამ დიდი ხანია არ იცის, რა არის მხარდაჭერა".

ბოლო ორი-სამი ათწლეულის განმავლობაში ქრისტიანულ აღმოსავლეთის კვლევა გერმანიაში ნაწილობრივ გაუმჯობესდა იმიტომაც, რომ ამ დარგის სპეციალისტებისთვისაც გამოჩნდა უნივერსიტეტებში ადგილები (ზოგადად ადგილების რიცხვი გაიზარდა), მაგრამ ეს ადგილები მყარი მაინც არ იყო და ზოგჯერ ვინმეს პენსიაზე გასვლის ან გარდაცვალების შემთხვევაში იკი აკარგებოდა.

ახალი დროიდან უნდა დავასახელოთ ზემოთ უკვე მოხსენიებული ალექსანდრ ბიოლიგი (Alexander Böhlig)(დაბ.1912), 1964 წლიდან თიუბინგენში, ქრისტიანული აღმოსავლეთის ენებისა და კულტურების პროფესორი და იულიუს ასფალგი (Julius Asfalg) (დაბ.1919)*, 1967 წლიდან ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის პროფესორი მიუნხენში. ორივეს მემკვიდრე კათედრის გამგის თანამდებობაზე უცხოელი აღმოჩნდა. 1965 წლიდან გიოტინგენში სირიული ეკლესიის ისტორიას იკვლევდა გერჰარ შტრომანი (Werner Strohmann) (1907), მრავალი გამოკვლევის ავტორი, შემდგენელი ბიბლიის კონკორდანსისა სირიულ ენაზე და სხვ. მისი ადგილი დაიკავა ვოლფგან ჰაგემ (Wolfgang Hage) (1935), შემდეგ კი ფინელმა იუკო მარტიკაინენმა (Jouko Martikainen).

გდრ-ში ქართველოლოგიაში მუშაობდნენ გერტრუდ პეჩი (Gertrund Pätsch) (1910)*, ენათმეცნიერ ფერდინანდ ჰესტერმანის (Frdinand Hestermann) მოწაფე და ჰაინც ფენრიხი (Hainz Fähnrich) (ორივე იენაში, იქაური ქართველოლოგიურ ცენტრში), ასევე ჰერმან გოლცი (Hermann Goltz) (მართლმადიდებლური ეკლესია) იკვლევს სომხურს ხაალის ჰალეში. ასევე ჰალეში მოეღ ქრისტიანულ აღმოსავლეთს წარმოადგენს პეტერ მაგელი (Peter Magel).

წვლილი, რომელიც თანამედროვე ორიენტალისტებს და თეოლოგებს შეაქვთ ქრისტიანულ აღმოსავლეთის კვლევაში, სამწუხაროდ, დიდი არ არის*.

სამწუხაროა ასევე, რომ ცოტა თეოლოგი თუ მუშაობს ქრისტიანული აღმოსავლეთის საკითხებზე მეცნიერულად. ალბათ ეს მხოლოდ დროის სიმცირის კი არა, ინტერესის ნაკლებობის ბრალიც უნდა იყოს.

## Oriens Christianus-ის ისტორიისათვის

ჟურნალი რომში დაარსდა და ამიტომ პირველ ხანებში უფრო მეტად ა. ბაუმშტარკის იქაური ნაცნობები აქქვეყნებდნენ მასში სტატიებს. მაგ., ეკლესიის და სამართლის ისტორიკოსი ემილ გიოლერი (Emil Göller), ისტორიკოსი და მერე ლოზანის ეპისკოპოსი მარიუს ბესონი (Marius Besson), ახალი აღთქმის სპეციალისტი მიხაილ ჰეერი (Michail Heer), თეოლოგი ჰაინრიხ კარლ შეფერი (Hainrich-Karl Schäfer), ხელოვნებათმცოდნე აუგუსტინ შტეგენსეკი (Augustin Stegensek), არქეოლოგი კარლ მარია კაუფმანი (Karl Maria Kaufmann), იოზეფ ზაუერი (Joseph Sauer), იოზეფ დოელგერი (Joseph Dölger) და სხვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია იოზეფ სტრიგოვსკი (Jozeph Strzygowski), რომელიც ხაზს უსვამდა დასავლური ხელოვნების წარმოშობის საკითხში აღმოსავლეთის როლს*. მან გაუღვიძა ბაუმშტარკს ინტერესი ხელოვნებისადმი, რაც შემდეგ ბაუმშტარკის ბევრ სტატიაში გამოჩნდა. საკითხში „აღმოსავლეთი თუ რომი“ მათ ეკამათებოდა იოზემფ ვილპერტი (Joseph Wilpert) (არქეოლოგი და იკონოგრაფი).

ჟურნალში სტატიებს აქვეყნებდნენ ჯოვანი მარკატი (Giovanni Marcati), მარიანო უგოლინი (Mariano Ugolini), აურელიო პალმიერი (Aurelio Palmieri), კარლ ბეტოლდი (Carl Betold), ალბერტ ერჰარდი (Albert Erhard), ცნობილი პატროლოგი და თეოლოგი ოსკარ ბრაუნი (Oskar

---

* ამ სტატიის დაწერის დროს იასფალგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, იგი გარდაიცვალა 2001 წელს (თ. ჭ.).

* გაჰენი გარდაიცვალა 199 წელს (თ. ჭ.).

* ჰ. კაუფჰოლდი ჩამოთვლის რამდენიმე აღმოსავლეთმცოდნეს გერმანიის უნივერსიტეტებს გარეთაც (თ. ჭ.).

* მას ეკუთვნის ნაშრომი სომხური არქიტექტურის შესახებ „Die Armenische Baukunst“ 198... ბევრ საკითხში მის მოსაზრებებს არ იზიარებდა ნ.მუბანიშვილი (თ. ჭ.).

Braun), ჰაინრიხ გუსენი (Hainrich Goussen), პაულ ვეტერი (Paul Vetter), გერჰარდ გიტმანი (Gerhard Gietmann) და სხვები*.

ამ ავტორთა შორის პირველად უნდა მოვიხსენიოთ თვითონ ა. ბაუმშტარკი, რომელსაც 36-ე ტომამდე (1941) ან 37-ე ტომამდე (1953) თითქმის 150 სტატია აქვს გამოქვეყნებული (გარდა მრავალრიცხოვანი რეცენზიებისა). გამოტოვებული აქვს მარტო 29-ე ტომი (1932), რომელიც მის 60 წლის იუბილეს მიეძღვნა) და მე-8 ტომი (1908), როცა მასწავლებლის ადგილი მიიღო და ჟურნალის ხელმძღვანელობა დაამო.

სამი ტომის გამოცემაში მას შეენაცვლა ფრანც იოზეფ კიოლნი (Franz Joseph Cöln). ამ დროს მრავალფეროვნება ნაკლები იყო, იბეჭდებოდა შედარებით მცირეოდენოვანი, მაგრამ ვრცელი და საინტერესო სტატიები (მე-9 ტომიდან ბაუმშტარკი დაუბრუნდა ძველ სტილს). ეს სტატიები ზოგი თვითონ კიოლნისაა, ზოგიც მის ბინელ და ბერლინელ კოლეგებს ეკუთვნის.

ჟურნალის მთავარი მიზანი იყო აღმოსავლეთის ქრისტიანული ლიტერატურისა და ხელოვნების, მისი ეკლესიის ისტორიის, ლიტურგიის, საეკლესიო სამართლის კვლევა, დასავლეთთან მისი ურთიერთობის ისტორიის შესწავლა, ასევე დასავლეთის საეკლესიო წრეებში აღმოსავლეთმცოდნეობის კვლევის ისტორიის შესწავლა. ეს უნდა ყოფილიყო წმინდა მეცნიერული კვლევა, გვერდითი მიზნების გარეშე – ეთიოპიური, კოპტური, არაბული, სომხური, ბერძნული, სლავური, სირიული ტექსტების პუბლიკაცია, ქრისტიანული აღმოსავლეთის ხელოვნების მიმოხილვა. გარდა ვრცელი გამოკვლევებისა, ქვეყნდებოდა მოკლე ცნობები, რეცენზიები მნიშვნელოვან გამოცემებზე, პერიოდულ ლიტერატურაზე. არაბერძნული ტექსტების პუბლიკაციებს რეგულარულად ახლდა თარგმანები. სტატიების ენა იყო გერმანული, ინგლისური, ფრანგული, იტალიური და ლათინური.

ბაუმშტარკი უჩიოდა ფინანსური დახმარების ნაკლებობას. 1911წ იწყება ჟურნალის მეორე სერია. Oriens Christianus დიდი მოლაპარაკებების შემდეგ Compo Santo–საგან გადაეცა გიორგისს საზოგადოებას, „რომელიც თავიდნვე უწევდა ჟურნალს ფინანსურ დახმარებას. ფინანსური სიძნელეების თუ უთანხმოების გამო ჟურნალი აღარ იბეჭდებოდა Propagande Fide–ს სტამბაში, არამედ ლაიფციგში, და მის გამოცემას მეთვალყურეობდა ოტო ჰარასოვიცი. 1911 წლიდან (ტ. 9) კვლავ ბაუმშტარკმა ითავა ჟურნალის გამოცემა. ჟურნალ „Byzentinische Zeitschrift“-ში ა. ჰაიზენბერგი წერდა: „პროგრამა კვლავ ძველი რჩება, მაგრამ ქრისტიანული ხელოვნების ისტორია და არქეოლოგია ადრინდელზე მეტად იქნება გათვალისწინებული, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ცნობებს ახლად გამოსული ლიტერატურის შესახებ”. ბაუმშტარკი ეყრდნობოდა თავის ძველ ნაცნობებს რომში, მაგრამ ახალი თანამშრომლებიც შეიძინა: გეორგ გრაფი (Georg Graf) და ადოლფ რიუკერი (Adolf Rücker).

აღსანიშნავია თეოდორ კლუგე (Theodor Kluge), რომელიც ერთი იმ მცირეთაგანი იყო, ვინც მაშინ ქართულ მასალაზე მუშაობდა. არ უნდა დავკვიწყდეს ასევე საქსონიის უკანასკნელი მეფის ვაჟი, პრინც მაქსის ძმა, რომელიც ხელოვნების ისტორიის საკითხებზე და აღმოსავლეთში თავის მოგზაურობებზე წერდა. ზოგჯერ ეს ნაკლებ მეცნიერული იყო, მაგრამ საზოგადოებრივად ნაკლებ ერესო.

Or. Chr. თავისი დაარსების ისტორიის შესაბამისად კათოლიკური მიმართულების იყო, ავტორთაგან ბევრი გიორგისს საზოგადოებას ეკუთვნოდა. ბრუნო ქირშნერის (Bruno Kirschner) და იგნაც გოლციჰერის (Ignaz Golziher) სახითჟურნალს ებრაელი ავტორებიც შეემატნენ, შემდეგ პროტესტანტი მკვლევარები: ალფრიდ რალფსი (Alfrid Rahlfs ) (გიოტინგენი), პანს ლიტმანი (Hans Lietmann) (ბერლინი), ვილი ლუდკე (Willy Lüdke) (ქილი/ჰამბურგი), გუსტავ დიტრიხი (Gustav Diettrich), ამ უკანსკნელს ბაუმშტარკი ჯერ ძალიან აქებდა, მერე კი აკრიტიკებდა.

---

* სტატიის ამ ნაწილში დაწერილებითაა ჩამოთვლილი და დახასიათებული ჟურნალის იმდროინდელი ავტორები. ამ ნაწილს წეუნ საგრძნობლად ვამოკლებთ. (თ. ჭ.).

ასევე აკრიტიკებდა ბაუმშტარკი ხელოვნებათმცოდნე იოჰანეს რაილსაც (Johannes Rail), რადგან ამ უკანასკნელმა იერუსალიმის მარკოზის მონასტრის ხელნაწერის მინიატურებზე დაწერა სტატია, რასაც ბაუმშტარკიც აპირებდა. საერთოდ ბაუმშტარკი ვერ იტანდა, როცა ვინმე არ იმოწმებდა ან არ უთანხმებოდა. ამ დროს თვით მისი სტატიები ძნელი წასაკითხი იყო, განსაკუთრებით – არაგერმანელი მკითხველთათვის. მისი რთული და გადატვირთული წინადადებების წაკითხვა გერმანელებსაც კი უჭირდათ. პირადი მიზეზი უნდა ჰქონოდა იმასაც, რომ გიორგისის საზოგადოებასთან მჭიდროდ დაკავშირებულ კონრად ლიუბეკს (Konradr Lüberck) არაფერი დაუბეჭდავს "Or. Chr."-ში, შეიძლება იმიტომაც, რომ ისგიორგისის საზოგადოებამ 1909 წელს ბაუმშტარკის ნაცვლად გაგზავნა იერუსალიმში. იგივე ითქმის ლეო ლაიფელის (Leo Laifeli) შესახებაც. ის თავის წიგნში ბაუმშტარკს საერთოდ არ ახსენებს. ბაუმშტარკიც მხოლოდ გაკვრით მოიხსენიებს მის წიგნს თავის სტატიაში.

Or. Chr.-ში პროგრამის მიხედვით, სლავური და ბერძნული ეკლესიებიც უნდა შესულიყო. მაგრამ სლავისტიკაზე სტატიები არ დაბეჭდილა, ცოტაა ბერძნულზეც. ეს განსაკუთრებით შეეხება მესამე სერიას (Bond 23, 1927). გამომცემლები მიუთითებენ, რომ Patrologia Orietalis და Corpus Serigtorum Christianorum Orientalium–ის გამოცემის გამო ტექსტების პუბლიკაცია Or. Ch.–ში ნაკლები იქნება, ბერძნული მასალისთვის არსებობს Byzantinische Zeitschrift–ის ლიტერატურული ნაწილი, და სლავურ აღმოსავლეთსაც ნაკლებად გაითვალისწინებენ. სტატიები და ლიტერატურული ცნობები 23-ე ტომიდან შეეხება „არაეროპულ ქრისტიანულ აღმოსავლეთს". თუმცა აქა-იქ ბერძნული თემატიკა მაინც ჩანს, განსაკუთრებით წიგნების მიმოხილვაში.

მესამე სერიის ბოლომდე (ტ. 36, 1941) დაცული იყო ტომების დაყოფა სამ ნაწილად: ტექსტები და თარგმანები, სტატიები, რეცენზიები/ცნობები და სხვა. ტექსტის გამოცემების შეზღუდვასთან დაკავშირებით 23-ე ტომიდან (1927) სტატიებმა იმატა.

ჟურნალის მნიშვნელოვანი განყოფილება თავიდანვე ეთმობოდა წიგნების მიმოხილვას და ასე დარჩა დღემდე. ცნობებს გამოსული ლიტერატურის შესახებ თავიდან ბაუმშტარკი წერდა. 27-ე ტომიდან (1930) ეს თავისთავზე აიღო ვილი ჰეფინინგმა (Willi Heffining). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ტრადიცია განახლდა, მაგრამ მალე ლიტერატურული ცნობები საერთოდ შეწყდა და მათი ადგილი დაიკავა ბიბლიოგრაფიამ ცალკეული აღმოსავლური ენების შესახებ.

მეორე სერიის სამი ტომი იყო გამოცემული, როცა პირველი მსოფლიო ომი დაიწყო. ომი და ეკონომიკური პრობლემები ჟურნალსაც სირთულეებს უქმნიდა. მაგ. 1917 წ. ტომი საერთოდ არ გამოსულა, სამაგიეროდ, რიგი რომ დაეცვათ, 1918 წ. ორი ტომი გაერთიანდა მხოლოდ ნუმერაციით 915/16), მოცულობით კი ის წინა ტომების ნახევარი იყო. შემდეგი (1920) კიდევ უფრო თხელია. 1923 წ. ვრცელი ორმაგი ტომი გამოდის დამატებით "1920/21 წლებისათვის", ხოლო 1925 წ. – სამმაგი ტომი „1922/24 წლებისათვის". ეს იყო ცდა, ფორმალურად მაინც დაეცვათ ტომების ყოველწლიური გამოცემის ნუმერაცია. შემჭიდროვდა ბიბლიოგრაფიული ცნობებიც, რადგან ომის წლებში ახალი გამოცემები, განსაკუთრებით უცხოური ჟურნალები, ნაკლებად მიეწოდებოდათ. შემდეგშიც ჰეფენინგი (Heffening) ჩივის, რომ უცხოური ლიტერატურა ნაკლებ ხელმისაწვდომია, რაც ბიბლიოთეკების ცუდი ფინანსური მდგომარეობის ბრალიცაა (Or. Chr. 28, 1931, 120)

1925 წელს გიორგისის საზოგადოებამ გადაწყვიტა მომდევნო წლიდან Or. Ch.–ისთვის ახალი საფუძველი ჩაეყარა. იწყება მესამე სერია. ბაუმშტარკი გამოსცემს ჟურნალს რიუკერთან და გრაფთან ერთად, მაგრამ, როგორც ბაუმშტარკი წერს, მთავარი დატვირთვა რიუკერზეა (Or. Chr. 30, 1933, 98). 1927 წ. გამოდის ორი ტომი (მათ შორის ერთი 1926 წლისთვის), 1928 და 1929 წლებისა გადადის 1930 წ. ორმაგ ტომზე, შემდეგმერე 1938წ.-მდე გამოცემა რეგულარულია.

მესამე სერიაში ბევრი ავტორი აქვეყნებს პუბლიკაციებს: თვითონ მოულოდნელი ბაუმშტარკი, რიუკერი, გრაფი ალგაიერი, გუსენი და ჰეფენინგი, ხშირად იბეჭდება გრიგოლ ფერაძე (ლექტორი ბონში, შემდეგ ვარშავაში). გათხრების შესახებ ცნობებს აქვეყნებენ არქეოლოგები ა.ე. მოდერი, ა.მ. შნაიდერი, ი.გ. ზაქსენი, ჰ. შმიდტი, ი. ქაილი, ი.ე. პოვერი და სხვები.

ჟურნალში წერილების ბეჭდვას იწყებენ ბაუმშტარკის მოწაფეები: მოლიტორი, კრიუგერი, ენგბერდინგი და პეეტერსი. იბეჭდება კლასიკური და აღმოსავლური ფილოლოგიის მკვლევარის პაულ კესილინგის დისერტაციაც (ბონი), ასევე გერჰარდ ბაიერის დისერტაცია, რომელიც მან გუსენთან დაიცვა, მაგრამ ბაუმშტარკის ხელშეწყობით.

ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში ჰეფენინგის გვერდით ჩანან სხვა აღმოსავლეთმცოდნეებიც: მაქს ჰორტერი, ერნო ლიტმანი, ანტონ შპიტალერი და სხვები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ენათმეცნიერი და ქართველოლოგი გერჰარდ დეეტერსი (1935 წლიდან ბონში). ჟურნალში სტატიებს აქვეყნებენ ბენედიქტელებიც, რომლებთანაც ბაუმშტარკს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა.

1932 წ. გამოვიდა ბაუმშტარკის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, რომელშიც მისმა ბევრმა მოწაფემ მიიღო მონაწილეობა. ამ საიუბილეო კრებულმა კიდევ უფრო გააფართოვა თანამშრომელთა წრე, მაგ., ბონიდან მიემატნენ პაულ კალე (Paul Kahle) და ერიკ პეტერსონი (Erik Peterson), ოტო შპისი (Otto Spies), რაფაელ ედელმანი (Raphail Edelmann) და ა.შ. კრებულში მონაწილეობა მიიღეს უცხოელმა კოლეგებმაც ვატიკანიდან და პარიზიდან. მაგრამ უცხოელი ავტორები ჟურნალში მაინც იშვიათად იბეჭდებოდნენ*.

36-ე ტომის I ნაკვეთი 1941 წ. პირველ ნახევარში გამოიცა. სიმართლეს არ შეესაბამება ზოგიერთი ავტორის მტკიცება, მაგ. გ.გრაფის (Or. Chr. 37, 1953) და ჰამერშმიტისა (Or. Chr. 48, 1964), თითქოს მეორე ნაკვეთი აღარ დაბეჭდილა. ისიც გამოიცა შესაბამისი სატიტულო ფურცელით, სამი ნაწილით და სარჩევით. მაგრამ ომის გამო ყველგან ვერ გაგზავნეს, ისე რომ თანაგამომცემლებსაც კი ვეღარ მიაწოდეს. ამის შემდეგ ჟურნალის გამოცემა შეწყდა. ეს დაკავშირებული იყო ომის დაწყებასთან ან1941 წ. გიორესის საზოგადოების აკრძალვასთან.

ბაუმშტარკს ალბათ იმედი ჰქონდა, რომ ჟურნალი კვლავ გამოვიდოდა, რადგან 1941 წელს ეურინგერს უკან არ დაუბრუნა დასაბეჭდად მიტანილი სტატია. ჟურნალის განახლებას იგი სამწუხაროდ ვეღარ მოესწრო.

ბაუმშტარკი 1948 წლის 31 მაისს, გარდაცვალებამდე 3 თვით ადრე, გამოვიდა თავისი ჟურნალის მხარდასაჭერად კიოლნში გიორესის საზოგადოების აღდგენასთან დაკავშირებულ სხდომაზე. Or. Chr.–ის თანამშრომელი, მაშინდელი გენერალური მდივანი ალგაიერი ომის შემდეგ 1949 წ. კიოლნში საზოგადოების I შეკრებაზე აცხადებს ამის შესახებ: „ვინც 1948 წლის მარტში ქიოლნის სხდომაზე იყო, ვერ დაივიწყებს ბაუმშტარკს. ის იყო ჯიუტი, მაგრამ აღფრთოვანებული და აღიარებული წარმომადგენელი თავისი დარგისა, რომელმაც ქრისტიანული აღმოსავლეთის სფეროში Oriens Christianus იშვიათი აღიარების ჟურნალად აქცია, და რომლისთვისაც აღდგენა და გაგრძელება დარღვეულ თანამედროვე ყოფაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო“ (ცნობა 1949, კიოლნი, 1950, 14). მაგრამ Or. CHr.–ის აღდგენა მხოლოდ 1951 წ. მიუნხენის გენერალურ შეკრებაზე გადაწყდა. გამომცემლებად აირჩიეს ხელოვნების ისტორიკოსი ა. შნაიდერი და ჰ. ენგბერდინგი. შნაიდერის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ მისი ადგილი დაიკავა უკვე 77 წლის გ. გრაფმა. რედაქტორები იყვნენ ენგბერდინგი და მოლიტორი (გრაფმა გამოსცა მე-4 სერიის 37-ე ტომი).

Byzantinische Zeitschrift-ში იბეჭდება ცნობა. ფრანც დიოლგერი წერს (ტ. 47, 1954, 281): „ჩვენი კვლევის მონათესავე ჟურნალის Oriens Christianus–ის აღდგენას გულწრფელი

* ჰ.ქაუფჰოლდი ჩამოთვლის ამ უცხოელ ავტორებს და ახასიათებს მათ. (თ. ჭ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიხარულით მივესალმებით. ქრისტიანული ახლო აღმოსავლეთის შესწავლის ბაუმშტარკის და ა. რიუკერის ხელმძღვანელობით დიდი დამსახურების მქონე ჟურნალის გამოცემა 1941 წ. ომის პირობების გამო შეწყდა. გიორგის საზოგადოების გაბედული, მაგრამ, ვიმედოვნებთ, წარმატებული გადაწყვეტილება, რომ ისევ აღადგინოს ეს ორგანო, რომელსაც მეცნიერული ავტორიტეტის მიხედვით, ტოლი აშვიათად მოეპოვება. ის, რომ გამომცემელი გ.გრაფია, ხოლო პ. ჰიერონიმუს ენგბერდინგი და იოზეფ მოლიტორი – რედაქტორები, იმედს გვაძლევს, რომ Or. Chr. ბაუმშტარკის დანერგილი ტრადიციით განაგრძობს მუშაობას და კვლავ ძველ საპატიო ადგილს დაიკავებს სამეცნიერო ჟურნალებს შორის".

1953 წლიდან თითო რვეული გამოდის და პირველი ტომები საკმაოდ თხელია. გამონაკლისია ტ. 48 (1964), დაახლოებით 300 გვერდი, რომელიც ეძღვნება ენგბერდინგის 65 წლისთავს. ამის შემდეგ ჟურნალის მოცულობამ მხოლოდ 1967 წელს გადააჭარბა 160 გვერდს, მაგრამ მუდამ აღარ გაფართოებულა. გ.გრაფი წერდა: „ფინანსური სირთულეების გამო დაეგემილია, რომ Or. Chr. ამიერიდან შესაძლებლობის მიხედვით ცალკე რვეულებად გამოვცეთ, იმედია, ყოველ წელს გამოიცემა თითო რვეული".

ჟურნალი კვლავ ჰარასოვიცის გამომცემლობაში გამოდიოდა, რომელიც ლაიფციგიდან ვისბადენში გადავიდა.

გ.გრაფის სიკვდილის შემდეგ (1955 წ.) ადრინდელი რედაქტორები გამომცემლებად იქცნენ. ენგბერდინგისადმი მიძღვნილი საიუბილეო ტომი 1964 წ. მოამზადეს ე. ჰამერშმიდტმა, პაულ კრიუგერმა და იოზეფ მოლიტორმა. 1965 წლიდან ენდბერდინგის ადგილი დაიკავა ი. ასფალგმა.

დიდი ხნის მანძილზე Or. Chr.–ის ხასიათს განსაზღვრავდნენ ენგბერდინგი და მოლიტორი, პირველი – ლიტურგიის ისტორიის შესახებ სტატიებით, მეორე – ნაშრომებით ქართული, სომხური და სირიული ბიბლიის ტექსტების ისტორიის შესახებ. ჟურნალის განახლებიდანვე მისი თანამშრომელი იყო მიხეილ თარხნიშვილი (მაშინ რომში), რომელიც ქართველ კათოლიკეთა ორდენს ეკუთვნოდა, ასევე კოპტოლოგი მარია კრამერი (Maria Cramer), თეოლოგი არტურ ვობიუსი (Arthur Vöbus), ხშირად ედმუნდ ბეკი (Edmund Beck) და ერნსტ ჰამერშმიდტი (Ernst Hammerschmidt).

განსაკუთრებით გაფართოდა თანამშრომელთა რიცხვი. მათ სახელებსაც კი ვერ ჩამოვთვლით. ჟურნალთან თანამშრომლობდნენ მეცნიერები აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. სტატიათა შინაარსის მიხედვით ჟურნალის ძირითადი მიმართულების დადგენაც რთულდება, სტატიებს ისევ სხვადასხვა ენებზე ბეჭდავენ (ასე არ იყო სხვა გერმანულ ჟურნალებში, სახღვარგარეთ ასეთია მხოლოდ „Le Museon"). ბოლო დროს გამოიკვეთა, ცალკეული სფეროები დამოუკიდებლობა გახადონ, საკუთარი ჟურნალების, კონგრესების და სამეცნიერო გაერთიანებების შექმნისაკენ სწრაფვა.

1953 წლიდან რეგულარულია რუბრიკა „ნეკროლოგები" და „პერსონალია".

* * *

Or. Chr.-ის სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული ა. ბაუმშტარკის სახელთან, მაგრამ ასევე ვერ დავაშორებთ მას იულიუს ასფალგის სახელსაც. ამას დასტურებენ უბრალო ციფრები. თუ რამდენიმე ტომად გამოცემულ წლიურ ჟურნალებს ცალ-ცალკე დავიანგარიშებთ, ბაუმშტარკს გამოცემული აქვს 28 ტომი, ალსფალგს წელს გამოსული 73-ე ტომის ჩათვლით 25 ტომი ეკუთვნის. მას ცოტათი გადააჭარბა მოლიტორმა – 26 ტომი. უკვე აქედანაც ჩანს, რამდენი დრო და ენერგია დახარჯა მან Or.Chr.–ის გამოცემაზე, – ეს იმ სტატიების, რეცენზიებისა და ცნობების გარდა, რაც მან გამოაქვეყნა. მისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანია სტატიები პერსონებზეც, რომელთაც წლების მანძილზე უკეთებდა რედაქციას. აქედან ჩანს, რომ მისთვის მარტო მეცნიერული მოვლენები კი არ იყო მნიშვნელოვანი, არამედ პირადი კონტაქტებიც კოლეგებთან. სწორედ მისი დამსახურებაცაა, რომ Or. Chr.–მა შეიძინა მრავალრიცხოვანი თანამშრომელი ქვეყნის შიგნით და გარეთ. ის იზიდავდა ახალგაზრდა მკვლევარებს ჟურნალში მონაწილეობის მისაღებად და ამხნევებდა მათ რეცენზიების დასაწერად. მას კარგად ესმოდა ქრისტიანული აღმოსავლეთის შესახებ გერმანული მეცნიერების არამყარი მდგომარეობა, რაზეც ზემოთაც იყო ლაპარაკი და საჭიროდ მიიჩნევდა ხელი შეეწყო თეოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ენათმეცნიერების და სხვა დარგების წარმომადგენელთა ყველა წამოწყებებისთვის და გაემხნევებინა ყველა, ვინც დაინტერესდებოდა ქრისტიანული აღმოსავლეთის ენებით. ის ყოველთვის მზად იყო ჩაეტარებინა ლექცია-სამინარები, თავისი სავალდებულო საათების გარდაც, სხვადასხვა აღმოსავლურ ენასა და ლიტერატურაში, თუკი ამისი მოთხოვნილება არსებობდა. ასეთი მოთხოვნილება კი ყოველთვის იყო. პენსიაზე გასვლის და მისი შემცვლელი პირის დანიშვნის შემდეგაც არაფერი შეცვლილა: ის ერთ-ერთ ბოლო სემესტრში 4 საათიანი სავალდებულო დატვირთვის ნაცვლად 12 საათზე ნაკლებს არ ატარებდა კვირაში. ასეთი მოთხოვნილება მის ლექცია-სემინარებზე აიხსნება არა მარტო მისი ფართო ცოდნით, არამედ მისი უზადო თავაზიანობითაც და მოთმინებითაც. არავის არ ჰქონდა შიში იმისა, რომ გაიგრძებდა თუნდაც ერთ არათავაზიან სიტყვას, თუ კი ვინმე უდროობის გამო ვერ მოემზადებოდა (რაც ამ სპეციალობის დამატებით საგნად არჩევისას განსაკუთრებით ხშირად ხდება ხოლმე). ყველაფერს საფუძვლიანად, რამდენჯერაც საჭირო იყო, თავიდან ახსნიდა. ასფალგისთვის არაფერი იყო ელიტარულ მანერულობაზე უფრო უცხო. სწორედ მისი ასეთი გულითადი დამოკიდებულების გამო ბოლომდე გაძლო მისმა ბევრმა მოწაფემ, რომლებიც სხვა შემთხვევაში ადრე თუ გვიან თავს დაანებებდნენ ლექცია-სემინარებს. სხვა უნივერსიტეტებისა და კოლეჯების სტუდენტებიც ხშირად მიმართავდნენ მას დახმარებისათვის და რჩევისათვის. მხოლოდ ასე შეიძლება ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევის გაგრძელება და აღორძინებაც კი. ამ საგნის მდგომარეობის გათვალისწინებით საჭიროა მცირერიცხოვანი პროფესორების ადგილების განაწილების შემთხვევაში გათვალისწინებული იქნეს არა მარტო გამოქვეყნებული შრომების სია, არამედ, უპირველეს ყოვლისა, უნარი, რომ კი არ შეაკრთონ სტუდენტები, არამედ თანაუგრძნონ, ანგარიში გაუწიონ, გამოეხმაურონ მათ სურვილებსა და მოთხოვნებს, გააშხვეონ ისინი და კი არ შეაშინონ, ხელი შეუწყონ. აქ მოკრძალებით შეიძლება აღვნიშნოთ: შესაბამის ფაკულტეტებს ზოგჯერ ამ კუთხით ბოლო წლებში აკლდათ შესაფერისი ხელი. ერთგვარი შიშით უნდა ველოდეთ ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევის გაგრძელებას და ამასთანავე ჟურნალ Or. Chr.–ის, ისევე როგორც გიორგისის საზოგადოების შესაბამისი სექციის მომავალს.

შეიძლება უჭველოა, რომ ჟურნალი მთლიანად ზუსტად 70 ტომს მოიცავს. მაგრამ ეს რიცხვი კარგად მიესადაგება იულიუს ასფალგის 70 წლის იუბილეს 1989 წლის 6 ნოემბერს. მას, ჩემს პატივცემულ მასწავლებელს, ვუძღვნი ამ ტომს. ვუსურვებ მას და Oriens Christanus–ს კიდევ მრავალი წლის სიცოცხლეს!

ციალა ჟურციკიძე

# ბოდლე №1
## ჰაგიოგრაფიული კრებული (XI ს.)

ბოდლეს ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდში (ოქსფორდი) დაცულია XI საუკუნის ქართული ხელნაწერი (Bodle 1), რომელიც გადაწერილია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მაშენებლის, პროხორეს მიერ. ხელნაწერი, როგორც მისი გადამწერი ბოლოს დართულ ანდერძში აღნიშნავს, წარმოადგენს „წმიდა მოწამეთა წიგნს" ანუ ჰაგიოგრაფიულ კრებულს.

ხელნაწერი, როგორც ადრეც ეწერდით[1], ჩატანილია იერუსალიმიდან ინგლისში მანამდე, სანამ იერუსალიმის ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერებს შესასწავლად ვინმე შეეხებოდა. ამიტომაა, რომ იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა დღევანდელ კოლექციაში მისი არსებობის კვალი საერთოდ არ ჩანს.

ხელნაწერი აღწერა პ. პეეტერსმა[2]. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება ამ ხელნაწერის ფოტოასლი (RT XVIII, №4). იმის გამო, რომ პ. პეეტერსის აღწერილობა დღეისათვის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, რომ ამ აღწერილობაში მოწესე დედების „ცხოვრებათა" ნაწილში ოთხი თხზულების დასახელება გამორჩენილია და, რაც მთავარია, ამ ხელნაწერთან დაკავშირებით დღეისათვის დიდძალი ბიბლიოგრაფიული მასალა დაგროვდა (ზოგი ტექსტი გამოქვეყნდა კიდეც), მიზანშეწონილად ვცანით, სამეცნიერო წრეებისათვის მისი ახალი აღწერილობა მიგვეწოდებინა.

რაკი ჩვენ ხელთ ფოტოასლი გვაქვს და არა თვითონ ხელნაწერი, ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით პ. პეეტერსის აღწერილობას დავესხსხებით.

ხელნაწერი შდეგება 500 ფურცლისაგან, ნაწერია ტერატზე (39X29) კალიგრაფიული ნუსხურით, ორ სვეტად. სათაურები ძირითადად შესრულებულია მთავრული ასოებით. გვხვდება ნუხხურად ნაწერი სათაურებიც და უსათაურო ტექსტებიც. მთავრულითაა შესრულებული აგრეთვე აბზაცის დასაწყისებიც. დღეისათვის ხელნაწერში 54 თხზულებაა. ხელნაწერი ორ ნაწილად იყოფა. პირველ ნაწილში შეტანილია როგორც ჰაგიოგრაფიული, ისე ჰომილეტიკური მასალა (37 თხზულება, 1-425 ფფ.), ესაა მენოლოგიონი წლის პირველი ნახევრისა მარტიდან აგვისტომდე. მეორე ნაწილი კი (17 თხზულება, 425-500 ფფ.) მოწესე დედათა „ცხოვრებებს" შეიცავს და ასედაცაა დასათაურებული: „ცხორებანი წმიდათა და სანატრელთა მოწესეთა და მოღუაწეთა დედათანი" (524v).

ხელნაწერს აქვს რვეულებრივი პაგინაცია, შედგება ად (64) რვეულისაგან. ხელნაწერი შიგნით ნაკლულია: აკლია ფურცლები 112-113 ფურცლებსა და 264-265 ფურცლებს შორის. პირველ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი წმ. გიორგის „საკვრველებათა" ბოლო ნაწილი და „ქრისტეფორეს წამების" დასაწყისი ნაწილი (ერ რვეული), მეორე შემთხვევაში კი – ორი თხზულება წმ. კვირიკესა და ივლიტასი და წმ. მარინას „წამებები"[3] მთლიანად და ათენაგენას წამების" დასაწყისი ნაწილი (ლე-ლვ რვეულები).

„კონონის წამებას" წინ უძღვის გადამწერის მიმართვა ღვთისადმი: „უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩემო, შეგვწყალენ ჩუენ და წარგვმართე, ამენ".

---

[1] ც. ჟურციკიძე, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აშენებლის, პროხორეს, მიერ გადაწერილი ხელნაწერი და მისი ანდერძი, ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული, თბ., 1997, გვ.101-104.

[2] P. Peeters, De codice Hiberico Bibliothecae Bodleianae, Analecta Bollandiana, t.XXXI, 1912, Bruxelles, Pariz, pp.301-340

[3] პ. პეეტერსის ცნობით, ამ ორი თხზულების ტექსტის ამ ადგილას არსებობა ტექსტის პირველ გვერდზე ხელნაწერის ზანდუკში, ყოფილა დაფიქსირებული. ფოტოასლში ეს გვერდი არ ჩანს. პ. პეეტერსი „მარინას წამების" ნაცვლად „მარკოზ მახარებელის წამებას" ახსენებს, რაც სწორი არ უნდა იყოს: „მარკოზის წამება" აპრილის თვის საკითხავია, „მარინას წამება" კი 17 ივლისის იკითხება. სწორედ ის მოსდევს სხვა ხელნაწერშიც (A 382) „კვრიკესა და ივლიტას წამებას" , რომელიც 15 ივლისის საკითხავს წარმოადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1.** თუესა მარტსა ჻. წამებაჲ წმიდისა კონონისი და ძისა მისისაჲ. გუაკურთხენ, უფალნო!

ჴელმწიფებასა და მეფობასა აჳრელიანეს ბოროტისასა წარმოიელინა დომენტიანოს კომსი აღხილვად ყოელისა საბრძანებელისა მისისა... – ხოლო იწამნეს წმიდანი მოწამენი ღმრთისანი კონონ და ძჱ მისი იკონია ქალაქსა შინა ლუკაონიაისასა დომენტიანოს კომსისა ზე, უშჳულოჲსა, ხოლო მეუფებასა ჩუენ ზედა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, რომლისაჲ არს დიდებაჲ... ამენ. (2r-5r).

*შენიშვნები: 1. სათაურთან ტექსტის ხელით: „ა” (პირველი).*
*2. კომენური რედაქციისაა. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V,*
*გვ.131. ჯ. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, თბ., 2004, გვ.260 (693).*

2. მარტსა თ. წამებაჲ წმიდათა ორმეოცთაჲ, რომელნი იწამნეს სებასტია ქალაქსა სახელები მათი ესე არს: დომენტიანე, ვალენტი, ევსუქი, ელიანე, სამარაგდე, სისინი, მაკითჱოს, ფილაკტემოს, ჰერაკლე, კჳრიონ, ალექსანდრე, ბებიანე, ლუსიმაქე, კლადეოს, ელისე, დომნინე, ათანასე, პრისკე, კჳრილე, ევტუქი, ენიკე, ფლავი, ქსანთი, ღეონტი, სევერიანე,აგგეი, ეკდიკი, ატტი, აკაკი, ნიკოლაოს, იოვანე, ჭუდიონ, გაესი, კანდიდე, საკერდონ, გორგონ, თევდულე, თეოფილე, მარკიანე, ვალერიანე. გუაკურთხენ, უფალნო!

ჟამთა მათ ლიკინიოზ მეფისათა იყო დევნულებაჲ დიდი ქრისტიანეთაჲ. ყოველნი რომელნი ღმრთისმსახურებით ცხონდებოდეს და აიძულებდეს მათ მსახურებად კერპთა... და საჴსენებელი ცხორებისაჲ ამათ დაუტევეს საცხორებელად ყოველთათჳს, რომელთა ჰრწამს მამისა მიმართ და ძისა და წმიდისა სულისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ... ამენ (5r-12r).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „ბ” (მეორე).*
*2. სათაურთანვე კიდეზე ადნიშვნებია: „ევტუქის” გასწორივ ქ (რაც ნიშნავს, რომ სახელების ჩამოთვლისას „ევტუქი” რიგით მეოცეა), „ნიკოლაოსის” გასწორივ ლ („ნიკოლაოსი”30-ა), „ვალერიანესთან” მ („ვალერიანე” მე-40-ა).*
*3. ტექსტი კომენური რედაქციისაა. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 134. ჯ. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ.326 (1014).*
*4. ქართულ ენაზე დაცულია ორი თარგმანით: I. A 1109 ხელნაწერში ფრაგმენტის სახით, პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტ. №158 (ფრაგმენტი), ბოდლეს №1, Ath.8 (ცაგ.57), H-1708 ხელნაწერებში, II. – A-95 ხელნაწერში. ორივე თარგმანი გამოცემულია H-1708 და A-95 ხელნაწერების მიხედვით. ორივე სომხურიდან შესრულებულ თარგმანადაა მიჩნეული. იხ. ილია აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შეხედები, „მრავალთავის” ზოგიერთი თავის წყარო IV. მარტყლობაჲ ორმეოცთაჲ: ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, თბ., 1962, გვ.111-144; აგრეთვე: ილია აბულაძე, შრომები, I, გვ.91-124.*

3. თჭუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილი მთავარეპისკოპოსისაჲ, კესარია-კაბადოკიელისაჲ, წმიდათა ორმეოცთა მარტყლთათჳს, რომელნი სებასტია ქალაქსა იწამნეს.

მარტყლთა ჴსენებითა ვინ-მე განძღეს მარტყლთა მოყუარე?... – ღმრთისმსახურებასა ყოველნივე მჭნედ განემზადნეს და ერთითაცა გჳრგჳნითა სიმართლისაითა შეიმკნეს სამარადისოდ ქრისტე იესუის მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ... ამენ (12r-20r).

*შენიშვნები: 1. სათაურთან ტექსტის ხელით „გ” (მესამე).*

*2. თხზულება ქართულ ენაზე სამი რედაქციით არსებობს: ძველით, ეფთვიმე ათონელისეულითა და მეტაფრასულით. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.17, ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ.303 (897). ნ. ქაჯაია, ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები, თბ., 1992, გვ.57.*

*3. Bodle 1 ხელნაწერში ტექსტი ძველი რედაქციისაა. ამ რედაქციის ტექსტი დაცულია აგრეთვე Sin. 32\57\33, A-95, Ath-8 (ცაგარ. 57), S-1246 ხელნაწერებში. პეტერბურგის აღმ.მც. ინსტიტუტის №158 პალიმფსესტში – ფრაგმენტის სახით. ამ პალიმფსესტის შესახებ (იხ. ილ. აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები, „მრავალთავის" ზოგიერთი თავის წყარო. IV. მარტვლობაჲ ორმეოცთაჲ, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, თბ., 1962, გვ.113; აგრეთვე: ილია აბულაძე, შრომები, I, გვ.93). ტექსტი გამოცემულია Sin. 32\57\33 ხელნაწერის მიხედვით: სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1959, გვ.115-123.*

*4. გამოცემულია ეფთვიმე ათონელის თარგმანიც. Ath.32 (49), H-2251, Ier. 14 ხელნაწერების მიხედვით: ბასილი კესარიელის „სწავლათა" ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1983, გვ.170-179.*

4. მარტსა ი̃თ. თხრობაჲ წამებისაჲ წმიდათა მამათაჲ, რომელნი მოისრნეს ბარბაროსთაგან, რომელ არიან სარკინოზნი, ლავრასა შინა წმიდისა მამისა ჩუენისა საბაჲსსა. აღწერა ამბა სტეფანე მანსურის ძემან, დამასკელმან, საბაწმიდას. გუაკურთხენ, უფალო!

ჯერ-არს უკუჱ და ღირს და შეჰგავს მათთჳს, რომელთა ერთვე პირველად არა განიწმიდნეს თავნი მათნი მწიკულევანებისაგან ცოდვათა და ბრალთა მათთაჲსა... – და გესმეს ჴმაჲ იგი სანატრელი სიხარულისაჲ, რომელი იტყჳს: მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკჳდრეთ სასუფეველი, თქუენთჳს განმზადებული იესუჲს ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა მიერ... ამენ (20v-58v).

*შენიშვნები: 1. სათაურთან ტექსტის ხელით „დ" (მეოთხე).*

*2. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.111-112; 136; ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ.41, 323 (997).*

5. თუესა აპრილსა ი̃ვ. წამებაჲ წმიდათა მოწამეთაჲ: სპევსიპესი, ელასიპესი, მელასიპესი, თეონილაჲსი, ივნილაჲსი და ურბონისი. გუაკურთხენ, უფალო!

სოფელსა კაბადუკიელთასა ჟამსა მას უსჯულოებისასა, ოდეს-იგი მჴნდებოდეს ღმრთისმსახურნი, რაჟამს-იგი განუძლებელი ულმრთოებისა საცთური აღესრულებოდა... – და წამეს ნეტართა მათ თუესა მიჰრაკნისასა ათექუსმეტსა, ხოლო ურბონ ამან აღწერა ნეტართაჲ ყრმათაჲ ძლევაჲ სპევსიპესი, ელასიპესი, მელასიპესი, თეონილაჲსი, ივნილაჲსი. და ესრეთ წამა მან წამებაჲ კეთილი ქრისტე იესუჲს მიმართ უფლისა... ამენ (59r-64v).

*შენიშვნები: 1. სათაურთან ტექსტის ხელით: „ე" (მეხუთე).*

*2. კიდეზე ნუსხურით: „ესე წამებაჲ ამათ წმიდათაჲ სჳნაქსარითა იანვარსა ი̃ზ არს".*

*3. ავტორია ურბონი. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.113; 137; ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, თბ., 2004, გვ.336 (1055).*

*4. ტექსტი გამოცემულია:* Y& Vfhh^ Ltzybz nht[ cdzns[ ,kbpytwjd vextybrjd% Cgtdcbgf^ Tkfcbgf b Vtkfcbgf& Bpcktljdfybt b ntrcn% Pfgbcrb djcnjxyfuj jnltktybz bvgthfnjhcrfuj heccrfuj fh[tkjubxtcrfuj j,otcndf^ n& *XVII*, dsg& *II-III*^ 1906^ *გვ. 285-344.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. აპრილსა ი"ზ. წამებაჲ წმიდისა მიქაელისი, რომელი იყო ლავრასა დიდსა წმიდისა მამისა ჩუენისა საბაჲსსა.

გუთხრობდა ამბა ბასილი, მღდელი საბაწმიდელი, კაცი საკჳრველი და სასწაულთა მხილველი: დღესა ხარებასა განვედით ლიტანიად ჭუმო კერძო ლავრასა... – ამან წმიდამან ბერმან, მამამან ჩუენმან მღდელმან, ნერგმან სამოთხისამან საბა, ესვეთაცრნი რტონი აღზარდნა და მრავალჟერითა ყუავილითა შეამკჳნა და სულნელითა ნაყოფითა აღავსნა და უფალისა ჩუენისა... ამენ (64v-72v).

*შენიშვნები: 1. სათაურთან ტექსტის ხელით: „ი" (მეექვსე).*

*2. ავტორია ამბა ბასილი, საბაწმიდელი მღდელი. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 17; 133; ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი პაგიოგრაფია, გვ.290 (838).*

*3. გამოცემულია: კ. კეკელიძე, კიმენი, I, გვ.165-173. Ath. 57-ის მიხედვით. P. Peeters, Analecta Bollandiana, t.48, 1-2, 1930, გვ. 65-98.*

7. შესხმაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა გიორგისი, რომელი თქუა წმიდამან ბასილი კესარიელმან დღესა მას ღუაწლისა მისისასა.

მარადის ბრწყინვალე და ყოვლად ქებულ არიან წმიდათა მოწამეთა საჭეხებელნი... – და დააწესეთ ხატსა მას შინა ღუაწლთა მათ სასყიდლის მიმნიჭებელი და მისი გურგუნოსანმყოფელი ქრისტჱცა, რომლისა მიერ... ამენ (73r-86v).

*შენიშვნები: 1. სათაურთან ტექსტის ხელით: „ზ" (მეშვიდე).*

*2. ნაწარმოები ეკუთვნის ანდრია კრიტელს, მთარგმნელია ეფთვიმე ათონელი. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.14;19; ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ. 162 (221). ნ. ჯავაია, ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები, გვ. 154.*

*3. გამოცემულია Ath.32 და A-381 ხელნაწერების მიხედვით: წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო ენრიკო გაბიძაშვილმა, თბ., 1991, გვ. 220-240.*

8. აპრილსა კგ. წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა გიორგისი. გუაკურთხენ, უფალო!

მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტეს პირველ საუკუნეთა მეუფებისა არა არს არცა დასაბამი დღეთაჲ და არცა აღსასრული ცხორებისაჲ... – აღესრულა წმიდაჲ და დიდებული მოწამჱ ქრისტესი გიორგი თუესა აპრილსა ოცდასამსა, დღესა პარასკევსა, ჟამსა მეშჳდესა დღისასა, ხოლო მე პატიკრატეს, მონაჲ წმიდისა გიორგისი, პირველითგან შეუდგ უფალსა ჩემსა და აღვწერე წამებაჲ მისი ჭეშმარიტად. და ნეტარ არს, რომელსა ჰრწმენეს ქრისტე ღმერთი...ამენ (87r-99r).

*შენიშვნები: 1. თხზულება კიმენური რედაქციისაა, ავტორია პატიკრატესი (მონაჲ წმიდისა გიორგისი). იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 105; 122; ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ. 162 (224).*

*2. გამოცემულია: მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ.48-68. წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო ენრიკო გაბიძაშვილმა, თბ., 1991, გვ.140-159.*

9. უწყებაჲ საკჳრველებათაჳს წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მოწამისა გიორგისი

რომელნი ნიჭთა ღმრთისათა მიმთხუევად სურვიელ ხართ, საჭსენებელსა და კრებასა წმიდათასა, შეუორგულებელითა სარწმუნოებითა და მჴურვალითა სიყუარულითა დღესასწაულობად ნუ უდებ ვიქმნებით...– წყდება: ხოლო საკჳრველებით გამოჴსნილი იგი ყრმაჲ გიორგი მაშინ ჭრიად ყრმა იყო. ხოლო აწ სიბერედ მიწევნულ არს და თჳთ მიუთხრობს მის ზედა ქმნილსა მას საკჳრველებასა შემდგომითი შემდგომად და წმიდისა და დიდებულისა მოწამისა გიორგის მაცხოვარებასა და არა ვისა... (99r-112v).

*შენიშვნები: 1. ხელნაწერის ფურცლების დაკლების გამო „სასწაულთა" მთელი ციკლიდან, რომელიც შიდ სასწაულს შეადგენს, Bodle 1-ში ექვსი სასწაულია დაცული (მე-6 ბოლონაკლულია).*

*2. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.122. ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ. 164 (229). Bodle 1 ხელნაწერის გარდა სასწაულების მეტ-ნაკლებ რაოდენობას შეიცავენ აგრეთვე: Ier.2 (ფ. 238-244), Q-762 (ფ. 294-326), H-1347, H-600, ჭუთ. 127.*

*3. ტექსტი გამოცემულია: მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ.59-68 (სამი სასწაული). წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო ენრიკო გაბიძაშვილმა, თბ., 1991, გვ.73-124.*

10. [მაისსა თ. წამებაჲ ქრისტეფორესი]

...მაშინ დასდვეს მას ჯაჭჳ და შეუკრნეს ჴელნი მისნი უკუღმართ და ეგრეთ შევიდა მეფისა მის... – და არღარა აენო ქალაქსა მას ვიდრე აქა ჟამადმდე პატიოსანთა მათჳს ძუალთა წმიდისა მის მოწამისათა, საქებელად და პატივად ღუაწლით შემოსილისა მის ქრისტეს მოწამისა... ამენ (113r-118v).

*შენიშვნები: 1. ტექსტი ნაკლულია. აკლია დასაწყისში ერთ მესამედამდე ნაწილი. სათაური აღდგენილია ა.პ. პეტრესის მიერ.*

*2. კომენტარი რედაქციისაა. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.139; ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ.354-355 (1147).*

*3. Bodle 1-ის ტექსტი მაჯყვება H-535, Ath 8 (Ath.57), Ath.28, Sin.62 ხელნაწერებში დაცულ რედაქციას.*

*4. გამოცემულია მეორე რედაქციის ტექსტი A-535 და A-341 ხელნაწერების მიხედვით: კ. კეკელიძე, ქართული ათორფული ლიტერატურის ისტორიიდან, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 21-49; მისივე: ეტიუდები, VIII, 1962, გვ.170-199.*

11. მაისსა კ. წამებაჲ წმიდისა თალელესი.

წელთა მათ სუფევისა ნუმერიანოსისთა და მსაჯულობასა თეოდორესსა, თუესა ტირისჴინისსა, ოცდახუთსა თჳსსა მოვიდა თეოდორე მსაჯული ეგეა ქალაქად... – და მე, მანიბოს, მონამან წმიდისა თალელესმან, ვქმენ ლუსკუმაჲ ბრაჳენისაჲ და შთაჳსხენ იგინი მას და დავჰმარხენ იგინი თავსა მას სარბაელისასა. და არიან იგინი მუნ მახლობელად ტაძარსა მას ანდრიანესსა ვიდრე აქამომდე. ესე ყოველნი აღესრულნეს სახელითა მამისაჲთა... ამენ (118v-124r).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „ი" (მეათე).*

*2. კომენტარი რედაქციისაა.*

*3. ავტორია მანიბოს (მონაჲ წმიდისა თალელესი), მთარგმნელი – სჳთი. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V. გვ.95; 126, 127; ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ. 208 (441).*

12. მაისსა ჯ. წარტყუენვაჲ იერუსალემისაჲ.

თქუმული ნეტარისა სტრატიკი მონაზონისაჲ, რომელი მკუდრ იყო ლავრასა წმიდისასა მამისა ჩუენისა საბაასისა. ესე თქუა იერუსალემისა მოოჭრებისათჳს და წარტყუენვისათჳს ქრისტეს ჯუარისა, რომელ-იგი არს ძელი ცხორებისა ჩუენისაჲ, და წმიდათა ეკლესიათა დაწუისა და დარღუეჱისათჳს და ტყუეობისათჳს ზაქარია პატრიაქისა და მოსრეისათჳს მღდელთა და დიაკონთა და მონაზონთა და ქრისტეს მორწმუნისა ერისათჳს და ყოველისა მისთჳს, რაჲ-იგი მოიწია იერუსალემსა ზედა და მკუდრთა მისთა ბაბილონელთა მიერ, სპარსთა და ქალდეველთა ბრძანებითა ხუასრო მეჴიისა მათისაჲთა.

მ, ქრისტეს მოყუარენო ძმანო, მომიპყრენით სასმენელნი თქუენნი, რამეთუ მეგულების მე საქმჱ საშინელი უწყებად თქუენდა... – რომელთა მიაქუნდა გუამი მისი საფლავად, და მათ ყოველთა თანა მივსცეთ დიდებაჲ დმერთსა, სამებით დიდებულსა და ერთარსებით ქებულსა, რომელსა ჰშუენის პატივი... ამენ (124r-169r).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „ია" (მეთორმეტე).*

*2. ავტორია ანტიოქე სტრატიგი. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.15. ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ. 42.*

*3. თხზულებაში რამდენიმე თავი გამოიყოფა: ა. ებისტოლე ზაქარია პატრიაქისაჲ, რომელი მიუწერა ბაბილონით იერუსალემჲ მათა, რომელნი დაშთომილ იყუნეს ტყუეობისაგან (160r-163r). ბ. რიცხუ მუედართაჲ, რომელი იპოვა იერუსალემს (163r-165v), გ. უწყებაჲ ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯუარისაჲ, ვითარ უკუ-მოიღეს იგი ბაბილონით იერუსალემჲ (165v-169r).*

*4. თხზულება გამოცემულია ორჯერ ნ. მარისა და ჯ. გარიტის მიერ: Fynbj[ Cnhfnbu^ Gktytybt Bthecfkbvf gthcfvb d 614 ujle& Uhepbycrbq ntrcn bpcktljdfk^ bplfk^ gthtdtk b fhf,crjt bpdktxtybt ghbkj;bk Y& Vfhh^ C-Gtnth,ehu^ 1909& La Prise de Ierusalem par les Perses en 614. Edite par Gérard Garitte, Louvain, 1960.*

*5. ნ. მარის გამოცემა ემყარება Jer. 26 და A-70 ხელნაწერებს, ჯ. გარიტის გამოცემაში კი აღნიშნულ ორ ხელნაწერთან ერთად გამოყენებულია Bodlel-ის ტექსტიც.*

13. თუესა ივნისსა წ. წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა თჳდმრეც სტრატილატისაჲ.

ვითარცა მზჱ განანათლებს მხილველთა მისთა, ეგრეთვე თხრობაჲ მოწამეთა წამებისაჲ მსმენელთა მისთა... – აღსრულა წმიდაჲ და ყოვლად ქებული მოწამჱ ქრისტესი თჳდმრეც სტრატილატი, რომელ არს თარგმანებით მჭედართა მფლობელი, თუესა ივნისსა წ, სადიდებელად დიდისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა... ამენ (169r-179v).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „იბ" (მეთორმეტე).*

*2. სათაური გრძელდება იმავე ტექსტის ხელით და სინგურით: „თარგმნილი მამისა ჩუენისა ეფთჳმესი. ღმრთმან მადლი მიეცეს შრომისათჳს".*

*3. ავტორად მიიჩნევა აბგარ უარი. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.126-127; გვ.8 (ავგარი). ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ. 214 (470).*

*4. გამოცემულია: მ. ქავთარია, თეოდორე სტრატილატის მარტყოფის რედაქციები: ისტორიოგრაფიული და ფილოლოგიური ძიებანი, მიძღვნილი რუსთაველის 800 წლისთავისადმი, თბ., 1966, გვ.196-218.*

14. ივნისსა რჳ. წამებაჲ წმიდისა მოწამისა ლეონტისი. გუაკურთხენ, უფალო!

მოსრულ იყო ელადაით სოფლით ყოვლად სანატრელი მოწამე ღმრთისაჲ ლეონტრის, ერთი იყო ესე პირველთა სტრატიოტთაგანი... – ქრისტემან ძლევისა სამძალი იგი აღუწერა მას, რომლისაჲ არს დიდებაჲ მამისა თანა... ამენ (180r-181r).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „ოზ” (მეცამეტე).*

*2. ტექსტი კომენტარი რედაქციისაა. მთარგმნელის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ.133-134; მისივე: ეტიუდები, V, გვ. 131; ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ. 27; 263 (709). ნ. გოგუაძე, სეითი – მრავალთავის ერთ-ერთი მთარგმნელი, „მაცნე”, ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, №4, გვ.57-66.*

*3. გამოცემულია: კ. კეკელიძე, კიმენი, II, 1946, გვ. 59-63.*

15. ივნისსა კზ. წამებაჲ წმიდისა ფებრონიაჲსი.

იყო დღეთა დეოკლიტიანე მეფისათა ანთიმოს მთავარი, და იყო იგი უძლურ ჴორცითა... – და რომელი არა იცოდა, ისწავა ლუსიმაჰოსის მიერ და მან აღწერა ესე საქებელად და სადიდებელად მოწამისა მისთჳს და საცხორებელად მსმენელთათჳს, რაჲთა ღირს ვიქმნეთ ყოველნი სასუფეველსა ცათასა ქრისტე იესუს მიერ... ამენ (181r-193v).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „იდ” (მეთოთხმეტე).*

*2. კიმენური რედაქციისაა. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.138; ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ. 349 (1118).*

*3. ამავე რედაქციის ტექსტს შეიცავენ ხელნაწერები A-95, A-382...*

*A-382 ხელნაწერში თხზულების ავტორად დასახელებულია თომაიდა.*

16. ივნისსა კთ. წამებაჲ წმიდათა და ყოვლად ქებულთა ქრისტჱს მოციქულთაჲ, სოფლისა მნათობთაჲ, პეტრესი და პაჳლესი ჰრომჱს შინა მეფობასა ნერონისსა.

და იყო, რაჟამს გამოვიდა პაჳლე ღადღიამელიკით ჭალაკით და უნდა მოსლვაჲ იტალიად... – აღსრულა სრბაჲ და შრომაჲ მათი სულიერი... პეტრესი და პაჳლესი თუესა ივნისსა ოცდაცხრასა, ხოლო სამთა მათ მჭედართაჲ თუესა ივლისსა ორსა და პერპეტოაჲსი და პოტენტიანეაჲსი თუესა ივლისსა რვასა, და ჩუენთჳს მეოხ არიან წინაშე უფლისა... ამენ (193v-205v).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „იე” (მეთხუთმეტე).*

*2. კიმენური რედაქციისაა. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.135.*

17. პეტრე-პაჳლეთასა, ებისტოლე წმიდისა დიონისიი, ბრძენთმოვარისაჲ და ათინელთა ეპისკოპოსისაჲ, რომელი მიუწერა ტიმოთეს, საყუარელსა თჳსსა და მოწაფესა მოძღურისა თჳსისა პაჳლესსა.

გიკითხავ საღმრთოსა მოწაფესა და შვილსა სულიერსა ჭეშმარიტისა მამისასა და მოყუასსა კეთილსა და მგობარსა სათნოსა, რომელმან აღასრულე ნებაჲ მოძღურისა თჳსისაჲ... – და ირწმუნეს, ვითარმედ ჭეშმარიტად ესე თავი არს წმიდისა პაჳლესი, რომელი-იგი მონაჲ იყო და მოციქული უფლისა ჩუენისა... ამენ (206r-211v).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „ივ” (მეთექვსმეტე).*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*2. ავტორად დასახელებულია ფსევდოდიონისე არეოპაგელი. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.40; 124. მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ.450.*

*3. გამოცემულია: იხ. G. Peradze, ჟურნ. Ελπις, II, ვარშავა, 1937, გვ.3-35.*

18. თუესა ივლისსა ზ̃. <u>წამებაჲ კეთილად მძლეთა წმიდათა მოწამეთაჲ: პავლე, ბილოს, თეონ, ირონ და მოყუასთა მათთაჲ,</u> გუაკურთხენ, უფალო!

მეფობასა ულმრთოჲსა და მაცთურისა მაქსიმიანოსისსა მრავალთა შეურაცხ-ყვეს ცხორებაჲ ესე საწუთროჲ სიყუარულისათჳს ღმრთისა... – და აღმოეცენების მათ მდიდრად კურნებაჲ ნაწილთა მათგან წმიდათა ესე დღენდელად დღედმდე ქალაქსა <u>თანისს</u> და აქებენ... ამენ (211v-217v).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „იზ” (მეჩვიდმეტე).*

*2. გამოცემულია: კ. კეკელიძე, კიმენი, II, 1946, გვ.17-26; მისივე, ეტიუდები, XI, 1973, გვ. 104-107.*

*3. მთარგმნელის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 133-134; მისივე, ეტიუდები, V, გვ.134; ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ. 305 (908). ნ. გოგუაძე, სეითი – მრავალთავის ერთ-ერთი მთარგმნელი... გვ.57-66. გამოცემულია: G. Garitte, Le Muséon. t.81. f.1-2, 1968, გვ.203-219.*

19. ივლისსა ჱ̃. <u>წამებაჲ წმიდისა და ყოვლად ქებულისა, ღუაწლითშემოსილისა მოწამისა პროკოპისი,</u> გუაკურთხენ, უფალო!

მათ დღეთა შინა, ოდეს-იგი დეოკლიტიანე და მაქსიმიანე იყვნეს მპყრობელ მეფობისა ჰრომთა და ბერძენთასა, ბრძოლაჲ ძლიერი აღადგინეს ქრისტიანეთა ზედა... – შემურეს ნელსაცხებლითა სულნელითა და დაჰმარხეს ადგილსა პატიოსანსა სადიდებელად მამისა და ...ამენ (217r-241r).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „ი̃ჱ” (მეთვრამეტე).*

*2. მეტაფრასული რედაქციისაა, თარგმანი ეკუთვნის ეფთვიმე ათონელს. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.203-204; მისივე, კიმენი, II, 1946, გვ. 111, შენშ. 2; მისივე, ეტიუდები, XI, 1973, გვ.147, შნშ. 14; მისივე, ეტიუდები, II, გვ.137. ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ.319 (977).*

*3. გამოცემულია: G. Garitte, Le Museon, t. 66, გვ.245-266.*

20. ივლისსა თ̃. <u>წამებაჲ წმიდათა მოწამეთაჲ პატერმუთისი და კარპიანესი</u>.

<u>ივლიანეს</u> მეფესა ჰრწმენა ქრისტე და ვიდოდა იგი მცნებათა მისთა. ხოლო უკანაჲსკნელ გარდაიქცა იგი სიბორგილითა ეშმაკისაჲთა... – ხოლო აღესრულნეს წმიდანი ესე მოწამენი თუესა ივლისსა, მეცხრესა დღესა, მეფობასა ივლიანეს უშჯულოჲსასა, ხოლო მეუფებასა ჩუენ ზედა... ამენ (242v-251v).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „ით” (მეცხრამეტე).*

*2. კიმენური რედაქციისაა. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.135; ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ. 39; 309-310 (931).*

21. ივლისსა ი̃. <u>წამებაჲ წმიდათა ორმეოცდახუთთაჲ, რომელნი იწამნეს ნიკოპოლის, ქალაქსა სომხითისასა.</u> გუაკურთხენ, მამაო!

ჭამთა ლიკინიოსის მეფისა, უშჯულოსა მის და მაცთურისათა, იყო დევნულებაჲ ძნელი აღრულ ქრისტიანეთა ზედა... – წყდება: და გამოეცა წჳალი, ტკბილი და ჰამოჲ, და არს იგი ვიდრე დღენდელად დღედმდე. და სუა მისგან წმიდამან სისინოს და განძღა და ჰმადლობდა ღმერთსა და თქუა... (252r-264v).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „ა” (შეცდა).*

*2. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.134. ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ.298 (874).*

*3. მოთარგმნილის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.134; მისივე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 133-134; ნ. გოგუაძე, სეითი – მრავალთავის ერთ-ერთი მთარგმნელი, გვ.57-66.*

*4. გამოცემულია. იხ. ი. იმნაიშვილი, საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II (ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 10, 1966, გვ.75-91).*

22. [თუესა ივლისსა ⴑ. მარტჳლიითგან მეშჯდესა კურიაკესა წამებაჲ წმიდისა ათენაგენა მდდელთმოძღურისა და მოწამისაჲ].

დასაწყისი ნაკლულია. იწყება: ...„და ბილწთა და შეგინებულთა. მაშინ დიდი სიმრავლე ერისაჲ მის მოსწყჳდა მსაჯულმან მან უკეთურმან... – და ვითარცა იყო ჴმაჲ უყალისაჲ წმიდასა ათენაგენეს ზედა, სცეს მას მახჳლითა და ესრეთ მიუთჳალა სული თჳსი დამბადებელსა თუესა ივლისსა ჩუდმეტსა სადიდებელად... ამენ (265r-267r).

*შენიშვნები: 1. სათაური ალდგენილია A 95 ხელნაწერის მიხედვით ჩვენ მიერ.*

*2. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.118-119; 159; ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ. 45; 49; 122 (32).*

23. ივლისსა იზ. წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა მოწამისა ათანასისი, რომელი იწამა ქალაქსა შინა კულიზმას, რომელ არს ეგჳპტისაჲ. გუაკურთხენ, უფალო!

იყო მეფობასა დიოკლეტიანესსა და მაქსიმიანოსისსა, უღმრთოთა მათ და უკეთურთა მეფეთასა, დაეპყრა საცოურსა მას კერპთმსახურებისასა ყოველი ქუეყანაჲ... – ზღუასა თანა მყოფსა, რომელი იწამა მეფობასა ჰრომთა ზედა მაქსიმიანოსისსა, ხოლო ჩუენ, ქრისტიანეთა ზედა, მეუფეებასა უფლისა და მჭნელისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსსა, რომლისაჲ არს დიდებაჲ... ამენ (267v- 273v).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „კდ” (ოცდამეოთხე).*

*2. კიმენური რედაქციისაა. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.118; მისივე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ.134; ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ.28; 121 (28).*

*3. გამოცემულია: კ. კეკელიძე, მარტჳლობა ათანასი კულიზმელისა: ეტიუდები, VIII, გვ.56-70.*

24. ივლისსა კბ. ცხორებაჲ და სიმჭნე წმიდისა ევგენიანესი. გუაკურთხენ, უფალო!

მეშჯდესა წელსა მეფობასა კომოდიოსისსა ჴელმწიფჱ იყო ალექსანდრიას და ყოველსა ზედა ეგჳპტესა ფილიპე, საკუთარი მეფისაჲ. და გამოვიდა ქალაქით ჰრომით... – ხოლო აბრატის და იაკინთოს მრავალნი ჭაბუკნი მოაქცინეს ჭეშმარიტსა ზედა სარწმუნოებასა ღმრთისასა, რომლისაჲ არს დიდებაჲ... ამენ (273v-282r).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „ქე" (ოცდამეხუთე).*

*2. კომენტარი რედაქციისაა. იხ. ქ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.124; ქ. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფიდა, გვ. 47; 181 (308).*

*3. მთარგმნელის შესახებ იხ.: ქ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.124; მისივე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ.133-134; ნ. გოგუაძე, სეითი – მრავალთაგის ერთ-ერთი მთარგმნელი... გვ.57-66.*

25. წამებაჲ წმიდისა ევგენიაჲსი.

მეფობასა ვალინტინესსა და დალინოსისსა აღდგა დევნულებაჲ ქრისტიანეთა ზედა ჰრომს შინა. და ჰრქუეს მეფესა, ვითარმედ... – და ამას რაჲ იტყოდა, გამოწნდა ნათელი დიდებისაჲ, რომელი ვერ შეესაძებელ არს კაცთაგან ხილვაჲ. და ანგელოზნი უგალობდეს უფალსა ჴმითა, რომელი ვერ ვის ძალ-უც მითხრობად, გარნა... ამენ (282r-286v).

*შენიშვნები: 1. კომენტარი რედაქციისაა. ქ. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ. 181 (310). გამოცემულია: იხ. ქ. კეკელიძე, კომენი, II, 1946, გვ.79-85.*

*2. მთარგმნელის შესახებ: იხ. ქ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.124; მისივე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ.134. ნ. გოგუაძე, სეითი – მრავალთაგის ერთ-ერთი მთარგმნელი... გვ.57-66.*

*3. ევგენიას „ცხორება" და „წამება" ერთი თხზულების ხელოვნურად გაყოფილ ორ ნაწილად მიაჩნიათ (ქ. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ. 47).*

26. ივლისსა კდ. წამებაჲ წმიდისა ქრისტინაჲსი ქალაქსა შინა ტჳროსს მამისა თჳსისა ორბანოსისგან და დიონისგან და იულიოსისგან.

იყო ვინმე ქალი, ნეტარი და წმიდაჲ, ქალაქსა შინა ტჳროსს... – და დაჰკრძალა იგი მას შინა მრავლითა პატივითა. იწამა წმიდაჲ ქრისტინა [სახელისათჳს] ქრისტესისა... მეფობასა ანდრიანე მეფისასა, ხოლო ჩუენ ზედა მუუფებასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა... ამენ (286v- 298v).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „კვ" (ოცდამეექვსე).*

*2. კომენტარი რედაქციისაა. იხ. ქ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.139; ქ. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ.37; 355 (1151).*

*3. გამოცემულია მეორე კომენტარი რედაქცია (A-95 ხელნაწერის მიხედვით): ქ. კეკელიძე, უძველესი რედაქცია ქრისტინას მარტყლობისა, ეტიუდები, III, 1955, გვ. 178-196.*

*4. ხანმეტ პალიმფსესტებში ქრისტინას მარტყლობის ტექსტის შესახებ იხ. ლ. ქაჯაია, ხანმეტი ჰაგიოგრაფიული კრებული: მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, IX, 1981, გვ.41-49.*

27. ივლისსა კზ. წამებაჲ წმიდისა მოწამისა პანტელეიმონისი და სიმჭნჳ მისი.

მეფობასა მაქსიმიანოსისსა, უშჯულოჲსა მის მეფისასა, მრავალნი მორწმუნენი ქრისტიანეთაგანნი დაიკლებოდეს ცხორებისა ამის... – სრულ იქმნა წაებაჲ წმიდისა პანტელეიმონისი, რომელმან შეურაცხყო გუემაჲ იგი რკინისა და ცეცხლისაჲ და ყოველი სატანჯველი და მიიღო მან გჳრგჳნი სიმართლისაჲ და მადლი ზეცისაჲ და მისაგებელი მართალთაჲ... ამენ (298v-312v).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „კზ" (ოცდამეშვიდე).*

*2. კიმენური რედაქციისაა. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.185; გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი პაგიოგრაფია, გვ. 307-308 (921).*

*3. გამოცემულია Sina 11-ის მიხედვით: ივ. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, თბ., 1963, გვ.50-65.*

*4. თხზულება თარგმნილია არაბულიდან (იხ. რ. გვარამია, „პანტელეიმონის წამების" ქართული გურსიები და მათი წყაროები, მრავალთავი, VII, გვ.36-49).*

28. თუესა აგვსტოსსა ე. წმიდათა მაკაბელთაჲ: ელიაზარ მღდელისაჲ და შჳდთა ყრმათაჲ და დედისა მათისა სოლომონისი, რომელნი იწამნეს იერუსალემს ანტიოხოს მეფისაგან პირველ ქრისტეს განჭორციელებისა ღმრთისმსახურებისათჳს და დამარხვისათჳს წესთა მათ სამრთოჲსა შჯულისათა. ხოლო ღუაწლი ამათ ნეტართაჲ აღწერილ არს იუსიპოსის მიერ შჯულისმეცნიერისა და ფილოსოფოსისა და სწავლულისა.

სიბრძნისმეტყუელებისა სიტყუასა მეგულების თქუმად და გამოჩინებად, ვითარმედ თუთმპყრობელ არს ღმრთისმსახური გულისხტყუაჲ... – და ღირსნი იგი მოღუაწენი, შვილნი აბრაჰამისნი ღუაწლითშემოსილით დედოფრთ, კეთილსა მას მღდელსა და მოძღუარსა მათსა თანა, კრებულსა წმიდათა მამათასა დაჲწესა ცხორებასა მას უოხჴნოსა და კეთილთა შინა საუკუნეთა... ამენ (313r-332v).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „ქზ" (ოცდამერვე).*

*2. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 131-132, შდრ. იქვე გვ.189. იხ. იქვე გვ.84; ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი პაგიოგრაფია, გვ. 35; 268 (733).*

*3. გამოცემულია ამ თხზულების პირველი რედაქცია (A 95, Sina 62): ივ. იმნაიშვილი. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 23, თბ., 1980, გვ.29-69.*

29. შესხმაჲ წმიდათა მაკაბელთაჲ, თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისაჲ, კოსტანტინეპოლელ მთავარებისკოპოსისაჲ.

რაჲ-მე ვთქუაო მაკაბელთათჳს, რამეთუ მათი არს დღესისა ესე კრებაჲ... – რაჲთა ჴულთაცა და ახალთა მიერ იდიდებოდის ღმერთი ჩუენ მიერ, რომელი-იგი ძისა თანა სულით წმიდითურთ იდიდების და უწყნის თჳსნი იგი და მეცნიერ არს თჳსთა მიერ, აღიარების და აღიარებს, იდიდების და ადიდებს... ამენ (332v-341v).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „ქთ" (ოცდამეცხრე).*

*2. თარგმანი ეკუთვნის ეფთვიმე ათონელს. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.17-19. 30. მისივე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ.206. ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი პაგიოგრაფია, გვ. 268 (732). ც. ყურციკიძე, ბასილი კესარიელის „სწავლათა" ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, 1983, გვ.011, 029. თ. ბერეკაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1988, გვ.27, 317. ნ. ჯაჯაია, ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები, 1992, გვ.153-155.*

*3. თხზულება გამოცემულია: Sancti Gregorii Nazianzini opera, Versio iberica, II, orations XV, XXIV, XIX, editae A Helene Metreveli et K. Bezarachvili, M.Dolakidze, Ts. Kurtsikidze, M. Matchavariani, N. Melikichvili, M. Raphava, Mz. Chanidze Turnhoum, Leuven, 200, გვ.2-61.*

30. აგვსტოსსა ჲ. წამებაჲ შჳდთა ყრმათაჲ, რომელნი იწამნეს დეკიოზისგან მეფისა ეფესს შინა ქალაქსა, რომელთაჲ სახელები ესე არს: მაქსიმილიანე, იამბლიქე, მარტინე, დიონისიოს, იოვანე, ექსაკოს, დადიანე, ანტონინე.

ესე არიან, რომელნი იწამნეს ეფესოს შინა დედაქალაქსა, რაჟამს-იგი დაიპყრა დეკიოს უშჯულომან მეფობაჲ, შთავიდა იგი რისხვით ეფესოდ კართაგენით ქალაქით... – და ურიცხჳ სიმრავლე მორწმუნეთა და ეპისკოპოსთაჲ გამოვიდეს მის თანა ეფესოჲთ კოსტანტინეპოლისა დამტკიცებითა სარწმუნოებისა მისისაჲთა და ადიდებდეს... ამენ (342r-353r).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „ლ" (ოცდამეათე).*

*2. კიმენური რედაქციისა. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.139; მ. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ. 198 (390).*

*3. გამოცემულია: ივ. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, 1963, 101-116.*

31. აგჳსტოსსა ე. წამებაჲ წმიდისა ევსეღნიოსისი.

უფლებასა არბიტიონისსა და ლულიანესსა მოკუდა კოსტანტინოს კეისარი და დაჯდა ივლიანე კეისრად თუესა სთულისასა... – და დაჰკრძალა გუამი წმიდისა ევსეგნისი ბასილი ეპისკოპოსმან კესარია ქალაქსა შინა ფარულად. ხოლო წმიდაჲ ევსეღნიოს აღესრულა თუესა აგჳსტოსსა ხუთსა და მოიღო მან გჳრგჳნი უხრწნელებისაჲ ჴელითა უფლისა ჩუენისა... ამენ (353v-359v).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „ლა" (ოცდამეთერთმეტე).*

*2. კიმენური რედაქციისა. კ. კეკელიძე იცნობს მის მხოლოდ მეტაფრასულ რედაქციას: ეტიუდები, V, გვ,170; მ. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ.184-185 (327).*

32. აგჳსტოსსა ი. წამებაჲ წმიდათა მოწამეთაჲ ქსჳსტესი, ნეტარისა ეპისკოპოსისაჲ, და ლავრენტისი, მთავარდიაკონისა, და წმიდისა იპოლიტესი.

დიდნი იგი მოწამეთაჲ მათ და მიუწდომელნი სათნოებანი ლიტონმან სიტყუამან უფროჲსღა აღამციროს... – განმტკიცნებოდეს სარწმუნოებითა და უფლისა მიმართ მადლსა შესწირვიდეს... რომელმან წმიდანი თჳსნი ცათა შინა გჳრგჳნოსან ყვნა და მათგანვე მსწრაფლ მისაგებელი მტერთა მათ მიაგო... ამენ (359v-363r).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „ლბ" (ოცდამეთორმეტე).*

*2. კიმენური რედაქციისა. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.139; მ. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ.357 (1161).*

33. აგჳსტოსსა ია. წამებაჲ წმიდისა მოწამისა ელიანოსისი, რომელი იწამა არაბიას, ქალაქსა შინა ამანს ბალკანისასა.

რაჟამს-იგი დაიპყრა მეფობაჲ ჰრომისაჲ დიოკლიტიანე ულმრთომან, გამოვიდა მაქსიმოს მთავარი სალოტარიაჲთ და მოიღო ბრძანებაჲ მეფისაგან და განვიდა არაბიად... – და ოდეს აღუშენეს მას ტაძარი სალოცველი და მას შინა დაჰკრძალეს გუამი მისი, განუწესა საჴსენებელი დღესასწაულისა მისისაჲ თუესა აგჳსტოსსა ათერთმეტსა სადიდებელად ღმრთისა... ამენ (363r-368v).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „ლგ" (ოცდამეცამეტე).*

*2. კიმენური რედაქციისა. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, 125; მ. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ. 194 (371).*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*3. გამოცემულია: კ. კეკელიძე, კიმენი, II, გვ.27-37.*

34. აგჳსტოსსა კა. <u>სიმჴნე და მოღუაწებაჲ წმიდისა მოწამისა ლუკიოსისი, რომელი იწამა ქალაქსა შინა ბალბაქს</u>.

ვითარ უკუჱ არა უკურდეს კაცთა ბუნებასა განგებაჲ იგი უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი... პირველსა წელსა ივლიანე მეფისა უღმრთოჲსასა განეფინა ბრძანებაჲ უღმრთოებისა მისისაჲ – იწამა წმიდაჲ მოწამჱ ქრისტესი ლუკიოს ქალაქსა შინა ბალბაქს მეფობასა ივლიანე უღმრთოჲსასა, ჴელმწიფებასა უპატიოსნესსა ფილფეს ლიბანისასა, თუესა აგჳსტოსსა ოცდაერთსა, ხოლო მეუფებასა ცათა და ქუეყანისასა... ამენ (368v-376v).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „ლდ" (ოცდამეთოთხმეტე).*

*2. ტექსტს ბოლოში ერთვის ავტორის ანდერძი: „მე, <u>პამფილიოს</u> გლახაკმან, რომელი შენდობითა და მიშუებითა ღმრთისაჲთა ვიქმენ ეპისკოპოს ქალაქსა ბალბაქს, ძუელისაგან ქარტისა, რომელსა შინა წერილ იყო ჴსენებაჲ წმიდისა ამის მოწამისაჲ, გარდამოვიღე და შევაერთე ესე საწამებელი სადიდებელად წმიდისა მის მოწამისა და საქებელად ახოვნად მოღუაწებისა მისისა და სარგებელად ყოველთა მკითხველთა და მსმენელთა. რამეთუ არამცირედ დაკლებად ვიხილე ესევითართა მოღუაწეთა სიმჴნით ახოვნებათა მათთა მითხრობისა დაფარვაჲ, არამედ ყოვლითა მოსწრაფებითა წადიერად მივითხარ თქუენ მსგავსად ძალისა ჩემისა, საყუარელნო."*

*3. A 95 ხელნაწერში იგი ლუკინიოზად იწოდება.*

*4. ავტორია ქალაქ ბალბაქის ეპისკოპოსი პამფილიოსი.*

*5. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.105;131. ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ.66 (723).*

*6. გამოცემულია: იხ. კ. კეკელიძე, „კიმენი", II, გვ.7-16.*

35. აგჳსტოსსა კბ. <u>წამებაჲ წმიდისა ანდრიანესი და ნეტარისა ანატოლესი და სხუათა მოწამეთა მრავალთაჲ</u>.

და იყო, მოსლვასა მას მაქსიმიანეს მძლავრისასა ნიკომიდია ქალაქსა, მოსწყუდნა ყოველნი, რომელნი ადგილ-ადგილ მორწმუნენი იყვნეს ქრისტეს მიმართ... – რომელსა შინა ისხნეს წმიდანი იგი და სიმრავლე მამებისაჲ და დედებისაჲ მათ თანა, როლისათჳსცა მადლი მივსცეთ ღმერთსა, რაჲთა მეოხებითა მათითა ქრისტეს მიმართ... ამენ (376v-389v).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „ლე" (ოცდამეთხუთმეტე).*

*2. 382 გვ. ბერძნული მინაწერი არ იკითხება.*

*3. ტექსტი გამოცემულია H-341 ხელნაწერის მიხედვით: ილია აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები: „მრავალთავის" ზოგიერთი თავის წყარო: VI. მარტჳლობაჲ ანდრიანესი და ანატოლჱსი: ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, თბ., 1965, გვ.171-235; აგრეთვე: ილია აბულაძე, შრომები, I, 1975, გვ. 143-208.*

*4. ქართულ ენაზე ამ თხზულების სამი რედაქცია გამოიყოფა: კიმენური (H-341 და Bodle 1), კიმენურის გადამუშავებული რედაქცია (H-1370, Sin.71) და მეტაფრასული (ქუთ.№1).*

*5. ტექსტის რედაქციების შესახებ იხ. აგრეთვე: კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.118; 158; ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ. 136 (100).*

36. საკითხავი პოვნისათჳს ცხოველსმყოფელისა, პატიოსნისა და ქებაჲ შესხმისაჲ, აღწერა ალექსანდრეს მონაზონმან კჳრილემან, რომელი იყო ქალაქისა ამაორნტონისაჲ, რომლისათჳს ეგვდრნეს მრავალგზის წმიდანი მამანი. გუაკურთხენ, უფალო!

ვინაჲთგან მივიღე ვედრებისა თქუენისა ბრძანებაჲ, წმიდანო მამანო, ფრიად დამიკჳრდა, რამეთუ ითხოვეთ ჩემ გლახაკისაგან და შეურაცხისა, რაჲთა... – რომელ-ესე ჭელ-ვყავ უცბებასა და უმეცრებასა შინა ჩემსა ნაკლული ესე ქებაჲ პატიოსნისა ჯუარისაჲ, არამედ შეიწირე და მოგუეც პოვნად წყალობაჲ და სახიერებაჲ შენი დღესა მას მიგებისა შენისასა სამართლაჲ, რამეთუ... ამენ (390r-419v).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „ლვ" (ოცდამეთექვსმეტე).*

*2. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.10.*

*3. ტექსტი გამოცემულია: იხ. ალექსანდრე კჳრელის ქრონიკა (X-XIV სს. ხელნაწერების მიხედვით). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო თამილა მგალობლიშვილმა, თბ., 1978, გვ.34-84. გამოცემაში ბოლოს ხელნაწერი გამოყენებულია და აღნიშნულია C ლიტერით.*

*4. თხზულების ბოლო ნაწილი სათაურით: „საკითხავი ჯუარისათჳს, თქუმული მისივე, სიტყუაჲ ჯუარისაჲ", როგორც დამოიკიდებელი ნაწარმოები შეტანილია A-144 ხელნაწერში კირილე იერუსალიმელის სახელით. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. თ. მგალობლიშვილი, კირილე იერუსალიმელის სახელით ცნობილი რამდენიმე საკითხავის წყაროს დადგენისათვის („მაცნე"; ენისა და ლიტ. ძეგლ., 1971, 3, გვ.60-62), მისივე: ალექსანდრე კჳრელის ქრონიკა... გვ.17-18. „საკითხავი ჯუარისათჳს" გამოცემულია: იხ. კლარჯული მრავალთავი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თამილა მგალობლიშვილმა, თბ. 1991, გვ.60-62.*

37. თქუმული წმიდისა ბასილი კესარიელისა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა ამაღლებისათჳს, რომელი-ესე მან ნუსხად დაწერილი დაუტეცა.

ჯუარისა კრებასა აღვასრულებთ და ეკლესიისა ჴოველივე სავსებაჲ განათლდების... – ჴოველნი წარმართნი, რაჟდენი ჰქმნენ, მოვიდენ და თაყუანის-ცცენ შენ წინაშე, უფალო, და აღიდებდენ სახელსა შენსა, რამეთუ დიდ ხარ შენ და მოქმედი საკჳრველთაჲ, შენ ხარ ღმერთი მხოლოჲ... ამენ (419v-425v).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „ლზ" (ოცდაშჳიდმეტე).*

*2. თხზულება კჳრილეს ანდრია კრიტელს (PG 97, 1017-1036. შდრ. A 182, 61r) და თარგმნილია ეფთვიმე ათონელის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ.V, გვ.19. იხ. აგრეთვე: ც. ქურციკიძე, ბასილი კესარიელის „სწავლათა" ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი... გვ.011, 014, 022; ნ. ჯჯაია, ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები, გვ.154).*

ცხორებანი წმიდათა და სანატრელთა მღწესთა და მოღუაწეთა დედათანი – 425v. (გადამწერის ხელით, ასომთავრულით).

შდრ. დედათა „ცხოვრებების" მსგავსი გამოყოფა და დასათაურება A-381 და A-382 ხელნაწერებში (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა A კოლექციისა, ტ.I(4), გვ.113; 130), აგრეთვე გაბრიელ პატარაძის ანდერძი A-95 ხელნაწერში (ტ.II, გვ. 388-389).

1. თუესა სეკდენბერსა ნ. ცხორებაჲ წმიდისა და ნეტარისა დედისა თეოდორაჲსი.

იყო, დღეთა ზენონის მეფისათა და გაბრიელ ეპარხოზისათა ალექსანდრიას ქალაქსა იყო ვინმე დედაკაცი, სახელით თეოდორა, და ესუა მას ქმარი სახითა კეთილი... – დაადგინეს იგი ძმათა ნაცვალად მისა მამასახლისად კეთილად სლვისა მისისათჳს, ამის ყოველისათჳს ღმერთსა საკჳრველთმოქმედსა მივსცეთ დიდებაჲ... ამენ (426r-434r).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „ა" (პირველი).*

*2. კომენური რედაქციისაა. იხ. ქ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.126; ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ. 210 (453).*

*3. გამოცემულია A 518 და A 643 ხელნაწერების მიხედვით: „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946, გვ.305-312.*

2. თუესა ოკდონბერსა წ. ცხორებაჲ და სინანული ნეტარისა ტასიანჲსი მეგუპტელისაჲ, რომელი იყო პირველად მეძავი და იქმნა ჭურ რწეული.

ძმანო ჩემნო საყუარელნო, მეგულების მე თხრობად თქუენდა სასურველი და ბრწყინვალე სინანული... იყო ვინმე ეგუპტეს და ესუა მას ყრმაჲ ერთი ქალი, სახელით ტასია... – სათნო ეყო ღმერთსა, გარდარეულად და საბაძველად ყოველთა იქმნა სინანული იგი მისი და სათნოებით ცხორებაჲ. მოგუმადლენ უფალმან ჩუენცა ცოდვილთა მისი იგი სინანული და მის თანა შენდობაჲ ცოდუათაჲ, რაჲთა... ამენ (434r-436r).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „ბ" (მეორე).*

*2. კომენური რედაქციისაა. იხ. ქ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.137; ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ. 342 (1084).*

3. თუესა ოკდონბერსა კ̅თ. თქუმული წმიდისა ეფრემისი აბრაჰამ მონაზონისათჳს და ძისწულისა მისისა მარიამისთჳს.

მნებავს, საყუარელნო ჩემნო, თქუენსა მაგას ერთობასა სმენად დიდებული იგი საქმე აბრაჰამისი, რომელი ქნნა ჯამსა მას სიბერისა მისისასა... – ჯამსა მას სიკუდილისა მისისასა ყოველთა, რომელთა იხილეს პირი მისი, მისცეს დიდებაჲ ღმერთსა დიდისა მისთჳს ბრწყინვალებისა პირისა მისისაჲსა, რომელმან ადიდა იგი... ამენ (436r-442r)

*შენიშვნები: 1. სათაურთან ტექსტის ხელით: „გ" (მესამე).*

*2. კომენური რედაქციისაა. იხ. ქ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.118. ავტორაჲ ეფრემ ასური. იხ. იქვე: გვ.53. ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ. 117 (7).*

*3. გამოცემულია A 95 ხელნაწერის მიხედვით ს. ყუბანეიშვილის მიერ: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბ., 1946, გვ.312-317.*

4. თუესა ჳ̅ებერვალსა ნ̅ე. ცხორებაჲ და სიმჭნე წმიდისა დედისა ეჳფროსინესი და მოქალაქობაჲ და მამისა მისისა პაფნუტიჲსი.

იყო ვინმე ალექსანდრიას კაცი აზნაური და სახელი მისი პაფნუტიოს. ესე იყო მოსწრაფჱ მცნებათა ღმრთისათა... – და მერმე მიიცვალა ზეცისასა მას და დაუტეჳ ჭუჟანისაჲ. და დაეყსა იგი საფლავსა მახლობელად ეჳფროსინესა, ასულისა მისისასა, სადიდებელად მამისა და... ამენ (442r-448v).

*შენიშვნები:*

*1. სათაურთან: „დ" (მეოთხე).*

*2. კომენური რედაქციისაა. იხ. ქ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.125. ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ.191 (359).*

5. თუესა აპრილსა ე. ცხორებაჲ წმიდისა და ნეტარისა დედისა მარიამ მეგჳპტელისაჲ.

გჳთხრობდეს წმიდანი მამანი, ვითარმედ წმიდასა მამასა ზოსიმეს გულმან უთქუა, ვითარ გჳთხრა ჩუენ, მისლვაჲ უდაბნოს... – ხოლო წმიდაჲ მამაჲ ზოსიმე აღესრულა ასისა წლისაჲ მონასტერსა შინა თჳსსა მადლითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ... ამენ (448v-456v).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „ე" (მეხუთე)*

*2. კიმენური რედაქციისაა. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.132 (სათაური გამორჩენილია). ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ. 272 (755).*

*3. გამოცემულია თხზულების ერთი ნაწილი A 95 ხელნაწერიდან ს. ყუბანეიშვილის მიერ: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946, გვ.317-319.*

6. თუესა ივნისსა თ. ცხორებაჲ წმიდისა პელაგიაჲსი, რომელი იყო ანტიოქელ. ესე იყო პირველ მეძავი, და იქმნა ჭურ რჩეულ.

მნებავს უწყებად თქუენდა, სულიერთა ძმათა, რაჲთა სარგებელსა დიდსა მიემთხუნენ სულნი თქუენნი და ადიდებდეთ კაცთმოყუარესა ღმერთსა... – ესე ცხორებაჲ მეძავისაჲ არს და ესე სინანული და მოქცევაჲ მისი, რომელსა წარეკუთუა სასოებაჲ მისი. და ჩუენცა მოგუეცინ უფალმან პოვნად წყალობისა დღესა მას საშჯელისასა, რომლისაჲ არს დიდებაჲ... ამენ (456v-464r).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „ე" (მეექვსე).*

*2. კიმენური რედაქციისაა. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.135; ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ.312 (941).*

7. თუესა ივლისსა კ. ცხორებაჲ ანტიგონესი და მეუღლისა მისისა ევპრაქსიაჲსი და ასულისა მათისაჲ, რომლისა სახელი ევპრაქსიაჲ.

დღეთა დმრთისმსახურისა თევდოსი მეფისათა იყო ვინმე კაცი, სახელით ანტიგონ, სამეფოსა ქალაქსა შინა... – ესე ცხორებაჲ არს ნეტარისა ევპრაქსიაჲსი, რომელი ზეცისასა მას კრებულსა თანა ღირს იქმნა. ვისწრაფოთ უკუე ჩუენცა ესევითარსა მოგებად საონოებასა: სიმდაბლე, მორჩილებაჲ, შრომაჲ, სიმშჯდე, სულგრძელებაჲ, რაჲთა ესრეთვე ჩუენცა ვიშუებდეთ ანგელოზთა თანა... ამენ (464v-482r).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „ზ" (მეშვიდე).*

*2. კიმენური რედაქციისაა. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.120; ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ. 138 (111).*

8. ცხორებაჲ ქალწულისა კანონიკესი, რომელი იყო ასული მთავრისა ერთისა კოსტანტინეპოლელისაჲ და იქმნა მძოვარ.

იყო ვინმე ერთი მამათაგანი, რომელსა ერქუა სილოვანე, და ჯდა იგი ქუაბსა შინა მონასტერსა ფარანასასა, მახლობელად იერუსალემსა... – და შემდგომად დღეთა მრავალთა წარვედ და ვეძიებდ მას ადგილსა და ვერ ვპოვე, და მივეც დიდებაჲ მამასა და ძესა... ამენ (482r-485v).

ეროვნული ბიბლიოთეკა

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „ჱ” (მერვე).*
*2. კიმენური რედაქციისაა. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.130; ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ. 248-249 (637).*

9. <u>ცხორებაჲ ევგენიოსისი და ასულისა მისისა მარიამისი, რომელმან გარდაიცვალა სახელი მარიანედ</u>. გუაკურთხენ, უფალო!

იყო ვინმე კაცი ერთი, ბითჳნიას რომელი ცხორებდა. სახელი მისი ევგენიოს. ამას ესუა ცოლი. და შვა მან ასული ერთი და უწოდა სახელი მისი მარიამ... – ოდეს აღიარა, განიკურნა გუამსა ზედა ღირსისა მარიანესსა. და აღიღეს იგი გალობითა და კურთხევითა და დადვეს იგი საფლავსა და ადიდებდეს ღმერთსა... ამენ (485v-488r).

*შენიშვნები: 1. სათაურის შემდეგ გვიანდელი ნუსხურით წერია: „ფჳრლსა იზ”.*
*2. ეს თხზულება პ. პეეტერსის აღწერილობაში გამორჩენილია, გამორჩენილია აგრეთვე კ. კეკელიძის ეტიუდების V ტომშიც.*
*3. ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ181 (311).*

10. <u>ამბა დანიელისი პატრიკიაჲსთჳს, რომელმან გარდაიცვალა სახელი საჭურისად</u>.

საჭურისი ვინმე დაყუდებული იყო შინაგანსრე უდაბნოსა სკიტისასა. ხოლო სენაკი მისი ეშორა სკიტესა მილიონით ათორმეტით... – რამეთუ სახელი მისი ითქუმოდა ანასტასია პირველად, ხოლო მე საჭურისად გარდავცვალე იგი ლოცვითა და მეოხებითა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისითა... რამეთუ მისა შუენის... ამენ (488r-490r).

*შენიშვნები: 1. სათაურთან ი̃ (მეათე)*
*2. კიმენური რედაქციისაა. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.135; ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ. 310 (933). პ. პეეტერსის აღწერილობაში ეს თხზულება გამორჩენილია. კ. კეკელიძის მხოლოდ კიმენური ჰაგიოგრაფიის ნუსხაში ამ ტექსტთან მითითებულია A-382 ხელნაწერი (იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, $I_4$ გვ.121). თხზულება ე.წ. პატერიკის ერთ-ერთ შემადგენელ ნოველას წარმოადგენს. ამ თარგმანის გარდა, არსებობს ეფთვიმე ათონელისა და თეოფილე ხუცესმონაზონის თარგმანებიც (იხ. შუასაუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მანანა დვალმა, თბ., 1966, გვ.84-89. გამოცემულია Bodle 1-ის ტექსტიც. იხ. ც. ქურციკიძე, მ. დვალი, ამბა დანიელის ავტორობით ცნობილი პატერიკული თხრობის კიდევ ერთი თარგმანისათვის, „მაცნე”, 1997, №1-4, გვ.97-106.*

11. <u>ცხორებაჲ ანდრონიკესი, ვეცხლისმსყიდელისაჲ, და მეუღლისა მისისა ათანასიაჲსი.</u>

იყო ვინმე ჭაბუკი ერთი ვეცხლისმსყიდელი ანტიოქიას დიდი, სახელით ანდრონიკე. ამან ისუა ცოლი ვეცხლისმსყიდელისა ასული... – ესე მიანდო ამბა დანიელ მოწაფესა თჳსსა და სხუასა არცაღა ერთსა (490r-494v).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „ია” (მეთერთმეტე)*
*2. ტექსტის ბოლოს გადამწერის ხელით წერია: „ვილოცოთ უკუჱ ჩუენცა მიწევნად საზომსა ათანასისა და ანდრონიკესსა ლოცვითა ყოველთა წმიდათაჲთა. ამენ”.*
*3. კიმენური რედაქციისაა. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.120.ე. განიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ.137 (105).*
*4. ეს თხზულება დაცულია კიდევ ერთ ხელნაწერში, A-95-ში, ტექსტი აქ ბოლონაკლულია (ქართ. ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, $I_1$, გვ.390).*

12. ჯერ-არს მოჭსენებად შრომათა მათ სიჭაბუკისათა სამგზის სანატრელისა მეულანიანისთა სარგებელად მრავალთა.

ესე ნეტარი მელან[ი]ა მშობელთა მისთაგან იძულა მიცვამად ქმრისა, ერთსა ვისმე მთავართაგანსა ჰრომისასა... – ეგრეჳ პინიანონცა, ქმარი მისი, იყოფოდა სამასთა თანა მონაზონთა, კაცთა ღმრთისმოშიშთა, და წიგნსა იკითხვიდა და იწურთიდა სიტყუათა ღმრთისათა დაუცხრომელად და ადიდებდა... ამენ (494v-495v).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „იბ" (მეთორმეტე).*

*2. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.134. ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ.299 (879).*

*3. კიმენური რედაქციისაა. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.133; ე. გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, გვ.283 (803).*

13. ცხორებაჲ ნეტარისა დედისა ნისიმესი, რომელსა თავი მოჭსულელსა.

არს ადგილი თებაიდას, რომელსა ჰრქჳან ტაბენესიოს, რომელსა შინა არიან დაყუდებულნი და მმარხველნი დედანი... – მერმე გამოვიდა ყარულად მონასტრით და ვიდრე ვიდა, გინა სადა დაადგრა, გინა სადა აღესრულა, არავინ ცნა თჳნიერ ღმრთისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ... ამენ (495v-497r).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „იგ" (მეცამეტე)*

*2. თხზულება წარმოადგენს „ნისიმეს ცხოვრების" მოკლე რედაქციას. არსებობს ვრცელი რედაქცია, რომელიც გამოცემულია ორჯერ: კ. კეკელიძე, კიმენი, I, გვ.202-214; ნ. წაქაძე, „ნისიმეს ცხოვრების" სირიული, არაბული და ქართული ვერსიები, განოკვლევა, ტექსტები, თარგმანები, თბ., 1983, გვ.160-221.*

*თხზულების ვრცელ რედაქციაში გამოიყოფა სამი მონაკვეთი (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, VII, გვ.81): 1. ნისიმეს ცხოვრება მონასტერში მისელამდე. 2. ნისიმეს ცხოვრება მონასტერში 3. მონასტრიდან წასვლა და შემდგომი მოღვაწეობა (ნ. წაქაძე, დასახ. ნაშრ. გვ.6). ქართული ხელნაწერებიდან ზოგი შეიცავს სამივე მონაკვეთს, ზოგი პირველ და მეორეს ერთად, მხოლოდ მეორე მონაკვეთისაგან (ნისიმეს ცხოვრება მონასტერში) შედგება Bodle I-ში დაცული ტექსტი, ნისიმეს ცხოვრების ამავე რედაქციის ტექსტს ხვდებით S-300 ხელნაწერში.*

*ლიტერატურა: 1. კ. კეკელიძე, Епизод из начальной истории египетского монашества; Труды Киевской духовной академии, 1911, том I, გვ.177-195; 395-364; ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VII, თბ., 1961, გვ.76-93 (გამოკვლევას ერთვის ტექსტის რუსული თარგმანი – გვ.93-101). 2. P. Peeters, Analecta Bollandiana, t. XXXI, Paris, 1912, pp. 478-479 (Bulletin des publications hagiographiques). 3. ნ. წაქაძე, „ნისიმეს ცხოვრების" სირიული, არაბული და ქართული ვერსიები, თბ., 1983, გვ.3-93.*

14. მამისა იოვანე მოკლისაჲ.

იტყოდეს, ვითარმედ ჭაბუკისა ვისმე ქალისანი აღესრულნეს მამა-დედანი და დარჩა იგი ობლად... – და ესმა ჴმაჲ, რომელმან ჰრქუა, ვითარმედ ერთი ესე ჯამი სინანულისა მისისაჲ შეიწირა უფალმან უფროს მათსა, რომელნი მრავალთა ჯამთა ინანიან და ვერ აზუენიან ესევითარი მჴურვალებაჲ სინანულისაჲ (497r-498r).

ეროვნული ბიბლიოთეკა

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „იდ" (მეთოთხმეტე).*

*2. კიმენური რედაქციისაა. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.128.*

*3. თხზულება პატერიკის ერთ-ერთ ნოველას წარმოადგენს. გამოცემულია Ath.12-ის (პატერიკის ტექსტთან ერთად) მიხედვით: იხ. შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, II, ანბანურ-ანონიმური პატერიკები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მანანა დვალმა, თბ., 1974, გვ.85-86.*

15. [უსათაურო].

მონაზონსა ვისმე დაჲ ესუა. და განირყუნა იგი ქალაქსა შინა. და ვითარ ესმა მამათა, დიდითა იძულებითა წარავლინეს ძმაჲ იგი დისა თჳსისა... – ძმამან მან განიღჳძა სიხარულითა დიდითა და მივიდა უდაბნოდ და მიუთხრა ყოველი მამათა. მაშინ მისცეს ყოველთა დიდებაჲ დმერთსა (498r-499r).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „იე" (მეთხუთმეტე).*

*2. თხზულება პ. პეტერსის აღწერილობაში გამორჩენილია. კ. კეკელიძე პალიოგრაფიული კიმენური რედაქციის ტექსტების ნუსხაში ასახელებს ამავე შინაარსის განსხვავებული რედაქციის ტექსტს A-95 ხელნაწერიდან (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.133. შდრ.A-95: 144, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), I, გვ.390).*

16. [მამისა იოვანესთჳს, რომელი იყო სენაკებისაჲ].

გუთხრობდა მამაჲ იოვანე, რომელი იყო სენაკებისაჲ, და თქუა: ერთი მუძაჲ იყო ეგჳპტეს, ქმნულკეთილი და მდიდარი ფრიად...– ხოლო იგი შევიდა ეკლესიად და ტირიდა მწარედ და თქუა: უკუეთუ აქაჲ ესე შემემოხჳა, მუნ რაჲცა-მე ყოფად ვარ? და შეინანა იგი და იქმნა ჭურ პატიოსან (499r-499v).

*შენიშვნები: 1. სათაური აღდგენილია Ath.12 პატერიკის ტექსტის მიხედვით.*

*2. ტექსტის დასაწყისის გასწორივ: „იე" (მეთექვსმეტე)*

*3. პ. პეტერსის აღწერილობაში ეს თხზულება გამორჩენილია.*

*4. თხზულება Ath.12 პატერიკის ერთ-ერთი ნოველაა. გამოცემულია: იხ. შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მანანა დვალმა, თბ., 1974, გვ.95-96.*

17. მამისა სერაპიონისთჳს.

მოვიდა ოდესმე მამაჲ სერაპიონ დაბასა ერთსა ეგჳპტეს და იხილა ვინმე მუძაჲ, რომელი დგა კართა ზედა სახლისა თჳსისათა... – და ყო ეგრეთ, ვითარცა ეგჳდრა მას. და ესრეთ დმრთისა მიმართ სათნოებით აღასრულნა ნუშტი (!) იგი ჟამთა ცხორებისა მისისათანი (499v-500r).

*შენიშვნები: 1. სათაურთან: „იზ" (მეჩვიდმეტე).*

*2. კიმენური რედაქციისაა. იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ.136.*

*3. ტექსტს შეიცავს პატერიკული ხელნაწერები Ath.12 და Sina 8. გამოცემულია ორივე ამ ხელნაწერის მიხედვით: შუასაუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, II. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მანანა დვალმა, თბ., 1974, გვ.237.*

## პროხორეს ანდერძი და სხვადასხვა მინაწერები

პროხორეს ანდერძი: „სახელითა ღმრთისაჲთა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა ყოველადწმიდისა და უმეტესად კურთხეულისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისითა, ძალითა და შეწევნითა უძლეველისა და ცხოველმყოფელისა პატიოსნისა ჯუარისაჲთა, მეოხებითა წმიდათა მთავარანგელოზთაჲთა და ყოველთა ზეცისა უკორცოთა ძალთაჲთა, მეოხებითა წმიდისა იოვანე წინამორბედისა და ნათლისმცემელისაჲთა, მადლითა და შეწევნითა დიდებულთა მოციქულთა, წმიდაჲთა მოწამეთა, ღირსთა მღდელმოძღუართა, ნეტართა მამათა და ყოველთა წმიდათაჲთა, რომელნი საუკუნოჲგან სათნო ეყვნეს ღმერთსა, ღირს მყო ღმერთმან მე, გლახაკი პროხორე, დაწერად ამის სულთა განმანათლებელისა წმიდათა მოწამეთა წიგნისა. და გაჲსრულე და შევმსუ და დავდევ ნებითა ღმრთისაჲთა და შეწევნითა ყოველთა წმიდათაჲთა ჩემ მიერ აღშენებულსა ეკლესიასსა წმიდისა ჯუარისასსა სალოცველად სულისა ჩემისა და სწლსა მოძღუართა, მშობელთა და ძმათა ჩემთასა და ყოველთა ჯუარელთა, სულიერთა შვილთა და ძმათა ჩემთაჲსა, რომელნი ჩემთანავე დაშურეს აღშენებასა ამის წმიდისა ადგილისასა.

აწ, წმიდანო ღმრთისანო, მკითხველნო და მსმენელნო, და რომელნიცა ღირს იქმნენთ მსახურებად ამის წმიდისა წიგნისა, ღმერთმან დაგაჯეროს, ლოცვა ყავთ ჩუენთჳს, რაჲთა ვპოოთ შენდობაჲ ცოდვათაჲ და ღირს ვიქმნეთ მიმთხუევად საუკუნეთა მათ კეთილთა და ერთობით ვადიდებდეთ ღმერთსა, რომლისაჲ არს დიდებაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ!" (500v).

*გადამწერის ხელით შესრულებული მინაწერები:*

ქრისტე, ადიდე სულიერითა დიდებითა მამაჲ გიორგი, ამენ (20v).

ქრისტე, ადიდე სულითა მამაჲ გიორგი, ამენ (181r).

ღმერთმან დიდებულ ყავნ სული მამისა ჟფთჳმესი, ამის საკითხავისა მთარგმნელისაჲ და სული მამისა მისისაჲ, იოვანესი, ამენ. (242r).

„თეოდორე სტრატილატის წამების" სათაურის გაგრძელებაზე: თარგმნილი მამისა ჩუენისა ჟფთჳმესი. ღმერთმან მადლი მიეცენ შრომისათჳს (169r).

წმიდაო პანტელეიმონ, მეოხ ეყავ წინაშე ქრისტესა მამასა [პროხორეს], ამენ (312 v).

ქრისტე, ადიდე სულითა მამაჲ გიორგი, ამენ. გუაკურთხენ უფალო (390r).

*ხელნაწერისდროინდელი მინაწერები ნუსხურით:*

დიდებაჲ ღმერთსა, მიზეზსა და სრულმყოფელსა ყოველისა კეთილისასა, ამენ! (500r).

ქრისტე, ადიდე სულითა მამაჲ და მოძღუარი ჩუენი, პროხორე, ამენ! (500r).

ყოველთა ჯუარელთა ძმათა შეუნდჳენ ღმერთმან, ამენ! (500r).

ვისცა რაჲ ამას წიგნსა ზედა ულუწია და შეუწჳეია, შეუნდჳენ ღმერთმან, ამენ! (500r).

და ვინცა წალმართ ჩუენ გჳლოცვიდენ, მათცა შეუნდჳენ ღმერთმან, ამენ! (500r).

*სხვადასხვა დროს ნუსხურითშესრულებული მინაწერები:*

გედევანს მაჭავარიანსა შეუნდჳნეს ღმერთმან (1გვ.v)

გედევანს თედორიძესა შეუნდჳნეს ღმერთმან

სულსა სავანდარს (სალანდარს) მესირმის შეილსა და მეუღლისა (!) მისსა შეუწჳნე[რ]სა შეუნდჳნეს ღმერთმან. ამენ! (1v).

იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, შეიწყალე შენმიერითა წყალობითა პატრონი ათაბაგი ჭაიხოსრო, ამენ. და მეცა ყოველთა კაცთა უცოდველესი მონა მათი, ცოდვილი ამბრ[ო]სი შემიწყალე, დაღონებული (1v).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულსა ამა წიგნისა ახლად შემკაზმავსა გერმანეს მონაზონსა და მშობელსა და მამისა მისსა შეუნდვნეს ღმერთმან. მეუღლე (! შოფისა თ[ა]მარს შეუნდვნეს ღმერთმან, ძმათა და დათა, შვილთა და ძმისწულთა მისთა შეუნდვნეს ღმერთმან (1v).

წმიდაო თეოდორე მოწამეო … მეოხ ეყავ წინაშე ქრისტესა ათაბაგსა ქაიხოსროს, ამენ. და ცოდვილსა ამბროსეს, ამინ. (169r).

წმიდანო თავნო მოციქულთანო პეტრე და პავლე, შეიწყალეთ პატრონი ათაბაგი (193v).

და პატრონსა ათაბაგსა ქაიხოსროს შეუნდნეს ღმერთმან, ვინცა სთქუათ, თქუენცა შეგინდნეს ღმერთმან, ამინ. და ცოდვილსა ამბროსისცა შეუნდნეს ღმერთმან, ამინ. (500r).

წმიდაო ანდრიანე და ანატოლე, მეოხ-მეყვენით წინაშე ქრისტეს ღმრთისა ცოდვილისა ამბროსეს ლიკნელსა დეკანოზის შვილასა (382v).

*სხვა მინაწერები*

<u>ნუსხურით</u>:

1. ესე წამებაჲ ამათ წმიდათაჲ სჳნაქსარითა იანვარსა ი͞ზ არს (59r).
2. წმიდისა მოწამისა ფოკაჲსი სეკდენბერსა ი͞ბ ჰპოეთ (282r).
3. ესე წმიდისა ევგენიაჲს დღესასწაული დეკენბერსა ͞კდ და იანვარსა ი͞გ არს. აქა ცთომით სწერია (იქვე).
4. წმიდასა გრიგოლს შეუნდნეს ღმერთმან (319v).
5. სტეფანეს იტყჳს პირველმოწამესა გჳრგჳნად (333v).

<u>მხედრულით:</u>

1. მონა შენი ბესარიონ შეიწყალე, უფალო, მამა და დედა და ძმა და დანი მისი, ბესარიონის და მხევალი მღვთისა, იარდიკა შეიწყალე, ქრისტე, და ვინცა ბრძანოთ … თქუენცა (არ იკითხება) (124r).
2. ჯუარცმაო წ[მიდი]ს ქრისტესო, დაფლვაო და აღდგომაო და ამაღლებაო ქრისტესო, სულის წმინდისაო, იერუსალემს ქრისტე რომელმან აღმოგვიბრწყინა (424v).
3. და ცოდვილსა ბესარიონს შეუნდნეს ცოდვანი მისნი ღმერთმან, ამინ. ვინცა ბრძანოს, შეუნდნეს ღმერთმან (500r).

ცისანა აბულაძე

# КАТАЛОГ АРАБСКИХ РУКОПИСЕЙ ИНСТИТУТА РУКОПИСЕЙ ИМ. К.С. КЕКЕЛИДЗЕ

(коллекция L, вып. II). Составители Р.В. Гварамия, Н.Г. Канчавели, Л.И. Мамулия, Л.В. Самкурашвили, Тбилиси, 2002 г. 586 стр.

*საფუძველი ყოველგვარი სერიოზული მუშაობისა ლიტერატურის დარგში არის კატალოგიზაცია ხელნაწერებისა*

*ნიკო მარი*

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ე.წ. „მუსლიმურ ფონდში“ ინახება 1500 არაბული ხელნაწერი. მათი დამუშავება დაიწყო ინსტიტუტის დაარსებისთანავე (1958 წ.). ახალბედა სპეციალისტები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. წინამორბედთაგან მათ გადმოეცათ მხოლოდ საინვენტარო დავთარი, სადაც მარტოოდენ ნომრები იყო აღნიშნული.

ფონდში დაცულ აღმოსავლურ ხელნაწერებში უპირველესად, შემოსულობათა კვალობაზე, გამოიყო სამი კოლექცია – კაჯარის (K), ადგილობრივი (L) და შუაზიური (AC). კატალოგების შედგენას კოლექციების მიხედვით შეუდგნენ. 1969 წელს გამოვიდა K კოლექციის არაბულ, თურქულ და სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი. მასში შევიდა 34 არაბული ხელნაწერი. კატალოგი აიგო იმ პრინციპებზე, რომლებიც პროფ. ილ. აბულაძის ინიციატივით შეიმუშავეს აკადემიკოსებმა გ. წერეთელმა და ს. ჯიქიამ და პროფ. ვლ. ფუთურიძემ.

1978 წელს ცალკე ტომად გამოიცა არაბული ხელნაწერების L კოლექციის კატალოგი, ნაკეთი პირველი. შემდგენლები – რ. გვარამია, ლ. მამულია, ნ. ყანჩაველი. კატალოგში შევიდა 590 თხზულების შემცველი 364 ხელნაწერი. მასალის სიმრავლემ და მუშაობის პროცესში შეძენილმა ცოდნამ თუ გამოცდილებამ სპეციალისტებს რამდენადმე შეაცვლევინა აღწერილობის ადრინდელი სქემა. თუ K კოლექციის კატალოგში ხელნაწერები აღწერილი იყო რიგითი ნომრების თანმიმდევრობით, L კოლექციის კატალოგში დალაგდა დარგების მიხედვით, მასთან გათვალისწინებულ იქნა ავტორის მოღვაწეობის, ზოგჯერ ხელნაწერის გადაწერის თარიღი. არაბული ხელნაწერების სპეციფიკის შესაბამისად თანმიმდევრობით წარმოდგა ძირითადი თხზულება და მისი კომენტარები, გლოსები თუ სუპერგლოსები, ე.ი. აღდგა თხზულებათა ჯაჭვური თანმიმდევრობა.

L კოლექციის არაბული ხელნაწერების დიდი რაოდენობა კრებულია – ერთ წიგნად არის შეკრული სხვადასხვა დარგის, სხვადასხვა ავტორისა და ეპოქის, ხშირად სხვადასხვა პირის მიერ გადაწერილი 16-18, ზოგჯერ 25 თხზულება. მასალის დარგების მიხედვით მოწოდებამ გამოიწვია კრებულების დაშლა, ანუ კრებულში შემავალი თხზულებების დარგების მიხედვით გადანაწილება. კატალოგის შემდგენელთა საქებრად უნდა ითქვას, რომ მათ შეძლეს ხელნაწერი კრებულის, როგორც მთლიანი კულტუროლოგიური ერთეულის, შენარჩუნება. კატალოგს ტრადიციული საძიებლების გარდა, ახლავს კრებულთა საძიებლებიც, რომლის მიხედვით დაინტერესებული პირი ადვილად აღადგენს კრებულის გარეგნულ სახეს და შედგენილობას. კრებულთა საძიებელში მითითებულია – ხელნაწერთა ტექნიკური აღწერა, ფურცელთა საერთო რაოდენობა, გვერდებისა და ნომრის აღნიშვნით კი

მასში შესული თხზულებების ადგილი და დარგი, რომელსაც ეს თხზულება განეკუთვნება. მთლიანად არაბული ხელნაწერების L კოლექციის I ნაკვეთს აშკარად ატყვია ავტორის საქმისადმი დამოკიდებულება, ცოდნა და გამოცდილება, რასაც ბევრად განსაზღვრავს ხელნაწერთა ინსტიტუტში დამკვიდრებული მუშაობის სტილი. "დაუზოგავი ენერგიით შეუნელებელი გარჯა" (ილ. აბულაძე).

კიდევ უფრო წარმატებული აღმოჩნდა L კოლექციის არაბული ხელნაწერების კატალოგის მეორე ნაკვეთი, რომელიც 2002 წელს გამოვიდა რუსულ ენაზე. შემდგენლები: რ. გვარამია, ლ. მამულია, ლ. სამყურაშვილი და ნ. ყანჩაველი. კომპიუტერული უზრუნველყოფა ნ. ხუციშვილისა და ლ. სამყურაშვილისა. დაკაბადონა ნ. ხუციშვილმა. კატალოგი გამოსაცემად მომზადდა და დაისტამბა „კავკასიური სახლის" ხელშეწყობით და ჰოლანდიური ფონდის „Sticting Horizen"-ის ფინანსური დახმარებით.

L კოლექციის მეორე ნაკვეთში შესულია არაბულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული წერილობითი ძეგლების დაღესტანში გადაწერილი ნუსხები და დაღესტნელ ავტორთა მიერ ადგილზე შექმნილი თხზულებები. ეს არის მზარდი ადგილობრივი კოლექციის 30 წლის წინ ზრდაშეწყვეტილი დაღესტნური ქვეკოლექცია, რომელშიც გაერთიანებულია 827 თხზულების შემცველი 382 ხელნაწერი, აქედან 128 კრებულია. ხელნაწერთა ქრონოლოგიური ჩარჩოა XVII-XX საუკუნეები, სჭარბობს XVIII-XIX საუკუნეები. მხოლოდ სამი ხელნაწერი არის გადაწერილი XIII-XIV საუკუნეებში. აღმწერლების ვარაუდით ისინი შემოტანილი უნდა იყოს სხვა ქვეყნებიდან.

დაღესტნური ქვეკოლექცია გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებით – რელიგია, გრამატიკა, სამართალი, ისტორია, დოგმატიკა, მხატვრული პროზა და პოეზია, გეოგრაფია, ზოოლოგია, ეპისტოლოგრაფია, ოკულტური ტექსტები და სხვ. პირველი ნაკვეთის მსგავსად, აქაც ყველაზე მრავალრიცხოვანი გრამატიკაა (აღმწერი ლ. მამულია). ეს მარტივად შეიძლება აიხსნას არაბული ენისადმი საერთოდ მუსლიმთა დამოკიდებულებითა და იმ საკომუნიკაციო ფუნქციით, რაც მას ჰქონდა რეგიონულიამდეც დაღესტანში. იქ ხომ არაბული იყო არა მარტო სამწერლობო, არამედ სხვადასხვაენოვანი დაღესტნური ტომების საურთიერთო ენა ყველა დონეზე. ენის შესწავლის ნაცადი მეთოდი კი გახლდათ ხელნაწერების გადაწერა. ამის ზედაპირი უნდა იყოს საერთოდ ნუსხათა სიმრავლე და კერძოდ, გრამატიკული თხზულებებისა. ქვეკოლექციაში დაცულია ადგილობრივი, დაღესტნელი ავტორების საისტორიო და ლიტერატურული ძეგლები. მათ შორის XIX საუკუნის ცნობილი განმანათლებლისა და მწერლის, ჰასან ალ-ალკადარის არაერთი თხზულება, ნაწყვეტ ად-დინ ალ-ავარის, დიბირ ალ-ხუნძახის, მირზა ალი ეფენდი ალ-ხუნძახის და სხვათა პოეტური ქმნილებები. ამ კოლექციაშია შამილის მდივნის მუჰამად ტაჰირ ალ-კარახის – „შამილის ბრძოლების ისტორია", აქვეა დაღესტანში ისლამის გავრცელების ისტორიის რამდენიმე ნუსხა, აბდ-არ-რაშიძ ალ-ღუმუკის ავტოგრაფული ნუსხა – 1877 წელს ჩეჩნეთსა და დაღესტანში მომხდარი ამბებისა და ბასმალის შესახებ, ალაჰის სახელთა კომენტარები და ა.შ. ქვეკოლექციაში დაცული ხელნაწერების თემატიკაც ი ნათელს ხდის დაღესტნელთა დამოკიდებულებას არაბული ენისა და კულტურისადმი, საკუთარი ხალხის ყოფისა და ისტორიისადმი, წარმოაჩენს მათი ინტერესების მასშტაბურობასა და ცოდნის დონეს.

დაღესტნური ქვეკოლექციის მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტიც, რომ იქ ინახება არაბიკათი ნაწერი ლაკური და ხუნძური თხზულებების სრული ტექსტი ან ნაწყვეტები. ისინი, რა თქმა უნდა, კატალოგის შემდგენლებს არაბული ხელნაწერების რიგში არ ჩაუყენებიათ, მაგრამ შესავალში მოწოდებულია ამომწურავი ინფორმაცია, რომლითაც სამეცნიერო მიმოქცევაში შემოდის დამწერლობის არმქონე დაღესტნური ენების ფონეტიკის, გრამატიკისა და ლექსიკის დიაქრონულ ჭრილში შესასწავლად უაღრესად საინტერესო მასალა.

კატალოგს უძღვის შესავალი რუსულ და ინგლისურ ენებზე და შემოკლებათა სია; ერთვის საილუსტრაციო მასალა – ნიმუშები ხელნაწერებიდან; საძიებლები – თხზულებათა, ავტორთა და შემდგენელთა, ხელნაწერების გადამწერთა და მფლობელთა, გეოგრაფიულ სახელთა, კრებულთა; ხელნაწერების შიფრისა და აღწერის ნიმრების შესატყვისობათა ცხრილი – კონკორდანსი. შესავალში ავტორები – რ. გვარამია, ნ. ყანჩაველი – საუბრობენ ქვეკოლექციის შედგენის ისტორიასა და თემატურ მრავალფეროვნებაზე. ყურადღებას ამახვილებენ სხვადასხვა ნიშნით გამორჩეულ ხელნაწერებზე. უფრო სიღრმისეულად

მსჯელობენ დაღესტნელ ავტორებსა და მათ თხზულებებზე. საუბრობენ ნუსხების პალეოგრაფიულ თავისებურებებზე (საქმე ის არის, რომ ოდენ არაბული ენის გრაფიკული, დამატებითი ნიშნების გარეშე, ვერ გადმოიცემა დაღესტნური ანთროპონიმები და ტოპონიმები). ეხებიან აღწერისა და საძიებლების შედგენის პრინციპებს. ერთი სიტყვით, შესავალი სრულ წარმოდგენას ქმნის ქვეკოლექციის შედგენილობასა და მნიშვნელობაზე.

შემოკლებათა სიაში მოცემულია საცნობარო ლიტერატურა (სასურველი იქნებოდა ტექნიკური ხასიათის შემოკლებების ახსნაც).

კატალოგი იწყება ყურანით, მას მოსდევს ყურანთან დაკავშირებული მეცნიერებანი; შემდეგაა ჰადისები, დოგმატიკა, სუფიზმი, მუსლიმური სამართალი, ფილოსოფია, ლოგიკა, გრამატიკა, ლექსიკოგრაფია, მეტრიკა, რიტორიკა, მხატვრული ლიტერატურა, ისტორია, ბიოგრაფია, შეგონებანი, გეოგრაფია, მათემატიკა, ასტრონომია, ასტროლაბია, ზოოლოგია, ოკულტური მეცნიერებანი, მედიცინა. ხოლო ის ხელნაწერები (მეტწილად ფრაგმენტები და ნაწყვეტები, იშვიათად მცირე ზომის მთელი თხზულებებიც), რომელთა დარგობრივი იდენტიფიკაცია ვერ მოხერხდა, შეტანილია Varia-ში (სხვადასხვა). სარჩევში თითოეულ დარგთან მითითებულია აღმწერის გვარი.

კატალოგში რუსულ ენაზე მოცემულია ხელნაწერების ტექნიკური აღწერილობა – ზომა, ქაღალდი, ყდა; დაცულობა, ხელი, მელანი, პაგინაცია, თარიღი, ხოლო გადამწერის, გადაწერის ადგილის, ავტორის სახელი და თხზულების სათაური ფიქსირებულია არაბულ ენაზე არაბიკათი და რუსული ტრანსკრიფციით (რაც საჭიროებდა სატრანსკრიფციო ნიშნების ახსნასაც). თხზულების დასაწყისი და დასასრული მოტანილია ორიგინალის ენაზე. ამრიგად, ნებისმიერნივანი არაბისტისათვის იქნება გასაგები ხელნაწერის რაობა და ავტორი, თხზულების სათაური, გადამწერის ვინაობა და გადაწერის ადგილი. თითოეული ხელნაწერის აღწერას ერთვის, ძირითადი საცნობარო ლიტერატურის მოხმობით, ანალოგიურ თხზულებაზე მითითება. როცა ხელნაწერს ვერ უძებნინან პარალელს, მაშინ დაწერილებით აღწერენ შედგენილობას და გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს. ბიბლიოგრაფიას მოსდევს დაღესტნური ქვეკოლექციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის რუბრიკა – примечания – შენიშვნა. დაღესტნური ქვეკოლექციის ხელნაწერებში ხშირად არის მფლობელთა და სხვა ადგილობრივ პირთა მინაწერები. მათში თარიღის ჩვენებით აღნიშნულია ფაქტები დაღესტნის პოლიტიკური და სოციალური ისტორიიდან. მაგ. რუსების მიერ დაღესტნის აულების აღება, მოსახლეობის დატყვევება, სტიქიური უბედურებანი – მიწისძვრა, კალიების შემოსევა; ეპიდემიები – ჭლექისა და შავი ჭირის გავრცელება, ცალკეული პირთა დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები, ისეთი ყოფითი რეალიები, როგორიცაა ყიდვა-გაყიდვა, მათ შორის ხელნაწერებისა. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის XVIII-XIX საუკუნეების დაღესტნური ქრონიკები, ჩაწერილი (ხელ ქვაღზე თვითმხილველთა და მონაწილეთა მიერ. მინაწერებში ჩნდება გადამწერებისა და წიგნის მფლობელთა დინასტიები, მწიგნობარი ოჯახები. დასახელებულია ალიმები (სწავლულები) რომელთა მედრესეებში (სკოლებში) იქმნებოდა ხელნაწერ წიგნთა ნუსხები. ალიმებს საქმიანი ურთიერთობა ჰქონიათ მექელ მწიგნობრებთანაც და საერთოდ მთელ არაბულ სამყაროსთან.

ჩვეულებრივ კატალოგებში მინაწერების არსებობასაც კი იშვიათად უთითებენ. აქ შინაარსის შესაბამისად მოაქვთ არაბული ტექსტი რუსული თარგმანით (ზოგჯერ მხოლოდ რუსული თარგმანით). ამგვარად დაღესტნის ისტორიითა და კულტურით დაინტერესებულ პირებს პირდაპირ კატალოგის გვერდებიდან მიეწოდება ახალი მასალა. სრულიად აშკარაა კატალოგის შემდგენელთა დიდი სურვილი – რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია ამოკრიბონ ხელნაწერებიდან. ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო დიდი მონდომებითაა აღწერილი დაღესტნელ ავტორთა თხზულებების შემცველი ხელნაწერები. მახაჩკალაში ჰამზათ წადასის სახელობის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტში დაძებნილია შესაბამისი ხელნაწერი ნუსხები და გამოცემები, ჩატარებულია პირველადი ტექსტოლოგიური სამუშაოები, რაც სცილდება კატალოგის ფარგლებს. ისიც საკმარისი იქნებოდა, თუ დაღესტნურ თხზულებებს ცალკე გამოყოფდნენ, როგორც ეს არის მუსლიმურ სამართალში (ავტორი რ. გვარამია). კატალოგს აგვირგვინებს უაღრესად შთამბეჭდავი საძიებლები. მათში, როგორც წესის თვისებები მის ერთ წვეთში, ისე ჩანს კატალოგის აე-კარი, შემდგენელთა პროფესიული დონე, საქმისადმი თავდადება, ეს არის მეცნიერულ აღწერილობასთან წილნაყარი ნაშრომი და მენანება, რომ კატალოგად არის სახელდებული.

ხელნაწერის აღწერა ხანგრძლივი, უზომოდ შრომატევადი პროცესია, სამაგიეროდ შედეგი – უბერებელი წიგნი, რომელსაც ჟამთა სვლა ვერაფერს აკლებს, იგი არაერთ თაობას აწვდის საჭირო საკვლევ მასალას. ამიტომ კატალოგის გამოსვლა ყოველთვის უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ ფაქტად აღიქმება. მაგრამ... აქ ზედმეტი არ უნდა იყოს ცნობილი პეტერბურგელი არაბისტის ა.ჰ. ხალიდოვის სიტყვების გახსენება: „სამწუხაროდ, ახალანდელი არაბისტი ვერ იმუშავებს ხელნაწერთა კატალოგის შედგენაზე, რადგან ახალგაზრდებმა არ იციან კლასიკური არაბული ენა, ურომლისოდაც შეუძლებელია არაბულ ხელნაწერებზე მუშაობა. თანამედროვე უმაღლესი სასწავლებლები სპეციალისტებს ამზადებენ ძირითადად არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობისათვის. მათ კი კლასიკური არაბული ენის ცოდნა არ სჭირდებათ“. ასეთი ვითარება კიდევ უფრო ზრდის ჩვენი არაბისტების – რ. გვარამიას, ლ. მამულიას, ლ. სამყურაშვილისა და ნ. ყანჩაველის – მიერ შედგენილი კატალოგის მნიშვნელობას. იგი მრავალმხრივი ღირებულების მასალას მიაწვდის არაბისტებსა და კავკასიოლოგებს. განსაკუთრებულ ყურადღებას კი, ალბათ, დაღესტნელი სპეციალისტებისაგან დაიმსახურებს და ვფიქრობ, მადლიერების გრძნობასთან ერთად მიბაძვის სურვილსაც აღძრავს. მეცნიერული ინტერესებისათვის, მართლაც რომ, არ არსებობს ეროვნული და სახელმწიფოებრივი საზღვრები.

დასასრულ, განსაკუთრებით უნდა აღნიშნოს კავკასიური სახლისა და მისი ხელმძღვანელის, ქალბატონ ნაირა გელაშვილის როლი კატალოგის გამოცემის საქმეში. სწორედ კავკასიურ სახლთან თანამშრომლობისას გამოიკვეთა, რომ ერთი შეხედვით მხოლოდ მეცნიერთა ვიწრო წრისათვის საინტერესო პუბლიკაცია ამავე დროს წარმოადგენს მნიშვნელოვან საერთაშორისო ინტერკულტურულ პროექტს, რომელიც ღირსეულად წარმოაჩენს, ერთი მხრივ დაღესტნის ხალხთა კულტურულ მემკვიდრეობას და მეორე მხრივ, ხაზს უსვამს საქართველოს ფუნქციას ზოგად კავკასიურ სივრცეში. ერთი სიტყვით, „კავკასიურმა სახლმა“ კატალოგის გამოცემით ურეკლამოდ და უხმაუროდ გააკეთა საშვილიშვილო საქმე.

ლალი ალექსი-მესხიშვილი

## ტემპერატურისა და ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის გავლენა ობის სოკოების ზრდა-განვითარებაზე

ნაშრომში განხილულია ტემპერატურისა და ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის გავლენა ობის სოკოების ოთხი წარმომადგენლის (Cephalosporium acremonium, Cymnoascus Setosus, Aspergillus versicolor, Penicillium citrinum) ზრდა-განვითარებაზე. ტემპერატურის გავლენის შესასწავლად ცდები ჩატარდა პოლითერმოსტატში. 2% ლუდ-აგარზე პეტრის თასებში გადათესილი სოკოები მოთავსებული იყო სხვადასხვა ტემპერატურაზე 1°-დან 45°-მდე. ყოველდღიურად ტარდებოდა სოკოების კოლონიების დიამეტრის გაზომვა. დაკვირვება 1-1½ თვეს გაგრძელდა. ცდების შედეგები შეჯამებულია №1 ცხრილში. როგორც ცხრილიდან ჩანს, Cymnoascus setosis-მა ზრდა დაიწყო 7-8° ტემპერატურაზე მერვე დღეზე, სუბსტრატი მთლიანად დაიფარა სოკოს მიცელიუმით 39-ე დღეზე. 11-12° ტემპერატურაზე - ზრდა დაიწყო მეექვსე დღეს, პეტრის თასი დაიფარა მიცელიუმით 32 დღეში. 16-20° ტემპერატურაზე ზრდა დაიწყო მეოთხე დღეს, პეტრის თასი მიცემიუმით დაიფარა 23 დღეში. 22-24° - ზრდა იწყება მესამე დღეს, სუბსტრატი იფარება 12 დღეში. 26-28° - ზრდა დაიწყო მესამე დღეს, ინტენსიურად დაიფარა სუბსტრატი 8 დღეში. 30-32° განვითარება დაიწყო მესამე დღიდან, მაგრამ ზრდა შენელდა, პეტრის თასი მთლიანად დაიფარა 14 დღეში. 34-36° ზრდა დაიწყო მეხუთე დღეს - მთლიანად დაიფარა 23-ე დღეს. 38-40° სოკო არ განვითარდა.

ჩვენი ცდების შედეგად Gymnoascus setosus-ის ზრდის მინიმუმად შეიძლება ჩავთვალოთ 7-8°, ოპტიმუმად 26-28°, მაქსიმუმად +38-40°.

Aspergillus versicolor-მა განვითარება დაიწყო 7-8° ტემპერატურაზე მეექვსე დღიდან, სუბსტრატი დაიფარა 21 დღეში. 11-12° – ზრდა დაიწყო მეოთხე დრიდან - პეტრის თასი მთლიანად დაიფარა 18 დღეში. 16-20° – ზრდა დაიწყო მეოთხე დღიდან, სუბსტრატი მთლიანად დაიფარა 16 დღეში. 22-24° – სოკო იწყებს განვითარებას მეორე დღიდან თასი დაიფარა მთლიანად 14 დღეში. 26-28° – იწყება ზრდა ინტენსიურად მეორე დღიდან, თასი იფარება 11 დღეში. 30-37° – ასევე იწყება ზრდა მეორე დღიდან და ინტენსიურია, პეტრის თასი მთლიანად იფარება 10 დღეში. 34-36° - ასევე იწყება მეორე დღიდან, სუბსტრატი მთლიანად იფარება 8 დღეში. 38-40° – იწყება მეექვსე დღეს, შენელებულია, მიცელიუმით იფარება მთლიანად მე-19 დღეს. 42-43° სოკო ადარ გაიზარდა.

ცხრილი №1
ტემპერატურის გავლენა ობის სოკოების ზრდა-განვითარებაზე

| სოკოს სახელწოდება | 1-2° | 5-6° | 7-8° | 11-12° | 16-20° | 22-24° | 26-28° | 30-32° | 34-36° | 38-40° | 42-43° | 45° |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Gaymnoascus setosus | არ განვით. | არ განვით. | 8-39 | 6-32 | 4-23 | 3-12 | 3-8 | 3-14 | 5-23 | არ განვთ. | - | - |
| Aspergillus versicolor | - | - | 6-21 | 4-18 | 4-16 | 2-14 | 2-11 | 2-10 | 2-8 | 6-19 | არ განვ. | - |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Cephalosporium acremonium | 10-31 | 10-31 | 12-22 | 6-21 | 4-10 | 4-10 | 3-8 | 6-14 | 6-14 | 10-26 | არ განვ. | |
| Penicillium citrinum | არ განვ. | არ განვ. | არ განვ. | 9-24 | 5-17 | 4-10 | 4-8 | 8-19 | 11-25 | არ განვ. | - | - |

შენიშვნა: ციფრები აღნიშნავენ ზრდის დაწყებისა და დასრულების დღეებს

ცდების შედეგად Aspergillus versicolor-ის ზრდის მინიმუმად შეიძლება ჩაითვალოს 7-8° ტემპერატურა. ოპტიმუმად 34-36°, მაქსიმუმად 38-40°.

Cephalosporium acremonium - 1-2° ტემპერატურაზე დაიწყო სუსტი ზრდა მე-10 დღეზე, თასი მიცელიუმით დაიფარა მთლიანად მხოლოდ 31 დღეზე. 5-6° – იგივე მდგომარეობაა. მე-10 დღეზე ზრდის დასაწყისი, მთლიანად ზრდის დამთავრება 31 დღეზე. 7-8° ტემპერატურაზე ზრდა დაიწყო 12-22 დღეში, 11-12° ტემპერატურაზე ზრდა დაიწყო მე-6 დღეზე, დამთავრდა 21 დღეში. 16-20° ტემპერატურაზე ზრდა დაიწყო მე-4 დღეზე, დამთავრდა 10 დღეში. 22-24° ტემპერატურაზე ზრდა დაიწყო მე-4 დღეზე, დამთავრდა მეათე დღეზე. 26-28° ტემპერატურაზე სოკომ ზრდა დაიწყო მესამე დღეზე, მიცელიუმი ქუჩასებრი, თეთრი, დაიფარა თასი 8 დღეში. 30-32° ტემპერატურაზე ზრდა დაიწყო მე-6 დღეს, დაიფარა სუბსტრატი 14 დღეში. 38-40° ტემპერატურაზე სოკომ დაიწყო ზრდა მე-10 დღეს, დამთავრდა ზრდა 26 დღეში, 42-43° ზრდა შეწყდა.

ცდების შედეგად Cephalosporium acremonium-ის ზრდის მინიმუმია 1-2°, ოპტიმუმი - 26-28°, მაქსიმუმი - 38-40°.

Penicillium citrinum-მა ზრდა დაიწყო +11-12° ტემპერატურაზე მე-9 დღეს, მთლიანად დაიფარა სუბსტრატი 24-ე დღეზე. 16-20° ტემპერატურაზე ზრდა დაიწყო სოკომ მე-5 დღეზე, მიცელიუმით მთლიანად დაიფარა სუბსტრატი მე-17 დღეზე. 22-24° ტემპერატურაზე ზრდა დაიწყო მე-4 დღეს, ზრდა დასრულდა მე-10 დღეზე. 25-28° ტემპერატურაზე ზრდა დაიწყო მე-4 დღეს ძალიან ინტენსიურად, მთლიანად დაიფარა სუბსტრატი 8 დღეში. 30-32° ტემპერატურაზე ზრდა დაიწყო მერვე დღეს, მთლიანად დაიფარა მე-19 დღეს. 34-36° ტემპერატურაზე დაიწყო ზრდა სოკომ მე-11 დღეს, ზრდა შენელებულია, მთლიანად დაიფარა სუბსტრატი 25-ე დღეზე. 38-40° ზრდა შეწყდა.

Penicillium citrinum-ის ზრდის მინიმუმია 11-12°, ოპტიუმი 25-28°, მაქსიმუმი 34-36°.

ობის სოკოების სპორების გაღივებაზე ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის გავლენის გამოსარკვევად მზადდებოდა სპოროვანი სუსპენზია სოკოების ორკვირიანი კულტურებიდან 1:1 განზავებული ლუდის ტკბილში. სპოროვანი სუსპენზიის 3-3 წვეთი თავსდებოდა სასაგნე მინაზე, წვეთის გაშრობის შემდეგ სასაგნე მინები შეგვქონდა ექსიკატორებში 30%-დან 100%-მდე ჰაერის შეფარდებით ტენზე, აღრიცხვა იწყებოდა ცდის დაყენებიდან 2, 4, 6, 8, 24-48 საათის შემდეგ. ცდების შედეგად გამოირკვა, რომ გამოსაცდელი სოკოების ოთხივე სახეობის სპორები ღივდებიან მხოლოდ 100% ჰაერის შეფარდებითი ტენის პირობებში 48 საათის შემდეგ.

ჰაერის სხვადასხვა შეფარდებითი ტენიანობისას სოკოების სპორების სიცოცხლისუნარიანობის შესწავლის დროს გამოიყენებოდა იგივე მეთოდი, რაც სპორების გაღივებისათვის, სპორების სიცოცხლისუნარიანობა მოწმდებოდა 10, 20, 30, 40, 50 დღის შემდეგ ღია წვეთის მეთოდით. გაღივებული სპორების აღრიცხვა მიმდინარეობდა 24 საათის შემდეგ. ცდები ჩატარდა 4 განმეორებით. დაკვირვების განმავლობაში ტემპერატურა მერყეობდა 23-27°-ის ფარგლებში. შედეგები შეჯამებულია №2 ცხრილში სოკოს მხოლოდ 1 სახეობის მიხედვით.

როგორც ცხრილიდან ჩანს, Gymnoascus setosus-ის სპორებს ჰაერის 100% შეფარდებითი ტენის პირობებში სიცოცხლისუნარიანობა მთელი 50 დღის განმავლობაში 100-ით შენარჩუნებული აქვთ. 90% - 70%--მდე ჰაერის შეფარდებითი ტენის დროს ცდის დაწყებიდან

10 დღის შემდეგ სპორების გაღივების უნარი 50%-ით შემცირდა, რაც შენარჩუნდა 50 დღის განმავლობაში, 60% ტენის დროს - 10 დღის შემდეგ, 50 დღის ჩათვლით სპორების გაღივების უნარი გახდა 15%. 50 %-დან ქვევით ჰაერის შეფარდებითი ტენის პირობებში სპორებს ცხოველმყოფელობის უნარი დაკარგული აქვთ.

Aspergillus versicolor-ის სპორებიც 100% ჰაერის შეფარდებითი ტენის პირობებში ცხოველმყოფელობის უნარს მთლიანად ინარჩუნებენ (100%). 50 დღის განმავლობაში. 90%-80%-ის ტენის ფარგლებში სოკოს სპორები მე-10 დღიდან - 50 დღის ჩათვლით 50 %-ით კარგავენ გაღივების უნარს.

70%-60% შეფარდებითი ტენის დროს სოკოს ცხოველმყოფელობა კიდევ უფრო ეცემა: 10 დღეში - 50%-ით, ხოლო 50 დღეში 15% უდრის. 50%-40% ტენისას Aspergillus versicoloris სპორების გაღივება ერთეულებამდე დაეცა, სოკო 30% ჰაერის შეფარდებითი ტენის პირობებში სპორებმა სრულიად დაკარგეს ცხოველმყოფელობის უნარი.

Cephalosporium acremonium-ის სპორების 100% ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის დროს გაღივების უნარი 100%-ია, უფრო დაბალი ტენიანობისას მათი გაღივების უნარი თანდათანობით კლებულობს. 90%-80 ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის დროს სპორების გაღივება მე-10 დღეს 52% აღწევდა, 50 დღის შემდეგ ეს ციფრი შენარჩუნდა. 40% ჰაერის შეფარდებით ტენიანობის შემთხვევაში Cephalosporium acremonium-ის არც ერთი სპორა არ გაღივდა.

ჰაერის სხვადასხვა შეფარდებითი ტენი სხვადასხვა გავლენას ახდენს Penicillium citrinum-ის სპორების სიცოცხლისუნარიანობაზე. 100% ტენის დროს სპორების ცხოველმყოფელობა 50 დღის განმავლობაში მთლიანად შენარჩუნებულია. (100%), 90% ტენიანობისას თუ 10 დღის შემდეგ სპორების 96 გაღივდა, 50 დღის შემდეგ 45 %-მდე დაეცა. 60% ჰაერის შეფარდებითი ტენის დროს 50 დღის განმავლობაში მოვიღეთ მხოლოდ ერთეული სპორების გაღივება. 50% ტენის პირობებში 30 დღის შემდეგ გაღივდა სპორების მხოლოდ 4, 5%,

ცხრილი №2

Gymnoascus setosus-ის ცხოველმყოფელობაზე
ჰაერის სხვადასხვა შეფარდებითი ტენის გავლენა

| ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა /%/ | ჰაერის სხვადასხვა შეფარდებითი ტენის არეში სპორების ყოფნის ხანგრძლივობა (დღეებში და მათი გაღივება (%). | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 10 დღე | 20 დღე | 30 დღე | 40 დღე | 50 დღე |
| 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |
| 90 | 50 | 50 | 50 | 50 | 50 |
| 80 | 50 | 50 | 50 | 50 | 50 |
| 70 | 50 | 50 | 50 | 50 | 50 |
| 60 | 15% | 15% | 15% | 15% | 15% |
| 50 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 40 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 30 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

ხოლო 40 დღის შემდეგ არც ერთი სპორა არ გაღივდა. 40% და 30% ჰაერის შეფარდებითი ტენის დროს სპორები გაღივების უნარს მთლიანად კარგავენ.

ამრიგად, ჩატარებული სამუშაოს შედეგად დადგინდა ობის სოკოების ოთხი წარმომადგენლის ზრდა-განვითარების მინიმალური, ოპტიმალური და მაქსიმალური ტემპერატურა. Gymnoascus setosus-ის ზრდის მინიმალური ტემპერატურაა 7-8°, ოპტიმალური - 26-28°, ხოლო მაქსიმალური 38-40°. Aspergillus versicolor-ის ზრდის მინიმუმია ასევე 7-8°

ტემპერატურა, მაქსიმუმია - 38-40°, განსხვავება ოპტიმალურ ტემპერატურაშია, ის არის 34-36°. Cephalosporium acremonium-ის ზრდის მინიმუმია - 1-2°, ოპტიმუმი - 26-28°, მაქსიმუმი - 38-40°. Penicillium citrinum-ის ზრდის მინიმუმია - 11-12° ტემპერატურა, ოპტიმუმია 26-28°, მაქსიმუმი - 34-36°.

რაც შეეხება ობის სოკოების ზრდა-განვითარებაზე ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის გავლენას, შემდეგი შედეგებია: ოთხივე ზემოთ დასახელებული სოკოების სპორები 100% ტენიანობის დროს 50 დღის განმავლობაში მთლიანად ინარჩუნებენ ცხოველმყოფელობას (100%-ით). 90-70% ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის დროს, სოკოების ოთხივე სახეობის სპორები სრულიად ერთნაირად კარგავენ გაღივების უნარს 50%-ით 50 დღის განმავლობაში. 60% ჰაერის შეფარდებითი ტენიანობისას სპორების გაღივების უნარი - 15%, 50 დღის განმავლობაში. 50% ჰაერის შეფარდებითი ტენის დროს სპორები მთლიანად კარგავენ გაღივების უნარს.

LALI ALEXI-MESKHISHVILI

## IMPACT OF THE TEMPERATURE AND RELATIVE HUMID AIR ON THE GROWTH AND EVOLUTION OF MOULD FUNGI

SUMMARY

The impact of the temperature and relative humid air of four types of mould fungi has been expolred (Gumnoascus setosus, Aspergillus versicolore, Cephalosporium acremonium, Penicillium citrinum), which are spread in the air of the manuscript Institute's repository.

The growth limits and evolution of each type has been established individually. Also, it was established the relative humid air's impact on the growth and evolution of those mould fungi which are being studied.

ლალი ალექსიმესხიშვილი

# ხელნაწერთა ინსტიტუტის საცავების ჰაერის მიკრობიოლოგიური ანალიზი

ჰაერის მიკრობიოლოგიურ შესწავლას დიდი ყურადღება ექცევა. ამ საკითხის ირგვლივ ჩატარებულია მთელი რიგი გამოკვლევები რ.ბარკაი-გოლანი[1], მ.რიჩარდსი[2], მ.გიორდინი[3], ჰ.პეგეორი და ი.ხერსტი[4], ვ.მაიერსი[5], ვ.ვლოდავეცი და ლ.მაცი[6], ი.კოშკო[7] იკვლევდნენ ხმელთაშუაზღვის, ბრიტანეთის, ატლანტის, როტემსტედის, ჰონოლულუს, მოსკოვის და ლვოვის ჰაერის მიკოფლორას. ნაწილი მკვლევარებისა მუშაობდა შენობის შიგნით ჰაერის მიკოფლორის გამოსაკვლევად, კერძოდ ი.იაკუბოვსკა[8], ჰ.ვერფი[9], ქ.მოორ და მ.მორო[10] სწავლობდნენ ფაბრიკა-ქარხნების, სახელოსნოების და კვებითი პროდუქტების საცავების ჰაერის მიკოფლორას. ჰაერის სოკოს სპორებით დანაგვიანების განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ფიგნსაცავებში. ამ მხრივ დიდი სამუშაო ჩაატარა მ.სამუცევიჩმა[11]. მან პეტერბურგის უნივერსიტეტის წიგნსაცავის ჰაერიდან, თაროებიდან, კედლებიდან გამოჰყო მთელი რიგი ობის სოკოებისა. საყურადღებოა ი.ნიუმშას რიგი შრომებისა, (აქ მოგვყავს ერთი), რომლებიც ეხება, როგორც წიგნსაცავებში ჰაერის მიკოფლორის გამოკვლევას[12], ასევე მისი ჰიგიენის საკითხებს. ჩვენ წინა წლებში შევისწავლეთ ხელნაწერთა საცავის ჰაერის მიკოფლორა და გამოვცადეთ მის წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა საშუალებები[13]. ჩვენს 1992 წლის ნაშრომში[14] მოცემულია სია იმ ობის სოკოებისა, რომლებიც საცავიდანაა მხოლოდ ჩვენი საცავების ჰაერისათვის და ხელნაწერებზე არ იყო აღნიშნული, 1999 წელს[15] ავღწერეთ საცავების ჰაერში გავრცელებული ბაქტერიები, რომლებიც 43 შტამითაა წარმოდგენილი. 2001-2003 წლებში, ხელნაწერების დაცვის პირობებიდან გამომდინარე, განვიერებით შევისწავლეთ საცავების ჰაერის მიკოფლორა, აგრეთვე, სინჯები ავიღეთ ინსტიტუტის ლაბორატორიების და სხვა სამუშაო ოთახების ჰაერიდან, სადაც ჰაერის კონდენცირებული სისტემა არაა, ტემპერატურა და ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა მუდმივი კონტროლის ქვეშ არ იმყოფება და წლის სხვადასხვა დროსთან შესაბამისად მერყეობს.

ჰაერის მიკოფლორას ვსწავლობდით როგორც ღია პეტრის თასის, ასევე ასპირაციული მეთოდებით, ღია პეტრის თასები თავსდებოდა თაროებზე სხვადასხვა სიმაღლეზე 1 საათით, რის შემდეგ გადაგვქონდა თერმოსტატში 26-28° ტემპერატურაზე.

---

[1] R.Barkai-Colan. A study of airborne fungi in Israel. Bull. Res Council Israel, 1958, 4. 247-298.
[2] M. Richards. A census of mould spores in the air over Britain in 1952, Trans. Brit Micol Soc, 1956, 39, 4. 431-441.
[3] M.Ciordon. Airborne mould flora of the atlanta area, 1953-1954. Ann Allerdy, 1957, 15, 4. 400-408.
[4] P.H.Gregory and L.M.Hirst. The summer airspora of Rothamsted in 1952. T.len. Microbiol, 1957, 17, 1. 135-152.
[5] W.A. Myers. Airborne molds in Honolulu. L.Allergy, 1956, 27, 6, 531-535.
[6] В.В. Владавец, Л.И.Мац. Характеристика Микофлоры атмосферного воздуха г.Москвы с учетом влияния метеорологических факторов. Микробиология, 1959, т XXVII., вып. 4, ст. 574-580.
[7] Я.Т. Кишко. Микрофлора воздуха г.Львова. Микробиология, 1960, т. XXIX в.5. стр. 738-741.
[8] J.Jakubowska. Microflotra powietrra. O jednum re wskaznikow stanu higienierne go zoucladu Produkcyjnego. Przem zolny i sporywery, 1954, 8, 11, s. 395-398
[9] P.J.Werff P.J.Fungi in factories and workshops. Acta Allergol, 1955, 2, 107, 124.
[10] Claude Moreau, Mireille Moreau. Pollution fongigue de l'atmosphere. La responsabilite dans les alterations de guelgves demrees alinentaires. Bull. irimest Soc. Micology de F.France. 1959, 18, 5 s. 1069-1073
[11] М.М.Самуцевич. Материалы к диссертации. Л. 1939.
[12] Ю.П.Нюкша. К вопросу о гигиеническом состоянии воздуха книгохранилищ. В.кн. Опыт работы Гос. публ. биб-ки им. М.Е.Салтыкова-Щчедрина (сб работ) №9, Л. 1954. с. 3-15.
[13] . ლალექსი-მესხიშვილი, ხელნაწერთა საცავის ჰაერის მიკოფლორა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგიერთი ფიზიკური საშუალებების გამოცდის შედეგები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXXIX:3, 1965 გვ. 683-688.
[14] ლ.ალექსი-მესხიშვილი, ი.ჯაფიძე. ხელნაწერთა საცავების ჰაერიდან გამოყოფილი სოკოების სახეობრივი შემადგენლობა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კაკაძეების სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, მრავალთავი, ტ. XVII, 1992 წ. გვ. 176-180.
[15] . ლალექსი-მესხიშვილი, ი.ჯაფიძე. ხელნაწერთა საცავის ჰაერის ბაქტერიების შესწავლისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კაკაძეიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მრავალთავი, ტ. XVIII, 1999 წ, გვ. 535-537.

ასპირაციული მეთოდი გულისხმობს სინჯების აღებას ბამბის ტამპონებში ჰაერის გაჟღენთვის გზით. ჩვენს მიერ გამოვლენილია ხელნაწერთა საცავების და სამუშაო ოთახების ჰაერიდან ობის სოკოების 23 გვარის წარმომადგენელი. ეს გვარებია: Mucor, Rhizopus, Mortierella, Thamnidium, Cunningamella, Chaetocladium, Choanephora, Chaetomium, Alternaria, Aspergillus, Gymnoascus, Cladosporium, Cephalosporium, Helmintosporium, Penicillium, Stemphylium, Torula, Oospora, Macrosporium, Trichoderma, Phoma, Trichothecium, Fusarium. აქედან Penicillium - ის გვარი 29 სახეობითაა წარმოდგენილი, Aspergillus–14, Mucor–6, Stemphylium–2. დანარჩენი გვარებიდან თითო-თითო სახეობაა.

საცავების ჰაერში სოკოების რაოდენობა დამოკიდებულია მათ გვარზე, სახეობების მრავალფეროვნებაზე, წლის სხვადასხვა დროზე და სოკოების ზრდა-განვითარების რეჟიმზე (ტემპერატურა და ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა). ცდების შედეგები შეჯამებულია №1 ცხრილში, სადაც მოცემულია მხოლოდ სოკოების გვარები.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ხელნაწერთა ინსტიტუტის საცავების ჰაერში მიკროორგანიზმები ძალიან დიდი რაოდენობით გვხვდება. ჰაერში მათი რაოდენობა წლის სხვადასხვა დროს ცვალებადობს, ყველაზე დიდი რაოდენობით მიკროორგანიზმები ზაფხულის თვეებში გვხვდება მაგ. ზაფხულში ობის სოკოების რაოდენობა - 1624-ია, გაზაფხულზე - 492, შემოდგომაზე - 438, ხოლო ზამთარში - 224. რაც შეეხება ცალკეული მიკროორგანიზმების შეხვედრის სიხშირეს აქ შემდეგი სურათია: Penicillium-ის გვარის წარმომადგენლები მთელი წლის განმავლობაში აღინიშნებიან, მათი რაოდენობა - 1517-ია, ასევე Aspergillus-ის გვარის წარმომადგენლებიც მთელი წლის განმავლობაში გვხვდებიან - 786 შემთხვევაა. ეს იმითაცაა გამოწვეული, რომ Penicillium ჩვენ საცავებში წარმოდგენილია 29 სახეობით, Aspergillus-ი - 14 სახეობით, ხოლო სოკოვანი ორგანიზმების ზრდა-განვითარების ტემპერატურული რეჟიმი მერყეობს 0°-დან - 60°-მდე. Mucor-ის რაოდენობა - 232-ია, მისი წარმომადგენლები ზამთრის თვეების გარდა, მთელი წლის განმავლობაში გვხვდებიან. Cunningamella მხოლოდ დეკემბერში აღირიცხა, Thamnidium - მაისში და ოქტომბერში. და ა.შ. რაც შეეხება სამუშაო ოთახების ჰაერიდან გამოვლენილ ობის სოკოებს, მიკროსკოპული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ამ ოთახების მიკოფლორა სრულიად იდენტურია საცავების ჰაერის მიკოფლორისა. მაგრამ აქ ტემპერატურის და ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის არასტაბილურობის გამო რიცხობრივად გაცილებით მეტი რაოდენობის ობის სოკოები გვხვდება მთელი წლის განმავლობაში, ვიდრე საცავების ჰაერში.

ამრიგად, ცდების შედეგად გამოვლენილია ხელნაწერთა საცავების ჰაერიდან ობის სოკოების 23 გვარის წარმომადგენელი. დადგენილია თითოეული მათგანის სეზონურად გავრცელების სიხშირე ხელნაწერების საცავებში.

ცხრილი №1

წლის სხვადასხვა დროს ხელნაწერების საცავების ჰაერიდან გამოყოფილი ობის სოკოები

| სოკოების სახელწოდება | თვეები | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | სულ |
| Mucor | - | - | 15 | 17 | 15 | 23 | 38 | 56 | 56 | 8 | 4 | - | 232 |
| Rhizopus | - | - | - | - | - | - | - | - | 3 | 2 | 1 | - | 6 |
| Mortierella | - | - | - | - | 19 | - | - | - | - | - | - | - | 19 |
| Thamnidium | - | - | - | - | 18 | - | - | - | - | 21 | - | - | 39 |
| Cunningamella | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | 7 | 7 |
| Chaletocladium | - | - | - | - | 14 | 19 | - | - | - | - | - | - | 33 |
| Choanephora | - | - | - | - | - | - | - | - | - | 12 | 8 | 5 | 25 |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Chaetomium | - | 2 | - | 3 | - | 2 | - | - | - | - | - | - | |
| Alternaria | - | - | - | - | 3 | 1 | 4 | 6 | 5 | - | - | - | 19 |
| Aspergillus | 11 | 11 | 21 | 19 | 38 | 169 | 245 | 248 | 10 | 7 | 4 | 3 | 786 |
| Gymnoascus | - | - | - | - | - | - | 11 | 9 | 6 | 3 | - | - | 29 |
| Cladosporium | - | - | - | - | 12 | - | - | - | 14 | - | - | - | 26 |
| Cephalosporium | - | - | - | 8 | - | - | - | - | 6 | - | - | - | 14 |
| Helmintosporium | - | - | 5 | 5 | - | - | - | - | - | 3 | - | - | 13 |
| Penicillium | 82 | 76 | 94 | 105 | 121 | 128 | 348 | 293 | 118 | 115 | 21 | 16 | 1517 |
| Stemphyliumm | 3 | 2 | - | - | - | - | - | - | - | - | - | 2 | 7 |
| Torula | - | - | - | 3 | - | - | - | 6 | - | - | - | - | 9 |
| Oospora | - | - | - | 3 | 5 | - | - | - | 2 | 3 | - | - | 13 |
| Macrosporium | - | - | 2 | 4 | 1 | - | 6 | 12 | - | 3 | - | - | 28 |
| Trichoderma | - | 4 | - | - | - | - | - | - | - | - | - | 6 | 12 |
| Phoma | 5 | - | - | - | - | - | - | - | - | 2 | 2 | 3 | 7 |
| Thichothecium | - | 3 | - | - | - | - | - | - | - | - | 4 | 3 | 7 |
| Fusarium | - | 5 | 4 | - | - | - | - | - | - | - | - | - | 9 |

შენიშვნა: ცდები გვიჩვენებენ ხელოვნურ სუბსტრატზე საკოების რაოდენობას.

LALI ALEXI-MESKHISHVILI

## MICROBIOLOGICAL AIR ANALYSIS OF THE MANUSCRIPT INSTITUTE'S REPOSITORIES

SUMMARY

In the air of tre Institute's repository 23 types of airborne mould fungi are discovred Mucor, Rhizopus, Mortieralla, Thamnidium, Cunningamella, Chaetocladium. Choanephoza, Chaetomium, Alternaria, Aspergillus, Gymnoascus, Cladosporium, Cephalosporium, Helmintosporium, Penicillium, Stemphylium, Torula, Oospora, Macrosporium, Trichoderma, Phoma, Trichothecium, Fusarium.

Also, it is established the seasonal dissemenation of the mould microflora in the air of repository.

დარეჯან გოგაშვილი

# ეტრატი – საწერი მასალა და მისი დამზადების წესი

## (ეთნოგრაფიული მონაცემებისა და წერილობით ძეგლებში დაცული ცნობების მიხედვით)

---

[1]როგორც ჩანს, საქართველოში ჭილი საწერ მასალად გამოყენებული არ ყოფილა. დღეისათვის ცნობილია ჭილზე შესრულებული მხოლოდ ორი ქართული ხელნაწერი, ორივე პალესტინურია; ამათგან ერთი – საგალობელთა კრებული სინის მთის ქართველთა მონასტრიდანაა და დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (H – 2123), მეორე – ფსალმუნი – საბაწმიდას ლავრიდანაა და დაცულია სანკტ–პეტერბურგში, სალტკოვ–შედრინის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში.

[2]ს. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბილისი 1978, გვ. 31.

[3]ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი IX, თბილისი, 1996, გვ. 43.

A. Каждан, Книга и писатель в Византии, Москва, 1973. с. 16.

[4]Промышленость и техника , СПБ., с. 694.

[5]ივ. ჯავახიშვილი, „მასალები საქართველოს შინამრეწველობის და ხელოსნობის ისტორიისთვის", ტ. V. თბილისი, 1986, გვ. 57, 58. ი.ნინოლაშვილი, „ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში", თბილისი, 1973, გვ. 65.

ძველად საქართველოში XI საუკუნემდე საწერ მასალას ტყავი წარმოადგენდა.[1] ტყავისაგან დამზადებული წიგნის აღსანიშნავად ქართულში ორი ტერმინი იხმარებოდა – „წიგნი ტყავისაჲ" და „ეტრატი".[2] წრილობითი ცნობა საქართველოში ეტრატის დამზადების შესახებ X–XI საუკუნეებით მიკვლეული არ არის. ხოლო ხელნაწერებში არსებული ცალკეული მინაწერები მთლიანი პროცესის აღდგენის საშუალებას არ იძლევა. მაგრამ თუ გამოვიყენებთ საქართველოში ტყავის დამზადების მდიდარ ეთნოგრაფიულ მასალას, ხელნაწერებში არსებულ მინაწერებსა და შუა საუკუნეების დასავლეთ–ევროპულ და ბიზანტიურ წყაროებში მოცემულ რეცეპტებს, მაშინ ვიზუალური შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება საქართველოში ეტრატის, როგორც საწერი მასალის, დამზადების მთლიანი პროცესის აღდგენა.

როგორც ცნობილია, ეტრატს ძირითადად ცხვრის, თხის ან ხბოს ტყავისგან ამზადებდნენ.[3] მოუქნელი (ნედლი) ტყავი შედგება სამი ძირითადი ფენისაგან: ზედა ანუ გარეთა ფენა, ჯ.წ. ეპიდერმისი (ბეწვის მხარე), შუა დერმა ანუ საკუთრივ ტყავი და ქვედა – ჰიპოდერმისი ანუ გლემურძი (ხორცის მხარე). (ნახ. I).[4] დერმის ანუ საკუთრივ ტყავისაგან ამზადებდნენ როგორც მოქნილ, ასევე საწერ ტყავს – ეტრატს. ამ ორ ერთმანეთისაგან თვისებებითა და ფაქტურით განსხვავებულ მასალას დამზადების პირველი ეტაპი საერთო ჰქონდა.

ამ მხრივ საინტერესოა ეთნოგრაფიული მონაცემები, სადაც დეტალურად არის აღწერილი და განხილული დერმის მიღების პროცესი. ახლად დაკლული ცხოველის ტყავს ამუშავებდნენ შემდეგი თანმიმდევრობით: ჯერ ხდებოდა მისი გარეცხვა, შემდეგ ჰიპოდერმისის, ხოლო შემდეგ ეპიდერმისის მოცილება. ჰიპოდერმისის მოცილების დროს დერმას სცილდება ტყავქვეშა უჯრედისი და გატყავების პროცესში გამოყოლილი სხვადასხვა ზომის ზედმეტი ნაწილები: ხორცი, ქონი და სხვა. ხოლო ეპიდერმისის მოშორების დროს დერმა თავისუფლდება ეპიდერმისისა და მასთან ერთად ყველა ეპიდერმული წარმონაქმნისაგან (უმეტესად ბეწვი). ამისთვის იყენებდნენ ე. წ. „ვარაჩოს" და „დემური"–ს. „ვარაჩო" კედელზე დამრეცად მისაყუდებელ, რკალისებურად ოდნავ ამოზნექილ, გლუვი ზედაპირის მქონე ფიცარს წარმოადგენდა. ასეთივე ამოზნექილ ფორმას იმეორებდა მოხრილი დანა „დემური"–ც. იგი ორი სახის იყო: ბასრპირიანი და ბლაგვპირიანი. ბასრპირიანს იყენებდნენ ჰიპოდერმისის, ხოლო ბლაგვპირიანს ეპიდერმესის მოცილების დროს, რათა თავიდან აეცილებინათ დერმის გაჭრა ან დაზიანება.[5] ამასთანავე ბეწვი ისე უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეცილებინათ, რომ მისი არსებობის კვალი არ უნდა ყოფილიყო შესამჩნევი, ანუ უნდა მომხდარიყო თითოეული ბეწვის ამოგლეჯა და არა მოწყვეტა, ეს განაპირობებდა ეტრატის ხარისხსაც. ეტრატის ზედაპირი უნდა იყოს ერთგვაროვანი, გლუვი და სუფთა. არსებობს ხელნაწერები, სადაც ბეწვი არ არის კარგად მოცილებული და

ფურცლის ზედაპირზე შეიმჩნევა წერტილების სახით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ტყავი მუქი შეფერილობის ბეწვით იყო დაფარული. ამიტომ სასურველი შედეგის მისაღებად ტყავს წინასწარ ამუშავებდნენ ნაცრით, ნაცრისა და კირის ნარევით ან კირიანი წყლით და შემდეგ აცილებდნენ ეპიდერმისს. შემდეგ ხდებოდა მისი გარეცხვა და მიიღებოდა სუფთა დერმა.[6] იგი შედგება ცხოველური ბოჭკოებისაგან, რომლებიც ყველა შესაძლო მიმართულებით ერთმანეთშია გადახლართული და ქმნიან მოცულობით ბადისებრ ქსოვილს.

დერმის შემდგომი დამუშავებით მიიღება ორი, ერთმანეთისაგან ფაქტურითა და თვისებებით მკვეთრად განსხვავებული მასალა: ტყავი და ეტრატი. ტყავი მოთრიმლულია, მისი დამუშავების დროს არ ხდება სტრუქტურული ცვლილება. ეტრატი მოუთრიმლავია, მისი დამუშავება უფრო მექანიკური პროცესია, ფიზიკური ძალის (გაჭიმვის) ზემოქმედების შედეგად დერმის შემადგენელი კოლაგენური ბოჭკოები ლაგდებიან ზედაპირის პარალელურად და მიიღება მტკიცე, ერთგვაროვანი მასალა, რომელიც საწყის ფორმას აღარ უბრუნდება, რადგან შეიცავს ფორმის მიმცემ ნახევრად წებოვან მაკავშირებლებს.[7]

მზა სუფთა დერმისაგან ეტრატის დამზადების შესახებ ცნობები ქართულ ხელნაწერებში არ მოიპოვება, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ეტრატის დამზადების დასავლეთ – ევროპული, ბერძნული, კოპტური და სომხური წესები.

პერგამენტს შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში შემდეგი წესით ამზადებდნენ: სველ დერმას ამაგრებდნენ ხის ჩარჩოზე, ჭიმავდნენ და აშრობდნენ. შრობის პროცესში ასველებდნენ ცივი წყლით, ათხელებდნენ ნახევრად მრგვალი პირიანი დანით, აშრობდნენ და ამუშავებდნენ პემზით, ზოგჯერ ხდებოდა პერგამენტში ცარცის ან კირის შეზელვაც. ასეთი წესით მიიღებოდა თეთრი, ხავერდოვანი ზედაპირის მქონე პერგამენტი.[8]

ბერძნული და სომხური რეცეპტების მიხედვით, ისევე როგორც დასავლეთ ევროპაში, ხის ჩარჩოზე გაჭიმულ სველ დერმას ათხელებდნენ დანით, შემდეგ ზედაპირზე უსვამდნენ კვერცხის ცილას, კვერცხის ცილისა და სელის ზეთის ან კიდევ კვერცხის ცილისა და შაბის ნარევს, აშრობდნენ და შემდეგ ამუშავებდნენ დანით თანაბარი ზედაპირის მიღებამდე. ბოლოს აპრიალებდნენ პემზით. ასეთი წესით დამზადებული პერგამენტის ზედაპირი არის გლუვი, გაპრიალებული და აქვს მოყვითალო შეფერილობა. მისი ერთი, გარეთა მხარე, რომელიც ბეწვით იყო დაფარული, უფრო მოყვითალოა და პრიალაა, ვიდრე მეორე.[9]

საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, სველ დერმას რომ გაჭიმულ მდგომარეობაში აშრობდნენ და შემდეგ ამუშავებდნენ, აშკარად ჩანს ქართული ეტრატის გარეგნული მონაცემებიდან. ქართულ ხელნაწერებში ხშირად გვხვდება ეტრატის ფურცლები, რომლებსაც სხვადასხვა ზომის ერთი ან რამდენიმე მრგვალი ან ოვალური ფორმის ხვრელები აქვს (ნახ. 2). არსებობს მოსაზრება, რომ ეტრატისთვის დამახასიათებელი ეს დეფექტები ცხოველის ფეხის ადგილებია.[10] ამ მოსაზრებას თავისთავად გამორიცხავს ფეხებისთვის შეუსაბამო ზომები და მანძილები ნახვრეტებს შორის. გარდა ამისა, ცხოველის ფეხის ადგილას წარმოქმნილი ხვრელები ვერანაირად ვერ მოხვდებოდა ფურცლის შუა ადგილას (ნახ. 3). ასეთი სახის დეფექტები დერმის გაჭიმვის დროს წარმოიქმნება. ეს შეიძლება იყოს ზედმეტად გათხელებული ან დანით დამუშავების დროს შემთხვევით გაჭრილი მცირე ზომის ადგილები, რომლებიც გაჭიმვის დროს ფართოვდება და ოვალურ ან წრიულ ფორმას ღებულობს. ასეთი სახის ფურცლები მრავლად არის შემორჩენილი ქართულ ხელნაწერებში. ეტრატის სიძვირის გამო მათ გადამწერნი მაინც იყენებდნენ და ჩვეულებრივ,

---

[6] ი.ნანობაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 19.
Р. Вагнер, Химическая технология, СПБ, 1892, с. 1034.
[7] Проблемы реставрации средневековых пергаментных рукописей, Обзорная информация, издательство Информационный центр по проблемам культуры и искусства, Москва, 1977, с. 11.
H. Senton, ed., Vellum and Parchment, „The Papier Conservator", XVI, 1992.
[8] Проблемы реставрации средневековых пергаментных рукописей, Обзорная информация, издательство Информационный центр по проблемам культуры и искусства, Москва, 1977, с. 11-12.
А. Каждан, Книга и писатель в Византии, Москва, 1973, с. 16-17.
[9] Ա.Գ. Աբրահամյան, Հայոց Գիր և Գրչություն, էջ. 281

ტექსტის წერის დროს არ ავსებდნენ, ამიტომ არც თუ იშვიათად სტრიქონი წყდება ზედსიტყვა ერთ მხარეს და გრძელდება მეორე მხარეს. (ნახ. 4). გამონაკლისს წარმოადგენს ფურცლები, რომლებიც ცხრილებისთვის იყო განკუთვნილი, რადგან ცხრილში მოთავსებული ასო – რიცხვნიშნების გადაადგილება დაუშვებელია, დეყეყქტები ეტრატზე საგულდაგულოდ არის შევსებული ეტრატითვე.[11] რაც შეეხება ეტრატის ზედაპირის საბოლოო დამუშავებას, დაბეჯითებით ძნელია იმის თქმა – რას იყენებდნენ ძველად ქართველი ოსტატები, ცარცს, კვერცხის ცილას თუ სელის ზეთს. ხელნაწერებში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება თეთრი ზედაპირის მქონე თხელი ეტრატი. უმეტესი ნაწილის ზედაპირი კი, მოყვითალოა და პრიალა, ზოგიერთი მათგანი, ყვითელი და როგორც ზოგჯერ თვითონ გადამწერი მიუთითებს „დაბნელებული“.[12] ეს შეიძლება გამოწვეული იყოს სელის ზეთის გამოყენებით. ცნობილია, რომ სელის ზეთით დამუშავებული პერგამენტის ზედაპირი დროთა განმავლობაში ყვითლდება და მუქდება. პერგამენტის გამუქება შეიძლება გამოიწვიოს, აგრეთვე, ტყავში არსებულმა ცხოველურმა ცხიმმაც (მაგ. ცხვრის ტყავი, რომელიც სხვებთან შედარებით, ჭარბი რაოდენობით შიცავს ცხიმს).[13]

კვერცხის ცილის გამოყენებას, როგორც ამას მ. სურგულაძეც აღნიშნავს, ადასტურებს ორი მინაწერი:[14] პირველი XII – XIII საუკუნეებში გადაწერილ A – 841 ხელნაწერის 401v – ზეა: „ . . . კუმრცხნი ვსთხოვენ ეტრატისათჳს . . . “, ხოლო მეორე XIII საუკუნის A – 256 ხელნაწერის 7v –ზე: „ . მესხმან რამინ მყო უმეცარ, უწრფელმან დიაკონმან. კვერცხის ცხებაჲ მოიგონა და შეკაზმვაჲ დაიქადნა და ვერ კარგად ქნა უბადრუკმან“.[15] ეს მინაწერი იმითაც არის საინტერესო, რომ მასში მოცემულია ტერმინი „შეკაზმვაჲ“. ცნობილია, რომ ტერმინები; „შეკაზმვა“, „კაზმვა“ ნიშნავს რვეულების ან ფურცლების აკინძვას, „შემოსვა“ – ხელნაწერის ყდაში ჩასმას[16], დაშლილი დაძველებული ხელნაწერების ხელმეორედ შეკვრას, ტყავის ყდის ზედაპირის მხატვრულად გაფორმებას. ამის მრავალი მაგალითი არსებობს[17], ყველგან „კაზმვა“ წიგნთან მიმართებაშია მოხსენებული, აღნიშნულ მინაწერში კი – კვერცხის ცხებასთან ერთად, ამიტომ „კაზმვა“ ამ შემთხვევაში ეტრატის ზედაპირის საბოლოო დამუშავებას უნდა ნიშნავდეს.

ტერმინი „კაზმვა“ გვხვდება 1081 წელს გადაწერილ Ath. 20 ხელნაწერის ანდერძ-მინაწერშიც. კრებულის მთარგმნელი და გადამწერი თეოფილე ხუცესმონაზონი, ტექსტის ბოლოს მოიხსენიებს წიგნის შემმოსველს საბა მღვდელს: „ღმერთმან აკურთხენ პატიოსანი მღვდელი საბა ცოდვილსა თანა სულსა ჩემსა, რომელმან შემიმოსა ესე წიგნი“, და მკაზმავს ხრისტოდულე ხუცესს: „შეიწყალენ ღმერთმან ჩემი ხუცესი ხრისტოდულე ეპრაელყოფილი უღირსსა თანა სულსა ჩემსა, რამეთუ ამის წიგნისა ეტრატი ყოველი მას უკაზმავს“.[18] როგორც ვხედავთ, წიგნის შემმოსველის (საბა მღვდელი) გარდა მოხსენებულია არა წიგნის, არამედ წიგნისთვის განკუთვნილი ეტრატის მკაზმავი (ხუცესი ხრისტოდულე). ტერმინი „კაზმვა“ ამ შემთხვევაში „შემოსვა“, „შეკვრის“ მნიშვნელობით რომ ყოფილიყო ნახმარი (იგულისხმება ხელნაწერის ყდაში ჩასმის სრული პროცესი: წიგნის შეკერვა, აკინძვა რვეულებად და მისი ტყავგადაკრული ხის ყდაში ჩასმა), მაშინ მოყვანილ ანდერძში „ეტრატის“ ნაცვლად „წიგნი“ იქნებოდა და ამ სამუშაოს, წიგნის შემმოსველი საბა მღვდელი

---

[10] А. Каждан, Книга и писатель в Византии, Москва, 1973, с. 19.

[11] A – 85, დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

[12] „. ხსუაჲ დედაჲცა ითჳრთ, ეჳ ბნელსა დედასა ზედა გარდამოწერილ არს და სრულად ჴუ მიეხოთხი. . .“ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q ) კოლექცია, ტ. II, ილ. ბასელაძის რედაქტორობით, თბილისი, 1958, გვ. 306.

[13] Ryder H. L. Pergament, its History, Manufactur and Composition, „Journal of the Sosierti of Archivista“, 1964, v. II, p. 395-399.

[14] მ. სურგულაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 37.

[15] Ф. Э. Жордания, Описание рукописей Тифлисского церковного музея, Тифлис, 1902, с. 53.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საქართველო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტომი I, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ. ელ. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1986. ტ. I, გვ. 95.

[16] ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, „მშოსველი“ ანუ „შემმოსველი“ რვეულების ამკინძველს ეწოდებოდა, ხოლო „მკაზმავი“ ანუ „მკაზმელი“– ყდის გამკეთებელს. ივ. ჯავახიშვილი, თხსულებანი თორმეტ ტომად, ტომი IX, ქართული დიპლომატიკა-ქრონოლოგია, ანუ პალეოგრაფია, თბილისი 1996, გვ. 82.

[17] მ. სურგულაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 131- 133.

მ. კარანაძე, ქართული წიგნის ყდის ისტორია, თბილისი 2002, გვ. 45.

[18] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, ნაკვეთი I,

შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: ლ. ახობაძემ, რ. გვარამიამ, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაძემ, მ. ქავთარიამ, მ. შანიძემ, ნ. ჩხიკვაძემ, თბილისი, 1986, გვ. 63, 79.

შეასრულებდა. ამ შემთხვევაში ტერმინი „კაზმვა“ არც ეტრატის დამზადებას ნიშნავს, რადგან ხელნაწერში გადამწერის მიერ რამდენჯერმე საგანგებოდ არის აღნიშნული ეტრატის შეძენის ან შესაძენად საჭირო ფულადი შეწირულობის გაღების ფაქტები: „. . . ლოცვა ყავთ სანატრელისა მარიამ დედოფლისათჳს, ბაგრატის ასულისა, რამეთუ ამის წიგნისა ეტრატისა ფასი მ . . .“, „სანატრელ ყვენ ღმერთმან სული მიქაელ მღვდელისაჲ, რამეთუ ორი დრაჰკანნი ჰრთავნან აქა მისნი. . .“ „. . . ორანი ქსელანი მოვიდოდეს დრაჰკანად. . . “.[19] ამ შემთხვევაში „ეტრატის კაზმვა“ შესაძლოა, შეძენილი ეტრატის საჭირო ზომის ფურცლებად დაჭრას, რვეულებად დაკეცვას და „დაკანონვას“[20] ნიშნავს, რომელსაც გადამწერი ან მისი დამხმარე პირი ასრულებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ფურცლებად დაჭრა და დაკეცვა გარკვეული წესით ხდებოდა, რადგან ეტრატის ერთი მხარე უფრო მოყვითალოა და პრიალა, ვიდრე მეორე, ამიტომ ხელნაწერი წიგნის ფურცლებს რვეულებად ისე აწყობდნენ, რომ განსხვავება ფაქტურასა და ფერს შორის შესამჩნევი არ ყოფილიყო.

ტერმინი „კაზმვა“ გვხვდება Jer.30 ხელნაწერის ანდერძში (გადაწერილია XIს. ხახულის მონასტერში), სადაც წიგნის შემმოსველთა გარდა („. . . სტეფანე და დავით ბ წიგნი შემიმოსეს და არარაჲ მიიღეს ჩემგან, . . .“), გადამწერი დავითი იხსენიებს „რვეულების მკაზმავს“ მიქაელს; „ხოლო დაიწერა ჴელითა დავითისითა ლავრასა დიდსა ხახულსა, . . . და იღუაწა ჩემ თანა ჴორციელად ძმამან ჩემმან მიქაელ, რომელ-იგი მიკაზმავდა რვეულებსა და სხუასა ყოველსა საჴმარსა“[21]

მ. კარანაძე მოტანილ ანდერძში ტერმინს – „რვეულების კაზმვა“ განიხილავს როგორც ერთეულ გამონაკლის შემთხვევას[22] და თვლის, რომ იგი ხელნაწერი წიგნის რვეულებად აკინძვას, შეკერვას ნიშნავს. თუმცა, იმასაც აღნიშნავს, რომ „ვინც მოსავდა, კაზმავდა და კრავდა ხელნაწერებს, მას წიგნის აკინძვა, შეკერვაც ეცოდინებოდა, რადგან ეს პროცესები იმდენადაა ერთმანეთთან შერწყმული, რომ მათი ცალ–ცალკე წარმოდგენა შეუძლებელია“.[23]

ამ შემთხვევაში „კაზმვა“ რვეულების გარდა „სხვასა ყოველსა საჴმარსა“–აც ეხება, ანუ მიქაელი, როგორც „თანაშემწე“, კაზმავდა, ამზადებდა რვეულებს და „სხვასა ყოველსა საჴმარსა“, რაც შეიძლება ყოფილიყო მელნისა და კალმის მომზადება, დანის გალესვა და სხვა.[24] ხოლო რაც შეეხება „რვეულების კაზმვას“, ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ზემოთ მოყვანილ ანდერძში, იგი ეტრატის ფურცლებად დაჭრას, მათ რვეულებად დაკეცვას და „დაკანონვას“უნდა ნიშნავდეს.

განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, მოყვანილ ხელნაწერთა ანდერძ–მინაწერებში, ტერმინები „შეკაზმვა“ და „კაზმვა“ ეტრატის ზედაპირის საბოლოო დამუშავებასა და მზა ეტრატიდან საჭირო ზომის ფურცლების გამოჭრას, მათ რვეულებად დაკეცვას და „დაკანონვას“ ნიშნავს.

ეტრატის დამზადება პირობითად შეიძლება სამ ეტაპად დაიყოს: დერმის მიღება, სველ მდგომარეობაში გაჭიმვა და საბოლოო დამუშავება ერთგვაროვანი, გლუვი ზედაპირის მიღებამდე. როგორც ჩანს, დამზადების ეს წესი ცნობილი იყო საქართველოში, ეტრატის, როგორც საწერი მასალის, გამოყენების დროიდან.

---

[19] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, ნაკვეთი I, თბილისი, 1986, გვ. 66, 67, 76.

[20] ტერმინი „დაკანონვა“ ფურცლის დახაზვას, მის საწერად მომზადებას ნიშნავს. რ. პატარიძე, ქაღალდის დამუშავების საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, პალეოგრაფიული ძიებანი, თბილისი, 1965, გვ. 47.

[21] ნ. მარი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1955, გვ. 67.

[22] „სინას, ათონის, იერუსალიმის ხელნაწერთა ანდერძ–მინაწერებში ტერმინები „შეიმოსა“ და „შეიკაზმა“ (აგრეთვე „შეიკრა“) ერთი მნიშვნელობით იხმარებოდა და ისინი სინონიმებს წარმოადგენდა. ტერმინში იგულისხმება ხელნაწერის ყდაში ჩასმის სრული პროცესი“. მ. კარანაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 45.

[22] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, ნაკვეთი I, თბილისი 1986, გვ. 63, 79,

[23] მ. კარანაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 39.

[24] საერთოდ, ტერმინები: „კაზმვა“, „შეკაზმვა“ რაიმეს გამზადებას, მომზადებას ნიშნავდა.
ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი, 1973, გვ. 191, 476.
ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1995. გვ. 97.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ნახ. 1

1. ეპიდერმისი – ბეწვის მხარე
2. დერმა ანუ საკუთრივ ტყავი
3. ჰიპოდერმისი ანუ გლემურძი – ხორცის მხარე



ნახ. 2

S – 4814; ზატიკი; XIV ს.; 40 ფ, 26,5 X 20,5; l4r

ეროვნული ბიბლიოთეკა




ნახ. 3

1. ზურგის მხარე
2. გვერდების მხარე
3. თავის მხარე
4. ფეხების ადგილები



ნახ. 4

A -25; ზატიკი; XV ს.; 175 ფ.; 25,6 X 20,2; 84r

DAREJAN GOGASHVILI

## THE WAY OF PROCESSING PARCHMENT

SUMMARY

Basing on ethnographical date, some evidences in Georgian written monuments (colophons, ascriptions) and physical state of parchments it becomes clear that in Georgia parchments was prepared in the following way: animal skin (mainly sheep's, goat's or calf's skins) were washed, processed with ash, a mixture of ash and lime or lime solution. After epidermis and hypodermic processing the skin was washed once again and stretched on e wooden frame for drying. Meanwhile the skin was processed with a Knife and pumice until the surface was flat. We suppose that final processing of the parchment was done with chalk, albumen and linseed oil. This way of preparing parchment is known in Georgia ever since it is in use.

ლია სიხარულიძე

# ერთი უნიკალური ხელნაწერის (მოქცვის სახარების) კონსერვაცია-რესტავრაციის შესახებ

კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექციის მიერ და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და გრ.წერეთლის სახელობის სახელმწიფო სამეცნიერო ბიბლიოთეკის დაფინანსებით 2003 წლის ბოლოს 22 დღით მივლინებული ვიყავი ჭმოსკოვში მ.მუდმოძინოს სახელობის საზღვარგარეთული ლიტერატურის ბიბლიოთეკაში, კონსერვაციისა და რესტავრაციის სამეცნიერო-კვლევით განყოფილებაში.

მივლინების მიზანი იყო გავცნობოდი ბოლო 17 წლის განმავლობაში რუსეთის ცენტრებში შესწავლილ და დანერგილ კონსერვაცია – რესტავრაციის ახალ მეთოდებს, მასალებს, რეცეპტებს.

მივლინების პროცესში გავეცანი მოსკოვის ყველაზე ძლიერი სარესტავრაციო ცენტრების მუშაობას[1]. ესენია:

1. რუსეთის სამეცნიერო-კვლევითი სარესტავრაციო ინსტიტუტი – ВНИИР.

2. ე. გრაბარის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური სარესტავრაციო სახელოსნოები.

რუსეთის ამ უმსხვილეს ცენტრებში ფართოდ არის დანერგილი მინიატურების გასამაგრებლად ე.წ. СЭВ-гидролизованный сополимер с этиленом, რომელიც გამოიყენება მინიატურების ფერადი შრის საკონსერვაციოდ როგორც ეტრატზე, ასევე ქაღალდზე.

მინიატურების კონსერვაციის ეს მეთოდი ფართოდ არის აპრობირებული მოსკოვის სარესტავრაციო ცენტრებში[2].

პრეპარატი СЭВ გამოიცადა კლიმატურ კამერებში ხანგრძლივი მოქმედების მოსალოდნელი რეზულტატების გამოსავლენად. დადგინდა, რომ ამ პოლიმერის თვისება არ იცვლება.

აღნიშნული დამმაგრებელი СЭВ მზადდება პეტერბურგში, სალტიკოვ-შჩედრინის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის სამეცნიერო-ქიმიურ ლაბორატორიაში. იგი დამზადებულია სპირტზე, აქროლადია, მალე შრება, არ ტოვებს უხეშ და მტვრევად აპკს, უფერულია და გამჭვირვალე, დროთა განმავლობაში არ უნცდება ლაქები. ატკეცილ შრეში ამ ხსნარის შეყვანისთანავე დეყორმაცია თავისით სწორდება და ფერადი საღებავები ეკრობა ეტრატის ფურცელს.

ჩვენი ინსტიტუტის ფონდში დაცულია ერთი უნიკალური ხელნაწერი, მოქცვის სახარება[3], ყველასათვის კარგად ცნობილი თავისი მრავალი და ოშვიათი მინიატურებით.

1300 წლით დათარიღებული მოქცვის სახარება შეიცავს 328 ეტრატის ფურცელს, 152 მინიატურას და 530 საზედაო ასოს, რომლებიც გაოცებას იწვევენ თავიანთი მდიდრული მორთულობით.

მოქცვის სახარების მინიატურები შესრულებულია იმ სტილით და მეთოდოლოგიით, რაც დამახასიათებელი იყო XIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართული სამინიატურო

---

[1] Быкова Г.З. Средневековая живопись на пергаменте. (Техника, сохранность, реставрация). Исследование, консервация и реставрация средневековых рукописных памятников. Москва1990 г. Выпуск 2, стр. 25-32.

[2] Марготьева А.Р. Материалы применяемые при реставрации пергаментных рукописей. ( Исследование, консервация и реставрация средневековых рукописных памятников). Москва 1990 г. Выпуск 2, стр. 8-14.

[3] რედაქტ. აბულაძერ ილ. შემდგენ. თ. ბრეგაძე თ. ენუქიძე, ელ.მურვანელი „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“( Q-902) საქ. მუზეი. აკად. გამომცემლობა. თბ., 1958 წ. ტომი II, გვ. 312-315

ფერწერისათვის. ეს არის ღია ფერების გამოყენება: ღია ცისფერი, მოვარდისფრო-იასამნისფერი, ღია წითელი და ა.შ.

დღეს მოქჩის სახარების უნიკალური მინიატიურები უკიდურეს საფალალო მდგომარეობაშია. შევნიშნავთ, რომ 1904 წელს ხელნაწერი ჯერ კიდევ კარგ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამაზე მეტყველებს მხატვარ ს.ნ. პოლტარაცკის მიერ ამ სახარებიდან შესრულებული რამდენიმე მინიატიურის ფერწერული ასლი.

შემდეგ ხელნაწერი 24 წლის განმავლობაში იმყოფებოდა ემიგრაციაში საქართველოს სხვა განძეულობათა შორის. ხელნაწერისათვის არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო მოქჩის სახარება ძლიერ დაზიანდა. არსებობს მოქჩის სახარების მინიატიურების დაზიანების კიდევ ერთი საყარაუდო მიზეზი. ხელნაწერის ეტრატზე ფურცლების მხატვრულად გაფორმება სხვადასხვანაირი ტექნოლოგიით არის შესრულებული, ეტრატსა და ფერადი საღებავის შემაკავშირებელი ნივთიერება ნაკლები რაოდენობით ან სუსტი კონცენტრაციით იყო გამოყენებული.

მოქჩის სახარების ეტრატმა მექანიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ზემოქმედების გამოც განიცადა დეფორმაცია. ჩამჯდარი ლაქების მიხედვით ჩანს, რომ ეტრატი დანესტიანებულიც ყოფილა. ზოგიერთ ადგილას ეტრატის ბოჭკო ხავსივით იშლება. ბუნებრივია, რომ ეტრატის ასეთმა მდგომარეობამ უარყოფითად იმოქმედა მინიატიურებზეც.

ვცადე, შემუშავა ამ ხელნაწერის 12 მინიატურაზე და 8 საზედაო ასოზე. მინიატიურები შესრულებულია როგორც პირდაპირ ეტრატზე, ისე ფურცლოვან ოქროზე. განსაკუთრებით დაზიანებულია ეტრატზე შესრულებული მინიატიურები; ფერადი შრე აცილებულია ეტრატიდან, ძლიერ დამსკდარია და ზოგან ამოფშვნილი. საღებავი ზედაპირულად დევს ფურცელზე და ოდნავ შეხებისთანავე იფშვნება.

შეიძლება ითქვას, ამ 12 მინიატიურის საღებავის შრე თითქმის მთლიანად დაზიანებული იყო.

მოსკოვში შესწავლილი მეთოდოლოგიით ვცადე დაზიანებული მინიატიურების კონსერვაცია. პირველსავე ცდაზე დამაკმაყოფილებელი შედეგი მივიღე.

322 რ-ზე არის მინიატურა (8,5X7 სმ.) ქრისტეს გამოსახულებით. ქრისტეს სახე 9x6 მმ. ნაწილობრივ აღვადგინე იმ ამოცვენილი საღებავის ნაწილაკებით, რომლებიც იქვე იყო მიმოფანტული. აღდგენა მოხერხდა СЭВ-ის საშუალებით, როდესაც ეს დამმაგრებელი ხსნარი შეგვყავს ატკეცილი შრის კიდეზე, ის ელვისებური სისწრაფით ღრმად მოეფინება ცარიელ სივრცეს აცილებული საღებავის ქვეშ, რის შედეგადაც ხდება საღებავის შეკავშირება ეტრატთან. ამ გზით იქნა აღდგენილი ქრისტეს სახე.

მუშაობის პროცესში აღმოჩნდა, რომ ყველაზე რთული აღსადგენი არის ლურჯი და ცისფერი შრე, რომელიც სცდება და ფხვნილივით იფშვნება. სხვა ფერის საღებავები სცდება ნაწილაკებად.

მინიატიურების გამოსახულებაში, განსაკუთრებით სახეზე და ხელებზე, გამოყენებულია საღებავების ყველაზე სქელი ფენა, რაც ხელს უწყობს მის დაშლას.

ამ მეთოდით დავამაგრე მოქჩის სახარების 12 მინიატურა და 8 საზედაო ასო (ფურ. 92, 95, 97, 322, 328).

აღიარებულია, რომ სამეცნიერო რესტავრაციის განვითარების ეტაპზე არ არსებობს ეტრატზე ფერადი მინიატიურების დამაგრების სხვა უკეთესი მეთოდი.

საჭირო გახდა დაზიანებული ეტრატის ფურცლების რესტავრაციაც, აღსადგენად არჩეულ იქნა სათანადო სისქის ეტრატი. მათი შეკავშირებისათვის გამოვიყენე სპეციალური წებო, დამზადებული ეტრატის ნაწილაკებისაგან, რომელიც მზადდება ჩვენი ინსტიტუტის ქიმიურ ლაბორატორიაში.

ქრისტეს სახის აღდგენასა და რამდენიმე მინიატურისა და საზედაო ასოს გამაგრებაზე გაწეული სამუშაოდან ნათლად გამოიკვეთა, თუ რაოდენ საშურია მოქჩის სახარების უნიკალური მინიატურების საზედაო ასოების ფერადი ფენის სასწრაფოდ კონსერვაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ უნიკალურ მინიატურებს საერთოდ გაქრობა ემუქრება.

ხელნაწერის გადარჩენას დიდი დრო სჭირდება. რაც უფრო მალე დაიწყება აღდგენითი სამუშაოები, მით უფრო მეტს გადავარჩენთ.

## დანართი

### ამონარიდები რუსული სამეცნიერო ლიტერატურიდან СЕВ-ის შესახებ

Наиболее сложной и ответственной реставрационной операцией является укрепление красочного слоя миниатюр. Для этого используются клеевые материалы, содержащие воду, необходимую для размягчения связующего красочного слоя.

В реставрационной практике отмечалась тенденция использовать преимущественно природные материалы, в том числе и для укрепления красочного слоя миниатюр, хотя известно, что многие из них обладали большой жесткостью, которая вызывает со временем хрупкость и новые разрушения живописи так же отставания клеевой плёнки вместе с красочным слоем от основы.

Молекулярная структура глютиновых клеев (рыбий, пергаментный) такова, что их невозможно подвести под отставания без подогрева даже при низких концентрациях. Во время работы с ним, отстающие участки краски не фиксируются на поверхности, а приподнимаются на капле клея. Происходит смешение, перевертывание кусочков краски. Таким клеем можно только залить весь разрушающий участок, происходит значительное эго потемнение. Убрать эго излишки невозможно, т.к. глютиновый клей можно удалить тёплой водой, что естественно вызывает деформацию красочного слоя, обязательно даст усадку и произойдет дополнительно отставания живописи.

В научно-химических лабораториях института реставрации г. Москвы и публичной библиотеки Салтыкова-Щедрина г. Санкт-Петербурга было решено проверить применения пергаментного клея для укрепления миниатюр на пергаменте. При опробовании клея возникли трудности, связанные с высокой вязкостью его растворов даже при малой концентрации. Удавалось подвести клей только в тёплой воде. Он с трудом проникал под отставания красочного слоя, застывал на кисточке. Работать с ним в таком виде было трудно.

Были проведены опытные исследования по подбору укрепляющих материалов, позволяющей им легко проникнуть под самые глубокие и скрытые отставания красочного слоя.

В результате изучения всех материалов, применяющихся в современной реставрации, а также проведения большой экспериментальной работы был выбран материал представляющий частично гидролизованный сополимер винилацетата с этиленам – СЭВ. Из него готовят растворы в спирто-водной смеси в соотношении 2:1. Он позволяет получить хорошие результаты укрепления не опасаясь возникновения жёстких деформаций, проникает под самые труднодоступные участки живописи. Можно с успехом укреплять красочный слои различной толщины и плотности, тонального изменения не происходит, легко проходит под все отставания. Увлажняя краску раствор СЭВ способствует самовыпрямлению деформации и приклеиванию слоя к основе. (1)

Всесторонне использовались свойства этого полимера в процессе длительного старения в климатической камере, он существенно не изменился. Укрепленные миниатюры этим материалом 10-20 лет назад находятся в хорошем состоянии. (2)

Важным является то, что эластичность этих материалов обусловлена не введением пластификаторов, а их молекулярной структурой, благодаря чему она не изменяется со временем. Раствор СЭВ при нанесении под красочный слой равномерно распределяется между частичками краски, скрепляя их друг с другом.

Это единственный материал из большого числа опробованных полимеров, который после укрепления красочного слоя сохраняет матовую поверхность без изменения тона и цвета.

Укрепление проводится под микроскопом с различной степенью увеличения в зависимости от изображения, что позволяет наблюдать прохождение раствора и избегать пропусков.

Такой метод позволяет вводить минимальное количество клея для укрепления, не вмешиваясь во всю структуру живописи, а укрепляя только необходимые участки, которые находятся на грани утраты.

Российские реставраторы, имеющие огромный опыт неоднократно приглашаются для укрепления миниатюр в различные страны мира.

На данном этапе развития реставрационной науки нет иных вариантов консервации красочного слоя средневековых миниатюр на пергаменте и бумаге.

1. В. Ф. Заостровцева, И.В. Баранова. Исследование, консервация и реставрация средневековых рукописных памятников. (Исследования). Москва 1990 г. Стр. 9-13

2. А.В. Трезвов. Художественное наследие № 18 Москва 2000 г. Стр. 24,25,27,28,33,34,41-43.

Л. СИХАРУЛИДЗЕ

## О КОНСЕРВАЦИИ И РЕСТАВРАЦИИ ОДНОЙ УНИКАЛЬНОЙ РУКОПИСИ (МОКВСКОЕ ЧЕТВЕРОЕВАНГЕЛИЕ, 1300 ГОДА).

РЕЗЮМЕ

В работе показанна методика консервации миниатюр и реставрации пергамента уникальной грузинской рукописи 1300 года, Моквского четвероевангелия.

Работа основана на методике применения СЭВ, опробированного в Московских реставрационных центрах.

Укреплены 12 миниатюр и 8 заглавных букв. Частично восстановлено изображение Христа на одной из миниатюр.



მოქვის სახარება, 322v. ქრისტეს სახე. 8 მმ X 6 მმ.



მოქვის სახარება, 322v. ქრისტეს სახე. აღდგენის შემდეგ



მოქვის სახარება, 328 v. ღვთსმშობლის მინიატიურა, 20,5 სმ. X 12 სმ.



მოქვის სახარება, 3r. კამარის ფრაგმენტი. ყვავილი – 6 მმ. X 5 მმ.



მოქვის სახარება, 3r. კამარის ფრაგმენტი

ფოტოები დამზადებულია დ. ცხადაძის მიერ

# ს ა რ ჩ ე ვ ი


ზაზა ალექსიძე „მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანის“ ახალი რედაქცია N/Sin-48
**Z. Alexidze** La nouvelle rédaction des Annales de la Conversion de Karthli N/ Sin/48 ..... 5

რუსუდან გვარამია ძველი ქართული და ქრისტიანული არაბული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან
**R. Gvaramia** From the History of Old Georgian and Christian Arabic Literary Relations ..... 16

ნარგიზა გოგუაძე პავლე მოციქულის პორტრეტი „თეკლას წამების“ მიხედვით
**Н. Гогуадзе** Портрет Апостола Павла данный в сочинении «Мученичества Феклы» ..... 25

ლიანა ახობაძე “იოანე ალექსანდრიელის ცხოვრების” ქართული რედაქციები
**L. Akhobadze** Georgian Redactions of the “Life of Johan Aleksandrieli” ..... 28

მირანდა ბაზღაძე “იაკობ სპარსის წამების” ქართული პირველი კიმენური თარგმანი და მისი წყარო
**M. Bazgadze** The first Georgian Simple (kymenic) translation of “Martyrdom of Jacob the Intercis” and the source of it ..... 38

რუსუდან გვარამია, მანანა დვალი ისევ „ანტონ რავახის ავტობიოგრაფიის“ შესახებ
**Р. Гварамиа, М. Двали** Еще раз об «Автобиографии Антона Раваха» ..... 45

ქეთევან ასათიანი “ნისიმეს ცხოვრების” XII საუკუნის უცნობი ქართული ნუსხის შესახებ (წინასწარი ცნობები)
**К. Асатиани** О неизвестном грузинском списке XII в «Жития Нисимы» ..... 53

ენრიკო გაბიძაშვილი IX საუკუნის უცნობი ქართველი მთარგმნელის ერთი ინიციატივის გამო
**E. Gabidzachvili** Sur une initiative d'un traducteur du IX$^{E}$ siecle ..... 60

მანანა დვალი Jer 51 ხელნაწერი და მისი მიმართება სისტემური პატერიკის თეოფილესეულთარგმანთან (A1105)
**M. Dvali** Manuscript Jer 51 and its Revance with the Systematic Pateric (A1105) Translated by Theophylus ..... 68

რაულ ჩაგუნავა „აბო ტფილელის მარტვილობის“ განსხვავებული თარიღების წარმოშობის საკითხისათვის
**R. Chagunava** On Origination of Different Dates of “Martyrdom of Abo Tbileli” ..... 75

ნანა ჩიკვატია „დოგმატიკონის“ ხელნაწერი კრებულები (S 1463 ნუსხასთან მათი მიმართების ცხრილი)
**Nana Chikvatia** The Manuscript Collections of "Dogmatikon" (The Table of the Relation of the Collections with cod. S-1463) ..... 81

ელგუჯა გიუნაშვილი დიდი სჯულისკანონის მინაწერის შესახებ
**E. Giunashvili** On the Adscription of 14-title Nomokanon ..... 86

ლელა შათირიშვილი რამდენიმე ფიზიოლოგიური ცნების გაგებისათვის ბასილი ანკვირელის თხზულებაში
**L. Shatirishvili** On the issue of some physiological points in Basil of Ancyra's treatise ..... 92

ნინო მელიქიშვილი ბიბლიური ციტაცია გრიგოლ ნაზიანზელის არალიტურგიკული სიტყვების ეფრემ მცირისეულ თარგმანში
**N. Melikichvili** La citation biblique dans la traduction des discours non liturgiques de St. Gregoire de Nazianze par Ephrem Mtsire ..... 102

მაია მაჭავარიანი დავით ტბელის მიერ თარგმნილი გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებები და ამ თარგმანების შემცველი ხელნაწერები
**M. Machavariani** The Writings of Gregory Nazianzen Translated by Davd Tbeli and the Manuscripts Containing Them ..... 106

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევან ბეზაშვილი საღვთისმეტყველო-რიტორიკული სტილის ზოგიერთი თავისებურებისათვის გრიგოლ ღვთისმეტყველის ოხზულებებსა და მათ ქართულ თარგმანებში: სიღრმე-მიჭირულება და ლაკონიურობა (წერილი მეორე)
**Ketevan Bezarashvili** Some Peculiarities of Theological-rhetorical Style in the Writings of Gregory Nazianzen and their Georgian Translations: Laconicism and Obscurity ..... 115

თამარ ოთხმეზური გრიგოლ ნაზიანზელის *დასამშვიდებელ სიტყვათა* ეფრემ მცირისეული თარგმანი
**Th. Otkhmezuri** Ephrem Mtsire's Translation of the *Orationes de pace* by Gregory of Nazianzus ..... 132

მაია რაფავა გრიგოლ ნაზიანზელის პირველი თეოლოგიური სიტყვის (Or 27) კომენტარები ქართულ-სომხურ თარგმანებში
**M.Rapava** Les commentaires du premier discours theologique ( 0r 27 ) de Gregoire de Nazianze dans les traductions georgiennes et armeniennes ..... 145

თამარ მარგიანი რამდენიმე შენიშვნა გრიგოლ ხუცესის „გრიგოლ ნაზიანზელის ცხოვრების" ქართულ თარგმანებთან დაკავშირებით
**Th. Margiani** Quelques notices sur les traductions géorgiennes de „La Vie de Grégoire de Nazianze" par Grégoire le prêtre ..... 158

ნინო ქაჯაია კმევა ძველ ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში
**Н. Каджая** Кождение в древнегрузинских литургических памятниках ..... 162

ირმა ყარაულაშვილი ანჩისხატი: *კერამიდიონი* ჰიერაპოლისიდან თუ *მანდილიონი* ედესიდან?
**I. Karaulashvili** *Anchiskhati: Keramidion* from Hierapolis or *Mandylion* from Edessa? ..... 170

თინა ცერაძე დევთუბანი – ქართველთა სამოღვაწეო უცნობი კერა წმ. მიწაზე?
**T. Tseradze** Devtubani – an Unknown Cultural Seat of Georgians in the Holy Land? ..... 179

გიგა ქაჯაია საქართველოს ბერძნული ფრესკული წარწერების ლიტერატურული წყაროები
**Г. Каджая** Литературные источники греческих фресковых надписей Грузии ..... 183

მაია მამაცაშვილი "ვეფხისტყაოსნის" ერთი ადგილის გასწორებისათვის
**М. Мамацашвили** К уточнению значения слова "gasaldes" в тексте поэмы Ш. Руставели "Витязь в тигровой шкуре" ..... 189

ეკატერინე გოგიაშვილი ტექსტობრივი შეხვედრები „ამირანდარეჯანიანსა" და „ვეფხისტყაოსანში"
**E. Gogiashvili** Les rencontres textuelles entre Amirandaredjaniani et Le Chevalier à la peau de tigre ..... 193

მიხეილ ქავთარია ერთი ფურცელი ქართული პოეზიის ისტორიიდან
**М. Квтария** Одна страница из истории грузинской поэзии ..... 211

ლია სამყურაშვილი არაბიზმები „ხუარაზმშაჰის საუნჯის" ქართულ ვერსიაში
**Л. Самкурашвили** Арабизмы в грузинской версии "Хорезмшахского сокровища" ..... 223

ედიშერ ხოშტარია-ბროსე თემი შუა საუკუნეების საქართველოს ბარში (ისტორიოგრაფიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევი)
**Е. Хоштария-Броссе** Община («теми») в равнинных регионах средневековой Грузии (Исторический и источниковедческий очерк) ..... 236

ელენე ცაგარეიშვილი ზოგი რამ დავით კურაპალატის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ
**Э. Цагареишвили** Некоторые данные о государственно-политической деятельности Давида Курапалата ..... 245

დარეჯან კლდიაშვილი სინას სულთა მატიანე ზედგინისძეთა მოსახსენებლები
**D. Kldiashvili** Georgian Sinai Synodikon Commemorations of the Zedginisdzes ..... 254

დოდო ლომიძე გუდამაყრელთა, მთიულთა, მოხევეთა, თაგაურთა და ქისტთა ფიცისა და ერთგულების წიგნები მეფე ვახტანგ VI-ისადმი
**D. Lomidze** Letters of Assurance and Loyalty to King Vakhtang VI Written by the Gudamaqarians, Mtiuls, Mokhevs, Tagaurs and Kists ..... 266

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულიკო მჭედლიძე ყაფლანისშვილთა სათავადოს ისტორიიდან
**G.Mchedlidze** From the history of seniория of Sakhaplanishvilo ..... 274

ნანა მშვიდობაძე საქართველოს უზენაესი მმართველობის საერთო კრების მრჩევლების პასუხი სენატორ მეჩნიკოვის ინსტრუქციაზე, როგორც წყარო ქართული დიპლომატიკის ისტორიისათვის
**Н. Мшвидобадзе** Ответы грузинских советников общего собрания верховного грузинского правительства на инструкцию сенатора Мечникова как источник грузинской дипломатики ..... 287

მარინე ილურიძე ორი ოსმალური დოკუმენტი მე-18 საუკუნის 80-იანი წლების დასავლეთ საქართველოს შესახებ
**М. Илуридзе** Два османских документа об Имеретинском царстве 80-ых годов 18-го века ..... 294

მზია სურგულაძე, ნიკო ხუციშვილი საისტორიო დოკუმენტების კომპიუტერული მოდელირების საკითხები
**M. Surguladze, N. Khutsishvili** The Problems of Historical Documents Computer Models ..... 304

ლია კიკნაძე იოანე ბატონიშვილის კალმასობისეული ქართული გრამატიკის ტექსტისათვის (სრულია თუ არა იგი)
**Л. Кикнадзе** О тексте грузинской грамматики из "Калмасоба" Иоанна царевича ..... 313

მერი ფოფხაძე ბარონ ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაის საქართველოში ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ
**M. Popkhadze** Baron Alexander P.Nikolay's Life and Work in Georgia ..... 318

ცისანა ბიბილეიშვილი ბარონ ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაის რამდენიმე წერილი თავისი ძმის ლეონტი პავლეს ძე ნიკოლაისადმი
**Ts. Bibileichvili** Quelques lettres du Baron Al.Nicolay à son frère L.Nicolay ..... 323

ეთერ ქავთარაძე მარი ბროსეს ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან
**E. Kavtaradze** Mary Brosset's Epistolary Heritage ..... 331

ნანა უანიაველი XIX ს. ქართული სახოგადოებრივი ცხოვრების ისტორიიდან (საარქივო მასალა წერეთლთა საოჯახო დავის შესახებ)
**Н. Канчавели** Из истории грузинскщй общественнщй жизни (архивный материал относительно разногласий и спор между членами семьи Церетели) ..... 338

ელენე მაჭავარიანი დედნისა და ასლის ურთიერთობის საკითხისათვის ზოგიერთი ქართული ხელნაწერის მოხატულობის შედარებითი ანალიზის საფუძველზე
**Е. Мачавариани** Взаимоотношение воспроизведения с оригиналом на основании сравнительного анализа украшений некоторых грузинских рукописей ..... 348

ენრიკო გაბიძაშვილი საქართველოს ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონის შესახებ
**E. Gabidzachvili** Sur "Vocabulaire encyclopédique de l'église géorgienne" ..... 355

თამარ ჭუმბურიძე ჟურნალ „Oriens Christianus"-ის ისტორიისათვის (პ. ქაუფჰოლდის შესავალი წერილის მიხედვით)
**T. Tchumburidze** Zur Geschichte des Oriens Christianus (Nach der Einleitung zum Gesamtregister von H. Kaufhold) ..... 359

ციალა ქურციკიძე ბოდღე №1 ჰაგიოგრაფიული კრებული (XI ს.) ..... 373

ც. აბულაძე Каталог арабских рукописей Института рукописей им. К.С. Кекелидзе (коллекция L, вып. II). Составители Р.В. Гварамия, Н.Г. Канчавели, Л.И. Мамулия, Л.В. Самкурашвили, Тбилиси, 2002 г. 586 стр. ..... 394

ლალი ალექსი-მესხიშვილი ტემპერატურისა და ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის გავლენა ობის სოკოების ზრდა-განვითარებაზე
**L. Alexi-Meskhishvili** Impact of the Temperature and Relative Humid Air on the Growth and Evolution of Mould Fungi ..... 398

ლალი ალექსი-მესხიშვილი ხელნაწერთა ინსტიტუტის საცავების ჰაერის მიკრობიოლოგიური ანალიზი
**L. Alexi-Meskhishvili** Microbiological Air Analysis of the Manuscript Institute's Repositories ..... 402

დარეჯან გოგაშვილი ეტრატი – საწერი მასალა და მისი დამზადების წესი
**Darejan Gogashvili** The Way of Processing Parchment ..... 405

ლია სიხარულიძე ერთი უნიკალური ხელნაწერის (მოქვის სახარების) კონსერვაცია-რესტავრაციის შესახებ
**Л. Сихарулидзе** О консервации и реставрации одной уникальной рукописи
(Моквское четвероевангелие, 1300 года) ..... 412